

მე-6 გამოცემასთან დაკავშირებით:

„ყველაზე გამჭვირვალე და გამოსადეგი ტექსტი მსოფლიო პოლიტიკაზე 1900-იანი წლებიდან მოყოლებული; ჩემი სტუდენტების უმრავლესობისა და ჩემ მიერ მონონებული“.

*ჩარლზ ლიფსონი
ჩიკაგოს უნივერსიტეტი*

„წამყვანი ტექსტი საერთაშორისო ისტორიაზე 1900-იანი წლებიდან მოყოლებული; განახლებული, რათა მოიცავდეს მეტ ინფორმაციას არადასავლურ სამყაროზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ადამიანთა უფლებებსა და გარემოსდაცვით საკითხებზე; ჩვენ მიერ რეკომენდებული, კარგად მოფიქრებული, ავტორიტეტული და შემეცნებითი“.

*ერეზ მანელა
ჰარვარდის უნივერსიტეტი*

„ეს შესანიშნავი სინთეზი აერთიანებს რეგიონალურ, ეროვნულ და ტრანს-ეროვნულ დონეებს ანალიზისა და ქმნის მე-20 საუკუნის ისტორიის იოლად აღსაქმელ ნაშრომს“.

*ემილი ს. როზენბერგი
კალიფორნიის უნივერსიტეტი, ირვინი*

„მიმაჩნია, რომ ეს გამოცემა ბრწყინვალეა და სრულად აკმაყოფილებს სასწავლო მოთხოვნილებებს. ნაშრომი არის გააზრებული, დეტალური და მომთხოვნი“.

*რიტა კრიუგერი
ტემპლის უნივერსიტეტი*

„ეს არის შესანიშნავი შემეცნებითი ტექსტი გლობალურად ფოკუსირებული ისტორიისა ან პოლიტიკურ მეცნიერებათა კურსისა, უნივერსიტეტის დამამთავრებელი დონისთვის“.

*მერი ბაგი-ჰანტი
ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბროქჰორტი*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უილიამ რ. ქილორი

ბოსტონის უნივერსიტეტი

მეოცე საუკუნის მსოფლიო

საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან

მეექვსე გამოცემა



The Twentieth-Century World and Beyond: An International History Since 1900, Sixth Edition was originally published in English in 2011 (ISBN 978-0-19-973634-8). The authorized translation of the book is published by arrangement with Oxford University Press. Copyright © 2011, 2006, 2002, 1997, 1993, 1989 by Oxford University Press, Inc.

All rights reserved. No part of this book may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording or by any information storage retrieval system, without the permission of Oxford University Press, Inc.

უილიამ ქილორის ნიგნის „მეოცე საუკუნის მსოფლიო: საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან“ მეექვსე ინგლისურენოვანი გამოცემა დაიბეჭდა 2011 წელს (ISBN 978-0-19-973634-8). ნიგნის ავტორიზებული თარგმანი იბეჭდება Oxford University Press-ის თანხმობით და ინგლისურ გამოცემაზე საავტორო უფლებებით © 2011, 2006, 2002, 1997, 1993, 1989 Oxford University Press, Inc.

ყველა საავტორო უფლება დაცულია. Oxford University Press, Inc-ის თანხმობის გარეშე არ შეიძლება ნიგნის რომელიმე ნაწილის ასლის გადაღება, გამრავლება ან გაერცელება რაიმე ფორმით, ელექტრონულად ან მექანიკურად, ფოტოკოპირებით ან ინფორმაციული შენახვის სხვა საშუალებით.

The Georgian translation of this book is prepared by the Center for Social Sciences and funded through the Book Translation Program, U.S. Embassy in Georgia.

ნიგნის ქართული თარგმანი მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ და დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში.



მთარგმნელები: თამარ ხუნწარია, ბიძინა ჯავახიშვილი
სამეცნიერო რედაქტორები: ალექსანდრე რონდელი, ეკატერინე მეტრეველი

გარეკანზე გამოყენებულია კარლო კაჭარავას ტილო „მეფეთა გარყვნილება“.

ქართული თარგმანის საავტორო უფლებას ფლობს:

- © სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ჭავჭავაძის გამზ. 1
ვებგვერდი: www.tsu.edu.ge
- © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2015
საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ჭავჭავაძის გამზ. 14
ვებგვერდი: www.press.tsu.edu.ge

ISBN 978-9941-13-439-5



რუკები IX
წინასიტყვაობა XI

პროლოგი

საერთაშორისო ურთიერთობების
გლობალური კონტექსტი
მეოცე საუკუნის დასაწყისში 1

მსოფლიოს ევროპეიზაცია 2
ძლიერი იაპონიის გამოჩენა აღმოსავ-
ლეთ აზიაში 15

ამერიკული ძალის გამოჩენა დასავ-
ლეთ ნახევარსფეროსა და წყნარი
ოკეანის აუზში 21

დედამიწის „შემცირება“: რევოლუ-
ცია ტრანსპორტსა და კომუნიკა-
ციებში 37

გლობალიზაციის დასაწყისი 47

ნაწილი პირველი: ოცდაათწლი-
ანი ომი (1914 – 1945) 57

თავი 1

გერმანიის ეპროკაპი გააბატონების
მცდელობა (1914 – 1918 წლები) 59

გზა არმაგედონისაკენ 60

ჩიხში მოქცევა და სისხლისღვრა 76

რევოლუციური რუსეთი ომს
ეთიშება 86

ამერიკული ინტერვენციის მიზეზები
და შედეგები 93

თავი 2

პარიზის სამშვიდობო პროცესი და
ახალი საერთაშორისო წესრიგი 101

მესია ახალი მსოფლიოდან 103

„დიდი ოთხეული“ 104

საფრანგეთის სამშვიდობო
მიზნები 107

ბრიტანეთის სამშვიდობო
მიზნები 112

ამერიკა შინ ბრუნდება 116

სამოქალაქო ომი და მოკავშირეთა
ინტერვენცია რუსეთში 118

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის
შექმნა 122

ვერსალის განაჩენი 131

თავი 3

დასავლური სამყარო ოცინან წლებში
– ილუზიების ეპოქა 135

ეკონომიკური აღორძინების ილუზია
136

კონტინენტური უსაფრთხოების
ილუზია 157

თავი 4

დასავლური სამყარო ოცდაათიან
წლებში – გამძაბული ილუზიები 187

მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგის
რღვევა 188

ევროპის უსაფრთხოების სისტემის
რღვევა 201

თავი 5

გერმანიის ეპროკაპი გააბატონების
მეორე მცდელობა (1939-1945) 244

პოლონეთის აღსასრული და „უცნაუ-
რი ომი“ 245

ევროპული ომი 248

მსოფლიო ომი 255

მოკავშირეთა გეგმები გათავი-
სუფლებული ევროპისათვის 268

ევროპელი ებრაელების
განადგურება 275

თავი 6

**ვერთაგული შტატების
უზენაესოების განმარტება
ლათინურ ამერიკაში 278**

პირდაპირი ბატონობის პერიოდი
(1914-1932) 279

არაპირდაპირი ჰეგემონიის პერიოდი
(1933-1945) 296

თავი 7

**იაპონიის აღზავება და დაცვა
აღმოსავლეთ აზიაში 315**

მშვიდობიანი ათვისების პერიოდი
(1914-1930) 316

სამხედრო ექსპანსიის პერიოდი
(1931-1941) 332

ომი აზიაში (1941-1945) 351

**ნაწილი მეორე: ცივი ომი ზესახელ-
მნიფოებს შორის (1945-1985) 363**

თავი 8

**გაიორჯული მსოფლიოს
ჩამოყალიბება ტრუმან-სტალინის
აპოქაში (1945-1953) 365**

პოლიტიკური განხეთქილებები
ევროპაში 366

ზესახელმნიფოების კონფლიქტები
პერიფერიებზე 372

შეკავების პოლიტიკა 379
დასავლეთის ხელახალი
შეიარაღება 400

თავი 9

**თანაარსებობა და კონფრონტაცია
(1953-1962) 412**

იდეოლოგიური განხეთქილებების
გაღრმავება 413

მშვიდობიანი თანაარსებობის ეპოქა
421

მიუმხრობლობის პოლიტიკა „მესამე
სამყაროს“ ქვეყნებში 428

ამერიკული ხელშეუხებლობის დასას-
რული 438

ბერლინის ანომალია 442

ინტერამერიკული უსაფრთხოების
სისტემის ჩამოყალიბება 452

თავი 10

**დებანტი და მრავალპოლარული
მსოფლიო (1962-1975) 465**

ბირთვული სტაბილურობის
ძიება 467

ამერიკის პირველობა საფრანგეთის
გამოწვევის წინაშე 479

პოლიტიკური მონესრიგება
ევროპაში 488

ახლო აღმოსავლეთი, როგორც
მუდმივი ცხელი წერტილი 497

თავი 11

**ჩინეთის აღმასვლა და ცივი ომი
აზიაში 508**

კომუნისტების გამარჯვება ჩინეთის
სამოქალაქო ომში 509

შეერთებული შტატების ხელახალი
ჩართვა შორეულ
აღმოსავლეთში 515

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი: თანამშ-
რომლობიდან მტრობამდე 525

ინდოჩინეთის ოცდაათწლიანი
ომი 532

ჩინეთ-ამერიკის დაახლოება
(1969-1975) 550

თავი 12

**აღმოსავლეთისა და დასავლეთის
შორის დაპირისპირების
განახლება (1975-1985) 557**

პლურალიზმისა და ურთიერთდამო-
კიდებულების პერსპექტივები 558

გამალებული ბირთვული შეიარაღების განახლება 560
 არეულობა სამხრეთ აზიაში 564
 კონფლიქტი და კომპრომისი ახლო აღმოსავლეთში 569

თავი 13

ბრძოლა განვითარებისა და დამოუკიდებლობისათვის ლათინურ ამერიკაში 578
 ეკონომიკური შედეგების პოლიტიკა დასავლეთ ნახევარსფეროში 579
 ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები 583
 საკრედიტო კრიზისი ლათინურ ამერიკაში 588
 მცირე ცივი ომი კარიბის რეგიონში 590

თავი 14

აფრიკა: დამოუკიდებლობიდან დაძვინდობამდე 594
 დეკოლონიზაცია და ოცნება ერთიანობასა და განვითარებაზე 595
 „ნეოიმპერიალიზმის“ გამძლეობა 600
 ეკონომიკური სტაგნაციის ანათემა 606
 ცივი ომი აფრიკის კონტინენტს აღწევს 610
 თეთრკანიანთა რეჟიმების ბოლო საყრდენი 616

თავი 15

შორეული აღმოსავლეთი – ზუსტად ახალი კათილიკალიზმისაჲნ 620
 იაპონიის სასწაული 621
 აღმოსავლეთით „აზიური ვეფხვების“ აღმასვლა 627
 ჩინეთის გამოფხიზლება: დენ სიაოპინის რევოლუცია 629

ნაწილი მესამე: ცივი ომიდან ახალ მსოფლიო უწყსრიგობამდე (1985-2010) 643

თავი 16

მოსკოვი, ვაშინგტონი და საჯოთა იმპერიის აღსასრული 645
 გორბაჩოვი: გლასნოსტი, პერესტროიკა და შეიარაღებაზე კონტროლი 646
 აღმოსავლეთის ბლოკის დაშლა და გერმანიის გაერთიანება 651
 საბჭოთა კავშირის გასვლა ცივი ომიდან და მისი დაშლა 655
 ეთნიკური კონფლიქტები საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში 659
 რუსეთის მშფოთვარე ტრანზიცია კაპიტალიზმისა და დემოკრატიისაკენ 667
 რუსეთი და მისი მეზობლები მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში 669

თავი 17

ევროპა: ინტეგრაცია და დანინტეგრაცია 673
 ერთიანი ევროპის იდეის ახალი დასაწყისი 674
 ბალკანეთის ტრაგედია 689

თავი 18

აზია გზის გასაყარზე 699
 ეკონომიკური ზრდა და უსაფრთხოების დილემები აღმოსავლეთ აზიაში 700
 დაძაბულობა ინდოეთის სუბკონტინენტზე 721

თავი 19

**მარტო ღარჩანილი აფრიკა:
ეთნიკური კონფლიქტი, ავტოკრა-
ტია და ჩამორჩენილობა 730**

ეთნიკური არეულობა სომალის
ნახევარკუნძულზე 732

გენოციდი და სამოქალაქო ომი 736
ნიგერია, როგორც დასავლეთ
აფრიკის უანდარმი 744

აპარტიდის დასასრული სამხრეთ
აფრიკაში 747

ისლამიზმი და რეგიონული იდენტო-
ბა მალრიბის ქვეყნებში 750

ცივი ომის დასრულების უარყოფითი
შედეგები 753

ჩინეთი – ახალი იმპერიული ძალა
აფრიკაში? 757

შიდსის ეპიდემია 758

თავი 20

**ახლო აღმოსავლეთი: მხვიდრობის,
კათილდღაოგინა და სტაბილურ-
ობის უშედეგო კიბა 762**

სპარსეთის ყურის ომი და მისი
შედეგები 764

ირანის პოლიტიკური რეფორმებიდან
ბირთვულ ამბიციებამდე 768

ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო
პროცესის განახლება 771

სამშვიდობო პროცესის ჩაშლა 781

თავი 21

**ლათინური ამერიკა: დემოკრატია,
თავისუფალი ბაზარი და რეგიონუ-
ლი უსაფრთხოება 786**

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ დიდი
იმედი 787

დემოკრატიაზაციის პროგრესი 792
პოპულიზმის აღზევება და „ვაშინგ-
ტონის კონსენსუსის“ ჩაშლა 799
ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ 804

თავი 22

ქველიდან ახალი საუკუნისკენ 807

საერთაშორისო თანამშრომლობის
მცდელობები ცივი ომის შემდეგ
808

გლობალური ეკონომიკის მართვა
815

შეიარაღებაზე კონტროლის არაერთ-
გვაროვანი გამოცდილება 822

საერთაშორისო არასამთავრობო ორ-
განიზაციების მზარდი როლი 833

გლობალიზაცია და მისი მონინააღმ-
დეგები 840

ვაშინგტონის ომები ავღანეთსა და
ერაყში 846

ბიბლიოგრაფია 855



ევროპული ქვეყნების გავლენის გავრცელება აფრიკის კონტინენტზე 1914 წლისათვის	7
აღმოსავლეთი აზია რუსეთ-იაპონიის ომის მიჯნაზე, 1904-1905	17
შეერთებული შტატების ინტერვენცია ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში პირველ მსოფლიო ომამდე და მისი მიმდინარეობისას	34
შლიფენის გეგმა პირველ მსოფლიო ომში	66
ევროპა პირველი მსოფლიო ომის დროს	71
ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული დანაკარგი და ახალი სახელმწიფოების აღმოცენება ახლო აღმოსავლეთში	121
შეცვლილი საზღვრები ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ	130
ჩეხოსლოვაკიის გაყოფა, 1938-1939	234
მეორე მსოფლიო ომი ევროპაში, 1941-1945	266
ცენტრალური ამერიკა და კარიბის აუზი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე	281
ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა	293
შორეული აღმოსავლეთი და წყნარი ოკეანის რეგიონი, 1941-1945	352
გერმანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის	391
ევროპა ცივი ომის დროს	419
ბერლინი ცივი ომის დროს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის	450
ახლო აღმოსავლეთი ცივი ომის დროს	500
კორეის ომი, 1950-1953	519
ინდოჩინეთი, 1954-1975	541
ისრაელი და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები ექვსდღიანი ომის შემდეგ	574
შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა	582
ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის რეგიონი	587
კოლონიალიზმი აფრიკაში, 1945	597
აფრიკა დამოუკიდებლობის შემდეგ	598
აღმოსავლეთი აზია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	623

X რუკები

საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოები	664
ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურაზიური რესპუბლიკები	666
ევროპა ცივი ომის შემდეგ	675
ევროკავშირი	688
ბალკანეთის ნახევარკუნძული იუგოსლავიის დაშლის შემდეგ	690
ინდონეზია და მალაიზია დამოუკიდებლობის შემდეგ	717
ინდოეთის სუბკონტინენტი	722
ცენტრალური აფრიკა	742
შიდსის პანდემია აფრიკაში	759
ახლო აღმოსავლეთი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე	765
პალესტინა: დასავლეთი სანაპირო, ლაზა და პალესტინის მომავალი სახელმწიფოს კონტურები	778
შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა	788
გაეროს სამშვიდობო მისიები	811
სახელმწიფოები, რომლებიც ბირთვულ იარაღს ფლობენ	828
გლობალური მიგრაციის მიმართულებები	841
ავღანეთი	847
ერაყი	852



საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სწავლების მრავალწლიან-მა გამოცდილებამ 1984 წელს ამ წიგნის პირველ გამოცემაზე მუშაობა გადამაწყვეტინა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების საგარეო ურთიერთობების შესახებ სახელმძღვანელოების ნაკლებობა არ შეიმჩნეოდა, თუმცა, მოგვიანებით, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიკოსების მზარდმა რიცხვმა, მათი საგნის მკაცრად ეროვნული ან რეგიონალური ჩარჩოების შედეგად არსებული შეზღუდვების გამო, უკმაყოფილების გამოხატვა დაიწყო. მათი მტკიცებით, თანამედროვე მსოფლიოს სუვერენული პოლიტიკური ერთეულებისა და რეგიონალური ქვესისტემების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება საჭიროს ხდის, რომ სახელმწიფოების საგარეო ურთიერთობების მკვლევრებმა ისინი უფრო მეტად გლობალურ, საერთაშორისო ქრილში დაინახონ. ამ ახალმა მიმართულებამ დასაბამი მისცა ფართო და მზარდ სპეციალიზებულ კვლევებს, რომლებმაც, დროთა განმავლობაში, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ვინროდ ეროვნული ან რეგიონალური მიდგომა გადალახა. მთელ რიგ ქვეყნებში საიდუმლო სამთავრობო არქივების გახსნის შედეგად მრავალი დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახდა, რამაც მეოცე საუკუნის საერთაშორისო განვითარების შესახებ ჩვენი ცოდნა მნიშვნელოვნად გააღრმავა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, ერთ დროს დამაჯერებელი კვლევების დასკვნების გადახედვაც კი საჭირო გახდა. შესაბამისად, ამ უახლესი, სპეციალიზებული კვლევების შედეგებზე დაფუძნებული საერთაშორისო დონის სახელმძღვანელოებზე მოთხოვნაც გაიზარდა. შევეცადე შემექმნა სწორედ ასეთი სახელმძღვანელო, რომელშიც, ერთი მხრივ, ყურადღება გაეამახვილე იმ მოვლენებზე, რომლებიც სამეცნიერო წრეებში დღემდე აშკარა პოლემიკის საგანია და, იმავდროულად, გამოვთქვი ჩემი პირადი დამოკიდებულება იმ საკითხების მიმართ, რომელთა შესახებ პირველწყაროდან მიღებული საფუძვლიანი ცოდნა გამაჩნია, რაც ამგვარი შეფასებების გაკეთების სრულ უფლებას მანიჭებს.

საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში, საერთაშორისო ისტორია, როგორც აკადემიური დისციპლინა, მეტად განვითარდა. ამ საგნის კურსები საბაკალავრო პროგრამებში ფართოდ დაინერგა და სტუდენტებში დიდი დაინტერესება გამოიწვია. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის კვლევას პროფესიულმა ორგანიზაციებმაც შეუნყვეს ხელი. რამდენიმე, ჭეშმარიტად გლობალური მიდგომით დაწერილი მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოც

გამოიცა. შეერთებულ შტატებში ისტორიკოსებისათვის მათი საგნის მიმართ ძველმოდური, როგორც ერთი კრიტიკოსი იტყოდა, ცალსახად „ვაშინგტონის ხედვაზე“ დაფუძნებული მიდგომა მიუღებელი გახდა.

თუმცა, როგორც ამ გამოცემებზე მუშაობისას აღმოვაჩინე, ჭეშმარიტად საერთაშორისო პერსპექტივის განვითარება ძალზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. თამამი ავტორი, რომელიც თავდაჯერებულად იწყებს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მთელი მსოფლიოს ისტორიის კვლევას, ძალიან მალე თავმდაბალი ხდება, ვინაიდან კვლევის პროცესში სპეციალიზებულ საკითხებთან დაკავშირებულ უზარმაზარი მოცულობის დამატებით ლიტერატურას აწყდება, რომლის შესწავლაც ცალკეული პირის პროფესიულ კომპეტენციას სცილდება. წერის პროცესში ირკვევა, თუ რამდენად დამოკიდებული ხდები იმ მკვლევარების ნაშრომებზე, რომლებმაც მთელი კარიერა დაუთმეს იმ ისტორიული მოვლენების აღწერას, რომლის შესახებაც ინფორმაცია ნაკლებად, ან საერთოდ არ გაგაჩნია. ამ შეუსწავლელი ნიაღის სიღრმეებში ჩახედვისას მნიშვნელოვანია საორგანიზაციო მხარეზეც იფიქრო, – თუ როგორ მოუყარო თავი მეორადი წყაროებიდან ამოკრებილ უცნობ ფაქტებს და მათი ინტერპრეტაციები როგორ დააღაგო ისე, რომ უმალლესი განათლების სახელმძღვანელოსთვის შესაფერისი თანმიმდევრული და გონივრული ტექსტი შექმნა.

მარტივად რომ ვთქვათ, ჩემი მიზანი იყო, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოს ერებს შორის ძალაუფლებისთვის, კეთილდღეობისთვის და პრესტიჟისთვის ბრძოლის ისტორიის თხრობით-ანალიტიკური ფორმით გადმოცემა. ამ მიდგომის უპირატესობა მის ექსკლუზიურობაშია. ის ავტორს საშუალებას აძლევს ყურადღების მიღმა დატოვოს საკითხების ის ნაწილი, რომელსაც ისტორიის სახელმძღვანელოებში ხშირად განსაკუთრებული ადგილი უკავია, რათა ძირითად თემასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და პროცესებზე აქცენტი გააკეთოს. ასე მაგალითად, წინამდებარე სახელმძღვანელოში ცალკეული სახელმწიფოების შიდასოციალურ, პოლიტიკურ ან კულტურულ ისტორიას ნაკლები ყურადღება ეთმობა. აქ ქვეყნის საშინაო საკითხებზე აქცენტები მხოლოდ მაშინ კეთდება, თუ ისინი საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა ურთიერთქმედებების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. თუმცა, მეორე მხრივ, წინამდებარე სახელმძღვანელოში სრულად არის მოცემული მთელი რიგი იმ საკითხებისა, რომლებიც „დიპლომატიის ისტორიის“ ტექსტებში ყურადღების მიღმაა დარჩენილი ან არასრულფასოვნადაა განხილული. მაგალითისთვის, ამ წიგნში სრულად აღვწერ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით კი ვაჭრობის ტენდენციებს, კაპიტალის მოძრაობას და კონკურენციას; ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ პოლიტიკური და სტრატეგიული უპირატესობისთვის

საერთაშორისო დაპირისპირებასა და ამ ეკონომიკურ ძალებს შორის ურთიერთკავშირს.

აქვე მკითხველს ჩინური სახელების ჩემეული მართლწერის შესახებ მინდა განვუმარტო. მას შემდეგ, რაც 1979 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჩინური ენის ტრანსლიტერაციისთვის ჩინური ტრანსკრიფციების სისტემის ლათინური მართლწერა შეიმუშავა, პედანტმა მწერლებმა კარგად ნაცნობი ჩინური სახელები ახალ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანეს. ამიტომ, წინამდებარე ტექსტში მათ ცე-თუნგი გახდა მათ ძე-დუნი, ჩოუ ენლაი – ჯოუ ენლაი, პეკინგი – ბეიჯინი, სინკიანგი – ხინჯიანგი და სხვა. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩინური ტრანსკრიფციების სისტემის ტრანსლიტერაციას თავი შეგნებულად ავარიდე. მაგალითად, ჩან კაი-ში ძიან ძეშითი არ შევცვალე, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ძველ მართლწერას შერჩეულ მკითხველს სახელი არასწორად გაეგო.

წიგნის წინა გამოცემებში რამდენიმე მეგობრისა და კოლეგის რჩევა და კრიტიკა ასახული. ნორმან ნაიმარკმა ყურადღებით წაიკითხა პირველი გამოცემის ხელნაწერი და ის ფაქტობრივი შეცდომებისგან და არასაჭირო ინტერპრეტაციებისგან გაასუფთავა (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით). ტექსტი ასევე წაიკითხა განსვენებულმა პერმან ფრედერიკ ეილტსმა და მასში ახლო აღმოსავლეთის პრაქტიკული და მეცნიერული ცოდნა შეიტანა, რითაც ჩემი კომპეტენცია ამ რთული რეგიონის შესახებ კიდევ უფრო გაამყარა. დიტრიხ ორლოვი ომთაშორისი პერიოდის ევროპის შესახებ თავებს გაეცნო და გერმანიის საგარეო პოლიტიკის საკითხთან მიმართებით საკუთარი ხედვა შემომთავაზა. განსვენებულმა ჯონ გალიარდომ და არნოლდ ოფნერმა ამ სახელმძღვანელოზე მუშაობისას ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით დატოვეს კვალი: ერთი მხრივ, სიღრმისეული კვლევებისა და სწავლებისადმი თავდადების მაგალითის მიცემით და, მეორე მხრივ, ამ წიგნში მოცემულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებულ ხანგრძლივ და ნაყოფიერ დიალოგში ჩემი ჩართვით. მეორე გამოცემისთვის, ჩემმა მეგობარმა და კოლეგა ჯეიმს მაქქანმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში აფრიკის როლის შესახებ თავთან დაკავშირებით სასარგებლო კომენტარები მომანოდა.

ბევრმა სხვა მეგობარმა და კოლეგამ, ვინც ამ სახელმძღვანელოს სწავლების პროცესში იყენებს, წიგნთან დაკავშირებით საკუთარი (და ასევე სტუდენტების) შეხედულება გამიზიარა და მისი კიდევ უფრო დახვეწისთვის სასარგებლო რჩევები შემომთავაზა, რაც, მოგვიანებით, მესამე გამოცემაში აისახა. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღლიერი ვარ კაროლ ფინკის, დაიან კუნზის, დავიდ მაიერსის, კაზალ ნოლანის და სტივენ ა. შუკერის.

ჩემი ინსტიტუტის გარდა, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ საშუალება მომცა საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სწავლულთა ნაშრომებს მათი ჩამოყალიბების პროცესში გაცნობოდი. განსვენებულმა პროფესორმა ჟან-ბაპტისტ დიუროზელმა საერთაშორისო ურთიერთობებში მისი კურსის დამამთავრებელ სემინარზე პარიზის უნივერსიტეტში მიმინვია. საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თემაზე მისი სტუდენტების პრეზენტაციებიდან ბევრი ვისწავლე. ჩემთვის ასევე ბევრისმომცემი იყო ურთიერთობა ჰარვარდის უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ცენტრთან, რომელიც დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და სწავლულების მიმდინარე სამუშაოების პრეზენტაციების მნიშვნელოვან ფორუმს წარმოადგენს.

1996 წელს, ნიგნის მესამე გამოცემის გამოსვლის შემდეგ, სწავლულთა ორ ჯგუფთან და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან საერთაშორისო ისტორიის სხვადასხვა თემაზე მუშაობის პრივილეგია მხვდა წილად. პოლ კენედიმ საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევების ჯგუფის მიერ დაფინანსებულ იელის უნივერსიტეტის წლიურ კონფერენციაზე *უახლესი შრომები საერთაშორისო ისტორიაში* მიმინვია. ამ კონფერენციაზე სხვადასხვა უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და ფაკულტეტის ახალგაზრდა წევრების კვლევების შედეგების შესახებ ბევრი რამ შევიტყვე.

იმავედროულად, შემოვიკრიბე მეგობართა წრე: – იგორ ლუკესი, დავიდ მაიერსი და, განსაკუთრებით კი, კასალ ნოლანი, რომელთა დახმარებითაც ბოსტონის უნივერსიტეტში საერთაშორისო ისტორიის ინსტიტუტი ჩამოვაყალიბე. ამ ინიციატივას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე ახლადდანიშნული ერიკ გოლდსტეინიც აქტიურად შემოუერთდა. მას შემდეგ ჩვენმა მზარდმა ორგანიზაციამ უამრავი კონფერენცია, საჯარო ლექცია და ფაკულტეტის წევრებისა და სტუდენტების მიმდინარე კვლევების პრეზენტაციები დააფინანსა. ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრთან, რომლის მაშინდელი დირექტორი, ჩემი მეგობარი და კოლეგა, ენდრიუ ბაკევიჩი ჩემი ამ ნიგნზე მუშაობის პროცესში ინტელექტუალური მამოძრავებელი ძალა იყო. დაბოლოს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა აკირა აირიემ ნიგნის მეოთხე გამოცემა გულდასმით წაიკითხა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მისი სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები მომანოდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი რჩევა თანამედროვე მსოფლიოში არასამთავრობო ორგანიზაციების როლისთვის ტექსტში მეტი ყურადღების დათმობაზე. *მეოცე საუკუნის მსოფლიოს* გადამუშავებისას, ნიუ ჰეივენში, კემბრიჯსა და ბოს-

ტონში გამართული ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი პრეზენტაციებისა და დისკუსიების დროს, ჩემ მიერ გაკეთებული ჩანიშვნებითაც ხშირად ვხელმძღვანელობდი.

მეოთხე გამოცემის მომზადებისას, მრავალი წლის მანძილზე ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობაში ჩემი რედაქტორი ნენსი ლეინი, აკადემიურ გამომცემლობაში გამორჩეული კარიერის დასრულების შემდეგ, პენსიაზე გავიდა. წიგნზე მუშაობის მთელი ამ წლების განმავლობაში ნენსის განუწყვეტელ მხარდაჭერას ვგრძნობდი, რისთვისაც მისი უზომოდ მაღლიერი ვარ. ნენსის საქმიანობა ღირსეულად გააგრძელეს ჯოია სტივენსმა და ლიზა გრზანმა, რომელთაც, თავიანთი კვალიფიკაციითა და მოთმინებით, შედეგიანად იზრუნეს ჩემი ხელნაწერების გასწორებაზე. მეხუთე გამოცემის რედაქტორმა პიტერ კოვენეიმ მის რეკომენდაციებში უდიდესი სიბრძნე და მგრძობელობა ჩადო, რის შედეგადაც ტექსტი რადიკალურად შეიცვალა, დაიხვეწა.

მისი გამომცემლობიდან წასვლის შემდეგ, სანამ ხელნაწერი ჯერ კიდევ გამომცემისთვის მზადდებოდა, რედაქტორობას მაღალი კვალიფიკაციითა და ეფექტიანობით გამორჩეული ჯუნ კიმი შეუდგა. მეექვსე გამოცემის მომზადებისას, ბრაიან ვილმა მონვეული გარეშე ექსპერტების კომენტარები უზრუნველყო, რომელთაც თვალი განსაკუთრებით მივაღვენე: მარი ბაგიჰანტი, ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბროქჰორტი; დომინიკ კარილო, გროსმონტ კოლეჯი; ელიზაბეტ მოროუ კლარკი, დასავლეთ ტეხასი, A&M უნივერსიტეტი; მაიკლ ჯეიმს მალლი, პიტსბურგის უნივერსიტეტი; დანიელ ვ. ო'ბრაიანი, სიერა ნევადას კოლეჯი; ჯეიმს ჯ. შიჰანი, სტენფორდის უნივერსიტეტი და ერიკ გ. სვედინი, ვებერის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამჭრიახი და მდიდარი წარმოსახვის მქონე რედაქტორმა – ჩარლზ კავალიერმა წიგნის ფორმატი მნიშვნელოვნად დახვეწა. მისი თანაშემწე ლოურინ ეილვორდი კი ახალ გამოცემაში შესაბამისი ფოტოების განთავსებაში ძალიან დამეხმარა. მეექვსე გამოცემის მომზადებისას განეულ კვლევით სამუშაოებში ჯესიკა ბუკინსმა, სტეფანი სეტანომ, დანიელ კროუჩმა, ადამ კორნმა და ჯონ სალივანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

წიგნის ყოველი მომდევნო გამოცემის ბოლო ვადების მოახლოებისას უდიდეს თანადგომას მიწევდა ჩემი მეუღლე რეტა, რომელიც საკუთარ თავზე იღებდა სახლის საქმესა და ბავშვების აღზრდას. ამას გარდა, რეტა ჩემთვის უძვირფასესი მოსაუბრეა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა, 1968 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლისას, ერთმანეთს შევხვდით. ჩემი ვაჟი დენიელი და ქალიშვილი ჯასტინი, რომელთაც ამ წიგნს ვუძღვნი, ჩემს ცხოვრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ამ გამოცემაში შესული სიახლეები:

- ასახავს უკანასკნელი პერიოდის კვლევებს; ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ლტოლვილები და სახელმწიფოს არმქონე პირები, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, სამხედრო მოქმედებები ერაყში და გლობალიზაციის მიზეზები და შედეგები.
- მოიცავს ბევრად მეტ ფოტოსა და რუკას.
- მეტია მასალა არადასავლურ სამყაროზე: აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და აზია.
- ფართოდ განიხილავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბირთვული იარაღის გავრცელებას, გარემოს საკითხებს, ადამიანის უფლებებს და გლობალურ დათბობას.
- გაუმჯობესებულია დიზაინი და ტექსტის სტრუქტურა.



პროლოგი

საერთაშორისო ურთიერთობების
გლობალური კონტექსტი
მეოცე საუკუნის დასაწყისში



ქონოთის პერცოგისა და პერცოგინიას მობრძანება დელის ამფითეატრში, ინდოეთი, 1903. ორი სამეფო პირი დაესწრო „დელი დურბარს“ (სამეფო კარი), როგორც ედუარდ VII-ისა და დედოფალ ალექსანდრას წარმომადგენლები, მათი ინდოეთის იმპერატორებად კორონაციის აღსანიშნავად. ექსტრაეჯანტურმა ზეიმმა, რომელიც ორ კვირაზე მეტხანს გაგრძელდა, აქამდე არნახული სამკაულებით დამშვენებული ბრიტანეთის არისტოკრატია და ინდოეთის უფლისწულები მიიზიდა. ეს მოვლენა ბრიტანეთის იმპერიის ვრანდარზულდობის მწვერვალია.

თავის შინაარსი
მსოფლიოს ევროპეიზაცია
კლიმარი იაონინის გამოჩენა აღმოსავლეთ აზიაში
ამერიკული ძალის გამოჩენა დასავლეთ ნახევარსფეროსა
და წყნარი ოკეანის აუზში
დედაპინის „უმცირება“: რევოლუცია ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში
გლობალიზაციის დასაწყისი

მსოფლიოს ევროპეიზაცია

გასული საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო ურთიერთობები ერთ გეოგრაფიულ რეგიონში განლაგებული სახელმწიფოების პირდაპირი თუ ირიბი დომინირებით გამოირჩეოდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილთან მიმართებით. ამ რეგიონს ატლანტის ოკეანესა და ურალის მთებს შორის მდებარე ევრაზიის კონტინენტის დასავლეთი ნაწილი, დღევანდელი ევროპა წარმოადგენდა. ევროპის ძლევამოსილებისა და გავლენის გაფართოება მსოფლიოში მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო, როდესაც საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკურმა განვითარებამ თავგადასავლის მაძიებელ მეზღვაურებს პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, პოლანდიიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან ახლადაღმოჩენილ ან ხელახლა აღმოჩენილ შორეული კონტინენტების ტერიტორიებთან (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში) კავშირის და ამ მიწებით დაინტერესების საშუალება მისცა. ამ ეგზოტიკური მიწების სანაპიროებზე დროთა განმავლობაში ევროპული დასახლებები ჩამოყალიბდა, რომლებიც ექსპლოატაციას უწევდა ისეთ ეკონომიკურ რესურსებს, როგორებიცაა: ძვირფასი ლითონები, შაქარი და ცხოველის ბენვი; შორეული აღმოსავლეთის სანელებლები; აფრიკელი მონების შრომა და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში, ამერიკის ნახევარსფეროს ზომიერი კლიმატისა და ბარაქიანი სახნავ-სათესი მიწის წყალობით, ევროპული მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა; ატლანტის ოკეანის გაღმა მდებარე მეტროპოლიებისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და დაკავებული ტერიტორიების ეროვნულ გაერთიანებასა და ეკონომიკურ განვითარებას აქტიურად შეუდგა. ხსენებული დასახლებების ამერიკის მემკვიდრე შტატებმა ევროპულობა სრულად შეინარჩუნეს, ვინაიდან მათი პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკური საქმიანობა, რელიგია, კულტურა და ტრადიციები ევროპიდან ჩამოსულმა იმიგრანტებმა (რეგიონის მმართველმა ელიტამ) დანერგეს. იმავე პერიოდში, ევროპული რუსეთის სლავი ხალხი აღმოსავლეთით ციმბირისკენ მიილტვოდა, რათა ამ შორეული მხარის ევროპეიზაცია მოეხდინა. ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში

და მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში, დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ძლევამოსილება სამხრეთ ნახევარსფეროს აფროაზიული ნაწილისკენ იქნა მიმართული. ევროპის გაფართოების ამ ხანგრძლივი პროცესის შედეგად, მსოფლიო ევროპას, როგორც ამოსავალ წერტილს, მჭიდროდ დაუკავშირდა. გასული საუკუნის დასაწყისიდან კი სახელმწიფო მოღვაწეებმა, დიპლომატებმა და სამხედრო ლიდერებმა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ გლობალურ კონტექსტში დაიწყეს საუბარი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიული ექსპანსიის უეცარი აღზევების ახსნის მცდელობებმა ისტორიკოსებს შორის ცხარე დებატები გამოიწვია. ზოგი ამას მიაწერდა ოკეანის გაღმა სამრეწველო ნაწარმის გასაღებისა და საინვესტიციო ბაზრების ძიებას, ასევე ნედლეულის მოპოვებით დასავლეთის ეკონომიკურ დაინტერესებას; სხვები აღნიშნავდნენ ქრისტიან მისიონერთა როლს, რომლებმაც კოლონიური სამყაროს შიგნით სულების გადასარჩენად შეაღწიეს და მხოლოდ მაშინ ითხოვდნენ საკუთარი მთავრობის დახმარებას, როცა ადგილობრივი ურწმუნოები რჯულის მიღებას ძალისმიერად ეწინააღმდეგებოდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, სტრატეგიული ინტერესიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობისგან სამხედრო ძალისა და საზღვარგარეთ მოქმედებისთვის ბაზების შექმნის პერსპექტივას ხედავდნენ. ზოგი ეროვნული სიამაყისა და პრესტიჟის ძიების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. თუმცა, რაც არ უნდა ყოფილიყო იმპერიული იმპულსის წყარო, მისი შედეგი მხოლოდ ევროპული ძალისა და გავლენის მსოფლიოს სამხრეთით გაფართოება იყო.

ბრიტანეთის იმპერია და მისი აღზევების მწვერვალი

პირველი ორი ქვეყანა, რომელმაც „მსოფლიო ძალის“ სტატუსი მოიპოვა, ბრიტანეთი და საფრანგეთი იყო. ევროპის იმპერიული გაფართოების პირველი ტალღისას აზიასა და აფრიკაში სანაპირო დასაყრდენი ორივე სახელმწიფომ შექმნა: მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ინდუსტრიული რევოლუციის დროს ბრიტანეთმა მისი მოქალაქეების დიდი ნაწილი ჩრდილოეთ ამერიკის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებზე ჩაასახლა. ლათინური ამერიკის, აფრიკის და წყნარი ოკეანის კუნძულების და სანაპირო ანკლავების მრავალფეროვან კოლექციას, რომელსაც ამ ადრეულ პერიოდში ბრიტანეთი დაეპატრონა, ინდოეთის სუბკონტინენტი დაემატა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. იმ დროისთვის საფრანგეთმა მეჩვიდმეტე საუკუნეში შექმნილ იმპერიას ჩრდილოეთ აფრიკის ალჟირის ტერიტორიაც შემატა.

თუმცა, მმართველებმა ლონდონსა და პარიზში იმპერიის გაფართოების მიზეზების სერიოზული წარმოჩენა მხოლოდ სუეცის არხის (ფრანგების მიერ 1859-1869 წლებში აშენებული და 1875 წელს ინგლის-საფრანგეთის ფი-

ნანსური კონტროლის ქვეშ შესული) გახსნის შემდეგ დაიწყეს. ამ დროიდან, ხმელთაშუა ზღვით, სუეცის არხითა და წითელი ზღვით ინდოეთის ოკეანეში გამავალ საზღვაო გზას (ეს ხაზი აფრიკის სამხრეთით „კეთილი იმედის კონცხის“ საზღვაო გასასვლელთან ყველაზე დაცული და ეკონომიკურად მომგებიანი იყო) ბრიტანეთის მმართველმა ელიტამ აზიაში მის ქონებასთან დამაკავშირებელი „სიცოცხლის ხაზი“ უწოდა. ის მართლაც სიცოცხლის ხაზი იყო: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ ეკონომიკად გარდაქმნის შემდეგ, დიდი ბრიტანეთი მისი მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის მხოლოდ 30 პროცენტს აწარმოებდა, ხოლო კიდევ უფრო მცირე პროპორციით – მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულს. იმპორტირებული საქონლისა და ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი აზიისა და წყნარი ოკეანის სამფლობელოებიდან (ინდოეთი, ავსტრალია და ახალი ზელანდია) მოდიოდა. კუნძულოვანი სახელმწიფოსათვის საზღვაო გზების შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, ვინაიდან ამ გზებით საარსებოდ აუცილებელი სურსათის შემოტანას ახდენდა. უფრო მეტიც: იმისთვის, რომ იმპორტის საფასური გადაეხადა, ბრიტანეთში წარმოებულ პროდუქციას ოკეანის გაღმა ბაზრებზე დაუბრკოლებლად უნდა შეეღწია. ამ მიზეზების გამო, ვიქტორიანული ინგლისის მმართველი ელიტისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ აღმოსავლეთისკენ მიმავალი საზღვაო გზები ბრიტანეთის ხელში ყოფილიყო. ამაში იგულისხმებოდა ხმელთაშუა ზღვის, სუეცის არხის, წითელი ზღვის და ინდოეთის ოკეანის გზებზე საზღვაო უპირატესობის შენარჩუნება, ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზებისა და სანავიგო შესავსები სადგურების შექმნა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის, ინდოეთში, აღმოსავლეთ აზიასა და ავსტრალიაში გასასვლელის დაცვის ყინით შეპყრობილმა ბრიტანეთმა კუნძულების, სანაპირო ანკლავებისა და სანაპირო მიწების გრძელი რიგი, აზიის სამხრეთ რკალთან და აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროებთან ერთად, შეისყიდა. ასევე, ორი ქვეყნის დამაკავშირებელ ეკვიპტის სახმელეთო ხიდსა და ზღვების დამაკავშირებელ არხზე კონტროლი გაავრცელა. ბრიტანეთის იმპერიალიზმის სტრატეგიული საგუშაგოების წყალობით (გიბრალტარი, მალტა, კვიპროსი და სუეცის არხი ხმელთაშუა ზღვაში; წითელი ზღვის მოპირდაპირე სანაპიროზე ადენი და ბრიტანეთის სომალილენდი; ასევე, კენია, ინდოეთი, ბირმა, მალაია და სინგაპური ინდოეთის ოკეანის აუზში), ამ პატარა კუნძულოვანმა სახელმწიფომ მსოფლიო ისტორიაში უდიდესი იმპერიის შექმნა და შემდგომ მისი შენარჩუნება შეძლო.

ბრიტანეთის იმპერიალიზმის მესამე მამოძრავებელი ფაქტორი – სურსათის, ნედლეულის, საზღვაო ბაზებისა და სანავიგო შესავსები სადგურების საჭიროების გარდა – აუთვისებელი მიწების ძიება იყო, სადაც, ინდუსტრიული სანარმოებიდან მიღებული მოგების შედეგად, ბრიტანეთის იმპერიაში

დაგროვილი დიდძალი კაპიტალის დაბანდება გახდებოდა შესაძლებელი. ევროპისთვის, რომელმაც შეაღწია ახლადგახსნილ აფრიკასა და აზიის რეგიონებში, ნათელი იყო, რომ მათი ეკონომიკური მოდერნიზაციისთვის აუცილებელი წინაპირობის, კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებისთვის საჭირო იყო კაპიტალდაბანდებები. ძალიან მალე, ლონდონის წამყვანმა საფინანსო ინსტიტუტებმა რკინიგზისა და გზების შენებაში, პორტებისა და ნავსადგურების გაუმჯობესებაში და კოლონიების განვითარებისთვის ბრიტანული ფირმების მიერ წამოწყებულ სხვა საქმიანობებში ინვესტიციების ჩადება დაიწყეს. ამგვარად, ათასობით ბრიტანელი ინვესტორი მიიჩნევდა, რომ მათი ფინანსური კეთილდღეობა იმპერიის გარანტირებულ ბაზრებში კაპიტალდაბანდებაზე იყო დამოკიდებული.


ვიქტორიანელებმა ბრიტანეთის ძალის შთამბეჭდავ გაფართოებას მორალზე დაფუძნებული ათასგვარი იდეოლოგიური გამართლება მოუძებნეს. ძირითადად აღნიშნავდნენ, რომ ექსპანსიის მიზანი კოლონიური სამყაროს არაცივილიზებული, ჩამორჩენილი ხალხის ბრიტანეთის უმაღლეს კულტურასთან, განსაკუთრებით კი, ქრისტიანობის სულიერ შთაგონებასთან ზიარება და, ამასთან, განათლებული მმართველობისგან პოლიტიკური სარგებლის მიღება იყო. ზოგიერთი ალტრუისტი მისიონერი და იდეალისტი სახელმწიფო მოხელე მიიჩნევდა, რომ მისი როლი არაევროპული სამყაროს მკვიდრი მოსახლეობის პრიმიტიული რელიგიური ცრურწმენებისგან და ადგილობრივი ბარბაროსული ჩვევებისგან დახსნა იყო. თუმცა, ეს თვითგამამართლებელი, ე.წ. „თეთრი ადამიანის თავის ტკივილი“ ბრიტანეთის კოლონიური ექსპანსიის მთავარი მოტივის – ეკონომიკური ინტერესის შენიღბვის სუსტი მცდელობა იყო. რელიგიური და პოლიტიკური თემების წინ წამოწევის მიუხედავად, ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკა ადგილობრივ სოციალურ და კულტურულ მოწყობას ხელუხლებელს ტოვებდა. ლონდონის მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ იმპერიულ სისტემას ვაჭრობისა და ინვესტიციების მსოფლიო ქსელის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის შეეწყოს ხელი, რომელზეც თავად დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური კეთილდღეობა, თუ არა ეროვნული გადარჩენის საკითხი, იყო დამოკიდებული.

საფრანგეთის „ცივილიზატორული მისია“

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში, საფრანგეთის მიერ კოლონიური იმპერიის შექმნის მიზეზები ნაკლებად არის დასაბუთებული. საკმარისი სურსათის მქონე, თუმცა, სამრეწველო განვითარებით დიდ ბრიტანეთზე ბევრად ჩამორჩენილი საფრანგეთი, ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით, საგარეო ვაჭრობაზე ნაკლებად იყო დამოკიდებული. შესაბამისად, ოკეანის გაღმა საქონლისა და სურსათის გარანტირებული ბაზრების ძიების გამოკვეთილი კომერციული ინტერესი მას არ გააჩნდა. ლონდონის

საბანკო სახლებისგან განსხვავებით, საფრანგეთის საფინანსო წრეები კაპიტალის დასაგროვებლად კოლონიურ დივიდენდებს არ ეძიებდნენ. 1871-დან 1914 წლამდე საზღვარგარეთ ინვესტირებული საფრანგეთის ადგილობრივი დანაზოგები, სამხრეთ ნახევარსფეროს შორეული რეგიონების ნაცვლად, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში სახელმწიფო ხაზინებს მოხმარდა. საფრანგეთს, როგორც შემდეგ გაირკვა, მცდარი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, რომ პოლიტიკური პერიპეტიების სხვადასხვა ეტაპზე ამ ქვეყნების მთავრობები ინვესტიციების დაცვას შორეულ მიწებზე არსებულ გაურკვეველ წარმოებებზე უკეთ უზრუნველყოფდნენ. საფრანგეთის მთავრობა კერძო კაპიტალის აღმოსავლეთ ევროპაში გადინებას მხარს უჭერდა, ვინაიდან, ბრიტანეთისაგან განსხვავებით, საგარეო ინვესტიციებს დიპლომატიის ერთგვარ ინსტრუმენტადაც მიიჩნევდა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, საფრანგეთს კოლონიური იმპერიისკენ სწრაფვის ნაკლები ეკონომიკური ინტერესი გააჩნდა, თუმცა, მისი ფინანსური რესურსების აღმოსავლეთისკენ გადამისამართების დიპლომატიური მიზნები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. საფრანგეთ-პრუსიის ომის (1870-71) შემდეგ აღმოცენებული გერმანიის ძლევამოსილი იმპერიის ევროპაში ბატონობის გამო, მოწყვლადი საფრანგეთი კონტინენტის საკითხებით მუდამ შენუხებული იყო. რუსეთში, ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთის იმპერიაში, ასევე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებში კერძო ინვესტიციების ხელშეწყობით საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა, რომ მის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი გერმანიის გარშემო საფრანგეთის ფინანსურ მხარდაჭერაზე დამოკიდებული და, შესაბამისად, მისი დიპლომატიური გავლენის ქვეშ მოქცეული სახელმწიფოები შემოეკრიბა.

ევროპაში გერმანიიდან მომდინარე საფრთხის მიუხედავად, საფრანგეთი კოლონიური ექსპანსიის კამპანიაში მაინც ჩაერთო, რითაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ის მსოფლიოში მეორე უმდიდრესი იმპერიის მფლობელი გახდა. ფრანგული იმპერიალიზმის ისტორიკოსები ამ პარადოქსს მოტივაციის იმ ფაქტორებით ხსნიდნენ, რომლებიც არა ვაჭრობის ფორმებისა და კაპიტალის მოძრაობის სტატისტიკურ მონაცემებს, არამედ საფრანგეთის მიერ პრესტიჟის ძიების ფენომენს ეფუძნებოდა. 1871 წელს, ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის გავლენის მოულოდნელად გერმანიით ჩანაცვლებამ საფრანგეთს უბიძგა (ამ ანალიზის მიხედვით), რომ ტერიტორიული დაპყრობის ფსიქოლოგიური კომპენსაცია არაევროპული მსოფლიოს შორეულ რეგიონებში ეპოვა – იქ, სადაც ადგილობრივ მმართველობას, პოლიტიკური ორგანიზებისა და სამხედრო ძალის ნაკლებობის გამო, წინააღმდეგობის განვევის ძალა არ შესწევდა. ამ შემთხვევაში „საფრანგეთში“ გულისხმობდნენ არა პარიზში განთავსებულ მთავრობას (რომელმაც, როგორც ჩანს, კოლონიური პოლიტიკა დაგვიანებით და ყოყმანით გაიზიარა), არამედ სამხედრო ძალების



ევროპული ქვეყნების გავლენის გავრცელება აფრიკის კონტინენტზე 1914 წლისათვის

მეთაურებსა და ვაჭრებს, რომლებიც მათი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, საფრანგეთის იმპერია „არმიის მოწყენილმა ოფიცრებმა გართობისთვის“, ხოლო „რკინიგზის მშენებლებმა და ვაჭრებმა კი სწრაფი მოგების მიღებისთვის“ ააშენეს.

მეოცე საუკუნის მიჯნაზე, აფრიკის კონტინენტის თითქმის მესამედი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დიდი ნაწილი (პოლიტიკურად კონსოლიდირებული როგორც „საფრანგეთის ინდოჩინეთი“) და წყნარი ოკეანის სამხრეთით მდებარე კუნძულთა ჯგუფი საფრანგეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. მა-

ნამ, სანამ საფრანგეთი, დიდ ბრიტანეთთან ერთად, არაევროპული სამყაროს ნანილზე კონტროლის განხორციელებას ცდილობდა, ევროპის კონტინენტზე გერმანიის დომინირება ძლიერდებოდა. თუმცა, საფრანგეთ-პრუსიის ომში ელზას-ლოტარინგიის ტერიტორიების დაკარგვით გამოწვეული საფრანგეთის მოუშუშებელი ეროვნული სიამაყე გერმანიისთვის კვლავაც საფრთხის შემცველი რჩებოდა. ამიტომ, გერმანიის კანცლერი და ევროპის კონტინენტზე მისი ჰეგემონიის არქიტექტორი ოტო ფონ ბისმარკი საფრანგეთის ყურადღების არაევროპულ საკითხებზე გადატანას გულითადად მიესალმებოდა. ამასთან, საფრანგეთსა და ინგლისს შორის საერთო ინტერესის კოლონიებთან დაკავშირებული დაპირისპირების ალბათობა ამ ორი ქვეყნის გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანების საფრთხესაც ამცირებდა.

გერმანიის „ადგილი მზის ქვეშ“

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, მიწების მასობრივ დატაცებაში ბრიტანეთსა და საფრანგეთს ევროპის სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი თავად გერმანია იყო. 1890 წელს ბისმარკის გადადგომის შემდეგ, გერმანიის ახალგაზრდა და იმპულსური იმპერატორი ვილჰელმ II მისი წინამორბედი კანცლერის „კონტინენტური პოლიტიკით“ უკმაყოფილო იყო. სტრატეგია, რომელმაც გერმანიას ევროპაში უპირატესობა შეუნარჩუნა, იმპერიალიზმის ეპოქისთვის მოძველებული აღმოჩნდა. ბრიტანეთი და საფრანგეთი მილიონობით ადამიანით დასახლებულ და უცნობი რაოდენობის ფარული რესურსების მქონე უზარმაზარ კოლონიებს აკონტროლებდნენ. 1897 წელს გერმანიის იმპერატორმა სენსაციური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ მის ერს მხოლოდ ევროპაში ექსკლუზიური როლი აღარ აკმაყოფილებდა, მსოფლიო პოლიტიკაში ჩართვა მტკიცედ ჰქონდა გადანყვებილი და იმპერიის შენების მსოფლიო შეჯიბრში გერმანიის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალის აღზევებას ისახავდა მიზნად. ლონდონელი პუბლიცისტის პასუხად, რომელმაც ბრიტანეთის კოლონიები ხატოვნად დაახასიათა, როგორც „იმპერია, სადაც მზე არასდროს ჩადის“, ვილჰელმ II-მ განაცხადა, რომ იმპერიულ გერმანიას სჭირდებოდა „ადგილი მზის ქვეშ“. რამდენიმე თვეში, გერმანიის გლობალურ პოლიტიკაში ჩართვის შესახებ ეს ამბიციური განცხადება ქმედებაში გადაიზარდა. გერმანიამ საზღვაო ფლოტის განვითარება მიზნად დაისახა, რათა ოკეანეებზე ბრიტანეთის ბატონობისთვის კონკურენცია გაენია. ყვითელ ზღვაში კიაო-ჩაოს ჩინეთის პორტი ხელში ჩაიგდო, რათა მას შორეული აღმოსავლეთის კენ მიმავალი გერმანიის ფლოტისთვის სანავის შესაფასებელი სადგურის ფუნქცია შეესრულებინა. გერმანიის იმპერიამ, რომელიც 1871 წელს მისი ჩამოყალიბებიდან ევროპული საქმეების არბიტრის ფუნქციას ასრულებდა, დიდ სახელმწიფოებს მოულოდნელად გამოუცხადა, რომ მსოფლიო ასპარეზზე თავადაც გამოდიოდა.

გერმანიის საერთაშორისო ამბიციის უეცარმა გამოცხადებამ ლონდონსა და პარიზს საფრთხის შეგრძნება გაუჩინა. 1898 წელს გერმანიის იმპერატორმა ოსმანთა იმპერიაში მისი გახმაურებული ვიზიტი გამოიყენა და საკუთარი თავი მსოფლიოში მოსახლე 300 მილიონი მუსლიმის მფარველად გამოაცხადა. ეს ხმამაღალი განცხადება ჩრდილოეთ აფრიკაში და აღმოსავლეთ აზიაში ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოზიციებისთვის უზარმაზარ გამოწვევას წარმოადგენდა. ამ განცხადებიდან ერთი წლის შემდეგ, გერმანულმა ფირმამ ოსმანთა სულთნისგან თურქეთის ევროპული ნაწილისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი სარკინიგზო გზის აშენების ნებართვა მიიღო. თურქთა იმპერიაში გერმანიის ეკონომიკური შესვლა ბრიტანეთისა და საფრანგეთისთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ გერმანიამ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით და არაევროპული სამყაროს ნაწილისკენ გაფართოების პირველი ნაბიჯები გადადგა. ეს მხარეები კი ბრიტანეთს და საფრანგეთს თავისთვის უნდოდა.

ევროპის კონტინენტზე გაბატონებული ძალა აფრიკასა და აზიაში ინგლის-საფრანგეთის იმპერიული ინტერესებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა, რამაც სწორედ ის შედეგი გამოიღო, რასაც ბისმარკი უფრთხობდა. მსოფლიო პოლიტიკაში მონაწილეობაზე გერმანიის სერიოზულმა განაცხადმა ორ იმპერიულ სახელმწიფოს კოლონიებთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარებისკენ უბიძგა. კონტინენტზე გერმანიის ძალის გაფართოების შესაკავებლად საფრანგეთი ბრიტანეთთან თანამშრომლობით ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, ხოლო ბრიტანეთს საფრანგეთის მხარდაჭერა გერმანიის საზღვაო და კოლონიური ამბიციების დასაბალანსებლად სჭირდებოდა. მხოლოდ ერთი რამ, რაც ხელს უშლიდა ამ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას, ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე იმპერიული გაფართოების დროს ჩამოყალიბებული ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმი იყო. ამ სანაპიროს რამდენიმე მისადგომზე ბრიტანეთის კონტროლი (საზღვაო ბაზები გიბრალტართან დასავლეთით და ალექსანდრიასთან აღმოსავლეთით) საფრანგეთის ახალ იმპერიულ ინტერესებს მაროკოში და ძველ, ნაპოლეონისდროინდელ ინტერესებს ეგვიპტეში ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს, 1904 წელს, ორმა ძალამ ჩრდილოეთ აფრიკის კონფლიქტთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწია. საფრანგეთმა ბრიტანეთის მიერ ეგვიპტის ოკუპაცია აღიარა (სუეცის არხზე საფრანგეთის გარანტირებული მისადგომით), ხოლო ბრიტანეთმა საფრანგეთს მაროკოში შესვლის ნება დართო (საფრანგეთის მიერ ბრიტანეთისთვის გიბრალტართან არსებული ბუფერული ზონის დათმობის გარანტიით). 1906 წლის მარტში, დიდი სახელმწიფოების კონფერენციაზე, სადაც მაროკოში საფრანგეთის ინტერესის მიმართ გერმანიის გამოწვევის საკითხზე გადანიშნული იყო უნდა გამოტანილიყო, ბრიტანეთის მთავრობამ საფრანგეთს მხარი მტკიცედ დაუჭირა, რის შედეგადაც გერმანელები იძულებულნი გახდნენ მაროკოდან გასულიყვნენ.

კონფერენციამდე ორი თვით ადრე, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის, სერ ედუარდ გრეის, ინიციატივით, ბრიტანელ და ფრანგ გენერლებს შორის კონტინენტზე მოსალოდნელი ომის შესახებ სტრატეგიული გეგმების კოორდინაციის საკითხზე მსჯელობა დაიწყო. მართალია, ლონდონი პარიზს დროდადრო ახსენებდა, რომ ინგლის-საფრანგეთის დიალოგი სამხედრო კავშირს და ბრიტანეთის მხრიდან საფრანგეთის დაცვის ვალდებულებას არ გულისხმობდა, მაგრამ ამ ორმა ერმა მჭიდრო თანამშრომლობა მაინც შეძლო, რათა ევროპაში და ასევე კოლონიურ მსოფლიოში გერმანიის გაფართოება გაეკონტროლებინათ.

რუსეთის დაინტერესება თბილი ნავსადგურებით

ევროპის კიდევ ერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც იმპერიული ექსპანსიის პოლიტიკას წარმოადგენდა, რუსეთი იყო. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის საზღვაოსნო ქვეყნების ძალა ოკეანის გაღმა იზრდებოდა, რუსეთის სლავური მოსახლეობა მშობლიური მიწიდან ურალის მთების დასავლეთით, აზიის დაუსახლებელი მიწებისკენ მიიწევდა. ამ ტერიტორიულმა გაფართოებამ ევროპული რუსეთის კონტროლის ქვეშ მრავალი სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის და ტრადიციის მქონე ხალხი მოაქცია. ეს ხალხი რუსეთის მმართველობას თავიანთი არასაკმარისი სამხედრო ძალის გამო წინ ვერ აღუდგა, სწორედ ისე, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის ადგილობრივმა მოსახლეობამ ამერიკის საზღვრების ატლანტის ოკეანის სანაპიროდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე გაფართოების შეჩერება ვერ შეძლო. მაგრამ, როგორც კი რუსეთის იმპერიის საზღვრები ევრაზიის კონტინენტის მიღმა ღია ზღვას (ხმელთაშუა ზღვა, სპარსეთის ყურე, ინდოეთის ოკეანე, წყნარი ოკეანე) მიუახლოვდა, მისი ექსპანსიური ინტერესები სხვა იმპერიული სახელმწიფოების ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოვიდა. დიდი ბრიტანეთი აზიაში მისი იმპერიის საზღვაო კომუნიკაციებით განსაკუთრებით დაინტერესდა. შესაბამისად, მისი ამ საზღვაო გზაზე გავლენის შესანარჩუნებლად დიდი ბრიტანეთი რუსეთს წინააღმდეგობას უწევდა. ბრიტანეთი რუსეთთან მიმართებით პოლიტიკას ხშირად საფრანგეთთან ერთად წარმოადგენდა, რითაც რუსეთს აიძულებდა, მსოფლიო ძალის სახელმწიფოს ამბიციების მქონე ქვეყნისთვის საოცრად არახელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებს შეგუებოდა. კერძოდ, ზამთარში, როცა მისი ყველა მთავარი ნავსადგური ბალტიის ზღვაში, წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში იყინებოდა, რუსეთი მის სამხედრო და სავაჭრო ფლოტს საკმარისი ნავსადგურებით ვერ უზრუნველყოფდა.

რუსეთის ის ნავსადგურები, რომლებიც ზამთრის პერიოდში არ იყინებოდა, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. თუმცა, ამ ნავსადგურების ხმელთაშუა ზღვასთან დამაკავშირებელი სრუტეები – ბოსფორი, მარმარი-

ლოს ზღვა და დარდანელი – იმდენად ვიწრო იყო, რომ, ნებისმიერი დაინტერესებული ძალის სურვილის შემთხვევაში, მათი გადაკეტვა ადვილი შესაძლებელი ხდებოდა. საუკუნეების მანძილზე ერთ-ერთი ასეთი ძალა ოსმანთა იმპერია იყო. თურქების კონტროლი ამ სრუტეებზე და მიმდებარე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სამხრეთ ევროპაში და ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის საგარეო ვაჭრობას და საზღვაო ძალას მნიშვნელოვნად ასუსტებდა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის მეფეები ამ გეოგრაფიული სივიწროვიდან გამოსვლისთვის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აქტიურ პოლიტიკას წარმართავდნენ. კერძოდ კი, ბალკანეთში რუსეთის გავლენას ზრდიდნენ და თურქეთის მთავრობას არწმუნებდნენ, რომ სრუტეები რუსეთის სამხედრო გემებისთვის ღია, ხოლო სხვა ძალებისთვის – დახურული ჰქონოდა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულით და თურქეთის ვიწრო სრუტეებით რუსეთის დაინტერესებას იდეოლოგიური ფაქტორები კიდევ უფრო ზრდიდა: ოსმანთა იმპერიის მიწებზე მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილს რუსეთის სლავ ხალხთან ეთნიკურად ახლოს მყოფი სლავები შეადგენდნენ. ბალკანელ და რუს სლავებს შორის არსებული ეთნიკური სიახლოვე მეცხრამეტე საუკუნეში დროთა განმავლობაში პოლიტიკური გაერთიანების პროგრამაში გადაიზარდა. 1867 წელს, მოსკოვში ჩატარებული სლავი ხალხების პირველი კონფერენციის შემდეგ, პანსლავური იდეოლოგიის რუსმა მხარდამჭერებმა რუსეთის მეფის ქვეშ სლავთა იმპერიის შექმნა მიზნად დაისახეს. თავად რუსეთის მეფეები ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრები სლავების პრობლემებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ და სამშობლოში მიმდინარე პანსლავურ მოძრაობას ეჭვის თვალით უყურებდნენ. თუმცა, ქვეყნის მოსახლეობის შიდა პრობლემებიდან სხვა თემებზე ყურადღების გადატანის და, ამასთან, სამხრეთ ევროპის სლავურ რეგიონში ოსმანთა გავლენის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების მიზნით, რუსეთის მეფეები მსგავს კამპანიას დროდადრო ხელსაც კი უწყობდნენ. თურქების მიერ ბალკანელი სლავების ჩაგვრას სანქტ-პეტერბურგიდან, სხვებთან ერთად, პანსლავური იდეოლოგიები და სამეფო კარის ამბიციური მსახურები საპროტესტო აქციებით ხშირად ეხმაურებოდნენ და სლავების ოსმანთა ბატონობიდან გათავისუფლებას მოითხოვდნენ. ამ ეთნიკურ მღელვარებას თურქეთის რეჟიმის მიმართ რუსეთის სამღვდელთა მიერ გაღვივებული რელიგიური შუღლიც ემატებოდა: საუკუნეების მანძილზე, მართლმადიდებლობის (რუსეთის იმპერიის ოფიციალური რელიგია) სულიერი დედაქალაქი – სტამბოლი/კონსტანტინოპოლი – მოძულე თურქების ხელში იყო. წმინდა ქალაქის მუსლიმთა ბატონობისგან გათავისუფლება რუსეთის სამღვდელთა განხილვის საგანი ხშირად ხდებოდა. რუსეთის მეფე, რომელიც საყოველთაო ზენოლას, სხვა დიდი სახელმწიფოების ლიდერთან შედარებით, გარიდებული იყო, მაინც ვერ უვლიდა გვერდს ამ ეთნიკურ და

რელიგიურ გრძნობებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს თემები სამხრეთ ევროპაში თურქეთის პოზიციასთან მიმართებით რუსეთის სტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესებს ამყარებდა.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე ამ პროცესებმა, საგარეო ცდუნებებთან ერთად, რუსეთის ხმელთაშუა ზღვით (იმხანად „აღმოსავლეთის პრობლემად“ ნოდებულ) დაინტერესება გამოიწვია. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი სამხრეთით, თურქეთის მიმართულებით გაფართოებას ორჯერ შეეცადა. მისი ეს ქმედება ორივეჯერ დიდი ძალების მიერ იქნა აღკვეთილი (სამხედრო ჩარევით ყირიმის ომში (1854-56), ხოლო დიპლომატიური გზით – რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ გამართულ ბერლინის კონგრესზე (1878)). შემდეგი ორი ათწლეულის განმავლობაში, ოსმანთა იმპერიამ ბალკანეთის სლავ ხალხებზე პოლიტიკური გავლენა იმდენად დაკარგა, რომ მას „ევროპის სნეულის“ რეპუტაციაც კი ჩამოუყალიბდა. სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და მონტენეგროს დამოუკიდებლობა აღიარებულ იქნა, ხოლო ნახევარკუნძულის დანარჩენი ნაწილი კი თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ იყო ამბოხებული.

სწორედ ამ პოლიტიკური ვაკუუმისკენ ჩრდილოეთიდან ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ აიღო გეზი. მიუხედავად იმისა, რომ ჰაბსბურგების იმპერია, ოსმანთა სახელმწიფოს მსგავსად, ნაციონალური პრობლემებით იყო მოცული, ევროპაში უძლიერესი სახელმწიფოს უპირობო მხარდაჭერა მას აშკარა უპირატესობას ანიჭებდა. 1879 წლის ორმხრივი ალიანსის წყალობით (რომელიც, სამი წლის შემდეგ, იტალიის მონაწილეობით სამხრეთ ალიანსში გადაიზარდა), გერმანიის იმპერიამ სამხრეთ ევროპაში ჰაბსბურგების ძალის შენარჩუნება გადაწყვიტა. რუსეთის ხმელთაშუა ზღვისკენ გაფართოებასთან გერმანიის ასეთმა ძლიერმა დაპირისპირებამ, რუსეთის მთავრობას მისი ბალკანეთისკენ ექსპანსიის ამბიციების სხვა დროისთვის გადადება აიძულა. 1897 წელს ვენასა და სანქტ-პეტერბურგს შორის შეთანხმება (რომელსაც სხვა დიდი სახელმწიფოებიც იზიარებდნენ) ბალკანეთში პოლიტიკური სტატუსკვოს შენარჩუნების მიზნით გაფორმდა. ამით „აღმოსავლეთის პრობლემა“ მცირე დროით გაიყინა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობის და თურქეთის სრუტეებზე კონტროლის მოპოვების წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, რუსეთმა მისი ექსპანსია აღმოსავლეთით მიმართა. ათწლეულების მანძილზე მიძინებულმა სამხრეთ აზიის სადავო ტერიტორიების საკითხმა მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის აქტიულობა კვლავ შეიძინა. ნომინალურად დამოუკიდებელმა, თუმცა პოლიტიკურად სუსტმა სპარსეთის სახელმწიფომ, ოსმანთა თურქეთის ხმელთაშუა ზღვაში მოქმედების მსგავსად, რუსეთს სპარსეთის ყურეში შესასვლელი გადაუქცია. მეოცე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში რუსეთის ეკონომიკური შესვლის მცდელობამ (რაშიც სპარსეთის საბაჟო შემოსავლების გარანტიით სესხების გაცემა, რუ-

სეთის საზღვრიდან სპარსეთის ყურემდე სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და რუსეთის ექსპორტისთვის პრეფერენციული ტარიფების მიღება იგულისხმებოდა) დიდი ბრიტანეთის გაღიზიანება გამოიწვია. სპარსეთის ყურეში რუსეთის ეკონომიკურ ჰეგემონიას ლონდონი პოლიტიკური ჰეგემონიის ნინაპირობად და, შესაბამისად, შორეულ აღმოსავლეთში მისი საზღვაო გზისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქვამდა. რუსეთის მიერ ავღანეთის (რუსეთისა და ბრიტანული ინდოეთის ტრადიციული დამაკავშირებლის) ეკონომიკური ხელყოფა ბრიტანეთისთვის კიდევ უფრო დიდი საფრთხის შემცველი იყო. ამგვარად, რუსეთის სამხრეთ აზიაში ექსპანსიის ყველა მორიგ მცდელობას ბრიტანეთის დაპირისპირება მოჰყვებოდა. თეირანში რუსეთის ფინანსური და კომერციული აღზევების მცდელობების წინააღმდეგ ბრიტანეთი დიპლომატიურ ზენოლას იყენებდა. 1901 წელს, ბრიტანეთის სპეკულანტმა, უილიამ ქ. დ'არსიმ სპარსეთში ნავთობის მოპოვებისთვის ექვსწლიან კონცესიას მიანია, რაც ინგლის-ირანის კომპანიას 1908 წელს იქ აღმოჩენილ ნავთობის მდიდარ საბადოებზე ექსკლუზიური კონტროლის უფლებას ანიჭებდა. სპარსეთში ბრიტანეთის მზარდმა ჩართულობამ, ბრიტანეთის საზღვაო ფლოტის სპარსეთის ყურეში პატრულირებამ და ინდოეთში განლაგებულმა ბრიტანულმა სამხედრო ძალამ რუსეთის სამეფო კარზე „სპარსული ჯგუფის“ იმედგაცრუება გამოიწვია.

რუსეთის ექსპანსია შედარებით უფრო წარმატებული შორეულ აღმოსავლეთისკენ იყო. ამერიკელი ახალმოსახლეების მსგავსად, რომლებიც ადგილობრივების და მექსიკის სისუსტის ხარჯზე დასავლეთით წყნარი ოკეანისკენ გაფართოვდნენ, რუსეთის მოსახლეობაც აღმოსავლეთით, ციმბირის დაუსახლებელ მიწებზე, ადგილობრივი ტომებისა და ჩინეთის უსუსური მანჯურიის იმპერიის მოსახლეთა მიწებზე, იმავე ოკეანის მეორე ნაპირზე დაფუძნდა. 1860 წელს რუსეთმა ჩინეთს იაპონიის ზღვაზე გამავალი უსურის რეგიონი დაათმობინა, სადაც ვლადივოსტოკის პორტი შექმნა. თუმცა, ამით რუსეთის ღია ზღვაში გასვლის შესაძლებლობა დიდად არ გაზრდილა, რადგან ვლადივოსტოკის სანაპირო ზამთრის განმავლობაში იყინებოდა. ამიტომ, რუსეთის ექსპანსიის მომხრეების ყურადღებამ კიდევ უფრო სამხრეთით გადაინაცვლა. თურქეთისა და სპარსეთის მსგავსად, რუსეთისთვის სანუკვარ გაუყინავ ნავსადგურებთან მისადგომს პოლიტიკურად არასატაბილური, ეკონომიკურად ჩამორჩენილი და სუსტი სამხედრო ძალის ქვეყანა ბლოკავდა. თურქეთის სრუტის და სპარსეთის ყურის სიტუაციისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში „აზიის სწეულის“ – ჩინეთის დახმარების ძალა არცერთ ევროპულ სახელმწიფოს არ შესწევდა. დიდი ბრიტანეთიც კი, რომელიც, ტრადიციულად, მანჯურიის დინასტიის მფარველი იყო (იქ ეკონომიკური ბატონობისა და მისი ძირითადი საზღვაო პორტების შენარჩუნების მიზნით), ჩინეთს ვერ დაეხმარებოდა. 1891 წელს რუსეთის მთავრობამ საფრანგეთი-

დან მიღებული სესხის დახმარებით (რომელიც გერმანიის ძალის დასაბალანსებლად რუსეთის ალიანსში შესაყვანად წამოწყებული საფრანგეთის კამპანიის ნანილი იყო) ტრანსციმბირული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა დაიწყო. რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა შუაგული რუსეთიდან სამხედრო ძალების იმ საზღვრამდე ტრანსპორტირება, რომელსაც სხვა დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი ჩინეთი, ვერ დაიცავდა. რუსეთისთვის აღმოსავლეთ აზიის ყველაზე მიმზიდველი ტერიტორია ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მანჯურიის პროვინციიდან ყვითელი ზღვისკენ გადაშლილი და წყნარ ოკეანეში გამავალი ორი ნახევარკუნძული იყო. ერთი მათგანი ლიაოუნის ნახევარკუნძულის სანუკვარი ნავსადგური პორტარტური იყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში არ იყინებოდა და წყნარ ოკეანეში გასვლის მუდმივ შესაძლებლობას იძლეოდა; მეორე კი – კორეის ნახევარკუნძული, რომელიც რუსეთს ყვითელ ზღვაზე კონტროლის და, შესაბამისად, აღმოსავლეთ აზიის ნავსადგურებზე წვდომის საშუალებას აძლევდა. ამ გზებით მნიშვნელოვნად იზრდებოდა რუსეთის ჩინეთში ვაჭრობის პერსპექტივა, რისკენაც მსოფლიოს ბევრი საზღვაოსნო სახელმწიფო მისწრაფოდა.

ჩინეთის ჩრდილოეთ საზღვართან რუსეთის სამხედრო ძალის გამოჩენის მოლოდინში, აზიის მომაკვდავი იმპერიისკენ, მისი ინტერესთა სფეროებად დასაყოფად, გეზი ევროპის დიდმა სახელმწიფოებმაც აიღეს. 1897 წელს გერმანიის მიერ კიאו-ჩაოს პორტის დასაკუთრებამ ჩინეთის იმპერიის დასუსტებული ეკონომიკის და სუვერენიტეტის ჩამოშლას მისცა დასაბამი. 1898 წელს რუსეთმა ჩინეთის შიდაარეულობით ისარგებლა და, პორტ-არტურის ნავსადგურის გრძელვადიან იჯარასთან ერთად, მანჯურიაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის უფლებაც მიიღო. ამ სარკინიგზო ხაზით რუსეთი პორტარტურს ციმბირიდან პირდაპირ დაუკავშირდებოდა. რუსეთი ასევე დაინტერესდა მანჯურიის პროვინციის ტერიტორიით: – მასზე კონტროლი პორტარტურისკენ მიმავალ სახმელეთო გზაზე და თბილ წყლებზე გასვლას, ასევე რეგიონის მინერალურ სიმდიდრეებზე (იხ. რუკა) პრივილეგირებულ წვდომას უზრუნველყოფდა. 1900 წელს, ჩინეთში ე.წ. „ბოქსიორთა აჯანყების“ ჩახშობაში რუსეთის არმიის მრავალეროვნულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის შემდეგ, რუსეთის ასიათასიანი შემადგენლობის არმია მანჯურიაში რუსეთის ინტერესების დასაცავად დარჩა. ამან კი შორსმიმავალი კომერციული ინტერესები გააღვივა და მალევე ჩრდილოეთ კორეაში ეკონომიკური შეღწევაც განაპირობა. შორეული ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა რეგიონის დასაცავად შესაბამისი სამხედრო ძალის უზრუნველყოფა ვერ შეძლეს. ამიტომ, საუკუნის ბოლოსთვის, რუსეთის ჩინეთის იმპერიაზე დომინირება და ტრანსციმბირული სარკინიგზო გზის მშენებლობის დასრულებაც გარდაუვალი გახდა.

თუმცა, აღმოსავლეთ აზიაში რუსეთის იმპერიულ გაფართოებასთან ერთად, ისიც ნათელი გახდა, რომ მსოფლიოში ექსპანსიისა და ექსპლუატაციისკენ არამხოლოდ ევროპული ძალები მიისწრაფოდნენ. ასე მაგალითად,

წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროსთან ახლოს, არაევროპულმა სახელმწიფომ, რომელმაც ევროპისგან გადმოიღო ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მოდელი, ჩინეთის მიწების მის გეოგრაფიულ სფეროსთან მიერთების ამბიციას გამოავლინა. აფრიკის კონტინენტი და აზიის სამხრეთი ნაწილი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის ძალების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო წყნარი ოკეანის დასავლეთი სანაპირო, საუკუნის მიწურულს, იაპონიის იმპერიული ინტერესის ობიექტი გახდა.

ქლიარი იაპონიის გამორჩენა აღმოსავლეთ აზიაში

იაპონია ჩინეთის სანაპიროსგან მოშორებით მყოფი ოთხი დიდი და რამდენიმე პატარა კუნძულის ერთობლიობაა. საუკუნეების მანძილზე იგი დეცენტრალიზებულ ფეოდალურ ოლიგარქიას წარმოადგენდა, რომელიც სხვადასხვა ტერიტორიული მმართველებისა (დაიმიოები) და მებრძოლთა არისტოკრატიული კასტის (სამურაები) მიერ იმართებოდა. ბუნებრივი რესურსების არარსებობისა და მთიანი რელიეფის გამო (მინის მხოლოდ 20 პროცენტი იყო დასამუშავებლად ვარგისი), იაპონია ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ყველა წინაპირობას მოკლებული იყო. ამას გარდა, ის დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირებული აღმოჩნდა, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, იაპონური ენის სირთულე და უნიკალურობა, ხოლო, მეორე მხრივ, იაპონური კულტურული თვითმყოფადობა და დიდი ისტორიის მქონე ტრადიციების ზედმინევენით შენარჩუნება იყო. ყოველივე ამის გამო, იაპონელი ხალხი ჩაკეტილ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე უცხოურ ზეგავლენას კარგადაც გაუძლო. ასეთ ვითარებაში მიიჩნეოდა, რომ იაპონია პოლიტიკურად მოუმწიფებელი, ეკონომიკური კუთხით ნაკლებად განვითარებული და სამხედრო თვალსაზრისით უუნარო ქვეყანა იყო. მაგრამ ეს იზოლირებული ერი პირველი არადასავლური სახელმწიფო გახდა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ინდუსტრიული განვითარების თანამედროვე დონეს და იმპერიულ ძლიერებას მიაღწია.

მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია

იაპონიის აღზევების პროცესი მსოფლიო დონის სახელმწიფომდე 1868 წლის იანვარში დაიწყო. პოლიტიკურმა რევოლუციამ ფეოდალური ოლიგარქების ბარონობა მოსპო და ე.წ. „მეიძის რესტავრაცია“ დაიწყო, რომლის შედეგად შეიქმნა სისტემა, სადაც იმპერატორი ერის ერთიანობისა და ცენტრალიზებული ხელისუფლების სიმბოლო იყო. რეალური პოლიტიკური ძალაუფლება დინამიკური, ახალი მმართველი ელიტის ხელში გადავიდა, რომელსაც სურვილი ჰქონდა, იაპონია, პრიმიტიული ფეოდალური საზოგადოებიდან, თანამედროვე მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოდ ექცია. ამ პერიოდის ფენომენალური წარმატების მთავარი მიზეზი ახალი

მმართველების მიერ წარსული შეხედულებების გადაფასების და დასავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ორგანიზაციისა და სტრუქტურების დაარსების ძლიერი სურვილი იყო. მეიძის პოლიტიკური კლასი აღიარებდა, რომ, რადგანაც ევროპელი ერების გლობალური ძალაუფლება მათი ეკონომიკური მოდერნიზაციის, პოლიტიკური ცენტრალიზაციისა და სამხედრო ორგანიზაციის შედეგი იყო, ევროპის ბატონობის თავიდან აცილების საუკეთესო გზაც სწორედ მათი პრაქტიკის გაზიარება იქნებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ევროპული პრაქტიკის გადმოღობით განხორციელებული ინოვაციების შედეგად, იაპონიის სწრაფი ვესტერნიზაცია მოხდა. სამურაებს გრძელი ნაწნავის ტარება აეკრძალათ და მათი თმის ვარცხნილობა დასავლური სტილის გახდა; ევროპული ჩაცმულობა ოფიციალურად იქნა აღიარებული, ხოლო 1873 წელს გრეგორიანული კალენდარიც შემოიღეს, რის გამოც შეიცვალა სადღესასწაულო თარიღები. იაპონელი საზოგადო მოღვაწეები ინგლისში მიდიოდნენ, რათა ფინანსური, კომერციული და საზღვაო საქმე ესწავლათ; გერმანიაში ისინი სამხედრო ორგანიზაციის პრინციპებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას სწავლობდნენ, საფრანგეთში კი – სამართალსა და მმართველობას. იაპონური საზოგადოების მთლიანი სტრუქტურა ევროპული მოდელის მსგავსი ხდებოდა. დაიძინა არისტოკრატის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება ცენტრალურ მთავრობად გადაიქცა, რომელიც ევროპული კაბინეტური სისტემის მიხედვით იყო ორგანიზებული – ჰყავდა პრემიერმინისტრი და ორპალატიანი პარლამენტი. სამხედრო ძალაუფლება, რომელიც ადრე ხელთ ეპყრათ მებრძოლ სამურაებს, იაპონიის იმპერიის ჯარის ხელში გადავიდა, რომელმაც პრუსიელებისაგან საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური გადმოიღო. საბანკო საქმის, ვალუტის, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტირების ეროვნული სისტემის შემუშავებამ ამ პერიოდში იაპონიის შთამბეჭდავი ეკონომიკური განვითარებისათვის მოამზადა საფუძველი. დაიწყო იაპონიის ეკონომიკის მოდერნიზაცია, როგორც ეს ერთი საუკუნის წინ ინგლისში ქსოვილის წარმოების შემთხვევაში მოხდა. ქვეყნის აბრეშუმის წარმოებამ მსოფლიო ბაზრის დიდი წილი დაიპყრო; იაპონიის მიერ აბრეშუმის ექსპორტმა 1910 წლისათვის ჩინეთის მონაცემებს გადააჭარბა, რაც ამ ორი ქვეყნის მასშტაბების შედარებისას ძალზე გასაკვირია. ამავე დროს სწრაფი ნაბიჯებით ვითარდებოდა ბამბის მოყვანა და ბამბეულის წარმოება. საუკუნის მიწურულს იაპონიაში გემთმშენებლობას და სამხედრო აღჭურვილობის წარმოებას ჩაეყარა საფუძველი. იაპონიის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელმა, 1850 წლიდან მოყოლებული, როდესაც ის უმნიშვნელო იყო, 1900 წლისათვის 200 მილიონ დოლარს მიაღწია.

ამ წარმატებასთან ერთად, იაპონიის მუდმივი განვითარების პერსპექტივას გეოგრაფიული ფაქტორებით გამოწვეული რამდენიმე დამბარკოლე-



აღმოსავლეთი აზია რუსეთ-იაპონიის ომის მიჯნაზე, 1904-1905

ბელი გარემოება საფრთხეს უქმნიდა. წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო რესურსების ნაკლებობასთან ერთად, რაც ადრეც ვახსენეთ, იაპონია მისი ეკონომიკური აღმავლობის დროს დემოგრაფიულ კრიზისში აღმოჩნდა. ტეხასის შტატზე მცირე ფართობის ქვეყანაში, რომელშიც მოსახლეობის რიცხვი სწრაფად მატულობდა (საუკუნის დასაწყისში შეერთებული შტატების მოსახლეობის ნახევარს უტოლდებოდა),


მოსახლეობის სიმჭიდროვე და მისი სურსათით უზრუნველყოფა სერიოზული პრობლემა ხდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იაპონიის მმართველმა ფენამ დაასკვნა, რომ ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი გეოგრაფიული და დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება კოლონიური გაფართოებით იყო შესაძლებელი. ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ იქნა გამოყენებული ევროპული გამოცდილება. ზუსტად ისე, როგორც დიდმა ბრიტანეთმა სხვა ქვეყნებში დასახლებების, ინვესტიციებისა და ვაჭრობის საშუალებით ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება გაზარდა, იაპონიასაც შეეძლო მისთვის ასე საჭირო ნედლეული მიეღო, მის მიერ წარმოებული პროდუქციისათვის ბაზრები ეპოვა და თავისი მოსახლეობა აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიებზე დაესახლებინა, რომლებიც სხვა ქვეყნების მიერ ჯერ არ იყო ათვისებული.

პატარა კუნძული სახელმწიფო მსოფლიოს უდიდეს ქვეყანას ამარცხებს

იაპონიის კუნძულების დასავლეთით, ას მილზე* ნაკლები დაშორებით, აზიის კონტინენტზე კორეის ნახევარკუნძული და მანჯურიის რეგიონი (ჩინეთი) იმპერიული იაპონიის ინტერესის ობიექტი გახდა. 1894-95 წლებში იაპონურმა ძალებმა კორეიდან მანჯურიაში გადაინაცვლეს, იქ ჩინეთის სამხედრო ძალები დაამარცხეს, რითაც კონტინენტზე იმპერიულ ექსპანსიას ჩაუყარეს საფუძველი და განაპირა კუნძულ ტაივანს (ფორმოზა) დაეპატრონენ, მაგრამ კორეას დამოუკიდებლობა შეუნარჩუნეს. (თუმცა მისი ეკონომიკა იაპონიის ძლიერი გავლენის ქვეშ იყო). კონტინენტზე ეს პირველი ექსპანსია იყო, რამაც რუსეთთან კონფლიქტი წარმოშვა, რომელიც იმ პერიოდში ეკონომიკურ ურთიერთობებს მანჯურეისა და ჩრდილოეთ კორეასთან აყალიბებდა. გარდაუვალი შეტაკება 1904-05 წლებში მოხდა. 1870 წლის შემდეგ ორ ძლიერ ქვეყანას შორის ეს პირველი ომი იყო. იაპონურმა სამხედრო ფლოტმა პორტარტურის ნავსადგურში განლაგებული რუსეთის პატარა ფლოტი ალყაში სწრაფად მოაქცია. იაპონურმა არმიამ კი მანჯურიაში დაბანაკებული რუსული ჯარი დაამარცხა. როდესაც ბალტიის ფლოტის 32 რუსული სამხედრო გემი, ევროპიდან ცხრათვიანი ცურვის შემდეგ, იაპონიასა და კორეას შორის მდებარე ცუსიმას სრუტესთან მივიდა, იაპონელებმა ეს საზღვაო ესკადრაც სწრაფად გაანადგურეს. ამ ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად იაპონიამ მიიღო პორტარტურის ნავსადგური, ლიადუნის ნახევარკუნძული, პრივილეგირებული მდგომარეობა მანჯურიაში და პროტექტორატი კორეაზე (რომლის სრული ანექსია 1910 წელს მოხდა).

რუსეთ-იაპონიის ომი თანამედროვე ისტორიის გადამწყვეტ მოვლენას წარმოადგენდა, რისთვისაც რამდენიმე მიზეზი არსებობდა. ჩვენს თანა-

* მილი უდრის 1,6 კმ-ს (რედ.)



პორტარტურთან ჩაძირული რუსეთის საბრძოლო ხომალდები რუსეთ-იაპონიის ომის დროს. 1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ომის დროს, იაპონიის საზღვაო ძალებმა დაამარცხეს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ფლოტი და დაიკავეს მათი ბაზა პორტ-არტურთან, ჩინეთის ლიაოთუნგის ნახევარკუნძულზე. მოგვიანებით, ცუსიმასთან ბრძოლაში, იაპონიის საზღვაო ფლოტმა გაანადგურა რუსეთის ფლოტი, რომელიც ევროპიდან, ბალტიის საზღვაო ბაზიდან მოემართებოდა. ამ ორმა საზღვაო ბრძოლამ იაპონია ანგარიშ-გასანეე ძალად აქცია აზიაში.

მედროვეობაში ეს არადასავლური ქვეყნის მიერ ევროპის ძლიერი სახელმწიფოს დამარცხების პირველი შემთხვევა იყო. ამდენად, ის არაევროპული ქვეყნების ლიდერებისათვის, რომლებიც ძალებს იკრებდნენ და ევროპის ბატონობისგან განთავისუფლებას ცდილობდნენ, დიდ გამონევეას წარმოადგენდა. იაპონელებმა გვიჩვენეს, რომ მსგავსი წინააღმდეგობის განევა შესაძლებელი იყო, თუ ისინი დასავლური ტიპის სამხედრო ტექნოლოგიებით აღჭურვილი იქნებოდნენ და ამავე ტიპის სამხედრო სტრუქტურები ექნებოდათ. ეროვნული რევოლუციები სპარსეთში (1905), თურქეთსა (1908) და ჩინეთში (1911) გარკვეულწილად იაპონიის გამარჯვებით იყო შთაგონებული. ამ ქვეყნებში მეთამბოხე ლიდერებს დასავლური ტიპის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო რეფორმების გატარება სურდათ, რათა თავიანთი ქვეყნები ევროპელთა ბატონობისგან გაენთავისუფლებინათ და გაეძლიერე-

ბინათ. სინამდვილეში კი, 1905 წელს იაპონიის გამარჯვება, ევროპის კოლონიური კონტროლისაგან თავის დაღწევის მიზნით, აზიის ნახევარსაუკუნოვანი ომის დასაწყისი იყო. პატარა იაპონიის მიერ დიდი რუსეთის იმპერიის დამარცხებამ რომანოვების დინასტიის პოლიტიკური ძალაუფლების დასუსტება გამოიწვია. 1905 წელს განცდილი მარცხის შედეგად, რუსეთში პოლიტიკურმა რევოლუციამ მეფე იძულებული გახადა კონსტიტუცია მიეღო, პირველი წარმომადგენლობითი პარლამენტი მოეწვია და ფუნდამენტური სამოქალაქო თავისუფლებები დაეცვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დათმობები ხორციელდებოდა სახალხო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული უფლებების ყველანაირი შეზღუდვებით, სამოქალაქო არეულობამ იატაკქვეშა რევოლუციური აქტივისტების გამოჩენა გამოიწვია, რომელთა საქმიანობამაც კულმინაციას იმპერიალისტური რეჟიმის დამხობისას, თორმეტი წლის შემდეგ მიაღწია.

მსოფლიოში ძალთა წონასწორობის ცვლილებების პერსპექტივიდან გამომდინარე, რუსეთის დამარცხების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი შორეულ აღმოსავლეთში მეფის რუსეთის რეჟიმისა და მისი ტრადიციული მეტოქის – დიდი ბრიტანეთის თანდათანობით დაახლოება იყო. როდესაც იაპონიამ რუსეთის აზიაში ექსპანსია შეაჩერა, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი ექსპანსია სამხრეთ ევროპის ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ მიემართა. მაგრამ ბალკანეთში მისი ადრინდელი პოლიტიკის განახლებამდე, სამხრეთ აზიაში მისი გრძელვადიანი სადავო საკითხის გადაჭრის მიზნით, რუსეთმა დიდ ბრიტანეთთან მიმართებაში გამაფრთხილებელი ზომები მიიღო. მათი დავის ორი მთავარი მიზეზი რუსეთისა და ბრიტანეთის ძალებს შორის მოქცეული რეგიონის ორი ბუფერული სახელმწიფო – სპარსეთი და ავღანეთი იყო. ინდოეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამხრეთ აზიასთან დაკავშირებით რუსეთთან შეთანხმების მიღწევა ბრიტანეთის ხელისუფლებასაც ძალიან სურდა. თუმცა, იმავდროულად, ბრიტანეთი გრძნობდა, რომ ევროპაში გერმანიის სახმელეთო ექსპანსია და საზღვაო ძალაუფლების გაფართოება მოსალოდნელი იყო. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის საზღვაო ფლოტის იაპონელთა მიერ განადგურებით, ბრიტანეთს რუსეთის სახით ერთ-ერთი კონკურენტი მოაკლდა, მაგრამ მისთვის ზღვებზე ბატონობის საფრთხედ გერმანია რჩებოდა. სულ მოკლე პერიოდში, ამ ორმა ისტორიულად მეტოქე ქვეყანამ, აზიაში ძალთა წონასწორობის ცვლის ფონზე, მათი ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის ყველაზე დიდ ხელისშემშლელ ქვეყნად გერმანია აღიარა.

ანტიგერმანული კოალიციის ჩამოყალიბება

1905 წლის შემდეგ, რუსეთისა და ბრიტანეთის შერიგება მოხდა იმ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ორივე ქვეყანასთან და რომელიც ყველაზე მეტს იგებდა ინგლისისა და რუსეთის დაახლოე-

ბით. ეს ქვეყანა საფრანგეთი იყო. ერთ წელზე მეტი პერიოდის ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, 1907 წლის 31 აგვისტოს ინგლის-რუსეთის შეთანხმება გაფორმდა, რომლითაც ამ ორ ქვეყანას შორის სამხრეთ აზიასთან დაკავშირებით არსებული ყველა საკამათო საკითხი გადაწყდა. რუსეთმა ავღანეთი ბრიტანეთის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყანად აღიარა, რაც ინდოეთის საზღვრის უსაფრთხოებასაც განაპირობებდა და რაც ბრიტანეთს ძალიან აწყობდა. სპარსეთი, რომელიც ათწლეულების მანძილზე ინგლის-რუსეთის მტრობის მიზეზი იყო, სამ ზონად დაიყო: ჩრდილოეთ ზონა – კავკასიასთან ახლოს, დედაქალაქ თეირანის ჩათვლით, უნდა ყოფილიყო რუსეთის ზონა; სამხრეთის ზონა – ინდოეთის საზღვართან და სპარსეთის ყურესთან გახდა ბრიტანეთის ზონა; ხოლო დარჩენილი შუა ტერიტორია, სპარსეთის ყურის ჩათვლით, აღიარებულ იქნა ნეიტრალურ, ბუფერულ ზონად. გერმანიისთვის სპარსეთში ფეხის მოკიდების შესაძლებლობის აღსაკვეთად გერმანიის წინააღმდეგ თანამშრომლობაზე ორივე ქვეყანა შეთანხმდა. მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის ინგლის-რუსეთის შეთანხმება მხოლოდ ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო, ამ შეთანხმებამ გზა გაუხსნა რუსეთს, ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დაახლოებას. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამთა კავშირის ანალოგიურად, საუბარი ახალი „სამთა ალიანსის“ შესახებაც შედგა. შორეულ აღმოსავლეთში საშინელი მოვლენების შემდეგ, სამხრეთ აზიის საკითხებზე დიდ ბრიტანეთთან მეგობრული დამოკიდებულების დამყარებითა და მოკავშირე საფრანგეთთან დიპლომატიური და ფინანსური მხარდაჭერით, რუსეთი ევროპას ისევ „დაუბრუნდა“. რუსეთის შიდა პრობლემებიდან სხვა საკითხებზე საზოგადოების ყურადღების გადატანისთვის, ბალკანეთის მიმართ მისი დაინტერესება გარდაუვალი იყო, რაც მეფის რუსეთს ავსტრია-უნგრეთთან და მის ძლიერ პროტექტორთან – ბერლინთან კონფლიქტურ სიტუაციას უქმნიდა.

ამერიკული ძალის გამოჩენა დასავლეთ ნახევარსფეროსა და წყნარი ოკეანის აუზში

აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის გაბატონების პარალელურად, წყნარი ოკეანის მიღმა კიდევ ერთი არაევროპული სახელმწიფო, რომელსაც უკვე გაზიარებული ჰქონდა ევროპული პრაქტიკა, ახალ გლობალურ წესრიგში იმპერიული სტატუსის დამკვიდრებას იწყებდა. იაპონიის იმპერიისა და ამერიკის გეოგრაფიული პირობები ძალზე განსხვავებული იყო. იაპონია სახნავი მიწის, რესურსების სიმცირესა და პროდუქციის გასატანად შიდაბაზრების ნაკლებობას განიცდიდა. შეერთებულ შტატებს კი, მეცხრამეტე საუკუნეში დასავლეთით განხორციელებული ექსპანსიის შედეგად, ეს ყველაფერი

* ამ დაახლოებას „სამთა ანტანტას“ უწოდებდნენ (რედ.)

დიდი რაოდენობით გააჩნდა. იაპონიისათვის მზარდი მოსახლეობა ნამდვილი წყევლა იყო, რაც აუცილებელს ხდიდა ემიგრაციისათვის არხების ძიებას. შეერთებული შტატების მოსახლეობის მცირერიცხოვნობის პრობლემის მოსაგვარებლად და ამერიკის ფერმებსა და ქარხნებში დასასაქმებლად მილიონობით ადამიანის ევროპიდან იმიგრაცია იყო აუცილებელი. ამ ორ ქვეყანას შორის დიდი განსხვავებების მიუხედავად, მათ შორის მნიშვნელოვანი მსგავსებაც იყო. ამგვარი მსგავსებები და განსხვავებები გვიხსნის, თუ რატომ მოიპოვეს მათ ერთდროულად ძლიერება მეოცე საუკუნის დასაწყისში. ორივე ქვეყანა მეტ-ნაკლებად დაცული იყო უცხო ქვეყნის შემოჭრისაგან, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი ევროპის სამხედრო ძალების ცენტრებიდან იყვნენ დაშორებული. ორივე მათგანი მდებარეობდა რეგიონებში, სადაც მეზობელი ქვეყნები პოლიტიკურად არაორგანიზებული და სამხედრო თვალსაზრისით სუსტი სახელმწიფოები იყვნენ, რომელთა დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსები მათ ეკონომიკურ ექსპლუატაციასა და მათზე სამხედრო კონტროლს მიმზიდველს ხდიდა. ძლიერი სახელმწიფოებისგან დაშორებამ და ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნების სიახლოვემ შეერთებულ შტატებს თავისსავე რეგიონში იმპერიული ექსპანსიისაკენ სწორედ მაშინ უბიძგა, როდესაც აზიაში იაპონიამაც ექსპანსია დაიწყო.

წყნარი ოკეანის მოპირდაპირე სანაპიროებზე ორი ძლიერი სახელმწიფოს გამოჩენა, წყნარი ოკეანის აუზში მათი აგრესიული ამბიციების შეჯახებას გარდაუვალს ხდიდა და, მართლაც, ორივე ქვეყანა ოკეანის მიღმა ექსპანსიას ემზრობოდა. იაპონიაში მოსახლეობის სიჭარბის პრობლემის მოგვარების მიზნით, ნაკლებად დასახლებული წყნარი ოკეანის კუნძულებსა და შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროსკენ ემიგრაციაზე ბევრს საუბრობდნენ. საუკუნის დასასრულს, იაპონელთა ემიგრაციის შედეგად, იაპონელ მიგრანტთა უმრავლესობა საცხოვრებლად ჰავაის კუნძულებზე გადავიდა. ასევე, იაპონელი მიგრანტების ნაწილი ამერიკის სანაპიროზე კალიფორნიის შტატში სახლდებოდა, რაც ადგილობრივ ევროპელ მოსახლეობასთან დაპირისპირებას იწვევდა და, შედეგად, კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა საჭირო ხდებოდა. ამავე პერიოდში, შეერთებულ შტატებში მრავალი ამომრჩეველი წყნარ ოკეანეზე სხვა მიმართულებით მოითხოვდა ექსპანსიას. ამერიკული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქციის სარეალიზაციოდ განსაკუთრებით საინტერესოდ „ჩინეთის ბაზარი“ გამოიყურებოდა. ქრისტიან მისიონერთა ორგანიზაციები ჩინეთში მცხოვრებთა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევას ოცნებობდნენ. ამერიკის საბანკო ორგანიზაციები ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღოთ ჩინეთის რკინიგზის ქსელის ფინანსურ რეორგანიზაციაში მანჯურიაში, რომელიც ევროპული ბანკების კონსორციუმის მიერ ხორციელდებოდა. აშშ-ის



იაპონელი ბავშვების მსვლელობა იაპონიისა და ამერიკის დროშებით, 1905. ფოტო, რომელიც გადაღებულია რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, წარმოაჩენს იაპონიის ძალისხმევას აშშ-თან კარგი ურთიერთობების დასამყარებლად (რომლის პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი შუამავლობდა ამ კონფლიქტში). იაპონიის მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და იაპონელთა მიგრაცია ჰავაისა და ამერიკის დასავლეთ სანაპიროსკენ, მოგვიანებით, დაძაბულობის მიზეზად იქცევა აშშ-თან.

სამხედრო ფლოტის მესვეურები სამოას, ჰავაისა და ფილიპინების ბუნებრივი ნავსადგურების ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდნენ და ვარაუდობდნენ, რომ წყნარი ოკეანის აუზში ეს პუნქტები ამერიკის ფლოტის დასაყრდენებად გადაიქცეოდნენ. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს შეერთებული შტატების მიერ კუნძულების ამ სამი ჯგუფის მოპოვება დასავლეთ წყნაროკეანეთში იაპონიის იმპერიალისტური მისწრაფებების განხორციელებისათვის პოტენციურ გამოწვევას წარმოადგენდა.

მოგვიანებით, იაპონიისა და შეერთებული შტატების ამბიციების განხორციელება, ამ ქვეყნების მთავრობების მიერ წყნარი ოკეანის მიმართულებით, შენელდა. ნაცვლად, უპირატესობა ახლო მდებარე ქვეყნებში ექსპანსიას მიენიჭა. ვაშინგტონის გადაწყვეტილების მიუხედავად – ჩინეთისათვის დაენესებიანთ ე.წ. „ღია კარის“ პრინციპი, რომელიც საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო მდივან ჯონ ჰეის მიერ მრავალ დეკლარაციაში იყო გაცხადებული,

ორივე ძალამ ერთმანეთში შეიმუშავა ისეთი ქცევის წესები, რომლებითაც კონფლიქტის ძირითადი მიზეზები სრულიად გამოირიცხა. ეს შეთანხმება შემდეგს გულისხმობდა: კორეასა და მანჯურიაში იაპონიის ეკონომიკურ შეღწევას შეერთებული შტატები უზმოდ აიტანდა, მაშინ, როცა იაპონია თავის ამბიციებზე უარს ამბობდა და შეერთებულ შტატებში იაპონელთა იმიგრაციასთან დაკავშირებით ამერიკის მკაცრ შეზღუდვებს შეეგუებოდა. ამდენად, იაპონიის იმპერიულმა ძალამ წყნარი ოკეანის აუზიდან აზიის კონტინენტზე, ხოლო ამერიკის ამბიციებმა წყნარი ოკეანიდან კარიბის კუნძულები-საკენ გადაინაცვლა.

დასავლეთ ნახევარსფეროს ცენტრალიზებული სტრუქტურა, რამაც დიდად განსაზღვრა მის სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, შეერთებულ შტატებს და ლათინური ამერიკის ცალკეულ სახელმწიფოებს შორის ძალთა დიდ უთანასწორობას წარმოადგენდა. ეს „ძალთა დისბალანსი“, როგორც მას ერთმა ისტორიკოსმა უწოდა, განპირობებული იყო იმ მოსახლეობის სხვადასხვა ისტორიული გამოცდილებით, რომელმაც ახალ სამყაროში ევროპისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და ბრიტანეთის და იბერიის სამეფოთა სამფლობელოებში დასახლდა.

1860-იანი წლების ბოლოს ბრიტანეთის იმპერიის ინგლისურენოვანმა მემკვიდრებმა ჩრდილოეთ ამერიკაში თითქმის მთლიანად ჩაიგდეს ხელთ რესურსებით მდიდარი კონტინენტი, რომელიც ორ სუვერენულ ნაწილად იყო გაყოფილი დარომელშიც სწრაფი ეკონომიკური მოდერნიზაცია მეტროპოლიის ინდუსტრიული მოდერნიზაციის მოდელზე დაყრდნობით ხორციელდებოდა. 1783 წლიდან 1850-იანების შუა წლებამდე, ალტერნატიული სამხედრო საშუალებებითა და დიპლომატიის გამოყენებით, შეერთებულმა შტატებმა თავისი პოლიტიკური საზღვარი დასავლეთით – ატლანტის ოკეანის აუზის საზღვრიდან წყნარი ოკეანისაკენ გადასწია; შეერთებული შტატების მიერ საზღვრების გაფართოება ასევე ხორციელდებოდა ადგილობრივი ტომებისათვის მიწების ჩამორთმევით ან ტერიტორიების დაპყრობით, რომლებიც ადრე ითვლებოდა, რომ: საფრანგეთს, ესპანეთს, ინგლისს და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – მექსიკას ეკუთვნოდა. ეკონომიკური ორგანიზაციის ევროპული მოდელის გადმოღებითა და პოლიტიკური ინტეგრაციის საშუალებით, ამერიკელმა პიონერებმა, რომლებიც დასავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და რომლებსაც ფედერალური მთავრობა აძლევდა სტიმულს და იცავდა საკუთარი სამხედრო ძალით, ნელ-ნელა კონტინენტის ტერიტორია ერთ ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად ჩამოაყალიბეს. მას შემდეგ, რაც 1861-1865 წლებში სამხრეთის შტატების მცდელობა, გამოსულიყვნენ შეერთებული შტატების შემადგენლობიდან, უშედეგო აღმოჩნდა, პოლიტიკურად გაერთიანებულმა და ეკონომიკურად ინტეგრირებულმა

სისტემამ, ბუნებრივი რესურსებით მდიდარმა მიწამ – ნოყიერმა და კარგად მორწყულმა ნიადაგმა, მდინარეებისა და ტბების საუკეთესო სანაოსნო სისტემამ, რომელიც როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ბაზრებამდე ტრანსპორტირების საშუალებას იძლეოდა, კარგ მუშახელთან და ევროპულ ინვესტიციებთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატები საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ქვეყანად გადააქცია. ჩრდილოეთით, კანადის შემოუერთებელი პროვინციები, რომელთა ანექსიაც დიდი ხნის განმავლობაში შტატების მიზანს წარმოადგენდა, 1867 წელს თვითმმართველ ფედერაციად^{*} ჩამოყალიბდა. კანადურ საქმეებთან დაკავშირებით ბრიტანეთის ხელისუფლების გამორიცხვით, კანადურ-ამერიკულ თანამშრომლობას წინააღმდეგობა მოეხსნა. ამის შემდგომ ჩრდილოეთ ამერიკის ორ, პოლიტიკური სუვერენიტეტის მქონე, დიდ ერთეულს შორის მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდა, რამაც ამ ორ ქვეყანას შორის ენობრივი და კულტურული კავშირები კიდევ უფრო გააძლიერა. საუკუნის დასასრულისთვის კანადა ამერიკული პროდუქციის ექსპორტისათვის მთავარი ბაზარი გახდა, რომელიც, თავის მხრივ, შეერთებულ შტატებს ნედლეულსა და მინერალურ რესურსებს აწვდიდა. კანადურ-ამერიკული საზღვარი გახდა და დღემდე რჩება მსოფლიოში ყველაზე გრძელ დაუცველ საზღვრად.

მეორე მხრივ, მდინარე რიო გრანდეს სამხრეთით, ესპანეთისა და პორტუგალიის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, 1802-1822 წლებში, მოხდა ლათინური ამერიკის პილიტიკური დეზინტეგრაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ოცი დამოუკიდებელი სახელმწიფო.^{**} ისეთი რევოლუციონერი ლიდერის, როგორიც იყო სიმონ ბოლივარი, ოცნება – შეექმნა პოლიტიკური ფედერაცია ლათინური ამერიკის სახით, არ ასრულდა, რადგან ახალი ერები თავიანთ ახალ ეროვნულ იდენტობებს მტკიცედ იცავდნენ. ეკონომიკური ინტეგრაციაც კი, რომელიც ხშირად პოლიტიკური ინტეგრაციის წინაპირობაა, ამ სახელმწიფოების პოლიტიკური გაერთიანებისათვის არასაკმარისი აღმოჩნდა. ადგილობრივი მმართველი ელიტის მიერ დაწესებული საიმპორტო კვოტების, გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების შედეგად, საერთაშორისო ვაჭრობა ძალიან მცირე დოზით ხორციელდებოდა. უფრო მეტიც, ჩრდილოეთ ამერიკის მაგალითის გაზიარების ნაცვლად – ეკონომიკური მოდერნიზაციის თვალსაზრისით (როდესაც აქცენტი

* ბრიტანული ჩრდილოამერიკული აქტის თანახმად, კანადის ოთხ პროვინციას (კვებეკი, ონტარიო, ნოვა სკოტია და ნიუ ბრანსუიკი) შეუერთდა დანარჩენი ექვსი და შეიქმნა ფედერაცია, რომელიც დღემდე არსებობს.

** ამ ოცში არ შედის ბრიტანეთის, საფრანგეთის და ნიდერლანდის გაიანა (რომლებიც ევროპის კოლონიებად დარჩნენ) და ბრიტანული ჰონდურასი (რომელიც ბრიტანული კოლონია გახდა 1862 წელს).

ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციისათვის ინდუსტრიალიზაციასა და შიდაბაზრების განვითარებაზე კეთდებოდა), ლათინური ამერიკის რესპუბლიკები თავიანთი ეკონომიკის ნეოკოლონიურ ხასიათს იცავდნენ და კიდევ უფრო მეტად აძლიერებდნენ. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი საექსპორტო ნედლეულსა და ტროპიკულ სურსათს აწარმოებდნენ და დასავლეთ ევროპის კაპიტალის ინვესტიციებისა და იქ წარმოებული პროდუქციისათვის ბაზარს წარმოადგენდნენ. მაშინ, როცა ფეოდალური პრაქტიკა ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში გაუქმდა ინგლისში და, შესაბამისად, არ გადმოსულა ბრიტანულ ჩრდილოეთ ამერიკაში (გარდა მონათმფლობელობის სისტემისა შეერთებული შტატების სამხრეთ სამეურნეო საზოგადოებებში, რომელიც 1865 წელს გაუქმდა), ლათინური ამერიკის ახალმა ქვეყნებმა ესპანეთისა და პორტუგალიისაგან გადმოიღეს ფეოდალური მინათმფლობელობის სისტემა და მკვეთრად დაყოფილი სოციალური სტრუქტურა, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ თითქმის მთლიანად უცვლელი დარჩა.


ლათინურ ამერიკაში იბერიული მემკვიდრეობის მქონე სახელმწიფოების მცდელობის ჩაეარდნა – მიეღწიათ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის, რაც პოლიტიკური მოდერნიზაციის წინაპირობა იქნებოდა, პარადოქსული აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ არსებობდა გარკვეული გარემოებები, რომელთაც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის ხელი არ უნდა შეეშალათ. ლათინურმა რესპუბლიკებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მიიღეს. ბევრ მათგანს მინერალების მარაგისა და ნოყიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების სახით ეკონომიკური განვითარებისათვის მდიდარი რესურსები გააჩნდა. ამ სახელმწიფოებს ჰქონდათ საერთო რელიგია, კულტურული მემკვიდრეობა და ენა (ბრაზილიის ენა იყო ერთადერთი გამონაკლისი), რაც რეგიონულ კავშირებსა და თანამშრომლობას უწყობდა ხელს. ამის ნაცვლად კი, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ლათინური ამერიკის პოლიტიკურმა დანაწევრებამ და ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ დასავლეთ ნახევარსფეროს სამხრეთ ნაწილში ძალის ვაკუუმი წარმოშვა, რომელიც ახლადწამოყალიბებული და უკვე განვითარებული შეერთებული შტატების ეკონომიკური და სამხედრო ძალით უნდა შეესებულებოდა.

მონროს დოქტრინიდან პანამერიკანიზმამდე

მოსაზრება, რომ ლათინურ ამერიკაში ევროპის ძლიერი ქვეყნების ხარჯზე შეერთებული შტატების ჰეგემონიის ჩამოყალიბება მონროს დოქტრინის შედეგი იყო, დიდი ხნის განმავლობაში პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა, ეს მოსაზრება მართებული არ არის. 1823 წლის 2 დეკემბერს პრეზიდენტ ჯეიმს მონროს კონგრესისადმი მიმართვა სინამდვილეში მიზნად ისახავდა ევროპული სახელმწიფოების (განსაკუთრებით კი საფრანგეთის,

რომელზეც იმ პერიოდში არსებობდა ეჭვი, რომ ის მხარს უჭერდა ლათინური ამერიკის ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს) გაფრთხილებას, რომ ევროპის კოლონიური მმართველობის ახალ სამყაროში აღდგენის ნებისმიერი მცდელობა შეერთებული შტატებისათვის მიუღებელი იქნებოდა. თუმცა, მონროს დოქტრინას, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, შედეგი არ გამოუღია. ამ პერიოდის განმავლობაში ევროპის მხრიდან დოქტრინა არაერთგზის დაირღვა, მაგრამ შეერთებულ შტატებს ევროპის წინააღმდეგ არც საზღვაო ძალა და არც დიპლომატიური გავლენა არ გამოუყენებია. მხოლოდ დიდი ბრიტანეთის შემწყნარებლობის შედეგი იყო ის, რომ ლათინური ამერიკის რესპუბლიკები ძველი ძლიერი სამყაროს სამხედრო და პოლიტიკური ჩარევისაგან თავისუფალი იყვნენ. საფრანგეთისაგან ხელშეუხებლობის პირობის მიღების შემდეგ და ატლანტისა და კარიბის ტერიტორიებზე საზღვაო უზენაესობის უდავოდ შენარჩუნებით, ბრიტანეთმა უზრუნველყო ის, რომ ვერცერთი ევროპული ძალა ვერ გაძლიერდებოდა დასავლეთ ნახევარსფეროზე ტერიტორიების მოპოვების საშუალებით. თუმცა, ინტერვენციის აკრძალვის ეს დოქტრინა ბოლომდე დაცული არასდროს ყოფილა. დოქტრინის დარღვევას დასჯა არასდროს მოჰყოლია. თვითონ ბრიტანეთი ლათინურ ამერიკაში, მონროს დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ, სამხედრო ძალით ოთხჯერ შეიჭრა: 1845 წელს ბრიტანეთმა საფრანგეთთან ერთად საზღვაო ოპერაცია რიო დე ლა პლატას (მომავალში – არგენტინა) წინააღმდეგ ჩაატარა, ხოლო 1861 წელს საფრანგეთთან და ესპანეთთან ერთად – მექსიკის წინააღმდეგ; 1833 წელს ბრიტანეთმა არგენტინასთან ახლოს ფოლკლენდის (მალვინას) კუნძულები დაიპყრო, ხოლო 1862 წელს ცენტრალურ ამერიკაში – ბრიტანული ჰონდურასი. საფრანგეთმა ინგლისთან და ესპანეთთან საზღვაო თანამშრომლობით ჩამოაგდო მექსიკის მთავრობა და 1863 წელს ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი სახელმწიფო (კლიენტი სახელმწიფო), რომლის მმართველობაც 4 წელი გაგრძელდა. 1861 წლიდან დომინიკური რესპუბლიკის ხელახალი ანექსია ესპანეთმაც შეძლო. ამ სამხედრო ოპერაციების გარდა, რომლებიც მონროს დოქტრინას აშკარად არღვევდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ლათინურ ამერიკაში ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ეკონომიკური შეღწევით, რეგიონის ეკონომიკის ევროპის კომერციულ და ფინანსურ ინტერესებზე დაქვემდებარება მოხდა.

შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება მხოლოდ 1890-იანი წლების შემდეგ მოიპოვა. ამ პერიოდისთვის ის უკვე ინდუსტრიულად განვითარებული და პოლიტიკურად კონსოლიდირებული ქვეყანა იყო და საკუთარი გავლენის ნახევარსფეროს სამხრეთ ნაწილზე გავრცელების უნარიც შესწევდა. ამ რეგიონის მიმართ ამერიკის სტრატეგიული და ეკონომიკური დაინტერესება ხშირად მორალური პრინციპებით აიხსნებოდა. მე-19 საუკუნეში კონტინენტის დასავლეთით ექსპანსიის, ე.წ. რჩეული



ჯონ ბარეტი (მარცხნივ პირველ რიგში), პანამერიკული კავშირის გენერალური დირექტორი (1907-1920) თანამშრომლებთან ერთად. კავშირი თავდაპირველად დაარსდა სხვა სახელწოდებით, 1890 წელს გამართულ ამერიკის შტატების პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე. პანამერიკული კავშირი მოქმედებდა, როგორც მუდმივი სამდივნო ინტერ-ამერიკულ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დასამყარებლად. ვინაიდან ორგანიზაციის შტაბ-ბინა ვაშინგტონში მდებარეობდა, მასზე შეერთებული შტატები დომინირებდა, როგორც ყველაზე მძლავრი და წარმატებული თავისუფლად ორგანიზებულ წევრთა ჯგუფი.

ხალხის „ბედისწერის მანიფესტის“ მსგავსად, ლათინურ ამერიკაზე აშშ-ის ჰეგემონიაც ორ მორალისტურ გამოთქმაში აისახებოდა: „ნახევარსფეროს სოლიდარობა“ და, მეორე, უფრო ხშირად გამოყენებული გამოთქმა – „პანამერიკანიზმი“.

პანამერიკანიზმის იდეოლოგიის ფესვები დასავლეთ ნახევარსფეროს გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ორი მითიდან მომდინარეობდა. პირველი მათგანი იყო ფართოდ გავრცელებული მცდარი აზრი, რომ ახალი სამყაროს ორი კონტინენტი დედამიწის სხვა კონტინენტებისაგან გამოყოფილ ერთ გეოგრაფიულ ნაწილს წარმოადგენდა. რეალურად კი, ხმელეთის პატარა ზოლით დაკავშირების მიუხედავად, მეცხრამეტე საუკუნეში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებს შორის კომუნიკაციები ზღვის საშუალებით ხორციელდებოდა; მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში კი – საჰაერო გზებითაც. ზღვით რიო-დე-ჟანიეირო გაცილებით ახ-

ლოსაა აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან, ვიდრე შეერთებული შტატების რომელიმე პორტი. საჰაერო გზებით ვაშინგტონი მოსკოვთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ბუენოს-აირესთან. პოლიტიკური ნათესაობის შესახებ მითი, ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკური სისტემის შესაბამისად, „რესპუბლიკიდან“ წარმოიშვა. როგორც „მოდმე რესპუბლიკები“, შეერთებული შტატები და სამხრეთის რესპუბლიკები დემოკრატიული მთავრობის მემკვიდრეებად მიიჩნეოდნენ, რაც მათ მონარქიული ტრადიციების მქონე ძველ სამყაროსაგან განასხვავებდა. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნები დემოკრატიულად ვითარდებოდნენ, ლათინური ამერიკის „რესპუბლიკებში“ სხვადასხვა ფორმის დიქტატორული რეჟიმის დამყარების ტენდენცია დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის დამყარების უპერსპექტივობაზე მეტყველებდა. და მაინც, 1889 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩამოყალიბებული პანამერიკანიზმის იდეოლოგიის გამართლება მორალური თვალსაზრისით ხდებოდა. თუმცა, ძალიან მალე ჩრდილოეთ ამერიკასა და სამხრეთის ქვეყნებს შორის ამ ურთიერთობამ ნეოკოლონიური სახე მიიღო. ამერიკის რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირის კომერციული ბიურო, რომელიც ამერიკის სახელმწიფო მდივნის ზედამხედველობით ვაშინგტონის მიერ იმართებოდა, შიდაეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას მხარს უჭერდა. შედეგად, ეს ორგანიზაცია, რომელსაც სახელი გადაერქვა და პანამერიკული კავშირი დაერქვა, დასავლეთ ნახევარსფეროს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ერთობლიობას და წევრ-სახელმწიფოებზე ამერიკის დიპლომატიური ზეგავლენის განხორციელების საშუალებას წარმოადგენდა. შეერთებული შტატების ზოგიერთი ოფიციალური პირის მცდელობას – ჩამოყალიბებულიყო საბაჟო კავშირი, რომელიც გააერთიანებდა დასავლეთ ნახევარსფეროს სუვერენული ქვეყნების ეკონომიკას, საერთაშორისო კონფერენციაზე ლათინური ამერიკის ქვეყნებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. თუმცა, ამისდა მიუხედავად, ნახევარსფეროს პოლიტიკურ სისტემაში შეერთებული შტატების ბატონობას საფუძველი მაინც ჩაეყარა.

ამერიკის ძალისხმევის ლათინურ ამერიკაზე გადატანა დიდი ბრიტანეთისთვის პირდაპირი გამოწვევა იყო, რომელიც ამიერიდან უკვე ველარ იქნებოდა უკონკურენტო ქვეყანა რეგიონში. ეს გამოწვევა ეფექტურად იქნა წამოწყებული მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულში, მაშინ, როდესაც ბრიტანეთის იმპერიული ძალები მათი ერის სასიცოცხლო ინტერესების შესახებ მწვავე განხილვებით იყვნენ დაკავებულნი. დასავლეთ ნახევარსფეროში ძალთა წონასწორობის შეცვლის დროს, მთავარი მოვლენა ვენესუელასა და ბრიტანულ გაიანას შორის სასაზღვრო დავა გახდა. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო დავა იყო. სადავო ზონაში მდინარე ორინოკოს შესართავი მდებარეობდა, რომელიც სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილ-

ში ძირითადი საეაჭრო გზა იყო. შეერთებული შტატებისადმი ვენესუელას მიმართვამ მხარდაჭერისათვის და ბრიტანეთის დიდმა სურვილმა – გაეფართოებინა ეკონომიკური ზეგავლენა კარიბის რეგიონის სამხრეთით, ვაშინგტონის მეტად მნიშვნელოვანი დიპლომატიური ინიციატივა განაპირობა. 1895 წლის ივლისში სახელმწიფო მდივანმა რიჩარდ ოლნიმ ბრიტანეთს არბიტრაჟზე საქმის შეტანის თანხმობა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეერთებული შტატები, მონროს დოქტრინის თანახმად, ჩაერეოდნენ დაპირისპირებაში. აღნიშნულის საფუძველზე ოლნიმ გააკეთა შემდეგი ისტორიული განცხადება: „დღესდღეობით შეერთებული შტატები კონტინენტის პრაქტიკულად სუვერენულ ქვეყანას წარმოადგენს და შუამდგომლობის ფუნქციის შესრულებისას კანონით ხელმძღვანელობს“. იგი მოუწოდებდა ყურადღება მიექციათ ფაქტისთვის, რომ მისი ქვეყნის „დიდძალი რესურსი, იზოლირებულ მდებარეობასთან ერთად, ამერიკას სიტუაციის განმკარგავად აქცევდა, რომელსაც პრაქტიკულად ვერცერთი ძალა ზიანს ვერ მიაყენებდა“. სასაზღვრო კონფლიქტმა მალე მნიშვნელობა დაკარგა – არბიტრაჟის შედეგად, ოთხი წლის შემდეგ ბრიტანეთის მოთხოვნათა უმრავლესობა დაკმაყოფილებულ იქნა, მაგრამ ოლნის დეკლარაციას სერიოზული შედეგი ჰქონდა – აშშ ამერიკის კონტინენტზე ჰეგემონის როლს იმკვიდრებდა. შეერთებულმა შტატებმა სამხრეთით მდებარე მეზობელი ქვეყნების ინტერესების დაცვა საკუთარ თავზე აიღო, რაც დასავლეთ ნახევარსფეროში შტატების უპირატეს მდგომარეობას კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა. დიდი ბრიტანეთის მთავარი საზრუნავი კი იმ პერიოდში აფრიკის სამხრეთში გაუარესებული პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რის გამოყენებასაც გერმანია აპირებდა; ამიტომ დიდმა ბრიტანეთმა მიიღო გადაწყვეტილება, არ შესულიყო კონფლიქტში შეერთებულ შტატებთან და ლათინურ ამერიკაზე აშშ-ის ჰეგემონიის ამ ცალმხრივ დეკლარაციას უსიტყვოდ დასთანხმდა.

შეერთებული შტატები ქმნის იმპერიას

1898 წელს ევროპული ძალების დასავლეთ ნახევარსფეროში ნებისმიერი მოქმედება ბრიტანეთის იმპერიულ ხელისუფლებას საფრთხეს უქმნიდა. იმავე წლის მარტში გერმანიის პირველი საზღვაო კანონის ნაწილი და მანჯურის რეგიონში რუსეთის მიერ პორტარტურის საზღვაო ბაზის ხელში ჩაგდება იმის მაუწყებელი გახდა, რომ ბრიტანეთს აზიაში კოლონიების დაარსების სფეროში ორი კონკურენტი გამოუჩნდა. შემოდგომაზე ბრიტანეთი და საფრანგეთი, ნილოსის მახლობლად ტერიტორიების გამო, ომის ზღვარზე მივიდნენ; პარალელურად, ბრიტანეთსა და სამხრეთ აფრიკის ბურთა რესპუბლიკას შორის კონფლიქტი ღვივდებოდა. რადგან ევროპის ძლიერი სახელმწიფოები აფრიკისა და აზიის შორეულ კონფლიქტებში იყვნენ ჩართული, შეერთებულმა შტატებმა კარიბისა და წყნარი ოკეანის რეგიონში

სამხედრო, სახმელეთო და საზღვაო კამპანია ნამოინყო, რამაც შტატები კონტინენტზე უძლიერესი სახელმწიფოდან გლობალურ ძალად აქცია. 1895 წელს ესპანეთის მიერ კუნძულ კუბაზე აუტანელი რეჟიმის შემოღებამ აჯანყება გამოიწვია, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა თანადგომა გამოუცხადა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჯოზეფ პულიცერისა და უილიამ რანდოლფ ჰერსტის სენსაციებით სავსე ყურნალებში ესპანეთის კოლონიალური მთავრობის მიმართ მტრული მასალები გამოჩნდა. 1898 წლის 15 თებერვალს, როცა ჰავანას ნავსადგურში შეერთებული შტატების სამხედრო გემის – „მეინის“ ჩაძირვის შედეგად 260 მეზღვაური დაიღუპა, შეერთებულ შტატებში საზოგადოებამ კონგრესს მოუწოდა, კუბა „თავისუფალ და დამოუკიდებელ“ ქვეყნად ელიარებინა. მომდევნო აპრილში კონგრესმა ომის დეკლარაცია გამოაქვეყნა, როდესაც ესპანეთმა კუნძულის კონტროლი შეეწყვიტა. ხუთი საზღვაო ხომალდისაგან შემდგარმა შეერთებული შტატების ესკადრამ ჯორჯ დიუის ხელმძღვანელობით, რომელიც ბრიტანეთის კოლონია ჰონგ-კონგში იყო გაჩერებული, ესპანეთის მიერ კონტროლირებადი ფილიპინების კუნძულებისაკენ გასწია და მათში მანილას ყურესთან ესპანეთის ესკადრა გაანადგურა. ესპანური ფლოტი, რომელმაც ევროპული ქვეყნის კარიბული მონაპოვრის დასაცავად ატლანტის ოკეანე გადაცურა, სანტიაგოს ყურესთან ამერიკული საბრძოლო გემების მიერ განადგურებულ იქნა. მალე, 17 ივლისს, შეერთებული შტატების სახმელეთო ჯარებმა ესპანეთის არმია აიძულეს დანებებულიყო, შემდეგ კი ესპანეთის დარჩენილი კარიბული მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად კუნძულ პუერტო რიკოზე გადაინაცვლეს. მანამდე შეერთებული შტატების სამხედრო ძალები ფილიპინებზე გადავიდნენ, სადაც 14 აგვისტოს ესპანური გარნიზონი დაამარცხეს.

მშვიდობის ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი პარიზში 1898 წლის 10 დეკემბერს მოეწერა, 6-თვიანი ომი დაასრულა. შეერთებულმა შტატებმა ესპანეთის ყოფილ კუნძულებზე წყნარ ოკეანეში, ფილიპინებსა და გუამზე და ესპანეთის ყოფილ კარიბის კუნძულ პუერტო რიკოზე კონტროლი მოიპოვა. კუბას დამოუკიდებლობის უფლება მიენიჭა, მაგრამ, მოგვიანებით, 1901 წელს, პლატის კანონის შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა კუნძულების საქმეებში ჩარევის უპირობო უფლება მიიღო. ამავე დოკუმენტით შეერთებულ შტატებს ქვეყანაში სამხედრო-საზღვაო ნავსადგურის დაარსების უფლებაც ეძლეოდა. თავდაპირველად, ფილიპინების მოსახლეობა, მისი ესპანური ბატონობისაგან განთავისუფლების გამო, დადებითად შეხვდა ამერიკას, მაგრამ, აშშ-ის პრეზიდენტ მაკკინლის ადმინისტრაციის მიერ არქიპელაგისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე უარის განცხადებამ ადგილობრივების ამბოხი გამოიწვია, რომელსაც ფილიპინელი პოლიტიკური ლიდერი – ემილიო აგუინალდო მეთაურობდა. ეს კონფლიქტი მოგვიანებით, 1901 წელს, 200 000 ფილიპინელისა და 4000 ამერიკელის დაღუპვით დასრულდა. 1898 წლის ზაფ-

ხულში ამერიკის საზღვაო და სახმელეთო ძალების მიერ წყნარი ოკეანეთისა და კარიბის ესპანეთის „გადმონაშთებისაგან“ განმნდის პარალელურად, შეერთებულმა შტატებმა შუა წყნარ ოკეანეთში (შაქრის ლერწმის წარმოების მნიშვნელოვანი წყარო და საუკეთესო ბუნებრივი ნავსადგური ამერიკის სამხედრო ფლოტისათვის) ჰავაის კუნძულების ანექსია მოახერხა, რომლის ადგილობრივი მონარქიული მმართველობა შაქრის ლერწმის ამერიკელ მწარმოებელთა ჯგუფის მიერ 5 წლის წინ იყო დამხოზილი. ახალი საუკუნის დასაწყისისათვის შეერთებულმა შტატებმა, დაგვიანებით, ზღვის გაღმა იმპერია შექმნა, რომელიც დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან შედარებით პატარა იყო, მაგრამ თავისი პოტენციალით მსოფლიო ძალაუფლების მქონე ქვეყნებს არ ჩამოუვარდებოდა.

ახალმა გლობალურმა ძალამ სამხედრო გემთმშენებლობისათვის მისი ახლადშექმნილი სტატუსის შესაბამისი პროგრამა სწრაფად შეიმუშავა. დასავლეთ ნახევარსფეროში დიდ ბრიტანეთთან მიმართებით საზღვაო სფეროში ამერიკის უპირატესობა მალე ყველასათვის ნათელი გახდა. იალქნიანი საბრძოლო გემის შეცვლამ ორთქლმავალი გემით გაზარდა გემების საბრძოლო შესაძლებლობები, მაგრამ სამხედრო მოქმედების რადიუსი შეამცირა, ვინაიდან გემები უკვე საჭიროებდნენ საწვავს (1912 წლამდე ბრიტანეთი საწვავად იყენებდა ქვანახშირს, შემდეგ კი ნავთობისგან მიღებულ მაზუთს). რეგიონში გერმანული საზღვაო ძალების განეიტრალების მიზნით, 1902 წელს ბრიტანეთმა მისი მრავალრიცხოვანი კარიბის რეგიონის სამხედრო-საზღვაო შენაერთების ჩრდილოეთ ატლანტიკისაკენ გადაყვანა დაიწყო, რითაც ამერიკის ბატონობა მის ნახევარსფეროზე აღიარა და ლათინური ამერიკა შეერთებული შტატების ინტერესების სფეროდ ცნო. იმავე წელს ბრიტანეთმა იაპონიასთან თანამშრომლობა გააფორმა, რითაც აღიარა, რომ ამ ერს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიაზე არანაკლები ძალა გააჩნდა. შედეგად, უფრო მეტი ბრიტანული საბრძოლო გემი იქნა საკუთარ წყლებში გადაყვანილი. ამ ორი სვლით „ზღვების ყოფილმა მბრძანებელმა“ ყველას უჩვენა, რომ თანახმა იყო, შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთს მათ საზღვრებთან ახლოს მდებარე ზღვები ეკონტროლებინათ, რითაც გერმანიის საზღვაო ძალის შესაძლო თავდასხმისაგან ბრიტანეთის კუნძულების უსაფრთხოების დაცვაც შესაძლებელი გახდებოდა.

შეერთებულმა შტატებმა ყოფილ ესპანეთის კუნძულებთან კარიბის რეგიონსა და მის სანაპიროებზე მდებარე დამოუკიდებელ ქვეყნებთან მიმართებით ფართომასშტაბიანი სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები სწრაფი ტემპებით განავითარა. იაპონიის საზღვაო ძალის გაზრდასთან დაკავშირებული საზღვაო სტრატეგია პანამის ყელის, როგორც ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეს შორის არხისათვის იდეალური ადგილის, გამოყენებას ითვალისწინებდა, რაც მათ სამხედრო ფლოტის დანიშნულების ადგილას მოკლე


დროში გადასროლის საშუალებას აძლევდა. ამერიკის მიერ კარიბის რეგიონში ბატონობა ქვეყნის ორი სანაპიროს უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამართლებული იყო ზუსტად ისევე, როგორც ბრიტანეთის მიერ ჩრდილოეთის ზღვაზე და იაპონიის მიერ ჩინეთის ზღვაზე კონტროლი ამ ორი ძლიერი ქვეყნის მნიშვნელოვან საზღვაო სტრატეგიად განიხილებოდა.

კარიბი ხდება „ამერიკის ტბა“

„დიდი საომარი ფლოტის“ მხარდამჭერების სურვილმა – კარიბის ზღვის რეგიონი გადაექციათ „ამერიკულ ტბად“, ამერიკის ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირება გამოიწვია იმ ევროპულ ფირმებთან, რომლებიც, ზოგადად, ლათინური ამერიკის და, კონკრეტულად კი, კარიბის აუზის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის მოპოვებას ცდილობდნენ. ამერიკის შეჭრა ლათინური ამერიკის ეკონომიკაში ამერიკული ფირმების მიერ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო და წიაღისეული რესურსების მოპოვებით გამოიხატებოდა. კუბური შაქრის ლერწმიდან შაქრის მიღებამ მონოპოლიური ხასიათი შეიძინა. ბოსტონის „იუნაიტედ ფრუტ კომპანიაში“ ცენტრალურ ამერიკაში „ბანანის იმპერია“ დააარსა, რისთვისაც მინის დიდი ფართობები შეისყიდა, გზები და რკინიგზა გაიყვანა და პლანტაციებიდან საზღვარგარეთის ბაზრებზე ხილის გასატანად პორტები ააშენა. მექსიკისა და ვენესუელის ნავთობის რესურსები, ჩილეს სპილენძი, ბოლივიის კალა და სხვა სამრეწველო ნედლეული მთლიანად ამერიკული ფირმების მიერ კონტროლდებოდა.

1901 წელს მოიხსნა ბოლო დაბრკოლება, რომელიც შეერთებულ შტატებს კარიბის რეგიონზე სრული გაბატონების საშუალებას არ აძლევდა. ჰეი-პონსეფოტის საერთაშორისო ხელშეკრულების საშუალებით, დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა მანამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც ცენტრალური ამერიკის არხის ინგლის-ამერიკის ერთობლივ მშენებლობას და ექსპლუატაციას გულისხმობდა. ორი წლის შემდეგ კოლუმბიის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში (პანამის ყელის ჩათვლით) რევოლუციამ ამერიკის მთავრობის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. აშშ-მ პანამა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. 1904 წლის თებერვალში ახალმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებას შეერთებული შტატების მიერ პანამის ყელზე გავლით 15 მილის სიგრძის არხის მშენებლობაზე, ხოლო მომავალი არხის ზონა დროებით აშშ-ს გადაეცემოდა დასაცავად. მანამდე კი, შეერთებული შტატებისათვის კარიბის რეგიონში სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა.

ახლადჩამოყალიბებულ კლიენტ-სახელმწიფოებს – კუბას და პანამას – დაევაღათ თავიანთ კონსტიტუციებში შეეტანათ მუხლი, რომლის მიხედვითაც შეერთებულ შტატებს მიეცემოდა უფლება ჩარეულიყო და დაცვა მათი დამოუკიდებლობა, საზოგადოებრივი წესრიგი; ასევე შეერთებულ



შეერთებული შტატების ინტერვენცია ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში პირველ მსოფლიო ომამდე და მისი მიმდინარეობისას

შტატებს უნდა ჰქონოდა მათ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნის უფლება. 1904 წელს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ჩარევის უფლება მთელს იმპერიაზე გაავრცელა. მისი სიტყვებით: „ქრონიკული ხასიათის სამართალდარღვევამ და უძლურებამ, რომელიც ცივილიზებული საზოგადოების კავშირების დასუსტებას განაპირობებს, შესაძლოა რომელიმე ცივილიზებული ერის ჩარევა საჭირო გახადოს. დასავლეთ ნახევარსფეროზე შეერთებული შტატების მიერ მონროს დოქტრინის დაცვამ შესაძლოა, უკიდურეს შემთხვევებში, აიძულოს შეერთებული შტატები საერთაშორისო პოლიციური ძალა გამოიყენოს“. ამით რუზველტმა ფაქტობრივად მონროს დოქტრინა ახლებურად განსაზღვრა, რომელიც თავდაპირველად ლათინური ამერიკის საქმეებში ევროპული ძალების ჩარევას კრძალავდა, ამჯერად კი, რუზველტის მიხედვით, მსგავსი ჩარევა შეერთებული შტატების პრეროგატივა გახდა.

ამერიკის თვითალიარებული უფლება – ემართა კარიბის ქვეყნების შიდასაქმეები, რუზველტის განცხადების გამოქვეყნების შემდგომ, ხშირად პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. 1905 წელს შეერთებულმა შტატებმა გაკოტრებული დომინიკური რესპუბლიკის საბაჟოების კონტროლი თავის თავზე აიღო და ფინანსური ზედამხედველობის სისტემა დაანესა, რომელიც შემდგომ, 36 წლის განმავლობაში, ძალაში დარჩა. 1909 წელს ამერიკელებმა ხელი შეუწყვეს ნიკარაგუას აჯანყებას „ურჩი“ მთავრობის წინააღმდეგ. სამი წლის შემდეგ, ამერიკულ საზღვაო ფეხოსნებს დაევალიათ იმ რეჟიმის დაცვა, რომელმაც საბაჟო მომსახურება შეერთებულ შტატებს გადასცა და რასაც ფართომასშტაბიანი შიდაუკმაყოფილება მოჰყვა. მიუხედავად დამოუკიდებელი სტატუსისა, ნიკარაგუა, 1911-დან 1924 წლამდე, ამერიკის ფინანსური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ამერიკის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი მსხვერპლი მისი უშუალო მეზობელი მექსიკის სახელმწიფო გახდა. მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეულისა და მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში, მექსიკელი დიქტატორი პორფირიო დიასი ქვეყნის ნავთობის მრეწველობაში, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ამერიკული ინვესტიციების დაბანდებას მხარს უჭერდა. მისი გადაყენების პერიოდისათვის კი, მექსიკური რევოლუციის დროს – 1911 წელს, ამერიკულმა კომპანიებმა მექსიკის ნავთობის 50-პროცენტთან წილზე კონტროლი მიიღეს, რის შედეგადაც ამერიკის მოქალაქეების განკარგულებაში მექსიკის მიწების 40 პროცენტი მოექცა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ამას მოჰყვა მექსიკაში ანტიამერიკული განწყობის გაღვივება, რაც ქვეყანაში ამერიკული სამხედრო-საზღვაო და სახმელეთო ძალების დამსჯელობითი ხასიათის შეჭრას იწვევდა; ამან კი, შედეგად, რიო გრანდეს სამხრეთით პატრიოტული სულისკვეთების კიდევ უფრო გაძლიერება გამოიწვია.



თედი რუზველტი (1858-1919) იმუქრება. თავის ცნობილ გამოსვლაში (Corollary) მონროს დოქტრინაზე, 1904 წლის დეკემბერში, შ. რუზველტმა თამამად განაცხადა შეერთებული შტატების პრეროგატივა, გამოეყენებინათ საერთაშორისო პოლიციური ძალა, რათა იძულებული გაეხადა დასავლეთ ნახევარსფეროს სხვა ერები, გადაეხადათ ვალი საერთაშორისო კრედიტორებისათვის და შეენარჩუნებინათ სოციალური წესრიგი. ამ ახალი დოქტრინის საფუძველზე, რუზველტი და მის შემდეგ მოსულები თეთრ სახლში გამოიყენებდნენ სამხედრო ძალას, რათა უზრუნველყოთ გადახდისუნარიანობა და პოლიტიკური სტაბილურობა კარიბის აუზის და ცენტრალური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში.

პირველი მსოფლიო ომის მოახლოებისას, შეერთებულმა შტატებმა კარიბის რეგიონზე კონტროლის უმაღლეს დონეს მიაღწია. ამ მდგომარეობის სიმბოლურად აღმნიშვნელი მოვლენა იყო 1914 წლის აგვისტოში პანამის არხის გახსნა, მაშინ, როცა ევროპული სახელმწიფოების ჯარები ერთმანეთს შორეულ კონტინენტზე დაეტაკენ. ამის შემდეგ პუერტო რიკოს რუზველტ როუდსისა და კუბის გუანტანამოს ყურეში ამერიკის სამხედრო-საზღვაო

ბაზების დაარსება, შეერთებულ შტატებს პანამის არხის აღმოსავლეთ მის-ადგომების კონტროლის შესაძლებლობას უქმნიდა. ამდენად, სტრატეგიული თვალსაზრისით, მისი დასავლეთ ნახევარსფეროში უპირატესობა და თავ-დაცვისუნარიანობა იზრდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში კარიბის რე-გიონის ეკონომიკა მჭიდროდ დაუკავშირდა იმ დანიშნულ ეკონომიკას, რომელსაც განაწყენებული ლათინური ამერიკის მკვიდრნი „ჩრდილოეთის კოლოსს“ უწოდებდნენ. პირდაპირი ამერიკული ინვესტიციები ელექტრო-ენერგეტიკის სფეროში, რკინიგზაში, შაქრის წარმოებაში, ბანანის მოყვანის, ნავთობისა და სხვა მომპოვებელ დარგებში მნიშვნელოვან მოგებას ქმნიდა, რაც შეერთებული შტატების უპრეცედენტო ეკონომიკურ ზრდას განაპირო-ბებდა. ამერიკის მიერ საბანკო სისტემის კონტროლი და კარიბის მრავალი ქვეყნის საბაჟოების ადმინისტრირება ორმაგ ფუნქციას ასრულებდა – ერთი მხრივ, ამერიკელი ინვესტორებისათვის ვალის დაბრუნება ხდებოდა, მეორე მხრივ კი – გულგატეხილი მოვალეების სახელით ევროპული ინტერვენციების თავიდან აცილება. ამერიკული სამხედრო ჩარევის პრეროგატივა, საზოგა-დოებრივი წესრიგის აღდგენის ან უცხოური ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, კარგი ქვეყნის ძირითად სტიმულად რჩებოდა და მისი გამოყ-ენება საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა. სამხრეთ ამერიკაში ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის გვიანის, ცენტრალურ ამერიკაში ბრიტანეთის ჰონდურასის და კარიბის რეგიონში ევროპის მიერ კონტროლირებადი რამ-დენიმე ქვეყნის გარდა, ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა კოლონიები ახალ სამყაროში თითქმის აღარ არსებობდა. თუმცა, ევროპული ეკონომიკის ბა-ტონობა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, ამერიკის მიერ კონტროლირება-დი კარიბის აუზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, მეოცე საუკუნემდე გაგრძელდა, რაც, როგორც ევროპული ბატონობის გადმონათობი, დასავლეთ ნახევარსფეროში პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას უდავოდ მალე გაქრე-ბოდა.

დედამიწის „შემცირება“: რევოლუცია ტრანსპორტსა და კომუნიკაციაში

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მთელს მსოფლიოში, დასავლური ძლიერების გავრცელება ორი ტექნოლოგიური ინ-ოვაციით იყო განპირობებული, რამაც ადამიანებისა და საგნების გადაადგ-ილების სფეროში რევოლუცია მოახდინა. ოკეანეზე გადაზიდვების გასაა-დვილებლად ორთქლის ძალის გამოყენება ამ ინოვაციათაგან ერთ-ერთი პირველი იყო. თუმცა, პირველი ორთქლის გემი 1802 წელს აშენდა. 1850-იან წლებამდე სავაჭრო და სამხედრო ფლოტების მიერ ისევ ჩვეულებრივი გემე-ბი გამოიყენებოდა. კაპიტნები ქარზე უკვე აღარ იყვნენ დამოკიდებულნი და მათთვის შესაძლებელი იყო ისეთი სიჩქარე განევიტარებინათ, რომელზეც

მანამდე ვერც კი იოცნებებდნენ. შესაბამისად, ქვანახშირზე მომუშავე ორთქლის გემებმა ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებს ეკონომიკური საქმიანობების არეალის გაფართოების საშუალება მისცა და მათაც სამხედრო ძალები დედამიწის შორეული წერტილებისკენ მიმართეს. ამ ტექნოლოგიური რევოლუციის პირველი ბენეფიციარი ოკეანეზე გადაადგილებისა და გადაზიდვის სფეროში დიდი ბრიტანეთი იყო, რომელიც მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ყველაზე კარგად ორგანიზებულ მრეწველობასა და საუკეთესო ქვანახშირის – ანტრაციტის მარაგს ფლობდა. ბრიტანეთის ზღვებზე ბატონობისათვის გემების სანავიგო მომარაგების პოტენციური შეზღუდვა მთელს მსოფლიოში ქვანახშირის მომპოვებელი მალაროების შექმნით გადაიჭრა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, სამხედრო და სავაჭრო გემების სანავიგო მომარაგების ნავსადგურების შექმნის აუცილებლობამ იმპერიის გაფართოებაში დიდი როლი შეასრულა. იმავდროულად, საზღვაო რბოლას მსოფლიოზე ბატონობის მოპოვების სხვა მსურველებიც შეუერთდნენ. მანამდე არსებული საოკეანო ბარიერები გადაილახა და კონტინენტებს შორის ურთიერთობები ჩამოყალიბდა. სამხედრო გემები ერთი ბაზიდან მეორე ბაზამდე აღმართული დროში დაცურავდნენ, რაც ადგილობრივი დაუმორჩილებელი მოსახლეობის და მტრების გამაფრთხილებელი ნიშანი იყო და რომელმაც იმ დროის სლოგანი – „ქვემეხიანი ნავის დიპლომატია“ დაამკვიდრა. საქონლით დატვირთული სავაჭრო გემები ყველაზე შორეულ პორტებს აღწევდნენ, უკან კი ტროპიკული ხილითა და ნედლეულით დატვირთულები ბრუნდებოდნენ.

ამ პერიოდის მეორე რევოლუციური სიახლე ხმელეთზე გადაადგილებისათვის ორთქლის ძალის გამოყენება იყო. რკინიგზის ლოკომოტივის გამოგონებამ ორ კონტინენტურ გიგანტს – შეერთებულ შტატებსა და, მოგვიანებით, რუსეთის იმპერიას, იმ ვრცელ ტერიტორიებზე ქმედითი პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის მოპოვების საშუალება მისცა, რომლებზეც ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ. ამ გამოგონებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი – ბრიტანეთსა და საფრანგეთს, საშუალება მისცა, ღრმად შეეღწიათ აფრიკაში იმ სანაპირო ანკლავებიდან, რომლებიც მანამდე ჰქონდათ დაპყრობილი. წარმართი მოსახლეობის დამორჩილება, შიდა რეგიონებში პოლიტიკური რეჟიმების დაცვა, წიაღისეულისა და სხვა რესურსების მოპოვება და სხვა ქვეყნებში გატანა სარკინიგზო კომუნიკაციების გამოყენებით ძალზე გამარტივდა.

ამ ინოვაციების გარდა, რომელთაც ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილების სფეროში რევოლუცია მოახდინეს, გამოგონებულ იქნა მონყობილობა, რომელიც საჰაერო სივრცეში ადამიანის შეტყობინებების შორ მანძილზე გადაცემის საშუალებას იძლეოდა. ტელეგრაფისა და, მოგვიანებით, რადიოს საშუალებით მთელს მსოფლიოში გზავნილებისა და ინფორმაციის გადაცემა და მიღება გახდა შესაძლებელი. დიპლომატიური სამსახურები

და საელჩოები, კერძო ფირმები და მათი საზღვარგარეთული ფილიალები კომუნიკაციების დამყარებას მარტივად ახერხებდნენ. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ამ რევოლუციამ იმ ხანაში ცენტრალიზებული მართვაც შესაძლებელი გახადა. სამხედრო მეთაურებს, დესპანებსა და ვაჭრებს საჭირო გადანყვეტილებები სწრაფად უნდა მიეღოთ, რაც დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგებს, ასევე ომებსა თუ ეკონომიკურ კონკურენციაში წარმატებას განაპირობებდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში „დედამიწის შემავინრობელი“ ტექნოლოგიების შედეგები სამხედრო საქმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. რკინიგზა და ორთქლის გემები სამხედრო ძალებს მეტ ძლიერებასა და მობილურობის საშუალებას ანიჭებდა. 1899-1902 წლებში, როდესაც ოკეანეზე უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით სამხედრო ძალა იყო განლაგებული, დიდი ბრიტანეთის მეოთხედი მილიონი ჯარისკაცი აფრიკის სამხრეთით, ბურების რესპუბლიკის დასამორჩილებლად 6000 მილის დაშორებით იდგა. 1904 წელს რუსეთმა მსგავსი სიდიდის სამხედრო ძალა რკინიგზის საშუალებით ციმბირში 4000 მილის მოშორებით დააყენა, რათა მანჯურიაში იაპონიის ძალებთან ბრძოლაში ჩართულიყო, მაგრამ ეს ბრძოლა რუსეთისათვის არასახარბიელო შედეგებით დასრულდა. სტრატეგიული დანიშნულების ტრანსპორტის საშუალებით შორეულ მანძილებზე გადაადგილებები დროსა და სივრცეში ტრადიციულ ბარიერებს შლიდა და დედამიწის სხვადასხვა ნაწილიც ერთმანეთისაგან ნაკლებად იზოლირებული ხდებოდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში მთელი დედამიწა სტრატეგიული და ეკონომიკური ურთიერთობების ერთგვარ „თეატრად“ გადაიქცა, რომლის ნაწილებიც ერთმანეთთან რკინიგზით, ორთქლის გემითა და ტელეგრაფით წარმოდგენილი სატრანსპორტო და კომუნიკაციების ქსელით იყვნენ დაკავშირებული.

გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობა

იმისათვის, რომ ამ ახალ გლობალურ კონტექსტში საერთაშორისო ურთიერთობები კაცობრიობისათვის უფრო გასაგები ყოფილიყო, დასავლური სამყაროს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მეცნიერების ახალი დარგი – „გეოპოლიტიკა“ განვითარდა. რამდენადაც ის იყო „სამეცნიერო“ (ანუ ობიექტური) ინტელექტუალური დარგი, იმდენად, მთელს მსოფლიოში პოლიტიკური ძალების განაწილების შესწავლის მიზნით, გეოგრაფიისა და პოლიტიკური მეცნიერების ნაზავს წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც ეს მრავალი სოციალური მეცნიერების შემთხვევაში მოხდა, გეოპოლიტიკასაც გაუჩნდა პრეტენზია დაემტკიცებინა მისი მეცნიერული ობიექტურობა, რადგან ის ხშირად სახელმწიფოთა მიერ დაპყრობებისა და სხვათა დამორჩილების იდეოლოგიურ გამართლებად გამოიყენებოდა. გეოპოლიტიკოსებისათვის მთლიანი დედამიწა წარმოადგენს მტრობის ასპარეზს, რომელშიც უძლიერესი ქვეყნები იბრძვიან, რათა ეკონომიკური

თვალსაზრისით მნიშვნელოვან რესურსებზე, ტერიტორიებსა და მოსახლეობაზე კონტროლი მოიპოვონ. მინის არცერთი მტკაველი, ზღვის არცერთი პატარა კუნძული, არცერთი მდინარე, ტბა და ოკეანე არ არის გეოპოლიტიკოსების რკინის კანონის მოქმედების ჩარჩოების გარეთ, რომლის მიხედვითაც, ნაყოფიერი ტერიტორიების, ბუნებრივი რესურსებისა და სტრატეგიული უპირატესობების არათანაბარი გადანაწილების მიზნით, მხოლოდ ერთი მუჭა ძლიერი ქვეყნებისა დაუცველ და „არავის“ ტერიტორიებზე კონტროლის მოპოვების წყურვილით მსოფლიო შეჯიბრში იყვნენ ჩაბმულნი.

გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე დეტალური და კომპლექსური გეოპოლიტიკური დოქტრინა გერმანიის იმპერიაში წარმოიშვა. ეს მოხდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც პრუსიელებს, ხმელეთზე ბატონობის ტრადიციული მისწრაფების პარალელურად, ზღვებზე ბატონობის მოპოვების ახალი ინტერესი გაუჩნდათ. გერმანელი გეოპოლიტიკოსების ნაშრომებში მთელი ევრაზია, ესპანეთიდან ციმბირის ჩათვლით, არქტიკიდან ინდოეთამდე უზარმაზარ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომელიც ნედლეულითა და მოსახლეობით მდიდარი იყო და რომელზე ბატონობის მოპოვებაც სამომავლო შეჯიბრის შედეგებს გადაწყვეტდა. სამრეწველო სტრუქტურისა და სამხედრო ძალის თვალსაზრისით, გერმანიის დანიანურებული პოზიციის ფონზე, ასევე რუსეთის ტერიტორიული უპირატესობის, მოსახლეობის მრავალრიცხოვნობისა და შდიდარი ბუნებრივი რესურსების გამო, სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საზღვართან (სადაც გერმანელი და სლავური ერის საუკუნეების მანძილზე შეხებაში იყვნენ) „ტეცტონებსა და სლავებს“ შორის ომით დაიწყებოდა. გერმანული გეოპოლიტიკის ძირითად პრინციპს, რომ ევრაზიის გეოგრაფიული სივრცე უძლიერესი ერის პოლიტიკური ძალაუფლებითა და სამხედრო ძალით უნდა შევსებულიყო, მზარდი მოსახლეობის მიერ სურსათით უზრუნველყოფის შეუძლებლობის შესახებ მალთუსის დოქტრინა და არაერთფეროვან ბუნებრივ გარემოში ეროვნებათა ჯგუფებს შორის მეტოქეობის შესახებ დარვინისტული კონცეფცია დაემატა.

რუსეთის ხარჯზე გერმანიის აღმოსავლეთით ექსპანსიის ინტელექტუალური „სამართლიანობა“ გეოპოლიტიკამ, დემოგრაფიამ და ფსევდობიოლოგიურმა დეტერმინიზმმა განსაზღვრეს. თეორეტიკოსები და ის პირები, რომლებიც ამ თეორიას პოპულარიზაციას უწევდნენ, გერმანიას ინდუსტრიულ ქვეყანად წარმოაჩენდნენ, სწრაფად მზარდი მოსახლეობით, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებს შიგნით სურსათისა და ბუნებრივი რესურსების არასაკმარისი მარაგი ჰქონდა. ამდენად, მას შიდამიგრაციისათვის დამატებითი ტერიტორიები, ასევე საკუთარი ხალხის კეთილდღეობისა და გამოკვებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწა და ნედლეული სჭირდებოდა. ამგვარი მიწა აღმოსავლეთით ჩამორჩენილ სლავებს ეკავათ, რომელთ-

აც პროდუქტიული ტერიტორიების დამუშავებისა და მოხმარების არც შესაძლებლობა ჰქონდათ და არც უნარი. მსგავსი თავხედური თეორიების გავრცელების არეალი მხოლოდ უნივერსიტეტების სალექციო ოთახებითა და გერმანული უნივერსიტეტების სამეცნიერო ჟურნალებით რომ ყოფილიყო შემოფარგლული, ისინი აკადემიურ ცნობისმოყვარეობას ვერ გასცილდებოდნენ. მაგრამ ამ თეორიით იმპერიალისტური გერმანიის პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამხედრო წრეების ელიტის გავლენიანი წევრები დაინტერესდნენ, რამაც მათ ევრაზიაზე ბატონობის მოპოვების სურვილი კიდევ უფრო გაუღვივა.

გერმანიისთვის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე საშიში მონინააღმდეგე, ევრაზიის სამხრეთ ნაწილში მრავალრიცხოვანი კოლონიებითა და ახლოს მდებარე ზღვებზე საზღვაო უპირატესობით, დიდი ბრიტანეთი იყო. არ არის გასაკვირი, რომ ამ კუნძულის მეზღვაურმა ხალხმა იმ პერიოდის განსხვავებული გეოპოლიტიკური ტრადიცია შეიმუშავა. ბრიტანელ მკვლევარ ჰალფორდ მაკინდერის მიერ 1904 წელს სამეფო გეოგრაფიული საზოგადოებისთვის წარმოდგენილ სტატიაში იგრძნობოდა ისეთი გერმანელი გეოპოლიტიკოსი მოაზროვნის გავლენა, როგორც იყო ფრიდრიხ რათცელი; პარალელურად, ნაშრომში მაკინდერმა ასევე თავისი რამდენიმე ახალი მოსაზრებაც წარმოადგინა. ნაშრომმა სათაურით „ისტორიის გეოგრაფიული ლერძი“ გეოპოლიტიკური ანალიზის მასშტაბები გააფართოვა და მთელი დედამიწა მოიცვა. მაკინდერის მიხედვით, დედამიწა შესაძლებელია გაიყოს ორ ნაწილად: „მსოფლიო კუნძულად“, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ევროპის, აზიისა და აფრიკისაგან და რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი და მდიდარია და მეორე – მის გასწვრივ დიდი კუნძულოვანი ქვეყნების ჯგუფები: ამერიკა, ავსტრალია, იაპონია და ბრიტანეთის კუნძულები. მსოფლიო კუნძულის ცენტრში, მაკინდერის აზრით, კუნძული „ჰართლენდი“ (ტერიტორია ვოლგიდან იანძიმდე და ჰიმალაიდან არქტიკამდე) მდებარეობდა. ეს დიდი ტერიტორია დაცული იყო საზღვაო შემოტყევებისგან, რადგან ის ჩრდილოეთით მოცურავე ყინულებით, სამხრეთით კი მაღალი მთებითა და უდაბნოებითაა შემოსაზღვრული; ამ ტერიტორიაზე მტრის თავდასხმა მხოლოდ დასავლეთიდან იყო შესაძლებელი, კერძოდ კი, გრძელი დაბლობიდან, რომელიც დასავლეთ ევროპას რუსეთთან აკავშირებდა. ადეკვატური ტრანსპორტირების საშუალებების არარსებობის გამო, „ჰართლენდზე“ ერთი ძალის მიერ პოლიტიკური ბატონობა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, და პირიქით, პერიოდულმა შემოჭრებმა, ავადსახსენებელი ჰუნი ატილასა და ბონაპარტეს ომების ჩათვლით, „ჰართლენდის“ ევროპულ კარიბჭეზე მუდმივი კონტროლის დამყარება შეუძლებელი გახადა, ვინაიდან ადამიანური რესურსებისა და მასალების მუდმივი მიწოდების უზრუნველყოფა იქ ვერ ხერხდებოდა.

მაგრამ, მაკინდერის აზრით, ზემოთ ნახსენები ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად, ერთი ძალის მიერ ევრაზიის ცენტრალურ ნაწილზე ბატონობის იდეა უკვე მიუღებელი აღარ იყო. მაშინ, როცა ევრაზია რკინიგზის ქსელით იფარებოდა, მაკინდერმა განაცხადა, რომ კონტინენტის ძლიერ ერს აღმოსავლეთ ევროპის კარიბჭეზე პოლიტიკური კონტროლის გაფართოებისათვის საუკეთესო შანსი ეძლეოდა, რაც ევრაზიის დარჩენილ ტერიტორიაზე და, შემდეგ კი, მთელ მსოფლიოზე ბატონობის მოპოვებას შეაძლებინებდა: „ის, ვინც იბატონებს აღმოსავლეთ ევროპაზე, იბატონებს ევრაზიის ცენტრალურ ნაწილზეც; ის, ვინც იბატონებს ევრაზიის ცენტრალურ ნაწილზე, იბატონებს მსოფლიო კუნძულზე; ის, ვინც იბატონებს მსოფლიო კუნძულზე, იბატონებს მსოფლიოზე“. ამ ხმამაღალი გამონათქვამით მაკინდერმა აღწერა გეოპოლიტიკური საშინელი სიზმარი, რომელიც ახალი საუკუნის პირველ ნახევარში ორი უძლიერესი საზღვაო ძალის მქონე ქვეყანას ესიზმრებოდა. ეს ქვეყნები იყვნენ დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები. ამ საშინელი სიზმრის პერსპექტივა იყო ის, რომ გერმანიის ან რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობა მათ მთელ ევრაზიაზე გააბატონებდა, რაც მსოფლიო ბატონობის მოპოვების საფრთხეს შექმნიდა.

მაკინდერის დოქტრინას ორი ძირითადი მოსაზრება განსაზღვრავდა, რასაც მომდევნო წლებში დიდი კრიტიკა ხვდა წილად. პირველი იყო მოსაზრება, რომ რკინიგზის საშუალებით საზღვაო ძალები, როგორც მსოფლიო ბატონობის პირველადი საშუალება, სახმელეთო ძალებმა ჩაანაცვლეს; მეორე მოსაზრების თანახმად, აღმოსავლეთ ნახევარსფეროს (მსოფლიო კუნძულს), გლობალური ძალაუფლების თვალსაზრისით, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ორივე მოსაზრება შეერთებული შტატების – როგორც პირველობისათვის მსოფლიო ბრძოლაში მონაწილე ქვეყნის – პოტენციურ როლს უგულვებლყოფდა. მაკინდერმა თავისი დოქტრინა იმ პერიოდში ჩამოაყალიბა, როდესაც ამერიკა, ესპანურ-ამერიკული ბრძოლის მოგების, კარიბისა და წყნარი ოკეანის ესპანური სამფლობელოების დაპატრონების შემდეგ, როგორც ერთ-ერთი მსოფლიო ძალა, მხოლოდ იწყებდა გამოჩენას. არსებობის პირველი 100 წლის ისტორიის მანძილზე, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, შეერთებული შტატები ატლანტის მიღმა ძალებს შორის ბრძოლისაგან განზე გადადგომას ახერხებდა. შეერთებული შტატების ევროპისაგან გეოგრაფიული იზოლაცია, ბრიტანეთის მიერ ატლანტის ოკეანის კონტროლი და აშშ-ის ჩრდილოეთითა და სამხრეთით სუსტი ქვეყნების არსებობა ამერიკელ ხალხს დასავლეთით, წყნარი ოკეანისაკენ გაფართოებისკენ უბიძგებდა. ამერიკის დასავლეთით ექსპანსია მხოლოდ აქ არ შეჩერებულა. როგორც უკვე ვნახეთ, მინისა და რესურსების მოპოვებით შთაგონებული კონტინენტის დაპყრობის სურვილი საუკუნის დასასრულს გაჩნდა. ფაქტობრივად, ეს იმპერიალისტური მისწრაფება საუკუნის დასასრულს თავდაცვითი ხა-

სიათის იყო. სატრანსპორტო რევოლუციამ დაარღვია გეოგრაფიული საზღვრები და ბრიტანეთის საზღვაო ბატონობამაც დაკნინება დაიწყო. შორეულ ქვეყნებს უკვე შეეძლოთ მძიმედ შეიარაღებული, ქვანახშირზე მომუშავე გემების საშუალებით სამხედრო ძალების დიდ მანძილზე – ოკეანეებზე გაყვანა; ამდენად, შესაძლებელი ხდებოდა შეერთებულ შტატებზე შეტევა მისი გრძელი და დაუცველი სანაპიროდან განხორციელებულიყო. საკუთარი მეორეხარისხოვანი სამხედრო-საზღვაო ძალების ორ ნაწილად (ორ ოკეანეზე) გაყოფის საჭიროება, ეროვნული საფრთხის შემთხვევაში ფლოტის ორი ნაწილის სწრაფად შეერთების შეუძლებლობა, დაუცველობის გრძნობას ბადებდა საზოგადოებაში და ზღვის მხრიდან თავდასხმას მოსალოდნელს ხდიდა, რაც თავად ამერიკულ კონტინენტზე უძლეველობისგან დიდად განსხვავდებოდა.

ზღვიდან მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხე, იმპერიულობის ეკონომიკურ უპირატესობებთან ერთად, ძლიერი ამერიკული საზღვაო ფლოტისა და სხვა ქვეყნებში მდებარე ბაზების ქსელის საჭიროებაზე მიანიშნებდა, სადაც სანავის მარაგის შევსებაც შესაძლებელი იქნებოდა. იმპერიალიზმის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ სხვადასხვა ქვეყანაზე კონტროლი მოიპოვეს. შეერთებული შტატები კი თითქოს პარალიზებული იყო და პასიურ დამკვირვებელს წააგავდა, მაშინ, როცა ევროპის დიდი სახელმწიფოები თავისუფალ ტერიტორიებს იყოფდნენ და სანაოსნო გზებზე ბატონობისათვის იბრძოდნენ.


სამხედრო-საზღვაო გაძლიერება

იმპერიალიზმის ეპოქაში ამერიკის უმოქმედობის შედეგები პირველად ამერიკელმა საზღვაო სტრატეგოსმა, ადმირალმა ალფრედ თაიერ მაჰანმა, ასახა, რომლის მიერ 1890 წელს გამოქვეყნებული ნიგნი – „საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე“, ამერიკის მიერ მსოფლიოში გაბატონების იდეის შთაგონების წყაროდ იქცა. გერმანული, იაპონური და ამერიკული სამხედრო-საზღვაო ძალების მოსვლამდე, როცა ზღვაზე ჯერ კიდევ ბრიტანეთი იყო გაბატონებული, მაჰანმა იწინასწარმეტყველა, რომ ახალი საუკუნე ისეთ მოვლენებს მისცემდა დასაბამს, რომლებიც მსოფლიოში პოლიტიკურ წონასწორობაში ძირეულ გარდატეხას შეიტანდნენ. უზარმაზარი სამხედრო-საზღვაო ფლოტები, ბაზებისა და სანავაგასამართი სადგურების გლობალური ქსელების მხარდაჭერით, ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემდა მსოფლიო პირველობისთვის უმონყალო ბრძოლა წამოეწყოთ. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელსაც არ ეყოლებოდა საკმარისი სამხედრო-საზღვაო ძალები და არ ექნებოდა ზღვებზე მათი განთავსებისა და შენარჩუნების უნარი, საუკეთესო შემთხვევაში, მეორეხარისხოვანის სტატუსი ენიჭებოდა, ხოლო, უარეს შემთხვევაში, უცხო ქვეყნის თავდასხმა ემუქრებოდა. მაჰანი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ მისი საკუთარი სახელმ-

ნიფო სნორედ ამგვარი რისკის წინაშე იდგა. მე-19 საუკუნის განმავლობაში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამერიკის ნაპირების დასაცავად იყო გამიზნული, ხოლო სამომავლოდ სახელმწიფოს ძლიერებისა და მსოფლიოში მისი პრესტიჟის გასაძლიერებლად პოლიტიკის ინსტრუმენტი უნდა გამხდარიყო.

მაჰანის ნაშრომების გავლენა საკუთარ ქვეყანაზე, პირდაპირ თუ მისი ჰეგობრების – თეოდორ რუზველტისა და ჰენრი კებოტლოჯის შუამავლობით, დადასტურებულია პოლიტიკით, რომელიც მსოფლიო ძალაუფლების სათავეებთან ამერიკის მოსვლაზე მიუთითებდა, კერძოდ: წყნარ ოკეანესა და კარიბის ზღვაში სამხედრო ბაზების ხელში ჩაგდება, პანამის არხის მშენებლობა და ოკეანეზე სამხედრო ფლოტის შექმნის გადაწყვეტილება. მაგრამ, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო მაჰანის შეხედულებები, საუკუნის მიჯნაზე ამერიკული იმპერიალიზმისა და საზღვაო-სამხედრო ძალის ხელშეწყობისას, მას საზღვარგარეთაც ფართო გავლენა ჰქონდა, კერძოდ, გერმანიაში. კაიზერმა და მისმა მთავარმა სამხედრო-საზღვაო სტრატეგოსმა, ადმირალმა ალფრედ ფონ ტირპიტცმა, მაჰანისგან მხოლოდ ის კი არ გაიგეს, რომ სამხედრო-საზღვაო ძალა თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის წინაპირობაა, არამედ ასევე ისიც, რომ დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო პირველობა დღეებს ითვლიდა. 1890-იან წლებში იაპონიისა და ამერიკის სამხედრო-საზღვაო სახელმწიფოების აღზევებამ ეს წინასწარმეტყველება უით დაადასტურა, რომ ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ბატონობას შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნახევარსფეროში წინ აღუდგა. ამ ტენდენციის შემობრუნება და საზღვარგარეთ თავისი უპირატესობის აღდგენა ბრიტანეთს მხოლოდ თავისი ზღვისიქითა ესკადრების გაძლიერებით შეეძლო. მაგრამ ზუსტად ამ დროს, გერმანიის სამხედრო-საზღვაო მშენებლობის პროგრამის დაწყებამ ბრიტანეთის უსაფრთხოებას მახლობელ წყლებში საფრთხე შეუქმნა. ამან ხელმძღვანელობა აიძულა, ბრიტანეთის კუნძულების საზღვაო მისადგომებზე კონტროლის შესანარჩუნებლად, თავისი ზღვნიქითა სამხედრო-საზღვაო ძალა კი არ გაეზარდა, არამედ, პირიქით, შეესუსტებინა.

მისი არქიტექტორების შემდგომი განცხადებებიდან ვიგებთ, რომ საზღვაო ძლიერების გაზრდისაკენ გერმანიის შემობრუნება დიდი ბრიტანეთის დაშინებას ისახავდა მიზნად, რაც დიდ ბრიტანეთს გერმანიასთან ალიანსში შესვლისკენ უბიძგებდა და საფრანგეთსა და რუსეთს შორის 1894 წელს გაფორმებული ალიანსის მხრიდან გამონეულ საფრთხეს აბათილებდა. ამის ნაცვლად, მან ბრიტანელებს ფრანგების გაშლილი მკლავებისკენ უბიძგა, რომლებმაც, როგორც დავინახეთ, ევროპაში გერმანიის წინააღმდეგ თანამშრომლობის სანაცვლოდ, ეგვიპტესთან დაკავშირებით საკუთარ პრეტენზიებზე უარი თქვეს. ამგვარად, საუკუნეების გასაყარზე, საზღვაო



აღწერდ თეიერ მაჰენი (1840-1914), ნავალიზმის მქადაგებელი: საზღვაო ომის კოლეჯში, თავის ლექციებსა და ნაწერებში მაჰენი მოუწოდებდა დიდი ამერიკული ფლოტის შექმნისაკენ, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა გიგანტური, ორთქლზე მომუშავე, დაჯავშნილი საბრძოლო გემები; ასევე, საზღვარგარეთ, ბაზებისა და სანავის შემავსებელი სადგურების შექმნას, მათი მომსახურების მიზნით. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა როგორც სამშობლოში, ასევე გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნების გამაღებულ საზღვაო შეიარაღებაში საუკუნის დასაწყისში.

ძლიერების იდეით გატაცებას ბრიტანეთის სტრატეგიულ პრობლემებს შორის, ევროპის პოლიტიკური წონასწორობის წინა პლანზე წამოწევის (თუნდაც მოკლე პერიოდით) არანინასწარგანზრახული შედეგი ჰქონდა. აშშ-ის და იაპონიის ერთდროული სამხედრო-საზღვაო გამოწვევა ლონდონში ერთსულლოვნად იქნა მიღებული და ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ძალების საზღ-

ვარგარეთ შესუსტება შედარებით უმტკივნეულო გახდა. მაგრამ, კონტინენტზე გერმანიის არსებული სამხედრო ძალისა და ევროპის წყლებში მისი სამხედრო-საზღვაო ძალის სავარაუდო გაძლიერებამ ბრიტანელ პოლიტიკოსებს შეახსენა, რომ მათი კუნძულისთვის ყველაზე დიდი საფრთხე ჩრდილოეთის ზღვიდან მოდიოდა.

საერთაშორისო ურთიერთობების გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ყველა ძირითადი სახელმწიფოს მმართველმა ელიტამ გაიზიარა, მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლის გარდაუვალობის დიდ ალბათობას, მსოფლიო ომში გადაზრდის რისკს გულისხმობდა. ამგვარად, დიდი სახელმწიფოების წინაშე კონფლიქტების (რომლებიც წამოიჭრობდა ამგვარ არასტაბილურ საერთაშორისო გარემოში) მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკური მექანიზმის შემუშავების პრობლემა დადგა. 1914 წელს, საერთაშორისო წესრიგის რღვევამდე, მსოფლიო ომის თავიდან აცილება დიდწილად საერთაშორისო კონფლიქტის დიპლომატიური მოლაპარაკებებით მოგვარების საყოველთაო სურვილით მოხერხდა. 1884-85 წწ. ბერლინის კონფერენციამ სახელმწიფოთა ექსპანსია ისეთი მიმართულებებით მიმართა, რომლებიც დიდი ძალების დაპირისპირების შანსებს საგრძნობლად ამცირებდა. მთავარი კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლების შეხვედრაზე ევროპის მიერ აფრიკის დასაპყრობად ისეთი საბაზო წესები იქნა შემუშავებული, რომელიც ყოველ სახელმწიფოს საკუთარი წილის მიღების საშუალებას აძლევდა და ომის მაპროვოცირებელი პრეტენზიების წამოჭრისგან აჩერებდა. შემდგომ, როგორც ვნახეთ, საფრანგეთსა და ინგლისს შორის ჩრდილოეთ აფრიკაში და სამხრეთ აზიაში ინგლისსა და რუსეთს შორის, ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით, ორმხრივი შეთანხმებები იქნა მიღწეული.

როდესაც დიპლომატიამ არ გაამართლა, მესამე მხარის ჩარევამ შეიარაღებული კონფლიქტების გეოპოლიტიკური შედეგების შეზღუდვა გამოიწვია. 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი, 1894-95 წწ. ჩინეთ-იაპონიის ომი და 1904-05 წწ. რუსეთ-იაპონიის ომი, არამონაწილე სახელმწიფოების დიპლომატიური ჩარევის გამო, მანამდე დასრულდა, სანამ გამარჯვებული თავისი ძირითადი მიზნების მიღწევას შეძლებდა. ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად საერთაშორისო თანამშრომლობის ტრადიციული პოლიტიკა იმპერიული ექსპანსიის ეპოქაში მთელს მსოფლიოში გავრცელდა. ის ასახავდა დიდი სახელმწიფოების მმართველი ჯგუფების ძლიერ რწმენას, რომ ომის თავიდან აცილება ან, თუნდაც, შეჩერება სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო წესრიგისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო და მათაც საკუთარ ძალაუფლებას უნარჩუნებდა. ევროპაში ეროვნული მიზნების განხორციელების პროცესში ძალადობის გამოყენების თავიდან აცილების შესახებ ამგვარი შეთანხმება ძალაში 1914 წლის ზაფხულამდე რჩებოდა.

გლობალიზაციის დასაწყისი

მაშინ, როცა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები არაორგანიზებული იმპერიული ექსპანსიით გამოწვეული დაპირისპირებების შესუსტებას ცდილობდნენ, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ზრდამ, რომელიც მსოფლიოს ძირითად სავაჭრო სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მაღალ ხარისხს მოითხოვდა, ანალოგიური პრობლემა წარმოშვა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის მთელი ეკონომიკური საქმიანობა ადგილობრივ (მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომლებმაც მოახერხეს ეკონომიკური გაცვლის სისტემაში არსებული შიდადაბრკოლებების დაძლევა) ან სახელმწიფო დონეზე ხორციელდებოდა. იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო ვაჭრობა არსებობდა, ის ფიზიკური სიახლოვით განსაზღვრულ სხვადასხვა კომერციულ რეგიონებამდე იყო შეზღუდული (როგორცაა: დასავლეთ და ცენტრალური ევროპა, რუსეთი და ბალტიის ქვეყნები, ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონი), რომლებშიც კომპლემენტარული ეკონომიკური სისტემები პროდუქტების პირდაპირი, ორმხრივი გაცვლის საშუალებას იძლეოდა. ეკონომიკური საქმიანობა შეზღუდული რეგიონალური კონტექსტის მიღმა ვერ გაფართოვდებოდა მანამ, სანამ ეკონომიკური განვითარების ორი ძირითადი საწარმოო ფაქტორი – მუშახელი და კაპიტალი – ბუნებრივი რესურსებით მდიდარ დედამიწის რეგიონებში თავისუფლად არ გადაადგილდებოდა და სანამ ამ საწარმოო ფაქტორების კომბინაციის შედეგად წარმოებულ პროდუქციას მსოფლიო ბაზრებთან თავისუფალი წვდომა არ ექნებოდა.

ადამიანებისა და ფულის მოძრაობა

1815 წელს ნაპოლეონის ომების დასრულებამ დიდ ბრიტანეთს საშუალება მისცა მისი სახელმწიფო ენერჯია ფენომენალური სამრეწველო ზრდის განახლებისაკენ მიემართა, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედში დაიწყო. მშვიდობიანი პერიოდის დაწყებამ ევროპის კონტინენტზე ასევე შეუწყო ხელი ინდუსტრიალიზაციის ზრდას, ვინაიდან სხვადასხვა სახელმწიფოს მმართველი ელიტა ეკონომიკური მოდერნიზაციის უპირატესობას აღიარებდა და ცდილობდა ბრიტანეთის წარმატებული მაგალითისთვის მიეხატა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ინდუსტრიალიზაციის გზაზე მდგომ ევროპის ქვეყნებში ჭარბი მუშახელი და კაპიტალი წარმოიქმნა. ამასობაში, საზღვარგარეთ, გარკვეულ განუვითარებელ რეგიონებში, კერძოდ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში წყნარი ოკეანის კუნძულებზე და სამხრეთ აფრიკის ზომიერი კლიმატის ზონაში, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრესთან ერთად მათი ექსპლუატაციისთვის მუშახელისა და საინვესტიციო კაპიტალის უკმარი-

სობა იგრძნობოდა. მოთხოვნისა და მიწოდების ელემენტარული ეკონომიკური კანონი ითვალისწინებდა, რომ ევროპელ მუშებს, რომლებიც თავიანთ ჭარბად დასახლებულ კონტინენტზე სამსახურს ვერ შოულობდნენ, მეჩხრად დასახლებულ ტერიტორიებზე უნდა გადაენაცვლათ, სადაც, ადგილობრივი მუშახელის დეფიციტის გამო, მდიდარი რესურსები, იაფი მიწა და მაღალი ხელფასის პირობები არსებობდა. ანალოგიურად, ევროპული ბანკები და კერძო პირები, რომელთა დაგროვილ დანაზოგს, თავიანთ ქვეყანაში ადგილობრივი კაპიტალის სიჭარბის გამო, მაღალი საპროცენტო სარგებელი ვეღარ ერიცხებოდა, იძულებული ხდებოდნენ უფრო მაღალი მოგების მისაღებად, ინვესტიციები რესურსებით მდიდარი და არასაკმარისი კაპიტალის მქონე ტერიტორიებზე, საზღვარგარეთ დაებანდებინათ.

კომერციული და ფინანსური საქმიანობის გაფართოების ამ მცდელობებს პოლიტიკურმა შეზღუდვებმა და წინაინდუსტრიული პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულმა ტექნიკურად ჩამორჩენილმა ტრანსპორტმა ხელი შეუშალა. ტარიფები, საიმპორტო კვოტები, სუბსიდიები ადგილობრივი სანარმოებისთვის და გადაზიდვის შემზღუდველი პირობები და წესები ეროვნული საზღვრების მიღმა პროდუქციის თავისუფალ გადანაცვლებას აბრკოლებდა. გამართულად მოქმედი საერთაშორისო სავალუტო სისტემის არარსებობამ ვაჭრობის მოკლევადიანი დაფინანსება და საზღვარგარეთ სანარმოებში გრძელვადიანი ინვესტირება შეაფერხა; ტრანსპორტირების იაფი, საიმედო მეთოდების ნაკლებობამ კი მუშახელის საერთაშორისო მიგრაცია შეზღუდა.

სამუშაოს საძიებლად მუშახელის თავისუფალი გადაადგილების, დანაზოგზე მაღალი პროცენტის მიღებისა და ექსპორტის ბაზრებზე გასვლის ხელისშემშლელი ფაქტორები თანდათან გაქრა საუკუნის მეორე ნახევარში. ორთქლის გემებისა და სარკინიგზო ტრანსპორტის გამოჩენამ საუკუნის შუა პერიოდში დასაბამი მისცა მასობრივ კონტინენტაშორის და ტრანსკონტინენტურ მიგრაციას, რომლის მსგავსი არ ყოფილა არც მანამდე და არც მას შემდეგ. 40 მილიონზე მეტმა აზიელმა, უმეტესად ჩინელმა და ინდიელმა მოსახლეობამ, სამშობლო დატოვა და საზღვარგარეთ სამუშაოდ გადაბარგდა. 1860-1920 წლებში 45 მილიონზე მეტმა ადამიანმა ჭარბად დასახლებული ევროპის უკიდურეს სიღარიბეს თავი დააღწია და ზღვის იქით მეჩხრად დასახლებულ ტერიტორიებზე დასახლდა. აშშ-მ მათგან ნახევარზე მეტი მიიღო, ხოლო დანარჩენები მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა და ზომიერი კლიმატის მქონე, მეჩხრად დასახლებულ ისეთ ტერიტორიებზე გადავიდნენ, როგორცაა: კანადა, არგენტინა, ბრაზილია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა. შეუერთდნენ რა წინამორბედ ემიგრანტებს, რომლებიც ამ მეჩხრად დასახლებულ მიწებზე დაფუძნდნენ, თეთრკანიანი ევრო-

პელების მომდევნო თაობებმა ძველი მსოფლიოს ეკონომიკური პრაქტიკა, სოციალური და პოლიტიკური ტრადიციები ახალ მსოფლიოში გადაიტანეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ – დასავლეთ ნახევარსფეროს ინდიელებმა და ესკიმოსებმა, ავსტრალიელმა აბორიგენებმა, ახალი ზელანდიის მაორებმა, სამხრეთ აფრიკის ბუშმენებმა – ახალი თეთრკანიანი ბატონების ქვეშ გეოგრაფიული სეგრეგაცია განიცადეს, ეკონომიკურად უმნიშვნელო და პოლიტიკურად უძლურნი გახდნენ. კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური ევროპელი მუშახელის ამ მიგრაციას საზღვარგარეთ რესურსებით მდიდარ, მეჩხრად დასახლებულ ტერიტორიებზე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ევროპელებით დასახლებული მიწების არასაკმარისი კაპიტალის მქონე მეურნეობებში, ევროპული კაპიტალის შემოღინება სდევდა თან. 1860-იან წლებში საფრანგეთი დიდი ბრიტანეთივით ძირითადი უცხოური საინვესტიციო წყარო გახდა. 1880-იან წლებში გერმანიის ახალგაერთიანებული სახელმწიფო საერთაშორისო კრედიტორის რანგში ავიდა, როცა მისმა სწრაფად მზარდმა ეკონომიკამ ჭარბი მოგების მიღება დაიწყო. საერთო ჯამში, სანარმოო სფეროში ეს გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციები ძირითადად სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებში, ზღვის გაღმა მდებარე რესურსებით მდიდარ ქვეყნებში და ევროპელების მიერ ათვისებულ ტერიტორიებზე იღებოდა. შეერთებულმა შტატებმა, რომელშიც მისი ინდუსტრიული რევოლუციის დროს პირველი ევროპული ინვესტიცია განხორციელდა, 1890-იანი წლებიდან მის რეგიონში მდებარე ქვეყნებში, მათი ეკონომიკის განვითარების მიზნით, კაპიტალის დაბანდება თავად დაიწყო. 1914 წლისათვის ამერიკის მიერ განხორციელებული უცხოური ინვესტიციების 40 პროცენტი მექსიკაზე, ხოლო თითქმის 30 პროცენტი კანადაზე მოდიოდა, დარჩენილი ნაწილი კი კარიბის რეგიონის სხვა ქვეყნებში ბანდდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინვესტიციათა უმრავლესობა მიმღები ქვეყნების ბიუჯეტის ფინანსური დეფიციტის შესავსებად გამოიყენებოდა, ინვესტიციების დიდი ნაწილი „ინფრასტრუქტურის“ განვითარებაში მაინც იღებოდა. ინფრასტრუქტურაში ის საზოგადოებრივი საშუალებები იგულისხმებოდა, რომლებიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს მათი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო სანარმოების ეფექტურად ამოქმედებისთვის სჭირდებოდათ. ეს საშუალებები იყო: გზები, რკინიგზები, პორტები, ჰიდროელექტროსადგურები, ტელეგრაფი, სატელეფონო სისტემები და ა.შ. ამ გზით ევროპელი (და, მოგვიანებით, ამერიკელი) ინვესტორები უზრუნველყოფდნენ კაპიტალს, ხოლო ევროპელი იმიგრანტები კი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ და ათვისებულ რეგიონებში უზრუნველყოფდნენ კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშახელის მოღინებას, რაც ამ ქვეყნების ეფექტურ განვითარებას უწყობდა ხელს.

საქონლის გადაადგილება

იმიგრაციასთან და უცხოური კაპიტალის ინვესტირებასთან დაკავშირებული ბარიერების გაქრობასთან ერთად, გაქრა პოლიტიკური ბარიერებიც, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობას ხელს უშლიდა. მე-19 საუკუნეში საერთაშორისო ვაჭრობას სწორედ ბრიტანეთმა გაუქვალა გზა. მსგავსი როლი მან ეკონომიკის სხვა სფეროების განვითარებაშიც შეასრულა. 1846 წელს, ინგლისში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე (ე.წ. „სიმიდის კანონები“) გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ, 1860 წელს კიდევ უფრო მეტი სატარიფო რეფორმა განხორციელდა, რამაც ბრიტანეთის საზღვრები საერთაშორისო იმპორტისათვის უფრო გახსნა და შეზღუდვები შეამცირა. მალე საფრანგეთმა, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და, მოგვიანებით, გერმანიამ დაწესებული გადასახადები იმპორტზე შედარებით გაამარტივა. თავისუფალი ვაჭრობისაკენ მიმართული ეს ევოლუცია ორმაგი შედეგით ხასიათდებოდა. პირველ რიგში, ეს განაპირობებდა საერთაშორისო ვაჭრობის საოცარ ზრდას, რაც მანამდე ისტორიაში არსებული ვაჭრობის მასშტაბებს მოცულობით ბევრად აღემატებოდა; მეორე მხრივ, ეს ყველაფერი პროდუქციის წარმოების სპეციალიზაციის განვითარებას განაპირობებდა, რაც, თავის მხრივ, მსოფლიო ვაჭრობის გაფართოების ხელშემწყობი ფაქტორი იყო. ბრიტანეთის შემთხვევა წარმოადგენდა იმის ნათელ მაგალითს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სპეციალიზაციის განვითარება და პროდუქციის თავისუფალი საერთაშორისო გაცვლა. ბრიტანეთმა ერთ-ერთმა პირველმა გააცნობიერა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო იმ პროდუქციის წარმოების განვითარება, რომელიც ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა. ბრიტანეთისათვის მომგებიანი იყო ყურადღების გამახვილება არა იმ რესურსებზე, რაც ქვეყანაში მცირე რაოდენობით (და, მაშასადამე, ძვირად) მოიპოვებოდა, არამედ რესურსებზე, რომელთა მარაგიც ქვეყანას დიდი რაოდენობით გააჩნდა (ანუ რისი წარმოება ან მოყვანა სარფიანი იქნებოდა). ამგვარად, მცირე ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ძვირად ღირებული ხორბლის მოსაყვანად, ჭარბი მუშახელის გამოყენების ნაცვლად, ბრიტანეთი სამრეწველო წარმოებაში თავისი მუშახელის დასაქმებასა და წარმოებული პროდუქციის მისთვის საჭირო სურსათზე გაცვლას ანიჭებდა უპირატესობას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბრიტანეთის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა გასამმაგდა. ბრიტანეთმა (1870-იან წლებში მაცივრის გამოგონების შემდეგ) არგენტინიდან – საქონლის ხორცის, ავსტრალიიდან – ცხვრის ხორცისა და შალის, ხოლო, ახალი ზელანდიიდან – რძის პროდუქტების იმპორტირება დაიწყო. ასევე, ბრიტანეთში სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ: რკინა, თუთია, სპილენძი, ნიკელი, ბამბა. ბრიტანეთი ამ ნედლეულისაგან საკუთარ პროდუქციას აწარმოებდა და ექსპორტზე გაჰქონდა, უმთავრესად, საფეიქრო ნაწარმი, რომელმაც 1880 წელს

ბრიტანეთის მთლიანი ექსპორტის 50 პროცენტი შეადგინა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ვაჭრობის მასშტაბების ზრდა და საერთაშორისო ინვესტიციების მატება ძირითადად საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციების მექანიზმით იყო განპირობებული, რომლის ცენტრიც ლონდონში მდებარეობდა. სწრაფად გაფართოებული საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში, იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს ფინანსური ოპერაციების განხორციელება უჭირდათ, რადგან ანგარიშსწორება დანიშნულების ადგილას საქონლის მიტანის შემდეგ მხოლოდ ნაღდი ფულით ხდებოდა. მსოფლიო მასშტაბის კომერციული საქმიანობის ხარჯების დასაფარად მოკლევადიანი სესხის ასაღებად, ისინი იმ პერიოდში ახლადჩამოყალიბებულ კომერციულ ბანკებს, სათამაშუო კანტორებსა და ცალკეულ დილერებს ხშირად მიმართავდნენ. ეს პროცედურა დიდი რაოდენობით ოქროს ან ფულის ტარების გარეშე პროდუქციის გაცვლის საშუალებას იძლეოდა, ვინაიდან ტრანსაქციათა უმრავლესობის განხორციელება ლონდონის ამ ფინანსური ინსტიტუტების საშუალებით იყო შესაძლებელი. ამასობაში კი ბრიტანეთის ბანკებში დიდი რაოდენობით კაპიტალის რეზერვების დაგროვებამ გამოიწვია ის, რომ ბანკებს გრძელვადიანი სესხების გაცემა უკვე სხვა ქვეყნების მთავრობებსა და ფირმებზეც შეეძლოთ. ლონდონის ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით, სახაზინო ვალდებულებებით და სარკინიგზო აქციებით ვაჭრობამ და მზარდმა საერთაშორისო ფინანსურმა ტრანსაქციებმა ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების საშუალო კლასებს დანარჩენი მსოფლიოს განვითარებად ეკონომიკაში ინვესტირების საშუალება მისცა.

საერთაშორისო სავალუტო სისტემის შექმნა

ვაჭრობისა და ინვესტიციების საერთაშორისო ქსელის შეუფერხებელ ფუნქციონირებაში განსაკუთრებული წვლილი სავალუტო გაცვლის პრობლემის ეფექტიანი გადაწყვეტის გზით დიდმა ბრიტანეთმა შეიტანა. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ყველა სუვერენულმა სახელმწიფომ საკუთარი ვალუტის ბეჭდვა დაიწყო, ექსპორტიორებს, რომლებიც პროდუქციას საზღვარგარეთ ყიდდნენ, უცხოური ვალუტის დიდი მარაგი უგროვდებოდათ, რომელთა გამოყენებაც, რა თქმა უნდა, მშობლიურ ქვეყნებში შეუძლებელი იყო. ამდენად, ამ ექსპორტიორებს მათ ქვეყანაში დიდი რაოდენობით დაგროვილი უცხოური ვალუტის ადგილობრივ ვალუტაში გადაცვლის გარკვეული საშუალებები სჭირდებოდათ. ამას გარდა, იმპორტიორებსაც უნდა მოეძებნათ გარკვეული გზა იმისათვის, რომ სასურველი პროდუქტი ექსპორტიორი ქვეყნის ვალუტით შეეძინათ.

დღემდე, ისტორიის მანძილზე, ყველაზე მსხვილი მოვაჭრე ქვეყნები ამაოდ ცდილობდნენ ვალუტის გაცვლის მონესრიგებას საერთაშორისო ვაჭრობის გაადვილების მიზნით. ეს მუდმივი პრობლემა ეფექტურად იქნა გადაჭრი-

ლიმეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, როდესაც ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს მსოფლიო ვალუტის ფუნქცია დაეკისრა. ამ პერიოდისთვის ყველაზე მსხვილი სავაჭრო ქვეყნები საკუთარ საერთაშორისო ანგარიშებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისას სტერლინგს იყენებდნენ. ვაჭრობასა და ფინანსების სფეროში ბრიტანეთის დანიანურებული პოზიცია სხვა ქვეყნებს სტერლინგთან მიმართებაში სტაბილურობის შეგრძნებას უქმნიდა. იმპორტიორებისა და ექსპორტიორებისათვის სტერლინგმა „ოქროს ფასი“ შეიძინა. ეს მართლაც ასე იყო. 1824-1914 წლებში ბრიტანეთი მისი ვალუტის კურსს ოქროსთან მიმართებაში მკაცრად იცავდა. ქალაქის ფულის გადაცვლა ოქროზე გაცილებით მარტივი იყო და, შესაბამისად, ყველა ქვეყნის ექსპორტიორი თუ იმპორტიორი უპირატესობას სტერლინგებით ვაჭრობას ანიჭებდა. 1870-იანი წლების დასაწყისში ევროპის ყველა ქვეყანამ, შეერთებულმა შტატებმა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანამ „ოქროს სტანდარტი“ – საკუთარი ვალუტის ოქროსთან მიმართებით ფიქსირებული ფასი – დაადგინა. ამ ქვეყნების ყველა ცენტრალური ბანკი მზად იყო ნებისმიერი რაოდენობის ოქრო დადგენილ ფასად გაეყიდა და ეყიდა. შედეგად, შეიქმნა ფიქსირებული გაცვლითი კურსის მქონე მსოფლიოს ძირითად ვალუტათა სისტემა, რომელიც აღარ იცვლებოდა, რადგან ის უკვე ოქროს საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებასთან მიმართებით განისაზღვრებოდა. საერთაშორისო ანგარიშების ასეთი ეფექტური მონესრიგება მსოფლიოში არც მანამადე და არც მას შემდეგ ახსოვთ. ვალუტის გაცვლის ორი უარყოფითი მოვლენა – არასტაბილურობა და ინფლაცია, რომელმაც მოგვიანებით არსებული ოქროს სტანდარტის დარღვევის შემდეგ თანამედროვე მსოფლიო მოიცვა, ამ პერიოდისათვის უცხო იყო.

ბრიტანეთის გლობალური ეკონომიკური ლიდერობის მიმართ არსებული გამოწვევები

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისთვის საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კომპლექსური ქსელით მჭიდროდ იქნა ინტეგრირებული, რომლის ცენტრიც ლონდონი იყო. ოქროს სტანდარტის ფართომასშტაბიანი გამოყენება საერთაშორისო საგადამხდელი ბალანსის დარეგულირების საშუალებას იძლეოდა. ბრიტანეთის ბანკები საერთაშორისო ვაჭრობას აფინანსებდნენ და რეგიონების განვითარებაში საინვესტიციო კაპიტალს დებდნენ. ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტზე მოდიოდა მსოფლიოს სავაჭრო გადაზიდვების თითქმის სამი მეოთხედი. ისეთმა ბრიტანულმა სადაზღვევო კომპანიებმა, როგორც იყო ლონდონის „ლოიდსი“, ოკეანით ტრანსპორტირების რისკიც მოხსნა. უდავოა, რომ მსოფლიო ვაჭრობის განვითარება, ინვესტიციების განხორციელება და საერთაშორისო ფულადი სისტემის ეფექტური ფუნქციონირება გაგრძელდ-

ბოდა მანამ, სანამ დიდ ბრიტანეთს მსოფლიო ბაზრებზე ვაჭრობასა და ფინანსებში ლიდერის პოზიცია შენარჩუნებული ექნებოდა. მაგრამ, როგორც კი ბრიტანეთს ამ სფეროში ერთი კონკურენტი გაუჩნდა, მისი დანიანურებული პოზიციაც შეიწყა. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის ფუნქციონირება ძირეულად არ დარღვეულა, მაინც, სისტემა გარკვეულწილად შესუსტებულ იქნა. ამის ერთ-ერთი წინაპირობა გერმანიისა და შეერთებული შტატების, როგორც პირველი რანგის მწარმოებელი ქვეყნების, გამოჩენა იყო.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში დიდი ბრიტანეთი ერთადერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ძალას წარმოადგენდა. 1914 წლისათვის გერმანიამ თუჯის წარმოებით ბრიტანეთს გაუსწრო და მის მიერ ნახშირის წარმოების ოდენობა ბრიტანეთის მაჩვენებელს თითქმის გაუტოლდა. შეერთებულმა შტატებმაც, რომელსაც 1880-იან წლებამდე არცთუ სახარბიელო შედეგები ჰქონდა, ამ თვალსაზრისით დიდი პროგრესი განიცადა. 1914 წლისათვის შეერთებული შტატები ქვანახშირის მოპოვების მხრივ მსოფლიო ლიდერი გახდა. მის მიერ წარმოებული თუჯის ოდენობამ კი ერთად აღებულ გერმანიისა და ბრიტანეთის მიერ წარმოებული თუჯის ოდენობას გაუსწრო. ბრიტანეთის მიერ ინდუსტრიულ წარმოებაში პირველობის დაკარგვის შედეგები დანარჩენ მსოფლიოს სხვადასხვა მიზეზის გამო მყისიერად არ უგრძვნია. პირველ რიგში, მის მიერ წარმოებულ პროდუქციას ამერიკის უზარმაზარი შიდაბაზარი მოიხმარდა. უფრო მეტიც, ქვეყანაში არსებული უამრავი რესურსის გამო, შეერთებულ შტატებს პროდუქციის იმპორტი აღარ სჭირდებოდა და ამიტომ ის არ იყო იძულებული საექსპორტოდ გაეტანა სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი. შედეგად, ამერიკის ექსპორტი 1911 წლისათვის მისი მთლიანი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ მ პროცენტს შეადგენდა. ამერიკული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომლის წარმოებაც, არსებული მოთხოვნის შესაბამისად, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხდებოდა, ამერიკის შუა დასავლეთ ნაწილზე მოდიოდა, რომელიც უცხოურ ბაზრებთან სამოქალაქო ომის დასრულებიდან 10 წლის შემდეგ აშენებული რკინიგზებით იყო დაკავშირებული. 1910 წლისათვის ამერიკის ექსპორტის 75 პროცენტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან ნახევარფაბრიკატების სახით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, ბრიტანეთის ექსპორტს ის უფრო ავსებდა, ვიდრე კონკურენციას უწევდა.

მეორე მხრივ კი, გერმანიას აკლდა ორივე – შიდა თავისუფალი სავაჭრო ზონა და სურსათის თვითკმარობა, რაც შეერთებულ შტატებს ჭარბად გააჩნდა. ამდენად, გერმანია იძულებული გახდა გარე ვაჭრობის გზების ძებნა დაეწყო, რაც ბრიტანეთთან კომერციული მტრობის გამომწვევი მიზეზი გახდა. უფრო მეტიც, ფოლადის პროდუქციის, ბამბის ქსოვილის, ქვანახშირისა და ქიმიური ნივთიერებების წარმოების განვითარებით გერმანიამ დიდ ბრიტანეთს პირდაპირი კონკურენცია გაუჩნია, თუმცა, ეს კონკურენცია მსოფლიო

ბაზრების ორივე მხარისათვის სასარგებლოდ გაყოფის შემდეგ შეწყდა. გერმანიამ თავისი პროდუქციის ექსპორტირება აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში დაიწყო. იმ პერიოდისათვის ეს იყო რეგიონი, რომელიც ბრიტანელ ვაჭრებს ნაკლებად აინტერესებდათ და იმპერიასთან და ლათინურ ამერიკასთან მომგებიანი სავაჭო ურთიერთობის შენარჩუნებით კმაყოფილნი იყვნენ.

მაშინაც კი, როდესაც ბრიტანეთის სამრეწველო მზა პროდუქციის ექსპორტის მოცულობა სურსათისა და ნედლეულის იმპორტის უზარმაზარ ოდენობას ჩამორჩებოდა, ვაჭრობის ბალანსის დარღვევის აღდგენა მისი „უხილავი ექსპორტის“ საშუალებით ხდებოდა. ამაში იგულისხმებოდა შემოსავალი, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციებისაგან მომდინარეობდა, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის, კორპორაციების ან ინდივიდუალური პირებისათვის განეული მომსახურების ისეთი ტიპებისაგან, როგორიცაა: საბანკო მომსახურება, დაზღვევა, გადაზიდვების განხორციელება და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრიტანეთის მიერ ფინანსური და მომსახურების სექტორებზე მონოპოლიის აღება მის საკმარის წლიურ შემოსავლებს იმისათვის განაპირობებდა, რათა მოეხდინა საკუთარი საერთაშორისო ანგარიშების დაბალანსება და საზღვარგარეთ სანარმოებში ინვესტიციების სახით ზედმეტი თანხების ხელახალი ექსპორტი. მაგრამ, უხილავ ექსპორტზე მსგავსი დამოკიდებულება, ბალანსის შენარჩუნების მიზნით, ბრიტანეთის პირველობას მსოფლიო ვაჭრობაში ფარულ საფრთხეს უქმნიდა, რაც ასევე გერმანიისა და შეერთებული შტატების სწრაფი სამრეწველო განვითარებით იყო განპირობებული. ქვეყანა, რომლის მსოფლიო ვაჭრობის წილიც 1860 წლის 25-პროცენტიანი მაჩვენებლიდან 1913 წელს 13 პროცენტზე ნაკლებ მაჩვენებლამდე დაეცა, რა თქმა უნდა, შედარებით ჩამორჩენას განიცდიდა და მისი საბოლოო ჩამორჩენა მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხი იყო, სანამ შეერთებული შტატების შიდაბაზარი ამავე ქვეყანაში ნარმოებული პროდუქციით არ გაჯერდებოდა და სანამ გერმანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ბაზრების ძიებას არ დაიწყებდა, რომლებიც მანამდე ბრიტანეთის კომერციული და ფინანსური ინტერესის საგანი იყო. გერმანიისა და ამერიკის კომერციული ექსპანსია მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ლათინურ ამერიკაში – ბრიტანეთის ტრადიციულ ბაზარზე – აშკარა გახდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ რუსეთი და იაპონია 1890-იანი წლებიდან სამრეწველო განვითარებას უკვე იწყებდნენ და, სავარაუდოდ, მოკლე პერიოდში მსოფლიო ბაზარზეც გამოჩნდებოდნენ.

ვაჭრობაში ბრიტანეთის პირველობას ასევე საფრთხეს უქმნიდა ის პოლიტიკური წინააღმდეგობები, რომლებიც მთელს მსოფლიოში კვლავ გამოჩნდა. 1879 წელს გერმანიამ თავისუფალი ვაჭრობის თავისი ხანმოკლე ექსპერიმენტი დაასრულა და მრავალი სახის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ბაჟი დაანესა. 1892 წელს საფრანგეთმაც იგივე

გააკეთა. შეერთებულმა შტატებმა ჯერ 1890-ში, შემდეგ კი 1897 წელს საბაჟო ტარიფები გაზარდა. მათ მიყვნენ ევროპის სხვა ქვეყნებიც. ასე რომ, მე-20 საუკუნის მიწურულს, პროტექციონიზმის მზარდ პირობებში, თავისუფალი ვაჭრობის ერთგულ ქვეყნებად მხოლოდ დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები რჩებოდნენ. ეკონომიკური ნაციონალიზმის ხელახალი წარმოქმნა მთავრობებზე ადგილობრივი მწარმოებლების მიერ განხორციელებული ზენოლის შედეგი იყო, რომელთაც თავიანთი მეურნეობების და წარმოებების საერთაშორისო კონკურენციისაგან დაცვა სურდათ; ეს კი ერთი მუჭა ქვეყნების მიერ ბაზრებისათვის მომავალი გლობალური ბრძოლის მომასწავებელი იყო. ხსენებულ ქვეყნებს კი ინდუსტრიალიზაციის პროცესი უკვე გავლილი ექნებოდათ. ეს პერიოდი მიუთითებდა თავისუფალი გაცვლის სისტემის დავიწყებას, რასაც მეცხრამეტე საუკუნის ახალი საერთაშორისო სისტემის გადარჩენა ეფუძნებოდა. ყოველივე ამან შექმნა პირობები ერთმანეთთან დაკავშირებული თავისუფალი ვაჭრობის სისტემის, საერთაშორისო ფინანსებისა და კონტინენტებს შორის იმიგრაციის სისტემის კოლაფსისთვის, რაც პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია.

ნაწილი პირველი

ოცდაათწლიანი ომი
(1914 – 1945)



გერმანიის ევროპაში გაბატონების მცდელობა (1914 – 1918 წლები)



გერმანელი მონარქი და ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე საჯარისო ნაწილებს ათვალიერებენ. გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II (მარცხნივ) ხმლით და უინსტონ ჩერჩილი გერმანული ჯარის მანევრებზე, პირველი მსოფლიო ომის წინ. კაიზერმა, დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილმა და ედუარდ VII-ის ძმისშვილმა, უკვე დაიწყო გერმანიის ძალების მშენებლობის პროგრამა, რომელიც გააღვივებდა ბრიტანელებს და მათ საფრანგეთთან თანამშრომლობას აიძულებდა. ჩერჩილი დემობილიზებულ იქნა 1900 წელს და ის დედოფლის საკუთარი ოქსფორდშირის ჰუსართა ოფიცერი გახდა, რომელიც მაღალი საზოგადოების ბრიტანელი ჯენტლმენების მოხალისეთა ჯგუფს წარმოადგენდა.

თავის პინაარსი
გზა არმაგადონისაკენ
ჩიხში მოქცევა და სისხლისღვრა
ჩვეოლუციური რუსეთი ომს ეთიშება
ამერიკული ინტეგრაციის მიზანები და შედეგები

გზა არმაგადონისაკენ

1914-დან 1945 წლამდე პერიოდი მეოცე საუკუნის ოცდაათწლიან ომად სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ისტორიაში ამგვარი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვა დროს არასდროს დალუპულა ამდენი ადამიანი, არ განადგურებულა ამდენი ქონება და არ გაფლანგულა ასეთი დიდი რაოდენობით ეროვნული სიმდიდრე. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა ტერიტორიებისათვის ორი მსოფლიო ომის განმავლობაში მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში მიმდინარეობდა (ძირითადად, ევრაზიის ნაწილსა და აფრიკის მცირე ნაწილზე), დასავლეთ ნახევარსფეროს ხალხები აღმოსავლეთ ნახევარსფეროს დაპყრობისათვის ბრძოლაში გარკვეულწილად მაინც ჩართულნი აღმოჩნდნენ. 20-30-იანი წლების ე.წ. ორ ომს შორის პერიოდი მშვიდობიანობის ხანად, ფაქტობრივად, არ შეიძლება ჩაითვალოს. ეს პერიოდი, როგორც ფრანგმა სამხედრო მეთაურმა ფერდინანდ ფოშმა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს იწინასწარმეტყველა, „ოცწლიან დაზავებას“ უფრო წარმოადგენდა, რომელიც ერებს შორის შუღლის ამოფრქვევით, დროდადრო ძალადობის შემთხვევებითა და სახელმწიფოებს შორის დიდი დაპირისპირებებით გამოირჩეოდა. ამავე პერიოდმა მეორე მსოფლიო ომსაც გზა გაუკვალა. ამ ოცდაათწლიანი „მშვიდობის“ მთავარი მონაწილე, ეკონომიკურად განვითარებული და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო – გერმანია იყო. ორი მსოფლიო ომი მეტწილად ამ ერის მიერ მის გეოგრაფიულ არეალში ბატონობისკენ სწრაფვით და კოალიციაში მყოფ სხვა ძლიერ სახელმწიფოებთან ძალისმიერი კონკურენციით იყო გამოწვეული. ყოველივე ამას გერმანია მშვიდობიან პერიოდში დიპლომატიური ზენოლით, ომიანობის დროს კი სამხედრო ძალით ახორციელებდა.

20-იან წლებში გარკვეულ ინტელექტუალურ წრეებში მოდური გახდა იმის უარყოფა, რომ გერმანიის იმპერიას იმ პერიოდისათვის ე.წ. „დიდი ომის“ წამოწყებაში არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ბოლო დროს გამოქვეყნებული დიპლომატიური ჩანაწერები სწავლულებისა და პუბლიცისტების მიერ კონტროლდებოდა. მათ სურდათ ეჩვენებინათ, რომ, ევროპაში ჰეგემონიის მიღწევისათვის, 1914 წლის ზაფხულში დაწყებულ ომში

გერმანიის ჩათრევაზე ფრანგების შურისძიების სურვილი, რუსების იმპერი-ალიზმი, ბრიტანელების ორპირობა, ან ყველა ერთად იყო პასუხისმგებელი. მოკავშირე სახელმწიფოების საომარი პროპაგანდის სააგენტოების მიერ გამოყენებული სისხლმონყურებული ჩაფხუტიანი ბარბაროსი ჰუნის ხატი, რომელიც ძალადაკარგულ კონტინენტს გააფთრებით ფეხქვეშ თელავდა, ომის დასრულების შემდეგ და 1918 წლის ნოემბერში გერმანიის რესპუბლიკის გამოჩენის შემდეგ, ნელ-ნელა გაქრა. მის მაგივრად კი იმპერიული გერმანიის ხატი გაჩნდა, რომელსაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მტაცებლებისგან მისი კანონიერი ეროვნული ინტერესების დაცვის გარდა არაფერი სურდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, იმპერიული გერმანიის, როგორც მსხვერპლის, ეს რევიზიონისტული კონცეფცია ისტორიკოსთა მთელმა სკოლამ უარყო, რომლის წევრებიც იმპერიალისტური გერმანიის მთავრობის დიდ საომარ, ექსპანსიურ მიზნებსა და ქვეყნის შიგნით მათ მომხრეებზე ყურადღებას ამახვილებდნენ. სკოლის ლიდერი კი გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი, პროფესორი ფრიც ფიშერი იყო, რომელმაც დამაჯერებელი ანალიზითა და არგუმენტებით გვიჩვენა, რომ მეორე რაიხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ელიტას ევროპის კონტინენტზე, შუა აზიასა და ცენტრალური აფრიკის ნაწილზე პირდაპირი და არაპირდაპირი კონტროლის დამყარების გეგმა წინასწარ ჰქონდა შემუშავებული და მის განხორციელებას ცდილობდა. ფიშერი არ კამათობდა იმაზე, რომ ისეთ მნიშვნელოვან ქვეყნებს, როგორებიც იყო: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და იტალია, ომის დროს ასევე გაუჩნდათ იმპერიალისტური ამბიციები. თუმცა, ფიშერის კვლევების თანახმად, არსებობდა ეკონომიკური აგრესიისა და ტერიტორიების მოპოვების გეგმის მრავალი მტკიცებულება, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამ პროგრამის შემუშავება და განხორციელება 1890-იანი წლების ბოლოდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე გერმანიის მმართველი კლასის მიერ ხდებოდა. ბოლო წლებში ფიშერის კვლევა დიდი კრიტიკის ქვეშ მოექცა. ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებდა, რომ 1914 წელს გერმანიის გამარჯვება ევროპას სტაბილურობასა და კეთილდღეობას მოუტანდა (რა თქმა უნდა, გერმანიის ბატონობის პირობებში, მაგრამ იარსებებდა დღევანდელი ევროკავშირის მსგავსი, ეკონომიკურად ინტეგრირებული და მშვიდობიანი სისტემა). მაგრამ, ფიშერის მიერ გერმანიის ექსპანსიური ამბიციების ყოველმხრივმა შეფასებამ დროის გამოცდას გაუძლო და ძირითადად ისტორიკოსებისა და საზოგადოების მიერ იქნა გაზიარებული. საინტერესოა გერმანიის ამ აგრესიული საგარეო პოლიტიკის წყაროების დადგენა, რაც აუცილებლად იმპერიალისტური გერმანიის შიდაძალების ურთიერთქმედებაში უნდა ვეძიოთ. ამისათვის ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ ომამდელი გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ვითარებას, რაც იმ პერიოდში გერმანიის ძლიერებას განაპირობებდა.

გერმანიის მეორე რაიხი

გერმანული რაიხის პოლიტიკური სტრუქტურა, როგორც ეს 1871 წლის ფედერალური კონსტიტუციით იყო განმარტებული, შესაძლოა აღინეროს, იუგორც პარლამენტური მონარქიის ფასადი, რომლის უკან პრუსიის რეაქციულა. მაღლარისტული და მინათმფლობელი არისტოკრატის ბატონობის ევკმ მკოფი, ავტორიტარული სახელმწიფო იყო. გერმანიის იმპერატორი პრუსიის მეფე უნდა ყოფილიყო; მეფეს კი, თავის მხრივ, მთავრობის მეთაურა (კანცლერის) დანიშნისა და გადაყენების, საზღვარგარეთთან ურთიერთობების წარმართვის, ომის დროს შეიარაღებული ძალების მართვის, ორპალატიანი პარლამენტის მონვევისა და დათხოვის, ასევე, კანცლერთან ერთად ყველა სახის შიდასაკანონმდებლო ინიციატივის წამოწყების ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. პრუსიის მიერ პარლამენტის ზედა პალატაზე (ბუნდესრატზე) არაპირდაპირი კონტროლი დიდი წარმომადგენლობითობის მქონე კომპლექსურ სისტემასა და სამხედრო საქმეებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, პრუსიელების ვეტოს უფლების ჩათვლით, შენარჩუნებულ იქნა. იმპერიული საკანონმდებლო ხელისუფლების ქვედა პალატასაც კი (რაიხსტაგი), მიუხედავად იმისა, რომ მისი არჩევა უნივერსალური ხმის მიცემის საფუძველზე პირდაპირი წესით ხდებოდა (როდესაც არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ), დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საპარლამენტო სისტემებისაგან განსხვავებით, საკანონმდებლო უფლებამოსილება არ გააჩნდა. კანცლერი ანგარიშვალდებული იყო იმპერატორის წინაშე, მის მინისტრთა კაბინეტს კი ანგარიშვალდებულია მხოლოდ კანცლერის წინაშე ჰქონდა. შესაბამისად, სანამ კაბინეტის მიმართ მემკვიდრეობითი მმართველის ნდობა არსებობდა, მთავრობას საკანონმდებლო უმრავლესობა არ სჭირდებოდა.

დემოკრატიულად არჩეულ ქვედა პალატას კანცლერისათვის მხოლოდ ქვეყნის მართვისათვის საჭირო თანხების გამოყოფაზე უარის თქმის უფლება ჰქონდა. პრუსიის ელიტისთვის მნიშვნელოვანი საკითხის – სამხედრო შესყიდვების გარშემო პერიოდული დებატები რაიხსტაგს საზოგადოებრივი ნების თავისუფალი გამოხატვის კონსტიტუციური შეზღუდვების გვერდის ავლის საშუალებას აძლევდა. მაგრამ, პირველი მსოფლიო ომამდელი წლების საკანონმდებლო ჩანაწერები გვიჩვენებს, რომ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებები ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური პარტიების აქტიურ ან უსიტყვო თანხმობასა და მხარდაჭერას იღებდა. ეს არა მხოლოდ კონსერვატიულ პარტიას – პრუსიის მინათმფლობელთა კლასისათვის (იუნკერებისთვის) მთავარ ინტერესების დამცველს შეეხებოდა, არამედ ამომრჩეველთა წარმომადგენლობით პარტიებსაც, რომელთა ინტერესები და იდეოლოგია პროტესტანტული, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო კასტის ინტერესებთან

ან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ძირითადად, ქვეყნის სამხრეთში მცხოვრები კათოლიკე უმცირესობის უფლებების დამცველ ცენტრისტულ პარტიას, ბერლინში პროტესტანტების მიერ ფაქტობრივად ოკუპირებული პოლიტიკური აპარატის წინააღმდეგ თავდაცვითი კამპანიის წამოსაწყებად კარგი მიზეზი ჰქონდა. ასევე ფიქრობდა ნაციონალური ლიბერალური პარტიაც, რომელიც ქვეყნის სამხრეთის მწარმოებელ და მოვაჭრე ბურჟუაზიას წარმოადგენდა და რომლის პოლიტიკური ლიბერალიზმისა და ეკონომიკური მოდერნიზაციის სურვილი რეაქციული, აგრარული იდეოლოგიის მქონე იუნკერების ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. დემოკრატიული პარტია – სოციალური რევოლუციის მთავარი ძალა, რომელიც სამრეწველო მუშათა კლასის ინტერესებს იცავდა და მილიტარიზმის წინააღმდეგი იყო, პრუსიელების ბატონობის ქვეშ მყოფ ქვეყანაში დაპირისპირების წარმოშობის პოტენციურ წყაროს წარმოადგენდა. თუმცა, ამ პოლიტიკურ პარტიათაგან ქვეყნის ავტორიტარული სტრუქტურისა და იმპერიის აგრესიული საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ კამპანია არცერთს არ წამოუწყია. ცენტრისტული პარტია იმპერიალისტური სისტემის მითითებების განმახორციელებელი პარტია გახდა მას შემდეგ, რაც ბისმარკის მიერ 1870-იან წლებში ეკლესიის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია შეჩერდა და ქვეყნის სამხრეთში მცხოვრებ კათოლიკეებს თავიანთ რწმენასთან დაკავშირებული ნეს-ჩვეულებების განხორციელებაში ხელს აღარავინ უშლიდა. ნაციონალურ-ლიბერალურმა პარტიამ მისი დემოკრატიული პრინციპები კლასის ინტერესებს შესწირა, არადემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შეეგუა და, ეკონომიკური მიზნების გამო, ქვეყნის ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას მხარი დაუჭირა (ნაციონალ-ლიბერალური პარტიის ეს ეკონომიკური მიზნები ქვემოთ მოკლედ იქნება აღწერილი). სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც 1912 წლისათვის რაიხსტაგის ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტია გახდა, ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვან და საუკეთესოდ ორგანიზებულ სამრეწველო მუშათა კლასს წარმოადგენდა. მაგრამ გერმანელი მუშათა კლასი, 1880-იან წლებში ბისმარკის სოციალური დაზღვევის პროგრესული სისტემის შედეგად, იმპერიის ერთგულ კლასად გადაიქცა. სისტემით გათვალისწინებული უპრეცედენტო სამედიცინო დაზღვევა და პენსია, რასაც 1890-იან წლებში ქარხნებში ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემოღება მოყვა, გერმანულ პროლეტარიატს, მეზობელი ინდუსტრიული ქვეყნების მუშათა კლასთან შედარებით, მეტ ეკონომიკურ სარგებელსა და უკეთეს სამუშაო პირობებს უქმნიდა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კლასთა შორის კონფლიქტის რიტორიკა სერიოზულად არ მიუღია და ლოიალურ ოპოზიციურ პარტიად გადაიქცა, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ არა აშკარად, მაგრამ მაინც მხარს

უჭერდა არადემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას, რომლისგანაც მისთვის ხმის მიმცემი მუშათა კლასი დიდ ეკონომიკურ სარგებელს იღებდა.

იმპერიალისტური გერმანიის პოლიტიკური სტრუქტურის ავტორიტარულობა გერმანიის ეკონომიკური სისტემის ორი განმაცვიფრებელი მახასიათებლით იყო განპირობებული, რაც მას სხვა ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური სისტემებისაგან მკვეთრად განასხვავებდა. პირველ რიგში, აღმოსავლეთპრუსიული სასოფლო-სამეურნეო ინტერესები და დასავლეთის მიმართ ინდუსტრიული, სავაჭრო და ფინანსური ინტერესები გერმანიაში ერთმანეთს საუკეთესოდ ერწყმოდა. მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში (მაგ. ინგლისში) ინდუსტრიალიზაცია მიწათმფლობელთა კლასის ხარჯზე განხორციელდა, გერმანიაში ინდუსტრიული რევოლუცია სოფლის მეურნეობისა და დიდი ინდუსტრიის ჰარმონიული, ფართომასშტაბიანი თანამშრომლობით ხასიათდებოდა, რაც ამ უკანასკნელის განვითარებას სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გარეშე განაპირობებდა. გერმანიის ეკონომიკის ორივე სექტორში მთავრობის მიერ 1879 წელს დაწყებული პროტექციონისტული ვაჭრობის პოლიტიკას ემხრობოდნენ და მისგან სარგებელსაც იღებდნენ. აღმოსავლეთ პრუსიის სასოფლო-სამეურნეო მამულები რუსეთისა და ამერიკის მარცვლეულის კონკურენციის მიღმა აღმოჩნდნენ, რაინლენდ-ვესტფალიის რეგიონში მდებარე მძიმე მრეწველობა კი საკუთარ პროდუქციას შიდაბაზარზე ყიდდა. „ჭვავისა და ფოლადის თანამშრომლობამ“ პრუსიულ იუნკრებს ინგლისის მიწათმფლობელი აზნაურების ბედი თავიდან ააცილა, რადგან მისი ალტერნატივა იყო სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენა ან, ბიზნესპარტნიორობისა და ჰარმონიული ურთიერთობის დამყარების გზით, ინდუსტრიულ კლასთან ურთიერთობა.


გერმანიის ეკონომიკის მეორე განმაცვიფრებელი მახასიათებელი მე-20 საუკუნის დასაწყისში მისი ცენტრალიზების მაღალი დონე იყო. გერმანიის მძიმე ინდუსტრიის მთავარ სექტორში (თუჯი, ფოლადი, ქვანახშირი, ქიმიური და ელექტროტექნიკური პროდუქცია) რამდენიმე გიგანტი ფირმა იყო გაბატონებული, რომელთაც, იმ პერიოდისათვის სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებულ სექტორთაგან განსხვავებით, წარმოების პროცესისა და დისტრიბუციის კონტროლის ძლიერ განვითარებული სისტემა გააჩნდათ. მძიმე მრეწველობის კარტელიზაციას აქტიურად უწყობდა ხელს იმპერიული ხელისუფლება რიგი სუბსიდიებისა და პროტექციონისტული ზომების მეშვეობით. ამავე დროს გერმანიის ფინანსური სისტემაც იმავე პროცესებს განიცდიდა. 1913 წლისათვის 4 ყველაზე დიდი საბანკო სახლი ქვეყნის კაპიტალის რეზერვების 65 პროცენტს აკონტროლებდა და „ურთიერთმეგობრული“ დირექტორატის სისტემის საშუალებით რაინლანდ-ვესტფალიის კომპლექსის ოლიგოპოლურ ინდუსტრიულ ფირმებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

ეკონომიკური და სტრატეგიული სადარდებელი

პირველ მსოფლიო ომამდე, ეკონომიკური ძლიერების ერთად კონცენტრირებამ, რომელიც მძიმე ინდუსტრიას, სოფლის მეურნეობასა და მთავრობასთან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ფინანსურ სფეროს აერთიანებდა, საუკუნის ბოლო მეოთხედში უდიდესი ეკონომიკური განვითარება განაპირობა. სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ გერმანიამ კონტინენტზე მის მეტოქეებს და დიდ ბრიტანეთს მნიშვნელოვნად გაუსწრო, რომელიც წარმოების სფეროს თვალსაზრისით ევროპაში ყველაზე ძლიერი ეკონომიკური ძალა იყო. თუმცა, სტატისტიკა ამ ეკონომიკური დინამიკის საფრთხის მომასწავებელი იყო: 1887 – 1912 წლებში, მაშინ, როცა გერმანიის ექსპორტი ყოველწლიურად 185,4 პროცენტით იზრდებოდა, იმპორტი 243,8 პროცენტით მალა იწვედა. იმპორტის ეს დრამატული ზრდა წარმოების მაგნატებსა და მთავრობას მიუთითებდა, რომ ქვეყანა დიდად დამოკიდებული ხდებოდა უცხოური წარმოშობის სანარმოო ნედლეულსა და სურსათზე. თანაბრად დამაბნეველი იყო გერმანიის საგარეო ვაჭრობის მიმართულების გადატანა ევროპიდან სამხრეთის შორეულ ბაზრებსა და მონარაგების წყაროებისაკენ.

მდგომარეობა, თავისთავად, დიდი განგაშის მიზეზს არ წარმოადგენდა. სხვა თუ არაფერი, დიდმა ბრიტანეთმა მოახერხა წარმატებისათვის მიეღწია მაშინ, როცა ის, თავისი ჭარბი პროდუქციის ექსპორტის სანაცვლოდ, შორეული ქვეყნებიდან შემოტანილ იმპორტზე იყო დამოკიდებული. თეორიულად, გერმანიას სავაჭრო დეფიციტის შევსების მიზნით მხოლოდ ექსპორტის ზრდა სჭირდებოდა, რაშიც გერმანიის წარმოების სფეროს წარმომადგენლები საფრთხესაც ხედავდნენ. მომავალში ეს ეკონომიკური განვითარების გადაულახავი დაბრკოლება იქნებოდა. მსოფლიოს ბაზრებზე შეღწევა, დომინირება და მათზე მონოპოლიის მოპოვება სამი გლობალური ძალის მიერ უკვე ხდებოდა: შეერთებული შტატები – ლათინურ ამერიკაში, დიდი ბრიტანეთი – აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში და სამხრეთ აზიაში და (შედარებით ნაკლები ხარისხით) საფრანგეთი – დასავლეთ აფრიკაში, ბალკანეთსა და რუსეთში. მოსალოდნელი იყო, რომ შორეულ აღმოსავლეთში ეკონომიკური კეთილდღეობის მოპოვებისათვის შეჯიბრში რუსეთისა და იაპონიის იმპერიები მალე ჩაერთვებოდნენ. ამ სიტუაციაში, გერმანიას წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის წყაროების, სურსათის პროდუქტების მოპოვებისა და ახალი ბაზრების ძიებისას სწორი ხედვა სჭირდებოდა.

მე-20 საუკუნის შემდეგ, გერმანიის თითქმის ყველა მცდელობა – მისი ეკონომიკური ძალაუფლება გასცდენოდა მისი ტრადიციული საქმიანობის სფეროს საზღვრებს, თითქმის ყოველთვის იმედგაცრუებით სრულდებოდა. ჩრდილოეთ აფრიკის, ბალკანეთის სახელმწიფოებისა და თურქეთის იმპერიის ბაზრებზე შეღწევისას, გერმანიას ბრიტანეთისა და საფრანგეთის



შლიფენის გეგმა პირველ მსოფლიო ომში

ფირმები უნევედნენ კონკურენციას, რომელთაც ამ ქვეყნის ბაზრებზე მანამდე უკვე კარგად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. 1914 წლამდე, ორი ათწლეულის განმავლობაში, საფრანგეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და, განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიისათვის ინვესტიციების მთავარი წყარო გახდა, ვინაიდან რუსეთი ინდუსტრიალიზაციის პირველ ფაზაში შედიოდა. ეს ფინანსური ურთიერთობები გერმანიაში ბადებდა შიშს, რომ აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე სლავური ქვეყნები, ხოლო დასავლეთით ტრადიციული მტრები – გალები, ალყაში მოაქცევდნენ გერმანიას. ოსმანთა იმპერიაც კი, რომელიც გერმანიის ეკონომიკური ამბიციების პირველადი სამიზნე იყო, უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დიდი რაოდენობით ბრიტანული და ფრანგული კაპიტალის ნაკადს იღებდა. ევროპასა და შუა აღმოსავლეთში ეკონომიკური „ალყის“ შიში გამძაფრდა, გერმანიის შეხედულებით, რომ დანარჩენი მსოფლიო არაფორმალურად დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, შეერთებული შტატებისა და იაპონიის ეკონომიკური ინტერესების სფეროების შესაბამისად იყო დანაწილებული.

გერმანიის ეკონომიკური განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორებთან დაკავშირებულ მღელვარებას სამხედრო წრეებში გაჩენილი შეხედულება ემატებოდა, რომლის თანახმადაც, საფრანგეთისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების გაერთიანების შემთხვევაში, გერმანია ევროპაში სტრატეგიული უპირატესობის დაკარგვის ზღვარზე აღმოჩნდებოდა. 1894 წლის საფრანგეთისა და რუსეთის შეთანხმება გერმანიაში ქვეყნის სტრატეგიკოსებს დიდ ტვირთად დაანვა, რომლის არიდებაც ბისმარკის დიპლომატიის საშუალებით წარმატებით ხორციელდებოდა და რომელიც ორ ფრონტზე ომის თავიდან აცილებას ითვალისწინებდა. საფრანგეთი და რუსეთი გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთს დაეხმარებოდნენ, მაგრამ გერმანული სამხედრო ძალების აღმოსავლეთითა და დასავლეთით გადანანილების საშიში პერსპექტივა გერმანიას არ აწყობდა და ამიტომ საფრანგეთის სწრაფად დაჩოქება აუცილებელი იყო. საფრანგეთში წარმატებული შეჭრა 1870 წელს განხორციელდა, მაშინ, როდესაც საფრანგეთს აღმოსავლეთით მოკავშირე არ ჰყავდა. გრაფმა ალფრედ ვონ შლიფენმა, რომელიც 1892 წლიდან 1906 წლამდე იმპერიის გენერალური შტაბის მეთაური იყო, საომარი გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც საფრანგეთისა და რუსეთის მოკავშირეობით გამონვეული სტრატეგიული საფრთხე დაძლეული იქნებოდა. გეგმის მიხედვით, გერმანული საომარი ძალების კონცენტრირება დასავლეთით უნდა მომხდარიყო, რადგან არსებობდა მოლოდინი, რომ საფრანგეთის მცირერიცხოვანი ჯარის დამარცხება ექვსი კვირის განმავლობაში იქნებოდა შესაძლებელი, რის შემდეგაც, სანამ რუსები მოახერხებდნენ გერმანიის დაუცავ, აღმოსავლეთ საზღვრებთან მიღწევას, გერმანული მრავალრიცხოვანი ჯარის აღმოსავლეთ ფრონტზე, რუსეთის ჯართან შესახვედრად გადაყვანა მოხდებოდა. შლიფენის გეგმა ორ, კრიტიკული მნიშვნელობის, ფაქტორზე იყო დამყარებული. პირველი, გერმანიისათვის, საფრანგეთთან შედარებით, ჯარის რაოდენობრივი უპირატესობის შენარჩუნება აუცილებელი იყო; მეორე – რუსეთის იმპერიას, მისი სუსტი სახმელეთო სატრანსპორტო სისტემის პირობებში, მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის გერმანიის ტერიტორიაზე სწრაფი გადასროლა არ შეეძლო. გერმანულ სამხედრო სტრატეგოსებს ორი ახალი გარემოება აძინებდა. პირველი ის, რომ 1913 წელს საფრანგეთმა ეროვნული სამხედრო სამსახური ორიდან სამ წლამდე გაზარდა. ეს ნიშნავდა იმას, რომ, მოსახლეობის მცირერიცხოვნობის მიუხედავად, საფრანგეთი მაინც შეძლებდა ფრონტის წინა ხაზზე გამოეყვანა იმ რაოდენობით ჯარი, რა რაოდენობაც გერმანიას 1915-1916 წლებში ეყოლებოდა. მანამდე, რუსეთის მთავრობამ საფრანგეთის დახმარებით რკინიგზების მშენებლობის სტრატეგიული პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც ცენტრალურ რუსეთს ქვეყნის დასავლეთის საზღვართან აკავშირებდა. ის ფაქტი, რომ რუსეთის ჯარში ჯარისკაცთა რაოდენობა მშვიდობიანობის პერიოდში უფრო

მეტი იყო, ვიდრე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარისკაცთა რაოდენობა ერთად აღებული და ის გარემოება, რომ მომავალში ერთ დღესაც ამ მრავალრიცხოვანი ჯარის სწრაფად გადაადგილება გერმანიის საზღვართან შესაძლებელი იქნებოდა, შლიფენის გეგმას სარისკოს ხდიდა და ბერლინის სამხედრო წრეებში გარკვეულ მღელვარებას იწვევდა.

პრევენციული ომის საბაბი

გერმანიას, ფაქტობრივად, ეკონომიკურ ალყაში მოსახვედრად და სამხედრო სისუსტის გააზრებიდან პრევენციული ომის იდეის მხარდაჭერამდე ერთი ნაბიჯიღია რჩებოდა. საფრანგეთის წინააღმდეგ, 1870 წლის მსგავსად, სწრაფი და მოულოდნელი დარტყმის მიყენების სურვილი მძაფრდებოდა, ვინაიდან, ამ ქმედების 2-3 წლით გადადების შემთხვევაში, ევროპაში გერმანიის დანიანურებულ მდგომარეობას შესაძლოა ფატალური შედეგები გამოეღო. რუსეთისა და საფრანგეთის სახით კონტინენტზე ორი უძლიერესი ძალის ჩამოშორების შემდეგ, გერმანიას, მისი სამხედრო და ეკონომიკური მოთხოვნების შესაბამისად, ძალთა წინასწარი შეცვლის შესაძლებლობა ეძლეოდა. ეკონომიკური ექსპანსიისა და პრევენციული ომის წამოწყების იდეას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა გერმანული საზოგადოების გავლენიან წრეებში, რომელთაც მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და პროფესიული ინტერესები ამოძრავებდათ. ჯარის ოფიცერთა კორპუსი, პანგერმანული ლიგის ექსპანსიონისტური იდეების მქონე პირებთან ერთად, ტერიტორიული ანექსიის განხორციელებას მოითხოვდა, რითაც გერმანია ორი საფრთხის – საფრანგეთისა და რუსეთის – ერთდროულად ჩამოცილებას შეძლებდა. სამხედრო ფლოტის ლიგის პროპაგანდის შედეგად, ფლოტის მაღალი ეშელონებიც დიდი ბრიტანეთის ფლოტის ბადალი სამხედრო ფლოტის აშენებისა და საზღვარგარეთ არსებული ქვანახშირით მისი უზრუნველმყოფი ნავსადგურების ხელში ჩაგდების იდეას ემხრობოდნენ. მძიმე მრეწველობისა და უმაღლესი საფინანსო წრეების ინტერესთა დამთხვევა მთავრობას კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევდა, დიპლომატიური ზენოლით და, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებითაც კონტინენტის რესურსებსა და ბაზრებზე პრივილეგირებული წვდომა ჰქონოდა, რაც გერმანიის ეკონომიკას, მისი დინამიკური განვითარების შენარჩუნებისათვის, ძლიერ სჭირდებოდა.

სწორედ ამ, ყველასთვის მღელვარების მომგვრელ, პერიოდში, 1914 წლის ზაფხულში, გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთსა და ბალკანეთის დამოუკიდებელ სამეფოს – სერბეთს შორის კონფლიქტი მომნიშვნელოვანად რამაც რაიხს საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ პრევენციული ომის წამოწყების შესაძლებლობა შეუქმნა. 28 ივნისს, ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში, სამხედრო წვრთნებზე დასწრებისას, ჰაბსბურგის ტახტის მემკვიდრე, ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლეს. ბოსნია იყო თურქეთის ერთ-

ერთი ყოფილი პროვინცია ბალკანეთში, რომელშიც 1878 წელს ავსტრია-უნგრეთის ჯარი შევიდა და 1908 წლისათვის მისი სრული ანექსია მოახდინა. ამ ჩრდილოეთ რეგიონში გერმანიის იმპერიის შეღწევას დაპირისპირება არა მარტო მისი სლავი მოსახლეობის მხრიდან მოყვა, არამედ – საზღვარს მიღმა მცხოვრები მათი ეთნიკური ნათესაეების მხრიდანაც, რომლებიც ოცნებობდნენ უფრო დიდ და ძლიერ სერბეთზე, რომელშიც ორი დაპყრობილი პროვინცია შევიდოდა. ერცპერცოგისა და მისი მეუღლის მკვლელობის კონსპირაციის დეტალები და ამ მკვლელობაში სერბეთის სამხედრო დაზვერვის თანამონაწილეობა დიდი ხნის მანძილზე არ გამოვლენილა და, ამდენად, მას ავსტრია-უნგრეთის მთავრობის ამ შემთხვევის საპასუხოდ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენა არ მოუხდენია. იმ დროისათვის დაზუსტებული და ცნობილი იყო ის, რომ მკვლელები ეთნიკური სერბები იყვნენ და მათ მიერ ამ დანაშაულის ჩადენა ჰაბსბურგის იმპერიაში გავრცელებული პანსლავისტური იდეებით იყო გამოწვეული. ავსტრია-უნგრეთის შესეუერებმა იმპერიის ერთობისთვის საფრთხის ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთის ხელსაყრელი გარემოების გამოყენება და საფრთხის შექმნაში მონაწილე მეზობელ ქვეყანაზე იერიშის მიტანა გადაწყვიტეს.

გერმანიის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ სერბეთის წინააღმდეგ ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ოპერაცია ევროპაში მისი სლავი პროტყეს სახელით ცნობილი რუსეთის ჩარევასაც გამოიწვევდა. რუსეთის პრესტიჟსა და ძალაუფლებას ბალკანეთში ადრეც დიდი დარტყმა მიაღდა, როდესაც 1908 წელს რუსეთი ავსტრიის მიერ თურქეთის ორი ყოფილი პროვინციის ანექსიას უსიტყვოდ დაეთანხმა. ამ პროვინციების გაერთიანებას ბელგრადიდან მართული, სამხრეთის დიდ, სლავურ სახელმწიფოში პანსერბული იდეოლოგიის მქონე პირები ცდილობდნენ. რუსეთის მხრიდან მსგავს უმოქმედობას მეორედ არავინ მოელოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჰაბსბურგის იმპერია ბალკანეთზე კონტროლს აძლიერებდა, რითაც რეგიონში ერთადერთ პრორუსულ სლავურ სახელმწიფოს ავინროებდა. უდავო იყო ისიც, რომ ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის ომი კონკურენციაში მყოფი იმ მოკავშირე სისტემების პირობების ამოქმედებას გამოიწვევდა, რომელთაც ეს ორი იმპერია ეკუთვნოდა და მთელი კონტინენტი შეიარაღებული კონფლიქტის ზღვარზე აღმოჩნდებოდა. ამ შედეგების სრულად გაანალიზების შემდეგ, ბერლინმა ვენა განზრახ წააქეზა, რათა მას 23 ივნისს ბელგრადისათვის მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებული დამამცირებელი ულტიმატუმი წაეყენებინა, რომლის სრული დაკმაყოფილებაც სერბეთის მთავრობის სუვერენული სტატუსის მსხვერპლმწიფის გარეშე შეუძლებელი იყო. უფრო მეტიც, გერმანიის მთავრობამ აუნყა ავსტრიის მთავრობას, რომ შესაბამის მხარდაჭერას აღმოუჩინდა და ბრიტანეთის მთავრობის მიერ ამ ორმხრივი დაპირისპირების მოგვარების მცდელობის საბოტაჟი დაიწყო.

ალიანსების ჩართვა

28 ივნისს, ულტიმატუმის ვადის ამონურვის შემდეგ, ავსტრიამ სერბეთს ომი გამოუცხადა, რის შედეგადაც მომდევნო დღეს სანქტ-პეტერბურგმა ავსტრიის წინააღმდეგ რუსეთის ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. თუმცა, რუსეთის მეფემ და მისმა პოლიტიკურმა გარემოცვამ მალე შეიტყო, რომ მათ გენერლებს ცალკე ავსტრიის წინააღმდეგ საომარი გეგმა არ ჰქონდათ, რადგან სჯეროდათ, რომ გერმანულენოვან ერთ იმპერიასთან ომი მეორესთან ომსაც აუცილებლად გამოიწვევდა. რუსეთის მეფე გამაფრთხილებელი ზომების მიღების აუცილებლობაში მაინც დაარწმუნეს და მან, ავსტრიასთან მოსალოდნელი ომის დროს გერმანიასთანაც რუსეთის საზღვრის დაცვის მიზნით, 30 ივლისს სრული მობილიზაციის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული კრიზისის დროს, სამხედრო დაგეგმვისა და მომზადების, სამოქალაქო ლიდერების ქცევისა და მათი გადაწყვეტილებების შებოჭვის პირველი შემთხვევა იყო. იგივე მოხდა მაშინ, როცა გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ ბერლინში მთავრობას შეახსენა, რომ გერმანიის საომარი გეგმა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ომს კი არაა, არამედ საფრანგეთზე შეტევასაც გულისხმობდა, რათა ის ომიდან მანამ გამოეყვანათ, სანამ გერმანია მისი ძალების კონცენტრირებას აღმოსავლეთით, რუსეთის წინააღმდეგ მოახდენდა. ბერლინმა პარიზს „ულტიმატუმი“ წაუყენა. ბერლინის მიერ პარიზისთვის წაყენებული ულტიმატუმი, ისევე როგორც ბელგრადისადმი ვენის ულტიმატუმი, აშკარად მიუღებელ პირობებს შეიცავდა და, ფაქტობრივად, ომისთვის მიზეზს წარმოადგენდა: მომავალი გერმანია-რუსეთის ომის განმავლობაში საფრანგეთს აბსოლუტური ნეიტრალიტეტის გამოცხადება მოეთხოვებოდა, რის დასამტკიცებლადაც მას ტულისა და ვერდენის ციხესიმაგრეები დროებით გერმანიისათვის უნდა გადაეცა. 1914 წლის ივლისის ბალკანეთის კონფლიქტი ევროპული მასშტაბის კონფლიქტში გადაიზარდა. ბერლინმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ პრევენციული ომის წამოწყების შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა. რამდენადაც გერმანიას სამხედრო უპირატესობა გააჩნდა, მას საფრანგეთისა და რუსეთის გაერთიანებული ძალების დამარცხებისათვის საუკეთესო შანსი გაუჩნდა. ორ-სამ წელიწადში კი ეს შესაძლებლობა შესაძლოა დაკარგულიყო.

მომავალ ომში საფრანგეთისა და რუსეთის მხარდასაჭერად ბრიტანეთის ჩართვა ბერლინის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა, რადგან გერმანიის ზოგიერთ ოფიციალურ პირს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ, თუ რუსეთს საბრძოლო მობილიზებას პირველს აიძულებდნენ (როგორც განხორციელდა კიდეც), ბრიტანეთი რუსეთის დახმარებაზე უარს იტყვოდა, რადგან რუსეთის მობილიზაცია მის მიერ აგრესიული ომის წამოწყების წინაპირობად ჩაითვლებოდა. უფრო რეალისტურად მოაზროვნე მოღვაწეებმა კი იცოდნენ, რომ დასავლეთით გერმანიის საომარი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა

საფრანგეთის შეჭრას ბელგიის მთებში, ბრიტანეთის ომში ჩართვას გამოიწვევდა. ეს შეფასება 1839 წლის შეთანხმებით გათვალისწინებულ ბელგიის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ბრიტანეთის სურვილზე არ იყო დაფუძნებული. ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, მსგავსი ვალდებულებების გამოცხადება გერმანიის მიერ ძალიან მარტივად შეიძლებოდა, რამდენადაც გერმანია ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტიის მიმცემი მხარე თავადაც იყო. ომში ბრიტანეთის ინტერვენცია გარდაუვალი იყო, რადგან მისი პოლიტიკის მიხედვით, ლა-მანშის განაპირა ქვეყანაზე კონ-



ტროლის დამყარება არცერთ ქვეყანას არ შეეძლო, რადგან ეს ბრიტანეთის კუნძულებს დაპყრობის საფრთხეს შეუქმნიდა. გერმანიის მიერ ბრიტანეთის ომში ჩართვის აღბათობა გულგრილად იქნა მიღებული, რადგან არსებობდა მოლოდინი, რომ, 1870 წლის ომის მსგავსად, ესეც მცირე ხანგრძლივობის ომი იქნებოდა. შლიფენის რედაქტირებული გეგმის მიხედვით, ექვსკვირიანი კამპანიის განმავლობაში ბრიტანეთის საბრძოლო ფლოტი გერმანიის მიერ საფრანგეთის სამხედრო დაპყრობის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა. ბრიტანეთის 150 000-კაციანი მცირე ჯარი არაფერს წარმოადგენდა გერმანიის 1.5 მილიონ ახალწვეულთან შედარებით, რომლებიც საფრანგეთის წინააღმდეგ უნდა დარაზმულიყვნენ. საფრანგეთის დამარცხებითა და ბრიტანეთის სამხედრო ძალის განეიტრალებით კონტინენტზე, გერმანია რუსეთის წინააღმდეგ ომს წამოიწყებდა, რითაც აღმოსავლეთ ევროპაში მის სამხედრო ძლიერებას ბოლოს მოუღებდა. ბრიტანეთისათვის კი, რომელთანაც გერმანიას სერიოზული დავა არ ჰქონია, გერმანიას შესაძლოა მშვიდობა შეეთავაზებინა, რაც კონტინენტზე გერმანიის ბატონობის დადასტურება იქნებოდა.

გერმანიის ომის მიზნები: „Mitteleuropa“ (ცენტრალური ევროპა)

ავვისტოს პირველ დღეებში, ომში, იტალიის გარდა, ევროპის ყველა წამყვანი სახელმწიფო ჩაერთო. მალევე ამ ქვეყნების მთავრობებმა ომთან დაკავშირებული მიზნების გაჟღერება დაიწყეს. პირველი, ვინც სამხედრო გამარჯვების შედეგად მისალწვევი მიზნების შესახებ საუბარი დაიწყო, გერმანიის მთავრობა იყო. კანცლერი თეობალდ ფონ ბეთმან-ჰოლვეგი ომის დაწყებასთან დაკავშირებით შიდათანხმობის მოპოვებას და ომის გამართლებას ცდილობდა. ეს განსაკუთრებით 1914 წლის გერმანიის პოლიტიკური სიტუაციის კოტექსტში იყო საჭირო. როგორც მანამდე აღვნიშნეთ, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც სამხედრო ხარჯების წინააღმდეგი იყო და საერთაშორისო თანამშრომლობას ემხრობოდა, 1912 წლისათვის რაიხსტაგის უძლიერესი პარტია გახდა; სოციალისტური პროფკავშირები იმპერიული გერმანიის ყველაზე მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მემარცხენე საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან თანხმობის მოსაპოვებლად, მთავრობას უნდა მოეხერხებინა, რომ სოციალ-დემოკრატებსა და სხვებს ომის წამოწყების აუცილებლობა ელიარებინათ. კარგად იყო ცნობილი, რომ გერმანიის მემარცხენე ძალები დამპყრობლური ომების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ დამპყრობელისგან – თავის დაცვის მომხრენი. მთავრობამ მოახერხა სოციალისტი ლიდერები დაერწმუნებინა, რომ გერმანიის ომს მეფის რუსეთის წინააღმდეგ „თავდაცვითი“ ხასიათი ჰქონდა. 4 ავვისტოს სოციალ-დემოკრატები სხვა პოლიტიკურ პარტიებს შეუერთდნენ და რაიხსტაგში „პარტიული დაზავება“ გამოაცხადეს. ამდენად, ომის დასაწყისისათვის შიდაერთიანობა გერმანიაში უკვე უზრუნველყოფილი იყო.

პოლიტიკური პარტიების ერთსულოვანი თანხმობის მოპოვების შემდეგ, „დაცვითი ხასიათის ომისა“ და „მეტოქე ქვეყნების მიერ გერმანიის ალყაში მოქცევის გეგმის“ შესახებ საჯარო რიტორიკამ უკანა პლანზე გადაინაცვლა; ნაცვლად კი, კონტინენტზე მომავალი სამხედრო აგრესიისა და ეკონომიკური კონკურენციის თავიდან აცილების „გარანტიების“ მიღების შესახებ საუბრები დაიწყო. ამდენად, დაცვითი რიტორიკა, რომელიც გერმანიის მემარცხენეებისათვის და შიდაოპოზიციის განეიტრალების მიზნით გამოიყენებოდა, თანდათან კონტინენტზე გაბატონებული პოზიციის მოპოვების ამბიციის გამოსატყვამი გადაიზარდა. გერმანიის მთავრობის საომარი მიზნები პირველად 1914 წლის 9 სექტემბერს, კანცლერ ბეთმან-ჰოლვეგის განცხადებაში დაკონკრეტდა. საომარ მოქმედებებში არსებული დროებითი გადახრებისა და მოდიფიკაციების მიუხედავად, ეს „სექტემბრის პროგრამა“ გერმანიის სამხედრო მიზნების საფუძვლად რჩება ბოლშევიკურ რევოლუციამდე და, შედეგად, რუსეთის ომიდან გაყვანამდე. ამას კი, გერმანიის მიერ ევროპის ეკონომიკური ექსპანსიის ომის დასაწყისისათვის, გერმანიის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული უფრო გრანდიოზული სქემის აღწერა მოყვებოდა.

გერმანიის მთავრობის სექტემბრის პროგრამა დიდი ოპტიმიზმის პერიოდში გერმანიის სამხედრო და ეკონომიკური ომის მიზნების მონახაზს ასახავდა. გერმანიის ჯარს დასავლეთით ინგლის-საფრანგეთის ჯარი უკვე თითქმის დამარცხებული ყავდა, მაგრამ, სამხედრო გეგმის მიხედვით, საფრანგეთის სამხედრო ძალის სრული განადგურება იყო საჭირო, რაც გერმანიის საზღვრის მიღმა საფრანგეთის მთავარი ციხესიმაგრეებიანი ტერიტორიის ანექსიით უნდა მომხდარიყო. გეგმა ასევე ლა-მანშზე საფრანგეთის მთავარი პორტების ხელში ჩაგდებას და ფინანსური ბარიერების შექმნას ითვალისწინებდა, რის შედეგადაც ახლო მომავალში საფრანგეთისათვის საკუთარი სამხედრო ძალების აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა. ბელგიას მისი სტრატეგიული ციხესიმაგრეების ჩაბარებისა და ფლანდრიის სანაპიროზე გერმანული ბაზების (რომელიც, ლა-მანშზე საფრანგეთის ნავსადგურებთან ერთად, მნიშვნელოვანი ბარიერი იქნებოდა ბრიტანული სამხედრო ძალის კონტინენტზე ხელახალი გამოჩენისათვის) აშენების შესახებ მონოღება გაეგზავნებოდა. საფრანგეთისა და ბელგიისათვის მსგავსი დამსჯელობითი სახის მონოღებით, რუსეთი „გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარს მაქსიმალურად შორი მანძილით უნდა ჩამოშორებულიყო და არარუს ხალხებზე მისი ბატონობა საბოლოოდ უნდა გამქრალიყო“. ძლიერ სახელმწიფოთა სიიდან საფრანგეთის ამოშლა, კონტინენტის საქმეებიდან დიდი ბრიტანეთის გათიშვა და რუსული ძალის ევროპიდან განდევნა, გერმანიას ჰეგემონ ქვეყნად აქცევდა, რის შემდეგაც გერმანიას საფრანგეთისათვის ორმხრივი თანამშრომლობის პაქტი უნდა შეეთავაზებინა, ბრიტანეთისათვის კი ორი არჩევანი – ომიდან

გასვლა ან საფრანგეთისა და ბელგიის პორტებიდან დანყებულნი საჰაერო დარტყმების ატანა.

ევროპაში გერმანიის ჰეგემონიის ამ სამხედრო გეგმასთან ახლოს იყო კონტინენტზე ეკონომიკური ბატონობის პროექტი, რომელიც გერმანელ ბანკირთა ჯგუფისა და წარმოების სფეროს ლიდერების მიერ იქნა შემუშავებული და რომელსაც ვალტერ რათენაუ (ელექტროინდუსტრიის კარტელის წამყვანი ფიგურა) და არტურ ფონ გვინერი („დოიჩე ბანკის“ დირექტორი) ხელმძღვანელობდნენ. გერმანიის ინდუსტრიისა და უმაღლესი საფინანსო სფეროს ამ წამყვანი პირების მოტივაციას საფუძვლად ედო შიში იმისა, რომ, სანამ მათ ქვეყანას შეერთებული შტატების (ლათინური ამერიკით), აღმოსავლეთით კი ბრიტანული გიგანტური ეკონომიკური ბლოკებისათვის და რუსული კოლოსისათვის სათანადო კონკურენციის გასაწევად ევროპის მთელი კონტინენტის რესურსებსა და ბაზრებზე კონტროლის მოპოვება არ შეეძლო, ის ეკონომიკური უკუსვლისათვის იქნებოდა განწირული. გერმანიის მიერ კონტროლირებადი კონტინენტური ბლოკი უნდა ყოფილიყო ე.წ. „Mitteleuropa“ – (ცენტრალური ევროპა). ეს ზოგადი ტერმინი გულისხმობდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების გაერთიანებული საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებას, საფრანგეთის ლორენის (ლოტარინგიის) რკინით მდიდარი საბადოების ანექსიას, ბელგიისა და ლუქსემბურგის ეკონომიკის ხელში ჩაგდებას და ევროპული საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც საბაჟო შეთანხმების საშუალებით გერმანულ-ანგლო-უნგრულ ბლოკს საფრანგეთთან, იტალიასთან, ბელგიასთან, ნიდერლანდებთან, დანიასთან და ევროპის სხვა დამოუკიდებელ ქვეყნებთან დააკავშირებდა.

ამ წამყვან ფიგურათა მთავარი მიზანი იყო გერმანიის მძიმე მრეწველობისათვის საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა – არასაკმარისი ნედლეულის, განსაკუთრებით კი, ფოლადის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მარაგით უზრუნველყოფა. რურის რეგიონისა და ზემო სილეზიის მაღალი ხარისხის კოქსვადი ქვანახშირის დიდი მარაგის მიუხედავად, გერმანიის ფოლადის წარმოება, ომამდელ პერიოდში, ფრანგული ლორენის რკინის მადანზე გახდა დამოკიდებული, რომელიც ზუსტად გერმანიის საზღვრის მეორე მხარეს მდებარეობდა. 1914 წელს გერმანული რკინის მადნის რეზერვები 2,3 მილიარდი ტონის ტოლი იყო, მაშინ, როცა საფრანგეთის რკინის მარაგი 8,2 მილიარდ ტონას უტოლდებოდა (საიდანაც 2,755 მილიარდი საფრანგეთის ლორენის მიმდებარე სექტორში მოიპოვებოდა). ამდენად, საფრანგეთის მადნის საბადოების ანექსიის შედეგად, გერმანიის რკინის მადნის რეზერვების 2-ჯერ ზრდა იყო მოსალოდნელი, საფრანგეთის რკინისა და ფოლადის წარმოება კი ომის შემდგომ პერიოდში გერმანიის პოტენციური კონკურენტი ვეღარ იქნებოდა.

გერმანიისათვის სხვა რეგიონებიც მიმზიდველ სამიზნეებს წარმოადგენდნენ. გერმანიის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლები ბელგიის რკინის

მადნის საბადოების ხელში ჩაგდებას და პოლონეთისა და სამხრეთ რუსეთის ქვანახშირის, რკინის, მარგანცის, ნავთობისა და მარცვლეულის მარაგზე კონტროლის მოპოვებას ემხრობოდნენ. ბელგიისა და პოლონეთის ეკონომი-



„ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი. ჩაენერე ჯარში“. 1915 წლის პოსტერი, რომელზედაც ბრიტანელი ჯარისკაცია გამოსახული, ჯარში გაწვევის საპარლამენტო კომიტეტის პოსტერების ფონზე. მოხალისეთა არმიის გაზრდის ერთადერთ საშუალებად პროპაგანდა და დარწმუნება რჩებოდა. დასავლეთის ფრონტზე წარუმატებლობის შემდეგ, შეიარაღებული ძალების შესავსებად, ბრიტანეთი იძულებული გახდა მიეღო კანონი საყოველთაო გაწვევის შესახებ.

კური ღირებულება იმდენადვე დიდი იყო, რამდენადაც სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან ამ ქვეყნებზე გერმანული კონტროლი ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ძალას დასავლეთში, რუსეთს კი აღმოსავლეთში გაბატონების საშუალებას არ მისცემდა. ბელგიის ანექსიის მრავალი გეგმა არსებობდა, რომელიც სტრატეგიული ციხესიმაგრეებისა და პორტების სამხედრო დაპყრობას, ტრანსპორტის სისტემის კონტროლს, საბაჟო და სავალუტო გაერთიანებას გერმანიასთან და პოლანდიურ ენაზე მოსაუბრე ფლამანდიისა და ფრანგულად მოსაუბრე ვალონიის ორ ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფას გულისხმობდა. გართულდა გერმანიის კლიენტ-სახელმწიფოდ აღმოსავლეთში პოლონეთის აღდგენა გერმანიის პოზენისა და დასავლეთ პრუსიის ტერიტორიებზე ჭარბი რაოდენობით პოლონელი მოსახლეობის გამო, რომლისთვისაც აღდგენილი პოლონეთის სახელმწიფო მიმზიდველი იქნებოდა. ზოგიერთის აზრით, ამ პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა გერმანიიდან პოლონელების დეპორტაცია, რუსულ სექტორში მათი გადაყვანა და გერმანელი კოლონისტებით მათი ჩანაცვლება, რომლებიც, სლავების წინააღმდეგ ბარიერის შესაქმნელად, გერმანიის აღმოსავლეთით „სასაზღვრო ზოლს“ დააარსებდნენ.

1914 წლის შემოდგომაზე, ომის გერმანული გეგმის ჩავარდნასთან ერთად, გერმანიამ გააცნობიერა, რომ უახლოეს მომავალში ამ ამბიციური სამხედრო და ეკონომიკური მიზნების მიღწევა მხოლოდ შეიარაღებული ძალების საშუალებით შეუძლებელი იყო. ბრიტანეთის ინტერვენციამ და პარიზის წარმატებულმა თავდაცვამ, აღმოსავლეთით კი რუსეთის მოულოდნელმა მობილიზაციამ, სტაბილური ფრონტი და გრძელი დამლელი ომი განაპირობა. 1914 წლის შობის დღესასწაულისათვის, შვეიცარიის საზღვრიდან ლამანშამდე გადაჭიმული ჩრდილოეთ საფრანგეთისა და ბელგიის უწყალო მინა ერთმანეთთან დაკავშირებული მიწისქვეშა გვირაბებისა და სანგრების ქსელმა მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ომი აღმოსავლეთში მეტი მობილურობითა და ტერიტორიების ხშირი გაცვლებით ხასიათდებოდა, ზამთრის პერიოდის უხვთოვლობის გამო ისიც ჩიხში მოექცა.

ჩიხში მოქცევა და სისხლისღვრა

ტრუზში იმის შესახებ, რომ „გენერლებმა უკანასკნელი ბრძოლა უნდა იბრძოლონ“, თანაბრად ეხება უმაღლესი რანგის ყველა სამოქალაქო პირს. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ მსოფლიო ომის დროს უფლებამოსილ პირებზეც იგივე ვრცელდებოდა. 1914 წელს საომარ მოქმედებებში ჩართული სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ევროპაში სიმშვიდის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. იმ პერიოდში, გერმანიისა და იტალიის პოლიტიკურ გაერთიანებასთან ერთად, 1859-1871 წლებში მომხდარი ომებიც შემორჩა

მეხსიერებას. ეს იყო ხანმოკლე, შეზღუდული პოლიტიკური მიზნების მქონე მობილური მოქმედებები, რომელთა შედეგებიც ისეთი მოკლევადიანი ტექნიკური ფაქტორებით იქნა განპირობებული, როგორებიც იყო დაბნეული ტაქტიკა და მობილიზაციისა და ქვეითი ჯარის გადაადგილების ეფექტიანობა. ეს კონფლიქტები მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა და ბრძოლის ველის მიღმა არსებულ სამოქალაქო ცხოვრებაში მხოლოდ მცირედ არეულობას იწვევდა. ამ ისტორიული გამოცდილების გამო, გრძელვადიანი კონფლიქტის გადაჭრის გეგმის შემუშავება პირველ მსოფლიო ომში ჩართულ არცერთ ქვეყანას საჭიროდ არ მიუჩნევია. მაგრამ, 1914 წლის შემოდგომაზე, ფრონტებზე დაპირისპირებული ქვეყნების საბრძოლო ძალების მიერ პოზიციების გამაგრებამ სრულიად ახალი საომარი მოქმედებების ტიპის გაჩენა განაპირობა. ბრძოლის ველზე ჯარების შეჯახება სწრაფად დაჩრდილა ხალხებს შორის კონფრონტაციამ. ისტორიაში ეს პირველი ტოტალური ომი გახდა, რომლის დროსაც ბრძოლის ველზე მიმდინარე მოვლენები სამოქალაქო პირებზე პირდაპირ აისახებოდა, რამაც ახალი ტერმინი – „საშინაო ფრონტი“ წარმოშვა. საზოგადოების ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებამ მეტოქე ქვეყნების ინსტიტუტების რევოლუციური ტრანსფორმაცია გამოიწვია.

ტოტალური ომით განპირობებული ყველაზე ფუნდამენტური შიდა ტრანსფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზება და ერთ რეჟიმში მოქცევა იყო. ევროპის მმართველმა ელიტამ სწრაფად გააცნობიერა, რომ განუსაზღვრელი ხანგრძლივობის ომის წარმატებით წარმოებისთვის საჭირო იყო ომთან დაკავშირებული პროდუქციის უპრეცედენტო რაოდენობითა და მასშტაბებით წარმოება და დისტრიბუცია. საომარი საშუალებების მარაგის არასაკმარისი რაოდენობისა და საჭირო რაოდენობით საარტილერიო ჭურვების წარმოების შეუძლებლობის მნიშვნელობა ომში ჩართულმა ყველა ერმა გააცნობიერა. ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშების ჯარში განწევამ სასურსათო პროდუქტების წარმოების სერიოზული შემცირება გამოიწვია. ბრიტანეთის მიერ საზღვაო ბლოკადის შედეგად „ცენტრალურ“ სახელმწიფოებს უცხოური სასურსათო პროდუქტების წყაროებსა და ნედლეულზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ. ინდუსტრიული თვალსაზრისით საფრანგეთის ყველაზე განვითარებული ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონის გერმანიის მიერ დაპყრობამ საფრანგეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსებისა და ქარხნების გარეშე დატოვა. გერმანიის მიერ ბალტიის ზღვის, ხოლო დარდნელის სრუტის გერმანიის მოკავშირის – თურქეთის მიერ ჩაკეტვამ, ზამთრის პერიოდში (მაშინ, როცა წყალი არქტიკისა და წყნარი ოკეანის პორტებში იყინებოდა) რუსეთს აუცილებელი მასალების იმპორტის შესაძლებლობა შეუზღუდა. ვინაიდან კერძო სექტორს მომარაგების კრიზისის გადაწყვეტა დამოუკიდებლად არ შეეძლო, მთავრობებმა საომარ მოქმედე-

ბებთან დაკავშირებული წარმოებისა და დისტრიბუციის ყველა მიმართულებაზე ფართომასშტაბიანი კონტროლის დაწესება დაიწყეს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსებისა და ტრანსპორტის საშუალებების ეკონომიური გამოყენება, ფუფუნების საგნების წარმოების აკრძალვის შესახებ კანონი, შემცველი მასალებისა და სინთეტიკის გავრცელება, სურსათის და საწვავის მოხმარების რაციონალიზაცია და საზღვარგარეთთან ვაჭრობის კონტროლი – ეს ყველაფერი ინდუსტრიულ, სასოფლო-სამეურნეო და კომერციულ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევას წარმოადგენდა. მუშახელის ნაკლებობა და სოციალური მდლევარება იძლეოდა საბაზს, შემუშავებულიყო კანონი, რომლის მიხედვითაც პროფკავშირების საქმიანობა მკაცრად იზღუდებოდა. დაწესდა უფრო ხანგრძლივი სამუშაო დღე, ქალებსა და კვალიფიკაციის არმქონე მუშებს კი ომისათვის საჭირო პროდუქციის მწარმოებელ ქარხნებში მუშაობის უფლება მიეცათ.

შიდწარმოების და სამუშაო ძალის მობილიზაციას კაპიტალის მობილიზებაც მოჰყვა. უცხო ქვეყნებში თანხების ტრანსაქციებზე მკაცრი კონტროლი დაწესდა, რითაც შიდაკაპიტალის საზღვარგარეთ გადინება უნდა შეჩერებულიყო. გაზრდილმა გადასახადებმა და ძვირფასი ქალაქების გაყიდვამ შიდაბაზარზე საომარი პერიოდის ეკონომიკის კაპიტალზე მუდმივად ზრდადი საჭიროების დაკმაყოფილება ვეღარ უზრუნველყო. ნედლეულისა და სურსათის უცხოურ წყაროებზე დამოკიდებულების ზრდამ, საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახადა, უცხო ქვეყნების მთავრობებისა და კერძო კორპორაციებისაგან შესყიდული ფასიანი ქალაქები სესხად აეღო, რომელთაც მთავრობები ღია ბაზრებზე ყიდდნენ და მიღებულ თანხებს აუცილებელი პროდუქტების შესაძენად იყენებდნენ ისეთი ნეიტრალური ქვეყნების ბაზრებზე, როგორებიც იყო: შვედეთი, შტატები, შვეიცარია და სკანდინავიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები.

მსგავსი რეჟიმის შემოღებამ ომამდელი პერიოდის ეკონომიკური ურთიერთობების შედარებით ლიბერალური პირობები უხეშად დაარღვია. ინდივიდუალურ მოქალაქეებს აღარ ჰქონდათ თავისუფლება, თავიანთი საქონელი და მომსახურება იმ კლიენტისათვის მიეყიდათ, რომელიც ყველაზე მეტს გადაიხდიდა; მათ ასევე მიღებული თანხების საკუთარი სურვილის შესაბამისად ინვესტირება აღარ შეეძლოთ. ბიზნესს მისი კომერციული მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტირებისა და ექსპორტის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. სახელმწიფოს საომარი პერიოდის საჭიროებებმა თავისუფალი ბაზარი შეცვალეს, როგორც შეზღუდული რაოდენობის რესურსების, მუშახელისა და კაპიტალის განაწილების მექანიზმი. მექანიზებული ძალების მიერ წარმართული, ერთი შეხედვით, დაუსრულებელი ომის პერსპექტივა აქცენტს ქვეყნის ეკონომიკურ ორგანიზაციაზე აკეთებდა, რომლის მიხედვითაც, უპირობო გამარჯვებას მიაღწევენ ქვეყნები, რომლებიც დიდი რაოდენობით

ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას და გამოყენებას ყველაზე ეფექტიანად შეძლებდნენ. სახმელეთო ომში გარღვევის, გარკვეულ ტერიტორიებზე შეღწევისა და ხელში ჩაგდების პერიოდულ მცდელობებს მხოლოდ და მხოლოდ მძიმე არტილერიისა და ტყვიამფრქვევების მეშვეობით ადამიანების განადგურება მოჰქონდა შედეგად. უშედეგო შეტევების გამო, სიკვდილიანობამ შემადრწუნებელ მაჩვენებლებს მიაღწია: სომას ბრძოლაში, 1916 წლის პირველი ივლისიდან 18 ნოემბრამდე, 400 000 გერმანელი, 400 000 ბრიტანელი და 200 000 ფრანგი დაიღუპა. იმავე წელს, გერმანელებმა საფრანგეთის ციხესიმაგრე ვერდენს ათი თვით ალყა შემოარტყეს, რაც გერმანიას 336 000 ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად დაუჯდა; საფრანგეთის ჯარის წარმატებულმა თავდაცვამ კი 350 000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. 1917 წელს პასხენდაელში მხოლოდ და მხოლოდ 45 კვადრატული მილის ფართობის ტალახიანი და ხერელებით დაფარული ტერიტორიის დასაკუთრებისას, 370 000-ზე მეტი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა.



სამი ბრიტანელი ჯარისკაცი სანგარში, ცეცხლის ქვეშ, პირველი მსოფლიო ომის დროს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და მძიმე არტილერიით გამოწვეული მსხვერპლის გამო, ომის დასაწყისში ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ სანგრებში დაბრუნებულიყვნენ. ცეცხლისგან თავდასაცავ მიწისქვეშა თავშესაფარში მყოფნი დროდადრო „ზემოდან“ ცეცხლის გარღვევის ბრძანებას იღებდნენ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მსხვერპლს.

ტყვიამფრქვევების გამოყენებით შექმნილი ვითარების საპასუხოდ, ორივე მხარე ცდილობდა ტექნოლოგიური განვითარების ახალი გზის აღმოჩენას, რომლის საშუალებითაც ცეცხლის ძალას მობილურობა დაუპირისპირებოდა. 1903 წელს შეერთებულ შტატებში წარმატებით გამოცდილი თვითმფრინავი, რომელიც საომარ ვითარებაში პირველად იტალიელმა თურქეთის წინააღმდეგ 1911 წელს გამოიყენეს, თავდაპირველად მხოლოდ დაზვერვისთვის იყო გამიზნული. არცერთი მხარე არ უშლიდა ხელს მეორის დაზვერვით ფრენებს, სანამ ნათელი არ გახდა, რომ ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია ხმელეთზე დაპირისპირებული ჯარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ამის შემდეგ მეტოქე მხარეებმა ერთმანეთის თვითმფრინავების განადგურება დაიწყეს, რისთვისაც თვითმფრინავების კაბინებზე ტყვიამფრქვევი მაგრდებოდა. პოლანდიელმა საჰაერო ინჟინერმა ანტონი ფოკერმა გერმანიისათვის სამხედრო ინოვაცია, საბრძოლო თვითმფრინავი გამოიგონა. თუმცა, სახმელეთო ბრძოლისათვის გმირობის მუხტისა და მიმზიდველობის გარდა, საჰაერო დუელები რეალურ გავლენას ბრძოლის შედეგებზე ვერ ახდენდნენ. გერმანიის მიერ დიდი ბრიტანეთის დაბომბვის მასშტაბებიც კი (რომლის შედეგადაც 1300 ადამიანი დაიღუპა, 3000 კი დაშავდა და დიდი მატერიალური ზარალიც განიცადეს), ხმელეთზე ჩვეულებრივი იარაღის საშუალებით განადგურების მასშტაბებთან შედარებით, გაცილებით დაბალი იყო. თვითმფრინავთა მცირე ზომა და ჭურვების არაზუსტი მიზანი საჰაერო ომის მიერ მდგომარეობის ჩიხიდან გამოყვანას ხელს უშლიდა.

ტექნიკური სიახლე, რომელმაც შეტევას კვლავ დაუბრუნა უპირატესობა პოზიციაზე გამაგრებულ ტყვიამფრქვევებთან ჭიდილში, ბრიტანელმა პოლკოვნიკმა ერნესტ სუინტონმა გამოიგონა. მისი იდეა, მტრისაგან დაცვის ჩათვლით, რთულ რელიეფებზე ტყვიამფრქვევების გადაადგილების უზრუნველყოფაში მდგომარეობდა, რაც იარაღის მუხლუხაჯაჭვიან ტრაქტორებზე დამაგრებით ხორციელდებოდა და რომელიც მძიმე არტილერიის გასანევადად გამოიყენებოდა ფრონტის ხაზს მიღმა და ჯავშნით იმოსებოდა. ბრიტანეთის მიერ შემოღებულმა და გამოყენებულმა ტანკებმა (ასე უწოდეს უცნაური აგებულების აპარატებს) სახმელეთო საომარ მოქმედებებში რევოლუცია მოახდინა და დასავლეთის მოკავშირეებს მტრის ფლანგებში შეღწევის საშუალება მისცა. თუმცა, 1917 წლის ნოემბერში, კამბრეს ბრძოლაში ბრიტანელების მიერ ყუმბარმტყორცნების პირველი წარმატებული გამოყენების მიუხედავად, წარმოსახვის ნაკლებობის გამო, მოკავშირეები ახალ იარაღს სრული დატვირთვით ვერ იყენებდნენ. ყუმბარმტყორცნების ეფექტურობა მხოლოდ 1918 წლის აგვისტოში, გერმანიის ბოლო გაბრძოლებისას გამოჩნდა, როდესაც ბრიტანეთის მეოთხე არმიამ 450 ახალი ტანკი გამოიყვანა და გერმანიის თავდაცვითი ხაზები ამიენის მახლობლად გაარღვია. ეს იყო მოკავშირეთა კონტრშეტევა, რამაც ომს წერტილი დაუსვა.

პოლიტიკური და ეკონომიკური ომი

ბრძოლის ველზე ადამიანების უაზრო ხოცვამ, სამოქალაქო მოსახლეობის ეკონომიკურ სირთულეებთან ერთად მეტოქე ქვეყნების მოსახლეობის სულსკვეთება სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. რამდენადაც გამარჯვების პერსპექტივა ქრებოდა, საომარ ვითარებაში მყოფი მთავრობები იძულებულნი იყვნენ შეემუშაებინათ საშუალებები, რითაც თავიანთ მოსახლეობას დაარწმუნებდნენ, რომ ამ მსხვერპლის გაღება მათთვის ღირდა, მეტოქის ბანაკისათვის კი – არა. ქვეყნის შიგნით სულსკვეთების შენარჩუნება ომის მიმართ შიდაპოლიტიკური კრიტიკის ჩახშობის საჭიროებას განაპირობებდა. ამდენად, 1915 წლის სექტემბერში რუსეთის მეფემ საომარ პერიოდში დუმა დაითხოვა. გერმანიაში გენერალური შტაბის პოლიტიკურმა ბიურომ კი ნამდვილი სამხედრო დიქტატურა დააწესა. 1917 წლისათვის ინგლისის პრემიერმინისტრ დევიდ ლოიდ ჯორჯსა და საფრანგეთის პრემიერ ჟორჟ კლემანსოს საგანგაშო ვითარებაში უპრეცედენტო ძალაუფლების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნდათ, რაც საპარლამენტო ქვეყნებში დაუშვებელი იყო. ისინი, საომარი კაბინეტების საშუალებით, საიდუმლო ვითარებაში მართავდნენ ქვეყანას. აღმასრულებელი ხელისუფლების კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების შესუსტების პარალელურად, პრესისა და საზოგადოებისაგან ოპოზიციის იზოლირებაც ხდებოდა. გაზეთებისა და ჟურნალების ცენზურა ომის სანინაალმდეგო განწყობის გამოხატვისა და დალუპულთა შესახებ ზუსტი მაჩვენებლების გამოქვეყნების შესაძლებლობას არ იძლეოდა. მიიჩნეოდა, რომ ის პირები, რომლებიც უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურში განვევაზე სხვადასხვა მორალური მიზეზების გამო, ან მტრის მიმართ სიმპათიაში ეჭვმიტანილები, მტრის მხარეს იყვნენ. მათ აკავებდნენ, ან მათ სამოქალაქო თავისუფლებას სხვა სახით ზღუდავდნენ.

პოლიტიკური ბრძოლა მტრის ზურგს უკან ომის ადრეული პერიოდის დანვე დაიწყო, ზუსტად ისე, როგორც გერმანიის მთავრობის მიერ იყო გათვლილი. ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერიებში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეთნიკური, რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით უკმაყოფილო ჯგუფები გერმანიისათვის პროპაგანდის ეფექტური სამიზნეები აღმოჩნდნენ. ამ სტრატეგიის პირველადი სამიზნე ჩრდილოეთ აფრიკის, ეგვიპტის, ინდოეთისა და სამხრეთ რუსეთის ისლამური მოსახლეობა იყო. გერმანიის იმპერატორმა დამასკოში, 1898 წელს საჯარო გამოსვლისას, თავი დედამინაზე მცხოვრები 300 მილიონი მუსლიმის „დამცველად“ გამოაცხადა. 1914 წლის 2 აგვისტოს სამხედრო მოკავშირეობის გაფორმებას გერმანიასა და ოსმანთა იმპერიას შორის, შედეგად სულთანის მიერ (რომელიც ამავე დროს იყო ხალიფა, ანუ მუსლიმთა რელიგიური ლიდერი) ჯიჰადის, ანუ წმინდა ომის გამოცხადება მოჰყვა, რომელსაც მუჰამედის მიმდევრები შეუერთდნენ და ეს ყველაფერი ევროპელი ქრისტიანი

ბატონების წინააღმდეგ აჯანყებაში გადაიზარდა. გერმანიის ფინანსური სუბსიდიები ისლამური, ეროვნული მოძრაობების ხაზინას ხმარდებოდა, რომელიც ლონდონის, პარიზისა და სანქტ-პეტერბურგის რეჟიმების წინააღმდეგ იყო მიმართული. მსგავსი კამპანია ასევე გერმანიის მთავრობის მიერ მეფის იმპერიის არარუს ქრისტიანებს შორის აჯანყების გამოწვევისათვის იყო წამოწყებული. ემიგრანტები რუსული პოლონეთიდან, ფინეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან და სომხეთიდან გერმანიის ოფიციალური პირებისაგან იღებდნენ სუბსიდიებს და მოძრაობებისათვის წახალისებას, რომელთაც ისინი რუსეთის ზენოლისგან „ეროვნული განთავისუფლებისათვის“ იყენებდნენ. ამავ დროს, გერმანიის მთავრობა შვეიცარიასა და სკანდინავიაში რუსი პოლიტიკური ემიგრანტების სხვადასხვა რევოლუციურ ჯგუფებს აფინანსებდა. მათ შორის ყველაზე დიდი პარტია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია (უფრო მეტად ცნობილი, როგორც ბოლშევიკური პარტია) იყო, რომელიც ევროპის მუშათა კლასის პარტიებს შორის იყო ერთადერთი, რომელიც თავიდანვე აქტიურად უწევდა წინააღმდეგობას მისი მთავრობის საომარ მზადებას და საკუთარ ქვეყანაში სოციალური რევოლუციის განხორციელებას დაჟინებით მოითხოვდა.

გერმანიის მთავრობის მრავალმხრივ პროპაგანდისტულ კამპანიას ორმაგი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო ძალების ამბოხებულთა წინააღმდეგ ოპერაციებში, ფრონტის ხაზს მიღმა, ჩათრევა, მეორე მხრივ, საკუთარი თავის „ჩაგრული ხალხების“ დამცველად და ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლების მოპოვებაში მონივნად ქვეყნად წარმოჩენა (ძირითადად ნეიტრალურ ქვეყნებში, როგორც იყო შეერთებული შტატები და მტრის ბანაკის პროგრესულ ძალებში). ომის პირველი სამი წლის განმავლობაში, გერმანიის ეს მცდელობა ანტანტის („თანხმობის“) ქვეყნებში წარუმატებელი აღმოჩნდა. ირლანდიის 1916 წლის დამოუკიდებლობისათვის უშედეგო „სააღდგომო აჯანყება“, რომელმაც ბერლინისაგან აქტიური მხარდაჭერა მიიღო შაშხანების, ტყვიამფრქვევების, საომარი და ფეთქებადი საშუალებების მიწოდების სახით, ამ დაკარგული შესაძლებლობის თვალსაჩინო მაგალითია.

გერმანიის მიერ კონტინენტური, ეკონომიკური და სამხედრო ბლოკის შექმნის ორმაგმა სტრატეგიამ, რომელიც ბერლინის მიერ გაკონტროლდებოდა და რომელიც ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერიების დეზინტეგრაციასაც ისახავდა მიზნად, სამთა ანტანტის ქვეყნების მხრიდანაც მრავალი საწინააღმდეგო ზომების გატარება გამოიწვია. მართლაც, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ, როგორც ფიშერი აღნიშნავდა, გერმანიის მსგავსად (რაზეც თავის დასაწყისში ვისაუბრეთ), ანტიგერმანული კოალიციის წევრმა ქვეყნებმა თავიანთი საომარი გეგმები სწრაფად შეიმუშავეს, რომლებიც აგრესიულობის დონითა და მასშტაბებით გერმანიის

საომარ გეგმებს ნააგავდა. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, მოკავშირე მთავრობებმა, ცენტრალური ძალების ეკონომიკური საფუძვლების შერყევის მიზნით, ეკონომიკური თანამშრომლობის გაგრძელების ომისშემდგომი გეგმა შეიმუშავეს. მათი ეს სტრატეგია, ანტანტის პოლიტიკური სტრატეგიის მსგავსად, გერმანული "Mitteleuropa"-ს (შუაევროპა) პროექტის წინააღმდეგ კონკურენტუნარიან გამოწვევას წარმოადგენდა. დიდმა ბრიტანეთმა ოსმანთა იმპერიაში არაბი მუსლიმების მიერ განსახორციელებელი რევოლუციის ნაქეზებას მიჰყო ხელი. საფრანგეთმა მისი პოლიტიკური საბრძოლო კამპანია ავსტრია-უნგრეთის მმართველობის მიერ დასუსტებული ეროვნული ჯგუფებისაკენ მიმართა (ძირითადად: ჩეხები, პოლონელები, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ სლავები). რუსეთის მიერ გამოხატული მხარდაჭერა მისი მფარველობის ქვეშ მყოფი პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო, რადგან ეს მხოლოდ და მხოლოდ ავსტრიულ გალიციაში, გერმანიის პოზენისა და დასავლეთ პრუსიაში მცხოვრები პოლონელი მოსახლეობის თანაგრძნობის მოსაპოვებლად გაკეთდა.

ცენტრალური ძალების წინააღმდეგ ანტანტის ეკონომიკური ომის პროექტის განხორციელება 1916 წლის ივნისში, პარიზის ეკონომიკურ კონფერენციაზე დაიწყო, სადაც ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, ბელგიის, პორტუგალიისა და იაპონიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა, ომის პერიოდში დაწყებული, მოკავშირე ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობისათვის პერმანენტული ხასიათის მიცემის საკითხი განეხილათ. საფრანგეთისა და ბრიტანეთის დელეგაციები მოკავშირე ეკონომიკური ბლოკის შექმნას ითხოვდნენ, რომელში შემავალი ქვეყნებიც შეღავათიანი ტარიფებით, ნედლეულის თავმოყრისა და გადაზიდვის, ფინანსური და სავალუტო საკითხების მართვის ერთობლივი სისტემით ისარგებლებდნენ. თუმცა, პარიზის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია ინგლისელებისა და ფრანგების მოლოდინისაგან დიდად განსხვავდებოდა, რაც იტალიისა და რუსეთის გაურკვეველი პოზიციის შედეგი იყო. მან მტრისა და ნეიტრალური ქვეყნების მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. პარიზის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის პერიოდის დასასრულზე და ანტიგერმანული კოალიციის მიერ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ზონებად და ნედლეულის რეგიონულ ბაზრებად დაყოფაზე მიუთითებდა. ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის, იტალიის, ბელგიის, პორტუგალიისა და იაპონიის იმპერიების ეკონომიკურ ბლოკში შესვლამ აფრიკის, აზიის და ევროპის უმეტესი ნაწილი ცენტრალურ ძალებთან და შეერთებული შტატების მსგავს ნეიტრალურ ქვეყნებთან ეკონომიკურ კონკურენციას მოწყვიტა. ამით კი, 1914 წელს, გერმანია მისი ეკონომიკური „მოხრჩობის“ საშინელი პერსპექტივის წინაშე დადგა, რომელიც ომამდე დაწყებულ მის ალყაში მოქცევაზე უარესი ჩანდა.

ქვეყნებიც იყენებდნენ. ეს პოლიტიკა თავდაპირველად იმ მოწოდების პასუხად იყო შემუშავებული, რომელიც ამერიკის პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა 1916 წლის 20 დეკემბერს მეტოქე ქვეყნების მიერ საომარი მიზნების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით გააკეთა. გერმანიამ ამ მოწოდების პასუხზე უარი თქვა, მაგრამ ანტანტამ 1917 წლის 10 იანვარს კავშირის წევრი ქვეყნების მიზნების პირველი საჯარო გამოცხადებით მას პასუხი გასცა. გერმანიის სამხედრო ოკუპაციისაგან ბელგიის, საფრანგეთის, რუსეთის ნაწილის, სერბეთისა და რუმინეთის განთავისუფლების პირდაპირ მოთხოვნასთან ერთად, მოკავშირე მთავრობებმა ღია ფორმით, მათი მხრიდან „ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის“ მხადაჭერა პირველად გამოხატეს. ეს ჰაბსბურგის იმპერიისაგან იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სამხრეთ სლავებისა და პოლონელების განთავისუფლებას ეხებოდა, რაც უდავოდ ამ მრავალეროვანი ჰაბსბურგის იმპერიის ეთნიკურ რეგიონებად დაშლას ნიშნავდა. მსგავს განცხადებას ორმაგი უპირატესობა გააჩნდა, რადგან ის, ერთი მხრივ, ანტანტის მიერ ომში ამერიკის ჩარევას აჩქარებდა და, მეორე მხრივ,



სერ პერბერტ სემიუელი (1870-1963), ბრიტანეთის მანდატის უმაღლესი კომისარი პალესტინაში (1920-1925), ეწვია ბრიტანეთის მანდატს ტრანსიორდანიასში, 1921 წ. სემიუელი (თეთრ თავსაბურავში) ესაუბრება ემირ აბდულას, პეჯაზის შარიფ ჰუსეინის ვაჟს, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ არაბები ააჯანყა. აბდულა (იორდანის ამჟამინდელი მეფე აბდულა 2-ის დიდი ბაბუა) ახლადშექმნილი ქვეყნის – ტრანსიორდანიის ტახტზე ბრიტანელებმა დასვეს. ბრიტანეთის მანდატები პალესტინაში, ტრანსიორდანიასა და ერაყში წარმოიქმნენ ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ.

გერმანიის მთავარ მოკავშირე ქვეყანას დაქვემდებარებულ ერებს მიმართავდა, თავი დაეღწიათ მათი გერმანულად მოსაუბრე ბატონებისაგან ვენაში. ამბოხისა და მიტოვების შემთხვევები ავსტრია-უნგრეთის ჯარში ანტანტის მოწოდებამდეც ყოფილა, მაგრამ მსგავსმა შემთხვევებმა განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, რაც სხვადასხვა ეთნიკური ფრაქციების წარმომადგენელმა ემიგრანტთა ჯგუფებმა პარიზში ხელმძღვანელები დანიშნეს და მტრის ზურგს უკან ეროვნული აჯანყების ნაპერწკალი გააღვივეს.

ეროვნულ განთავისუფლებასთან დაკავშირებული, მოკავშირეთა თანადგომის გამომხატველი ეს განცხადებები მტრის ბანაკის ორ მრავალენოვან იმპერიაში ისეთივე მოჩვენებითი იყო, როგორც გერმანიის პოზიცია, როგორც მუსლიმთა და ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერიებს დაქვემდებარებული ერების დამცველისა. ბრიტანეთის მთავრობის დაპირება თურქეთის არაბული პროვინციების დამოუკიდებლობის მხადაჭერის შესახებ ომის განმავლობაში, უხეშად იქნა დარღვეული მის მოკავშირეებთან შეთანხმებათა მთელი სერიით, რომლებიც ეხებოდა ოსმანთა იმპერიის არათურქული ნაწილის განაწილებას ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და რუსეთის „ინტერესის სფეროებს“ შორის. თურქეთის ტერიტორიებზე ომის შემდგომი მდგომარეობა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არტურ ბალფურის 1917 წლის ნოემბრის ოფიციალური განცხადების შემდეგ კიდევ უფრო გართულდა. ამ განცხადების მიხედვით, იგი პალესტინაში ებრაული სამშობლოს დაარსების შესახებ სიონიზმის ევროპელი მიმდევრების შემოთავაზებას მიემხრო. ეს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის თურქების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იყო და მისი 750 000-იანი მოსახლეობიდან დაახლოებით 60 000 ებრაელები, დანარჩენები კი ძირითადად არაბები იყვნენ. 1915 წლის აპრილში იტალიამ ადრიატიკის სანაპიროზე ტერიტორიის მიღების პირობა მიიღო, რაც ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის პირდაპირი დარღვევით განხორციელდა, რამდენადაც ის წესით ამ რეგიონში მცხოვრები სამხრეთ სლავებისთვის უნდა გადაეცათ. უძლიერესი ქვეყნების მიერ განხორციელებული ამგვარი ნაბიჯები მათ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. მაგრამ ყველაზე დიდ უხერხულობას რუსეთის ავტოკრატია ქმნიდა, რომლის ყოფნა ანტიგერმანულ კოალიციაში დემოკრატიული პრინციპების დაცინვას წარმოადგენდა, რომელთა დაცვასაც ის მოჩვენებითად ცდილობდა.

რევოლუციური რუსეთი ოს ეთიოპია

1917 წლის მარტის რუსეთის რევოლუციამ რომანოვების დინასტია ზომიერი მემარცხენეებით გაჯერებული საპარლამენტო დროებითი მთავრობით შეცვალა, ხოლო, ერთი თვის შემდეგ, გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთებული შტატების ჩართვამ, ანტანტის იდეოლოგიის განმტკიცება განაპირობა, რაც მანამდე კოალიციას საკმარისად არ ჰქონდა. ანტანტის ქვეყ-

ნებმა პეტროგრადის ახალი პროგრესული მთავრობა მალე აღიარა, რომელმაც ადრინდელი რეჟიმის სამხედრო და დიპლომატიური ვალდებულებების შესრულების სურვილი გამოხატა. მანამდე კი უილსონის ადმინისტრაციის იდეოლოგიურ ბრძოლას ცენტრალური ძალების ავტოკრატიის წინააღმდეგ, თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მანამ, სანამ შეერთებული შტატები ანტანტის ქვეყნების საბრძოლო ძალით საკმარისად დახმარებას შეძლებდნენ (რაც, ამერიკის საბრძოლო მოუზნადებლობის გამო, 1918 წლის ზაფხულამდე არ განხორციელებულა), შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ომით დაღლილ დასავლეთ ევროპას ომის ფრონტზე, ერთი შეხედვით, უაზრო ყლექტის მორალური გამართლება შესთავაზა. „ბრძოლა უსაფრთხო დემოკრატიული მსოფლიოს შესაქმნელად“ და ომი „ეროვნული თვითგამორკვევის უფლებებისათვის“ ცარიელ მონოდებებად აღარ ყლერდა. პროგრესული რუსეთი და ახალგაზრდა ამერიკა, დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებთან მოკავშირეობით, ტირანიის განადგურებისა და ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის უკვე ხელდახელ იბრძოდნენ.

თუმცა, ბოლშევიკების მიერ 1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობამ, ამერიკის ომში ჩართვით გამოწვეული ეიფორია გადაფარა. მოკავშირე ქვეყნებში ფართოდ იყო აღიარებული, რომ ეს მოვლენა ანტანტის საზღვრებს მიღმა გერმანული ძირგამომთხრელი პოლიტიკის წარმატებული განხორციელების პირველ მაგალითს წარმოადგენდა. მოკავშირე სადაზვერვო სამსახურების მიერ შეგროვებული ინფორმაციის თანახმად, გერმანულ-ბოლშევიკური საიდუმლო შეთანხმების შესახებ ვერსია დამარწმუნებლად გამოიყურებოდა. გადასახლებაში მყოფი რუსული რევოლუციური ჯგუფები გერმანიის მთავრობის ფინანსებით მარაგდებოდა. ბოლშევიკების ლიდერს - ვ.ი. ლენინს გერმანიის ტერიტორიაზე, მისი ნეიტრალური შვეიცარიის თავშესაფრიდან რუსეთის დედაქალაქამდე, რკინიგზით უსაფრთხო გადაადგილების საშუალება მიეცა. ლენინის საჯაროდ გამოცხადებული პროგრამა ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, საჭირო შემთხვევაში კი, ცენტრალურ ძალებთან დაზავებას გულისხმობდა. მოკავშირეთა ეჭვი ბოლშევიკური გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო მეტად გამართლდა. რუსეთის ახალმა მთავრობამ უცხოელი მსესხებლებისათვის მეფის რეჟიმის ვალების გადახდაზე უარი თქვა, რითაც საფრანგეთის უცხოური ინვესტიციების პორტფოლიოს თითქმის მეოთხედი გაანადგურა. რუსეთის ახალმა მთავრობამ ომისშემდგომ პერიოდში ტერიტორიების გადანაწილების შესახებ ანტანტის ძალებთან დადებული საიდუმლო შეთანხმებები გამოაქვეყნა, რამაც ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. რაც ყველაზე სერიოზულია, რუსეთის ახალმა მთავრობამ, მშვიდობის დამყარების მიზნით, ყველა დაპირისპირებულ მხარეს მშვიდობის დამყარებისკენ მოუწოდა, რაც ანექსიის შეწყვეტითა და პირობების წამოყენების გარეშე უნდა განხორციელებულიყო. რამდენადაც

რუსეთის ახალმა მთავრობამ მოკავშირეებისაგან ამაზე პასუხი ვერ მიიღო, 1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში სამშვიდობო მოლაპარაკებები თავად წამოიწყო.

რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის მიზეზები ქვეყნის გაუარესებული ეკონომიკური პირობებიდან მომდინარეობდა. მარქსისტული ეკონომიკის თეორიის პუნქტებს თითქმის გაუნათლებელ, გაჭირვებულ მოსახლეობაში მცირე რეზონანსი ჰქონდა. მაგრამ სურსათის დიდი დეფიციტი, სახნავი მიწის არათანაბარი განაწილება და სიკვდილიანობის მატება ფრონტზე, საკმარის მიზეზებს წარმოადგენდა იმისათვის, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ლენინის ლოზუნგს „პური, მიწა და მშვიდობა“ მიმხრობოდა. თუ ბოლშევიკური რევოლუციის მიზეზები უფრო ქვეყნის შიდა მდგომარეობიდან გამომდინარეობდა, მისი შედეგები ომის განმავლობაში უკვე მთელს ევროპაში საგრძნობი იყო. ზუსტად სამთვიანი დავის დამაკმაყოფილებლად გადაჭრის შემდეგ (1917 წლის 3 დეკემბრიდან 1918 წლის 3 მარტამდე), რუსმა და გერმანელმა ემისრებმა ბრესტ-ლიტოვსკში სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, რის შედეგადაც რუსეთი ომს გამოეთიშა. გერმანიის მთავრობის ახალი პოლიტიკური ხაზის თანახმად, რომელიც შეერთებული შტატების ომში ჩართვის შემდეგ იქნა მიღებული, რუსული ტერიტორიის პირდაპირ ანექსიას ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმება არ ითვალისწინებდა, პირიქით, ის „ასოცირების“ ახალ პოლიტიკას წარმოადგენდა. შეთანხმების მიხედვით (და, მოგვიანებით, დამატებითი შეთანხმებების მიხედვით), ბოლშევიკურ რეჟიმს ევროპაში მისი თითქმის ყველა არარუსული ტერიტორიის დათმობა ევალეობდა. ეს ტერიტორიები იყო: პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩრდილოეთით კი ფინეთი, ასევე უკრაინა და ტრანსკავკასიის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) სამხრეთით. ყველა ამ რეგიონში მეფის რეჟიმის დამხობის შემდეგ დამოუკიდებლობის მიღებისათვის მოძრაობა უკვე დაწყებული იყო და ბევრმა მათგანმა ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მიღების მიზნით გერმანიას მიმართა. გერმანია კი ამ ვალდებულებით ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ამ ახალი „ერებისათვის“ „სამხედრო დაცვის“ უზრუნველყოფა, რომლებიც თავს აღწევდნენ რუსეთის იმპერიის მოძველებულ რეჟიმს, გერმანიის რაიხის მოლოდინით, გერმანიას საომარი პროგრამის მიზნების განხორციელებაში დაეხმარებოდა, კერძოდ კი – ევროპის ტერიტორიიდან რუსული ძალის გაყვანაში და არარუსული საზღვრის ზონამდე გერმანიის ეკონომიკური ბატონობის გაფართოებაში.

გერმანიის უპირატესობა აღმოსავლეთში

ომიდან რუსეთის გამოსვლის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა ვაკუუმი და ძალთა წონასწორობა რადიკალურად შეიცვალა. ფინეთის, ლატვიის, ლიტივისა და ესტონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარ-

მოქმენისა და გერმანიის მიერ მათი მხარდაჭერის შედეგად, რუსეთი ფაქტობრივად ჩამოშორდა ბალტიის რეგიონს. გერმანიის გავლენა უკრაინაზე, ყირიმზე, საქართველოზე და სომხეთზე, რუსეთს მუსლიმურ აზერბაიჯანზე თურქეთის კონტროლთან ერთად, შავ ზღვასა და მინერალებით მდიდარ კავკასიასთან ნვდომასაც უზღუდავდა. ევროპის ცენტრში აღსდგა პოლონეთის სახელმწიფო, რომელიც გერმანიის ჰეგემონიის გაფართოებისათვის, რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე, შავი და ბალტიის ზღვების გასწვრივ ტრანზიტულ ზონად გადაიქცა. აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიიდან რუსეთის უკან დახვევა რუმინეთსა და ცენტრალურ ძალებს შორის 7 მაისის საერთაშორისო შეთანხმებით კიდევ უფრო ნარმოჩნდა, რომლის მიხედვითაც გერმანიისა და ავსტრიის მიერ ყოფილი იმპერიული რუსეთის ბესარაბიის პროვინციის რუმინეთის მიერ ანექსია აღიარებულ იქნა.

1918 წლის გაზაფხულისათვის, გერმანული სამხედრო ბატონობის ქვეშ არსებული ტერიტორია პრაქტიკულად ყველანაირ რესურსს მოიცავდა, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ გერმანია მარაგის უცხოურ წყაროებზე დამოკიდებული აღარ ყოფილიყო და სექტემბრის პროგრამაში გაჟღერებული ავტარკიული ეკონომიკური სისტემის პროგრამის განხორციელება დაენყო. რუმინეთისა და კავკასიის ნავთობით მდიდარი საბადოები გერმანიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსების მარაგს უზრუნველყოფდა. რუსეთის დონეცის აუზის ქვანახშირის საბადოები რურის, საარის, სილეზიის და დასავლეთით ოკუპირებული ბელგიის მდიდარ საბადოებს ემატებოდა. უკრაინის რკინის მარაგი საფრანგეთის ლორენის (ლოტარინგიის) საბადოებს ემატებოდა. კავკასიისა და უკრაინის მარგანეცი (რომელიც 1914 წლისათვის მარგანეცის მსოფლიო წარმოების 50 პროცენტს შეადგენდა და ომამდელ პერიოდში გერმანიის მოთხოვნის სამ მეოთხედს აკმაყოფილებდა) ახლა უკვე გერმანიის მიერ პირდაპირი ექსპლუატაციისთვის იქნებოდა მზად. კავკასიის რეგიონის ბამბა და მატყლი გერმანიის საფეიქრო მრეწველობისთვის უმნიშვნელოვანესი ნედლეული გახდებოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უკრაინის მარცვლეული კულტურებისათვის ძალზე ნაყოფიერი მიწა ბალკანეთში, გერმანიის ვასალი სახელმწიფოების მიწის ფართობებთან ერთად, რაიხს ბრიტანეთის მიერ დამყარებული „შიმშილის ბლოკადის“ გარღვევის საშუალებას მისცემდა და, ომამდელი პერიოდიდან მოყოლებული, შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის სურსათზე დამოკიდებულებას მოუხსნიდა.

ამგვარად, 1918 წლის გაზაფხულისათვის აღმოსავლეთში გერმანიის საომარი გეგმის თავდაპირველი ამოცანები შესრულდა. რუსეთის საზღვრებთან გერმანიის სტრატეგიულმა გაბატონებამ კონტინენტური ძალთა წონასწორობის ცენტრალური ძალებისაკენ გადახრა გამოიწვია. რუსული ჯარებისაგან დაცლილ დიდ რეგიონში გერმანიის ეკონომიკურ დომინირებას

ჩაეყარა საფუძველი. ავსტრია-უნგრეთისა და ოსმანთა იმპერიებმა – ბერლინისაგან მართული, კონტინენტური კოალიციის „უმცროსმა“ პარტნიორებმა, არაბეთის ნახევარკუნძულისა და სპარსეთის ყურისაკენ გერმანიის ექსპანსიას გზა გაუხსნეს. მახლობელ აღმოსავლეთამდე და სამხრეთ აზიამდე გადაჭიმული ეს სახმელეთო გზა, რომელიც გერმანული კაპიტალით დაფინანსებული რკინიგზით უნდა დახვეწილიყო, ეკონომიკური თვალსაზრისით ამ ღირებულ რეგიონთან უსაფრთხო საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენდა, ბრიტანეთის ნაკლებად საიმედო საზღვაო გზასთან შედარებით. ეს იყო გერმანული ინდუსტრიული და ფინანსური ოლიგარქიის ოცნების განხორციელების დასაწყისი; საფუძველი ეყრებოდა სამხედრო და ეკონომიკური შეთანხმებებით დაკავშირებული ცენტრალური ევროპის (mitteleuropa) მორჩილი სატელიტებისა და მოკავშირეების ჯგუფის შექმნის იდეის განხორციელებას. გერმანიის მიერ კონტროლირებადი ცენტრალური ევროპის და შუა აღმოსავლეთის ამ გრანდიოზული სქემის დასრულებისათვის, ბერლინის ექსპანსიონისტებმა ცენტრალური აფრიკის (mitteleuropa) პროექტი შეიმუშავეს. ეს იყო ცენტრალური აფრიკის იმპერია ბელგიის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის კოლონიების ტერიტორიებით, რომელიც აფრიკაში გერმანიის კუთვნილ ტერიტორიებამდე გაფართოვდებოდა და კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროზე მდებარე გერმანიის სამხედრო ფლოტის ბაზებით იქნებოდა დაცული.

გერმანია დასავლეთის მოთმინებას ცდის

ერთადერთი, რაც გერმანიას სამ, ერთმანეთთან დაკავშირებულ კონტინენტზე (აზია, ევროპა და აფრიკა) ბატონობის მოპოვების გეგმის განხორციელებაში ხელს უშლიდა, დასავლეთ ფრონტზე მოკავშირე ძალები იყო. 1918 წლის გაზაფხულზე, ამერიკის საექსპედიციო ძალების გამოჩენასთან ერთად, გერმანიის უმაღლესი სარდლობა კრიტიკული არჩევანის წინაშე დადგა – აღმოსავლეთში არნახული სამხედრო და ეკონომიკური სარგებლის არა მარტო შენარჩუნება, არამედ მისი გაფართოებაც შესაძლებელი ხდებოდა, თუ საფრანგეთში, ანუ დასავლეთის ფრონტზე ომის პრობლემის მოგვარებას მოლაპარაკების გზით შეძლებდა. 1917 წლის განმავლობაში და 1918 წლის დასაწყისში, ლონდონში, პარიზში, ვაშინგტონში და ბერლინში დაზავებისათვის ნიადაგის მოსინჯვა ხდებოდა. როგორც კი მოკავშირეებმა რუსეთში ახალი კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ გამოსული კონტრრევოლუციური ძალების მხარე დაიჭირეს, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა ერის ლუდენდორფმა ანტანტის ძალების ბოლშევიზმისადმი იდეოლოგიური შიშის გამოყენება განიზრახა. მაგრამ დასავლეთში მშვიდობის დამყარებისათვის საჭირო იქნებოდა გერმანიის მიერ ბელგიასა და აღმოსავლეთ საფრანგეთში მის ექსპანსიონისტურ ამბიციებზე უარის თქმა და იქიდან გამოს-

ვლა. ამის გაკეთება კი გერმანიას არ უნდოდა. სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი საფრანგეთი, დამოუკიდებელ ბელგიასთან ერთად, რომელიც ბრიტანეთისათვის კონტინენტურ საქმეებში ჩარევის მოკლე გზას წარმოადგენდა, ცენტრალური ევროპის (mitteleuropa) პროექტის განხორციელებას სათუოს გახდიდა. ამდენად, დასავლეთ ფრონტზე საბოლოო, გადამწყვეტი დარტყმის განხორციელებისათვის მზადება განახლდა. 1918 წლის 21 მარტს გერმანიის 62 დივიზიამ შეტევა დაიწყო, რომელიც ომიდან საფრანგეთის, კონტინენტიდან კი ინგლის-ამერიკული ძალების გაყვანაზე იყო გათვლილი.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ყველა მთავარი პოლიტიკური ორგანიზაცია ამ დიდ, საბოლოო შეტევამდე გერმანიის სამხედრო და ეკონომიკური ექსპანსიის პროგრამას მთლიანად უჭერდა მხარს. ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების რატიფიცირება რაიხსტაგმა დიდი უმრავლესობით მოახდინა; სოციალ-დემოკრატებმაც კი ამჯობინეს თავი შეეკავებინათ და არ წასულიყვნენ იმის წინააღმდეგ, რასაც რუსეთის მთავრობა პროტესტს უცხადებდა, – რომ ეს იყო „თავს მოხვეული მშვიდობა“. საბოლოოდ ისინიც დაეთანხმნენ ამ შეთანხმებას. ცენტრი და პროგრესული პარტიებიც შეთანხმებას ემხრობოდნენ, რამდენადაც ის „არა ანექსია, არა კონტრიბუცია“ პრინციპს შეიცავდა (გერმანიის რაიხსტაგის უმრავლესობის მიერ 1917 წლის 19 ივლისს მიღებული პრინციპი), ვინაიდან რუსეთის ტერიტორიის ფორმალურ ანექსიას არ გულისხმობდა. 1918 წლის 13 ივლისს, საფრანგეთში გერმანიის ბოლო შეტევის ჩავარდნამდე, რაიხსტაგმა საფრანგეთში იერიშის განხორციელება მოიწონა და ომთან დაკავშირებული სამხედრო ასიგნებების გამოყოფის მეთორმეტე სამხედრო კანონი მიიღო.

მოკავშირეთა კონტრიერიში და დაზავება

გერმანიის შეტევა 15 ივლისს შენელდა და 3 დღის შემდეგ მოკავშირეთა ჯარების კონტრიერიში დაიწყო, რომელმაც 8 აგვისტოს გერმანია საბოლოო დამარცხებამდე მიიყვანა. როდესაც გერმანიის ჯარები ფრონტის ხაზიდან უკან იხევდნენ, აგვისტოსა და სექტემბრის თვეების განმავლობაში, სამხედრო ლიდერებმა პირველად გააცნობიერეს, რომ გამარჯვება დასავლეთში შეუძლებელი იყო. ლუდენდორფსა და მისი გუნდის წევრებს ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების შემუშავებული ალტერნატიული სტრატეგია მალე გაახსენდათ: ბოლშევიზმის საფრთხის გამოყენება, როგორც მოკავშირეებთან „ზომიერი“ შეთანხმების მიღწევის საშუალება. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, დასავლეთით უკან დახევის ამ ახალმა პოლიტიკამ გერმანიის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლებისაგან დიდი მხარდაჭერა მიიღო, რომლებიც მანამდე ბელგიისა და აღმოსავლეთ საფრანგეთის ფართომასშტაბიან ანექსიას მოითხოვდნენ. 1918 წლის სექტემბერში გერმანიაში ინდუსტრიის სფე-

როს წარმომადგენლები: ჰუგო სტინესი, ალბერტ ბალინი და გუსტავ კრუპი, რომლებიც ეროვნულ-ლიბერალური ლიდერის – გუსტავ შტრეზემანის მოკავშირეები იყვნენ, აღმოსავლეთში გერმანიის ეკონომიკური და სამხედრო მონაპოვრის შენარჩუნებას და დასავლეთით გერმანიის ამბიციურ მიზნებზე მთავრობისგან უარის თქმას მოითხოვდნენ. ისინი ასევე მოითხოვდნენ შინისეული პოლიტიკური რეფორმების გატარებას, რომლებიც ანტიანტის ბანაკში საზოგადოებრივი აზრის შეცვლას და გერმანიის პოლიტიკურ სისტემაში ავტოკრატიის სტიგმის მოცილებას შეძლებდა. გერმანიის დემოკრატია საზღვარგარეთ უილსონს, ხოლო ქვეყნის შიგნით პროგრესულ კრიტიკოსებს დააკმაყოფილებდა. გერმანიას, რომელიც ბოლშევიზმის წინააღმდეგ დასავლური ცივილიზაციის ბურჟის როლს შეასრულებდა, საფრანგეთისაგან (რომელსაც კომუნისტური რევოლუციის ზღვარზე მყოფ რუსეთში უდიდესი ინვესტიციები ჰქონდა) შესაძლოა მნიშვნელოვანი სიმპათიები მიეღო. ასევე არსებობდა დიდი სიმპათიების მიღების ალბათობა ბრიტანეთიდანაც, რომლის კოლონიებშიც მილიონობით მცხოვრებ ადამიანს მოსკოვსა და პეტროგრადში დაგროვებული რევოლუციური იდეებით ინფიცირების საფრთხის წინაშე აყენებდა.

გერმანიის სამხედრო პოზიციების მუდმივმა გაუარესებამ საფრანგეთში 1918 წლის შემოდგომაზე შედეგად გამოიღო ის, რომ უმაღლესმა მთავარსარდლობამ საბოლოო ბრძოლაში, აღმოსავლეთში თავისი „მონაპოვრის“ გადასარჩენად, მისი სტრატეგიის მხოლოდ რამდენიმე ნაწილი გამოიყენა. ერთ კვირაზე ნაკლები პერიოდის შემდეგ, 4 ოქტომბერს, როდესაც ლუდენდორფმა იმპერატორს მაქსიმალურად მოკლე დროში დროებითი ზავის დადების საჭიროებაზე შეატყობინა, ბადენის ლიბერალური პრინცი – მაქსის ხელმძღვანელობით „საპარლამენტო მთავრობა“ ცენტრალური და მემარცხენე პოლიტიკური პარტიებისაგან უკვე ჩამოყალიბებული იყო. იმავე დღეს გერმანიის მთავრობამ პრეზიდენტ უილსონს მისი ცნობილი „თოთხმეტი პუნქტის“ პრინციპების საფუძველზე დროებითი ზავის დადების შესახებ მიმართა. როდესაც უილსონმა უპასუხა, რომ იგი მოლაპარაკებას მხოლოდ ნამდვილად დემოკრატიულ მთავრობასთან დაიწყებდა, ბერლინის სამხედრო და პოლიტიკურმა ელიტამ გააცნობიერა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. ლუდენდორფი 27 ოქტომბერს, კაიზერი კი 9 ნოემბერს გადადგა და იმავე დღეს სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ფილიპ შაიდემანმა გერმანია დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. 11 ნოემბერს გერმანიის დელეგატებმა, რომლებიც მოკავშირე ქვეყნების სამხედრო ძალების წარმომადგენლებთან პარიზის ჩრდილოეთით მდებარე ტყეში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ზავის შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ამ ზავის თანახმად, გერმანიას უნდა გაეყვანა თავისი ჯარი საფრანგეთისა და ბელგიის ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან და ასევე მდინარე რაინის დასავლეთით მდებარე

გერმანიის ტერიტორიიდან. ასევე, ამ ზავის თანახმად, გერმანიას ბრესტ-ლიტოვსკისა და ბუქარესტების საზავო ხელშეკრულებების რენონსაცია უნდა გაეკეთებინა, რაც გერმანიის მიერ მისი ყველა სამხედრო ძალის რუსეთის, რუმინეთის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ტერიტორიიდან გაყვანას გულისხმობდა და რამაც საბოლოოდ გადაწურა გერმანული პარლამენტის ანტიბოლშევიკური ფრაქციის იმედები.

იმ „რევოლუციის“ მსგავსად, რომელმაც 1871 წელს გერმანიის იმპერიის შექმნა განაპირობა, „რევოლუციაც“, რომლის შედეგადაც 1918 წლის ნოემბერში გერმანიის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, მოქალაქეთა მასობრივი ფენების მონაწილეობის გარეშე განხორციელდა. 47 წლის წინ ვილჰელმ I-ის კორონაციასი გერმანიის მეფეებისა და პრინცების მიერ შესრულებული როლი ამჯერად იმპერიის ყოფილმა მომხრეებმა, – მათიას ფილიპ ერცბერგერმა, გუსტავ ფრიდრიხ შტრეზემანმა და სოციალ-დემოკრატების ზომიერმა ლიდერებმა – შაიდემანმა და ებერტმა შეასრულეს. სამხედრო ლიდერებმა გადამდგარი ჰოჰენცოლერნი მონარქის დასაცავად თითოც არ გაანძირეს, რომელმაც 10 ნოემბერს ჰოლანდიის საზღვარი გადაკვეთა და ქვეყანა შეუმჩნეველად დატოვა. გერმანიის რესპუბლიკა შეიქმნა პოლიტიკური ლიდერების მიერ, რომლებიც იმპერიის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ბოლომდე მხარს უჭერდნენ და უსიტყვოდ ემხრობოდნენ. მათ მიმართ ტოლერანტულად იყო განწყობილი სამხედრო კლასი, რომელიც დემოკრატიული პარტიების სამოქალაქო წარმომადგენლების მიერ დამამცირებელ ზავზე პასუხისმგებლობის აღებას მიესალმებოდა. ზავის ხელმოწერა ფრანგი გენერლებისა და გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა მიერ კომპიენტან, პარიზის ტყეში, მატარებლის ვაგონში მოხდა.

ამერიკული ინტერვენციის მიზანუბი და შედეგები

ნეიტრალიტეტი, ბრიტანული ბლოკადა და გერმანული წყალქვეშა ნაევები

ევროპაში ომის დაწყებისას, შეერთებული შტატების მთავრობამ მკაცრი ნეიტრალური პოზიციის დაჭერის შესახებ განაცხადა. ატლანტის ოკეანის მიღმა მიმდინარე ომით ამერიკის ინტერესებს პირდაპირი საფრთხე არ ემუქრებოდა, შესაბამისად, შეერთებულ შტატებს რომელიმე დაპირისპირებული მხარის მიმართ ვალდებულებები არ აუღია. ომის ადრეულ ეტაპებზე, შეერთებული შტატების მრავალი ცალკეული ჯგუფი ორივე დაპირისპირებული მხარის მიმართ მნიშვნელოვან სიმპათიას გამოხატავდა. თუმცა, ენობრივი და კულტურული იდენტურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მხარდაჭერას დიდი ბრიტანეთის მიმართ იჩენდა. ფრანგი პუბლიცისტები ეფექტურად ცდილობდნენ გაეხსენებინათ ამერიკელებისთვის დიდი ვა-

ლის შესახებ, რომელიც ამერიკელებს საფრანგეთის მიმართ გააჩნდათ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დახმარებისათვის. მეორე მხრივ, ეს პროანტიანტიანტიული დამოკიდებულება შეერთებული შტატების ორი უდიდესი ეთნიკური ჯგუფის – გერმანელი ამერიკელებისა და ირლანდიელი ამერიკელების პროგერმანული ან ანტიბრიტანული განწყობით იყო დაბალანსებული. მაგრამ, როდესაც ომი ევროპაში ჩიხში მოექცა, დაპირისპირებული ქვეყნების საზღვაო და ეკონომიკურმა პოლიტიკამ ამერიკის აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიციის თანდათანობით ცვლილება გამოიწვია და მისი მხარდაჭერა ანტიანტის ქვეყნებისაკენ გადაიხარა. 1915 წლის გაზაფხულისათვის, ბრიტანეთის რიცხოვრივი უპირატესობის მქონე სამხედრო ფლოტმა ოკეანის ღია წყლებიდან გერმანიის საბრძოლო და სავაჭრო გემები წარმატებით განდევნა. საბოლოო ჯამში, 1916 წლის მაისში დანიის იუტლანდიის ნახევარკუნძულთან მოხდა საზღვაო ბრძოლა, რომლის შედეგადაც გერმანიის ღია ოკეანის ფლოტი, ბრიტანეთის დიდი ფლოტის შიშის გამო, თავის ბაზებს ვერ მოშორდა. საბრძოლო გემების მფარველობის გარეშე დარჩენილი გერმანული სავაჭრო ფლოტი ომის ბოლომდე პორტებში დარჩა. ამან გერმანია აიძულა საზღვარგარეთთან ვაჭრობისას ზღვებზე გადაზიდვები ნეიტრალური ქვეყნების გემებით წარემართა, მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა გერმანია ბლოკადაში მოაქცია, რითაც ძალზე შეზოჭა და ნეიტრალური გემების გამოყენების საშუალება მოუსპო.

საბრძოლო პერიოდში მიღებული ბლოკადის ზოგადი წესი საბრძოლო გემების მტრის პორტებთან 3 მილის დაშორებით გაჩერებას გულისხმობდა. ბლოკადის მომხდენ მხარეს მტრის პორტში მიმავალი სავაჭრო გემების ტვირთის შემოწმება ევალებოდა. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ამ გემებით კონტრაბანდის, კონკრეტულად კი, იარაღის, ჭურვების და სხვა საბრძოლო საშუალებებისა და მასალების გადაზიდვა ხორციელდებოდა, აკრძალული ტვირთისაგან გემების დაცლამდე პორტში შესვლაზე მათ უარს ეუბნებოდნენ. ბრიტანეთის საბრძოლო ფლოტმა ეს წესი სამგვარად დაარღვია. პირველ რიგში, ბლოკადის გამტარებელი გემები ღია ოკეანეში განლაგდნენ და ეს არატრადიციული ქცევა ახსნა იმით, რომ პორტების დამცავი არტილერია მას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა. ეს „მოშვებული ბლოკადა“ მათ საშუალებას აძლევდა ხელში ჩაეგდოთ ნეიტრალური გემები, რომლებიც გერმანიის ახლოს მდებარე ნეიტრალური ქვეყნებისკენ (დანია და ნიდერლანდები) მიემართებოდნენ. ამგვარ ტაქტიკას ბრიტანელები ხსნიდნენ იმით, რომ ისინი კონფისკაციას უკეთებდნენ კონტრაბანდას, რომელიც, მათი აზრით, მტრის ხელში მარტივად შეიძლებოდა ჩავარდნილიყო; მეორე, ბრიტანეთის მთავრობამ 1914 წლის ნოემბერში მთლიანი ჩრდილოეთის ზღვა „საომარ ზონად“ გამოაცხადა და ისე დანაღმა, რომ ნეიტრალური სავაჭრო გემები იძულებულნი იყვნენ სანავიგაციო დახმარების მისაღებად ბრიტანეთის

პორტებში გაჩერებულიყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი კონტრაბანდას შეიცავდა, მათი უსაფრთხო წყლებში გაყვანა არ ხდებოდა; მესამე, ბრიტანეთი ამტკიცებდა, რომ ტოტალურ ომში პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი პროდუქცია, საკვებისა და ტექსტილის ჩათვლით, მტრისათვის პოტენციური ღირებულებისა იყო, რის გამოც მან კონტრაბანდის დეფინიცია გერმანიაში იმპორტირებულ თითქმის ყველა პროდუქტზე გაავრცელა.

ეკონომიკური დასუსტების ამ წინასწარგანსაზღვრული პოლიტიკის შედეგად, მისი ვაჭრობა ნეიტრალურ ქვეყანასთან, როგორც იყო შეერთებული შტატები, შენედა, მაშინ, როცა ანტიგერმანული კოალიციის ქვეყნებმა დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალების, სურსათის, ნავთობისა და სხვა საჭირო პროდუქციის იმპორტი გაზარდეს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მანამდე გერმანიას ამარაგებდნენ. ბრიტანეთის საზღვაო უპირატესობისათვის კონკურენციის განევის მიზნით, გერმანია იძულებული გახდა მხოლოდ მისი წყალქვეშა ნაევების გამოყენებაზე ყოფილიყო დამოკიდებული. საზღვაო ომის საერთაშორისო წესების თანახმად, წყალქვეშა ნაევი წყლის ზედაპირზე უნდა ამოსულიყვნენ, რომ გაფრთხილება მიეცათ იმ გემისათვის, რომელსაც მტრის დროშა ჰქონდა აღმართული, რათა მის ტორპედირებამდე ეკიპაჟსა და მგზავრებს ხომალდის დატოვების საშუალება მისცემოდათ. მაგრამ ბრიტანეთის სავაჭრო გემების უმრავლესობა შეიარაღებული იყო და მათ კაპიტნებს გერმანიის წყალქვეშა გემებისათვის ცეცხლის გახსნის ან მათზე იერიშის მიტანის ინსტრუქცია ჰქონდათ. შეიარაღებული წინააღმდეგობის განევისა და ბრიტანეთის სავაჭრო გემებთან შეჯახების რამდენიმე ინციდენტის შემდეგ, გერმანიის მთავრობამ 1915 წლის 4 თებერვალს ბრიტანეთის კუნძულების ირგვლივ წყლები „საომარ ზონად“ გამოაცხადა, სადაც მტრის ყველა გემების განადგურება გაფრთხილების გარეშე დაშვებულად მიიჩნია. ნეიტრალურ სავაჭრო გემებს მიეცათ რეკომენდაცია დარჩენილიყვნენ ამ ზონის მიღმა, რათა მათზე შეცდომით არ მომხდარიყო თავდასხმა (რაც ადვილად შესაძლებელი იყო იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომ ბრიტანეთის სავაჭრო გემებზე, მტრის წყალქვეშა ნაევების მეთაურების მოსაგებებლად, ნეიტრალური ქვეყნების დროშები იყო აღმართული). 1915 წლის თებერვლიდან მაისამდე პერიოდში, ამ „ზონაში“ 90 გემი ჩაიძირა. 7 მაისს სამგზავრო ბრიტანული ლაინერი „ლუზიტანია“, რომელიც დატვირთული იყო საბრძოლო მასალებით და შეერთებულ შტატებში შექნილი სხვა საქონლით, ირლანდიის სანაპიროსთან ახლოს გერმანული წყალქვეშა გემის მიერ იქნა ჩაძირული. ამ ინციდენტის დროს ამერიკის 128 მოქალაქის დაღუპვამ ვაშინგტონის მხრიდან ისეთი პროტესტი გამოიწვია, რომ ბერლინი იძულებული გახდა მისი შეუზღუდავი წყალქვეშა ომის პოლიტიკა შეესუსტებინა. ამის შემდეგ წყალქვეშა გემების მეთაურები ვალდებულნი გახდნენ მტრის სამგზავრო ლაინერები თავდასხმის დაწყებამდე გაფრთხილებინათ. 1916 წლის

მაისში ეს პირობა გავრცელდა სავაჭრო გემებზეც, იმ იმედით, რომ ამერიკის მთავრობა შეძლებდა ბრიტანეთის დარწმუნებას, რომ მას, თავის მხრივ, გერმანიის „შიმშილის ბლოკადა“ შეესუსტებინა.

ამერიკის ეკონომიკური ურთიერთობები მოკავშირე ქვეყნებთან

შეერთებულმა შტატებმა, რომელიც 1914 წლისათვის მსოფლიოში სიდიდით მე-3 ადგილზე მყოფ სამხედრო ფლოტს ფლობდა და მარტივად შეეძლო გამოეყო სამხედრო გემები სავაჭრო გემების ატლანტის ოკეანეში ესკორტირებისთვის და ბრიტანეთის მიერ დანესებული საზღვაო პრაქტიკის დარღვევების შეჩერება ეთხოვა, ეს არ გააკეთა და, ამასთან ერთად, პარალელურად, გერმანიის მიერ საზღვაო ომის წესების დარღვევის მიმართ პროტესტს განაგრძობდა, რაც ორ საგულისხმო ასპექტზე მიუთითებდა, რომლებმაც უილსონის მთავრობა ანტანტის მხარეს გადახარა. მათ შორის პირველი იყო ახლონათესაური კავშირის შეგრძნება ბრიტანულ ტრადიციებთან და ინსტიტუტებთან, რომელიც ამერიკის მთავრობის წევრებს აკავშირებდა, პრეზიდენტიდან დანყებული, სხვა მაღალი რანგის ოფიციალური პირებით დამთავრებული (როგორებიც იყვნენ ამერიკის ელჩი უოლტერ ჰაინს ფეიჯი, სახელმწიფო მდივანი რობერტ ლენსინგი (რომელმაც პაციფისტი უილიამ ჯენინგს ბრაიანი 1915 წელს შეცვალა) და პრეზიდენტ უილსონის პირადი მრჩეველი, პოლკოვნიკი ედვარდ ჰაუსი). ისინი, ყველანი ანტანტის ქვეყნებს ემხრობოდნენ და ბრიტანეთისა და გერმანიის მიერ საერთაშორისო კანონების დარღვევას განსხვავებულად აფასებდნენ. მეორე ასპექტი კი იყო ის, რომ ბრიტანულმა ბლოკადამ ამერიკის ექსპორტი გერმანიიდან და მის ახლოს მდებარე ნეიტრალური ქვეყნებიდან ბრიტანეთზე, საფრანგეთზე და მათ მოკავშირეებზე გადაანაწილა. შესაბამისად, ამერიკის ეკონომიკური წარმატება და კორპორაციების მოგება დიდად გახდა დამოკიდებული გერმანიასთან დაპირისპირებული ქვეყნების მოთხოვნებზე, რაც ითვალისწინებდა იარაღის, საომარი მასალების, აღჭურვილობის, საფეიქრო ნაწარმის, მარცვლეულის, ნავთობის, სპილენძის, ფოლადისა და სხვა პროდუქტების შესყიდვას.

როგორც კი ანტიგერმანული კოალიციის ქვეყნებმა შეერთებულ შტატებში თავიანთი ამერიკული ფასიანი ქაღალდებით მიღებული დოლარების საკუთარი რესურსი ამოწურეს, ერთადერთი საშუალება მომავალში იმპორტის დაფინანსებისათვის ამერიკის საინვესტიციო ბანკებიდან სესხის აღება იყო. იმ დროიდან, რაც 1913-14 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მოკავშირე ქვეყნებთან ვაჭრობა ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღების საშუალება გახდა, უილსონის ადმინისტრაციამ უოლ-სტრიტის* კაპიტალის

* უოლ სტრიტი - ქუჩა ნიუ იორკში (აშშ), რომელზეც განლაგებულია აშშ-ის მთავარი ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებები. უოლ სტრიტი ნიშნავს აშშ-ის საფინანსო ცენტრს.

ბაზარი მოკავშირე ქვეყნების მთავრობებისათვის ხელმისაწვდომი გახადა. შეერთებულ შტატებში ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხაზინებისათვის ოფიციალური კომერციული აგენტი საინვესტიციო და საბანკო ფირმა J. P. Morgan & Co გახდა, რომელიც ამერიკელი მიმწოდებლებისაგან მოკავშირე ქვეყნების მიერ განხორციელებულ შესყიდვებს კოორდინაციას უწევდა და, ამ ოპერაციების დაფინანსების მიზნით, კრედიტის ასაღებად საბანკო პროცედურებს ახორციელებდა. ამერიკის ომში ჩარევის დროისთვის, კერძო ამერიკული ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხები მოკავშირე ქვეყნებისათვის 2,3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, მაშინ, როცა ე.წ. ცენტრალური ქვეყნებისათვის ეს თანხა 27 მილიონი დოლარი იყო. მორგანის სახლმა ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების სახელით ამერიკის საექსპორტო ფირმებთან 3 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტები გააფორმა. ამ გზით ამერიკის ექსპორტიორებსა და ინგლისისა და საფრანგეთის იმპორტიორებს შორის სავაჭრო პარტნიორობამ, რომელიც უოლ-სტრიტის საინვესტიციო საბანო კონცერნებსა და პარიზისა და ლონდონის სახელმწიფო ხაზინებს შორის ფინანსური ურთიერთობით იქნა გაძლიერებული, მოკავშირე ქვეყნების მიერ საომარი მოქმედებების წარმატებით განხორციელებაში ამერიკის დაინტერესება მეტად გაზარდა.

„უსამართლო“ ეკონომიკურმა მიდგომამ, ამერიკის მთავრობის მიერ ლონდონზე დიპლომატიური ზეწოლის უქონლობასთან ერთად (რათა ლონდონს გერმანიაზე მისი არაკანონიერი ბლოკადა „შეესუსტებინა“), 1917 წლის 31 იანვარს ბერლინის მთავრობას შეუზღუდავი საზღვაო ომის კვლავ აღდგენისკენ უბიძგა. დაასკვნეს რა, რომ შეერთებული შტატების ჩართვა ომში ინგლისისა და საფრანგეთის მხარდასაჭერად თითქმის შეუძლებელი იყო და რომ ისინი მხოლოდ საომარი საშუალებებისა და სურსათის ნეიტრალურ მიწოდებას ანიჭებდნენ უპირატესობას, გერმანიის პოლიტიკურმა და საზღვაო ომის მესვეურებმა ომში ამერიკის ჩარევის შესაძლებლობა გამოიციხეს. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ ბრიტანეთის ტრანსატლანტიკური მომარაგების ხაზის დარღვევა ამ ქვეყნის ომიდან 6 თვის განმავლობაში გაყვანას განაპირობებდა, სანამ მოხდებოდა ამერიკის საექსპედიციო ძალის მობილიზება, მომზადება და ტრანსპორტირება გერმანიის წყალქვეშა ნაგებობებით სავსე წყლებამდე. უილსონის ადმინისტრაციამ გერმანიის მიერ შეუზღუდავი წყალქვეშა ომის განახლებას მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გამკაცრებით და ამერიკული სავაჭრო გემების იარაღით აღჭურვით უპასუხა. მოკავშირეებთან ვაჭრობასთან დაკავშირებული საფრთხის გამო, ამერიკის გადამზიდავი ფირმების უმრავლესობას თავიანთი გემები პორტებში ყავდათ დაყენებული, რამაც ეკონომიკური დეპრესიის შიში გამოიწვია, რადგანაც საექსპორტოდ გამზადებული საქონელი აღმოსავლეთ სანაპიროს ნავსადგურებში დიდი რაოდენობით დაგროვდა. ბევრი იმ ფირმათაგანი, რომელიც ატლანტის ოკეანის



პროპაგანდისტული პოსტერი შეერთებულ შტატებში, მიძღვნილი „მესამე თავისუფლების სესხის“ კამპანიისადმი, 1917. აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტმა ამერიკელ ხალხს სახელმწიფო ობლიგაციები მიჰყიდა, რათა დაეფინანსებინა ამერიკის საექსპედიციო ძალების მობილიზაციისა და განწვევის პროცესი პირველ მსოფლიო ომში. ამ ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული თანხის ნაწილი გადაეცა ომში ამერიკის ევროპელი პარტნიორების მთავრობებს, რათა შეეძინათ მათთვის საჭირო მარაგი შეერთებულ შტატებში და ამერიკული დახმარების მოსვლამდე ხელი შეეშალათ გერმანიის გამარჯვებისათვის.

გადაკეთას რისკავდა, გერმანიის წყალქვეშა ნაგების მიერ საომარ ზონაში შესვლისთანავე იძირებოდა. ამერიკის საექსპორტო ვაჭრობის შეფერხება, იმ მტკიცებულებასთან ერთად, რომ გერმანია შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლაში მექსიკის ჩართვას ცდილობდა, საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა უილსონისათვის, რათა კონგრესისთვის გერმანიის წინააღმდეგ

ომის გამოცხადება მოეთხოვა. 1917 წლის 6 აპრილს კონგრესმა გერმანიას ომი გამოუცხადა.

ამერიკა ომში

ომში ყოფნის პირველ წელს შეერთებული შტატების ჯარს არანაირი როლი არ შეუსრულებია მოკავშირეთა მიერ განხორციელებული საომარი მოქმედებების დროს. 1917 წლის აპრილში 130 000 ოფიცრისაგან და ჯარისკაცისაგან შემდგარი ამერიკული არმია ბელგიის ჯარზე პატარა და ნაკლებად მომზადებული იყო. მხოლოდ 1918 წლის ზაფხულის დასაწყისში, ჯარში განვევის ნესის შემოღებისა და სამხედრო მომზადების პროგრამის შემუშავების შემდეგ, შეძლეს ამერიკის სამხედრო და საზღვაო ძალებმა (რომლებშიც, ომის მიწურულისთვის, 4,8 მილიონი კაცი იყო) ინგლის-საფრანგეთის საბრძოლო მოქმედებებში, დასავლეთის ფრონტზე, მნიშვნელოვანი წილის შეტანა. მანამდე კი ვაშინგტონის ფინანსური დახმარება საშუალებას აძლევდა მოკავშირე ქვეყნების მთავრობებს ამერიკიდან შესყიდვების რაოდენობა გაეზარდათ. ამერიკის მიერ ომის გამოცხადების პერიოდისათვის, ნიუ იორკის ბანკების ფინანსური ოპერაციები სახაზინო დეპარტამენტზე იქნა გადაბარებული. ომის ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული თანხები, რომელიც პატრიოტი ამერიკელი ინვესტორებისაგან შემოდიოდა, მოკავშირე მთავრობებს მათ მიერ ამერიკაში პროდუქციის შესყიდვების განსახორციელებლად გადაეცემოდათ. გერმანიის საომარი ფლოტის იმედი ამერიკული პროდუქციის საფრანგეთამდე ტრანსპორტირების შეფერხებაზე, ატლანტის ოკეანეში ბრიტანეთის ნარმატებასთან ერთად გაქრა, როდესაც მან სავაჭრო გემების ეფექტურად დაცვა შეძლო.


1914-18 წლებში ატლანტის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ სანაპიროზე დიდი რაოდენობით სიმდიდრის გადატანა განხორციელდა. ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინვესტიციების ლიკვიდაციის შედეგად, ომის პირველ წელს, ამერიკამ ევროპელ გამსესხებლებს ვალი გადაუხადა. მაგრამ მოკავშირე ქვეყნების მთავრობების მიერ ამერიკის ფულადი ბაზრიდან სესხის აღება ერთ დროს კრედიტორი ქვეყანა ევროპული ქვეყნების მევალედ გადააქცია. ევროპის ქვეყნებს ფინანსური სახსრები სჭირდებოდათ ომისათვის, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ფინანსური ძალაუფლების გადასვლამ ევროპიდან შეერთებულ შტატებში მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში რევოლუციური ტრანსფორმაცია მოახდინა. მაშინ, როცა, ბრიტანეთის მიერ განხორციელებული ბლოკადის გამო, გერმანიას საზღვარგარეთ კომერციული ინტერესების დაკმაყოფილების საშუალება შეზღუდული ჰქონდა, ბრიტანეთი და საფრანგეთი იძულებულნი გახდნენ თავიანთი სამრეწველო წარმოება და სავაჭრო გადაზიდვები საომარ მიზნებთან შესაბამისობაში მოეყვანათ. ამასობაში კი, ექსპორტის ხარჯზე, ამერიკულმა ბიზნესმა მრავალი ბაზარი დაიპყრო,

რომლებიც მანამდე ევროპული ფირმების ბატონობის სფეროდ მიიჩნეოდა. ლათინურ ამერიკაში მე-20 საუკუნეში დანყებული ამერიკის ეკონომიკური შეღწევა, ომის პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. მსგავსად ამისა, იაპონიის იმპერია, რომელმაც გერმანიის შორეული აღმოსავლეთის კოლონიები მიითვისა, რეგიონში სამი მთავარი მეომარი ევროპული ქვეყნის ხარჯზე ეკონომიკურად გაფართოვდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული შეერთებული შტატები და იაპონია აღმოჩნდა; ორივე მათგანმა თავი აარიდა ტერიტორიულ ნგრევასა და ადამიანების დიდ მსხვერპლს, იმავდროულად, ახლო მდებარე რეგიონებში ეკონომიკურ უპირატესობასაც მიაღწიეს.

მაგრამ, გლობალური ეკონომიკური ძალის ამ ფუნდამენტური ცვლილების გრძელვადიანი გავლენა ომის შემდეგ ემოციურად დატვირთულ გარემოზე, მრავალი თვის მანძილზე ძირითადად შეუმჩნეველი რჩებოდა. სავაჭრო გზები და კაპიტალის შემოდინება არაფერს ნიშნავდა ევროპული მოსახლეობისათვის, რომელიც დაკავებული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებით, როგორიც იყო ომისშემდგომი უსაფრთხოება და ქვეყნის აღდგენა. გამარჯვებული საფრანგეთის დედაქალაქის სამშვიდობო კონფერენციის ადგილად არჩევამ, რომელსაც ომი ფორმალურად უნდა დაესრულებინა, კიდევ უფრო გააძლიერა ევროპის ილუზია, რომ, მიუხედავად ომის პერიოდში მისი სავაჭრო და ფინანსური უკუსვლისა, ევროპა მაინც მსოფლიოს ცენტრად რჩებოდა.



პარიზის სამშვიდობო პროცესი და ახალი საერთაშორისო წესრიგი



„დიდი ოთხეული“ განხილვებს შორის შესვენებისას, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. მარცხნიდან მარჯვნივ: ბრიტანეთის პრემიერმინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი, იტალიის პრემიერმინისტრი ვიტორიო ორლანდო, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ კლემანსო და აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი. გამარჯვებული ქვეყნების ეს ოთხი ლიდერი სრულიად საიდუმლოდ შეიკრიბა, რათა შეემუშაებინათ სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან.

თავის შინაარსი
მისია ახალი მსოფლიოდან
„დიდი მოხუცი“
საფრანგეთის სამშვიდოო მიზნები
ბრიტანეთის სამშვიდოო მიზნები
ამერიკა შინ გრუნდავა
სამოქალაქო ომი და მოკავშირეთა ინტერვენცია რუსეთში
თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის შექმნა
პერსალის განაჩენი

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც 1919 წლის იანვარში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (რომელიც Quai d'Orsay-ზე მდებარეობის გამო, ასევე იწოდებოდა) შედგა, 1814-15 წლების ვენის კონგრესის შემდეგ წარმოადგენდა ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან დიპლომატიურ შეკრებას. როგორც, ჩვეულებრივ, დიდი ომების დასრულებისას ხდება ხოლმე, 27 გამარჯვებული ქვეყნის სამოცდაათი დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ასობით მრჩეველი, საეკლესიო პირი და ჟურნალისტი, ჩავიდა საფრანგეთის დედაქალაქში მშვიდობის დამყარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ადამიანებისა და მატერიალური განადგურების მასშტაბები, რომლის მოწმე იმ პერიოდის მცხოვრებნი გახდნენ, მძიმე ღრუბელივით აწვა მოლაპარაკებებს. ოთხწლიანმა ომმა თითქმის ათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ოცი მილიონი ადამიანი კი დაიჭრა და დასახიჩრდა; ომის მთლიანმა პირდაპირმა ღირებულებამ 180 მილიარდი დოლარი შეადგინა, არაპირდაპირმა ღირებულებამ კი – 150 მილიარდი დოლარი, რაც 1918 წლისათვის უზარმაზარი თანხა იყო. ოთხი უდიდესი იმპერია, რომელთა ძალაუფლებაც მთელს მსოფლიოზე ვრცელდებოდა – გერმანიის ჰოჰენცოლერნთა იმპერია, ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგთა იმპერია, რუსეთის რომანოვების იმპერია და თურქეთის ოსმანთა იმპერია, მთლიანად გაქრა ან (უკანასკნელის შემთხვევაში) გაქრობის ზღვარზე აღმოჩნდა. ამ იმპერიების ნარჩენებზე კი წარმოიქმნა პოლიტიკურად არასტაბილური და ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოები, რომელთა სიცოცხლისუნარიანობაც ისევ პრობლემურ საკითხად რჩებოდა. კონფერენციის დღის წესრიგს ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: ერთი მხრივ, მისი მიზანი იყო მსოფლიოს თითქმის ნახევრისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის აღდგენა და, მეორე მხრივ, იმავე სახის ძალადობის გამეორების პრევენცია, რომელსაც ცოტა ხნის წინ ბოლო მოეღო.

მესია ახალი მსოფლიოდან

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა თავისი თანამემამულეები გააოცა მშვიდობის კონფერენციაზე პირადად დასწრებით და ამით ის გახდა პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელიც ვიზიტით გაემგზავრა სხვა ქვეყანაში. უფრო აღმამფოთებელი ფაქტი, რამაც შეერთებულ შტატებში კრიტიკულად განწყობილი პირების გააფთრება გამოიწვია, იყო უილსონის ევროპაში დარჩენა (თუ არ ჩავთვლით მის დაბრუნებას შეერთებულ შტატებში მოკლე დროით) მთელი ექვსი თვის მანძილზე, მაშინ, როცა ვაშინგტონში დარჩენილ ოფიციალურ პირებს მარტო უწევდათ ომის შემდგომი პერიოდის პრობლემების მოგვარება. ისტორიისათვის ცნობილ სხვა ეროვნულ ლიდერებს შორის, რომელთაც 1918 წლის შუა დეკემბერში თავი ევროპაში მოიყარეს, უილსონს ყველაზე დიდი მორალური ავტორიტეტი გააჩნდა. მისი შეხედულებები ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ, მომავალში ომის ნამონყების შესაძლებლობას გამორიცხავდა და გამოხატავდა საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის სრულიად ახალ მიდგომას, ყოველი შემთხვევისათვის, ეს ასე ეჩვენებოდა ევროპის ომით დაღლილ მილიონობით მოქალაქეს, რომლებიც უილსონს დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდნენ. კონფერენციის გახსნამდე, რამდენიმე თავბრუდამხვევი კვირის განმავლობაში, ეს ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს სისხლით დაცლილი კონტინენტი, რომელმაც ისტორიაში აქამდე არნახულ დამანგრეველ ომს გაუძლო, ზღვის გაღმა მხარიდან დახმარებას იღებდა მხსნელისგან, რომელიც არ იყო ევროპული პოლიტიკით „ნაბილწული“. ამ პოლიტიკამ კი ევროპა ომამდე მიიყვანა.

როგორც უილსონის საჯარო გამოსვლებიდან ჩანდა, ამერიკის პრეზიდენტს სჯეროდა, რომ ომები, ზოგადად, განსაკუთრებით კი უკანასკნელი ომი, გამონეწული იყო ორი მთავარი მიზეზით. პირველი მიზეზი იყო პოლიტიკურად გაბატონებული ეროვნებათა ჯგუფების მიერ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ეთნიკური უმცირესობების შევიწროების ტენდენცია, მეორე კი – ავტოკრატიის პოლიტიკური სისტემა, რომელიც პრივილეგირებულ ელიტას მოსახლეობის ხარჯზე პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზების საშუალებას აძლევდა. უილსონის ეს გამოსვლები დადებითად იქნა მიღებული საზოგადოების მიერ, რადგან ამ მიზეზთა გამორიცხვით ხელახალი ომის გამომწვევი მიზეზები სამუდამოდ ქრებოდა. უილსონის მიხედვით, ევროპის რუკა უნდა გადასინჯულიყო, რომელზეც ქვეყნების საზღვრები დაფუძნებული იქნებოდა თვითგამორკვევის პრინციპზე და ამით განხორციელდებოდა მრავალი ეროვნული ჯგუფის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, რაც ბოლო პერიოდში მომხდარი მრავალი ბრძოლის მიზეზი იყო; უნდა მომხდარიყო ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაცია იმ ავტოკრატიული შეზღუდვების მოხსნისათვის, რაც საზოგადოებრივი აზრის გამოსხატვას უშლიდა ხელს და რაც ცენტრალური ქვეყნების მმართველი კლასების მიერ

იქნა გამოყენებული აგრესიის დასაწყებად. ამ შიდა და საერთაშორისო დემოკრატიზაციის პროცესის დამაგვირგვინებელი იქნებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნების მსოფლიო ორგანიზაცია, რომელსაც ექნებოდა საერთაშორისო დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება მოლაპარაკებებისა და კომპრომისის გზით და არა სამხედრო საშუალებების გამოყენებით, ზუსტად ისე, როგორც ხდებოდა მოქალაქეთა მოთხოვნების შეჯერება საპარლამენტო პროცედურების გზით დემოკრატიულ ქვეყნებში.

უკვე გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუ რაოდენ დიდ მოწონებას დაიმსახურებდა უილსონის ეს პროგრამა ევროპის „სანგრების თაობაში“. პროგრამა ხორცს ასხამდა ტრავმირებული მოსახლეობის მშვიდობის დამყარების თითქმის აუხდენელ იმედებსა და მოლოდინს. ორი დევიზი, რომელიც ყველაზე ხშირად დასოცირებული უილსონთან – „ომი ყველა ომის დასასრულებლად“ და „ომი დემოკრატიის დამყარებისათვის, მსოფლიოს უსაფრთხო ადგილად გადაქცევისათვის“ – იყო სიმბოლო ფართოდ გავრცელებული აზრისა იმის შესახებ, რომ სისხლისმღვრელ ომს სრულიად ფუჭად არ ჩაუვლია: ომის შედეგად გადარჩენილ მრავალ ადამიანს დიდი იმედი ჰქონდა იმისა, რომ საუკუნო მშვიდობა და უნივერსალური თავისუფლება მათი შეუზღუდავი კანონიერი უფლება გახდებოდა.

ამ ოპტიმისტური მოლოდინის განუხორციელებლობით გამონეეული იმედგაცრუება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდს. რამდენადაც დიდი იყო იმედი, იმდენად მწარე აღმოჩნდა პარიზის მშვიდობის კონფერენციის მიღწევების განუხორციელებლობა (რომლებიც, როგორც შემდგომ ვნახავთ, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო იმ პრობლემათა კომპლექსურობის თვალსაზრისით, რომლებიც კონფერენციაზე თანხმობის მიღწევისათვის ბარიერს წარმოადგენდა). შედეგად კი მიღებულ იქნა უფსკრული მოლოდინებსა და მიღწევებს შორის. იმის გამო, რომ ამერიკის პრეზიდენტმა უპირატესობა მიანიჭა მისი საგარეო პოლიტიკის ჰუმანური იდეალიზმის მორალისტური ენით გამოხატვას, ყოველივე ამან წარმოშვა მოლოდინი, რომელსაც განხორციელება არ ეწერა. პარიზში უილსონის მიერ წარმოთქმული სიტყვები მშვიდობისა და თავისუფლების შესახებ ფუჭი აღმოჩნდა პარიზის პოლიტიკურ რეალობაში, სადაც შეკრებილი ადამიანები ცდილობდნენ ევროპის პოლიტიკური რუკის ახალი მონახაზის გაკეთებას და მსოფლიოს ეკონომიკური აღდგენის ორგანიზებას.

„დიდი ოთხეული“

კონტრასტი უილსონისეულ თეორიასა და რეალურ პრაქტიკას შორის გამოიკვეთა ჯერ კიდევ სამშვიდობო კონფერენციის პირველ სხდომებში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მეთაურები მშვიდობის დამყარების ეფექტური პროცედურების შემუშავებას ცდილობდნენ. სუვერენულ სახელმწიფოებს შორის თანასწორობის პრინციპი უკვე ამ საორგანიზაციო სხდომების

განმავლობაში გადაწყვეტილებების მიღებისას გაქრა. ნ უძლიერესი ქვეყნის – შვერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის დელეგაციიდან ორ-ორმა წევრმა თავიანთ თავზე აიღო მნიშვნელოვანი საკითხების კონფერენციამდე წინასწარი შეთანხმება, რაც შემდგომ „ათის საბჭოს“ სახელით იქნა ცნობილი. დარჩენილი ოცდაორი ქვეყნის ლიდერები გარკვეულწილად შეზღუდულები აღმოჩნდნენ. ხოლო მაშინ, როცა გადაწყვეტილების მიმღები ამ აპარატის წევრთა რაოდენობა ზედმეტად იქნა მიჩნეული, ოთხი უძლიერესი ქვეყნის ლიდერი (იაპონიის გამოკლებით), როგორც „ოთხთა საბჭო“, მსოფლიოს ბედის გადაწყვეტისათვის, უილსონის საცხოვრებელში იკრიბებოდა.

მშვიდობის კონფერენციაზე უძლიერესი ქვეყნების დანიანურებული მდგომარეობა გადატანილ იქნა ერთა ლიგის სტრუქტურაშიც, რაც უილსონის მიერ ნაქები მსოფლიო ორგანიზაციის პროექტი იყო, რომლის გაცნობაც დელეგაციის წევრებისათვის 28 აპრილს მოხდა. ამ სქემის მიხედვით, ყოველ წევრ ქვეყანას გენერალურ ასამბლეაში საკუთარი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა; გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანო იქნებოდა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდნენ უძლიერესი ქვეყნების წარმომადგენელი მუდმივი წევრები. ყოველ მუდმივ წევრს უნდა ჰქონოდა ვეტოს უფლება ყველანაირ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შეეწინააღმდეგებოდა. აშკარა იყო, რომ ლიგაში წევრი ქვეყნების უფლებებში თანასწორობა არ იყო დაცული. ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური იმპერიები ერთ პოლიტიკურ ერთეულად იყვნენ წარმოდგენილი (ბრიტანეთის თვითმმართველი სამფლობელოების გარდა, რომლებიც დასახლებული იყო თეთრკანიანი უმრავლესობით); ამერიკული დელეგაციის სურვილით, მონროს დოქტრინა სპეციალურად იქნა გამორიცხული (რითაც შვერთებულ შტატებს მის ნახევარსფეროზე მშვიდობის შენარჩუნების ექსკლუზიური პრეროგატივა შეუნარჩუნდა). ეროვნული თვითგამორკვევის უფლება არ მიენიჭა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიის არაევროპულ კოლონიურ მოსახლეობას. ყურადღება არაფერია მიაქცია ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ აზიაში შევიწროებული ერების წარმომადგენლების მოთხოვნას მათი უფლებების აღიარების შესახებ. უილსონის პრინციპების გამოყენება ხდებოდა მხოლოდ დასავლეთ მსოფლიოს თეთრკანიანებთან მიმართებაში და მათ შორის ყველაზე დიდი სარგებელს ნახულობდა გამარჯვებული კოალიციის ოთხი ძლიერი სახელმწიფო, რომელნიც ამ თვალსაზრისით დანიანურებულ პოზიციას ინარჩუნებდნენ.

მშვიდობის პროგრამის შემუშავებისას, უილსონი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივ აზრს მის ქვეყანაში. 1918 წლის ნოემბრის არჩევნების შედეგად რესპუბლიკელები უმრავლესობით მოვიდნენ კონგრესის ორივე პალატაში. სამშვიდობო დელეგაციის შემადგენლობის შერჩევისას, რომელიც ობიექტურად ასახავდა კონგრესში და საზოგადოებრივ აზრში ცვ-

ლილებს, უილსონმა შეარჩია პირები, რომლებიც საერთაშორისო საკითხებზე მის შეხედულებებს იზიარებდნენ, ან აკლდათ ავტორიტეტი, რათა სენატში ესაუბრათ ახალ რესპუბლიკურ უმრავლესობასთან (რომელთა ხმებიც საჭირო იყო კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების კონგრესში დამტკიცებისთვის). მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობებისას იგი ძირითადად ეყრდნობოდა მის უახლოეს მრჩეველს, პოლკოვნიკ ედვარდ ჰაუსს – სცენის მიღმა მოქმედ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც პირდაპირ აბარებდა ანგარიშს მის ძველ მეგობარს თეთრ სახლში. უილსონის პარიზის პოლიტიკისადმი საზოგადო წინააღმდეგობის გამოხატვას, როგორცაა, მაგალითად, ცნობილი რეზოლუცია „მრგვალი რობინი“ („Round Robin“), რომელსაც ხელი მოაწერა საკმარისი რაოდენობით სენატორმა, რითაც დააფიქსირეს კონგრესის უარი პარიზის შეთანხმებაზე, პრეზიდენტ უილსონზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. ქვეყნის შიგნით არსებულ საზოგადოებრივ აზრს მოკავშირე ქვეყნების არც სხვა ლიდერებზე ჰქონია გავლენა. საფრანგეთის პრემიერმა – ჟორჟ კლემანსომ მკაცრი ცენზურა დაუნესა პარიზულ პრესას და დეპუტატთა პალატას უარი უთხრა სამშვიდობო პროცესში მონაწილეობაზე. უილსონის მსგავსად, მან არ მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის (და მისი მთავრობის სხვა უფროსი წევრების) რჩევა და უპირატესობა მიანიჭა მნიშვნელოვან საკითხებზე მოთათბირებას მის ერთგულ პირად თანაშემწესთან – ანდრე ტარდიესთან. ბრიტანეთის პრემიერმინისტრი – დევიდ ლოიდ ჯორჯი, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტად ითვისებდა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ატმოსფეროს, საკონფერენციო დარბაზში მაინც ინარჩუნებდა საკუთარ პოზიციას და ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრს. ჩანდა, რომ მშვიდობის მაძიებელი, იმის მაგივრად, რომ უილსონის მიერ ომის დროს წარმოთქმულ სიტყვაში შემოთავაზებული „ლიაობით“ მიეღწიათ მშვიდობისათვის, ომამდელი წლების პერიოდში არსებული საიდუმლო შეთანხმებების პრაქტიკას იმეორებდნენ.

უილსონის სტანდარტებისაგან მსგავსი გადახრები გამოწვეული არ იყო მხოლოდ პროცედურების ეფექტური განხორციელების მოთხოვნებიდან გამომდინარე: როდესაც მშვიდობის კონფერენციის პრობლემების სირთულე და სიფაქიზე მოითხოვდა გადაწყვეტილების მიმღებთა გაერთიანებას ოთხი პირისგან შემდგარ ჯგუფში, ამ ჯგუფის წევრების შერჩევა უნდა მომხდარიყო 27 დელეგაციის შემადგენლობიდან, მაგრამ, სინამდვილეში, გადაწყვეტილებას ამზადებდნენ ისევე და ისევე უძლიერესი ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები და სწორედ ეს ოთხი პირი განსაზღვრავდა ომისშემდგომი მსოფლიოს ვითარებას. ერების თანასწორობის მოთხოვნის მიუხედავად, აშკარა იყო, რომ უთანასწორობა სუფევდა ევროპის იმ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, რომლის ლიდერებიც პარიზში შეიკრიბნენ. შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და, შედარებით ნაკლებად, იტალია და ია-

პონია (ამ უკანასკნელის წარმომადგენელი მონანილეობას იღებდა კონფერენციაში მხოლოდ მაშინ, როდესაც დღის წესრიგში იყო აღმოსავლეთ აზიის საკითხები) იყვნენ მშვიდობის კონფერენციის გავლენიანი ქვეყნები, რამდენადაც მათ, გერმანიის დამარცხებისა და რუსეთის დაცემის შემდეგ, მთელს მსოფლიოში მოპოვებული ჰქონდათ გაბატონებული პოზიციები. სწორედ ამ ქვეყნებმა გამოიყვანეს ომში მილიონობით ჯარისკაცი, მოახდინეს დიდი რაოდენობით ეკონომიკური რესურსების მობილიზება და დაამარცხეს „ცენტრალური ძალები“; სწორედ ამ ქვეყნებს ეპყრათ ერთობლივი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება დედამიწის ხმელეთისა და ზღვების უდიდეს ნაწილზე. ამდენად, მოულოდნელი არ იყო, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ისინი კვლავ წამოინყებდნენ საერთაშორისო ძალთა წონასწორობის შეცვლას, რაც დიდი ომების შედეგად ხდება. ამდენადვე, არარეალური იყო ფიქრი იმაზე, რომ სამშვიდობო კონფერენციის მონანილე ქვეყნების წარმომადგენლებს გამოეხატათ ისეთი რამ, რაც მათი ქვეყნების ინტერესებში არ იქნებოდა.

საფრანგეთის სამშვიდობო მიზნები

უსაფრთხოება

ეროვნული ინტერესების პირდაპირი გამოყენება განსაკუთრებით ამკარა იყო იმ რეგიონების ტერიტორიების, რესურსებისა და მოსახლეობის ხელახალი გადანაწილებისას, რომლებიც ადრე დამარცხებული ქვეყნების კონტროლის ქვეშ იყვნენ. ქვემოთ განხილული მიზნებიდან გამომდინარე, გამარჯვებულ მოკავშირე ქვეყნებს მკვეთრად განსხვავებული ხედვა გააჩნდათ ევროპის უსაფრთხოების, მშვიდობის აღდგენის და მსოფლიოში ეკონომიკური კეთილდღეობის დამყარებისათვის გამოსაყენებელი საშუალებების თვალსაზრისით. ამ საშუალებებთან დაკავშირებულმა აზრთა სხვადასხვაობამ ნელ-ნელა ბზარი გაუჩინა ომის დროს შექმნილი კოალიციის ერთიანობას. პარიზის მშვიდობის კონფერენცია, რომელიც დიდი იმედებით გაიხსნა, დასრულდა მოკავშირეებს შორის ღვარძლით, რომელიც ზღუდავდა მშვიდობის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების განხორციელებას.

საფრანგეთის დელეგაციის ორი უმნიშვნელოვანესი მიზანი პარიზის კონფერენციაზე იყო ევროპის განთავისუფლება გერმანიის სამხედრო აგრესიის საფრთხისაგან და ფინანსური დახმარების მიღება საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიის აღსადგენად, რომელიც ომის პერიოდში გერმანიის ჯარის მიერ იყო დანგრეული და გავერანებული. კონფერენციაზე საფრანგეთთან ყველა სხვა საკითხზე შეიძლებოდა კომპრომისი, გარდა ამ ორი საკითხისა.

საფრანგეთის უდიდესი სურვილი – ჰქონოდა აბსოლუტური გარანტიები გერმანიის სამხედრო ძალის აღორძინების თავიდან ასაცილებლად, გამომ-

დინარეობდა დიდი ომის დასრულებისას არსებული მისი გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობიდან. გერმანიასთან გრძელი საზღვარი, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი ფართო მდინარეებისა და მაღალი მთების არარსებობის გამო, გერმანიის აგრესიისაგან თავდაცვის საშუალებას ვერ იძლეოდა, საფრანგეთის სტრატეგოსებისათვის დიდი თავსატიები გახდა. ეს მოწყვლადობის შეგრძნება, საფრთხის მოლოდინი საფრანგეთში კიდევ უფრო გაძლიერდა აღმოსავლეთით რუსეთის, როგორც გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირის, გაქრობით. ფრანგებისთვის ამდენადვე შემაშფოთებელი იყო საფრანგეთსა და გერმანიაში მოსახლეობის რიცხოვნობისა და შობადობის მაჩვენებელთა შედარება. საფრანგეთის მოსახლეობა, დაახლოებით 2-მილიონიანი ელზასისა და ლორენის პროვინციების მოსახლეობასთან ერთად, 40 მილიონს შეადგენდა, მაშინ, როცა გერმანიის მოსახლეობის რიცხვი 65 მილიონს აღწევდა. საფრანგეთში შობადობის შემცირება, რაც ომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლის ველზე 1,4 მილიონი პოტენციური მამის დაღუპვით. მოსალოდნელი იყო გერმანელთა ორჯერ უფრო სწრაფი მატება. 1930-იანი წლებისათვის, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ გერმანია განმეორებით შეეცდებოდა კონტინენტზე ჰეგემონიის მოპოვებას, საფრანგეთს აღარ ეყოლებოდა საკმარისი რაოდენობის საჭირო კონტინგენტი სამხედრო სამსახურის გავლისათვის.

საფრანგეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნა, საფრანგეთის პრემიერ ჟორჟ კლემანსოს სტრატეგიის მიხედვით, განპირობებული იყო გერმანიის დასავლეთ რეგიონის სტრატეგიული მდგომარეობით საფრანგეთის საზღვარსა და მდინარე რაინს შორის, რომელიც ყველასთვის რაინლანდის სახელით იყო ცნობილი. ყველა მხარის წარმომადგენელი გეოგრაფი და სამხედრო სტრატეგოსი თანხმდებოდა, რომ ამ ბუფერულ ზონაზე კონტროლი, რომელიც ყოფდა დასავლეთ ევროპის ისტორიულად ორ მოქიშპე ქვეყანას, მომავალში განაპირობებდა ამ ქვეყნებს შორის ძალთა გადანაწილებას. რაინლანდში განთავსებულ გერმანულ სამხედრო ძალას არანაირი ბუნებრივი ზღუდე არ შეხვდებოდა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ, უდიდეს ინდუსტრიულ რეგიონამდე (ლორენის მეტალურგიული რეგიონის ჩათვლით, რომელიც გერმანიის ექსპანსიონიზმის სამიზნე იყო ომის პერიოდში) და საფრანგეთის დედაქალაქ პარიზამდე მისაღწევად. რაინლანდსა და მდინარის მეორე მხარეს განლაგებული საფრანგეთის სამხედრო კონტინგენტი ახლოს იქნებოდა გერმანიის რურის ინდუსტრიულ რეგიონთან. ამდენად, რაინლანდზე კონტროლი გულისხმობდა იმას, რომ ტერიტორიის დაკავება ამ რომელიმე ძალის მიერ განაპირობებდა მეორე ძალის მიერ კონტინენტზე აგრესიული პოლიტიკის განხორციელების სრულ შეზღუდვას. ამ გეოპოლიტიკური გარემოების გათვალისწინების მიზნით, ჟორჟ კლემანსომ მშვიდობის კონფერენციაზე გამოთქვა მოსაზრება – რაინლანდის გერმანიისაგან გამოყოფისა და საფრანგეთის სამხედრო დაცვის ქვეშ მყოფი სუვერენული

სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. მაგრამ რაინლანდის გერმანიისაგან ძალით ჩამოშორება არა მარტო დაარღვევდა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს (რადგან რეგიონში ჩატარებული პლებისციტის შედეგად დამოუკიდებლობა უარყოფილი იქნებოდა), არამედ, განსაკუთრებით, ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ლოიდ ჯორჯისათვის შექმნიდა კიდევ ერთ ელზას-ლორენს – შეუთანხმებლობის მთავარ წყაროს გერმანიასა და გამარჯვებულ ქვეყნებს შორის, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებოდნენ გერმანიისათვის მისი „პროვინციის“ წართმევაზე.

ინტენსიური ანგლოამერიკული ზენოლის შედეგად, რომლის დროსაც პრეზიდენტმა უილსონმა ლამის დატოვა სხდომა, საფრანგეთის პრემიერი წავიდა კომპრომისზე და დაეთანხმა შეთანხმებას რაინთან მიმართებაში. საფრანგეთის მიერ რაინლანდზე გერმანიის სუვერენიტეტის აღიარების სანაცვლოდ, ამერიკისა და ბრიტანეთის ლიდერები შეთანხმდნენ თავდაცვითი სახის გარანტიებზე, რომელიც გულისხმობდა: გერმანიის მიერ სამხედრო ძალების გამოყენების აკრძალვას; ასევე გაღმა რაინის დასავლეთ ტერიტორიაზე და მდინარის აღმოსავლეთ სანაპიროს 50 კილომეტრიან ზოლში ციხესიმაგრეების აგების აკრძალვას; ასევე რაინლანდის სამხედრო ოკუპაციას მოკავშირე ქვეყნების მიერ 15 წლის განმავლობაში (რომლის დასასრულსაც, არსებული მოლოდინის მიხედვით, გერმანიის მილიტარისტულ სულს დათრგუნავდნენ გერმანიის დემოკრატიული ძალები); ყოველი შემთხვევისთვის, გერმანიის ჯარის შემცირებას და მის გადაქცევას 100 000 მოხალისისგან შემდგარ ჯარად; გერმანიისათვის მძიმე ჯავშანტექნიკის, თვითმფრინავებისა და სხვა საბრძოლო საშუალებების წარმოების აკრძალვას და შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის მიერ საფრანგეთის შეპირებულ დიდ მხარდაჭერას გერმანიის მხრიდან არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში. ეს ზომები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა კლემანსოსთვის, როგორც მინიმალური გარანტიები მომავალში გერმანული სამხედრო საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

რეპარაციები

არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ საფრანგეთის ეკონომიკური აღდგენის მიზნები. ბედის მწარე ირონია იყო ის, რომ დიდ ომში დამარცხებული გერმანიის ეროვნული ტერიტორია მთლიანად ხელშეუხებელი გადარჩა, მაშინ, როცა გამარჯვებული საფრანგეთის ყველაზე პროდუქტიული რეგიონი მთლიანად ნანგრევებად იყო ქცეული. საფრანგეთის ათი ჩრდილო-აღმოსავლეთი დეპარტამენტი წარმოადგენდა დასავლეთის ფრონტის ბრძოლის ველს და მთლიანად განადგურებულ იქნა ოთხწლიანი ბრძოლის შედეგად. მეტი ზარალის მიყენების მიზნით, როდესაც გერმანიის ჯარი იძულებული გახდა ტერიტორია დაეტოვებინა, განზრახ ზიანს აყენებდა რეგიონს; არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომ ამის მიზანი იყო მოკავშირეთა

ჯარებისათვის რესურსების მოსპობა და ასევე, გერმანიის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთისათვის მაქსიმალურად დიდი ეკონომიკური ზიანის მიყენება, რათა გერმანიას მომავალში უფრო ადვილად შეძლებოდა კონკურენციის განევა ამ მეზობელ ქვეყანასთან. წყლით ავსებული ქვანახშირის მალაროები, დანგრეული სარკინიგზო და ტელეგრაფის ხაზები, ჭურვების აფეთქებისაგან ორმოებით და სანგრებით დასერილი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, დახოცილი პირუტყვი, გადამწვარი სახლები – ასეთი სურათი დახვდათ მოკავშირე ქვეყნების ჯარებს, როდესაც მათ 1918 წლის შემოდგომაზე ბრძოლის ველიდან მტერი განდევნეს. ინდუსტრიული სანარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების გავერანება, საკომუნიკაციო და ტრანსპორტის საშუალებების განადგურებამ საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში მნიშვნელოვნად დაასუსტა საფრანგეთის მეურნეობა. განადგურებული რეგიონების აღდგენას, მილიონობით ლტოლვილის, ობოლისა და ქვრივის, მრავალი დაინვალიდებული ვეტერანის საცხოვრებელი უზრუნველყოფას და ომის შედეგად წარმოქმნილი უზარმაზარი უცხოური ვალის გადახდას, ეროვნული ეკონომიკის აღდგენას უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდა, რისი განხორციელებაც ქვეყნის განადგურებული ფინანსური რესურსებით აშკარად შეუძლებელი იყო.

საფრანგეთი იძულებული გახდა ეკონომიკური კრიზისის გამოსავალი ეპოვა და გერმანიისაგან ომის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსირება მასზე დაკისრებული რეპარაციების მიღების გზით მოითხოვა. როგორც ეს მშვიდობის კონფერენციის რეპარაციების კომისიის შეხვედრებში გამოჩნდა, საფრანგეთის მოთხოვნა გერმანიის რესურსებზე ორი სახის იყო: პირველი გულისხმობდა მოთხოვნას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნედლეულზე, რომელიც გერმანიას დიდი რაოდენობით გააჩნდა, საფრანგეთს კი მისი დეფიციტი ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მაღალი ხარისხის ქვანახშირს; მეორე იყო შედარებით ნაკლები ოდენობის ვალი, რომლის „მობილიზებაც“ (ანუ, ვალის გადაქცევა ფასიან ქალაქებად, რომელიც გასაყიდად იქნებოდა შეთავაზებული უცხოელი ინვესტორების, მაგ. ამერიკელებისათვის) საფრანგეთის სასარგებლოდ – გერმანიის არსებული გრძელვადიანი ვალის გადაქცევა მაშინვე გამოსაყენებელ ამერიკულ კრედიტად – ძალზედ მარტივი იყო. ეს ძალზედ მისაღები აღმოჩნდა საფრანგეთისათვის, რადგან ვალის გადახდა შესაძლებელი იქნებოდა გერმანიის იმპორტთან შედარებით ექსპორტის მოცულობის გაზრდით. ამისათვის კი გერმანიას დასჭირდებოდა საზღვარგარეთთან ვაჭრობის გაფართოება, რაც საფრანგეთის ექსპორტიორებისათვის მისაღები არ იქნებოდა, რომელთაც ძალიან უნდოდათ ომის განმავლობაში დაკარგული უცხოური ბაზრების ხელახალი დაპყრობა. უფრო მეტიც, საფრანგეთს სურდა ომისგან საკომპენსაციოდ მიეღო მხოლოდ ის გერმანული საქონელი (როგორიც იყო ქვანახშირი და ხის მერქანი), რომელიც კონკურენციას არ უწევდა საფრანგეთის სამრეწველო პროდუქციას. საფრ-

ანგეთის მიერ გერმანიაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მიღება გერმანიის ინდუსტრიას გზას გაუკვალავდა საფრანგეთის ბაზარზე, რაც ფრანგებისათვის მიუღებელი იყო.

ამდენად, საფრანგეთის მთავრობა თავიდანვე ემხრობოდა პრეზიდენტ უილსონის თოთხმეტ პუნქტს, რომელიც გერმანიას ქვეყნებისათვის მიყენებული სამოქალაქო ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას აკისრებდა. ამ ფორმულის მიხედვით, გერმანიას მხოლოდ 19 მილიარდი ოქროს მარკის გადახდა უნებდა, რომლიდანაც საფრანგეთი, მისი ტერიტორიისათვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, 70 პროცენტს მიიღებდა. ზომიერი გადასახდელი თანხის დაწესება დიდად გაზრდიდა გერმანიის მიერ საფრანგეთის რეკონსტრუქციისათვის თანხის გამოყოფის ვალდებულების აღიარებას, რომლის გადახდაც გერმანიის ცხოვრების სტანდარტებს დიდად ვერ დააკნინებდა.

მაგრამ გადასახდელი თანხის ზომიერების წინააღმდეგ კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის დელეგაციაც გამოვიდა. რადგანაც გერმანიის მიერ ბრიტანეთის სამოქალაქო საკუთრებისთვის მიყენებული ზიანი მინიმალური იყო, ლოიდ ჯორჯმა უილსონი დაარწმუნა გერმანიისადმი თანხის გადახდის წაყენებულ ვალდებულებებში ასევე შეეტანა პენსიების გადახდა ვეტერანებისათვის, რითაც ბრიტანეთის შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილება შეეხებოდა მხოლოდ თანხების განაწილებას სხვადასხვა ქვეყანაზე და არ იწვევდა გერმანიის საბოლოო ვალდებულებების გაზრდას, მაინც რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს განაწილება არასამართლიანი იყო და მას უფრო მოკავშირე ქვეყნების სიხარბე ედო საფუძვლად. ყველაფერი გააუარესა იმ ფაქტმა, რომ მშვიდობისმყოფელებმა გადაწყვიტეს გერმანიის მიერ გადასახდელი საბოლოო თანხის გამოცხადება 1921 წლის მაისისათვის გადაედოთ, იმ პირობით, რომ გერმანია ხსენებულ თარიღამდე გადაიხდიდა 5 მილიარდ აშშ დოლარს. ამ გადავადების მიზეზად მოიტანეს მოქალაქეებისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენა, რაც ადგილზე შესწავლით უნდა განსაზღვრულიყო. რეალური მიზეზი კი იყო შიში, რომ გერმანიისათვის დაკისრებული გადასახდელი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდებოდა მოკავშირე ქვეყნებში გაბატონებული საზოგადო აზრისა და მოლოდინის დასაკმაყოფილებად და საზოგადოება გადაწყვეტდა სამაგიერო გადაეხადა იმ პოლიტიკური ლიდერებისათვის, რომელთაც მათ საარჩევნო რიტორიკით მსგავსი მოლოდინი ჩაუწერეს.

მითი „ომის დანაშაულის“ შესახებ

მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის ზუსტი თანხის დადგენის შეუძლებლობა, გერმანიაში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური გაურკვეველობისა და პოლიტიკური მღელვარების მიზეზი გახდა. ბუნებრივია, უცხოელი

და ადგილობრივი ინვესტიორები ასეთ არასტაბილურ ეკონომიკაში თანხების დაბანდებისაგან თავს იკავებდნენ. თუმცა, გერმანელების ყველაზე დიდ მლელვარებას ამ საკითხის მოუგვარებლობასთან მიმართებაში უფრო სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა, რომლის მიხედვითაც სიმბოლოებს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, ვიდრე თვითონ სამოქალაქო დამოკიდებულების ფორმირების არსებით მხარეს. გარანტიებისა და ანაზღაურების ლეგიტიმაცია მოცემული იყო სამშვიდობო ხელშეკრულების 231-ე მუხლში, რომელიც განმარტავდა სამოქალაქო საკუთრებაზე ზიანის მიყენებისათვის გერმანიის პასუხისმგებლობას, რაც გერმანიის მთავრობამ შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს ღიად აღიარა და მიიღო. სარეპარაციო კომისიაში ამერიკის წარმომადგენლის – ჯონ ფოსტერ დალესის წარმოდგენით, ეს თავი შემუშავებული იყო მოკავშირე ქვეყნების მიერ ომის შედეგად მიღებული მთელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან გერმანიის დასაცავად; ამის ნაცვლად გერმანიას ეკისრებოდა ომისაგან მიყენებულ ზიანსა და შედეგებზე მორალური პასუხისმგებლობა, მაგრამ, კანონის მიხედვით, გერმანია ასევე პასუხისმგებელი იყო მხოლოდ შეთანხმებაში მოცემულ მიყენებული ზიანის მოკლე ჩამონათვალზე. მოხდა ისე, რომ, ამ მუხლის მიხედვით, მხოლოდ გერმანიას ეკისრებოდა ცალმხრივად „ომის წამოწყების ბრალი“. მსგავსი ინტერპრეტაცია მთლიანად უსაფუძვლო იყო. სიტყვა „ბრალი“ მუხლში ნახსენები არ ყოფილა, ისევე როგორც არ ყოფილა ნახსენები სიტყვა „ცალმხრივი“ გერმანიასთან მიმართებაში. თითქმის მსგავსი ენა იქნა გამოყენებული შეთანხმებებში, რომლებიც გაფორმდა გერმანიის მოკავშირეებთან: ავსტრიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და თურქეთთან. და მაინც, მითი „ომის წამოწყების ბრალზე“, რომელიც გამუდმებთ მეორედებოდა 1920-იანი წლების გერმანიის მთავრობების მიერ და მოგვიანებით ეფექტურად იქნა გამოყენებული ჰიტლერის მიერ, არსებულ მტაცებლურ ფინანსურ მოთხოვნებთან ერთად, მოგვიანებით დიდი აღშფოთების წყარო გახდა გერმანიაში.

ბრიტანეთის სამშვიდობო მიზნები

პარადოქსული აღმოჩნდა ის, რომ ბრიტანეთის დელეგაციამ, რომელიც კონფერენციაზე უფრო ზომიერი მიდგომით ხასიათდებოდა, რეპარაციების საკითხთან დაკავშირებით პრობლემები შექმნა. ლიმილის მომგვრელია ისიც, რომ ლოიდ ჯორჯი პარიზის კონფერენციიდან შინ ზომიერი მიდგომის ყველაზე დიდი მომხრის რეპუტაციით დაბრუნდა. სინამდვილეში ეს რეპუტაცია ეფუძნებოდა ბრიტანეთის წინააღმდეგობას გერმანიაზე მკაცრი ტერიტორიული დამსჯელობითი ზომების (ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განსხვავებით) გატარებასთან დაკავშირებით,

რომელიც საფრანგეთს სურდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ლოიდ ჯორჯის როლი, რომელიც მან შეასრულა საფრანგეთის მცდელობის დაბლოკვაში – რაინლანდის ტერიტორიაზე შექმნილიყო დამოუკიდებელი კლიენტი სახელმწიფო, რადგან მსგავსი ტერიტორიული ამპუტაცია ბიძგს მისცემდა გერმანიის რევანშიზმს. იმავე მიზეზით მოხდა ბრიტანეთის შეჯახება საფრანგეთთან, გერმანიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების საკითხის გადანყვეტასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც გერმანიასა და რუსეთს შორის ასი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, საფრანგეთის პოლიტიკით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთი რეგიონული უსაფრთხოება და სტაბილურობა, რომელიც უზრუნველყოფდა ჰაბსბურგისა და რომანოვების იმპერიების დანგრევის შედეგად ახლად აღმოცენებული სახელმწიფოების დამოუკიდებლად განვითარებას დროებით დასუსტებული, მაგრამ პოტენციურად გაძლიერებადი გერმანიისა და რუსეთის მათზე ბატონობის გარეშე. საფრანგეთის ოფიციალური პირების აზრით, პატარა და საშუალო ზომის სახელმწიფოების ჯგუფი ბალტიისპირეთიდან ბალკანეთამდე წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს, მომავალში კონტინენტზე ძალათა ბალანსის გადანაწილებისას. გეოგრაფიული ბარიერი, რომელსაც ისინი ქმნიდნენ გერმანიასა და რუსეთს შორის, მიჩნეული იყო, რომ წარმოადგენდა ამ ორ დაპირისპირებულ ქვეყანას შორის შესაძლო დაახლოების სანინააღმდეგო ზღუდეს. პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ახალი სახელმწიფოები, ახლადგაფართოებულ რუმინეთის სახელმწიფოსთან ერთად, ხაზს უსვამდნენ თავიანთ ეროვნულ იდენტობას. მაგრამ, რეგიონში ეროვნული საზღვრების დელიმიტაციასთან შედარებით, ეროვნული დამოუკიდებლობის უბრალოდ გამოცხადება უფრო მარტივი აღმოჩნდა იქ, სადაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთნიკური სიჭრელე და მრავალეროვანი მოსახლეობის თანაცხოვრება ხელს უშლიდა ეთნიკურად ერთგვაროვანი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. ყველაფერს აუარესებდა ის, რომ, ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს უხდებოდათ ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევა. ამგვარად, პოზენისა და დასავლეთ პრუსიის მილიონი გერმანულენოვანი მოქალაქე მოაქციეს პოლონეთის ახალ სახელმწიფოში, რათა მას ზღვაზე გასასვლელი ჰქონოდა. ჩეხოსლოვაკიის თავდაცვითი საზღვრებით უზრუნველყოფის მიზნით, ბოჰემიის საზღვრებთან მცხოვრები 3,25 მლნ გერმანელი ახალი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ავსტრიის სახელმწიფოს გერმანულენოვან მოქალაქეებს აეკრძალათ გერმანიასთან გაერთიანება, რადგანაც მიჩნეული იყო, რომ ამ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება საფრთხეს შეუქმნიდა ახლად ჩამოყალიბებული აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უსაფრთხოებას. რაინლანდის შემთხვევის მსგავსად, თუმცა ამჯერად წარუმატებლად, ბრიტანეთი შეენინა აღმდეგა გერ-

მანიასთან დაკავშირებულ საკითხებში საფრანგეთს იმ მიზეზით, რომ მათი არდაკმაყოფილება გამოიწვევდა გერმანიის უკმაყოფილებას მშვიდობის დამყარების პირობების მიმართ.

ტერიტორიულ საკითხებში გერმანიის მიმართ პოზიტიური მიდგომის მთავარ და პირდაპირმამოტივირებელ ფაქტორად შესაძლოა მივიჩნიოთ ბრიტანეთის მთავრობის კონცეფცია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზე. ლოიდ ჯორჯის სტრატეგია მშვიდობის დამყარების კონფერენციაზე იყო იმისათვის ზრუნვა, რომ გერმანიას ველარასოდეს შეძლებოდა საფრთხე შეექმნა იმპერიის საზღვაო გზებისათვის და ბრიტანეთის მიერ დასავლეთ ნახევარსფეროში არსებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობისათვის. ამ გარანტიის მიღება მოხერხდა გერმანიის სამხედრო ფლოტის შემცირებით, რომლის შემადგენლობაშიც სულ რაღაც 6 საბრძოლო გემი დარჩა; ამდენივე დამხმარე გემით. გერმანიას აეკრძალა წყალქვეშა ნაების ფლობა და მოხდა აფრიკისა და წყნარი ოკეანის აუზის გერმანიის კოლონიების გადანაწილება გამარჯვებულ მოკავშირე ქვეყნებს შორის, რაც დამტკიცებულ იქნა ერთა ლიგის მიერ. ამ სამხედრო-საზღვაო საკითხებთან და კოლონიებთან დაკავშირებული შეთანხმებით დასრულდა ე.წ. "Weltpolitik" (მსოფლიო პოლიტიკა), რომელსაც უილბლო ვილჰელმ II ახორციელებდა. ამდენად, გერმანია დაუბრუნდა რა იმ ტერიტორიულ საზღვრებს, რომელიც ბისმარკის დროს ჰქონდა, უკვე აღარ წარმოადგენდა საფრთხეს ბრიტანეთის იმპერიული და საზღვაო ინტერესებისთვის. ამით ბრიტანეთმა განაახლა კონტინენტზე წონასწორობის მხარდაჭერის ტრადიციული პოლიტიკა, რათა მას შეძლებოდა ეთამაშა გლობალური როლი. უფრო კონკრეტულად, ეს მოიცავდა ისეთ ტერიტორიულ დანაწილებას ევროპაში, რის შედეგადაც გერმანია ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის საპირიწონე იქნებოდა. ასეთი ბალანსის აღდგენა ყოფილ მოკავშირე და მტერ სახელმწიფოებს შორის, ბრიტანეთის აზრით, უფრო საჭირო გახდა, როდესაც საფრანგეთმა აღმოსავლეთ ევროპის ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოებს თვალი დაადგა. საფრანგეთის ირგვლივ შეკრებილი კოალიციის ჩამოყალიბების პერსპექტივა, ისევე როგორც გერმანიის უღლის ქვეშ მყოფი ევროპის ქვეყნები, ბრიტანეთისთვის მიუღებელი იყო.

საფრანგეთისა და ბრიტანეთის განსხვავებული ეროვნული ინტერესები გახდა მიზეზი იმისა, რომ თანამშრომლობა, რომელიც ომის პერიოდში დაიწყო საფრანგეთმა და ბრიტანეთმა მშვიდობის საკითხებთან დაკავშირებით, ვერ შენარჩუნდა. 1919 წლის 28 ივნისს პარიზის გარეუბანში – ვერსალში მდებარე სამეფო სასახლეში, გერმანიასთან მშვიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, პოზიციათა განსხვავებები ანგლოფრანგულ ანტანტაში საზოგადო ინტერესის საგანი გახდა. საფრანგეთის მთავრობები ცდილობდნენ მკაცრად დაეცვათ მშვიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მაშინ, როცა ბრიტანეთის მთავრობები უპირატესობას შეთანხმების

პირობების უფრო ფართო ინტერპრეტაციას ანიჭებდნენ. ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ყველაზე დიდი აზრთა სხვაობა, ევრსალის შეთანხმების გამოყენებასთან დაკავშირებით, ეხებოდა რეპარაციების საკითხს. მაშინ, როცა ლოიდ ჯორჯი მშვიდობის კონფერენციაზე გერმანიისათვის დიდი რეპარაციების დაწესების მომხრე იყო, ბრიტანეთის ფინანსური სფეროს ოფიციალური პირები მსგავსი დამსჯელი ღონისძიებების განხორციელების მიმართ ისეთი მომთხოვნი არ იყვნენ, რასაც ისინი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ამართლებდნენ. ხაზინის წარმომადგენლის – ჯონ მენინარდ კეინსის (რომელიც პარიზში ბრიტანეთის დელეგაციის წევრი იყო) ნაშრომებით შთაგონებულ ბრიტანეთის საზოგადოებას სჯეროდა, რომ გერმანიის წარმატება აუცილებელი იყო ევროპაში ბრიტანეთის ომამდელ სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენისათვის. 1921 წლის მაისამდე, სანამ დადგინდებოდა გერმანიის მიერ სხვა ქვეყნებისათვის გადასახდელი ზუსტი თანხა, ლონდონში უკვე არსებობდა მრავალი არგუმენტი ომის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გერმანიის მიერ გადასახდელი თანხის შემცირებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით, აქცენტი გაკეთებული იყო გერმანიის ომამდელ მდგომარეობაზე, როდესაც ის იყო ბრიტანული გადაამა-მუშავებელი მრეწველობის პროდუქციის რეალიზების უმსხვილესი ბაზარი. გერმანიისათვის დაწესებული დიდი გადასახადი საფრანგეთის სასარგებლოდ შეამცირებდა გერმანიის იმპორტის შესაძლებლობებს და, ამდენად, ბრიტანეთის მრეწველობას წაართმევდა ყველაზე დიდ მომხმარებელს ევროპის კონტინენტზე. მეორე არგუმენტი მდგომარეობდა ე.წ. ტრანსფერის პრობლემაში, რომელიც, მშვიდობის კონფერენციის განმავლობაში, ფინანსური სფეროს წარმომადგენლების დავის საგანი გახდა: გერმანიას მისი რეალური სიმდიდრის გადაცემა საფრანგეთისათვის შეეძლო მხოლოდ ზედმეტი ოდენობით საექსპორტო პროდუქციის წარმოების შედეგად, ბრიტანეთისა და სხვა მოკავშირეების ხარჯზე. ბრიტანეთის ექსპორტს, რომელზეც ასე ძალიან იყო დამოკიდებული მისი ეკონომიკური კეთილდღეობა, სერიოზული ზიანი მიადგებოდა, თუ გერმანიას უფლებას მისცემდნენ გასულიყო უცხოურ ბაზრებზე, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნებისათვის რეპარაციების გადახდის უზრუნველსაყოფად. 1920-იანი წლების პირველი ნახევრის განმავლობაში, როდესაც ბრიტანეთის ეკონომიკა ინდუსტრიული სტაგნაციისა და მაღალი დონის უმუშევრობის ხანგრძლივ კრიზისს განიცდიდა, ამ მოსაზრებებმა დიდად განაპირობა ბრიტანეთის მსგავსი დამოკიდებულება გერმანიის მიერ დაზარალებული ქვეყნებისათვის რეპარაციების ოდენობასთან მიმართებაში. ომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გართულებამ, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა საფრანგეთისა და ბრიტანეთის პოლიტიკას შორის განსხვავებებით აღმოსავლეთ ევროპასთან, რაინლანდის

ოკუპაციასთან და მახლობელ აღმოსავლეთთან¹ დაკავშირებით, ომის პერიოდში წარმოქმნილი ერთსულოვანი თანამშრომლობის მოშლა გამოიწვია.

ამერიკა შინ ბრუნდება

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება ისეთი ძალის არარსებობის ფონზე ვითარდებოდა, რომელსაც ეკონომიკური რესურსები და პოლიტიკური გავლენა ექნებოდა, რათა გაეადვილებინა მსოფლიოს დაბრუნება მშვიდობიანი პერიოდის მდგომარეობაში. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დასრულების შემდგომი ამერიკის იზოლაციონისტური პოლიტიკა ამ წიგნის განხილვის საგანს არ წამოადგენს. მოკლედ კი შეიძლება ითქვას, რომ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი აქცენტს აკეთებს სენატში რესპუბლიკელების უმრავლესობის არაშორსმჭვრეტელობასა და ვინრო აზროვნებაზე, რამაც იმთავითვე განუზოცვილებლად აქცია პრეზიდენტ უილსონის სამშვიდობო გეგმა. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი კი შეერთებული შტატების იზოლაციის მიზეზად შიდაპოლიტიკური რეალობის მიმართ პრეზიდენტის ხისტი პოზიციას ასახელებს. რაც არ უნდა იყოს მიზეზი, შეერთებული შტატების სენატის უარმა, დათანხმებოდა პრეზიდენტ უილსონის მიერ პარიზში გაფორმებულ სამ პაქტს – მშვიდობის დამყარების შეთანხმებას გერმანიასთან, ორმხრივ უსაფრთხოების შეთანხმებას საფრანგეთთან და ერთა ლიგის კონვენციას, შეერთებული შტატები მშვიდობის დამყარების პროცესს ჩამოაშორა (ერთადერთი გამონაკლისი იყო ამერიკის სამხედრო ძალების შენარჩუნება რაინლანდის ტერიტორიაზე, სხვა მოკავშირე ქვეყნების ჯარებთან ერთად, მაგრამ, 1923 წლიდან ამერიკამ ეს ჯარები გაიყვანა და მისი სამშვიდობო პროცესისათვის ხელშეწყობა ამით დასრულდა). ამერიკის დიპლომატიურმა იზოლაციამ ომის პერიოდის მოკავშირე ქვეყნები იძულებული გახადა თავად აეღოთ პასუხისმგებლობა მშვიდობის პროცესის გაძლიერებაზე, რომელიც უილსონის წყალობით ასე მოდური გახდა. ბრიტანეთის ძალისხმევის შემცირებით და ევროპის სცენიდან რუსეთის დროებით გაქრობით, პასუხისმგებლობა თავისთავად გადავიდა საფრანგეთზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ისეთ ქვეყნებთან თანამშრომლობდა, ომისშემდგომი პერიოდის სტატუსკვოს შენარჩუნებას რომ ცდილობდნენ.

მაგრამ ამერიკის მიერ ევროპაში სამშვიდობო პროცესიდან განზე გადგომა არ ნიშნავდა ამერიკული ძალისა და გავლენის გაქრობას მთელს მსოფლიოში. ეს, უბრალოდ, იყო მის მიერ ძალისა და გავლენის განსხვავებული მიდგომის დასაწყისი. შეერთებული შტატების დიდ ომში ჩართვა არ იყო

¹ 1920-22 წლების საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტში პარიზი ემხრობოდა თურქებს, ხოლო ლონდონი – ბერძნებს. საფრანგეთს ასევე ეგონა, რომ ბრიტანეთი სირიაში მისი პოზიციების შესუსტებას ცდილობდა. საფრანგეთმა სირიაზე მანდატი 1920 წელს ერთა ლიგისგან მიიღო.



ვლადიმერ ილიჩ ლენინი (1870-1924): განსაცვიფრებელი ორატორი, რუსეთის ბოლშევიკების ლიდერი; ცდილობდა მოეპოვებინა ხალხის მხარდაჭერა მისი მყიფე ახალი რეჟიმისადმი. იმპერიულ გერმანიასთან სეპარატისტული სამშვიდობო შეთანხმების დადების შემდეგ, 1918 წლის მარტში, რამაც რუსეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსების გარეშე დატოვა, ახალი რეჟიმი ყველა მხრიდან კონტრრევოლუციურ შემოტევას განიცდიდა. გარდა ამისა, ქვეყნის ბევრ საზღვაო პორტში მოკავშირეთა საზღვაო ძალები იდგა. მაგრამ ლენინმა და ბოლშევიკებმა გადალახეს ეს გამოწვევები და შექმნეს ის, რასაც შემდგომ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი ეწოდა.

გამონვეული ტერიტორიების დასაკუთრებისა და ფინანსური მიზნებიდან გამომდინარე, ასევე შეერთებული შტატები მშვიდობის კონფერენციაზე არ მოსულა ტერიტორიების ან ფულის მიღების მოთხოვნით. ყველაფერი, რისი მიღწევაც მას სურდა, უილსონის ბუნდოვანი ფილოსოფიური მიზნების გარდა, იყო მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა მსოფლიოში, რადგან, სწორედ რომ ნორმალურ მშვიდობიან პერიოდში – მეოცე საუკუნის დასაწყისში – შეძლო შეერთებულმა შტატებმა გამხდარიყო უძლიერესი ეკონომიკური ძალა მსოფლიოში. ამერიკის სამთავრობო და ბიზნესწრებში მიღებული იყო აზრი, რომ ომამდელი პერიოდის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა და ინვესტიციების აღდგენა სტიმულს მისცემდნენ ეკონომიკურ განვითარებას ომისშემდგომ პერიოდში. ამერიკის მხარდაჭერის შეწყვეტა ევროპაში ახალი პოლიტიკური წესრიგის დასამყარებლად, დაემთხვა ამერიკის ეკონომიკური ძლიერების არნახულ აღმავლობას მთელს მსოფლიოში, რაც შემდგომ თავებში იქნება განხილული. როგორც ცნობილი გახდება, ის, რაც პოლიტიკის შემქმნელებმა ვაშინგტონში 1920-იანი წლების განმავლობაში ვერ გააანალიზეს, იყო ის, რომ შეერთებული შტატების მიერ

საერთაშორისო ეკონომიკური სტაბილურობისაგან მისაღები სარგებელი დამოკიდებული იყო ევროპის კონტინენტზე არსებული ეროვნული შუღლის და დაპირისპირების მოსპობაზე.

სამოქალაქო ომი და მოკავშირეთა ინტერვენცია რუსეთში

ამერიკის გასვლას საერთაშორისო წესრიგის დამყარების პროცესიდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, წინ უსწრებდა რუსეთის, როგორც მსოფლიო პოლიტიკის აქტიური მონაწილის, გაქრობა. ახალბედა ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელიც ქვეყნის სათავეში 1917 წლის ნოემბერში მოვიდა, ძვირად დაუჯდა 4 თვის შემდეგ მშვიდობის ხელშეკრულების დამოუკიდებლად გაფორმება გერმანიასთან. ბალტიისპირეთის ქვეყნები, ფინეთი, რუსეთის პოლონეთი, თეთრი რუსეთის ნაწილი, უკრაინა, ბესარაბია და ამიერკავკასიის ნაწილი რუსეთს გამოეყო და გერმანიის გავლენისა და კონტროლის ქვეშ მოექცა. ეს ქვეყნები და მათი მოსახლეობა შეადგენდა რუსეთის ტერიტორიის მეოთხედს და მისი მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტს. რუსეთისათვის კი ეს ნიშნადა ყველაზე ნოყიერი, სურსათის მწარმოებელი მიწებისა და ყველაზე განვითარებული სამრეწველო ტერიტორიების დაკარგვას. ამ უდიდესი მსხვერპლის გამართლება ხდებოდა ლენინის მიერ. იგი მისი განაწყენებული ამხანაგების პროტესტს პასუხობდა იმით, რომ ეს გადაწყვეტილება ახალ რეჟიმს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა და მისი ძალის კონსოლიდირებას ხელს შეუწყობდა. ლენინი ასევე უაღრესად დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთში წარმოქმნილი რევოლუციური ძალები დასავლეთით, ომით განადგურებულ ევროპაში, ველური ცეცხლის მსგავსად გავრცელდებოდა და შევიწროებულ მოსახლეობას მოუწოდებდა კაპიტალისტი ბატონების გადაგდებისა და საბჭოთა რესპუბლიკების ჩამოყალიბებისაკენ იმ მოდელის მსგავსად, რომელიც მისი ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე შექმნილი იყო. თავისუფალი, დამოუკიდებელი, სოციალისტური რესპუბლიკები, რომლებიც აღმოცენდებოდა ევროპის ძველი იმპერიების ნანგრევებზე, დაამყარებდნენ ძმურ ურთიერთობებს რუსეთის რეჟიმთან, რომელიც მათთვის შთაგონების წყარო იქნებოდა.

მანამდე კი, მეფის იმპერიის ნარჩენებზე ლენინს ძალაუფლებას ეცილებოდნენ შეიარაღებული კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ჩნდებოდნენ ბოლშევიკების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის პერიფერიებზე. მეფის ოფიცრებმა სამხრეთ რუსეთი ააჯანყეს ბოლშევიკების წინააღმდეგ, ამავე დროს კი ცდილობდნენ გერმანელების გაყვანას უკრაინიდან. ციმბირში გამოჩნდა რამდენიმე ანტიბოლშევიკური „მთავრობა“, რომელსაც იცავდა 50 000 პირისაგან შემდგარი ლეგიონი, რომლის წევრებიც იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი მოხალისეები, სამხედრო ტყვეები და ხელისუფლებისაგან განდგომილი პირები, რომლებიც რუსეთის ომიდან გამოსვლამდე რუსეთის მეფის ჯარში მსახურობდნენ ავსტრიის წინააღმდეგ. 1918 წლის სექტემბერში

დაარსდა „სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობა“, რომელშიც გაერთიანებული იყო ციმბირის ანტიბოლშევიკური ფრაქციები და რომელიც თანდათანობით ადმირალ ალექსანდრე კოლჩაკის – რუსეთის მეფის შავი ზღვის ფლოტის სარდლის – კონტროლის ქვეშ მოექცა. კოლჩაკმა მიიღო რუსეთის „უზენაესი მმართველის“ სტატუსი და მის დაქვემდებარებაში შევიდა თეთრების ჯარების მეთაურების უმრავლესობა, რომლებიც რეგიონში მოქმედებდნენ. ჩრდილოეთით, მურმანსკის ნავსადგურში დამყარდა ანტიბოლშევიკური რეჟიმი. მეფის რუსეთის გენერალ ნ.ნ. იუდენიჩმა, პეტროგრადადისთვის ბრძოლის გამართვის მიზნით (საიდანაც ლენინი 1918 წლის მარტში გადავიდა მოსკოვში და დედაქალაქად აქცია ის), ესტონეთში კონტრრევოლუციური ჯარი შეკრიბა.


რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყება ევროპის მოკავშირე ქვეყნების მთავრობებს აძლევდა შესაძლებლობას გამოეყენებინათ ეს მდგომარეობა „ცენტრალური ქვეყნების“ წინააღმდეგ ომში. ამერიკელებსა და ბრიტანელებს ეშინოდათ, რომ მათ მიერ გაგზავნილი იარაღი ბოლშევიკების მიერ ჩამოგდებული რუსეთის დროებითი მთავრობისათვის, რომელიც რუსეთის ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ნავსადგურებში იყო ჩარჩენილი, შესაძლოა მოხვედრილიყო გერმანელების ხელში. ამის თავიდან ასაცილებლად, 1918 წლის მარტში მცირე ბრიტანული სამხედრო კონტინგენტი გაგზავნილ იქნა მურმანსკში; აგვისტოში ბრიტანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის ჯარებმა მოახდინეს არხანგელსკის ოკუპაცია იმავე მიზნებისათვის; იაპონიის ჯარებს, რომლებიც აპრილში განლაგდნენ ვლადივოსტოკში, ნელ-ნელა შეუერთდა ამერიკის სამხედროთა გაცილებით პატარა კონტინგენტი. ეს მოკავშირე სამხედრო ძალები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ანტიბოლშევიკურ მთავრობებთან, რომლებიც გაჩნდნენ მოკავშირეთა ძალების მიერ ოკუპირებულ ნავსადგურებსა და მიმდებარე რეგიონებში. ამერიკისა და ბრიტანეთის საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ იარაღის საცავეების დაცვით და ისინი სრულიადაც არ ცდილობდნენ ჩართულიყვნენ სამოქალაქო ომში თეთრებსა და წითლებს შორის. მაგრამ საფრანგეთის მთავრობას უფრო ამბიციური გეგმები გააჩნდა. იგი იმედოვნებდა, რომ ლენინის წინააღმდეგ ამხედრებული სხვადასხვა ჯგუფი მოახერხებდა გაერთიანებას და ჩამოაყალიბებდა ძლიერ, სტაბილურ რუსულ მთავრობას, რომელსაც ექნებოდა სურვილი და შესაძლებლობა ბოლშევიკების გადასაგდებად, ასევე შეძლებდა გერმანიის წინააღმდეგ ომის განახლებას და მოკავშირე ქვეყნებზე 1918 წლის გაზაფხულზე განხორციელებული ლუდენდორფის დიდი შეტევის შედეგად ზენოლის შემსუბუქებას. როგორც გაირკვა, ანტიბოლშევიკური ძალების გაერთიანება რუსეთის სამომავლო ერთიანი პროგრამის განხორციელების მიზნით, შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ისინი წარმოადგენდნენ მთლიან პოლიტიკურ სპექტრს – მემარჯვენე მეფის რუსეთის რეაქციონერებით დაწყებული, მემარცხენე მენშევიკებითა და სოციალისტ

რევოლუციონერებით დამთავრებული. იდეოლოგიური კონფლიქტებითა და პიროვნებებს შორის დაპირისპირებებით დასუსტებული თეთრები ნელ-ნელა იხევდნენ მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან. 1920 წლის ბოლოსათვის რუსეთის სამოქალაქო ომი დასრულებული იყო, რომელშიც წითელმა არმიამ მისი კონტრრევოლუციონერი მტერი ყველა ფრონტზე დაამარცხა.

წმინდა სამხედრო მიზნებიდან გამომდინარე, მოკავშირე ქვეყნების ჩათრევა რუსეთის სამოქალაქო ომში 1918 წლის ნოემბერში შეწყდა, გერმანიის მიერ კავიტუაციის გამოცხადების შემდეგ. მაგრამ მოკავშირეთა სამხედრო ნაწილები რუსეთის ჩრდილოეთის არქტიკულ პორტებში 1919 წლის ნოემბრამდე რჩებოდნენ, ხოლო იაპონიას ციმბირის დეოკუპაცია 1922 წლის ბოლომდე არ მოუხდენია. 1922 წლისათვის კი ბოლშევიკებმა რუსეთი ყველა უცხოური ჯარებისგან გაანთავისუფლეს და აღადგინეს მეფის რუსეთის იმპერიის ყოფილი საზღვრები ყველა მიმართულებით, დასავლეთის გარდა, სადაც მათ ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ არა მარტო იმ ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან, რომელთაც გერმანია დაამარცხეს, არამედ იმ პატარა დამოუკიდებელი ქვეყნებიდანაც, რომლებიც რუსეთის იმ ყოფილ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ, რომელიც რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დაკარგა. ეს ქვეყნები იყო: ფინეთი, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, რომლებიც, ამავე დროს, ბალტიის ზღვაში მყოფი ბრიტანეთის სამხედრო ფლოტის მფარველობის ქვეშ, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რუმინეთის დიდად გაფართოებული სამეფო ინარჩუნებდა კონტროლს რუსეთის ყოფილ პროვინციაზე – ბესარაბიაზე, რომელიც რევოლუციის პერიოდში დაიპყრო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე ამაყი, მომთხოვნი და ძალზედ ანტიკომუნისტური პოლონეთის სახელმწიფო აღსდგა რუსეთის ევროპის კარიბჭესთან, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი ღრმად შედიოდა რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე.

ლენინის თავდაპირველი გეგმები ევროპის კომუნისტური რევოლუციის შესახებ, რომელიც მასებს მჩაგვრელებისგან გაანთავისუფლებდა და საბჭოთა ქვეყანას მოუხსნიდა დასავლეთის მოსალოდნელი აგრესიის საფრთხეს, ზავის დადებიდან რამდენიმე თვეში გაქარწყლდა. ცენტრალური ევროპის რევოლუციური მოძრაობების რამდენიმე მცდელობა, რუსეთის მოდელზე კომუნისტური რეჟიმის დამყარების მიზნით, ჩახშობილ იქნა კონტრრევოლუციური ძალების მიერ, რომლებიც გამარჯვებული მოკავშირეების სიმპათიით სარგებლობდნენ. 1919 წლის იანვარში სპარტაკის ლიგის მიერ დაფინანსებული, რუსეთის ბოლშევიკების მიერ წარმატებით შთაგონებული მემარცხენე სოციალისტების ბერლინში შეჭრა დემობილიზებული სამხედროების დახმარებით გერმანიის მთავრობის მიერ იქნა ჩახშობილი. აპრილში, ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკის შეჭრის მცდელობა ძალის გამოყენებით იქნა აღკვეთილი. ბელა კუნის (რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის ვეტერანი) მიერ ბუდაპეშტში შექმნილ უნგრეთის კომუნისტურ რეჟიმს სისხ-

ლიანი კონტრრევოლუცია მოჰყვა, რომელსაც მხარს უჭერდა რუმინეთის დამპყრობელი ჯარი. მოკლედ, ბოლშევიკების ტრიუმფი რუსეთში უფრო განცალკევებული მოვლენა აღმოჩნდა და არა მსოფლიო მასშტაბის სოციალისტური რევოლუცია, როგორც ამას მისი არქიტექტორები ძალიან იმედოვნებდნენ. გამარჯვებული მოკავშირე ქვეყნების იდეოლოგიურმა და აღმოსავლეთ ევროპის იმპერიების ნანგრევებზე წარმოქმნილ სახელმწიფოთა გამარჯვებულმა ანტიკომუნისტურმა ელიტების ერთობლივმა მცდელობებმა წარმატებით შეაჩერეს კომუნიზმის დასავლეთით გავრცელება. მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები პარიზში, სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წლის გაზაფხულზე, ნამდვილად გახარებულნი იქნებოდნენ ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რევოლუციების ჩახშობით. თუმცა ლენინი რუსეთში კონტრრევოლუციონერებს და მოკავშირეთა ჩარევას გაუმკვლავდა, ბოლშევიზმის „ბაცილის“ გავრცელება ახალი საბჭოთა სახელმწიფოს დასავლეთით მაინც მოხერხდა.



ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული დანაკარგი და ახალი სახელმწიფოების აღმოცენება ახლო აღმოსავლეთში

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის შექმნა

დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ხელთ იგდებს ოსმანთა იმპერიის არათურქულ ტერიტორიას


პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთვის, დღევანდელი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ოსმანთა იმპერიის კონტროლის ქვეშ იყო. მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლის მთავრობა ომში ჩაერთო, როგორც გერმანიის მოკავშირე, როგორც უკვე ვნახეთ, დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა მისი სამხედრო ძალები თურქეთის წინააღმდეგ მიემართა, რისთვისაც სამი პოლიტიკური შეთანხმების გამოყენებას აპირებდა, რომლებიც ოსმანთა იმპერიას სამხედრო თვალსაზრისით შეასუსტებდა: პირველი შეთანხმება გაფორმდა 1915-1916 წლების ჰუსეინ-მაკმაჰონის მიმონერაში, რომლითაც ოსმანთა იმპერიის მიერ კონტროლირებული არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილის არაბ ლიდერს ლონდონი მხარდაჭერას ჰპირდებოდა თურქეთის ანატოლიის სამხრეთით დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნაში, თურქების წინააღმდეგ არაბეთის სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ; მეორე შეთანხმება უკავშირდებოდა 1917 წლის ნოემბრის ბალფურის დეკლარაციას, რომელშიც ბრიტანეთი მხარდაჭერას უცხადებდა მსოფლიო სიონისტურ მოძრაობას, თურქეთის მიერ კონტროლირებული პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული „სახლის“ დაარსების მიზნით; მესამე შეთანხმება იყო 1916 წლის 4 თებერვლის უალრესად გასაიდუმლოებული საიქს-პიკოს შეთანხმება, რომელიც დაიდო ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის და ეწინააღმდეგებოდა არაბებისა და სიონისტებისათვის მიცემულ პირობას. ის ითვალისწინებდა ოსმანთა იმპერიის განაწილებას ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერესის სფეროებად.

სამშვიდობო კონფერენციის განმავლობაში და მის შემდეგ, ორმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ მოახდინა ოსმანთა იმპერიის დაქუცმაცება, მისთვის ჯერ არათურქული ტერიტორიების ჩამოშორებით, შემდეგ კი, თანდათან, მათი ხუთ პოლიტიკურ ერთეულად დაყოფით. ამტკიცებდნენ რა, რომ ამ პოლიტიკური ერთეულების მცხოვრებთ არ შეეძლოთ განეხორციელებინათ თვითმმართველობა, ბრიტანეთი და საფრანგეთი საკუთარ თავზე იღებდნენ ამ ახალი სახელმწიფოების პოლიტიკურ კონტროლს, როგორც ახალი ერთა ლიგის ნომინალური უფლებამოსილებით მიღებულ „მანდატს“, რისი წინასწარგანსაზღვრული მიზანიც მომავლის დაუდგენელი თარიღისათვის ამ ქვეყნების თანდათანობით მომზადება იქნებოდა დამოუკიდებლობისათვის. ბრიტანეთმა ეს მანდატი მიიღო ერაყზე, პალესტინასა და ტრანსიორდანიასზე (რომელსაც მოგვიანებით იორდანიას დაერქვა), საფრანგეთი კი გახდა სირიისა და ლიბანის კანონიერი მფარველი ძალა. ამ ორმა ევროპულმა ქვეყანამ ამ ახალი სახელმწიფოების საზღვრები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე გაავლეს და არ გაითვალისწინეს მათი მოსახლეობის რელიგიური და

ეთნიკური მახასიათებლები. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ეს ეროვნული საზღვრები, რომლებიც ამ ქვეყნებს ახლო აღმოსავლეთში ერთმანეთისგან ჰყოფს, დღესაც უცვლელია. სინამდვილეში, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი დიდ ომში გამარჯვებულმა ძალებმა ომის დასრულების შემდეგ შექმნა.

ბრიტანეთის ირიბი მმართველობა ჰაშიმიანთა მმართველების დახმარებით ერაყსა და ტრანსიორდანიასში

მანდატის მქონე ვროპის ქვეყნებმა მალე აღმოაჩინეს, რომ მათზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს სულაც არ სურდათ ერთ ძალაზე დაქვემდებარება, რომელმაც ისინი ოსმანთა უღლისაგან გაანთავისუფლა. ფრანგებს დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ მმართველობის დაწყებისას სირიასა და ლიბანში და მოუხდათ გარკვეული ღონისძიებების გატარება ამ ქვეყნებში მმართველობის შენარჩუნებისათვის. ბრიტანეთს კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ერაყის ადგილობრივთა მხრიდან. ჰაშიმიანთა ლიდერის – შარიფ ჰუსეინის იმედგაცრუების ნაწილობრივ შესარბილებლად, რაც უკავშირდებოდა დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნას, როგორც ლონდონი ადრე დაჰპირდა, ბრიტანეთმა ამ სახელმწიფოში ბალდადის ტახტზე აიყვანა მისი ვაჟი – პრინცი ფეისალი (რომელიც მეთაურობდა არაბეთის ჯარებს თურქების წინააღმდეგ ომში). მაგრამ ევროპული ძალის მიერ არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთიდან სუნიტი მუსლიმი მეფის ტახტზე დასმამ, ერაყში შიიტი მუსლიმი უმრავლესობის აჯანყება გამოიწვია. საპასუხო სამხედრო კამპანია, რომლის განხორციელებაც ბრიტანეთმა 1920 წელს დაიწყო და მოიცავდა დასახლებული პუნქტების განურჩევლად დაბომბვას სამეფო საპაერო ძალების მიერ და მომწამვლელი გაზის გამოყენებას, წარმატებული აღმოჩნდა ამბოხის ჩახშობისათვის. ჰაშიმიანთა მონარქიამ ბალდადში იმდენად დაუმტკიცა ბრიტანულ ბატონებს საკუთარი არსებობის საჭიროება, რომ ერაყმა 1932 წელს ფორმალური დამოუკიდებლობა მიიღო. თუმცა ბრიტანეთი ინარჩუნებდა კონტროლს მის საზღვარგარეთთან ურთიერთობებზე, სამხედრო ძალებზე და ფინანსურ ინსტიტუტებზე, ასევე ნავთობის 75-წლიან კონცესიაზე, რომლის უფლებაც 1925 წელს ფეისალის მიერ იქნა ბრიტანეთისათვის მინიჭებული. ლონდონის მთავრობამ შარიფ ჰუსეინის მეორე ვაჟი – აბდულა ტრანსიორდანიის ახალ მმართველად დანიშნა. ტრანსიორდანიის ტერიტორია გამოყოფილი იყო პალესტინისაგან მდინარე იორდანეს დასავლეთით. ერაყის მსგავსად, ბრიტანეთმა არა მხოლოდ დაუნიშნა ჰაშიმიანი მმართველი ახალი ქვეყნის მოსახლეობას, არამედ მისი საქმიანობის ეფექტურად გაკონტროლებასაც აგრძელებდა. ერაყსა და ტრანსიორდანიასში ჰაშიმიანების დანიშნით, ბრიტანეთში ომისშემდგომი პერიოდით გამოწვეული ეკონომიკის უკუსვლის დაძლევის პერიოდში, ბრიტანეთმა თავი დააღწია პირდაპირი მმართველობის პასუხისმგებლობის ტვირთს.



ფაისალი, პუშეინის მესამე ვაჟი, მექას შარიფი, რომელმაც, პირველი მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ არაბთა აჯანყებას მისცა ბიძგი, სანაცვლოდ ბრიტანელების დაპირებისა, მხარი დაჭირათ არაბთა სახელმწიფოს შექმნისათვის ომის შემდგომ. ფაისალი მართავდა ერაყში, როგორც ბრიტანეთის მანდატის მეფე, 1921 წლიდან 1933 წლამდე, თუმცა მისი ძალაუფლება მკაცრად იზღუდებოდა მისი ბრიტანელი ზედამხედველების მხრიდან. სურათზე იგი გამოსახულია თავისი მმართველობის ბოლოს – 1933 წელს, მუსლიმანთა წმინდა ადგილების მონახულებისას იერუსალიმში, სადაც პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატის შტაბ-ბინა იყო.

პალესტინის განსაკუთრებული შემთხვევა

ერაყისა და ტრანსიორდანიის მართვისაგან განსხვავებით, ლონდონმა გადანყვიტა მანდატის პირდაპირი გზით განხორციელება პალესტინაში, ყოველგვარი სანდო ხელქვეითისა და მმართველის დანიშვნის გარეშე. ამ განსხვავებული მიდგომის მიზეზი მარტივი იყო: ბრიტანეთის მიერ არაბებისა და სიონისტებისთვის იმ დანაპირების შეუსრულებლობა, რომელიც ბრიტანეთმა გაცხარებული ომის დროს გააკეთა, უარყოფითად შემოუბრუნდა ბრიტანელებს, როდესაც ისინი პალესტინაში ეფექტური მმართველობის დაწერგვას ცდილობდნენ. რამდენადაც ერთა ლიგის მანდატი გულისხმობდა ბალფორის დეკლარაციის გამოყენებას, ბრიტანეთი ვალდებული იყო ებრაელებისათვის მთელ მსოფლიოში მიეცა უფლება ეცხოვრათ მათ „ეროვნულ სახლში“, თუ ამის სურვილი ექნებოდათ. ებრაელი იმიგრანტების პირველი ომის შემდგომი ტალღა ძირითადად რუსეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან წამოვიდა, რომლებიც ცდილობდნენ ანტისემიტოზმისათვის თავი დაეღწიათ და ეცხოვრათ თავის მშობლიურ ქვეყანაში ან ოცნებობდნენ დაენყოთ ახალი

ცხოვრება, როგორც ისინი უნოდებდნენ, მათი წინაპრების მიწაზე. პირველი ბრიტანელი უმაღლესი კომისარი ჰერბერტ სამუელი იყო თვდადებული სიონისტი, რომელიც მთლიანად უჭერდა მხარს ქვეყანაში ახლადდარბუნებული ებრაელების მცდელობას – სოფლად ეყიდათ მიწა ან წამოეწყოთ ბიზნესი ქვეყნის დიდსა თუ პატარა ქალაქებში.

იმიგრაციამ და ქონების შესყიდვამ პალესტინის არაბ მოსახლეობაში, რომელიც ქვეყნის უმრავლესობას შეადგენდა, დიდი აღშფოთება გამოიწვია. 1921 და, განმეორებით, 1929 წელს, პატარ-პატარა ადგილობრივი უთანხმოებები გახდა მრავალი დიდი აჯანყების მიზეზი, რაც მალე ებრაელებსა და არაბებს შორის ეროვნული მასშტაბების ბრძოლაში გადაიზარდა. მაგრამ ყველაზე ძლიერ შეტაკებას ადგილი ჰქონდა 1936-1939 წლებში, არაბების დიდი აჯანყების დროს. ნაცისტური მმართველობის ქვეშ მყოფი, ევროპაში მცხოვრები ებრაელები გამალბებით ცდილობდნენ თავშესაფრის პოვნას პალესტინაში, რადგან ქვეყანათა უმრავლესობას (შეერთებული შტატების ჩათვლით) დაწესებული ჰქონდა მკაცრი საიმიგრაციო კანონები, რაც იმიგრაციას ძელზედ ზღუდავდა. მათმა დინებამ პალესტინაში გამოიწვია არაბების აჯანყება ბრიტანეთის მანდატისა და პალესტინაში სიონისტების თემის (იეშუვის) წინააღმდეგ. ევროპაში ნაცისტურ გერმანიასთან წინააღმდეგ ომის საშიშროების გაჩენასთან ერთად, ლონდონის მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას აღარ შეეძლო მისი ისედაც შეზღუდული ფინანსური და სამხედრო რესურსები პალესტინაში არეულობის დასაძლევად გამოეყენებინა და ბრიტანეთმა დაიწყო მზადება პალესტინიდან გამოსვლისათვის. 1937 წელს ფილის კომისიამ, რომელიც წარგზავნილ იქნა პალესტინაში, არეულობის მიზეზებისა და მდგომარეობის გამოსწორებისათვის გეგმის შემუშავების მიზნით, დაადგინა, რომ ორი თემი მშვიდობიან თანაცხოვრებას ვერ შეძლევდა. ამ შეფასების მიხედვით შემოთავაზებულ იქნა გადაწყვეტილება – პალესტინაზე არსებული მანდატის გაყოფა ორ დამოუკიდებელ ნაწილად – ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად. ამასთანავე, აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო მოსახლეობის გაცვლა ამ ორ სახელმწიფოს შორის. მოსახლეობის ამ გადაადგილების შედეგად, თითოეული ქვეყნის რელიგიური უმცირესობა გადასახლდებოდა შესაბამის სახელმწიფოში. პალესტინის ლიდერებმა მკაცრად უკუაგდეს მოსახლეობის გაყოფის ეს სქემა და არასამართლიანადაც შეაფასეს, რადგან (სხვა მიზეზებთან ერთად), სქემის მიხედვით, პალესტინის ყველაზე ნაყოფიერი მიწა ებრაელების ტერიტორიაზე ხვდებოდა. სიონისტური მოძრაობის წინამძღოლებმაც ამ შემოთავაზებაზე უარი თქვეს, რადგან მიაჩნდათ, რომ ამით ებრაელებს ართმევდნენ ძველი ისრაელის მთლიან ტერიტორიას, რომელზეც მათ კანონიერი უფლება გააჩნდათ.

პალესტინაში არაბებსა და ებრაელებს შორის კიდევ ორწლიანი დაპირისპირების შემდეგ, 1939 წლის გაზაფხულზე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ბრიტანეთის მთავრობამ თავისი, ამჯერად გან-

სხვაგვებული, გადანყვეტილება გამოაქვეყნა „თეთრ დოკუმენტში“, რომლის თანახმადაც, ეთნიკურად და რელიგიურად ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით, ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური ნიშნებით გაყოფისა და მოსახლეობის აუცილებელი გადაადგილების ნაცვლად, ქვეყანა გადაიქცეოდა ერთიან სეკულარულ სახელმწიფოდ, რომელიც მართული იქნებოდა ერთობლივად – არაბებისა და ებრაელების მიერ. 1940-1944 წლების განმავლობაში მხოლოდ 75 000 ებრაელ იმიგრანტს ექნებოდა იმიგრაციის უფლება, მომავალში კი ამ უფლების მიცემა მოხდებოდა არაბების უმრავლესობის თანხმობით. „თეთრი დოკუმენტით“ მოცემულ მის გადანყვეტილებას საფუძვლად ედო ბრიტანეთის მიზანი – არაბეთის მხარდაჭერის უზრუნველყოფა ნაცისტურ გერმანიასთან ომის შემთხვევაში, ხოლო ბრიტანეთს ებრაელების მხარდაჭერა მესამე რაიხის წინააღმდეგ ბრძოლაში ისედაც ექნებოდა. ეთნიკურად და რელიგიურად ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გადანყვეტილებაში ასევე იგრძნობოდა სიმპათია არაბთა ნუხილის მიმართ – მომავალ, დამოუკიდებელ პალესტინაში დემოგრაფიული თვალსაზრისით ბალანსის შენარჩუნების საჭიროება და ებრაელი იმიგრანტების ევროპიდან დიდი ნაკადის შემოსვლაზე შეზღუდვის დანეისების სურვილი. არცერთი დაპირისპირებული მხარე არ დარჩა კმაყოფილი „თეთრ დოკუმენტში“ გამოქვეყნებული გადანყვეტილებით. სიონისტები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ნაცისტური ანტისემიტური მოძრაობის მსხვერპლთ ეზღუდებოდათ პალესტინაში შესვლა, რომელთაც ასე სჭირდებოდათ თავშესაფარი. პალესტინელი არაბები კი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ეს გადანყვეტილება სრულად არ კრძალავდა ებრაელების შემოსვლას პალესტინაში. მაგრამ პალესტინის პოლიტიკური მომავლის განსაზღვრაზე მოახლოებული მეორე მსოფლიო ომი და ებრაელთა განადგურება (ჰოლოკოსტი) მოახდენდა გავლენას.

საუდის არაბეთის სამეფოს დაარსება

პირველი მსოფლიო ომისა და ოსმანთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ბრიტანეთის მთავრობამ თავი შეიკავა მისი დაპირების შესრულებაზე – თურქეთის სამხრეთით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასა და მის მეთაურად ბრიტანეთის პროტეჟე, ჰუსეინ იბნ ალის დასმის შესახებ, რომელიც იყო არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში (ჰიჯაზი) მცხოვრებ ჰაშიმიანთა წინამძღოლი. ამის ნაცვლად, ბრიტანეთის მთავრობამ ჰაშიმიანთა წინამძღოლიდან მხარდაჭერა ნელ-ნელა გადაიტანა აბდულ ალ-აზიზ იბნ საუდისაკენ, ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილის (ნაჯდი) მეთაურობაზე არაბთა მეთაურისაკენ. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში საუდის ოჯახმა სამხედრო ძლიერება გააფართოვა და ნეჯდის ქალაქ რიადის ფარგლებს გასცდა. ამაში საუდის ოჯახს ეხმარებოდა თავდადებულ მებრძოლ მუსლიმთა ჯგუფი („იხვან“), რომელიც იბრძოდა ნახევარკუნძულზე, მათი გაგებით, უფრო მკაცრი

და ზნეობრივად მაღალი ისლამის ვერსიის გავრცელებისა და გაბატონებისათვის. ათწლეულის შუა პერიოდში საუდის ძალებმა აჯობეს ჰიჯაზს, დაამარცხეს ჰაშიმიანთა დინასტია და კონტროლი მოიპოვეს ისლამის ორ უნმინდეს ქალაქზე – მექასა და მედინაზე.

ბრიტანეთის ფინანსური სუბსიდიებითა და ყოველწლიურად მექაში სალოცავად მუსლიმების ჩამოსვლის (ჰაჯი) შედეგად მიღებული სახსრებით, იბნ საუდმა 1932 წელს დააარსა საუდის არაბეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ერთი წლის შემდეგ ახალმა მთავრობამ შეასუსტა კავშირები მის ბრიტანელ ბატონთან და გააფორმა თანამშრომლობა შეერთებული შტატების ოთხ ნავთობკომპანიასთან: – კალიფორნიის „სტანდარტ ოილთან“ („მეკრონი“), „ტეხასის ნავთობკომპანიასთან“ („ტექსაკო“), „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილთან“ („ექსონი“) და „სოკონი ვაკუუმთან“ („მობილი“), რათა აეთვისებინა ნავთობის უზარმაზარი მარაგი, რომელიც, გეოლოგების შეფასების თანახმად, სამეფოს უდაბნოს ნიაღში იყო (და რომელიც 1938 წელს აღმოაჩინეს). ეს კონსორციუმი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში „არამკო“ დაერქვა, მსოფლიოში ნავთობის მწარმოებელი უდიდესი კომპანია გახდა, ხოლო საუდის არაბეთი – ნავთობის უდიდესი მარაგის მქონე ქვეყანა მსოფლიოში. საუდის არაბეთის სამეფო გახდა და დღესაც რჩება მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანად, რომელსაც სახელი მისი დამაარსებლის პატივსაცემად დაერქვა. ქვეყნის ყველა მმართველი დღემდე იბნ საუდის 37 ვაჟიდან ერთ-ერთია, რომლებიც მის გარდაცვალებამდე (1953 წ) მას ოცდაორმა ცოლმა გაუჩინა.

ოსმანთა იმპერიიდან თურქეთის რესპუბლიკამდე

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, ოსმანთა იმპერიის დაშლისას, ომში გამარჯვებული ქვეყნები უკვე ადგენდნენ გეგმებს კონტროლის მოსაპოვებლად არა მარტო ანატოლიის სამხრეთ ნაწილის არაბულენოვან ნაწილზე, არამედ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიის ნაწილებზეც. სევერის შეთანხმება, რომელიც 1920 წლის 10 აგვისტოს უკვე ქმედუნარიანობადაკარგულ ოსმანთა მთავრობას თავს მოახვიეს, შეიცავდა ყველაზე მძიმე და შეურაცხმყოფელ პირობებს ომისშემდგომი პერიოდის მშვიდობის სხვა შეთანხმებებს შორის. გამარჯვებული მოკავშირე ქვეყნები: ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და საბერძნეთი, თურქეთის შიდა ნაწილს – ანატოლიას, თავიანთი გავლენის სფეროებად ინაწილებდნენ. თურქეთის დასავლეთ სანაპიროზე იმ პერიოდისათვის უკვე იდგა საბერძნეთის სამხედრო ნაწილები, რომელთა მიზანიც ტერიტორიაზე მცხოვრებ ბერძენთა ეთნიკური უმცირესობის დაცვა იყო; ამასთანავე, ისინი ემზადებოდნენ აღმოსავლეთის მიმართულებით წინ ნაწევისთვის, ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში. სულთანის იძულებული გახდა გაეძლიერებინა კონტროლი სტამბოლზე და სტრატეგიულად მნიშვნელოვან სრუტეებზე, რომლებიც შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას ერთმანეთთან აკავშირებდნენ. ისინი საფრანგეთისა და

ბრიტანეთის დეფაქტო კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული და „საერთაშორისო ზონად“ გამოცხადებული. ყველაფერი, რაც ოსმანთა ვრცელი იმპერიისაგან დარჩა, იყო თურქეთის მცირე ტერიტორია, რომელიც ანატოლიის დაახლოებით მესამედს შეადგენდა.

ამ დამამცირებელმა შეთანხმებამ თურქეთში გაშმაგებული ნაციონალისტური რეაქცია ააზვირთა. ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქ ანკარაში, ოსმანთა იმპერიის ყოფილ სამხედრო ოფიცერ მუსტაფა ქემალს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თურქეთის ეროვნული მთავრობა, რომელმაც წარმატებული სამხედრო კამპანია განახორციელა ბრიტანული ერთა თანამეგობრობის ძალების წინააღმდეგ, გალიპოლის ნახევარკუნძულზე. როდესაც ბერძნები დასავლეთ სანაპიროდან ექსპანსიის მიზნით აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ, ქემალმა შეკრიბა ეროვნული ჯარი, რომელმაც ბერძნული ძალები ანატოლიიდან თანდათანობით განდევნა, რასაც თურქეთის მიმართ მოკავშირე ქვეყნების დამოკიდებულების შეცვლა მოჰყვა. თურქეთის დამოუკიდებლობისთვის წარმატებული ბრძოლის შედეგად, მოკავშირე ქვეყნებმა გადაწყვიტეს თავიდან გადაეხედათ ჩავარდნილი სეერის შეთანხმება და ის 1923 წლის ივლისში ლოზანის შეთანხმებით შეცვალეს. ახალი შეთანხმება აღიარებდა ახალი თურქული სახელმწიფოს ლეგიტიმურობას; შეთანხმებით მოხდა ამ სახელმწიფოს საზღვრების დადგენა, რაც ანატოლიის მთლიან ტერიტორიას მოიცავდა, რომელიც მანამდე მოკავშირე ქვეყნებს თავიანთი გავლენის სფეროებად ჰქონდათ გამოცხადებული. შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა თურქეთის კონტროლის აღდგენას სრუტეებზე. ლოზანის შეთანხმების ხელმოწერიდან სამი თვის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ფორმალურმა დაარსებამ, რომლის პრეზიდენტიც ქემალი იყო, წერტილი დაუსვა 600 წელზე მეტი ხანგრძლივობის ოსმანთა დინასტიის მეფობას.


ქვეყნიდან ევროპის მოკავშირე ძალების წარმატებით განდევნის შემდეგ, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ქვეყნის ვესტერნიზაციის ამბიციური კამპანიის განხორციელებისათვის მხადაჭერის მისაღებად, ქემალი ისევ ევროპას მიუბრუნდა. მას სჯეროდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა იყო რელიგიური ფანატიზმისა და დრომოჭმული სოციალური და კულტურული ტრადიციების შედეგი. იგი აპირებდა საკუთარი აბსოლუტური ძალაუფლება გამოეყენებინა დრომოჭმული ტრადიციების აღმოფხვრისა და ქვეყანაში დასავლური ინსტიტუტების, კანონისა და პრაქტიკის დანერგვისათვის. საფრანგეთის სეკულარისტულ მოდელზე დაყრდნობით, მან მკვეთრად გაშიჯნა ეკლესია და სახელმწიფო, დახურა მუსლიმური სკოლები, გააუქმა ისლამური სასამართლოები და აკრძალა ისლამური (შარია) კანონის გამოყენება სამოქალაქო საქმეების განხილვისას. თურქეთის სამოქალაქო ცხოვრებაზე მუსლიმური რელიგიის გავლენის შემცირების მიზნით, იგი აქცენტს აკეთებდა ვესტერნიზაციაზე, რის შედეგადაც მან არაბული დამწერლობა ლათინური დამწერლობით შეცვალა, თურქეთის მოქალაქეებს კი მოუ-

წოდებდა დაევიწყებინათ ოსმანთა პერიოდის ჩაცმულობა, როგორც იყო ქალებისათვის ჩადრი, კაცებისთვის კი – ჩალმა და ფესი და მიეღოთ ჩაცმის ევროპული სტილი. მოკლედ, 1934 წელს თურქეთის პარლამენტის მიერ „ათა-თურქად“ (თურქების მამა) წოდებულმა მუსტაფა ქემალმა დამარცხებული, დამცირებული, ეკონომიკურად ჩამორჩენილი მრავალეროვანი იმპერია, პრეზიდენტობის 15-წლიანი პერიოდის განმავლობაში, თანამედროვე ევროპული სტილის ეროვნულ სახელმწიფოდ აქცია. იგი წარმართავდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ინარჩუნებდა კორექტულ ურთიერთობას გამარჯვებულ ქვეყნებთან და, ამავე დროს, აყალიბებდა ნორმალურ კავშირებს მის ჩრდილოეთით მდებარე საბჭოთა კავშირთან. საზღვარგარეთთან ურთიერთობის ამ დამოუკიდებელმა პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა თურქეთის ნეიტრალიტეტს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და თავიდან ააცილა მას ტერიტორიული და სხვა სახის დანაკარგები, რომელთაგანაც ოსმანთა იმპერია, პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის მოკავშირეობის გამო, ძალიან დაზარალდა.

სპარსეთიდან ირანამდე

სპარსეთის სამეფო იყო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელიც მომავალში ახლო აღმოსავლეთის სახელით ცნობილ რეგიონში მდებარეობდა და რომელმაც შეძლო თავი დაეღწია ევროპის კოლონიალიზმისათვის. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის კერას, მე-18 საუკუნის მიწურულიდან, ყაჯართა ქაჯარის დინასტია მართავდა. მე-18 საუკუნის დასასრულისათვის, როგორც უკვე ვნახეთ, დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ამ ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებისათვის „დიდი თამაში“ წამოიწყეს. 1907 წელს ამ ორმა სახელმწიფომ სპარსეთი თავიანთი გავლენის სფეროებად დაყო, მაგრამ, რუსეთის 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ბრიტანეთმა რუსეთი სპარსეთიდან განდევნა და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ნავთობის საბადოებზე სრული კონტროლი მოიპოვა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში სპარსეთი დაშლის ზღვარზე აღმოჩნდა, რამდენადაც ეთნიკური უმცირესობები – აზერბაიჯანელები ჩრდილოეთით და ქურთები დასავლეთით – მხარს არ უჭერდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ დასუსტებულ თეირანში მმართველი გვარის დინასტიას. 1921 წელს ქვეყნის ერთადერთი მოქმედი სამხედრო ნაწილის ოფიცერი – რეზა ხანი შევიდა დედაქალაქში და ქვეყანაზე რეალური კონტროლი მოიპოვა. ოთხი წლის შემდეგ მან დაამხო ყაჯარების დინასტიის ბოლო მმართველი და საკუთარი თავი ახალი ფეჰლეთის დინასტიის შაჰად (მეფედ) აღიარა.

თურქეთში ათათურქის მსგავსად, რეზა შაჰიც ცდილობდა ქვეყნის მოდერნიზებას და მისი ქვეშევრდომებისაგან მოითხოვდა ჩაცმისა და ჩვევების დასავლური სტილის გადმოღებას. მის მიერ გამოშვებულმა კანონებმა ქალებისათვის ტრადიციული თავსაბურავის (ჰიჯაბი) აკრძალვის შესახებ, ქა-



შეცვლილი საზღვრები ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

ლებისათვის სამედიცინო და იურიდიული სკოლების გახსნამ და სხვა სეკულარისტული ზომების გატარებამ შიიტი მუსლიმი უმალესი პირების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ათათურქის მსგავსად, ყოფილი სამხედრო ლიდერი რეზა შაჰიცი, მისი ქვეყნის (რომელსაც 1935 წელს ირანი დაერქვა, როგორც ანტიკურ პერიოდში ეწოდებოდა) დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, ნეიტრალური საგარეო პოლიტიკის განხორციელების მომხრე იყო. დიდი ბრიტანეთის გავლენა ძლიერი იყო, რადგან მას ეკუთვნოდა ინგლის-ირანის ნავთობკომპანია (რომელსაც მოგვიანებით „ბრიტიშ პეტროლეუმი“ დაერქვა), რომელსაც პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა ქვეყანაში ნავთობის დიდი ოდენობით მოპოვების თვალსაზრისით. ამ ბრიტანული გავლენის დაბალანსების მიზნით, რეზა შაჰმა ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობები დაამყარა სხვა სახელმწიფოებთან. მეორე მსოფლიო ომის დროს მისმა მჭიდრო კავშირებმა ნაცისტურ გერმანიასთან, საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს უზიძგა 1941 წელს მოეხდინათ რეზა შაჰის ნავთობით მდიდარი ქვეყნის ოკუპირება და შაჰის შეცვლა მისი ახალგაზრდა მემკვიდრით. 1979 წელს მისი დინასტიისათვის ბოლოს მოლების შემდეგ და ქვეყნის რადიკალური ტრანსფორმაციის მიუხედავად, რეზა შაჰს სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე ირანული სახელმწიფოს დამაარსებელი.

ვერსალის განაჩენი

თანამედროვე ისტორიკოსებისათვის, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ შეხედონ წარსულის ერთიან სურათს, ძალზედ მარტივია უარყოფითად შეაფასონ პარიზის მშვიდობის კონფერენცია, რომელიც დამარცხებულ ძალებთან დადებული ხუთი შეთანხმებით დასრულდა და რომელთაც პარიზის სხვადასხვა გარეუბანში 1919-20 წლებში მოენერა ხელი.* პარიზამდე მსგავსი მნიშვნელობის ბოლო შეკრებაზე – ვენის კონგრესზე, დადგინდა საერთაშორისო წესრიგის ჩარჩო, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში, ევროპის მასშტაბით, ომის წამოწყების შესაძლებლობა თავიდან აგვაცილა. პარიზული მშვიდობა მთლიანად მოირყა ერთი თაობის ფარგლებში, რომლის დროსაც, მანამდე წარმოუდგენელი მასშტაბებით იყო ტოტალიტარული რეჟიმები, გენოციდი და ომი. სამართლიანობის მიზნით უნდა ითქვას, რომ ვერსალის შეთანხმების წარუმატებლობა არა მასში „ჩადებული“ შეცდომებით იყო გამოწვეული, არამედ შეთანხმების პირობების მონაწილეთა მიერ შეუსრულებლობით. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ, თუ გერმანია ბოლომდე შეასრულებდა ვერსალის პირობებს, მას ევროპის საფრთხეში ჩაგდება შეეძლებოდა. გერმანიის სამხედრო ძალის შემცირებითა და მისი რაინლანდი-

* ვერსალის ხელშეკრულება გერმანიასთან, სენ-ჟერმენ-ან-ლესის ხელშეკრულება ავსტრიასთან, ტრანონის ხელშეკრულება უნგრეთთან, ნეისის ხელშეკრულება ბულგარეთთან და სევრის ხელშეკრულება თურქეთთან.

დან გაყვანით, გერმანიის ჯარი ველარ შეუქმნიდა სამხედრო საფრთხეს ვერც საფრანგეთს და ვერც აღმოსავლეთის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ომის გამო მიყენებული ზიანისათვის, გერმანიის მიერ გადასახდელი, 1921 წლის მაისში დადგენილი სიდიდის, სარეპარაციო თანხის დროული გადახდა, დააცხრობდა გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეულ უკმაყოფილებას საფრანგეთში და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად შეამცირებდა დაძაბულობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის. არქივებში დაცული მასალა გვამცნობს, რომ საფრანგეთის ძლიერი სურვილი, ჰქონოდა ეკონომიკური თანამშრომლობა გერმანიასთან, განსაკუთრებით მისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მეტალურგიის სექტორში (რომელშიც საფრანგეთის რკინის მადანი გერმანიის კოქსვად ქვანახშირს შეავსებდა), საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობების აღდგენის საუკეთესო შესაძლებლობა იყო, რომელიც ვერ განხორციელდა.

თუ გადავხედავთ დიდი ომის შედეგად გერმანიის მიერ დაკარგულ ტერიტორიებს, ერთი შეხედვით, რთული იქნება დავასკვნათ, რომ დანაკარგი ნამდვილად დიდი იყო. ელზას-ლორენის საფრანგეთისთვის გადაცემით, უბრალოდ, აღდგენილ იქნა 1870 წლამდე არსებული მდგომარეობა და ამის შესახებ სერიოზული დავა გერმანიის ოფიციალურ წრეებში არასოდეს ყოფილა. გერმანიის დანციგის ბალტიის პორტისა და გერმანიის მასთან შემაერთებული „დერეფნის“ დაკარგვას უფრო მეტი წინააღმდეგობა მოჰყვა, რადგან იგი გამოყოფდა აღმოსავლეთ პრუსიის გერმანულ პროვინციას ქვეყნის მთავარი ნაწილისაგან და, შესაბამისად, საკმაოდ მოუხერხებელს ხდიდა ამ რეგიონთან კავშირს. მაგრამ ეს მოუხერხებლობა არაფერი იყო იმ ეკონომიკურ ზიანთან შედარებით, რომელიც პოლონეთს შეექმნებოდა ბალტიის ზღვაზე გასასვლელის გარეშე. „დერეფნის“ შექმნა გერმანიის ეროვნული მოთხოვნების უხეში დარღვევა არ იყო, რადგან „დერეფნის“ მოსახლეობის უმრავლესობას პოლონელები შეადგენდნენ. ამით ასევე ვერ ანაზღაურდებოდა ძვირფასი ბუნებრივი რესურსების დანაკარგი, რომელთა კომპენსირებაც არსად არ იყო შესაძლებელი. იგივე შეიძლება ითქვას ზემო სილეზიის ტერიტორიაზე პოლონეთამდე, რომელიც წარმოადგენდა პოლონელებითა და გერმანელებით დასახლებულ, ქვანახშირით მდიდარ რეგიონს. რური-სა და საარის ტერიტორიების ქვანახშირის მარაგი აკმაყოფილებდა გერმანიის შიდასაჭიროებებს ქვანახშირზე და ასევე საკმარისი იყო იმისათვის, რომ გერმანიას საფრანგეთისათვის გადაეხადა თანხა ომის გამო მიყენებული ზიანისათვის. სილეზიის ქვანახშირის მალაროების გარეშე, პოლონეთი იძულებული გახდებოდა შემოეტანა დიდი რაოდენობით ძვირი და, ამავე დროს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სანვაგი, მაშინ, როცა ახალი სუსტი სახელმწიფო ფინანსური საკითხების მოგვარებას ცდილობდა. დანიისა და ბელგიის სასარგებლოდ განხორციელებული გერმანიის საზღვრების მცირე ცვლილებებთან ერთად, ეს იყო გერმანიის მთლიანი ტერიტორიული დანა-

კარგი ომის შედეგად. სამშვიდობო კონფერენციაზე გერმანიამ, სხვა მოკავშირე ქვეყნებთან შედარებით (ბულგარეთის გარდა), ყველაზე მცირე ტერიტორია დაკარგა. თუ რომელიმე დამარცხებულ ქვეყანას უფლება ექნებოდა ესაყვედურა დიდი ტერიტორიული დანაკარგების გამო, ესენი იქნებოდნენ ავსტრიის, უნგრეთისა და თურქეთის ტერიტორიულად შემცირებული სახელმწიფოები. მაგრამ მათ მიერ საყვედურის გამოთქმაც უაზრობა იქნებოდა, რამდენადაც მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ უძლიერესი ქვეყნების სტატუსი და მისი დაბრუნების აღარანაირი შანსი არ გააჩნდათ. 1919 წელს პარიზში გერმანიისადმი დამოკიდებულება ნაკლებად მკაცრი იყო, ომის შემდგომი ევროპის რეორგანიზაციის პროექტთან შედარებით, რომელიც შემუშავებული იყო გერმანიის პოლიტიკოსების მიერ და ნაწილობრივ განხორციელდა კიდევ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების გათვალისწინებით. სამხედრო დამარცხების მიუხედავად, გერმანია პირველი მსოფლიო ომის დასასრულს მაინც რჩებოდა პოტენციურად ყველაზე ძლიერ ქვეყნად კონტინენტზე. მისი ინდუსტრიული რეგიონის ნაწილი, გამარჯვებული საფრანგეთის ინდუსტრიალურად შედარებით, ომით გამოწვეულ ნგრევას გადაურჩა და ხელშეუხებელი დარჩა, რადგან ომი მის საზღვრებს გარეთ მიმდინარეობდა. მის მოკავშირე ქვეყნებთან შედარებით, ტერიტორიების დაკარგვის მიუხედავად, გერმანიას მაინც გააჩნდა აღორძინების პოტენციალი.

ამდენად, გერმანიისათვის დაწესებული რეპარაციების თანხა ომის გამო მიყენებული ზიანის გამო, ნამდვილად არ იყო გერმანიის ბარბაროსული ექსპლუატაცია, როგორც გერმანელი პუბლიცისტები მოიხსენიებდნენ ხოლმე. 1921 წლის მაისში მიღებული ლონდონის პროტოკოლის თანახმად, გერმანიის მიერ გადასახდელი თანხა იმდენად შეიკვეცა, რომ გერმანიას თანხის გადახდა უკვე შიდა მოხმარების ზომიერი შემცირებითაც კი შეეძლო. გერმანიის მთავრობისა და გერმანელების უარი რეპარაციების გადახდაზე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური მსხვერპლის გაღებაზე, ნამდვილად არ იყო გამოწვეული „ქვეყნის გადახდისუნარობით“, პირიქით, გერმანიას ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდა. უარის ერთადერთი მიზეზი იყო გერმანელების რწმენა, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ყველა სახის ტერიტორიული ცვლილება და რეპარაციების თანხა არასამართლიანი იყო. ეს გადაწყვეტილება არასამართლიანად მიიჩნეოდა ომის გამო, რომ გერმანიამ თითქოს ომი წააგო. მისმა ჯარებმა აღმოსავლეთში გეგმის მიხედვით დაამარცხეს და ევროპიდან განდევნეს რუსეთი. ამის შემდეგ კი გერმანიის ჯარები დასავლეთში წესრიგის დაცვით ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში, შეთანხმების შესაბამისად, რაც განზრახ იქნა გასაღებული როგორც გერმანელთა ზავი „ყოველგვარი ანექსიისა და პირობების წაყენების გარეშე“ პრინციპის გათვალისწინებით. ოთხწლიანი ომის განმავლობაში, არცერთხელ არ მომხდარა გერმანიის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია. ამ პირო-

ბების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ გერმანელები მოკავშირე ქვეყნების ბრალდებებს არ იღებდნენ და მიაჩნდათ, რომ მათი სამშობლო გახდა ანტანტის მოკავშირე ქვეყნებისაგან მოტყუებული და მათი ლალატის მსხვერპლი. ამას განუწყვეტილ იმეორებდნენ გერმანიის პოლიტიკოსები და გერმანიის მოსახლეობაც მათ ემხრობოდა. ვერსალის შეთანხმების კრიტიკული შედეგი გახლდათ არა ის, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები იყო არასამართლიანი და განუხორციელებელი, არამედ გერმანელების რწმენა, რომ შეძლებდნენ ფართო მხარდაჭერის მოპოვებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში.

მას შემდეგ, რაც 1919 წლის შეთანხმების შესრულების იმედი დაკარგა ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა, მთელი სიმძიმე დააწვა საფრანგეთსა და ვერსალის ხელშეკრულების სხვა ბენეფიციარ ქვეყნებს, რომელთათვისაც ამ ტვირთის ატანა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. ამასობაში კი ევროპაში ყალიბდებოდა არასტაბილური სისტემა. ახალი პოლიტიკური წესრიგით გერმანია ინარჩუნებდა რაიხის უცვლელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურას, ამიტომაც, ახალბედა, პოლიტიკურად მოუმწიფებელ, სამხედრო თვალსაზრისით სუსტ და ეკონომიკურად არასტაბილურ სახელმწიფოთა გარემოცვაში, გერმანია კონტინენტზე პოტენციურად ძალთა წონასწორობის მთავარ დამრღვევად მიიჩნეოდა. საკმაო რაოდენობით გერმანულენოვანი უმცირესობები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ახალ სახელმწიფოებში და გერმანელთა უმრავლესობა ავსტრიის ახალ რესპუბლიკაში, პოტენციური ცდუნების საფუძველს ქმნიდა ირედენტიზმის მომხრე გერმანულ წრეებში. მათი მოწოდებები შევიწროებული თანამემამულეების და „დაკარგული“ ტერიტორიების დაბრუნების შესახებ, ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკური წყობის ლეგიტიმურობისთვის გამოწვევა გახდა, რაც მოგვიანებით პიტლერმა გამოიყენა მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზნით. მაშინ, როცა რუსეთი დროებით გამოთიშული იყო ევროპის პოლიტიკას, გერმანიის რევიზიონიზმის ერთადერთი ეფექტური შემაჩერებელი იყო საომარი პერიოდის განმავლობაში შექმნილი კოალიციის შენარჩუნება შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, რაც რაინლანდში მოკავშირეების სამხედრო ძალების განლაგებით ძლიერდებოდა. როგორც ვნახავთ, გამარჯვებული ქვეყნების დიპლომატიური კოალიციის დაშლამ ომისშემდგომი ათწლეულის დასაწყისში და რაინლანდიდან მოკავშირეთა სამხედრო ძალის ნაადრევად გასვლამ იმავე ათწლეულის დასასრულს, განაპირობა იმ მთავარი პრაქტიკული საშუალებების მოშლა, რომელთა გამოყენებითაც ევროპას მუდმივი მშვიდობა უნდა შეენარჩუნებინა.



დასავლური სამყარო ოციან წლებში – ილუზიების ეპოქა



დებატები ერთა ლიგის შეხვედრაზე ჟენევაში: მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა, მიერთებოდა ახალ მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც, პრეზიდენტ უილსონის აზრით, საერთაშორისო დავების მოგვარების მთავარი მექანიზმი უნდა გამხდარიყო, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ერთა ლიგის ყველაზე გავლენიან წევრებად იქცნენ. როდესაც საკითხი მათ სასიცოცხლო ინტერესებს შეეხებოდა, ეს და სხვა დიდი ქვეყნები ამ ახალი ორგანიზაციისათვის გვერდის ავლას და გადანყვეტილებების უშუალოდ, ერთმანეთთან მოლაპარაკებებით, მიღებას არჩევდნენ. თუმცა, კოლექტიური უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბების ნარუმატებელი მცდელობის მიუხედავად, ერთა ლიგამ შეძლო არაერთი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის შექმნა, რომლებიც მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადანყვეტას ემსახურებოდნენ.

თავის შინაარსი

ეკონომიკური აღორძინების ილუზია
კონტინენტური უსაფრთხოების ილუზია

ეკონომიკური აღორძინების ილუზია

პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამონეუულმა საყოველთაო ეკონომიკურმა ნგრევამ და ომისშემდგომ პერიოდში მშვიდობიანი პირობების მტკივნეულმა აღდგენამ, დასავლეთ სამყაროში ნოსტალგიის გრძნობა გააღვივა იმ ძველი, ნაცნობი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართ, რომელიც 1914 წლამდე შედარებით ეფექტურად მოქმედებდა. მაშინ, როდესაც მთავრობები ამაოდ ცდილობდნენ ომამდელი ეპოქის კარგად ნაცადი პრაქტიკის კვლავ ამოქმედებას, რამდენიმე შორსმჭვრეტელი ექსპერტი აფრთხილებდა მათ, რომ ომის შემდეგ განხორციელებულ პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების რევოლუციურ ტრანსფორმაციას არ მოჰყვებოდა ბედნიერ წარსულში მარტივად დაბრუნება. თუმცა, ამ ავისმომასწავებელ რჩევებს ყური არავენ ათხოვა. 1920-იანი წლების მეორე ნახევრის ზედაპირული ეკონომიკური აღმასვლის უკან პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გაჩენილი ბზარები იმალებოდა. თანდათანობით აღდგენილი კეთილდღეობის გამო, სახელმწიფოებმა უყურადღებოდ დატოვეს მსოფლიო ეკონომიკის სისტემური სისუსტეები და თავი აარიდეს რეალობის ადეკვატური ახალი და გაბედული პოლიტიკის განხორციელებას. 1930-იან წლებში საერთაშორისო ვაჭრობის, სესხებისა და ინვესტიციების არსებული ქსელების სრულმა მოშლამ, ბოლოსდაბოლოს დაარწმუნა მსოფლიო ლიდერები, რომ პირველი მსოფლიო ომი გარკვეული ეპოქის დასასრულს ნიშნავდა და საჭირო იყო მსოფლიოს სანარმოო რესურსების გაადვილებისა და მართვის ახალი მექანიზმის შექმნა.

ისტორიული ანალიზისათვის, პირველი მსოფლიო ომისშემდგომი ათწლეული შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ზოგ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ღრმა ეკონომიკურ დეპრესიას, სხვაგან – შიპერინფლაციას, ზოგადად კი ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ეკონომიკური უკუსვლის მიზეზი წარმოების შემცირება არ იყო. ომის დამანგრეველ შედეგებს მნიშვნელოვნად არ შეუმცირებია მსოფლიოში საქონლის და წარმოების მომსახურების ფიზიკური შესაძლებლობები, გარდა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონებისა და რუსეთის ევროპული ნაწილისა, რომლებიც ბრძოლის ძირითად ველს წარმოადგენდნენ. პრობლემებს უფრო მეტად ქმნიდა მსოფლიოში წარმოების საშუალებების

განანილების არაეფექტური გზები, ანუ ვაჭრობის, ინვესტიციების, სესხებისა და მიგრაციის საერთაშორისო სქემები. კიდევ უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, პირველი მსოფლიო ომისშემდგომი ევროპის ეკონომიკური აღორძინების უმთავრეს დაბრკოლებას პროდუქციის, რესურსების, კაპიტალისა და შრომის საერთაშორისო მიმოქცევის იმ შედარებით ეფექტური მექანიზმის მოშლა წარმოადგენდა, რომელმაც მანამდე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთის მიერ უზრუნველყო საერთაშორისო სანარმოო წესრიგის მიღწევა.

აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკური დეზინტეგრაცია

ომისშემდგომ წლებში მსოფლიო ვაჭრობის ნელი განვითარება პირდაპირ უკავშირდებოდა კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე მოვლენებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ეკონომიკური ნაციონალიზმის გავრცელება იყო. ეს ფენომენი ომის ბუნებრივი პირმშო იყო, რომელმაც თითქოს ყველასათვის ცხადი გახადა ეკონომიკური თვითკმარობის სამხედრო უპირატესობები და უცხოურ ბაზრებსა თუ მონოდების წყაროებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე საფრთხეები. ეკონომიკის ექსპერტთა უმრავლესობა და ბევრი პოლიტიკური ლიდერი აღიარებს ავტარკიისადმი ლტოლვის უგუნურებას ევროპული ერების ვიწრო ეკონომიკური ბაზიდან გამომდინარე. პირველ მსოფლიო ომში მონაწილე არცერთი დიდი სახელმწიფო არ ფლობდა საკმარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ნედლეულს და ეროვნულ ბაზარს, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებდა მათ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს. კონტინენტური ეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებლობის აღიარებამ კი ხელი შეუწყო ისეთი მულტინაციონალური სქემების განვითარებას, როგორც გერმანული „მიტელეუროპა“ და ფრანგების მიერ შეთავაზებული მოკავშირეთაშორისი ეკონომიკური ბლოკი იყო. მაგრამ, ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის ამ ომისდროინდელმა ინიციატივებმა ომის დასრულებამდე სრული დისკრედიტაცია განიცადეს. სანაცვლოდ, როგორც ვნახეთ, ცენტრალური ევროპის პოლიტიკური რეორგანიზაცია ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად განხორციელდა. ავსტრიასთან სენ-ჟერმენ-ან-ლეის და უნგრეთთან ტრიანონის ხელშეკრულებებით კოდიფიცირებულმა პოლიტიკურმა შეთანხმებებმა სანინალმდევო ტენდენციას დაუდო საფუძველი. დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულების რიცხვი, რომელთა შიგნითაც სანარმოო ფაქტორებს დაბრკოლებების გარეშე შეეძლოთ გადაადგილება, ოციდან ოცდაშვიდამდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც ყოფილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემა ჩამოიშალა და შეიღ სახელმწიფოს შორის დანაწევრდა (მათ შორის

სამი ახალი სახელმწიფო იყო), ხოლო რუსეთის დასავლეთით ხუთი ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა.

ასეთი ტერიტორიული განაწილების უარყოფით ეკონომიკურ შედეგს წარმოადგენდა მანამდე არსებული ურთიერთშემავსებელი რეგიონების დაშლა: ქალაქებს (მაგალითად, ვენას) მოწყდა მათი სურსათის მომწოდებელი რეგიონები; ინდუსტრიულ სექტორებს (როგორც იყო ჩეხოსლოვაკიის ბოჰემიის რეგიონი) კი გამოეყო ნედლეულის ტრადიციული მომწოდებლები ყოფილი ჰაბსბურგების იმპერიიდან, რომლებიც სხვა სახელმწიფოებს შეუერთდნენ. ხშირად ახალი საზღვრები უკვე ეფექტურად მოქმედ სატრანსპორტო ხაზებს კვეთდნენ (ამის გამო ჩეხოსლოვაკიის სარკინიგზო სისტემა მიბმული იყო ვენაზე და არა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაზე, რამაც მნიშვნელოვანი შეფერხებები და არაეფექტურობა გამოიწვია ახალ ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში). დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ეროვნული გაერთიანების პროცესისგან განსხვავებით, რომელმაც გაზარდა ეკონომიკური ერთეულების მოცულობა და პროდუქტიულობა, ეროვნული სახელმწიფოებების მშენებლობამ აღმოსავლეთ ევროპაში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, შეამცირა ეკონომიკური ერთეულების ზომა და, შესაბამისად, დანია ეფექტურობაც, რომელიც, ტრადიციულად, მასშტაბურ ეკონომიკას ეფუძნებოდა. პროდუქცია, რესურსები, კაპიტალი და მუშახელი, რომელიც ომის დაწყებამდე შედარებით მარტივად გადაადგილდებოდა ავსტრია-უნგრეთის ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის, ომის შემდეგ მემკვიდრე ქვეყნების მიერ ამოქმედებულ სხვადასხვა სახის შეზღუდვებს გადააწყდა. უსაფრთხოებასა და ეროვნულ სიამაყესთან დაკავშირებული მიზეზების გამო, ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტები ცდილობდნენ, თავიანთი აღმოცენებადი მრეწველობის სფეროები ჩვეულებრივი დისკრიმინაციული პოლიტიკის საშუალებით დაეცვათ – ტარიფები, საიმპორტო კვოტები, სუბსიდიები, – რაც ომისშემდგომ ევროპაში ვაჭრობის გამოცოცხლებას ხელს უშლიდა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ რუსეთის პოტენციურად მდიდარი რესურსებისაკენ გზა დაიკეტა, საბჭოთა რეჟიმის დამყარების შედეგად გამოწვეული ძლიერი იდეოლოგიური დაპირისპირების გამო.

ეკონომიკური ნაციონალიზმი და გლობალური პროტექციონიზმი

ევროპაში ტრადიციული სავაჭრო გზების დაბლოკვა იმ სავაჭრო კრიზისის მიკროვერსია იყო, რომელმაც 1920-იანი წლების პირველ ნახევარში მთელი მსოფლიო მოიცვა. ეკონომიკური ნაციონალიზმის სულისკვეთება, რომლითაც ევროპის კონტინენტის ცენტრში ახალი თუ ახლად გაფართოებული ქვეყნების მმართველი კლასები იყვნენ შთაგონებული, ასევე იმ რეგიონებშიც გამოჩნდა, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის ბრძოლის ველებისაგან მოშორებით მდებარეობდნენ. ომის დროს დასავლეთ ნახევარსფეროსა და

შორეულ აღმოსავლეთის სახელმწიფოები ავითარებდნენ ან აფართოებდნენ სამრეწველო დარგებს იმ საქონლის წარმოების მიზნით, რომელსაც უკვე ველარ იღებდნენ ომში მონაწილე ევროპული სახელმწიფოებიდან. ომის დასასრულს ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანა: კანადა, იაპონია, ინდოეთი და ავსტრალია ამაყად აცხადებდნენ მათი მაღალგანვითარებული სამრეწველო სექტორების შესახებ, რომლებიც პირდაპირ კონკურენციაში იმყოფებოდნენ ევროპის ძირითად საექსპორტო საქონელთან. გასაკვირი არაა, რომ ინვესტორები, მენეჯერები და მუშათა ჯგუფები, რომლებსაც ინტერესი ჰქონდათ ამ ახალი სანარმოების სარგებლიანობაში, თავიანთ მთავრობებს ეკონომიკურად გამოცოცხლებული ევროპიდან პროდუქციის მოსალოდნელი ნაკადის წინააღმდეგ დაცვას სთხოვდნენ. ომში გამარჯვებული დასავლური სახელმწიფოებიც კი, რომლებიც, მათი უპირატესი სანარმოო უნარებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტ მოგებას ნახავდნენ მსოფლიო ვაჭრობის გააქტიურების შემთხვევაში, კვლავ ინარჩუნებდნენ ომისდროინდელ არაერთ შეზღუდვას ფუფუნების საგნების (ყველაზე ფართო მნიშვნელობით) იმპორტზე, რათა დაეცვათ შიდაბაზარი ეროვნული სანარმოებისათვის, რომლებიც მთელი ძალით ცდილობდნენ, ომის მიერ გამონვეული ეკონომიკური ცვლილებების შემდეგ, სანარმოო პროდუქტიულობის აღდგენას.

ახალფეხადგმული მრეწველობის სფეროების დაცვის ან ომით განადგურებული ეკონომიკური ინსტიტუტების აღდგენის აუცილებლობა სრულად ვერ ახსნის შეერთებული შტატების ომისშემდგომ პროტექციონისტულ ეკონომიკურ პოლიტიკას. 1921 წლის „ტარიფების საგანგებო კანონის“ და 1922 წლის ფორდნი-მაკკამბერის ტარიფის შედეგად, იმპორტის ბეგარამ ამერიკის ისტორიაში უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ეს შეზღუდვითი საეკონომიკური შედეგი იყო იმ ინტენსიური ზენოლისა, რომელსაც ამერიკული აგრარული და სანარმოო ინტერესჯგუფები აწარმოებდნენ ამერიკის კონგრესზე ევროპის ახლადგადაიარაღებული სამრეწველო სექტორების მომავალი კონკურენცისგან თავდასაცავად. გარდა ამისა, ამ პროტექციონისტული პოლიტიკის პარალელურად, ამერიკის ომისშემდგომი ადმინისტრაციები ასევე ენერგიული კამპანიით ცდილობდნენ ამერიკული საექსპორტო ვაჭრობის ხელშეწყობას. 1918 წლის ვებ-პომერენის კანონმა გაათავისუფლა კიდევ ამერიკული ექსპორტი შერმანის ანტიმონოპოლიური კანონისგან, რათა ამერიკულ ფირმებს ევროპულ კარტელებთან კონკურენციის საშუალება მისცემოდათ. ჰარდინგის ადმინისტრაციის პერიოდში ვაჭრობის სახელმწიფო მდივანმა ჰერბერტ ჰუვერმა კიდევ უფრო გააძლიერა სამთავრობო ძალისხმევა უცხოეთში ამერიკული პროდუქციის გასაღების ხელშეწყობის მიზნით. სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც, როგორც ყოველთვის, ერთგული რჩებოდა „ღია კარის“ ამერიკული დოგმის მიმართ, ენერგიულად უჭერდა მხარს ამერიკული ფირმების ძალისხმევას, ესარგებლათ იმ ბაზრებითა და რესურსებით, რომლებსაც მანამდე ევროპული კონცერნები აკონტროლებდნენ. საზღვარგა-

რეთ ამერიკის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად ბიზნესისა და მთავრობის თანამშრომლობის უმთავრეს მაგალითს წარმოადგენს ამერიკული ნავთობკომპანიების ძალისხმევა ახლო აღმოსავლეთში ნავთობის რეზერვებზე ბრიტანეთის მონოპოლიის გარღვევისათვის, რასაც ამერიკის მთავრობა უმაგრებდა ზურგს. ამასობაში, შეერთებულმა შტატებმა ასევე დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა ბრიტანეთის გაბატონებული პოზიცია საერთაშორისო სავაჭრო გადაზიდვებში. 1920 წლის „საზღვაო სავაჭრო კანონმა“ ნება დართო, რომ კერძო გადაზიდვებზე კომპანიებს შეეღებებინათ ფასებში შეეძინათ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ხომალდები, რის შემდეგაც, შესაბამისი კანონით, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო სუბსიდიების გაცემა ახალი სავაჭრო გემების მშენებლობისათვის. ეკონომისტები აფრთხილებდნენ მთავრობას, რომ შეერთებული შტატების მიერ ევროპული ფლოტილიებისათვის კონკურენციის განევა არაპროდუქტიული იყო, რადგან გემთმშენებლობა ამერიკაში, ძვირი მუშახელის გამო, უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ეკონომიკური თვალსაზრისით, გონივრული იქნებოდა ამერიკას ევროპის უკვე არსებული კომპანიებისგან უფრო დაბალ ფასებში შეეძინა შესაბამისი სერვისები. თუმცა ეს არგუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა ამერიკული სავაჭრო ფლოტის დამცველებისათვის, რომლებიც ეროვნულ სიამაყეზე აპელირებით აცხადებდნენ, რომ ამერიკული საქონლის ტრანსპორტირება, მიუხედავად დანახარჯებისა, აუცილებლად ამერიკული გემებით უნდა მომხდარიყო.

პროტექციონიზმისა და ეკონომიკური ნაციონალიზმით გამოწვეული საერთაშორისო ვაჭრობის გამოცოცხლების ნელი ტემპის გარდა, მნიშვნელოვნად შეიცვალა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურა და მიმართულებებიც. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ომის დროს ევროპული სახელმწიფოების მიერ თავიანთი მრეწველობის იარაღისა და სამხედრო დანიშნულების საქონლის წარმოებაზე გადაყვანამ, მათი ექსპორტის მნიშვნელოვანი ვარდნა გამოიწვია, რასაც კიდევ უფრო ართულებდა ბრიტანეთის მიერ გატარებული ბლოკადის პოლიტიკა და გერმანიის წყალქვეშა საომარი მოქმედებები. ასევე ვნახეთ, რომ ევროპული ექსპორტის ვარდნამ აიძულა ნეიტრალური სახელმწიფოები, საკუთარი სამრეწველო სექტორები შეექმნათ ან განეერთებინათ, რათა ევროპიდან შეწყვეტილი იმპორტის კომპენსაცია მოეხდინათ. თუმცა, ბევრმა იმ დაბალგანვითარებულმა სახელმწიფომ, რომელსაც არ გააჩნდა სამრეწველო საშუალებები, ევროპული იმპორტი საკუთარი წარმოებით ჩაენაცვლებინა, სამრეწველო პროდუქციის ალტერნატიული წყაროებისთვის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას მიმართა. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა ჩაანაცვლა დიდი ბრიტანეთი და ლათინური ამერიკის მთავარ სავაჭრო პარტნიორად იქცა, ხოლო, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკან ჩამოიტოვა საფრანგეთიცა და გერმანიაც. იაპონიამ კი (რომლის საწარმოო პროდუქცია ორჯერ გაიზარდა 1913-დან 1921 წლამდე)

აზიაში საფეიქრო მრეწველობის ბრიტანული ბაზრები დაიკავა. გარდა ამისა, შეერთებულ შტატებში, ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში ქვანახშირის საბადოების ამოქმედებამ და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის, როგორც ენერჯის ახალი წყაროს, გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეამცირა ბრიტანეთის ქვანახშირის ექსპორტი, რომელიც ომამდე, საფეიქრო პროდუქციასთან ერთად, ბრიტანეთის ექსპორტის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა. ეს ახალი ეკონომიკური რეალობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც შენარჩუნდა. როდესაც ევროპული სახელმწიფოები ტრადიციული ბაზრების დაბრუნებას შეეცადნენ, ისინი ეკონომიკურად ახლადგაძლიერებული სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური შეზღუდვებისა და ეკონომიკური კონკურენციის მძლავრ წინააღმდეგობას ნაწყენდნენ. ამავე პერიოდში ამერიკული სარფიანი ბაზრების ევროპული წილიც მნიშვნელოვნად შემცირდა: 1920-იანი წლების განმავლობაში შეერთებული შტატების მთლიანი იმპორტიდან ევროპული იმპორტი საშუალოდ 30 %-ს შეადგენდა, ომამდე კი ეს მაჩვენებელი 50%-ს აჭარბებდა.

საერთაშორისო ვაჭრობის სიმძიმის ცენტრის ევროპიდან ამერიკასა და იაპონიაში გადატანა სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებშიცაა ასახული. 1913-დან 1939 წლამდე მსოფლიოს მთლიანი ექსპორტის ღირებულება ორი მესამედით გაიზარდა. იმავე პერიოდში ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის ექსპორტი, შესაბამისად, 13, 33 და 50%-ით გაიზარდა. ამერიკის ექსპორტის მთლიანი ღირებულება გაორმაგდა, იაპონიის კი გასამმაგდა. ეს ციფრები ცხადყოფენ, რომ ევროპა თანდათან კარგავდა მსოფლიო ვაჭრობის უდავო ლიდერის პოზიციას. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ომისდროინდელი ორი მთავარი ტენდენციის კიდევ უფრო გააქტიურება – კერძოდ, ამერიკის შეჭრა ლათინური ამერიკის ბაზრებზე და იაპონიის სავაჭრო ექსპანსია აზიაში – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი პირობებისადმი ადაპტაციისათვის გადაწყვეტ ზომებს მოითხოვდა. მსოფლიოს ეკონომიკაში ახალი ცენტრების გაჩენას, შესაძლოა, არ გამოეწვია საერთაშორისო ეკონომიკური დესტაბილიზაცია, თუმცა ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ეკონომიკური კრიზისი, თუკი მსოფლიოს ახალი ეკონომიკური გიგანტები დროულად არ გააცნობიერებდნენ ახალ საერთაშორისო პასუხისმგებლობას და არ გამოავლენდნენ ნებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჰარმონიის დამყარებისათვის.

ორმაგად მოგებული ამერიკა

სამწუხაროდ, შეერთებულ შტატებს არ აღმოაჩნდა ნება, ეტარებინა მსოფლიოს წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნისა და საერთაშორისო ინვესტორის ახალი ტვირთი. პირველი ნიშანი, რომ ამერიკას არ სურდა აეღო ახალი ვალდებულებები მსოფლიოს წინაშე, პოლიტიკური იზოლაციონიზმი იყო,

რასაც საფუძველი დაუდო კონგრესში 1919 წლის სამშვიდობო შეთანხმების ჩაყარვამ. მცირე გამონაკლისის გარდა, შეერთებულმა შტატებმა არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში განეწიანებაზე განაცხადა უარი, რომლებიც სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელების და კოლექტიური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეიქმნა. ამერიკელი დელეგატები არ მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც 1920-იან წლებში ტარდებოდა ეკონომიკური და უსაფრთხოების პრობლემების განსახილველად. ამერიკის არყოფნამ ამ ორგანიზაციებში მოწყობილ განხილვებზე, ერთი მხრივ, შეასუსტა ამ ორგანიზაციების ეფექტურობა და, მეორე მხრივ, შეამცირა ამერიკის უნარი, შეეთანხმებინა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიოს სხვა განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოებთან.

მეორე ნიშანი იმისა, რომ ამერიკას არ სურდა მონაწილეობა მიეღო მსოფლიო პოლიტიკაში, დაკავშირებულია მის ფინანსურ და სავაჭრო ურთიერთობებთან პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავობით ხასიათდებოდა და ზიანი მოჰქონდა ამერიკის გაბატონებული ადგილისათვის მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში. ტერმინის „იზოლაციონიზმი“ გამოყენება 1920-იანი წლების ამერიკის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში მართებული არ იქნებოდა: მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის სამხედრო და დიპლომატიური აქტიურობა უცხოეთში მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, მისი საბანკო და სავაჭრო ინტერესები თანდათან ფართოვდებოდა, რაც ამერიკას მსოფლიოს უმაღლესი დონის ფინანსურ და სავაჭრო ძალად აქცევდა. მაგრამ ამდაგვარმა ექსპანსიამ რამდენიმე პრობლემა წარმოქმნა, რამაც ზიანი მიიყენა და საბოლოოდ მოშალა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მყიფე საფუძველი.

უკვე ვისაუბრეთ ომისშემდგომი ამერიკის სავაჭრო პროტექციონიზმისა და იმ მანვე გავლენის შესახებ, რაც ამ პოლიტიკას ჰქონდა მსოფლიო ვაჭრობაზე. თუმცა ეს ტენდენცია განსაკუთრებით საზიანო აღმოჩნდა საერთაშორისო ეკონომიკისათვის, რადგან პროტექციონისტული პოლიტიკა ვითარდებოდა იმავე პერიოდში, როდესაც შეერთებული შტატები მსოფლიოში კაპიტალის ინვესტიციების მხრივ მთავარ წყაროდ იქცა. ომის პერიოდში კაპიტალი გადაადგილდებოდა არა დასავლეთ ევროპიდან ნედლეულის წარმოების რეგიონებისაკენ, გამოუყენებელი რესურსების ათვისების მიზნით, არამედ შეერთებული შტატებიდან ევროპისაკენ, განადგურებული რეგიონების დასახმარებლად. 1914 წელს შეერთებული შტატები საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებში მოვალე ქვეყანა იყო და მისი ვალი 3.7 მილიარდ დოლარს შეადგენდა (78 მილიარდი დოლარი 2009 წლის კურსით). 1929 წლამდე კი შეერთებული შტატები კრედიტორ ქვეყანად იქცა, რომლისაც 10 მილიარდ დოლარზე მეტი ემართათ (124 მილიარდი დოლარი 2009 წლის კურ-

სით). მიუხედავად იმისა, რომ ომის დასრულების შემდეგ ამერიკული სესხებისა და ინვესტიციების დანიშნულება შეიცვალა, მიმართულება ძირითადად იგივე დარჩა – ევროპის კონტინენტი. ეს კი ნიშნავდა, რომ ამერიკის ინვესტიციები და სესხები მიდიოდა იმ ქვეყნებში, რომელთა ექსპორტი პირდაპირ კონკურენციაში იყო ამერიკის საექსპორტო პროდუქციასთან. შესაბამისად, ომისშემდგომი ამერიკული მთავრობების მიერ განხორციელებული პროტექციონისტული პოლიტიკა, ამერიკული ექსპორტის გაფართოებისაკენ და უცხოეთის ნედლეულ რესურსებზე თუ საზღვაო გადაზიდვებზე ევროპელებისგან კონტროლის მოპოვებისაკენ მიმართულ ენერგიულ პოლიტიკასთან ერთად, მეტად ართულებდა ამერიკის ევროპელი მოვალეებისათვის უცხოური ვალუტის მოპოვებას და შემდეგ ოკეანის გადაღმა მდებარე კრედიტორისთვის ვალების გასტუმრებას. 1920-იანი წლების განმავლობაში შეერთებული შტატები ევროპასთან დადებით სავაჭრო ბალანსს ინარჩუნებდა, რაც საშუალოდ წელიწადში ერთ მილიარდ დოლარს შეადგენდა.

განსხვავებით დიდი ბრიტანეთისგან, როდესაც ის მსოფლიოს მთავარი სავაჭრო ქვეყანა იყო, შეერთებულ შტატებს არ სურდა შეეძინა დიდი რაოდენობის ნედლეული რესურსი, სურსათი და შუალედური სამრეწველო პროდუქტები სხვა ქვეყნებისგან მის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტის სანაცვლოდ. ამერიკის „დაკეტილი კარის“ ამ პოლიტიკის სათავე შესაძლოა ყოფილიყო ამერიკის ეკონომიკის ერთი განსაკუთრებული უშირატესობა: დიდი ამერიკული შიდაბაზარი და წარმოებული საქონლის, სურსათისა და უმეტესი სამრეწველო ნედლეული რესურსების კუთხით ფაქტობრივი თვითკმარობა. შესაბამისად, საგარეო ვაჭრობა წარმოადგენდა ამერიკის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ მცირე ნაწილს – 1929 წელს 10 პროცენტზე ნაკლებს. რადგან საერთაშორისო ანგარიშების ნამატი და დეფიციტი ამერიკის პროდუქტიულობაზე გავლენას ვერ ახდენდა, ხელისუფლებას ვაშინგტონში ნაკლები სტიმული ჰქონდა ისეთი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა შეემუშავებინა, რომელიც ხელს შეუწყობდა სავაჭრო და ფინანსურ სტაბილურობას, რაც ბრიტანეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მეცხრამეტე საუკუნეში. სანაცვლოდ, ვაშინგტონი იოლად ნებდებოდა ამერიკული კომპანიების ზენოლას, კიდევ უფრო მეტად მოეხდინა ამერიკული ბაზრის იზოლირება უცხოური კონკურენციისგან და, იმავდროულად, გაეფართოებინა ამერიკის ექსპორტი უცხოეთის ბაზრებზე. იმპორტის წინააღმდეგ პროტექციონიზმისა და ექსპორტის ექსპანსიის ეს კომბინაცია არღვევდა საერთაშორისო ეკონომიკის ელემენტარულ პრინციპს: ვაჭრობა ორმხრივი გზაა; პარტნიორები ვერ შეძლებენ შეიძინონ შენი პროდუქცია, თუკი ისინი მათი შრომის ნაყოფს არ მოგყიდნიან. ზუსტად ასევე, მოვალეები ვერ გადაგიხდიან ვალებს, თუკი ისინი ვერ დააგროვებენ შენი ვალუტის საკმარის რაოდენობას თავიანთი პროდუქციის მოყიდვის გზით.

როგორც ამერიკის პროტექციონიზმისა და ექსპორტის ექსპანსიის ერთდროულ პოლიტიკას ჰქონდა დამაზარალებელი ეფექტი, ასევე ნეგატიური გავლენა ჰქონდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე ფასების ინფლაციას მსოფლიოს ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში. პირველი მსოფლიო ომის დროს ომში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ და ბევრმა ნეიტრალურმა სახელმწიფომ დატოვა ოქროს სტანდარტი ოქროს მწირი რესურსებისა და უცხოური ვალუტის შენარჩუნების მიზნით. ოქროს თავისუფალი გადაადგილების შეწყვეტამ ომის დროს და ომის შემდეგ დაარღვია ჩვეული კავშირები სახელმწიფოთა ფასების სისტემებს შორის და საშუალება მისცა ფასებს თითოეულ ქვეყანაში დამოუკიდებლად განეცადათ ცვლილება. ზოგიერთ უიღბლო ქვეყანაში, როგორც იყო გერმანია, ავსტრია და საბჭოთა კავშირი, ჰიპერინფლაციამ ისეთ დონეს მიაღწია ომის დასრულების შემდეგ, რომ მათი ვალუტა მთლიანად ჩამოიშალა. ინფლაციის სენი მოედო საფრანგეთსაც, სადაც ფასები ომის შემდეგ რვაჯერ გაიზარდა 1913 წლის ფასებთან შედარებით და იტალიასაც, სადაც ფასები შეიძვერ გაიზარდა. საერთაშორისო დონეზე, სავალუტო ბირჟების არასტაბილურობამ გაზარდა არა მხოლოდ ვაჭრობის დაფინანსებისათვის აუცილებელი მოკლევადიანი სესხების რისკი, არამედ გრძელვადიანი სესხების რისკიც, რაც ეკონომიკური განვითარებისათვის იყო აუცილებელი. ინვესტორები გასაგები მიზეზებით თავს იკავებდნენ აქტივების უცხოურ ვალუტაში გადატანისგან, რომელთა ღირებულება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა; ექსპორტიორები კი თავს იკავებდნენ მათი ღირებული საქონლის ქალაქის ფულზე გაცვლისგან, რადგან ფულის ღირებულება თანდათანობით მცირდებოდა ფასების ზრდის გამო.

ზემოაღნიშნულის გარდა, პოლიტიკურად მოტივირებული შეზღუდვების გამო, მნიშვნელოვნად შეიკვეცა მუშახელის თავისუფალი გადაადგილებაც. ისევე, როგორც ამერიკელი მენარმეები ცდილობდნენ არ დაეშვათ უცხოური პროდუქცია ამერიკულ ბაზარზე, მუშათა ორგანიზაციები მთავრობისგან იმიგრანტთა ნაკადის შეჩერებას მოითხოვდნენ, რათა შემსუბუქებულიყო კონკურენცია სამუშაო ადგილებისათვის. 1924 წელს ამერიკის კონგრესმა შემოიღო საიმიგრაციო კვოტები, რომლებიც განსაკუთრებით ზღუდავდნენ იმიგრაციას იმ რეგიონებიდან (აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპა და აზია), რომლებსაც მზარდი მოსახლეობა ჰყავდა. პირველ მსოფლიო ომამდე ადამიანები, რომლებიც მჭიდროდ დასახლებულ და მცირე ეკონომიკური პერსპექტივის მქონე რეგიონებში ცხოვრობდნენ, როგორც იყო იტალია და ავსტრია-უნგრეთის იმპერია, დასაქმების ძიებაში ნაკლებად დასახლებულ, რესურსებითა და მინით მდიდარ რეგიონებში მიგრირებდნენ; ასეთი რეგიონი იყო შეერთებული შტატები. 1920-იან წლებში ყოველწლიური საშუალო იმიგრაცია შეერთებულ შტატებში 50 პროცენტით შემცირდა ომამდელ

მდგომარეობასთან შედარებით. ეს კი ნიშნავდა, რომ ქვეყნები, სადაც ჭარბი მოსახლეობა ცხოვრობდა, ვეღარ დაეყრდნობოდნენ ემიგრაციას მინის, სურსათის და ბუნებრივი რესურსების სიმცირით გამოწვეულ სირთულეებთან გასამკლავებლად. ტარიფებით შიდაბაზრების დაცვის ანალოგიურად, ანტი-იმიგრაციული პოლიტიკა ნიშნავდა, რომ ხელფასები შეერთებულ შტატებში უფრო მაღალ ნიშნულზე რჩებოდა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იმიგრანტები დაშვებული იქნებოდნენ ამერიკის შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილებისათვის კონკურენციის გასაზრდელად.

ომისშემდგომი საერთაშორისო ფულადი სისტემა

თავისუფალი ვაჭრობა და თავისუფალი იმიგრაცია – რესურსებისა და შრომის შეუზღუდავი საერთაშორისო გადაადგილება – განუხორციელებელ იმედად რჩებოდა მათთვის, ვისაც 1920-იან წლებში ომამდელი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის აღდგენა სურდა. თუმცა ამ პერიოდის ერთი აღსანიშნავი წარმატება მსოფლიოს ფულად სისტემაში მიღწეული მნიშვნელოვანი სტაბილურობა იყო. ინფლაციის სენისა და სავალუტო არასტაბილურობის ერთადერთი აშკარა წამალი ადრეულ ოციან წლებში, ომამდელ საერთაშორისო ფინანსურ წესრიგში დაბრუნება იყო: ამ შედარებით უწყინარ პერიოდში, ერთადერთ ქვეყანას, რომელსაც კაპიტალის ანგარიშგასანევი რეზერვები ჰქონდა (დიდი ბრიტანეთი), შეეძლო საერთაშორისო ფულადი ანგარიშების დასაბალანსებლად საერთაშორისო ფულადი სისტემის საკმარისი ლიკვიდურობით მომარაგება, ოქროს სტანდარტი კი უზრუნველყოფდა, რომ ეროვნული ვალუტები ერთმანეთის მიმართ იოლად კონვერტირებადი იქნებოდნენ, ოქროსთან მათი ფიქსირებული კურსის საფუძველზე.

ოქროს სტანდარტზე დაბრუნების ცდუნება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გადანონა ყველა წინააღმდეგობა, რაც კი არსებობდა მსოფლიო ეკონომიკის მომავლის ოქროს სტანდარტთან ანუ „ბარბაროსულ გადმონაშთთან“ – როგორც მას ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი უწოდებდა – დაკავშირების მიმართ. ოქროს სტანდარტთან დაბრუნება ყველა ქვეყნისთვის იოლი არ იყო, განსაკუთრებით მათთვის, ვისი ეროვნული ვალუტაც მნიშვნელოვნად გაუფასურდა ომის დროს. ომამდელი პარიტეტით ოქროს სტანდარტის აღდგენას მოჰყვებოდა სავალუტო გაცვლის კურსი, რომელიც ზედმეტად გაზრდიდა მათი ვალუტის ღირებულებას და, შესაბამისად, უკიდურესად გააძვირებდა მათ საექსპორტო პროდუქციას უცხოეთის ბაზრებზე. სწორედ ეს პოზიცია ჰქონდა დიდ ბრიტანეთს, რომელმაც დაუშვა შეცდომა და დაუბრუნდა ოქროს სტანდარტს \$4.86-ის ომამდელი პარიტეტით. სხვა ქვეყნებმა, მაგალითად, საფრანგეთმა და იტალიამ, გამოიჩინეს სიფრთხილე და დანიეს მათი ვალუტების ღირებულება ომამდელ პარიტეტამდე, რათა

მათი ფულის საგარეო ღირებულება მიახლოებულყო ამ ვალუტების გაუფასურებულ ღირებულებას და შენარჩუნებული ყოფილიყო კონკურენტული ფასები საექსპორტო პროდუქციისათვის. 1925-1929 წლებში ორმოცზე მეტი ქვეყანა, მათ შორის ისინიც, ვისაც განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში, შეუერთდნენ ოქროს სტანდარტს. ოციანი წლების ბოლოს საყოველთაოდ აღდგა საერთაშორისო ანგარიშების ადაპტირების ძველი მეთოდიც. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც სისტემა დამოკიდებული იყო მთავარი სარეზერვო ვალუტის (ამ შემთხვევაში ბრიტანული ფუნტისა და ამერიკული დოლარის) სიმყარეზე და ამ ვალუტების გამომშვები ორი მთავრობის ნებაზე, რომლებსაც ოქრო კონკრეტულ ფასად უნდა გაეყიდათ და შეეძინათ, რათა შენარჩუნებულიყო მსოფლიო ვალუტების კონვერტირებადობა.

ოქროს სტანდარტთან დაბრუნების გარდა, საერთაშორისო ფულადი სტაბილურობისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი იყო გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციების გამოცოცხლება. ოციანი წლების შუამდე საგარეო სესხების მთლიანმა მოცულობამ მის ომამდელ ნიშნულს გადააჭარბა, შეერთებულმა შტატებმა კი ჩაანაცვლა დიდი ბრიტანეთი, როგორც საერთაშორისო კაპიტალის მთავარმა წყარომ. 1920-1929 წლებში შეერთებული შტატების კერძო კრედიტორებმა 7.6 მილიარდი დოლარის სესხი გასცეს უცხოეთში, რომლიდანაც 7.3 მილიარდი დოლარი 1929 წლის ბოლოს ჯერ კიდევ გაუსტუმრებელი იყო. უფრო ნაკლები მასშტაბების მიუხედავად, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მაინც აღიდგინეს კაპიტალის ექსპორტიორის როლი ოციანი წლების დასაწყისში. უცხოურმა სესხებმა უზრუნველყო საგარეო ვალუტა, რომელიც საჭირო იყო საგარეო ვაჭრობის წარმოებისათვის, ვალების გასტუმრებისა და ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისათვის.

თუმცა, 1920-იან წლებში ჩამოყალიბებული ახალი საერთაშორისო ფინანსური სისტემა განსხვავდებოდა მისი ომამდელი წინამორბედისაგან რამდენიმე მნიშვნელოვანი კუთხით. მიწოდებისა და მოთხოვნის კანონის შედეგად, უნდა აღდგენილიყო კაპიტალის ფართომასშტაბიანი გადინება იმ ქვეყნებიდან, რომელთა ეროვნული დანაზოგი აღემატებოდა ქვეყნის შიგნით ინვესტიციების შესაძლებლობებს და სადაც მაღალი იქნებოდა შრომის ღირებულება, იმ რეგიონებისკენ, რომელთაც უხვი, მაგრამ გამოუყენებელი რესურსები და იაფფასიანი მუშახელი ეყოლებოდათ. ამას კი უნდა გამოენვია კაპიტალის ექსპორტი შეერთებული შტატებიდან და, შედარებით ნაკლები მასშტაბებით, დიდი ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან, მინერალური და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების რეგიონებისაკენ (კერძოდ, ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიისაკენ, რომლებიც უკვე იღებდნენ დიდი რაოდენობით საინვესტიციო კაპიტალს ომის დაწყებამდე). მაგრამ, რამდენადაც ლონდონ სითის შემდეგ „მსოფლიოს ბანკირი“ ნიუ იორკის უოლ

სტრიტი გახდა, საგარეო ინვესტიციების მოცულობამ, სახემ და მიმართულე-ბამაც მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატების მიერ გაცემული კრედიტი პროპორციულად უფრო ნაკლები იყო მისი კაპიტალის სრულ მოცულობასთან შედარებით, ვიდრე ეს იყო ბრიტანეთში 1914 წლამდე. ოქროსა და უცხოური ვალუტის შესაბამისი დაგროვება შეერთებულ შტატებში მეტწილად დაკავშირებული იყო უოლ სტრიტის სპეკულაციურ ბუმთან, რამაც უკიდურესად გაზარდა აქციების ფასები. ეს ფასები კი არაფრით აღარ იყო დაკავშირებული აქტივებთან, რომლებსაც ეს ფასიანი ქაღალდები წარმოადგენდნენ. ამ აქციების მოკლე ვადაში და მაღალ ფასად გაყიდვის პერსპექტივა იზიდავდა უზომო რაოდენობის როგორც შიდა, ასევე უცხოურ კაპიტალს, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა მოხმარებოდა საერთაშორისო ანგარიშების დაბალანსებისკენ მიმართულ მოკლევადიან სესხებს, ან გრძელვადიან კრედიტებს ამერიკის სავაჭრო პარტნიორებისა და მოვალეების საწარმოო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. მოკლედ, ამერიკის საფონდო ბირჟაზე კაპიტალიდან სწრაფი მოგების მიღების ცდუნებამ ხელი შეუშალა ამერიკის საბანკო სისტემას, შეესრულებინა საერთაშორისო ეკონომიკური ტრანსაქციებისათვის ლიკვიდურობის უზრუნველყოფი წყაროს ფუნქცია. მდგომარეობას აუარესებდა ისიც, რომ ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭო (ამერიკის ცენტრალური ბანკი) პერიოდულად ცდილობდა შეეჩერებინა სპეკულაციური ბუმი საპროცენტო განაკვეთების გაზრდის გზით, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა მაღალი მოგების მაძიებელი უცხოური კაპიტალის მასობრივ შემოდინებას ამერიკის ფულის ბაზარზე.

ამასთანავე, ამერიკული სესხები, რომელსაც ის სხვა ქვეყნებს აძლევდა 1920-იან წლებში, განსხვავდებოდა მანამდე არსებული ბრიტანული კრედიტებისგან როგორც სესხების ხასიათის, ასევე მათი მიმართულების მიხედვით. ომამდელ წლებში ევროპული უცხოური ინვესტიციების უმეტესი ნაწილი მიმართული იყო განვითარებად ქვეყნებში საწარმოებისა და სატრანსპორტო სისტემების განვითარებისაკენ (რკინიგზის, გზების, პორტების), რათა გაუმჯობესებულიყო მათი საწარმოო, ტრანსპორტირების და საექსპორტო შესაძლებლობები იმ პროდუქტებისათვის, რომელზეც არსებობდა მოთხოვნა ევროპაში. 1920-იან წლებში კი ამერიკის მიერ უცხოეთში გაცემული სესხები მიმართული იყო ევროპული მთავრობებისა და მუნიციპალიტეტებისაკენ – განსაკუთრებით გერმანიაში დაუესის გეგმის შესაბამისად – საჯარო მშენებლობის ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, როგორიცაა: აბანოების, პარკების, საქალაქო ბინათმშენებლობისა და სხვათა მშენებლობა. ყოველივე ეს, რაც არ უნდა სასიამოვნო ყოფილიყო ომის ნგრევისგან გადაღლილი ევროპელი მოქალაქეებისათვის, არ ზრდიდა მიმღები ქვეყნების საწარმოო პოტენციალს და არ აუმჯობესებდა მათ უნარს, გამოემუშავენინათ მეტი

უცხოური ვალუტა იმპორტის დასაფინანსებლად ან საგარეო ვალების გასასტუმრებლად. ამერიკული კრედიტის ის წილი, რომელიც მართლაც მოხმარდა წარმოებას, უფრო მეტად მოკლევადიანი სესხები იყო, რომლითაც გრძელვადიანი პროექტები ფინანსდებოდა. ეს ანომალიური მექანიზმი მოვალე ქვეყანას ვითარების გაუარესების შემთხვევაში დეფოლტის წინაშე აყენებდა და დამოკიდებულს ხდიდა მას მუდმივ ამერიკულ კრედიტებზე.

პირველი მსოფლიო ომის ფინანსური მემკვიდრეობა: ვალები მოკავშირეებს შორის

ბევრი დაინერა მოკავშირეებს შორის არსებული ვალებისა და გერმანიის რეპარაციების უარყოფით როლზე 1920-იანი წლების საერთაშორისო ეკონომიკაში. ხშირად განუცხადებიათ, რომ მთავრობებს შორის არსებული ომისდროინდელი ეს ვალდებულებები ხელს უშლიდა ომისშემდგომ ეკონომიკურ აღორძინებას, ინვესტა რა კაპიტალის ისეთ საერთაშორისო ნაკადებს, რომელთაც არაფერი აკავშირებდათ სავაჭრო ურთიერთობებთან ან შესაძლო ინვესტიციებთან. ომამდე, როგორც ვნახეთ, კაპიტალის ექსპორტი ცალკეული ინვესტიციებისა და კრედიტორების ან მათი დანაზოგების დეპოზიტარი ბანკების თავისუფალი გადაწყვეტილების შედეგი იყო, რომელიც გამომდინარეობდა მათი სურვილიდან, მიეღოთ რაც შეიძლება მეტი უსაფრთხო მოგება აქციებიდან. ომის შემდეგ კი ბევრ მთავრობას სხვა მთავრობების მნიშვნელოვანი რაოდენობის ფული ემართა იმ ვალების გამო, რომლებიც მათ ომის დროს დაუგროვდათ. ამ ვალების გასტუმრების მიზნით, მოვალე მთავრობებს უწევდათ ფონდების მოძიება ქვეყნის შიგნით და შემდეგ კრედიტორი ქვეყნის ვალუტის შექენა. ამრიგად, ეს პოლიტიკურად განპირობებული დავალიანებები საერთაშორისო ფულადი ტრანსაქციების ნორმალურ მიმდინარეობას არღვევდა.

მთავრობათაშორისი დავალიანებების პირველი კატეგორია შეადგენდა დაახლოებით 10 მილიარდ დოლარს (140 მილიარდ დოლარზე მეტს 2009 წლის კურსით), რომელიც ამერიკის სახაზინო დეპარტამენტმა ომის დროს ან მისი დამთავრებისთანავე ოცი ქვეყნის მთავრობებს ასესხა. ამ თანხის 90 პროცენტი ნახესხები ჰქონდა ამერიკის სამ მთავარ მოკავშირეს: დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და იტალიას. ეს თანხები მოძიებულ იქნა ამერიკის მოქალაქეებისათვის ობლიგაციების მიყიდვის გზით მას შემდეგ, რაც 1917 წელს შეერთებული შტატები ომში ჩაერთო. ამ ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები მოკავშირეების მიერ ამერიკისგან შესყიდვების განხორციელებას ხმარდებოდა: თავდაპირველად, ომის წარმოების მიზნებისათვის და შემდგომ – ომისშემდგომი რეკონსტრუქციის დასაფინანსებლად. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ეს ვალები მოთხოვნისთანავე

უნდა ყოფილიყო დაბრუნებული, შეერთებულ შტატებს, ომისდროინდელი თანამშრომლობის ხათრით, არ წამოუჭრია ვალების გადახდის საკითხი არც ომის დროს და არც ომის დამთავრებისთანავე. მაგრამ, 1922 წლიდან, ჰარდინგისა და კულიჯის ადმინისტრაციებმა ხაზინის დეპარტამენტთან ვალების გადახდის გეგმის შედგენაზე ევროპის მთავრობებთან მოლაპარაკებების დაწყება მოითხოვეს.

ამერიკის ძველი მოკავშირეები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ამერიკის ამ მოთხოვნას. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ვალები წარმოადგენდა ამერიკის წვლილს საერთო ძალისხმევაში, რის გამოც საჭირო იყო მისი მნიშვნელოვნად შემცირება ან საერთოდ ჩამონერა. შეერთებული შტატები სამი წელიწადი ტკებოდა იზოლაციით და შემდეგ ერთი წელი მოანდომა, ვიდრე დასავლეთის ფრონტზე კარგად განვრთნილ და მთლიანად აღჭურვილ არმიას გააგზავნიდა, მაშინ, როდესაც ევროპელმა მოკავშირეებმა გადაიტანეს გერმანიის სამხედრო ძალის მთელი სიმძიმე და გაცილებით დიდი დანაკარგები. ფრანგებს, ბრიტანელებს, იტალიელებს არ შეეძლოთ თავიანთი დაღუპული ჯარისკაცების დაბრუნება. რატომ უნდა ჰქონოდა შეერთებულ შტატებს უფლება უკან დაებრუნებინა თანხები, რომელსაც ის ჯარისკაცების ნაცვლად აგზავნიდა ომში?

ამ მორალურ არგუმენტს უამრავი ეკონომიკური არგუმენტი ემატებოდა. განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეს სესხები ამერიკის მხრიდან ეკონომიკურ თავგანწირვას წარმოადგენდა, მკაცრად გააკრიტიკეს. ამ სესხების თითქმის მთლიანი რაოდენობა შეერთებულ შტატებში დაიხარჯა ამერიკული პროდუქტების შექენაზე. შესაბამისად, ამ სესხებმა ამერიკას მოგებაც კი მოუტანა: შექმნეს დამატებითი სამუშაო ადგილები და, არაპირდაპირ, სარგებელი ხაზინისათვის საშემოსავლო და მოგების გადასახადების სახით. ევროპაში ასევე გავრცელებული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შეერთებულ შტატებს ვალების ჩამონერა უკანვე დაუბრუნდებოდა ვაჭრობიდან მიღებული მოგების სახითაც. ევროპული ხაზინების მესვეურები მუდმივად ახსენებდნენ ამერიკელ კოლეგებს, რომ დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა იმ სესხებზე, რომელიც მან ევროპელ მოკავშირეებს მისცა ნაპოლეონთან ომის დროს, მოგვიანებით კი გაცილებით მეტი მოგება მიიღო ეკონომიკურად წარმატებული ევროპული ქვეყნებიდან, რომლებიც ბრიტანეთში წარმოებულ საქონლის იმპორტს ახდენდნენ. საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების წესების თანახმად, ამერიკაში ომის დროს და ომისშემდგომ დაგროვილი ნამატი კაპიტალი ომით განადგურებულ ქვეყნებს უნდა მოხმარებოდა, რომლებსაც რეკონსტრუქციისათვის სამუშაო კაპიტალი ესაჭიროებოდათ. ამის სანაცვლოდ, ევროპას, სესხების დაბრუნების გზით, ამერიკის კაპიტალის მარაგის გაზრდას სთხოვდნენ, რაც უკიდურესად რთული განსახორციელებელი იყო.

ევროპელი მოვალეების ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი ვალების ჩამონერის სასარგებლოდ უკავშირდებოდა წინააღმდეგობრიობას ამერიკის ომისშემდგომ სავაჭრო პოლიტიკასა და მის მოთხოვნას შორის ვალების დაბრუნების თაობაზე. ევროპელები ამბობდნენ, რომ ვალების გადახდისათვის აუცილებელი დოლარების საჭირო რაოდენობის მოსაპოვებლად ერთადერთი გზა ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება იყო, განსაკუთრებით კრედიტორ ქვეყანასთან. მაგრამ, როგორც ვიხილეთ, პროტექციონიზმისა და ექსპორტის ექსპანსიის აგრესიული პოლიტიკის კომბინაცია, რომელსაც 1920-იან წლებში ამერიკის რესპუბლიკური ადმინისტრაციები ახორციელებდნენ, ართულებდა ევროპული ფირმებისათვის ამერიკულ ბაზრებზე შესვლას მაშინ, როდესაც ევროპული ბაზრები სრულიად ღია იყო ამერიკული პროდუქციისათვის. ოკეანის ორივე მხარეს ეკონომისტები ბევრს ფიქრობდნენ, როგორ შეეძლოთ ევროპულ ქვეყნებს, ქრონიკული „დოლარის დეფიციტის“ პირობებში, დაეკმაყოფილებინათ ამერიკელების მოთხოვნები ვალების დაფარვის შესახებ.

ვალების ჩამონერის მხარდამჭერი ყველა ეკონომიკური არგუმენტი საკმაოდ მყარი იყო. ერთადერთი, რაც ევროპელებმა ვერ გაითვალისწინეს, მსოფლიოს ეკონომიკური სისტემისგან ამერიკის იზოლაციის მასშტაბი იყო 1920-იანი წლების განმავლობაში. ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე თვალის დახუჭვამ ამერიკულ ინტერესჯგუფებს საშუალება მისცა, გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ ამერიკის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე. იგივე ვითარება შეიქმნა მოკავშირეებს შორის არსებული ვალების შესახებ დავისასაც. ამერიკელი გადამხდელეები უარს ამბობდნენ მალალი გადასახადების გადახდაზე, რაც საჭირო იყო ომისდროინდელი ობლიგაციების ჩამოსაწერად იმ შემთხვევაში, თუ ევროპული მთავრობები უარს იტყოდნენ მათ გადახდაზე. სენსაციური ცნობები ევროპიდან შეიარაღებასა და ფუფუნების საგნებზე უხვადგანეული ხარჯების შესახებ, კიდევ უფრო ამყარებდა ამერიკელთა უფრო მომჭირნე დამოკიდებულებას. შეერთებულ შტატებში აგრარული და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა ინტერესები შეუვალე იყო ეკონომისტების ტექნიკური არგუმენტების მიმართ, მთავრობის ვალების დაფარვის გასაიოლებლად ევროპელების ამერიკულ ბაზარზე დაშვების აუცილებლობის შესახებ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკელი ოფიციალური პირები ერთმანეთისგან არ ასხვავებდნენ სახელმწიფო და კერძო ვალებს. ეს ვალები აღიქმებოდა როგორც ჩვეულებრივი ბიზნესტრანსაქციები. „მათ ხომ ისესხეს ეს ფული?“ – იკითხა პრეზიდენტმა კალვინ კულიჯმა. მთავრობის მიერ აღებული ვალების პატიება დაარღვევდა ხელშეკრულებების სინმინდეს და დაამკვიდრებდა სამიშ პრეცედენტს, რომლისთვისაც შეიძლება მომავალშიც მიემართათ ამერიკული კერძო სესხების ევროპელ მიმღებებს.

საშინაო ზენოლაზე პასუხად შეერთებულმა შტატების კონგრესმა 1922 წლის 9 თებერვალს დააარსა მსოფლიო ომის საგარეო ვალების კომისია და დაავალა მას მოლაპარაკებოდა ევროპელ მოვალეებს ვალების გადახდაზე 4.25 პროცენტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთითა და ვალის დაფარვის ოცდახუთწლიანი ვადით. ვალის დაფარვაზე მოლაპარაკებები რამდენიმე წელი გაიწელა. ამ დროის განმავლობაში სახელმწიფო დეპარტამენტი განაგრძობდა ურჩ ქვეყნებზე ზენოლას კერძო სესხებზე არაფორმალური ემბარგოს მუქარით. შედეგად, 1926 წლისათვის ყველა მთავარმა მოვალემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც უფრო დაბალ საპროცენტო განაკვეთს და ვალის დაფარვის უფრო ხანგრძლივ პერიოდს ითვალისწინებდა, ვიდრე ეს კომისიის დამაარსებელი აქტით იყო გათვალისწინებული. ყოველწლიურად გადაიხდებოდა დაახლოებით მესამედი მილიარდი დოლარი, რომელიც ამერიკაში ევროპის საქონლის ექსპორტიდან შემოსული დოლარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

ბრძოლა რეპარაციებისათვის

1920-იანი წლების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების ატმოსფეროს ყველაზე მეტად გერმანიის რეპარაციების საკითხი ამწვავებდა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევებმა ცხადყო რეპარაციების თაობაზე 1919 წელს მიღწეული შეთანხმების რეალური შედეგების ნაკლებდრამატულობა, ვიდრე ეს მაშინ ეგონათ, პოლიტიკური ვნებები, რომელსაც ეს საკითხი იწვევდა ორივე მხარეს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციით განსაზღვრული ევროპის უსაფრთხოების სტრუქტურისათვის ძირის გამოთხრაში. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში გერმანიისგან რეპარაციების მიღებისათვის ფრანგების მიერ დასმული საკითხების უმრავლესობა უკვე გაუღერებული იყო მანამდეც, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. პირველი საკითხი, რომელიც ამ პერიოდში ჩატარებულ არაერთ ეკონომიკურ კონფერენციაზე ხშირად გაისმა, ეხებოდა „გერმანიის გადახდისუნარიანობის“ ცნობილ პრობლემას – გერმანელი ხალხის შემოსავლის რა ნაწილი უნდა დაბეგრულიყო და გამოყენებულიყო მთავრობის მიერ რეპარაციების ვალების დასაფარად ისე, რომ არ გადატაკებულიყო მთელი ერი და არ დანგრეულიყო მისი წარმოების უნარი? ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გაკოტრებული და არაპროდუქტიული გერმანია (რაც არ უნდა მიმზიდველი ყოფილიყო ეს გერმანიის მეზობელი ქვეყნებისთვის, რომელთაც გერმანიის ეკონომიკური აღორძინების შედეგების ემინოდათ) ვერავის ვერაფერს გადაუხდოდა. ასევე ყველას ესმოდა: იმისათვის, რომ გერმანიას რეპარაციების ვალდებულება შეესრულებინა, მის ხალხს უნდა შეემცილებინა საკუთარი მოხმარება და მაღალი გადასახადების მძიმე ტვირთი ეზიდა. ეს მკაცრი ზომები გამოათავისუფლებდა გერმანიაში ნაწარმოებ

საქონელს ექსპორტისათვის და შეამცირებდა იმპორტზე შიდამოთხოვნას. ეს კი გამოიწვევდა სავაჭრო ბალანსის ნამატს, რაც რეპარაციების ყოველწლიური წილის გადასახდელად გერმანიას საკმარისი უცხოური ვალუტის დაგროვების საშუალებას მისცემდა.

გერმანიის მთავრობამ და გერმანელმა ხალხმა უარი თქვა ამ მსხვერპლის გაღებაზე. ზემოაღნიშნული მკაცრი ღონისძიებებით გათვალისწინებული დეფლაციური ფისკალური და ფულადი პოლიტიკის ნაცვლად, ვაიმარის რესპუბლიკამ ომის დამთავრებიდან პირველ წლებში გაიარა უდიდესი ჰიპერინფლაციის პერიოდი, რაც კი მსოფლიოს ოდესმე ენახა.

მიუხედავად იმისა, სპეციალურად იყო ეს ინფლაცია გამოწვეული გერმანიის მთავრობის მიერ, რათა საბოტაჟი მოეხდინა რეპარაციების შეთანხმებისათვის – როგორც ეს ზოგიერთმა ისტორიკოსმა ივარაუდა – თუ ეს პროცესები გარკვეული უკონტროლო ეკონომიკური ძალებით იყო გამოწვეული, შედეგი ერთი და იგივე იყო: – ქვეყანა, რომლის მოსახლეობას



„არ ღირს იმ ქაღალდად, რომელზეც დაბეჭდილია“: 1923-1924 წლებში ვაიმარის რესპუბლიკაში მომხდარმა უზარმაზარმა ჰიპერინფლაციამ ფიქსირებულ შემოსავალზე მცხოვრები მილიონობით გერმანელის დანაზოგები გაანადგურა და მიწასთან გაასწორა გერმანული ფულის ღირებულება. გერმანელი ქალი დილას ცეცხლს ანთებს მარკის ბანკნოტებით, რომლებიც ცეცხლის დასანთებად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე საქონლის შესაძენად.

თავად ნაკლები უნდა მოეხმარა და მეტი უნდა ეშრომა იმისთვის, რომ საფრანგეთისა და სხვა ქვეყნებისთვის ომში მიღებული დანაკარგების გამო კომპენსაციები გადაეხადა, თანდათან ჩამორჩა რეპარაციების გადახდის ვადებს გაუფასურებული ვალუტისა და უსაშველოდ გაზრდილი შიდაფასების გამო. შესაძლოა, არარეალური იყო საფრანგეთის მხრიდან იმის ვარაუდი, რომ ხალხი ნებაყოფლობით დათანხმდებოდა საკუთარი ცხოვრების სტანდარტის დაწევას ყოფილი მტრებისათვის კომპენსაციების გადასახდელად იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელსაც ისინი გადაჭარბებულად და უსამართლოდ მიიჩნევდნენ. ურთიერთმისაღები საკონტრაქტო ვალდებულების ერთადერთი ალტერნატივა იძულებაა. როდესაც გერმანიამ მთელი 1922 წლის განმავლობაში რამდენჯერმე გამოხატა უარი რეპარაციების ვალდებულებების შესრულებაზე, საფრანგეთის პრემიერმინისტრ რეიმონ პუანკარეს მთავრობამ გადახდის იძულების მიზნით სამხედრო ძალის გზა აირჩია. 1923 წლის 9 იანვარს ფრანგების კონტროლის ქვეშ მყოფმა რეპარაციების კომისიამ გერმანია ქვანახშირის მონოდების მხრივ დეფოლტის მდგომარეობაში გამოაცხადა. ორი დღის შემდეგ, კომისიის დავალებით ფრანგი, ბელგიელი და იტალიელი ტექნიკოსები მცირე სამხედრო ძალის თანხლებით გერმანიის სამრეწველო გულში, რურის ველზე შევიდნენ რეპარაციებით გათვალისწინებული ქვანახშირის მოსაპოვებლად. როდესაც მთავრობამ ბერლინიდან თავის მალაროელებს უბრძანა არ ეთანამშრომლათ მათთან, რეგიონში ფრანგებისა და ბელგიელების უფრო დიდი სამხედრო კონტინგენტი შევიდა, რურის ტერიტორიის დანარჩენი გერმანიისგან გამოსაყოფად და წესრიგის შესანარჩუნებლად, მანამ მალაროელები ქვანახშირის მოპოვებით დაკავდებოდნენ და მოხდებოდა მოპოვებული ქვანახშირის საზღვრამდე ტრანსპორტირება.

ყველა დაინტერესებულმა ქვეყანამ რურის ოკუპაციით კარგად ისარგებლა. საფრანგეთმა ბოლოსდაბოლოს მიიღო თავისი ქვანახშირი, რადგან გერმანელების პასიური წინააღმდეგობის კამპანია ჯერ მინელდა და 1923 წლის სექტემბრისთვის სულ შეწყდა. გაიზარდა ბრიტანეთის ქვანახშირის ექსპორტიც, რადგან ქვანახშირის ევროპელი მომხმარებლები, რომლებიც ველარ მარაგდებოდნენ ტრადიციულად რურის ოლქიდან, ბრიტანულ ქვანახშირზე გადავიდნენ. გერმანიის მთავრობამ, ისევე, როგორც მძიმე მრეწველობის კერძო კომპანიებმა, დაიწყო მათი შიდა ვალის გადახდა გაუფასურებული გერმანული ვალუტით, რომელიც უსასრულოდ კარგავდა ღირებულებას ბერლინის მიერ ქალაქის ფულის დაუფიქრებელი ბეჭდვის შედეგად, რათა რურის გაფიცული მუშებისათვის უმუშევრობის ანაზღაურება გადაეხადა. გერმანიაში 1923-1924 წლებში მიმდინარე შესაბამისი ჰიპერინფლაციის მთავარი მსხვერპლი ის მოქალაქეები გახდნენ, რომლებიც ფიქსირებული შემოსავლით ცხოვრობდნენ და რომელთაც მთელი სიცოცხლის დანაზოგები და მომავლის იმედი დაკარგეს.

თუმცა, რურიდან ფრანგული, იძულებითი მეთოდის შედეგად მიღებული მოკლევადიანი სარგებელი ვერ უშველიდა ევროპის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურულ სისუსტეებს. მცირე რამ თუ მოწმობდა იმას, რომ ომის შემდეგომი ეკონომიკური აღორძინების მეტად დაბალი ტემპი რეპარაციების ირგვლივ ატეხილი დავის შედეგი იყო, თუმცა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიცია თანდათან იზიარებდა ამ მოსაზრებას. გერმანიის გადახდისუნარიანობის გარდა, ტრანსფერების პრობლემა, რომელიც მოსვენებას უკარგავდა ფინანსურ ექსპერტებს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზეც, კვლავ მძიმე ტვირთად აწვავდა დასავლეთ გერმანიაში ფრანგული ცალმხრივი ინტერვენციის შემხედვარე ინგლისელ და ამერიკელ პოლიტიკოსებს. თანამედროვე ფინანსისტების აზრით, პრობლემის ხასიათი კვლავ იგივე რჩებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციისას რეპარაციებზე გამართული დებატების შემდეგ: რეალური სიმდიდრის ასეთი მასობრივი ტრანსფერები სახელმწიფოებს შორის აუცილებლად გამოიწვევდა სირთულეებს როგორც მოვალე, ასევე კრედიტორი ქვეყნის ეკონომიკაში, შეაფერხებდა უცხოურ ინვესტიციებს და საფრთხეს შეუქმნიდა მსოფლიო ვაჭრობას. დიდ ბრიტანეთში მწარმოებლები შიშობდნენ, რომ ბრიტანულ ბაზარზე გერმანიიდან შედინებას დაიწყებდა იაფი, „გერმანიაში დამზადებული“ ნაწარმი, ხოლო ბრიტანელი ექსპორტიორები უფრთხოდნენ მათ სამიზნე უცხოურ ბაზრებზე იაფ გერმანულ პროდუქციასთან კონკურენციის პერსპექტივას. ამერიკის სავაჭრო ინტერესგუფები, რომლებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ გერმანიის ბაზარს, გერმანიის საიმპორტო შესაძლებლობის შესუსტებით შენუხებულნი იყვნენ, რაც აუცილებლად მოსალოდნელი იყო დიდი ოდენობის რეპარაციების გადახდის შემთხვევაში. უოლ სტრიტის ინვესტორი კომპანიები თავს იკავებდნენ გერმანიაში ფულის დაბანდებისგან მანამ, სანამ გერმანიის მთავრობა რეპარაციების მძიმე ტვირთის ქვეშ იქნებოდა.

მაშველები უოლ სტრიტიდან

1923 წლის ბოლომდე, ინგლისურენოვანი ქვეყნების ფინანსურ წრეებში ჩამოყალიბდა კონსენსუსი რეპარაციების ახალი ყოვლისმომცველი შეთანხმების სასარგებლოდ, რომელიც გერმანიის გადახდისუნარიანობას წაადგებოდა. 1924 წლის დასაწყისში საფრანგეთში ღრმა ფინანსური კრიზისის დაწყებამ ხელსაყრელი ვითარება შეუქმნა ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბანკირებს საფრანგეთის ხელისუფლებისათვის რეპარაციების ახალი რეჟიმის მიღების იძულებისათვის. პრობლემის შესწავლის და გამოსავლის შეთავაზების მიზნით, რეპარაციების კომისიამ დააარსა ეკონომიკის ექსპერტთა კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩიკაგოელი ბანკირი ჩარლზ დაუესი. დაუესის კომიტეტის ანგარიში, რომელ-

იც მან 1924 წლის 9 აპრილს წარმოადგინა, ყოველწლიური გადახდების კომპლექსურ სისტემას მოიცავდა, რომელიც მხედველობაში იღებდა გერმანიის გადახდისუნარიანობას; გადახდის გაიოლების მიზნით ითვალისწინებდა გერმანიისათვის დიდ კერძო საერთაშორისო სესხს (ძირითადად ამერიკულს) და ზღუდავდა რეპარაციების კომისიაში საფრანგეთის მაკონტროლერებელ პოზიციას. 1924 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ჩატარებული არჩევნების შედეგად, შეიცვალა პუანკარეს მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იყო რურის ოლქის ოკუპაციაზე და მუდმივად უარს ამბობდა გერმანიასთან რაიმე სახის კომპრომისზე. ახალი პრემიერმინისტრი უფრო შემრიგბლური პოზიციის მქონე ედუარდ ერიო გახდა. ფრანკის კრიზისით შემფოთებულმა და ანგლოამერიკული ფინანსური დახმარების პერსპექტივით მოხიბლულმა საფრანგეთის მთავრობამ 1924 წლის ივლისის ლონდონის კონფერენციაზე ოფიციალური თანხმობა განაცხადა დაუესის გეგმაზე.

დაუესის გეგმა ვერსალის ხელშეკრულების სარეპარაციო ნაწილის ფუნდამენტურ მოდიფიკაციას წარმოადგენდა: გეგმა აუქმებდა საფრანგეთის იურიდიულ უფლებამოსილებას, ცალმხრივი ქმედებებით მოეხდინა რეპარაციების გადასახდელად გერმანიის იძულება. რეპარაციების კომისიის გავლენის შესუსტებამ და 1925 წლის აგვისტოს რურიდან საფრანგეთის სამხედრო ძალების ევაკუაციამ საბოლოოდ მოხსნა სამხედრო ძალის გამოყენების საფრთხე. მოხერხებული ფინანსური სვლებით, ამერიკის კაპიტალიზაციის ციციებმა რეპარაციებისათვის გერმანიის რესურსების იძულებითი გამოყენება ჩაანაცვლეს. გარკვეული გაგებით, ეს მიდგომა ევროპის აღორძინების ფრანგული თავდაპირველი გეგმის შეცვლილ ვერსიას წარმოადგენდა, რომელიც მან სამშვიდობო კონფერენციაზე წარმოადგინა და რომელიც ბოლოს შეერთებულმა შტატებმა უარყო. ძირითადი განსხვავება მდგომარეობდა კაპიტალის წყაროსა და მიმართულებაში. ახალი გეგმით, კაპიტალის მომწოდებლები ნიუ იორკის კერძო საინვესტიციო ფირმები ხდებოდნენ, ვაშინგტონის სახაზინო დეპარტამენტის ნაცვლად. კაპიტალი ჩაიდებოდა გერმანიის ეკონომიკურ სისტემაში და არა პირდაპირ მოკავშირე ქვეყნებში, რომელთაც ეკონომიკური რეკონსტრუქციისათვის და ვალების გასტუმრებისათვის სამუშაო კაპიტალი სჭირდებოდათ. 1924-1931 წლებში ამერიკის კერძო საფინანსო ინსტიტუტებმა გერმანიას 2.25 მილიარდი დოლარი (26.7 მილიარდი დოლარი 2009 წლის კურსით) გამოუყვეს. გერმანიამ კი მოკავშირეებისათვის რეპარაციების გადახდა განაახლა, ხოლო ამ უკანასკნელებმა 2 მილიარდი დოლარი (24.8 მილიარდი დოლარი 2009 წლის კურსით) გადაუხადეს შეერთებულ შტატებს ომისდროინდელი სესხების დაბრუნების მიზნით.

რეპარაციების სისტემის ამ მოდიფიკაციას ორი მნიშვნელოვანი გრძელვადიანი შედეგი ჰქონდა. პირველ რიგში, ევროპის ეკონომიკური აღორძინება პირდაპირ დამოკიდებული გახდა ამერიკის საინვესტიციო ბანკების უნარსა

და სურვილზე, შეენარჩუნებინათ კერძო ფონდების ეს უწყვეტი ნაკადი გერმანიის სახელმწიფო და მუნიციპალური მთავრობების მიმართულებით; მეორე, გერმანიის გამორჩევამ ამერიკული სესხების ძირითადი ნაწილის მიმღებ ქვეყნად, საშუალება მისცა ომში დამარცხებულ ქვეყანას, გადაეხადა ყოველწლიური რეპარაციები და თან გადაეიარაღებინა საკუთარი მრეწველობა ყოფილი მტრის მიერ მონოდებული კაპიტალის დახმარებით.

დეპრესია სოფლის მეურნეობაში

რეპარაციების დავის მოგვარება, რაც ამერიკული კაპიტალის შემოდინებას დაემთხვა, დიდად დაეხმარა ევროპას პირველი მსოფლიო ომის ნანგრევებიდან სწრაფად გამოსვლაში. 1925 წლისათვის სამრეწველო პროდუქცია და რეალური ხელფასები კონტინენტური ევროპის უმეტეს ქვეყნებში ომამდელ ნიშნულებს დაუბრუნდა და დანარჩენი 20-იანი წლების განმავლობაში შემდგომი ზრდა განაგრძო. ევროპა, რომელიც 1923 წელს ეკონომიკურ კრიზისში იძირებოდა და რეპარაციების საკითხის ირგვლივ ფრანგულ-გერმანული დაპირისპირების გამო ზარალდებოდა, ოციანი წლების შუიდან კეთილდღეობისა და ეკონომიკური ექსპანსიის გზას დაადგა. ამ ეკონომიკურ აღმავლობაში არ მონაწილეობდნენ სამხრეთ ნახევარსფეროსა და აღმოსავლეთ ევროპის სურსათის მწარმოებელი ქვეყნები. ამ ქვეყნებს აგრარული ქარბნარმოების პრობლემა მუდმივად ჰქონდათ. პროდუქციის მიწოდება იმდენად აჭარბებდა სურსათზე მსოფლიო მოთხოვნას, რომ, საბოლოოდ, ფასების დრამატული ვარდნა გამოიწვია ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა: ხორბალი, სიმინდი, შაქარი, ყავა და კაკაო.

აგრარული ქარბნარმოების მიზეზებს პირდაპირ პირველ მსოფლიო ომამდე მივყავართ: ევროპული სურსათის წარმოების მკვეთრად შემცირებამ ომის დროს გაზარდა პროდუქციის ფასები მსოფლიოს ბაზრებზე, რამაც უბიძგა ფერმერებს სხვა კონტინენტებზე, გაეზარდათ დამუშავებული მიწის ფართობი. ომის შემდეგ, საფრანგეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ნაყოფიერი მიწის ნაკვეთებზე კვლავ დაიწყეს, ომამდელი მოცულობით, სურსათის წარმოება, ნაწილობრივ, იმის გამოც, რომ უკეთესმა სასუქებმა და წარმოების მექანიზაციამ მკვეთრად გაზარდა ერთ ჰექტარზე მოსული პროდუქციის რაოდენობა. სოფლის მეურნეობის ქარბმა პროდუქციამ დაგროვება დაიწყო ინდუსტრიულ ქვეყნებში შემოსავლის არაელასტიკურობის გამო. ანუ, დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში შემოსავლების ზრდის მიუხედავად, ხალხი დამატებით ფულს სურსათზე მაინც არ ხარჯავდა. ამავე დროს, სამხრეთ ნახევარსფეროს იმ რეგიონებს, რომელსაც საკვების ნაკლებობით ან შიმშილით ხალხი ეხოცებოდა, არ გააჩნდათ საკმარისი შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალ ფასებში შესაძენადაც კი. ომებშორისი პერიოდის ტრაგიკული პარადო-

ქსი იყო ის, რომ დედამიწის სურსათმწარმოებელი რეგიონები, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მსოფლიო ბაზარს სთავაზობდნენ იმაზე მეტ მოსავალს, ვიდრე ინდუსტრიულ ქვეყნებს შეეძლოთ მოეხმარათ ან მსოფლიოს მშვიერ მასებს შეეძლოთ შეეძინათ. შედეგად, აგრარული სფეროს დეპრესიამ დასავლეთ ევროპის ინდუსტრი-ალიზებული ქვეყნების ეკონომიკური ექსპანსია შეაფერხა, რომლებიც ვე-ლარ ახერხებდნენ ჭარბი პროდუქტების მიყიდვას მსოფლიოს პირველადი პროდუქტების წარმოების ქვეყნებისათვის. ამრიგად, ჩრდილოატლანტიკური რეგიონის ინდუსტრიალიზებული ქვეყნების შესანიშნავი ეკონომიკური ზრდის უკან, 1920-იანი წლების მეორე ნახევარში ავისმომასწავებელი გლობალური შედეგები იმალებოდა, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროსა და აღმოსავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობის ქრონიკულ კრიზისს უნდა მო-ჰყოლოდა. დასავლეთის კეთილდღეობის ილუზია არსებობას მანამ განაგრ-ძობდა, სანამ ამერიკის ფინანსური ძრავა და სამრეწველო პროდუქტიულობა ეფექტურობის უმაღლეს ნიშნულზე რჩებოდა.

კონტინენტური უსაფრთხოების ილუზია

საყოველთაო პარლამენტი

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ათწლეულის განმავლობაში დიდი სახ-ელმწიფოების დიპლომატიური მანევრების განხილვამდე, ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთა ლიგის შექმნაზე – ინსტიტუტისა, რომელიც, პირველად ისტორიაში, საერთაშორისო თანამშრომლობის პროცედურების დაარსების გზით, საგარეო ურთიერთობების რევილუციურად შეცვლის იმედს იძლე-ოდა. სპეციფიკურ საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის წესების დადგენის გარკვეული მცდელობები მანამდეც განხორციელებულა, მაგალ-ითად, საერთაშორისო ტელეგრაფის კავშირი (1865), მსოფლიო საფოსტო კავშირი (1874) და ასევე ჰააგის ორი სამშვიდობო კონფერენცია (1899 და 1907), რომელიც შეეცადა, შეეზღუდა ევროპაში გამალებული შეიარაღება და მიეღო ომის წარმოების კანონები, რომელსაც ყველა მებრძოლი ქვეყანა დაიცავდა. ერთა ლიგის წესდებამ, რომელიც ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს და გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე ზემოჩამოთვლილი ადრეული მცდელობები, ახლადშექმნილ ორგანიზაციას საერთაშორისო ურთიერთო-ბების თითქმის ყველა სფეროში მძიმე პასუხისმგებლობები დააკისრა: მსოფ-ლიოს განიარაღების ხელშეწყობა, ნევრი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და აგრესორის წინააღმდეგ სანქციების დაკ-ისრება, საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს დაარსება, რომელიც განიხილავდა დავებს სახელმწიფოებს შორის, უცხოეთ-ში გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიის ყოფილ საკუთრებებზე არსებულ

კოლონიურ მანდატზე ზედამხედველობა და ბევრი სხვა. ორგანიზაციის შტაბბინა ნომბრის თვეში შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში შეიქმნა. შტაბბინაში მოქმედებდა სამდივნო, რომელიც წარმართავდა ლიგის ყოველდღიურ საქმიანობას და ასევე – პოლიტიკის მწარმოებელი და გადაწყვეტილების მიმღები ორი ორგანო. ლიგის ასამბლეა შედგებოდა ყველა წევრი სახელმწიფოსაგან, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ გამარჯვებულ ქვეყნებს (გარდა შეერთებული შტატებისა, რომლის კონგრესმა უარი თქვა ორგანიზაციაში შეერთებული შტატების წევრობაზე) და ნეიტრალური ქვეყნების უმრავლესობას მოიცავდა. შეერთებული შტატებისგან წევრობაზე უარის მიღების შემდეგ, ლიგის საბჭო შედგებოდა ოთხი მუდმივი წევრისაგან – იმ დიდი სახელმწიფოებისგან, რომელთაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებაში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია) – და ასევე ოთხი არამუდმივი წევრისგან.

ერთა ლიგამ წარმატებით მოაგვარა რამდენიმე მცირე ზომის ტერიტორიული დავა, რომელშიც ჩარეული არ იყო დიდი სახელმწიფოების ინტერესები, მაგალითად, დავა შვედეთსა და ფინეთს შორის ალანდის კუნძულების გამო (1920-1921) და დავა საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის 1925 წელს. უფრო მეტიც, ერთა ლიგის სპეციალიზებულმა სააგენტოებმა რამდენიმე ინიციატივას ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც მიმართული იყო ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის, რითაც კარგი წინა პირობა შექმნა ამ სფეროში მომავალი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. მაგალითად, ლიგის მიერ დაარსებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო რეაგირებას ტიფის, გრიპის (ინფლუენცა) და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელებაზე. ლიგამ ასევე გადადგა პირველი ნაბიჯები ჯანდაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი მიდგომების შემუშავების კუთხით და დააფინანსა კვლევები ისეთი სოციოეკონომიკური ფაქტორების გავლენის შესახებ, როგორიცაა კვებისა და საცხოვრებელი პირობების კავშირი გარკვეული დაავადებების გავრცელებასთან. გარდა ამისა, ერთა ლიგის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია იღვწოდა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, ბავშვთა შრომისა და სამუშაო საათების დარეგულირებისათვის, შრომის ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის, მშრომელების დაცვისათვის პროფესიული დაავადებებისა და დაზიანებებისაგან და უღირსი მოპყრობისაგან ქალებისა და ბავშვების დაცვისათვის. ლიგაში არსებობდა ცალკე სააგენტო, რომელიც იღებდა საჩივრებს რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისაგან, მათი მთავრობების მხრიდან განხორციელებული შევიწროების შესახებ.

ამ ჰუმანიტარული საქმიანობის გარდა, ერთა ლიგა დასამახსოვრებელია იმ პრინციპის შემოღებისათვის, რომლის თანახმად შეუძლებელია და დაუშ-

ვებელია პლანეტის მშვიდობა და უსაფრთხოება დამოკიდებული იყოს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ანარქიულ დაპირისპირებაზე. ახლადდასრულებული ომის საშინელი გამოცდილება ხელს უწყობდა ინტერნაციონალისტური სულისკვეთების ჩამოყალიბებას, რომელსაც წარსულის ალიანსები, ანტანტები და გამალებული შეიარაღება საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტებით უნდა შეეცვალა. ახალი ორგანიზაციის მომხრეები იმედოვნებდნენ, რომ ყველა სახელმწიფოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ქცევის წესები საერთაშორისო ურთიერთობებში ჯუნგლების სამართალს ჩაანაცვლებდა; კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპი შეცვლიდა რეგიონული უსაფრთხოების პრინციპს, როგორც თითოეული ქვეყნის დაცვის გარანტიას მეზობელი ქვეყნების თავდასხმისაგან. ერთა ლიგის ყველა წევრის ალიანსი აგრესორის წინააღმდეგ, უსარგებლოს გახდიდა პოტენციური მონინააღმდეგის შეკავების ან მისი დამარცხებისათვის მოკავშირეების ძიების დისკრედიტებულ პრაქტიკას.

საერთაშორისო უსაფრთხოების ამ ახალი ფორმის ეფექტურობასა და საიმედოობას თავიდანვე ძირს უთხრიდა ერთა ლიგისათვის დამახასიათებელი რამდენიმე სისუსტე. პირველ რიგში, შეერთებული შტატების უარმა ორგანიზაციის წევრობაზე დიდი დარტყმა მიაყენა ახალი ორგანიზაციის პრესტიჟს, რომელიც პრეზიდენტ ვუდრო უილსონის მოთხოვნით შეიქმნა და რომლის წევრები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამერიკის დიპლომატიურ და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე საერთაშორისო თანამშრომლობის ამ გაბედული ექსპერიმენტის წარმატებისათვის;^{*} მეორე, გადანყვეტილების ერთხმად მიღების მოთხოვნა ასამბლეასა და საბჭოში საშუალებას აძლევდა სახელმწიფოთა უმცირესობას ან, თუნდაც, ერთ სახელმწიფოს, დაებლოკა აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ ეფექტური ზომების მიღება; მესამე, აგრესორის წინააღმდეგ გადანყვეტილების ერთხმად მიღების შემთხვევაშიც კი, ორგანიზაციას არ გააჩნდა არც საკუთარი რესურსი და არც უნარი, შეეკრიბა ამგვარი სამხედრო ძალა თავისი წევრი სახელმწიფოებიდან საკუთარი გადანყვეტილების აღსასრულებლად.^{**}

ყენევაში მოქმედი ორგანიზაციის მთავარ სისუსტეს წარმოადგენდა ის, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების მმართველ ელიტებს არ სურდათ ერთა ლიგას ჰქონოდა ისეთი გადანყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რომელსაც გავლენა ექნებოდა მათი ხალხის უსაფრთხოებასა და ეკონომი-

* გერმანია და საბჭოთა კავშირი თავდაპირველად არ იქნენ მიღებული ერთა ლიგაში, რამაც კიდევ უფრო მეტი ჩრდილი მიაყენა მის რეპუტაციას, როგორც მსოფლიოს ხალხებისაგან შემდგარ ორგანიზაციას, თუმცა ისინი მოგვიანებით შეუერთდნენ ერთა ლიგას, შესაბამისად, 1926 და 1934 წელს.

** სამშვიდობო კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება ერთა ლიგის გენერალური შტაბისა და მუდმივმოქმედი სამხედრო ძალის ჩამოყალიბების თაობაზე, მაგრამ ეს იდეა ამერიკის პრეზიდენტმა უარყო.

კურკეთილდღეობაზე. ისინი თავად განაგრძობდნენ საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებისათვის ზრუნვას და სწრაფად დაუბრუნდნენ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი დიპლომატიის ომამდელ მეთოდებს, რომელიც თითქოს დავიწყებული უნდა ყოფილიყო ომისშემდგომი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების შედეგად. 1920-იან წლებში ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მომავლის შესახებ გადანყვეტილებათა უმრავლესობა ერთა ლიგის ფარგლებს გარეთ შეიმუშავეს და მიიღეს.

ევროპისათვის კრიტიკული ამ ათწლეულის ისტორია შეიძლება სულ რამდენიმე თემამდე იქნეს დაყვანილი: გერმანიის რესპუბლიკის ძალისხმევა, ბოლო მოელო სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის, რომელიც ზღუდავდა მისი ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას; საფრანგეთისა და მისი კონტინენტური მოკავშირეების მცდელობა, ამოქმედებინათ ეს შეზღუდვები და დიდი ბრიტანეთის ძალისხმევა, შეერთებული შტატების არაფორმალური ნაქეზებით, ამოელო სამშვიდობო ხელშეკრულებიდან ის არასასურველი დებულებები, რომელთა გამო, როგორც მათ მიაჩნდათ, გერმანია უარს ამბობდა დათანხმებოდა ვერსალში ჩამოყალიბებულ ახალ ევროპულ წესრიგს.

შეთანხმების განხორციელების საკითხზე საფრანგეთისა და ბრიტანეთის გზები იყოფა

1920-იანი წლების პირველი ნახევრის განმავლობაში საფრანგეთის სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მთავრობები დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ მიეღწიათ მათი უმნიშვნელოვანესი მიზნისათვის: დიდ ბრიტანეთთან ალიანსის აღდგენა, რომელიც 1920 წელს დაირღვა მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების სენატმა უარი თქვა ფრანგების შეთავაზებულ უსაფრთხოების ხელშეკრულებაზე, რომელზეც პრეზიდენტ უილსონს ჰქონდა ხელი მოწერილი. ზედაპირული მიზეზი, რომლის გამოც ბრიტანეთი უარს ამბობდა, საკუთარ თავზე აელო საფრანგეთის დაცვის ვალდებულება გერმანიის არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში, მთლიანად სამართლებრივი ხასიათის იყო. ანგლოფრანგული უსაფრთხოების პაქტი უნდა ამოქმედებულიყო მხოლოდ, როგორც ნარუმატებელი ფრანგულ-ამერიკული შეთანხმების შემადგენელი კომპონენტი. იმისათვის რომ გავიგოთ, რატომ ამბობდა ლონდონი უარს გერმანიასთან საფრანგეთის საზღვრის დაცვის შესახებ მომაკვდავი ხელშეკრულება მკაცრად ორმხრივი ვალდებულებით ჩაენაცვლებინა, აუცილებელია მიმოვიხილოთ, როგორი იყო ბრიტანეთის ხედვა საკუთარი ეროვნული ინტერესების შესახებ.

როგორც ყოველთვის, ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ნაკარნახევი იყო ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მიზნით: ბრიტანეთის კუნძულების დაცვა, იმპერიის შენარჩუნება და ამ

ორს შორის საზღვაო კომუნიკაციების გაკონტროლება. როდესაც საუკუნის დასაწყისში გერმანიის „მსოფლიო პოლიტიკა“ ამ სასიცოცხლო ინტერესებს დაემუქრა, დიდმა ბრიტანეთმა მოაგვარა საფრანგეთთან და რუსეთთან, შესაბამისად, ჩრდილოეთ აფრიკასა და აღმოსავლეთ აზიაში იმ დროს არსებული დავები, რათა გერმანიის გავლენის შემდგომი ზრდის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შეექმნა. პირველი მსოფლიო ომისა და მისი დამასრულებელი სამშვიდობო კონფერენციის შედეგად, ბრიტანეთისა და მისი იმპერიის ძირითადი საფრთხეები მოიხსნა: გერმანიის საჰაერო ძალების გაუქმებას, გერმანიის საზღვაო ფლოტის თითქმის არარაობამდე შემცირებას და გერმანიის კოლონიალური იმპერიის დაშლას შედეგად მოჰყვა ის, რომ გერმანიას აღარ გააჩნდა შესაძლებლობა საკუთარი ძალები ევროპის კონტინენტის მიღმაც გამოეცადა. რუსეთის შიგნით არსებულმა არეულობამ ბრიტანეთის იმპერიულ ინტერესებს კიდევ ერთი პოტენციური საფრთხის წყარო მოუხსნა, კერძოდ: – ინდოეთის წინააღმდეგ სახმელეთო აგრესიის, აზიისკენ საკომუნიკაციო გზების ჩაკეტვის და სპარსეთის ყურეში ბრიტანეთის მიერ კონტროლირებად რესურსებზე კონკურენციის. ფაქტობრივად, ერთი მხრივ, ვიდრე გერმანია იქნებოდა განიარაღებული და აღარ ექნებოდა საზღვაო ძალა და კოლონიური ბაზები, მეორე მხრივ, რუსეთი იქნებოდა ხელფეხშეკრული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ აზიაში, ხოლო იაპონია თავის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს მდინარე იანძის ჩრდილოეთით და შორეული აღმოსავლეთით შეზღუდავდა, ერთადერთ შესაძლო საფრთხეს, კოლონიებთან კომუნიკაციების მხრივ, ბრიტანეთს თავად საფრანგეთი უქმნიდა. საფრანგეთის ამბიციები მის ახლახან შექმნილ სამანდატო ტერიტორიებზე სირიასა და ლიბანში და მისი ინტრიგები თურქეთთან, სერიოზულ გაუგებრობებს იწვევდა ბრიტანეთთან ურთიერთობებში, რომელიც აქტიურად ცდილობდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში თავისი უდავო დომინირების შენარჩუნებას და აზიურ კოლონიებამდე საკომუნიკაციო გზების დაცვას.

ბრიტანეთის „იმპერია უპირველეს ყოვლისა“ სტრატეგიასთან ერთად, ლონდონი ევროპაში ძალთა წონასწორობის თავის ტრადიციულ პოლიტიკას და ტაქტიკას დაუბრუნდა, რაც რომელიმე დიდი კონტინენტური სახელმწიფოს მიერ ისეთი სამხედრო ძალის (განსაკუთრებით საჰაერო და საზღვაო ძალების) დაგროვების აღკვეთას ნიშნავდა, რომელიც საკმარისი იქნებოდა ლა-მანშის გადალახვისა და კუნძულის დაპყრობისათვის. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის მცდელობას გერმანიასთან შედარებითი სამხედრო უპირატესობის მისაღწევად. 1940 წლის მარცხის გამო, დღეს ხშირად ავინყდებათ, რომ საფრანგეთს 1920-იან წლებში ყველაზე შესანიშნავი სახმელეთო ჯარი და საჰაერო ძალები ჰყავდა მსოფლიოში. დიპლომატიური მოლაპარაკებით გერმანიის განიარაღებისა და შეერთებული შტატებისა და

ბრიტანეთის სამხედრო ძალების ნებაყოფლობითი შემცირების ფონზე, საფრანგეთი ერთადერთი ყოფილი მეომარი ქვეყანა იყო, რომელიც ინარჩუნებდა ომისდროინდელი მოცულობის სამხედრო-სამხმელეთო და საზღვაო ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალა უდავოდ აღმოსავლეთი საზღვრის დაცვისთვის იყო განკუთვნილი, საფრანგეთის საჰაერო ძალები განგაშის საფუძველს აძლევდა ბრიტანელ სტრატეგებს, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ ლა-მანში ველარ უზრუნველყოფდა თავდაცვას თავდასხმის შემთხვევაში, როგორც ეს სამხედრო საჰაერო ძალების განვითარებამდე ხდებოდა, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთს ომის დასრულებისთანავე დაწყებული ჰქონდა საკუთარი საჰაერო ძალების შემცირება.

გერმანიის განიარაღებისა და საფრანგეთის მიერ ევროპაში უდავო სამხედრო უპირატესობის ფონზე, გასაკვირი აღარაა, რომ ბრიტანეთი მუდმივად უარს ამბობდა ფრანგების სურვილის შესაბამისად ვალდებულების აღებაზე, რომ ძალის გამოყენებით დაიცავდა დასავლეთ ევროპაში ტერიტორიულ შეთანხმებას. ბრიტანეთის უარი საფრანგეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის თაობაზე, სრულიად არ ნიშნავდა, რომ ბრიტანეთი იოლად აიტანდა გერმანიის აგრესიას საფრანგეთის წინააღმდეგ. პრობლემა მდგომარეობდა განსხვავებულ შეხედულებებში, რომელიც პარიზსა და ლონდონში ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა იყო უკეთესი საფრანგეთის და, შესაბამისად, ბრიტანეთის უსაფრთხოების დასაცავად. ფრანგები მტკიცედ იმეორებდნენ, რომ ერთადერთი ეფექტური გზა იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ გერმანიისათვის, საფრთხის ქვეშ დაეყენებინა მშვიდობა ევროპაში, იყო მისი იძულება, მკაცრად დაეცვა ვერსალის ხელშეკრულება. პარიზში მიუღებლად მიიჩნეოდა ვერსალის შეთანხმების სამხედრო, ტერიტორიული ან რეპარაციებთან დაკავშირებული დებულებების ნებისმიერი ცვლილება იმ მიზეზით, რომ ეს ხელშეკრულებაში შემდგომი ცვლილებების შეტანასაც გამოიწვევდა. გერმანია კი, რომელიც არ იქნებოდა შეზღუდული სამშვიდობო კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებებით, გამომდინარე მისი მდგომარეობიდან, როგორც ევროპაში ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე და პოტენციურად ყველაზე პროდუქტიული ქვეყანა, აუცილებლად შეუქმნიდა საფრთხეს კონტინენტზე პოლიტიკურ სტატუსს. მეორე მხრივ, ბრიტანელ პოლიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ევროპული უსაფრთხოება უკეთ იქნებოდა დაცული, თუკი გაუქმდებოდა ვერსალის ხელშეკრულების ის დებულებები, რომელიც ხელს უშლიდა გერმანიას, რომ მსოფლიოში მის დაქვეითებულ სტატუსს დათანხმებოდა. აქედან გამომდინარეობდა ბრიტანელების უარი ფრანგებისათვის გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების შეპირებაზე, ისევე, როგორც ბრიტანელების კამპანია, მიმართული გერმანიის რეპარაციების შემცირებისაკენ და ბრიტანეთის წინააღმდეგობა ფრანგების წინადადებაზე, სამხედრო სანქციების გამოყენების მუქარით მო-

ეხდინათ გერმანიის იძულება ვერსალის ხელშეკრულების დასაცავად. ბრიტანეთის მიდგომა ევროპული პოლიტიკის მიმართ ეფუძნებოდა მის ღრმა რწმენას, რომ ეკონომიკურად პროდუქტიული, სტაბილური და დაცული გერმანია უფრო დაინტერესდებოდა გამხდარიყო დიდ სახელმწიფოთა ჯგუფის მშვიდობიანი, თანამშრომლობისათვის მზადყოფი ქვეყანა. ეკონომიკური ქაოსის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და სამხედრო დაუცველობის წინაშე მდგარი გერმანიისგან უფრო მეტად იქნებოდა მოსალოდნელი შურისძიების სურვილი.

საფრანგეთის მიერ ანტიგერმანული კოალიციის ძიება

1920 წელს გერმანიასთან საფრანგეთის საზღვრის დაცვის გარანტიებზე ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების უარმა, საფრანგეთს უზიძგა საკომპენსაციო მოკავშირეების ძებნა ევროპაში იმ ქვეყნებს შორის დაენყო, რომლებიც იზიარებდნენ ევროპაში ომის შემდგომი პოლიტიკური სტატუსკვოს შენარჩუნების საერთო ინტერესს. 1920 წლის 7 სექტემბერს საფრანგეთმა ხელი მოაწერა სამხედრო ალიანსს ბელგიასთან, რომლის მიერ გერმანიის მოსაზღვრე ოიპენისა და მალმედის რეგიონების მიერთება და სტრატეგიული მდებარეობა ჩრდილოეთიდან ტრადიციული დაპყრობითი მარშრუტის გასწვრივ, მას კიდევ ერთხელ აქცევდა გერმანიის შესაძლო აგრესიის მსხვერპლად. ამით დასრულდა ამ პატარა ქვეყნის ხანგრძლივი ნეიტრალიტეტი და შეიქმნა ფრანკო-ბელგიური მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი ვერსალის ხელშეკრულების დებულებათა აღსრულების მიზნით.

გერმანიის მეორე მხარეს მდებარეობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებიც ომის შემდეგ ჩამოყალიბდნენ ან გაფართოვდნენ გერმანიისა და მისი მოკავშირეების ხარჯზე და, შესაბამისად, 20-იანი წლების პირველ ნახევარში პარიზის მიერ ორგანიზებულ კონტინენტურ კოალიციაში განვევრიანების უმთავრესი კანდიდატები იყვნენ. მათ შორის უპირველესი კანდიდატი პოლონეთი იყო, რომლის ტერიტორია გერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის ტერიტორიებისგან შეკონინდა და 1918 წლის 3 ნოემბერს პოლონეთის რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. მოკავშირეებმა აღიარეს პოლონეთის დასავლეთი საზღვარი გერმანიასთან ვერსალის ხელშეკრულებით, რის შედეგადაც პოლონეთმა მიიღო დასავლეთ პრუსიისა და პოზენის (დერეფანი მდინარე ვისლას გასწვრივ ბალტიის ზღვამდე) მიწა, ისევე, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური პრივილეგიები საპორტო ქალაქ დანციგში (გდანსკში), რომელსაც ერთა ლიგის მანდატის ქვეშ „თავისუფალი ქალაქის“ სტატუსი მიენიჭა. გერმანიის უკმაყოფილება პოლონეთის მიერ ამ ტერიტორიებისა და ზემო სილეზიის ნაწილის (მნიშვნელოვანი ინდუსტრიული რეგიონი, რომელსაც შერეული გერმანულ-პოლონური მოსახლეობა ჰყავდა და სადაც გერმანიაში ქვანახშირის ყველაზე მდიდარი საბადოები მდებარე-

ობდა) მიღების გამო, პოლონეთის მთავრობას განაწყობდა, სამხედრო პროტექცია საფრანგეთში ეძია. პარიზმა კეთილგანწყობით უპასუხა გერმანული რევიზიონიზმის მოწინააღმდეგე კიდევ ერთი ქვეყნის მიერ მისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. 1921 წლის 21 თებერვალს ორმა ქვეყანამ სამხედრო ალიანსი გააფორმა, რასაც საფრანგეთის მხრიდან პოლონეთის დიდი ეკონომიკური დახმარება მოჰყვა შეიარაღებასა და ეკონომიკურ რეკონსტრუქციაში.

ამასობაში, დუნაის რეგიონის სამმა სახელმწიფომ, რომლებმაც ტერიტორიები ომის შემდეგ რუკიდან გაუჩინარებული ავსტრია-უნგრეთის იმპერიის უნგრეთის ნაწილიდან შემოიმატეს – ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და იუგოსლავია – ერთმანეთთან ორმხრივი ალიანსები გააფორმა, რათა შეეკავებინათ უნგრეთის შესაძლო მცდელობები დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიპლომატიური ასოციაცია (რომელიც მცირე ანტიანტის სახელითაა ცნობილი) უნგრეთის და არა გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული, საფრანგეთი აქტიურად უჭერდა მათ მხარს იმ იმედით, რომ ეს სამი სახელმწიფო პოლონეთთან ერთად ჩანაცვლებდა რუსეთს აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიის დასაბალანსებლად. საფრანგეთის იმედები, ასეთი აღმოსავლური ბლოკის შექმნის თაობაზე, განსაკუთრებით ემყარებოდა ჩეხოსლოვაკიას – მცირე ანტიანტის ერთადერთ წევრს, რომელსაც საერთო საზღვარი ჰქონდა გერმანიასთან და რომელიც ფლობდა აუცილებელ ინდუსტრიულ და სამხედრო საშუალებებს რეგიონში გერმანიის სამხედრო აგრესიის შესაკავებლად. დასავლეთ ჩეხოსლოვაკიაში სამმილიონიანი გერმანულენოვანი მოსახლეობის არსებობამ და გერმანიაში ნაციონალისტების ძალისხმევამ, გამოეყენებიათ ეს მოსახლეობა ჩეხოსლოვაკიური სახელმწიფოს წინააღმდეგ, უზრუნველყო პრალის მთავრობის დადებითი განწყობა ფრანგების მცდელობების მიმართ, შეექმნათ ალიანსი. 1924 წლის 25 იანვარს ორივე ქვეყანამ ხელი მოაწერა ორმხრივ პაქტს გერმანიის არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში ურთიერთდახმარების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეს არაფორმალური ბლოკი შესანიშნავად გამოიყურებოდა ქალაქდზე, მას არაერთი ნაკლიც ჰქონდა, რომელიც სერიოზულად ასუსტებდა მის, როგორც კონტინენტის სამშვიდობო კოალიციის, პოტენციურ ძალას. საფრანგეთის აღმოსავლელი პარტნიორები მრავალეროვნულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, რომელთა უკმაყოფილო ეთნიკური უმცირესობები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მათ პოლიტიკურ ერთობასა და სოციალურ სტაბილურობას. უფრო მეტიც, თითოეული მათგანი ჩათრეული იყო სადავო ტერიტორიების გარშემო მწვავე კონფლიქტებში ერთმანეთთან ან სხვა სახელმწიფოებთან (გერმანიის გარდა). პოლონეთს მითვისებული ჰქონდა რუსეთის ტერიტორია 1920 წელს უკრაინაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად. რუმინეთმა ბესარაბიის რუსული პროვინცია პირველი მსოფლიო ომის ბოლო

სტალიაზე მიითვისა. იუგოსლავია კი იტალიას ადრიატიკის სანაპიროს ტერიტორიის გამო ედავებოდა. ჩეხოსლოვაკიამ მიიღო ტეშინის ქვანახშირის საბადოებიანი რეგიონი, მიუხედავად იქ მცხოვრები პოლონური უმრავლესობისა, რამაც მწვავედ დააპირისპირა ერთმანეთს პრალა და ვარშავა და სერიოზულად დაძაბა ურთიერთობა პარიზის ორ მთავარ აღმოსავლეთევროპელ მოკავშირეს შორის. ეს შიდასირთულეები და საგარეო დაპირისპირებები, რაც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მრავალეროვნულ რეგიონში ნაციონალური ინტერესების შეთავსების უიმედო მცდელობის მემკვიდრეობა გახლდათ, უზრუნველყოფდა მუდმივ არასტაბილურობას აღმოსავლეთ ევროპაში, რაც გერმანიის სასარგებლოდ შეიძლება შემობრუნებულიყო, როგორც კი ეს უკანასკნელი ვერსალის ხელშეკრულების მარწუხებისგან გათავისუფლდებოდა.

საფრანგეთისათვის მიუღებელი მოკავშირეები: ფაშისტური იტალია და კომუნისტური რუსეთი

აღმოსავლეთ ევროპაში საფრანგეთის ალიანსების სისტემის სისუსტეების საკომპენსაციოდ, საფრანგეთის ზოგიერთი პოლიტიკოსი, იტალიასთან ერთად, უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმის შექმნას ანიჭებდა უპირატესობას. მაგრამ, საფრანგეთის ომისდროინდელი მოკავშირე ომისშემდგომ წლებში პარადოქსულად იქცა არსებული ტერიტორიული სტატუსკვოს მონინალმდევედ და არა მის დამცველად. ბევრი იტალიელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ იტალიამ ბოლომდე ვერ იგემა გამარჯვების ნაყოფი, მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მდიდრდებოდნენ მოპოვებული სავაჭრო უპირატესობებითა და კოლონიური ნადავლით. ღრმა ეკონომიკური კრიზისი, სოციალური დაპირისპირებები და პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც ომისშემდგომი იტალია მოიცვა, კიდევ უფრო მეტად აღვივებდა იტალიის ნაციონალისტურ გრძნობებს ვერსალის სისტემის წინააღმდეგ. ომისშემდგომ იტალიაში შექმნილი ზემოაღნიშნული შიდა და საერთაშორისო ვითარების შედეგად, 1922 წელს ხელისუფლება მოიპოვა ნაციონალისტად ქვეულმა ყოფილმა სოციალისტმა დემაგოგმა ბენიტო მუსოლინიმ და, ომის დამთავრებიდან 3 წლის შემდეგ, იტალიაში ფაშისტური დიქტატურა დაამყარა. ღუჩეს მიცემული პირობები, რომ იგი მოიტანდა იტალიაში ეკონომიკურ ზრდას, ბოლოს მოუღებდა კლასებს შორის დაპირისპირებას და აღადგენდა პოლიტიკურ ერთობას ერთპარტიულ სახელმწიფოში, თვალში მოსდიოდათ იტალიელებს, რომელთაც გული ჰქონდათ გატეხილი ქვეყნის საპარლამენტო სისტემისა და მისი არაერთი ნაკლოვანების გამო. მან ასევე კარგად ისარგებლა იტალიაში ფართოდ მოდებული პატრიოტული ალტკინებით. მუსოლინი, დიპლომატიური დინამიზმისა და სამხედრო ყელყელაობის გამოყენებით, გარკვეულ შვებას ჰგვრიდა ხალხს ქვეყნის ში-

დაპრობლემებისგან. იტალია 1920-იან წლებში დინამიკურ ქვეყნად იქცა, რომელმაც ასევე შეიძინა ამბიციაც, მოეპოვებინა საზღვაო პირველობა ხმელთაშუა ზღვაზე და განეხორციელებინა კოლონიური ექსპანსია აფრიკაში, რაც რომის იმპერიის აღდგენის შესახებ მუსოლინის აბსურდული ოცნებების ნანილი იყო. ამას კი შედეგად მოჰყვა ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება საფრანგეთთან, რაც დაბრკოლებას უქმნიდა გერმანიის წინააღმდეგ ფრანკო-იტალიურ თანამშრომლობას.

ბრიტანეთის დაუინტერესებლობის, აღმოსავლეთ ევროპის სისუსტის და იტალიის მხრიდან მეტოქეობის ფონზე, რატომ არ შეეცადა საფრანგეთი გარკვეული გაგებისთვის მიეღწია რუსეთთან, რომელიც ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში გერმანიის ისტორიულ დამბალანსებელ ძალას წარმოადგენდა? პირველ რიგში, იდეოლოგიური ანტიპათია, რომელსაც ბოლშევიზმი ინვევდა დასავლეთში ოქტომბრის რევოლუციისა და მისი შედეგების გამო, ომის შემდეგ ცენტრალურ ევროპაში ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული ამბოხებების წარუმატებლობის შემდეგაც არ შეცვლილა. 1919 წლის მარტში კომუნისტური ინტერნაციონალის (კომინტერნის) დაარსება და ყველა ევროპულ ქვეყანაში კომუნისტური პარტიების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა, რომლებიც, იმავდროულად, ერთგულებას გამოხატავდნენ საბჭოთა კავშირისა და სოციალური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური დოქტრინის მიმართ, შიშს გვრიდა დასავლეთის სამთავრობო ელიტებს. საფრანგეთში ბოლშევიზმისადმი იდეოლოგიურ მტრობას ამყარებდა ბოლშევიკური მთავრობის ნაადრევი გასვლა გერმანიის წინააღმდეგ ომიდან და ცარისტული რეჟიმის საერთაშორისო ვალების გადახდაზე (ძირითადად, ფრანგული ვალების) უარიც.

რუსეთის დაძაბულ ურთიერთობებში უცხო სახელმწიფოებთან, იდეოლოგიურ ელემენტზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი გეოპოლიტიკური პოზიცია, რომელიც არა მხოლოდ შეუფერებელს ხდიდა მას ანტიგერმანული ბლოკის წევრობისათვის, არამედ, ფაქტობრივად, განაპირობებდა რუსეთის სრულიად ნაციონალისტური ხასიათის წინააღმდეგობას ომისშემდგომი პოლიტიკური წესრიგის მიმართ, რომლის შენარჩუნებასაც ასე ცდილობდა საფრანგეთი. რუსეთმა მეტი ტერიტორია და მოსახლეობა დაკარგა პირველი მსოფლიო ომის შედეგად, ვიდრე გერმანიამ. რუსეთის ტერიტორიას გამოეყვნენ და ბალტიის ზღვის სანაპიროზე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ: ფინეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა. რუმინეთის ტერიტორია გაიზარდა რუსეთის ბესარაბიის პროვინციის ძალისმიერად მიერთების შედეგად. ხელახლა შემდგარი პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც 1921 წელს პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის რიგის ხელშეკრულებით გაფორმდა, მოიცავდა ბელორუსებისა და უკრაინელების დიდ რაოდენობას, რომლებიც მანამდე რუსეთის მეფეს ექვემდებარებოდნენ. საბჭოთა კავში-

რი იძულებული იყო დაჰყოლოდა თავისი პატარა მეზობლების მიერ ტერიტორიულ ამპუტაციებს, რადგან თავად, სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ, ქვეყნის ფეხზე წამოყენებითა და რეკონსტრუქციის უფრო გადაუდებელი პრობლემებით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკური მთავრობა ევროპის მოსაზღვრე ამ ტერიტორიების დაკარგვას არ შერიგებია და ამიტომ იზიარებდა გერმანიის მტკიცე პოზიციას, დაერღვია 1919 წლის შეთანხმება ტერიტორიულ განაწილებაზე, როგორც კი ამის პირობები შეიქმნებოდა.

გერმანიისა და რუსეთის რევიზიონისტული სურვილები პოლონეთში კვეთდა ერთმანეთს, რომლის ტერიტორიის აღდგენა ამ ორი სახელმწიფოს ტერიტორიების ხარჯზე მოხდა და, შესაბამისად, მათ შორის თანამშრომლობის კარგ საფუძველს ქმნიდა. მართლაც, ამ ორ ტერიტორიაყრილ სახელმწიფოს შორის ალიანსი ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ბენეფიციარი ქვეყნების წინააღმდეგ, 1920-იანი წლების განმავლობაში დასავლელი ლიდერების მუდმივი სადარდებელი იყო. ამრიგად, მემკვიდრე ქვეყნების მთელი ჯაჭვი, ბალტიის ზღვიდან ბალკანეთამდე, ფრანგი პოლიტიკოსების თვალში არა მხოლოდ „სანიტარულ კორდონად“ (cordon sanitaire) იქცა, დასავლეთ ევროპის ბოლშევიზმის ინფილტრაციისაგან დასაცავად, არამედ ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის უკმაყოფილო და პოტენციურად ყველაზე ძლიერი ორი სახელმწიფოს ერთმანეთისგან დაშორიშორების საშუალებადაც.

გერმანია-საბჭოთა კავშირის დაახლოება

ვაიმარის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოება 1920-1921 წლების ზამთარში დაიწყო სამხედრო თანამშრომლობის სფეროში, მაგრამ ამ კონტაქტების შესახებ არაფერი იცოდნენ მაშინდელი მოკავშირეების ლიდერებმა. ამ ორ გარიყულ სახელმწიფოს შორის ძალების გაერთიანების შესახებ პირველ ღია მინიშნებას ნაღმის აფეთქების ეფექტი ჰქონდა 1922 წლის გაზაფხულზე გენუაში გამართული საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციის დროს, რომელზეც მინვეულები იყვნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, რათა ევროპაში და, კერძოდ, რუსეთში ეკონომიკური აღორძინების გზები განეხილათ. მას შემდეგ, რაც ფრანგულმა მხარემ მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთი ვერ მიიღებდა ვერანაირ საგარეო ეკონომიკურ დახმარებას მანამ, სანამ არ აღიარებდა მის ომამდელ დავალიანებებს და გადაიხდიდა კომპენსაციებს უცხოელებისათვის კუთვნილი ნაციონალიზებული ქონებისათვის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგი ჩიჩერინი შვეიცარიის ქალაქ რაპალოში განმარტოვდნენ, რათა ხელი მოეწერათ ორმხრივი შეთანხმებისათვის ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთო-

ბების დამყარებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. რაპალოს ხელშეკრულების კონკრეტული პირობები – ანუ უარი ომისდროინდელი ხარჯებისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნებზე, რუსეთის მიერ გერმანულ რეპარაციებზე, რუსეთში განხორციელებულ ნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ გერმანიის პრეტენზიებზე, – თავისთავად, ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე თავად ხელმოწერის ფაქტი. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გაფრთხილება მიეცა დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ ევროპის ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე (და პოტენციურად ყველაზე ძლიერი) ორი ქვეყანა – შიდაეკონომიკური კრიზისით, ტერიტორიული დანაკარგებითა და მეზობლების მტრული განწყობით გაერთიანებული – მეგობრული დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების ვალდებულებას იღებდა, რასაც შეეძლო მხოლოდ გაემყარებინა მათი პოზიციები კონტინენტზე.

საბჭოთა კავშირი სტალინის მმართველობისას:

მსოფლიო რევოლუციიდან „ერთ ქვეყანაში სოციალიზმამდე“

მაშინ, როდესაც 1922 წელს საბჭოთა კავშირი გენუასა და რაპალოში საერთაშორისო იზოლაციონიზმს თავს აღწევდა, მას, ამავე დროს, მსოფლიო ომისა თუ სამოქალაქო ომის დამანგრეველ შედეგებთან და გამარჯვებული მოკავშირეების არაკეთილმოსურნე განწყობასთან გამკლავებაც უწევდა, რომ აღარაფერი ვთქვათ 1920 წელს გამანადგურებელი შიმშილობის ტალღაზე, რომელიც 1920-იანი წლების დასაწყისში მთელ ქვეყანას მოედო. ვლადიმერ ლენინი, რევოლუციის სულისჩამდგმელი, უკვე იტანჯებოდა ავადმყოფობით, რომელმაც შეინირა კიდევ მისი სიცოცხლე 1924 წელს. ლენინის ყველაზე რეალური მემკვიდრე, მისი მარჯვენა ხელი, ლევ ტროცკი იყო – ბოლშევიკური რეჟიმის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც კონტრრევოლუციური თეთრი გვარდიის დამმარცხებელი წითელი არმია ჩამოაყალიბა. ტროცკი „პერმანენტული რევოლუციის“ დოქტრინის ყველაზე მკვეთრად გამოხატული მხარდამჭერი იყო, რომლის თანახმად, ბოლშევიკების წარმატება რუსეთში მხოლოდ დასაწყისი იყო და მალე რევოლუციის ალი ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს მოედებოდა. მაგრამ, ლენინის ძალაუფლების შესუსტებასთან ერთად, ტროცკისა და მსოფლიო რევოლუციის მომხრეების ოპტიმისტურ იმედებს საფუძველი შეერყა. ომის დასასრულს ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული ამბოხებები უნგრეთსა და გერმანიაში წესრიგის დამცველების მიერ იქნა ჩახშობილი. კომუნიზმის გავრცელება საბჭოთა კავშირის საზღვრებთან შეწყდა და, რუსეთის გარეთ ბევრ ქვეყანაში კომუნისტური პარტიების ჩამოყალიბების მიუხედავად, ვერცერთმა ვერ მოახერხა ხელისუფლების ხელში ჩაგდება. პარიზის სამშვიდობო კონფერენციისას ლენინის მიერ დაარსებულ კომუნისტურ ინტერნაციონალს (კომინტერნს),

რომლის მიზანი არადასავლურ სამყაროში რევოლუციის გავრცელება იყო, მსოფლიოს მასშტაბით ბევრი აღარაფრის გაკეთება შეეძლო.

ლენინის მემკვიდრეობისათვის ბოლშევიკური პარტიის შიგნით ხმაურიან ბრძოლაში, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გაიმარჯვა. ეთნიკურად ქართველმა იოსებ ჯულაშვილმა, რომელმაც „სტალინი“ მოგვიანებით დაირქვა (რუსული სიტყვიდან, რომელიც ფოლადს ნიშნავს), მოხერხებული ემპაკობით აჯობა ტროცკის, ისარგებლა საკუთარი ძალაუფლებით და ირგვლივ შემოიკრიბა უმაღლეს ხელისუფლებაში მისი მოსვლის მომხრეები. 1920-იანი წლების მეორე ნახევარში სტალინმა მოახერხა თავისი მოწინააღმდეგეების განდევნა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, შემდეგ პარტიიდან, დაბოლოს – საერთოდ ქვეყნიდანაც. ამა-სობაში კრემლის ახალმა ხელისუფალმა საბოლოოდ უკუაგდო საბჭოთა კავშირის გარეთ ბოლშევიკური რევოლუციების ხელშეწყობის სტრატეგია, რომელიც ტროცკისთან იყო ასოცირებული. ეს სტრატეგია შეიცვალა დოქტრინით, რომელსაც სტალინი და მისი მომხრეები „ერთ ქვეყანაში სოციალიზმს“ უწოდებდნენ. ამ დოქტრინის თანახმად, მსოფლიოში რევოლუციების ხელშეწყობის საუკეთესო გზას მსოფლიოს ერთადერთი კომუნისტური ქვეყნის სამხედრო ძლიერებისა და ეკონომიკური პროდუქტიულობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რათა ამ ქვეყნის წარმატება მაგალითი გამხდარიყო სხვა ქვეყნებისათვის. ამ მიზნით, სტალინმა 1928 წელს შემოიღო ინდუსტრიული განვითარების ხუთწლიანი გეგმები, რამაც რადიკალურად შეცვალა საბჭოთა კავშირის სოციალური და ეკონომიკური რეალობა. შიდა რეკონსტრუქციის პარალელურად, მოსკოვის ახალმა ლიდერმა განაახლა მისი წინამორბედის წინააღმდეგობა 1919 წლის სამშვიდობო შეთანხმების მიმართ და გულითადი ურთიერთობები მეორე მთავარ რევიზიონისტ ქვეყანასთან – გერმანიასთან.

გერმანიის განიარაღების გამოწვევები

გერმანიის განიარაღების პროცესი, რომელსაც ვერსალის ხელშეკრულება ითვალისწინებდა, აწყდებოდა სირთულეებს, რომლებიც არ ჰქონდათ გათვალისწინებული სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილე მოკავშირე ლიდერებს. პირველ რიგში, ასიათასობით ახალგაზრდის დემობილიზაცია, რომელთა ერთადერთი ღირებული ნიჭი იარაღის ტარება იყო, დიდ ტვირთად დააწვა ვაიმარის რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემას რესპუბლიკის ჩამოყალიბების წლებში. კიდევ უფრო საშიში იყო საფრთხე, რომელსაც დაუსაქმებელი ვეტერანების შეიარაღებული ბანდები ქმნიდნენ, რომელთაც სძულდათ რესპუბლიკური რეჟიმი და პერიოდულად აწყობდნენ კიდევ შეთქმულებებს მის დასამხობად, რისკენაც მათ ფარულად აქეზებდნენ მათი ხელმძღვანელები ოფიცერთა ყოფილი კორპუსიდან. ამავე დროს, ეს პარამილიტარული დაჯგუფებები გერმანული სახელმწიფოსათვის ერთ

სასარგებლო ფუნქციასაც ასრულებდნენ: კერძოდ, ისინი აწარმოებდნენ დაშინებისა და ძალადობის უმონყალო კამპანიას რევოლუციონერი მემარცხენეების წინააღმდეგ, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ საპარლამენტო რესპუბლიკის დამხობას და მის ჩანაცვლებას კომუნისტური რეჟიმით, როგორც ეს მანამდე რუსეთში მოხდა. დასავლური სახელმწიფოები ვერ შეეგუებოდნენ ვერც მემარჯვენეთა პუტჩს, რომელიც ხელახლა ააგიზგიზებდა გერმანიის ექსპანსიონიზმის ცეცხლს და ვერც კომუნისტურ რევოლუციას, რომელსაც შეეძლო მსგავსი რევოლუციები მთელი კონტინენტისთვის შთაეგონებინა. ვაიმარის რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოხერხებულად იყენებდა მოკავშირეების ამ შიშს, რათა მიეღო მისთვის სასარგებლო დათმობები გერმანიის განიარაღების საკითხთან დაკავშირებით. 1920 წლის ივნისში, ბერლინში მომხდარი წარუმატებელი გადატრიალების მცდელობის შემდეგ, რომელსაც რურის ოლქში ქვანახშირის მომპოვებელ რეგიონებში კომუნისტური ამბოხი მოჰყვა, გერმანიის ხელისუფლებამ წარმატებით დაარწმუნა მოკავშირეები, რომ დაერთოთ ნება გერმანიისათვის საპოლიციო ძალების 60 000-დან 150 000-მდე გასაზრდელად, პოლიტიკური სპექტრის ორივე უკიდურესი ძალისგან ვაიმარის სუსტი რესპუბლიკის დასაცავად. ეს გაძლიერებული შიდაუსაფრთხოების აპარატი, რომელიც არტილერიითა და ჯავშანტექნიკით აღიჭურვა და მალე ყაზარმებშიც განთავსდა, დახმარებას უწევდა 100 000-იან რეგულარულ არმიას, რომლის არსებობას ქვეყანაში წესრიგის დაცვის აუცილებლობით ამართლებდნენ. ერთად კი ეს ძალა 250 000 შეიარაღებულ ადამიანს შეადგენდა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სამხედრო ძალების ამ ფორმალური ზრდის გარდა, უამრავი პარამილიტარული ფორმირების, კლუბისა და ვეტერანთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ გერმანიას საშუალება მისცა, თავი აერიდებინა საყოველთაო სამხედრო წვრთნების აკრძალვისათვის.

გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების განიარაღებასთან დაკავშირებული დებულებების აღსრულებაზე ზედამხედველობის ამოცანა მოკავშირეთა შორის სამხედრო საკონტროლო კომისიას ერგო. ეს შეუიარაღებელი საინსპექციო ჯგუფი მუდმივად აწყდებოდა გერმანიის სამხედრო ხელისუფლების მხრიდან იარაღის დამალვის მცდელობებს, ხოლო მოსახლეობისგან – დაშინების შემთხვევებს. მაგრამ, გერმანელების მხრიდან განზრახ შექმნილი სირთულეების გარეშეც, განიარაღებაზე ზედამხედველობის პროცესი უკიდურესად გართულებული იყო სამხედრო და სამოქალაქო სფეროებს შორის ბუნდოვანი განსხვავების გამო. თანამედროვე არმიის პოტენციული სიძლიერის გაზომვა უკვე შეუძლებელი იყო უბრალოდ ფორმიანი მამაკაცებისა და ქალების დათვლით. თანამედროვე საომარი მოქმედებები თანდათან დამოკიდებული ხდებოდა ტექნოლოგიაზე, რომლითაც ასევე სარგებლობდა მრენველობაც. ასეთ ვითარებას ჩვენს თანამედროვე დროშიც ვაწყდებით, როდესაც

ბირთვული ენერჯია შეიძლება გამოყენებული იყოს ელექტროენერჯიის გამოსამუშავებლად და მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად. ომისშემდგომი გერმანიის ქიმიური მრეწველობა აწარმოებდა ნივთიერებებს, რომლებიც როგორც სასუქად, ასევე ასაფეთქებელ საშუალებადაც გამოიყენებოდა. გერმანული საავიაციო ფირმები ისეთ საჰაერო ხომალდებს ქმნიდნენ, რომლებიც იოლად შეიძლებოდა გადაკეთებულიყო ბომბდამშენებად. მოკავშირეებისთვის შეუძლებელი იყო, გერმანიისათვის აეკრძალათ სასუქის წარმოება ფერმერებისათვის ან სამოქალაქო ავიაციის განვითარება იმ დროს, როდესაც მისგან ეკონომიკურ აღორძინებასა და რეპარაციების გადახდას ელოდნენ. შედეგად, სამხედრო-საკონტროლო კომისიას უწევდა უამრავი გამონაკლისის დაშვება გერმანიის მძიმე მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომლებიც სამხედრო სარგებლობისათვის მარტივად გარდასაქმნელ პროდუქციას აწარმოებდნენ.

გერმანიის მიერ სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს ვაიმარის რესპუბლიკის საბჭოთა კავშირთან გაფორმებული საიდუმლო შეთანხმებებიც აძლიერებდა. გერმანელ და საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეთა შორის თანამშრომლობა 1920-1921 წლების ზამთარში დაიწყო და კიდევ უფრო გაღრმავდა 1922 წელს რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. გერმანიის არმიას შეეძლო რუსეთის ტერიტორიაზე ფარულად ეწარმოებინა და გამოეცადა სამხედრო ხომალდები, ტანკები, მომწამვლელი აირები და ვერსალის ხელშეკრულებით აკრძალული სხვა იარაღი და ასევე მოეხდინა სამხედროების წვრთნა ამ იარაღის გამოყენებაში. ის, რომ საიდუმლო შეიარაღების პროგრამა მთლიანად ფინანსდებოდა გერმანიის სამხედროების მიერ მათთვის გადაცემული საიდუმლო ფონდების საშუალებით, იცოდა გერმანიის მთავრობამ და უსიტყვოდ თანხმდებოდა მის განხორციელებას მთელი 1920-იანი წლების განმავლობაში.

გერმანიის განიარაღებაზე კონტროლის გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ბარიერების მიუხედავად, სამხედრო-საკონტროლო კომისია მაინც განაგრძობდა თავის საქმიანობას. ის იძულებული გახდა, დროებით შეენწყვიტა საქმიანობა რურის ოლქის სამხედრო ოკუპაციის დროს, რადგან გერმანიის მთავრობამ უარი თქვა მისი წევრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. კომისიამ კვლავ განაგრძო მუშაობა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთმა და საფრანგეთმა აცნობეს გერმანიის მთავრობას, რომ რაინლანდის კიოლნის ზონის ევაკუაცია, რომელიც 1925 წლის 10 იანვარს უნდა დაწყებულიყო, არ შედგებოდა, ვიდრე სამხედრო-საკონტროლო კომისიას არ მიეცემოდა ვერსალის ხელშეკრულების განიარაღებასთან დაკავშირებული დებულებების აღსრულების შემონახვის საშუალება. 1924 წლის დეკემბერში კომისიამ გამოსცა შუალედური ანგარიში, სადაც დეტალურად ასახა გერმანიის მიერ განიარაღებასთან დაკავშირებული დებულებების სერიოზული

დარღვევები. შედეგად, მოკავშირეებმა აცნობეს გერმანიის მთავრობას, რომ კიოლნის ევაკუაცია გადაიდებოდა.

გერმანელების მიერ ხელშეკრულების „შესრულება“ და გზა ლოკარნოსაკენ

1925 წლის დასაწყისში გერმანიის მთავრობა საგარეო პოლიტიკური დილემის წინაშე იდგა: როგორ მიეღწია რაინლანდის გათავისუფლებისათვის ფარული შეიარაღების შეწყვეტის გარეშე, რომელიც ვაიმარის რესპუბლიკის ყველა ძირითად პოლიტიკურ ძალას გერმანიის დიდ სახელმწიფოთა შორის დაბრუნების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. სწორედ ამ დილემის გადაწყვეტას დაუთმო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუსტავ შტრეზემანმა



გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების „შესრულების“ არქიტექტორი: გუსტავ შტრეზემანი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო 1923 წ-დან 1929 წლამდე – გარდაცვალებამდე. ის ცდილობდა, დაებრუნებინა გერმანია საერთაშორისო ურთიერთობებში და ამისათვის 1925 წელს ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებას (რომელიც აღიარებდა საფრანგეთთან და ბელგიასთან დაკარგულ ტერიტორიებს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ), 1926 წელს შეიყვანა თავისი ქვეყანა ერთა ლიგაში და 1928 წელს ხელი მოაწერა ბრიან-კელოგის პაქტს (რითაც უარი განაცხადა საერთაშორისო დაგების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობაზე). მის ასეთ შემრიგებლურ პოლიტიკას 1920-იანი წლების მეორე ნახევარში, გერმანიასა და მის ყოფილ მტრებს შორის დათბობის ხანმოკლე პერიოდი მოჰყვა.

– 20-იანი წლების მეორე ნახევრის გერმანიის საგარეო პოლიტიკის არქიტექტორმა – თავისი კარიერის ბოლო ნაწილი. მალე, მას შემდეგ, რაც 1923 წელს იგი გერმანიის კანცლერი გახდა და დასრულებულად გამოაცხადა რურის ოლქში პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკა, შტრეზემანმა დასავლეთის დედაქალაქებში ვერსალის ხელშეკრულების შესრულების მომხრე „სანდო“ პოლიტიკოსის რეპუტაცია შეიძინა. 1923 წლის ნოემბერში მან კანცლერის პოსტი დატოვა და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ამ პერიოდიდან მის უდროო გარდაცვალებამდე, 1929 წელს, ეს შორსმჭვრეტელი დიპლომატი ვაიმარის რესპუბლიკის იმ დემოკრატიული ძალების სიმბოლოდ იქცა, რომელთაც თითქოს სურდათ მშვიდობიანი ურთიერთობები გამარჯვებულ მოკავშირეებთან და გერმანიის რეინტეგრაცია სტაბილურ, წარმატებულ ევროპაში. სინამდვილეში შტრეზემანი გამოუსწორებელი გერმანელი ნაციონალისტი იყო, რომელიც ვერ ეგუებოდა მისი ქვეყნის დამარცხებას ომში და მის დაბალ სტატუსს ომის შემდგომ. მისი საგარეო პოლიტიკის წამყვანი მიზანი იყო, თავიდან მოეშორებინა 1919 წლის ხელშეკრულების მოთხოვნები, რომელიც ტყვეობაში ამყოფებდა გერმანიას. მაგრამ, ულტრამემარჯვენე ბანდფორმირებებისაგან განსხვავებით, შტრეზემანი ხვდებოდა, რომ, გერმანიის დროებითი სამხედრო სისუსტიდან გამომდინარე, მას ვერსალის ხელშეკრულების გადახედვისათვის უფრო მოხერხებული დიპლომატიური გზებით უნდა მიეღწია და არა სტერილური მილიტარისტული ბაქიბუქობით. მან სწორად დაინახა ანგლოფრანგული ანტანტის ორი სუსტი წერტილი, რომელთა სწორად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა გერმანიაზე საფრანგეთის ზეწოლის შესუსტება.

თავდაპირველად შტრეზემანმა სწორად ივარაუდა, რომ ბრიტანეთი მიესალმებოდა საფრანგეთ-გერმანიის დავის მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავის მოგვარება გერმანიაზე საფრანგეთის სამხედრო უპირატესობის გაბათილებას გამოიწვევდა. მას ასევე ესმოდა, რომ საფრანგეთი, მისი ქრონიკულად არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის და დიპლომატიური იზოლაციის შიშის გამო, ვერ შეძლებდა გაეძლო ბრიტანეთის ზეწოლისათვის.

ამ მოსაზრებების შესაბამისად, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოიწყო გაბედული დიპლომატიური ინიციატივა, რომელიც დიდი სიფრთხილით იყო შემუშავებული მისი ქვეყნის მთავარი საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და, ამავ დროს, ითვალისწინებდა გერმანიის მთავარი მეტოქის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებსაც. საფრანგეთი ითხოვდა უსაფრთხოების გარანტიებს შემდეგი ფორმით: 1) გერმანიის მიერ დასავლეთ ევროპაში ტერიტორიული სტატუსკვოსა და რაინლანდის დემილიტარიზებული სტატუსის აღიარება და 2) ამ ორი წინაპირობის თაობაზე ბრიტანელების მხრიდან გარანტიების მიღება. გერმანია ცდი-

ლობდა მიეღნია რაინლანდიდან მოკავშირეთა სამხედრო ძალების ევაკუაციისათვის, განიარაღების შესახებ ხელშეკრულების მკაცრი მოთხოვნების შესრულების გარეშე. 1925 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე შტრეზემანმა რამდენჯერმე განიხილა ლონდონთან გერმანიასა და საფრანგეთს შორის ურთიერთობებში ხუთწლიანი ჩიხიდან გამოსვლის საკითხი. იგი მიანიშნებდა იმაზეც, რომ გერმანია მზად იყო ელიარებინა ელზას-ლორენის დაკარგვა საფრანგეთის სასარგებლოდ და დაედასტურებინა რაინლანდის დემილიტარიზებული სტატუსის ხელშეუხებლობა, რამდენიმე საკითხზე მოკავშირეების მხრიდან დათმობების სანაცვლოდ. ეს შემრიგებლური ნაბიჯები, რომლებიც პირველად იდგმებოდა გერმანიის ექვსწლიანი უცვლელი პოზიციის შემდეგ, ლონდონში დიდი ერთუზიაზმით მიიღეს და გერმანიის ინიციატივები, ბრიტანეთის თანხმობასთან ერთად, სასწრაფოდ აცნობეს პარიზს. ამის შემდგომი დიპლომატიური დემარშების გააქტიურებას საბოლოოდ მოჰყვა 1925 წლის ოქტომბერში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიისა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში. პაქტი, რომლის პარაფირება ამ შეხვედრაზევე მოხდა და რომელსაც ხელი მოგვიანებით ლონდონში მოენერა, ავალდებულებდა, ერთი მხრივ, საფრანგეთსა და გერმანიას და, მეორე მხრივ, ბელგიასა და გერმანიას, ფორმალურად ელიარებინათ ორმხრივი საზღვრები. შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა რაინლანდის მუდმივ დემილიტარიზაციაზე გერმანიის თანხმობას. სამივე სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ სტატუსკვოს და რაინის ბუფერული ზონის დემილიტარიზებულ სტატუსს, თავის მხრივ, გარანტიად უდგებოდნენ დიდი ბრიტანეთი და იტალია. ტერიტორიული დანაკარგების აღიარების სანაცვლოდ (ელზას-ლორენი საფრანგეთს, ოიპენისა და მალმედის მცირე ზომის ტერიტორიები ბელგიას გადაეცა), გერმანიამ საფრანგეთისგან მიიღო ის, რაც მას ყველაზე მეტად სურდა: რაინლანდის კიოლნის ზონის სწრაფი ევაკუაცია, დარჩენილ ორ ზონაში სამხედრო ძალების რაოდენობის შემცირება და მოკავშირეთა საზედამხედველო ჯგუფის რაოდენობისა და უფლებამოსილებების შემცირება – ეს ყველაფერი დაიწყებოდა, როგორც კი გერმანია განიარაღებასთან დაკავშირებული ვალდებულებებისადმი გარკვეული ერთგულების დემონსტრირებას მოახდენდა.

„ლოკარნოს სულისკვეთება“: ნაკლოვანი შეთანხმება

საყოველთაოდ მიჩნეული იყო, რომ ლოკარნოს შეთანხმებამ სასწაულებრივი გზით მოაგვარა რაინის ორ მხარეს მდებარე სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი, რომელიც უამრავ პრობლემას ქმნიდა ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ. იმედგაცრუებისა და სასონარკვეთის ექვსი წლის შემდეგ, საფრანგეთმა მიიღო ის, რაც ყველაზე მეტად სურდა: გარანტია

გერმანიისგან, რომ საფრანგეთ-გერმანიის საზღვარი, ისევე როგორც რაინლანდის დემილიტარიზებული მდგომარეობა, ხელშეუხებელი იქნებოდა; დიდი ბრიტანეთისგან (ისევე როგორც იტალიისგან) კი - კიდევ უფრო მეტად ღირებული გარანტია, რაც მიუღწეველ მიზნად რჩებოდა ფრანგი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის პარიზის სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ. გერმანიამ მიიღო რაინლანდის შესაძლო გათავისუფლების პირობა და გარანტია, რომ საფრანგეთის სამხედრო ძალები აღარასოდეს დაბრუნდებოდნენ გერმანიის მიწაზე. შეთანხმების ტექსტზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გულითადი ატმოსფერო, რომელიც შეხვედრებზე სუფევდა. გერმანელი, ფრანგი და ბრიტანელი ოფიციალური პირები ერთად ვახშობდნენ, სასიამოვნოდ ატარებდნენ დროს მაჯორეს ტბაზე გემით გასეირნებისას და ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ წარსულის მტრობა ღრმად იყო დამარხული დათბობის საყოველთაო ენთუზიაზმში. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსტინ ჩემბერლენი თვითდაჯერებულად აცხადებდა, რომ მისმა გავლენამ შერიგების პროცესზე მისი დროის უმნიშვნელოვანესი სამშვიდობო შეთანხმება მოიტანა და ამით ცამეტი წლით წინ გაუსწრო თავისი უმცროსი ნახევარძმის უადგილო ოპტიმიზმს მიუხედავად. მან მტრეზემანთან და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არისტიდ ბრიანთან ერთად მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო შერიგებაში კოლექტიურად შეტანილი წვლილისათვის.

ლოკარნოს პაქტით გამოწვეული ეიფორიის უკან მისი სერიოზული ნაკლოვანებები იმალებოდა, რაც გამოიხატებოდა არა ხელშეკრულების შინაარსში, არამედ იმაში, რაც ამ შინაარსში ვერ მოხვდა. ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის კატეგორიული უარი, ელიარებინა გერმანიის საზღვრები პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან. ერთი მხრივ, საფრანგეთთან და ბელგიასთან ტერიტორიული დანაკარგების აღიარებითა და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური მოწყობის აღიარებაზე უარით, გერმანიამ დაიტოვა ამ რეგიონში თავისი დანაკარგების მოგვიანებით ანაზღაურების უფლება. გერმანიის დასავლეთით საზღვრების მყარად დაფიქსირებით, აღმოსავლეთით ტერიტორიული სტატუსკვოს პატივისცემის თაობაზე გერმანიისგან მსგავსი პირობის მიუღებლად, ბრიანი და ჩემბერლენი თითქოს არაფორმალურად თავიდანვე დაჰყვნენ გერმანიის შესაძლო მცდელობებს, ტერიტორიული კომპენსაციები ამ გეოგრაფიული მიმართულებით ეძია. ის ფაქტი, რომ ევროპის უსაფრთხოებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მომზადებასა და განხილვაში არ მონაწილეობდა არც პოლონეთი, არც ჩეხოსლოვაკია და არც საბჭოთა კავშირი, აღვივებდა შიშს ამ ქვეყნებში, რომ დასავლეთევროპელმა სახელმწიფოებმა გერმანიასთან შეთანხმებას მათ ხარჯზე მიაღწიეს.

ასევე ავისმომასწავებელი იყო ხელშეკრულებაში გერმანიის ვალდებულებების გამოტოვება ვერსალის ხელშეკრულების განიარაღებასთან დაკავ-

შირებულ დებულებებთან მიმართებით. ბერლინი გამუდმებით ამბობდა უარს ცალმხრივ განიარაღებაზე იმ მიზეზით, რომ ეს გერმანელ ხალხს კბილებამდე შეიარაღებული და შურისმაძიებელი საფრანგეთის მხრიდან დაპყრობის მუდმივი საფრთხის ქვეშ ტოვებდა. სამხედრო-საკონტროლო კომისიის შემადგენლობის უმნიშვნელო რაოდენობამდე შემცირებით, მოკავშირეებმა თავად გერმანიას დააკისრეს პასუხისმგებლობა ცალმხრივი განიარაღების ვალდებულების აღსრულებაზე ისე, რომ სიტყვიერი პირობაც კი არ მოუთხოვიათ მის შესრულებაზე. ადრეულ ოციან წლებში დანყებული საიდუმლო შეიარაღება ახლა უკვე ისე გაგრძელდა, რომ აღარ არსებობდა მოკავშირეების მიერ მისი აღმოჩენის საფრთხე. ამასობაში მოკავშირეები დეტალურად ასრულებდნენ შეთანხმების მათ ნაწილს. 1925 წლის 1-ელ დეკემბერს – ლოკარნოს პაქტის ლონდონში ოფიციალური ხელმოწერის დღეს – დაიწყო კიოლნის ზონის ევაკუაცია, რომელიც 1926 წლის 31 იანვარს დასრულდა.

ლოკარნოდან ბრიანის მიერ წაღებულ ყველაზე მნიშვნელოვან დიპლომატიურ ჯილდოს – საფრანგეთი-გერმანიის საზღვრის ხელშეუხებლობაზე ბრიტანელების გარანტია – ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა აღებული ვალდებულების მრავალმხრივი ფორმატის გამო: იმისათვის, რომ ბრიტანეთის სამხედრო ძალას შეძლებოდა საფრანგეთის დახმარება გერმანიის არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში, აუცილებელი იყო ინგლისურ-ფრანგული წინასწარი სამხედრო მომზადება. მეორე მხრივ, ასეთი ტიპის პრივილეგირებული ურთიერთობები ზიანს მიაყენებდა ბრიტანეთის, როგორც დასავლეთ ევროპაში ტერიტორიული სტატუსკვოს გარანტორის, სტატუსს. ამის გამო, ბრიტანეთი გამუდმებით უარს ამბობდა ლოკარნოს შეთანხმების ნებისმიერ მხარესთან წინასწარ სამხედრო მექანიზმების შექმნაზე. შექმნილ ვითარებაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ბრიტანეთის გარანტიით ასევე შეეძლო ესარგებლა გერმანიასაც, საფრანგეთის მხრიდან შესაძლო სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. ეს კი ნიშნავდა, რომ, თეორიულად, გერმანიას შეეძლო შეუსრულებლად დაეტოვებინა რეპარაციების ვალდებულებები, დაერღვია განიარაღებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ზენოლა განეხორციელებინა საფრანგეთის აღმოსავლეთეევროპელ მოკავშირეებზე. საფრანგეთის სამხედრო რეაგირება რომელიმე ზემოჩამოთვლილ პროვოკაციულ ქმედებაზე, ლოკარნოს შეთანხმების ტექსტის მიხედვით, გამოიწვევდა გერმანიის სახელით ბრიტანეთის (ან იტალიის) ინტერვენციას საფრანგეთის წინააღმდეგ.

ლოკარნოს ხელშეკრულებები ძალაში შედიოდა გერმანიის ერთა ლიგაში განუერთიანების შემდეგ. ეს აღსანიშნავი მოვლენა 1926 წლის სექტემბერში მოხდა. შტრეზემანის მოთხოვნის შესაბამისად, ერთა ლიგის საბჭოში (ლიგის გადამწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანო) ნევრობის მსურველი, სხვა მცირე რანგის სახელმწიფოთა განაწყენების გარეშე, გერმანიისათვის

მუდმივი ნევრის სტატუსის მინიჭების შესახებ რამდენიმეთვიანი ვაჭრობის შემდეგ, მას საბჭოში მეხუთე ნევრის ადგილი მიენიჭა. ბრიანის ზედმეტად შემრიგებლური პოლიტიკის ფრანგი კრიტიკოსებისათვის, უნენევაში ერთა ლიგის საბჭოში მყოფი შტრეზემანი საქათმეში შეპარულ მელად აღიქმებოდა. როგორ შეიძლებოდა, რომ ორგანიზაციას, რომლის მიზანი ევროპაში ტერიტორიული სტატუსკვოს შენარჩუნება იყო, ეფექტურად ემუშავა იმ პირობებშიც, როდესაც სტატუსკვოს ყველაზე აქტიური მონინაალმდეგეები ამ ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან პოსტებს იკავებდნენ? სინამდვილეში, ამ საკითხმა დაკარგა აქტუალობა, რადგან ერთა ლიგამ საერთოდ შეწყვიტა ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ლოკარნოში ჩატარებული კონსულტაციების მსგავსად, აქტუალური საკითხები ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ უნენევის სასტუმროების აპარტამენტებში გვარდებოდა. გერმანიას, რომელიც აღარ იყო უუფლებო სახელმწიფო, შეეძლო სხვებთან გათანაბრებული სტატუსით მიეღო მონაწილეობა ევროპის მომავლის შესახებ შესაბამის განხილვებში. გერმანიის სახელმწიფოს ახლახან არჩეული მეთაური, ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი გერმანიის იმპერიული წარსულის მტკივნეულ მოგონებებს აღძრავდა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტრეზემანს კი არასოდეს დაუმაღავს თავისი აღმაცერი დამოკიდებულება ევროპის ტერიტორიული სტატუსკვოს მიმართ. მაგრამ, ამ ყველაფერს ვინმე მცირე მნიშვნელობას თუ ანიჭებდა ევროპაში, რომელიც თითქოს ლივლივებდა მშვიდობისა და კეთილდღეობის ატმოსფეროში. აღარ ისმოდა არმიების მარშის ხმა, მთავრობებს შორის არსებული ვალები იფარებოდა გეგმის მიხედვით, წარმოება და დასაქმება კი ომამდელ ნიშნულებს სცდებოდა. „შორს ჩვენგან თოფები, ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები!“ – წამოიძახა ბრიანმა გერმანიის ერთა ლიგაში მიღების დღეს მისასალმებელი გამოსვლისას. „გზა დაუთმეთ შერიგებას, მორიგებასა და მშვიდობას!“. თითქმის ისტერიული ენთუზიაზმი, რომელიც მის ამ სიტყვებს მოჰყვა, ადასტურებდა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოხატავდა ომისაგან გათანგული მთელი თაობის იმედს, რომელსაც სურდა ბოლომდე ეგემა ევროპული დათბობის ნაყოფი.

თუმცა გამჭრიახი არისტიდ ბრიანი, რომელიც უსამართლოდ იკიცხებოდა ფრანგი ნაციონალისტებისგან, როგორც შტრეზემანის მიერ გაცურებული გულუბრყვილო ადამიანი, კარგად ხედავდა რამდენი ნაკლი ჰქონდა ლოკარნოს მექანიზმს, როგორც საფრანგეთის უსაფრთხოების გარანტიას. შტრეზემანთან დათმობაზე ის მხოლოდ დიდი ყოყმანის მერე და ჩემბერლენის მხრიდან აქტიური ნაქეხების შემდეგ ნავიდა. ლოკარნოს შემდეგ ბრიანის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები ააშკარავებს იმ ღრმა სკეპტიციზმს, რომლითაც იგი გერმანიის ხელმძღვანელობის რეალურ მიზნებს აღიქვამ-

და. ფრანკო-გერმანული დაახლოების პარალელურად, მან სხვა დამატებით ზომებსაც მიმართა გერმანიასთან მიმართებაში საფრანგეთის დიპლომატიური და სამხედრო პოზიციის გასამყარებლად, რათა ეს პოზიცია დაზღვეული ყოფილიყო იმ დღესაც, როდესაც შტრეზემანის რომელიმე შემცვლელი მისი შემრიგებლური პოლიტიკის გადახედვას მოინდომებდა.

ამ ზომათაგან ერთ-ერთი უშუალოდ ლოკარნოს კონფერენციის დასრულებისთანავე იქნა მიღებული. მას შემდეგ, რაც ბრიანმა ვერ მიიღო შტრეზემანის ფორმალური დასტური გერმანიის აღმოსავლეთ ევროპასთან საზღვრებზე, იგი ამ რეგიონში თავისი მოკავშირეების დამშვიდებას შეეცადა. ამისათვის მან ორმხრივი დახმარების პაქტები გააფორმა პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან, რამაც დაადასტურა და გაამყარა მანამდე, 1921 და 1924 წლებში, ხელმოწერილი ორმხრივი დახმარების პაქტები. 1926 წლის ივნისში საფრანგეთმა მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმა რუმინეთთან, ხოლო 1927 წელს ასეთივე ხელშეკრულება დადო იუგოსლავიასთან. ათწლეულის ბოლომდე გერმანიის შესაძლო აგრესიის შესაკავებლად ორმხრივი შეთანხმებებით არისტიდ ბრიანის გატაცების შედეგად, საფრანგეთს დამყარებული ჰქონდა სამხედრო ალიანსები ან პოლიტიკური ურთიერთგაგება პოლონეთთან და მცირე ანტანტის სამ ქვეყანასთან. ბელგიასთან 1920 წლიდან არსებულ ალიანსთან ერთად, აღმოსავლეთევროპული ალიანსების სისტემა საფრანგეთს ლოკარნოს მექანიზმის ეფექტურ დანამატს სთავაზობდა. ერთმანეთთან მიმდინარე დავების მიუხედავად, საფრანგეთის მიერ შექმნილი დიპლომატიური სისტემის ყველა წევრს ჰქონდა არსებული ტერიტორიული სტატუსკვოს შენარჩუნების საერთო ინტერესი, რომლითაც თითოეული მათგანი სარგებლობდა.

ბრიანის ორი გეგმა: ამერიკული მფარველობა და ევროპის კავშირი

ლოკარნოს შემდეგ ბრიანი, გარეშე დახმარების მიღების გზით, ორჯერ შეეცადა ფრანკო-გერმანული დათბობის გამყარებას ევროპული მშვიდობისა და უსაფრთხოების სახელით. პირველ ინიციატივას საფუძველი 1927 წლის 6 აპრილს ჩაეყარა, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პირველ მსოფლიო ომში ამერიკის ჩართვის მეათე წლისთავის აღსანიშნავ მადლიერების წერილში ამერიკელი ხალხისადმი, წამოაყენა ორმხრივი ხელშეკრულების წინადადება ორ ქვეყანას შორის ომის დაუშვებლობის შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობაწლის ტოლი იყო იმ პერიოდში, სახელმწიფო დეპარტამენტმა გამართლებულად შეიტანა ეჭვი კედ'ორსეის ამ უცნაური წინადადების უკან მდგარი მოტივების შესახებ: ბრიანი, როგორც ჩანს, ცდილობდა შეეცდებინა შეერთებული შტატები საფრანგეთთან პრივილეგირებულ პარტნიორობაში, რაც, შესაძლოა, საბოლოოდ გადაზრ-

დილიყო ამერიკის ვალდებულებაში, გაემყარებინა საფრანგეთის უსაფრთხოება ევროპაში. შესაბამისად, ბრიანის ინიციატივა გულგრილად მიიღო სახელმწიფო მდივანმა ფრენკ კელოგმა, რომელსაც არ სურდა შეერთებული შტატების ჩათრევა პარიზის სამშვიდობო კონფერენციისას უილსონის მიერ მოლაპარაკებული ფრანკო-ამერიკული უსაფრთხოების წარუმატებელი ხელშეკრულების ახალ შეფარულ ვარიანტში. თუმცა, ცნობილი ამერიკელი პაციფისტების მიერ ორგანიზებულმა წარმატებულმა კამპანიამ, რომლებიც ბრიანის წინადადებაში საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მშვიდობის ხელშეწყობის კარგ შესაძლებლობას ხედავდნენ, აიძულა სახელმწიფო დეპარტამენტი გარკვეული პასუხი გაეცა ფრანგებისათვის. მოხერხებულმა კელოგმა 1927 წლის დეკემბერში ხელი მოჰკიდა ბრიანის ინიციატივას და პარიზს გადაუგზავნა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც, თავდაპირველად შეთავაზებული ორმხრივი პაქტის ნაცვლად, წარმოადგენდა საყოველთაო დეკლარაციას ომის წინააღმდეგ, რომელსაც ყველა მსურველი სახელმწიფო შეუერთდებოდა. პარიზსა და ვაშინგტონს შორის თავდაპირველად განზრახული ორმხრივი შეთანხმების ნაცვლად, იმედგაცრუებულმა ბრიანმა მიიღო მრავალმხრივი, სრულიად უწყინარი დოკუმენტი ომის უარყოფის შესახებ, კონკრეტული ვალდებულებებისა და აღსრულების მექანიზმის გარეშე. 1928 წლის 27 ივნისს თხუთმეტი სახელმწიფოს ლიდერებმა დიდი ზარზემით მოაწერეს ხელი პაქტს, რომლითაც „დაგმეს ომის გამოყენება საერთაშორისო დავების მოსაგვარებლად და უარყვეს ის, როგორც ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტი“. საბოლოოდ პაქტს, რომელიც ბრიან-კელოგის პაქტის სახელით გახდა ცნობილი, სამოცდაორი სახელმწიფო შეუერთდა, მათ შორის ისინიც, რომელთა აგრესიას მოგვიანებით მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა.

საფრანგეთის უსაფრთხოებისათვის ამერიკის მხარდაჭერის მოპოვების ჩაშლილი მცდელობების შემდეგ, ენერგიულმა ფრანგმა მინისტრმა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების კიდევ ერთი სქემა გაამხილა. 1929 წლის 5 სექტემბერს ერთა ლიგის ასამბლეაზე ისტორიული გამოსვლისას არისტიდ ბრიანმა გააკეთა ბუნდოვანი, მაგრამ დრამატული მონოღება გარკვეული ზესახელმწიფოებრივი მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც ევროპის სუვერენულ სახელმწიფოებს გააერთიანებდა. ევროპის კავშირის შექმნის ეს სასწრაფო გეგმა იმავე მოტივაციებიდან გამომდინარეობდა, საიდანაც შეერთებული შტატებისადმი მიმართული ბრიანის წინამორბედი ინიციატივა: ბრიანი იმედოვნებდა შეეკავებინა გერმანიის მომავალი შესაძლო აგრესია, ამჯერად, მისი ჩართვით ზესახელმწიფოებრივ ევროპულ სტრუქტურაში, რომელიც იქნებოდა ეკონომიკურად ინტეგრირებული და პოლიტიკურად ურთიერთდამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ერთა ლიგის გაკვირვებულმა ევროპელმა კოლეგებმა სთხოვეს ბრიანს, წარმოედგინა დეტალური მემორანდუმის პროექტი მის გამოსვლაში მინიშნებული „ფედერაციის“ ორ-

განიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ. 1930 წლის 17 მაისს ბრიანმა ცნობილი გახადა ფორმალური წინადადება ევროპული პოლიტიკური ინსტიტუტების, არბიტრაჟისა და უსაფრთხოების საერთო სისტემისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ, რომლის შიგნითაც „გამარტივდებოდა საქონლის, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილება“. ის, რაც თავდაპირველად ევროპის კავშირის შექმნისაკენ მიმართულ, შორს მიმავალ გეგმას ჰგავდა, ვერსალში გამყარებული ძველი წესრიგის ერთ-ერთი უკანასკნელი ამოსუნთქვა აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც ყენევაში დელეგატები ბრიანის გეგმას მცირე ერთუზიანობით განიხილავდნენ, 1930 წლის 14 სექტემბრის გერმანიის საკანონმდებლო არჩევნებმა რაიხსტაგში ნაციისტური პარტიის წარმომადგენლობა 12-დან 107 წევრამდე გაზარდეს, რის შედეგადაც ჰიტლერის ჩაძირვის პირას მყოფი პარტია, რაოდენობით, პარლამენტის მეორე პარტია გახდა. რამდენიმე თვეში ბრიანის წინადადება სამუდამოდ შემოიღო ერთა ლიგის ასამბლეის კომიტეტის თაროზე. 1930-იანი წლების დასაწყისში ამ ორი მოვლენის დამთხვევა მომავლისათვის ავისმომასწავებელ ნიშანს იძლეოდა: ევროპის კონტინენტი ათი წლის შემდეგ გაერთიანდებოდა არა დემოკრატიული ერების თავისუფალი თანხმობის საფუძველზე, არამედ აღორძინებული გერმანიის სამხედრო ძალით. ევროპის კავშირის ბრიანისეული გეგმა, ისევე როგორც მისი წარუმატებელი ძალისხმევა, მიეღო ევროპის უსაფრთხოებაზე შეერთებული შტატების ვალდებულება, ერთი თაობით უსწრებდა საკუთარ დროს. ვიდრე ევროპის ერები გააცნობიერებდნენ ეკონომიკური ინტეგრაციის და პოლიტიკური თანამშრომლობის უპირატესობებს, საჭირო გახდა მეორე მსოფლიო ომი, რათა შეერთებულ შტატებს ევროპის უსაფრთხოება საკუთარი უსაფრთხოების განშტოებად აღექვა.

საფრანგეთის სამხედრო სტრატეგია: თავდასხმიდან თავდაცვისკენ

მაშინ, როდესაც კე დ'ორსეი ოციანი წლების მეორე ნახევარში ცდილობდა, ორმხრივი ალიანსებისა და მრავალმხრივი გარანტიების საშუალებით გაემყარებინა საფრანგეთის დიპლომატიური პოზიცია ევროპაში, საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო სამხედრო სტრატეგიის შემუშავებით იყო დაკავებული იმ შემთხვევისთვის, თუ ბრიანის დიპლომატიური გარანტიების ჩახლართული ქსელი ვერ შეძლებდა გერმანიის ექსპანსიონიზმის შეჩერებას. ფრანგი სამხედრო სტრატეგების მთავარი გამოწვევა შემდეგში მდგომარეობდა: გერმანიის სამხედრო აღორძინების ვერსალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ყველა სამხედრო შეზღუდვა, ერთის გარდა, მხოლოდ გარკვეული დროით მოქმედებდა. გერმანიის განიარაღებაზე მოკავშირეთა კონტროლი მალე დასრულდებოდა (დასრულდა კიდევ 1927 წელს), როგორც კი საკონტროლო კომისია განიარაღების პროცესს დაამთავრებდა. მოკავშირეების მიერ რაინლანდის სამხედრო ოკუპაცია ეტაპობრივად უნდა ამოწუ-

რულიყო (კიოლნის ზონის – 1925 წელს, კობლენცის ზონის – 1930 წელს და მაინცის ზონის – 1935 წელს). თუმცა, ბოლო ორი ზონის ევაკუაციის ვადა კიდევ უფრო შემცირდა გერმანიის მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვისა და მომავალში სანიმუშო ყოფაცქევის პირობის საფუძველზე. კობლენცი მოკავშირეებმა ვადაზე ადრე, 1929 წლის 30 ნოემბერს, დატოვეს, მაინცი კი – 1930 წლის 30 ივნისს. ორივე შემთხვევაში მოკავშირეებმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც გერმანია დათანხმდა იანგის გეგმას – ამერიკის წინადადებას რეპარაციების პრობლემის საბოლოო მოგვარების შესახებ. საფრანგეთის უსაფრთხოების ერთადერთ მუდმივ გარანტიად რაინლანდის დემილიტარიზებული სტატუსი რჩებოდა, როგორც 1919 წელს კლემანსოსათვის მიცემული გამამხნეველი პრიზი მას შემდეგ, რაც იგი უშედეგოდ შეეცადა გერმანიის საზღვრის რაინთან დაფიქსირებას. მიუხედავად ამისა, ვერსალის ხელშეკრულება არავის ავალდებულებდა საფრანგეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას, თუკი გერმანია ამ ბუფერული ზონის რემილიტარიზაციას გადაწყვეტდა. ლოკარნოს შეთანხმებებით, შესაბამისად, რაინლანდის დემილიტარიზებული სტატუსის ანგლოიტალიური გარანტიებიც კი მხოლოდ მაშინ ამოქმედდებოდა, თუკი ადგილი ექნებოდა ამ შეთანხმებების „უხეშ დარღვევას“. „არაუხეში დარღვევების“ შემთხვევები განსახილველად უნდა გადასცემოდა ერთა ლიგის საბჭოს. მალე აშკარა გახდა, რომ ლონდონი და რომი „უხეშ დარღვევას“ უკიდურესად ვიწრო განსაზღვრებას აძლევდნენ, კერძოდ – როგორც გერმანიის სამხედრო ძალების შესვლა დემილიტარიზებულ ზონაში საფრანგეთზე სამხედრო თავდასხმის მოსამზადებლად. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ლოკარნოს პაქტებს მელანი შეაშრებოდათ, დიდმა ბრიტანეთმა ყველასათვის ნათელი გახადა თავისი განზრახვა, გამოეყენებინა სემანტიკური ხარვეზი, რათა არ დახმარებოდა საფრანგეთს მხოლოდ რეგიონის რემილიტარიზაციის ცალკეული მცდელობების შემთხვევაში.

რაინლანდიდან მოკავშირეების ძალების ეტაპობრივმა გამოყვანამ საფრანგეთი ხელახლა ფეხზე დამდგარი გერმანიის წინააღმდეგ თავდაცვის უკანასკნელი იმედის გარეშე დატოვა. ვინაიდან რურის ოლქი რაინლანდში საფრანგეთის სამხედრო არეალის ფარგლებში აღარ მდებარეობდა, გერმანიის ინდუსტრიული ცენტრი ველარ იქნებოდა მისი მშვიდობიანი ქცევის მძევალი. გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების შესრულების იძულებისაკენ გამიზნულმა საფრანგეთის თავდასხმითმა სტრატეგიამ, რომელიც მარშალმა ფომმა ზავის შემდეგ შეიმუშავა და რომელსაც პუანკარე ეყრდნობოდა 1923 წელს, რადიკალური ტრანსფორმაცია განიცადა ოციანი წლების მეორე ნახევარში. ათწლეულის დასასრულამდე საფრანგეთში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჩაენაცვლებინათ მდინარე რაინის ბუნებრივი თავდაცვითი ბარიერი ხელოვნური ბარიერით – უწყვეტი კედლით საფრანგეთ-გერმანიის მთელი საზღვრის გასწვრივ, რომელსაც, მშენებლობაზე ნებართვის გამცემი სამხედრო მინისტრის სახელის მიხედვით, მაჟინოს ხაზი ეწოდა.

ამ ახალი სტრატეგიის უკან, რაინის ორ მხარეს მდებარე ორ სახელმწიფოს შორის მატერიალურ და ფიზიკურ ძალთა მნიშვნელოვანი არათანასწორობა იდგა: 40 მილიონი ფრანგი იდგა 6 მილიონი გერმანელის წინაშე, რომლებიც უპირატეს სამრეწველო (და, რა თქმა უნდა, სამხედრო) პოტენციალს ფლობდნენ. ფრანგმა სტრატეგებმა, შესაბამისად, დაასკვნეს, რომ, გერმანიასთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, საფრანგეთისათვის გადაარჩენის ერთადერთი გზა იყო ისეთი თავდაცვა, რომელიც, რაც შეიძლება, მეტი ფრანგის სიცოცხლესა და, რაც შეიძლება, მეტ სამრეწველო ობიექტს გადაარჩენდა. პირველ მსოფლიო ომში საცეცხლე ძალის უპირატესობამ, რის საშუალებასაც თანამედროვე იარაღი იძლეოდა – როგორც იყო ტყვიამფრქვევი და მძიმე არტილერია – უჩვენა, რომ ომის წარმოება ქვეითთა გადაადგილებით წარსული ეპოქის გადმონაშთი იყო. მომავალ ომებში უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ მას ექნებოდა, ვისი თავდაცვაც უკეთ იქნებოდა ორგანიზებული. მომავალში მტრის არმიის გამანადგურებელი საცეცხლე ძალისაგან თავდასაცავად, მიწისქვეშა თავშესაფრების იმპროვიზების ნაცვლად, რაც 1914 წელს გამოიყენებოდა, საფრანგეთმა გადანყვიტა, წინასწარ აეგო მიწისქვეშა სიმაგრეები და აღეჭურვა ისინი ყველა იმ მოწყობილობითა და მარაგით, რაც ასე აკლდა დასავლეთის ფრონტის გადავსებულ და დასნეულებულ სანგრებს: ბარაკები, სასადილოები, იარაღის საწყობები და კინოთეატრებიც კი და ეს ყველაფერი ერთმანეთთან მიწისქვეშა რკინიგზით დაეკავშირებინა. ასეთ კომფორტაბელურ გარემოში ცემენტის ფართითა და ძლიერი საარტილერიო საშუალებებით დაცული ფრანგი ქვეითი ძალები გამაგრდებოდნენ და დაელოდებოდნენ გერმანიის სამხედრო ძალებს, თუ ისინი საკმარის წინდაუხედაობას გამოიჩინდნენ და პირველი მსოფლიო ომისდროინდელ სისხლიან თავდასხმებს გაიმეორებდნენ. ამ თავდაცვითი სტრატეგიის საშუალებით მოგებული დრო საშუალებას მისცემდა დიდ ბრიტანეთს შეიარაღებულიყო, მოეგროვებინა სამხედრო ძალები თავისი შორეული იმპერიული მიწებიდან, მობილიზება გაენია თავისი დიდი ეკონომიკური რესურსებისათვის და ჩაბმულიყო ბრძოლაში საფრანგეთთან ერთად. ასევე ფიქრობდნენ, თუმცა, საკმაოდ უსაფუძვლოდ, რომ საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვართან პოზიციური ფრონტის გახსნა შეერთებული შტატებიდან უზარმაზარი სამრეწველო რესურსების შემოდინებას გამოიწვევდა გერმანელი აგრესორის ძალის დასაბალანსებლად.

ოცდაათიანი წლების შუაში, როდესაც მაჟინოს ხაზის მშენებლობა დასრულდა, უსაფრთხოებაზე მეტად მზრუნველმა ფრანგებმა, ამ კედლის და შედარებითი დაცულობის განცდის გამო, შვებაც კი იგრძნეს. თუმცა, პარიზელთა უსაფრთხოებისა და ლონდონელთა შვების განცდებს ვერ იზიარებდნენ პრალასა და ვარშავაში. ლოკარნოში, საფრანგეთ-გერმანიის შერიგებიდან ასე მალე, საფრანგეთის მიერ თავდაცვითი სტრატეგიის მიღებამ გაამყარა

ჩეხებისა და პოლონელების სკეპტიციზმი ფრანგ მფარველთან გაფორმებული ორმხრივი ალიანსების ღირებულების შესახებ. რაინლანდში ფრანგული სამხედრო ძალების ყოფნა მართლა ასრულებდა საფრანგეთის აღმოსავლელი მოკავშირეების საქმეებში გერმანიის მხრიდან ჩარევის შემაკავებელი ფაქტორის როლს. რაინლანდის ევაკუაცია და მაჟინოს ხაზის გასწვრივ პოზიციური (უძრავი) ფრონტის ხაზის ამოქმედება აღმოსავლეთ ევროპაში საფრანგეთის ამბიციური დიპლომატიის ძირითად ნაწიძღვრებს აბათილებდა. საფრანგეთისგან რეალური სამხედრო დახმარების მიღების შემცირებულმა შანსმა აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოები აიძულა, თავდაცვის სტრატეგიისათვის გადაეხედათ. ჩეხოსლოვაკიამ, რომელიც ყველაზე მეტად ინდუსტრიალიზებული და ფინანსურად დაცული ქვეყანა იყო რეგიონში, საკუთარი მინიატურული მაჟინოს ხაზის ასაგებად ხარჯების გაღება შეძლო. ჩეხებისათვის, სამწუხაროდ, როგორც გეოგრაფია კარნახობდა მათ, ეს თავდაცვითი ხაზი უნდა აგებულიყო ბოჰემიის საზღვრის გასწვრივ მთიან რეგიონში, რომელსაც გერმანიაში „სუდეტენლანდს“ უწოდებდნენ – ეთნიკური გერმანელების ანკლავი, რომელიც, პოტენციურად, საზღვრის გადაღმა გერმანელების ირედენტისტური ამბიციების სამიზნე შეიძლება გამხდარიყო. პოლონეთმა, რომელსაც არც შესაფერისი ფინანსური საშუალებები გააჩნდა, რომ კომპლექსური თავდაცვითი სიმაგრეები აეგო და არც ბუნებრივი გეოგრაფიული ბარიერები ჰქონდა, საფრანგეთთან ალიანსის გაუფასურებას მეზობლებთან საერთო ენის გამონახვის სასონარკვეთილი ნაბიჯით უპასუხა. როგორც ვნახავთ, აგრესიის წინააღმდეგ მიმართული პაქტები, რომლებიც პოლონეთმა საბჭოთა კავშირთან 1932 წელს და გერმანიასთან 1934 წელს გააფორმა, წარმოადგენდა ვარშავის სასონარკვეთილ მცდელობას, შეენარჩუნებინა არასაიმედო ბალანსი ორ მეზობელს შორის, რომელთაც თვალის მისი ტერიტორიისაკენ ეჭირათ.

გერმანიის დემოკრატიის დასასრული

1930-იანი წლების დასაწყისი ეკონომიკური კრიზისის გავრცელებითა და შესაბამისი მთავრობების მიერ კრიზისთან გამკლავების მცდელობებით იყო აღსანიშნავი. ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო, გარდაუეაღ გავლენას ახდენდა პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროებზე. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ევროპას, სადაც პოლიტიკური სტაბილურობა და სამხედრო უსაფრთხოება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ინვესტიციებზე და მთავრობათშორისი ვალების გასტუმრების პროცესზე. ამ სისტემის ჩამოშლამ ოცდაათიანი წლების დასაწყისში უზარმაზარი დარტყმა მიაყენა ევროპის უსაფრთხოების სისტემას, რომელიც გასული ათწლეულის შუაში ჩამოყალიბდა. გუსტავ შტრეზმანის გარდაცვალება იმავე თვეში (1929

ნლის ოქტომბერი), როდესაც კრახი განიცადა ამერიკის საფონდო ბაზარმა, მეტად სიმბოლურ დამთხვევას წარმოადგენდა: ევროპული დეტანტის პერიოდი, რომელიც მის სახელთან ასოცირდებოდა, დასრულდა, ისევე, როგორც რღვევა დაიწყო ეკონომიკურმა წესრიგმა, რომელთანაც ეს დეტანტი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. ადამიანმა, რომლის შემრიგებლურმა პოლიტიკამ 1924-1929 წლებში გერმანია სამხედრო ოკუპაციისა და კონტროლისაგან გაათავისუფლა, მკვეთრად შეამცირა მის მიერ გადასახდელი რეპარაციების ოდენობა და ქვეყანა კვლავ დააბრუნა დიდი სახელმწიფოების რიგში, თავის შემცველებს საუცხოო შემკვიდრეობა დაუტოვა. მათ ისლა დარჩენოდათ, რომ დალოდებოდნენ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის საბოლოო გაუარესებას, რათა დაესრულებინათ ის, რაც შტრეზმანმა დაიწყო: გერმანიის გაათავისუფლება ვერსალის დარჩენილი მარნუხებისგან.

ამის მიუხედავად, დიდი შეცდომა იქნებოდა გვევარაუდა, რომ „ლოკარნოს სულისკვეთების“ გაუჩინარება, გერმანული რევიზიონიზმის აღორძინება და ნაცისტური დიქტატურის დამყარება ოცდაათიანი წლების დასაწყისში საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის პირდაპირი შედეგი იყო. ერთი მხრივ, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ დემოკრატიასა და საერთაშორისო სტაბილურობას შორის კაუზალური კავშირის დაშვებამ, რასაც ხშირად მიმართავდნენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ინგლისურენოვანი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები, ბიზნესმენები და ფინანსისტები, შესაძლოა ახსნას მშვიდობა, კეთილდღეობა და დემოკრატია ოციანი წლების მეორე ნახევრის ევროპაში. მაგრამ კაუზალური კავშირი საპირისპირო მიმართულებით ვერ გამოდგება იმ მოვლენების ასახსნელად, რომლებიც მოგვიანებით განვითარდა. გერმანიამ საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან შერიგების ხანმოკლე ექსპერიმენტი 1930 წელს დაასრულა, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე დიდი დეპრესიის შედეგები საგრძნობი გახდებოდა. ამავე წელს საკანონმდებლო ორგანოს წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც ნაცისტური პარტიის ღირსშესანიშნავი წარმატებით დასრულდა, ძირითადად საგარეო პოლიტიკის, და არა საშინაო საკითხების, ირგვლივ განვითარდა. პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ვერსალის სისტემის ნაციონალისტური რიტორიკით დაგმობაში ეჯიბრებოდნენ: რეპარაციების სისტემის დასრულება, ძველი კოლონიური იმპერიის აღდგენა, პოლონეთისათვის გადაცემული ტერიტორიების დაბრუნება და შეიარაღების შეუზღუდავი უფლება. 1931 წლის მარტში კანცლერ ჰაინრიხ ბრუნინგის წინადადება ავსტრიასთან საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ, ეკონომიკურ ინიციატივაზე მეტად, პოლიტიკური იერიში იყო ვერსალის სისტემაზე და ასევე ეს იყო მუქარა ჩეხოსლოვაკიის უსაფრთხოებისათვის. ეკონომიკური ანშლუსისკენ გადადგმული ეს ნაბიჯი და იმავე წელს მძიმე კრეისერის მშენებლობის დაწყება შეფიქრებულ ფრანგებსა და ბრიტანელებს განუმარტეს, როგორც ნაცი-


სტების შოვინიზმთან კონკურენციისათვის და გერმანელი ამომრჩეველების მხარდაჭერის მოპოვებისათვის აუცილებელი ზომები. ამავე მოტივაციით ამართლებდნენ ბრუნინგის დაჟინებულ მოთხოვნას გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრების გადახედვის შესახებ და მისი შემცველის, ფრანც ფონ პაპენის 1932 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებას, შეენწყვიტა რეპარაციების გადახდა. ამავე წლის დეკემბერში განხორციელებული ზენოლის შედეგად, ერთა ლიგის შემფოთებულმა წევრებმა გერმანიას თანაბარი შეიარაღების უფლება მისცეს. მოკლედ, ნაცისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის მთავარ მახასიათებლებს იზიარებდნენ გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებიც, მაგალითად, ბრუნინგი, პაპენი, ჰინდენბურგი, რომლებიც, მიუხედავად ამისა, თავს ჰიტლერის ერთადერთ ალტერნატივად ასალებდნენ.

დემოკრატიიდან დიქტატურისკენ გერმანიის ევოლუციას ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე სამი წლით ადრე შეექმნა საფუძველი. 1930 წლის 16 ივლისს, მას შემდეგ, რაც რაიხსტაგმა უარი თქვა მთავრობის ბიუჯეტის კანონპროექტის მიღებაზე, ჰინდენბურგმა ის საპრეზიდენტო განკარგულების ძალით დაამტკიცა, დაითხოვა პარლამენტი და მოიწვია ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც ნაცისტებმა გამაოგნებელ წარმატებას მიაღწიეს. ერთი წლის განმავლობაში ბრუნინგი მუდმივად გვერდს უვლიდა საკანონმდებლო ორგანოს და, მკაცრი არაპოპულარული ეკონომიკური ზომების ასამოქმედებლად, საგანგებო უფლებამოსილებებს მიმართავდა. პოლიტიკური დაპირისპირებები, რომელთაც 1932 წელს ჰქონდა ადგილი და რომლის დროსაც ბრუნინგი, ფონ პაპენი და გენერალი კურტ ფონ შლაიხერი მონაცვლეობით იკავებდნენ კანცლერის პოსტს, ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლაში ხელის შეშლის მიზნით, კოალიციის შეკონინების წარუმატებელ მცდელობებს წარმოადგენდა. თუმცა, 1932 წლის ივლისის საკანონმდებლო არჩევნებმა, რომელშიც ნაცისტებმა ხმების 37% მიიღეს და რაიხსტაგის ყველაზე დიდ პარტიად იქცნენ, გერმანიის საზოგადოების ყველა ნაწილში ჰიტლერის პოპულარობა წარმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ იმავე წლის ნოემბრის შემდგომმა არჩევნებმა გარკვეულწილად შეამცირა ნაცისტების წარმომადგენლობა რაიხსტაგში, მომავალი უკვე განსაზღვრული იყო. წინა რეჟიმისა და წესრიგის წარმომადგენლები ამას კარგად აცნობიერებდნენ და შესაბამისად მოქმედებდნენ. მათი თავშეკავებული დამოკიდებულება ნაცისტების ლიდერის მიმართ არ იყო დაკავშირებული ამ უკანასკნელის რევიზიონისტული საგარეო პოლიტიკის მიუღებლობასთან და, კიდევ უფრო ნაკლებად, ჰიტლერის ანტიპათიასთან დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. ის, რაც ამ კონსერვატორ პოლიტიკოსებსა და სოციალურ ელიტებს აშფოთებდათ, ნაციონალ-სოციალისტების რადიკალური სოციალური პროგრამა იყო. მას შემდეგ, რაც ისინი დაამშვიდეს, რომ ნაცისტურ ხედვაში „სოციალისტურ“ ელემენტებს მხოლოდ რიტორიკული დანიშნულება გააჩნდა და

რომ ჰიტლერს განზრახული ჰქონდა, ხელუხლებლად დაეტოვებინა არსებული სოციალურ-ეკონომიკური იერარქიები, აღმოსავლეთპრუსიელმა მინათ-მფლობელებმა, რურისა და რაინლანდის მრეწველებმა და ზედა ეშელონის სამხედრო ოფიცრებმა სასწრაფოდ დაამყარეს მშვიდობა ჰიტლერთან. დიდ მინათმოქმედებს სჭირდებოდათ გარანტიები, რომ არ ჩამოერთმეოდათ უზარმაზარი მიწები და არ დაურიგდებოდათ ხელმოკლე ვეტერანებს ისე, როგორც ამას ზოგიერთი ითხოვდა ეკონომიკური დეპრესიის შედეგებთან გამკლავების ღონისძიების სახით. კრუპებს, ტისენებს და მძიმე ინდუსტრიის მათ მეგობარ მაგნატებს გარანტირებული ბაზრები და ევროპიდან მონოდების სტაბილური წყაროები სწყუროდათ. სამხედრო ლიდერებს კი კარგად განვრთნილი და აღჭურვილი მასობრივი არმია სურდათ. ყველა მათგანი გერმანიაში კომუნიზმის მზარდი ტალღისგან დაცვას ითხოვდა, რასაც საკანონმდებლო არჩევნებში კომუნისტების გაუმჯობესებული შედეგები ადასტურებდა. ამ ყველაფრის პირობას ჰიტლერი იძლეოდა პირდაპირ ან შუამავლების მეშვეობით, მისი საგარეო ექსპანსიის, შეიარაღების და დიქტატურის პროგრამის ფარგლებში. საპასუხოდ კი მან ამ ძლიერი პოლიტიკური და ფინანსური ინტერესჯგუფების მხარდაჭერა მიიღო ხელისუფლების მოპოვებაში. 1933 წლის 30 იანვარს ჰიტლერის კანცლერად დანიშვნის უკან იდგნენ ადამიანები, რომელთაც ეგონათ, რომ იოლად შეძლებდნენ პირადად მისი და მისი ექსტრემისტული მოძრაობის მანიპულირებას, რათა მიეღოთ მათთვის სასურველი და თავიდან აეცილებინათ მათთვის საშიში შედეგები. თუმცა, როგორც ვნახავთ, კანცლერმა თავის სასარგებლოდ შეატრიალა ვითარება და დაიწყო სამრეწველო, აგრარულ და სამხედრო ელიტებში თავისი მოკავშირეებისა და მათი რესურსების გამოყენება გერმანიასა და ევროპაში თავისი ამბიციური გეგმების განსახორციელებლად.



დასავლური სამყარო ოცდაათიან წლებში – გამქრალი ილუზიები



პაილე სელასიე მიმართავს ერთა ლიგას: 1935-1936 წლებში იტალიის მიერ ეთიოპიის დაპყრობისა და ოკუპაციის საპასუხოდ, 1936 წლის ივნისში ეთიოპიის ახალგაზრდა იმპერატორმა სიტყვით მიმართა ერთა ლიგის ასამბლეას და ორგანიზაციისაგან დახმარება ითხოვა. ვიდრე პატივცემული მონარქი იტალიის აგრესიის შესახებ ყვებოდა, მას სტვენითა და შეძახილებით აწყვეტინებდნენ სტუმართა გალერეაში მსხდომი იტალიელი ჟურნალისტები. ერთა ლიგის წესდების უხეში დარღვევის მიუხედავად, ერთა ლიგამ მხოლოდ მცირე და სრულიად არაეფექტური სანქციები დაუწესა იტალიას, რომელიც თანდათან ამყარებდა კონტროლს ამ აფრიკულ ქვეყანაზე.

თავის შინაარსი
მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგის რღვევა
ევროპის უსაფრთხოების სისტემის რღვევა

მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგის რღვევა

ვინაიდან ეკონომიკური კეთილდღეობის ტალღა, რომელმაც ევროპას ოციანი წლების მეორე ნახევარში გადაუარა, მეტწილად შეერთებული შტატების სამრეწველო და ფინანსურ სიძლიერესთან იყო დაკავშირებული, ამერიკის საფონდო ბირჟის კრახს 1929 წლის შემოდგომაზე აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ღრმა და გამანადგურებელი შედეგები ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს. ომის შემდეგ შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს უდიდესი მწარმოებლის, კრედიტორის და ინვესტორის, ახალმა როლმა საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი მეტად მგრძობიარე გახადა ამერიკის ეკონომიკის ქმედუნარიანობის მიმართ. როდესაც მისი ეკონომიკა ჰყვაოდა, როგორც ეს ხდებოდა რამდენიმე მცირე შესწორებისა და ადაპტაციის შემდეგ 1922-1929 წლებში, ამერიკა დანარჩენი ინდუსტრიული სამყაროს კეთილდღეობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. ოციანი წლების მეორე ნახევარში შეერთებული შტატები, მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტით, მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის 46 პროცენტს აწარმოებდა. იმავე პერიოდის განმავლობაში ის მოიპოვებდა მსოფლიოს ნავთობის 70 პროცენტს და ქვანახშირის 40 პროცენტს. გარდა ამისა, ამერიკული ჭარბი კაპიტალის ევროპაში შედინება, გერმანული რეპარაციების პრობლემისა და მოკავშირეებს შორის არსებული დავალიანებების შესახებ მიმდინარე მწვავე დავებიდან, შედარებით უმტკივნეულო გამოსავალს წარმოადგენდა და ასევე ამარაგებდა მსოფლიო სავაჭრო პარტნიორებს აუცილებელი ლიკვიდურობით მათი საერთაშორისო ანგარიშების დასაბალანსებლად.

ჩვენთვის ცნობილია საერთაშორისო ეკონომიკის დასუსტების სიმპტომები, რომლებიც უკვე აშკარად იკვეთებოდა 20-იანი წლების მეორე ნახევრის ეკონომიკური ბუმის დროსაც: 1. სპეკულაციური ციებ-ცხელება უოლსტრიტზე, რომლის გამოც კაპიტალიზმის ინვესტიციები მსოფლიოს იმ რეგიონებიდან, რომლებსაც ის ყველაზე მეტად სჭირდებოდა, განხორციელდა იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც კაპიტალის შედინება ყველაზე ნაკლებად ესაჭიროებოდა; 2. ომის შემდგომ ევროპაში განხორციელებული ამერიკული ინვესტიციები უფრო მეტად მოკლევადიანი და უფრო მეტად სპეკულაციური ხასიათის იყო, ვიდრე წარმოებაზე ორიენტირებული; 3. სურსათის, ლითონისა და პირველადი პროდუქტების კლებადი ფასები, რაც საშუალებას არ აძლევდა არაინდუ-

სტრიალიზებულ ქვეყნებს, იმდენი შემოსავალი მიეღოთ, რომ ინდუსტრიული ქვეყნებიდან შეტანილი იმპორტისათვის გადახდა შეძლებოდათ; 4. ვალუტის კურსის არასტაბილურობა, სავაჭრო პროტექციონიზმი და საიმიგრაციო შეზღუდვები, რაც აბრკოლებდა კაპიტალის, რესურსებისა და მუშახელის გადაადგილებას სახელმწიფო საზღვრებზე. როგორც კი შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა ეკონომიკური ძრავის ფუნქციის შესრულება, ხოლო მისმა ეკონომიკურმა კეთილდღეობამაც ნაიბორძიკა და 1929-1932 წლებში კიდევ უფრო განაგრძო დაცემა, ეკონომიკური არასტაბილურობის ყველა ეს ავისმომასწავებელი სიმპტომი, რომლებსაც ან ყურადღებას არ აქცევდნენ, ან უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ ეკონომიკური ბუმის წლებში, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის სრულმასშტაბიან კრიზისში გადაიზარდა.

უოლ სტრიტის მარცხის დაუყოვნებელი შედეგები

აქ არ შევჩერდებით ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ფასების სწრაფი დაცემის მიზეზებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავიგოთ „დიდი კრაზის“ შედეგი შეერთებული შტატების ეკონომიკურ სიჯანსაღეზე და, შემდეგ, მთელს ინდუსტრიალიზებულ მსოფლიოზე. 1929 წლიდან ამერიკის სამწლიანი სტატისტიკური მონაცემების უბრალო მიმოხილვა ნათელ სურათს იძლევა: სამრეწველო წარმოება და ეროვნული შემოსავალი განახევრდა, მთლიანი ეროვნული შემოსავლის რეალური მაჩვენებელი სამჯერ შემცირდა, უმუშევრობამ სამუშაო ძალის 25 პროცენტს მიაღწია, ბანკების მესამედი დაიხურა, საბითუმო ფასები კი 32 პროცენტით დაეცა; მუშები სამუშაოს გარეშე დარჩნენ, ბანკები – დეპოზიტების გარეშე, ინვესტორები გაიქცნენ, იპოთეკური სესხები შეწყდა, ფერმერები და მცირე მწარმეები საკუთარ ნაწარმს ვეღარ ჰყიდდნენ და, შესაბამისად, ვერ ისტუმრებდნენ კომერციულ სესხებს – ასეთი იყო ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყნისა, რომლის კეთილდღეობაზეც მთელი მსოფლიო იყო დამოკიდებული.

შეერთებულ შტატებში ასეთი მოულოდნელი და ძლიერი ეკონომიკური ვარდნის საერთაშორისო შედეგები განუზომელი იყო. პირველი და ყველაზე აშკარა შედეგი გრძელვადიანი სესხების უცარი შეწყვეტა და უცხოეთზე გაცემული კრედიტების ვადების მიხედვით რეპატრიაცია იყო. ამერიკული კერძო ფინანსური ინსტიტუტების გრძელვადიანმა კრედიტებმა ქვეყნის გარეთ 1929-1933 წლებში 68 პროცენტით დაინია, ხოლო დანარჩენი ათწლეულის განმავლობაში – სრულებით შეწყდა. 1934-1939 წლებში ადგილი ჰქონდა ამერიკელების კუთვნილი უცხოური აქტივების მთლიან ლიკვიდაციას. ამერიკული ფონდების ამ მასობრივ ამოღებას დაუყოვნებელი ეფექტი ჰქონდა იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც სასიცოცხლოდ დამოკიდებული გახდნენ ამერიკული კაპიტალის უწყვეტ შედინებაზე მათი ბიუჯეტების დაბალანსებისათვის, სამრეწველო პროდუ-

ქციის გაზრდისათვის, ვაჭრობის დაფინანსებისათვის და საგარეო ვალების დაფარვისათვის. ამერიკული კრედიტებისა და ინვესტიციების რეპატრიაციას მალევე მოჰყვა უცხოური ოქროს რეზერვების მასობრივი ტრანსფერი შეერთებულ შტატებში, ევროპაში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობის გამო. 1931-1938 წლებში ამერიკულმა ბანკებმა მიიღეს დაახლოებით 6.6 მილიარდი დოლარის (100 მილიარდ დოლარზე მეტი 2009 წლის კურსით) ღირებულების ოქრო. უცხოეთში ამერიკული აქტივების ლიკვიდაციამ, ამერიკული აქტივების შექმნამ უცხოელების მიერ და ამერიკულ ბანკებში უცხოური ოქროს დაგროვებამ, კაპიტალის იმ რაოდენობის შედინება გამოიწვია შეერთებულ შტატებში, რაც ბევრად აღემატებოდა შეერთებულ შტატებთან მსოფლიოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ამოსავსებად საჭირო თანხას. ამ ანომალიურმა ტენდენციამ ძლიერ შეამცირა ოქროსა და დოლარის მიწოდება ევროპაში, რაც მას უკიდურესად ესაჭიროებოდა.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ, ამერიკაში მსყიდველუნარიანობის დაცემის გამო, ამერიკელები ველარ იძენდნენ უცხოეთიდან იმპორტირებულ საქონელს. წარმოებული საქონლის იმპორტმა ამერიკაში 40 პროცენტით იკლო 1929-1932 წლებში. ამასთანავე, შიდაფასების ვარდნის კომპენსაციის მიზნით, აგრარულმა და სანარმოო ინტერესჯგუფებმა აიძულეს შეერთებული შტატების კონგრესი, მიეღო მეოცე საუკუნეში ყველაზე მკაცრი პროტექციონისტული ტარიფი – ჰოული-სმუტის 1930 წლის ტარიფი, – რომელმაც შესაბამის იმპორტირებულ საქონელზე ბაჟი 59 პროცენტით გაზარდა. შემცირებული მოთხოვნისა და სატარიფო პროტექციონიზმის კომბინაციამ შეერთებულ შტატებში დააჩქარა შემოსავლების ძლიერი ვარდნა და ფართოდ გაავრცელა უმუშევრობა ამერიკის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში.

მსოფლიო ვაჭრობის ასეთმა შემცირებამ 30-იანი წლების დასაწყისში ბრიტანეთის საგარეო ინვესტიციების უეცარი ვარდნაც გამოიწვია, საფრანგეთს – კიდევ ერთ საერთაშორისო კრედიტორ ქვეყანას – უკვე დაწყებული ჰქონდა ჭარბი კაპიტალის დიდი ნაწილით ოქროს შექმნა ახლადდასტაბილირებული ვალუტის გასამყარებლად. ჭარბი დანაზოგის მქონე, ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოს მიერ საგარეო კრედიტების გაცემის შემცირებამ, ამ კრედიტების მიმღებ ქვეყნებს უბიძგა, გაეცნობიერებინათ ეკონომიკური მდგომარეობის ფუნდამენტური სისუსტეები, რომელიც ყურადღების მიღმა რჩებოდათ კეთილდღეობის წლების განმავლობაში: უუნარობა, გადაეხადათ უზარმაზარი საგარეო ვალები (კერძოც და სამთავრობოც), უცხოური სესხების უწყვეტად მიღების გარეშე.

თავდაპირველად ევროპული ქვეყნები და შეერთებული შტატები სამშვიდობოს გასვლას, ეკონომიკური კრიზისის მოგვარებას ტრადიციული გზებით შეეცადნენ. ოქროს სტანდარტზე უარის თქმისა და ვალუტის გაცვლის კურსის დანევის ნაცვლად, ექსპორტის კონკურენტული ფასის უპირატესობის

შესანარჩუნებლად, ისინი ჯიუტად ინარჩუნებდნენ ვალუტის ფიქსირებული კურსის სისტემას და მზად იყვნენ გადაეტანათ მძიმე დეფლაცია, რაც აუცილებლად მოჰყვებოდა ასეთ პოლიტიკას. მაგრამ, სანამ ასეთი დეფლაციური გამოსავალი ამოქმედდებოდა, 1931 წლის გაზაფხულზე ევროპა სრულმასშტაბიანმა ფინანსურმა პანიკამ მოიცვა: ავსტრიის ყველაზე დიდი კომერციული ბანკი – კრედიტანშტალტი – გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა ბანკიდან უცხოური მოკლევადიანი ფონდების გადინების გამო. ავსტრიის მთავრობის გადანყვეტილებამ, გაეყინა დაზარალებული ბანკის დარჩენილი აქტივები, პანიკური შეტევა გამოიწვია გერმანიის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ფინანსურ ინსტიტუტებზე, საიდანაც უცხოელი კრედიტორები სასწრაფოდ ცდილობდნენ თავიანთი დეპოზიტების დაბრუნებას, ვიდრე ამ ქვეყნების მთავრობები ავსტრიის მაგალითს მიჰყვებოდნენ. მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობამ ვერ შეძლო კაპიტალის გადინების შეჩერება უცხოელი ინვესტორებისთვის აქტივების გერმანულ მარკაში შენახვის ნასაქეზებლად საპროცენტო განაკვეთების ანევის ტრადიციული მეთოდით, მან სავალუტო კურსის კონტროლი დაიწყო, რათა ხელი შეეშალა კაპიტალის გადინებისა და უფრო მეტი ბანკის დახურვისათვის. წლის ბოლოს კიდევ თერთმეტმა ევროპულმა ქვეყანამ უცხოეთში კაპიტალის გადინების შეზღუდვის სხვადასხვა მექანიზმი აამოქმედა. ამასობაში დასავლეთის მთავრობებმა აუცილებელი ნაბიჯები გადადგეს, ზოგადად, ცენტრალურევროპული სახელმწიფოების და, განსაკუთრებით, გერმანიის რესპუბლიკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად. 1931 წლის 21 ივნისს პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა ერთწლიანი მორატორიუმი გამოაცხადა რეპარაციების და მოკავშირეთა შორის დავალიანებების გადახდაზე, რათა საშუალება მიეცა გერმანიისათვის, წესრიგში მოეყვანა საკუთარი ფინანსური მდგომარეობა. შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ცენტრალურმა ბანკებმა მოკლევადიანი სესხები მისცეს გერმანიას, ხოლო საერთაშორისო ბანკირებმა კვლევა ჩაატარეს ახალი გრძელვადიანი სესხების გაცემის შესაძლებლობის თაობაზე, რათა ცენტრალური ევროპის შერყეულ ეკონომიკას დახმარებოდნენ.

კონტინენტზე გავრცელებულმა ფინანსურმა ქარიშხალმა სწრაფად გადაკვეთა ლა-მანში და ევროპის ფინანსური სტაბილურობის მთავარ სიმაგრეს შეუტია. ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ბრიტანულ ბანკებს ბევრი ინვესტიცია ჰქონდათ განხორციელებული ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რომლებიც უცხოურ აქტივებს ყინავდნენ და სავალუტო კურსზე კონტროლის მექანიზმებს აწესებდნენ, სტერლინგის მიმართ საზოგადოების ნდობის დაკარგვა გამოიწვია. იგივე შედეგი ჰქონდა ჰუვერის მიერ მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ გერმანული რეპარაციების უეცარ დასრულებას, რომელიც ბრიტანეთში ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტს დაემთხვა. ამა-

სთანავე, დიდი საერთაშორისო გადასახადების აუცილებლობა აიძულებდა უცხოელ კრედიტორებს გაეტანათ უცხოური ვალუტა და ოქრო ლონდონის ბანკების დეპოზიტებიდან. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ის, რომ 1931 წლის ზაფხულში ადგილი ჰქონდა ფულის მასობრივ გატანას ბრიტანული ბანკებიდან, რამაც დააცარიელა უცხოური ვალუტისა და ოქროს ბრიტანული რეზერვები. როდესაც ვერც ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკისა და ვერც საფრანგეთის ბანკის დიდმა კრედიტმა ვერ შეძლო წამოსული ტალღის შეჩერება, ბრიტანეთის პარლამენტმა 21 სექტემბერს გადადგა საგანგებო ნაბიჯი და შეაჩერა ინგლისის ბანკის ვალდებულება ეროვნული ვალუტის სანაცვლოდ ოქროს გაყიდვის შესახებ.

დიდი ბრიტანეთის გასვლა ოქროს სტანდარტის სისტემიდან, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ ისტორიაში გარდამტეხი მოვლენაა. ამ ნაბიჯმა ხაზი გაუსვა ბრიტანეთის ფუნდამენტურ ეკონომიკურ პრობლემას – ქვეყნისას, რომელიც სათავეში ედგა მსოფლიოს სავალუტო სისტემას: კერძოდ, ლონდონს არ აღმოაჩნდა უნარი, შეენარჩუნებინა საკმარისი რაოდენობის ოქრო და უცხოური ვალუტა, რათა დარჩენილიყო ერთ-ერთ ცენტრად მსოფლიოს ორი ფინანსური ცენტრიდან. ბრიტანეთის სამარცხვინოდ დაშვება ფინანსური პირველობის მდგომარეობიდან შეიძლება პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობის სახეცვლილებით აიხსნას. ომის ოთხი წლის განმავლობაში დაკარგული უცხოური ბაზრების დაბრუნების წარუმატებელმა მცდელობამ ხელი შეუშალა ბრიტანულ საექსპორტო ვაჭრობას განეგრძო ზრდის ის ტემპი, რომლითაც ის ლონდონის საბანკო სისტემაში მსოფლიოს ფინანსურ რეზერვებს იზიდავდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ბრიტანეთის მიერ ოქროს სტანდარტიდან გამოსვლის შედეგი, 1931 წლის სექტემბრის ამ ისტორიულ დღეს, იმ საერთაშორისო სავალუტო სისტემის ჩამოშლა იყო, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამოქმედდა.

1925 წლის აპრილში მიღებულ გადაწყვეტილებას, ბრიტანეთის ოქროს სტანდარტზე დაბრუნების შესახებ ომამდელი 4.86 დოლარის კურსით, 1931 წელს უკვე აბრალედნენ ბრიტანეთის ქრონიკული სავაჭრო დეფიციტის კიდევ უფრო გამწვავებას, რადგან ამან ბრიტანული ექსპორტის გაძვირება გამოიწვია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ოქროს სტანდარტს დევალვირებული ვალუტით მიუერთდნენ. შესაბამისად, ბრიტანეთის ხაზინის მესვეურებს იმედი ჰქონდათ, რომ, როგორც კი ბრიტანული გირვანქა სტერლინგი თავისუფლად დაიწყებდა რყევას მსოფლიოს ფულად ბაზრებზე, მისი ღირებულება ისეთ დონემდე დაეცემოდა, რომელიც აღადგენდა ბრიტანული ექსპორტის კონკურენტუნარიანობას. როდესაც ბრიტანული ვალუტა გათავისუფლდა ოქროზე დამოკიდებულებისგან, მისი ღირებულება სწრაფად დაეცა დაახლოებით 3.50 დოლარამდე. მაგრამ, იმ ქვეყნებისთვის, რომელ-



ამერიკული პროტექციონიზმის ავტორები: სენატორმა რის სმუტმა (მარჯვნივ), სენატის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარემ და წარმომადგენელთა პალატის წევრმა უილის ჰოულიმ, საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგინეს კანონპროექტი, რომელიც იქცა 1930 წლის კანონად ტარიფების შესახებ, რომლის მიზანი დიდი დეპრესიის საწყის ეტაპზე ამერიკული კომპანიებისა და ფერმერების უცხოური კონკურენციისგან დაცვა იყო. სმუტ-ჰოულის ამ ტარიფს შეერთებული შტატების მთავარი სავაჭრო პარტნიორებისგან პროტექციონისტული საპასუხო ზომების მიღება მოჰყვა, რამაც საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია და კიდევ უფრო გაამწვავა დიდი დეპრესიის გამანადგურებელი შედეგები.

თათვისაც ბრიტანეთი მთავარი მომხმარებელი იყო და ბრიტანული ბანკები კი მათი ჭარბი რეზერვების მთავარი ცენტრი, ძნელი იქნებოდა სტერლინგის შემდგომი გაუფასურების დაშვება იმის შიშით, რომ ეს გამოდევნიდა მათ პროდუქციას ბრიტანული ბაზრებიდან მაღალი ფასების გამო, ხოლო სტერლინგში არსებული მათი დეპოზიტები კი შემცირდებოდა. 1932 წლის გაზაფხულამდე ასეთი ოცდაათიან ქვეყანა გახდა იძულებული, დაეტოვებინა ოქროს სტანდარტი და საშუალება მიეცა ვალუტებისათვის თავისუფლად ემოძრავათ. ამის შემდეგ, მსოფლიოს მოვაჭრე სახელმწიფოებს თავად უნდა გამოენახათ გზები და ეპოვათ დროებითი საშუალებები საერთაშორისო ტრანსაქციების დასაფინანსებლად. ასე ჩამოიშალა ოქროზე ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთი საყრდენი იყო.

საერთაშორისო სავალუტო და სავაჭრო სისტემის კრიზისი

საერთაშორისო სავალუტო სისტემა მალე სახელმწიფოთა სამ ჯგუფად დაიყო, რომელთაგან თითოეულმა მიზნის მისაღწევად საკუთარი გზა აირჩია. ერთი ჯგუფის ხუთი სახელმწიფო, რომელსაც შედარებით ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა ერგო – შვედეთელი შტატები, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები და შვეიცარია – ოქროს სტანდარტის ერთგული დარჩა და, იმავდროულად, ცდილობდა პროტექციონისტული სატარიფო ბარიერებისა და იმპორტის შემზღუდველი კვოტების გზით შეემცილებინა იმპორტი. მეორე ჯგუფის სახელმწიფოებმა, რომელშიც დიდი ბრიტანეთი და მისი მთავარი სავაჭრო პარტნიორები შედიოდნენ (მათ შორის იმპერიის ყველა ქვეყანა, კანადის გარდა, და კიდევ თორმეტი სხვა ქვეყანა), ბრიტანეთთან ერთად დატოვეს ოქროს სტანდარტი და მათი ვალუტის ღირებულება გირვანქა სტერლინგს მიაბეს. სავალუტო გაცვლის კურსების სტაბილურობა ამ ჯგუფში მისი ნევრი ქვეყნების მიერ ბრიტანული გირვანქა სტერლინგის ყიდვა-გაყიდვის გზით ნარჩუნდებოდა, ბრიტანეთი კი სტაბილიზაციის ფონდს იყენებდა, რათა ზომიერების ჩარჩოებში მოექცია ფუნტსა და ოქროს სტანდარტის ვალუტებს შორის არამყარი გაცვლის კურსი. მესამე ჯგუფმა, რომელშიც გერმანია და ცენტრალური ევროპისა თუ ლათინური ამერიკის ბევრი ღარიბი არაინდუსტრიალიზებული ქვეყანა შედიოდა, სავალუტო გაცვლის კურსზე მკაცრი კონტროლი დაანესა, რაც მათ ვალუტებს არაკონვერტირებადს ხდიდა. ვინაიდან ოქროს სტანდარტის ქვეყნების პროტექციონისტული პოლიტიკაც და სტერლინგის ბლოკის ქვეყნების ვალუტების გაუფასურების პოლიტიკაც ერთნაირად ინვევდა იმპორტის შემცირებას ამ ქვეყნებში, „სავალუტო კურსის კონტროლის“ ქვეყნებს ისლა დარჩენოდათ, ბაზარი და იმპორტის წყაროები სხვა ქვეყნებში ეძიათ, რომლებსაც ასევე კონტროლირებადი სავალუტო კურსები ჰქონდათ. ორმხრივი ვაჭრობის ამ გზას განსაკუთრებით ხშირად მიმართავდა გერმანია ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. საგარეო კრედიტების ამონურვის, უცხოური ბაზრების დახურვის და მარკის არაკონვერტირებადობის გამო, გერმანიას აღარ ჰქონდა საშუალება დაეგროვებინა უცხოური ვალუტა მისთვის საჭირო ნედლეულისა და სურსათის იმპორტის დასაფინანსებლად. შესაბამისად, ის სულ უფრო და უფრო ცდილობდა იმპორტი იმ ქვეყნებიდან მიეღო (ძირითადად, ცენტრალური ევროპიდან), რომლებსაც მიმდინარე ანგარიშის დავალიანება ჰქონდათ გერმანიასთან ან სურდათ გადახდა განხორციელებულიყო გერმანულ მარკაში, რომელიც, თავის მხრივ, გერმანიას ველარ დატოვებდა სავალუტო გაცვლის კურსის შეზღუდვების გამო. შედეგად, გერმანიისათვის ნედლეულისა და სურსათის მომწოდებლებს მოეთხოვებოდათ იმდენი იმპორტი წამოეღოთ გერმანიიდან, რამდენის ექსპორტსაც შეძლებდნენ გერმანიაში, რათა ექსპორტიდან მათ

მიერ მიღებული გერმანული მარკები უსარგებლოდ არ დაგროვილიყო გერმანულ ბანკებში. გერმანიის მთავრობა ასევე შეეცადა ორმხრივი ბარტერული გაცვლების მექანიზმის ამოქმედებას რამდენიმე ქვეყანასთან ვალუტების არაკონვერტირებადობის პრობლემისთვის გვერდის ავლის მიზნით. გერმანული ქვანახშირი გადიოდა ბრაზილიაში, რომელიც ეკვივალენტური ღირებულების ყავას აგზავნიდა გერმანიაში, ხოლო გერმანული სასუქები იცვლებოდა ეკვიპტურ ბამბაში.

ოქროს სტანდარტის ბლოკისა და სტერლინგის ბლოკის ქვეყნებმა მიატოვეს ლონდონის სავალუტო ბაზრის საშუალებით მრავალმხრივი ფორმატის გადახდის ტრადიციული სისტემა და საერთაშორისო ანგარიშების დაბალანსების ორმხრივ მექანიზმზე გადავიდნენ. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა გაზარდეს იმპორტი მსოფლიოს იმ რეგიონებიდან (განსაკუთრებით მათი კოლონიებიდან), სადაც მათ მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდებები ხელმისაწვდომს ხდიდა ამ იმპორტის გადახდისათვის აუცილებელ უცხოურ ვალუტას. შედეგად, მსოფლიოს სამ დიდ ფინანსურ-სავაჭრო ბლოკს შორის ვაჭრობა თანდათან მცირდებოდა.

საერთაშორისო ვაჭრობის შემცირების კიდევ ერთი მიზეზი იმპორტის ფართოდ გავრცელებული, პოლიტიკურად მოტივირებული შეზღუდვები იყო, რაც ოციანი წლების პროტექციონისტულ პოლიტიკას გაცილებით აღემატებოდა. შეერთებული შტატების ჰოული-სმუტის პროტექციონისტული ტარიფების პასუხად, ევროპის მთავარმა სავაჭრო პარტნიორებმა სასწრაფოდ დაიწყეს პროტექციონისტული კანონების მიღება, რათა მათ შიდამრეწველობაში ფასების ვარდნა და უმუშევრობის ზრდა შეეჩერებინათ. საფრანგეთმა და გერმანიამ ტარიფების მაღალი კედლები აღმართეს და მკაცრი რაოდენობრივი ლიმიტები დაანესეს უცხოეთიდან იმპორტირებულ საქონელზე. დიდი ბრიტანეთიც კი – თავისუფალი ვაჭრობის მუდმივი დამცველი ქვეყანა – ეპოქის პროტექციონისტულ ზენოლას დანებდა. 1932 წელს მიღებულმა კანონმა საიმპორტო ბაჟის შესახებ, დაასრულა თავისუფალი ვაჭრობის 75-წლიანი პერიოდი და გაზარდა გადასახადები სხვადასხვა იმპორტირებულ საქონელზე. იმავე წლის ზაფხულში ოტავას კონფერენციაზე პროტექციონისტული ზომები ბრიტანეთის იმპერიის თვითმმართველ დომინიონებზეც გავრცელდა. ბრიტანეთმა გაზარდა საიმპორტო გადასახადები სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებზე, რომლებიც კონკურენციას უწევდნენ დომინიონების ექსპორტს მეტროპოლიაში, მაგალითად, კანადურ ხორბალს, ავსტრალიურ მატყლს და ახალ ზელანდიურ რძის პროდუქტებს. სანაცვლოდ, ბრიტანეთის წარმოებულ საქონელს პრეფერენციას ანიჭებდნენ დომინიონის ბაზრები. პარალელურად, ბრიტანეთმაც და ნიდერლანდებმაც კოლონიებისათვის პრეფერენციული მექანიზმები აამოქმედეს. იმპერიული პრეფერენციების სისტემა, პროტექციონისტული კანონმდებლობა, რომელიც იცავდა

შეერთებული შტატების უზარმაზარ ბაზარს უცხოური კონკურენციისაგან და კონტროლირებადი სავალუტო კურსის მქონე ქვეყნების ორმხრივი სავაჭრო მექანიზმები, საერთაშორისო სავაჭრო ქსელის ჩაკეტილ კომერციულ ბლოკებად დეზინტეგრაციაზე მიუთითებდნენ. 1931 წლამდე ტარიფები თხუთმეტამდე ევროპულ ქვეყანაში, 1927 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 64 პროცენტით გაიზარდა. ოცდაათიანი წლების განმავლობაში წარმოებული საქონლით ვაჭრობამ გერმანიას, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის 1913 წლის ნიშნულამდე დაინია.

ამერიკა ცალკე გზას ირჩევს

საერთაშორისო სავალუტო სისტემის აღდგენის და მასზე დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობის გააქტიურებით ვითარების გამოსწორების საერთაშორისო მცდელობები მუდმივად წარუმატებლად სრულდებოდა მთელი ოცდაათიანი წლების განმავლობაში. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის საზოგადოებრივი ზეწოლა იყო, რომელიც საშუალებას არ აძლევდა დიდი ქვეყნების მთავრობებს, განეხორციელებინათ ისეთი პოლიტიკა, რომელიც შესაძლოა მტკიცენიული ყოფილიყო მოკლე ვადით, მაგრამ ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების გრძელვადიან აღმავლობას. მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე ამ არაშორსმჭვრეტელი რეაგირების ნათელი მაგალითი შეერთებულ შტატებში ფრანკლინ დელანო რუზველტის ახალი ადმინისტრაციის თავდაპირველი მონეტარული პოლიტიკა იყო. 1933 წლის დასაწყისში ერთა ლიგამ სახელმწიფოები საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე მიიწვია, რომელსაც ოქროს სტანდარტის მარცხით გამოწვეული მსოფლიოს ვალუტების ქრონიკული არასტაბილურობიდან მრავალმხრივი ფორმატის გამოსავალი უნდა შემუშავებინა. შეერთებულ შტატებს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა ნათქვამი უარი მსგავს კონფერენციებში მონაწილეობაზე ბრიუსელში (1920), გენუაში (1922) და, ყველაზე ბოლოს, ლოზანაში (1932). მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა კერძო ფინანსურმა ექსპერტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ოციანი წლების ეკონომიკური აღორძინების გეგმების შედგენაში, მაგალითად, დაუესისა და იანგის გეგმებით, შეერთებული შტატების მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა, რომ არაფერი აკავშირებდა ამ გეგმებთან. ევროპელმა ლიდერებმა შვებით ამოისუნთქეს, როდესაც შეიტყვეს, რომ შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია მაღალი დონის დელეგაციის გაგზავნას აპირებდა კონფერენციაზე, რომელიც ლონდონში 1933 წლის ზაფხულში იმართებოდა. მაგრამ, კონფერენციის დაწყებამდე, შეერთებულმა შტატებმა წყალი გადაასხეს მომავალ მოლაპარაკებებს, როდესაც საერთოდ უარი თქვეს მთავრობათშორისი დავალიანებების განხილვაზე და ამის შემდეგ, 19 აპრილს, ოქროს სტანდარტიც დატოვეს. საშინაო სამომხმარებლო ფასების დაცემით შეშინებულმა

და ფერმერთა ინტერესჯგუფებისგან ძლიერი პოლიტიკური ზენოლის ქვეშ მყოფმა ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა და მისმა მრჩეველებმა არასწორად დაასკვნეს, რომ ფასები კვლავ გაიზრდებოდა, თუკი განზრახ დანევდნენ დოლარის კურსს და ამით გაზრდიდნენ მოთხოვნას ამერიკულ ნაწარმზე საზღვარგარეთ. რუზველტი შიშობდა, რომ ლონდონში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე, შეზღუდავდა მის შესაძლებლობას, ქვეყნის შიგნით ფასების ასანევად ფულადი პოლიტიკის გამოყენების კუთხით. შესაბამისად, მან 3 ივლისს ლონდონის კონფერენციას აცნობა, რომ არ სურდა განეხილა დოლარის კურსის დროებითი მიზმაც კი ნებისმიერ საერთაშორისო სტანდარტზე, ვიდრე არ გაიზრდებოდა შიდაფასები ამერიკაში.

როგორც კი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ვალუტის ღირებულება აღარ იყო მიზმული ოქროზე და შეეძლო თავისუფლად გაუფასურებულყოფი მსოფლიოს ბაზრებზე, ლონდონის კონფერენციის გეგმა საერთაშორისო სავალუტო სტაბილურობის შესახებ ჩანასახშივე იქნა განწირული. შეერთებულ შტატებს, დაინახა რა თავისი შეცდომა, განუახლდა ინტერესი საერთაშორისო სავალუტო სტაბილურობისადმი და 1934 წლის იანვარში კვლავ დაუბრუნდა ოქროს სავალუტო გაცვლის სტანდარტს,⁸ ოღონდ ერთ უნციაზე 35 დოლარის ფიქსირებული ფასით, რაც გაუფასურებამდე 20.67 დოლარის ფასს აღემატებოდა. მხოლოდ დროის საქმე იყო, ვიდრე ოქროს სტანდარტის ბლოკის სხვა ქვეყნებიც იძულებული იქნებოდნენ, მოეხდინათ მათი ვალუტების დევალვაცია საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ბოლოს სულაც მიეტოვებინათ ოქროს სტანდარტი. ამასობაში, შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა სამმხრივ შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან, რომელსაც მალე ბელგია, ნიდერლანდები და შვეიცარიაც მიუერთდნენ და რომლის თანახმადაც ქვეყნებმა გადაწყვიტეს, მიეყიდათ ერთმანეთისთვის ოქრო ვალუტის სანაცვლოდ წინასწარ შეთანხმებული ფასით. ეს დროებითი ღონისძიება თითოეულ ქვეყანაში გამოცხდებული ოქროს ფასის ვიწრო ჩარჩოში აქცევედა მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ვალუტების გაცვლით კურსს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის აღდგენისათვის კარგ პრეცედენტს ქმნიდა, ის მაინც ვერ გამოდგა ოქროს სტანდარტის დამაკმაყოფილებელ ალტერნატივად, მისი შეზღუდული არეალის გამო. ამ ფინანსური მაქინაციების პასუხად, ცენტრალური ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, რომლებსაც კონ-

⁸ სავალუტო კურსის ოქროს სტანდარტი, ტრადიციული ოქროს სტანდარტისგან ერთი ფუნდამენტური ნიშნით განსხვავდებოდა: ოქროს ძველი სტანდარტის შემთხვევაში, თითოეული ქვეყნის ვალუტა თავისუფლად კონვერტირებადი იყო ოქროში, ხოლო, სავალუტო კურსის ოქროს სტანდარტის პირობებში, ამერიკის მოქალაქეებს ოქროს ქონა კანონით ჰქონდათ აკრძალული.

ტროლირებადი სავალუტო გაცვლითი კურსი ჰქონდათ, შიდა რეზერვების დაცვის მიზნით, კაპიტალის ტრანსფერებზე შეზღუდვები გაამწვავეს. ეროვნული ვალუტების კონვერტაციის უნივერსალურად აღიარებული მექანიზმის არარსებობამ და, ამასთან ერთად, საერთაშორისო კრედიტების ამონურვამ, რაც გააიოლებდა საერთაშორისო გადახდების რეგულირებას, ხელი შეუშალა საერთაშორისო ვაჭრობის აღორძინებას (რომელიც, 1936 წლის ბოლოს, 1929 წლის მონაცემის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდა) და მიმდინარე ვალების დაფარვას (რომელთა უმრავლესობა ათწლეულის ბოლომდე დეფოლტის მდგომარეობაში რჩებოდა).

ისევე, როგორც სამხრეთი შეთანხმება იყო შეერთებული შტატების ერთადერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ოცდაათიან წლებში ვალუტების გაცვლის კურსის სტაბილურობის აღსადგენად, კანონი ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ, რომლითაც შესწორება შევიდა ტარიფების შესახებ პოული-სმუტის კანონში, ამერიკის ერთადერთი ძალისხმევა იყო საერთაშორისო სავაჭრო არხების ხელახლა ამოქმედებისათვის. ამ კანონმა, რომელიც 1934 წლის 12 ივნისს ამოქმედდა, ნება დართო პრეზიდენტს არსებული საიმპორტო გადასახადები მაქსიმუმ 50 პროცენტით დაენია, ამერიკის სავაჭრო პარტნიორების მხრიდან სავაჭრო დათმობების სანაცვლოდ. ეს გადაწყვეტილება ასევე ეფუძნებოდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპს, რომლის თანახმად, ერთი ქვეყნის საქონლის მიმართ გავრცელებული დათმობა ავტომატურად უნდა გავრცელდეს სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ იმავე საქონელზე. 1940 წლამდე, ამერიკას საიმპორტო გადასახადების დაწვევის შესახებ ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებზე ოცდაერთ ქვეყანასთან ხელი ჰქონდა მონერილი, რაც მისი საგარეო ვაჭრობის 60 პროცენტს შეადგენდა. წესით, ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების საყოველთაო შემცირება და ვაჭრობის გაფართოება. სინამდვილეში კი, ამერიკელი მომლაპარაკებლები ცდილობდნენ დათმობები გაეგრძელებინათ მხოლოდ იმ პროდუქტებზე, რომლებიც კონკურენციას არ უწევდნენ ამერიკულ პროდუქტებს. გარდა ამისა, ტარიფების გათვალისწინებული მაქსიმალური 50-პროცენტიანი დაწვევა მაინც ინარჩუნებდა პროტექციის მაღალ დონეს, რადგან ტარიფების შესახებ 1930 წლის კანონი ძალიან მაღალ ტარიფებს ითვალისწინებდა. ამასთანავე, რუზველტის ადმინისტრაციამ რაოდენობრივი შეზღუდვებიც დაანესა (მაგალითად, შაქრის იმპორტზე). 1933 წლის მარტის ფედერალური კანონი ავალდებულებდა შეერთებულ შტატებს, სამთავრობო სააგენტოებს პროდუქციის შექმნისას უპირატესობა მიენიჭებინათ ამერიკაში, და არა საზღვარგარეთ, წარმოებული პროდუქტებისათვის. მოკლედ, ე.წ. „ახალი კურსის“ (New Deal) პერიოდში, სატარიფო ბარიერების ორმხრივი შემცირებების უკან იდგა არა იმდენად ამერიკის საგარეო სავაჭრო ბალანსსა და მსოფლიოს ეკონომიკურ აღორ-

ძინებას შორის კრიტიკული კავშირის გაცნობიერება, არამედ მოლოდინი, რომ ტარიფების ორმხრივად დაწევა სტიმულირებას გაუკეთებდა ამერიკის ექსპორტს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას. ამ შეთანხმებების ორმხრივი ხასიათი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს ამერიკის მთავრობების უარყოფით დამოკიდებულებას საერთაშორისო ვაჭრობის კრიზისიდან გამოსვლის საერთაშორისო ძალისხმევებისადმი.

დაბოლოს, შეერთებული შტატების უცვლელი უარი მოკავშირეთა ომისდროინდელი ვალების გადახდასთან დაკავშირებული პოლიტიკის შეცვლაზე, ოცდაათიანი წლების ამერიკის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ნაციონალისტური ბუნების კიდევ ერთი მაგალითი იყო. წარმოუდგენელი იყო, რომ ეკონომიკურად განადგურებული ევროპული ქვეყნები შეძლებდნენ, განეხორციელებინათ ეს დიდი ფინანსური ტრანსფერები მას შემდეგ, რაც ცენტრალურ ევროპაში ამერიკის საგარეო ინვესტიციები ამოიწურა. შესაბამისად, როდესაც ჰუვერის ერთნაირი მორატორიუმი რეპარაციების გადახდაზე 1932 წლის ზაფხულში დასასრულს მიუახლოვდა, ევროპულმა ქვეყნებმა ევროპის ეკონომიკური აღორძინებისათვის ამ მომაბეზრებელი დაბრკოლების მოსახსნელად გზების გამოსანახავად, შეერთებული შტატები ეკონომიკურ კონფერენციაზე დასასწრებად ლოზანაში მიიწვიეს. შეერთებული შტატებისგან მონაწილეობაზე უარის მიღების შემდეგ, ევროპელმა მოვალეებმა წინადადება წამოაყენეს, რომელიც გერმანიული რეპარაციებისა და მოკავშირეთაშორისი ვალების ურთიერთჩამოწერას გულისხმობდა. ჰუვერის ადმინისტრაციამ, რომელიც, მისი წინამორბედების მსგავსად, უარყოფდა გერმანიის რეპარაციებსა და ამერიკის მიმართ ევროპის ქვეყნების ომისდროინდელ ვალებს შორის კავშირს, ეს წინადადებაც აღშფოთებით უარყო. ვინაიდან გერმანია უარს ამბობდა ჰუვერის მორატორიუმით შეჩერებული რეპარაციების გადახდის გაგრძელებაზე (რომელიც დროებით იყო შეჩერებული, თუმცა, აღმოჩნდა, რომ აღარასოდეს განახლდებოდა), ამერიკის ევროპელი მოვალეები კედელზე მიყენებული აღმოჩნდნენ. როდესაც, 1932 წლის 15 დეკემბერს, ვალის მორიგი ნაწილის გადახდის ვადა დადგა, ექვსმა ევროპულმა სახელმწიფომ (მათ შორის საფრანგეთმა და ბელგიამ) პირველად თქვეს უარი მის გადახდაზე. 1933 წლის ივნისში დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ ვალის მეტად მცირე ნაწილი გადაიხადეს, ხოლო, ერთი წლის შემდეგ, ევროპის ყველა ქვეყანამ, ფინეთის გარდა, საერთოდ შეწყვიტა ვალის გადახდა.

პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ვალების ჩამოწერის ნაცვლად, შეერთებული შტატების კონგრესმა 1934 წლის აპრილის ჯონსონის კანონით საპასუხო ზომები მიიღო, რომელიც უკრძალავდა ამერიკის მოქალაქეებს, შეეძინათ იმ ევროპული ქვეყნების ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ვალებს არ იხდიდნენ. ერთადერთი, რაც ამ ზომას შედეგად მოჰყვა, ამერიკული ფი-

ნანსური ბაზრის დაკეტვა იყო საფრანგეთისა და ბრიტანეთისათვის, რომლებიც სამრეწველო ექსპანსიისა და შეიარაღების პროგრამებს იწყებდნენ, რათა ნაცისტური გერმანიის საფრთხეს გამკლავებოდნენ. გარდა ამისა, 1935 წლის ნეიტრალიტეტის კანონი, რომელიც კრძალავდა მეომარი მხარეებისათვის იარაღის მიყიდვას და მოითხოვდა ამ ქვეყნებში ნებისმიერი ექსპორტისათვის ნაღდი ფულით გადახდას, უარს ეუბნებოდა დასავლეთის დემოკრატებს საკრედიტო დახმარების ამერიკულ წყაროებზე იმ პერიოდში, როდესაც ამ ქვეყნებმა 1939 წლის სექტემბერში გერმანიასთან ომი დაიწყეს. შედეგად, ბრიტანეთი და საფრანგეთი იძულებული გახდნენ, შეემცირებინათ იმპორტი შეერთებული შტატებიდან, რათა არ გამოეცალათ მათი, ისედაც შემცირებული, ოქროსა და სავალუტო რეზერვები. ფრანგებისა და ინგლისელების ბრძოლისადმი ამერიკული საზოგადოების მხარდაჭერის ზრდის შედეგად, კონგრესმა 1939 წლის ნოემბერში იარაღის ემბარგო მოხსნა, მაგრამ იზოლაციონისტური პოლიტიკის ამ დაგვიანებულმა შემოტრიალებამ ველარაფერი უშველა საფრანგეთს, რომელიც 1940 წლის ივნისში გერმანული ბლიცკრიგის შედეგად დაეცა. ნაღდი ფულით გადახდის მოთხოვნაც, საბოლოოდ, 1941 წლის მარტში სესხისა და იჯარის (Lend-Lease) პროგრამით შეიცვალა, რომელიც ამერიკის ექსპორტს იმ ქვეყნებში უშვებდა, რომლებიც შეერთებული შტატების უსაფრთხოებისათვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონედ ითვლებოდნენ და რომელთა მიერ ვალების დაბრუნება ომის დასრულებამდე გადაიდო.

მოკლედ, თუ ფრანკლინ რუზველტის ახალმა კურსმა მართლაც გადაარჩინა ამერიკა ეკონომიკური კრახისგან – და დღეს ისტორიკოსები სულ უფრო ხშირად აყენებენ ეჭვქვეშ ამ გავრცელებულ მოსაზრებას – მან ამ მიზანს ვინრო ადგილობრივი საშუალებებით უფრო მიაღწია, ვიდრე ევროპის დიდ სამრეწველო სახელმწიფოებთან თანამშრომლობით, რომლებთან ერთადაც მას საერთაშორისო ეკონომიკის ფეხზე დაყენების კოორდინირებული გეგმა უნდა შეემუშავებინა. ევროპაში სამრეწველო ექსპანსიის განახლება საერთაშორისო სტრატეგიულმა ფაქტორებმა დააჩქარა და არა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებმა: შეიარაღების აქტიურმა კამპანიამ, რომელიც 1930-იანი წლების ბოლოს დაიწყო, გაზარდა მოთხოვნა წარმოებულ საქონელზე, ნედლეულზე და მუშახელზე, რაც დიდად აღემატებოდა დასავლეთის ქვეყნების მიერ ოცდაათიანი წლების დასაწყისში განხორციელებული საზოგადოებრივი სამუშაოების პროექტებსა და სახელმწიფო ხარჯების პროგრამებს ეკონომიკის სტიმულირების კუთხით. შესაძლოა, თანამედროვე ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ირონიის მაგალითია ის, რომ დიდი მასშტაბის ორგანიზებული დანაშაული, ან მისთვის მზადება, დაბალი წარმოებისა და უმუშევრობის ეკონომიკური პრობლემების ყველაზე ეფექტური წამალი აღმოჩნდა.

ევროპის უსაფრთხოების სისტემის რღვევა

გერმანიის შეიარაღების წინაისტორია

როგორც დავინახეთ, გერმანიის ხელახალი შეიარაღება უკვე დიდი ხნის დანყებული იყო, როდესაც, 1933 წლის იანვარში, ხელისუფლებაში ადოლფ ჰიტლერი მოვიდა. ვაიმარის რესპუბლიკის მოთმინებით სავსე და დახვეწილმა მცდელობებმა, როგორმე გაქცეოდა სამშვიდობო ხელშეკრულებების განიარაღების დებულებებს ისე, რომ არ გამოენვია მოკავშირეთა მწვავე რეაქცია, ხელი შეუწყო სამხედრო ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნას, რომელიც მემკვიდრეობით ჰიტლერმა მიიღო: გენერალური შტაბი, რომელიც სამთავრობო ლაბორინტსა და სამხედრო ოფისებს ამოფარებული შეუმჩნევლად ფუნქციონირებდა; სხვადასხვა საპოლიციო ძალებში, პარამილიტარულ ორგანიზაციებში, ვეტერანთა ასოციაციებში და იარაღის კლუბებში მიმოფანტული რამდენიმე ასიათასიანი, კარგად განვრთნილი არმია; კომერციული ავიახაზების, ათასობით საათის ფრენის გამოცდილების მქონე ასობით პილოტის სახით საჰაერო ძალების კარგი ბაზა და იარაღის ქარხნების კომპლექსური ქსელი, რომელიც, თავდაპირველად, შეიარაღებაზე მოკავშირეთა კონტროლის პერიოდში, ჯერ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, შემდეგ კი რურის ოლქში იყო განლაგებული და რომელსაც საშუალება ჰქონდა, მოკლე ვადაში ეწარმოებინა უზარმაზარი რაოდენობის სამხედრო პროდუქცია, რომელიც აკრძალული იყო სამშვიდობო ხელშეკრულებით – მათ შორის: სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები და სხვა.

გერმანიის ამ სამხედრო გადაიარაღების სრული მასშტაბი უცნობი იყო მოკავშირეებისათვის, თუმცა საკმარისი ფაქტები მაინც გამომზეურდა იმისთვის, რომ გერმანიის საომარი პოტენციალის შეუზღუდავი გაზრდის შესაძლო შედეგებს სერიოზული შეშფოთება გამოენვია ევროპულ დედაქალაქებში. 1927 წელს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის გაუქმებამ და სამი წლის შემდეგ რაინლანდის ევაკუაციამ, 1918 წლის გამარჯვებულ ქვეყნებს აღარ დაუტოვა ბერკეტები გერმანიის ხელახალი შეიარაღებისათვის ხელშესაძლელად. ოციანი წლების ბოლოსკენ რამდენადაც ნაკლებად რეალური იყო გერმანიისათვის განიარაღების იძულება, საყოველთაო განიარაღების ალტერნატივა მით უფრო და უფრო მიმზიდველი ხდებოდა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხებოდა საზოგადოებრივ აზრს დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში, ქვეყნებში, რომლებმაც ცალმხრივად მოახდინეს სახმელეთო ძალების დემობილიზაცია, გააჩერეს სამხედრო მრეწველობა და ნებაყოფლობით დათანხმდნენ საზღვაო ძალების შეზღუდვებს პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე. ვერსალის ხელშეკრულება უკვე ითვალისწინებდა საყოველთაო განიარაღებას გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რომ იარაღის დიდი მარა-

გისა და მუდმივი დიდი არმიების არსებობა ზრდიდა ომის ალბათობას. მიუხედავად ამისა, საყოველთაო განიარაღების მხრივ პროგრესი არ შეიმჩნეოდა საფრანგეთის გამო, რომელიც უარს ამბობდა გერმანიასთან მიმართებაში სამხედრო უპირატესობის დათმობაზე მისი აღმოსავლეთი საზღვრის უსაფრთხოების მყარი გარანტიების გარეშე.

ლოკარნოს შეთანხმებებში ბრიტანეთისა და იტალიის მხრიდან ასეთი გარანტიის ჩადებამ გზა გაუხსნა 1926 წლის მაისში ჟენევაში განიარაღების საკითხებზე მოსამზადებელი კომისიის მონვევას, რომელსაც მსოფლიოში შეიარაღების დონის დანევა უნდა განეხილა. ამ განხილვებს ხელშესახები არაფერი მოჰყოლია, რადგან ფრანგები ეჭვის თვალით უყურებდნენ გერმანიის კეთილ ზრახვებს ამ მიმართულებით. კომისიამ ხუთწლიანი დავები და განხილვები, განსაკუთრებული შედეგის გარეშე, 1931 წლის იანვარში შეწყვიტა. თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესი განიარაღების მიმართ კვლავ განახლდა, როდესაც შეერთებულ შტატებში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი საგრძნობი გახდა ევროპაშიც. რამდენადაც ევროპის მთავრობებმა სასწრაფოდ დაიწყეს ხარჯების შემცირება შერყეული ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად, ფინანსური და ხარჯვითი სიმკაცრის მომხრეებმა სერიოზული იერიში მიიტანეს თავდაცვით ინფრასტრუქტურებზე მისი შენარჩუნებისათვის საჭირო ხარჯების გამო. აზრი ეკარგებოდა ქვეყნის სულ უფრო და უფრო მცირე რესურსების თანდათან მზარდი ნაწილის სამხედრო მზადყოფნის არაპროდუქტიული მიზნებისკენ მიმართვას მაშინ, როდესაც საწარმოები ჩერდებოდა, ბანკები იხურებოდა და იზრდებოდა უმუშევართა რიგები. ამრიგად, ოცდაათიანი წლების დასაწყისის ეკონომიკურმა კრიზისმა და გერმანიის ფარული შეიარაღების გამო შემოფოთებამ აიძულა დიდი სახელმწიფოები, 1932 წლის თებერვალში ჟენევაში შეიარაღების თაობაზე მოენვიათ კონფერენცია იმ იმედით, რომ საბოლოოდ შეთანხმდებოდნენ ეროვნული არმიების სიდიდეზე.

კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციამ გაიმეორა პოზიცია, რომელსაც ის გამოთქვამდა მოკავშირეებთან არაფორმალური შეხვედრებისას ოციანი წლების განმავლობაში: ან ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საყოველთაო განიარაღება, ან თანაბარი სამხედრო ძალები გერმანიასა და ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის. როდესაც ეს მოთხოვნა ვერ განხორციელდა საფრანგეთის დაჟინებული პოზიციის გამო, რომელიც გულისხმობდა უსაფრთხოების გარანტიების შექმნას განიარაღების დაწყებამდე, გერმანელმა დელეგატებმა 16 სექტემბერს უეცრად დატოვეს კონფერენცია. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომელთაც უაღრესად სურდათ გერმანიის დაბრუნება მოლაპარაკებებზე, 11 დეკემბერს მას აღუთქვეს „თანასწორობა სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა სახელმწიფოს უსაფრთხოებას“. მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება უბრალოდ იმე-

ორებდა გადაუჭრელ დილემას, რომელმაც ხელი შეუშალა წინა შეთანხმების მიღწევას, ამჯერად ის ისეთი შემრიგებლური ენით იყო ფორმულირებული, რომ გერმანია 1933 წლის თებერვალში კვლავ დაუბრუნდა კონფერენციას.

მაგრამ გერმანიის დელეგაცია, რომელიც შენევაში დაბრუნდა, უკვე ერთი თვის წინ კანცლერად დანიშნული ადოლფ ჰიტლერის მითითებებს ასრულებდა. გერმანიის ლიდერს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, დაენყო მასობრივი შეიარაღების პროგრამა, რომლის შესახებაც მან 3 თებერვალს, მისი დელეგატების შენევაში ჩასვლის მომდევნო დღეს, აცნობა რაიხის სამხედრო და საზღვაო იერარქიის უმაღლეს ოფიცრებს: გერმანია აწარმოებდა მოლაპარაკებებს სხვა დიდ სახელმწიფოებთან თანაბარი შეიარაღების შესახებ და, იმავე დროს, ფარულად აგროვებდა სამხედრო ძალას, რომელიც ყველა პოტენციური მონინააღმდეგის სამხედრო ძალებს აღემატებოდა. ამ ამბიციური შეიარაღების პროგრამის მოჩვენებითი მიზანი ძირითადად ეკონომიკური ხასიათის იყო. მოკლევადიან პერსპექტივაში სამხედრო მიზნებისათვის განუხლები უზარმაზარი ხარჯები გაზრდიდა დასაქმებასა და სამრეწველო პროდუქციას და, შესაბამისად, იხსნიდა გერმანიის ეკონომიკას დეპრესიისაგან, რომელიც იქ ახალი დაწყებული იყო. ამ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები ბიუჯეტის დეფიციტით დაფინანსდებოდა. არაერთმა ისტორიკოსმა აღნიშნა მსგავსება დეპრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად ნაციონალ-სოციალისტური მთავრობის და შეერთებულ შტატებში რუზველტის ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომებს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხორციელდებოდნენ. მთავარი განსხვავება, რა თქმა უნდა, ამ საბიუჯეტო დაფინანსებისა და ეკონომიკის მასტიმულირებელი სახელმწიფო ხარჯების მიზანი იყო. გერმანიის შემთხვევაში ის მიმართული იყო არა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისაკენ, არამედ ევროპაში სამხედრო უპირატესობის მოპოვების უმთავრესი პრიორიტეტის განხორციელებისაკენ.

ჰიტლერის ოცნება: „სასიცოცხლო სივრცე“ აღმოსავლეთით

ამ სამხედრო მშენებლობის გრძელვადიანი მიზანი, როგორც ამას ჰიტლერი სრულყოფილი თანმიმდევრებით ავითარებდა თავის ძირითად ნაწიერებში და გამოსვლებში, ზედაპირულად ეკონომიკური ხასიათის იყო. კონცეფციის თანახმად, გერმანია არსებულ საზღვრებში მალთუხისეულ პრობლემას განიცდიდა, ანუ ფლობდა არასაკმარის მოსავლიან მიწას მისი მზარდი მოსახლეობის სურსათით დასაკმაყოფილებლად. თუ გერმანიის სუვერენული ტერიტორია არ გაფართოვდებოდა, ერთადერთ გამოსავალს ამ პრობლემიდან შობადობის შემცირება წარმოადგენდა მოსახლეობის კონტროლის ისეთი ღონისძიებებით, როგორცაა: აბორტი, კონტრაცეფცია (რომელთაგან თითოეული მიუღებელი იყო ჰიტლერისთვის, რადგან ეს ზომები განზრახ რასობრივ თვითმკვლელობას გულისხმობდნენ) ან ემიგრაცია.

ცია. ემიგრაციის ის სახე, რომელზეც ის ფიქრობდა, განსხვავდებოდა თავისი მიზნებითა და მეთოდებით იმ ემიგრაციისგან, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მიმართავდა თავისი მოსახლეობის ზრდის შესაკავებლად მეცხრამეტე საუკუნეში. გერმანელი ემიგრანტების უცხო მიწებზე დასახლების ნაცვლად, სადაც ისინი ასიმილაციას განიცდიდნენ და ეროვნულ იდენტობას დაკარგავდნენ, შესაბამისად კი, დედასამშობლოსათვის დაკარგულ შვილებად იქცეოდნენ, გერმანელები უნდა გადასახლებულიყვნენ გერმანიის აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე, რომლებიც დასახლებული იყო მდაბალი რასის ხალხით, რომლებსაც ისინი დაიქვემდებარებდნენ, შემდეგ კი გააძევებდნენ ან გაანადგურებდნენ, რათა გზა დაეთმოთ გერმანელი ახალმოსახლეებისათვის. ნაცისტების ლიდერს არასოდეს გადაუხვევია თავისი რწმენიდან, რომ გერმანიისათვის საჭირო ეს სასიცოცხლო სივრცე ანუ *lebensraum* აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირის დასავლეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ რეგიონში არსებული ნოციერი სასოფლო-სამეურნეო მიწები და მეტად ფასეული მინერალური რესურსები მოამარაგებდა გერმანიას სურსათითა და ნედლეულით, რომელიც ასე სჭირდებოდა მას გადარჩენისა და აღმასვლისათვის და, ამავე დროს, უზრუნველყოფდა მას მიწით, ქარბი მოსახლეობის დასახლებლად. ეს ტერიტორია ორი „რასობრივი“ ერთეული იყო დასახლებული, რომლებიც ჰიტლერს პიროვნული მიზეზების გამო სძულდა და მათი დამორჩილება კი გადაეწყვიტა: ის ამ რეგიონში მცხოვრებ სლავური მოსახლეობის უმრავლესობას რასობრივად დაქვეითებულად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ მათ არ შესწევდათ უნარი პოლიტიკურად მოეწყობათ ეს ღირებული ტერიტორია, ეკონომიკურად გაემართათ და სამხედრო თვალსაზრისით დაეცვათ ის. ამასთანავე, ის რეგიონში მიმოფანტული ებრაელების უმცირესობას და გერმანიაში მცხოვრებ მათ თანამორწმუნეებს ევროპის სხეულზე განვითარებულ სიმსივნედ მიიჩნევდა და მისი მოკვეთა სურდა.

ჰიტლერის პოლიტიკა ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების მიმართ, მისი ხელისუფლების მოსვლის პირველ თვეებში ასახავდა მის მყარად დასახულ მიზანს, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის სლავებისა და ებრაელების ხარჯზე გაეფართოებინა გერმანიის საცხოვრებელი სივრცე. რადგან საფრანგეთი არსებული ტერიტორიული მონყობის თვითგამოცხადებული გარანტორი და გერმანიის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების პროტექტორი იყო, რაც ხელს უშლიდა გერმანიის „აღმოსავლეთით სვლას“ (*drang nach Osten*), ჰიტლერის საგარეო პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა საფრანგეთის განადგურებას, როგორც მისი შემდგომი დაპყრობების პრელუდიას. ინგლისთან გერმანელ დიქტატორს არაფერი ჰქონდა სადავო, ვიდრე ბრიტანეთი კონტინენტური საკითხებით დაუინტერესებელი რჩებოდა. აღმოსავლეთით მიწის გაფართოების მისი გეგმა მართლაც სრულ

შესაბამისობაში იყო ბრიტანეთის იმპერიასთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებასთან. ახსოვდა რა ევროპის გარეთ ბრიტანეთის პოზიციის შესუსტებისათვის კაიზერის მცდელობათა კატასტროფული შედეგები, ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ აგრესიული კოლონიური და საზღვაო პოლიტიკისაგან თავის შეკავება უსაფუძვლოს გახდიდა ანგლოგერმანულ დაპირისპირებას და, შესაბამისად, ბრიტანეთის მიერ საფრანგეთის მხარდაჭერას. რაც შეეხება იტალიას: ჰიტლერის იდეოლოგიურ სიახლოვეს ფაშისტ დიქტატორ ბენიტო მუსოლინისთან, რომელიც 1922 წლიდან იტალიის მმართველი იყო და ვერსალის სისტემასაც ეწინააღმდეგებოდა, კიდევ უფრო ამყარებდა იტალო-გერმანული მეგობრობის უფრო რეალისტური მიზეზებიც: იტალია მუდმივად კონფლიქტში იყო საფრანგეთთან ხმელთაშუა ზღვაში საზღვაო და კოლონიური საკითხების გამო, გერმანიის ამბიციები აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში კი პირდაპირ საფრთხეს არ უქმნიდა იტალიის სასიცოცხლო ინტერესებს (თუ არ ჩავთვლით ჰიტლერის გეგმებს ავსტრიაში).

აღსანიშნავია, რამდენად განსხვავდებოდა კონტინენტური ბატონობის ეს პროგრამა ვაიმარის რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტების საგარეო პოლიტიკის მიზნებისაგან. შტრუზემანსა და ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის ახლოვადიან მიზნებს შორის ზედაპირულმა მსგავსებამ ზოგიერთ ისტორიკოსს აფიქრებინა, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ უწყვეტობას გერმანიის საგარეო პოლიტიკაში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის. ზოგიერთმა ჰიტლერი აღწერა, როგორც ტრადიციული გერმანელი ნაციონალისტი, რომელიც 1920-იან წლებში მისი რესპუბლიკელი წინამორბედების მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას აგრძელებდა: ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიის მიერ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, გერმანელებით დასახლებული მოსაზღვრე ტერიტორიების ანექსია ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე და გერმანიის სამხედრო თანასწორობის აღდგენა ევროპის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ამ ინტერპრეტაციის დამაჯერებლობა გამომდინარეობს იმ უდავო ფაქტიდან, რომ 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლიდან 1939 წლამდე, მისი ყველა ოფიციალური ინიციატივა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ამ ტრადიციული მიზნების განხორციელებას ისახავდა მიზნად. თუმცა ამ ინტერპრეტაციის ყურადღების მიღმა რჩება ჰიტლერის არაოფიციალური განცხადებები ზემოაღნიშნული ექსპანსიონისტური პროგრამის თაობაზე. ბოლო ომის დასრულების შემდეგ „უსამართლო“ გადაწყვეტილებების შეცვლა, რაც ცენტრალური ევროპის ყველა გერმანულენოვანი რეგიონის დაბრუნებასა თუ ანექსიას გულისხმობდა, ჰიტლერის დიდი ჩანაფიქრის მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. სინამდვილეში მას სრულებით არ აღეგებდა იმ გერმანულენოვანი მოქალაქეების ბედი, რომელთა მინა, 1919 წლის შემდეგ, ექვსი სხვადასხვა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიას მიუერთეს. მათ უკმაყოფილებას ის ძირითადად იყენებდა,

როგორც არსებული ტერიტორიული მონყობის და, შესაბამისად, ევროპაში ძალთა ბალანსის დარღვევის პრეტექსტს, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის აღმოსავლეთით უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობა და ექსპლუატაცია, სადაც შორეულ მომავალში გერმანელი ახალმოსახლეებიც გაიგზავნებოდნენ. იმის მიუხედავად, რომ, გერმანელებით დასახლებული რეგიონების მიღმა, ტერიტორიების ათვისება, 1939 წლის მარტს ჩეხოსლოვაკიის არაგერმანულენოვანი რეგიონის მიერთებამდე, მის გრანდიოზულ გეგმებში ღიად არ შედიოდა, ეს მიმართულება აშკარად ჩანდა ჰიტლერის გამოსვლებსა და ნაწერებში, რაც მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერებისათვის კარგად იყო ცნობილი.

აღმოსავლეთით ექსპანსიის ამ გეგმების ფონზე, უჩენევაში განიარაღების შესახებ მოლაპარაკებები, სადაც გერმანელი დელეგატები 1933 წლის თებერვალში დაბრუნდნენ, მხოლოდ დროის კარგვა იყო. ბრიტანეთის პრემიერმინისტრ რემზი მაკდონალდის მიერ შემოთავაზებულმა კომპრომისულმა გეგმამაც კი, რომელიც ევროპაში ყველა ეროვნული არმიის შემადგენლობის 200 ათას კაცამდე შემცირებას გულისხმობდა, რაც 5 წლის განმავლობაში საფრანგეთის არმიის თანდათანობით შემცირებით მიიღწეოდა, ვერ მოიპოვა თანხმობა ჰიტლერის რჩეული დელეგაციის მხრიდან, რადგან მათ უკვე ნაბრძანები ჰქონდათ ხელი არ მოეწერათ არცერთი მრავალმხრივი მექანიზმისათვის, რომელიც უკვე მშენებლობის პროცესში მყოფი გერმანული არმიის შეზღუდვას გაითვალისწინებდა. როდესაც გერმანიის მიერ ხელშეკრულებით აკრძალული იარაღის წარმოებისა და არმიის რაოდენობის გაზრდის უფლების მოთხოვნას მოსალოდნელი უარი მოჰყვა საფრანგეთის მხრიდან, ჰიტლერმა 14 ოქტომბერს მთლიანად გამოიწვია თავისი დელეგაცია როგორც უჩენევის კონფერენციიდან, ასევე ერთა ლიგიდანაც. გერმანიის გავლამ განიარაღების კონფერენციიდან და ერთა ლიგიდან დიდი დარტყმა მიაყენა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპს, რასაც მალე ფატალური შედეგები მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ ეს პრინციპი უკვე მნიშვნელოვნად იყო შელახული მანჯურიაში, ეს ინციდენტი შორეულ აზიაში მოხდა, არ უკავშირდებოდა ევროპის დიდი სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებს და, შესაბამისად, შეიძლებოდა მისი ყურადღების მიღმა დატოვება. 1933 წლის შემოდგომაზე გერმანიის აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამოცხადებამ აიძულა საფრანგეთის ხელისუფლება, ბოლო იმედიც გადაეწურა იმისა, რომ შესაძლებელი იქნებოდა გერმანიის მოთოკვა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით და უჩენევაში მდებარე ორგანიზაციის საშუალებით. მომდევნო წელს საფრანგეთი შეეცადა, გაემყარებინა კონტინენტის დასუსტებული უსაფრთხოების მექანიზმი იმ ორ დიდ სახელმწიფოსთან ორმხრივი კავშირის გზით, რომლებიც წინა ომში მისი მოკავშირეები იყვნენ, მოგვიანებით კი დაშორდნენ მას.

არშიყი იტალიასთან

პირველი მათგანი იტალია იყო. 1922 წელს, ფაშისტური ხელისუფლების მოსვლამდეც, იტალიას საფრანგეთის მიმართ სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა. მისი ყველა უკმაყოფილება, ასე თუ ისე, ხმელთაშუა ზღვის აუზში იმპერიულ სახელმწიფოდ ვერჩამოყალიბების იმედგაცრუებასთან იყო დაკავშირებული. საფრანგეთის მიერ ტუნისის – სიცილიასთან ახლოს, ზღვის მეორე მხარეს მდებარე ჩრდილოაფრიკული ქვეყნის – დაპატრონების გამო, იტალიის ადრე დაგროვილი გულისწყრომა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა, როდესაც საფრანგეთმა დაარღვია მიცემული პირობა ტუნისის მრავალრიცხოვანი იტალიური მოსახლეობის სპეციალური პრივილეგიების პატივისცემის შესახებ. ამ ტერიტორიულ-კოლონიურ დაპირისპირებას კიდევ უფრო ამწვავებდა ფრანკო-იტალიური საზღვაო ქიშპობა, რომელიც ოციან წლებში განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ 1921-1922 წლების ვაშინგტონის საზღვაო კონფერენციაზე საფრანგეთი იძულებული გახდა, დასთანხმებოდა იტალიასთან თანაბარი რაოდენობის სამხედრო გემების ფლობას, პარიზმა იტალიელებისთვის მტკივნეულად განაცხადა, რომ საფრანგეთის ფლოტის, ერთი მხრივ, ხმელთაშუა ზღვისა და, მეორე მხრივ, აფრიკასა და აზიაში მის იმპერიებამდე მიმავალ საოკეანოსანაოსნო გზებზე დაყოფის აუცილებლობა უფლებას აძლევდა მას, იტალიაზე მეტი საჭირო ხომალდები, კერძოდ, კრეისერები და წყალქვეშა გემები ჰქონოდა.

ფრანკო-იტალიური თანამშრომლობის ამ დაბრკოლებების მიუხედავად, ისინი იზიარებდნენ ერთ მიზანს, რომელიც ფრანგების აზრით შერიგების საფუძველად გამოდგებოდა. საქმე ეხებოდა გერმანულენოვანი ავსტრიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. პანგერმანული წრებიდან გერმანიისა და ავსტრიის პოლიტიკური გაერთიანებისაკენ ანუ ანშლუსისკენ (Anschluss) მოწოდებები, რომლებიც პირველი მსოფლიოს ომის შემდეგ პერიოდულად გაისმოდა, მთელი ოციანი წლების განმავლობაში რომში სერიოზულ განგაშს იწვევდა. განგაშის ეს გრძნობა კიდევ უფრო გამწვავდა 1933 წლის იანვარში, როდესაც ბერლინში ხელისუფლების სათავეში ავსტრიული წარმომომის ფანატიკოსი მოვიდა. იტალიის ჩრდილოეთ საზღვრამდე გერმანიის სუვერენიტეტის გავრცელების გამო, იტალიელთა შეშფოთების წყარო ის პოტენციური შედეგი იყო, რაც შეიძლებოდა ასეთ ცვლილებას მოჰყოლოდა სამხრეთ ტიროლთან მიმართებით, რომელიც ავსტრიისგან იტალიას პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გადაეცა. საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა ანშლუსს, რადგან, ერთი მხრივ, ეს საფრთხეს უქმნიდა მის მოკავშირეს – ჩეხოსლოვაკიას – და, მეორე მხრივ, ასეთ კავშირს გერმანიის მოსახლეობისა და სამრეწველო პოტენციალის გაზრდა მოჰყვებოდა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში იმედოვნებდნენ, რომ ავსტრიის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ეს საერთო ინტერესი ფრანკო-იტალიური თანამშრომლობის საფუძველი გახდებოდა ცენტრალურ ევროპაში ტერიტორიული სტატუსკვოს დაცვის მიზნით. რომი-პარიზის ასეთი ღერძის შექმნის პერსპექტივა კიდევ უფრო გამოიკვეთა 1934 წლის ივლისში ავსტრიაში შექმნილ კრიზისზე იტალიის რეაქციის შემდეგ, როდესაც ადგილობრივმა ნაციტებმა ავსტრიის კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი (ანშლუსის მტკიცე მონინალმდეგე) მოკლეს და შესაძლო გადატრიალების ორგანიზებაში დახმარებისთვის ჰიტლერს მიმართეს. იტალიურმა ჯარებმა, რომლებიც შემთხვევით ავსტრიის საზღვართან ახლოს ალპებში წვრთნებზე იმყოფებოდნენ, ძალის დემონსტრირება მოახდინეს და აიძულეს ჰიტლერი, უარი ეთქვა ჩანაფიქრისთვის, რომლის განხორციელებას ვენაში მისივე საელჩო ედგა სათავეში. ამ წამოწყების სამარცხვინო წარუმატებლობამ, ავსტრიის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან გერმანიის შეკავების გამო, მუსოლინი დადებითად წარმოაჩინა. შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფმა ფრანგებმა, მსგავსი ტიპის ნებისმიერი გერმანული ინიციატივის ერთობლივად შეკავების თაობაზე ფორმალური შეთანხმებისათვის, სასწრაფოდ მიმართეს იტალიას. 1935 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიერ ლავალი რომს ეწვია მუსოლინისთან შეთანხმების ხელმოსაწერად, რომელიც დურჩეს სასარგებლოდ აგვარებდა საფრანგეთსა და იტალიას შორის არსებულ ყველა სადავო საკითხს აფრიკაში და, სანაცვლოდ, ავალდებულებდა იტალიას, კონსულტაცია გაეწყო საფრანგეთთან გერმანიის მიერ განიარაღებისა და ავსტრიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ვერსალის ხელშეკრულების დებულებათა დარღვევის შემთხვევაში.

ფრანგულ-იტალიური ანტანტა პირველი გამოცდის წინაშე 1935 წლის მარტში დადგა, როდესაც პოტლერმა ფორმალურად უარი თქვა ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განიარაღების ვალდებულებების შესრულებაზე. უკვე აშკარა გამხდარიყო, რომ გასაიდუმლოებულად იმ სამხედრო ძალის შექმნა, რომელიც გერმანულ დიქტატორს თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სჭირდებოდა, შეუძლებელი ხდებოდა. საზღვაო ფლოტის, საჰაერო ძალებისა და მექანიზებული არმიის შექმნა შეუმჩნეველი ვეღარ დარჩებოდა. ამრიგად, 9 მარტს ჰიტლერმა აღიარა გერმანიის საჰაერო ძალების არსებობა და გეგმები მისი რაოდენობისა და ძალის კიდევ უფრო გაზრდის თაობაზე. 16 მარტს მან გამოსცა განკარგულება სამხედრო განვებისა და, შესაბამისად, ოცდათექვსმეტდივიზიანი არმიის შექმნის თაობაზე (შედარებისთვის, ვერსალის ხელშეკრულება ითვალისწინებდა შვიდ დივიზიას, ხოლო საფრანგეთს ოცდაათი დივიზია ჰყავდა). ერთი კვირის თავზე მუსოლინიმ მიიწვია ფრანგი და ბრიტანელი პრემიერმინისტრები იტალიურ საკურორტო ქალაქ სტრეზაში, რათა გერმანიის

მიერ ვერსალის ხელშეკრულების უხეში დარღვევების მიმართ ერთობლივ რეაქციაზე შეთანხმებულიყვნენ. 11-14 აპრილს გამართული ამ კონფერენციის ბოლოს, სამმა სახელმწიფოს ლიდერმა გამოსცა ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც მკაცრად დაგმო გერმანიის ქმედებები და დაიმუქრა ერთობლივი წინააღმდეგობით ხელშეკრულების შემდგომი დარღვევების შეთხვევაში. ამასთანავე, საფრანგეთმა და იტალიამ ერთმანეთს საიდუმლოდ მისცეს ურთიერთდახმარების პირობა, თუკი გერმანია დაარღვევდა რაინლანდის დემილიტარიზებული ზონის სტატუსს ან ავსტრიის დამოუკიდებლობას. იტალიისა და საფრანგეთის თანამშრომლობამ, გერმანიის რევიზიონისტული მცდელობებისათვის წინააღმდეგობის განევაში, მწვერვალს 1935 წლის ივნისში მიაღწია, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეწყვეტილი ფრანგულ-იტალიური სამხედრო მოლაპარაკებები განახლდა.

არშიყი რუსეთთან

იტალიასთან ფრანგების ამ შედეგიანი პოლიტიკის პარალელურად, საფრანგეთი ერთდროულად სასინჯ ნაბიჯებს დგამდა საბჭოთა კავშირისკენაც. იდეოლოგიური თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, შესაძლოა უცნაურად ჩანდეს, რომ საფრანგეთის მსგავსი საპარლამენტო დემოკრატია, კონტინენტური უსაფრთხოების სისტემის გასამყარებლად, იმედს ფაშისტურ და კომუნისტურ დიქტატურებთან დიპლომატიურ კავშირებზე ამყარებდა. მაგრამ ევროპაში ამ დროს არსებული საერთაშორისო ვითარება მას სწორედ ასეთ ურთიერთგამომრიცხავ პოლიტიკას კარნახობდა. 1930-იან წლებში, ანტიგერმანული კოალიციის ამ თავგანწირულ ძიებაში, საფრანგეთი მზად იყო ეპოვა მოკავშირეები ყველგან, შიდაპოლიტიკური ინსტიტუტების ტიპის მიუხედავად. იტალიასთან კავშირებმა, რაც არ უნდა თვალში არ მოსვლოდა ეს საფრანგეთის დემოკრატიულ საზოგადოებრივ აზრს, მინიმალური წინააღმდეგობა გამოიწვია. საბჭოთა რუსეთთან ნიადაგის მოსინჯვას, როგორც მოსალოდნელი იყო, მაინც მოჰყვა გარკვეული აღშფოთება საფრანგეთის ანტიკომუნისტური მემარჯვენე ძალების მხრიდან, თუმცა არა ისეთი ძლიერი, რომ ხელი შეეშალა კე დ'ორსეის ძალისხმევისთვის, გარკვეული გარიგებისათვის მიეღწია კრემლთან. ეროვნული ინტერესი, რომლის თანახმად, აუცილებელი იყო დიპლომატიური სტრატეგია გერმანიის მოსამწყვედევად მისდამი მტრულად განწყობილ და საფრანგეთთან დაკავშირებულ ქვეყნებს შორის, აღემატებოდა იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრებებს ყველა ფრანგი პოლიტიკოსისათვის, გარდა ყველაზე ხმაურიანი ანტიფაშისტებისა და ანტიკომუნისტებისათვის.

საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთგაგების მიღწევის შესაძლებლობა მანამდეც ხიბლავდა პარიზს, რაც დაკავშირებული იყო იმ აშკარა უპირატესობასთან, რასაც ომის შემთხვევაში ორი ფრონტის განხლის პერ-

სპექტივა წარმოქმნიდა, როგორც ეს 1914 წელს მოხდა. თუმცა დაბრკოლებები ომამდელი ფრანგულ-რუსული ალიანსის აღდგენისათვის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის სირთულეები, რომლებიც წინ ფრანკო-იტალიურ დაახლოებას ელობებოდა: ფრანგებს ჯერ კიდევ არ განელებოდათ გულისწყრომა საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიასთან ცალკე ზავის დამყარების გამო პირველ მსოფლიო ომში და ასევე ცარისტული რუსეთისდროინდელი ფრანგი ინვესტორებისადმი არსებული უზარმაზარი დავალიანების გადახდაზე უარის თქმის გამოც. რუსებს, მეორე მხრივ, მწარედ ახსოვდათ ფრანგების ანტიბოლშევიკური პოზიცია რუსეთის სამოქალაქო ომის დროს და ის მხარდაჭერა, რომელიც საფრანგეთმა პოლონეთს გაუწია 1920 წელს საბჭოთა რუსეთთან ომის დროს. ამ ისტორიულ მტრობას და ორმხრივ იდეოლოგიურ დაპირისპირებას თან ერთვოდა ოციანი წლების განმავლობაში ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ურთიერთშეუთავსებლობაც. საფრანგეთი, როგორც 1919 წლის სამშვიდობო შეთანხმებებით ყველაზე მეტი სარგებლის მიმღები ქვეყანა, ენერგიულად იცავდა ომისშემდგომ სტატუსკვოს ევროპაში და, შესაბამისად, ფინანსურ დახმარებასა და პოლიტიკურ მფარველობას უწევდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებმაც ასევე ისარგებლეს გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით. რუსეთი, რომელმაც ევროპაში მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა მის დასავლეთ საზღვრებთან წარმოქმნილი ამ ახალი ან გაფართოებული ქვეყნების სასარგებლოდ, კეთილგანწყობით უყურებდა ომისშემდგომი ევროპული სისტემის დანგრევას და ყოყმანის გარეშე თანამშრომლობდა მეორე დიდ რევიზიონისტ სახელმწიფოსთან – გერმანიასთან – ოციანი წლების განმავლობაში.

თუმცა გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლამ და ჟენევის განიარაღების მოლაპარაკებებიდან გერმანიის გასვლამ, საფრანგეთის და რუსეთის ოფიციალური პოზიციების ერთდროული შეცვლა გამოიწვია. ჰიტლერის ხშირად განცხადებული მიზანი, გერმანიის „სასიცოცხლო სივრცე“ რუსეთის ხარჯზე გაეფართოებინა, მის მიერ კომუნიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის, არაერთგზის დაგმობასთან ერთად, კრემლის ლიდერებისათვის კარგად იყო ცნობილი. 1933 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ლიტვინოვმა ოფიციალურად შეცვალა მისი მთავრობის ხანგრძლივი მხარდაჭერა სამშვიდობო შეთანხმებების გადახედვის თაობაზე, ლიად დაუჭირა რა მხარი განიარაღების კონფერენციაზე საფრანგეთის პოზიციას კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ. მოგვიანებით გაკეთებულ განცხადებებში რუსმა დიპლომატმა მკაფიოდ გამოხატა თავისი ქვეყნის ახალი ოფიციალური პოზიცია: ხელშეკრულების გადახედვა ნიშნავდა ომს და ნებისმიერ ფასად უნდა ყოფილიყო თავიდან აცილებული. საფრანგეთის მთავრობა უმალ გამოეხმაურა ამ გამაოგნებელ შემობრუნებას საბჭოთა მთავრობის მხრიდან. პირველად მსოფლიო ომიდან რუსეთის გასვ-

ლის შემდეგ, 1933 წლის 8 აპრილს, საფრანგეთმა სამხედრო ატაშე მიაველინა მოსკოვში კრემლის ახალი ანტიგერმანული ორიენტაციისადმი ინტერესის გამოსახატად. 1933 წლის ზაფხულამდე გერმანულ და საბჭოთა არმიებს შორის საიდუმლო თანამშრომლობა შეწყდა, გერმანული სამხედრო ნაგებობები საბჭოთა ტერიტორიაზე დაიხურა და გერმანიაში საბჭოთა ოფიცრების ვიზიტები გაუქმდა.

გერმანიის შეიარაღების შესახებ 1935 წლის მარტის დეკლარაციამ აიძულა საფრანგეთის ანტიკომუნისტური ძალები, თვალი დაეხუჭათ იდეოლოგიური ცრურწმენებისთვის. 1935 წლის 2 მაისს საფრანგეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს ურთიერთდახმარების პაქტს, რასაც 16 მაისს საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას – საფრანგეთის მთავარ აღმოსავლეთეგროპელ მოკავშირეს შორის მსგავსი შეთანხმება მოჰყვა. მოკლე დროით გერმანია თითქოს იზოლაციაში მოაქციეს ძლიერმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ წინ აღდგომოდნენ ვერსალის ხელშეკრულების შემდგომ დარღვევებს. ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა კომინტერნის – საბჭოთა კავშირისადმი ერთგული კომუნისტური პარტიების საერთაშორისო ორგანიზაციის – პოლიტიკის დრამატული რეორიენტაცია მის მეშვიდე კონგრესზე, 1935 წლის აგვისტოში. მაშინ, როდესაც რუსეთის გარეთ ყველა კომუნისტურ პარტიას მითითება ჰქონდა მიღებული, უარი ეთქვათ „ბურჟუაზიულ პარტიებთან“ თანამშრომლობაზე (მათ შორის სოციალისტებთან), ჰიტლერის მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიის ლიკვიდაციამ ასეთი სექტარული სტრატეგიის საფრთხეები გამოააშკარავა. კომინტერნის ახალი პოლიტიკა კომუნისტურ პარტიებს „სახალხო ფრონტში“ მონაწილეობისაკენ მოუწოდებდა, რომელშიც ფაშიზმის და გერმანული ექსპანსიონიზმის მონიწიანადმდევე ყველა პოლიტიკური დაჯგუფება იყო გაერთიანებული.

გერმანიის შესაკავებლად აღდგენილი ფრანგულ-რუსული თანამშრომლობა მხოლოდ აჩრდილი იყო იმ სამხედრო ალიანსისა, რომელმაც კაიზერი აიძულა, 1914-1917 წლებში ომი ორ ფრონტზე ეწარმოებინა. ფრანგულ-რუსული პაქტის ეფექტურობას ასუსტებდა საფრანგეთის მთავრობის მტკიცე უარი, დათანხმებოდა სამხედრო კონვენციას, რომელიც გერმანიასთან ომის შემთხვევაში ორ ქვეყანას შორის სამხედრო კოორდინაციას განსაზღვრავდა. საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის იგივე შეთანხმება ასევე არაეფექტური იყო, ერთი მხრივ, მასში გათვალისწინებული დებულების გამო, რომელიც მის მოქმედებას წინასწარ ფრანგულ-საბჭოთა პაქტის ამოქმედებას უქვემდებარებდა და, მეორე მხრივ, ორ ქვეყანას შორის საერთო საზღვრის არარსებობის გამო.

1935 წლის აპრილში სტრეზას დეკლარაცია, მაისში ფრანგულ-საბჭოთა პაქტი და ივნისში ფრანგულ-იტალიური სამხედრო მოლაპარაკებების დაწყება ერთად ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ საფრანგეთი წარმატებით ართ-

მევედა თავს ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რასაც ის წარუმატებლად ცდილობდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ბელგიასთან, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ალიანსების და რუმინეთთან და იუგოსლავიასთან მეგობრობის ხელშეკრულებების გარდა, საფრანგეთი ასევე ახლოს იყო დიდ ბრიტანეთთან, რუსეთთან და იტალიასთან ერთად, ძველი, ომისდროინდელი კოალიციის აღორძინების მიზანთანაც, რათა ხელი შეეშალა გერმანიის მიერ სამშვიდობო შეთანხმების შემდგომი დარღვევებისათვის.

ანტიგერმანული ბლოკის დაშლა

კოალიცია ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში მას შემდეგ დაიშალა, რაც ის დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ და ბელგიამ – საფრანგეთის დასავლელმა მოკავშირეებმა მიატოვეს. პირველი ბზარი ანტიგერმანულ კოალიციაში 1935 წლის 18 ივნისს – ვატერლოოს ბრძოლის 120-ე წლისთავზე – გაჩნდა. ეს დღე ბრიტანეთის მთავრობამ უტაქტოდ შეარჩია გერმანიასთან ორმხრივი საზღვაო შეთანხმების გამოსაცხადებლად, რომელზეც იგი საიდუმლოდ ანარმობდა მოლაპარაკებებს საფრანგეთის ზურგს უკან. შეთანხმება ნებას რთავდა გერმანიას, დაერღვია ვერსალის ხელშეკრულებით დაწესებული საზღვაო ფლოტის შეზღუდვები იმ პირობის სანაცვლოდ, რომ მისი მთლიანი ნონადობა არ გადააჭარბებდა მთელი ბრიტანული იმპერიის ფლოტის 35 პროცენტს. ანგლოგერმანულმა საზღვაო შეთანხმებამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა სტრეზას ფრონტს, რადგან სწორედ იმას ითვალისწინებდა, რასაც სტრეზას დეკლარაცია კრძალავდა: კერძოდ, გერმანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას. ნათელი იყო ბრიტანეთის მოტივაცია, დაჰყოლოდა გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო სამხედრო შეზღუდვის დარღვევას: დაზვერვის წყაროებით ცნობილი იყო, რომ მაშინ, როდესაც ჰიტლერი ცდილობდა, აეგო სამხედრო ფლოტი, რომელიც გერმანიას გლობალური როლის შესრულების საშუალებას მისცემდა, გერმანიის საზღვაო მშენებლობის პროგრამას უახლოეს მომავალში შეზღუდული მიზნები ჰქონდა, რაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბალტიის რეგიონის კონტროლს და კოლონიებთან და რესურსების უცხოურ წყაროებთან საფრანგეთის კომუნიკაციების მწყობრიდან გამოყვანას გულისხმობდა. 1935 წლის აპრილში გერმანიის მთავრობამ ბრიტანელებს აცნობა პროგრამის შესახებ, რომელიც თორმეტი ნაღმოსნის, ორი კრეისერისა და თორმეტი წყალქვეშა ნავის მშენებლობას ითვალისწინებდა. ვინაიდან ჰიტლერი მაინც დაუსჯელად არღვევდა ვერსალის ხელშეკრულების ვალდებულებებს, ბრიტანელებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს იმის გარანტია მაინც მიეღოთ, რომ გერმანია საფრთხეს არ

შეუქმნიდა ბრიტანეთის პირველობას ხმელთაშუა ზღვასა და ჩრდილო ატლანტიკაში. შეთანხმებას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო გერმანიაზე, რომელიც იმდენ გემს აშენებდა, რამდენის საშუალებასაც რესურსები აძლევდა. მას შემდეგ კი, რაც ევროპაში ბატონობა ექნებოდა გამყარებული, ბრიტანეთის საზღვაო ძლიერებასთან გაპაექრების გეგმებსაც დასახავდა.

1935 წელს ჩამოყალიბებული ანტიგერმანული ფრონტის მეორე დეზერტირი ქვეყანა იტალია იყო. ეს გამოიწვია მუსოლინის მიერ ეთიოპიის – აღმოსავლეთაფრიკული იმპერიის – დაპყრობამ, რომელიც ერთ-ერთი იმ აფრიკულ სახელმწიფოთაგანი იყო (მეორე იყო ლიბერიის რესპუბლიკა), რომელმაც წარმატებით გაუწია წინააღმდეგობა ევროპული სახელმწიფოების მიერ კოლონიად გადაქცევას მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულის კოლონიური ექსპანსიის პერიოდში. იტალიას ეთიოპიისადმი ინტერესი მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაუჩნდა. 1896 წელს, ეთიოპიელ მეომრებთან დამამცირებელი დამარცხების შემდეგ, იტალიელმა კოლონიურმა ძალებმა უკან დაიხიეს წითელ ზღვაზე ერთრეის სანაპიროებთან და ინდოეთის ოკეანის სანაპიროსკენ სომალილენდზე. 1930 წელს მუსოლინის გრანდიოზულმა გეგმებმა ახალი რომის იმპერიის შესახებ კვლავ გამოაღვიძა მიძინებული ტერიტორიული პრეტენზიები აღმოსავლეთ აფრიკის ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომელთაც მინიმალური ინტერესი ჰქონდათ ამ რეგიონში და სურდათ გერმანიის ავანტიურიზმის წინააღმდეგ იტალიის მხარდაჭერა მიეღოთ, არაფერი ილონეს, რომ ხელი შეეშალათ იტალიის დაგვიანებული კოლონიური მისწრაფებებისთვის. 1935 წლის იანვარში, მუსოლინისთან რომში შეხვედრისას, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიერ ლავალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მის ქვეყანას არ გააჩნდა ინტერესები ეთიოპიაში და იტალიის ლიდერი დაარწმუნა, რომ მას იქ მოქმედების თავისუფლება ექნებოდა. აპრილში, სტრეზას კონფერენციაზე, მუსოლინის მინიშნებებისთვის აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის ამბიციების შესახებ, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების მეთაურებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. 1935 წლის აგვისტოში ლონდონი და პარიზი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ეთიოპიაში მუსოლინის განსაკუთრებული ეკონომიკური პრივილეგიები შესთავაზეს: მისცეს უფლება, დაენიშნა იტალიელი მრჩეველი ეთიოპიის საჯარო სამსახურისათვის, არმიისა და პოლიციისათვის, რაც ტრადიციული შესავალია პროტექტორატის დასამყარებლად.

ეს ანგლოფრანგული დათმობები იტალიის კოლონიური ამბიციების მიმართ მიუთითებს, რომ მუსოლინის მოთმინებითი დიპლომატიის წყალობით შეეძლო ეფექტური კონტროლი დაემყარებინა ეთიოპიაზე. მაგრამ ახალი რომის იმპერიის მომავალ ლიდერს მინიმალური რისკით სამხედრო დიდების მოპოვება სურდა. შესაბამისად, 3 ოქტომბერს მან ეთიოპიის წინააღმდეგ

სრულმასშტაბიანი იერიში წამოიწყო და ელოდა, რომ იტალიის არმიას მცირე წინააღმდეგობა შეხვდებოდა ეთიოპიის ცუდად აღჭურვილი იმპერატორ ჰაილე სელასიეს არმიისგან, ევროპული სახელმწიფოები კი დიპლომატიურ წინააღმდეგობასაც არ გასწევდნენ. ეთიოპიელთა წინააღმდეგობას რაც შეეხებოდა, ის მართალი იყო. ახლადდამკვიდრებულმა სამხედრო-საჰაერო ტექნიკამ და მომწამვლელმა აირებმა 1936 წლის გაზაფხულზე მალევე მოუღეს ბოლო ეთიოპიურ სამხედრო ძალებს. რაც შეეხება დიპლომატიურ ფრონტს, ღუჩე ჯერ გულაცრუებით, შემდეგ კი განრისხებით შეხვდა მისი მეგობრების, ლონდონისა და პარიზის, ანტიპათიურ რეაქციას. საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მოთხოვნით, ერთა ლიგამ დაგმო ეთიოპიაზე იტალიის თავდასხმა (რომელიც ერთა ლიგის წევრი სახელმწიფო იყო), როგორც აგრესიული აქტი და 18 ოქტომბერს აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები დააწესა. იტალიის ლიდერზე ხანგრძლივი და უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა მეგობარი ქვეყნების ამ ფარისევლურმა პოლიტიკამ – ქვეყნების, რომელთაც პირველ მსოფლიო ომამდე მთელი აფრიკის კონტინენტი ჰქონდათ დანაწილებული და შემდეგ იტალიასაც მისცეს ნებართვა დაგვიანებით დაპატრონებოდა კონტინენტის ნადავლიდან თავის წილს. ლონდონისა და პარიზის შემდგომმა მცდელობებმა, ძირი გამოეთხარათ იმავე პოლიტიკისათვის, რომელზეც ჟენევაში იყვნენ შეთანხმებული, ველარაფერი უშველა ნალალატევი მუსოლინის გაღიზიანებას. დეკემბერში გაფორმებულ საიდუმლო ანგლოფრანგულ შეთანხმებას, რომელიც ეთიოპიის თითქმის მთლიანი ტერიტორიის იტალიისათვის დათმობასა და დანარჩენი ქვეყნის სტატუსის შემცირებას ითვალისწინებდა, განხორციელება არ ენერა მას შემდეგ, რაც, კე დ'ორსეის შეთანხმებით უკმაყოფილო პერსონალის წყალობით, ინფორმაციამ პრესაში გაჟონა. ნარუმატებელი ჰორ-ლავალის პაქტი – დოკუმენტს სახელი მასზე ხელმომწერი საგარეო საქმეთა მინისტრების გვარების გამო ეწოდა – ორივე მთავრობის ნამდვილ პოლიტიკას ისევე კარგად ასახავდა, როგორც მუსოლინის დაშოშმინებისაკენ მიმართული ადრეული მცდელობები. ამას ადასტურებდა მათი უარიც, რომ ეკონომიკურ სანქციებს ნავთობის ემბარგოც მოეცვა. ნავთობი კი, რომელიც იტალიას უცხოური წყაროებიდან შეჰქონდა, მუსოლინის ეთიოპიაში თავისი მექანიზებული არმიისა და საჰაერო ძალებისათვის სჭირდებოდა.

ეთიოპიის ინციდენტის ყველაზე სერიოზული შედეგი, ჰაილე სელასიეს იმპერიის სამხედრო მარცხისა და იტალიის მიერ ეთიოპიის ანექსიის გარდა, იტალიასა და ანტიგერმანული სტრეზას ფრონტის თანამონაწილე მისი პარტნიორების ურთიერთობების გაუარესება იყო. იტალიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების მხარდაჭერითა და ერთა ლიგაში იტალიის ქმედებების სიტყვიერი დაგმობით, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მუსოლინის დაუპირისპირდნენ, ოღონდ ისე, რომ აღმოსავლეთ აფრიკაში გეგმების განხ-

ორციელებაში ხელიც კი ვერ შეუშალეს. შორ-ლავალის სქემამ და იტალიის წინააღმდეგ სანქციების გაუბედავად ამოქმედებამ ასევე ძირი გამოუთხარა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპს: თუ ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ ასეთი აშკარა აგრესია დაუსჯელი რჩებოდა, რალა შეუშლიდა ხელს აგრესიის უფრო დახვეწილ ფორმებს, რასაც გერმანია გეგმავდა ევროპაში?

რაინლანდის რემილიტარიზაცია

პიტლერი ნეიტრალური რჩებოდა იტალია-ეთიოპიის ბრძოლის მიმართ, თუმცა გამოხატავდა სურვილს, რკინით, ქვანახშირით, ფოლადითა და სხვა საჭირო მასალით მოემარაგებინა მუსოლინი. ამრიგად, აღმოსავლეთ აფრიკის გამო, ლოკარნოს შეთანხმებების ორი გარანტორის (დიდი ბრიტანეთისა და იტალიის) გაუარესებული ურთიერთობებისა და მუსოლინის იმპერიული ზრახვების მიმართ გერმანიის დამყოლი დამოკიდებულების გამო მუსოლინის მადლიერების ფონზე, ფიურერმა სწორად შეაფასა, რომ დრო იყო გამოეცადა ანტიგერმანული კოალიციის სიმტკიცე. 1936 წლის თებერვალში ფრანგულ-საბჭოთა პაქტის რატიფიკაციისათვის საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში წარდგენა საუკეთესო საბაბს აძლევდა პიტლერს პირველი პროვოკაციული ქმედებისათვის, მით უმეტეს, რომ ერთი წლით ადრე მან უკვე გაასაჯაროვა გეგმები გერმანიის ხელახალი შეიარაღების თაობაზე. ფიურერმა გააფრთხილა მხარეები, რომ ის ფრანგულ-საბჭოთა ალიანსს ლოკარნოში ხელმოწერილი სამხედრო შეთანხმების დარღვევად და გერმანიისათვის უდიდეს საფრთხედ ჩათვლიდა. შესაბამისად, ის აღარ დაიცავდა ლოკარნოს შეთანხებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და უარს იტყოდა რაინლანდის დემილიტარიზებულ სტატუსზე. საფრანგეთის პარლამენტის მიერ შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ, 7 მარტს გერმანიის სახმელეთო ძალების სამი ბატალიონი ანტისაჰაერო თავდაცვისა და საჰაერო ესკადრილიის თანხლებით რაინლანდში შევიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაინლანდის დემილიტარიზებული სტატუსი გერმანიის მხრიდან ვალდებულებების შესრულების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიად აღიქმებოდა. ფიქრობდნენ, რომ რაინლანდის დემილიტარიზაცია ხელს უშლიდა გერმანიას საფრანგეთისა და ბელგიის წინააღმდეგ იერიშის განხორციელებაში და, ქმნიდა რა გერმანიაზე დასავლეთიდან თავდასხმის შესაძლებლობას, აკავებდა გერმანიის აგრესიას აღმოსავლეთით. 1936 წლის მარტში დემილიტარიზაციის დასასრულს საფრანგეთის მხრიდან ძლიერი რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. თუმცა ეს რეაქცია არსად ჩანდა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ფრანგული სამხედრო სტრატეგია სწორედ ამგვარ პასიურ პოზიციას ითვალისწინებდა. მაჟინოს ხაზის აშენებით საფრანგეთმა ფაქტობრივად აღიარა, რომ რაინ-

ლანდის სტატუსის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მდინარის რომელ სანაპიროზე განლაგდებოდა გერმანიის არმია, თუ საფრანგეთი საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის გაყოლებაზე ცემენტითა და იარაღით გამაგრებულ თავის ბასტიონს დაიცავდა. შესაბამისად, საფრანგეთს არ გააჩნდა მობილური ძალები, რომელთაც რაინლანდში გაგზავნიდა გერმანული ბატალიონების უკან გაბრუნებისათვის და არც რაიმე გეგმა ჰქონდა ასეთი ოპერაციის განსახორციელებლად. ასეთი ძალების შექმნა და ასეთი გეგმის შედგენა, რაც შეთავაზებული იყო პოლიტიკოს პოლ რეინოს მიერ პოლკოვნიკ შარლ დე გოლის რჩევით, უარყოფილ იქნა, როგორც შეუთავსებელი საფრანგეთის თავდაცვის სტრატეგიასთან, რომელსაც ასე ურყევად ასრულებდა საფრანგეთის გენერალური შტაბი.

პარიზის სამოქალაქო მთავრობა, რომელიც მომდევნო თვისთვის დანიშნულ არჩევნებამდე ასრულებდა თავის მოვალეობას, უფრო მეტ ინტერესს იჩენდა რაინლანდიდან გერმანელების განდევნის სამხედრო თავდასხმითი ოპერაციისადმი, ვიდრე საფრანგეთის სამხედრო სარდლობა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიერ ეტიენ ფლანდენი ლონდონს ეწვია, რათა ფრანკო-ბრიტანული ერთობლივი საპასუხო ქმედების შესაძლებლობა განეხილა. მას იქ დაახვედრეს ახალი ამბავი, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ განიხილავდა რაინლანდის რემილიტარიზაციას, როგორც ლოკარნოს ხელშეკრულების უხეშ დარღვევას, რადგან ის არ მოიცავდა საფრანგეთისათვის გერმანიის საფრთხის შემცველ ქმედებებს. შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი არც მონაწილეობას მიიღებდა ასეთ სამხედრო ოპერაციაში და არც საფრანგეთის მხრიდან ასეთ ცალმხრივ ქმედებას დაუჭერდა მხარს. ლოკარნოს შეთანხმებების ასეთი ვიწრო და ლეგალისტური ინტერპრეტაციის უკან ბრიტანეთის გადაწყვეტილების რეალური მიზეზი იმალებოდა: ნებისმიერ ფასად თავიდან აერიდებინა ომი ევროპაში, რაც აუცილებლად მოჰყვებოდა საფრანგეთის ან ბრიტანეთ-საფრანგეთის ერთობლივ შესვლას რაინლანდში. შესაბამისად, ლონდონისა და პარიზის პასუხი გერმანიის ქმედებაზე შემოიფარგლებოდა პროტესტის გამოთქმით და ერთა ლიგაში გერმანიის ქმედებათა დაგმობის ინიცირებით. ამრიგად, რაინლანდის რემილიტარიზაცია დასრულებული ფაქტი იყო.

როგორც აღნიშნული იყო, რაინლანდის რემილიტარიზაციას დიდად არ გამოუწვევია დასავლეთ ევროპაში გერმანიისა და საფრანგეთს შორის სტრატეგიული ბალანსის შეცვლა, რადგან საფრანგეთის მიერ აღმართული თავდაცვითი კედელი გერმანიის საზღვართან, რაინლანდის ბუფერულ ზონას ფრანგების სამხედრო გათვლებისთვის ირელევანტურს ხდიდა. მას ასევე არ მოჰყოლია პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის უსაფრთხოების მიმართ საფრანგეთის მიერ აღებული ვალდებულებების გაუქმება. ეს ვალდებულებები, უბრალოდ, განუხორციელებელი გახდა მას შემდეგ, რაც, ხუთი წლით

ადრე, ფრანგებმა მაჟინოს ხაზის მშენებლობა დაიწყეს. საფრანგეთის არამტკიცე რეაქციას ჰიტლერის მიერ ლოკარნოს პაქტის ცალმხრივ უარყოფაზე, გამანადგურებელი ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა კონტინენტის ყველა მცირე სახელმწიფოზე, რომლებიც საფრანგეთს გერმანიის მონინალმდეგეთა ლიდერად მიიჩნევდნენ.

საფრანგეთის თავშეკავებული პოლიტიკის შედეგი ამ მცირე სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკის რადიკალური რეორიენტაცია იყო. პოლონეთის მთავრობა უფრო მეტი ენთუზიაზმით შეუდგა გერმანიასთან დეტანტის პოლიტიკას, რომელიც 1934 წელს დაიწყო, როდესაც პოლონეთმა ხელი მოაწერა რაიხთან შეთანხმებას აგრესიის წინააღმდეგ, რათა დაებალანსებინა საბჭოთა კავშირის პრეტენზიები მისი ტერიტორიების მიმართ. ბელგიამ, რომელიც დასავლეთში საფრანგეთის მეზობელი და მისი ყველაზე ძველი და ერთგული მოკავშირე იყო, ასევე გამოიტანა შესაბამისი დასკვნები საფრანგეთის უმოქმედობიდან რაინლანდის კრიზისის დროს და სათანადო ნაბიჯებიც გადადგა. 1936 წლის 14 ოქტომბერს ბელგიის მთავრობამ ოფიციალურად დატოვა საფრანგეთთან სამხედრო ალიანსი და ომამდელ ნეიტრალურ სტატუსს დაუბრუნდა. საგარეო პოლიტიკის ასეთი მკვეთრი ცვლილება ნაწილობრივ გამომდინარეობდა ბელგიაში ფრანგულენოვან ვალონებსა და ჰოლანდიურენოვან ფლანდრიელებს შორის დაპირისპირებიდან. ეს უკანასკნელნი დიდი ხნის განმავლობაში გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საფრანგეთისადმი მათი ქვეყნის დიპლომატიური მორჩილების გამო. ეს გადანყვეტილება ასევე ასახავდა ბელგიის ანტიკომუნისტური ძალების სურვილს, რომელთაც არ უნდოდათ, მათი ქვეყანა გერმანიასთან ომში ჩათრეული ეხილათ საფრანგეთის ახალი მოკავშირის – რუსეთის გამო. მთავარი მიზეზი კი მაინც იყო ბელგიელების ვარაუდი, რომ ვერც საფრანგეთი და ვერც დიდი ბრიტანეთი ვერ უზრუნველყოფდა ბელგიას ისეთი დაცვით, რომელიც მას თავისი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. ბელგიის ალიანსიდან გასვლის სამხედრო შედეგები მძიმე იყო: ანგლოფრანგულ სამხედრო ძალებს აღარ ჰქონდათ გარანტირებული სატრანზიტო უფლება ბელგიის ტერიტორიაზე გერმანიასთან ომის შემთხვევაში. ასევე უეცრად დასრულდა ფრანგულ-ბელგიური კოორდინაცია, რომელიც საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის დაცვის ფრანგული სტრატეგიის მთავარი ელემენტი იყო.

1936 წლის შემოდგომამდე გერმანიას გაუჩნდა გეოგრაფიული დამცველი საფარები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საზღვრებზე, რომლებიც ეფექტურად ახდენდნენ მის იზოლაციას ალიანსად გაერთიანებული დიდი სახელმწიფოების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში. დასავლეთით ნეიტრალური ბელგია და რემილიტარიზებული რაინლანდი (რომლის დაცულობა ამავე პერიოდში საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ მშენებარე კომპლექსური სიმაგრეებით იზრდებო-

და) საფრანგეთის მხრიდან თავდასხმისგან იცავდა გერმანიის ინდუსტრიულ ცენტრს რურის ხეობაში. აღმოსავლეთით, თანამშრომლობისთვის უფრო და უფრო მზადყოფი პოლონეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბარიერის ფუნქციას ასრულებდა. სამხრეთ-აღმოსავლეთით მცირე ანტიანტის ქვეყნები (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია), რომლებიც გეოგრაფიულად იყვნენ დაშორებული მათი არასანდო ფრანგი პროტექტორისგან, იძულებული იყვნენ გაეუმჯობესებინათ ურთიერთობები გერმანიასთან, რეგიონში პოლიტიკური ვითარების დასტაბილიზების მიზნით. ჰიტლერიც დროს არ კარგავდა, რათა ესარგებლა კონტინენტზე თავისი გამყარებული პოზიციით და გაეფართოებინა გერმანიის ეკონომიკური და დიპლომატიური გავლენა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის იმ ქვეყნებზე, რომელთა თანამშრომლობა და დამყოლობა მას თავისი მოკლევადიანი საგარეო პოლიტიკური გეგმების შესასრულებლად სჭირდებოდა, კერძოდ, ავსტრიის ანექსიისა და ჩეხოსლოვაკიის განადგურებისათვის. ამავე დროს, იგი ახორციელებდა შემდგომ ლონისძიებებს გერმანიის შეიარაღების დასაჩქარებლად და ეკონომიკის რეორიენტაციისათვის, რათა მოემზადებინა ქვეყანა დიდი ომისათვის, რომლის დაწყებასაც ის უფრო მოგვიანებით გეგმავდა.

მლელვარება ესპანეთში

როგორც გერმანიის შიგნით, ასევე გერმანიასა და მის სამხრეთელ და აღმოსავლელ მეზობლებს შორის მიმდინარე კონსოლიდაციის პროცესის ადეკვატურად შეუფასებლობა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ, ნანილობრივ დაკავშირებული იყო მსოფლიოს ყურადღების მობილიზებასთან 1936 წლის ზაფხულში ესპანეთში დაწყებულ სამოქალაქო ომზე. ამ წლის 17 ივლისს ესპანეთის მაროკოში დისლოცირებული გარნიზონების სამხედრო მეთაურები მადრიდის მემარცხენე მთავრობას აუჯანყდნენ, რომლებმაც თებერვალში არჩევნებში გაიმარჯვეს და ესპანეთის ტერიტორიაზე ამბოხებების მონაწილას შეუდგნენ. როდესაც სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებმა ერთგულება რესპუბლიკურ ძალებს გამოუცხადეს, გადატრიალების ლიდერი გენერალი ფრანსისკო ფრანკო იძულებული შეიქნა, დახმარება ესპანეთის გარეთ მოეძია ჩრდილოეთ აფრიკაში განლაგებული მისი სამხედრო ძალების გიბრალტარით იბერიის ნახევარკუნძულზე გადმოსაყვანად. ესპანელი ამბოხებულების ან, როგორც თვითონ უწოდებდნენ საკუთარ თავს – ნაციონალისტების – მონაწილას ბერლინში და რომში თანაგრძნობით შეხვდნენ. ივლისის ბოლომდე გერმანულ და იტალიურ თვითმფრინავებს უკვე გადმოჰყავდათ ფრანკოს ჯარები ესპანეთის ტერიტორიაზე, სადაც მათ მალევე დაამყარეს კონტაქტი ქვეყნის იმ ნაწილთან, რომელიც ამბოხებულების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. 1936 წლის შემოდგომისთვის გერმანიისა და იტალიის დახმარება ამბოხებულებისადმი შესამჩნევად გაიზარდა. ჰიტლერ-

მა სპეციალური სამხედრო-საჰაერო შენაერთი – ლეგიონი „კონდორი“ – გაგზავნა ესპანეთში, რათა საჰაერო თავდაცვით უზრუნველყო ამბოხებულები, ხოლო მუსოლინი „მოხალისეების“ ქვეითი ჯარის დიდი კონტინგენტით ამარაგებდა მათ.

ჰიტლერის გადანყვტილებას, დახმარებოდა ამბოხებულებს ესპანეთში, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო სარგებელი ჰიტლერისთვის – გარდა შესაძლებლობისა, რომ ესპანელებზე გამოეცადა სამოქალაქო მოსახლეობის დაბომბვის ტაქტიკა, რასაც ჰიტლერი მოგვიანებით ვარშავაში, როტერდამსა და ლონდონში გამოიყენებდა – დაკავშირებული იყო ამბოხებულების მიერ მიცემულ პირობასთან, რომ გერმანია ესპანეთის მდიდარ სტრატეგიულ ნედლეულს მიიღებდა. გერმანია, უცხოური ვალუტის უკიდურესი დეფიციტის პირობებში, მასობრივი შეიარაღების პროგრამას ახორციელებდა და ჰიტლერსაც იმედი ჰქონდა, რომ ესპანეთიდან დეფიციტური უცხოური ვალუტის გადახდის გარეშე მიიღებდა რკინისა და სპილენძის მადანს. ამის შესახებ შეთანხმებას 1937 წლის ზაფხულში მიაღწიეს, როდესაც რკინითა და ვოლფრამით მდიდარი რეგიონები ფრანკოს კონტროლის ქვეშ გადავიდა. ამ სტრატეგიული ნედლეულის დიდი ოდენობა, რომელიც მანამდე საექსპორტოდ ბრიტანეთში გადიოდა, ახლა გერმანიის შეიარაღების პროგრამისაკენ იქნა მიმართული იმ სამხედრო აღჭურვილობისათვის გადასახადის სახით, რომლითაც ჰიტლერი ამარაგებდა ფრანკოს. ამ ეკონომიკური სარგებლით დაინტერესების გარდა, კიდევ ორმა დიპლომატიური სახის მოსაზრებამ უზიძგა ჰიტლერს აქტიურად დახმარებოდა ესპანეთის ნაციონალისტურ აჯანყებას. პირველი მოსაზრებით, ფრანკოსთან დაკავშირებით იტალიასთან თანამშრომლობას კიდევ უფრო უნდა გაემყარებინა ბერლინის მეგობრული ურთიერთობები რომთან, რომელიც სათავეს ეთიოპიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან იღებდა. ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა, როდესაც საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა 1936 წლის სექტემბერში ჩაურევლობის კომიტეტი დააარსეს, რათა ესპანეთის სამოქალაქო ომში უცხო სახელმწიფოების ჩარევა აღეკვეთათ. მას შემდეგ, რაც მუსოლინიმ ესპანეთში ამბოხებულების გამარჯვება პირადი პრესტიჟის საქმედ აქცია, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მიერ უკმაყოფილების გამოხატვამ – რაც ისეთივე არაეფექტური იყო, როგორც ეთიოპიის კრიზისის დროინდელი მონოდებები – საბოლოოდ მოსპო სტრეზას კოალიციის აღდგენის შესაძლებლობა და მუსოლინის ჰიტლერთან კიდევ უფრო დაახლოებისაკენ უზიძგა. მაგრამ, მთავარი სარგებელი, რაც ესპანეთის სამოქალაქო ომმა ჰიტლერს მოუტანა, გერმანიის შეიარაღების პროგრამიდან და კონტინენტის ეკონომიკური კონსოლიდაციიდან საფრანგეთისა და ბრიტანეთის ყურადღების გადატანა იყო. აქედან გამომდინარე, ჰიტლერის ინტერესებში შედიოდა იბერიის ნახევარკუნძულზე კონფლიქტის

გაჭიანურება და არა ამბოხებულების დახმარება სწრაფად გამარჯვების მიღ-
ნევაში. ამას ადასტურებდა პიტლერის უარი, უფრო მრავალრიცხოვანი გერ-
მანული ქვეითი ჯარების გაგზავნის შესახებ ფრანკოს სასწრაფო თხოვნაზე
მას შემდეგ, რაც 1936 წლის ბოლოს წარუმატებლად დასრულდა ამბოხებულ-
თა იერიში მადრიდზე. პიტლერი მთელი ომის განმავლობაში უნარჩუნებდა
თავდაპირველ რაოდენობას ლეგიონ „კონდორს“.



ესპანეთის სამოქალაქო ომის დროინდელი პლაკატი: შეიარაღებული სამოქალაქო პირი და
აჩრდილი მის ზურგს უკან გამოხატავდა ესპანეთის მთავრობის დამოკიდებულებას, რომლის
თანახმად, სამოქალაქო ომში არმია ხალხს უპირისპირდებოდა. იმის მიუხედავად, რომ ფა-
შისტური იტალია ჯარისკაცებითა და ნაცისტური გერმანია საპაერო ძალებით ეხმარებოდა
ესპანეთის ნაციონალისტურ ძალებს, მადრიდის მთავრობის მხარდასაჭერად კონფლიქტში
ლოად არცერთი სახელმწიფო არ ჩარეულა. თუმცა, ლოიალისტების მხარდამჭერები უცხო
ქვეყნებიდან მადრიდის დასუსტებული მთავრობის დასაცავად მაინც ეწეებოდნენ მოხა-
ლისეთა ორგანიზაციაში, რომელსაც საერთაშორისო ბრიგადები ერქვა.

ესპანეთის სამოქალაქო ომის იდეოლოგიური ქვეტექსტი თავიდანვე აშკარა გახდა და ხელი შეუწყო სახალხო წარმოსახვაში ამ კონფლიქტის შესაბამისი იმიჯის შექმნას, როგორც საერთაშორისო ფაშიზმის ძალებსა და დემოკრატიის დამცველებს შორის ეპიკურ კონფრონტაციას. ფრანკოს ტაქტიკური ალიანსი ესპანეთის ფაშისტურ მოძრაობა ფალანგასთან და სამხედრო მხარდაჭერისთვის მუსოლინიზე და ჰიტლერზე დამოკიდებული მისი მდგომარეობა იმის მაუწყებელი იყო, რომ იტალიაში ჩასახული და გერმანიაში სრულყოფილი იდეოლოგიური დოქტრინა ევროპის უკიდურეს დასავლეთშიც ვრცელდებოდა. მეორე მხრივ, საერთაშორისო ბრიგადები, რომლებიც ალყაშემორტყმული რესპუბლიკის სახელით სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზებული მემარცხენე მოხალისეების დაჯგუფებებისგან შედგებოდა, დემოკრატიული სამყაროს მყარ გადანყვებილებას გამოხატავდა, დაპირისპირებოდა ფაშიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. მადრიდის კოალიციურ მთავრობაში ესპანეთის მცირერიცხოვანი კომუნისტური პარტიის ყველასთვის შესამჩნევი მონაწილეობა და დახმარება, რომელსაც ესპანეთის მთავრობა საბჭოთა კავშირიდან იღებდა, „სახალხო ფრონტის“ კრემლის ახალ პოლიტიკას ასახავდა, რომელიც ფაშიზმის საფრთხისგან საპარლამენტო ინსტიტუტების დაცვას გულისხმობდა.

სინამდვილეში, ეს იდეოლოგიური დიქტომია მცდარი იყო. ფრანკო და სამხედრო, სასულიერო თუ მინათმფლობელი ესპანელები, რომლებიც მის მხარდამჭერთა ბაზას ქმნიდნენ, პრემოდერნული ეპოქის ერთგული რეაქციული ძალები იყვნენ, რომლებსაც ბევრი არაფერი ჰქონდათ საერთო ფალანგისტებთან, რომელთაც თითქმის დაკარგეს მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც მათი გვერდით დგომა აღარ იყო ფრანკისტებისთვის სარგებლობის მომტანი. როგორც კი 1939 წლის გაზაფხულზე მიღწეულმა საბოლოო გამარჯვებამ ესპანელი დიქტატორი გერმანულ და იტალიურ დახმარებაზე მიჯაჭულობისგან გაათავისუფლა, მას ჰიტლერისა და მუსოლინის „ფაშისტურ ჯვაროსნულ ლაშქრობასთან“ შეერთებისადმი დიდი ინტერესი აღარ გამოუხატავს. შიში იმის თაობაზე, რომ ნაციონალისტური რეჟიმი პირენეის მეორე მხრიდან საფრთხეს უქმნიდა საფრანგეთს, დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. მიუხედავად გერმანიის ძლიერი მცდელობებისა, დაეყოლებინა იგი თანამშრომლობაზე, ესპანელი ლიდერი მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს.

საპირისპირო ბანაკში სხვადასხვაგვარი პოლიტიკური დაპირისპირებები და წინააღმდეგობები ძირს უთხრიდა ანტიფაშისტური საქმის პოლიტიკურ ერთობასა და იდეოლოგიურ სიმყარეს. რესპუბლიკურ ესპანეთშიც კი კომუნისტები, ანარქისტები, ტროცკისტები, სოციალისტები მუდმივად ეჯახებოდნენ ერთმანეთს პოლიტიკური იდეოლოგიისა და სამხედრო სტრატეგიის საკითხების გამო ისე, რომ, ხშირად, აზრთა სხვადასხვაობა იარა-

ლის გასროლითაც კი „გვარდებოდა“. ესპანეთის გარეთაც, ქვეყნები რომლებსაც, თითქოს, დემოკრატიული მმართველობა ფაშიზმის საფრთხისგან უნდა დაცვათ, ამ მიზნის მიღწევისათვის შეუფერებლად იქცეოდნენ. ლონდონში კონსერვატიული მთავრობა ვერ მალავდა თავის ზიზლს ესპანეთის მემარცხენე მთავრობის მიმართ და თითქმის არ გაუნძრევია მის დასაცავად. საფრანგეთის ახლადარჩეული სახალხო ფრონტის მთავრობამაც კი, რომელშიც სოციალისტები ჭარბობდნენ, კომუნისტების მხარდაჭერით, უარი უთხრა ესპანელ რესპუბლიკელებს სამხედრო დახმარებაზე იმის შიშით, რომ ამით ნამოიკიდებდნენ დიდ ბრიტანეთს და კიდევ უფრო ალაშფოთებდნენ ფრანგ კათოლიკეებს, რომლებიც ისედაც შეშფოთებულნი იყვნენ ინფორმაციით ესპანეთის მთავრობის დამცველების მიერ მონასტრების ძარცვისა და მონაზვნების დახოცვის შესახებ. საბჭოთა კავშირი, იმის მიუხედავად, რომ ერთადერთი ევროპული ქვეყანა იყო, რომელიც ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას ეხმარებოდა, დახმარების მინიმალურ რაოდენობას ინარჩუნებდა და ამისთვისაც გადაუდებელ გადახდას ითხოვდა ოქროთი ან ნედლეულით. სტალინის სიძუნწე იმავე მიზეზებით იყო გამონკვეული, რომლითაც ჰიტლერი აიძულეს, ფრანკოსათვის დახმარების მოცულობა შეეზღუდა. კერძოდ, ესპანეთის ომი საშუალებას აძლევდა საბჭოთა დიქტატორს ყურადღება გადაეტანა იმ რეპრესიებისგან, რომელიც მან ფრანკოს აჯანყებიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო.

ბლიცკრიგის ეკონომიკური საფუძველი

მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყურადღება ესპანეთის სამოქალაქო ომზე იყო გადატანილი, გერმანია განაგრძობდა თავისი ეკონომიკის შემზადებას საომარი მდგომარეობისათვის და ახორციელებდა დიპლომატიურ იერიშებს რამდენიმე მიმართულებით, რათა გაეიოლებინა ჰიტლერის ორი უახლოესი მიზნის განხორციელება: ავსტრიის ანექსია და ჩეხოსლოვაკიის განადგურება.

1936 წლის გერმანიის ეკონომიკურ მდგომარეობას წარმატების ზედაპირული ნიშნები ახასიათებდა, რომლის უკან საგანგაშო მასშტაბების სტრუქტურული პრობლემები იმალებოდა. ნაცისტური ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი წარმატება უმუშევრობის დაძლევა იყო, რაც მთავრობის საბიუჯეტო ხარჯზე მიმდინარე გამალებული შეიარაღებით იქნა მიღწეული. თუმცა, 1936 წლიდან გერმანიის ეკონომიკის საფუძველში არსებულმა სირთულეებმა ჰიტლერის ეკონომიკური პოლიტიკის ავტორების ყურადღება მიიქცია: ნედლეული რესურსების იმპორტზე უკიდურესი დამოკიდებულების გამო, რაც შეიარაღების პროგრამით იყო განპირობებული, გერმანიას უცხოური ვალუტის სერიოზული დეფიციტი გაუჩნდა. თუ არსებული ვითარე-

ბა არ შეიცვლებოდა, არსებობდა სერიოზული საფრთხე, რომ შეიარაღებაცა და მისით გამოწვეული ეკონომიკური აღორძინებაც შეწყდებოდა გერმანიის მთავრობის მიერ სტრატეგიული ნედლეულის იმპორტზე გადახდისუუნარობის გამო.

1936 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე განვითარებული ნედლეული რესურსების დეფიციტი ნაცისტ ლიდერებს პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაზე თავს დატყობილ კრიზისს აგონებდა, როდესაც მომარაგების უცხოურ წყაროებზე დამოკიდებულებამ იგი ბრიტანული ბლოკადით გამოწვეული მძიმე შედეგების წინაშე დააყენა. ჰიტლერის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი ეკონომიკური განვითარების მოკლევადიან პროგრამას გულისხმობდა, რომლის მიზანი იყო, გერმანია თვითკმარ ქვეყნად ექცია იმ სტრატეგიულ მასალებთან მიმართებაში, რომელიც მას 1940 წელს მოსალოდნელი ევროპული ომისთვის მოსამზადებლად სჭირდებოდა. 1936 წლის 18 ოქტომბერს ჰერმან გერინგის თაოსნობით დაწყებულ ოთხწლიან გეგმას საგარეო ვაჭრობისაგან გერმანიის სრული დამოუკიდებლობისათვის უნდა მიეღწია, გერმანიაში არარსებული ბუნებრივი რესურსების ნაცვლად სინთეტური მასალების წარმოების გზით. ამ დროს გერმანიის ქიმიური მრეწველობა ხელოვნურ კაუჩუკს, საფეიქრო ნაწარმს და პლასტმასებს აწარმოებდა. სინთეტური საწვავების პროგრამა იმდენად გაფართოვდა, რომ ნავთობის მიღება გერმანიის მდიდარი ქვანახშირის მარაგებიდან დაიწყო; გაიზარდა გერმანიის დაბალი ხარისხის რკინის მადნის გამოყენება ფოლადის საწარმოებლად, რათა შემცირებულიყო გერმანიის დამოკიდებულება შვედეთისა და ესპანეთის მაღალი ხარისხის რკინის მადანზე.

ოცდაათიანი წლების გერმანიის სამხედრო სტრატეგია ამ პერიოდში გერმანიის ეკონომიკის მყიფე მდგომარეობას ასახავდა. ნედლეული მასალების დეფიციტის გამო, გერმანიას არ უნდა ჰქონოდა რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ გამარჯვების იმედი ძალთა ამონურვამდე ომის შემთხვევაში, სინთეტური შემცვლელების განვითარებით მიღებული კომპენსაციის პირობებშიც კი, განსაკუთრებით, თუკი ომში მის წინააღმდეგ შეერთებული შტატებიც ჩაერთვებოდა. ასეთი იყო 1914-1918 წლების გაკვეთილი. აქედანვე გამომდინარეობდა ბლიცკრიგის სტრატეგიაც, რაც მოკლე, სწრაფ საბრძოლო ოპერაციებს გულისხმობდა იზოლირებული მოპირისპირეს წინააღმდეგ. ასეთ ბრძოლაში ძირითადად ტანკები და საბრძოლო თვითმფრინავები უნდა გამოყენებულიყო, რომელთა წარმოებას დიდი რაოდენობის ნავთობი, რეზინი და სხვა პროდუქტები სჭირდებოდა, რისი დამზადებაც გერმანიას სინთეტური საშუალებებით შეეძლო. ასეთი ბლიცკრიგების მცირე ხანგრძლივობა გამარჯვებას მოუტანდა გერმანიას ეკონომიკური პოტენციალის მხოლოდ მცირე მობილიზების პირობებში. ამ გზით დაპყრობილი ტერიტორიები კი საბოლოოდ გაუხსნიდა გზას გერმანიას

ევროპის კონტინენტის ნედლეულისაკენ და ბოლოსდაბოლოს მას თვითკმარ ქვეყნად აქცევდა.

ბერლინი – რომის ღერძი და ანშლუსი

1936 წელს ჰიტლერის მიერ ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრატეგიული პროგრამის დიპლომატიური ორეული აღმოსავლეთ ევროპაში საფრანგეთის მიერ შექმნილი ალიანსის სისტემის შესუსტება და სხვა დიდი სახელმწიფოების – იტალიის, ინგლისისა და საბჭოთა რუსეთის – გადარწმუნება იყო, რათა ისინი არ შეერთებოდნენ საფრანგეთსა და მის აღმოსავლეთ ევროპულ მოკავშირეებს ამ რეგიონში გერმანიის ჰეგემონიის ხელშესაძლებლად. ვინაიდან ავსტრიის ანექსია კონტინენტური ექსპანსიის ჰიტლერისეული გეგმის პირველი ნაწილი იყო, გასაკვირი აღარაა, რომ ის შეეცადა კიდევ უფრო გაემყარებინა მეგობრული ურთიერთობები იტალიასთან – ავსტრიის დამოუკიდებლობის ტრადიციულ გარანტორთან. 1936 წლის 26 ოქტომბერს ორი ქვეყნის მთავრობებმა აცნობეს მსოფლიოს, რომ ხელი მოეწერა იტალია-გერმანიის თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელსაც მალე „ბერლინი-რომის ღერძი“ უწოდეს. ეს შეთანხმება სინამდვილეში გამოხატავდა იტალიის ლიდერის უსიტყვო თანხმობას, კონკრეტულად, ავსტრიაში და, ზოგადად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიის მოქმედების თავისუფლებაზე. იტალიის საგარეო პოლიტიკის რეორიენტაცია გერმანიასთან დაახლოებისაკენ, მუსოლინის მიერ იტალია-გერმანიის თანამშრომლობის ჰიტლერისეული კონცეფციის მიღებას ასახავდა: იტალიის ექსპანსია სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვის აუზში, ხოლო გერმანიისა – აღმოსავლეთით ცენტრალურ ევროპასა და კიდევ უფრო შორს. ასეთ საფუძველზე ბერლინი-რომის ღერძის ჩამოყალიბება ჰიტლერს ორ უპირატესობას ანიჭებდა: იხსნებოდა იტალიის ვეტო გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსიაზე და იზრდებოდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსა და ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის რეგიონის ორ ძირითად ძალასთან – დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან – დაპირისპირების ალბათობა.

1937 წლის განმავლობაში ჰიტლერი თანდათან ზრდიდა ზენოლას ავსტრიის მთავრობაზე, რათა ამ უკანასკნელს საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკა რაიხის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოეყვანა. ამავე დროს, ის აქეზებდა ავსტრიელ ნაციისტებს, მიემართათ დივერსიული ქმედებებისათვის ვენაში ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის მოსამზადებლად, რაც გზას გაუხსნიდა ავსტრიის ნებაყოფლობით მიერთებას გერმანიასთან. მაგრამ, როდესაც ავსტრიის კანცლერმა კურტ ფონ შუშნიგმა ავსტრიის ნაციისტური პარტიის შტაბბინაში საპოლიციო რეიდების მოწყობის ბრძანება გასცა, რამაც მათი გერმანულ კოლეგებთან შეთქმულების ფაქტები გამოავლინა, ჰიტლერი თანდათანობით ანშლუსის ძველი სტრატეგიის შეცვლას შეუდგა

და იმავე მიზნის მიღწევა უფრო სწრაფად, ავსტრიის მთავრობის დაშინების გზით, გადაწყვიტა. 1938 წლის 12 თებერვალს ჰიტლერსა და შუშნიგს შორის ბერხტესგადენში გამართულ შეხვედრაზე, ფიურერმა ავსტრიის კანცლერს მკაცრად უსაყვედურა პროგერმანული პოლიტიკის გატარებაზე უარის გამო და სასწრაფო სამხედრო ინტერვენციით დაემუქრა, თუკი შუშნიგი საშუალებას არ მისცემდა ავსტრიის ნაცისტურ პარტიას, მთავარი ადგილი დაეკავებინა ავსტრიის მთავრობაში. ავსტრიელმა კანცლერმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო და ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის ჰიტლერისეული გეგმის განხორციელება ეროვნული მხარდაჭერის მოპოვებისაკენ პლებისციტის გზით აღკვეთა, რომელიც 13 მარტს ჩატარდა და რომელშიც ავსტრიელებმა მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ აზრი გამოთქვეს. პლებისციტი რომ გერმანიაში ნაცისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩატარებულყო, სავარაუდოდ, მასში მონაწილეთა დიდი უმრავლესობა მხარს დაუჭერდა ორი გერმანულენოვანი სახელმწიფოს გაერთიანებას, თუმცა ავსტრიაში ანტინაცისტური განწყობა საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ ჰიტლერს პლებისციტის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგის აღკვეთა განეზრახა. ამრიგად, მუსოლინის მხრიდან უსიტყვო თანხმობის მიღების შემდეგ, ფიურერმა 12 მარტს გერმანული ჯარები ავსტრიაში გაგზავნა, სადაც მათ ავსტრიული სამხედრო ძალების წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. შუშნიგის მიმართვამ რჩევის მისაღებად საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისათვის ცხადყო, რომ არც პარიზს და არც ლონდონს მუსოლინიზე მეტად არ სურდათ, ევროპული ომის რისკის ფასად, ავსტრიის დასახმარებლად კონფლიქტში ჩართვა. 10 აპრილს ჩატარებულმა გაყალბებულმა პლების-



ადოლფ ჰიტლერი (1889-1945) პერმან გერინგთან ერთად რაიხსკანცლარიაში, 1938: ეროვნებით ავსტრიელმა ახლახან განახორციელა გერმანულენოვანი ავსტრიის გერმანიასთან მიერთება და ამზადებს ჩეხოსლოვაკიის გერმანულენოვანი სუდეტენლანდის რეგიონის ანექსიას. ორივე ამ ქმედებას ჰიტლერი ცინიკურად ამართლებდა პრეზიდენტ უილსონისეული ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპით.

ციტმა პიტლერის დაბადების ადგილსა და მოგვიანებით შექნილ სამშობლოს შორის გაერთიანებისადმი უზარმაზარი მხარდაჭერა აჩვენა.

იმპერიული იაპონია

ცენტრალურ ევროპაში ექსპანსიის პოლიტიკისადმი იტალიის თანხმობის მოპოვების პარალელურად, გერმანია თანდათან გულითადად უმეგობრდებოდა შორეული აღმოსავლეთის ამომავალ იმპერიულ ძალას. აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის იმპერიული ამბიციების წაქეზებით, გერმანია სარგებლობდა იმ ზენოლით, რომელსაც ასეთი ექსპანსია ახორციელებდა მისი მთავარი ევროპელი მონინააღმდეგეების აზიურ სამფლობელოებზე. დიდი ბრიტანეთისგან ნაკლებად მოსალოდნელი იყო გერმანიასთან დაპირისპირება ამ უკანასკნელის პოლიტიკის გამო ცენტრალურ ევროპაში, თუ ამავე დროს ადგილი ექნებოდა ბრიტანული იმპერიული ინტერესების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას იაპონიის მხრიდან დასავლეთ ნყნარ ოკეანეში და იტალიის მხრიდან – ხმელთაშუა ზღვაში. 1936 წლის თებერვალში საფრანგეთის პარლამენტის მიერ საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების რატიფიკაციამ კიდევ უფრო წარმოაჩინა ტოკიოსა და ბერლინს შორის ინტერესების თანხვედრა. ერთობლივი ძალებით გერმანია და იაპონია გარკვეულწილად შეზღუდვადგნენ საბჭოთა კავშირს როგორც მის დასავლურ, ასევე აზიურ ფლანგზეც, რითაც ორივე ისარგებლებდა. შესაბამისად, 1936 წლის 25 ნოემბერს იაპონიისა და გერმანიის მთავრობებმა დიდი ზარ-ზეიმით საჯარო გახადეს შეთანხმება, რომელსაც ანტიკომუნისტური პაქტი უწოდეს. პაქტის მიზანი, თითქოს, კომუნისტური ინტერნაციონალისა და ყველა ქვეყანაში მისი პოლიტიკური აპარატის დივერსიული ქმედებების აღკვეთისათვის თანამშრომლობა იყო. თუმცა, ვინაიდან გერმანიასაც და იაპონიასაც დიდი ხნით ადრე აეკრძალათ კომუნისტური პარტიები, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეთანხმება მოიცავდა საიდუმლო დებულებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1937 წლის 6 ნოემბრის შეთანხმებით იტალიის მიერთების შემდეგ, მსოფლიო, სამ ექსპანსიონისტურ სახელმწიფოს შორის გლობალური კოალიციის შედეგად, მომავალი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსია 1938 წლის გაზაფხულზე უშუალო საფრთხეს უქმნიდა ჩეხოსლოვაკიას, რომელიც მის დასავლეთ საზღვრებთან განლაგებული და იერიშისთვის მზადმყოფი გერმანული არმიის პირისპირ აღმოჩნდა. პიტლერმა ზედმეტი დროის დაკარგვის გარეშე ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ბლიცკრიგის განხორციელებისათვის საფუძვლის შემზადება დაიწყო. კერძოდ, მომდევნო ზაფხულში მან გაშმაგებული პროპაგანდა წამოიწყო ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წინააღმდეგ, ბოჰემიის გერმანიასთან მოსაზღვრე რეგიონებში სამი მილიონი გერმანულენოვანი მოსახლეობის დე-

ვნის დაუსაბუთებელი ბრალდებით. სუდეტელი გერმანელების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი დაკავშირებული იყო იმ უპირატესობასთან, რომელიც ჩეხურენოვან მცხოვრებლებს საჯარო მოხელეებად აყვანისას ენიჭებოდათ: – დისკრიმინაციული პრაქტიკა, რომელიც დეპრესიის წლებში გერმანულენოვანი მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა და რასაც ოსტატურად იყენებდა ბერლინი. ომისთვის გამზადებულმა ფიურერმა სუდეტების გერმანული პარტიის ლიდერს, კონრად ჰენლაინს დაავალა ჩეხოსლოვაკიის მთავრობისგან მოეთხოვა დათმობები, რომლებსაც, როგორც თავადაც იცოდა, მათგან ვერ მიიღებდა. ეს დათმობები, რომლებიც ამ გერმანულენოვანი რეგიონის პოლიტიკური ავტონომიით დასრულდებოდა, თავისთავად გერმანიის მიერ მისი ანექსიის პრელუდია უნდა გამხდარიყო. სუდეტენლანდის დაკარგვა ჩეხოსლოვაკიას გერმანიისგან თავდასაცავ საზღვარსა და კომპლექსურ სასაზღვრო სიმაგრეებს წაართმევდა, რაც ამ შუაზე გაჭრილ ქვეყანას დაუცველს ტოვებდა გერმანიის სამხედრო ინტერვენციის წინაშე, რისგანაც მას ვერც ბუნებრივი და ვერც ხელოვნური ბარიერები ვეღარ დაიცავდა. გარდა ამისა, ეს შექმნიდა პრეცედენტს ამ „პოლიგლოტი“ ქვეყნის სხვა ეროვნული უმცირესობების – ტეშინის პოლონელების, სლოვაკეთის სამხრეთით უნგრელების, კარპატიის უკრაინელების და სულ უფრო და უფრო უკმაყოფილო სლოვაკების – მიერ მსგავსი მოთხოვნების წამოსაყენებლად. ამის გარდაუვალი შედეგი კი 1918 წელს შექმნილი ამ მრავალეროვნული სახელმწიფოს დაშლა იქნებოდა.

დაშოშმინების პოლიტიკა ჩეხოსლოვაკიის ხარჯზე

ვინაიდან გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაშინების პოლიტიკა ძლიერდებოდა და თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ ჰიტლერი მზად იყო ძალის გამოყენებით დაენყო ანექსიური მიზნების განხორციელება, საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობები იძულებული გახდნენ, განემარტათ თავიანთი პოლიტიკა ცენტრალურ ევროპაში გარდაუვალ კრიზისთან მიმართებაში. ივლისში, პარიზში, ჩეხ საგარეო საქმეთა მინისტრს კერძო საუბრისას განუმარტეს, რომ საფრანგეთს არ სურდა სუდეტენლანდის გამოომში მონაწილეობა, თუმცა საჯაროდ და გარეგნულად იგი ერთგული დარჩებოდა ფრანგულ-ჩეხოსლოვაკიური ალიანსის მიმართ. საფრანგეთის საჰაერო ძალების სავალალო მდგომარეობამ, გერმანიის ყველაზე იოლად მისაწვდომი ინდუსტრიული სამიზნეებისაკენ ტრანზიტზე ბელგიის უარმა, გერმანიის არმიისა და რაინლანდის თავდაცვითი სიმაგრეების სიძლიერის შესახებ გადაჭარბებულმა შეფასებებმა საფრანგეთის ამ შიშნარევი პოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბრიტანეთის მთავრობა, რომლისათვისაც უცნობი იყო პარიზის უარი პრალის მიმართ აღებულ ვალდებულებებზე,


მეშფოთებით უყურებდა, ბრიტანეთის ინტერესებისათვის უმნიშვნელო საკითხის გამო, საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაწყებულ ომში ჩათრევის პერსპექტივას. ბრიტანელი ლიდერები ყოველგვარ დიპლომატიურ ხერხს მიმართავდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ გერმანიის საჰაერო იერიშები ბრიტანეთის ქალაქებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არაადაეკვატურად იყვნენ აღჭურვილი ანტისაჰაერო თავდაცვითი საარტილერიო სისტემებითა და სარადარო დანადგარებით, რომელთა მშენებლობა კვლავაც მიმდინარეობდა. სუდეტების გერმანულ პარტიასთან შეთანხმების მიღწევისათვის საფრანგეთისა და ბრიტანეთის მხრიდან ზენოლამ აიძულა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედუარდ ბენეში ამ პარტიის ყველა ძირითადი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, რაც მან 5 სექტემბერს განახორციელა. მაგრამ, ვინაიდან ჰიტლერის მიზანი იყო ომი და არა პოლიტიკური შეთანხმება – როგორც არ უნდა ყოფილიყო ის – მან დაავალა სუდეტენლანდის გერმანული პარტიის ლიდერს პრეტენზიების ახალი სიის შედგენა, რომელსაც ფიურერი ომისათვის საბოლოო მზადყოფნისას გამოიყენებდა.

ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ნევილ ჩემბერლენის სურვილმა, სიტყვაზე ნდობოდა ჰიტლერს, ეს უკანასკნელი განუხორციელებელი სამხედრო ინტერვენციის მიზნის ამარა დატოვა. მისი თაობის ბევრი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწის მსგავსად, ჩემბერლენზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მისი ახალგაზრდობისას მომხდარმა ორმა მოვლენამ: პირველმა მსოფლიო ომმა და პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ. ის იზიარებდა ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები დაშვებულმა შეცდომებმა მიიყვანეს ომამდე, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო უფრო ოსტატური და აქტიური დიპლომატიის გზით. მას ასევე სჯეროდა, რომ ომში გამარჯვებული მოკავშირეები ცუდად მოექცნენ გერმანიას პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, როდესაც უარი უთხრეს მას აღმოსავლეთის საზღვრების დელიმიტაციისას ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენებაზე. 1938 წლის ჩეხოსლოვაკიის კრიზისი ორივე ამ მოსაზრებას უყრიდა თავს, რის გამოც ჩემბერლენმა გადაწყვიტა, საბოლოო ძალისხმევა გაენია მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილების მიზნით და პირისპირ მოლაპარაკებოდა ჰიტლერს, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა პრობლემა, რომელსაც იგი ჩეხოსლოვაკიის მიმართ გერმანიის სამართლიან პრეტენზიად მიიჩნევდა. 15 სექტემბერს, ანუ ორი დღის შემდეგ, რაც სუდეტების გერმანული პარტიის ლიდერმა ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან მოლაპარაკების მაგიდა დატოვა და ამით ომის დაწყებას შეუქმნა საფუძველი, ჩემბერლენი პირველად ჩაჯდა თვითმფრინავში და ჰიტლერის მოსანახულებლად გაფრინდა მის კერძო სახლში, ბავარიის ალპებში მდებარე ბერხტესგადენში.

იქ მან ჰიტლერისაგან მიიღო სუდეტენლანდის გერმანიისათვის გადაცემის მოთხოვნა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე და

დაბრუნდა ლონდონში, სადაც შეეცადა საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლების დარწმუნებას, დათანხმებოდნენ ამ მშვიდობიან გამო-სავალს. სკეპტიკურად განწყობილი ფრანგი პრემიერმინისტრ ედუარ დალა-დიეს მხარდაჭერის მიღების მიზნით, ჩემბერლენმა დრამატული ცვლილება-კი შეიტანა ბრიტანეთის საუკუნისდროინდელ საგარეო პოლიტიკაში და დას-თანხმდა, ყოფილიყო ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების დაცვის გარანტი. პრალის მთავრობამ თავდაპირველად გაბრაზებულმა უარყო ანგლოფრან-გული წინადადება, თუმცა, მოგვიანებით, დაეთანხმა მას, როდესაც ბრი-ტანეთის მიერ სამშვიდობო ძალისხმევების შეწყვეტის საფრთხისა და ომის შემთხვევაში ფრანგების მიერ დახმარებაზე კიდევ ერთი უარის წინაშე აღ-მოჩნდა. როდესაც ჩემბერლენი 22 სექტემბერს გოდესბერგში დაბრუნდა, რათა ეცნობებინა ჰიტლერისათვის, რომ მისი მოთხოვნები გაზიარებული იყო ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, ფიურერმა თავადვე თქვა უარი მის მიერ ადრე შეთავაზებულ შეთანხმებაზე. სუდეტენლანდში გაუარესე-ბული პოლიტიკური ვითარება გერმანიის გადაუდებელ ჩარევას მოითხოვდა. გოდესბერგში ჰიტლერის მიერ სიტყვის გატეხვამ დიპლომატიის მომხრე ბე-ვრი ბრიტანელი და ფრანგი პოლიტიკოსი მტკიცე პოლიტიკური ხაზის გამტა-რებლებად აქცია და უეცრად მეტი თავდაჯერებულობა შემატა ჩემბერლენსა და დალადიეს, რომელთაც გადაწყვიტეს, ომის რისკის ფასადაც კი, მკაცრად დაეცვათ თავიანთი პოზიცია. 27 სექტემბერს საფრანგეთმა არმიის, ბრი-ტანეთმა კი საზღვაო ფლოტის მობილიზაცია გამოაცხადა. ლონდონისა და პარიზის პარკებში დაიწყეს სანგრების თხრა, აირწინალების დარიგება და ბავშვების სოფლებში ევაკუაცია. ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიაზე იერიშის დაწყება 30 სექტემბრის დილისათვის ბრძანა.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ, ზემოთ აღწერილი სტრატეგიული და გეო-გრაფიული მიზეზების გამო, ომი ჩეხოსლოვაკიის დამარცხებით დასრულ-დებოდა. საფრანგეთის საომარი გეგმა ითვალისწინებდა ფრანგული არმიის შესვლას რაინლანდში, რასაც ზამთარში ტაქტიკური უკანდახევა უნდა მო-ჰყოლოდა მაჟინოს ხაზის გასწვრივ. ბრიტანეთის მთავრობას კონტინენტზე მხოლოდ ორი, ცუდად აღჭურვილი დივიზიის გაგზავნა შეეძლო. საბჭოთა კავშირის ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ შედიოდა ძალაში, როცა ჩეხოსლოვაკიას საფრანგეთი გაუნევედა დახმარებას. მოსკოვს პრალის დახმარება მხოლოდ საჭიერო გზით შეეძლო, პოლონელებისა და რუმინელების ბარიერის გამო, და, შესაბამისად, არც გაუტარებია საყოველთაო მობილიზაციისათვის აუცილებელი წინასწარი ზომები. ბრიტანელების, ფრანგებისა და რუსების მხარდაჭერის მიუხედავად, ჩეხოსლოვაკიის უიმედო მდგომარეობა აშკარა ხდებოდა და სახელმწიფო მოღვაწეებმაც ლონდონსა და პარიზში ვითარების აბსურდულობის გაცნო-ბიერება დაიწყეს: ჩეხოსლოვაკია მალე განადგურდებოდა და ევროპაში იწყე-



პიტლერი და ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ნევილ ჩემბერლენი (1869-1940) მეორედ ხვდებიან ერთმანეთს, პიტლერის სასტუმრო ოთახში, გერმანიის ქალაქ ბად გოდესბერგში, 1938 წლის 22 სექტემბერი: ფოტოზე მარცხნივ ჩანს სერ ნევილ პენდერსონი, ბრიტანეთის ელჩი გერმანიაში, რომელიც დაშოშმინების პოლიტიკის მთავარი მხარდაჭერი იყო. გოდესბერგში მიღწეულ კომპრომისზე პიტლერის უარის შემდეგ, მიუნხენში ერთ კვირაში შედგა მესამე შეხვედრა (იტალიელი და ფრანგი კოლეგების მონაწილეობით).

ბოდა ომი – ტერიტორიული ტრანსფერის შესახებ ადრე შეთანხმებული გეგმის განხორციელების ტრივიალური დეტალების გამო.

ომისათვის მზადების პარალელურად, ჩემბერლენმა და დალადიემ მშვიდობიანი გამოსავლის ძიება განაგრძეს. ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დაარწმუნა მუსოლინი, ომის თავიდან ასაცილებლად, ბოლო შეხვედრის მოსაწყობად პიტლერს მოლაპარაკებოდა. მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზებით, ფიურერი დასთანხმდა მობილიზაციის დაწყების გადადებას და ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ლიდერების შეხვედრის მასპინძლობას მიუნხენში, 29 სექტემბერს. მის ამ გადაწყვეტილებაზე, შესაძლოა, გავლენა მოახდინა მუსოლინის მერყევმა პოზიციამ, მისი გენერლების არასაკმარისმა ენთუზიამ, ან ჩემბერლენისა და დალადიეს უარმა, შორიდან ედევნებინათ თვალყური გერმანიის მიერ სუდეტების კრიზისის სამხედრო გზით მოგვარებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, მას ყველა მიზეზი ჰქონდა, ეფიქრა, რომ გოდესბერგის მოთხოვნებს შეუსრულებდნენ, ხოლო მათი განხორციელება ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს დაშლას გამოიწვევდა.

მიუნხენის შეთანხმება

მიუნხენის კონფერენცია, რომელშიც, გერმანიის დაუინებელი მოთხოვნით, არ მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკია და მისი მოკავშირე – საბჭოთა კავშირი, დასრულდა შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ძალების ევაკუაციას სუდეტენლანდიდან პირველიდან ათ ოქტომბრამდე, რასაც მოჰყვებოდა გერმანული სამხედრო ძალების მიერ ოთხ ეტაპად მათი ჩანაცვლება. საერთაშორისო კომისია ჩაატარებდა პლებისციტებს სადავო რეგიონებში და დაანესებდა ახალ საზღვარს ორ ქვეყანას შორის. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა საკუთარ თავზე აიღეს ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების ურღვეობის გარანტირება არაპროვოცირებული აგრესიის წინააღმდეგ, ხოლო გერმანია და იტალია მსგავსი გარანტიების პირობას მას შემდეგ იძლეოდნენ, რაც სამართლიანად მოგვარდებოდა პოლონეთისა და უნგრეთის ტერიტორიული პრეტენზიები. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ეს შეთანხმება 30 სექტემბერს ულტიმატუმის სახით წარუდგინეს და უარი უთხრეს წერილობითი წინააღმდეგობის გამოხატვაზეც კი, რისი უფლებაც გერმანიას 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ჰქონდა. დასავლელი მოკავშირეებისგან მიტოვებულმა და ომის (რომელსაც იგი ვერ მოიგებდა წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში) საფრთხის წინაშე მდგარმა პრალის მთავრობამ მორჩილად მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომელიც, როგორც თავადაც კარგად იცოდნენ, იმავდროულად, მათი სიკვდილის განაჩენი იყო.

დედაქალაქებში დაბრუნებულ ჩემბერლენსა და დალადიეს ხალხი მადლიერების ეიფორიაში დახვდა იმის გამო, რომ მათ თავიდან აიცილეს, შორეულ ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებული ბნელით მოცული დავის გამო, საფრანგეთისა და ბრიტანეთის გერმანიასთან ომში ჩაბმა, რომელიც არცერთ ქვეყანას არ სურდა და რომლისთვისაც არცერთი არ იყო მზად. მათთვის, ვისაც სჯეროდა ჰიტლერის ხშირი განცხადებისა, რომ მისი მიზანი აღმოსავლეთ ევროპაში გერმანული წარმომობის მოქალაქეებით დასახლებული ტერიტორიების გერმანიასთან მიერთება იყო, მიუნხენის კონფერენციას უნდა ამოეწურა გერმანიის პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიის მიმართ – რომელსაც გერმანულენოვანი ტერიტორია ჩამოეჭრა – და რეგიონში სტაბილურობა უნდა მოეტანა. მათ როგორღაც უყურადღებოდ რჩებოდათ ფიურერის გამოსვლებისა და ნაწერების ის მონაკვეთები, სადაც ის თავის საბოლოო მიზანს აყალიბებდა, რაც მდგომარეობდა არა ჩაგრული გერმანელების უცხოური მმართველობიდან გათავისუფლებაში, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის დასავლეთ ნაწილის დაქვემდებარებაში ბერლინის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მმართველობისადმი. ინგლისსა და საფრანგეთში იყვნენ ადამიანებიც, რომლებსაც ერჩიათ და აქეზებდნენ კიდევ ჰიტლერის ექსპანსიონისტური ენერჯის გადატანას აღმოსავლეთ ევროპაში იმ ქვეყ-


ნებზე, რომელთა მიმართაც მათ ან მცირე ინტერესი, ან, საბჭოთა რუსეთის შემთხვევაში, სერიოზული ზიზლი ჰქონდათ. მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერები, რომლებმაც მიუნხენში ჰიტლერთან მოლაპარაკებები აწარმოეს, არ მიეკუთვნებოდნენ გერმანიის დაშოშმინების ენთუზიასტთა ამ ჯგუფს. მათ მართლაც სჯეროდათ, – ჩემბერლენს უფრო მეტად, ვიდრე უფრო სკეპტიკურად განწყობილ დალადიეს, – რომ სუდეტენლანდის ანექსია მოხსნიდა უკანასკნელ დაბრკოლებას გერმანიის ვერსალის სისტემაში ინტეგრაციისათვის, რომელიც ამჟამად უკვე მისი სურვილის შესაბამისად იყო შესწორებული.

კონტინენტის ტერიტორიული სტატუსის უზრუნველყოფის ნაცვლად, მიუნხენის შეთანხმებამ ევროპაში დეზინტეგრაციის პროცესი დააჩქარა, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ძალთა ბალანსს გერმანიისკენ გადახრიდა. ტერიტორიების ჩამოჭრის შედეგად ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრიობა ისეთი არასაიმედო გახდა, რომ შეუძლებელი ხდებოდა მისი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, არსებობა. გერმანიის მიერ სუდეტენლანდის ანექსია და შემდეგ პოლონეთის მიერ, შესაბამისად, ტეშინის რაიონის, ხოლო სლოვაკიის ნაწილის უნგრეთის მიერ მიერთებამ სერიოზულად შეარყია პრალაში ხელისუფლების ავტორიტეტი. სეპარატისტულ მღელვარებას მოეცვა სლოვაკებიც, რომლებიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ და შენუხებულნი იყვნენ ჩეხების პოლიტიკურად პრივილეგირებული მდგომარეობით, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს ბერლინი. დასავლეთის საზღვრის გასწვრივ უზარმაზარი თავდაცვითი სიმაგრეების დაკარგვა, დანაწევრებულ ჩეხოსლოვაკიას გერმანიის დაუბრკოლებელი სამხედრო აგრესიის იოლ მსხვერპლად აქცევდა. როგორც კი მიუნხენის შეთანხმება ძალაში შევიდა, ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური დეზინტეგრაციისა და მისი გერმანიასთან მიერთების ხელის შეშლა შეეძლო მხოლოდ ჰიტლერის სურვილს, დაეცვა შეთანხმების დებულებები, ან დასავლეთის სახელმწიფოების მზადყოფნას, აღესრულებინათ ის. პირველი შესაძლებლობა გამორიცხული იყო გერმანიის ლიდერის გეგმის გამო, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, ჩეხოსლოვაკიის სრულ განადგურებას – რითაც შემზადდებოდა ომი დასავლეთით საფრანგეთის დასამარცხებლად – და, მეორე მხრივ, კონტინენტიდან ბრიტანეთის გაძევებას, რაც გზას გაუხსნიდა გერმანიის სამხედრო ძალებს მეტი ტერიტორიის მიტაცებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში და რაც ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო. მეორე პერსპექტივას – ანგლოფრანგულ ეფექტურ თანამშრომლობას გერმანიის მიერ მიუნხენის შეთანხმების დარღვევის შესაკავებლად – აფერხებდა გეოგრაფიული და სტრატეგიული დაბრკოლებები, რაც შეუძლებელს ხდიდა არსებულ ვითარებაში ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო ძალებს წინააღმდეგობა გაენიათ გერმანიისათვის.

დაქუცმაცებულ ჩეხოსლოვაკიაზე მიუნხენის შეთანხმების გამანადგურებელი შედეგები აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც იგრძნობოდა. საფრანგეთის სურვილმა, გაეწირა რეგიონში თავისი ყველაზე ძლიერი და სანდო მოკავშირე, ჩეხოსლოვაკიის თანამოაზრე ქვეყნები მცირე ანტიანტიდან აიძულა, დაეჩქარებინათ საგარეო პოლიტიკის რეორიენტაცია გერმანიასთან მეტი თანამშრომლობისკენ. საფრანგეთის მიერ ჩეხოსლოვაკიის მიტოვებით აღშფოთებულმა და უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მხრიდან ტერიტორიული მთლიანობის წინაშე მდგარი საფრთხეებით შეფიქრიანებულმა რუმინეთმაც გერმანიასთან დაახლოება განაგრძო, რაც რეგიონში საფრანგეთის უფრო ადრეული დათმობების შემდეგ დაიწყო. 1938 წლის 10 დეკემბერს ხელმოწერილი ეკონომიკური შეთანხმება გერმანიას რუმინული ნავთობით სარგებლობის უფლებას აძლევდა (სინთეტიკურად წარმოებული არასაკმარისი ქვანახშირის მარაგის შესავსებად) და რუმინული ჭარბი სურსათითაც ამარაგებდა (გერმანიის ყოველწლიური სასურსათო დეფიციტის საკომპენსაციოდ). იუგოსლავია, რომელიც ასევე უნგრეთის რევიზიონისტული მოთხოვნების სამიზნე იყო და ადრიატიკის სანაპიროზე იტალიის მუდმივი ტერიტორიული ამბიციების საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, გერმანიასთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას და რევიზიონისტი მეზობლების მოსათოკავად ჰიტლერის გავლენით სარგებლობას შეეცადა. უნგრეთი სწრაფად მოერგო აღმოსავლეთ ევროპაში ახალ პოლიტიკურ რეალობებს და გერმანიის საგარეო პოლიტიკასთან სწორება ანტიკომინტერნის პაქტთან მიერთებითა და ერთა ლიგიდან გასვლით გამოხატა. ჯილდოს სახით უნგრეთმა გერმანიისგან მიიღო უფლება, მოეხდინა ჩეხოსლოვაკიის უკიდურესი აღმოსავლეთი ტერიტორიის – კარპატო-უკრაინის (რუტენიის) – ანექსია, სადაც ბევრი უნგრელი ცხოვრობდა.

პრალაში შესვლა და მუქარა პოლონეთს

აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის პატარა ქვეყნებზე გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური დომინირების პროცესი 1939 წლის 15 მარტს ჰიტლერის მიერ მიუნხენის პაქტის ფეხქვეშ გათელვით დასრულდა. ამ დღეს სლოვაკი უმცირესობის უკმაყოფილება ჩეხი მმართველი ელიტის მიმართ გამოყენებულ იქნა გერმანიის მიერ პრალის სამხედრო ოკუპაციის პრეტექსტად. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, სადაც ჩეხები ცხოვრობდნენ, მალე გერმანიის პროტექტორატად გადაკეთდა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი – სლოვაკიის სატელიტ სახელმწიფოდ. დუნაის აუზში გერმანიის სამხედრო ძალის ასე ეფექტურად და ძალისხმევით გარეშე გაფართოების შედეგად, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ყველა სახელმწიფო, ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით, ცდუნების ან დაშინების გზით დასთანხმდა გერმანიის ჰეგემონიას კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილზე. რუმინეთი და იუგოსლავია,



ჩეხოსლოვაკიის გაყოფა, 1938-1939

ჩეხოსლოვაკიის ყოფილი მოკავშირეები და საფრანგეთის კლიენტის სახელმწიფოები, გერმანიის ეკონომიკურ და დიპლომატიურ მორჩილებაში აღმოჩნდნენ. გერმანიის გავლენის სფეროში მყარად მოქცეული უნგრეთი და რუმინეთი კი ჰიტლერის აგრესიული ქმედებების მხარდაჭერას განაგრძობდნენ.

მიუნხენის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპაში ამ პროგერმანული რეორიენტაციის ერთადერთი გამონაკლისი, გერმანიის რევიზიონიზმის პირველი მხარდამჭერი და მისგან ყველაზე მეტი სარგებლის მქონე, პოლონეთის საგარეო პოლიტიკა იყო. ბერლინის ტაქტიკური ფლირტი ვარშავასთან, რომელიც 1934 წლის თავდაუსხმელობის შეთანხმების ხელმოწერით დაიწყო და 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიული დანაწილების საქმეში თანამშრომლობით გაგრძელდა, დაკავშირებული იყო ჰიტლერის მიზანთან, გამოეყენებინა პოლონეთი ჯერ, როგორც თანამონაწილე ჩეხეთიდან მომდინარე საფრთხის გასაუვნებელყოფად და შემდეგ, როგორც ბარიერი შესაძლო საბჭოთა ინტერვენციის წინააღმდეგ გერმანიის სამხედრო იერიშისას დასავლეთით. პოლონეთის მთავრობა განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებოდა ჰიტლერის მოთხოვნას, რომ ვარშავას საჯაროდ ელიარებინა მისი მორჩილება გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიმართ და შეერთებოდა ანტიკომინტერნის პაქტს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მმართველი ელიტა კომუნიზმის მედგარი მოწინააღმდეგე და საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მტერი იყო, იგი ჯიუტად ამბობდა უარს ამ სიმბოლურ უესტზე, რადგან ეს გერმანიასა და რუსეთს შორის ბალანსის მყიფე პოლიტიკას დაასრულებდა, რომელსაც პოლონეთი პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ახალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ ახორციელებდა. ეროვნულ სიამაყესთან დაკავშირებული მიზეზების გამო, პოლონელებს არ სურდათ ჩეხების ბედის გაზიარება.

პოლონეთის უარმა, ლიად გამოეხატა თავისი მორჩილება გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიმართ, გერმანიის სამხედრო ძალების პრაღაში შესვლის შემდეგ, აიძულა ჰიტლერი, გადაეხედა პოლონეთისადმი თავისი დამოკიდებულებისათვის და, შესაბამისად, შეეცვალა ევროპის დამორჩილების თავდაპირველი განრიგი. აღმოსავლეთით არასანდო პოლონეთის პირობებში, ჰიტლერი თავს უფლებას ველარ მისცემდა განეგრძო საფრანგეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადება, როგორც მას თავდაპირველად ჰქონდა ჩაფიქრებული, მას შემდეგ, რაც გააუვნებელყოფდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო საფრთხეს და დაეპატრონებოდა მის ღირებულ შეიარაღებასა და ნედლეულ რესურსებს. შესაბამისად, ფიურერმა გადაწყვიტა, რომ ომს დასავლეთის მიმართულებით პოლონეთის დამარცხებამდე მოუწევდა მოცდა – პოლონეთის, რომელიც ერთდერთ ურჩ ქვეყნად რჩებოდა გერმანიის აღმოსავლეთით. ვინაიდან, განსხვავებით მისი აღმოსავლეთეევროპელი მეზობლებისგან, არ ხერხდებოდა არც გადაბირებით და არც დაშინებით ვარშავის მთავრობის დაყოლიება გერმანიის კონტინენტური ჰეგემონიის გეგმე-

ბზე, აუცილებელი იყო პოლონეთის განადგურება მანამ, სანამ ადგილი ექნებოდა გერმანიის გარდაუვალ დაპირისპირებას დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პოლონეთზე სამხედრო იერიშის გადანყვებილება, 1939 წლის გაზაფხულზე, ყველა ის უკმაყოფილება, რომელიც მიჩუმებული იყო პოლონურ-გერმანული დეტანტის დროს, კვლავ აქტუალური გახდა. დანციგში (გდანსკში) გერმანელების მიმართ თითქოსდა ცუდი მოპყრობა და აღმოსავლეთ პრუსიის დანარჩენი რაიხისგან ჩამოშორებით გამოწვეული ეკონომიკური გართულებები კიდევ ერთხელ გახდა ბერლინიდან მწვავე პროტესტის მიზეზი. გერმანელების მოთხოვნებს დანციგში გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენისა და აღმოსავლეთ პრუსიაში დერეფნის ექსტრატერიტორიული გზისა და რკინიგზის დერეფნის გაყვანის შესახებ, პოლონური მხარისგან ისეთივე ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე უარი ხვდებოდა, როგორც ჰიტლერის ადრინდელ მცდელობებს, გადაებირებინა პოლონეთი ანტიკომინტერნის პაქტზე ხელმოწერისაკენ. პოლონეთი ერთადერთი სახელმწიფო იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, რომელიც მზად იყო დაეცვა თავისი ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

მთავარი ფაქტორი, რამაც პოლონეთის პოზიციის კიდევ უფრო განმტკიცება განაპირობა, მიუნხენის შეთანხმების ჩაშლის შემდეგ, გერმანიის მიმართ ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკის უეცარი ცვლილება იყო – დაშოშმინებიდან წინააღმდეგობისკენ. მიუნხენიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემბერლენმა და დალადიემ სიფრთხილისთვის გარკვეული ზომები მიიღეს იმ შემთხვევაში, თუკი აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის შესანარჩუნებლად მიღებული შეთანხმება დიდხანს ვერ გაძლებდა. 1939 წლის დასაწყისში დიდმა ბრიტანეთმა მნიშვნელოვნად ააჩქარა შეიარაღების ტემპი და ბოლოსდაბოლოს კონტინენტზე საექსპედიციო სამხედრო ძალის განლაგებისათვის მკაფიო გეგმის შემუშავება დაიწყო. საფრანგეთი კი შეუდგა საჰაერო სამხედრო ძალებში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრას და ამისთვის შესაბამისი სამხედრო თვითმფრინავების შეკვეთაც კი განახორციელა შეერთებულ შტატებში, რაზეც წინასწარ რუზველტის მთავრობის არაფორმალური თანხმობა მიიღო. მაგრამ ფუნდამენტური ცვლილება ანგლოფრანგულ საგარეო პოლიტიკაში ჰიტლერის გერმანიის მიმართ, ამ უკანასკნელის მიერ პრალის ოკუპაციამ გამოიწვია. ოცდაათიან წლებში ჰიტლერის მიერ განხორციელებული ტერიტორიული ექსპანსიის შემთხვევებისგან განსხვავებით, პრალაში შესვლა არაგერმანული მოსახლეობის ჩაგვრის საბაბის გარეშე მოხდა, რაც ვერ იქნებოდა გამართლებული ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპით, რომელსაც ჰიტლერი მანამდე მიმართავდა რაინლანდთან, ავსტრიასა და სუდეტენლანდთან მიმართებაში. საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა მიუნხენის შეთანხმებას, რადგან შეთანხმებაზე თითოეული ხელმომწერი ამ დოკუმენტს აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიის ტერიტორიული პრეტენზიების საბოლოო მოგვარე-

ბად ასალებდა. რამდენიმე თვეში ჰიტლერის მიერ ამ შეთანხმების დარღვევა ლონდონსა და პარიზში ღალატად იქნა აღქმული და საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, რომ აღარ გაემეორებინათ იგივე შეცდომა მომავალშიც. როგორც მიუნხენის შეთანხმების მთავარმა არიქტექტორმა, ჩემბერლენმა სასწრაფოდ გამოიწვია თავისი ელჩი ბერლინიდან და მკაცრი საპროტესტო ნოტა გამოსცა. 18 მარტს, პრალის დაცემიდან სამი დღის შემდეგ, ბრიტანეთი და საფრანგეთის მთავრობები დაუკავშირდნენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის და თურქეთის მთავრობებს გერმანიის შემდგომი აგრესიებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ერთიანი კოალიციის შექმნის წინადადებით. მალე აშკარა გახდა, რომ ჰიტლერის შემდგომი აგრესიული ნაბიჯის მსხვერპლი პოლონეთი ხდებოდა – აღმოსავლეთ ევროპის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც უარი განაცხადა საკუთარი პოლიტიკის გერმანიის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაზე და ამით გერმანიას სამხედრო ძალის ძირითადი ნაწილის დასავლეთზე კონცენტრაციის ფუფუნება წაართვა. აქედან გამომდინარე, ბრიტანეთის მთავრობამ 1939 წლის გაზაფხულზე ორი უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, რაც ასახავდა მის ახლადმიღებულ გადაწყვეტილებას, ადგილზევე აღმოეფხვრა გერმანიის აგრესია. 1939 წლის 31 მარტს ბრიტანეთმა საჯაროდ მისცა პირობა, რომ დაცავდა პოლონეთის ტერიტორიულ მთლიანობას. 26 აპრილს კი ბრიტანეთის მთავრობამ პარლამენტს ნებართვა სთხოვა საყოველთაო სამხედრო განვევის შემოღების თაობაზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ბრიტანეთმა სამხედრო დახმარება აღუთქვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას და სამხედრო-სავალდებულო სამსახური შემოიღო მშვიდობიანობის დროს. მსგავსი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელი არ იყო საფრანგეთისათვის, რომელსაც უკვე ჰქონდა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები პოლონეთის მიმართ და წვევამდელების დიდი არმიაც ჰყავდა.

ძველი, სამხრევი ანტანტის აღორძინების წარუმატებელი მცდელობა

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომელთა ანტიგერმანულ ბლოკში გაერთიანებასაც ბრიტანეთი ასე დაგვიანებით, 1939 წლის გაზაფხულზე, შეეცადა ამ დროისთვის უკვე სრულიად შეუფერებელი იყვნენ ასეთი წინადადებისთვის. რუმინეთი და იუგოსლავია როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურადაც უკვე ზედმეტად ახლოს იყვნენ დაკავშირებული გერმანიასთან იმისთვის, რომ პოლონეთის დაცვის სურვილი გასჩენოდათ, ხოლო საბერძნეთი და თურქეთი გეოგრაფიულად ზედმეტად დაშორებულები იყვნენ ასეთი ინიციატივისათვის. მხოლოდ საბჭოთა კავშირს ჰქონდა შესაბამისი გეოგრაფიული მდებარეობა და ადრე გამოთქმული სურვილიც, მიერთებოდა გერმანიის წინააღმდეგ ბრიტანეთისა და საფრანგეთის ერთიან ფრონტს.

თუმცა, ბრიტანეთისა და საფრანგეთის 18 მარტის თანამშრომლობის ინიციატივა განწინებული იყო პოლონეთისა და რუმინეთის უარისათვის, რომელთაც არ სურდათ ასოცირებული ყოფილიყვნენ საბჭოთა კავშირთან და არც ბრიტანეთსა და საფრანგეთს უნდოდათ ამ მხრივ ზენოლა მოეხდინათ მათზე. ერთი თვის თავზე, 17 აპრილს, სტალინი გამოვიდა ალტერნატიული ინიციატივით, შექმნილიყო სამხედრო ალიანსი საფრანგეთს, ბრიტანეთსა და რუსეთს შორის – 1914 წლის ძველი ანტანტა, – რათა უზრუნველყოთ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებლობის დაცვა გერმანიის აგრესიისგან. თუმცა, იმავე დღეს, მან ბერლინში საბჭოთა ელჩს დაავალა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსულ-გერმანული დაახლოების იდეაც გაეუღერებინა. ამრიგად, გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მიერთების შემდეგ, საბჭოთა ლიდერი ერთდროულად ორი საცდელი ინიციატივით გამოვიდა, რათა შეეფასებინა ორი დაპირისპირებული ბლოკის მიზნები და განზრახვები პოლონეთის გამო მოსალოდნელი კონფლიქტის წინ. ომისშემდგომი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ორი ურთიერთგამომრიცხავი ტრადიცია, ერთი მხრივ, გერმანიის შესაკავებლად დასავლეთის სახელმწიფოებთან სახალხო ფრონტისა და კოლექტიური უსაფრთხოების სტრატეგია და, მეორე მხრივ, დასავლეთის წინააღმდეგ გერმანიასთან კოლაბორაციონიზმის რაპალოს პოლიტიკა, სასწორზე დაიდო.

მოსკოვს ბევრი მიზეზი ჰქონდა, რომ შიშით აღექვა ევროპაში გერმანიის ჰეგემონიის შედეგები. ჰიტლერის მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიის უმონყალოდ განადგურებამ, მისმა პერიოდულმა გამოსვლებმა საერთაშორისო კომუნიზმის საფრთხეების შესახებ და ჰიტლერის ნიგნში „ჩემი ბრძოლა“ (Mein Kampf) ჩამოყალიბებულმა და შემდგომ არაერთხელ გამეორებულმა, კარგად ცნობილმა პროექტმა გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და გერმანელების დასახლებისთვის – რუსეთის დასავლეთის მიწების მიტაცების შესახებ – ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა სტალინზე და იგი 1935-1938 წლებში სახალხო ფრონტისა და კოლექტიური უსაფრთხოების იდეისთვის განაწყო. თუმცა, საფრანგეთის უარმა ფრანკო-საბჭოთა პაქტის სამხედრო ალიანსად გადაკეთებაზე, ბრიტანეთის ყოყმანმა აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიული სტატუსკვოს დაცვის ვალდებულების აღებაზე და საბჭოთა კავშირის არდაშვებამ მიუნხენის კონფერენციაზე, სტალინს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის სახელმწიფოები კეთილგანწყობით უყურებდნენ გერმანიის ექსპანსიას აღმოსავლეთით. ანტიკომუნისტური განწყობები დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, პარიზსა და ლონდონს სურვილს უკარგავდა, გამობმაურებოდნენ კრემლის არაერთ წინადადებას გერმანიის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეების კერძო კომენტარები ცხადყოფენ, რომ წითელი არმიის ეფექტურობის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება, მისი უხელმძღვანელოდ დარჩენილი სამეთაურო სტრუქტურა (1937-1938

წლებში სტალინის მიერ ჩატარებული წმენდისას, ოთხასი მაღალი რანგის ოფიცერი იქნა მოკლული) და მისი ტრანსპორტირების არაადეკვატური საშუალებები, პოლონეთისა და რუმინეთის უართან ერთად, თავიანთ ტერიტორიაზე მიეღოთ რუსული ჯარი, ზედ ერთვოდა უკვე არსებულ იდეოლოგიურ დაპირისპირებას, რაც ასეთი ფრთხილი რეაქციისთვის კარგ მოტივაციას ქმნიდა. ასეა თუ ისე, ვიდრე ბრიტანეთი და საფრანგეთი კრემლთან ერთად ჰიტლერის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნის უხერხულობას გადალახავდნენ, 1939 წლის გაზაფხულზე სტალინმა, ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, გადაწყვიტა, რომ რუსეთის დასავლეთის საზღვრების დაცვის საუკეთესო გზა გერმანიასთან დაახლოება და არა მისთვის წინააღმდეგობის განწევა იყო.

პირველი მიზეზი სტალინის ასეთი გადაწყვეტილების გახდა ინფორმაცია ჰიტლერის გეგმის შესახებ, რომ პოლონეთის დამარცხება მოსამზადებელი ეტაპი იყო არა რუსეთის, არამედ დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ასეთი დასკვნა მან ტოკიოში შესაბამის ადგილას განთავსებული ჯაშუშის მიერ მონოღებული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა, რომელიც გერმანიასა და იაპონიას შორის ანტიკომინტერნის პაქტის გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოთა სამხრეთ სამხედრო ალიანსად გადაკეთების ირგვლივ შემდგარი საიდუმლო მოლაპარაკებებისას გაცხარებული დაპირისპირების შესახებ იტყობინებოდა. როგორც ვნახეთ, იაპონელები მტკიცედ ითხოვდნენ, რომ ნებისმიერი ასეთი ალიანსი მიმართული ყოფილიყო, სპეციფიკურად და ექსკლუზიურად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (რომელიც ჩინეთში მათი მთავარი მონინააღმდეგე იყო), ხოლო ბერლინი კი უშედეგოდ ცდილობდა, შეეტყუებინა იაპონია სამხედრო ალიანსში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიპყრობილი. პოლონეთზე მოსალოდნელი იერიში გერმანიის მხრიდან რუსეთზე მომავალი თავდასხმის პირველი ეტაპი რომ ყოფილიყო, გერმანულ-იაპონური სამხედრო ალიანსი, რა თქმა უნდა, მოსკოვის სამხედრო ძალის გაცამტყერების საუკეთესო საშუალება გახდებოდა, რადგან მას ორ ფრონტზე მოუწევდა ერთდროულად მტრის მოგერიება. მიუხედავად ამისა, მართალია, ჰიტლერმა ზუსტად იცოდა იაპონელების დაინტერესების შესახებ, იგი მაინც არ იყო მზად განეხილა ქვეყნების ამგვარი განაწილება. 22 მაისს „ფოლადის პაქტის“ გაფორმებით გერმანიასა და იტალიას შორის დადასტურდა გერმანია-იაპონური მოლაპარაკებების წარუმატებლობა და გამოიკვეთა ჰიტლერის განზრახვა, აგრესიული პოლიტიკა საფრანგეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ მიემართა (სახელმწიფოები, რომლებთან დაპირისპირებისას იტალიის დახმარებას აზრი ექნებოდა).

ამრიგად, საბჭოთა კავშირს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ გაექცეოდა გერმანიის მხრიდან დაუყოვნებელ თავდასხმას, რაც არ შედიოდა პოლონეთის შემდეგ დასავლეთის ფრონტის გახსნის ჰიტლერისეულ გეგმებში. აქედან

გამომდინარე, რუსეთისთვის გაცილებით უფრო მომგებიანი იყო დასავლეთის საზღვრებზე თავდაცვითი პოზიციის დაკავება, ვიდრე ბრიტანეთთან და საფრანგეთთან სამხედრო ალიანსში შესვლა, რასაც შეეძლო გამოენვია გერმანელი დიქტატორის მიერ თავისი ევროპული ომების განრიგის გადახედვა და პოლონეთის დამარცხების შემდეგ ძალების აღმოსავლეთით – საბჭოთა კავშირისკენ მიმართვა. ეს იყო რეაქცია იმ ავ განზრახვაზე, რომელსაც სტალინი მიაწერდა დასავლელ ლიდერებს მიუნხენის შეხვედრის შემდეგ. ჰიტლერთან აღმოსავლეთ ევროპის საკითხზე შეთანხმება მის აგრესიას დასავლეთისაკენ წარმართავდა. რუსეთს შეეძლო სერიოზული უპირატესობის მიღწევა, თუკი არ ჩაერეოდა კაპიტალისტ სახელმწიფოებს შორის ომში, რომელიც, სავარაუდოდ, მათი დასუსტებითა და გამოფიტვით დასრულდებოდა. ამავდროს, ომისგან განზე დარჩენა სტალინის ძვირფას დროს ჩუქნიდა, რომელიც მას 1937-1938 წლებში მისივე პარანოიდული პოლიტიკური წმენდის შედეგად განადგურებული წითელი არმიის სამეთაურო სტრუქტურის რეორგანიზაციისთვის სჭირდებოდა. ამგვარი ტაქტიკა ასევე საშუალებას აძლევდა სტალინს, შეემზადებინა რუსული ეკონომიკა გერმანიასთან საომრად, რაც აუცილებლად მოხდებოდა მას შემდეგ, რაც ჰიტლერი დაამარცხებდა საფრანგეთს და კონტინენტიდან განდევნიდა ბრიტანეთს.

სწორედ ამ უპირატესობების მოპოვებით იყო ნაკარნახევი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ცვლილება 1939 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. 3 მაისს საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი მაქსიმ ლიტვინოვი, რომლის ებრაული წარმომავლობა და პროდასავლური პოლიტიკის მგზნებარე მხარდაჭერა ოცდაათიანი წლების შუაში შეუფერებელს ხდიდა მას ნაცისტურ გერმანიასთან მოლაპარაკებებისა და შეთანხმებისათვის, სასწრაფოდ იქნა გადაყენებული და მის ნაცვლად სტალინის ერთგული ვიჩესლავ მოლოტოვი დაინიშნა. 20 მაისს საბჭოთა კავშირის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა მოსკოვში გერმანიის ელჩს, რომ სტალინი დაინტერესებული იყო რუსულ-გერმანული, უფრო ღრმა, თანამშრომლობის „პოლიტიკური საფუძვლის“ მოსინჯვით. მომავალი სამი თვის განმავლობაში თანდათან პიკს აღწევდა ჰიტლერის პროპაგანდა პოლონეთის წინააღმდეგ, ხოლო გერმანიამ და რუსეთმა აუჩქარებლად განაგრძეს თანამშრომლობის განხილვა დაბალი დონის შეხვედრებზე. ამასობაში, 25 ივლისს, ბრიტანეთი და საფრანგეთი ბოლოსდაბოლოს შეთანხმდნენ მოსკოვში სამხედრო მისიის წარგზავნაზე, გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან ალიანსის საფუძველი რომ მოესინჯათ.

თუმცა, დასავლეთის მთავრობებმა კრემლთან მოლაპარაკებები ისე წარმართეს, რომ არც საკითხის გადაუდებლობა იკვეთებოდა და არც სურვილი, რომ ანტიგერმანულ კოალიციაში საბჭოთა კავშირს თანაბარი პარტნიორის სტატუსი ჰქონოდა. ანგლოფრანგული მომლაპარაკებელი ჯგუფის გამგზავრება ჯერ თერთმეტი დღით გადაიდო, შემდეგ კი ეს ჯგუფი გაემგზავრა



ნაცისტურ-საბჭოთა თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერა, 1939 წლის 23 აგვისტო: მარცხნიდან მარჯვნივ: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი, სტალინი, ვილჰელმ გაუსი (გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩეველი – პაქტის ავტორი, გუსტავ ჰილგერი (მოსკოვში გერმანიის საელჩოს მრჩეველი, რომელიც თარჯიმნის ფუნქციას ასრულებდა)), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიჩესლავ მოლოტოვი და გერმანიის ელჩი, გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი. პოლონეთის განაწილებისა და ბალტიის სახელმწიფოებზე სანჭოთა კონტროლის დამყარების შესახებ „საიდუმლო დამატებითი პროტოკოლის“ არსებობის დამადასტურებელი ფაქტები მხოლოდ ომის შემდეგ გახდა ცნობილი.

არა თვითმფრინავით, რომ მისია მოსკოვში ერთ დღეში ჩასულიყო, არამედ ყველაზე ნელი ტრანსპორტით – ცხრაათასტონიანი სამგზავრო-სატვირთო გემით. როგორც იქნა, 11 აგვისტოს მომლაპარაკებლებმა მოსკოვს მიაღწიეს. მისია შედგებოდა საშუალო რანგის ოფიცრებისგან, რომლებმაც ზუსტად არ იცოდნენ, მოლაპარაკებისთვის კონკრეტულად რა უფლებამოსილება ჰქონდათ. როდესაც მოლაპარაკებები დაიწყო, ინგლისელი და ფრანგი დელეგატები ცდილობდნენ გაქცეოდნენ საბჭოელების უხერხულ შეკითხვებს მათი ჯარების სიძლიერის, სამხედრო გეგმების და იმ გზების შესახებ, რომლითაც ისინი აპირებდნენ პოლონეთისა და რუმინეთის დარწმუნებას, გაეტარებინათ რუსული სამხედრო ძალები მათ ტერიტორიებზე. რუსებისთვის ამკარა იყო განსხვავება ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების უთავბოლო ქცევასა და ჩემბერლენისა და დალადიეს სურვილს შორის, პირადად გაფრენილიყვნენ და სწვოდნენ ჰიტლერს. ეს დამოკიდებულება ასევე მკვეთრად

განსხვავდებოდა რუსულ-გერმანული დაახლოებისადმი იმ ძლიერი ინტერესისგან, რომელსაც ბერლინი აგვისტოს პირველი სამი კვირის განმავლობაში გამოხატავდა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ იოახიმ ფონ რიბენტროპის ენერგიული ძალისხმევა, სასწრაფოდ მოეპოვებინა აუდიენცია სტალინთან, განპირობებული იყო პოლონეთის კამპანიის დაწყების დროის გამო პიტლერის შეფიქრიანებით, რადგან კამპანია უნდა დამთავრებულიყო მანამ, სანამ ზამთრის მოსვლა ხელს შეუშლიდა მექანიზებულ ტრანსპორტსა და საჰაერო ოპერაციებს.

სტალინის ცალკე დადებული სამშვიდობო შეთანხმება და მეორე მსოფლიო ომის დაწყება

სტალინის გადაწყვეტილებამ, შეხვედროდა პიტლერის საგარეო საქმეთა მინისტრს 23 აგვისტოს, დაასრულა ორმაგი თამაში, რომელსაც რუსეთი 1939 წლის გაზაფხულიდან ახორციელებდა. კრემლში გამართულ ორ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წარმომადგენლები რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ, რაც ორ დოკუმენტში აისახა: ერთი იყო საჯარო სარგებლობისათვის, მეორე – კონფიდენციალური შეთანხმება, რომელიც მხარეებს შორის ურთიერთგარანტიებს მოიცავდა. საჯარო დოკუმენტი ავალდებულებდა ხელმოწერ მხარეებს დაეცვათ მკაცრი ნეიტრალიტეტი, თუკი რომელიმე მათგანი ომის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამრიგად, პიტლერმა მიიღო საბჭოთა კავშირის მხრიდან ჩაურევლობის პირობა პოლონეთში მისი სამხედრო კამპანიის დროს და თავიდან აიცილა ორ ფრონტზე ომის წარმოების საფრთხე, როდესაც ის საფრანგეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ დაიწყებდა ომს. საბჭოთა კავშირმა მიიღო ის, რასაც ჩემბერლენმა და დალადიემ მიაღწიეს მიუნხენში: გადადეს გერმანიასთან ომის დაწყება, რადგან არცერთი მათგანი არ იყო ამისთვის მზად და სჭირდებოდათ დრო სტრატეგიული შეიარაღების შეძლებისდაგვარად გაუმჯობესებისთვის. „საიდუმლო დამატებითმა პროტოკოლმა“ დაადასტურა ის გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქმნიდა პოტენციურ საფუძველს გერმანიასა და რუსეთს შორის თანამშრომლობისათვის და დაბრკოლებას მოსკოვის დასავლეთთან დაახლოებისათვის: მაშინ, როდესაც საფრანგეთს და, დაგვიანებით, ბრიტანეთს ეროვნული ინტერესების კარნახით აღმოსავლეთ ევროპის ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის მხარდაჭერა მოუწიათ, გერმანია და საბჭოთა კავშირი ტერიტორიული ექსპანსიის იმედით იძულებული იყვნენ ერთმანეთთან ეთანამშრომლათ. ამრიგად, მხარეები საიდუმლოდ პოლონეთის მეოთხეჯერ გაყოფაზე შეთანხმდნენ. ფინეთი, ლატვია და ესტონეთი – ისევე, როგორც პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ცარისტული რუსეთის ყოფილი პროვინციები – რუსეთის ინტერესთა სფეროში მოექცნენ. გერმანიამ აღიარა რუსეთის უფლება, დაებრუნებინა ბესარაბია, რომლის დაკავება

რუმინეთის მიერ რუსეთში რევოლუციის დროს, საბჭოთა რეჟიმს აღიარებული არ ჰქონდა. ბესარაბიის რეანექსიას თუ არ ჩავთვლით, საბჭოთა ექსპანსიონიზმის მოტივი ერთი ფრაზით შეიძლება შეჯამდეს: უსაფრთხოების ძიება. ფინეთზე და ბალტიის ორ ჩრდილოეთ რესპუბლიკაზე საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელება შეამცირებდა რუსეთის მეორე დედაქალაქის – ლენინგრადის დაუცველობას და თავდაცვითი ბუფერით უზრუნველყოფდა მას ჩრდილოეთიდან ტრადიციული თავდასხმების მარშრუტზე. 1920-1921 წლებში პოლონეთთან ომის დროს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი აღადგენდა ისტორიულ ბუფერს აღმოსავლეთ ევროპის გერმანულ და რუსულ მოსახლეობებს შორის.

1939 წლის ნაცისტურ-საბჭოთა პაქტმა პოლონეთის ბედი გადანყვიტა და საშუალება მისცა ჰიტლერს დაენყო ევროპაში ომი, რომელსაც იგი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გეგმავდა. ბრიტანეთის მიერ ბოლო მომენტში გაწეულ ძალისხმევას გერმანია-პოლონეთის კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდა. ჰიტლერის სამხედრო განრიგი ითხოვდა, რომ პოლონეთთან ომი დაწყებულიყო არაუგვიანეს სექტემბრის დასაწყისისა, რათა ქვეყნის განადგურება დასრულებულიყო მანამ, სანამ შემოდგომის წვიმები მისი ტანკებისა და ბომბდამშენების მოქმედებას გაართულებდა. მას აღარ სურდა ვინმეს ხელი შეეშალა საძულველი მსხვერპლის წინააღმდეგ იოლად მოსაგებ ომში, როგორც ეს მიუნხენში მოხდა. ამიტომ ბრიტანეთისადმი ჰიტლერის ირიბი პასუხი მიზნად ისახავდა დასავლეთის სახელმწიფოების სრულ ჩამოშორებას პოლონეთისგან – რადგან მას ერჩია, რიგრიგობით გასწორებოდა მტრებს, სადაც ამის საშუალება იქნებოდა – და არა საფუძვლის შექმნას მოლაპარაკებისათვის, რომლის თავიდან აცილებასაც ის ნებისმიერ ფასად ცდილობდა. 31 აგვისტოს შეთხზული სასაზღვრო ინციდენტი მეორე დილასვე პოლონეთის წინააღმდეგ მასიური სატანკო და საჰაერო თავდასხმის დასაწყებად იქნა გამოყენებული. ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა, რომელთაც გააფრთხილეს გერმანია, რომ რუსეთთან მისი დაახლოება არ შეცვლიდა მათ გადანყვეტილებას, დაეცვათ პოლონეთის მიმართ აღებული ვალდებულებები, 3 სექტემბერს, ულტიმატუმის ამონურვის შემდეგ, რომელიც გერმანიისგან პოლონეთის ტერიტორიის დატოვებას მოითხოვდა, ომი გამოუცხადეს გერმანიას. რუსეთისა და იტალიის დროებითი ჩაურევლობის შედეგად (ეს უკანასკნელი ომისათვის მოუმზადებლობის მიზეზით), მხოლოდ ოთხი ევროპული სახელმწიფო აღმოჩნდა ჩათრეული სამხედრო დრამაში, რომელიც 1939 წლის სექტემბრის დასაწყისში პოლონეთის მიწაზე განვითარდა. მასში მონაწილეთა მცირე რაოდენობამ და გეოგრაფიულად ლოკალიზებულმა ბრძოლის ველმა ხელი ვერ შეუშალა ყურნალისტებს, რომ ამ მოვლენისათვის მეორე მსოფლიო ომი ეწოდებინათ.



გერმანიის ევროპაზე გაბატონების მეორე მცდელობა (1939-1945)



ბლიცკრიგის (ელვისებური ომის) პირველი მცდელობა: 1939 წლის სექტემბერში, გერმანიის მიერ პოლონეთის დაპყრობისას, ადოლფ ჰიტლერის „სს – ლეიბშტანდარტის“ (SS-Leibstandarte) დივიზიის ორი ტანკი კვეთს მდინარე ზორას. პოლონეთის თავდაცვის სწრაფად გარღვევის შემდეგ, გერმანიის არმია ტანკებსა და საჰაერო ხომალდებს კიდევ ერთხელ გამოიყენებს 1940 წლის გაზაფხულზე, როდესაც საფრანგეთის არმიას ამ ახალი ტაქტიკის შედეგად 6 კვირაში დაამარცხებს.

თავის შინაარსი
პოლონეთის აღსასრული და „უცნაური ომი“
ევროპული ომი
მსოფლიო ომი
მოკავშირეთა გეგმები გათავისუფლებული ევროპისათვის
ევროპელი ებრაელების განადგურება

პოლონეთის აღსასრული და „უცნაური ომი“

1939 წლის შემოდგომაზე დაწყებული ექვსწლიანი ომი იოლად შეიძლება დაიყოს სამ ქრონოლოგიურ პერიოდად. პირველი პერიოდი დაიწყო პოლონეთის წინააღმდეგ წარმატებული ბლიცკრიგით და დასრულდა გერმანიის დასავლეთ საზღვრებთან სტაბილური ფრონტის გაშლით 1939-1940 წლებში; მეორე ფაზა დაიწყო გერმანიის შეტევით დასავლეთისკენ ბელგიის გავლით, რასაც მოჰყვა საფრანგეთის სწრაფი დაცემა, ბრიტანეთის სამხედრო ძალების კონტინენტიდან ევაკუაცია გეგმის შესაბამისად და დასრულდა იმით, რომ გერმანიამ ვერ შეძლო პირდაპირი საპაერო იერიში მიეტანა ბრიტანეთის სამხედრო ძალებზე; მესამე ფაზაში ევროპული ომი მსოფლიო ომად იქცა, როდესაც ჯერ საბჭოთა კავშირი და შემდეგ შეერთებული შტატები ჩაერთვნენ გლობალურ კონფლიქტში და ბოლოსდაბოლოს დაამარცხეს ნაცისტური გერმანია და მისი ორი მოკავშირე – ფაშისტური იტალია და იმპერიული იაპონია.

ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლების შემდეგ, პოლონეთი განწირული იყო მარცხისთვის ნაცისტურ-საბჭოთა პაქტის გამო, რომლის საფუძველზეც პოლონეთი ვერ მიიღებდა გერმანიის წინააღმდეგ დახმარებას რუსეთისგან და რომელმაც გამოიწვია ამ გეოგრაფიულად დაწყვეტილი ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაყოფა ორ ძლიერ მეზობელ ქვეყანას შორის. იმის მიუხედავად, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს რუსეთ-გერმანიის შეთანხმება არ ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის მონაწილეობას პოლონეთის სამხედრო განადგურებაში, სტალინმა სიფრთხილე გამოიჩინა და 17 სექტემბერს სპეციალურად გაგზავნა სამხედრო ძალები, რათა მისთვის განწესებულ ტერიტორიაზე განაცხადი გამოეხატა. 27 სექტემბერს, ვარშავის მიერ იარაღის დაყრის შემდეგ, პოლონეთი კიდევ ერთხელ, უბრალოდ, გაუჩინარდა ევროპის რუკიდან და გერმანიამ და რუსეთმა პოლონური ნადავლის მათთვის განკუთვნილი წილები მიიერთეს.

დიდი ბრიტანეთიცა და საფრანგეთიც შეთანხმების ვალდებულებით იძულებული იყვნენ სამხედრო იერიში მიეტანათ გერმანიაზე, თუკი ის პო-

ლონეთს დაესხმებოდა. ასეთი სამხედრო იერიში ვერ განხორციელდა. საფრანგეთის გენერალურ შტაბს არ გააჩნდა ოპერატიული გეგმა გერმანიის დასავლეთში შეჭრისათვის, რადგან ნარმოუდგენლად მიაჩნდათ ასეთი თავდასხმა გერმანიის უკიდურესად გამაგრებულ დასავლეთის საზღვრებზე და იცოდნენ, რომ გერმანიის ყველაზე სუსტ წერტილზე – რაინლანდზე – იერიშის მიტანას რაინლანდის მეზობელი ბელგიის უარი აბრკოლებდა, რომელსაც საკუთარი ნეიტრალიტეტის საფრთხის ქვეშ დაყენება და საფრანგეთის სამხედრო ძალების ტრანზიტით გატარება არ სურდა. რაც შეეხება ბრიტანელებს, მათ პოლონეთზე თავდასხმისას მხოლოდ ექვსი თვის დაწყებული ჰქონდათ შეიარაღების სერიოზული პროცესი და არმიის რეორგანიზაცია სავალდებულო სამხედრო სამსახურის საფუძველზე. შესაბამისად, მათ არც შეიარაღება და არც ცოცხალი ძალა არ გააჩნდათ იმისთვის, რომ დამაჯერებელი შემაკავებელი დარტყმა მიეყენებინათ გერმანიისათვის დასავლეთის ფლანგზე მაშინაც კი, თუ ისინი მოახერხებდნენ გეოგრაფიული პრობლემის გადაჭრას და არსებულ სამხედრო ძალას მტრის ტერიტორიაზე გადაისროდნენ.

ბლიცკრიგის – ბომბდამშენთა საჰაერო იერიშით ზურგგამაგრებული ტანკების მასობრივი ფორმირებების სწრაფი შეტევის – ეფექტურობა ისე არაჩვეულებრივად დადასტურდა პოლონეთის სამხედრო კამპანიისას, რომ ჰიტლერმა 9 ოქტომბერს ბრძანება გასცა, იმავე ტაქტიკით მოემზადებინათ ადრეული იერიში ბელგიის გავლით საფრანგეთის წინააღმდეგ. თავდაპირველად ეს თავდასხმა 12 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი; შემდეგ, უამინდობის გამო, ორჯერ გადაიდო და ბოლოსდაბოლოს მაისის მეორე კვირისთვის დაიგეგმა, რაც გაზაფხულის დათბობით იყო გამოწვეული. ზამთრის დადგომასთან ერთად, პოლონეთიდან გადმოსროლილმა გერმანიის სამხედრო ძალებმა თავი ჰოლანდიისა და ბელგიის საზღვრებთან მოიყარეს, ხოლო ბრიტანელებმა და ფრანგებმა საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვარზე სანგრების თხრა დაიწყეს. ეს პერიოდი ბრძოლების გარეშე გადიოდა, რის გამოც ყურნალისტებმა ევროპაში ჰეგემონიისათვის ევროპული ომის ამ მეორე პერიოდს „ცრუ ომი“ უწოდეს. ბლიცკრიგი, როგორც ვილაცამ იხუმრა, ზიცკრიგით (Sitzkrieg – მჯდომარე ომი) შეიცვალა.

დასავლეთის მხარეს, ამ უმოქმედობის ავისმომასწავებელ ატმოსფეროში, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში უეცრად ჩრდილოეთ ევროპის გაყინული მიწები მოექცა. სექტემბერსა და ოქტომბერში საბჭოთა კავშირმა იმ პრე-როგატივების ათვისება დაიწყო, რომელიც მას რუსეთ-გერმანიის საიდუმლო პროტოკოლით ჰქონდა მინიჭებული, კერძოდ, რევოლუციის შემდეგ დაკარგულ ცარისტული რუსეთის ყოფილ დასავლეთ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა. ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მთავრობები იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ მათ ტერიტორიაზე რუსეთის არმიის განთავსებაზე

და ხელი მოენერათ საბჭოთა კავშირთან ორმხრივი დახმარების ხელშეკრულებებზე. როდესაც ფინეთმა უარი განაცხადა მის ტერიტორიაზე რუსეთის სტრატეგიული სამხედრო ბაზების განთავსებაზე ლენინგრადის დაცვისათვის და უარი თქვა გამხდარიყო საბჭოთა კავშირის „ინტერესთა სფეროს“ ნაწილი, 30 ნოემბერს სტალინმა სამხედრო იერიში დაიწყო ამ ქვეყნის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ფინელების შეუპოვრობაც ისევე მალე გატყდებოდა, როგორც პოლონელების. ყინვებმა და რთულმა რელიეფმა, რაც არ ჰქონდათ უიღბლო პოლონელებს, საშუალება მისცა ფინელებს სამი თვის განმავლობაში წინააღმდეგობა გაენიათ სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი რუსეთის არმიისათვის.

საზოგადოებრივი აზრი ბრიტანეთსა და საფრანგეთში, მამაცი და პატარა ფინეთის დასაცავად, სამხედრო ინტერვენციას მოითხოვდა და მთავრობებმაც ლონდონსა და პარიზში შეიმუშავეს სქემა, რომელიც თითქოსდა ფინელების დასახმარებლად იყო გამიზნული, სინამდვილეში კი გერმანიის სტრატეგიულ არსენალზე იერიშის მიტანას ითვალისწინებდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანია იარაღის წარმოებისათვის დიდად იყო დამოკიდებული მაღალი ხარისხის რკინის მადნის იმპორტზე შვედეთიდან. ზამთრის თვეებში, როდესაც ბალტიის ზღვაზე ბოტნიის ყურე გაყინულია, რკინის ტრანსპორტირება რკინიგზის საშუალებით, ხმელეთით, ნორვეგიის პორტ ნარვიკში ხდებოდა, საიდანაც მას ჩრდილოეთ გერმანიის პორტებში ნორვეგიის ტერიტორიული წყლების გავლით გადაზიდავდნენ. დაიგეგმა ანგლოფრანგული საექსპედიციო ძალების გადასხმა ნარვიკში, იქიდან, შვედეთისა და ნორვეგიის გავლით, ფინეთამდე ჩაღწევა და გზად შვედეთის რკინის საბადოების ხელში ჩაგდება. როდესაც 12 მარტს ფინეთის კაპიტულაციამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა, ამოქმედდა ნორვეგიის ტერიტორიული წყლების დანალმვის უფრო ადრეული ბრიტანული გეგმა, რომელსაც გერმანიისთვის რკინის მადნის მიწოდების შეწყვეტა უნდა გამოენვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ გეგმას თან ახლდა ბევრი დიპლომატიური სირთულე, შვედეთისა და ნორვეგიის უარის გამო ნეიტრალური სტატუსისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით, ბრიტანელები გეგმის განხორციელებას მაინც შეუდგნენ. მაგრამ, დანალმვითი ოპერაციის დაწყებიდან ერთ დღეში, გერმანიის საზღვაო და საჰაერო-სადესანტო ძალებმა 9 აპრილს ნორვეგიის დედაქალაქი და მთავარი პორტები აიღეს და დანია დაიკავეს. ნორვეგიის სანაპირო ზოლზე სასწრაფოდ გადასხმულმა ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ძალებმა ვერ შეძლეს სანაპირო პლაცდარმების დაცვა და საბოლოოდ უკან დაიხიეს. გერმანიამ, ფაქტობრივად, დანახარჯების გარეშე მოიპოვა სკანდინავიის ნახევარკუნძულზე სტრატეგიულად განლაგებული ბაზები, რომელიც, მოგვიანებით, ბრიტანეთთან წყალქვეშა საომარი მოქმედებისათვის გამოიყენეს. ბრიტანეთთან და საფრანგეთთან სამხედრო გეგმების კოორდინაციასა და

მათთვის სატრანზიტო უფლებების მინიჭებაზე უარის თქმით, ჩრდილოეთ ევროპის ამ ნეიტრალურმა ქვეყნებმა დიდად გაამარტივეს გერმანიის ექსპანსია ჩრდილოეთ ევროპაში. ნორვეგიამ და დანიამ მძიმე საფასური გადაიხადეს განზე დგომის პოლიტიკის გამო, როდესაც გერმანული ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდნენ და ყველა ის ზარალი განიცადეს, რაც ამ ოკუპაციას მოჰყვა. გერმანიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის ადრე გამოხატული სურვილის გამო, შეეძეთ არ მოუწია მისი მეზობლების მძიმე ხვედრის გაზიარება. აბსოლუტური ნეიტრალიტეტის პოზაში მყოფი შეეძეთ განაგრძობდა გერმანიის ომის მანქანის მომარაგებას მაღალი ხარისხის რკინის მადნით და ამაში კარგ ხეირსაც ნახულობდა.

ევროპული ომი

როგორც კი გერმანიამ მისი ჩრდილოეთ ფლანგის დაპატრონება მოახერხა, 10 მაისს ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი გახდა დასავლეთისაკენ დიდი ხნის წინ დაგეგმილი იერიშის დაწყება. ბელგიისა და ნიდერლანდების ბუფერულ სახელმწიფოებს, რომლებიც, სკანდინავიის ქვეყნების მსგავსად, გამუდმებით უარს ეუბნებოდნენ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ერთობლივი სამხედრო გეგმის შედგენაზე, გერმანიამ, ნეიტრალიტეტის ასეთი ერთგული დაცვისათვის, მადლიერება საჰაერო დაბომბვითა და მექანიზებული ინტერვენციით გამოუხატა, რომელიც პოლონეთის სამხედრო კამპანიას არც სისწრაფით და არც დამანგრეველობით არ ჩამოუვარდებოდა. ფორმალურად, ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდა (134 გერმანული დივიზია, 94 ფრანგული, 10 ბრიტანული, 22 ბელგიური და 8 პოლანდიური დივიზიის წინააღმდეგ). გერმანიის სამგზის უპირატესობა საჰაერო ძალების კუთხით ნაწილობრივ დასავლელი მოკავშირეების მხრიდან ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღის რაოდენობრივი უპირატესობით კომპენსირდებოდა: 3200 ბრიტანულ-ფრანგული ტანკი 2500 გერმანული ტანკის წინააღმდეგ. თუმცა, ჯარისკაცებისა და იარაღის სტატისტიკა მთელ ინფორმაციას არ მოიცავს. გერმანიის მოტორიზებული ქვეითი ჯარის მომზადება და აღჭურვილობა დიდად აღემატებოდა დასავლეთის სახელმწიფოებისას. გარდა ამისა, მოკავშირეებმა წყალს გაატანეს მათი რაოდენობრივი უპირატესობა ჯავშანტექნიკის კუთხით, როდესაც სატანკო დივიზიები რეგულარული ქვეითი ჯარების შიგნით მიმოფანტეს, როგორც მათი დამხმარე ძალები, მოტორიზებული ქვეითი ჯარის წინა ხაზში ცალკე ჯავშანდივიზიებად თავმოყრის ნაცვლად. ბედის ირონიით, თავდასხმით ომში ჯავშანტექნიკის ყველაზე ეფექტური გამოყენების ეს ტაქტიკა, რომელიც ბრიტანელმა სამხედრო თეორეტიკოსმა ბ.პ. ლიდელ ჰარტმა შეიმუშავა, ხოლო პოპულარული ახალგაზრდა ფრანგმა სამხედრო ტაქტიკოსმა, პოლკოვნიკმა შარლ

დე გოლმა გახადა, გერმანელმა გენერლებმა ფრიც ერის ფონ მანშტაინმა და ჰაინც გუდერიანმა გამოიყენეს. პოლანდიელებმა წინააღმდეგობა ხუთ დღეში შეწყვიტეს, ბელგიის სამხედრო ძალებმა კი სრულ ქაოსში, საფრანგეთისაკენ დაძრული გერმანული სამხედრო მანქანის წინაშე, უკან დახევა დაიწყეს. ბომბდამშენებით ზურგგამაგრებულმა სატანკო დივიზიებმა გზა გახსნეს მოტორიზებული ქვეითი ჯარებისათვის და სამხრეთ ბელგიის არდენის მთაგორები გაარღვიეს (რომლებიც აულებლად მიიჩნეოდა იმ ფრანგი სამხედრო სტრატეგების მიერ, რომლებმაც ვეტო დაადეს მაჟინოს ხაზის ჩრდილოეთის ზღვამდე გაგრძელებას). გერმანიის არმიამ ფრანგული თავდაცვის ხაზი სედანთან 16 მაისს გაარღვია და შემდეგ ჩრდილოეთით ლა-მანშის სანაპიროსკენ დაიძრა, რათა ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთსა და ბელგიაში ბრიტანულ-ფრანგული არმიისათვის მომარაგებისა და საკომუნიკაციო ხაზები გადაეჭრა. 20 მაისს ზღვამდე გასული ეს გერმანული სატანკო ქვედანაყოფი აღმოსავლეთით მოკავშირეთა იზოლირებული სამხედრო ძალების დისლოკაციის ადგილისაკენ დაიძრა, რომლებიც ბელგიის საზღვართან საფრანგეთის პორტ დუნკერკში იყვნენ განლაგებული.

საფრანგეთის დაცემა

დასავლეთით გერმანიის იერიშის დაწყების დღეს, უკიდურესად დისკრედიტებული ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ნევილ ჩემბერლენი უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილმა შეცვალა, რომელიც ბრიტანეთის მიერ არჩეული დაშოშმინების პოლიტიკის აქტიური კრიტიკოსი იყო ოცდაათიან წლებში. 28 მაისს ჩერჩილმა მიიღო ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როგორც ბრიტანეთის ახალმა ლიდერმა, და უარი თქვა საფრანგეთის პრემიერმინისტრ პოლ რეინოს თხოვნაზე, რომ ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების დარჩენილი ნაწილიც გაგზავნილიყო კონტინენტზე საფრანგეთის დასაცავად. ჩერჩილმა დუნკერკში გაჩხერილი ბრიტანულ-ფრანგული ჯარის ევაკუაციაც ბრძანა. მომდევნო რვა დღის განმავლობაში, 200 000 ბრიტანელი და 130 000 ფრანგი ჯარისკაცი საგანგებოდ იმპროვიზებული ხომალდებით ლა-მანშის მეორე მხარეს იქნა გადაყვანილი, გერმანიის არმია კი სამხრეთით დაიძრა, რათა იქ დარჩენილ ფრანგულ არმიას გასწორებოდა. 16 ივნისამდე, საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტმა, რომელიც ხუთი დღით ადრე პარიზიდან სამხრეთში გადავიდა, დაასკვნა, რომ წინააღმდეგობის განევას აზრი აღარ ჰქონდა. რეინო გადადგა და მის მაგივრად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა ოთხმოც წელს გადაცილებული, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი, მარშალი ანრი-ფილიპ პეტენი, რომელმაც ისეთ მთავრობას მოუყარა თავი, რომელიც ბრძოლების სწრაფ შეწყვეტას უჭერდა მხარს. 22 ივნისს საფრანგეთის მთავრობამ, ექვსკვირიანი წინააღმდეგობის შემდეგ, კაპიტულაცია

გამოაცხადა და ხელი მოაწერა ზავს, რომელიც საფრანგეთის არმიის განიარაღებას და ჩრდილოეთით ქვეყნის სამი მეხუთედის გერმანიის ოკუპაციისათვის დათმობას ითვალისწინებდა.

ბრიგადის გენერალი შარლ დე გოლი ომის დაწყებამდეც აკრიტიკებდა საფრანგეთის სამხედრო მეთაურობის თავდაცვით სამხედრო დოქტრინებს და ცოტა ხნით რეინოს მთავრობის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. დე გოლი წინააღმდეგი იყო ზავის ხელშეკრულების. მან თავი ლონდონს შეაფარა და იქიდან, ზავამდე ოთხი დღით ადრე, ბრიტანეთის რადიოს საშუალებით მიმართა ფრანგ ხალხს; მოუწოდა მათ, განეგრძოთ წინააღმდეგობის განევა გერმანული ოკუპაციისათვის და საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ინგლისში მიიწვია, რათა მასთან ერთად განეგრძოთ დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლა. როდესაც უმაღლესი ხელმძღვანელობიდან მის მონოდებას არაფერ გამოეხმაურა, მან თვითონ ჩამოაყალიბა ლონდონში საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი, რომელიც გერმანიის ოკუპაციისგან გაქცეულ და დევნილობაში მყოფ სხვა მთავრობებთან ერთად მოქმედებდა. დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც აფინანსებდა და აქეზებდა „თავისუფალი საფრანგეთის“ ამ მოძრაობას, შეწყვიტა ურთიერთობები მარშალ პეტენის კოლაბორაციონისტულ რეჟიმთან, რომელიც 2 ივლისს სამხრეთ საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში, კურორტ ვიშიში შეიქმნა. დევნილობაში მყოფი სხვა ევროპული მთავრობებისგან განსხვავებით, დე გოლის ორგანიზაციას პოლიტიკური ლეგიტიმურობის პრეტენზია არ ჰქონდა, რადგან კანონიერად არჩეულმა საფრანგეთის პარლამენტმა 9 ივლისს საგანგებო უფლებებით აღჭურვა პეტენის რეჟიმი. მიუხედავად ამისა, დე გოლმა საგანგებოდ შეაკონინა კონტინენტიდან ბრიტანეთში გამოქცეული ფრანგი ჯარისკაცებით, მეზღვაურებითა და მფრინავებით დაკომპლექტებული სამხედრო ძალა, რომელმაც, ომის დამთავრებამდე პერიოდში, რამდენიმე სამხედრო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

1940 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის დაცემამ ევროპაში ძალთა ბალანსის ცვლილებები დაასრულა, რომელიც რაინლანდის რემილიტარიზაციით დაიწყო. სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, გერმანიამ ნულიდან მიაღწია მთელ კონტინენტზე გაბატონებას და თავის პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტროლს დაუქვემდებარა თითქმის იმავე სიდიდის ტერიტორია, რაც მოახერხა მისი ძალაუფლების ზენიტში ნაპოლეონმა. ცხრა, ოდესღაც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სხვადასხვა სახით მოექცა ბერლინის ბატონობის ქვეშ: ავსტრიის მსგავსად, სრული ანექსიიდან დაწყებული, ვიშის რეჟიმის ფიქტიური დამოუკიდებლობით დამთავრებული. ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები გერმანიის სამხედრო მოკავშირეებად ან ეკონომიკურ ვასალებად იქცნენ, გარდა რამდენიმე ქვეყნისა – ესპანეთი, პორტუ-

გალია, შვეიცარია, შვედეთი – რომლებმაც საკმაოდ მყიფე ნეიტრალიტეტის შენარჩუნება შეძლეს. საბჭოთა კავშირის კოლაბორაციონიზმი გერმანიის მიერ დასავლეთ ევროპის დაპყრობაში, თავდაპირველად, პოლონეთის გაყოფით შემოიფარგლა, მაგრამ მალე გავრცელდა თანამშრომლობის ისეთ სახეებზე, როგორიც იყო რუსული ხორბლის გაცვლა გერმანიაში წარმოებულ პროდუქციაზე, რაც გერმანიას იმ უპირატესობას აძლევდა, რომელიც მან წინა ომში ძალიან გვიან მოიპოვა, კერძოდ, მან თავი დააღწია ბრიტანეთის ბლოკადისგან ეკონომიკური ასფიქსიის პერსპექტივას, მეგობარი რუსეთის სურსათისა და სანავის ამოუნურავი მარაგის წყალობით.

ბრძოლა ბრიტანეთისათვის

22 ივნისს საფრანგეთისათვის ბრძოლების დასრულებას სასწრაფოდ მოჰყვა მზადება ბრიტანეთის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად. ლა-მანშის გადაკვეთის გეგმა 2 ივლისს შემუშავდა: გერმანიამ არმიის სატრანსპორტო ხომალდები საფრანგეთის სანაპიროზე შეკრიბა და ცამეტი დივიზია ოპერაციისათვის მოამზადა, რომელსაც ჰიტლერმა „ოპერაცია ზღვის ლომი“ უწოდა. ეს ბრიტანული კუნძულების დაპყრობის პირველი მცდელობა იყო ნორმანდიელების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ. ჩერჩილის გადაწყვეტილებამ, საფრანგეთის კამპანიის დროს რეზერვში გადაენახა სამეფო საჰაერო ძალების დიდი ნაწილი, გერმანული საზღვაო დესანტის გადასხმის გადადება გამოიწვია. პოლონეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ წარმატებით შეგულიანებულმა, გერმანიის საჰაერო ძალების მარშალ ჰერმან გერინგმა დაარწმუნა ფიურერი, რომ რაოდენობრივი უპირატესობის მქონე გერმანიის საჰაერო ძალები – 1700 ბომბდამშენი და 1100 გამანადგურებელი, 600 ბრიტანული გამანადგურებლის წინააღმდეგ – ბრიტანეთის გამანადგურებელთა ბაზებს რამდენიმედღიანი ნერტილოვანი დაბომბვის შემდეგ გაანადგურებდა; მტრის საჰაერო ძალებს კი – ერთი თვის განმავლობაში.

პილოტების სიმამაცისა და ოსტატობის გარდა, ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალებმა და სამმა ტექნოლოგიურმა ფაქტორმა გერმანიის მიერ ჰაერში კონტროლის დამყარების გეგმების ჩაშლა გახადა შესაძლებელი, რისი მიზანიც წარმატებული საზღვაო დესანტისათვის გზის გახსნა იყო. პირველი, ბრიტანეთის საჰაერო ძალების ხარისხობრივი უპირატესობა იყო, რაც მათ რაოდენობრივი სიმცირის კომპენსაციის საშუალებას აძლევდა. ამ მხრივ, ბრიტანეთის მიერ საჰაერო შეიარაღების დაგვიანებული დანყება მისი უპირატესობა აღმოჩნდა. ახლადანყობილი „სპიტფაიერი“ (Spitfire) და „ჰარიკეინი“ (Hurricane) გამანადგურებლები უფრო სწრაფები და მანევრირებადები იყვნენ და უფრო მეტ საცეცხლე ძალას ფლობდნენ, ვიდრე ძველი გერმანული „მესერშმიტები“ (Messerschmitts). მეორე უპირატესობა რადარი იყო, ანუ ტექნიკა, რომელიც რადიოტალღების ექოს საშუალებით შორ მან-

ძილზე ობიექტების ლოკალიზებას ახდენდა. ამ ტექნოლოგიურმა მიღწევამ, რომელიც 1935 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა რობერტ უოტსონ-ვატმა სრულყო, შესაძლებელი გახადა ბრიტანეთის სანაპირო ზოლზე 20 სადგურის აშენება, საიდანაც დამკვირვებელ პერსონალს შეეძლო, მოახლოებული საჰაერო ხომალდი, კონტინენტზე განლაგებული ბაზიდან მისი აფრენიდან, უმოკლეს დროში დაენახა და საოცარი სიზუსტით განესაზღვრა მისი მდებარეობა. რადარების ამ ქსელმა სამეფო საჰაერო ძალებს ძვირფასი სანავის დაზოგვის საშუალება მისცა, რადგან შეეძლოთ, შეტყევის დაწყებამდე საკუთარ ბაზებზე დარჩენილიყვნენ და შემდეგ, უშუალოდ, მომავალი გერმანული თვითმფრინავებისაკენ აეღოთ გეზი, რომლებიც, სანავის შეზღუდულობის გამო, ხშირად იძულებულები ხდებოდნენ ვადაზე ადრე დაბრუნებულიყვნენ საფრანგეთსა თუ ბელგიაში განლაგებულ ბაზებზე. ბრიტანეთის საჰაერო წარმატების მესამე ფაქტორს წარმოადგენდა ბრიტანეთის დაზვერვის მიერ განვითარებული ელექტრონული კოდების გამშიფრელი ხელსაწყო, რომელიც გერმანული რადიოშეტყობინებების გაშიფრის საშუალებას იძლეოდა. ეს ხელსაწყო, რომელიც ეფუძნებოდა ომამდე პოლონეთის საიდუმლო სამსახურის მიერ გერმანიაში მოპარულ და შემდეგ საიდუმლოდ ბრიტანეთში გატანილ კოდირების მანქანას, საშუალებას აძლევდა ბრიტანელ კრიპტოგრაფებს, გაეხსნათ გერმანული კოდები, რაც მეტად ღირებულ ინფორმაციას აძლევდა სამეფო საჰაერო ძალებს გერმანიის საჰაერო ძალების ოპერაციების შესახებ.

მაგრამ გერმანიის საჰაერო ძალების მიერ 1940 წლის შემოდგომაზე ბრიტანეთის საჰაერო სივრცეზე კონტროლის მოპოვების წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა უშუალოდ ჰიტლერს ეკისრებოდა. როდესაც გერმანული თვითმფრინავების მიერ ლონდონის შემთხვევითი დაბომბვის საპასუხოდ, სამეფო საჰაერო ძალებმა ბერლინზე რეიდი განახორციელეს, გაბრაზებულმა ფიურერმა, სასჯელის სახით, ბრიტანეთის ქალაქების ოცდაოთხსაათიანი დაბომბვის ბრძანება გასცა. იგი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ასეთი სასტიკი ტაქტიკა ბრიტანელების სულისკვეთების დაცემას და ჩერჩილის წინააღმდეგობის პოლიტიკის მიმართ სახალხო ოპოზიციას გამოიწვევდა. სამოქალაქო მოსახლეობის (და არა სამხედრო ნაგებობების) მასიური საჰაერო დაბომბვების ეფექტურობაში ჰიტლერის რწმენას იზიარებდა სამხედრო სტრატეგების მთელი თაობა, რომელთა შთაგონების წყარო იტალიელი გენერალი ჯილიო დუე იყო, რომელიც სოციალური წესრიგის სრულ რღვევას და მასობრივ აჯანყებებს ვარაუდობდა, რომლის დროსაც ამგვარი საჰაერო დაბომბვის მსხვერპლი მოსახლეობა თავად მოითხოვდა კაპიტულაციას. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელების რეიდებმა 51 509 სამოქალაქო პირი იმსხვერპლა და ყოველი მეხუთე ბრიტანელის საცხოვრებელი დაანგრია, მათ მაინც არ მოჰყოლია ფართომასშტაბიანი დემორალიზაცია და სამოქალაქო არეულობე-

ბი, რასაც, დუეს შემდეგ, სტრატეგიული დაბომბვის თეორეტიკოსები ვარაუდობდნენ. პირიქით, ბლიცმა, როგორც ამ დაბომბვით რეიდებს ბრიტანეთში უწოდებდნენ, გააძლიერა მოსახლეობის მხარდაჭერა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიმართ და გაამყარა მათი შემართება ომის გასაგრძელებლად. ბრიტანეთის ქალაქების ტერორიზების კამპანია კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა სტრატეგიული თვალსაზრისითაც, რადგან ამან გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მხედრობის გააძლიერება გამოიწვია უფრო მნიშვნელოვანი სამხედრო სამიზნეებიდან: სამეფო საჰაერო ძალების საჰაერო გამანადგურებლების ბაზებიდან, რომლებიც სერიოზულად დაზიანდნენ თავდაპირველი იერიშის დროს და შესაძლებელი იქნებოდა მათი სრული განადგურება ნერტილოვანი დაბომბვების გაგრძელებით, რომელიც გერინგმა ზაფხულის მიწურულს ნამოიწყო.

ყურადღების გადატანა ხმელთაშუა ზღვაზე

სექტემბრის შუა რიცხვებში „ოპერაცია ზღვის ლომის“ გადადება და ბრიტანეთზე საზღვაო იერიშის მიმტანი ფლოტის გაფანტვა არ ნიშნავდა გერმანიის საჰაერო ძალების მიერ ბრიტანული ქალაქების დაბომბვის შეწყვეტას, რომელიც 1941 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. მაგრამ ბრიტანეთის ცაზე საჰაერო ბრძოლებმა მეორადი მნიშვნელობა შეიძინეს ჰიტლერის ახალ პროექტთან შედარებით, რომელიც ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა: საბჭოთა კავშირის განადგურება. 31 ივლისს, ბრიტანეთის დაბომბვის დაწყებამდე 2 კვირით ადრე, ჰიტლერმა თავის გენერლებს მაისში რუსეთის დაპყრობის გეგმების შესახებ შეატყობინა. შემოდგომაზე დაიწყო გერმანული სამხედრო ძალების გადაყვანა საფრანგეთიდან აღმოსავლეთ ევროპისკენ. მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი „ოპერაცია ბარბაროსა“ მოულოდნელად შეფერხდა, როდესაც მუსოლინიმ, რომელიც მანამდე საფრანგეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებს შეუერთდა, დაუფიქრებლად ჩაითრია იტალია კონფლიქტებში ბალკანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, რის გამოც აუცილებელი გახდა გერმანული ძალების გადასროლა სამხრეთისაკენ მუსოლინის გადასარჩენად. იტალიის პროტექტორატად ქცეულ ალბანეთში დაბანაკებული იტალიის სამხედრო ძალები, სწრაფი და უდანახარჯო გამარჯვების იმედით, 1940 წლის ოქტომბერში თავს დაესხა საბერძნეთს. სანაცვლოდ, იტალია საბერძნეთის სამხედრო ძალების სასტიკ წინააღმდეგობას ნაანყდა და 1941 წლის მარტისთვის დამამცირებელი მარცხის საშიშროების წინაშეც დადგა, როდესაც საბერძნეთში, ათენის მოწვევით, ბრიტანეთის სამხედრო ძალები ჩავიდნენ. კონტინენტზე ბრიტანეთის არმიის ხელახალ გამოჩენას ბერლინში სწრაფი რეაგირება მოჰყვა. როდესაც იუგოსლავიის ახალმა მთავრობამ, წინამორბედისგან განსხვავებით, მამაცურად თქვა უარი გერმანიის სამხედრო ძალებისათვის



ზიანის შეფასება: პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი (1874-1965) 1940 წელს, შემოდგომაზე, გერმანელების მიერ დაბომბვის შედეგად ბრიტანული ქალაქებისათვის მიყენებულ ზიანს ათვალთვობს. „ბლიცს“, როგორც ამ დაბომბვებს ბრიტანეთში ხალხი უწოდებდა, ბრიტანელ ხალხზე განსხვავებული შედეგი ჰქონდა, ვიდრე შიტლერი მოელოდა. ბლიცმა მთავრობის საომარი ძალისხმევების მიმართ ხალხის მხარდაჭერა გაამყარა – მათი მხრიდან ზავის მოთხოვნის ნაცვლად.

სატრანზიტო საშუალებების დათმობაზე, შიტლერმა უნგრეთიდან და რუმინეთიდან ნამოიწყო შეტევა, რომელმაც სამ კვირაში ბოლო მოუღო იუგოსლავებისა და ბერძნების წინააღმდეგობას, რასაც ბრიტანეთის არმიის საბერძნეთიდან სასწრაფო ევაკუაცია მოჰყვა.

ამასობაში, ეგვიპტის არცთუ ისე დაცული ბრიტანული გარნიზონის წინააღმდეგ (რომელიც სუეცის არხსა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოებს იცავდა) ლიბიაში მყოფი იტალიური სამხედრო ძალების მიერ სექტემბრის შუა რიცხვებში დაწყებული იერიში ჯერ შეწყდა და შემდეგ, ღრმად, ლიბიის ტერიტორიაზე ბრიტანელების კონტრშეტევის შედეგად, იტალიელთა არმიის თანდათანობით გაცამტვერებაში გადაიზარდა. 1941 წლის თებერვალში ჰიტლერი იძულებული გახდა „აფრიკის კორპუსი“ – (Afrika Korps) – გენერალ ერვინ რომელის მეთაურობით ჩრდილოეთ აფრიკაში კარგად დასუსტებული იტალიური არმიის დასახმარებლად გაეგზავნა. ორი თვის განმავლობაში გერმანულმა ტანკებმა ბრიტანელები ეგვიპტის საზღვრებამდე უკუაგდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ბრძოლა გერმანიის წარმატებით დასრულდა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ჰიტლერის გეგმა ექვსი კვირით გადაიდო. უკეთესი ამინდის დადგომასთან დაკავშირებული ძვირფასი დროის დაკარგვა ბერლინში დიდად არ ანალვლებდათ ჰიტლერის თავდაჯერებული მოლოდინის გამო, რომ, ფრანგული პრეცედენტის მსგავსად, რუსეთის წინააღმდეგობაც სამი თვის განმავლობაში, დაზამთრებამდე, შეწყდებოდა. გერმანიის სამხედრო მეთაურობა იმდენად დარწმუნებული იყო აღმოსავლეთის ფრონტზე სწრაფ წარმატებაში, რომ ზამთრის ტანისამოსი არმიის მხოლოდ მცირე კონტინგენტისთვის იყო შეკვეთილი, რომლებიც რუსეთში ოკუპაციის მიზნით უნდა დარჩენილიყვნენ მას შემდეგ, რაც გამარჯვებული გერმანული არმია უკან დაბრუნდებოდა.

მსოფლიო ომი

„ოპერაცია ბარბაროსა“

საბჭოთა კავშირს გერმანია 1941 წლის 22 ივნისს დაესხა თავს, მოსკოვისკენ ნაპოლეონის ბედკრული სამხედრო ექსპედიციის 129-ე წლისთავზე. ოთხი მილიონი მეომარი, 3300 ტანკი და 5000 საჰაერო ხომალდი გაემართა აღმოსავლეთისკენ ომის სანარმოებლად, რომელიც ისტორიაში ყველაზე დიდი სახმელეთო ომის სახელით შევიდა. სტალინმა ყური არ ათხოვა ამერიკელი, ბრიტანელი და თვით საბჭოთა დაზვერვის ინფორმაციას გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და, შესაბამისად, საბჭოთა დიქტატორიცა და მისი სამხედრო მრჩეველებიც მოუმზადებლები შეხვდნენ გერმანიის სამხედრო იერიშს. 1937-1938 წლების სტალინის პოლიტიკური წმენდის შედეგები თვალნათლივ აისახა გამოუცდელი ახალგაზრდა ოფიცრების ტაქტიკურ არაკომპეტენტურობაში, რომელთაც სტალინის რეპრესიების მსხვერპლადქცეული უმაღლესი სარდლობა ჩაანაცვლეს. ბრძოლის პირველი სამი თვის განმავლობაში საბჭოთა არმიის ნახევარი დაიღუპა, დაიჭრა ან ტყვედ იქნა აყვანილი. გერმანიის არმიის სამომართულებიანი იერიშის – ჩრდილოეთით ლენინგრადისკენ, ცენტრისკენ მოსკოვის მიმართულებით და სამხრეთით

უკრაინის ხორბლისა და კავკასიის ნავთობის ჭაბურღილებისაკენ – შედეგად რუსეთის ინდუსტრიული რესურსებისა და დამუშავებული მინის თითქმის ნახევარი მტრის კონტროლს ექვემდებარებოდა.

სტალინის მიერ ჰიტლერთან 1939 წლის აგვისტოში ცალკე დადებული სამშვიდობო შეთანხმების გასამართლებლად ხშირად უთქვამთ, რომ საბჭოთა კავშირმა მოიგო ძვირად ღირებული დრო და, ასევე, ტერიტორია თავდაცვის შესამზადებლად. მაგრამ, ბალტიის რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ პოლონეთს სტრატეგიული მნიშვნელობა არ აღმოაჩნდათ, რადგან ისინი გერმანიის არმიამ აღმოსავლეთით იერიშის პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში დაბრკოლებების გარეშე გაიარა. არმიის რეორგანიზაციისა და რუსეთის დასავლეთის საზღვრებიდან სამხედრო ქარხნების შორს, აღმოსავლეთში, ასაშენებლად მოგებული დროით ასევე ისარგებლა ჰიტლერმაც. რუსეთის წყალობით, ორ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლის საფრთხისგან გათავისუფლებულმა გერმანიამ ძალით მიითვისა თორმეტი ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული რესურსები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. 1941 წლის შემოდგომაზე კიევის დაცემის და ლენინგრადისა და მოსკოვის მისადგომებთან მიახლოების ფონზე, ევროპაში 1939 წელს დაწყებული ომისგან განზე დგომის გადაწყვეტილებით სარგებლის დანახვა უკვე ძალიან რთული იყო. დროსა და სივრცეს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ სახის საომარ მოქმედებებში, რომელსაც ჰიტლერი აწარმოებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ – ბლიცკრიგი, რომლის მიზანი ზამთრის მოსვლამდე წითელი არმიის განადგურება და საბჭოთა რეჟიმის დამხობა იყო.

ის, რომ გერმანიამ ვერ შეძლო გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა საბჭოთა არმიისათვის, სანამ 1941 წლის რუსული ზამთარი ჰიტლერის მექანიზებული არმიის იერიშს შეაჩერებდა, ბევრი სამხედრო ისტორიკოსის აზრით, გაზაფხულზე გერმანული არმიის მიერ ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გამართული ბრძოლებით გამოწვეული ექვსკვირიანი შეყოვნების შედეგი იყო. სხვები ამ წარუმატებლობას ჯავშანდივიზიების მხოლოდ ცენტრის მიმართულებით, ნაპოლეონის მარშრუტით, მოსკოვისკენ კონცენტრირების ნაცვლად, ჩრდილოეთით – ლენინგრადისაკენ და სამხრეთით უკრაინის მიმართულებებით – გადანანილების შესახებ ჰიტლერის გადაწყვეტილებას აბრალებდნენ. მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო ამის ტაქტიკური მიზეზი, რუსეთისაკენ დაგვიანებული იერიშის სტრატეგიული შედეგი აშკარა იყო: ჰიტლერის სწრაფი გამანადგურებელი თავდასხმის ნაცვლად, დაიწყო ხანგრძლივი ომი, რომელიც რომელიმე მხარის საბოლოო დაუძლურებამდე უნდა გაგრძელებულიყო. ამ ცვლილებამ არეულობა გამოიწვია გერმანიის ლიდერის სტრატეგიულ გათვლებში, რომელიც რუსეთში სამ თვეში გამარჯვების მიღწევას ეფუძნებოდა. ამან ასევე შესაძლებელი გახადა 1939-1941 წლებში ომში მონაწილეობისგან თავის შეკავების სტალინის მაკიაველუ-

რი დიპლომატიისათვის, საბოლოოდ, დივიდენდების მოტანა. ჰიტლერთან თავდაუსხმელობის შეთანხმების წყალობით, ევროპული ომის დამანგრეველი ეფექტებისგან დაცულმა, ურალის აღმოსავლეთით ახლადაშენებულმა ქარხნებმა 1941-1942 წლის ზამთარში გერმანიის არმიის მიერ დაპყრობილი რუსეთის ევროპულ რეგიონებში მიღებული ზარალის ანაზღაურება დაიწყო. იაპონიასთან 1941 წლის 13 აპრილს სტალინის ხელმოწერილი თავდაუსხმელობის პაქტი რუსეთსაც ათავისუფლებდა ორ ფრონტზე ბრძოლის პერსპექტივისგან და შესაძლებელს ხდიდა შორეული აღმოსავლეთიდან ჯარების გადმოსხმას მოსკოვის დამცველთა შეთხლებული რიგების შესავსებად. როგორც კი გერმანელების სწრაფი გამარჯვების იმედი დეკემბრის თოვლში ჩაიმარხა, სასწორმა თანდათან საბჭოთა კავშირისაკენ გადახრა დაიწყო, რომლის ცოცხალი ძალისა და სტრატეგიული ნედლეულის, ერთი შეხედვით, ამოუწურავი მარაგი გაჭიანურებულ ბრძოლაში უზარმაზარ უპირატესობას იძლეოდა.

ამერიკის ნეიტრალიტეტის დასასრული

გაჭიანურებულ კონფლიქტში გერმანიის პოტენციური სისუსტე აშკარა გახდა იმ ექვსი თვის განმავლობაში, როდესაც გერმანია ერთდროულად ორ სახელმწიფოსთან – დიდ ბრიტანეთთან და საბჭოთა კავშირთან – აწარმოებდა ომს, რომლებიც ერთად მსოფლიოს რესურსების მეოთხედს ფლობდნენ. ძალთა უთანასწორობა განსაკუთრებით გამოიკვეთა, როდესაც ევროპული კონფლიქტი მსოფლიო ომში გადაიზარდა და მას შეერთებული შტატები შეუერთდა რუსული კონტრშეტევის დაწყებიდან რამდენიმე დღეში. იმის მიუხედავად, რომ ამერიკული სამხედრო ძალა რეალურად ბრძოლაში მხოლოდ ორწელიწადნახევრის შემდეგ ჩაერთო, მისი უზარმაზარი ეკონომიკური რესურსები დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს ემსახურებოდნენ ისე, როგორც ეს პირველ მსოფლიო ომში ამერიკის აქტიურ მონაწილეობამდე მოხდა.

საფრანგეთის დაცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში, როდესაც ბრიტანეთი გერმანიის პირისპირ მარტო აღმოჩნდა, ვაშინგტონის იზოლაციონისტური პოლიტიკა თანდათან პრობრიტანული სტრატეგიით შეიცვალა, ვინაიდან რუზველტისა და მისი საგარეო პოლიტიკის მრჩეველებისთვის ნათელი გახდა გერმანიასთან ინგლისის დამარცხების მოსალოდნელი საზიანო შედეგები ამერიკის ეროვნული ინტერესებისთვის. 1940 წლის 2 სექტემბერს, როდესაც „ლუფტვაფემ“ ბრიტანულ კუნძულებზე გაშმაგებული საჰაერო იერიში წამოიწყო, შეერთებულმა შტატებმა ბრიტანეთს ჭარბ რეზერვში მყოფი ორმოცდაათი საესკადრო ნაღმოსანი გადასცა, დასავლეთ ნახევარსფეროში ბრიტანულ ტერიტორიაზე განლაგებული საზღვაო და საჰაერო ბაზების ოთხმოცდაცხრამეტწლიანი იჯარის სანაცვლოდ. ამ შეთანხმებამ ბრიტანეთი უკიდურესად საჭირო გემებით უზრუნველყო, რომლითაც ის ატლანტის ოკეანეში გერმანულ წყალქვეშა გემებთან ბრძოლების წარმოებას შეძლებდა,

ხოლო ჭარბი ამერიკული შეიარაღების შექენამ კი ბრიტანულ არმიას საშუალება მისცა დუნკერკის სანაპიროზე მიტოვებული იარაღი ჩაენაცვლებინა. 20 დეკემბერს რუზველტმა თავდაცვის საბჭო დააარსა, რომელსაც დასუსტებული ბრიტანეთისათვის ამერიკული დახმარების დაგეგმვა და კოორდინაცია უნდა მოეხდინა. ეს საქციელი გერმანიის მთავრობის მხრიდან ევროპულ საქმეებში ჩარევად შეფასდა, რაც ამერიკის ნეიტრალურ სტატუსს ეჭვქვეშ აყენებდა. მაგრამ ამერიკის ნეიტრალიტეტის კანონის „გადაიხადე და წაიღეს“ დებულებებმა, რომელიც კრძალავდა ამერიკული სავაჭრო გემების შესვლას ევროპული ომის ზონაში და მეომარი მხარეებისგან შესყიდვებისას ფულის წინასწარ გადახდას მოითხოვდა, ომის დაწყებიდან წელიწადნახევარში, ბრიტანეთი ლამის გაკოტრების პირას მიიყვანა. ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის მკვეთრად შემცირებამ, რაც საექსპორტო პროდუქციის ნაცვლად ომისთვის საჭირო პროდუქციაზე გადასვლითა და გერმანიის წყალქვეშა გემების მიერ ბრიტანულ სავაჭრო გემებზე თავდასხმებით იყო გამოწვეული, ეს ქვეყანა ოკეანის მიღმა მდებარე „დემოკრატიის არსენალისგან“ შესყიდვებისათვის საჭირო დოლარის მარაგის გარეშე დატოვა. მთელი მისი საგარეო აქტივებისა და ოქროს მარაგის გაყიდვაც კი არ იქნებოდა საკმარისი ამ ვალის დასაფარად. ამერიკამ ბრიტანეთში დოლარის მარაგის ამონურვას 1941 წლის 11 მარტს „სესხისა და იჯარის კანონის“ („Lend-Lease Act“) მიღებით უპასუხა. ამ კანონმა გააუქმა „გადაიხადე და წაიღე“ კანონის გადახდის ნაწილი და გაცა ნებართვა ამერიკული პროდუქციის კრედიტით მიყიდვაზე „ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომლის თავდაცვასაც პრეზიდენტი სასიცოცხლო მნიშვნელობისად მიიჩნევს შეერთებული შტატების თავდაცვისათვის“. ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე, მილიონი ტონა ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გადაიგზავნა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს 1941 წლის აპრილიდან დეკემბრამდე, რისი მიზანიც გერმანული წყალქვეშა კამპანიის შედეგად ბრიტანეთში შექმნილი სასურსათო კრიზისის შემსუბუქება იყო. 1941 წლის 6 ნოემბერს რუზველტის ადმინისტრაციამ „სესხისა და იჯარის“ კანონის საფუძველზე ერთი მილიარდი დოლარის კრედიტი მისცა საბჭოთა კავშირს, რომელიც, ზაფხულიდან მოყოლებული, გერმანიის თავდასხმებისგან ქვეყნის მთავარი ქალაქების დასაცავად იბრძოდა. ამრიგად, ანტინაცისტური ღერძის კოალიციისათვის ხელმისაწვდომი გახდა შეერთებული შტატების სტრატეგიული არსენალისა და ეკონომიკური რესურსების მნიშვნელოვანი ოდენობა.

რუზველტის სტრატეგია: „ევროპა უპირველეს ყოვლისა“

შეერთებული შტატების ჩართვა მეორე მსოფლიო ომში დააჩქარა არა გერმანიასთან წარმოქმნილმა ამა თუ იმ უთანხმოებამ, არამედ 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის თავდასხმამ ამერიკის წყნარი ოკეანის საზღვაო ფლოტ-

ზე ჰავაიში – პერლ ჰარბორზე. 1942 წლის გაზაფხულისათვის მთელ აღმოსავლეთ აზიაზე იაპონია გაბატონდა. ამერიკული ძალები განდევნილ იქნენ ფილიპინებიდან, სინგაპურში ბრიტანეთის მთავარმა აღმოსავლეთაზიურმა ბაზამ კაპიტულაცია გამოაცხადა, ხოლო იაპონიის სამხედრო და საზღვაო ძალებმა სამი მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა – ავსტრალიისაკენ, ინდოეთისკენ და ალასკასთან მიმდებარე ალუტის კუნძულებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ იაპონია აფართოებდა თავის გავლენას წყნარ ოკეანეში, ხოლო გერმანიიდან მის ინტერესებს უახლოეს მომავალში საფრთხე არ ექმნებოდა, რუზველტმა მაინც გადაწყვიტა ომში „ევროპა უპირველეს ყოვლისა“ სტრატეგიით ესარგებლა. 1942 წლის ზაფხულამდე დიდი ბრიტანეთი შეერთებულმა შტატებმა ჩაანაცვლა, როგორც მთავარმა უცხოურმა მიმწოდებელმა ისეთი პროდუქტებისა, როგორცაა: სურსათი, ტანსაცმელი, ტექნიკა. მიწოდება ატლანტიკის ოკეანის გავლით მურმანსკისა და არხანგელსკის პორტებში ისევე ხდებოდა, როგორც სპარსეთის ყურის გავლით, საიდანაც პროდუქტები ომში გადაღლილ დასავლეთ რუსეთს რკინიგზით მიეწოდებოდა. გერმანიის წყალქვეშა გემების მუქარა, რომლებმაც პერლ ჰარბორზე თავდასხმამდე ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტის გემები ჩაძირეს, 1943 წლის გაზაფხულისთვის, ამერიკული კონვოებისა და მზვერავი თვითმფრინავების წყალობით მოიხსნა, რომლებიც გერმანული წყალქვეშა გემების აღმოსაჩენად მიკროტალღოვანი რადარებით იყვნენ აღჭურვილი. აპრილში გერმანიის საზღვაო ძალებმა აღიარეს დამარცხება ატლანტიკის ოკეანის ბრძოლაში და წყალქვეშა გემები ნორვეგიისა და საფრანგეთის სანაპიროებზე დააბრუნეს. ანგლოამერიკულმა კონტროლმა ევროპისკენ მიმავალ საზღვაო გზებზე, პირველად გაუხსნა გზა მოკავშირეების სტრატეგების მიერ კონტინენტზე იერიშის მიტანის შესაძლებლობის განხილვას.

დავა დასავლეთ ევროპაში „მეორე ფრონტის“ შესახებ

დასავლეთიდან იერიშის დაწყება იგვიანებდა. მთელი სამი წლის განმავლობაში, 1941 წლის ივნისიდან 1944 წლის ივნისამდე, საბჭოთა არმია ყოველგვარი დახმარების გარეშე ეომებოდა გერმანიის არმიას. ბრიტანეთის მთავრობის მიერ სოლიდარობის ენთუზიასტური გამოცხადება გერმანიის წინააღმდეგ ახლადშექმნილი მოკავშირის დასახმარებლად (ლონდონმა და მოსკოვმა 1941 წლის 13 ივლისს ურთიერთდახმარების პაქტი გააფორმეს), ერთიანი ბრძოლის სახელით კონკრეტულ ქმედებებში და პირდაპირ სამხედრო ინტერვენციაში არ გადაზრდილა. სტალინის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, რომ შემდგარიყო რაიმე სახის სამხედრო ოპერაცია, რომელიც დასავლეთისკენ გადაიტანდა გერმანიის ყურადღებას და შეამსუბუქებდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობას, ჩერჩილი მტკიცე უარს ამბობდა გერმა-

ნელების კონტროლირებად ტერიტორიაზე პირდაპირი იერიშის გარისკვაზე. ბრიტანელებს ერჩიათ „ევროპის ციხესიმაგრეში“ გამაგრებულ გერმანიის უზარმაზარ არმიასთან დაპირისპირების ნაცვლად, ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ დასუსტებულ იტალიასთან ხმელთაშუა ზღვის აუზში იტალიის ერზაც-იმპერიაში, თუმცა მათ გერმანიის ქალაქების დაბომბვის რეიდებიც მოაწყვეს, რასაც აღმოსავლეთში გერმანიის საომარ შესაძლებლობებზე შესამჩნევი ეფექტი არ მოუხდენია. რუზველტის სურვილის მიუხედავად, ჩრდილოეთ საფრანგეთში ანგლოამერიკული ჯარების გადასხმის თაობაზე, ამერიკის ინტერვენციას დიდად არაფერი შეუცვლია, რადგან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დაარწმუნა იგი, რომ ასეთი საქციელი მიზანშეუწონელი იყო. მოკავშირეებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები, საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე, ძირითადად სტალინის დამშვიდებისკენ იყო მიმართული. რატომ დასჭირდათ დასავლელ მოკავშირეებს ამდენი დრო ასეთი ოპერაციის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის, დღემდე ცხარე ისტორიოგრაფიული დავების თემაა. საბჭოთა კავშირის დამცველები მიიჩნევენ, რომ ინგლისელებისა და ამერიკელების მხრიდან ასეთ ყოყმანს ცინიკური მოტივები ჰქონდა, კერძოდ, მათ სურდათ რუსეთი სისხლისგან დაცლილიყო მაშინ, როდესაც დასავლელი მოკავშირეები შეინარჩუნებდნენ თავიანთ სამხედრო და ეკონომიკურ რესურსებს და მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ჩაებმებოდნენ ბრძოლაში დამარცხებული გერმანიის ჩასანაცვლებლად და რუსეთისთვის კონტინენტზე გავლენის გაფართოების ხელშეაშლელად. თავად მთავარი მოქმედი პირების განცხადებების მიხედვით თუ ვისმჯელებთ, ორ მოსაზრებას შეიძლება განეპირობებინა დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმისადმი ჩერჩილის წინააღმდეგობა და რუზველტის თანხმობა ახალი ფრონტის გახსნის გადაღებაზე. პირველი მოსაზრება უკავშირდებოდა: 1) სადესანტო ხომალდების არასაკმარის რაოდენობას, 2) დიდი რაოდენობის ამერიკელი ჯარისკაცების ბრიტანეთში გადმოსხმას, მაშინ, როცა გერმანული წყალქვეშა გემები დაუსჯელად დაცურავდნენ ჩრდილოატლანტიკის ოკეანეში და ასევე 3) გერმანული არმიის მყარად გამაგრებულ პოზიციას ლამანშის მიმდებარე საფრანგეთის სანაპიროზე. ამის გამო ჩერჩილი შიშობდა, რომ ცუდად აღჭურვილი, მცირერიცხოვანი ჯარის ნაადრევ გადასხმას ჩრდილოეთ საფრანგეთში იგივე ბედი ეწეოდა, რაც თურქეთში გალიპოლის ნახევარკუნძულის ნარუმატებელ საზღვაო-სადესანტო ოპერაციას, რაშიც ბრალი პირველი მსოფლიო ომის დროს ჩერჩილს ედებოდა და რაც მას კინაღამ პოლიტიკურ კარიერად დაუჯდა. მეორე მოსაზრება უფრო მიმზიდველი ალტერნატივის არსებობას უკავშირდებოდა: მოკავშირეთა დესანტი ვიშის საფრანგეთის მსუბუქად დაცულ ჩრდილოაფრიკულ კოლონიებში, საიდანაც ევროპაზე ხმელთაშუა ზღვიდან იერიშის მიტანა იქნებოდა შესაძლებელი.

ხმელთაშუა ზღვის ფრონტი

1942 წლის ზაფხულში გერმანიამ ახალი იერიში მიიტანა საბჭოთა კავშირზე, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება მოკავშირეებს შორის, ვინაიდან სტალინი მომაბეზრებლად აგრძელებდა ანგლოამერიკული ხელმძღვანელობისგან დასავლეთში მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნას. 1942 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ აფრიკის ფრანგული კოლონიების დაპყრობა, დასავლელი მოკავშირეების აზრით, არაჩვეულებრივად წარმატებული ოპერაცია იყო. ამას მაისში, ლიბიაში, გერმანიისა და მის მოკავშირეთა კაპიტულაცია მოჰყვა, სადაც ისინი მაროკოსა და ალჟირში გადასხმულ მოკავშირეთა არმიასა და ეგვიპტეში დაბანაკებულ ბრიტანეთის არმიას შორის მოექცნენ. ამ ოპერაციის შემდეგ იტალიაც ტუნისში დაბანაკებულ მოკავშირეთა დაბომბვების არეალში მოექცა. თუმცა, აფრიკის გათავისუფლება საფრანგეთზე მოკავშირეთა იერიშის გადადების ხარჯზე მოხდა. ეჭვიანი სტალინისთვის ჩრდილოეთ აფრიკის ეს ოპერაცია ანგლოამერიკული ძალებისთვის მიმართულების სამწუხარო შეცვლას წარმოადგენდა დასავლეთ ევროპიდან, სადაც ეს ძალები გაცილებით მეტად იყო საჭირო. ივლისის თვეში დასავლელი მოკავშირეების დესანტმა სიცილიაში, რამაც სექტემბერში გზა გაუხსნა მოკავშირეების იერიშს იტალიაზე, დიდად ვერ უშველა საბჭოთა კავშირის ეჭვნარევ დამოკიდებულებას მოკავშირეთა სტრატეგიის მიმართ. ამან კიდევ უფრო გაზარდა სტალინის გაღიზიანება, მისი მოკავშირეების მხრიდან გერმანიის არმიასთან პირდაპირ ბრძოლებში ჩაბმისგან თავშეკავების გამო, მაშინ როცა საბჭოთა ჯარები მარტო ახორციელებდნენ მძაფრ კონტრშეტევას აღმოსავლეთით.

ხმელთაშუა ზღვაში ანგლოამერიკული სტრატეგიის გაცხადებული მიზანი იტალიის კაპიტულაციის მიღწევა და, მეორე მხრივ, გერმანიის არმიის მაქსიმალურად დიდი ნაწილის იტალიისკენ ჩამოტყუება იყო, მათ წინააღმდეგ საფრანგეთში იერიშის მოსამზადებლად. ამ კუთხით ინგლისელებმა და ამერიკელებმა ამკარად წარმატებას მიაღწიეს. სიცილიაში მოკავშირეების დესანტმა, რომელიც იტალიაში სურსათის, იარაღისა და საწვავის მწვავე დეფიციტისა და სოციალური არეულობის გახშირებული ფაქტების პერიოდში განხორციელდა, აიძულა მუსოლინი, რეჟიმის შელახული პრესტიჟის გასამყარებლად, 1943 წლის 24 ივლისს მოეწვია ფაშისტური უზენაესი საბჭო – მისი მორჩილი „პარლამენტი“ – რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეკრებილიყო. თუმცა, საბჭომ ხმა მისცა მეფე ვიქტორ იმანუელისათვის საგანგებო უფლებამოსილებების გადაცემას, რომელმაც მეორე დღესვე მუსოლინი მარშალ პიეტრო ბადოლიოთი შეცვალა, დუჩე კი დააპატიმრა. იტალიის ახალმა ლიდერმა სასწრაფოდ დაშალა ფაშისტური პარტია და მოკავშირეებს ზავის ხელშეკრულებისათვის მიმართა (რომელიც 8 სექტემბერს დაიდო) და გამოაცხადა, რომ მისი ქვეყანა მოკავშირეების მხარეს გადადიოდა. გერმა-

ნიის არმიამ, რომლის რაოდენობა, მოვლენათა სწორედ ასეთი განვითარების მოლოდინში, 25 დივიზიამდე გაზრდილიყო, იტალიის ჯარის განიარაღება დაიწყო და ნახევარკუნძულის ჩრდილოეთის ორი მესამედი დაიკავა, სადაც ახალი „იტალიური სოციალური რესპუბლიკის“ ლიდერად, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ სალოში, კვლავ მუსოლინი დააყენა მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი სასწაულებრივად გამოიხსნეს პატიმრობიდან გერმანელმა საჰაერო მედესანტებმა. ამას კი მოჰყვა ბრიტანელი და ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლისა და სამხედრო მარაგების განიავება იტალიის ჩრდილოეთის მიმართულებით ხანგრძლივ და ძვირ სამხედრო ექსპედიციაში, რომელიც სიცილიაში დესანტიდან წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და რომელიც მოკავშირეების მიერ ევროპის სამხედრო კამპანიისას დაშვებული, უდავოდ ყველაზე სერიოზული, სტრატეგიული შეცდომა იყო.

საბჭოთა კონტრშეტევა

ვიდრე დასავლელი მოკავშირეები ჩრდილოეთ აფრიკას გერმანიისა და მისი მოკავშირეების ჯარებისგან გაათავისუფლებდნენ, ხმელთაშუა ზღვაზე ეფექტურ კონტროლს მოიპოვებდნენ და იტალიის სამხედრო კამპანიას დაიწყებდნენ, საბჭოთა არმიამ აღმოსავლეთის ფრონტზე ბოლოსდაბოლოს მიაღწია, რომ ბრძოლის სასწორი გერმანელების საწინააღმდეგოდ გადახრილიყო. გერმანიის არმია, 1942 წლის ზაფხულში, რუსეთის სამხრეთში, მდინარე ვოლგაზე, სტრატეგიულად განლაგებულ ქალაქ სტალინგრადისკენ მიიწევა, რაც საფრთხეს უქმნიდა პირდაპირ საკომუნიკაციო ხაზებს საბჭოთა არმიასა და კავკასიის ნავთობის ჭაბურღილებს შორის, საიდანაც ქვეყანა სანავთობით მარაგდებოდა. სექტემბრის შუა რიცხვებამდე, გერმანიის მეექვსე არმიამ სტალინგრადის – სტალინის სახელის მატარებელი და სამხრეთ რუსეთის მთავარი სამრეწველო და საკომუნიკაციო ქალაქი – გარეუბნებს მიაღწია და მისი ბლოკადა გადაწყვიტა. თუმცა, შემოდგომაზე რუსეთის სამხედრო ძალების რაოდენობრივმა უპირატესობამ აიძულა გერმანელი გენერალი ფრიდრიჰ ფონ პაულუსი, უფრო იოლად დასაცავ პოზიციებამდე უკანდახვევის ნებართვა მოეთხოვა. ჰიტლერმა უარი თქვა ასეთი დამამცირებელი უკან დახვევისათვის ნებართვის გაცემაზე და ბოლომდე ბრძოლის ბრძანება გასცა. სამთვიანი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც ერთმა ისტორიკოსმა „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უაზრო ხოცვა-ყლეტა“ უწოდა, ფონ პაულუსი არ დაემორჩილა ჰიტლერის ბრძანებას და, 1943 წლის 2 თებერვალს, თავისი განადგურებული არმიით ჩაბარდა. გერმანიისა და მის მოკავშირეთა ნახევარი მილიონი მოკლული, დაჭრილი თუ ტყვედ აყვანილი მეომარი და გაზაფხულზე მასიური საბჭოთა კონტრიერიშის დაწყება საბჭოთა კავშირის დასავლურ ნაწილში, გერმანიისთვის „საცხოვრებელი სივრცის“ (Lebensraum) დაპატრონებისკენ ჰიტლერის აკვიატებული მისწრაფების დასასრულის დასაწყისი

აღმოჩნდა. წლის ბოლომდე, გერმანიის მიერ ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიის ორი მესამედი უკვე გათავისუფლებული იყო წითელი არმიის მიერ.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კონტრშეტევა აღმოსავლეთიდან ძალას იკრებდა, 1943 წლის ნოემბერში რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს თეირანში, რათა დასავლეთ ევროპის გათავისუფლების გეგმასა და დროზე შეთანხმებულიყვნენ. ჩერჩილმა ბალკანეთის რამდენიმე წერტილში ანგლოამერიკული დესანტის გეგმა წარმოადგინა, რასაც საფრანგეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის, კიდევ ერთხელ, სამომავლოდ გადადება მოჰყვებოდა. სტალინს ძალიან არ გაჭირვებია, დაერწმუნებინა რუზველტი და მისი სამხედრო მრჩეველები, რომ ასეთი ირიბი თავდასხმა ჰიტლერის მიერ ოკუპირებულ ევროპაზე, საფრანგეთის რეგიონ ნორმანდიაში ლა-მანშიდან გადასვლის ცუდი ალტერნატივა იყო, რადგან, ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ანგლოამერიკული ჯარი გერმანიის ინდუსტრიული და ომისმწარმოებელი ცენტრის – რურის ოლქისაკენ მიმავალ ყველაზე პირდაპირ და მოკლე გზას დაადგებოდა. ამრიგად, ამერიკელმა და საბჭოთა მეთაურებმა გვერდზე გადადეს ბრიტანელი ლიდერის ბალკანური გეგმა და გადაწყვიტეს საზღვაო დესანტის ჩრდილოეთ საფრანგეთში განხორციელება, რასაც მსგავსი ოპერაცია მოჰყვებოდა ჩრდილოეთ აფრიკიდან საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. 1944 წლის 6 ივნისს ამერიკის ბრიტანეთისა და კანადის ჯარების ხუთი საზღვაო და სამი საჰაერო დივიზია ნორმანდიის სანაპიროს გასწვრივ განლაგდა და ოთხი სანაპირო ბაზა დაიკავა. საჭირო სამხედრო მარაგს ისინი ინგლისში სპეციალურად წინასწარ დამზადებული, მცურავი ნავსადგომიდან იღებდნენ, რადგან იერიშის ზონაში საკმარისად დიდი ნავსადგური არ არსებობდა. შემდგომი კვირანახვერის განმავლობაში, მოკავშირეთა ძალები 640 000 მეომრამდე გაიზარდა. ისტორიაში ყველაზე დიდ საზღვაო-სადესანტო ოპერაციას ჰიტლერის საომარი მანქანის ორი განშტოების მხრიდან – საჰაერო ძალებისგან და ჯავშანდივიზიისგან – რეალური წინააღმდეგობის არარსებობა აიოლებდა იმის მიუხედავად, რომ, ოთხი წლით ადრე, ამ ძალებმა ევროპის მთელი კონტინენტი დაიმორჩილეს. გერმანიის საჰაერო ძალებმა ევროპის ცა სანვავის უკმარისობის გამო დატოვეს, რაც შეერთებული შტატების მიერ 1944 წლის გაზაფხულზე გერმანიის ნავთობმომარაგების წერტილოვანმა დაბომბვებმა გამოიწვია. გერმანულ სატანკო ერთეულებს ჩრდილოეთ საფრანგეთში გერმანიის სარდლობა რეზერვში მანამ ტოვებდა, სანამ ძალიან გვიანი არ იყო, რადგან ეგონათ, რომ ნორმანდიაში განხორციელებული მოკავშირეთა დესანტი სატყუარა იყო გერმანული ტანკების ბრძოლაში ჩასაბმელად. ივლისის ბოლოს მოკავშირეებმა სანაპირო ზოლი დატოვეს და შეუპოვარი შეტევა წამოიწყეს. მათ სამხრეთიდან წამოსულ ანგლოამერიკულ შეიარაღებულ ძალებთან და „თავისუფალი ფრანგების“ შენაერთებთან ერთად, რომლებიც სამხრეთ სა-



გერმანიის სტრატეგიული დაბომბვის შედეგები. გვამების შემონახვა ალტმარქტის ნანგრევებში, დრეზდენში, როდესაც ბრიტანელების დაბომბვებმა 1945 წლის 13 თებერვლის ღამეს 135 000-მდე ადამიანი იმსხვერპლა. კურტ ვონეგუტის მიერ ეს მოვლენა უკვდავყოფილია რომანში „სასაკლაო 5“. დრეზდენის დაბომბვა, ბალტიის საპორტო ქალაქ ჰამბურგთან ერთად, სადაც 40 000 ადამიანი დაიღუპა, ნაკარნახევი იყო სტრატეგიული დაბომბვის მხარდამჭერთა იმედით, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მასობრივი მკვლელობები და ნგრევა მტრის წინააღმდეგობის განუეის სურვილს შეაჩერებდა. ომის შემდეგ ამერიკელი მკვლევარების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დაასკვნეს, რომ მოკავშირეების მიერ წარმოებულმა დაბომბვის კამპანიამ დიდად ვერ იმოქმედა გერმანელების საომარ მოქმედებაზე.

ფრანგეთში 15 აგვისტოს გადმოვიდნენ, წლის ბოლომდე მთლიანად გაათავისუფლეს საფრანგეთი გერმანიის ოკუპაციისგან.


მარშალ პეტანის რეჟიმის გერმანიასთან კოლაბორაციონიზმის საფუძველზე, საფრანგეთის დამარცხებულ ქვეყნად განხილვისა და მოკავშირეთა სამხედრო ოკუპაციისთვის მისი დაქვემდებარების იდეასთან ხანმოკლე გათამაშების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა 11 ივლისს, განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე, ალიარა დე გოლის „ეროვნული გათავისუფლების ფრანგული კომიტეტი“, როგორც საფრანგეთის დე ფაქტო სამოქალაქო მთავრობა. რუზველტი დიდი ხნის განმავლობაში აგდებულად უყურებდა „თავისუფალი საფრანგეთის“ ქედმაღალ ლიდერს და ეჭვობდა, რომ დე გოლს ომისშემდგომი საფრანგეთის მიმართ ავტორიტარული გეგმები ჰქონდა, რაც დიდად არ ჩამოუვარდებოდა პეტანის პოლიტიკას. თავის მხრივ, დე გოლი აღშფოთებას არ მალავდა ამერიკის პრეზიდენტის მიერ, საფრანგეთის დაცემის შემდეგ, ვიშის რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნების გამო, მისთვის ნორმანდიის სადესანტო ოპერაციის შესახებ ინფორმაციის წინასწარ არმინოდებისა და ამ ოპერაციაში „თავისუფალი სა-

ფრანგეთის“ ძალების განსაკუთრებულ როლზე უარის გამო, ისევე როგორც რუზველტის არცთუ ისე ფარული მცდელობების გამო, საფრანგეთის არმიაში დე გოლის კონკურენტებისთვის დაეჭირა მხარი. 1944 წლის ზაფხულში დე გოლმა შეძლო, თავად გაეკაფა თავისი გზა გათავისუფლებული საფრანგეთის პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობამდე და აიძულა შეერთებული შტატები, ახალი რეალობა მიეღო. თუმცა, მასსა და რუზველტს შორის ომისდროინდელი დაპირისპირების მემკვიდრეობა, როგორც ვნახავთ, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მომდევნო წლების ურთიერთობებში ხელისშემშლელ ფაქტორად დარჩა.

დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დაძრულ მოკავშირეთა არმიების შეხვედრა

ამერიკული, ბრიტანული და „თავისუფალი საფრანგეთის“ არმიების მიერ გერმანიის დასავლეთ საზღვრებთან მიახლოების პარალელურად, საბჭოთა არმიამ გადმოლახა ბულგარეთი, რუმინეთი და ღრმად შეაღწია პოლონეთის ტერიტორიაზე. 1944-45 წლების ზამთარში გერმანიის სასონარკვეთილმა კონტრიეროებმა დასავლელი მოკავშირეების წინააღმდეგ, დროებით შეაყოვნა ცენტრალურ ევროპაში ჰიტლერის შეტორტმანებული იმპერიის გარდაუვალი დაცემა. 1945 წლის თებერვალში გერმანიის წინააღმდეგ ორივე ფრონტიდან განახლდა იერიში. მარტის დასაწყისში ბრიტანულ-ამერიკული არმია პირველი სამხედრო ძალა გახდა ნაპოლეონის შემდეგ, რომელმაც ბრძოლებით გადალახა მდინარე რაინი. სამხრეთით, ვენისკენ მიმავალმა საბჭოთა არმიამ გზად აიღო ბუდაპეშტი, ხოლო, ჩრდილოეთით, წითელმა არმიამ ბალტიის ზღვის სანაპიროებზე უკანდახეული გერმანული სამხედრო კონტინგენტები გაანადგურა და ბერლინში შესასვლელად მოემზადა.

დასავლეთიდან შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების, ხოლო აღმოსავლეთიდან საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე ძალაგამოცლილი გერმანული არმიის დეზინტეგრაციამ ევროპის კონტინენტის ცენტრში უზარმაზარი სამხედრო ვაკუუმი წარმოშვა. რა თქმა უნდა, გაჩნდა შეკითხვა, თუ რომელი გამარჯვებული არმია შეავსებდა ამ ვაკუუმს. ამ საკითხს, ბუნებრივია, პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ანგლოამერიკელებსა და რუსებს შორის რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემების ფონზე, რაც ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში თანამშრომლობამდე მხარეებს შორის ორმხრივი ინტენსიური ანტაგონიზმის მიზეზი იყო, გერმანიის სამხედრო მარცხის შედეგად თანამშრომლობის ერთადერთი მიზეზის გაქრობის შემდეგ, კვლავ გარდაუვალი გახდა იდეოლოგიური დაპირისპირების ამოტივტივება. რუსების მხრიდან, როგორც ვნახეთ, სტალინის უნდობლობა დასავლელი მოკავშირეების მიმართ გამომდინარეობდა ამ უკანასკნელთა მიერ



მეორე მსოფლიო ომი ევროპაში, 1941-1945

საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებიდან, მაშინ როცა ნითელი არმია აღმოსავლეთით მარტო უმკლავდებოდა გერმანიის ჯარის ცხრა მეათედს. ვერც დასავლეთის ფრონტზე ამერიკის არმიის დიდმა წვლილმა გერმანიის ნინააღმდეგობის გატეხვაში და ვერც ვაშინგტონის არაერთგზის გამოთქმულმა პირობამ, რომ დაიცავდა გერმანიის მხრიდან უპირობო კაპიტულაციის პოლიტიკას, რომელიც რუზველტმა და ჩერჩილმა 1943 წლის იანვარში კასაბლანკას კონფერენციაზე შეიმუშავეს, ვერ იქონია გავლენა სტალინის ეჭვების გასაფანტად, რომელსაც სჯეროდა, რომ, აღმოსავლეთში დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოები განწირული გერმანული არმიის საბჭოთა ჯართან შეტაკებას გეგმავდნენ მაშინ, როცა ანგლოამერიკული ჯარები ღრმად შეიჭრებოდნენ კონტინენტური ევროპის ტერიტორიაზე და რუსეთის ხარჯზე გადაწყვეტდნენ აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ მონყობას. მოკავშირეებს შორის ჩერჩილის ხმა გადამწყვეტი რომ ყოფილიყო, საბჭოთა დიქტატორის ეჭვები რეალობისგან შორს აღარ იქნებოდა. მეტად ანტიკომუნისტურად განწყობილ და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის გეგმებით შეფიქრებულ ბრიტანელ პრემიერმინისტრს სურდა, რომ მოკავშირეთა არმიას, რომელსაც უკვე ეკავა დასავლეთ გერმანია, ბერლინამდე მიეღწია და სამხრეთით პრალამიც შესულიყო, საიდანაც ისინი უკეთეს პოზიციაში აღმოჩნდებოდნენ ნაცისტების ყოფილი სატელიტების პოლიტიკურ მომავალზე რუსებთან მოსალაპარაკებლად.

თუმცა, ამერიკის მთავრობამ ისევე თქვა უარი ბრიტანელი პრემიერის გეგმის განხორციელებაზე, როგორც მანამდე, თეირანის კონფერენციაზე, უარი განუცხადა ჩერჩილს მოკავშირეთა ბალკანეთში დესანტზე იმ მიზეზით, რომ ასეთი ქმედება არაგონივრული იქნებოდა სამხედრო თვალსაზრისით. ამერიკის პრეზიდენტს შორეულ აღმოსავლეთში იაპონიასთან ომში რუსების დახმარების იმედი ჰქონდა. ამ ომის მოგება კი, ამერიკელი გენერლების აზრით, 1946 წლის ნოემბრამდე შეუძლებელი იქნებოდა. რუზველტი ასევე ვარაუდობდა, რომ ამერიკელი ხალხი დიდხანს არ მოითმენდა ამერიკული ჯარის ევროპაში დატოვებას და ამიტომ ნითელ არმიაში გერმანიის შემდგომი სამხედრო აღორძინების ეფექტურ შემაკავებელ ძალას ხედავდა. შესაბამისად, ევროპაში ეიზენჰაუერის არმიას უბრძანეს, შეჩერებულიყვნენ მდინარე ელბაზე, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი პრალისა და ბერლინის გათავისუფლებას განაგრძობდა. 25 აპრილს ამერიკელმა და რუსმა მეომრებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს ტორგაუში, მდინარე ელბას სანაპიროზე, ლაიფციგთან ახლოს, ხოლო 1-ელ მაისს ეიზენჰაუერი და რუსი მეთაურები შეთანხმდნენ სამხედრო ოკუპაციის დროებით ხაზზე, რომლის შესაბამისად მთელი აღმოსავლეთ ევროპა, გერმანიისა და ავსტრიის აღმოსავლეთი ნაწილების ჩათვლით, საბჭოთა ძალების კონტროლის ქვეშ დარჩა. 30 აპრილს ბერლინში, თავის ბუნკერში, პიტლერის თვითმკვლელობამ მის ათასწლიან

რაიხს დაარსებიდან თორმეტ წელიწადში დაუსვა წერტილი. 7 მაისს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა ეიზენჰაუერის საფრანგეთის შტაბბინაში რემსში, ხოლო ორი დღის შემდეგ ბერლინში, ცალკე ცერემონიაზე – რუსებისათვის.

მოკავშირეთა გეგმაში გათავისუფლებული ევროპისათვის

პიტლერთან ომის ბოლო წელს წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო გერმანია და კონტინენტის მის მიერ დამორჩილებული ტერიტორია პოლიტიკურად. გასაკვირი არაა, რომ სერიოზულად ბევრი არავის უფიქრია ევროპაში ომისშემდგომი პოლიტიკური მოწყობის შესახებ, ვიდრე სამხედრო დაპირისპირების შედეგი ჯერ კიდევ არ იყო ნათელი. 1943 წლის ზაფხულამდე, როდესაც გერმანიის დამარცხება უფრო სავარაუდო გახდა სამხრეთ იტალიაში ანგლოამერიკული დესანტისა და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის კონტრიერიშის ფონზე, მოკავშირეთა მიზნებს ზოგადი ხასიათი ჰქონდა. 1941 წლის აგვისტოში, ნიუფაუნდლენდის სანაპიროსთან ზღვაში შეხვედრისას, ჩერჩილმა და რუზველტმა ხელი მოაწერეს ატლანტიკურ ქარტიას, რომელიც ავალდებულებდა ორ ინგლისურენოვან სახელმწიფოს, ერთად ემუშავათ ომისშემდგომი საერთაშორისო წესრიგისათვის, რაც საკმაოდ ნააგავდა მანამდე უილსონის მიერ ასეთივე შეთანხმების შემუშავების ამოღებულ მცდელობებს. ისინი შეთანხმდნენ, რომ წინ აღუდგებოდნენ ტერიტორიული ცვლილებების ნებისმიერ მცდელობას, რომელიც არ გამოხატავდა შესაბამისი მოსახლეობის ნება-სურვილს, მხარს დაუჭერდნენ მთავრობების დემოკრატიულად არჩევას გერმანიისგან გათავისუფლებულ რეგიონებში და ხელს შეუწყობდნენ საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც მომაკვდავდ ერთა ლიგას ჩაანაცვლებდა. საბჭოთა კავშირისთვის რთული არ იყო, ხელი მოეწერა ამ ნეოუილსონურ ბრტყელ ფრაზეზე, გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში შექცენილი ახალი ბრიტანელი პარტნიორის მიმართ სოლიდარობის ჟესტის სახით. მაგრამ, როდესაც ლონდონი დაინტერესდა მოსკოვის შეხედულებებით კონკრეტულ საკითხებზე, მაგალითად, ტერიტორიული ტრანსფერის თაობაზე, ჩერჩილმა სტალინის უხეში და პირდაპირი პასუხი მიიღო, რომ საბჭოთა კავშირს ჰქონდა უფლება შეენარჩუნებინა აღმოსავლეთ ევროპის ის ტერიტორია, რომელიც მან ძალისმიერად დაისაკუთრა ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან დაკავშირებით, სტალინის გასაგები აკვიატების გამო, ჩერჩილი ენთუზიაზმის გარეშე ნავიდა ამ დათმობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამით ირღვეოდა ატლანტიკური ქარტიის მოთხოვნა ძალისმიერი ტერიტორიული ცვლილებების აკრძალვის შესახებ. პერლ ჰარბორის შემდეგ, მართალია, ვაშინგტონი თავს იკავებდა ბალტიის სახელმწიფოების, აღმო-

სავლეთ პოლონეთის, რუმინეთისა და ფინეთის მიმართ საბჭოთა კავშირის პრეტენზიების ოფიციალური მხარდაჭერისგან, არაფორმალურად მაინც და-თანხმდა მათ, ჰიტლერის წინააღმდეგ დიდ ალიანსში რუსეთის კრიტიკული როლის აღიარების გამოსახატად.

ომში გამარჯვების სასწორის მოკავშირეებისკენ გადმოხრამ, 1943 წლის ზაფხულში ანტიგერმანული კოალიციის ლიდერები აიძულა, პირველად სერიოზულად განეხილათ ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკური მოწყობის მრავალჯერ გადადებული საკითხი. 1943 წლის ოქტომბერში, მოსკოვში, მოკავშირეების საგარეო საქმეთა მინისტრების პირველ შეხვედრაზე, ომის შემდეგ მოკავშირეების მიერ იტალიის სამხედრო ოკუპაციის გეგმები შემუშავდა. საბჭოთა კავშირის მცდელობების მიუხედავად, თანაბარი მონაწილეობის უფლება მიეღო ამ სამხედრო ოკუპაციაში, რეალური ძალაუფლება ანგლოამერიკული ადმინისტრაციული პირების ხელში რჩებოდა, რომლებიც თან ახლდნენ ამერიკულ და ბრიტანულ ჯარებს იტალიის ნახევარკუნძულზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადაადგილებისას. თეირანის შეხვედრაზე, ერთი თვის შემდეგ, სტალინმა ჯიუტად გაიმეორა თავისი მოთხოვნა 1939-1941 წლებში აღმოსავლეთ ევროპაში მოპოვებული ტერიტორიების შენარჩუნების თაობაზე. დასავლელი ლიდერები უკმაყოფილოდ დასთანხმდნენ საბჭოთა კავშირის ამ მოთხოვნას მხოლოდ იმ პირობით, რომ პოლონეთის ტერიტორიული დანაკარგები აღმოსავლეთით რუსეთის სასარგებლოდ ანაზღაურებული იქნებოდა დასავლეთით გერმანიის ტერიტორიის ანექსიით. არავის უფიქრია პლებისციტის შეთავაზებაზე, რათა ეკითხათ, რას ფიქრობდნენ პოლონელები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაწილი უნდა გამხდარიყვნენ, ან გერმანელები, რომლებიც ახალ, „დასავლეთისკენ გადმოადგილებულ“, პოლონეთს უნდა მიერთებოდნენ. ასე დაექვემდებარა ატლანტიკური ქარტიის მაღალი იდეალიზმი ტოტალური ომის პირობებში რეალპოლიტიკის პრაქტიკულ მოთხოვნებს.

როგორც კი რუზველტმა საბოლოოდ უარყო თეირანში ჩერჩილის წინადადება ბალკანეთზე ანგლოამერიკული დესანტის შესახებ, როგორც დუნაის ხეობაში შემდგომი იერიშის წინაპირობა, საბოლოოდ დადასტურდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა გავლენის გავრცელება, ისევე როგორც ამერიკული და ბრიტანული ჯარების მიერ იტალიის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და სკანდინავიის გათავისუფლებით თავიდანვე გადაწყდა დასავლეთის გავლენის გავრცელება ამ ქვეყნებზე. 1944 წლის სექტემბერში წითელ არმიას, რომელიც იუგოსლავიაში, უნგრეთსა და საბერძნეთში შესვლისთვის ემზადებოდა, კაპიტულაცია გამოუცხადეს რუმინეთმა და ბულგარეთმა. ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ოქტომბერში სასწრაფოდ ეწვია მოსკოვს, რათა კიდევ ერთხელ მიეღნია ურთიერთგაგებისათვის რუსეთის ლიდერთან ბალკანეთის მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე, რაზეც

ბრიტანელებს 1944 წლის ივნისში უკვე გამოთქმული ჰქონდათ მოსაზრება. ატლანტიკური ქარტიის არქიტექტორმა და ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის ერთგულმა ჩერჩილმა მიიღო სტალინის თანხმობა „პროცენტების შეთანხმებაზე“, რომელიც რუმინეთს, ბულგარეთს და უნგრეთს, მეტ-ნაკლებად, საბჭოთა გავლენის სფეროს უქვემდებარებდა, საბერძნეთს – ანგლოამერიკულს, ხოლო იუგოსლავია მათ შორის უნდა გაყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ, საარჩევნო კამპანიის გამო, პრეზიდენტმა რუზველტმა ვერ შეძლო მოსკოვის კონფერენციაზე დასწრება, იგი სრულად ინფორმირებული იყო იქ მიმდინარე მოვლენების თაობაზე მოსკოვში მისი ელჩის – ავერელ ჰარიმანის დახმარებით. რუზველტის მხრიდან წინააღმდეგობის გაუნეწლობა ამ ცინიკური ვაჭრობის მიმართ, შეიძლება მივიჩნიოთ ვაშინგტონის მხრიდან უსიტყვო თანხმობად როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური მოწყობისთვის გავლენის სფეროების მიდგომის გამოყენებაზე, ასევე ჩერჩილისა და სტალინის მიერ შეთანხმებული კონკრეტული გეოგრაფიული დანაწილებების მიმართ.

გერმანიის პოლიტიკური მომავალი

თანამშრომლობის სულისკვეთება, რომელმაც საშუალება მისცა მოკავშირეებს, შეთანხმებულიყვნენ ბალკანეთის დე ფაქტო გაყოფასა და რუსეთის უფლებაზე, შეენარჩუნებინა თავისი 1941 წლის საზღვრები აღმოსავლეთ ევროპაში, თანდათან გაუჩინარდა, როდესაც საკითხი გერმანიისა და პოლონეთის მომავალს შეეხო – ქვეყნებს, რომელთა შორის დაპირისპირებითაც ევროპაში ომი დაიწყო. როდესაც გერმანიის მომავალის საკითხს არაფორმალურად თეირანის კონფერენციაზე შეეხნენ, სამი ლიდერი თითქოს შეთანხმდა, რომ გერმანიის გაყოფა ერთადერთი ეფექტური გამოსავალი იყო „გერმანული პრობლემის“ მოგვარებისთვის, რომელმაც საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს ორი მსოფლიო ომი მოუტანა. ჩერჩილმა 1919 წლის პარიზის კონფერენციაზე გერმანიის მიმართ მკაცრი პოლიტიკის მომხრე ფრანგების იდეები გააცოცხლა და ისაუბრა გერმანიისთვის მისი სამრეწველო ცენტრის – რაინლანდ-ვესტფალიის რეგიონის ჩამოჭრაზე და ცენტრალური ევროპის ფედერაციის შექმნაზე, რომელიც გააერთიანებდა სამხრეთ გერმანულ სახელმწიფოებს, ავსტრიასა და უნგრეთს. სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა იმ ქვეყნის ნაწილებად დაშლას, რომელმაც მისი ქვეყანა ასე გაანადგურა. ამერიკელების თავდაპირველი პოზიცია გერმანული პრობლემის მოგვარების თაობაზე ასეთივე მკაცრი იყო, თუმცა მათი გამოსავალი უფრო მეტად გერმანიის ეკონომიკური ძლიერების წყაროებს უკავშირდებოდა. 1944 წელს კეზეკში, ანგლოამერიკულ კონფერენციაზე, რუზველტმა მიიღო ჩერჩილის წინასწარი თანხმობა ამერიკის ხაზინის ხელმძღვანელის – პენრი მორგენტაუს მიერ შედგენილ სქემაზე, რომელიც გერმანიის მრეწ-

ველობის სრულ განადგურებას და მისი სასოფლო-სამეურნეო სტატუსის შემცირებას ითვალისწინებდა.

1945 წლის თებერვალში, რუსეთში, ყირიმის ნახევარკუნძულის კურორტ იალტაზე შეხვედრამდე, გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური მომავლის შესახებ ანგლოამერიკულმა პოზიციამ, რაც თეირანსა და კეზეპეკში შურისძიების გეგმებში გამოიხატა, ფუნდამენტური ცვლილება განიცადა. ამასობაში, მოკავშირეთა სამხედროებს თითქმის მთელი გერმანია ეკავათ და რაიხი დაცემის პირას იყო მისული. შესაბამისად, ბრიტანელ და ამერიკელ ოფიციალურ პირებსაც ახალი მოსაზრებები გაუჩნდათ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქუცმაცების შედეგებთან დაკავშირებით. რუზველტსა და ჩერჩილს იმ მოსაზრებების გამო მოუწიათ გერმანიის დანაწევრებისა და რეპარაციების შესახებ იალტაში სტალინის მკაცრ მოთხოვნებზე უარის თქმა, რომელიც მოსაზრებებითაც უილსონმა და ლოიდ ჯორჯმა, 25 წლის წინ პარიზში, უარი უთხრეს კლემანსოს: ცენტრალურ ევროპაში გერმანიის სრული გაუჩინარება დატოვებდა ვაკუუმს რეგიონში, რომელსაც აუცილებლად შეავსებდა იქვე მდებარე რუსეთი; ხოლო გერმანიის ეკონომიკური სისტემის დასუსტება, მისთვის ზედმეტად მაღალი რეპარაციების დაკისრებით, ზიანისმომტანი იქნებოდა სხვა ინდუსტრიული სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც ომის შემდეგ ფეხზე დადგომას ცდილობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის რეპარაციებისა და მისი პოლიტიკური მომავლის შესახებ გადაწყვეტილებები არ მიღებულა, იალტის კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ ქვეყნის სამხედრო საოკუპაციო ზონებად დროებითი დანაწილების შესახებ. საბჭოთა არმია დაიკავებდა ტერიტორიას მდინარე ელბის აღმოსავლეთით, რომელსაც ჰიტლერის ჯარებისგან ათავისუფლებდა. დანარჩენს კი დაიკავებდნენ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის არმიები (ამ უკანასკნელისთვის ცალკე საოკუპაციო ზონის გადაცემა ჩერჩილმა სთხოვა რუზველტს, რადგან შიშობდა, რომ ამერიკელი სამხედროები მალე დატოვებდნენ ევროპას, როგორც ეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, და ბრიტანეთი რუსეთის პირისპირ მარტო აღმოჩნდებოდა). ასევე გადაიდო რეპარაციების მტიკინეული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება 1919 წელსაც, თუმცა 20-22 მილიარდი დოლარი (რომლის ნახევარი საბჭოთა კავშირს ერგებოდა) მაინც იყო ნახსენები კონფერენციაზე, როგორც სანყისი თანხა შემდგომი მოლაპარაკებებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური მომავალი

პოლონეთის მომავალი მოწყობის შესახებ ხანგრძლივი დავა იალტაში დიდი ალიანსის აღმოსავლელ და დასავლელ წევრებს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. 1943 წლის აპრილში სტალინმა, მოულოდნელად, ლონდონში მყოფი პოლონეთის პროდასავლური დევნილი მთავრობის დიპლომატიური

ალიარების დენონსაცია მოახდინა, როდესაც მათ, აღმოსავლეთ პოლონეთის საბჭოთა ოკუპაციის დროს, საბჭოთა ჯარების მიერ ათი ათასზე მეტი პოლონელი ოფიცრის დახოცვის თაობაზე ნაცისტების ბრალდებების გასამყარებლად ფაქტების გახმაურება დაიწყო. ამის შემდეგ სტალინმა მოქმედების უფლება მისცა რუსეთში მყოფ პოლონელი დევნილების მეტოქე ჯგუფს, რომელიც ლონდონში მცხოვრებ პოლონელებს პოლიტიკურ ლეგიტიმურობას ედავებოდა. 1944 წლის 23 ივლისს პოლონეთის ქალაქ ლიუბლინში დაარსდა პროსაბჭოთა „პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი“. პირველ აგვისტოს, ლონდონში, დევნილი პოლონელების მონოდებაზე საპასუხოდ, ვარშავის იატაკქვეშა პოლიტიკური მოძრაობის ორმოცდაექვსმა ათასმა წევრმა ამბოხი მოაწყო გერმანიის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ, რომელთაც ქალაქის თითქმის მთლიანი მოსახლეობა შეუერთდა. ვარშავის აჯანყების პარალელურად, ნითელმა არმიამ გაარღვია გერმანიის თავდაცვა და ქალაქში ექვსი მილით შეიჭრა, ხოლო მოსკოვის რადიო აჯანყების მხარდამჭერ ცნობებს გადმოსცემდა. თუმცა, საბჭოთა არმიამ უეცრად შეწყვიტა შეტევა და სექტემბრის ბოლომდე გერმანიის ჯარის მიერ პოლონური აჯანყების სისხლში ჩახშობას დაელოდა. ჩერჩილმა სტალინს, იტალიაში დისლოცირებული ანგლოამერიკული თვითმფრინავების მიერ ვარშავის აჯანყების მხარდასაჭერი დაბომბვებისა და საჰაერო დესანტის შემდეგ, საბჭოთა ბაზებზე დაშვების ნებართვა სთხოვა, თუმცა სტალინმა ეს თხოვნა არ შეისმინა. ათასობით პოლონელი პარტიზანის სიკვდილმა ბოლო მოუღო ლონდონელი პოლონელების მიერ ოკუპირებულ ვარშავაში დაარსებულ პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას, რამაც გზა გაუხსნა პოლონელების პროსაბჭოთა ჯგუფს, რომელიც ვარშავაში ნითელ არმიას შეჰყვა. 1945 წლის იანვარში, საბჭოთა არმიამ ომამდელი პოლონეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა, კრემლმა კი ვარშავაში პოლონელთა პრორუსული ფრაქციისგან შემდგარი მთავრობა დასვა და მას ფორმალური დიპლომატიური აღიარებაც მიანიჭა.

მომდევნო თვეში, იალტის კონფერენციაზე რუზველტმა და ჩერჩილმა სტალინისგან მიიღეს თანხმობა, ახლადდაარსებულ დროებით მთავრობაში პოლონური წინააღმდეგობის არაკომუნისტი ლიდერების მონაწილეობის თაობაზე. მათ ძნელად, მაგრამ მაინც მიიღეს სტალინისგან პირობა, ომის შემდეგ პოლონეთში ნამდვილი, დასავლური ტიპის თავისუფალი არჩევნების ჩატარებაზე, რათა ქვეყანას საშუალება მისცემოდა, თავად განესაზღვრა თავისი მმართველობის ფორმა. ამ პირობამ საბოლოოდ მთელი კონტინენტი მოიცვა. სამმა ლიდერმა ხელი მოაწერა ამერიკელების შეთავაზებულ „თავისუფალი ევროპის დეკლარაციას“. რუზველტი, სახლში დაბრუნების შემდეგ, 12 აპრილს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით, რომელიც მას უკვე ეტყობოდა ყირიმში გამართულ შეხვედრაზე. სიკვდილის წინ ის, ალბათ,



სამი დიდი სახელმწიფოს ლიდერი იალტის კონფერენციაზე, 1945 წლის თებერვალში: ამ უმაღლესი დონის შეხვედრის დაწყებისას ნიელ არმიას უკვე ეკავა აღმოსავლეთ ევროპის უმეტესი ნაწილი, რაც ამყარებდა სტალინის პოზიციას, მოეთხოვა ამ რეგიონში საკუთარი გავლენის გავრცელება. ერთადერთი დათმობა, რაც რუზველტმა და ჩერჩილმა საბჭოთა ლიდერისგან მიიღეს, პოლონეთში თავისუფალი არჩევნების ჩატარება და ბუნდოვანი შინაარსის „თავისუფალი ევროპის დეკლარაციაზე“ ხელმოწერა იყო, რომელიც, გერმანიის დამარცხების შემდეგ, ევროპის ქვეყნებს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას პირდებოდა.

დარწმუნებული იყო, რომ, ოთხი თვით ადრე, სტალინისა და ჩერჩილის მიერ შემუშავებული „გავლენის სფეროების“ ფორმულა, ატლანტიკური ქარტიის სულისკვეთების შესაბამისად, თვითგამორკვევის ნეოუილსონური პრინციპით იყო ჩანაცვლებული. მისი მემკვიდრე ჰარი ტრუმენი კიდევ უფრო მტკიცედ იყო დარწმუნებული ევროპის მომავლის შესახებ ომის დროს მიღწეული შეთანხმებების ამ ვერსიაში.

ყირიმის შეხვედრიდან კი სტალინი იმ ვარაუდით დაბრუნდა, რომ ჩერჩილთან მანამდე მიღწეული ურთიერთგაგება გავლენათა სფეროების შესახებ, კვლავ ძალაში რჩებოდა და იალტის დეკლარაცია მხოლოდ რიტორიკული მნიშვნელობის ფასადური განცხადება იყო შეერთებული შტატების აღმოსავლეთევროპული წარმოშობის მოქალაქეების დასამშვიდებლად. და-

სავლელი ურნალისტები და პოლიტიკოსები ხშირად საუბრობდნენ ანტი-გერმანული კოალიციის სამი დიდი სახელმწიფოს მონაწილეობით ომის-შემდგომი კონსორციუმის შექმნაზე, რომელთაგან თითოეული, საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე გავლენის საშუალებით, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე იზრუნებდა. თეირანში რუზველტმა სტალინს თავისი ნომეტერნიხისეული „ოთხი პოლიციელის“ – შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის – იდეა წარუდგინა, რომლებიც, გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, მსოფლიოში წესრიგს დაიცავდნენ. საბჭოთა არმიის მიერ ბალკანეთის გათავისუფლების შესახებ თეირანში მიღებულმა გადაწყვეტილებამ და მოსკოვში მიღწეულმა შეთანხმებამ, გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის გავლენათა სფეროების განაწილების შესახებ, დააჯერა სტალინი, რომ დიდი სახელმწიფოების კონცერტის ძველი პრინციპი ისევე განაგრძობდა მოქმედებას ომის შემდეგაც, როგორც ეს ომის განმავლობაში ხდებოდა.

ამ ვარაუდის საფუძველზე, საბჭოთა ლიდერმა მოსკოვის შეხვედრაზე მიღწეული „პროცენტების შეთანხმების“ აღსრულება დაიწყო, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ნაციისტების ყოფილ სატელიტ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებებს დაედო საფუძველად. რუმინეთში, ბულგარეთში და უნგრეთში საკონტროლო კომისიების რუსი წევრები ანგლოამერიკელი კოლეგების გვერდის ავლით იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რათა ამ ქვეყნებში საკუთარი გავლენა გაემყარებინათ, ისევე როგორც ბრიტანელები და ამერიკელები არ აქცევდნენ ყურადღებას საკონტროლო კომისიის მოსკოველ წევრებს იტალიაში, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ არ შეადგენდა „პროცენტების შეთანხმების“ ნაწილს, თავისთავად, დასავლეთის გავლენის სფეროში შედიოდა. როდესაც საბერძნეთში, წინააღმდეგობის მოძრაობის კომუნისტ და არაკომუნისტ წევრებს შორის დაპირისპირების გამო, 1944-1945 წლების ზამთარში სამოქალაქო ომი დაიწყო, სტალინმა ბერძენ კომუნისტებს უარი უთხრა დახმარებაზე, რითაც ათენის პროდასავლურ მთავრობას, ბრიტანეთის სამხედრო დახმარებით, ხელისუფლების შენარჩუნების საშუალება მისცა. საფრანგეთსა და იტალიაში კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც მათი იდეოლოგიის გამო მანამდე ვერ მონაწილეობდნენ „ბურჟუაზიულ“ პოლიტიკურ ადმინისტრაციებში, კრემლმა დაავალა დათანხმებულიყვნენ მეორეხარისხოვან ადგილებს არაკომუნისტურ კოალიციურ მთავრობებში და უჩვეულო ზომიერებით ემოქმედათ, მიუხედავად ამ ქვეყნებში ყველაზე პოპულარული პარტიების დროებითი სტატუსისა. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ სტალინმა ეს ქვეყნები, რომლებიც ანგლოამერიკულმა სამხედრო ძალებმა გაათავისუფლეს, დასავლეთის გავლენის სფეროდ აღიარა. დიდი ალიანსის მომავალი სამხედრო ტრიუმფი აუცილებელს ხდიდა გათავისუფლებული ევროპის პოლიტიკური მომავლის შესახებ ომისდროინდელი შეთანხმებების ამ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილე-

ბას. რომელი სულისკვეთება გაიმარჯვებდა ამ დაპირისპირებაში – მეტერ-ნიხის თუ უილსონის?


ევროპელი ებრაელების განადგურება

1945 წლის დასაწყისში, ომის მოახლოებულ დასასრულთან ერთად, დღის სინათლეზე გამოდიოდა ცნობები ნაცისტური რეჟიმის მიერ ჩადენილი სისასტიკის შესახებ. პოლონეთში, იანვარში, საბჭოთა არმიის მიერ აუშვიცის ადამიანთა განადგურების ცენტრის აღმოჩენამ და შემდეგ, აპრილში, ანგლო-ამერიკული ჯარების მიერ გერმანიაში – ბუხენვალდსა და ბერგენ-ბელზენში – სიკვდილის ბანაკების გათავისუფლებამ ნათელი მოჰფინა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაელი მოსახლეობის ამონყვეტის მესამე რაიხისეულ საზარელ კამპანიას. ევროპის 12 მილიონი ებრაელიდან 6 მილიონის ამონყვეტა, რასაც ინგლისურენოვან სამყაროში დღეს „ჰოლოკოსტი“ ეწოდება, ევროპის ებრაელებისგან განმედიის პიტლერისეული სტრატეგიის შესაბამისად განხორციელდა, რომელიც, 1933 წელს პიტლერის ხელისუფლებაში მოსვლიდან, სამ ეტაპად იყო დაგეგმილი. პირველი ეტაპი, რომელიც 1941 წლამდე გაგრძელდა, გულისხმობდა ებრაელების მასობრივ განდევნას გერმანიიდან და მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან. 1939 წლის სექტემბერში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, გერმანიაში და ავსტრიაში მცხოვრები ებრაელების ნახევარმა თავი შეაფარა სხვადასხვა უცხო ქვეყანას, რომლებიც მათ მიღებაზე თანხმდებოდა. როდესაც პოლონეთის დაპყრობამ გერმანიის კონტროლს კიდევ, დამატებით, 1.8 მილიონი ებრაელი დაუქვემდებარა, ეს ადამიანები საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს გერმანიის ნავარაუდები გამარჯვების შემდეგ მათი შორეულ ტერიტორიებზე მასობრივი დეპორტაციისათვის. საფრანგეთის დაცემის შემდეგ დაიწყო დისკუსია ევროპელი ებრაელების აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ფრანგების მფლობელობაში მყოფ კუნძულ მადაგასკარზე, გადასახლების შესაძლებლობის შესახებ.

ებრაელთა წინააღმდეგ პიტლერის პოლიტიკის მეორე ეტაპი 1941 წლის ზაფხულში დაიწყო, როდესაც გერმანიის ჯარები საბჭოთა კავშირში შეიჭრნენ. არმიას ზურგსუკან ესესის მობილური ჯგუფები S.S. Einsatzgruppen („საგანგებო რაზმები“) მოჰყვებოდნენ. სწორედ ამ სისხლმონყურებულ ყაჩაღებს ევალეობდათ ფიურერის 1941 წლის მაისის ბრძანების აღსრულება, რომლის თანახმად „ოპერაცია ბარბაროსას“ დროს ტყვედ აყვანილი ყველა კომუნისტი ფუნქციონერი ადგილზე უნდა დაეხვრიტათ, რათა ძირი გამოეთხარათ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურისათვის. განადგურებელი ომის განმავლობაში, „საგანგებო რაზმებმა“ საბჭოთა კავშირში მცხოვრები 5 მილიონი ებრაელიდან დაახლოებით 1.4 მილიონი სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს კი ხორციელდებოდა ლენინგრადის, მოსკოვისა და სტალინ-

გრადისაკენ დაძრული გერმანული არმიის ზურგში კომუნისტ პარტიზანობაში ეჭვმიტანილი ადამიანებისგან დაცვის საბაბით. სანამ S.S. Einsatzgruppen-ის ქვეგანყოფილები ანადგურებდნენ თითოეულ ებრაელს, ვინც კი ხელში უვარდებოდათ, საჰაერო ძალების მარშალ ჰერმან გერინგმა დაავალა S.S.-ის ოფიცერ რაინჰარდ ჰეიდრიხს, მოენახა უფრო ეფექტური და სისტემური მეთოდი ოკუპირებული ევროპის საქალაქო დასახლებებში კონცენტრირებული მილიონობით ებრაელის საკითხის მოსაგვარებლად. სანამ ჰეიდრიხი თავის საზარელ სქემას შეიმუშავებდა, 1941 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირზე გერმანიის იერიში შეჩერებულ იქნა. ზამთრის დადგომამ ნათელი გახადა, რომ ომი რუსეთში გათვალისწინებულზე დიდხანს გაგრძელდებოდა.

„ოპერაცია ბარბაროსას“ წარუმატებლობამ ნაცისტების ხელმძღვანე-




ორი ებრაელი ტყვე დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის ამპფინგის სექტორში მიუნხენთან, გერმანია, ამერიკული ჯარების მიერ მათი გათავისუფლების შემდეგ, 1945 წლის 4 მაისს: საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებს (განსხვავებით სიკვდილის ბანაკებისგან, როგორც იყო აუშვიცი, სადაც ტყვეებს დაუყოვნებლივ ხოცავდნენ) მონური შრომისთვის იყენებდნენ. თუმცა, შიმშილის, ავადმყოფობისა და მძიმე მოპყრობის გამო, ამ ბანაკებშიც ბევრი ადამიანი იღუპებოდა.

ლობას უბიძგა, გადაეხედათ, როგორც პიტლერი და მისი მიმდევრები თავად უნოდებდნენ, „ებრაული პრობლემის საბოლოო მოგვარების“ როგორც მეთოდისათვის, ასევე განრიგისათვის. 1941 წლის ბოლოს ნაცისტურმა გერმანიამ უეცრად შეცვალა ებრაელთა მასობრივი ემიგრაციის ხელშეწყობის პოლიტიკა და ებრაელებს გერმანიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება აუკრძალა. 1942 წლის 20 იანვარს ბერლინის გარეუბან ვანზეეში ნაცისტური პარტიის უმაღლესი პირების საიდუმლოდ გამართულმა შეხვედრამ საფუძველი დაუდო, როგორც ერთი ისტორიკოსი უნოდებდა, „ებრაელების წინააღმდეგ ომის“ ყველაზე ბარბაროსულ ეტაპს. პეიდრიხმა მიიღო ხელმძღვანელობის თანხმობა მის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთში გერმანიის არმიას ამოფარებული ესესელთა ბანდების მიერ ებრაელთა არაორგანიზებული მკვლელობების მეთოდის შეცვლას ებრაელთა განადგურების უფრო სისტემატური კამპანიით, სადაც გამოყენებული იქნებოდა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდები. ისინი, ვინც იძულებითი შრომისას შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩნენ, დაუყოვნებლივ გაზის კამერებსა და კრემატორიუმებში უნდა გადაეგზავნათ. სიკვდილის ბანაკები გერმანიასა და ოკუპირებულ პოლონეთში რამდენიმე ადგილას მოეწყო, სადაც ებრაელები და ისინი, ვისაც ნაცისტები არასრულყოფილ ადამიანებად მიიჩნევდნენ – ბოშები, ჰომოსექსუალები და სლავები – 1942-1944 წლებში გადაჰყავდათ.

1942 წლის ნოემბერში, როდესაც ადამიანთა განადგურების უტყუარმა ფაქტებმა უცხო ქვეყნების ყურამდე მიაღწია, მოკავშირეების რეაქცია ფრთხილი და არაქმედითი იყო. გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ უშუალო საომარი მოქმედებების აბსოლუტური პრიორიტეტიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების სამხედრო დეპარტამენტმა უარი თქვა, რომ აუშვიცის მახლობლად საჰაერო დაბომბვაზე გასულ თვითმფრინავებს აუშვიცისკენ აეღოთ გეზი და გაზის კამერები თუ სიკვდილის ბანაკებისკენ მიმავალი რკინიგზა დაებომბათ. გამარჯვებული კოალიციის მთავრობებმა მხოლოდ მას შემდეგ დასვეს მკაცრად საკითხი გენოციდში ნაცისტთა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც განმათავისუფლებელი ჯარები ნაცისტების მსხვერპლთა ნეშტებს გადააწყდნენ და ცოცხლად დარჩენილი დაუძღურებული ადამიანები იხილეს. 1945 წლის ნოემბრიდან 1946 წლის სექტემბრამდე, ბავარიის ქალაქ ნიურნბერგში, ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობის ოცდაორი უმაღლესი წარმომადგენლის სასამართლომ – რომლის განაჩენები მოიცავდა სასჯელებს ათწლიანი პატიმრობით დაწყებული, სიკვდილით დასჯით დამთავრებული (სამი ეჭვმიტანილი გაამართლეს) – საერთაშორისო სამართალს ახალი ტერმინი შესძინა – „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“.



შეერთებული შტატების უზენაესობის გამყარება ლათინურ ამერიკაში



ბრაზილიელი მამაკაცები, ქალები და ბავშვები ყავის მარცვლებს აგროვებენ, 1920-იანი წლების დასაწყისი: ამ პერიოდში ბევრი ლათინურამერიკული ქვეყანა ერთადერთი საქონლის ექსპორტს ახდენდა. ერთი მოსავლიდან მიღებულ მოგებაზე დამოკიდებულება კი მათი შემოსავლების სერიოზულ არასტაბილურობას იწვევდა, მსოფლიო ბაზრებზე არსებული მკვეთრად ცვალებადი ფასების გამო. ბრაზილიამ და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებმა მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია ამ ენდემური პრობლემის გადასალახავად.

თავის შინაარსი

პირდაპირი ბატონობის პერიოდი (1914-1932)

არაპირდაპირი ვებემონის პერიოდი (1933-1945)

პირდაპირი ბატონობის პერიოდი (1914-1932)

როგორც უკვე აღინიშნა, კარიბის ზღვა ესპანეთ-ამერიკის ომის დასრულებიდან პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე ნამდვილ ამერიკულ ტბად იქცა. ფინანსური ზედამხედველობის, კომერციული ათვისების, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობების დამარეგულირებელი დიპლომატიური შეთანხმებებისა და დროდადრო სამხედრო ძალის გამოყენების საშუალებით, შერტებულმა შტატებმა კარიბის ზღვის ზოგიერთი კუნძულისა და ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებზე ეფექტური კონტროლი დაამყარა. ევროპული სახელმწიფოები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მეცხრამეტე საუკუნეში მოიპოვეს, დაყაბულდნენ შერტებული შტატების ჰეგემონიას, რადგან მათი ენერჯია აფრიკასა და აზიაში მათსავე კოლონიურ ქიშპობას ხმარდებოდა, ისევე როგორც ბრძოლას ძალაუფლებისათვის, რომლის შედეგიც პირველი მსოფლიო ომი გახდა. სწორედ ამ ომმა გაამყარა ამერიკის უზენაესობა კარიბის რეგიონში და გაამარტივა ამერიკის ეკონომიკური ძალის ექსპანსია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეც, რის მიზეზებსაც ქვემოთ შევეხებით.


პარადოქსულია, რომ ვუდრო უილსონმა, რომელიც ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის უმთავრესი ქომაგი და ლათინურ ამერიკაში მისი წინამორბედების „დოლარის დიპლომატიის“ მკაცრი კრიტიკოსი იყო, განახორციელა უფრო მეტი სამხედრო და დიპლომატიური ინტერვენცია აშშ-ის სამხრეთ საზღვართან, ვიდრე ამერიკის ნებისმიერმა სხვა პრეზიდენტმა მანამდე და მის შემდეგ. მას გულწრფელად სჯეროდა კარიბის რეგიონში მისი ინტერვენციონისტული პოლიტიკის არსებითად მორალური საფუძვლის: კარგი მმართველობის მგზნებარე მხარდამჭერს, მთელი არსებით სძულდა ის კორუფცია, ეკონომიკური არაეფექტურობა, ავტოკრატია და სოციალური არეულობა, რომელიც ასე აშკარად ახასიათებდა ამერიკის სამხრეთ მეზობლებს. როგორც მანამდე, ის ნიუ-ჯერსისა და, შემდეგ, ვაშინგტონის პოლიტიკური ინსტიტუტების წმენდას შეეცადა, ზუსტად ასევე, ამ პროგრესულმა იდეალისტმა განიზრახა, მათივე კეთილდღეობისათვის, ნესრიგი, პატიოსნება და ეკონომიკური ეფექტურობა თავს მოეხვია კარიბის რეგიონის ქვეყნებისათვის.

მიუხედავად ამისა, ამ იდეალისტური უნგარო პოზიციის უკან იგივე საზრუნავი იდგა, რომელმაც ბიძგი მისცა რუზველტისა და ტაფტის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას რესპუბლიკური პარტიის მმართველობის პერიოდში: შიში იმისა, რომ კარიბის რეგიონში პოლიტიკური რევოლუცია, სოციალური არასტაბილურობა და ფინანსური მარცხი აიძულებდა ევროპის სახელმწიფოებს, ჩარეულიყვნენ იქ საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლისა და ინვესტიციების დასაცავად. 1914 წლის ზაფხულში, ომის მოახლოებასთან დაკავშირებით კვლავ გახსნილი პანამის არხის უსაფრთხოებისთვის კრიტიკული მნიშვნელობის რეგიონში ევროპული სახელმწიფოების სამხედრო ან, თუნდაც, ფინანსური აქტიურობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ამერიკის რომელიმე პრეზიდენტი შეეგუებოდა.

შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენცია და ფინანსური მეთვალყურეობა

საკუთარ ნახევარსფეროში კარგი მმართველობის პრაქტიკის ხელშეწყობის ამერიკული ვალდებულებების შესახებ პროგრესული რიტორიკის ფარდის მიღმა, უილსონმა ლათინურ ამერიკაში რუზველტ-ტაფტის სამხედრო ინტერვენციების პოლიტიკა და „დოლარის დიპლომატია“ განაგრძო. უილსონისეული კეთილმოსურნე სიტყვების უკან დაფარული ამერიკული ტლანქი პოლიტიკის ამ ახალი ფორმით პირველად ნიკარაგუამ ისარგებლა. ბრაიან-ჩამოროს ხელშეკრულებით (რომელსაც ხელი 1914 წლის 5 აგვისტოს მოენერა, რასაც ორი წლის შემდეგ რატიფიკაცია მოჰყვა), ამ ქვეყნის ფინანსებზე ზედამხედველობის უფლება პირდაპირ ვაშინგტონიდან კონტროლირებად კომისიას გადაეცა. შეერთებული შტატების მთავრობა ნიკარაგუას გალღეტილ რეჟიმს სახელმწიფო ვალის შესამცირებლად აფინანსებდა და, სანაცვლოდ, ტრანსპანამის არხის მშენებლობასა და მის ორ ტერმინალზე სამხედრო ბაზების განთავსებაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. ამ შეთანხმების მიზანი პანამის არხის ჩრდილოეთით სახმელეთო მისასვლელის დაცვა, მომავალში ევროპელების მიერ ნიკარაგუას ალტერნატიული მარშრუტით არხის გაყვანისთვის ხელის შეშლა და ამ, მუდმივად გაკოტრებულ მდგომარეობაში მყოფი, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, რათა თავიდან აეცილებინათ ევროპელების მხრიდან შესაძლო ინტერვენციისთვის საბაბის შექმნა. 1912 წელს ნიკარაგუაში ამერიკული საზღვაო ქვეითების კონტინგენტი ჩავიდა, რომლის რაოდენობა მოგვიანებით კიდევ უფრო გაიზარდა ქვეყანაში ფინანსური რეორგანიზაციისათვის შეიარაღებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

მეზობელ დომინიკელთა რესპუბლიკასა და ჰაიტიზე სოციალური არეულობისა და ფინანსური არასტაბილურობის მსგავსი ვითარება ევროპული ინტერვენციისათვის იმავე საბაბს ქმნიდა და შესაბამისი იყო ვაშინგტონის




ცენტრალური ამერიკა და კარიბის აუზი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე

წინმსწრები რეაქციაც. 1904 წელს, დომინიკელთა რესპუბლიკის მთავრობის მიერ საგარეო ვალების გადახდისუნარიობის გამოცხადების შემდეგ, შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ დანიშნული ლიკვიდატორს რესპუბლიკის პორტებში საბაჟო შემოსავლების უცხოელი კრედიტორებისათვის განაწილება დაევალა. როგორც კარიბის რეგიონში მანამდე და მას შემდეგ განხორციელებული ამერიკული ფინანსური ინტერვენციების შემთხვევებში, ეს პოლიტიკაც დაკავშირებული იყო ევროპული სახელმწიფოების მხრიდან, მათი დაზარალებული მენაბრეების სახელით, რეგიონში შესაძლო ინტერვენციის აკვიატებულ შიშთან. უილსონის პრეზიდენტობის პირველი ვადისას დომინიკელთა რესპუბლიკაში სოციალური წესრიგის სრული მოშლა და მასთან დაკავშირებული ფინანსური კოლაფსის შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ აქტუალურს ხდიდა ევროპელების მხრიდან ამ არასტაბილურ ქვეყანაში ინტერვენციის საფრთხეს. ამგვარი პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად, შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, ზედამხედველობა გაენია 1914 წლის არჩევნებისათვის და 1916 წელს ამ რესპუბლიკაში წესრიგის დასაცავად და ამერიკული ფინანსური კონტროლის უზრუნველსაყოფად საზღვაო ქვეითები გაეგზავნა.

ჰაიტის მეზობელ რესპუბლიკაში გერმანიის მხრიდან ამ ქვეყნის გაუთავებელი პოლიტიკური არეულობისა და ფინანსური სირთულეების გამოყენების პერსპექტივა და ჰაიტის დიდი საგარეო ვალის გასტუმრების უზრუნველსაყოფად ამ ქვეყნის საბაჟო კონტროლის ხელში ჩაგდების შესაძლებლობა, ვაშინგტონში დიდ შეშფოთებას იწვევდა. ამერიკელებს ასევე აშფოთებდათ გერმანიის მიერ ჰაიტიზე სამხედრო ბაზების განთავსების ალბათობა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა, კერძოდ, კუნძულ ჰაიტიდან და კუბიდან, პანამის არხამდე გასასვლელის გაკონტროლება. როდესაც ჰაიტიზე რევოლუციური არეულობები დაიწყო, უილსონმა გადაწყვიტა წინმსწრებად ჩარეულიყო, ვიდრე ევროპის მხრიდან ჰაიტის საქმეებში ჩარევას ექნებოდა ადგილი. 1915 წელს ჰაიტიზე გაიგზავნა საზღვაო ქვეითები უცხოეთის მოქალაქეებისა და კერძო საკუთრების დასაცავად, ხოლო ამერიკული ბანკები დაარწმუნეს, გაეცათ სესხები ჰაიტის მთავრობისათვის, რათა მას საგარეო ვალების კონსოლიდირება და გასტუმრება შეძლებოდა. ჰაიტის სახელმწიფო ფინანსების მართვაზე პასუხისმგებლობა ამერიკელმა ფინანსურმა მრჩეველმა აიღო, დაინიშნა ამერიკელი ლიკვიდატორი საბაჟო შემოსავლებზე მეთვალყურეობისათვის და ჰაიტის პოლიციის მართვა ამერიკელ სამხედრო ოფიცრებს დაევალა. ახალი კონსტიტუციის შესაბამისად (რომელიც სამხედრო-საზღვაო მინისტრის მოადგილემ – ფრანკლინ რუზველტმა შეადგინა), ჰაიტი ამერიკის პროტექტორატად იქცა. იმავე წელს უილსონის ადმინისტრაციამ სამხედრო ძალები დააბრუნა კუბაში (საიდანაც ისინი მანამდე, 1909 წელს გამოვიდნენ) და დანიისგან, ჩამორთმევის მუქართ, დანიური ვესტინდოეთი შეიძინა. ეს

ყველაფერი კი „ამერიკული ტბის“ ევროპული ომისმოყვარე სახელმწიფოებისგან დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდებოდა.

ლათინურ ამერიკაში უილსონის ინტერვენციათა შორის ყველაზე თვალისმომჭრელი შემთხვევა განხორციელდა ქვეყანაში, რომელიც შედარებით უკეთ იყო განწყობილი შვერთებული შტატების მიმართ და არც ევროპული სახელმწიფოების მხრიდან ჩარევის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ამერიკის მეზობლებს შორის ყველაზე გულითადი ურთიერთობები შვერთებულ შტატებთან, ამერიკული სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, მექსიკას ჰქონდა. ამერიკასთან ტერიტორიების დაკარგვით გამოწვეული წყენა ჩამცხრალი იყო შვერთებული შტატების მიერ 1867 წელს საფრანგეთზე განხორციელებული ზენოლისა და მექსიკიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნის გამო. ამას მექსიკელი ნაციონალისტების მიერ ფრანგების სატელიტი იმპერიის დამხობა მოჰყვა, რომელსაც ავსტრიელი ერცჰერცოგი მაქსიმილიანი ედგა სათავეში. როგორც ვნახეთ, 1879-1910 წლებში მექსიკელი დიქტატორი დიასი სიამოვნებით იღებდა ამერიკულ დაბანდებებს მექსიკის უძრავ ქონებაში, ბუნებრივ რესურსებში, რკინიგზასა და საზოგადოებრივი მოხმარების ნაგებობებში. 1910-1911 წლებში დიასის დასამხობად მოწყობილმა მექსიკის რევოლუციამ ქვეყანა სოციალურ და პოლიტიკურ არეულობამდე მიიყვანა, რაც სერიოზულად დაემუქრა მექსიკაში ამერიკის ინვესტიციებსა და ქონებას. 1913 წლის თებერვალში პრეზიდენტ ვიქტორიანო შუერტას მიერ დიქტატორული ძალაუფლების მოპოვებამ პრეზიდენტ უილსონის დემოკრატიული პრინციპები შეურაცხყო, რის შედეგადაც მან შეაჩერა მექსიკის დიპლომატიური აღიარება და შეეცადა, დაემხო მექსიკის ახალი პრეზიდენტი მისი „კონსტიტუციონალისტი“ მეტოქეებისათვის – რომლებიც ქვეყნის თითქმის მთლიან ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდნენ – ამერიკული იარაღის მიწოდების გზით. 1914 წელს ხმელეთზე შვებულებით მყოფი ამერიკელი მეზღვაურების დაპატიმრება მექსიკის პორტ ტამპიკოში, რაც საზღვრის სამსახურის განსაკუთრებით მონდომებული ხელქვეითის მხოლოდ და მხოლოდ უბრალო წინდაუხედაობის შედეგი იყო, ვაშინგტონში მექსიკის პრეზიდენტის საპასუხო რეაქციად აღიქვეს და გადაწყვიტეს, რომ ასეთი საქციელი დასჯას იმსახურებდა. შესაბამისად, ამერიკის საზღვაო შენაერთებმა ვერა კრუსის პორტი დაიკავეს და ორ ქვეყანას შორის ომის დაწყებას აღარც არაფერი აკლდა, როდესაც, შეიდი თვის შემდეგ, კომპრომისულმა შეთანხებამ შესაძლებელი გახადა ამ შენაერთების უკან გაყვანა. 1916 წლის მარტში, მექსიკის სამოქალაქო ომში ამერიკელების ჩარევის სურვილით ანთებულმა კონსტიტუციონალისტების ერთ-ერთმა ლიდერმა პანჩო ვილამ, რომელიც ელოდა, რომ ამერიკელების ინტერვენცია გააერთიანებდა მის ქვეყანას საერთო ჩრდილოელი მტრის წინააღმდეგ, ნიუ მექსიკოში ამერიკის სასაზღვრო ქალაქზე რეიდი მოაწყო. საპასუხოდ, უილსონმა, გენერალ ჯონ პერშინ-



„იძებნება ცოცხალი ან მკედარი“: 1916 წელი. შეერთებული შტატების მეთაურობა მექსიკის კასას გრანდეს მახლობლად მდებარე შტაბბინაში, ფრანცისკო პანჩო ვილას შესაპყრობად შემდგარი ექსპედიციისას. გენერალი პერშინგი მარცხნიდან მეოთხე დგას. მარჯვნივ, მის უკან, ლეიტენანტი ჯორჯ პატონია. ნიუ მექსიკოზე ვილას მიერ განხორციელებული რეიდის ამ საპასუხო დამსჯელმა ოპერაციამ წარმატებას ვერ მიაღწია და, 1917 წელს ამერიკის პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შედეგად, საერთოდ შეწყდა.

გის მეთაურობით, მექსიკაში დამსჯელი სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა „ბანდიტი“ ლიდერის შესაპყრობად. ამ დონკიხოტური ავანტიურის გაცხადებული მიზანი, მექსიკელებისათვის სოციალური წესრიგის დამამყარებელი დემოკრატიული მთავრობის შექმნის აუცილებლობის წარმოჩენა იყო. მექსიკის მთავრობის განრისხებული პროტესტისა და მექსიკის სამხედროებთან შეტაკებების შემდეგ, 1917 წლის 5 თებერვალს ამერიკული ჯარები მექსიკიდან გაიყვანეს, რასაც რამდენიმე დღით წინ უსწრებდა ვაშინგტონის მიერ ბერლინთან დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა, წყალქვეშა ნავების შეუზღუდავი საომარი მოქმედებების გამო, რაც ევროპულ ომში ამერიკის ჩარევის ნიშანი იყო.

შეერთებული შტატების ეკონომიკური ექსპანსია

უილსონის ადმინისტრაციის მიერ კარიბის რეგიონში სამხედრო ჩარევისა და ფინანსური მეთვალყურეობის რუზველტ-ტაფტისდროინდელი პოლიტიკის განახლება იმ პერიოდში მოხდა, როდესაც შეერთებული შტატები სწრაფად ახორციელებდა ეკონომიკურ ექსპანსიას სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. ესპანეთ-ამერიკის ომის შემდგომ, შეერთებული შტატების სავაჭრო

და ფინანსური ურთიერთობები ლათინურ ამერიკასთან, თითქმის ექსკლუზიურად, მხოლოდ მეზობელი კარიბის ზღვის რეგიონითა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებით შემოიფარგლებოდა. 1898-1914 წლებში ამერიკის ინვესტიციები მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში 320 მილიონი დოლარიდან 1.7 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა და ამ თანხის თითქმის მესამედს მხოლოდ მექსიკა და კუბა იღებდა. სამხრეთ ამერიკის უფრო დიდ სახელმწიფოებში ამერიკის ეკონომიკური აქტივობის მიუხედავად, ამ რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა და ფინანსური ურთიერთობები მაინც ევროპაზე იყო კონცენტრირებული. ახალი საუკუნის დასაწყისისკენ უცხოური კაპიტალის მთავარ წყაროდ მთლიანად ლათინურ ამერიკაში დიდი ბრიტანეთი რჩებოდა, რომლის პირდაპირი და საპორტფელო ინვესტიციები რეგიონში 2.5 მილიარდ დოლარს აღწევდა. 1914 წლამდე ბრიტანეთის მთლიანმა ინვესტიციებმა ლათინურ ამერიკაში 3.7 მილიარდ დოლარს მიაღწია, საიდანაც 60%-ით მხოლოდ არგენტინა და ბრაზილია სარგებლობდნენ, დანარჩენის უმეტეს ნაწილს კი ჩილე, პერუ, მექსიკა და ურუგვაი იღებდნენ. საფრანგეთი ლათინურ ამერიკაში მთავარი ინვესტორი 1880 წლიდან გახდა, ხოლო 1900-1914 წლებში კი რეგიონში ინვესტიციების რაოდენობა სამჯერ გაზარდა და 1.2 მილიარდ დოლარს მიაღწია. 1914 წლისათვის ლათინურ ამერიკაში 900 მილიონი დოლარის ოდენობის გერმანული ინვესტიციაც შედიოდა, რომლითაც ძირითადად არგენტინა, ბრაზილია, ჩილე და მექსიკა სარგებლობდნენ. ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, ამ რეგიონში ბრიტანეთის ინვესტიციები, დაახლოებით, მისი სამი მთავარი კონკურენტი ქვეყნის ინვესტიციების ჯამს უდრიდა.

ლათინური ამერიკის რესპუბლიკები კაპიტალდაბანდებებსა და წარმოებულ პროდუქციას ყველაზე დიდი ეკონომიკური ძლიერების მქონე ევროპული სახელმწიფოებისაგან იღებდნენ, ხოლო, სანაცვლოდ, ევროპაში მიდიოდა მათი სასოფლო-სამეურნეო და მინერალური რესურსების ექსპორტის დიდი ნაწილი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ლათინურ ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ეს საფინანსო და სავაჭრო ურთიერთობები უეცრად დაასრულა. ბრიტანულმა ბლოკადამ და გერმანიის წყალქვეშა ნაგების თარეშმა, ევროპის სამრეწველო პროდუქციის, კაპიტალიზაციებისა და საზღვაო-სავაჭრო გადაზიდვების გადართვამ ომისთვის აუცილებელ მიმართულებებზე, ლათინური ამერიკა ევროპასთან საგარეო ვაჭრობისა და მისი ფინანსური დახმარების გარეშე დატოვა.

ევროპასთან ვაჭრობისა და მისი ინვესტიციების შემცირებით გამოწვეული ეკონომიკური ვაკუუმი ლათინურ ამერიკაში ძლიერმა, ეკონომიკურად განვითარებულმა, ნეიტრალურმა ჩრდილოელმა სახელმწიფომ შეავსო. ევროპელი ექსპორტიორების მიერ დაკავებული ბაზრები ამერიკელმა მწარმოებლებმა დაიკავეს. ამერიკის სასოფლო-სამეურნეო, სამთო მრეწველობისა და

ნავთობინტერესებმა ბრიტანულ, ფრანგ და გერმანულ ფირმებს ლათინური ამერიკის მიწასა და ნიადაგულ რესურსებზე კონტროლი ჩამოართვეს. როდესაც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი იძულებული გახდნენ, შეემცირებინათ ინვესტიციები ლათინურ ამერიკაში და ეს ფინანსები ომის მიზნებისთვის მოეხმარათ, ხოლო გერმანული აქციები რეგიონში ან გაიყიდა, ან კონფისკაციას დაექვემდებარა, ამერიკელმა კრედიტორებმა უმაღლეს ჩაანაცვლეს ევროპელი კონკურენტები და კაპიტალდაბანდებათა მთავარ წყაროდ იქცნენ. ომის დროს ამერიკული ინვესტიციების ღირებულება დოლარის კურსით 50 პროცენტით გაიზარდა. ომის ბოლოს, ამერიკული კაპიტალის ნაკადმა გზა გაუხსნა ლათინურ ამერიკაში ამერიკული ინვესტიციების გასაოცარ ექსპანსიასა და ამ რეგიონთან სავაჭრო ურთიერთობების ზრდას 1920-იან წლებში, რადგან ევროპელი სახელმწიფოებისთვის უკვე შეუძლებელი იყო აღედგინათ ლათინურ ამერიკაში ის ფინანსური და სავაჭრო პოზიცია, რომელიც მათ ომამდე ეკავათ.

ომის შემდეგ, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ამერიკული ინვესტიციების ზრდას ხელი შეუწყო 1919 წელს კანონის მიღებამ (Edge Act), რომელმაც პირველად მისცა ამერიკის საბანკო დანესებულებებს უცხოეთში ფილიალების გახსნის უფლება. ამ კანონმა საშუალება მისცა ამერიკელ ინვესტორებს, რომლებიც მანამდე ფინანსურ ოპერაციებს ბრიტანული საბანკო სისტემისა და მისი საერთაშორისო ფილიალების ფართო ქსელის გავლით ახორციელებდნენ, პირდაპირ გასულიყვნენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოების ფულის ბაზრებზე. უოლ სტრიტის ბანკები სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობის სესხებს სთავაზობდნენ სახელმწიფო და მუნიციპალურ მთავრობებსა თუ კერძო კორპორაციებს, რომელთა ფასიან ქაღალდებს გასაყვანი ალარ ჰქონდათ ევროპის ბაზრებზე, სადაც სახელმწიფოები ცდილობდნენ როგორმე დაეკმაყოფილებინათ საკუთარი მოთხოვნა კაპიტალზე ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესში. ოციანი წლების მეორე ნახევარში ახალ აქციათა და ობლიგაციათა 24 პროცენტის ათვისება ლათინურ ამერიკაში ხდებოდა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ამერიკის საპორტფელო ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, თვალში საცემად გაიზარდა პირდაპირი ინვესტიციებიც. ეს ინვესტიციები, რომლებიც ძირითადად ელექტრონული საწყობების წარმოებაში, რკინიგზაში, სამთო მრეწველობაში, ნავთობმოპოვებასა და ტროპიკულ სოფლის მეურნეობაში ხორციელდებოდა, 1914-დან 1929 წლამდე ოთხჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში ლათინურ ამერიკაში ხორციელდებოდა შეერთებული შტატების საგარეო პირდაპირი ინვესტიციების 44 პროცენტი. 1919 წლის შემდეგი ათწლეულის განმავლობაში, ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების პირდაპირი და საპორტფელო ინვესტიციების მთლიანი ნომინალური ღირებულება ორჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა

ბრიტანული ინვესტიციები უცვლელი დარჩა, ხოლო საფრანგეთისა და გერმანიისამ – მკვეთრად იკლო.

მთავარი ინვესტორის პოზიციამ საშუალება მისცა ამერიკულ ფინანსურ წრეებს, უფრო მეტი კონტროლი დაემყარებიათ მიმღები სახელმწიფოების ფისკალურ და ფულად პოლიტიკაზე. ამ ეკონომიკური ძალის გავლენა თავისთავად იგრძნობოდა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ნიკარაგუა, ჰაიტი, დომინიკელთა რესპუბლიკა, რომელთა ფინანსური ინსტიტუტები შეერთებული შტატების უშუალო ზედამხედველობას დაექვემდებარა. ნომინალურად ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც კი, როგორებიცაა: კუბა, ბრაზილია, ჩილე, ვენესუელა, იმდენად დამოკიდებული გახდნენ ამერიკულ ინვესტიციებზე, რომ მათი საგადასახადო შემოსავლების დიდი ნაწილი ამერიკული ბანკებისა და კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის შედეგი იყო. ამერიკაში დაფუძნებული ამ დანესებულებების მმართველ საბჭოებში მიღებულ გადაწყვეტილებებს ხშირად ლათინური ამერიკის მთავრობების საბიუჯეტო პოლიტიკაზე პირდაპირი და გადამწყვეტი გავლენა ჰქონდათ (და, შესაბამისად, ეროვნული სიმდიდრის განაწილებაზეც). პირველი მსოფლიო ომის დროს ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდების ეს მკვეთრი ზრდა ინტერამერიკული ვაჭრობის თვალში საცემი ექსპანსიის პარალელურად მიმდინარეობდა. ამერიკის სამწლიანმა ნეიტრალურმა სტატუსმა კიდევ უფრო დააჩქარა ზემოწამოთვლილი მიზეზების გამო შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთის, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავარი სავაჭრო პარტნიორის, ჩანაცვლების პროცესი. ომის შემდგომ მიღებული კანონის (Webb-Pomerene Act) შესაბამისად (რომელიც საექსპორტო ვაჭრობით დაკავებულ ფირმებს ანტიმონოპოლიური კანონის მოქმედებისგან ათავისუფლებდა), ამერიკული კონგლომერატები იოლად უმკლავდებოდნენ უფრო მცირე ევროპულ ფირმებს ლათინური ამერიკის ბაზრებზე. 1914-დან 1929 წლამდე, შეერთებული შტატების ექსპორტის ღირებულება ლათინურ ამერიკაში სამჯერ გაიზარდა და 1929 წელს რეგიონის მთლიანი იმპორტის 40 პროცენტი შეადგინა. წარმოებული საქონლის გაყიდვების სანაცვლოდ, შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის პირველადი პროდუქციის გასაღების მთავარ ბაზრად იქცა (ძირითადად, წიაღისეული და ტროპიკული სურსათი), რამაც ოციანი წლების ბოლოს ლათინური ამერიკის ქვეყნების მთლიანი ექსპორტის მესამედს მიაღწია.

დაქვემდებარების ჩამოყალიბება

განსხვავებულ ვითარებაში ეს ინტერამერიკული სავაჭრო ურთიერთობები შესაძლოა ურთიერთთავსებად ეკონომიკურ სისტემებს შორის ჭარბი პროდუქციით ორმხრივად სასარგებლო ვაჭრობაში გადაზრდილიყო. ამის ნაცვლად, თანდათან ჩამოყალიბდა ნეოკოლონიური ურთიერთობა, რომლი-

დანაც ერთი მხარე დიდ მოგებას ნახულობდა, მეორე კი პირველზე დაქვემდებარების სისტემაში ჩაიკეტა. ომის შემდგომ ჩამოყალიბებული ინტერამერიკული ვაჭრობის ამ არათანაბარ სახეს რამდენიმე გამომწვევი მიზეზი აქვს. პირველი ამ მიზეზთაგანი იყო ამერიკული ფირმებისა და მათ უკან მდგომი ფინანსური წრეების ტენდენცია, რაც, სხვადასხვა ლათინურამერიკული ქვეყნის მთავარ საექსპორტო სამრეწველო დარგებში პირდაპირი ინვესტიციების გზით, მაკონტროლებელი ფუნქციის მოპოვებაში მდგომარეობდა. ასეთი ყოვლისმომცველი გავლენის მოპოვების მაგალითები ბევრია. ამერიკული კაპიტალი ჩილეს სპილენძის საბადოებში განხორციელებული ინვესტიციების 92 პროცენტს წარმოადგენდა. ამერიკულმა ნავთობკომპანიებმა, ევროპელი კონკურენტების ჩამოშორების შემდეგ, ვენესუელის ნავთობწარმოების ნახევარი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს. კუბური შაქრის მოსავლის ორი მესამედი ამერიკულ მწარმოებელ და გადამამუშავებელ კორპორაციებს ეკუთვნოდათ. ორ ამერიკულ ფირმას – United Fruit Company-ს და Standard Fruit Company-ს – ერთად, მონოპოლია ჰქონდათ აღებული გვატემალას, ჰონდურასის, ნიკარაგუასა და პანამის ბანანის პლანტაციებზე. რესურ-



კუბელი ფერმერები შაქრის ღერძის მოსავალს იღებენ : 1920-იანი წლების ბოლოს, კუბური შაქრის 75 პროცენტის წარმოება ამერიკული ფირმების საკუთრებაში მყოფ საამქროებში ხდებოდა. მხოლოდ ეს ერთი პროდუქტი კუბის ექსპორტის 70 პროცენტს შეადგენდა, რომლის ოთხი მეხუთედი შეერთებულ შტატებში შედიოდა. ამერიკული ფირმების წარმოებულ და შეერთებულ შტატებში ექსპორტირებულ ამ ერთადერთ პროდუქტზე დაყრდნობა საფუძვლად დაედო ამ პატარა კუნძულის დაქვემდებარებას მის დიდ ჩრდილოელ მეზობელზე.

სებზე უცხო ქვეყნების საკუთრება ინვეცია ამ ეროვნული რესურსების ექსპლუატაციიდან მიღებული მოგების რეპატრიაციას და არა მის რეინვესტირებას ამ ქვეყნების ინფრასტრუქტურაში. შედეგად კი, იმის ნაცვლად, რომ ამ, ისედაც იშვიათ, კაპიტალს დაეფინანსებინა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროექტები, გაეზარდა მათი სამრეწველო პოტენციალი და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე, კაპიტალი სხვა მიმართულებით მოიხმარებოდა.

ინტერამერიკული სავაჭრო ურთიერთობების მეორე უარყოფით მხარეს, ლათინურამერიკული ქვეყნების თვალსაზრისით, ამერიკული პირდაპირი ინვესტიციების მიერ თითოეულ ქვეყანაში მხოლოდ ერთი ტიპის საექსპორტო კულტურისა თუ პროდუქტის ინტენსიური განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა, პროდუქციის დივერსიფიკაციის ხარჯზე. მხოლოდ ერთი რესურსის განვითარების პოლიტიკამ ლათინური ამერიკის თითოეული ქვეყანა მეტად დაუცველი გახადა ოციან წლებში საქონლის ფასების სწრაფი და ხშირი ცვლილებების მიმართ. როდესაც დიდი სისწრაფით ეცემოდა შაქრის, ყავის, სპილენძისა და სხვა პროდუქციის ფასები, რაც ხშირად ხდებოდა ამ პერიოდში, ქვეყნები, რომელთა ექსპორტი მხოლოდ ამ პირველადი პროდუქტებისგან შედგებოდა და ეს ექსპორტი მყარი ვალუტის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, უმწვავეს კრიზისში ვარდებოდნენ.

დაბოლოს, პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში და მის შემდეგ შეერთებული შტატების მიერ ლათინური ამერიკის ექსპორტის დიდი ნაწილის დაპატრონებამ ბატონობისა და მორჩილების ტიპის ურთიერთობა წარმოქმნა, რომელიც ბუნებრივად სხვა საკითხებზეც გავრცელდა. ექსპორტზე დამოკიდებულმა მდგომარეობამ ზოგ შემთხვევაში უკიდურესი ხასიათი მიიღო: 1937 წელს შეერთებული შტატები ყიდულობდა კუბის ექსპორტის 80 პროცენტს, ჰონდურასის ექსპორტის 88 პროცენტს და პანამის ექსპორტის 91 პროცენტს. ვერცერთი ქვეყანა, რომლის კეთილდღეობა ასე იყო დამოკიდებული ამერიკულ ბაზარზე, ვერ გაუძლებდა ვაშინგტონის ზენოლას, მათი შიდა და საგარეო პოლიტიკა შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობაში მოეყვანა.

იყვნენ ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩრდილოელი მეზობლის მიმართ მუდმივი მორჩილების მდგომარეობაში? როგორც აღინიშნა, პირველი მსოფლიო ომის შედეგად ლათინურ ამერიკაში ევროპის ეკონომიკური ინტერესების შემცირებით, ამ ქვეყნებს ყველა ის უპირატესობა წაერთვა, რომელიც მათთვის ამ რეგიონში შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის არსებულ მეტოქეობას მოჰქონდა. დასავლეთ ნახევარსფეროში, ეკონომიკურ და სამხედრო ძალებს შორის გასაოცარი უთანასწორობის ფონზე, ჩრდილოამერიკული გიგანტის სამხრეთელი მეზობლებისათვის მუდმივი არასრულფასოვნების მდგომარეობაში დარჩენის ერთადერთი აღ-

ტერნატივა იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა იყო, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა ჩრდილოეთში მიაღწია.

ლათინური ამერიკის ინტეგრაციის წარუმატებელი მცდელობა

ლათინური ამერიკის გაერთიანების სურვილი პირველად მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში რეგიონიდან ესპანური და პორტუგალიური ხელისუფლების განდევნის შემდეგ გაჩნდა. დიდი განმათავისუფლებლის, სიმონ ბოლივარის, შთაგონებით, 1826 წელს პანამის კონგრესზე მიიღეს არაერთი რეზოლუცია, რომელთა მიზანი ესპანეთისა და პორტუგალიის მემკვიდრე სახელმწიფოების გაერთიანება იყო ევროპული სახელმწიფოების მოსალოდნელი ინტერვენციების წინააღმდეგ უფრო ეფექტურად ბრძოლისათვის. კონფერენციაზე ლათინური ამერიკის მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები და მხოლოდ ბოლივარის კოლუმბიამ მოახდინა კონტინენტური თანამშრომლობის შესახებ მიღებული შეთანხმებების რატიფიკაცია. მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ სამი ლათინურამერიკული კონგრესი შედგა, რაც, როგორც ნესი, კონტინენტზე საგარეო ინტერვენციის ან მისი საფრთხის პასუხად ხდებოდა. ამ ოთხი კონფერენციის (1826, 1847-48, 1856, 1864-65) ერთადერთი შედეგი ერთი უწყინარი საკონსულო შეთანხმება აღმოჩნდა, რომლის რატიფიცირება იმ რამდენიმე სახელმწიფომ მოახდინა, რომლებმაც დელეგატების გაგზავნით თავი შეიწუხეს. კონტინენტური ინტეგრაციისკენ სვლის ნაცვლად, ლათინური ამერიკის მემკვიდრე სახელმწიფოები, ესპანური და პორტუგალიური ხელისუფლების ნასვლის შემდეგ, პოლიტიკური დეზინტეგრაციის გზით წავიდნენ. 1823 წელს ცენტრალური ამერიკის გაერთიანებული პროვინციები მექსიკას გამოეყო და, შემდეგ, 1840 წელს ოთხ პატარა რესპუბლიკად დაიშალა. ბოლივარის გრან კოლუმბია ვენესუელად, კოლუმბიად და ეკვადორად იქცა, ხოლო 1903 წელს კოლუმბიას პანამის პროვინცია ჩამოეჭრა. 1844 წელს დომინიკელთა რესპუბლიკა ჰაიტის გამოეყო. როგორც ვნახეთ, საუკუნის შუაში მექსიკამ ტერიტორიის ნახევარი შეერთებულ შტატებთან წააგო. გეოგრაფიული იზოლაცია, უეარგისი კომუნიკაცია და მწვავე დაპირისპირებები სახელმწიფოებს შორის ჩანასახშივე სპობდა ინტეგრაციულ ტენდენციებს მაშინაც კი, როდესაც მეოცე საუკუნეში შეერთებული შტატების მიერ პირველობის მიღწევამ ნათელი გახადა ლათინურამერიკული თანამშრომლობის უპირატესობები.

ამ ცენტრიდანული ძალების გამძლეობა აშკარას ხდიდა, რომ ლათინური ამერიკის გაერთიანებას წარმატების უკეთესი შანსი ჰქონდა ამ რეგიონის სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის ეგიდის ქვეშ, რომელიც, ტრადიციულად, ლიდერთან ასოცირებულ თვისებებს ამჟღავნებდა. ბრაზილიას, რომელიც სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ტერიტორიის თითქმის ნახევარს და მოსახლეობის მესამედს ფლობდა, აშკარად შეეფერებოდა, რომ ლათინური

ამერიკის „პრუსიის“ ფუნქცია ეტვირთა. თუმცა, ბრაზილიის ისტორიულმა დაპირისპირებამ კონტინენტის მეორე პოტენციურ გამაერთიანებელთან – არგენტინასთან – რომ აღარაფერი ვთქვათ ენობრივ ბარიერზე, რომელიც გამოყოფდა კონტინენტის ერთადერთ პორტუგალიურენოვან ქვეყანას თავისი ესპანურენოვანი მეზობლებისგან, ხელი შეუშალა ბრაზილიას, გამხდარიყო კონტინენტის ლიდერი სახელმწიფო. ჩრდილოეთამერიკული დომინირების სანინააღმდეგოდ ლათინური ამერიკის ინტეგრაციული მისწრაფებების გაღვივების ნაცვლად, ბრაზილია რეგიონში შეერთებული შტატების ყველაზე ერთგული მხარდამჭერი გახდა. ამ პოლიტიკურ თანამშრომლობას ამყარებდა მომგებიანი ეკონომიკური ურთიერთობებიც, მაგალითად, შეერთებული შტატები ყიდულობდა ბრაზილიის მთავარ საექსპორტო პროდუქტს – ყავას, რომლის მოყვანა ადგილზე არ ხდებოდა და რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა შეერთებულ შტატებში.

ბრაზილიის დაუინტერესებლობა, ნამოენყო ლათინური ამერიკის სოლიდარობის მოძრაობა ამერიკული ჰეგემონიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, ამ პოზიციის დაკავების ერთადერთ მსურველ ქვეყნად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, არგენტინას ტოვებდა. არგენტინის განსაკუთრებული გეოგრაფიული და ეკონომიკური უპირატესობა საშუალებას აძლევდა მას, დამოუკიდებელი პოზიცია დაეკავებინა დასავლეთ ნახევარსფეროს საქმეებში, რასაც ის ხშირად შეერთებულ შტატებთან კონფლიქტამდეც მიჰყავდა. სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მისი გეოგრაფიული მდებარეობა უფრო მეტად დაცულს ხდიდა მას ამერიკის სამხედრო და საზღვაო მუქარებისგან. გარდა ამისა, სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მისი მთავარი საექსპორტო პროდუქტები (საქონლის ხორცი და ხორბალი) კონკურენციას უწევდა ამერიკულ ექსპორტს და, შესაბამისად, ხელს უშლიდა ისეთი ეკონომიკური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, როგორც ამერიკასა და ბრაზილიას შორის არსებობდა. პირიქით, ამერიკელმა ფერმერებმა არგენტინული ხორბლისაგან სატარიფო დაცვის გარანტიები მიიღეს, ხოლო დასავლეთამერიკელი მესაქონლეები არგენტინული საქონლის კონკურენციისგან დაცულები იყვნენ ხორცის იმპორტის მკაცრი აკრძალვის შედეგად იმ ქვეყნებიდან და რეგიონებიდან, სადაც ცხოველთა აფთოზური დაავადება იყო გავრცელებული (პამპას რეგიონისთვის მუდმივად მახასიათებელი). ამერიკული ბაზრის დახურვამ არგენტინისათვის ეს უკანასკნელი აიძულა, შეენარჩუნებინა და გაეფართოებინა სავაჭრო ურთიერთობები ევროპასთან იმავე პერიოდში, როდესაც მისი მეზობელი რესპუბლიკები თანდათან ამერიკული სავაჭრო დომინირების ქვეშ ექცეოდნენ. 1937 წელს არგენტინული იმპორტი შეერთებული შტატებიდან მისი საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 16.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ევროპიდან ქვეყანა იმპორტის 59.1 პროცენტს იღებდა. იმავე წელს არგენტინამ თავისი ექსპორტის მხო-

ლოდ 12.8 პროცენტი გაიტანა შეერთებულ შტატებში, ხოლო ევროპაში მისი ექსპორტის 74.3 პროცენტი გავიდა. ევროპისკენ ამ სავაჭრო ორიენტაციას ევროპიდან არგენტინაში იმიგრანტების მნიშვნელოვანი რაოდენობაც აძლიერებდა (ძირითადად, გერმანიიდან და იტალიიდან), რომლებიც მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდნენ სამშობლოსთან. გეოგრაფიული, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა დაეხმარა არგენტინას, არ მოქცეულიყო ამერიკის გავლენის ქვეშ და საშუალება მისცა მას, კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა დასავლეთ ნახევარსფეროში ამერიკის ბატონობა.

დავა შეერთებული შტატების ინტერვენციის უფლების შესახებ

შეერთებული შტატების დომინირების წინააღმდეგ ლათინურამერიკელთა მოძრაობის ორგანიზებას ზურგს უმაგრებდა პანესპანური სოლიდარობის იდეოლოგია. ეს მოძრაობა პანესპანური სოლიდარობის იდეოლოგიას, შეერთებული შტატების მიერ თავისი ლათინურამერიკული კლიენტების გასაერთიანებლად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან განვითარებული პანამერიკული იდეის კარგ ალტერნატივად განიხილავდა. თუმცა, დასავლეთ ნახევარსფეროში არსებულ ძალთა აშკარა უთანასწორობის ფონზე, ლათინურამერიკული სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის აღბათობა პრობლემური რჩებოდა, მანამ შეერთებული შტატები, ამერიკის მოქალაქეების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და სახელმწიფო ვალების შეგროვების მიზნით, ლათინურამერიკული ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის პრეროგატივას ინარჩუნებდა იმ პირობებში, როდესაც ეს ქვეყნები უარს ამბობდნენ უცხოელი ინვესტორებისადმი არსებულ ვალებთან დაკავშირებული დავების საერთაშორისო არბიტრაჟით გადაწყვეტაზე. შესაბამისად, სწორედ ინტერვენციების უფლება გახდა ამერიკის ჰეგემონიის წინააღმდეგ არგენტინელების მიერ ორგანიზებული იერიშის მთავარი თემა. ამ პრეროგატივას კი, რომელიც, ზოგადად, აღიარებული იყო საერთაშორისო სამართლის მიერ და მონროს დოქტრინის რუხველტისეულ გაგრძელებას წარმოადგენდა, პერიოდულად მიმართავდა შეერთებული შტატების მთავრობა. უცხო ქვეყნების ინტერვენციის უფლება ლათინური ამერიკის ქვეყნების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებიც ამ უფლებას მათი ეროვნული სუვერენიტეტის დამამცირებელ შეზღუდვად აღიქვამდნენ, ისევე როგორც ექსტრატერიტორიულობის უფლება აწყდებოდა მწვავე წინააღმდეგობას ჩინეთში (იხილეთ ქვემოთ). სამხრეთის რესპუბლიკები ამაოდ ცდილობდნენ ამერიკისგან კალვოს დოქტრინის აღიარებას (რომლის ავტორი არგენტინელი იურისტი კარლოს კალვო იყო), რომელიც უცხო ქვეყნის ინტერვენციებისგან სუვერენური სახელმწიფოს აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპს აყალიბებდა და აღიარებდა მიმღები ქვეყნის სასამართლო სისტემას, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან და კორპორაციებთან დაკავშირებული



ამერიკის შერთებული შტატები და ლათინური ამერიკა

დავების მოგვარების ბოლო ინსტანციას. მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები ავტომატურად ათავსებდნენ „კალვოს მუხლს“ უცხოელ ინვესტორებთან ხელმოწერილ კონტრაქტებში (რათა ხელი შეეშალათ ამ ინვესტორებისათვის მიმღები სახელმწიფოს მთავრობასთან არსებული დავების მოსაგვარებლად თავიანთი ქვეყნებისგან დიპლომატიური მხარდაჭერის მოთხოვნაში), შეერთებული შტატები ჯიუტად ამბობდა უარს, ხელიდან გაეშვა თავისი დაზარალებული მოქალაქეების სახელით ინტერვენციის უფლება, თუკი მიმღები ქვეყანა არ დასთანხმდებოდა არბიტრაციას.

ლათინური ამერიკის სახელმწიფოები ასეთივე თავგამოდებით აცხადებდნენ უარს უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან წარმოქმნილი დავების საერთაშორისო არბიტრაციისათვის გადაცემის ვალდებულების აღიარებაზე და მას ეროვნული სუვერენიტეტის მიუღებელ ხელყოფად მიიჩნევდნენ. სანაცვლოდ, ისინი მოითხოვდნენ საერთაშორისო სამართლის ინტერამერიკული სისტემის სამართლებრივად ჩამოყალიბებას, რომელიც დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოებს შორის სრული თანასწორობისა და მათი სუვერენიტეტის პრინციპს განახორციელებდა. შეერთებული შტატები რეგიონული საერთაშორისო სამართლის კონცეფციის წინააღმდეგი იყო, რადგან ეს მას საერთაშორისო სამართლებრივი პრეცედენტით ნებადართული ინტერვენციის უფლების გარეშე დატოვებდა. 1889-1890 წლებსა (როდესაც პირველი პანამერიკული კონფერენცია გაიმართა) და 1928 წელს შორის (როდესაც მეექვსე ასეთი კონფერენცია გაიმართა ჰავანაში) შეერთებული შტატები და მისი ლათინურამერიკელი კლიენტები სახელმწიფოები პერიოდულად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა სადავო საკითხის ირგვლივ. ჰავანას კონფერენციაზე, ინტერვენციის ამკრძალავი რეზოლუციის ფორმალურ წარდგენაზე პასუხად, შეერთებული შტატების დელეგატმა ჩარლზ ევანს ჰიუზმა დაიცვა საკუთარი ქვეყნის მიერ თავის ნახევარსფეროში ინტერვენციის აბსოლუტური უფლება, შიდასტაბილურობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად. ამ დავას რომ მხოლოდ სამართლებრივი ხასიათი არ ჰქონდა, ცხადყოფდა ნიკარაგუასა და ჰაიტიზე განლაგებული ამერიკის სამხედრო ძალების ყველასთვის თვალში საცემი ბაზებიც და კუბისა და პანამის სუვერენიტეტის სამართლებრივი შეზღუდვებიც, რომლებიც კონფერენციის დელეგატების მიერ ორგანიზებული განხილვების პარალელურად განაგრძობდნენ მოქმედებას.

აბსოლუტური ჩაურევლობის დოქტრინის აღიარებისათვის, ლათინური ამერიკის ქვეყნების კამპანიის გარდა, არსებობდა დასავლეთ ნახევარსფეროში ამერიკის ჰეგემონიის მიმართ მზარდი წინააღმდეგობის სხვა ნიშნებიც. ერთ-ერთი ამ ნიშანთაგანი იყო ლათინურამერიკულ სახელმწიფოთა უმრავლესობის უარი შეერთებული შტატების ლიდერობით პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობაზე. ბრიტანული დომინიონებისაგან განსხვავებით, რომ-

ლებიც ერთუზიანობით ამოუდგნენ გვერდით დედასამშობლოს და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანეს ბრიტანეთის გამარჯვებაში, ოცი ლათინურამერიკული სახელმწიფოდან მხოლოდ რვა გამოუცხადა გერმანიას ომი (ამ რვიდან შვიდი ქვეყანა კარიბის ზღვის რეგიონისა და ცენტრალური ამერიკის მცირე სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, რომლებიც აშშ-ის პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ). გეოგრაფიულად ისეთი სტრატეგიული ქვეყნები, როგორცაა მექსიკა, კოლუმბია და ვენესუელა, მკაცრ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ.

ამერიკის საგარეო პოლიტიკისგან დამოუკიდებლობის სულისკვეთება მპირველი მსოფლიო ომის შემდგომაც იჩინა თავი. ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფო თანდათან გაერთიანდა ერთა ლიგაში მას შემდეგ, რაც ეს საერთაშორისო ორგანიზაცია შერთებულმა შტატებმა დატოვა. თხუთმეტი მათგანი უკვე ესწრებოდა ერთა ლიგის ასამბლეის პირველ სხდომას, რომლის თავმჯდომარე ხშირად ლათინური ამერიკის წარმომადგენელი იყო, ხოლო ლიგის საბჭოს არამუდმივი წევრის სტატუსი ოციან წლებში, თანდათან, სამმა ქვეყანამ მოიპოვა. საერთაშორისო ორგანიზაციაში ლათინური ამერიკის ქვეყნების წევრობა და მათი აქტიური მონაწილეობა უკვე ნიშნავდა უარყოფას შერთებული შტატების კონცეფციისა ინტერამერიკული ჩაკეტილი უსაფრთხოების სისტემის შესახებ. მაგრამ ლათინური ამერიკის მცდელობები, ერთა ლიგა დასავლეთ ნახევარსფეროში შერთებული შტატების საპირწონედ გამოეყენებინათ, ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. მოვლენების სწორედ ასეთი განვითარების საწინააღმდეგოდ მოახერხა შერთებულმა შტატებმა, ერთა ლიგის წესდებაში ჩადო 21-ე მუხლი, რომელიც ერთა ლიგას ართმევდა იურისდიქციას იმ საკითხებზე, რომელსაც მონროს დოქტრინა ფარავდა. ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ვერ შეძლეს დაერწმუნებინათ ერთა ლიგა, უარი ეთქვა დასავლეთ ნახევარსფეროში ამერიკის ჰეგემონიის აღიარებაზე. ამის მიზეზი იყო ერთა ლიგის საბჭოში უმრავლესობით წარმოდგენილი ევროპის მთავრობების ფრთხილი პოლიტიკა, რომელთაც არ სურდათ კონფლიქტში შესულიყვნენ შერთებულ შტატებთან. შედეგად, ერთა ლიგამ მხოლოდ ორჯერ შეძლო ინტერამერიკულ კონფლიქტში ჩარევა (ესაც, შერთებული შტატებისგან წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ): წარმატებულად პერუსა და კოლუმბიის კონფლიქტში (ლეტიციას კონფლიქტი 1932-1935) და წარუმატებლად ბოლივიასა და პარაგვაის შორის ჩაკოს ომში (1928-1938).

1914-1932 წლებში შერთებულმა შტატებმა საბოლოოდ ჩაანაცვლა დიდი ბრიტანეთი, როგორც ლათინურ ამერიკაში წამყვანმა, ფინანსური და სავაჭრო გავლენის მქონე ძალამ მას შემდეგ, რაც მან მოახერხა და მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარმატებით დაუპირისპირდა ბრიტანეთის დიპლომატიურ და საზღვაო პირველობას ამ რეგიონში. ამერიკის მიერ კუბაზე, პანამაზე, ჰაიტიზე, დომინიკელთა რესპუბლიკასა და ნიკარაგუაზე სამხედრო

გავლენისა და ფინანსური კონტროლის მოპოვებითა და დანიისგან ვირჯინის კუნძულების შექენით კარიბის ზღვის რეგიონზე დომინაციის მოპოვების პროცესი დასრულდა, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე დაიწყო. კარიბის ზღვის რეგიონში უდავო სტრატეგიული პირველობისა და სამხრეთ ამერიკაში ეკონომიკური უპირატესობის მიღწევას, ომის დროს დასავლეთ ნახევარსფეროში ევროპის ეკონომიკური გავლენის კლება და ომისშემდგომ ამ რეგიონში ევროპული სახელმწიფოების მიერ ძველი პოზიციის დაბრუნების შეუძლებლობა უწყობდა ხელს. ლათინური ამერიკის ქვეყნების მცდელობას, ამა თუ იმ ფორმის კონტინენტური თანამშრომლობის გზით წინ აღდგომოდნენ ამერიკის გავლენის ზრდას სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, აფერხებდა ბრაზილიის პოზიცია, რომელსაც არ სურდა, უარი ეთქვა ამერიკასთან პრივილეგიურულ ურთიერთობებზე და დანარჩენი რესპუბლიკების უარი, გაჰყოლოდნენ არგენტინის პოლიტიკას და პირდაპირ შეინანაღმდეგებოდნენ აშშ-ის მიერ ლათინური ამერიკის ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფას. ერთა ლიგასთან დაკავშირებული კოლექტიური უსაფრთხოების იმედი არარეალური აღმოჩნდა ევროპული სახელმწიფოების პოზიციის გამო, რომელთაც არ სურდათ, გამოენვიათ ვაშინგტონის უკმაყოფილება ერთა ლიგის პროტექციის გავრცელებით შეერთებული შტატების მიერ ჩამოყალიბებული და მის მიერვე მართული ინტერამერიკული უსაფრთხოების სისტემის შიგნით მყოფ ქვეყნებში.

არაპირდაპირი ჰეგემონიის პერიოდი (1933-1945)

პირველი მსოფლიო ომის დროს და მისი შემდგომი ათწლეულის განმავლობაში, შეერთებული შტატების მიერ ლათინურ ამერიკაზე უდავო ჰეგემონიის მოპოვების შედეგად, აღარ იყო საჭირო დასავლეთ ნახევარსფეროში ევროპული ინტერვენციების აღსაკვეთად სამხედრო ძალის გამოყენების ტრადიციული არგუმენტები. ტრანსატლანტიკური საფრთხეებისგან დასაცავად, ეს აბსოლუტური იმუნიტეტი, რომელიც კიდევ უფრო გამყარდა 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გერმანიის საზღვაო ფლოტის გაუქმებითა და 1921-22 წლებში ვაშინგტონის საზღვაო კონფერენციაზე საზღვაო სახელმწიფოების მიერ გემთმშენებლობაზე შეზღუდვების დანესებით, საშუალებას აძლევდა ვაშინგტონს, ლათინური ამერიკის რეგიონში პირველობის შესანარჩუნებლად, ნაკლებად იძულებითი სახის ღონისძიებებისათვის მიემართა. ოციანი წლების ბოლოს, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა ამერიკული ინტერვენციების ტლანქი პოლიტიკისა და მისი საბაზისო სამართლებრივი პრინციპების კრიტიკა ლათინური ამერიკის ქვეყნების მხრიდან, სამხედრო ძალის გამოყენებისა და დიპლომატიური მუქარის მეთოდები თანდათან შეიცვალა უფრო დახვეწილი, თუმცა არანაკლებ

ეფექტური მექანიზმებით, სამხრეთის კლიენტ სახელმწიფოებზე კონტროლის შესანარჩუნებლად.

მექსიკური გამოწვევა აშშ-ის გავლენის წინააღმდეგ

ლათინურ ამერიკაში აშშ-ის გავლენის პირველი გამოწვევა მეზობელი მექსიკის მხრიდან განხორციელდა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის შუაში, შერთებულ შტატებთან ბრძოლისას, დაკარგა თავისი ტერიტორიის ნახევარი, გადაიტანა აშშ-ის რამდენიმე სამხედრო და საზღვაო ინტერვენცია 1914-1917 წლებში და რომლის ბუნებრივი რესურსებისა და მიწის დიდ ნაწილს ამერიკელი ინვესტორები და კორპორაციები დაეპატრონენ. წარსული დამცირების მოგონებებმა და ეკონომიკური მორჩილების ყოველდღიურმა გამოცდილებამ, მდინარე რიო გრანდეს ჩრდილოეთით მდებარე ძლიერი მეზობლის მიმართ დიდ უკმაყოფილებას დაუდო სათავე. დიდი ხნის განმავლობაში ჩახშულმა უკმაყოფილებამ თავი იჩინა, როგორც კი, 1917 წლის თებერვალში, ქვეყანა დატოვა პრეზიდენტ უილსონის მიერ „ბანდიტობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად მექსიკაში შეყვანილმა ამერიკულმა ჯარებმა და ამერიკელმა უმაღლესმა აღმასრულებელმა მიიჩნია, რომ მექსიკაში მალე აღდგებოდა წარმომადგენლობითი მმართველობა. დემოკრატიული მთავრობა, რომლის აღდგენას ასეთი შეურყეველი სიმტკიცით მოითხოვდა ვუდრო უილსონი, მუშაობას შეუდგა ეროვნული კონსტიტუციის მიღებით, რომლის არაერთი მუხლი გამიზნული იყო მექსიკის გათავისუფლებისაკენ, ზოგადად, უცხო ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, შერთებული შტატების ეკონომიკური დომინირებისგან. ამ კონსტიტუციური გარანტიებიდან ყველაზე წინააღმდეგობრივი მუხლები ამ ქვეყნის წიაღისეულ რესურსებზე (რომელთაგან ყველაზე ღირებული უდავოდ ნავთობი იყო) საკუთრებას მექსიკელ ერს ანიჭებდა. მალე მექსიკის მთავრობამ გადაწყვიტა ამ დებულებისათვის უკუქცევითი ძალა მიენიჭებინა, რაც ამერიკული ნავთობკომპანიების მიერ ასობით მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობრეზერვების დაკარგვას ნიშნავდა. აღსანიშნავია, რომ მექსიკის მთავრობის ეს ქმედება წარმომადგენდა პირველ შემთხვევას განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ისტორიაში, როდესაც ქვეყანამ, რომლის ეკონომიკური სისტემა, ფაქტობრივად, მოქცეული იყო უცხო ქვეყნის ინტერესთა კონტროლის ქვეშ, განაცხადა, რომ მას საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე ექსკლუზიური სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პრეროგატივა ჰქონდა.

დაუმორჩილებლობის ამ უპრეცედენტო უესტს სასურველი შედეგები მალევე არ მოჰყოლია. ამერიკის მთავრობამ, მექსიკური ჰოლდინგების მქონე ნავთობკომპანიების ინტენსიური ზეწოლის ქვეშ, გამოიყენა ყველა არსებული დიპლომატიური იარაღი, ეკონომიკური შურისძიების გარდა – აღიარე-

ბაზე უარის თქმის ჩათვლით – რათა მეხიკო სიტი^{*} იძულებული გამხდარიყო, შეეცვალა თავისი პოლიტიკა. 1923 წელს მიღწეულ იქნა კომპრომისი, რომლის თანახმად შეერთებული შტატები აღიარებდა მექსიკის უფლებას, განეხორციელებინა სრული უფლებამოსილება თავის წიაღისეულ რესურსებზე ამერიკულ ნავთობკომპანიებთან 1917 წლის კონსტიტუციის მიღებამდე ხელმოწერილი შეთანხმებების ურღვევობის სანაცვლოდ. უკუქცევით ძალასთან დაკავშირებით ხანმოკლე დავის შემდეგ, მსგავსი კომპრომისი მიღწეულ იქნა 1927 წელსაც, რომელიც ძალაში დარჩა 1938 წლამდე. ამ წელს მექსიკის მთავრობამ სამუდამოდ გადაწყვიტა პრობლემა და მოახდინა ბრიტანული, პოლანდიური და ამერიკული ნავთობკომპანიების ქონების ექსპროპრიაცია მას შემდეგ, რაც მათ უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ მექსიკის სასამართლოს გადაწყვეტილებას შრომით უფლებებთან დაკავშირებით.

ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ამერიკული ნავთობკომპანიების ძალისხმევა, ორგანიზება გაეწიათ მექსიკური ნავთობის საერთაშორისო ბოიკოტისათვის, წარუმატებელი აღმოჩნდა გერმანიის, იტალიისა და იაპონიის გამო, რომელთაც სურდათ, შეეძინათ მათი შეიარაღების პროგრამებისათვის აუცილებელი ეს კრიტიკული რესურსი. ერთი მხრივ, მექსიკასა და, მეორე მხრივ, გერმანიისა და მის მოკავშირეებს შორის ახლო ეკონომიკური კავშირების დამყარებიდან გამომდინარე პოტენციური საფრთხის გამო, შეერთებული შტატების შეშფოთებამ საბოლოოდ სძლია ნავთობკომპანიების ვიწრო ინტერესებს. პერლ ჰარბორზე თავდასხმამდე რამდენიმე კვირით ადრე, ხელი მოეწერა ორმხრივად სასარგებლო შეთანხმებას, რომლის თანახმად, ქონებაჩამორთმეული კომპანიებისათვის ფინანსური კომპენსაციების პირობის სანაცვლოდ, მექსიკა ნავთობრესურსებზე კონტროლს ინარჩუნებდა. შეერთებული შტატებისგან ამ უმნიშვნელოვანესი დათმობის მიღების შემდეგ, მექსიკა ამერიკის ერთგული მხარდამჭერი და ომში მისთვის საჭირო მომარაგების წყარო გახდა, რაც ძალზედ განსხვავდებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს მისი ნეიტრალური სტატუსისგან.

ეროვნულ ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლის მოპოვებისათვის, მექსიკის ურყევი (საბოლოოდ წარმატებული) კამპანია ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში მზარდი ნაციონალური მოძრაობების შთაგონების წყაროდ იქცა, რაც ამ ქვეყნების მთავრობებს უდიდესი წნეხის ქვეშ აქცევდა, რათა მათ შეერთებული შტატებისგან სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით ხალხსა და საკუთრებაზე პოლიტიკური უფლებამოსილების განხორციელების უფლების აღიარება მოეთხოვათ. ჩვენ ვიხილეთ როგორ წარუმატებლად დასრულდა ლათინური ამერიკის ქვეყნების მცდელობები, მიუხედავად ამ უფლების აღიარება შეერთებული შტატებისგან ოციან წლებში ჩატარებულ პანამერიკულ კონფერენციებზე. 1928 წელს ამერიკის სახელმ-

* მეხიკო სიტი – მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს ინგლისური სახელი (რედ.)

ნიფოთა მეექვსე კონფერენციაზე შერთებული შტატების წარმომადგენლის – ჩარლზ ევანს ჰიუზის განცხადება, რომ „მმართველობის მოშლა“ საკმარის არგუმენტს წარმოადგენდა ამერიკის ინტერვენციისათვის, იმდენად ფართო და არაზუსტი იყო, რომ შეეძლო გაემართლებინა ლათინური ამერიკის სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში თითქმის შეუზღუდავი ინტერვენციის უფლება.

„კეთილმეზობლური პოლიტიკის“ ამოქმედება

ოცდაათიანი წლების დასაწყისში კარიბის ზღვის რეგიონში ამერიკის სამხედრო ბაზების არსებობა შერთებული შტატებს უხერხულობას უქმნიდა მაშინ, როცა თავად ვაშინგტონი ცდილობდა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. იაპონიის შეჭრა მანჯურიაში ტოკიომ ოფიციალურად გაამართლა, როგორც ჩინეთში არსებული უკანონობისგან იაპონელი მოქალაქეებისა და მათი საკუთრების დაცვისათვის აუცილებელი ნაბიჯი. ეს არგუმენტი კი უხერხულად წააგავდა შერთებული შტატების მიერ დასახელებულ მიზეზს რიო გრანდეს სამხრეთით სამხედრო ინტერვენციების გასამართლებლად. მსოფლიოს თანამეგობრობისგან თვალთმაქცობაში ბრალდების თავიდან ასაცილებლად, ფრანკლინ რუზველტის ახალმა ადმინისტრაციამ, რომელიც მუშაობას 1933 წელს შეუდგა, მკვეთრად შეცვალა ლათინური ამერიკის მიმართ შერთებული შტატების პოლიტიკა. საფუძველი ამ ცვლილებას 1930 წელს ჰუვერის ადმინისტრაციამ ჩაუყარა, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტმა სახელმწიფო მდივნის მოადგილის – რუბენ კლარკის ვრცელი მემორანდუმი გამოაქვეყნა, რომელიც გმობდა მონროს დოქტრინის რუზველტისეულ განმარტებას, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინტერვენციებისთვის საკმარის არგუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ კლარკის მემორანდუმს ამერიკის ოფიციალური პირების სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია, იგი მაინც მიანიშნებდა ჩამოყალიბების პროცეში მყოფ ახალ დამოკიდებულებაზე ინტერამერიკული ურთიერთობების მიმართ. პრეზიდენტის ვადის დასრულებამდე, ჰუვერმა ამომწურავად გადააფასა ინტერვენციონისტული პოლიტიკა, რომელსაც, თეოდორ რუზველტის შემდეგ, ყველა ამერიკელი პრეზიდენტი მისდევდა.

1933 წლის 4 მარტს საინაუგურაციო გამოსვლაში ფრანკლინ რუზველტმა განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში „ეს სახელმწიფო განახორციელებს კეთილი მეზობლის პოლიტიკას, რომელიც საკუთარ თავს სცემს პატივს და, შესაბამისად, პატივს სცემს სხვების უფლებებსაც“. რუზველტის მსმენელებს არანაირი მიზეზი არ ჰქონდათ, ეფიქრათ, რომ ეს უწყინარი ფრაზა უშუალოდ ლათინურ ამერიკას ეხებოდა, რადგან გამომსვლელს კონკრეტულად არცერთი რეგიონი არ უხსენებია. თუმცა, ერთი თვის

შემდეგ, პანამერიკული კავშირის შეხვედრაზე გამოსვლისას, ახალმა პრეზიდენტმა დასაველეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე ისეთი შემრიგებლური ტონით ისაუბრა, რომ კომენტატორები მალე ალაპარაკდნენ ლათინური ამერიკის მიმართ შეერთებული შტატების „კეთილმეზობლურ პოლიტიკაზე“. მოგვიანებით, 1933 წელს, ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გამართულ ამერიკის სახელმწიფოთა მეშვიდე კონფერენციაზე პრეზიდენტის ეს რიტორიკა კონკრეტული პოლიტიკით შეიცვალა. ახალმა სახელმწიფო მდივანმა, კორდელ ჰალმა, უეცრად შეცვალა ამერიკის ძველი პოლიტიკა, როდესაც მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც დასაველეთ ნახევარსფეროს თითოეულ სახელმწიფოს „მეორე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში“ ჩარევას უკრძალავდა. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით, კალვოს დოქტრინა, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატები, ჩაიდო ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც შეერთებული შტატებიც ანერდა ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ჰალმა მოითხოვა, შეერთებულ შტატებს შენარჩუნებოდა საერთაშორისო სამართლის მიერ მინიჭებული უფლება, მონტევიდეოში შეერთებული შტატების მიერ პოზიციის შეცვლა გარდამტეხი მომენტი იყო ინტერამერიკულ ურთიერთობებში. მალე შეერთებულმა შტატებმა თანდათან უარი განაცხადა კარიბის აუზის დე ფაქტო პროტექტორატების საქმეებში ჩარევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებაზე. რუზველტის ადმინისტრაციის პირველი ორი წლის განმავლობაში ამერიკულმა სამხედრო ძალებმა ნიკარაგუა და ჰაიტი დატოვეს. 1934 წელს აშშ-ის სენატმა გააუქმა ცნობილი 1901 წლის „პლატის დამატება“, რომელიც ზღუდავდა კუბის საერთაშორისო შეთანხმებებში შესვლის უფლებას და შეერთებულ შტატებს ანიჭებდა სამხედრო ინტერვენციის უფლებას კუნძულის დამოუკიდებლობისა და შიდაწესრიგის დასაცავად. 1935 წლის ივლისში დაიდო შეთანხმება ჰაიტის მთავრობასთან, რომლითაც ამ უკანასკნელმა, ჰაიტის ეროვნული ბანკის გამოსყიდვით ნიუ იორკის ეროვნული სიტი ბანკისგან, საკუთარ ფინანსებზე კონტროლის უფლება დაიბრუნა. ერთი წლის შემდეგ პანამასთან დადებულმა შეთანხმებამ შეერთებულ შტატებს პანამის არხის ზონის გარეთ სამხედრო ინტერვენციის უფლება ჩამოართვა (თუმცა, სენატის მიერ შეთანხმების რატიფიკაცია 1939 წლამდე გადაიდო, როდესაც დიპლომატიური ნოტების გაცვლით შეერთებულმა შტატებმა, პანამის არხის დასაცავად, საგანგებო სამხედრო ოპერაციის ჩატარების უფლება მიიღო).

ამრიგად, რუზველტის ადმინისტრაციამ განაგრძო და კიდევ უფრო გაააქტიურა, პრეზიდენტ ჰუვერის მიერ ინიცირებული, ლათინური ამერიკის რეგიონისადმი შეერთებული შტატების ტრადიციული პოლიტიკის რადიკალური გადახედვა. 1934 წლისათვის რეგიონის არცერთ სუვერენულ სახელმწიფოში ამერიკის სამხედრო ძალები აღარ იმყოფებოდნენ (კუბის გუან-



რუზველტის „კეთილმეზობლური პოლიტიკის“ პროპაგანდა: ეს პლაკატი შეიქმნა „ხელისუფლების ფედერალური პროექტის“ მიერ – „ახალი კურსის“ (New Deal) პროგრამის ჩარჩოებში, რომლის მიზანი იყო დაუსაქმებელი ხელოვანებისათვის სამსახურის შეთავაზება და რომელიც ფინანსდებოდა Works Progress Administration-ის მიერ. პროექტი ორიენტირებული იყო, ხელი შეეწყო ამერიკის მოქალაქეებში ლათინური ამერიკის ხალხების მიმართ კეთილგანწყობის გაღვივებისათვის, რაც დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის სოლიდარობის კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა.

ტანამოს ყურისა და პანამის არხის ზონის გარდა). ვაშინგტონმა თავად განაცხადა უარი, ადამიანებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, უცხო ქვეყნებში ინტერვენციის უფლებაზე. 1936-დან 1940 წლამდე ამოიწურა პაიტიზე, დომინიკელთა რესპუბლიკასა და ნიკარაგუაზე ფინანსური ზედამხედველობის პროცესიც. მექსიკამ წარმატებით მოახერხა ამერიკელების საკუთრებაში მყოფი, ნავთობთან დაკავშირებული, ქონების ნაციონალიზაცია ისე, რომ ამერიკის მხრიდან საპასუხო ზომების მსხვერპლი არ გამხდარა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს, ბატონობასა და მორჩილებაზე დაფუძნებული ურთიერთობა მართლაც შეცვლილიყო თანასწორი და ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობით.

თუმცა, ლათინური ამერიკისადმი შვერთებული შტატების პოლიტიკის ცვლილება უფრო მეტად მოჩვენებითი იყო, ვიდრე ნამდვილი. მართალია, „კეთილმეზობლობის პოლიტიკამ“ დაასრულა სამხედრო ინტერვენციებისა

და ფინანსური ზედამხედველობის პრაქტიკა, მაგრამ იარაღის ჟღარუნისა და დოლარის ეს დისკრედიტებული პოლიტიკა ამერიკული კონტროლის უფრო ირიბი ფორმით შეიცვალა. ეს ახალი მიდგომა ადგილობრივი პოლიტიკური, სამხედრო და ბიზნესელიტებისათვის დახმარების განევის არაიდულებით საშუალებას გულისხმობდა, რომლის მიზანი რეგიონის ეკონომიკურ რესურსებზე ამერიკის კონტროლის შენარჩუნება იყო. ამერიკის



გენერალი სესარ აუგუსტო სანდინო (1895-1934)
 სანდინო და მისი მომხრეები თავს ესხმოდნენ ამერიკელ საზღვაო ქვეითებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ 1927 წლიდან 1934 წლამდე ნიკარაგუას კონსერვატიულ მთავრობას. 1934 წელს ნიკარაგუას ეროვნული გვარდიის უფროსის – ანასტასიო სომოსა გარსიას (1896-1956) – აგენტების მიერ მოკვლის შემდეგ, სანდინო სომოსას ოჯახისა და მისი ამერიკელი მოკავშირეების ნიკარაგუელი მონაწილეებისათვის საკულტო ფიგურად იქცა.

ექსპორტ-იმპორტ ბანკის სესხების გონივრულად გამოყენება ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური სისტემების ამერიკულ ეკონომიკასთან კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის, ეროვნული პოლიტიკის წვრთნა და აღჭურვა პროამერიკული რეჟიმების წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხებების ჩასახშობად და ავტოკრატიული მთავრობების ფინანსური დახმარება მათი საბიუჯეტო ვალების დასაფარად და ვალუტების დასტაბილიზებისათვის – აი, ეს ზომები ნარმოადგენდა რეგიონში ამერიკული ჰეგემონიის შენარჩუნების ალტერნატიულ საშუალებებს მას შემდეგ, რაც აშშ-მა სამხედრო ძალის გამოყენებისა და ფინანსური კონტროლის პრაქტიკა შეწყვიტა.

ნიკარაგუისა და დომინიკელთა რესპუბლიკის გამოცდილება პირდაპირიდან არაპირდაპირ კონტროლზე გადასვლის ტიპურ ილუსტრაციას წარმოადგენს. შერთებულმა შტატებმა ნიკარაგუაში სამხედრო ბაზები 1912-დან 1933 წლამდე შეინარჩუნა (1925-26 წლების მოკლე ინტერვალის გარდა). ამერიკული ოკუპაციის ბოლო წლებში, ამერიკელმა სამხედრო ოფიცრებმა განვრთნეს და აღჭურვეს ეროვნული გვარდია, რათა ამ უკანასკნელს, ამერიკული სამხედრო ძალების გასვლის შემდეგ, ქვეყანაში უსაფრთხოების დაცვა შეძლებოდა. 1934 წელს ამერიკელი სამხედროების ევაკუაციის შემდეგ, სესარ აუგუსტო სანდინომ – აჯანყებულების ლიდერმა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ამერიკის საზღვაო ძალებს მთელი ოცინი წლების განმავლობაში – ზავი გააფორმა ნიკარაგუის მთავრობასთან, რის შემდეგაც ეროვნული გვარდიის წევრებმა ის სიცოცხლეს გამოასალმეს. ორი წლის შემდეგ, ამერიკელების მიერ განვრთნილი უშიშროების შენაერთების ხელმძღვანელმა, გენერალმა ანასტასიო სომოსამ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და დაამყარა დიქტატორული რეჟიმი, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ქვეყანაში რევოლუციურ ელემენტებს და შერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა. სომოსას ოჯახი, პირდაპირ ან დაქვემდებარებული პირების მეშვეობით, ხელისუფლებაში დარჩა 1979 წელს სანდინოს იდეოლოგიური მემკვიდრეების მიერ მის მკვლელობამდე.

ამერიკის სამხედრო ოკუპაციის შემდეგ, ამერიკელების მიერ განვრთნილი ადგილობრივი ელიტისათვის ძალაუფლების ასეთივე გადაცემას დომინიკელთა რესპუბლიკაშიც ჰქონდა ადგილი. შერთებულმა შტატებმა, რომელიც საომარი მდგომარეობის პირობებში ამ ქვეყანას 1916 წლიდან მართავდა, 1924 წელს დომინიკელთა რესპუბლიკიდან სამხედრო ძალები გაიყვანა, რის შემდეგაც ისინი მათ მიერვე დაარსებულმა ადგილობრივმა ეროვნულმა პოლიციამ ჩაანაცვლა. 1930 წელს გაყალბებული არჩევნების გზით, ქვეყნის პრეზიდენტი გენერალი რაფაელ ტრუხილიო გახდა, რომელიც, სხვადასხვა სამხედრო საფეხურის გავლის შემდეგ, 1928 წლიდან ეროვნული გვარდიის უფროსი იყო. შაქრის ბიზნესთან დაკავშირებული ამერიკული ინტერესგუფების, ეროვნული სითი ბანკისა და აშშ-ის მთავრობის დახმარებით, ტრუხილიო ქვეყანას რკინის მუშტით 1961 წლამდე მართავდა, ვიდრე ისიც სიცო-

ცხლეს არ გამოასალმეს. პერლ ჰარბორზე თავდასხმიდან რამდენიმე დღეში, ამერიკის ოთხივე ყოფილმა პროტექტორატმა – ნიკარაგუამ, კუბამ, ჰაიტიმ და დომინიკელთა რესპუბლიკამ – ამერიკის მიმართ ლოიალურობა იაპონიის, იტალიისა და გერმანიის წინააღმდეგ ომის გამოცხადებით გამოხატეს.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ფრანკლინ რუზველტმა მისი ბიძაშვილის მიერ პირველ მსოფლიო ომამდე ამოქმედებული „დიდი სახრის“ პოლიტიკა რამდენიმე ეკონომიკური და სტრატეგიული მიზეზის გამო შეცვალა. უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატების ეკონომიკის აღორძინებას, დიდი დეპრესიის შემდგომ წლებში, ლათინური ამერიკის ბუნებრივი რესურსებითა და მისი ბაზრებით უწყვეტი და გარანტირებული სარგებლობა სჭირდებოდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ეკონომიკურმა ნაციონალიზმმა და ევროპასა და აზიაში ომის გაზრდილმა ალბათობამ საფრთხის ქვეშ დააყენა ამერიკის ვაჭრობა ამ შორეულ კონტინენტებთან. მეორე მიზეზი იყო ის, რომ გერმანიის ხელახალმა შეიარაღებამ, – რომ აღარაფერი ვთქვათ იტალიისა და იაპონიის უფრო და უფრო მზარდ სამარ განწყობაზე – დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში უცხოური ინტერვენციის დიდი ხნის მიძინებული საკითხი გამოაღვიძა. ნაცისტური გერმანიის, ფაშისტური იტალიისა და იმპერიული იაპონიის არაფორმალური „არანმინდა ალიანსის“ მხრიდან საფრთხეზე საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა „პაქსამერიკანას“ (Pax Americana) სამშვიდობო მექანიზმი გაეძლიერებინა. თუმცა, სამხედრო იძულებისა და დიპლომატიური მუქარების ტრადიციული მეთოდები რთული გამოსაყენებელი შეიქნა ლათინური ამერიკის ქვეყნების მხრიდან მყარი წინააღმდეგობისა და მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან თვალთმაქცობის ბრალდებების პირობებში. დასავლეთ ნახევარსფეროზე დომინირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ურთიერთშენაცვლებით, რუზველტის ადმინისტრაციამ თავი აარიდა მოძველებულ იმპერიალიზმში მხილების უხერხულობას. ამის შემდეგ მას უკვე შეეძლო თავისუფლად ემოქმედა, როგორც მსოფლიოში მშვიდობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დამცველს და გაეერთიანებინა თავისი ცენტრალურამერიკელი კლიენტები სამართლებრივად თანასწორი სახელმწიფოების ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე დაფუძნებულ დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოების სისტემაში.

საგარეო საფრთხეები და დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების სოლიდარობა

გერმანიის მიერ ხელახალი შეიარაღების გამოცხადებისა და 1935 წელს იტალიის ეთიოპიაში შეჭრის შემდეგ, შეერთებული შტატების მთავრობამ წამოაყენა ინიციატივა, რომლის მიზანი დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის სოლიდარობის გამყარება იყო, მაშინ, როცა ატლანტიკის

მეორე მხარეს კოლექტიური უსაფრთხოების მცდელობები კრახით დასრულდა. 1936 წლის 30 იანვარს პრეზიდენტმა რუზველტმა სპეციალური ინტერამერიკული კონფერენცია მოიწვია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროცედურები დასავლეთ ნახევარსფეროს დასაცავად იმ საფრთხეებისგან, რომელსაც ევროპა უქმნიდა მსოფლიო მშვიდობას. კონფერენციაზე, რომელიც ბუენოს აირესში 1936 წლის დეკემბერში ჩატარდა, ამერიკული და არგენტინული დელეგაციები ერთმანეთს იმის შესახებ დაუპირისპირდნენ, თუ რა იყო ამ უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის საუკეთესო გზა. არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარლოს საავედრა ლამასმა, რომელიც შეერთებული შტატების დომინირებისადმი წინააღმდეგობის მთავარი მხარდამჭერი იყო, ერთა ლიგასთან, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აგრესორი სახელმწიფოების წინააღმდეგ სანქციების ამოქმედების შესახებ, თანამშრომლობის წინადადება წამოაყენა. რა თქმა უნდა, არგენტინელების გეგმას იერიში მიჰქონდა შეერთებული შტატების მხარდაჭერილ პანამერიკული ერთობის იდეოლოგიაზე. ლამასის წინადადება დასავლეთ ნახევარსფეროს უკავშირებდა ევროპაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელშიც წამყვანი ადგილი ევროპულ სახელმწიფოებს ეკავათ და მასში შეერთებული შტატები არ მონაწილეობდნენ. ამერიკელების გეგმა, რომელიც სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰალმა წარმოადგინა, პანამერიკანიზმის პრინციპს ეფუძნებოდა და გულისხმობდა რეგიონის რესპუბლიკების გაერთიანებას დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოების ერთობლივად დაცვისათვის. გეგმა ითვალისწინებდა ინტერამერიკულ საკონსულტაციო კომიტეტის შექმნას, რომელშიც ოცდაერთი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები გაერთიანდებოდნენ და სადაც გაიმართებოდა კონსულტაციები მსოფლიოში შექმნილი საგანგებო ვითარებების დროს. რომელიმე წევრი სახელმწიფოს ომში მონაწილეობის შემთხვევაში, ამერიკის ნეიტრალური რესპუბლიკები იძულებული იქნებოდნენ, ემბარგო დაედოთ მეომარი სახელმწიფოებისათვის კრედიტებისა და იარაღის მიწოდებაზე.

ერთა ლიგის გვერდის ავლით, ექსკლუზიურად ინტერამერიკული უსაფრთხოების სისტემის შექმნისთვის შეერთებული შტატების ძალისხმევის მიმართ არგენტინის შეუპოვარ წინააღმდეგობას შედეგად მოჰყვა, ერთი შეხედვით, უწყინარი კოპრომისი: ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე მშვიდობისადმი საფრთხის შემთხვევაში, ურთიერთკონსულტაციების პრინციპი ჩაიდო „მშვიდობის შენარჩუნების, დაცვისა და აღდგენის ხელშეკრულებაში“, თუმცა, უარი ითქვა ამ კონსულტაციების გამართვისათვის სპეციალური ორგანოს შექმნასა და მეომარი სახელმწიფოებისათვის კრედიტებისა და იარაღის ემბარგოს ვალდებულებაზე. ეფექტური სამშვიდობო მექანიზმის შექმნაზე უარის მიუხედავად, ინტერამერიკული კონსულტაციების პრინციპის აღიარება ამერიკელებისათვის მნიშვნელო-

ვან გამარჯვებას ნარმოადგენდა ბუენოს აირესთან შეერთებული შტატების დიპლომატიურ კონფრონტაციაში. ამ ხელშეკრულებამ შექმნა დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების ნეიტრალიტეტისა და კოლექტიური თავდაცვის პოლიტიკის პრეცედენტი, რომელიც, მოგვიანებით, ევროპაში ომის დანაშაულის შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო. ფასი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა გადაიხადა ლათინური ქვეყნების მიერ დასავლეთ ნახევარსფეროს სოლიდარობის აღიარებისათვის, „ჩაურევლობის შესახებ სპეციალურ პროტოკოლში“ გამოიხატებოდა, რომელიც, მონტევიდეოს რეზოლუციის მიმართ კორდელ ჰალის წინააღმდეგობის მიუხედავად, უკრძალავდა ხელმომწერ სახელმწიფოებს სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევას „პირდაპირ ან არაპირდაპირ და ამა თუ იმ მიზეზის არსებობის მიუხედავად“. ნარმოადგენელი იყო, რომ შეერთებული შტატები, რომელიც დაჟინებით ცდილობდა თავისი ლათინურამერიკელი კლიენტების მობილიზებას უცხოეთიდან აგრესიის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, შეინარჩუნებდა თავისი ძველი პრეროგატივის უკანასკნელ გადმონაშოს და კვლავ შელახავდა ამ ქვეყნების ეროვნულ სუვერენიტეტს. ოცდაათიანი წლების ბოლომდე, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა იმ დებულების გაუქმებით, რომლის თანახმად შეერთებული შტატები კარიბის ზღვის რეგიონში სამხედრო ინტერვენციისა და ფინანსური ზედამხედველობის უფლებით სარგებლობდა, მართლაც განხორციელდა ბუენოს აირესის პროტოკოლის მოთხოვნები.



დომინიკელი ავტორიტარი ლიდერი ვაშინგტონს სტუმრობს, 1939 წლის ივლისი: გენერალი რაფაელ ტრუხილიო 1930-1938 და 1942-1952 წლებში დომინიკელთა რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო და ქვეყანას, უბრალოდ, ყოველგვარი წოდების გარეშე, მართავდა. 1961 წელს იგი მოკლეს. დროებით ხელისუფლებიდან ნასული, მაგრამ ძალაუფლებით აღჭურვილი ტრუხილიო ვაშინგტონს მეორე მსოფლიო ომის დანაშაულებამდე, დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის თანამშრომლობისკენ პრეზიდენტ რუზველტის მოწოდების საპასუხოდ, ეწვია.

1936 წლის დეკემბრის ბუენოს აირესის კონფერენციიდან ორი წლის შემდეგ ევროპაში პოლიტიკური ვითარების გაუარესებამ, დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოების პრინციპის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა წარმოაჩინა, რომელიც მანამდე უკვე აღიარებული ჰქონდათ ამერიკულ რესპუბლიკებს.

ერთა ლიგის წარუმატებელი მცდელობა აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის აგრესიის შესაჩერებლად და დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უზენარობა, ბოლო მოელოთ გერმანიის რევიზიონისტული პოლიტიკისათვის ცენტრალურ ევროპაში, ახალი ევროპული ომის შესაძლებლობას აჩენდა, რომელიც აუცილებლად იქონიებდა გავლენას დასავლეთ ნახევარსფეროს ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებზე. ყველაზე ავისმომასწავებელი იყო ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც გერმანიისა და მისი მოკავშირეების ნაქეზებით ხორციელდებოდა იმ ლათინურამერიკულ ქვეყნებში – არგენტინაში, ბრაზილიასა თუ ურუგვაიში – სადაც გერმანიიდან და იტალიიდან პირველი თაობის იმიგრანტების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა. ჰიტლერის აგენტებმა ხელში ჩაიგდეს გერმანული წარმოშობის ლათინური ამერიკელების ორგანიზაციები და გამოცემები. ზოგჯერ გერმანელი იმიგრანტების წინააღმდეგ შანტაჟსაც მიმართავდნენ და აძინებდნენ, რომ ნაციისტური იდეისათვის სამსახურზე უარის შემთხვევაში შურს გერმანიაში დარჩენილ მათ ნათესავებზე იძიებდნენ. ამ ქვეყნებში გახშირებულ დივერსიულ ქმედებებთან ერთად მიმდინარეობდა გერმანიიდან მართული პროპაგანდა რადიოგადაცემების, პრესის სუბსიდებისა და კულტურული გაცვლითი პროგრამების საშუალებით, რომლის მიზანი გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვის ლათინურამერიკული ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება იყო. ამასობაში, ნაციისტურმა გერმანიამ, რეგიონში გერმანიის ეკონომიკური პოზიციის გაუმჯობესების მიზნით, ძალისხმევა გააძლიერა ლათინური ამერიკის არაერთი ქვეყნისთვის კრედიტების გაცემითა და მათთან საბარტერო შეთანხმებების გაფორმებით.

მიუნხენის კონფერენციის შემდეგ, რუზველტის ადმინისტრაციამ, ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის სოლიდარობის გასამყარებლად, ლათინური ამერიკის ქვეყნებზე ზეწოლის განხორციელება ევროპაში ომის საფრთხის და ამერიკულ რესპუბლიკებში გერმანიის ეკონომიკური გააქტიურების ფონზე დაიწყო. 1938 წლის დეკემბერში, ამერიკულ სახელმწიფოთა მერვე კონფერენციაზე, პერუს დედაქალაქ ლიმაში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰალმა ერთსულოვანი თანხმობა მიიღო ერთობლივ თანამშრომლობაზე თითოეული ლათინურამერიკული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული „ნებისმიერი უცხოური ინტერვენციის ან მოქმედებისგან“ დასაცავად. ბუენოს აირესის კონფერენციაზე მიღებული ერთობლივი კონსულტაციების პროცესის გასამარტივებლად, მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტ-

ტრებისგან შემდგარი საკონსულტაციო ორგანო შეიქმნა, რომელსაც საგანგებო ვითარებებში უნდა ემოქმედა. ჩვეულებისამებრ, არგენტინა წინ აღუდგა შეერთებული შტატების მიერ ინსპირირებულ მოძრაობას დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ და ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება მოითხოვა. თუმცა, ევროპული ომის საფრთხესთან დაკავშირებულმა მზარდმა მლელვარებამ ლათინურ ამერიკაში საშუალება მისცა კორდელ ჰალს მოეპოვებინა საჭირო მხარდაჭერა, ხოლო არგენტინელი დელეგატი საერთოდ მიუწვდომელი გახდა მას შემდეგ, რაც მან ვადაზე ადრე დატოვა კონფერენცია.

ლიმას დეკლარაციით დაფუძნებული საკონსულტაციო მექანიზმი პირველად 1939 წლის სექტემბერში, ევროპაში ომის დაწყებისას ამოქმედდა. საგარეო საქმეთა მინისტრების პირველ სპეციალურ შეხვედრაზე, რომელიც პანამაში 1939 წლის 23 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე გაიმართა, შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც უდავოდ საზიანო იყო გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის და ხელს აძლევდა ფრანგებსა და ბრიტანელებს. ეს რეკომენდაციები მოიცავდა ნებისმიერი მეომარი მხარის სახელით ღონისძიებების აკრძალვას (ეს ზომა მიმართული იყო ლათინურ ამერიკაში მცხოვრები გერმანელი და იტალიელი მოქალაქეების წინააღმდეგ) და საზღვაო კანონმდებლობის რევიზიას, რათა დასავლეთ ნახევარსფეროს ნეიტრალურ პორტებს საშუალება მისცემოდათ, მიეღოთ შეიარაღებული სავაჭრო გემები (რითაც უპირატეს მდგომარეობას იძენდა დიდი ბრიტანეთი თავისი დიდი ფლოტით) და არ დაეშვათ მეომარი ქვეყნების წყალქვეშა გემები (რითაც დისკრიმინაციას ახდენდნენ გერმანიის მთავარი საზღვაო იარაღის მიმართ). ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა პანამის კონფერენციის გადაწყვეტილება დასავლეთ ნახევარსფეროს გარშემო, ნაპირიდან, რამდენიმე ასეული მილის სიგრძის ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ. საზღვაოსამხედრო მოქმედებათა კანონებში შეტანილმა ამ გაბედულმა ცვლილებებმა მანც ვერ შეძლო ომში ჩართული ევროპული სახელმწიფოების შეკავება, რომლებიც 1939-1940 წლების ზამთარში ატლანტიკის ოკეანის ბრძოლაში ჩაერთვნენ.

ამ აშკარად ანტიგერმანული რეზოლუციების მიღების გარდა, პანამის კონფერენციამ რეგიონში სოლიდარობის არსებული მექანიზმი ინტერამერიკული საფინანსო და სარეკომენდაციო კომიტეტის შექმნით გაამყარა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ამერიკის რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობისათვის. ინტერამერიკული თანამშრომლობის ეფემერიზმის უკან შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და გერმანიასა თუ მის მოკავშირეებს შორის ვაჭრობის ხელშეშლისკენ მიმართული კამპანია იდგა, რათა ამ რეგიონის ბაზრები და ბუნებრივი ნედლეული მთლიანად მას დარჩენოდა. დასავლეთ ნახევარსფეროში

ეკონომიკური ბლოკის შექმნისათვის აშშ-ის მიერ განეული ძალისხმევა წარმოადგენდა კულმინაციას გრძელი და უსიამოვნო დავისა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების სავაჭრო პირველობას. ოციანი წლების მეორე ნახევარში ვაშინგტონის ტრადიციულად პროტექციონისტული რესპუბლიკელი ადმინისტრაცია წინააღმდეგობას უწევდა არგენტინის ხელდასმულ ლათინურამერიკულ ინიციატივებს ვაჭრობის ხელოვნური ბარიერების გაუქმების თაობაზე (მაგალითად, ცნობილი სანიტარული შეზღუდვები, რომელიც ამერიკულ ბაზრებზე არ უშვებდა არგენტინულ საქონლის ხორცს). 1930 წლის პოული-სმოტის ტარიფმა დამატებითი დაბრკოლებები შეუქმნა ლათინური ამერიკის ექსპორტს შეერთებულ შტატებში. ამერიკული პროტექციონიზმის აღზევებამ აიძულა ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა (როგორც ნესი, არგენტინის მეთაურობით) ევროპისკენ ექციათ პირი ალტერნატიული სავაჭრო პარტნიორების მოსაძიებად. 1933 წლის პირველი მაისის როკას კონვენციით, ბრიტანეთის იმპერიასა და არგენტინას შორის პრივილეგირებული სავაჭრო ურთიერთობები დამყარდა (რომელიც, 1932 წლის ზაფხულში ხელმოწერილი იმპერიული პრეფერენციების შეთანხმების შესაბამისად, ფაქტობრივად, ჩაკეტილ ეკონომიკურ ბლოკად გადაქცეულიყო). დიდი ბრიტანეთი დათანხმდა შეეძინა არგენტინული საქონლის ხორცისა და ხორბლის ყოველწლიურად განსაზღვრული რაოდენობა იმ პირობით, რომ არგენტინა ამ გაყიდვებიდან შესულ თანხას ბრიტანული წარმოების პროდუქტების შესაძენად დახარჯავდა. ამ პრეფერენციულ სავაჭრო შეთანხმებებს, რომელსაც უარყოფითი გავლენა ჰქონდა როგორც ამერიკის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე ბრიტანეთში, ასევე ამერიკული წარმოების პროდუქტების ექსპორტზე არგენტინაში, მალე მოჰყვა ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები ლათინური ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოსა და ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის კონტროლის ქვეშ მყოფ ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემებს შორის.

ინტერამერიკული სავაჭრო ურთიერთობების წინაშე მდგარ სწორედ ამ საფრთხეზე საპასუხოდ, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა დიდი დეპრესიის პირობებში, საგარეო ვაჭრობის აღორძინების მიზნით, სავაჭრო ბარიერების ორმხრივად დაწვეის პროექტი წარმოადგინა. პროექტი თავდაპირველად შეერთებული შტატების ყველა სავაჭრო პარტნიორს წარედგინა, თუმცა ევროპელების (რომლებიც მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ავტარკიული სავაჭრო ზონების შექმნით იყვნენ დაკავებული) მხრიდან ენთუზიაზმის სიმცირემ აიძულა პალი, რომ ბარიერების დაწვეის საკითხი, ძირითადად, დასავლეთ ნახევარსფეროს ოცდაერთ რესპუბლიკასთან განეხილა. სახელმწიფო მდივანი დიდი მონდომებით ცდილობდა სავაჭრო ბარიერების ორმხრივად დაწვეას ამერიკის სახელმწიფოთა კონფერენციაზე მონტევიდეოში, 1933 წელს. მისი პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ,

რაც ამერიკის კონგრესმა 1934 წლის ივნისში მიიღო კანონი ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ, რომელიც უფლებას აძლევდა ამერიკის პრეზიდენტს, მოლაპარაკებები სავაჭრო ბარიერების დაწვევის თაობაზე ინდივიდუალურ ქვეყნებთან ეწარმოებინა. ოცდაათიანი წლების ბოლომდე ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებს ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანასთან მოენერა ხელი. სავაჭრო ბარიერების დაწვევამ და „ექსპორტ-იმპორტ ბანკის“ მიერ სავაჭრო კრედიტების უფრო ფართოდ გაცემამ, შეერთებულ შტატებსა და მის ლათინურამერიკულ კლიენტ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ჩამოაყალიბა, რამაც დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის სოლიდარობა გააძლიერა.

1940 წლის მაის-ივნისში ნიდერლანდებისა და საფრანგეთის უეცარმა მარცხმა, ლათინური ამერიკის ქვეყნების უსაფრთხოება და ნეიტრალიტეტი პირველი პირდაპირი გამოწვევის წინაშე დააყენა. კარიბის ზღვის რეგიონში და სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ფრანგული და ნიდერლანდური ტერიტორიების გაურკვეველი ბედი უიმედო ფრანგებისგან და ჰოლანდიელებისგან გერმანიის მიერ ამ რეგიონში მათ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების უფლების მოპოვების შემამფოთებელ შესაძლებლობას ზრდიდა. მოვლენათა ამგვარი განვითარების თავიდან ასაცილებლად, აშშ-ის კონგრესმა 1940 წლის 18 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რითაც კვლავ დაადასტურა შეერთებული შტატების მტკიცე პოზიცია დასავლეთ ნახევარსფეროში ერთი არაამერიკული სახელმწიფოს მიერ მეორე არაამერიკული სახელმწიფოსათვის ტერიტორიის გადაცემის წინააღმდეგ. 1940 წლის 21-30 ივნისს ჰავანაში ჩატარდა ამერიკის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ნაუცბადევად მოწვეული კონფერენცია, რომელმაც მხარდაჭერა გამოხატა „ტერიტორიის გადაუცემლობის“ პრინციპის მიმართ და გასცა ნებართვა ამერიკის რესპუბლიკების მიერ ყველა იმ ევროპული ტერიტორიის ჩამორთმევასა და ერთობლივ ადმინისტრირებაზე, რომელიც, შესაძლოა, მტრის ხელში გადასულიყო. ჰავანის კონფერენციის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი „ამერიკის სახელმწიფოთა თავდაცვისათვის ორმხრივი დახმარებისა და თანამშრომლობის დეკლარაცია“ იყო, რომლის თანახმად, ამერიკის ოცდაერთი რესპუბლიკიდან ერთ-ერთის მიმართ არაამერიკული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აგრესიის აქტი ყველას წინააღმდეგ მიმართულ აგრესიის აქტად ჩაითვლებოდა. ეს დეკლარაცია, ფაქტობრივად, მონროს დოქტრინის ფორმალურ მულტილატერალიზაციას წარმოადგენდა. ამდგავარად, ოცდაერთი ამერიკული რესპუბლიკის ურთიერთთანხმობაზე დაფუძნებულმა რეგიონული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპმა ჩაანაცვლა შეერთებული შტატების ცალმხრივი პრეროგატივა, ხელი შეეშალა თავის ნახევარსფეროში უცხო ძალის ინტერვენციისათვის.

ორმხრივი ფორმატი მრავალმხრივ ფორმატს სძლევს

ურთიერთდახმარების დეკლარაციამ საშუალება მისცა ვაშინგტონს, განეგრძო ამერიკის კონტინენტების თავდაცვის ორგანიზება გერმანიისა და მის მოკავშირეთა საფრთხის საპასუხოდ. ის, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვა, პერლ ჰარბორზე თავდასხმამდე, რუზველტის ადმინისტრაციის შიგნით ინტენსიური განსჯის საგანი გახდა. სახელმწიფო დეპარტამენტი და სახელმწიფო მდივნის მოადგილე სამხრეთელი „კეთილმეზობლური პოლიტიკის“ ფუძემდებლური მულტილატერალური პრინციპის განვრცობას რეგიონული სამხედრო თანამშრომლობის სფეროზეც მოითხოვდა. ეს მიდგომა კარგ საფუძველს შეუქმნიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოთა ერთობის ახალ ტენდენციას, რაც შესაძლებელი ხდებოდა ლათინური ამერიკის ოცივე სახელმწიფოსათვის რეგიონული თავდაცვის საკითხში თანაბარი წონის მინიჭებით. ომისა და საზღვაო დეპარტამენტის წარმომადგენლებს კი ამერიკის კონტინენტების უსაფრთხოების ორგანიზება შეერთებული შტატების საკუთარი სპეციალური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად ერჩიათ. ეს კი გულისხმობდა ორმხრივი სამხედრო ურთიერთობების განვითარებას მხოლოდ რამდენიმე ქვეყანასთან (მექსიკა, პანამა, ეკვადორი, ბრაზილია), რომელთაც სტრატეგიული მდებარეობა ეკავათ შეერთებული შტატების სამხრეთის თავდაცვით პერიმეტრზე (რომელიც, როგორც მიაჩნდათ, მდებარეობდა გალაპაგოსის კუნძულებიდან ბრაზილიის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილამდე). ეს შეერთებულ შტატებს თავიდან ააცილებდა ზედმეტი რესურსების ხარჯვას ლათინური ამერიკის სამხრეთის პერიფერიაზე, რომელიც მოიცავდა ორ ქვეყანას (არგენტინასა და ჩილეს), რომლებიც, ასე თუ ისე, გულითად ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან და, შესაბამისად, ვერ გახდებოდნენ საიმედო პარტნიორები შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებულ უსაფრთხოების სისტემაში. ეს გეგმა საშუალებას მისცემდა ამერიკელ სტრატეგებს, ყურადღება ამერიკული სტრატეგიის ორ, ყველაზე გადაუდებელ, მიზანზე გაემახვილებინათ: პანამის არხისკენ წყნარი ოკეანის გასასვლელების იაპონიისაგან დაცვა და პოტენციური საზღვაო-სამხედრო საფრთხისგან ბრაზილიის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ტერიტორიის მფარველობა იმ სამხედრო ბაზებიდან, რომელიც, შესაძლოა, გერმანიას საფრანგეთის დასავლეთაფრიკულ ტერიტორიებზე განელაგებინა.

შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობამდეც ნათელი იყო, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლება წარმატებით უგებდა ბიუროკრატიულ ბრძოლას მათ, ვინც დასავლეთ ნახევარსფეროს დაცვისათვის ჭეშმარიტად მრავალმხრივ ან კოლექტიური უსაფრთხოების სის-

ტემას უჭერდნენ მხარს. რუზველტის ადმინისტრაციამ ორმხრივი თავდაცვითი შეთანხმებები დადო შეერთებული შტატების თავდაცვის პერიმეტრის შიგნით მდებარე, სტრატეგიულად განლაგებულ რესპუბლიკებთან. „შეერთებული შტატებისა და კანადის თავდაცვის ერთობლივი საბჭოს“ მოდელის მიხედვით დაარსდა ორმხრივი კომისიები მექსიკასთან და ბრაზილიასთან, რათა კოორდინაცია გაენიათ ამ ორი ქვეყნის მიერ დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვაში შეტანილი წვლილისათვის. ასევე დაიწყო მოლაპარაკებები ბრაზილიასთან და კარიბის ზღვის რეგიონის რამდენიმე ქვეყანასთან, შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთთან 1940 წელს მიღწეული შეთანხმების – ნაღმოსანი გემები ბაზების სანაცვლოდ – საფუძველზე მიღებულ ბაზებზე დამატებით, შეერთებული შტატებისათვის საჰაერო და საზღვაო-სამხედრო ბაზების დათმობის საკითხზეც. ამერიკული სამხედრო და საზღვაო მისიები ცალკეული სახელმწიფოსათვის თავდაცვით მზადებაში დახმარების გასანეებად სამხრეთისკენ გაემგზავრნენ, ხოლო ლათინურამერიკელი სამხედრო და საზღვაო ოფიცრები სანვრთნელად შეერთებულ შტატებში ან პანამის არხის ზონაში მიიწვიეს. ბოლოს, არგენტინისა და პანამის (რომელიც ამერიკის დახმარებას პანამის არხის დაცვისათვის სხვა შეთანხმებით იღებდა) გარდა, ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანასთან ხელი მოეწერა „ლენდ-ლიზის“ („ქირისა და იჯარის“) შეთანხმებებს სამხედრო ტექნიკის გადაცემის თაობაზე.

ვაშინგტონის მიერ დასავლეთ ნახევარსფეროში სტრატეგიული და ეკონომიკური კოორდინაციის განხორციელებას, გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ კონტროლირებადი ევროპიდან მომავალი საერთო საფრთხის განცდაც აიოლებდა, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტებს ნიდერლანდებისა და საფრანგეთის დაცემის შემდეგ დაეუფლათ. უცხოეთიდან მომავალი საფრთხის განცდა და შეერთებული შტატების მიერ ღია იძულებით მეთოდებზე უარის თქმამ, ლათინური ამერიკის ქვეყნების (არგენტინის გარდა) მხრიდან დასავლეთ ნახევარსფეროს სოლიდარობისათვის თანამშრომლობა უზრუნველყო, რომელსაც უფროსი პარტნიორი ავიტარებდა და მართავდა ჩრდილოეთიდან.

ლათინური ამერიკის მხარდაჭერა შეერთებული შტატების ბრძოლისადმი

ზემოაღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთ ნახევარსფეროში შეერთებული შტატების ჰეგემონიური ექსპანსია, უფრო სუსტი ლათინურამერიკული სახელმწიფოების მხრიდან, წინააღმდეგობას არ აწყდებოდა. ისეთი პროამერიკული სახელმწიფოებიც კი, როგორებიც ბრაზილია და პანამა იყვნენ, მრავალი წელი აჭიანურებდნენ მათ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ მოლაპა-

რაკებებს შეერთებულ შტატებთან. თუმცა, შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ, ლათინურამერიკული სახელმწიფოები თანამშრომლობის უპრეცედენტო სულისკვეთებას გამოხატავდნენ, რაც ინტერამერიკული ურთიერთობებისათვის მანამდე უცხო იყო. პირველი მსოფლიო ომისგან განსხვავებით, ოცივე ლათინურამერიკული რესპუბლიკა შეუერთდა ბრძოლაში შეერთებულ შტატებს, თუმცა, ჩილე და არგენტინა ბოლო წუთებამდე თავს იკავებდნენ. 1942 წლის 15-28 იანვარს რიო დე ჟანეიროში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრების მესამე კონფერენციაზე, ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფომ, ჩილესა და არგენტინის გარდა, ღერძის სახელმწიფოებთან ურთიერთობები შეწყვიტა; შეთანხმდნენ, რომ რეგიონში გერმანული შიონაჟის აღსაკვეთად ითანამშრომლებდნენ და, სტრატეგიული საომარი მასალების თავმოყრის მიზნით, ინტერამერიკული ეკონომიკური კოორდინაციისათვის ფართო პროგრამა შეიმუშავეს. სტრატეგიული მდებარეობის ქვეყნებმა – ეკვადორმა, ბრაზილიამ და კარიბის ზღვის რესპუბლიკებმა – ამერიკულ სამხედრო და საზღვაო ძალებს ბაზებიც დაუთმეს, რომლებზეც, ომის დასრულებისას, ასი ათას ამერიკელ ჯარისკაცამდე იყო დისლოცირებული.

ერთად აღებულმა ამ მოვლენებმა კარგად ასახეს ამერიკის კონტინენტებზე სამხედრო და ეკონომიკური ძალის ის არათანაბარი განაწილება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უკვე აშკარა იყო. მიუხედავად მრავალმხრივი თანამშრომლობისა და კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ამერიკელი ოფიციალური პირების გახშირებული განცხადებებისა, რუზველტის ადმინისტრაციამ დასავლეთ ნახევარსფეროში ისე განაწილთარა სამხედრო პოტენციალი, როგორც ეს შეერთებული შტატების სპეციფიკურ სტრატეგიულ მოთხოვნებს შეეფერებოდა. ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და შეერთებულ შტატებს შორის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ტენდენციიდან ყველაზე აღსანიშნავი გამონაკლისი 1942 წელს ინტერამერიკული თავდაცვის საბჭოს შექმნა იყო. თუმცა, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილი დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვის მრავალმხრივი მექანიზმის თავდაპირველი პროექტის ეს ერთადერთი სიმბოლური შედეგიც კი უწყინარ საკონსულტაციო ორგანოდ იქცა, რამდენადაც შეერთებული შტატების სამხედრო ისტებლიშმენტი სამხრეთის თითოეული ქვეყნის სამხედრო ელიტებთან ორმხრივი ურთიერთობების მის მიერვე შერჩეულ პოლიტიკას განაგრძობდა.

1944 წლის ზაფხულში ბრაზილიამ ქვეითთა დივიზია გაგზავნა იტალიაში საომარ მოქმედებებში მონაწილეობისათვის, ხოლო, 1945 წლის გაზაფხულზე მექსიკის სამხედრო-საპაერო ძალები ფილიპინებზე შეერთებული შტატების ქვეითი ჯარების დასახმარებლად სამხედრო მოქმედებებში ჩაერთვნენ. მეორე მსოფლიო ომში ლათინური ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლი-

ლი უფრო ეკონომიკური ხასიათის იყო, ვიდრე სამხედრო. ვაშინგტონში ომის დეპარტამენტის მიერ შედგენილი სამხედრო მომარაგების პროგრამების შესაბამისად, ლათინური ამერიკის ქვეყნებს უწევდათ, გაეზარდათ იმ ნედლეულის მოპოვება, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ლერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში და მოეხდინათ ამ ნედლეულის ექსპორტი ჩრდილოეთით, ხელოვნურად დაბალ ფასებში, „ექსპორტ-იმპორტის ბანკის“ სესხების სანაცვლოდ. საომარი წარმოების ამ საგანგებო პროგრამამ ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკის შეერთებული შტატებისაკენ მკვეთრი რეორიენტაცია გამოიწვია და, ამრიგად, ისინი ამერიკის ბაზრებზე დაქვემდებარებულ ქვეყნებად აქცია შესაბამისი სტრატეგიული საქონლის გასაღებისთვის. 1945 წლის შემდეგ, როდესაც ომის წარმოებასთან დაკავშირებულ ექსპორტზე მოთხოვნა დაეცა, მომწოდებელი ქვეყნების უმრავლესობას რეადაპტაციის მტკიცეული პროცესების გავლამ მოუწია. ამასობაში, ორმხრივმა სავაჭრო შეთანხმებებმა (რომლებმაც შეამცირეს ამერიკის სავაჭრო ბარიერები ლათინურამერიკული ექსპორტისათვის) და „ექსპორტ-იმპორტ ბანკის“ სესხებმა რეგიონის ყოფილი სავაჭრო პარტნიორების ხარჯზე ომისგან განადგურებულ ევროპასა და აზიაში, მნიშვნელოვნად გააღრმავეს სავაჭრო ურთიერთობები ლათინური ამერიკის თითოეულ სახელმწიფოსა და მათ ძლიერ და მდიდარ ჩრდილოელ მეზობელს შორის. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომმა და მისით განპირობებულმა ინტერამერიკულმა თანამშრომლობამ განამტკიცა, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ურთიერთობებში ამერიკული რეგიონული დომინირების გრძელვადიანი ტენდენცია და, მეორე მხრივ, ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა თითოეული ლათინურამერიკული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებსა და ვაშინგტონში მათი სამხედრო დახმარებისა და სამხედრო წვრთნის წყაროს შორის.



იაპონიის აღზევება და დაცემა აღმოსავლეთ აზიაში



ცხენზე ამხედრებული იაპონიის იმპერატორი ჰიროჰიტო (1901-1989) ათვალეერებს თავის სამხედრო ძალებს ჩრდილოეთ ჩინეთში, 1933: ისევე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ რამდენად იყო იმპერატორი მოკავშირე ან, უბრალოდ, იარაღი ტოკიოს მილიტარისტული ფრაქციის ხელში, რომელმაც ოცდაათიან წლებში ჩინეთის წინააღმდეგ იაპონიის აგრესიული კამპანია წამოიწყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი იმიჯი რადიკალურად შეიცვალა და ქედმაღალი მილიტარისტიდან იგი მოხუც კონსტიტუციურ მონარქად იქცა.

თავის შინაარსი

მეზილოზიანი ათვისეზის პერიოლი (1914-1930)

სამხედრო ექსპანსიის პერიოლი (1931-1941)

ოგი აზიიში (1941-1945)

მეზილოზიანი ათვისეზის პერიოლი (1914-1930)**იაპონია პირველ მსოფლიო ომში**

პირველმა მსოფლიო ომმა არაჩვეულებრივი საშუალება მისცა იაპონიის იმპერიას, გაემყარებინა და გაეფართოებინა ეკონომიკური ინტერესები და პოლიტიკური დომინირება აღმოსავლეთ აზიაში დიპლომატიური ხასიათის რისკების გარეშე, რაც მანამდე აუცილებლად მოჰყვებოდა მსგავს აგრესიულ პოლიტიკას. როგორც დიდი ბრიტანეთის მოკავშირემ – იაპონიამ 1914 წლის აგვისტოში ომი გამოუცხადა გერმანიას, რის შემდეგაც ხელში ჩაიგდო შორეულ აღმოსავლეთში გერმანიის მფლობელობაში მყოფი მიწები. წლის ბოლომდე, იაპონიის სამხედრო ძალებმა დაიკავეს ცინდაო და შანდუნის პროვინცია კონტინენტზე და გერმანიის კონტროლირებადი კუნძულები ჩრდილოეთ წყნარ ოკეანეში (მარიანას, მარშალისა და კაროლინის კუნძულები).

აზიასა და ოკეანეაში გერმანიის კოლონიების უმტკივნეულო ოკუპაციამ, მანამდე ჩინეთთან და რუსეთთან ომებში გამარჯვების შედეგად მოპოვებულ ტერიტორიებთან და პრივილეგიებთან ერთად, საშუალება მისცა ტოკიოს, რომ თავისი ექსპანსიონისტური მცდელობები იაპონიის ისტორიული ჩანაფიქრების მთავარი მიზნისაკენ – ჩინეთისაკენ – მიემართა. ჩინეთის 1911-1912 წლების რევოლუციამ, რომელმაც მანჯუს დაჩაჩანაკებული დინასტია დაამხო, იაპონიას ჩინეთში ადრე მოპოვებულ გამარჯვებებში მიღებული პრივილეგიების დაკარგვის შიში გაუჩინა. მაშინ, როდესაც მანჯუს რეჟიმი უკიდურესად დამოკიდებული იყო იაპონიაზე ფინანსური დახმარებისა და პოლიტიკური რჩევებისათვის, პეკინის ახალმა მთავრობამ მხარდაჭერისათვის ევროპას მიმართა და დაიწყო მცდელობები ძლიერ მეზობელზე ჩინეთის უკიდურესი დაქვემდებარების შესასუსტებლად. სამხრეთ მანჯურიასა და მონღოლეთში პრივილეგირებული პოზიციების დაკარგვით შემფოთებულმა იაპონიამ ევროპაში შექმნილი რთული სამხედრო ვითარებით ისარგებლა (რის გამოც ევროპული სახელმწიფოები ვედარ ახერხებდნენ აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის ამბიციების შეკავებას) და 1915 წლის იანვარში ჩინეთის მთავრობას ცნობილი „ოცდაერთი მოთხოვნა“ წაუყენა. თავდაპირველი ფორმით ეს ულტიმატუმი გულისხმობდა ჩინეთის მთავარი ბუნებრივი რესურსების იაპონიის კონტროლის ქვეშ მოქცევას (განსაკუთრებით, ქვეყნის ცენტრალურ

ნაწილში მოპოვებული რკინისა და ქვანახშირის მარაგის) და დე ფაქტო პროტექტორატის დამყარებას ჩინეთის მთავრობაში იაპონელი მრჩეველების მივლინების სახით. იმის მიუხედავად, რომ, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ძლიერი პროტესტის შედეგად, იაპონიამ აღარ მოითხოვა პროტექტორატი, მან მაინც მოახერხა ჩინეთის მთავრობისგან არაერთი ეკონომიკური დათმობის მიღება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა იაპონიის ეკონომიკური პოზიცია ჩინეთის კონტინენტურ ნაწილზე.

1916 წლამდე იაპონიის მთავარმა ეროპელმა მოკავშირეებმა – დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და რუსეთმა – ტოკიოს მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს მიღწეული გამარჯვებები აღიარეს და, შესაბამისად, ლეგიტიმურობა შესძინეს იაპონიის ძალაუფლების ცალმხრივ გავრცელებას რეგიონში. იაპონიის ექსპანსიონიზმის ერთადერთი დაბრკოლება შეერთებული შტატები იყო, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოხატა ჩინეთისათვის „ოცდაერთი მოთხოვნის“ წაყენების გამო. ვაშინგტონის უკმაყოფილება, წყნარ ოკეანაში მიმდინარე მოვლენების გამო, არ იყო დაკავშირებული შეერთებული შტატების უსაფრთხოებასთან. პანამის არხის გახსნამ 1914 წლის ზაფხულში, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამერიკული საზღვაო ძალების სწრაფი განლაგება წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში, ფაქტობრივად, აღმოფხვრა იაპონიის მხრიდან სამხედრო-საზღვაო საფრთხე ამერიკის დასავლეთ სანაპიროს მიმართ. ამერიკის დიდი ხნის ერთგულებამ ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ამ ქვეყანასთან ინვესტიციებსა და ვაჭრობის სფეროში „ღია კარის“ პოლიტიკამ, იმავდროულად, ფილიპინების უსაფრთხოებაზე ზრუნვასთან ერთად, 1916 წელს საფუძველი დაუდო სამხედრო-საზღვაო მშენებლობის ამბიციური პროგრამის დაწყებას, რომელიც მიმართული იყო როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ წყნარ ოკეანეში ამერიკის საზღვაო პირველობის უზრუნველყოფისაკენ. იაპონიის ასეთივე მტკიცე დაინტერესება მანჯურიასა და ჩრდილოეთ ჩინეთში პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებით, ხელს უშლიდა აშშ-სა და იაპონიას შორის ამ გარდაუვალი დაპირისპირების მეგობრულად მოგვარებას. ბოლოს, 1917 წლის 2 ნოემბერს, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა და იაპონიის ელჩმა ვაშინგტონში ორმხრივად დამაკმაყოფილებელ კომპრომისს მიაღწიეს. ე.წ. ლანსინგ-იშის შეთანხმებამ დაადასტურა ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობა და „ღია კარის“ პოლიტიკის პრინციპი და, ამავე დროს, აღიარა იაპონიის „განსაკუთრებული ინტერესები“ ჩინეთში, რაც გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარეობდა. ამ ორაზროვანმა შეთანხმებამ – დადებულმა აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის, კანონმდებელთა მიერ რატიფიკაციის გარეშე – საშუალება მისცა ორ სახელმწიფოს, ერთნაშრომლათ გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში და ჩინეთთან დაკავშირებული გარდაუვალი კონფლიქტი ომის დასრულებამდე გადაედოთ.

იაპონელებისათვის „განსაკუთრებული ინტერესის“ აღიარება მონროს დოქტრინის აზიურ ეკვივალენტად აღიქმებოდა და ამ შემთხვევაში ჰეგემონის როლს იაპონია ასრულებდა. ასეთი ინტერპრეტაცია კიდევ უფრო გამყარდა ტოკიოში რუსეთის – ჩინეთში იაპონიის ტრადიციული მეტოქის – სამხედრო მარცხისა და პოლიტიკური დეზინტეგრაციის შემდეგ. ბოლშევიკური რევოლუციისა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საფრანგეთის მთავრობამ დაარწმუნა პრეზიდენტი უილსონი, დათანხმებოდა იაპონიის სამხედრო ინტერვენციას აღმოსავლეთ ციმბირში. ამ ოპერაციის განცხადებული მიზანი წესრიგის და რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლების აღდგენა იყო, რომელიც განაგრძობდა თავდასხმით ოპერაციებს გერმანიის აღმოსავლეთ ფრონტზე და შეამსუბუქებდა დასავლეთის ფრონტზე დასუსტებული მოკავშირეების მდგომარეობას. იაპონელი ექსპანსიონისტები მიესალმნენ აღმოსავლეთ ციმბირში იაპონიის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციის გამყარებისა და რუსეთსა და იაპონიის კონტროლირებად მანჯურიას შორის ბუფერული ზონის შექმნის შესაძლებლობას. უილსონი ერთუზიანების გარეშე დაჰყვა ფრანგების ზენოლას იაპონიის ინტერვენციისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ საექსპედიციო ძალების რაოდენობა არ გადააჭარბებდა შვიდი ათას მეომარს, რაც, დაახლოებით, ციმბირის კამპანიისათვის გამოყოფილი ამერიკული კონტინგენტის ტოლი იყო. ამის მიუხედავად, იაპონიის არმიის რაოდენობა აღმოსავლეთ ციმბირში ომის დასრულებამდე სამოცდათორმეტ ათასამდე გაიზარდა. იაპონიის არმია ამ რეგიონში 1922 წლამდე დარჩა – კიდევ დიდხანს გერმანიის დამარცხებისა და ვლადივოსტოკში დისლოცირებული მცირე ამერიკული კონტინგენტის ევაკუაციის შემდეგ. რუსეთის პოლიტიკური ძალაუფლება – იაპონიის ტრადიციული საპირნონე ჩინეთის ჩრდილოეთში – ფაქტობრივად, აღარ ჩანდა რეგიონში მაშინ, როდესაც იაპონიის ძალაუფლებამ იქ თავის პიკს მიაღწია.

ომის შემდგომი ტერიტორიული მატება და საზღვაო ექსპანსია

იაპონიის თვალში საცემი მონაწილეობა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, როგორც ხუთიდან ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოსი, გასული, თითქმის ორმოცდაათწლიანი ჩამორჩენილობიდან, ამ ქვეყნის არაჩვეულებრივი აღმასვლის ადეკვატური აღიარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ იაპონია არ იყო დაინტერესებული შორეულ ევროპაში ტერიტორიებისა და რესურსების განაწილების საკითხით, იაპონიის დელეგაციამ მოითხოვა და მიიღო კიდევ მნიშვნელოვანი დათმობები საკუთარ გეოგრაფიულ არეალში. ეს მოიცავდა როგორც გერმანიის ყოფილ კუნძულებს წყნარ ოკეანეში, ეკვატორიდან ჩრდილოეთით, ერთა ლიგის მანდატის ქვეშ, ისე გერმანიის ყოფილ ეკონომიკურ პრივილეგიებს ჩინეთის შანდუნის ნახევარკუნძულზე. ეს რეგიონი ტოკიოს ექსპანსიონისტის ბიზნესელიტის მიერ ჩინეთის შემდგომი ეკონომიკური ათვისებისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად აღიქმე-

ბოდა, როგორც ეს მანამდე, კორეის – კონტინენტური ჩინეთიდან იაპონიის კუნძულებამდე განლაგებული ნახევარკუნძულის – შემთხვევაში მოხდა. ამ ტერიტორიულმა მატებამ და ეკონომიკურმა ექსპანსიამ იაპონია აზიის ყველაზე დიდი ეკონომიკური შესაძლებლობებისა და დასავლეთ წყნარ ოკეანეში პირველ საზღვაო ძალად აქცია, მაშინ როცა რუსეთი კვლავ სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური ქაოსის შედეგებს განიცდიდა, დიდი ბრიტანეთი კი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ფინანსური და სავაჭრო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდა.

იაპონიის ექსპანსიონისტური მისწრაფებები შორეულ აღმოსავლეთში ყველაზე დიდ გამოწვევას კვლავ შეერთებული შტატებისგან იღებდა. იაპონიის იმპერიული ამბიციების მიმართ ამერიკის ცუდი წინათგრძნობა გამოწვეული იყო არა მხოლოდ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე იაპონიის მიერ განხორციელებული ტერიტორიული და ეკონომიკური მიღწევებით, არამედ, ასევე, იაპონიის მზარდი სამხედრო-საზღვაო პოტენციალით. 1917 წლიდან 1921 წლამდე ტოკიოს მთავრობის ხარჯები საზღვაო მშენებლობაზე სამჯერ გაიზარდა და იმპერიული ბიუჯეტის ერთი მესამედი შეადგინა. იმის მიუხედავად, რომ იაპონიის სიდიდით მესამე საზღვაო ფლოტი საკმაოდ ჩამორჩებოდა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების უზარმაზარ არმადებს, მანძილი იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის, ფაქტობრივად, შეუვალს ხდიდა იაპონიას ამერიკული სამხედრო ძალის (რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, ორ ოკეანეზე ნაწილდებოდა) შემაკავებელი ეფექტის მიმართ, ხოლო იაპონიის ალიანსი დიდ ბრიტანეთთან (გაფორმებული 1902 წელს და განახლებული 1905 და 1911 წლებში) ანეიტრალებდა სამეფო საზღვაო ძალებს, როგორც იაპონიის იმპერიული ამბიციების პოტენციურად შემზღუდავ ფაქტორს. იაპონიის საზღვაო ძლიერების ზრდის საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა, ევროპაში ომის დასრულების შემდეგ, საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გადაიყვანა და ჰავაიში პერლ ჰარბორის მშრალი დოკი აამოქმედა. ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განიარაღების დებულებების წყალობით, გერმანიის საზღვაო საფრთხისგან გათავისუფლებულმა ამერიკელმა საზღვაო სტრატეგებმა პირველად დაიწყეს სათადარიგო მოქმედების გეგმის შემუშავება წყნარ ოკეანეში იაპონიის სიახლოვეს ამერიკული საზღვაო ძალების დასაცავად.

შეთანხმებები სამხედრო-საზღვაო კონტროლზე ვაშინგტონში

ძვირად ღირებული, გამალებული სამხედრო-საზღვაო შეიარაღების პერსპექტივა, როდესაც პირველი მსოფლიო ომი ახალი დასრულებული იყო, ყველა სახელმწიფოსათვის ანათემის ტოლფასი იყო. კვლავინდებურად ზღვების მბრძანებელი, მაგრამ შეერთებული შტატების მხრიდან უკან ჩამოტოვების და იაპონიის მხრიდან გატოლების საფრთხის წინაშე მდგარი

დიდი ბრიტანეთი ქრონიკული უმუშევრობითა და სამრეწველო სტაგნაციით იტანჯებოდა. ეს შიდაეკონომიკური პრობლემები ლონდონს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების განხორციელებას კარნახობდა, რაც შეუსაბამობაში იყო საზღვაო მშენებლობის ფართომასშტაბიან პროგრამასთან. პრეზიდენტ უორენ ჰარდინგის ადმინისტრაციას ოციან წლებში, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი სერიოზული რეცესიის პირობებში, უნევდა მართვა და მის უმრავლესობასაც კონსერვატორი იზოლაციონისტები წარმოადგენდნენ, რომლებსაც გადასახადებისა და საბიუჯეტო ხარჯვის მკვეთრი შემცირება და პრეზიდენტ უილსონის გლობალური ვალდებულებებისგან ქვეყნის გათავისუფლება სურდათ. მიუხედავად იაპონელი ლიდერების მოსაზრებისა, რომ იაპონიის ეკონომიკური სიმდიდრე დამოკიდებული იყო უცხოეთის ბაზრებზე პრივილეგირებული ადგილის დაკავებასთან, მათ ორ დიდ ინგლისურენოვან სახელმწიფოსთან მაინც მშვიდობიანი ეკონომიკური ექსპანსიისა და თანამშროლობის სტრატეგიის შემუშავება სურდათ, რათა თავიდან აეცილებინათ ხარჯები ქვეყნის შიგნით და რისკები საგარეო ურთიერთობებში, რაც სამხედრო-საზღვაო გამალებულ შეიარაღებას მოჰყვებოდა. სწორედ შეუზღუდავი სამხედრო-საზღვაო დაპირისპირების შესაძლო ეკონომიკური და სტრატეგიული შედეგებისადმი ამ შიშნარევი დამოკიდებულების კონტექსტში მიიწვია პრეზიდენტმა ჰარდინგმა მსოფლიოს რვა საზღვაო სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები ისტორიაში პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე სამხედრო-საზღვაო შეიარაღების კონტროლის შესახებ. ვაშინგტონში, 1921-22 წლების ზამთარში ჩატარებულ ამ შეხვედრაზე გაფორმდა რამდენიმე შეთანხმება, რომლითაც, ზოგადად, შეიზღუდა სამხედრო-საზღვაო გამალებული შეიარაღება და, უფრო კონკრეტულად, წყნარ ოკეანეში დაძაბულობა განიშუხტა.

ვაშინგტონის საზღვაო კონფერენციის მთავარმა მიღწევამ – ე.წ. ხუთმხრივმა ხელშეკრულებამ – არსებულ დიდ გემებზე ტონაჟის შეფარდებები განსაზღვრა (ანუ სამხედრო გემებზე, რომელთა ტონაჟი 10 000 ტონას აღემატება და რომელზეც რვა დიუმზე უფრო დიდი კალიბრის იარაღია განთავსებული) როგორც 5:5:3:1.67:1.67, შესაბამისად: დიდი ბრიტანეთისათვის, შეერთებული შტატებისათვის, იაპონიის, საფრანგეთისა და იტალიისათვის. შეთანხმებამ ასევე დაანესა ათწლიანი მორატორიუმი იმავე კატეგორიის გემების მშენებლობაზე. სამი დიდი საზღვაო სახელმწიფო შეთანხმდა, რომ აღარ ააგებდნენ ახალ სიმაგრეებს წყნარ ოკეანეში, მათ კუთვნილ ტერიტორიებზე (გარდა სინგაპურისა და პერლ ჰარბორის, რომლებიც, შესაბამისად, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მოწინავე სამხედრო ბაზები იყო). იაპონია დასთანხმდა აღმოსავლეთ ციმბირის ევაკუაციაზე, შანდუნის ნახევარკუნძულზე ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენაზე და, ამავე დროს, ნება დართო, რომ ჩინეთის ორმხრივი ალიანსი დიდ ბრიტანეთთან – რასაც დიდ წინააღმდეგობას უნევდა შეერთებული შტატები – ჩანაცვლებულიყო

მრავალმხრივი შეთანხმებით, რომელიც აზიაში პოლიტიკურ სტატუსკვოს დაიცავდა. ვაშინგტონის საზღვაო კონფერენციას ყველა მიესალმა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეპოქის დასაწყისს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ დიდი სახელმწიფოები სამხედრო ძალების ერთი ნაწილის რაოდენობის შემცირებასა და ახალი სამხედრო სიმაგრეების აგებისგან თავის შეკავებაზე ნებაყოფლობით დასთანხმდნენ. საყოველთაო განიარაღების მომხრეები წუხდნენ, რომ დღის წესრიგში ვერ მოხვდა სახმელეთო შეიარაღების შემცირება საფრანგეთის გამო, რომელიც, ეფექტური უსაფრთხოების გარანტიის არარსებობის პირობებში, დაუინებით ითხოვდა გერმანიაზე უდავო სამხედრო უპირატესობის უფლებას. ხელშეკრულებიდან სახმელეთო შეიარაღების გამოტოვებას ხელი არ შეუშლია საყოველთაო მხიარული განწყობისათვის, რომელიც ვაშინგტონის ხელშეკრულების დებულებათა გამოქვეყნებას მოჰყვა. ამრიგად, პარიზის სამშვიდობო შეთანხმებით გათვალისწინებული ბუნდოვანი ვალდებულება საყოველთაო განიარაღების შესახებ კონკრეტულ ქმედებაში გამოიხატა, თუნდაც, საზღვაო ძალების შეზღუდულ სფეროში.

მნიშვნელოვანი ოპტიმიზმის საფუძველი აღმოსავლეთ აზიასთან დაკავშირებული ვალდებულებებიც გახდა, რაც ბადებდა იმედს ამ არასტაბილურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჩარლზ ევანს ჰიუზმა, რომელიც კონფერენციის მასპინძელი და მამოძრავებელი ძალა იყო, თავის სამ მთავარ მიზანს მიაღწია: დაიშალა ინგლის-იაპონიის ალიანსი, აღიარებულ იქნა შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების პარიტეტი დიდ ბრიტანეთთან და იაპონიის შესაბამის ძალებთან მისი უპირატესობა და აღმოსავლეთ ციმბირიდან გაყვანილ იქნა იაპონიის სამხედრო ძალები. იაპონია დასთანხმდა მისი სამხედრო-საზღვაო ძალების 5:5:3 პროპორციას აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საზღვაო ძალებთან, ვინაიდან ახალი სამხედრო სიმაგრეების აგების შეზღუდვა იაპონიის უსაფრთხოების ადეკვატურ გარანტიას იძლეოდა მის შიდაწყლებში და აზიურ კონტინენტზე საზღვაო მისასვლელების კონტროლს უნარჩუნებდა. სტრატეგიულ საკითხებში ამ ურთიერთსასარგებლო კომპრომისებს ემატებოდა იაპონიის არაფორმალური დაპირებები, რომ აღარ შეეცდებოდა ჩინეთში უპირატესი უფლებების მოპოვებას და ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხში დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობას დასთანხმდებოდა.

იაპონია-ამერიკის თანამშრომლობა და კონფლიქტი

ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ იაპონიაში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს იაპონიის საგარეო პოლიტიკის ახალი ორიენტაცია და ხელი შეუწყვეს დაახლოებას ტოკიოსა და დასავლეთის სახელმწი-

ფოებს შორის, რომლებიც აღმოსავლეთ აზიაში კოლონიურ ტერიტორიებს ფლობდნენ. პროგრესული სოციალური კანონების მიღება და 1925 წელს მამაკაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება დაეხმარა იაპონიას, გაექარწყლებინა ავტორიტარული, მილიტარისტული სახელმწიფოს იმიჯი, რომელიც მას დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ჰქონდა. იაპონიაში გაუმჯობესებული ადმინისტრაციისა და წარმომადგენლობითი მმართველობის დამყარების შედეგად, ამერიკელმა ბანკირებმა და ბიზნესნრებმა შორეულ აღმოსავლეთში ბიზნესის შესაძლებლობების მიმართ ძველი დამოკიდებულებები გადააფასეს. ჩინეთი – ამერიკის სავაჭრო და საფინანსო ინტერესების ტრადიციული ობიექტი რეგიონში – პოლიტიკურ ქაოსსა და სოციალურ არეულობებში იყო ჩაფლული და სავაჭრო ურთიერთობებისა და ინვესტიციებისთვის დიდ რისკად აღიქმებოდა. მეორე მხრივ, იაპონიამ დამსახურებულად დაიმკვიდრა მსოფლიოს მღელვარე რეგიონში სტაბილური კუნძულის რეპუტაცია, სადაც ამერიკის ეკონომიკური ინტერესებისათვის უფრო შესაფერისი გარემო არსებობდა. ამერიკასა და იაპონიას შორის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს განვითარდა, როდესაც ამერიკული ექსპორტი იაპონიაში ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო იაპონური ექსპორტი შეერთებულ შტატებში თითქმის გასამმაგდა. ოციანი წლების განმავლობაში ეს ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო გაფართოვდა და შეერთებული შტატები იაპონიის მთავარი სავაჭრო კლიენტი და პროდუქციის მიმწოდებელი გახდა. მთელი ათწლეულის განმავლობაში, იაპონიას შეერთებული შტატებიდან შეჰქონდა მისთვის აუცილებელი ავტომობილების, დანადგარების, სამშენებლო მასალებისა და ნავთობის დიდი ნაწილი. მეორე მხრივ, ამერიკის ბაზარზე შედიოდა იაპონიის მთლიანი ექსპორტის 40 პროცენტი, მათ შორის ნედლი აბრეშუმის პროდუქტების 90 პროცენტი (რაც, ექსპორტზე დამოკიდებული იაპონური ეკონომიკისთვის უცხოური ვალუტის მთავარი წყარო იყო). იმავე პერიოდში, ამერიკული ბანკებიდან იაპონიაში ამ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების 40 პროცენტი შევიდა. ამ სავაჭრო და ფინანსურმა კავშირებმა, რასაც 1922 წელს დადებული სამხედრო-საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებები ამყარებდა, ტოკიოსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას შეუწყო ხელი, რაც, თავის მხრივ, დასავლეთ წყნარ ოკეანეში სტაბილურობის დამყარებას უქმნიდა საფუძველს.

თუმცა, საბოლოო ჯამში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები და მრავალმხრივი უსაფრთხოების სტრუქტურა დამოკიდებული იყო იაპონიის მიერ თავისი ეროვნული ინტერესების მშვიდობიანი გზებით, ანუ დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობით და არა სამხედრო მეტოქეობით, განხორციელების სურვილზე. ვაშინგტონის

„ხუთმხრივი ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შეზღუდვებით დადასტურდა იაპონიის საზღვაო უპირატესობა თავის გეოგრაფიულ არეალში. სინგაპურსა და პერლ ჰარბორს შორის დამატებითი სამხედრო სიმაგრეების აშენებაზე უარის თქმით, შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, ჩინეთის კონტინენტურ ნაწილზე ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის მომავალი აგრესიის შეკავების კუთხით, თავი მნიშვნელოვნად შეიზღუდეს. შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ტერიტორიები კიდევ უფრო დაუცველი გახდა მას შემდეგ, რაც საჰაერო ძალები სამხედრო-საზღვაო მოქმედებებში გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. ვაშინგტონის საზღვაო კონფერენციის გახსნამდე ოთხი თვით ადრე, შეერთებული შტატების არმიის საჰაერო ძალებმა, ექსპერიმენტის სახით, ვირჯინიის კონცხთან ახლოს უკვე შეპყრობილი გერმანული სამხედრო გემი ჩაძირეს. ლონისძიებას, რომელსაც უცხოელი (მათ შორის იაპონელი) დამკვირვებლებიც ესწრებოდნენ, უნდა ეჩვენებინა, რომ თავისუფალი ვარდნის ბომბებს მძიმეჯავშნიანი ხომალდის ჩაძირვა შეეძლოთ. სტრატეგიული კუთხით, ეს ნიშნავდა, რომ დიდ გემებს აღარ შეეძლოთ უსაფრთხოდ ეცურათ ხმელეთზე განლაგებული მტრის საჰაერო ხომალდის ან ავიამზიდის წვდომის არეალში. შორს დარჩა ეპოქა, როდესაც სამხედრო გემებს შეუფერხებლად შეეძლოთ გადაესერათ ოკეანეები და ნებისმიერი ადგილას განებორციელებიათ სამხედრო ინტერვენცია. ამიტომ, სამხედრო ხომალდების კუთხით ანგლოამერიკული უპირატესობა, რასაც იაპონია ვაშინგტონის კონფერენციაზე დასთანხმდა, მოჩვენებითი იყო. დიადი სამხედრო ფლოტი, რომელიც პერლ ჰარბორიდან დასავლეთისკენ დაიძვრებოდა ფილიპინების გასათავისუფლებლად და იაპონიის კუნძულების ბლოკადაში მოსაქცევად, რაც ოციანი წლების დასაწყისიდან საფუძვლად ედო ამერიკის საზღვაო სტრატეგიას, ასევე აღარ იყო რეალისტური პერსპექტივა. იაპონიამ ხელში ჩაიგდო მთელი რიგი პოტენციური საჰაერო ბაზები ყოფილ გერმანულ კუნძულებზე, რომლებიც, ფილიპინებიდან ჰავაიმდე, დასავლეთ წყნარ ოკეანეში მდებარეობდნენ. ამ უსაფრთხო ბაზებიდან, ან მშენებლობის პროცესში მყოფი ავიამზიდებიდან, იაპონურ ბომბდამშენებს თეორიულად შეეძლოთ დაებლოკათ ამერიკული გემები დასავლეთ წყნარი ოკეანის პერიმეტრზე და ჰავაიზე განლაგებული მთავარი ამერიკული სამხედრო ბაზისგან ფილიპინების იზოლირება მოეხდინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ძალთა ეს სტრატეგიული დისბალანსი დასავლეთ წყნარ ოკეანეში ამერიკელი სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობის მხრიდან მუდმივი უკმაყოფილების საგანი იყო, ეს ვაშინგტონში პოლიტიკოსების დიდ შემფოთებას არ იწვევდა. ოციან წლებში ევროპულ და ლათინურამერიკულ პრობლემებზე ყურადღების გადატანამ აზიასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დაუდევარი დამოკიდებულება გამოიწვია. იაპონიაში ამერიკის

სავაჭრო კავშირები და ინვესტიციები ღრმავდებოდა, ხოლო თავად იაპონია განაგრძობდა მიცემული პირობების შესრულებას, რომლის თანახმად ის არ გამოიყენებდა გეოგრაფიული სიახლოვისა და სამხედრო-საზღვაო სფეროში ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგად მიღებულ უპირატესობას და არ დაარღვევდა ძალთა ნონასწორობას რეგიონში. მეორე მხრივ, უცვლელი რჩებოდა იაპონური ექსპანსიონიზმის დემოგრაფიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური მიზეზები, რომელიც წარსულში მის საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურიზმს დაედო საფუძვლად. სწრაფად მზარდი მოსახლეობის, აგრარული ან საცხოვრებელი დანიშნულების ტერიტორიის სიმცირე და ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეული საწვავის ნაკლებობა, ტოკიოში იაპონიის ეკონომიკური ზრდისათვის გადაულახავ წინააღმდეგობებად აღიქმებოდა. თუკი ქვეყნის მმართველი ელიტა ამ დაბრკოლებიდან გამოსავალს დროულად არ მონახავდა, იაპონიას ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება და სტაგნაციისა და ეკონომიკური ვარდნისათვის დამახასიათებელი სოციალური არეულობები და პოლიტიკური არასტაბილურობა ემუქრებოდა.

დიღემიდან გამოსავალი, რომელსაც იაპონიის მთავრობამ ოციან წლებში მიაგნო, წააგავდა გზას, რომელსაც წინა საუკუნეში კიდევ ერთი კუნძულის-სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი – დაადგა, როდესაც ის, იაპონიის მსგავსად, ჭარბი მოსახლეობისა და რესურსების სიმცირის პრობლემის წინაშე იდგა. ეს გამოსავალი კი გულისხმობდა: 1) ემიგრაციის ხელშეწყობას მინის, სურსათისა და ბუნებრივი რესურსების სიმცირის პრობლემის გადასაჭრელად, 2) წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას ძირითადი ნედლეული რესურსებისა და სურსათის იმპორტის დასაფინანსებლად, 3) პოლიტიკურ მოლაპარაკებებს სხვა დიდ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ეკონომიკური ექსპანსიის პოლიტიკის წინააღმდეგობის გარეშე განხორციელებისათვის. იმპერატორ ტაისოს პერიოდში – ბანკირების, მრეწველებისა და საჯარო მოხელეების პროგრესული კოალიციის დემოკრატიულმა მმართველობამ წარმატებით შეუთავსა სოციალური და პოლიტიკური რეფორმების პროგრამა სხვა დიდი სახელმწიფოების მიმართ შემრიგებლურ საგარეო პოლიტიკას და სამხედრო ხარჯების მკვეთრ შემცირებას.

ემიგრაციისა და სავაჭრო ბარიერები

ზომიერი პოლიტიკისაკენ ამ შემობრუნებას არასოდეს მიუღია იაპონიის ძლიერი სამხედრო, საზღვაო და ბიუროკრატიული ელიტების მხარდაჭერა, რომლებიც უახლოეს წარსულში ამ ქვეყნის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ედგნენ სათავეში. ვაიმარის რესპუბლიკაში მათი თანამოაზრეების მსგავსად, ძველი წესრიგის ეს დამცველები შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის რეფორმების პროგრამასა და სხვა დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმებებზე ორიენტირებულ საგარეო პოლიტიკას. ისინი კვლავ ოცნე-

ბობდნენ ავტორიტარული იაპონიის დომინირების ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ აზიაზე, რომელიც თავისუფალი იქნებოდა დასავლეთის გავლენისაგან. მათ პოზიციას ამყარებდა ოციან წლებში მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიც, რამაც თანდათანობით შეურყია საფუძველი დასავლეთის სახელმწიფოებთან თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პოლიტიკას და საშუალება მისცა მთავრობის სამხედრო მონინაალმდეგებს, რომ მოსახლეობაში ამ პოლიტიკის სანინაალმდეგო განწყობის მობილიზება მოეხდინათ. პირველი ასეთი მოვლენა ინგლისურენოვანი სახელმწიფოების მიერ იაპონურ იმიგრაციაზე საკანონმდებლო შეზღუდვების დანესება იყო. აზიური იმიგრაციისადმი გაჩენილმა წინააღმდეგობამ შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, რამაც ახალი საუკუნის დასაწყისში იჩინა თავი, მკვეთრად შეზღუდა იაპონიის მოქალაქეების შესაძლებლობა, საცხოვრებლად წყნარი ოკეანის მიმდებარე, ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში გადასულიყვნენ. 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე იაპონიის დელეგაციამ ერთა ლიგის წესდებაში ცვლილების შეტანა მოითხოვა, რომელიც მსოფლიოში ყველა რასის თანაბარ სტატუსს დაადასტურებდა. ამ, ერთი შეხედვით, უწყინარმა შესწორებამ ერთა ლიგის კომისიაში, რომელიც წესდებაზე მუშაობდა, ხმების დიდი უმრავლესობა მიიღო. მაგრამ კომისიის თავმდგომარე – პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა არ მიიღო ხმის მიცემის ეს შედეგი ბრიტანეთის იმპერიის თეთრკანიანი დომინიონების – კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის ლიდერებისა და, ასევე, ამერიკის დასავლეთ სანაპიროს სტატების საკანონმდებლო წარმომადგენლების, განსაკუთრებით, კალიფორნიის წარმომადგენლის – წინააღმდეგობის გათვალისწინებით. ეს დელეგატები შიშობდნენ, რომ, შესწორების მიღების შემთხვევაში, იაპონია შეძლებდა სამართლებრივად მოეთხოვა საიმიგრაციო შეზღუდვების გაუქმება ამ ქვეყნებში, რომლებიც „ყვითელი საფრთხის“ შიშით იყვნენ შეპყრობილი. 1924 წელს ამერიკის კონგრესი იმდენად შორს წავიდა, რომ მიიღო კანონი, რომლის თანახმად იაპონელ იმიგრანტებს უფლება არ ჰქონდათ გამხდარიყვნენ აშშ-ის მოქალაქეები და რომელმაც საერთოდ აკრძალა იმიგრაცია იაპონიიდან და სხვა აზიური სახელმწიფოებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სადამსჯელო კანონის პრაქტიკული შედეგი მინიმალური იყო – მანამდე არსებული კვოტა წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ასეული იაპონელის იმიგრაციის საშუალებას იძლეოდა – მნიშვნელოვანი იყო მისი ემოციური გავლენა ამაყ იაპონელებზე. ეს კანონი არა მხოლოდ რასობრივი არასრულფასოვნების შესახებ ამერიკელთა ვარაუდზე მიუთითებდა, არამედ კანადისა და ავსტრალიის მიერ მსგავსი შეზღუდვების დანესების კონტექსტში, თეთრკანიანთა შეთქმულების არსებობასაც ვარაუდობდა იაპონიის წინააღმდეგ, რომელსაც არ ეძლეოდა საშუალება, მოსახლეობის სიჭარბით გამოწვეული პრობლემა ინგლისურენოვან, ნაკლებად მჭიდროდ

დასახლებულ ქვეყნებში ემიგრაციის გზით შეემსუბუქებინა. კორეის, ფორმოზასა (ტაივანის) და მანჯურიის სრულმასშტაბიანი კოლონიზაციის იმედი, რომელიც იაპონიას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ეს მეზობელი ტერიტორიები ომამდე მის პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტროლს დაექვემდებარნენ, ვერ გამართლდა. კორეის ანექსიის შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, იქ ნახევარ მილიონზე ნაკლები იაპონელი გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო ორასი ათასზე ნაკლები იაპონელი ემიგრანტი ფორმოზას ეწვია. მანჯურიაში განსაკუთრებული პრივილეგიების მიღებიდან ოც წელიწადში, იქ ორასორმოცდაათ ათასზე ნაკლები იაპონელი ჩასახლდა. ამ მეზობელ ტერიტორიებზე ჩასახლების სურვილის ნაკლებობას იაპონელებში ხშირად იქ უკვე არსებულ ჭარბ მოსახლეობასა და შეუფერებელ კლიმატურ პირობებს უკავშირებენ, მიუხედავად არაერთი სტიმულისა, რომელსაც ემიგრაციის მსურველებს მთავრობა სთავაზობდა. დასახლებული მიზეზებისა თუ ემიგრაციის მათ ხელთ არსებული ალტერნატივების მიუხედავად, ექსპანსიონიზმის მომხრე იაპონელმა რადიკალებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს: იაპონელებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ თეთრკანიანი, ინგლისურენოვანი ერების რასისტული პოლიტიკის გამო.

ჭარბი მოსახლეობის იმიგრაციაზე დაწესებული ბარიერების შემდეგ, ასევე ამოქმედდა შეზღუდვები იაპონიის ვაჭრობაზე ინგლისურენოვან სახელმწიფოებთან. სავაჭრო კავშირები შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან გაღრმავდა, ოცდაათიანი წლების დასაწყისში მკვეთრად შემცირდა – ეკონომიკური დეპრესიით დასუსტებულ ამერიკაში მსყიდველობითუნარიანობის უეცარი დაცემის გამო. 1930 წელს იაპონური ნედლი აბრეშუმის ფასი, წინა წელთან შედარებით, ოთხჯერ დაეცა, ხოლო აბრეშუმის ექსპორტი შეერთებულ შტატებში 40 პროცენტით შემცირდა, რასაც ამ ექსპორტზე კრიტიკულად დამოკიდებული უამრავი ფერმერის განადგურება მოჰყვა. შეერთებულ შტატებში მოთხოვნის დაცემით გამოწვეული იაპონური ექსპორტის უეცარ ვარდნას, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ამერიკული პროტექციონისტული პოლიტიკის გაძლიერებაც ართულებდა. შეერთებულ შტატებში ადგილობრივი ბაზრების მწარმოებლები და პროფკავშირული ორგანიზაციები ბოიკოტს უწყობდნენ იაპონიიდან შემოსულ საქონელს და, შიდაწარმოებისა და სამუშაო ადგილების დასაცავად, ლოზუნგით „იყიდე მხოლოდ ამერიკული“ კამპანიას აწარმოებდნენ. 1930 წლის ჰოული-სმუტის ტარიფმა იაპონურ პროდუქტებზე ფასი საშუალოდ 23 პროცენტით გაზარდა. 1930 წლის იანვარში ტოკიოს მთავრობა, მიმდინარე გაცვლის კურსით, ოქროს სტანდარტს დაუბრუნდა და ამით ვითარება კიდევ უფრო გაართულა. ეს ნაბიჯი მიმართული იყო იაპონიის ეკონომიკის უფრო ღრმა ინტეგრაციისაკენ საერთაშორისო ფულად სისტემაში, რომელშიც წამყვან როლს ოქროს სტანდარტით მოქმედი

სახელმწიფოები ასრულებდნენ. თუმცა, ამ დაგვიანებულმა ნაბიჯმა იენის სერიოზული გაძვირება გამოიწვია და, შესაბამისად, გაზარდა იაპონური ექსპორტის ფასიც სწორედ იმ მომენტში, როდესაც, მსყიდველობითუნარიანობის დაცემისა და პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის გამო, საგარეო ბაზრები ისედაც ძნელად მისაწვდომი ხდებოდა იაპონური ექსპორტისათვის. ამ ყველაფერს კი უმუშევრობის დონის გაზრდა, აგრარულ და სამრეწველო სფეროში დასაქმებული მშრომელების რეალური ხელფასის მკვეთრი დაცემა და იაპონიაში სოციალური არეულობების დაწყება მოჰყვა.

ჩინეთის ეკონომიკური ათვისება იაპონიის მიერ

წყნარი ოკეანის გადაღმა სახელმწიფოებთან ვაჭრობისა და ემიგრაციის შესაძლებლობების თანდათან გაუჩინარებასთან ერთად, იაპონიის საზოგადოების გარკვეულმა წრეებმა აზიის კონტინენტზე უზარმაზარ მეზობელთან ნეოკოლონიური ურთიერთობების დამყარების ძველი ოცნება გამოაღვიძეს. პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, იაპონიას არაჩვეულებრივი შანსი გაუჩნდა, ესარგებლა ჩინეთში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებებითა და ეკონომიკური გაჭირვებით და იქ თავისი კონტროლი დაემყარებინა. მიუხედავად იმისა, რომ, დასავლეთის სახელმწიფოების მცდელობების შედეგად, იაპონიამ „ღია კარის“ პოლიტიკა აღიარა, რომელიც ყველა ქვეყანას ჩინეთში ვაჭრობის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევდა, შესაბამის შეთანხმებას აღსრულების მექანიზმი არ გააჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იაპონიის მხრიდან ვაშინგტონის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებების დარღვევით ჩინეთზე ეკონომიკური კონტროლის დამყარება, სხვა დიდი სახელმწიფოების მხრიდან მხოლოდ სიტყვიერ პროტესტს თუ გამოიწვევდა.

ჩინეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება იაპონიის ინტერვენციის ღია მონვევას ჰგავდა. 1911-1912 წლების ჩინეთის რევოლუციამ ვერ შეძლო ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც ქვეყნის გაერთიანებასა და მისი უცხოური კონტროლისაგან გათავისუფლებას შეძლებდა. 1912 წლიდან ოცნანი წლების შუამდე, ჩინეთის ადმინისტრაციას რეგიონული სამხედრო მეთაურები ან პოლიტიკური ლიდერები ინანილებდნენ, რომელთა უმრავლესობა უმოქმედოდ იტანდა ეკონომიკური და სამართლებრივი პრივილეგიების დამამცირებელ სისტემას, რომლითაც იაპონური, ევროპული და ამერიკული სავაჭრო კომპანიები სარგებლობდნენ. მანჯურიას იაპონელებისადმი დავალებული ადგილობრივი მმართველი განაგებდა; დასავლეთის სახელმწიფოების მიერ ნომინალურ „მთავრობად“ აღიარებული პეკინის არაეფექტური რეჟიმი უძღური იყო, შეეჩერებინა უცხო სახელმწიფოების მიერ ჩინეთის სუვერენიტეტის შეზღუდვა და ადგილობრივი სამხედრო მეთაურების რეგიონული მმართველობა. ჩინეთის ეროვნული ერთობისა და სუვერენიტეტის ერთადერთი პო-

ტენციური შთაგონების წყარო სუნ იატსენი იყო – 1911 წლის რევოლუციის სულიერი ლიდერი, რომელმაც 1917 წელს გუანდუნში ალტერნატიული მთავრობა დააარსა. თუმცა, მის რეჟიმს არ გააჩნდა სამხედრო ძალა ადგილობრივი სამხედრო მეთაურების მოსათოკად და უცხოური სახელმწიფოების პატივისცემის მოსაპოვებლად.

ამ ცენტრიდანული ძალებით დასუსტებული ჩინეთი იაპონიის მზარდ ეკონომიკურ კონტროლს დამორჩილდა. ოციანი წლების განმავლობაში, იაპონური კაპიტალი ჩინეთში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების 90 პროცენტს შეადგენდა, იაპონიის ექსპორტის 25 პროცენტი კი სწორედ ჩინეთში შედიოდა. იაპონია სწრაფად ავითარებდა ისეთივე ნეოკოლონიურ ურთიერთობებს ჩინეთთან, როგორსაც შეერთებული შტატები ავითარებდა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და წარმოებულ საქონელსა და საინვესტიციო კაპიტალს ქვანახშირზე, რკინაზე, ბრინჯზე, სოიოზე და სხვა მინერალურ თუ აგრარულ რესურსებზე ცვლიდა. იაპონიის მიერ ჩინეთის ეკონომიკურ ათვისებას ხელს უწყობდა გასული საუკუნის დროინდელი სავაჭრო პრივილეგიების სისტემა. ჩინეთის სატარიფო ავტონომიაზე დანესებული შეზღუდვები კი ხელს უშლიდა იმპორტზე გადასახადების გაზრდას დასავლეთის დიდი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე. ექსტრატერიტორიულობის პრინციპი უცხოელ რეზიდენტებს ჩინეთის სამართლებრივი იურისდიქციისგან ათავისუფლებდა და უცხოურ სახელმწიფოებს საკუთარი ინფრასტრუქტურის შენარჩუნების უფლებას აძლევდა (მაგალითად: საფოსტო, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო მომსახურების). უცხო ქვეყნები ჩინეთის სუვერენიტეტზე ამ შეზღუდვებს იმით ამართლებდნენ, რომ ჩინეთის ქრონიკული პოლიტიკური არასტაბილურობა ხელს უშლიდა მას სუვერენული სახელმწიფოებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი სამართლებრივი კონტროლის განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოები და შეერთებული შტატები ასევე სარგებლობდნენ ამ პრივილეგიებით, ყველაზე დიდ ეკონომიკურ სარგებელს იაპონია ნახულობდა და, შესაბამისად, უცხოელთა კონტროლის გამო, ჩინეთის უკმაყოფილების მთავარ ობიექტად იქცა.

ნაციონალიზმის აღზევა ჩინეთში

დასავლეთის წრეები სატარიფო ავტონომიის აღდგენისა და ექსტრატერიტორიალობის გაუქმების მოთხოვნებს განუწყვეტილად უყურადღებოდ ტოვებდნენ. ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩინეთის ადმინისტრაციული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ გაკეთებული ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, არცერთი დიდი სახელმწიფო არ იყო მზად ჩინეთისთვის პოლიტიკური სუვერენიტეტის მინიჭებისათვის. შეერთებულ შტატებს მხოლოდ ჩინეთთან ვაჭრობაში ყველა ქვეყნისთვის

თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი აღეგნებდა და ჩინეთის სატარი-ფო და სამართლებრივი ავტონომიის აღდგენისადმი ინტერესს ნაკლებად ამყლავნებდა. ჩინეთის სუვერენული უფლებების აღიარებაზე ვაშინგტონის უარით აღშფოთებულმა სუნ იატსენმა დახმარებისათვის საბჭოთა კავშირს მიმართა, რომელიც არ იყო მიწვეული ვაშინგტონის კონფერენციაზე და რომელსაც უარი ჰქონდა ნათქვამი ცარისტული რეჟიმისგან მემკვიდრეობით მიღებულ, ჩინეთთან დაკავშირებულ ყველა სპეციალურ პრივილეგიაზე. გუანდუნის მთავრობის მიმართვა მოსკოვისადმი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების კუთხით ხელსაყრელ პერიოდს დაემთხვა. ევროპის ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში კომუნისტური რევოლუციის გავრცელების წარუმატებლობით გაკვირვებულმა და იმედგაცრუებულმა ლენინმა და მისმა მემკვიდრეებმა ყურადღება აზიის არაინდუსტრიალიზებული რეგიონებისკენ გადაიტანეს იმ იმედით, რომ მორჩილებაში მყოფი მასების ანტიიმპერიალისტური უკმაყოფილების ტალღას რუსეთის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. 1924 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის (კომინტერნის) რუსი წარმომადგენლები გუანდუნის პროვინციას ეწვივნენ სუნ იატსენის პოლიტიკური მოძრაობის – კომინტანის – დისციპლინირებულ რევოლუციურ ორგანიზაციად გარდასაქმნელად, რომელიც შეძლებდა სათავეში ჩასდგომოდა მასობრივ მოძრაობას, სამი წლით ადრე დაარსებულ ჩინეთის მცირერიცხოვან კომუნისტურ პარტიასთან ერთად. 1925 წელს სუნ იატსენის გარდაცვალების შემდეგ გუანდუნის ლიდერი გახდა ახალგაზრდა სამხედრო ოფიცერი ჩან კაი-ში, რომელიც საბჭოთა კავშირს ეწვია. ის დაახლოებული იყო კომინტერნის აგენტებთან ჩინეთში. ჩან კაი-შიმ დაუყოვნებლივ წამოიწყო კამპანია ქვეყნის გაერთიანებისათვის და უცხოელთა პრივილეგიებისგან მის გასათავისუფლებლად. მან კომინტანი ჩინეთის ეროვნულ მთავრობად გამოაცხადა და 1926 წლის 4 ივლისს ოფიციალურად დაიწყო ჩრდილოეთის სამხედრო ექსპედიცია რეგიონული სამხედრო ავტორიტეტების წინააღმდეგ, ქვეყნის ადმინისტრაციული გაერთიანებისა და უცხოური ინტერესების განმახორციელებელთა განსაღვენად ჩინეთიდან. იმავე წელს ხალხში გახშირებული ქსენოფობია უცხოელებსა და მათ საკუთრებაზე თავდასხმებში გადაიზარდა, რაც ეროვნული გაერთიანების ჩან კაი-შის დინამიკური პოლიტიკისადმი ფართო სახალხო მხარდაჭერას ადასტურებდა.

ჩინეთ-ამერიკის მეგობრობა და იაპონიის შეშფოთება

ჩან კაი-შის, მის ნაციონალურ კოალიციაში მყოფი კომუნისტებისგან განსხვავებით, სურდა ერთმანეთისგან განესხვავებინა უცხოური სახელმწიფოები, რომლებიც ჩინეთის სუვერენიტეტს ხელყოფდნენ. მან ორმხრივად მოლაპარაკების სურვილი გამოხატა თითოეულ იმ სახელმწიფოსთან,

რომელიც მზად იქნებოდა საძულველი პრივილეგიების თანდათან გაუქმებაზე. ჩინეთის მიმართ სახალხო და ოფიციალური დამოკიდებულებები შეერთებულ შტატებში, თანდათან, ჩინელების მძიმე მდგომარეობის მიმართ თანაგრძობაში გადაიზარდა. ამერიკის პოლიტიკაში ეს ახალი დასაწყისი საჯაროდ 1927 წლის 27 იანვარს დადასტურდა, როდესაც სახელმწიფო მდივანმა ფრენკ კელოგმა გამოსცა განცხადება, რომლის თანახმად, შეერთებულ შტატებს ჩინეთის ცენტრალური მთავრობისათვის სატარიფო ავტონომიის აღდგენა სურდა, რაც გამოიწვევდა ჩინელი ხალხის კეთილგანწყობას და დაცავდა ამერიკელების სიცოცხლესა და ინტერესებს ჩინეთში. ახალმა ჩინელმა ლიდერმა, გატარებული პოლიტიკისა და პირადი თვისებების გამო, ამერიკელი საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. 1927 წელს იგი თავის ძველ კომუნისტ მოკავშირეებს დაუპირისპირდა, კომინტერნის წარმომადგენლები ქვეყნიდან განდევნა, სასტიკად გაუსწორდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა კავშირს „ნითელი იმპერიალისტი“ უწოდა. წლის ბოლოს იგი დაქორწინდა უელსლის კოლეჯის კურსდამთავრებულ, მდიდარი შანხაელი ქრისტიანი ბიზნესმენის ქალიშვილზე, რომელმაც იგი ქრისტიანულ რელიგიაზე მოაქცია. 1928 წლის ივლისში კომინტანის სამხედრო ძალებმა წარმატებით დაასრულეს ჩრდილოეთის სამხედრო ექსპედიცია, დაიკავეს პეკინი და მთელი ჩინეთი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს. ამასობაში, ნაციონალისტურმა მთავრობამ ტოკიოს უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია, როდესაც მანჯურიაში რკინიგზის მშენებლობის დაწყების შესახებ განაცხადა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა არსებული იაპონური რკინიგზის ხაზს, ნააქეზებდა ათასობით ჩინელის ემიგრაციას ამ ჩრდილოაღმოსავლურ პროვინციაში და საფრთხეს შეუქმნიდა იქ იაპონიის ინტერესებს. მალე იაპონური წარმოების საქონელს ბოიკოტიც გამოუცხადეს და 1928 წლის 29 დეკემბერს მანჯურია ფორმალურად დაუბრუნდა ჩინეთს.

ამ ნაციონალისტურმა აღორძინებამ შეერთებული შტატების მხრიდან ჩინეთის მიმართ პატერნალისტური დამოკიდებულების შეცვლის პროცესი დააჩქარა. ნაციონალისტური რეჟიმის სამხედრო წარმატებები, ადმინისტრაციული რეფორმები და ანტიკომუნისტური პოლიტიკური ორიენტაცია მიმზიდველი იყო ამერიკული საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც სულმთუთქმელად ელოდა სტაბილურ, პროდასავლურ, ქრისტიანულ ჩინეთს, რომელიც ღია იქნებოდა ამერიკასთან ვაჭრობისა და მისი ინვესტიციებისთვის. ამ შეცვლილი ვითარების აღსანიშნავად, შეერთებულმა შტატებმა 1928 წლის 25 ივლისს ცალმხრივად მიანიჭა ჩინეთს სატარიფო ავტონომია ორმხრივი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის სანაცვლოდ, რითაც გაუქმდა ერთ-ერთი ყველაზე დამამცირებელი ეკონომიკური პრივილეგია, რომელიც იმპერიული ექსპანსიონიზმის ეპოქის დაუძღურებულ ჩინეთში მოქმედებდა. ამერიკელმა ბიზნესხელმძღვანელებმა და ბანკირებმა კვლავ დაიწყეს ფიქრი ვაჭრობისა და ინვესტიციების იმ პოტენციურ სარგებელზე, რომელსაც პოლიტიკურად

გაერთიანებული და შიდა არასტაბილურობისგან ენერგიული ნაციონალური მთავრობის მიერ დაცული ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია იძლეოდა.

ჩინეთ-ამერიკის მეგობრობის აღორძინებამ, ჩინეთში უცხოელების პრივილეგიათა სისტემის ნგრევის გარდაუვალობამ და მანჯურიასში იაპონელების ინტერესების წინაშე მდგარმა გამოწვევებმა, ტოკიოში ექსპანსიონისტური იდეები გააღვივეს. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ იაპონიის პრივილეგირებულ მდგომარეობას ჩინეთში ახლად აღორძინებული ჩინური ნაციონალიზმი ემუქრებოდა, რომელსაც მხარს უჭერდა და აქეზებდა შეერთებული შტატები. ამ უკანასკნელს კი, კომინტანის ნაციონალისტურ მთავრობასთან დაახლოების შედეგად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება შეეძლო იაპონიის ინტერესების საზიანოდ. მართლაც, 1929-1931 წლებში ჩინეთში იაპონიის ექსპორტი განახევრდა, ხოლო იმავე წელს შეერთებულმა შტატებმა, როგორც ჩინეთში უცხოური პროდუქციის მთავარმა მიმწოდებელმა, იაპონია ჩაანაცვლა. აზიაში იაპონიის საექსპორტო ვაჭრობის ჩაეარდნამ, ამერიკასა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობების ზემოაღნიშნულ მკვეთრ შემცირებასთან ერთად, იაპონელი ვაჭრების, ბანკირებისა და სამთავრობო ოფიციალური პირების დიდი შემფოთება გამოიწვია. მათი მთავარი საფიქრალი დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტის დაკარგვა იყო, რომლითაც ისინი ჩინეთისგან და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუნძულებისგან ქვანახშირს, რკინას, კაუჩუკს, ბრინჯსა და სოიოს ყიდულობდნენ, რაზეც იაპონია სასიცოცხლოდ იყო დამოკიდებული. მსოფლიო ეკონომიკური დეპრესიის გაღრმავებამ შეერთებულ შტატებს და ევროპის ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოებს შიდა ბაზრების საგარეო კონკურენციისაგან დაცვისკენ უბიძგა, ხოლო ევროპული სახელმწიფოების აფრიკული და აზიური კოლონიები იაპონური ვაჭრობისათვის თანდათან მიუწვდომელი ხდებოდა. შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ტერიტორიებით, ხოლო დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაშლილი იმპერიებით, სხვადასხვა ნედლეული მასალებით იყვნენ მდიდრები და საკმარისად დიდ ბაზრებს ფლობდნენ შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარებიდან სამშვიდობოს გასასვლელად. მეორე მხრივ, იაპონია იზოლირებულ და ეკონომიკურად დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან არც საკმარისი სიდიდის ბაზარი და არც საკმარისი რაოდენობის რესურსები გააჩნდა იმ ვითარებაში, როდესაც მთელს მსოფლიოში დახურული ეკონომიკური ბლოკები ყალიბდებოდა.

ეკონომიკური სიძნეელების გარდა, იაპონიას სულ უფრო მეტად აშფოთებდა უსაფრთხოების ინტერესების დაცვის პრობლემა დასავლეთ წყნარ ოკეანეში. 1930 წლის ლონდონის კონფერენციაზე, რომლის მიზანი იმ კატეგორიის გემების სამხედრო-საზღვაო შეიარაღების შემცირება იყო, რომელსაც არ ფარავდა „ხუთმხრივი ხელშეკრულება“ – საესკადრო ნაღმოსნები, კრეისერები და წყალქვეშა ნავები – იაპონიის დელეგაცია დაარწმუნეს,

დასთანხმებოდა კომპრომისულ შეთანხმებას, რომელიც იაპონიის საზღვაო წრეების მიერ რეგიონში იაპონიის საზღვაო უპირატესობის სერიოზულ საფრთხედ აღიქმებოდა. იაპონიის პატრიოტულმა ორგანიზაციებმა დაგმეს ეს შეთანხმება, როგორც ქვეყნის „მიყიდვა“ დასაველეთის სახელმწიფოებისთვის, და მთელი ქვეყნის მასშტაბით წამოიწიეს ანტისამთავრობო კამპანია ქვეყნის უსაფრთხოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების გამო. სამოქალაქო მთავრობის მონინაალმდეგეებმა სამხედრო და საზღვაო წრეებიდან, ეფექტურად ისარგებლეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დაცემული ფასებითა და ქალაქებში არსებული უმუშევრობით გამონეული უკმაყოფილებით. ოცდაათიანი წლების დასაწყისში მალალი რანგის სამხედრო და საზღვაო ოფიცრები ავისმომასწავებლად აღიქვამდნენ კავშირს იაპონიის წინაშე მდგარ ეკონომიკურ და უსაფრთხოების პრობლემებს შორის. ბევრი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიო ომი გარდაუვალი იყო არცთუ ისე შორეულ მომავალში. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ იაპონიის უსაფრთხოების დაცვის ერთადერთი იმედი საგარეო ექსპანსიის პროგრამის ირგვლივ ნაციონალური კონსენსუსის მიღწევა იყო, რაც ამ ქვეყანას აღმოსავლეთ აზიაში ტოკიოდან კონტროლირებადი თვითკმარი, სტრატეგიულ-ეკონომიკური ბლოკის შექმნის საშუალებას მისცემდა. მოკლედ, ქვეყნის საზღვაო, სამხედრო და ნაციონალისტურად განწყობილ წრეებს მიაჩნდათ, რომ იაპონიის ომისშემდგომი სამოქალაქო ხელმძღვანელობის შემრიგებლურ, პროდასავლურ ორიენტაციას იაპონია ნაციონალური თვითმკვლელობისა და ეკონომიკური განადგურებისაკენ მიჰყავდა.

სამხედრო ექსპანსიის პერიოდი (1931-1941)

დემოკრატიის დასასრული და მანჯურიის დაპყრობა

იაპონიის დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების დანგრევა და იმპერატორ ტაიშოს პერიოდის ზომიერ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმა ერთ დღეში არ მომხდარა; ადგილი არ ჰქონია „რომში შესვლას“ ან „ხანძარს რაიხსტაგში“, როდესაც იაპონიის ანტიდემოკრატიული ძალები ერთი ხელის მოსმით დაამხოდნენ დემოკრატიულ რეჟიმს. 1931-დან 1936 წლამდე იაპონიის პოლიტიკური სისტემის დასავლური ტიპის საპარლამენტო სისტემიდან სამხედრო დიქტატურად ტრანსფორმაცია თითქმის შეუმჩნეველად მოხდა. იაპონური დემოკრატიის წარუმატებლობისათვის არაერთი შიდასახელმწიფოებრივი მიზეზი არსებობდა ეკონომიკური დეპრესიით გამონეული სოციალური დაძაბულობისა და ეკონომიკური გაჭირვების ფონზე. გლეხობის სავალალო მდგომარეობა განსაკუთრებით მგრძნობიარეს ხდიდა მათ იმ პოლიტიკური დაჯგუფებების დემაგოგიური მონოდეტებისადმი, რომლებიც მათ ღრმა სასოფლო-სამეურნეო კრიზისიდან გამოსავალს

სთავაზობდნენ. მილიტარისტული მოძრაობის პროგრამის არსი საგარეო პოლიტიკის საკითხებს უკავშირდებოდა, რადგან ისინი გარე სამყაროს მიიჩნევდნენ როგორც მზარდი ეკონომიკური პრობლემების სათავედ, ასევე გამოსავლის ყველაზე რეალურ წყაროდაც. მთავრობის სუსტმა და არამყარმა პოლიტიკამ იმპერია შექმნილ სახიფათო მდგომარეობამდე მიიყვანა. ეროვნულ აღორძინებასა და ეკონომიკურ განვითარებას შინ – იაპონელი ხალხის სიამაყის დაბრუნებაში ეძიებდნენ, ხოლო, საზღვრებს გარეთ – ძალის დემონსტრირებაში.

იაპონიაში არსებული პოლიტიკური წესრიგის წინააღმდეგ ამბოხებას სათავეში ედგა კონსპირაციული დაჯგუფება არმიის ოფიცერთა კორპუსში, რომელსაც „იმპერატორის გზის“ ფრაქცია ეწოდებოდა (იმპერატორის თაყვანისცემის პრინციპის გამო). დაჯგუფება, ძირითადად, მანჯურიაში დისლოცირებული ახალგაზრდა ოფიცრებისგან (იაპონიაში მათი მომხრეებისა და თანამოაზრეებისგან) შედგებოდა, რომლებიც იაპონიის კუთვნილ „სამხრეთ მანჯურიის რკინიგზას“ იცავდნენ. ეს ფრაქცია უცხო ქვეყნების დაპყრობას სულიერი განახლების ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევდა და იდეოლოგიური ფანატიზმით გამოირჩეოდა იაპონიაში, რომელიც, ერთი მხრივ, გაერყვნა დასავლეთის კულტურულ და სოციალურ გაუღენას და, ამავე დროს, დასავლეთის სამხედრო-საზღვაო საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. იაპონური საზოგადოების განწმენდისა და ეროვნული დიდების დაბრუნების იდეით გულანთებულნი, „იმპერატორის გზის“ ახალგაზრდა ფანატიკოსებმა რამდენიმეჯერ მიიტანეს იეროში იაპონიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და მათ საგარეო პოლიტიკაზე, რამაც იაპონიის საპარლამენტო რეჟიმის დაცემასა და შემრიგებლური საგარეო პოლიტიკის დასასრულს გაუხსნა გზა.

არსებული პოლიტიკური ელიტის პირველ გამონევეას 1931 წლის 18 სექტემბერს ჰქონდა ადგილი, როდესაც მანჯურიაში მომსახურე საშუალო რანგის ოფიცრებმა „სამხრეთ მანჯურიის რკინიგზის“ ნაწილი ააფეთქეს, რაც ჩინელ ტერორისტებს დააბრალეს და ეს აფეთქება ჩინეთის ამ პროვინციის დარჩენილი ნაწილის ოკუპაციის საბაბად გამოიყენეს. ეს შეთქმულება, რომელიც ტოკიოში სამხედრო სამინისტროში მყოფ თანამოაზრეებთან შეთანხმებით განხორციელდა, ჩან კაი-შის მთავრობის მიერ მანჯურიის დასაბრუნებლად გადადგმულ ნაბიჯებზე პასუხს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი, ბიზნესნრეები და მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები ჩინეთთან ურთიერთობებში სიფრთხილისა და თავშეკავების პოლიტიკის ქადაგებას განაგრძობდნენ, არმიის დამოუკიდებელი ქმედებების მიმართ საზოგადოების დიდმა მხარდაჭერამ პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიძულა, სამხედროების ძალისხმევით დამდგარი ახალი რეალობა მიეღო. 1932 წლის მარტში „მანჯურიის დამოუკიდებლობის მოძრაობამ“, რომელსაც იაპონიის საოკუპაციო ჯარი აფინანსებდა და აკონ-

ტროლებდა, მანჯუკუოს სუვერენული სახელმწიფო გამოაცხადა, რომელიც გამოეყო ჩინეთს და იაპონიის სამხედრო მფარველობის ქვეშ მოექცა. მანჯურიის ეს, ფაქტობრივად, უსისხლო დამორჩილება, რეგიონისა, რომლის ტერიტორია იაპონიისას აღემატებოდა და რომელსაც 30-მილიონიანი მოსახლეობა და ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო და მინერალური რესურსები ჰქონდა, იაპონიის საშინაო პოლიტიკაზე ღრმა გავლენას ახდენდა. ეიფორიის ტალღამ, რომელმაც მთელ ქვეყანას გადაუარა, დაადასტურა სამხედრო წრეების უპირატესობა ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში და არჩეული მთავრობა სამხედროებს დაუქვემდებარა, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის სფეროში.

კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის ამ აღმაშფოთებელი ხელყოფისადმი, დასავლეთის სახელმწიფოებს მორიდებული და არადამაჯერებელი რეაქცია ჰქონდათ. ამერიკის პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი უარყოფითად უყურებდა იაპონიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებას, რადგან შიშობდა, რომ ასეთი პოლიტიკა ომის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო (ამ მოსაზრებას ამერიკელი ხალხის უმრავლესობაც იზიარებდა). სანაცვლოდ, სახელმწიფო მდივანმა ჰენრი სტიმსონმა 1932 წლის 7 იანვარს ვერბალური ნოტა გააგზავნა ტოკიოში, რომელშიც ამერიკული მთავრობის პოზიცია იყო გამოხატული, რომლის თანახმად, ის არ აღიარებდა არცერთ „შეთანხმებასა თუ ხელშეკრულებას“, რომელიც კელოგ-ბრიანის პაქტის სულისკვეთების სანინააღმდეგო საშუალებებით იყო მიღწეული. არაღიარების დოქტრინა ჰუვერის ადმინისტრაციას, ეკონომიკური სანქციების დაკისრების რისკის გარეშე, საერთაშორისო სამართლის ხელშეუხებლობის დაცვის საშუალებას აძლევდა. ამერიკის ამ ფრთხილ მიდგომას რამდენიმე მოსაზრება განაპირობებდა. პირველ რიგში, ჩრდილოეთ ჩინეთში შეერთებულ შტატებს მინიმალური ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა; ამ ინტერესებს არასაკმარისი მნიშვნელობა გააჩნდა იაპონიის წინააღმდეგ საპასუხო ზომების მისაღებად, რასაც, შესაძლოა, დიპლომატიური ან სამხედრო დაპირისპირებაც კი გამოეწვია. გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამერიკულ სავაჭრო და ფინანსურ წრეებს ოციან წლებში იაპონიის ეკონომიკაში არსებითი ინტერესები ჩამოუყალიბდათ; გასაგები მიზეზების გამო, მათ არ სურდათ რისკის ქვეშ დაეყენებინათ არსებული სავაჭრო და საინვესტიციო ინტერესები, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ მხრივ არსებულ სამომავლო შესაძლებლობებზე და, შესაბამისად, დაუყოვნებლივ აცნობეს საკუთარი მოსაზრებები ამერიკის მთავრობას. დაბოლოს, ვაშინგტონისა და ლონდონის კონფერენციებით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერებაზე კონგრესის უარმა, შეერთებული შტატები დასავლეთ წყნარ ოკეანეში დამაჯერებელი შემაკავებელი ძალის გარეშე დატოვა, რომელიც ზურგს გაუმაგრებდა უფრო ძლიერ დიპლომატიურ რეაქციას იაპონიის ქმედებების მიმართ.

ფრანკლინ რუზველტმა, 1933 წელს მისი პრეზიდენტად ინაუგურაციის შემდეგ, ჰუვერის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ფრთხილი პოლიტიკა უცვლელი დატოვა. „ახალი კურსით“ გათვალისწინებულ ეკონომიკური აღორძინების ამბიციურ პროგრამას ახალი ადმინისტრაციის მთელი ყურადღება და ენერგია მიჰქონდა და საგარეო პოლიტიკის გაბედული ინიციატივებისთვის დროს აღარ ტოვებდა. ამას გარდა, ნაცისტური გერმანიის აღზევების გამო, აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის ექსპანსია მსოფლიოს ყურადღების მიღმა რჩებოდა. შესაბამისად, აღარავის უცდია, დაეზუსტებინა ჭორები იაპონიის მიერ წყნარ ოკეანეში ერთა ლიგის მანდატის ქვეშ მყოფი კუნძულების გასაიდუმლოებული სამხედრო გაძლიერების შესახებ, რაც „ხუთმხრივ ხელშეკრულებას“ არღვევდა. სახელმწიფო დეპარტამენტი კვლავ იტყობინებოდა კომინტანის კონტროლის ქვეშ მყოფ ჩინეთის ნაწილთან ვაჭრობისა და ინვესტიციების მიზანშეუწონლობის შესახებ. იაპონიაში ამერიკული სტრატეგიული მასალების ექსპორტი კი ოცდაათიანი წლების განმავლობაში შეუცვლელი რჩებოდა.

დიდი ბრიტანეთი კიდევ უფრო ნაკლებად გამოხატავდა მისი ეროვნული ინტერესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის არმქონე რეგიონში იაპონიის ექსპანსიისთვის ხელის შეშლის შედეგად ამ ქვეყანასთან დაპირისპირების სურვილს. ლონდონის ზოგიერთი ოფიციალური წარმომადგენელი მიესალმებოდა კიდევ ტოკიოს მზარდ სამხედრო აქტივობას ჩინეთის ჩრდილოეთში იაპონიის ყურადღების გადასატანად აღმოსავლეთ აზიიდან – ჰონგ-კონგიდან სამხრეთით სინგაპურამდე, – რომელიც ბრიტანეთისთვის დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი იყო. მანჯურიასთან დაკავშირებული მთელი ეპიზოდის განმავლობაში, დიდი ბრიტანეთი აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ანგლოიაპონური სავაჭრო და სტრატეგიული ინტერესების სფეროებად დაყოფის ორმხრივად დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მიღწევას ცდილობდა. ბრიტანელი ლორდ ლიტონის თავმჯდომარეობით, ერთა ლიგის კომისიის მიერ იაპონური აგრესიის უწყინარი დაგმობა სწორედ იაპონიის დამშვიდებისაკენ იყო მიმართული. ლიტონის კომისიის ანგარიშის საფუძველზე მიღებული ერთა ლიგის „სანქციები“ იაპონიის წინააღმდეგ სიმბოლური ჟესტებით შემოიფარგლებოდა: კერძოდ, ერთა ლიგამ უარი განაცხადა იაპონელების დასმული მანჯუკუოს მარიონეტული რეჟიმის პასპორტებისა და საფოსტო გზავნილების აღიარებაზე.

სამხედრო კონტროლის დამყარება

მალე ნათელი გახდა, რომ იაპონელების წყურვილი სამხედრო ინტერვენციებისადმი მხოლოდ მანჯურიის დე ფაქტო მიერთებით არ დაკმაყოფილდებოდა. ევროპის ბევრ სახელმწიფოში საპარლამენტო დემოკრატიის კრაზმა და ეკონომიკური დეპრესიის გაღრმავებამ საფუძველი გამოაცალა იაპონიის

მმართველი ელიტის იმ ნაწილს, რომელიც იაპონიაში დასავლური ტიპის პოლიტიკური და ეკონომიკური პრაქტიკის დანერგვას და, საერთაშორისო სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლის მიზნით, დასავლეთის სახელმწიფოებთან თანამშრომლობას ცდილობდა. მათ ადგილას დანიშნულა არმიის ახალგაზრდა დინამიკური ფრაქცია – „იმპერიის გზა“, – რომელმაც მანჯურიის თვალისმომჭრელად წარმატებული სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. პოლიტიკური პარტიებისა და პარლამენტის როლი თანდათანობით დასუსტდა. რეალური ხელისუფლება გადავიდა რამდენიმე მინისტრის ხელში, რომლებიც სამხედროების წინაშე იყვნენ ვალდებული. არმიისა და საზღვაო ოფიცრების მზარდი რაოდენობა თანდათან მკვიდრდებოდა საჯარო სამსახურის მაღალ და საშუალო ეშელონებში, სადაც ისინი თავისუფლად ახორციელებდნენ ზენოლას ძველი მთავრობის დარჩენილ წარმომადგენლებზე, რათა მათი საშინაო პოლიტიკა უფრო ავტორიტარული, ხოლო საგარეო პოლიტიკა უფრო აგრესიული გამხდარიყო. ქვეყნის შიგნით რეპრესიებმა იმატა. მემარცხენე პოლიტიკოსები და პროფკავშირების ლიდერები ციხეებში გამოამწყვდიეს, გაზეთები ცენზურის ქვეშ მოაქციეს, დასავლეთის გავლენა იაპონიის კულტურაზე კი ნაციონალიზმის მეხოტბეების მხრიდან მძლავრი თავდასხმის ობიექტი გახდა.

თუმცა, „იმპერიული გზის“ ფანატიკოსი ახალგაზრდა ოფიცრები არ აღმოჩნდნენ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც იაპონიის პოლიტიკური ტრანსფორმაციით უნდა ესარგებლა. ინდუსტრიალიზებული დასავლეთის სიბინძურით შეუბღალავი, განწმენდილი იაპონური საზოგადოებისკენ მათი რომანტიკული ლტოლვა ამკარად აღარ შეეფერებოდა იმ დაპყრობით ომს, რომლის წამოწყებას, ოცდაათიანი წლების შუაში, იაპონიის მმართველი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა მხარს. იაპონიის სამხედრო ისტებლიშმენტის უფრო პრაგმატული და პრაქტიკული ნაწილი ხედავდა, რომ დიდი ხნის გასული იყო დრო, როდესაც მხოლოდ სულიერი ღირსებებით ომების მოგება შეიძლებოდა. მხოლოდ ამ ფასეულობების ამარა ვერც ეკონომიკური ზრდა მიიღწეოდა, რომელზეც თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო წარმატება იყო დამოკიდებული. არმიის ლიდერებს შორის მოდერნიზაციის ყველაზე კონსერვატიული მომხრეები, სამხედრო დიდებისადმი მათი ერთგულების მიუხედავად, აცნობიერებდნენ, რომ ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე შესაფერის იარაღს დისციპლინა, ორგანიზაცია და ტექნოლოგიური ინოვაცია წარმოადგენდა. ამიტომ, უფრო ხნიერი და მონიფული ოფიცრებისგან შემდგარმა „კონტროლის ფრაქციამ“ გადაწყვიტა მათი ახალგაზრდა, მგზნებარე კოლეგების ენერჯის მოთოკვა და მისი გარდაქმნა მიზნის მიღწევისთვის უფრო ეფექტურ საშუალებებად. „იმპერიული გზის“ რადიკალი მებრძოლების პროგრამის თავიდან მოშორებისათვის ხელსაყრელი შემთხვევა 1936 წლის თებერვალს გაჩნდა, როდესაც ათას ხუთასმა ახალგაზრდა ოფიცრმა

და ჯარისკაცმა სამთავრობო შენობები დაიკავა და სიცოცხლეს გამოასალმა არსებული და ყოფილი მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი და მაღალი რანგის გენერალი, რის შემდეგაც ისინი არმიის ლოიალურმა წარმომადგენლებმა შეიპყრეს. ამ შემდეგარ პუტჩს არმიის მოდერნიზატორი მეთაურობის რეაქცია მოჰყვა, რამაც არმიაში დისციპლინის დამყარება დააჩქარა და „იმპერიული გზის“ მოძრაობის ჩახშობა გამოიწვია.

ახალგაზრდა ოფიცრების რადიკალიზმთან ბრძოლის მიუხედავად, არმიაში მოდერნიზაციის მომხრე ფრაქცია თავად უჭერდა მხარს უცხო ქვეყნების დაპყრობის პოლიტიკას, რასაც მანამდე ახალგაზრდები ასე ენერგიულად იცავდნენ. არმიის ხელმძღვანელობის მიერ ქვეყნის შიგნით ავტორიტარიზმისა და საგარეო ექსპანსიის მხარდაჭერა წარმომადგენდა არა ერის სულიერი აღორძინების გზას, არამედ სახალხო მხარდაჭერის მობილიზაციის საშუალებას სამხედრო მოდერნიზაციისათვის და არმიის მეთაურობის პოლიტიკური ძალაუფლების გაზრდისათვის. ფინანსური და ბიზნესლიგარქია, რომელიც იაპონიის ინდუსტრიულ რევოლუციას ედგა სათავეში, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, თანდათან დაინტერესდა იაპონიის შეიარაღებისა და საგარეო ექსპანსიის პერსპექტივებით. ძაიბაცუს^{*} ელიტა – მიცუის, მიცუბიშის, სუმიტომოს და იასუდას კონგლომერატები, – რომელიც თავდაპირველად სამოქალაქო მთავრობასთან თანამშრომლობდა, შიდალიბერალიზაციისა და მშვიდობიანი საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის პოლიტიკის განხორციელებაში ამჯერად არმიის მოდერნიზატორულ ფრთას შეუერთდა უზარმაზარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შესაქმნელად, რომლის მიზანი მასობრივი შეიარაღება და საგარეო დაპყრობითი ომებისათვის მზადება იყო. სამხედრო ლიდერები აცნობიერებდნენ ამ ბიზნესელიტის სამსახურის აუცილებლობას მანჯუკუოს დიდი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისთვის. თავის მხრივ, იაპონურმა მძიმე მრეწველობამ იაპონური საზოგადოების რემილიტარიზაციისა და ჩინეთის კონტინენტური ნაწილის ათვისებისგან ვეებერთელა სარგებელი მიიღო. სამრეწველო პროდუქციის ღირებულება, 1930 წელს 7 მილიარდი იენიდან, 1941 წელს 30 მილიარდ იენამდე გაიზარდა. ძაიბაცუს ოთხმა კონგლომერატმა ამავე პერიოდში მთლიანი აქტივების რაოდენობა გაასამმაგა. ბედის ირონიით, უკმაყოფილო ახალგაზრდა ოფიცრების მიერ წამოწყებული ეროვნული აღორძინების მოძრაობა, რომლის ნოსტალგიური მიზანი პრეინდუსტრიული ცხოვრების წესის აღდგენა იყო, არმიისა და მძიმე მრეწველობის ტექნოლოგიური პროგრესით დაინტერესებულმა ელიტამ დაისაკუთრა. ისტორიკოსები პარალელს ავლებენ იაპონიაში 1936 წლის შემდეგარ სახელმწიფო გადატრიალებასა და 1934

* ძაიბაცუს – იაპონურად ფინანსური ელიტა. ძაიბაცუს იმპერიულ იაპონიაში ფინანსურ და ბიზნესდაჯგუფებებს ეწოდებოდა, რომელთა გავლენა ქვეყნის ეკონომიკის დიდ სეგმენტებზე ვრცელდებოდა (რედ.).

წელს ნაციონალურ გერმანიაში „გრძელი დანების ღამეს“ შორის, როდესაც პიტლერი შტურმაბტაილუნგის (S.A.) ანტიკაპიტალისტურ, რომანტიკულ ახალგაზრდობას დაუპირისპირდა და ალიანსში შევიდა ოფიცერთა კორპუსისა და ბიზნესსაზოგადოების კონსერვატიულ ელიტასთან.

როგორც კი სამხედრო ტექნოკრატების „კონტროლის ფრაქციამ“ და ძაბაცუს სამრეწველო და ფინანსური იმპერიებიდან მათმა მოკავშირეებმა ტოკიოში პოლიტიკური ძალაუფლება გაიმყარეს, მანჯუკუოს კლიენტის სახელმწიფოს საზღვრების მიღმა, აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიაზე, იაპონიის ექსპანსიის გეგმებიც შემუშავდა. 1936 წლის აგვისტოში მთავრობამ „ეროვნული პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები“ დაამტკიცა, რომელიც იაპონიის, მანჯუკუოს და ჩრდილოეთ ჩინეთის ეკონომიკურ ინტეგრაციას, ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკურ ათვისებასა და დასავლეთ წყნარ ოკეანეში უდავო საზღვაო უპირატესობის მიღწევას ითვალისწინებდა. მისი ამ სამხრეთული ექსპანსიისას, ჩრდილოეთ ფლანგის შესაძლო საბჭოთა ინტერვენციისგან დასაცავად, იაპონიის მთავრობამ, მოსკოვის დასაშინებლად 1936 წლის ნოემბერში ნაციონალურ გერმანიასთან ე.წ. „ანტიკომინტერნის პაქტს“ მოაწერა ხელი.

ჩინეთ-იაპონიის ომი და შეერთებული შტატების რეაქცია

რეგიონული ჰეგემონიის ამ გეგმის პირველი ნაწილი 1937 წლის ივლისში ამოქმედდა, როდესაც პეკინის ახლოს, სამხედრო წვრთნების დროს, ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის შეტაკება ორ ქვეყანას შორის სრულმასშტაბიან (თუმცა, გამოუცხადებელ) ომში გადაიზარდა. იაპონური არმია ჩრდილოეთ ჩინეთში განლაგებული ბაზებიდან სამხრეთით და დასავლეთით დაიძრა, შანხაის ირგვლივ კომინტანის არმიის საუკეთესო დივიზიები დაამარცხა და დეკემბერში ჩან კაი-შის დედაქალაქი ნანკინი დაიკავა. ჰანკოუ და გუანდუნი 1938 წლის შემოდგომაზე დაეცა. ამ დროისათვის ჩრდილოეთ და ცენტრალური ჩინეთის ყველა მთავარი ქალაქი, პორტი, რკინიგზის ხაზი და სამრეწველო რაიონი იაპონიის კონტროლს დაექვემდებარა. გამარჯვებულ იაპონურ არმიას ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ ინდუსტრიული სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც გზადაგზა აარსებდნენ „განვითარების კომპანიებს“ ახლადოკუპირებულ ტერიტორიებზე მინერალური რესურსების ექსპლუატაციისა და მარტივი ინდუსტრიის ასამოქმედებლად. 1938 წლის დეკემბერში ჩინეთის ნაციონალისტურმა მთავრობამ ბრძოლის გასაგრძელებლად დასავლეთით ჩუნცინის მთებისკენ დაიხია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით იენანში კომუნისტური პარტიის ორგანიზებული პარტიზანული წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო. იაპონიის საოკუპაციო ძალებმა ჩრდილოეთ ჩინეთში მარიონეტული მთავრობა დააარსეს, ხოლო, მოგვიანებით, 1940 წელს, ნანკინში კოლაბორა-

ციონისტული რეჟიმი შექმნეს ჩუნცინის ნაციონალისტური მთავრობისათვის მეტოქეობის გასაწეად.

გასაოცარია შეერთებული შტატების მოცდისა და გარედან თვალყურის დევნების პოლიტიკა იაპონიის მიერ ჩინეთის ოკუპაციისადმი. 1936 წელს, ლონდონის ხელშეკრულების ამონურვის შემდეგ, იაპონიამ სამხედრო ფლოტის მშენებლობის ამბიციური პროგრამის განხორციელება წამოიწყო, რამაც დასავლეთ წყნარ ოკეანეში სამხედრო-საზღვაო ძალთა ბალანსი უდავოდ დაარღვია. სამხედრო წარმატებების კვალდაკვალ, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში იაპონიის ეკონომიკური წრეების შესვლა საფრთხეს უქმნიდა ამერიკის სავაჭრო ინტერესებს. ამის მიუხედავად, რუზველტის ადმინისტრაცია მუდმივად უარს ამბობდა იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივი დიპლომატიური ზენოლის განხორციელების შესახებ ბრიტანეთის წინადადებებზე. ამერიკის პრეზიდენტი მკაცრი სიტყვიერი გაფრთხილებებით კმაყოფილდებოდა: 1937 წლის 5 ოქტომბრის გამოსვლაში „აგრესორის წინააღმდეგ კარანტინის“ შესახებ, რუზველტმა ყველას „მშვიდობის შესანარჩუნებლად პოზიტიული ძალისხმევისაკენ“ მოუწოდა. ეს ფრაზა, კარანტინის მეტაფორასთან ერთად, აღიქმებოდა როგორც ვაშინგტონის სურვილი, ეკონომიკური სანქციები დაენესებინა იაპონიის წინააღმდეგ, ვიდრე შეერთებული შტატების იზოლაციონისტურმა საზოგადოებამ მას უკან დახევა არ აიძულა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ, იაპონიის იერიშებმა ჩინეთის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთში გამოუცხადებელი ომის მიმართ, ამერიკის პოლიტიკის შეცვლა გამოიწვია. ჩინური ვერცხლის შესყიდვების გზით, შეერთებული შტატები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ ჩინეთის ნაციონალისტურ მთავრობას ამერიკული შეიარაღების ყიდვისთვის საჭირო დოლარით ამარაგებდა. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰალმა იაპონიისათვის საპაერო ხომალდების მიყიდვაზე „მორალური ემბარგო“ გამოაცხადა. კონგრესმა კი ორი ახალი ავიამზიდის მშენებლობისა და სამხედრო-საზღვაო თვითმფრინავების რაოდენობის ორჯერ გაზრდის ნებართვა გასცა.

ყველაზე ეფექტური ბერკეტი, რომელსაც შეერთებული შტატები იაპონიის წინააღმდეგ ამოქმედებდა, სრულმასშტაბიანი ეკონომიკური რეპრესალიების კამპანიის წარმართვის უნარი იყო. ოცდაათიან წლებში, შეერთებულ შტატებში იაპონური ექსპორტის ვარდნის მიუხედავად, მსოფლიოს მასშტაბით, იაპონია ამერიკის მესამე საუკეთესო სავაჭრო პარტნიორად რჩებოდა (ბრიტანეთისა და კანადის შემდეგ) და მისგანვე შეჭქონდა წლიური იმპორტის 40 პროცენტი. უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მჭიდრო სავაჭრო კავშირები, მანჯურიის ინტერვენციის საპასუხოდ, იაპონიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ ამერიკის პასიური პოზიციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. ამერიკის საექსპორტო მრეწველობის წარმომადგენლებს იაპონიის სარფიანი ბაზრის დაკარგვის ეშინოდათ, რასაც ამერიკული ემბარ-

გო თავისთავად გამოიწვევდა. ეს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ორმხრივი იყო: ამერიკელ მომწოდებლებზე იაპონიის დამოკიდებულება ისეთი სტრატეგიული მასალების მისაღებად, როგორიცაა: ნავთობი, რკინა, სპილენძი, ფოლადი და სამრეწველო დანადგარები, მას ამერიკული ზენოლისადმი მეტად მგრძობიარეს ხდიდა. ამ მასალების მიწოდების შეწყვეტა იაპონიის ეკონომიკური ექსპანსიისა და შეიარაღების პროგრამას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა.

რუზველტის ადმინისტრაციაში, ეკონომიკური სანქციების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის სასტიკი დაპირისპირების შემდეგ, სანქციების მომხრეებმა გაიმარჯვეს. 1939 წლის 26 ივლისს შეერთებულმა შტატებმა იაპონიას აუცილებელი ექსტენციანი წინასწარი გაფრთხილება მისცა 1911 წლის ამერიკულ-იაპონური სავაჭრო შეთანხმების გაუქმების თაობაზე და, შესაბამისად, სავაჭრო შეზღუდვების მისაღებად სამართლებრივი დაბრკოლებები მოუხსნა. ამ ექსტენციანი პერიოდის ამონურვამდე, 1939 წლის სექტემბერში, ევროპაში ომი დაიწყო, რამაც იაპონიას ისეთივე ხელსაყრელი ვითარება შეუქმნა, როგორიც 1914 წელს ჰქონდა. მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გადაიტანა ყურადღება შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ექსპანსიონისტური გეგმებიდან. ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის აზიური კოლონიები, ფაქტობრივად, დაუცველი დარჩნენ, რადგან მთელი არსებული ძალები, ჰიტლერთან მოსალოდნელი კონფრონტაციისათვის, ევროპისკენ იქნა მიმართული. 1940 წლის მაის-ივნისში, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის დაცემის შემდეგ, იაპონიამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული დათმობები მიიღო ამ ორი, მეტად დასუსტებული, ქვეყნიდან. ნიდერლანდების მთავრობა, ბოლოსდაბოლოს, დაჰყვა იაპონიის ზენოლას და მოხსნა უამრავი შეზღუდვა ისტინდოეთიდან იაპონიაში ნავთობის ექსპორტზე. იმავე წელს იაპონიამ აიძულა ვიშის მთავრობა, ჩან კაი-შის ალყაში მოქცეული მთავრობისათვის, ინდოჩინეთის გავლით, სხვადასხვა მარაგის მიწოდების გზა დაეკეტა. სექტემბერში იაპონიის ჯარმა, თითქოსდა ჩინეთის ნაციონალისტური რეჟიმის იზოლაციის უზრუნველსაყოფად, ფრანგული ინდოჩინეთის ჩრდილოეთ ნახევარი დაიკავა. იაპონიის ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ სამხრეთისკენ შემდგომ ექსპანსიას შეეძლო შეერთებულ შტატებთან კონფრონტაცია გამოენვია, რის გამოც იაპონიამ ხელი მოაწერა სამხრეთ პაქტს გერმანიასთან და იტალიასთან, რათა რუზველტი აზიაში იაპონიისთვის მოქმედების თავისუფლების მიცემაზე დაეყოლიებინა.

შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის პირველობისაკენ სწრაფვის წინაშე მდგარმა შეერთებული შტატების მთავრობამ სანქციების კამპანია წამოიწყო, რომელიც, იაპონიის ექსპანსიური ქმედებების შესაბამისად, რამდენიმე ეტაპად ვითარდებოდა. ინფორმაციამ, იაპონიის მიერ ამერიკული ნავთობის ექსპორტის ბაზრის კუთხეში მომწყვდების შესახებ, პრეზიდენტ რუზველტს,

1940 წლის ივლისში, საავიაციო სანჯაესა და მაღალი ხარისხის რკინასა და ფოლადზე ემბარგოს დაკისრებისაკენ უბიძგა. სანამ იაპონია ჩრდილოეთ ინდოჩინეთში თავის პოზიციებს ამაგრებდა, 1940 წლის ოქტომბერში ამერიკის პრეზიდენტი, ბოლოსდაბოლოს, ანგლოამერიკული სამხედრო-საზღვაო შტაბების ერთობლივ მოლაპარაკებებზე დასთანხმდა (თუმცა, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ლონდონის წინადადებას, შორეულ აღმოსავლეთში ბრიტანეთის საზღვაო ძალის გაზრდის მიზნით, ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის პერლ ჰარბორიდან სინგაპურში გადაყვანის შესახებ).



გენერალსიმუსი ჩან კაი-ში (1887-1975) და მისი მეუღლე სუნ მეი-ლინი (1897-2003) ჩუნცინში – მეორე მსოფლიო ომის დროს ნაციონალისტური ჩინეთის დროებით დედაქალაქში: სუნ მეი-ლინი – უელსლის კოლეჯის კურსდამთავრებული, ღვთისმომიში ქრისტიანი და ინგლისურის ბრწყინვალე მცოდნე, რომელსაც მადამ ჩან კაი-შის სახელით იცნობდნენ, მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ, მეუღლესა და მის ამერიკელ მხარდამჭერებს შორის, მეკავშირის როლს ასრულებდა.

სამხრეთით სამხედრო კამპანიის წარმოებისათვის იაპონიას როგორც ეკონომიკური, ასევე სტრატეგიული ხასიათის მიზნები ჰქონდა. ტოკიოს ეკონომიკურ სტრატეგიებს იმედი ჰქონდათ, რომ იაპონია სტრატეგიული მასალების კუთხით თვითკმარი ქვეყანა გახდებოდა, თუკი ხელში ჩაიგდებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ევროპის აზიურ, კოლონიურ ტერიტორიებზე (ბრიტანული მალაია, ფრანგული ინდოჩინეთი და ნიდერლანდული ოსტინდოეთი) არსებულ ნავთობის, კაუჩუკის, კალისა და ნიკელის რესურსებს. როდესაც ნიდერლანდების მთავრობამ უარი უთხრა იაპონიას ოსტინდოეთიდან ნავთობის შეუზღუდავი რაოდენობის იმპორტზე, 1941 წლის 2 ივლისს იაპონიის იმპერიულმა საბჭომ აზიიდან ევროპული სახელმწიფოების საბოლოო განდევნისა და აზიური ქვეყნების კონფედერაციის დაარსების გრანდიოზული გეგმა შეიმუშავა. გეგმის თანახმად, კონფედერაცია იაპონიის ეკონომიკური კონტროლის, პოლიტიკური მეთვრეობისა და სამხედრო დაცვის ქვეშ იქნებოდა. ტოკიოს ოფიციალური წრეების ჩანაფიქრით, „მთლიანი აღმოსავლეთ აზიის კეთილდღეობის სფერო“ ხორცს შეასხამდა აღმოსავლურ მონროს დოქტრინას, რასაც იაპონიის წინა მთავრობები უშედეგოდ ცდილობდნენ. აღმოსავლეთ აზიაში ევროპული სახელმწიფოების გასვლით დატოვებულ ვაკუუმს ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ლათინური ამერიკიდან ევროპელების წასვლისას მოხდა, შეავსებდა რეგიონული ძალა, რომლის კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა მას თავის გეოგრაფიულ არეალში ჰეგემონიის განხორციელების უფლებას აძლევდა. ამ მიზნის მისაღწევად, 1941 წლის 24 ივლისს ორმოცდაათათასიანი იაპონური არმია ინდოჩინეთის სამხრეთისაკენ დაიძრა. ინდოჩინეთის სანაპიროზე სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზების განთავსება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სინგაპურში ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ბაზას და ნიდერლანდების ოსტინდოეთის ნავთობის რეზერვებს. იაპონიის ძალის ამ შთამბეჭდავ გაფართოებაზე ამერიკის მთავრობის საპასუხო ქმედებებმა გადამწყვეტი გარდატეხა შეიტანა ვაშინგტონსა და ტოკიოს შორის ურთიერთობებში: პრეზიდენტმა რუზველტმა ამერიკაში იაპონური აქტივები გაყინა და ემბარგო დაადო მაღალი ოქტანობის (სამხედრო) საწვავს, რითაც, ფაქტობრივად, შეწყდა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა, ხოლო იაპონიას კი გამოეცალა საწვავი, რომელიც მას აზიის კონტინენტზე მექანიზებული სამხედრო ოპერაციების გასაგრძელებლად სჭირდებოდა.

შორეულ აღმოსავლეთში გაუარესებული ვითარების გამო, ვაშინგტონის შეშფოთებას ემატებოდა შეერთებული შტატების საზოგადოების მზარდი მხარდაჭერა იაპონიის არმიით ალყაშემორტყმული ჩინეთის მოსახლეობის მიმართ. პერლ ბაის ბესტსელერი რომანი „კარგი მიწა“ („The Good Earth“), რომელიც მოგვიანებით ფილმდაც გადაიღეს, მასში აღწერილი ღონიერი და სათნო ჩინელი გლეხკაცის გამო, საყოველთაო თანაგრძნობას იწვევდა.

ამ ფილმის სცენებს არაფერი ჰქონდათ საერთო პრესის სააგენტოების მიერ გავრცელებულ ფოტოებთან, რომლებზეც იაპონელი ჯარისკაცების მიერ ჩინეთის ძარცვა და დარბევა იყო ასახული. ამერიკული მხარდაჭერა გამოიხატებოდა როგორც სამთავრობო სესხებში (20 მილიონი დოლარი 1940 წლის გაზაფხულზე და 100 მილიონი დოლარი 1940 წლის ნოემბერში), ასევე ტანჯული ჩინელი ხალხის მიმართ სოლიდარობის არაოფიციალურ დადასტურებაში. 1937 წელს კაპიტანი კლერ შენო, არმიის საჰაერო ძალების გადამდგარი ოფიცერი, ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი მრჩეველი გახდა. მან ჩინეთში ჩაიყვანა ამერიკელ დაქირავებულ პილოტთა ჯგუფი – „მფრინავი ვეფხვები“, – რომელთა სამსახური უცხო ქვეყანაში ამერიკის მთავრობის არაფორმალურ თანხმობას ემყარებოდა. 1941 წლის აპრილში რუზეველტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას, რითაც მოახდინა ამ დაქირავებული ძალების ლეგალიზება და იმავე წელს ჩუნცინში ჩან კაი-შის დასახმარებლად ოფიციალური ამერიკული სამხედრო მისია მიავლინა.

ამერიკულმა ემბარგომ და ჩინეთის წინააღმდეგობის მოძრაობისათვის გაძლიერებულმა ეკონომიკურმა და სამხედრო მხარდაჭერამ, იაპონიის ხელმძღვანელობა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა: იაპონია ჯერ კიდევ ფლობდა ნავთობის ორი წლის სამყოფ მარაგს, მაშინ როცა აზიის კონტინენტურ ნაწილზე, ერთი შეხედვით, დაუსრულებელი ბრძოლები საავიაციო და საავტომობილო სანავის უზარმაზარ რაოდენობას შთანთქავდა. სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მინერალების დეფიციტის ფონზე, ამერიკული ნავთობის მინოდების შეწყვეტამ, აიძულა ტოკიო, ჩინეთთან მოლაპარაკებების გზით, შეთანხმების მიღწევისა და ინდოჩინეთიდან ევაკუაციის ალტერნატივაც განეხილა (ეს ის პირობები იყო, რომელთა შესრულების შემთხვევაში ამერიკელები ნავთობის მონოდებას აღადგენდნენ). ასეთი ცვლილებებით იაპონია 1914-1918 წელს არჩეულ პოლიტიკურ კურსს დაუბრუნდებოდა, რაც ევროპაში გაჩაღებულ ომში ევროპული სახელმწიფოების მონაწილეობით სარგებლობას და აზიაში სხვადასხვა სახის სარფიანი მიზნების მშვიდობიანი გზებით მიღწევას ნიშნავდა. ეს კურსი, წმინდად ეკონომიკური თვალსაზრისით, უდავოდ ყველაზე მეტი სარგებლის მომტანი იყო იაპონიისათვის.

თუმცა, ჩინეთიდან ჯარების გამოყვანა ზედმეტად დამამცირებელი იყო არმიის ოფიცრების იმ ჯგუფისათვის, რომელიც ოცდაათიან წლებში სათავეში ედგა იაპონიის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ეს ასევე შეასუსტებდა სამხედროების პოზიციას ქვეყნის შიგნით და ჩააქრობდა მანჯურიის ექსპედიციის შემდეგ განვითარებულ ეროვნული აღორძინების მოძრაობას.

მეორე ალტერნატივა იაპონიისათვის იერიშის სამხრეთისკენ მიტანა და ნიდერლანდური ოსტ-ინდოეთის ნავთობის რეზერვებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა რესურსების ხელში ჩაგდება ამერიკული ემბარგოს გარღვევა იყო. ბოლოს, ევროპული სახელმწიფოების დაცვის გარეშე მიტო-

ვებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლონიების მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის დაუფლების ცდუნებამ, იაპონიის სამხედრო ელიტას შეერთებულ შტატებთან ომის გარისკვა აიძულა.

დილემა ტოკიოსა და ვაშინგტონში

აუცილებელია აღინიშნოს იმ ურთიერთსაინანაღმდეგო გავლენების შესახებ, რომელიც როგორც ტოკიოში, ასევე ვაშინგტონში აღმოსავლეთ აზიის მიმართ საგარეო და სამხედრო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში მოქმედებდა. იაპონიაში სამხედრო სტრატეგების ყურადღება მუდმივად მიპყრობილი იყო ტრადიციული მსხვერპლისკენ – ჩინეთისკენ – და აზიის კონტინენტზე ტრადიციული მეტოქისკენ – რუსეთისაკენ. იაპონიის სამხედრო ხელმძღვანელობა, ყველაზე აქტიური სამოქალაქო ლიდერების უმრავლესობასთან ერთად, ვაშინგტონთან ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას ამჯობინებდა. ისინი ვერ მიხვდნენ, ან გვიან მიხვდნენ, რომ ჩინეთში სამხედრო თავდასხმითი ოპერაციებით ისინი ამერიკული საზოგადოებრივი აზრის განაწყენებასა და ვაშინგტონის საპასუხო ქმედებებს გამოიწვევდნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისკენ ექსპანსიის გადანწყვეტილების მიღების შემდეგაც კი, უმაღლესი თანამდებობის იაპონელი გენერლები ტოკიოში იმედოვნებდნენ, რომ ფილიპინები ყოფილ ბრიტანულ, ფრანგულ და ნიდერლანდურ კოლონიურ ტერიტორიებზე იაპონიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ახალი აზიური ეკონომიკური ბლოკის მიღმა დარჩებოდა. ისინი ინარჩუნებდნენ იმედს, რომ მათი ახალი ეკონომიკური ბლოკი მშვიდობიან და შედარებით თანაბარ კონკურენციას გაუწევდა რუსეთის, ამერიკისა და ევროპის ეკონომიკურ სისტემებს რეგიონში.

იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალები კი შეერთებულ შტატებს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე მეტად სავარაუდო მტრად აღიქვამდნენ. 1930 წლის ლონდონის საზღვაო კონფერენციის შემდეგ, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობა მტკიცედ მოითხოვდა შეერთებულ შტატებთან თანაბარი პირობების შექმნას დასავლეთ წყნარ ოკეანეზე იაპონიის უდავო სამხედრო უპირატესობის და, დროთა განმავლობაში, სამხრეთისაკენ ექსპანსიის უზრუნველსაყოფად. სამხრეთისაკენ ექსპანსიის მიმართ იაპონიის არმიის მწირი ენთუზიაზმი დაკავშირებული იყო ჩინეთში ახლადმოპოვებული იმპერიის რუსეთის მტაცებლური ინსტინქტებისგან დაცვის შესახებ იაპონელი სამხედროების აკვიატებულ მოსაზრებასთან. სამხრეთისკენ ძალების მიმართვა აუცილებლად შეასუსტებდა იაპონიის თავდაცვას ჩრდილოეთით და მოტივაციას გაუჩინდა მოსკოვს, ზურგიდან მიეტანა იერიში იაპონიის წინააღმდეგ.

1941 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე განვითარებულმა მოვლენებმა ბოლო მოუღო რუსეთის მიზნებთან დაკავშირებულ მღელვარებას. 1941 წლის

აპრილში იაპონიამ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან ნეიტრალიტეტის ხელშეკრულებას, რითაც თავიდან აიცილა ორ ფრონტზე ომის წარმოების შესაძლებლობა. ორი თვის შემდეგ კი პიტლერმა სრულმასშტაბიანი შეტევა დაიწყო რუსეთზე ოკუპირებული ევროპიდან და აიძულა სტალინი, საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებზე ნაცისტების თავდასხმის მოსაგერიებლად, რამდენიმე დივიზია ციმბირიდან ქვეყნის დასავლეთისკენ გადმოესროლა. ამ ორმა მოვლენამ მანჯურიასა და საბჭოთა ზენოლის საფრთხე გააქარწყლა და ხელი შეუწყო იაპონიის სამხედრო ძალების ადაპტირებას სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობის შემუშავებული სამხრეთული ექსპანსიის სტრატეგიის განსახორციელებლად. 1941 წლის ივლისში იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება ინდოჩინეთში სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ, სინგაპურსა და ოსტ-ინდოეთში შემდგომი თავდასხმების მოსამზადებლად, ორ უწყებას შორის სტრატეგიული ხედვის თანხვედრას გამოხატავდა.

აღმოსავლეთ აზიის მიმართ ამერიკის პოლიტიკაც რუზველტის ანტიურაჟის შიგნით განვითარებული მსგავსი ტიპის ზენოლის ქვეშ ვითარდებოდა. პრეზიდენტის გარემოცვაში მიმდინარე დაპირისპირებამ ეკონომიკური სანქციების მომხრეებსა (ხაზინის მდივნის, ჰენრი მორგენტაუსა და შინაგან საქმეთა მდივნის, ჰაროლდ იკსის ხელმძღვანელობით) და მონინალმდეგეებს (სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰალი და მისი მოადგილე სამნერ უელსი) შორის, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაშიც გადაინაცვლა. სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობა იაპონიას ოციანი წლების დასაწყისიდან ამერიკის ყველაზე რეალურ მტრად აღიქვამდა. 1924 წელს შემუშავებული საომარი გეგმა სახელწოდებით „ფორთოხალი“, ფილიპინების გასათავისუფლებლად, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების გასანადგურებლად და იაპონიის კუნძულების ბლოკადაში მოსაქცევად, ამერიკის სამხედრო ფლოტის პერლ ჰარბორიდან დასავლეთისკენ მიმართვას ითვალისწინებდა. თუმცა, ჩრდილოეთ ატლანტიკის ოკეანეში, ევროპასთან კრიტიკული მნიშვნელობის სავაჭრო გზაზე, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალის შთამბეჭდავმა ზრდამ საზღვაო სტრატეგიასთან დაკავშირებით, ამერიკელების მოსაზრებათა ცვლილება გამოიწვია. 1939 წლის გაზაფხულზე ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები წყნარ ოკეანაში თავდაცვით სტრატეგიაზე გადავიდნენ: მათ თავისთავად მიიჩნიეს, რომ ეკონომიკური ზენოლა საკმარისი იქნებოდა წყნარ ოკეანეში იაპონიის აგრესიის შესაჩერებლად. საფრანგეთის სამხედრო მარცხმა და გერმანიის საჰაერო იერიშებმა ინგლისზე სამხედრო-საზღვაო ძალების ეს რეორიენტაცია კიდევ უფრო დააჩქარა. 1940 წლის 4 ნოემბერს, ჩასწორებული საომარი გეგმა, სახელწოდებით „გეგმა ძალღი“, ამერიკის სამხედრო-საზღვაო სტრატეგიის საფუძველი გახდა. გეგმის მიხედვით, გერმანია ამერიკის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენდა ზღვაზე და იაპონია ვერასოდეს გარისკავდა შეერთებულ შტატებთან ომს, წყნარ ოკეანეში მის ტერიტორიებზე თავდასხმით. იაპონიის მიერ ფი-

ლიპინების დაპყრობის შემთხვევაშიც კი, გეგმის მიხედვით, ეკონომიკური ღონისძიებები და თავდაცვითი სამხედრო-საზღვაო შენაერთი საკმარისი იქნებოდა რეგიონში ამერიკის ინტერესების დასაცავად, ხოლო ამერიკის სამხედრო ძალების უდიდესი ნაწილი გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მოხმარებოდა. გერმანიასთან მეომარ ქვეყნებთან დადებული „სესხისა და იჯარის“ შეთანხმება, გრენლანდიაზე ბაზების შექმნა, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების რაოდენობრივი ზრდა ჩრდილო ატლანტიკაში და სინგაპურში ამერიკული ფლოტის გაგზავნაზე უარის თქმა, კიდევ ერთხელ მიუთითებდა ამერიკის სამხედრო-საზღვაო სტრატეგიის ევროპულ ორიენტაციასა და აზიის შესაძლო სირთულეებში ჩარევისგან თავის შეკავების სურვილზე. როგორც თვითონ რუზველტმა ხატოვნად განუმარტა მათ, ვინც იაპონიის მიმართ უფრო მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო: „უბრალოდ არ მყავს საკმარისი ფლოტი იმისთვის, რომ ყველგან გავგზავნო – თითოეული მცირე ეპიზოდი წყნარ ოკეანეში ნიშნავს ნაკლებ გემებს ატლანტის ოკეანეში“.

ინდოჩინეთის ბაზების დაკავებისა და 1941 წლის ზაფხულში ამერიკის მიერ ნავთობის ემბარგოს დაკისრებამდე, ტოკიოსა და ვაშინგტონს შორის მოლაპარაკებები ურთიერთმისაღები კომპრომისის მისაღწევად, უსასრულოდ ჭიანჭურდებოდა. იაპონურ-ამერიკული ურთიერთობები კვლავ გამოცოცხლდა 1940 წლის ბოლოს ორივე ქვეყნიდან რამდენიმე კერძო პირის ჩარევის შედეგად, რომელთაც სახელმწიფო დეპარტამენტმა „ჯონ დოუს კომპანიონები“ უწოდა. ამ ჯგუფში შედიოდა: ორი ამერიკელი კათოლიკე სასულიერო პირი – ეპისკოპოსი ჯეიმს უოლში და მამა ჯეიმს დრაუტი, ყოფილი მისიონერი ჩინეთში, რომლებიც, მაღალი დონის მოლაპარაკებების ჩატარებისათვის ორგანიზებული კამპანიის ფარგლებში, ტოკიოში იაპონელ და ვაშინგტონში ამერიკელ ოფიციალურ პირებს (მათ შორის სახელმწიფო მდივან კორდელ ჰალს და თავად პრეზიდენტ რუზველტსაც კი) შეხვდნენ ორ ქვეყანას შორის გაუგებრობების მოგვარებისა და სამხედრო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. პრეზიდენტისგან თანხმობის მიღების შემდეგ, 1941 წლის 8 მარტს, სახელმწიფო მდივანი ჰალი იაპონიის ელჩს – კიჩისაბურო ნომურას შეხვდა. ეს პირველი შეხვედრა იყო შეთანხმების მისაღწევად პირისპირ ჩატარებული ორმოცდაათი შეხვედრიდან. ამ შეხვედრებისას ნათელი გახდა ამერიკული და იაპონური მოთხოვნების ურთიერთშეუსაბამობა. შეერთებული შტატები მოითხოვდა იაპონური სამხედრო ძალების გაყვანას 1931 წლიდან ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან, როგორც აღმოსავლეთ აზიის საკითხზე რაიმე შეთანხმების მიღწევის წინაპირობას. ტოკიოში ოფიციალური წრეების ნაწილი, – რომელიც აცნობიერებდა დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მზარდ სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობას, იმედი ჰქონდა გაცრუებული გერმანიის უუნარობის გამო გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა რუსეთისათვის და შესწოთებით უყურებდა იაპონიის

ნავთობის შეთხელებულ მარაგს – მზად იყო, მხარი დაეჭირა ინდოჩინეთი-დან და ჩინეთის სამხრეთიდანაც კი ჯარების გამოყვანისათვის, შეერთებულ შტატებთან ვაჭრობის განახლებისა და სტრატეგიული ნედლეულის კვლავ მოწოდების სანაცვლოდ. თუმცა, არცერთი იაპონელი ლიდერი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება შეეძლო, არ იყო მზად, დაეთმო მანჯუკუოში იაპონიის პოზიცია, რომელიც, მათი აზრით, იაპონიას სამართლიანად ჰქონდა მოპოვებული. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კი ჯიუტად იმეორებდა თავდაპირველ ამერიკულ მოთხოვნას აზიის კონტინენტიდან იაპონიის სრული გასვლის თაობაზე. მოკლედ, რუზველტის ადმინისტრაცია მტკიცედ ერთგული რჩებოდა აზიაში ამერიკული დიპლომატიის, რომელიც ეფუძნებოდა სახელმწიფო მდივნის, ჯონ ჰეის „ღია კარის“ პოლიტიკას საუკუნის დასაწყისში, უილსონის წინააღმდეგობას ჩინეთისადმი იაპონიის მიერ წაყენებული „ოცდაერთი მოთხოვნის“ (1915) მიმართ და სახელმწიფო მდივნის, ჰენრი სტიმსონის მხრიდან მანჯუკუოს მარიონეტული სახელმწიფოს არაღიარების (1932) პოლიტიკას. ეს პოლიტიკა კი ვერაფრით უთავსდებოდა იაპონიის ხედვას, რომლის თანახმად ამ ქვეყანას პირველობის უფლება ჰქონდა ჩინეთში, ზოგადად, და, კერძოდ, მანჯურია-მანჯუკუოში.

იაპონია ირჩევს ომს

1941 წლის შემოდგომისთვის, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალები დასავლეთ წყნარ ოკეანეში, ფაქტობრივად, გაუთანაბრდნენ რეგიონში არსებულ ამერიკულ და ბრიტანულ ფლოტებს ერთად აღებულს. ამავე დროს, დასავლეთის სახელმწიფოების სანარმოო პოტენციალი და, შესაბამისად, ომის წარმოების უნარიც ბევრად აღემატებოდა იაპონიის იმპერიისას. გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა ამ პერიოდში სამხედრო-საზღვაო მშენებლობის პასიური პროგრამა დაიწყო, რომელსაც შეეძლო რამდენიმე წელიწადში დამუქრებოდა იაპონიის უსაფრთხოებას წყნარ ოკეანეში. მოკლევადიანი უპირატესობისა და გრძელვადიან პერსპექტივაში არასრულფასოვნების ეს ფატალური კომბინაცია, როგორც ეს 1914 წლამდე გერმანიის იმპერიის შემთხვევაში ვიხილეთ, პრევენციული ომის დაწყების ცდუნებას ზრდის. მაშინ როდესაც იაპონელი დიპლომატები ცდილობდნენ როგორმე შეერბილებინათ ამერიკელების პოზიცია მოლაპარაკებებისას, 1941 წლის შემოდგომაზე, სამხედრო და საზღვაო მეთაურობა ყველაზე უარესისთვის ემზადებოდა. 16 ოქტომბერს გენერალმა ჰიდეკი ტოჯომ – მკაცრი პოლიტიკის მომხრემ და მანჯურიაში იაპონიის საოკუპაციო ძალების შტაბის ყოფილმა უფროსმა – პრემიერმინისტრის პოსტზე პრინცი ფუმუმარო კონოე ჩაანაცვლა. ახალმა მეთაურმა ვაშინგტონთან შეთანხმების მისაღწევად უკანასკნელი ვადა განსაზღვრა, რომლის შედეგადაც ამერიკული ემბარგო უნდა მოხსნილიყო სტრატეგიულ მასალებზე და დროებით შეჩერებულიყო

შეერთებული შტატების მხარდაჭერა ჩან კაი-შის მთავრობისადმი ჩინეთში. თუ 29 ნოემბრამდე შეთანხმება არ შედგებოდა, იმპერატორს დაუყოვნებლივ წარუდგენდნენ ომის დაწყების წინადადებას. ვაშინგტონში იაპონელი მომლაპარაკებლების უკანასკნელი წინადადება ამერიკული ნავთობის მიწოდების აღდგენას და ჩინეთისადმი ამერიკის დახმარების შეწყვეტას მოიცავდა, მაგრამ შემხვედრ წინაპირობად, ჩინეთთან სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შემდეგ, კვლავ ინდოჩინეთიდან იაპონიის გასვლა რჩებოდა. 26 ნოემბერს იაპონიის წინადადებას სახელმწიფო მდივანმა ჰალმა 10-პუნქტიანი ნოტიო უპასუხა, რომლითაც ის იაპონიას ინდოჩინეთიდან და მთლიანი ჩინეთიდან გასვლას სთხოვდა. ამერიკული თავდაპირველი პოზიციის ასეთი პირდაპირი და უკომპრომისო გამეორება უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა ტოკიოში რადიკალური პოზიციის პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც ინტენსიურ დისკუსიას აწარმოებდნენ იაპონურ-ამერიკული ურთიერთობების მშვიდობიანი მოგვარების მომხრეებთან. პირველ დეკემბერს იმპერიულმა კონფერენციამ ოფიციალურად მიიღო აზიაში ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების კოლონიური ტერიტორიების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება, რათა დაპატრონებოდა იმ ნედლეულ რესურსებს, რომელიც იაპონიას აღმოსავლეთ აზიაში ჰეგემონიის მისაღწევად სამხედრო კამპანიის საწარმოებლად სჭირდებოდა. მომდევნო დღეს მთავრობამ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებს ჰავაის კუნძულებზე, პერლ ჰარბორის ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მოულოდნელი თავდასხმის შესახებ ადმირალ ისოროკუ იამამოტოს მიერ ადრე დეტალურად შემუშავებული გეგმის შესრულება უბრძანა. ექვსი ავიამზიდისა და ორი სახაზო გემისგან^{*} შემდგარი შენაერთი ჰავაის კუნძულ ოაჰუსკენ რადიოსიგნალების გარეშე დაიძრა, რათა მათი გადაადგილება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. დილის რვა საათის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე (ჰავაის დროით), კვირადღეს, შვიდ დეკემბერს ავიამზიდების ფლოტილიით გადმოყვანილმა 353-მა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა ამერიკულ საჰაერო ბაზაზე ისევე, როგორც ნავსადგომზე მდგარ სამხედრო გემებზე. ორი საათის განმავლობაში რვა სახაზო გემი ჩაიძირა, დანარჩენები კი მძიმედ დაზიანდნენ, რამაც შეერთებულ შტატებს წყნარი ოკეანის ფლოტის დიდი ნაწილი გამოაცალა. იმის მიუხედავად, რომ იაპონიის თავდასხმამ ვერ შეძლო ბაზაზე მინერილი სამი ამერიკული ავიამზიდის განადგურება – ორი ზღვაში იყო გასული, ერთი კი სან-დიეგოში იმყოფებოდა – წყნარ ოკეანეში შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების ფლოტის ერთ დღეში განადგურება ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზღვაო კატასტროფა იყო.

ამერიკულმა დაზვერვამ, 1940 წლის აგვისტოში იაპონური საიდუმლო კოდის გაშიფრვის წყალობით, იცოდა სინგაპურის, ნიდერლანდების ოსტ-

* სახაზო გემი – არტილერიით შეიარაღებული, ყველაზე დიდი გემი. დღეს, სარაკეტო შეიარაღების პირობებში, სახაზო გემებს აღარ აშენებენ (რედ.).

ინდოეთისა და ტაილანდის წინააღმდეგ იერიშის თაობაზე ტოკიოს გეგმების შესახებ. ამ ჩანაწერებიდან ასევე იკვეთებოდა ინფორმაცია, რომ იაპონია ფილიპინებზე თავდასხმასაც გეგმავდა. მაგრამ ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი ვაშინგტონში არ ელოდა თავდასხმას პერლ ჰარბორზე. იაპონიის მთავრობის ჰონოლულუში მისი კონსულისადმი ინსტრუქციები მოიცავდა მკაფიო მინიშნებებს იქვე მდებარე სამხედრო-საზღვაო ბაზაზე თავდასხმის შესახებ, მაგრამ კოდების გამშიფრავი მანქანები (რომლებიც მანამდე ფილიპინებზე გაიგზავნა), გაუგებარი მიზეზებით, ჰავაიზე არ იყო გათავსებული. ვაშინგტონში იაპონელი მომლაპარაკებლებისთვის გაგზავნილი ინსტრუქციები, რომელიც ამერიკულმა დაზვერვამ მოიპოვა, საკმაოდ მუქარისშემცველი ხასიათის იყო და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ჯორჯ მარშალმა ბოლო მომენტში, 7 დეკემბერს, პერლ ჰარბორს შესაბამისი გამაფრთხილებელი შეტყობინება გაუგზავნა. თუმცა, მან ეს არა გადატვირთული სამთავრობო ტელეგრამით, არამედ ვესტერნ იუნიონის საშუალებით



აშშ-ის სახაზო გემი „არიზონა“ ინჯის პერლ ჰარბორის სანაპიროზე, 1941 წლის 7 დეკემბერი: 1170-კაციანი ეკიპაჟიდან უამრავი დაღუპული ადამიანის ცხედარი სანაპიროზე ჩაძირული გემის შიგნით რჩებოდა. 56-მეტრიან მემორიალურ სტრუქტურას, რომელიც ჩაძირული გემის ცენტრალურ ნაწილს მოიცავს, ყოველწლიურად ათასობით ტურისტის სტუმრობს.


გააკეთა. შესაბამისად, სწორედ მაშინ, როდესაც ფოსტალიონს ინფორმაცია ველოსიპედით ამერიკის სამხედრო ქალაქში მიჰქონდა, პერლ ჰარბორს იაპონური თვითმფრინავები დაესხნენ თავს. ფილიპინებზე ამერიკულ საჰაერო ბაზაზე, ბრიტანეთის ბაზებზე მალაიაზე, სინგაპურსა და ჰონგ-კონგში თუ დასავლური სახელმწიფოების სხვა სამხედრო ავანპოსტებზე ერთდროული თავდასხმა, იაპონიის მხრიდან რეგიონში პირველობის მოსაპოვებლად, მონინალმდეგეებზე განხორციელებულ მძლავრ წინმსწრებ შეტევას წარმოადგენდა. უდავოა, რომ პერლ ჰარბორის საკითხზე ამერიკელი ოფიციალური პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდარი შეფასებების არაერთ შემთხვევას. მაგრამ, მიუხედავად კონსპირაციული თეორიების მოყვარული კრიტიკოსების განცხადებებისა, არაფერი ადასტურებს, რომ რუზველტმა წინასწარ იცოდა პერლ ჰარბორზე თავდასხმის გეგმის შესახებ და განზრახ განირა დასავლეთ წყნარი ოკეანის მთელი ამერიკული ფლოტი, რათა იაპონიისა და მისი ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. პერლ ჰარბორზე ამერიკელთა კატასტროფის ახსნა მხოლოდ იაპონიის განზრახვებისა და უნარების შესახებ მცდარი დიპლომატიური და სამხედრო გათვლებითაა შესაძლებელი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც შეერთებული შტატებისა და არც იაპონიის მთავრობებს წყნარ ოკეანეში ომის დაწყების სურვილი არ ჰქონიათ. ორივე ქვეყნის მმართველი ელიტების გავლენიან წრეებს საკმარისი მიზეზი ჰქონდათ, რომ მაქსიმალურად ეცადათ იმ მეგობრული დიპლომატიური ურთიერთობებისა და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშროლობის აღდგენა, რომელიც ოციან წლებში არსებობდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ოცდაათიან წლებში ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას ისინი გარდაუვალად მიჰყავდა კონფრონტაციამდე. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში იაპონიის მიერ მიღწეული შთამბეჭდავი ეკონომიკური პროგრესის მიუხედავად, ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაში განლაგებულ ბრიტანულ, ფრანგულ და ნიდერლანდურ კოლონიურ ტერიტორიებზე ჰეგემონიის მოპოვება ტოკიოს მმართველ ელიტას ეკონომიკური დაცემისა და რეგიონის ბუნებრივ რესურსებს დაპატრონებული ევროპული სახელმწიფოების მორჩილებაში დარჩენის ერთადერთ ალტერნატივად მიაჩნდათ. იმავდროულად, ვაშინგტონში მიღწეულ იქნა კონსენსუსი, რომ იაპონიის იმპერიისათვის ჩინეთისა და აზიაში ევროპული კოლონიური ტერიტორიების მიერთება რეგიონში ძალთა ბალანსის მიუღებელ ცვლილებას გამოიწვევდა და დიდ ზიანს მიაყენებდა დასავლეთ წყნარ ოკეანეში ამერიკის ეკონომიკურ ინტერესებს. როგორც კი ეროვნული ინტერესების ეს ურთიერთგამომრიცხავი ხედვები ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას დაედო საფუძვლად, მხოლოდ დროის საკითხი იყო, როდის შეეჯახებოდა ერთმანეთს წყნარი ოკეანის სხვადასხვა მხარეს მდებარე ეს ორი სახელმწიფო.

ოში აზიაში (1941-1945)

პერლ ჰარბორის შემდეგ

პერლ ჰარბორზე იაპონური ავიამზიდების მოულოდნელმა თავდასხმამ ძირი გამოუთხარა დასავლეთ წყნარ ოკეანეში შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებს. სამი დღის შემდეგ, სახმელეთო ბაზირების იაპონურმა თავითმფრინავებმა მალაიას სანაპიროსთან ბრიტანეთის ორი სამხედრო გემი ჩაძირეს. უინსტონ ჩერჩილი თავის მემუარებში იგონებს, რომ დეკემბრის იმ ბნელ დღეებში: „ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში არცერთი დიდი ბრიტანეთის ან ამერიკული გემი აღარ იმყოფებოდა, გარდა პერლ ჰარბორზე თავდასხმას გადარჩენილი ამერიკული გემებისა, რომლებიც სასწრაფოდ ბრუნდებოდნენ კალიფორნიაში. ამ უზარმაზარ წყლიან ტერიტორიაზე იაპონია იყო უძლიერესი სახელმწიფო, ჩვენ კი ვიდექით ჩვენი სისუსტისა და სიშიშვლის ამარა“. ანგლოამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის მიყენებული ამ გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ, იაპონიის არმიამ სწრაფად ნაინია წინ რეგიონში მდებარე დასავლეთის სახელმწიფოების იმპერიული ტერიტორიებისკენ. 1942 წლის 15 თებერვალს სინგაპურში ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც შორეული აღმოსავლეთის აუღებელ გიბრალტარად ითვლებოდა, ზურგიდან მომდგარმა იაპონურმა სახმელეთო არმიამ მალაიას ნახევარკუნძულის ჯუნგლების გავლით აიღო. 1942 წლის გაზაფხულისთვის, დასავლეთის სახელმწიფოების ძირითადი კოლონიური ტერიტორიები აზიაში – ფილიპინები, მალაია, ნიდერლანდების ოსტინდოეთის უმეტესი ნაწილი და ბირმა – იაპონიის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოექცნენ, ხოლო, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი ტაილანდი ტოკიოს მორჩილ კლიენტ სახელმწიფოდ იქცა. იაპონიის მიერ ჩამოყალიბებული „გაფართოებული აღმოსავლეთ აზიის კეთილდღეობის სფერო“ 100 მილიონ ადამიანს და საკმარისი რაოდენობის სურსათს, სტრატეგიულ მინერალებსა და ნავთობის მარაგს მოიცავდა, რათა იაპონიას იმ ეკონომიკური თვითკმარობისთვის მიეღწია, რომლისკენაც ის ამდენი ხნის განმავლობაში მიილტვოდა. იმ დროს, როცა იაპონიის შეიარაღებული ძალები დასავლეთით ინდოეთისკენ და სამხრეთით ავსტრალიისაკენ მიინევდნენ, რეგიონში ბრიტანეთის იმპერიის გადარჩენილი ტერიტორიები განადგურების საფრთხის წინაშე იმყოფებოდნენ, ხოლო ბრიტანეთის მთელი სამხედრო ძლიერება ჩრდილოეთ ატლანტიკასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში კართან მომდგარ გერმანულ საფრთხესთან საბრძოლველად იყო თავმოყრილი. აზიაში ამერიკის ერთადერთი მოკავშირე – ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობა, რომელსაც თავი ჩუნცინის მთებში შეეფარებინა, მთლიანად მოწყდა გარე სამყაროს მას შემდეგ, რაც იაპონელებმა ინდოეთისაკენ ბირმის გავლით მიმავალი გზა გადაკეტეს.



მორეული აღმოსავლეთი და წყნარი ოკეანის რეგიონი, 1941-1945

წყნარ ოკეანეში ომის დაწყებისთანავე ცხადი იყო, რომ იაპონია დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ არსებობას სერიოზული საფრთხის ქვეშ ვერ დააყენებდა. ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვანდოეთის ოკეანის დამაკავშირებელი სასიციოცხლო საკომუნიკაციო ხაზი მნიშვნელობით ჩრდილოეთ ამერიკისკენ მიმავალმა ატლანტის ოკეანის საკომუნიკაციო ხაზმა შეცვალა, რომელიც მოკავშირეების სამხედრო-საზღვაო ბადრაგისა და ჰიტლერის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების წყალობით ღია რჩებოდა. ყველაზე ფანატიკურად განწყობილი იაპონელი სამხედრო მეთაურიც კი არ დაიჯერებდა, რომ იაპონიას თავისი სამხედრო ძალით წყნარი ოკეანის მიღმა ამერიკის დასავლეთ სანაპირომდე მიღწევა შეეძლო. მიუხედავად ამისა, ეს დაიჯერეს ამერიკის ამ ნაწილში მოღვაწე პოლიტიკოსებმა, რომლებმაც დაარწმუნეს რუზველტის ადმინისტრაცია კალიფორნიაში, ორეგონსა და ვაშინგტონში მცხოვრები 120 000 იაპონური წარმოშობის ამერიკელის ევაკუაციისა და პატიმრობაში მოქცევის აუცილებლობაში იმ მიზეზით, რომ ამ ადამიანებს იაპონელი დამპყრობლებისათვის მეხუთე კოლონის პოტენციური ღირებულება ჰქონდათ.

პერლ ჰარბორზე თავდასხმიდან მეორე დღეს, შეერთებული შტატების კონგრესმა ომი გამოუცხადა იაპონიას, რასაც მხოლოდ ერთმა კონგრესმენმა არ დაუჭირა მხარი.⁸ მალე იგივე გააკეთა დიდმა ბრიტანეთმაც. ნაცისტური გერმანია არ იყო ვალდებული იაპონიასთან მისი ალიანსის გამო რომ ჩართულიყო ომში, რომელიც იაპონიამ წამოიწყო და ჰიტლერსაც არავითარი სამხედრო გეგმა არ გააჩნდა შეერთებულ შტატებთან საომრად იმ დროს, როდესაც მისი არმია თითქმის სრულად დაკავებული იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წითელ არმიასთან ომით. ამის მიუხედავად, გერმანელმა დიქტატორმა საკუთარი მიზეზებით გადაწყვიტა სოლიდარობა გამოეცხადებინა იაპონელი მოკავშირეების მიმართ და 11 დეკემბერს რაიხსტაგს შეერთებული შტატების წინააღმდეგ ომის გამოცხადება უბრძანა. მის კვალს მალევე გაჰყვა გერმანიის მოკავშირე იტალიაც. ამერიკულმა და ბრიტანულმა მთავრობებმა გადაწყვიტეს, რომ მთავარი მოწინააღმდეგე გერმანია იყო და, უპირველეს ყოვლისა, მას უნდა გამკლავებოდნენ. „ევროპა უპირველეს ყოვლისა“ სტრატეგიის გამო წყნარი ოკეანის რეგიონმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ანგლოამერიკული სამხედრო ძალები გერმანიის დაბომბვის კამპანიას განაგრძობდნენ და ჰიტლერის მიერ ოკუპირებულ ევროპაზე ლა-მან-შიდან თავდასასხმელად ემზადებოდნენ, ხოლო საბჭოთა კავშირი, იაპონიასთან თავდაუსხმელობის პაქტის წყალობით, რუსეთის ევროპულ ნაწილში მთელი ძალებით გერმანიას ებრძოდა.


⁸ კონგრესმენი ჯანეტ რანკინი მონტანადან, პაციფისტი პოლიტიკოსი, ერთადერთი იყო (1917 წელსაც), რომელმაც მხარი არ დაუჭირა გერმანიის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას.

ამერიკული კონტრშეტევა წყნარ ოკეანეში

მზარდმა იაპონიის იმპერიამ თავის ზღვარს წყნარი ოკეანის ომის პირველივე წელს მიაღწია. 1942 წლის ივნისში იაპონიის ფლოტმა, ჰაეის დასავლეთით კუნძულ მიდუეის ხელში ჩასაგდებად, ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ძალებთან ბრძოლებში თავისი პირველი დიდი მარცხი განიცადა. 1942 წლის სექტემბრიდან 1943 წლის თებერვლამდე, იაპონიის ავსტრალიამდე მილნევის მცდელობები, რომელიც წყნარ ოკეანეში ანგლოამერიკული ოპერაციების მთავარ ბაზას წარმოადგენდა, ახალ გეინეასა და გუადალკანალზე წარმოებული სასტიკი ბრძოლებით იქნა შეჩერებული. იაპონიის წინააღმდეგ კონტრშეტევის ამერიკული სტრატეგია ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი მდგომარეობდა სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ ცენტრალური წყნარი ოკეანის კუნძულების სათითაოდ აღების კამპანიაში, რასაც წინ პერლ ჰარბორზე იაპონურ დაბომბვას გადარჩენილი ავიამზიდები გაუძღვებოდნენ. ამერიკული ფლოტი, ადმირალ ჩესტერ ნიმიცის მეთაურობით, ცენტრალური წყნარი ოკეანისკენ გაემართა მარშალის, მარიანისა და კაროლინის კუნძულებზე კონტროლის მოსაპოვებლად (ეს ის კუნძულებია, რომლებიც იაპონიამ ერთა ლიგის მანდატის სახით 1919 წლის სამშვიდობო კონფერენციაზე გერმანიისგან მიიღო და რომლებზეც მისი ბაზები იყო განლაგებული აღმოსავლეთით თავდასხმების განსახორციელებლად). სტრატეგიის მეორე ნაწილი, გენერალ დუგლას მაკარტურის მეთაურობით, ამერიკული არმიის ახალი გეინეის ჩრდილოეთი სანაპიროსაკენ და ფილიპინების მახლობლად მდებარე სხვა კუნძულებისაკენ გადაადგილებაში მდგომარეობდა. 1944 წლის ზაფხულისთვის დასავლეთისკენ დაძრულმა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებმა მარიანის კუნძულების კუნძულ საიპანს მიაღწიეს, საიდანაც, იმავე წლის შემოდგომაზე, სახმელეთო ბაზებიდან იაპონური ქალაქების პირველი დაბომბვა განხორციელდა. ოქტომბერში მაკარტურის ძალები ფილიპინების კუნძულ ლეიტეზე გადავიდნენ და თებერვალში მანილაც დაიბრუნეს. ამერიკული კონტრშეტევის ორი განშტოება ერთმანეთს აპრილში, კუნძულ ოკინავაზე შეუერთდა. ამასობაში, ევროპაში გერმანიის დამარცხებამ შესაძლებელი გახადა მოკავშირეების ჯარებისა და საბრძოლო მასალის გადმოსროლა წყნარ ოკეანეში, ხოლო ამერიკელებმა, იაპონური ქალაქების წინააღმდეგ ისტორიაში ყველაზე დიდი საჰაერო იერიშის განსახორციელებლად, ოკინავაზე განლაგებული სამხედრო ბაზა გამოიყენეს. 1945 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ამერიკის არმიის საჰაერო ძალების უზარმაზარი ბომბდამშენებით (ბ-29) განხორციელებულმა, ხმელეთსა და ავიამზიდებზე ბაზირებულმა, რეიდებმა იაპონიის სანაპიროსთან განლაგებული შეერთებული შტატების სამხედრო გემებიდან შეუფერხებლად განხორციელებულ საარტილერიო ცეცხლთან ერთად, გაანადგურა ან მწყობრიდან გამოიყვანა იაპონიის სამხე-

დრო-საზღვაო ფლოტი, ნელში გატეხა იაპონური მრეწველობა და იაპონიის კუნძულები გარედან მიწოდების წყაროებსა და სამხედრო ძალებს მოწყვიტა.

მიუხედავად იაპონელების მიერ ყველა ფრონტზე განცდილი მარცხისა, მათ თავგამოდებულ და მამაც ბრძოლას იშვიათად მოეპოვებოდა მაგალითი მსოფლიოს ომების ისტორიაში. მათი არაჩვეულებრივი საბრძოლო სულისკვეთება განსაკუთრებით დასავლეთ წყნარ ოკეანეში გამართულ ორ ბოლო, დიდ ბრძოლაში გამოჩნდა. პირველი ამ ბრძოლათაგანი მოხდა კუნძულ ივოჯიმაზე, რომელიც ტოკიოდან სამხრეთით, დაახლოებით ათას კილომეტრში მდებარეობს. ეს კუნძული ამერიკის სამხედრო სტრატეგების მთავარი სამიზნე იყო, რადგან იაპონელებს სწორედ აქ განლაგებული რადიოსადგურებიდან ეგზავნებოდათ სიგნალი მტრის ავიახომალდების მოახ-



სამი დიდი მეთაური პოტსდამში: უინსტონ ჩერჩილი, პარი ტრუმანი და იოსებ სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე შესვენების დროს, 1945 წლის ივლისში. რამდენიმე დღეში ჩერჩილი დაბრუნდა დიდ ბრიტანეთში, სადაც ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ პირველივე არჩევნებში დამარცხდა. იგი პრემიერის პოსტზე გამარჯვებულმა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა კლემენტ ეტილმ შეცვალა. ჩერჩილი, ტრუმანი და ჩინელი ლიდერი ჩან კაი-ში პოტსდამის დეკლარაციის მეშვეობით იაპონიას „სწრაფი და სრული განადგურებით“ დაემუქრნენ, თუკი ის კვლავ განაგრძობდა ბრძოლას.

ლოების შესახებ, რაც იაპონურ თავდაცვას მარიანის კუნძულების სამხედრო ბაზებიდან ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ განხორციელებული საჰაერო რეიდებისათვის წინასწარი მომზადების საშუალებას აძლევდა. კუნძულზე განლაგებულ 22 000 იაპონელ ჯარისკაცს ნაბრძანები ჰქონდა, რომ ამერიკული სამხედრო ძალებისათვის მაქსიმალური ზარალი მიეყენებინა, რათა ამ უკანასკნელს იაპონიის მთავარ კუნძულებზე თავდასხმა აღარ გაეხდებოდა. სამხედრო-საზღვაო არტილერიით განხორციელებული დაბომბვის შემდეგ, 1945 წლის 19 თებერვალს, შეერთებული შტატების 30 000 საზღვაო ქვეითი კუნძულზე გადავიდა და იაპონიის შეიარაღებულ ძალებთან სისხლიან კამპანიაში ჩაერთო, რომელიც 26 მარტს დასრულდა. შეერთებული შტატებისათვის მიყენებული ზიანი 25 000 სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა, რომელთაგან 7000 დაიღუპა. 22 000 იაპონელი ჯარისკაციდან მხოლოდ 1000 ჯარისკაცი აიყვანეს ტყვედ, დანარჩენი კი სამშობლოსა და იმპერატორისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

მეორე, გადამწყვეტი ბრძოლა დასავლეთ წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებებში, ამერიკელების მიერ იოჯიმას აღებიდან თითქმის ერთ კვირაში დაიწყო. ბრძოლა იაპონიის ცენტრალურ კუნძულ კიუსიუდან სამხრეთით, ტაივანის მიმართულებით, რიუკიუს კუნძულების კუნძულ ოკინავაზე გაიმართა. როგორც ზევით აღინიშნა, შეერთებული შტატები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ კუნძული ოკინავა, საიდანაც ისინი იაპონური ქალაქების წინააღმდეგ სტრატეგიული დაბომბვის კამპანიის წარმართვას შეძლებდნენ. შეერთებული შტატების არმიის 60 000-კაციან შენაერთს, რომელიც კუნძულზე 1-ელ აპრილს გადასხეს, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. 100 000-კაციანი იაპონური არმიის მეთაურმა თავისი ჯარი კუნძულის სანაპირო ზოლის გასწვრივ, მთების თხემზე მდებარე გამოქვაბულებსა და ტუნელებში განალაგა, საიდანაც იაპონელებს სასიკვდილო ბრძოლა უნდა გაემართათ ამერიკელთათვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად. ამასობაში, ასობით იაპონელმა თვითმკვლელმა პილოტმა (კამიკაძემ) იერიში მიიტანა 1300 ხომალდისგან შემდგარ ამერიკულ საზღვაო ფლოტზე, რომელიც კუნძულს, ქვეითი ჯარის დახმარების მიზნით, განუწყვეტილ ბომბავდა. შედეგად, 30 ამერიკული გემი ჩაიძირა და 164 დაზიანდა. გაშმაგებული ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, ივნისის მინურულს, ამერიკელებმა ბოლოსდაბოლოს მოიპოვეს გამარჯვება. ბრძოლაში 38 000 ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა და 12 000 დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა. იაპონიის მხრიდან ბრძოლას 100 000 ჯარისკაცი შეეწირა, მათ შორის რამდენიმე (ბრძოლის მეთაური გენერალიც) – რიტუალური თვითმკვლელობის გზით (ჰარაკირით).

იაპონური სამხედრო ძალების ფანატიკურმა მზადყოფნამ, დალუპულიყვნენ ორი პატარა კუნძულის დასაცავად და მათი დამარცხებისათვის ამერიკის არმიის მიერ განუღებდა მეტად მძიმე დანაკარგებმა, ვაშინგტონში

სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ივოჯიმასა და ოკინავას მსხვერპლის რაოდენობის გათვალისწინებით, ამერიკის ოფიციალური პირები შიშობდნენ იმ ამერიკელი ჯარისკაცების, სავარაუდოდ, მაღალი რიცხვის გამო, რომლებიც თავად იაპონიის კუნძულების დასაპყრობად უკვე დაგეგმილი საზღვაო დესანტისას დაილუპებოდნენ, თუკი იაპონიის მთავრობა დროულად არ გამოაცხადებდა კაპიტულაციას. ამასობაში, ტოკიოში გარკვეული ძალები უკვე ცდილობდნენ როგორმე დაესრულებინათ ომი, ვიდრე ამერიკელები იაპონიის სანაპიროებზე გადმოსხდებოდნენ. იმპერატორმა გააცნობიერა მარცხის გარდაუვალობა და ივნისში ქვეყნის უმაღლეს საბჭოს სთხოვა, დაკავშირებოდნენ მოკავშირეების მთავრობებს ზავის პირობების განსასაზღვრად. სამხედრო და საზღვაო ძალების ლიდერები უარს ამბობდნენ გარდაუვალი მარცხისა და მათი გრანდიოზული ოცნებების განუხორციელ-



იაპონელი ჯარისკაცი ხიროსიმაში, 1945 წლის 6 აგვისტოს, ატომური ბომბით ქალაქის სრული განადგურების შემდეგ: ბომბი, სახელწოდებით „პატარა ბიჭი“, ურანიუმ 232-ის გამოყენებით დამზადდა. ხიროსიმა ერთ-ერთი იმ ოთხ ქალაქთაგანი იყო, რომლებიც შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა შესაძლო სამიზნედ განსაზღვრა იმის გამო, რომ ეს ქალაქები ომისგან შედარებით ხელშეუხებელი გადარჩნენ და მათი ატომური დაბომბვა ახალი იარაღის დამანგრეველი ძალის საუკეთესო ილუსტრაცია იქნებოდა, ხოლო იაპონიის მთავრობას უპირობო კაპიტულაციისაკენ უბიძგებდა.

ებლობის აღიარებაზე: ისინი ამოდ ცდილობდნენ საბჭოთა შუამავლობის გზით მოეპოვებინათ პირობითი კაპიტულაცია, რაც მათ პრესტიჟისა და ავტორიტეტის შენარჩუნების საშუალებას მისცემდა. ამასობაში, იაპონიის ელიტის ნანილი სიფრთხილით ცდილობდა ომის დასრულებას ერთადერთი პირობით, რომ შენარჩუნებულიყო იმპერატორის ნომინალური ხელისუფლება. მაგრამ, შეერთებული შტატები მტკიცედ იმეორებდა იაპონიის უპირობო კაპიტულაციის მოთხოვნას, რომელიც 1943 წელს კასაბლანკასა და კაიროს კონფერენციებზე განისაზღვრა. ეს უპირობო კაპიტულაცია, ფორმალურად, 26 ივლისს, ე.წ. პოტსდამის დეკლარაციაში განისაზღვრა: იაპონიას უნდა ჩამორთმეოდა იმპერია და დარჩენილიყო სამხედრო ოკუპაციის ქვეშ, ვიდრე ის მშიდობისმოყვარე ქვეყნად არ გადაიქცეოდა. იმპერატორის მომავალი სტატუსი, იაპონელი ხალხისათვის მეტად ემოციური დატვირთვის მქონე ეს სიმბოლური საკითხი, კვლავ ორაზროვანი დარჩა. ორაზროვანი არ იყო უპირობო კაპიტულაციაზე იაპონიის უარის შედეგი: „სწრაფი და სრული განადგურება“.

ხიროსიმა, ნაგასაკი და ბირთვული ეპოქის დასაწყისი

იაპონიის მთავრობამ ულტიმატუმს ყურადღება არ მიაქცია, შესაძლოა, იმიტომ, რომ ასეთი მკაცრი მუქარის განცხადებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროის სამხედრო პროპაგანდისტების. იაპონიის სამხედრო და საზღვაო ძალების მმართველ ხელმძღვანელობას მტკიცედ ჰქონდა გადანყვებილი სისხლის ბოლო წვეთამდე ებრძოლათ საკუთრივ იაპონიის კუნძულების დასაცავად, ხოლო იაპონიის ხელმძღვანელობის შედარებით ზომიერი ნანილის პოზიცია სერიოზულად შეასუსტა პოტსდამის დეკლარაციის ტონმა. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა გადანყვითა იაპონიაზე გამოეცადა გამანადგურებელი იარაღი, რომელიც სრული საიდუმლოების პირობებში შექმნეს ამერიკელმა და ევროპელმა ემიგრანტმა მეცნიერებმა ომის მიმდინარეობისას. 6 აგვისტოს, პირველი ატომური ბომბი ხიროსიმაში – იაპონიის სიდიდით მერვე ქალაქში – ჩამოაგდეს. ქალაქში, რომელშიც 200 000 ადამიანი ცხოვრობდა, ატომური ბომბის აფეთქებას 70 000-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა, გაცილებით მეტის დასახიჩრება და უამრავი სახლისა და სამრეწველო ნაგებობის განადგურება მოჰყვა. სამი დღის შემდეგ, მეორე ატომური ბომბი ნაგასაკიზე ჩამოაგდეს, რასაც მსგავსი შედეგები მოჰყვა. ამასობაში, საბჭოთა კავშირმა, გერმანიასთან ომის დასრულებიდან სამი თვის განმავლობაში, შორეული აღმოსავლეთის საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის თაობაზე, იალტის კონფერენციაზე მიცემული პირობის შესაბამისად, იაპონიას ომი გამოუცხადა და სამხედრო ძალები იაპონიის მიერ ოკუპირებულ მანჯურიამი გაგზავნა.

ორი იაპონური ქალაქის დაბომბვას, გერმანიის ქალაქების საჰაერო დაბომბვებისა და ტოკიოს ადრეული დაბომბვისგან განსხვავებით, იაპონიის სამოქალაქო და სამხედრო სულისკვეთებაზე გამანადგურებელი შედეგი ჰქონდა. წყნარ ოკეანეში საომარი მოქმედებების დაწყებიდან პირველად იაპონიის მმართველმა ელიტამ გააცნობიერა, რომ ომი დაუყოვნებლივ უნდა დასრულებულიყო. ამ შემადრწუნებელი მოვლენებით თავზარდაცემულმა იმპერატორმა ჰიროჰიტომ, ბოლოსდაბოლოს, ხელში აიღო ძალაუფლება, რისგანაც მანამდე თავს იკავებდა, და უმალღეს საბჭოში ჩიხში შესული ვითარება 10 აგვისტოს, პოტსდამის დეკლარაციის საფუძველზე, კაპიტულაციისათვის ხმის მიცემით გაარღვია. კაპიტულაციის ერთადერთი პირობა იაპონიის მხრიდან იმპერატორისათვის ტახტისა და მისი, როგორც იაპონელი ხალხის ლიდერის, ნომინალური ტიტულის შენარჩუნება იყო. ამ თვალსაზრისით ამერიკული მხარისგან გარანტიების მიღების შემდეგ, იაპონიის მთავრობა 15 აგვისტოს დასთანხმდა კაპიტულაციის შემოთავაზებულ პირობებს და 2 სექტემბერს ფორმალურად ჩაბარდა გენერალ მაკარტურს ტოკიოს ყურეში ამერიკულ სამხედრო გემ „მისურიზე“.

პრეზიდენტ ტრუმანის გადაწყვეტილებით, 1945 წლის აგვისტოში იაპონიაში ორი ატომური ბომბის ჩამოგდების შემდეგ, მსოფლიოში ბირთვული ეპოქა დაიწყო. ეს იყო ბირთვული იარაღის გამოყენების პირველი და, ჯერ-ჯერობით, ერთადერთი შემთხვევა. საკითხი, გამოიწვევდა თუ არა ამგვარი იარაღის ხელმოსაწვდომობა თავისთავად მის გამოყენებასაც, ვაშინგტონის ოფიციალურ პირებს შორის არასოდეს დასმულა 1942 წლის აგვისტოდან, როდესაც 2-მილიარდიანი ღირებულების ბირთვული იარაღის კვლევის პროგრამა დაიწყო (ე.წ. მანჰეტენის პროექტი), 1945 წლის 16 ივლისამდე, როდესაც ნიუ მექსიკოს უდაბნოში წარმატებით განხორციელდა პირველი ბირთვული აფეთქება. ტრუმანი გაფრთხილებული იყო მისი სამხედრო მრჩევლების მიერ, რომ საზღვაო დესანტი იაპონიის კუნძულებზე ამერიკის არმიაში ათასობით ჯარისკაცის დაღუპვას და ომის კიდევ ექვსი თვით გახანგრძლივებას გამოიწვევდა. კონფლიქტის დაუყოვნებლივ და ამერიკელი ჯარისკაცების დაღუპვის გარეშე დასრულების ცდუნებამ სძლია იმ მორალურ შეხედულებებს, რომელიც ამერიკელ პოლიტიკოსებს ამ ტიპის იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლებოდა ჰქონოდათ. ასეა თუ ისე, საჰაერო დაბომბვებით სამოქალაქო მოსახლეობის განურჩეველი ხოცვა ომის წარმოების მისაღებ ფორმად იქცა მეორე მსოფლიო ომის დროს. დრეზდენისა და ტოკიოს საჰაერო დაბომბვებისას უფრო მეტი ხალხი დაიღუპა, ვიდრე ხიროსიმაში ან ნაგასაკიზე.

ტრუმანის გადაწყვეტილების კრიტიკოსები მოგვიანებით აცხადებდნენ, რომ იმავე მიზნის მიღწევა სადმე დაუსახლებელ ადგილას, ბირთვული იარაღის იაპონელი დამკვირვებლების თანდასწრებით, სადემონსტრაციო

გამოცდის გზითაც იქნებოდა შესაძლებელი. ტრუმანის გადანყვეტილები და მცველები კი მათ რამდენიმე ფაქტორს ახსენებენ, კერძოდ: 1) მეცნიერები, რომლებმაც ატომური ბომბი შექმნეს, გარანტიას არ იძლეოდნენ, რომ ბომბი მართლაც აფეთქდებოდა და 2) მაშინ, როდესაც ნაგასაკიზე ბომბი ჩამოაგდეს, მეორე მსგავსი ბომბი ჯერ დამზადებული არ იყო. უვარგისი და აუფეთქებელი ბომბის რეკლამირება კი, მათივე მოსაზრებით, სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ამერიკული სამხედრო ძალის რეპუტაციას, გააძლიერებდა იაპონიის წინააღმდეგობას და, შესაბამისად, გამოიწვევდა ომის გაჭიანურებას. თავსდატყვილი ნგრევის გარეშე აზიური ომის დასრულებისათვის სადემონსტრაციო ბირთვული ტესტის შედეგებზე ამ ჰიპოთეზური უთანხმოებების მიღმა, ერთი რამ ცხადია: იაპონიის კაპიტულაცია უზრუნველყოფილი იქნებოდა ყოვლისმომცველი საზღვაო ბლოკადისა და ქვეყნის შიდასატრანსპორტო ქსელის დაბომბვით. ეს იაპონურ მოსახლეობას სურსათისა და სანავის გარეშე დატოვებდა, რასაც, რამდენიმე თვეში კაპიტულაციაც მოჰყვებოდა.

მაგრამ, ორი-სამი თვის შემდეგ შეერთებული შტატები, შესაძლოა, იძულებული გამხდარიყო, როგორც ეს ევროპაში მოხდა, იაპონიის მარცხის შედეგად დატოვებული ძალაუფლების ვაკუუმის შევსებასთან დაკავშირებული პრეროგატივის საბჭოთა კავშირთან გაზიარებას დასთანხმებოდა. ომის ბოლო დღეებში ნითელი არმია მანჯურიაში შეიჭრა, დაიბრყო კორეა 38-ე პარალელამდე და კურილიის კუნძულებისა და სახალინის სამხრეთის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვისათვის სტალინის მიერ წამოყენებული პირობები მოიცავდა ყველა იმ ტერიტორიის დაბრუნებასა და პრივილეგიის აღდგენას, რომელიც რუსეთს 1905 წელს იაპონიასთან ომში დამარცხებისას ჩამოერთვა.

ამრიგად, იაპონურ კუნძულებზე მსხვერპლმრავალი ინტერვენციის გარეშე მისთვის კაპიტულაციის იძულების აშკარა სამხედრო უპირატესობების გარდა, შესაძლოა, ზემოხსენებულ დიპლომატიურ ფაქტორსაც გაემყარებინა შეერთებული შტატების მთავრობის გადანყვეტილება, ნიუ მექსიკოში 1945 წლის ივლისში ახლადშექმნილი იარაღის წარმატებული გამოცდისთანავე გამოეყენებინა ის მტრის წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირე რუსეთს შორის დიპლომატიური განევ-გამონევა მსოფლიოს პოლიტიკური რეორგანიზაციის შესახებ, უკვე დაწყებული იყო. პოტსდამის კონფერენციისას იარაღის წარმატებით გამოცდის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ტრუმანმა აცნობა სტალინს, რომ შეერთებული შტატები უკვე ფლობდა „უჩვეულოდ დამანგრეველი ძალის“ მქონე ახალ იარაღს, რაც უკვე ცნობილი იყო საბჭოთა ლიდერისათვის მისი ჯაშუშური ქსელის მეშვეობით. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ტრუმანს ახალი ატომური იარაღის დემონსტრირება იაპონიაში სასწრაფოდ იმიტომ სურდა, რომ ამით დაეშინე-

ბინა საბჭოთა კავშირი მისგან შესაბამისი პოლიტიკური დათმობების მისაღებად და, ამასთანავე, დაესრულებინა ომი შორეულ აღმოსავლეთში, სანამ ამ გამარჯვების მონაწილე რუსეთიც გახდებოდა და, შესაბამისად, იაპონიის სამხედრო ოკუპაციაში ჩართვასაც მოითხოვდა.

დამარცხებულ გერმანიაში შექმნილი ვითარებისგან განსხვავებით, კაპიტულირებულ იაპონიაში შეერთებული შტატების პირველობას არავინ ეცილებოდა. 28 აგვისტოდან მოყოლებული, ამერიკული ჯარები იაპონიის კუნძულებზე შევიდნენ, დაიკავეს ქვეყნის მთავარი ქალაქები და მის განიარაღებაზე ზედამხედველობას შეუდგნენ. 2 სექტემბერს, ფორმალური კაპიტულაციის შედეგად, უმაღლესი ძალაუფლება მოკავშირეების სახელით გენერალ დუგლას მაკარტურს გადაეცა. რუსეთს უარი ეთქვა მის მიერ დაკავებული სახალინის კუნძულიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარე კუნძულ პოკაიდოს ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაციაში მონაწილეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები თითქოს გამარჯვებული კოალიციის სახელით მოქმედებდა, მან თავიდანვე განაცხადა, რომ იაპონიის ოკუპაციას ომისდროინდელი მოკავშირეების გარეშე განახორციელებდა და ისე მართავდა მას, როგორც ერთ პოლიტიკურ ერთეულს. საბჭოთა-ამერიკულ გამგებულ დაეებს ომისშემდგომი გერმანიის პოლიტიკური მომავლის შესახებ, იაპონიის შემთხვევაში ადგილი აღარ ექნებოდა: დასავლეთ წყნარ ოკეანეში შეერთებული შტატების უდიდესი საჰაერო და სამხედრო-საზღვაო უპირატესობა საშუალებას აძლევდა ვაშინგტონს, ტოკიოში თავისი ძლევამოსილი პროკონსულის მეშვეობით, ამ ქვეყანაში უდავო პირველობით ესარგებლა.

ნანილი მერა

ცივი ომი ზესახელმწიფოებს
შორის (1945-1985)



ბიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება ტრუმან-სტალინის ეპოქაში (1945-1953)



მესამე რაიხის დაცემისთანავე, გამარჯვებული არმიები ერთმანეთს ესაღმებთან. ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ჯარისკაცი, რომელიც მდინარე ელბაზე, ბერლინიდან ასი კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ ტორგაუში, 1945 წლის 25 აპრილს საბჭოთა ჯარებს შეხვდა, ამ მოვლენის გამომსახველი პლაკატის წინ ხელახლა იმეორებს აღნიშნულ შეხვედრას. ორივე სამხედრო ძალის ჯარისკაცები გულლიად გამოხატავენ გამარჯვებას, მაშინ, როცა მათი პოლიტიკური ლიდერები ვაშინგტონსა და მოსკოვში უკვე არაერთი საკითხის ირგვლივ დაეობენ.

თავის შინაარსი
პოლიტიკური განხილვები ევროპაში
ზუსტად მონიშნული კონსტიტუციური პერიოდები
შედეგების პოლიტიკა
დასაქმების ხელახალი შეიარაღება

პოლიტიკური განხილვები ევროპაში

გამარჯვებული არმიები ერთმანეთს გერმანიაში ხვდებიან

1945 წლის 25 აპრილს, როდესაც საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების არმიები ერთმანეთს მდინარე ელბასთან შეხვდნენ, მომავალი გამარჯვებითა და მშვიდობით გამოწვეულმა ალტკინებამ დროებით გადაფარა მათ მთავრობებს შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოებები, რომელმაც, ორთვენახევრით ადრე, ყირიმში გამართულ კონფერენციაზე იჩინა თავი. ერთი კვირის შემდეგ გავრცელდა ხმა ჰიტლერის თვითმკვლელობისა და იტალიასა და ავსტრიაში გერმანული არმიების კაპიტულაციის შესახებ. 7 მაისს გერმანიის ფორმალურმა კაპიტულაციამ დაადასტურა ის, რაც თვეების განმავლობაში უკვე კარგად იყო ცნობილი: ევროპაში ნაცისტური იმპერიის კრაზი. იმის მიუხედავად, რომ მდინარე ელბის სანაპიროზე და სხვა გათავისუფლებულ რეგიონებში დაბანაკებული ამერიკელი ჯარისკაცები, იაპონიის სამხედრო ძალების წინააღმდეგ საბოლოოდ გასალაშქრებლად, შორეულ აღმოსავლეთში გადასროლას ელოდნენ, ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი სამხედრო დაპირისპირების დასასრული უკვე ახლოს იყო.

ამერიკელი დარუსი სამხედრო ძალების შეხვედრას ევროპის განადგურებული კონტინენტის ცენტრში, 1945 წლის გაზაფხულზე, კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ გერმანიის დამარცხების კუთხით, არამედ, ზოგადად, მსოფლიოს მომავლისთვისაც. ევროპაში გამარჯვებით მოგვრილ საყოველთაო შვებასთან ერთად, ჰიტლერის მესამე რაიხის წინააღმდეგ ომის დასრულებასთან დაკავშირებული რამდენიმე უხერხული გარემოება ომის შემდგომი მშვიდობის დამყარებისათვის ხელშემშლელ ვითარებას ქმნიდა.

ომის შემდგომ რეალობას, უპირველეს ყოვლისა, გერმანული სახელმწიფოს დეზინტეგრაციისა და მისი სამხედრო სტრუქტურის დანგრევის შემდეგ, ცენტრალურ ევროპაში პოლიტიკური ხელისუფლებისა და სამხედრო ძალის დეფიციტი ახასიათებდა. ეს ვითარება თავიდანვე განაპირობა მოკავშირეების გადანყვებილებამ დამარცხებული გერმანიის სრული და უპირობო კაპიტულაციის შესახებ, რაც გერმანული პოლიტიკური და სამხედრო ინსტი-

ტუტების სრულ და დაუყოვნებლივ განადგურებას გულისხმობდა. ევროპაში ნაცისტური ოკუპაციის უპრეცედენტო სისასტიკიის გამო, გამარჯვებულ კოალიციას სურდა ევროპაში გერმანიის ძალისათვის ერთხელ და სამუდამოდ მოელო ბოლო. ჰიტლერის წინააღმდეგ ომმა საზარელი ბოროტების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ხასიათი შეიძინა. ეს ბოროტება უნდა დამარცხებულიყო და შემდეგ ძირფესვიანად ამოძირკველიყო კაცობრიობის საკეთილდღეოდ. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისას, ვუდრო უილსონის გამორჩევითი პოლიტიკისგან განსხვავებით, ფრანკლინ რუზველტმა უარი განაცხადა მტრული სახელმწიფოს მიუღებელი რეჟიმისა და მას დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობის ერთმანეთისგან განსხვავებაზე. ფიურერი განიხილებოდა, უბრალოდ, როგორც გერმანელი ხალხის წარმომადგენელი, რომელთა ინსტიტუტური მიდრეკილება აგრესიისადმი უფლებას აღარ აძლევდა მათ, მონაწილეობა მიეღოთ ევროპის ომის შემდგომ ორგანიზებაში. მოკავშირეების მიერ გერმანიის ადმინისტრაციული და სამხედრო აპარატის დაშლამ, რასაც გერმანიის მემკვიდრე რეჟიმის სწრაფი აღდგენის მხარდაჭერაზე მათი უარიც მოჰყვა, ცენტრალურ ევროპაში წარმოქმნა ვაკუუმი, რომელზეც ჩერჩილი ჯერ კიდევ იალტამდე საუბრობდა. ეს ვაკუუმი კი აუცილებლად შეივსებოდა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალი იმ გამარჯვებული არმიებით, რომლებიც, 1945 წლის გაზაფხულზე ევროპის კონტინენტის შუაგულში შეხვდნენ ერთმანეთს.

ამრიგად, გათავისუფლებული ევროპის დასავლეთისა და საბჭოთა გავლენის სფეროებად არაფორმალურ გაყოფას, გერმანიის დამარცხების მომენტში შექმნილი სამხედრო ვითარებაც კარნახობდა. ამ ორივე ზონიდან თითოეულმა ის პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკა და საგარეო პოლიტიკა განავითარა, რომელიც მათი განმათავისუფლებლის ნება-სურვილს შეესაბამებოდა. საფრანგეთმა, ბელგიამ, საბერძნეთმა და იტალიამ, მიუხედავად ამ ქვეყნებში ძლიერი კომუნისტური მოძრაობების არსებობისა, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს გერმანული ოკუპაციისადმი წინააღმდეგობაში, საპარლამენტო სისტემები და კაპიტალისტური ეკონომიკური სტრუქტურები აღადგინეს, ხოლო მათი საგარეო პოლიტიკა ომის შემდგომი მსოფლიოს ანგლოამერიკულ ხედვებს მიესადაგა. კონტინენტის აღმოსავლეთში მდებარე სახელმწიფოებმა, კომუნიზმის მიმართ ისტორიული მტრობისა და რუსეთისადმი ნაციონალისტური ანტიპათიის მიუხედავად, საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელები მოირგეს და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართ მხარდაჭერაც გამოხატეს, და ეს ყველაფერი, საბჭოთა საოკუპაციო არმიისა და ადგილობრივი სამოქალაქო კოლაბორაციონისტების ზედამხედველობის ქვეშ.

საბჭოთა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში

ევროპის ეს იდეოლოგიური გახლეჩა ერთ დღეში არ მომხდარა. ომიდან რამდენიმე წლის განმავლობაში, საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში არაკომუნისტურ პარტიებს რამდენიმე წლით მოქმედების, ხოლო არაკომუნისტური პარტიების ლიდერებს კი აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის კოალიციურ მთავრობებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. შესაბამისად, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის კომუნისტურ პარტიებს არა მხოლოდ არსებობის უფლება, არამედ კოალიციურ მთავრობებში მინისტრების პოსტების დაკავების უფლებაც კი ჰქონდათ. თუმცა, ომისშემდგომი ევროპისათვის ერთმა, აშკარად დამახასიათებელმა ნიშანმა საბოლოოდ მაინც გამოიწვია კონტინენტის გაყოფა სახელმწიფოთა ორ, ანტაგონისტურად განწყობილ ბლოკად, რომელთაგან თითოეული იმ ზესახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული, რომლის სამხედრო ძალის მეშვეობითაც მოხდა მისი გათავისუფლება გერმანიის მმართველობისგან: საბჭოთა მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადამწყვეტილი შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე მორჩილი ქვეყნების შემოკრება იმ დაპყრობითი მარშრუტის გასწვრივ, რომლის გავლითაც მოთარეშე არმიებმა ორჯერ ჩააღნიეს რუსეთის შუაგულში, რაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ამ ქვეყანაში 1945 წელს მცხოვრებ ადამიანებს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სტალინის დაჟინებულ სურვილს, რუსეთის დასავლეთის საზღვრის უსაფრთხოების გასამყარებლად ფინეთის, პოლონეთის და რუმინეთის სახით სასაზღვრო სიმაგრეების შექმნაზე, დასავლეთის ქვეყნების უკმაყოფილებანარევი თანხმობა მოჰყვა. მოგვიანებით, კრემლმა, აღმოსავლეთ ევროპაში დისლოცირებული წითელი არმიით ზურგგამაგრებული პოლიტიკური დაშინების გზით, პროსაბჭოთა რეჟიმების ხელშეწყობა განაგრძო იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლადდამყარებული საზღვრების მიღმა მდებარეობდნენ, რასაც ვაშინგტონის მხრიდან დაუყოვნებელი წინააღმდეგობა მოჰყვა. ამ პერიოდში ტრუმანის ადმინისტრაციის პოლიტიკოსთა სტრატეგიულმა ხედვამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ამერიკის ოფიციალურმა პირებმა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენების განხილვა ისტორიული პრეცედენტისა და გეოგრაფიულ კონტექსტში დაიწყეს. დიდი ბრიტანეთი და, დაგვიანებით, შეერთებული შტატები ორჯერ ჩაერთვნენ მეოცე საუკუნის ევროპულ ომებში, გერმანიის მიერ დარღვეული ძალთა წონასწორობის აღსადგენად. გერმანიის ძალაუფლების დროებით განადგურებას, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ერთი წლით წინ უსწრებდა რუსეთის ძალაუფლების დროებითი გაუჩინარებაც. გერმანიისა და რუსეთის ერთდროულად დასუსტებამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ორივე, პოტენციურად ძლიერი, მეზობლისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალება მისცა, რაშიც მათ საფრანგეთი უჭერდა მხარს. ამის შემდეგ ევროპაში გერ-

მანიის ჰეგემონიის დამყარების პიტლერისეული მცდელობები კვლავ გერმანიის ძალაუფლების სრული განადგურებით დასრულდა, თუმცა, ამჯერად, რუსულმა ძალამ აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო ვაკუუმი შეავსო, რადგან კონტინენტის დასავლეთ ნაწილში არცერთი ქვეყანა ან კოალიცია არ იყო საკმარისად ძლიერი, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის ეს ძალა დაებალანსებინა. ამერიკის ახალი პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის მრჩეველების ხედვებში ევროპელი სტრატეგებისა და პოლიტიკოსებისათვის ასე კარგად ნაცნობმა გეოპოლიტიკურმა რეალიზმმა თანდათან რუზველტის უილსონისეული ოცნებები ჩაანაცვლა: რუსეთი გამალებულად უქვემდებარებდა საკუთარ კონტროლს ევრაზიის შუაგულს. ევროპის დასავლეთში მდებარე ქვეყნების სამხედრო გამოფიტულობა და ეკონომიკური გაჭირვება ამ ქვეყნებსაც საბჭოთა ბატონობის საფრთხის ქვეშ აყენებდა. რუსეთის მიერ კონტროლირებად კონტინენტურ იმპერიას, რომელიც იაპონიის ზღვიდან ატლანტის ოკეანემდე და არქტიკიდან ეგეოსის ზღვამდე გადაჭიმულიყო, უკეთესი პოზიცია ეკავა მსოფლიო ბატონობისთვის შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, ვიდრე ნაცისტურ გერმანიას მისი ძალაუფლების ზენიტში. ის, რაც, შესაძლოა, სტალინის მორჩილი ბუფერული სახელმწიფოების შექმნის გზით რუსეთის დაუცველი საზღვრების გამაგრების ლეგიტიმურ მცდელობად მიაჩნდა, ვაშინგტონში რუსეთის მიერ მსოფლიო ჰეგემონიისაკენ გადადგმულ ნაბიჯებად აღიქმებოდა. გეოპოლიტიკის თეორეტიკოს მაკინდერის ავისმომასწავებელი წინასწარმეტყველება მწარე რეალობად იქცა მათთვის, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ ომის დამთავრება მშვიდობასა და უსაფრთხოებას მოიტანდა: „ის, ვინც აღმოსავლეთ ევროპას მართავს, ის ევრაზიის შუაგულს (ჰარტლენდს, მთარგ.) განაგებს; ვინც ევრაზიის შუაგულს (ჰარტლენდს) მართავს, ის მსოფლიო კუნძულს (ევრაზიასა და აფრიკას, მთარგ.) განაგებს; ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, ის მსოფლიოს განაგებს“.

ვაშინგტონის რეაქცია

რუსეთის ჰეგემონია ახლო აღმოსავლეთის ხელახლა შექმნილ სახელმწიფოებზე შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ერთადერთმა სახელმწიფომ, რომელსაც ამის შეჩერება შეეძლო, ევროპიდან სამხედრო ძალები გაიყვანა. გერმანიის კაპიტულაციის მომენტში შეერთებული შტატების სამხედრო ძალები 12 მილიონს აჭარბებდა. 1947 წლისათვის კი, საყოველთაო-სამხედრო სამსახურის გაუქმებისა და პროფესიული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად, მათი რაოდენობა 1.4 მილიონამდე შემცირდა. ამერიკის სამხედრო დემობილიზაცია და მისი სამხედრო მრეწველობის შემცირება იმ დროს მოხდა, როდესაც საბჭოთა კავშირმა 4-მილიონიანი, ომგამოვლილი, გამობრძმედილი არმია და შეიარაღების უზარმაზარი არსენალი, რომლის



ახალი მსოფლიო ნესრიგისათვის საფუძვლის ჩაყრა: 1944 წლის 7 ოქტომბერს ვაშინგტონში, დამბარტონ ოუკსის სასახლეში ამერიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა, რომელზეც ახალი, „ერთა ლიგის“ შემცველი საერთაშორისო ორგანიზაციის ნუსდების პროექტი შემუშავდა. მათ ტერმინი „გაერთიანებული ერები“ პრეზიდენტ რუზველტისგან აიღეს, რომელმაც ამ ტერმინით გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნები მოიხსენია. დამბარტონ ოუკსის ნუსდების პროექტმა საფუძველი დაუდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას, რომელიც 1945 წლის ზაფხულში სან ფრანცისკოს კონფერენციაზე მიიღეს.

სამუალებითაც მან გერმანიის არმია მოსკოვიდან ბერლინამდე გააბრუნა, ხელუხლებლად დატოვა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ევროპიდან ამერიკული სამხედრო ძალების გაყვანის მიზეზების დადგენა რთული არაა. ამერიკის მოსახლეობას, რომელიც მშვიდობიანობის დროს მცირერიცხოვან მოხალისეთა არმიებს იყო მიჩვეული, არ სურდა ომის დასრულების შემდეგ ევროპაში ამერიკული სამხედრო ძალების დატოვება, გარდა იმ სიმბოლური რაოდენობისა, რომელიც გერმანიისა და ავსტრიის შესაბამისი ზონების ოკუპაციისათვის იყო საჭირო. შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის მიზანი ნაცისტური რეჟიმის დამარცხება და კონტინენტის გერმანული სამხედრო ძალისგან გათავისუფლება იყო. ამ ორი მიზნის მიღწევის შემდეგ, მხოლოდ დარწმუნების ზედადამიანური უნარის მქონე მთავრობას შეეძლო ომისგან დაღლილი ამერიკელების იძულება, რომ კვლავ ევროპაში დიდი არმიის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ უზარმაზარ ხარჯებსა და არაერთ სირთულეს შეგუებოდნენ; თანაც ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნის სამხედრო

ძალების დასაბალანსებლად, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელ პარტნიორად მიიჩნეოდა.

ამერიკელი „ბიჭების სახლში დაბრუნების“ სურვილი, რომელიც როგორც კონგრესში არსებულ განწყობაზე, ასევე ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში აისახა, ზუსტად შეესაბამებოდა ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის რუზველტისეულ გეგმას. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის სამხედრო ძალების მთავარსარდალი იზიარებდა პირველი მსოფლიო ომის დროს მისი წინამორბედის ოპტიმისტურ მოლოდინს იმის შესახებ, რომ გერმანიის დამარცხება საფუძველს ჩაუყრიდა ახალ ეპოქას, რომელშიც საერთაშორისო შერიგება, როგორც მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების საშუალება, ძალთა ბალანსის პოლიტიკას ჩაანაცვლებდა. დამბარტონ ოუკსის კონფერენციაზე, 1944 წლის შემოდგომაზე, ამერიკის, ბრიტანეთისა და რუსეთის წარმომადგენლების მიერ მოფიქრებული და 1945 წლის აპრილ-ივნისში 55 სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ფორმალურად დაარსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიზანი დისკრედიტებული ერთა ლიგის ჩანაცვლება და ამ უკანასკნელის კეთილშობილური მიზნების უფრო ეფექტური საშუალებებით მიღწევა იყო. ვინაიდან, როგორც შეერთებულ შტატები და საბჭოთა კავშირი, ასევე დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი მუდმივი წევრობის უფლებით სარგებლობდნენ ორგანიზაციის გადარსებითების მიმღებ მთავარ ორგანოში – უშიშროების საბჭოში – საყოველთაოდ გავრცელებული იყო ვარაუდი, რომ მსოფლიოს ომის შემდგომი მოწყობის თაობაზე დიდ სახელმწიფოებს შორის ნამოჭრილი უთანხმოებების მოგვარება შესაძლებელი გახდებოდა მეგობრულად, გაეროს ფარგლებში, ძალის პოლიტიკისა და რეგიონული ალიანსების სისტემების გარეშე, რომელთაც ბოლო წლებში სერიოზული დისკრედიტაცია განიცადეს.

გარდა ამისა, ომის დასრულებისთანავე ბირთვულ იარაღზე ამერიკის მონოპოლიამ კიდევ უფრო გააღრმავა შეერთებულ შტატებში საგარეო აგრესიისაგან დაცულობის ტრადიციული განცდა, რაც დიდი ხნის განმავლობაში ამ ქვეყნის იზოლაციონიზმის პოლიტიკისადმი მიდრეკილების მთავარი წყარო იყო. შეერთებული შტატები ორ მსოფლიო ომში იმ ვარაუდით ჩაერთო, რომ მთელი ევროპის ერთ ქვეყანას დამორჩილება და მისი რესურსებისა თუ ატლანტიკური ბაზების ერთი ქვეყნის კონტროლს დაქვემდებარება დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოებისათვის დაუშვებელ საფრთხეს წარმოადგენდა. ხიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, შეერთებულ შტატებს შეეძლო გამანადგურებელი დარტყმა განეხორციელებინა ნებისმიერი პოტენციური აგრესორის დიდ ქალაქებზე – მისი საკუთარი ტერიტორიის მიმართ ბირთვული საპასუხო დარტყმის რისკის გარეშე, რაც ამერიკას იმაზე მაღალი დაცვის ხარისხს ანიჭებდა, ვიდრე ატლანტის ოკეანეს ოდესმე მიუნიჭებია მისთვის. ეს სტრატეგიული ყოვლისშემძლეობა

ამერიკელებს არ უქმნიდა საფრთხის იმ განცდას, რომელიც, ომის დასრულებიდან ასეთ მოკლე დროში, საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი სამხედრო ვალდებულებების აღებისათვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყო აუცილებელი. ამასთანავე, წითელი არმიის მიერ გათავისუფლებულ აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა დომინირებაზე რუზველტის მიერ მიცემული არაოფიციალური თანხმობის ფონზე, ახალ ადმინისტრაციას საკმარისი საფუძველი აღარ ჰქონდა, წინ აღდგომოდა კრემლის მიერ საკუთარი პრეროგატივის განხორციელებას, გარდა უკმაყოფილების უწყინარი გამოხატვისა, შესაბამისი ქვეყნების მოსახლეობების უფლებათა გარდაუვალი დარღვევების გამო.

ზესახელმწიფოების კონფლიქტები პერიფერიებზე

ირანის კრიზისი

ტრუმანის ადმინისტრაცია საბჭოთა ექსპანსიას ძლიერ წინააღმდეგობას მხოლოდ მაშინ უწევდა, როდესაც ეს ექსპანსია გავლენათა სფეროების იმ საზღვრებს სცდებოდა, რომლებიც ომისდროინდელ კონფერენციებზე მოკავშირეების მიერ არაფორმალურად განისაზღვრა. 1946-1947 წლებში ევრაზიის სამხრეთ ნაწილში განვითარებული მოვლენები დასავლეთის ლიდერებმა აღიქვეს, როგორც საბჭოთა კავშირის კარგად კოორდინირებული ძალისხმევა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ტრადიციული მიზნის მისაღწევად: კერძოდ, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და სპარსეთის ყურეში ექსპანსიის მცდელობად – რეგიონში, რომელიც, ტრადიციულად, ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოების პირველი კონფრონტაცია ირანთან დაკავშირებით მოხდა. ირანის სტრატეგიულმა მდებარეობამ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ის რუსეთსა და ბრიტანეთს შორის მეტოქეობის საგნად აქცია. როგორც ვნახეთ, ამ ორმა იმპერიულმა სახელმწიფომ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ქვეყანა გავლენის ორ სფეროდ გაინაწილა. ცარისტული რეჟიმის დამხობას და ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლას, ირანში რუსეთის გავლენის დროებითი შემცირება მოჰყვა. დიდი ბრიტანეთი კი ირანში ცოტა ხნით ადრე აღმოჩენილი ნავთობის დიდი მარაგის ექსპლუატაციას შეუდგა და თეირანის მთავრობაზე პოლიტიკური გავლენის დამყარებასაც შეეცადა. 1941 წლის აგვისტოში, როდესაც ჰიტლერის არმია ღრმად შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რუსეთისა და ბრიტანეთის არმიები ერთდროულად შევიდნენ ირანში და, თანდათან, უფრო პროგრესმანულოდ განწყობილი რეზა შაჰი შედარებით მორჩილი მთავრობით ჩაანაცვლეს, რომელსაც სათავეში ნომინალურად რეზა შაჰის ახალგაზრდა ვაჟი მოჰამედ რეზა ფეჰლევი ჩაუყენეს. 1942 წლის 29 იანვარს დადებული



ირანელები 1953 წლის ზაფხულში თავიანთ შევინრობულ ლიდერს იცავენ: ირანელ დემონსტრანტებს, მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით, პრემიერმინისტრ მოჰამედ მოსადეყის დიდი პორტრეტი უკავიათ. ამ უკანასკნელმა, ანგლოირანული ნავთობკომპანიის (რომელსაც, მოგვიანებით, ბრიტიშ პეტროლიუმი ეწოდა) ნაციონალიზების გამო, დიდი ბრიტანეთი გადაიკიდა მტრად, ხოლო თუდესთან (ირანის კომუნისტური პარტია) გულითადი ურთიერთობების გაბმით კი – შეერთებული შტატები. მოსადეყი 19 აგვისტოს, შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, დაამხეს, რის შემდეგაც ხელისუფლებას პროამერიკული შაჰი დაუბრუნდა.

ბრიტანულ-რუსულ-ირანული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის ჯარები ჩრდილოეთ ირანში განლაგდნენ, ხოლო ბრიტანეთის არმიის ნაწილები – სამხრეთ ირანში. მათი მიზანი სპარსეთის ყურიდან რუსეთის საზღვრამდე მიმავალი იმ გზის დაცვა იყო, რომლითაც ბრიტანული და ამერიკული იარაღი საბჭოთა კავშირში გადაჰქონდათ. ორივე საოკუპაციო ჯარს და ამერიკულ კონტინგენტს, რომელიც ბრიტანეთის არმიის ნაწილებს სამხრეთში მოგვიანებით შეუერთდა, ომის დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ ირანი. გერმანიის კაპიტულაციიდან რამდენიმე თვეში, საბჭოთა კავშირის მიერ ნაქეზებულმა მემბოხებმა საბჭოთა კავშირის საზღვართან მდებარე აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში სეპარატისტული აჯანყება წამოიწყეს. რუსეთის საოკუპაციო არმიამ ირანის ჯარს აჯანყებულ რეგიონამდე მისვლის საშუალება არ მისცა და ამით ირანის მთავრობას აჯანყების ჩაქრობაში შეუშალა ხელი. ნოემბერში აზერბაიჯანის პროვინციულმა ასამბლეამ ავტონომია გამოაცხადა, რაც საყოველთაოდ იქნა აღქმული, როგორც მოსაზღვრე აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკასთან ირანის ამ პროვინციის მიერთებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ამასობაში, ირანის მთავრობამ საბჭოთა კავშირისგან ქვეყნის ჩრდილოეთში ნავთობის მოსაპოვებლად საძიებო სამუშაოების ჩატარების თხოვნა მიიღო.

ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებმა საბჭოთა კავშირის ეს ნაბიჯები ირანზე, მის ნავთობის მარაგსა და სპარსეთის ყურეში მდებარე პორტებზე ქმედითი კონტროლის მოპოვებისაკენ მიმართულ კამპანიად აღიქვეს და, ამ საბჭოთა ავანტიურის დასრულების მიზნით, კრემლზე მძლავრი დიპლომატიური ზეწოლის განხორციელებას შეუდგენენ. წითელი არმია ერთადერთი იყო ირანის სამი საოკუპაციო არმიიდან, რომელმაც ქვეყნის დატოვება 1946 წლის 2 მარტის ბოლო ვადის შემდეგაც გააჭიანურა. ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების გამძაფრებულმა კრიტიკამ კრემლი აიძულა, საერთო ენის მოსანახად ირანის პრემიერმინისტრთან მოლაპარაკება დაეწყო: აზერბაიჯანის პროვინციისთვის მნიშვნელოვანი ავტონომიის მინიჭებისა და საბჭოთა-ირანული კომპანიისათვის ნავთობის მოპოვებისათვის საძიებო სამუშაოების ნებართვის სანაცვლოდ, სტალინმა ირანის ჩრდილოეთიდან საბჭოთა არმია 9 მაისს გაიყვანა. წითელი არმიის გასვლის შემდეგ, ანგლოამერიკული მძლავრი მხარდაჭერით შეგულიანებულმა ირანის პარლამენტმა კრემლთან ზეწოლის შედეგად დადებული შეთანხმების ხელმოწერაზე უარი თქვა. ამასობაში, თეირანში ჩავიდა ამერიკის სამხედრო მისია და ირანის მთავრობასთან ამერიკული სამხედრო აღჭურვილობის შეძების პირობები შეათანხმა. საბჭოთა კავშირის მიერ ირანში 1946 წლის კრიზისისას განცდილი დიპლომატიური მარცხი პირდაპირი შედეგი იყო ტრუმანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების, დიდ ბრიტანეთთან ერთად დაეცვა რუსეთის ექსპანსიის ეს ისტორიული სამიზნე. შეერთებული შტატების მიერ ფეჰლევის რეჟიმის მხარდაჭერა, შვიდი წლის შემდეგ, ვაშინგტონსა და თეირანს შორის განსაკუთრებით ახლო ურთიერთობის დამყარების საფუძველი გახდა უსაფრთხოების სფეროში, რაც დაახლოებით 25 წელიწადი გაგრძელდა. ზოგადად, ამ მოვლენებმა ცხადყვეს შეერთებული შტატების მტკიცე გადაწყვეტილება, წინ აღდგომოდა საბჭოთა კავშირის გავლენის გაფართოებას ევრაზიაში.

კრიზისი თურქეთის სრუტეების გამო

ისევე, როგორც 1946 წელს ჩრდილოეთ ირანის მიმართ საბჭოთა კავშირის ქმედებები ვაშინგტონის მიერ სპარსეთის ყურეში რუსული ტრადიციული ექსპანსიონისტური პოლიტიკის განახლებად აღიქმებოდა, საბჭოთა კავშირის იმავდროულ ზეწოლას ირანის მეზობელ თურქეთზე, ამერიკელები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავლენის გაფართოების ძველი რუსული ამბიციის ხელახალ გააქტიურებად მიიჩნევდნენ. 1945 წლის 19 მარტს მოსკოვმა ფორმალურად მოახდინა თურქეთ-საბჭოთა კავშირის 1945 წლის მეგობრობის ხელშეკრულების დენონსაცია, რომელიც ამ ორ, ისტორიულად მტრულად განწყობილ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას განსაზღვრავდა და ასევე ურთიერთთავდაუსხმელო-

ბის პირობასაც მოიცავდა. 1945 წლის 7 ივნისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა მოსკოვში თურქეთის ელჩს გარკვეული მოთხოვნები წარუდგინა, რომლებმაც მალე კიდევ უფრო დეტალური სახე მიიღეს. ეს მოთხოვნები, მთლიანობაში, თურქეთის სუვერენიტეტის არსებით დარღვევას წარმოადგენდა. მოთხოვნებს შორის იყო: 1878 წელს კავკასიაში რუსეთის მიერ ანექსირებული და, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის მიერ უკან დაბრუნებული ტერიტორიის დათმობა; თურქეთის სრუტეებთან დაკავშირებული, 1936 წლის მონტრეს კონვენციის გადახედვა, ამ სრუტეებზე რუსულ-თურქული ერთობლივი იურისდიქციის დამყარების მიზნით; თურქეთის სანაპიროებზე საბჭოთა კავშირისთვის ბაზების მიქირავება ამ სრუტეების დაცვის უზრუნველსაყოფად.

რუსეთის ისტორიული ინტერესი შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელზე კონტროლის დამყარების მიმართ ჯერ კიდევ რუსეთის მეფეების მმართველობის დროიდან იღებს სათავეს. როგორც აღმოსავლეთ ევროპაში გაავრცელა რუსეთმა თავისი გავლენა ფინეთის, ბალტიის სახელმწიფოების, პოლონეთისა და რუმინეთის ხარჯზე, ხოლო მანჯურიაში ჩინეთის ხარჯზე, თურქეთის წინააღმდეგ სტალინის დიპლომატიური იერიში რუსეთის სახელმწიფოს ხელში ადრე არსებული ან მისთვის შეპირებული ტერიტორიისა თუ პრივილეგიების აღდგენის მცდელობას წარმოადგენდა. არც დარდანელის სრუტის დე ფაქტო კონტროლის მოთხოვნა იყო ახალი. კონტროლის უფლება ცარისტულ რუსეთს ინგლისელმა და ფრანგმა მოკავშირეებმა პირველი მსოფლიო ომის დროსაც მიანიჭეს, ვიდრე რუსეთის სათავეში ბოლშევიკების მოსვლა მოკავშირეების გადანყვეტილების შეცვლას არ გამოიწვევდა. მოგვიანებით, ნაცისტურ-საბჭოთა პაქტის გაფორმებისას, მოლოტოვი ამოდ შეეცადა თურქეთის კავკასიური საზღვრებისა და სრუტეების შესახებ რუსულ გეგმებზე გერმანელების დაყოლიებას. სტალინი კი გამუდმებით სვამდა სრუტეების საკითხს მეორე მსოფლიო ომის დროს: მოსკოვში ჩერჩილთან 1944 წლის ოქტომბერში, რუზველტთან იალტაში და ტრუმანთან პოტსდამში, რაც ყოველთვის უშედეგოდ სრულდებოდა. სტალინის არგუმენტებს მთლიანად თავდაცვითი შინაარსი ჰქონდათ: თურქეთი, რომელიც ალიანსში გაწევრიანების შესახებ რუსეთისა და ბრიტანეთის შეთავაზებების მიუხედავად, ომის განმავლობაში ნეიტრალურ სახელმწიფოდ რჩებოდა და, პიტლერის გადამტერების შიშით, გერმანიას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქრომით ამარაგებდა, ზედმეტად სუსტი იყო იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების სამხედრო გეგმების შავ ზღვაში შესვლისთვის ხელი შეეშალა. თუმცა, შეერთებული შტატებისათვის სტალინის მოთხოვნა თურქეთის ხარჯზე ხმელთაშუაზღვისპირეთზე გავლენის დამყარების ძველ რუსულ ოცნებას წარმოადგენდა და ამას ის ისეთივე სიმტკიცით უნდა აღდგომოდა წინ, როგორც მანამდე დიდმა ბრიტანეთმა გამოიჩინა.

ტრუმანის ადმინისტრაციას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თავის თავზე აეღო ბრიტანეთის, როგორც ევრაზიის სამხრეთ საზღვრებზე რუსეთის შემაკავებელი ძალის, ფუნქცია და მისი რეაქცია 1945-46 წლების თურქეთის კრიზისზე, ისევე, როგორც მანამდე ირანზე რუსეთის ზეწოლისათვის მძლავრი წინააღმდეგობის გაწევა, ამ გადაწყვეტილებით იყო ნაკარნახევი. ვაშინგტონისთვის, ისევე როგორც ლონდონისთვის – „აღმოსავლეთის საკითხი“ ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის არქიტექტორების მთავარი საზრუნავი იყო – თურქეთის სრუტეებზე რუსეთის კონტროლი მის მიერ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სრული დომინაციის ტოლფასი იყო. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავდა ევროპისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს საზღვაო მარშრუტზე კონტროლს და გამარტივებულ გზას ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ძვირფასი მინერალური რესურსებისაკენ. შესაბამისად, როდესაც ანკარის აღშფოთებულ უარს საბჭოთა პრესაში თურქეთის საწინააღმდეგო მძლავრი კამპანია და კავკასიის საზღვრებზე ოცდახუთი რუსული დივიზიის განლაგება მოჰყვა, ტრუმანის ადმინისტრაციამ თურქეთის რეჟიმის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიიღო. 1946 წლის ზაფხულში ვაშინგტონმა, ძალების დემონსტრაციის მიზნით, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობა გააძლიერა, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ამერიკული ფლოტის ეს ნაწილი მუდმივად დარჩებოდა ამ რეგიონში. ამერიკული საზღვაო ძალის ასეთი აშკარა დემონსტრაციის წინაშე, რასაც ატომურ იარაღზე ამერიკის მონოპოლიაც უმაგრებდა ზურგს, მოსკოვმა ისევე დაიხია უკან, როგორც მანამდე ჩრდილოეთ ირანიდან, თუმცა, საბჭოთა გავლენის შეკვეცის მნიშვნელობა გაცილებით გვიან გახდა ნათელი.

საბერძნეთის სამოქალაქო ომი

ანკარისადმი მოსკოვის მოთხოვნების ირგვლივ რუსულ-ამერიკული დაპირისპირების დროს, ეგეოსის ზღვის მეორე მხარეს, საბერძნეთში მიმდინარე მწვავე შიდაარეულობები ვაშინგტონსა და ლონდონში, ირანისა და თურქეთის შემდეგ, რუსეთის სამხრეთული ექსპანსიის კამპანიის მესამე გამოვლინებად განიხილეს. 1944 წლის ნოემბერში, საბერძნეთიდან გერმანიის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ, ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ ბერძნული წინააღმდეგობის მოძრაობიდან მონარქიის ერთგული კონსერვატიული ნაწილი და პარტიზანთა კომუნისტური ორგანიზაცია. 1944-45 წლების ზამთარში, თებერვალში, ბრიტანეთის სამხედრო ინტერვენციას ორ მხარეს შორის ზავი და რეფერენდუმის შესახებ შეთანხმება მოჰყვა, რომელსაც მონარქიის აღდგენისა და მოკავშირეების ზედამხედველობით არჩევნების ჩატარების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. 1946 წლის მარტის არჩევნებს მემარცხენე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, რის

შედეგადაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა როიალისტთა პარტიამ, რომელსაც ბრიტანეთიც აქტიურად უჭერდა მხარს. 1946 წლის ზაფხულში, თურქეთის კრიზისის მიმდინარეობისას, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში თავმოყრილმა ათასობით ბერძენმა კომუნისტმა ათენის პროდასავლური მთავრობის წინააღმდეგ პარტიზანული ომი წამოიწყო, რასაც აქეზებდნენ და მატერიალურად ეხმარებოდნენ იუგოსლავიაში, ალბანეთსა და ბულგარეთში ახლადდამყარებული კომუნისტური რეჟიმები. როდესაც სექტემბრის რეფერენდუმი მონარქიის აღდგენის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდა, საბერძნეთში მიმდინარე კონფლიქტმა იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათი მიიღო, რომელშიც ერთმანეთს ბრიტანელების მიერ ზურგგამაგრებული ათენის როიალისტური რეჟიმი და ჩრდილოეთიდან მეზობელი ქვეყნების კომუნისტური რეჟიმების მხარდაჭერით მოქმედი კომუნისტი პარტიზანები დაუპირისპირდნენ.

ამ მხრივ საბერძნეთში მიმდინარე დრამატული მოვლენები პოლონეთში მანამდე განვითარებულ მოვლენებს წააგავდა, როდესაც ერთმანეთს წინააღმდეგობის მოძრაობის პროდასავლური და პროსაბჭოთა ძალები დაუპირისპირდნენ. თუმცა, პოლონურ და ბერძნულ შემთხვევებს შორის ორი კრიტიკული განსხვავება იყო, რამაც განსხვავებული შედეგები გამოიღო. პირველ რიგში, საბერძნეთის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს პროდასავლურ მთავრობას და მის ბრიტანელ პროტექტორებს უქმნიდა. პოლონეთის საერთო საზღვარმა რუსეთთან და დასავლეთის სახელმწიფოებისგან მისმა გადაულახავმა სიშორემ, წინასწარ განსაზღვრა პოლონური პროსაბჭოთა ძალების გამარჯვება, რომელთაც წითელი არმია უმაგრებდა ზურგს. ათენის რეჟიმთან დაპირისპირებისას, საბერძნეთის სიახლოვე ხმელთაშუაზღვისპირეთში ბრიტანეთის საზღვაო ბაზებთან, ბერძენი კომუნისტების ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, როგორც გახსოვთ, სტალინმა ჩერჩილთან მიღწეული შეთანხმებით საბერძნეთი რუსეთის გავლენის სფეროს მიღმა დატოვა და 1944-45 წლების ზამთარში იქ მომხდარი კომუნისტური ამბოხების მიმართ ინტერესი აღარ გამოიჩინა. პირიქით, საბჭოთა ლიდერმა ბერძენ კომუნისტებს ბრიტანელების მხარდაჭერილ მთავრობასთან თანამშრომლობა დაავალა, ისევე როგორც საფრანგეთისა და იტალიის პროდასავლური სამთავრობო კოალიციების ნეერ კომუნისტურ პარტიებს მოუწოდა ზომიერებისკენ. საბერძნეთის კომუნისტური ამბოხის ერთადერთი მხარდამჭერი და დამხმარე იუგოსლავია იყო, რომელიც მისი ქარიზმატული ლიდერის – მარშალ ტიტოს – ხელმძღვანელობით თანდათან დამოუკიდებლად მოქმედების მიდრეკილებას ამჟღავნებდა, რამაც იგი მოსკოვთან თანამშრომლობის სრულ განწყევტამდე მიიყვანა.

კრემლის ომისშემდგომი საგარეო პოლიტიკის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბერძნეთის სამო-

ქალაქო ომის მიმართ საბჭოთა კავშირის ფრთხილ პოლიტიკას ორი მიზეზი ჰქონდა. სტალინს არ სურდა რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური გავლენის სფეროს მიღმა დამოუკიდებელი კომუნისტური სახელმწიფოების არსებობა. სწორედ ამ ტენდენციის გამო არ ისურვა მან იუგოსლავიაში ტიტოს და ჩინეთში მაო ძედუნის კომუნისტური მთავრობების მხარდაჭერა ანტიკომუნისტურ ძალებთან მათი ბრძოლისას. ამასთანავე, ის შიშობდა, რომ დასავლეთის გავლენის სფეროსათვის განკუთვნილ სახელმწიფოში კომუნისტების მოსვლა ხელისუფლებაში ვაშინგტონისა და ლონდონის მწვავე რეაქციას გამოიწვევდა, რასაც, შესაძლოა, საბჭოთა კავშირისათვის არასახარბიელო შედეგები მოჰყოლოდა.

როგორც აღმოჩნდა, საბერძნეთის დამოუკიდებლობის ისტორიული გაწინააღმდეგობის ფუნქციის შესრულებაში დიდ ბრიტანეთს დიდად შეუშალა ხელი ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ოდესღაც მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მოიცვა. ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომის დროს განეული ხარჯების გამო, ბრიტანეთის ოქროსა და უცხოური ვალუტის მარაგის გადინებას ნაწილობრივ უშველა „სესხისა და იჯარის“ პროგრამის ფარგლებში შეერთებული შტატების დახმარებამ. ომისდროინდელი დახმარების ამონაწერის შემდეგ, 1946 წელს შეერთებულმა შტატებმა დიდ ბრიტანეთს 3.75 მილიარდი დოლარის სესხის სახით გადაუდებელი დახმარება გაუწია იმ იმედით, რომ ეს საკმარისი იქნებოდა ბრიტანეთის მოკლევადიანი მოთხოვნილებების დასაფარად, ვიდრე ის სრულად აამოქმედებდა თავის საექსპორტო ვაჭრობას და დააგროვებდა საკმარის უცხოურ ვალუტას აუცილებელი იმპორტის დასაფინანსებლად. ეს სესხი კი სურსათისა და სანავის სასწრაფო მარაგზე დაიხარჯა და, შედეგად, ბრიტანეთის ხაზინა სწორედ მაშინ დაცარიელდა, როდესაც ამ ქვეყანაში 1946-1947 წლების, ისტორიულად ყველაზე მძიმე, ზამთარი დადგა. გაჩერდა სატრანსპორტო სისტემა, ქვანახშირის ნაკლებობამ ქარხნების დახურვა და ელექტროენერჯის პერიოდული გათიშვა გამოიწვია, მოსავლის გაყინვის შედეგად კი სურსათი მხოლოდ ნორმირებულად გაიცემოდა.

ასეთ ვითარებაში მყოფ ქვეყანას ძნელად თუ შეეძლო საბერძნეთის მთავრობისათვის კომუნისტური ამბოხების ჩასაქრობად აუცილებელი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების განევა. 1947 წლის 21 თებერვალს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად შეატყობინა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, წყვეტდა საბერძნეთისა და თურქეთისათვის ყველა სახის დახმარებას და იმავე წლის 31 მარტიდან საბერძნეთიდან გამოჰყავდა ორმოციათასიანი ბრიტანული არმია. აღნიშნავდა რა, რომ საბერძნეთსაც და თურქეთსაც ძლიერ ესაჭიროებოდათ უცხოური დახმარება როგორც ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, ასევე საკუთარი უსაფრთხოების გამყარებისათვის სამხედრო ძალების რეორგანიზაციისა და აღჭურვის დასა-

ფინანსებლად, დიდი ბრიტანეთი გამოხატავდა იმედს, რომ შეერთებული შტატები შეძლებდა აელო ვალდებულება, რომელზეც ბრიტანეთს უარის თქმა უნებდა. ამ დრამატული ხასიათის დიპლომატიურ გზავნილში მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი იმპერიის მთავრობა საკუთარი დაშლის დასაწყისს იუნყებოდა. გიბრალტარიდან სინგაპურამდე – იმპერიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი რეგიონიდან – ბრიტანეთის გასვლამ ევრაზიის სამხრეთ ნაწილში წარმოქმნა ვაკუუმი, რომელიც მნიშვნელობით გერმანიის დამარცხების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში გაჩენილ ვაკუუმს ჰგავდა. რეგიონში ბრიტანული გარნიზონების შესანარჩუნებლად და მეგობრული რეჟიმების მხარდასაჭერად აუცილებელი ფინანსური პასუხისმგებლობის აღების კუთხით ლონდონის უუნარობამ, ვაშინგტონი არჩევანის წინაშე დააყენა: მას ან უნდა ჩაენაცვლებინა ბრიტანეთი ამ რეგიონში, ან შორიდან ედევნებინა თვალი, როგორ გააკეთებდა ამას საბჭოთა კავშირი.

შეჯავების პოლიტიკა

ტრუმანის დოქტრინა

ამერიკის პრეზიდენტმა გამოწვევას 1947 წლის 12 მარტს უპასუხა, როდესაც კონგრესის სპეციალურ სესიაზე ისტორიული სიტყვით გამოვიდა: შეერთებულმა შტატებმა გამოხატა სურვილი, ჩაენაცვლებინა დიდი ბრიტანეთი საბერძნეთისა და თურქეთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და სამხედრო უსაფრთხოების დასაცავად. კონგრესმა ათენისა და ანკარისათვის, შესაბამისად, 250 მილიონ დოლარიანი და 150 მილიონ დოლარიანი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების განევის ნებართვა გასცა. შეერთებულმა შტატებმა ამ ქვეყნებში, ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და სამხედრო რეორგანიზაციაში რჩევების მისაცემად, ამერიკელი მრჩევლები მიავლინა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა პრეტენზიებს თურქეთის მიმართ საჯაროდ უკვე აღარავინ გამოთქვამდა მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ძალის დემონსტრაცია მოაწყო. საბერძნეთში სამოქალაქო ომი 1948-1949 წლების განმავლობაში თანდათან დასრულდა და საბერძნეთის სამეფო არმიამ, რომელიც ამერიკის სამხედრო მისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით იყო ორგანიზებული და უხვად მარაგდებოდა ამერიკული შეიარაღებით, თანდათან დაიკავა ქვეყნის ჩრდილოეთით მთებში განლაგებულ ამბოხებულთა სიმაგრეები და კომუნისტ პარტიზანებს მეზობელ ბულგარეთში და ალბანეთში გაქცევა აიძულა. ბერძენი კომუნისტების მთავარმა მფარველმაც, ტიტოს იუგოსლავიამ, საბოლოოდ განირაისინი, როდესაც 1948 წლის ივლისში იუგოსლავიის საზღვარი ჩაკეტა და ბერძენ პარტიზანებს ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა მას შემდეგ, რაც, ერთი თვით ადრე, ის კომუნისტური ინტერნაციონალიდან გარიცხეს.

ტრუმანის 12 მარტის გამოსვლა მოიცავდა ერთ წინადადებას, რომელიც ადასტურებდა, რომ ამერიკის მთავრობა არ აპირებდა საგარეო დახმარების ახალი პროგრამის მხოლოდ საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობების თანადგომის ვიწრო მიზნებით შეზღუდვას, მათი გადაუდებელი პრობლემების მოსაგვარებლად. „მე მჯერა, – განაცხადა ტრუმანმა – რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს ყველა იმ თავისუფალი ერის მხარდაჭერას, რომელიც წინააღმდეგობას უწევს შეიარაღებული უმცირესობების ან უცხო სახელმწიფოების ზეწოლას“. პრეზიდენტის ამ განცხადებაში, რომელსაც მოგვიანებით „ტრუმანის დოქტრინა“ ეწოდა, იგულისხმებოდა, რომ შეერთებული შტატები გამოიყენებდა საკუთარ ეკონომიკურ რესურსებს, რათა მხარში ამოდგომოდა საბჭოთა ბლოკის პერიფერიებზე განლაგებულ მეგობარ სახელმწიფოებს, რომლებიც, ძლიერი მეზობლის მხრიდან ზეწოლის ან საბჭოთა კავშირთან იდეოლოგიურად დაკავშირებული ადგილობრივი კომუნისტების ამბოხების შემთხვევაში, დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. არსებობდა საშიშროება, რომ, Pax Britannica-ს დასრულების შემდეგ, ბალკანეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წარმოქმნილი ძალის ვაკუუმი საბჭოთა კავშირს შეეესო. ამ პერსპექტივამ ტრუმანის ადმინისტრაცია საგანგებო მდგომარეობაში ჩააყენა, რასაც მყისიერი პასუხი მოჰყვა თურქეთის, საბერძნეთისა და ირანის მთავრობებისათვის ამერიკული დახმარების გზით. მაგრამ, იმ მაღალი რანგის ოფიციალური პირების თვალში, რომლებიც ტრუმანის ადმინისტრაციაში ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური შეცვლით იყვნენ დაკავებული, საბჭოთა იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებთან წარმოქმნილი ძალაუფლების ვაკუუმი – ევროპაში გერმანიის განადგურებისა და აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის დამარცხების შემდეგ – კიდევ უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკის უსაფრთხოებისათვის, ვიდრე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელება.

სწორედ ამ რამდენიმე ადამიანს – სახელმწიფო დეპარტამენტიდან ჯორჯ კენანს, დინ აჩესონს და უილიამ კლეიტონს, პენტაგონიდან კი ჯეიმს ფორესტოლის ხელმძღვანელობით – უნდა განესაზღვრა რაციონალური საფუძველი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური ქმედებებისადმი კოორდინირებული რეაგირებისთვის ისე, რომ რესპუბლიკელების უმრავლესობით დაკომპლექტიებული კონგრესი და, ზოგადად, ამერიკული საზოგადოება ტრადიციულ იზოლაციონიზმზე უარის თქმის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. ამერიკის აქტიური საგარეო პოლიტიკის ყველაზე მკაფიო და, ამავე დროს, გავლენიანი ფორმულირება 1947 წლის ივლისში ჟურნალ „Foreign Affairs“-ში ანონიმურად დაბეჭდილ სტატიაში „საბჭოთა ქცევის წყაროები“ („The Sources of Soviet Conduct“) გამოქვეყნდა.



ჯორჯ ფროსტ ქენანი (1904-2005): როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმარების შტაბის პირველმა დირექტორმა 1947-1950 წლებში, ქენანმა ტრუმანის ადმინისტრაციის მიერ ცივი ომის პირველ წლებში განხორციელებული საბჭოთა კავშირის „შეკავების“ პოლიტიკის ინტელექტუალური არგუმენტები განსაზღვრა. მოგვიანებით, მან უკმაყოფილება გამოხატა, რომ, საბჭოთა ექსპანსიის შესაჩერებლად, პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებები სამხედრო ძალის პრიორიტეტმა ჩაანაცვლა.

სტატია სახელმწიფო დეპარტამენტის ახლადშექმნილი პოლიტიკის დაგეგმვის შტაბის დირექტორ ჯორჯ ქენანს ეკუთვნოდა, რომელიც მოსკოვში ამერიკის საელჩოს ხელმძღვანელის მოადგილის პოსტზე მუშაობისას საბჭოთა კავშირის ქცევას პირადად აკვირდებოდა. სტატიაში გადმოცემული იყო მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა ვაშინგტონში ირანის, თურქეთისა და საბერძნეთის კრიზისების პერიოდში შემდგარი საუბრებიდან გამომდინარე. სტატიის გზავნილი პირდაპირი და მარტივი ენით იყო გადმოცემული: საბჭოთა კავშირისგან – გამომდინარე რუსეთისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი დაუცველობის განცდიდან და არა მარქსისტულ-ლენინისტური ოდეოლოგიის მესიანისტური მიზნებიდან – მოსალოდნელი იყო მის საზღვრებს გარეთ არსებული სუსტი წერტილების მოსინჯვა მსოფლიოში საბჭოთა ძალაუფლებისა და გავლენის კიდევ უფრო გაფართოების მიზნით. შესაბამისად, იალტაში არაფორმალურად შეთანხმებული საზღვრების მიღმა, საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შეკავების მტკიცე, მაგრამ მოთმინებით აღსავსე პოლიტიკის გატარება, შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესს

ნარმოადგენდა. ეს პოლიტიკა კი მდგომარეობდა იმ ქვეყნების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების გამყარებაში, რომლებიც, შესაძლოა, საბჭოთა კავშირის მხრიდან ექსპანსიონისტური ზენოლის სამიზნედ ქვეყლიყვნენ. საბჭოთა ზენოლაზე ნინაალმდეგობის განევის შედეგად კრემლი თანდათან გააცნობიერებდა, რომ მისი აგრესიული პოლიტიკის საფასური გაცილებით აჭარბებდა ნებისმიერ მოსალოდნელ სარგებელს. ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი კი, ქენანის აზრით, შეერთებული შტატების და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების ნინაშე მდგარი საბჭოთა საფრთხეების შესუსტება იქნებოდა.

შეერთებული შტატები ხელს უწყობს დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ აღორძინებას

იმავე პერიოდში, როდესაც ამერიკის საგარეო პოლიტიკის ეს გაბედული ცვლილება პრესაში გამოქვეყნდა, 1947 წლის 5 ივნისს შედგა სახელმწიფო მდივნის – ჯორჯ მარშალის საჯარო გამოსვლა ჰარვარდის უნივერსიტეტში სასწავლო წლის დამამთავრებელ ცერემონიაზე. მისი მიმართვა პირდაპირ უკავშირდებოდა იმ პრობლემას, რომელიც ჯორჯ ქენანს აწუხებდა „შეკავების დოქტრინაზე“ მუშაობისას: საბჭოთა ექსპანსიის ნინაშე დასავლეთ ევროპის ქვეყნების უსუსურობა რეგიონში არსებული ომისშემდგომი მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე. 1946-1947 წლების საბერძნეთისა და თურქეთის კრიზისებზე საუბრისას, ჩვენ უკვე შევეხეთ ომისშემდგომი ფინანსური კრიზისის კატასტროფულ შედეგებს დიდი ბრიტანეთის სამრეწველო პოტენციალსა და საგარეო ვაჭრობაზე. ეკონომიკური ვითარება გაცილებით უფრო მძიმე იყო გერმანიის მიერ ოკუპირებულ ევროპულ ქვეყნებში, რომელთაც ჰიტლერის რეჟიმში ეკონომიკურ ექსპლუატაციას უწევდა და სადაც ნაცისტებთან ბოლო შეიარაღებული ბრძოლები გაიმართა. დასავლეთ ევროპის ეკონომიკური სიდუხჭირე კარგ საფუძველს ქმნიდა საბჭოთა კავშირის მიერ პოლიტიკური გავლენის გასაფართოებლად – საფრანგეთში, იტალიასა და ბელგიაში მოქმედი ძლიერი კომუნისტური პარტიებისა და კომუნისტების მიერ კონტროლირებადი მშრომელთა ორგანიზაციების ხელშეწყობით. ამ შესაძლო საფრთხესთან გამკლავების მიზნით, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ევროპის ქვეყნებს – მათ შორის, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს – ევროპის ეკონომიკური აღორძინების გეგმის შემუშავება შესთავაზა, რომელსაც ზურგს შეერთებული შტატების მასიური ეკონომიკური დახმარება გაუმაგრებდა და რომელიც ევროპის ქვეყნებს შორის მუდმივ ეკონომიკურ თანამშრომლობას დაეფუძნებოდა. ამ უპრეცედენტო საგარეო ეკონომიკური დახმარების პროგრამაში ვაშინგტონის მიერ საბჭოთა კავშირის ჩართვის გამო, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკულ ინიციატივაზე საერთო რეაგირების შესამუშავებლად, პარიზში,

იენისის ბოლოს მონეულ კონფერენციაზე კრემლის წარმომადგენლებიც მონივეს. 26 იენისის პარიზში ჩავიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარი მოლოტოვი, რომელსაც ეკონომიკის ოთხმოცდაცხრა ექსპერტი ახლდა თან, რაც მათი მხრიდან ამერიკული წინადადების სერიოზულად განხილვის ნიშანი იყო. თუმცა, რამდენიმედღიანი უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, მოლოტოვმა და მისმა დელეგაციამ კონფერენცია დატოვეს, ხოლო საბჭოთა მთავრობამ დაგმო ამერიკელების ეს პროგრამა და თავის აღმოსავლეთევეროპელ პროტეჟეებს პროგრამაში ნებისმიერი სახით მონაწილეობა აუკრძალა.

შემდგომ, მარშალის გეგმად წოდებულ პროგრამაში მონაწილეობაზე, საბჭოთა კავშირის უარს ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი, შესაბამისი ეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების მოსაპოვებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოყოფილი თანხები მიზნობრივად დაიხარჯებოდა, ამერიკის მთავრობა ითხოვდა ინფორმაციას და გარკვეული სახის საკონსულტაციო უფლებამოსილებას მიმღები ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტებზე. ეს ის პირობებია, რომლებსაც პირველ მსოფლიო ომამდელი ფინანსური იმპერიალიზმის დროიდან დაწყებული, დღევანდელი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის ჩათვლით, ფრთხილი ბანკირები ჩვეულებრივ სთავაზობენ ხოლმე გადატაკებულ ქვეყნებს. თუმცა, ცნობისმოყვარე ამერიკელი ფინანსისტებისათვის სახელმწიფო-საბუღალტრო ინფორმაციის მინოდებისა და ხარჯვითი პოლიტიკის ვაშინგტონის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოყვანის მოლოდინი აშკარად გადაჭარბებული იყო გამარჯვებული დიდი სახელმწიფოსაგან, მით უმეტეს ისეთი გასაიდუმლოებული და ეჭვიანი ქვეყნისაგან, როგორც საბჭოთა კავშირი იყო. მოსკოვმა ამერიკელების ეს მოთხოვნა დაგმო, როგორც პროგრამაში მონაწილე ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის მიუღებელი ხელყოფა. მარშალის გეგმის ადმინისტრატორებისათვის ამ ინფორმაციის მინოდება აუცილებლად გამოავლენდა, რამდენად სუსტი და უსუსური იყო საბჭოთა კავშირის ომისშემდგომი ეკონომიკა. ამის დამალვას კი კრემლი ყველა საშუალებით ცდილობდა, კომუნისტური იდეოლოგიის მიზეზებითა თუ ეროვნული სიამაყიდან გამომდინარე. ამასთანავე, ამერიკელების წინაპირობა, რომ მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების უმეტესი ნაწილი ამერიკული ექსპორტის შესაძენად უნდა დახარჯულიყო, კიდევ უფრო ამყარებდა საბჭოთა კავშირის ეჭვს ამ ჰუმანიტარული გულუხვობის ფასადის უკან სხვა მოტივების არსებობის შესახებ. ეს ყველაფერი თითქოს ადასტურებდა ლენინის წინასწარმეტყველებას კაპიტალიზმის მარცხისა და ამ მარცხის თავიდან ასაცილებლად კაპიტალისტთა გახელეული მცდელობების შესახებ: სამხედრო შეკვეთების ამონურვის შედეგად, პროდუქტებზე შიდამოთხოვნის მკვეთრი დაცემის გამო, კისერში ხელნაჭ-

ერილი ამერიკული კორპორატიული მონოპოლიები გადარჩენას ევროპის ბაზრების ხელში ჩაგდებისა და ევროპული ქვეყნების შერყეულ ეკონომიკაზე სრული კონტროლის მოპოვებით ცდილობდნენ. ეს ინტერპრეტაცია რამდენიმე ამერიკელმა ოფიციალურმა პირმაც დაადასტურა, რომლებიც მარშალის გეგმისთვის კონგრესში მხარდაჭერის მოპოვებას იმ არგუმენტით ცდილობდნენ, რომ შეერთებულ შტატებთან ევროპის უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი აუცილებლად გამოიწვევდა სერიოზულ სირთულეებს ამერიკელი ექსპორტიორებისათვის, თუკი ევროპაში არსებული ქრონიკული „დოლარის დეფიციტი“ სამთავრობო კრედიტების საშუალებით არ მოგვარდებოდა.

ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით, 12 ივლისს პარიზში თავი მოიყარეს საბჭოთა გავლენის გარეთ დარჩენილი თექვსმეტი ევროპული სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, გარდა ესპანეთისა, რათა ეკონომიკური დახმარების ამერიკული შეთავაზებისათვის ერთიანი პასუხი შეემუშავებინათ. 22 სექტემბერს, ამ შეხვედრის შედეგად შექმნილმა კომიტეტმა ეკონომიკური აღორძინების ოთხნობიანი გეგმა წარმოადგინა, რომელშიც თექვსმეტი ქვეყნის მოსალოდნელი საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობაც იყო მოცემული. ამ გეგმის საფუძველზე, შეერთებული შტატების კონგრესმა 1948 წლის 3 აპრილს დიდი უმრავლესობით ხმა მისცა 6 მილიარდი დოლარის გამოყოფას პირველი წლის საერთო დეფიციტის დასაფარად და მომდევნო სამი წლის განმავლობაში ყოველწლიური გრანტების გაცემაზე თანხმობა გამოხატა. აპრილის შუა რიცხვებში დახმარების მიმღებმა ქვეყნებმა, ამერიკული დახმარების განაწილებაზე ზედამხედველობისა და დახმარების მიმღებ ქვეყნებს შორის კოორდინაციის მიზნით, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია დააარსეს. 1948-1952 წლებში ევროპის აღორძინების პროგრამით (როგორც მარშალის გეგმას ეწოდა) 13.2 მილიარდი დოლარის ოდენობის გრანტი და კრედიტი გაიცა, მათ შორის 3.2 მილიარდი დიდი ბრიტანეთისა და მისი ტერიტორიებისათვის, 2.7 მილიარდი – საფრანგეთისათვის, 1.5 მილიარდი – იტალიისათვის და 1.4 მილიარდი – დასავლეთ გერმანიისათვის (1949 წლიდან).

მარშალის გეგმის ეკონომიკურმა შედეგებმა მისი ავტორების ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინსაც კი გადააჭარბეს. 1952 წლამდე, ანუ ამერიკული დახმარების პროგრამის ამოწურვის ვადისთვის, ევროპის სამრეწველო წარმოება 35 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოება 10 პროცენტით გაიზარდა ომამდელ მონაცემებთან შედარებით. ეკონომიკური სასონარკვეთის მდგომარეობიდან დასავლეთევროპული ქვეყნები ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგნენ, რამაც მათი მოსახლეობა კეთილდღეო-

* ესპანეთს უარი ეთქვა მარშალის გეგმაში მონაწილეობაზე მისი ავტორკრატიული პოლიტიკური სისტემისა და მეორე მსოფლიო ომის დროს ლერძის სახელმწიფოებრივადმი სიმპათიის გამო.



იტალიის მთავრობა და ეკონომიკური თანამშრომლობის აღმინისტრაცია, რომელიც ზედამხედველობას უწევდა მარშალის გეგმას, ერთად ახორციელებენ ახალ სამშენებლო პროექტს იტალიის ქალაქ მატერაში: მარშალის გეგმის მაუწყებელი წარწერების გაჩენა სამშენებლო ობიექტებზე დახმარების მიმღები ქვეყნების მოქალაქეებს ამერიკული ქველმოქმედების შესახებ ახსენებდა, რაც დასავლეთ ევროპაში კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის ფასდაუდებელი იარაღი იყო.

ბის ისეთი დონემდე მიიყვანა, რომელსაც ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა 1947 წლის მძიმე დღეებში. ამასობაში, დონორ ქვეყანას მისმა ფინანსურმა გულმონყალებამ დიდი სავაჭრო სარგებელი მოუტანა, სწორედ ისე, როგორც ამას მარქსისტი კრიტიკოსები ვარაუდობდნენ. მარშალის გეგმის შედეგად განხორციელებული ევროპული იმპორტის ორ მესამედზე მეტი შეერთებული შტატებიდან მოდიოდა, რაც საექსპორტო ვაჭრობით დაკავებული ამერიკული ფირმებისათვის გაზრდილ მოგებასა და მათი მუშების დასაქმების გაზრდას ნიშნავდა. საეჭვოა, რომ ამერიკის ეკონომიკის ფენომენალური ზრდა ორმოცდაათიან წლებსა და სამოციანი წლების დასაწყისში, შესაძლებელი გამხდარიყო ატლანტის ოკეანის გადაღმა მდებარე ახლადმშენებარე ეკონო-

მიკის სამრეწველო ქვეყნების მიერ ამერიკული პროდუქციისა და მომსახურების შექმნით მიღებული ეკონომიკური სტიმულის გარეშე. ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის დამოკიდებულება ექსპორტზე გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს. შეერთებულ შტატებს ჰქონდა უზარმაზარი შიდაბაზარი, რომელსაც შეეძლო მიეღო ამერიკის სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი და სოფლის მეურნეობის ნაწარმის მნიშვნელოვანი წილი, ხოლო მისი ექსპორტი ერთიანი ეროვნული პროდუქტის 10 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა, რაც გაცილებით დაბალი მაჩვენებელია დასავლეთ ევროპის და იაპონიის, მართლაც, ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკის მაჩვენებლებისგან. ამის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეერთებულ შტატებს, პირველად მის ისტორიაში, საერთაშორისო ვაჭრობის მიმართ მნიშვნელოვანი ინტერესი განუვითარდა. 1946 წელს ამერიკის ექსპორტის საშუალო მაჩვენებელი ომამდელ წლიურ მაჩვენებელს (4 მილიარდი დოლარი) ოთხჯერ აღემატებოდა, ხოლო ეკონომიკის ზოგიერთი სექტორი მთლიანად დამოკიდებული გახდა უცხოეთის ბაზრებიდან მიღებულ შემოსავალზე. ტრანსატლანტიკური ვაჭრობის ექსპანსიის დასაფინანსებლად იმპორტიორი ქვეყნებისათვის ნაჩუქარი თუ ნასესხები ამერიკული ვალუტა ერთიორად ანაზღაურდა დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივად მომგებიანი სავაჭრო კავშირების დამყარების შედეგად, რაც ორ მხარეს შორის მზარდ პოლიტიკურ თანამშრომლობას კიდევ უფრო აღრმავებდა.

ლიბერალური კაპიტალისტური წესრიგის დამყარება

დასავლეთის ინდუსტრიალიზებული ქვეყნების ომისშემდგომ რეაბილიტაციას ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის შედარებით ეფექტური ფუნქციონირებაც აიოლებდა. ეს ახალი სისტემა 1944 წლის ივლისში, ნიუ ჰემპშირში, ბრეტონ ვუდსის კურორტზე ორმოცდაოთხი ქვეყნის მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა. ლერძის სახელმწიფოებთან ომგამოვლილი სახელმწიფოების წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების დაბალი დონე მათი ქვეყნების ომისშემდგომი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა. შედეგად, მათ მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის ინვესტიციების გააქტიურების ხელშესაწყობად სპეციალური ღონისძიებები შეიმუშავეს; დაარსდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის მიზანი მრავალმხრივი საერთაშორისო გადახდების სისტემის შექმნა იყო, რომელიც ოცდაათიან წლებში მოიშალა, როდესაც სახელმწიფოები ოქროს სტანდარტის სისტემიდან გავიდნენ და დროებით ზომებს მიმართეს: მაგალითად, სავალუტო კურსების კონტროლსა და დეველუაციას, რაც ხელს უშლიდა საერთაშორისო ვაჭრობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი შედგებოდა ნევრი სახელმწიფოების მიერ შეტანილი თანხებისგან, რომლის გამოყენება ნებისმიერ ნევრს

შეეძლო საგადასახადო ბალანსში არსებული დროებითი სირთულეების გადასალახად ისე, რომ აღარ მომხდარიყო სავალუტო კურსის კონტროლი და ეროვნული ვალუტის დეველვაცია. სავალუტო კურსების ქრონიკული არასტაბილურობის პრობლემა ვალუტის ფიქსირებული კურსის ახალი სისტემის საშუალებით მოგვარდა: დოლარი მსოფლიოს მთავარ სარეზერვო ვალუტად იქცა და შესაძლებელი გახდა მისი ოქროში თავისუფალი კონვერტაცია ფიქსირებულ ფასად. ბრეტონ ვუდსის კონფერენციის დაწყებისას მოქმედი სავალუტო კურსები ახალი სისტემის ნომინალურ გაცვლით კურსებად აღიარეს, ხოლო წევრი სახელმწიფოს ვალუტის ღირებულების თითოეული შემდგომი ცვლილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს წინასწარ თანხმობას მოითხოვდა. დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ეკონომიკა საკმარისად ძლიერი არ იყო იმისთვის, რომ თავიდანვე დაეშვათ ფიქსირებული კურსის მქონე მათი ვალუტების კონვერტაცია, რაც ამ ქვეყნებში მხოლოდ 1950-იანი წლების მიწურულს განხორციელდა, ხოლო ბრიტანეთსა და საფრანგეთს დროდადრო ვალუტების გაცვლით კურსთან დაკავშირებული პრობლემები უჩნდებოდათ. ყველაფრის მიუხედავად, ბრეტონ ვუდსის სისტემამ სავალუტო კურსების ოცდახუთწლიანი შედარებითი სტაბილურობა მოიტანა, რაც, ვალუტების ღირებულებასთან დაკავშირებული გაუგებრობების ამონურვის შედეგად, საერთაშორისო ვაჭრობას, კრედიტების გაცემას და ინვესტიციებს უწყობდა ხელს.

მსოფლიო ვაჭრობის ომისშემდგომ აღორძინებას კიდევ ერთ სტიმულს მრავალმხრივი საერთაშორისო ორგანიზაცია აძლევდა, რომელიც უფლებამოსილი იყო განესაზღვრა საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის წესები და ამით ოცდაათიანი წლების პროტექციონისტური პოლიტიკა შეეცვალა. ომისშემდგომი ამერიკის მზარდმა მონაწილეობამ საერთაშორისო ვაჭრობაში აიძულა ტრუმანის ადმინისტრაცია, მიემართა სხვა ქვეყნებისთვის – განსაკუთრებით ომისდროინდელი მოკავშირეებისათვის, რომელთაც შეერთებული შტატების ხაზინის მნიშვნელოვანი ვალები ჰქონდათ და, შესაბამისად, უფრო იოლად დაემორჩილებოდნენ ვაშინგტონის ზენოლას – დიდი დეპრესიისდროინდელი სავაჭრო ბარიერების გაუქმების მოთხოვნით, ვინაიდან ეს ბარიერები ხელს უშლიდა ამერიკული ნაწარმის გატანას მსოფლიო ბაზარზე. შეერთებულმა შტატებმა ბოლოს დაარწმუნა მსოფლიოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები, რომ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალურ შეთანხმებას (GATT) 1947 წლის შემოდგომაზე მიერთებოდნენ. შეთანხმების საფუძველზე, მოგვიანებით, მსოფლიოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებს შორის, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპის შესაბამისად, სავაჭრო ბარიერების დაწვეის თაობაზე მოლაპარაკებები გაიმართა, რომლის თანახმად, ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებული სავაჭრო დათმობები მექანიკურად უნდა გავრცელებულიყო გენერალური

შეთანხმების ხელმომწერ ყველა სახელმწიფოზე. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების განმავლობაში, ტარიფებისა და სხვა ბარიერების დაწევამ, თითქმის ოცნლიანი სტაგნაციის შემდეგ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის საგრძნობი ზრდა გამოიწვია.

ორი ბლოკის დაპირისპირების კონსოლიდაცია

მარშალის გეგმამ ისეთივე შორსმომავალი პოლიტიკური გავლენა მოახდინა ევროპის მომავალზე, როგორც მისმა ეკონომიკურმა შედეგებმა. საბჭოთა ბლოკის მიერ პროგრამაზე უარის თქმამ არა მხოლოდ წერტილი დაუსვა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ომამდელი ეკონომიკური და, შესაბამისად, პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობას, არამედ თითოეულ ევროპულ სახელმწიფოში იდეოლოგიური პოლარიზაციაც დააჩქარა. როდესაც სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა ევროპის ქვეყნებს ეკონომიკური დახმარება შესთავაზა, კონტინენტის ყველა ქვეყანაში კომუნისტურ და არაკომუნისტურ პარტიებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები უკვე გაუარესების გზას ადგა. 1947 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის კოალიციური მთავრობების კომუნისტი მინისტრები ან გაუშვეს მთავრობებიდან, ან მათ თავად დატოვეს პოსტები კოალიციაში უმრავლესობით მყოფ პროამერიკულ პარტიებთან მზარდი იდეოლოგიური განსხვავებების გამო. იმავდროულად, აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიები სისტემატურად ავინროებდნენ არაკომუნისტურ ორგანიზაციებს. ამერიკელების დაფინანსებულმა ევროპის ეკონომიკური აღორძინების პროგრამამ იდეოლოგიური დაშორიშორების ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაამყარა. ევროპაში შეერთებული შტატების ეკონომიკური პოზიციის გამყარების ხელის შეშლის მიზნით, მოსკოვმა 1947 წლის 22 სექტემბერს დააარსა კომუნისტური საინფორმაციო ბიურო (კომინფორმი) – ევროპის კომუნისტური პარტიების ფორმალური ორგანიზაცია, რომლის მიზანი ამ პარტიების მოსკოვისადმი მორჩილების გამყარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ კომინფორმმა აღმოსავლეთ ევროპაში არაკომუნისტური პოლიტიკური ძალების აღმოფხვრა მოახერხა, რომლებიც შეიძლებოდა, იოლად დაშორიშობოდნენ ამერიკის გავლენას, მან ვერ შეძლო დასავლეთ ევროპაში მარშალის გეგმის წინააღმდეგ ეფექტური ოპოზიციის შექმნა. კომუნისტთა კონტროლის ქვეშ მყოფი, მშრომელთა ორგანიზაციების მიერ საფრანგეთსა და იტალიაში 1947 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული გაფიცვები და არეულობები სრულიად უშედეგოდ დასრულდა. ამ ორი ქვეყნის კოალიციურმა მთავრობებმა, საიდანაც გასულ გაზაფხულს კომუნისტური პარტიები მთლიანად დაითხოვეს, დიდი მონდომებით განაგრძეს მარშალის გეგმით გათვალ-

ისწინებული ეკონომიკური დახმარების მოთხოვნა და აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადეს ვაშინგტონის ახალ ანტისაბჭოთა საგარეო პოლიტიკას.

ამრიგად, 1948 წლის დასაწყისამდე ევროპის კონტინენტი ორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკად გაიყო: ერთი მათგანი შეერთებულ შტატებზე იყო დამოკიდებული, ხოლო მეორე საბჭოთა კავშირს ემორჩილებოდა. ამას მალე მოჰყვა კონტინენტის ორ სამხედრო ბლოკად დაყოფაც, რომელთაგან თითოეულს მეორე ბლოკის წინააღმდეგ თავდაცვა ევალებოდა და რომელთა უკან მათი მფარველების დიდი სამხედრო ძალა იდგა. ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს რეგულარული, თუმცა არაგულითადი ურთიერთობა ჰქონდათ საგარეო საქმეთა მინისტრების დონის სხვადასხვა კონფერენციაზე, გერმანიაზე მოკავშირეთა საზედამხედველო საბჭოში და გაეროში, რათა სადავო საკითხები დიპლომატიური მალაპარაკებების გზით მოეგვარებინათ. თუმცა, 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიის სათავეში კომუნისტების მოსვლამ, რამაც სიმბოლურად და პირდაპირი მნიშვნელობითაც ევროპის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ბოლო, მთავარი გზა გადაკეტა, კიდევ უფრო დააჩქარა საბოლოო განხეთქილება მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ორი სახელმწიფოს ურთიერთობებში. ამის შემდგომ, დასავლეთ ევროპის ეკონომიკური რეკონსტრუქცია ამაო იქნებოდა, თუკი ამ რეგიონის ქვეყნები ვერ შეძლებდნენ ადეკვატურ თავდაცვას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთსა და იტალიაში კომუნისტების მიერ ორგანიზებული არეულობისა და პრალაში მომხდარი კომუნისტური გადატრიალების შემდგომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვი ყველა გზით ცდილობდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას დასავლეთით, ომის შემდეგ მისთვის არაფორმალურად განსაზღვრული გავლენის სფეროს გარეთაც.


1948 წლის 17 მარტს ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს განვითარებულმა ორმა მოვლენამ ნათლად წარმოაჩინა დასავლეთის ქვეყნების მტკიცე გადანწყვეტილება, რომ ტრანსატლანტიკური ეკონომიკური თანამშრომლობა კოლექტიური თავდაცვის ვალდებულებითაც გაემყარებინათ. პირველი ამ ორი მოვლენიდან ბრიუსელის პაქტის ხელმოწერა და ბრიუსელის პაქტის ორგანიზაციის ჩამოყალიბება იყო. ეს ორგანიზაცია წარმომადგენდა ორმოცდაათწლიან ალიანსს დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სამ პატარა სახელმწიფოს შორის, რომელიც უკვე ბენილუქსად იწოდებოდა (ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი). ეს ქვეყნები დებდნენ პირობას, რომ ერთობლივად მოიგერიებდნენ ერთ-ერთი მათგანის წინააღმდეგ განხორციელებულ „შეიარაღებულ თავდასხმას“. მეორე მოვლენა იყო პრეზიდენტ ტრუმანის თხოვნა კონგრესისადმი, რათა ამ უკანასკნელს კვლავ დაეშვა შეერთებულ შტატებში ომის შემდეგ გაუქმებული საყოველთაო-სამხედრო სამსახური, რადგან ამერიკელები მშვიდობიანობის დროს, ტრადიციულად,

უპირატესობას მოხალისეთა მცირერიცხოვან არმიას ანიჭებდნენ. ეს ორი მოვლენა, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ბრიუსელის პაქტის მიზანი იყო, წარმოეჩინა დასავლეთევროპული ქვეყნების მხრიდან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სურვილი, რაც, შესაბამისად, გაამარტივებდა ტრუმანის ამოცანას, მიეღნია კონგრესის თანხმობისათვის, ევროპელთა ამ საერთო ძალისხმევაში ამერიკის მონაწილეობის შესახებ.

ბრძოლა გერმანიისათვის

ამერიკის ხელახალი შეიარაღებისა და დასავლეთ ევროპის კოლექტიური უსაფრთხოებისკენ გადადგმულ პირველივე ნაბიჯებზე საბჭოთა კავშირის რეაქციის მეომრულმა სულისკვეთებამ დასავლელი ლიდერების ეჭვები დაადასტურა, კიდევ უფრო გააძლიერა მათი მისწრაფება სამხედრო მზადყოფნისკენ და უსაფრთხოების სფეროში ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის განვითარება დააჩქარა. დასავლეთისა და საბჭოთა ძალთა პირველი კონფრონტაციის ველი, სადაც მხარეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, რალა თქმა უნდა, ევროპის რეგიონი იყო: კერძოდ, ოკუპირებული გერმანია. გერმანიის, ავსტრიისა და მათი დედაქალაქების ოთხ საოკუპაციო ზონად განაწილება ამერიკის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის იურისდიქციის ქვეშ, დროებით ზომას წარმოადგენდა, ვიდრე ამ ქვეყნებში თანდათან ჩამოყალიბდებოდა ნაციზმთან კავშირისგან თავისუფალი, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები, რომლებიც ხელახლა გაერთიანებული გერმანიისა და ავსტრიის მართვას შეძლებდნენ. მანამდე კი გერმანიის (ისევე როგორც ავსტრიის), როგორც ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულების, ადმინისტრირებას მოკავშირეთა მაკონტროლებელი საბჭო ახორციელებდა, რომელიც გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მდებარეობდა. თუმცა, თავად ბერლინიც, როგორც ერთიანი მუნიციპალური ერთეული, ოთხ საოკუპაციო სექტორად იყო გაყოფილი.

ომის დამთავრებიდან სამი წლის განმავლობაში წარმოქმნილმა რამდენიმე ფაქტორმა ხელი შეუშალა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით პოტსდამის კონფერენციაზე შემუშავებული გეგმების განხორციელებას. ამ ფაქტორების უმრავლესობა დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის სურვილთან, მაქსიმალური სარგებელი მიეღო გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილიდან, – რომელიც მისი სამხედრო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა – რეპარაციების მიღების თვალსაზრისით. საბჭოთა საოკუპაციო ძალებმა უაპელაციოდ მოითხოვეს გერმანული მანქანა-დანადგარების, ელექტროსადგურების, რკინიგზის შემადგენლობების, ისევე როგორც ქვანახშირისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რუსეთის სამსახურში ჩაყენება. მეორე მხრივ, მათ უარი განაცხადეს გერმანიის სხვა ოკუპირებული ზონებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებაზე იმ სამრეწველო პროდუქციის სანაცვლოდ,



გერმანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის

რომელიც მათ უკვე მიღებული ჰქონდათ დასავლეთის ზონებიდან. საბჭოთა საოკუპაციო ძალების ამ ღონისძიებებმა, რაც არ უნდა გასაგები ყოფილიყო ისინი გერმანიის თავდასხმის შედეგად საბჭოთა კავშირის უმძიმესი ეკონო-

მიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების მთავრობისა და ბერლინში მაკონტროლებელ საბჭოში ამერიკელი წარმომადგენლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. ტრუმანის ადმინისტრაციას არ სურდა, დაეშვა რუსების მიერ მათ ზონაში მდებარე ეკონომიკური რესურსების დასაკუთრება და, ამავ დროს, დასავლეთის ზონებიდან რეპარაციების სახით სხვადასხვა პროდუქტის მიღება, მაშინ როცა შეერთებული შტატები თავად იხდიდა გერმანიის გალატაკებული მოსახლეობისათვის საარსებო საშუალებების უზრუნველსაყოფად. ამერიკის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის ეკონომიკურ აღორძინებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ეკონომიკური აღორძინებისათვის და ამიტომ ამაოდ სთხოვდა საბჭოთა კავშირის, რეპარაციების საკითხი გერმანიის ეკონომიკის ეფექტურად მართვის ყოვლისმომცველი გეგმის ნაწილად განეხილა. როდესაც საბჭოთა კავშირმა მანც განაგრძო გერმანიის ქონებისა და რესურსების რეკვიზიცია, შეერთებულმა შტატებმა 1946 წლის მაისში საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონას რეპარაციებით გათვალისწინებული ტრანსფერები შეუწყვიტა. ამასობაში, რუსებმა საკუთარ საოკუპაციო ზონაში ეკონომიკური რეფორმების ღონისძიებების გატარება დაიწყეს – კონფისკაციები კომპენსაციის გარეშე, დიდი მიწების ხელახლა დარიგება, – რაც არა მხოლოდ ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი მენარმეობის ამერიკულ ხედვას, არამედ ხელს უშლიდა გერმანიის ერთიან ეკონომიკურ ერთეულად მართვის თავდაპირველი პოლიტიკის განხორციელებასაც.

მოგვიანებით, კრემლმა უეცრად შეცვალა სტრატეგია და გერმანიის მიმართ დამსჯელი პოლიტიკა უფრო შემრიგებლური მიდგომით შეცვალა. მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრების ივლისში გამართულ შეხვედრაზე მოლოტოვმა აგრესიულად დაადანაშაულა შეერთებული შტატები მორგენტაუს დიდი ხნის წინ უარყოფილი გეგმის ხელახლა, შეფარულ ამოქმედებაში, რაც გერმანიის ქვანახშირისა და რკინის წარმოებაზე შეზღუდვების დაწესებით გერმანული რაიხის დეინდუსტრიალიზაციას გულისხმობდა. საბჭოთა კომისარმა დამსწრეებს ერთიანი გერმანული მთავრობის შექმნა შესთავაზა და მკაცრად დაგმო საფრანგეთის გეგმა რურის ოლქის გერმანიისგან გამოყოფის შესახებ. მოლოტოვის ეს განცხადებები საბჭოთა კავშირის მხრიდან, სამი დასავლელი მოკავშირისგან გერმანიის მოსარჩლის როლის მორგების გზით, უმძიმეს პირობებში მყოფი გერმანელი ხალხის კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობას ასახავდა.

„გერმანიისათვის ბრძოლაში“ საბჭოთა კავშირს რომ არ ჩამორჩენოდნენ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბერნსმა მოლოტოვის მზაკვრულ გეგმას 5 სექტემბერს შტუტგარტში 1400 გერმანელი მაღალი თანამდებობის მოხელის წინაშე გამოსვლით უპასუხა, რამაც ოკუპირებული გერმანიის მიმართ ამერიკის ახალ პოლიტიკას დაუდო საფუძველი. მან დამსწრეებს ამცნო, რომ შეერთებული შტატები გერმანიის ეკონომიკური რეა-

ბილიტაციის ხელშეწყობას იწყებდა, რათა მასაც თავისი ნვლილი შეეტანა ევროპის ეკონომიკურ აღორძინებაში. მან ასევე უარყო რურის ოლქის დანარჩენი ქვეყნისგან მონყვეტის იდეა. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მოუნოდა გერმანელ ხალხს, დროულად შეექმნათ დროებითი მთავრობა, რომელიც მთელი ქვეყნის ადმინისტრირებას შეძლებდა და გერმანელი ხალხიც საკუთარი ქვეყნის თავად მართვას განაგრძობდა. საბჭოთა კავშირის მიმართ გავრცელებულ გერმანულ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჯეიმს ბერნსმა მკაფიო უარი განაცხადა გერმანიასა და პოლონეთს შორის ოდერ-ეისეს საზღვრის აღიარებაზე. ეს საზღვარი, რომლითაც გერმანიას ომამდელი ტერიტორიის დიდი ნაწილი ეჭრებოდა, 1945 წელს რუსებმა თვითნებურად გააღვეს პოლონეთისათვის იმ 70 000 კვადრატული მილის ტერიტორიის საკომპენსაციოდ, რომლის დათმობამაც ვარშავას საბჭოთა კავშირისთვის მოუნია. ტერიტორიის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გერმანელი ხალხის უკმაყოფილებისათვის მხარდაჭერის გამოხატვით, შეერთებულმა შტატებმა აიძულა საბჭოთა კავშირი, არჩევანი გაეკეთებინა მის მორჩილ პოლონეთის სახელმწიფოსა და გერმანიაში პერსპექტიულ მოკავშირეებს შორის. სტალინმა პოლონეთის მხარე დაიკავა, რითაც უარყოფითად განაწყო გერმანელი ხალხი, რომლის მოხიზვლასაც მოსკოვი მანამდე ასე ძლიერ ცდილობდა.

ტრუმანის ადმინისტრაციამ კი გერმანელი ხალხის მიმართ იმ ვალდებულებების შესრულება განაგრძო, რომელზეც ბერნსმა შტუტგარტში გამოსვლისას ისაუბრა. ამ მიზნით, ადმინისტრაცია ხელს უწყობდა გერმანიის სამ დასავლურ საოკუპაციო ზონაში ოკუპაციის პოლიტიკის მეტ კოორდინაციას და თანდათან აფართოებდა გერმანიაში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პროდასავლური ელიტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებამოსილებებს. 1947 წლის პირველ იანვარს, ამერიკელებმა და ბრიტანელებმა მათი საოკუპაციო ზონები ერთ ეკონომიკურ ერთეულად ოფიციალურად გააერთიანეს, ხოლო, იმავე წლის მაისში ეკონომიკის საკონსულტაციო კომიტეტი დააარსეს, რომელიც ამ ორი ოკუპანტი სახელმწიფოს ნებართვით მათ ზონებში არჩეული რეგიონული ასამბლეების ორმოცდათორმეტი წარმომადგენლისგან შედგებოდა. ივლისში შეერთებულმა შტატებმა მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების სამ დასავლურ საოკუპაციო ზონაზე გავრცელება გადაწყვიტა. ფრანგები, რომლებიც თავიდან მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ მიმართულ ნებისმიერ ღონისძიებას (გასაგები ისტორიული მიზეზების გამო), 1947 წლის ზაფხულში ამერიკელების ზენოლას დაჰყვნენ და სამივე საოკუპაციო ზონის ერთიან ეკონომიკურ პოლიტიკას მიუერთდნენ. მალე დასავლეთ გერმანიის ერთიანი ადმინისტრაციის საფუძველი უკვე უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სახით არსებობდა, რომელმაც გერმანიის სამრწველო აღორძინების გეგმა შეიმუშავა, რამაც, თავის მხრივ, გზა გაუხსნა ორმოცდაათიანი წლებ-

ის გერმანულ ეკონომიკურ „სასწაულს“. 1948 წლის პირველ მარტს შეიქმნა ცენტრალური ბანკი, რომელიც სამივე დასავლურ საოკუპაციო ზონას ემსახურებოდა. 18 ივნისს საფრანგეთი საბოლოოდ დასთანხმდა მისი საოკუპაციო ზონის ანგლოამერიკულ ზონასთან შერწყმას, ხოლო 20 ივნისს დასავლურგერმანული ვალუტა – გერმანული მარკა შემოიღეს, რომლის მიზანიც ინფლაციასთან გამკლავება, შავი ბაზრის მოთოკვა და ქალაქის ფულის მიმართ ნდობის აღდგენა იყო სამწლიანი, ნახევრად ბარტერული ეკონომიკის შემდეგ, როდესაც სიგარეტი ყველაზე მყარ ფულად ერთეულს წარმოადგენდა. ამ რეფორმებით დასტურდებოდა, რომ მოკავშირეები აღიარებდნენ გერმანიის ეკონომიკური აღორძინების მნიშვნელობას ევროპის ეკონომიკური აღორძინებისათვის, გერმანიის გაერთიანების სრულ შეუძლებლობას არსებულ პირობებში და ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული ზონების შერწყმის აუცილებლობას, როგორც ერთადერთ შესაფერის ალტერნატივას.

დასავლეთ გერმანიაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი – მუშახელის, კაპიტალის და პროდუქციის თავისუფალი გადაადგილება სამ საოკუპაციო ზონას შორის, გერმანელების მიერ კონტროლირებადი სამივე ზონის მომცველი და ფართო დისკრეციული უფლებამოსილებების მქონე ეკონომიკური ორგანოების შექმნა, მარშალის გეგმის საფუძველზე და ამერიკული ფინანსური მხარდაჭერით სამივე ზონაში მოქმედი ერთიანი ცენტრალური ბანკის დაარსება და ერთიანი ფულადი ერთეულის შემოღება – მოსკოვში აღქმულ იქნა, როგორც გერმანიის დასავლური ზონების პოლიტიკური ინტეგრაციის დასაწყისი შეერთებული შტატებისადმი ლოიალურ დასავლეთგერმანულ სახელმწიფოდ. რამდენადაც ახლადკონსოლიდირებული დასავლური საოკუპაციო ზონები გერმანიის მთელი მოსახლეობის სამ მეოთხედს შეადგენდა და ომამდელ ევროპაში ყველაზე პროდუქტიულ სამრეწველო რეგიონებს მოიცავდა (რური-რაინლანდი-ვესტფალიის მხარე), პოლიტიკურად უნიფიცირებული, ეკონომიკურად განვითარებული და შეერთებულ შტატებთან ასოცირებული გერმანია კრემლში გასაგებ შემფოთებას იწვევდა: მოვლენების ასეთი განვითარება, შესაძლოა, აღმოსავლეთის ზონის გერმანელებისთვის მიმზიდველი ყოფილიყო იმ ვითარებაში, როდესაც ეს უკანასკნელნი, საბჭოთა ოკუპაციის გამო, უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდნენ. დასავლეთ გერმანია, შესაძლოა, აღმოსავლეთ ევროპის სატელიტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ინტრიგების ცენტრი გამხდარიყო და, რაც ყველაზე უარესია, ერთდროულად, ტრუმანის მიერ საყოველთაო-სამხედრო სამსახურის მოთხოვნისა და დასავლეთევროპული სამხედრო ალიანსის შექმნის ფონზე, დასავლეთგერმანული სახელმწიფო, შესაძლოა, აშშ-ისა და ბრიუსელის პაქტის ფარგლებში, ამერიკის დასავლეთევროპელი კლიენტების მხრიდან საბჭოთა დედასამშობლოზე თავდასხმების პლაცდარმად ქცეულიყო.

დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულის შექმნის შესახებ შეერთებული შტატების გადანყვეტილების პასუხად, მოსკოვმა ზენოლის გამკაცრება დასავლეთის ყველაზე დაუცველ სექტორზე – დასავლეთ ბერლინზე გადანყვიტა, რომელიც რუსეთის ზონის შიგნით 110 მილის სიღრმეში მდებარეობდა და დასავლეთის ზონას საგზაო მაგისტრალითა და რკინიგზით უკავშირდებოდა. 1948 წლის 24 ივნისს გერმანიის საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა საგზაო და სარკინიგზო მიმოსვლა შეაჩერა დასავლეთის ზონიდან საბჭოთა ზონის გავლით დასავლეთ ბერლინისაკენ, რომლის 2.5-მილიონიანი მოსახლეობა, რომელსაც მხოლოდ ოცდათექვსმეტი დღის სამყოფი საკვების მარაგი ჰქონდა, შიმშილით დალუპვის საფრთხის წინაშე დადგა. საბჭოთა საოკუპაციო ძალები გზის გადაკეტვას დასავლეთ გერმანიაში ძლიერი ფულადი ერთეულის შემოღებაზე რეაგირებით ხსნიდა (რომელიც აუცილებლად გაანადგურებდა სუსტ საბჭოთა ფულს აღმოსავლეთ ზონაში), თუმცა, მათი ქმედების ნამდვილი მიზანი ბერლინიდან დასავლეთის საოკუპაციო ძალების განდევნა იყო. თუ საბჭოთა კავშირი ხელს ვერ შეუშლიდა დასავლეთ გერმანიის შექმნას, „რკინის ფარდაში“ გასაღწევ უკანასკნელ გზას მაინც ამოქოლავდა. ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებმა ბერლინში, მათი ხელისუფლების მიმართ ამ პირდაპირ გამონევენას საპაერო ხიდის გახსნით უპასუხეს, რომელსაც ალყაში მომწყვდეული ბერლინელები-სთვის სურსათი, სანავი და სხვა საჭირო პროდუქტები ჩაჰქონდა. 1949 წლის 12 მაისს სტალინმა გააცნობიერა ბერლინის ბლოკადის წარუმატებლობა და გზა გახსნა დასავლეთ ბერლინისაკენ, თუმცა, სახის შესანარჩუნებლად ბლოკადა გზებისა და რკინიგზის ერთნლიანი „სარემონტო სამუშაოებით“ ახსნა, რისაც, რა თქმა უნდა, არავის სჯეროდა. საბჭოთა კავშირის მკაცრი კონტროლის ქვეშ მყოფ ამ რეგიონში, სადაც საბჭოთა კავშირს უზარმაზარი სამხედრო უპირატესობა ჰქონდა, დასავლური გავლენის ამ ანომალიური კუნძულისგან გათავისუფლების წარუმატებლობა მხოლოდ ერთ ძირითად ფაქტორს უკავშირდებოდა: შეერთებული შტატები უკვე ფლობდა ბირთვულ იარაღს, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო რუსეთის ქალაქებში სამოცი B-29 ბომბდამშენიდან, რომლებიც კრიზისის გამწვავებისას ბრიტანულ ბაზებზე განალაგეს (თუმცა, ატომური ბომბების გადატანისათვის შესაბამისი ადაპტაციის გარეშე).

ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემა და გერმანიის გაყოფა

ბერლინის კრიზისმა კიდევ უფრო გააძლიერა შეერთებული შტატების აქტიურობა დასავლეთ ევროპის თავდაცვის კუთხით, რომელიც, რიტორიკის დონეზე, უკვე დანყებული იყო ტრუმანის დოქტრინის და 1947 წელს თურქეთის და საბერძნეთის კრიზისებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის შეკავების პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ. 1948 წლის 28 აპრილს პრეზი-

დენტ ტრუმანის მიერ კონგრესისადმი საყოველთაო-სამხედრო სამსახურის კვლავ შემოღების შესახებ გაგზავნილი თხოვნისა და, იმავდროულად, ევროპაში ბრიუსელის პაქტის ორგანიზაციის შექმნიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა ერნესტ ბევინმა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნის იდეა მოსინჯა. ეს სისტემა ერთმანეთს დააკავშირებდა შეერთებულ შტატებს, კანადას და ბრიუსელის პაქტის ხელმომწერ ხუთ ქვეყანას. იენისში მომხდარმა ბერლინის ბლოკადამ კიდევ უფრო გაამყარა ტრუმანის ადმინისტრაციის იმ ნეერთა პოზიცია, რომელთაც მიაჩნდათ, რომ შეერთებული შტატები საბოლოოდ უნდა გამომშვიდობებოდა იზოლაციონისტური პოლიტიკის ძველ მემკვიდრეობას და, ევროპის ეკონომიკური აღორძინებისადმი მხარდაჭერასთან ერთად, ევროპული თავდაცვის სფეროშიც უფრო კონკრეტული ვალდებულებები აეღო.

ასეთი უპრეცედენტო საგარეო ვალდებულების აღებისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა აშშ-ის ხელისუფლების საკანონმდებლო შტოზე იყო დამოკიდებული, ისევე როგორც ოცდაათი წლით ადრე, როდესაც დემოკრატიული პარტიის წევრი პრეზიდენტის გეგმები ამერიკის გლობალური პასუხისმგებლობის შესახებ კაპიტოლ ჰილმა ჩაშალა. ევროპის თავდაცვაში ამერიკის მონაწილეობისათვის აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, საკმარისად ძლიერი სამხედრო ძალა, რომელიც უზრუნველყოფდა, ამერიკელების ვალდებულების დამაჯერებლობას და, მეორე მხრივ, საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა ამერიკის მონაწილეობაზე ბევინისა და მისი ევროპელი კოლეგების მიერ ჩამოყალიბებულ რეგიონული თავდაცვის სისტემაში. როგორც აღმოჩნდა, კონგრესში „ინტერნაციონალიზმის“ მიმდევარი რესპუბლიკელების რაოდენობამ იზოლაციონიზმის მომხრეთა რაოდენობას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. 1948 წლის 24 ივნისს კონგრესმა უარი თქვა მოხალისეთა მცირერიცხოვანი არმიის ტრადიციაზე და მიიღო კანონი, რომელსაც ეფვენიზმი – „სელექციური სამსახურის კანონი“ ეწოდა. ამ კანონმა, რომელმაც ცხრამეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ყველა ჯანმრთელ მამაკაცს ოცდაერთ-თვიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური დააკისრა, ამერიკის არმიაში სამხედროთა რაოდენობა მკვეთრად გაზარდა. ბრიუსელის პაქტის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა მსგავსად, რომელთაც ომის შემდეგ ასევე საყოველთაო-სამხედრო სამსახური შემოიღეს, მილიონობით ამერიკელი ახალგაზრდა გადიოდა წვრთნას სამხედრო ხელოვნებაში არა ევროპაში ომის სანარმოებლად, არამედ იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირს იქ ომის დაწყება აღარ მონდომებოდა.


ბრიუსელის პაქტის წევრ ევროპულ სახელმწიფოებზე შეერთებული შტატების პროტექციის კონცეფცია, რომელსაც შეერთებული შტატები აქტიურად განიხილავდა 1948 წლის განმავლობაში, ერთი შეხედვით, წინააღმდე-

გობაში მოდიოდა გაეროს მთავარ მიზანთან, რაც კოლექტიური უსაფრთხოების გლობალური ქსელის შექმნა იყო და რომელსაც ასეთი რეგიონული თავდაცვითი შეთანხმებები უსარგებლოდ უნდა ექცია. ბრიტანეთის ომისდროინდელ მთავრობას სურდა, რომ მომავალი მსოფლიო ორგანიზაცია დეცენტრალიზებული ყოფილიყო რეგიონულ ასოციაციებად, რასაც გადამწყვეტი წინააღმდეგობა რუზველტმა გაუწია, რომელიც მტკიცედ მოითხოვდა, უილსონისეული ხედვის შესაბამისად, ერთიანი, უნივერსალური ორგანიზაციის შექმნას რეგიონული დაყოფის გარეშე. თუმცა მალე, რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ორმოცდაათი სახელმწიფოს დელეგატები სან ფრანცისკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის დასაწერად შეიკრიბნენ, ლათინურ ამერიკასთან დაკავშირებული პრობლემატიკით შენუხებული შეერთებული შტატების წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ კოლექტიური უსაფრთხოების გლობალურ სისტემას, შესაძლოა, საფრთხე შეექმნა ამერიკის სამხრეთით მის კლიენტ სახელმწიფოებთან სპეციალური ურთიერთობებისთვის. როგორც ადრე უილსონმა მოითხოვა, რომ მონროს დოქტრინით გათვალისწინებულ რეგიონზე არ გავრცელებულიყო ერთა ლიგის ქარტია, ტრუმანის ადმინისტრაციამაც გაეროს ქარტიაში 51-ე მუხლის ჩამატებას მიაღწია, რომლითაც ნევრი სახელმწიფოები გაეროს ფარგლების გარეთ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის უფლებას ინარჩუნებდნენ. პირველი ასეთი რეგიონული შეთანხმება 1947 წლის 2 სექტემბერს დადებული რიოს პაქტი იყო, რომლის თანახმად, ერთ-ერთ ამერიკულ რესპუბლიკაზე თავდასხმა ყველა მათგანზე თავდასხმად მიიჩნეოდა, რითაც რიოს პაქტმა დასავლეთ ნახევარსფეროს კოლექტიური თავდაცვის პრინციპი ჩამოაყალიბა. ზემოხსენებული ბრიუსელის პაქტიც გაეროს 51-ე მუხლის დებულებებზე დაყრდნობით შეიქმნა. რიოსა და ბრიუსელის პაქტების პრეცედენტებით ზურგგამაგრებულმა რესპუბლიკებმა სენატორმა არტურ ვანდენბერგმა (ინტერნაციონალისტად ქცეული ყოფილი იზოლაციონისტი, რომელმაც მონანილეობა მიიღო 51-ე მუხლის ჩამოყალიბებაში და რომელიც ბოლოს სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელიც გახდა) სენატს წარუდგინა რეზოლუციის პროექტი, რომლის მიზანი გაეროს უშიშროების საბჭოში ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საბჭოთა ვეტოსთვის, გაეროს წესდების დარღვევის გარეშე, გვერდის ავლა იყო. ვანდენბერგის რეზოლუციით შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა მშვიდობიანობის პერიოდში დასავლეთ ნახევარსფეროს პრიორიტეტულობაზე და დაადასტურა ვაშინგტონის სურვილი, მიერთებოდა დასავლეთ ევროპის რეგიონული უსაფრთხოების სისტემას, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა.

ვანდენბერგის რეზოლუციით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, რომელსაც მხოლოდ ოთხმა სენატორმა არ მისცა ხმა, 5 ივლისს სა-

ხელმწიფო დეპარტამენტმა მოლაპარაკებები დაიწყო ბრიუსელის პაქტის ქვეყნებისა და კანადის, მალე კი იტალიის, ნორვეგიის, დანიის, ირლანდიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებთან. ბოლოს, 1949 წლის 4 აპრილს, ამ თორმეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას – რეგიონული უსაფრთხოების შეთანხმებას, რომელიც რიოს პაქტის მაგალითზე შემუშავდა და რომელიც თითოეულ ხელმომწერ მხარეს, სხვა მონაწილე ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაში, დახმარების განევას ავალბდა. სენატში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების რატიფიცირებას მხარი დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა – ოთხმოცდაორმა სენატორმა ცამეტის წინააღმდეგ – და 25 ივლისს ხელშეკრულებას პრეზიდენტმა ტრუმანმაც მოაწერა ხელი. იმავე დღეს პრეზიდენტმა კონგრესის თანხმობა მოითხოვა თავდაცვის სფეროში ურთიერთდახმარების პროგრამაზე – 1.5 მილიარდი დოლარის ერთწლიან სამხედრო დახმარებაზე, – რომელიც შემდგომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციად (ნატო) წოდებულ გაერთიანებაში განვერიანებული დასავლეთევროპელი ახალი პარტნიორებისადმი აღებული სამხედრო ვალდებულების ფინანსურ საფუძველს ქმნიდა.

ასე გაჩნდა ჩრდილოატლანტიკური საზოგადოების არარეალური კონცეფცია. ეს კონცეფცია არარეალური იყო, რადგან ის მოიცავდა ისეთ ქვეყნებს, როგორცაა იტალია (რომ აღარაფერი ვთქვათ საბერძნეთსა და თურქეთზე, რომლებიც ორგანიზაციას 1952 წელს შეუერთდნენ), რომლის სანაპირო ჩრდილოატლანტიკური ოკეანიდან საკმაოდ შორს იყო. არარეალური იყო ამ ორგანიზაციის კონცეფცია იმის გამოც, რომ ის არ მოიცავდა გეოგრაფიულად დაკავშირებულ ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: ესპანეთი (მისი ავტორიტარული მთავრობისა და ლერძის სახელმწიფოებთან წარსული კავშირების გამო), შვედეთი და ირლანდია (რომლებიც მტკიცედ ითხოვდნენ ტრადიციული ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას). ეს ორგანიზაცია ასევე არ წარმოდგენდა თანამშრომლობის ხანგრძლივი სულისკვეთების მქონე კოალიციას, რამდენადაც მასში განვერიანებული იყო ორი სახელმწიფო – იტალია და დასავლეთ გერმანია (რომელიც 1955 წელს მიუერთდა ალიანსს), რომლებთანაც ნატოს ქვეყნების უმრავლესობა სულ ცოტა ხნით ადრე ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ალიანსის ამერიკელი მხარდამჭერების მხრიდან ატლანტიციზმის ახალმა მითმა, უფრო ძველი, ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის სოლიდარობის შესახებ მითი ჩაანაცვლა, რომელიც, მონროს დოქტრინიდან რუზველტის „კეთილმეზობლური ურთიერთობების“ პოლიტიკის ჩათვლით, შეერთებული შტატების დიპლომატიურ ურთიერთობებს ედო საფუძველად. ატლანტის ოკეანე აღარ მიიჩნეოდა ბუფერად ორ, სრულიად განსხვავებულ, ან, იქნებ, ურთიერთშეუთავსებელ ცივილიზაციას – ძველ და ახალ მსოფლიოს – შორის, რომელიც ახალ მსოფლიოს ძველი მსოფლიოს გამრყენელი გავლენისაგან იცავდა. ამის ნაცვლად, ატლანტის



ცივი ომის შემოპარი: დინ აჩესონი, რომელიც ჯერ სახელმწიფო მდივნის მოადგილე იყო (1945-1949) და შემდგომ – სახელმწიფო მდივანი (1949-1953), ცივი ომის პირველ წლებში ტრუმანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების სისტემას ის ევროპაზე საბჭოთა კავშირის სამხედრო თავდასხმის მთავარ შემაკავებელ ფაქტორად მიიჩნევდა და აქტიურად უჭერდა მხარს დასავლეთგერმანიის ჩართვას ამ ანტისაბჭოთა ალიანსში. ამ მგზნებარე ანტიკომუნისტს ოპოზიციური რესპუბლიკური პარტია, სენატორ ჯოზეფ მაკარტის ხელმძღვანელობით, კომუნიზმის მიმართ „რბილ“ დამოკიდებულებაში სდებდა ბრალს.

ოკეანე დამაკავშირებელ ხიდად იქცა, რომელმაც, საერთო პრინციპებისა და ღირებულებების საფუძველზე, ერთმანეთთან დააკავშირა ევროპული ცივილიზაციის მემკვიდრეები – ისინი, რომელთა წინაპრებმაც ოკეანის მეორე მხარეს არჩიეს ცხოვრება და ისინი, რომლებიც ძველ კონტინენტზე დარჩნენ. თუმცა, როგორც შემდგომ ვნახეთ, ატლანტიკური ალიანსი ჩამოყალიბდა არა საერთო პრინციპებისადმი ერთგულების, არამედ საფრთხის განცდის საფუძველზე: ამ ხელშეკრულების ხელმომწერებს აერთიანებდათ, ერთი მხრივ, საბჭოთა აგრესიის შიში – რაც განსაკუთრებით აშკარა გახდა ბერლინის ბლოკადის შემდეგ – და, მეორე მხრივ, ამ საფრთხის შეკავებისა და მისთვის წინააღმდეგობის განევის მტკიცე სურვილი, რასაც შეერთებული შტატების ბირთვული იარაღის გარანტია უმაგრებდა ზურგს.

ბერლინის ბლოკადის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო გერმანიის ფორმალური გაყოფა ორ პოლიტიკურ ერთეულად, რომელთაგან თითოეული ერთ-ერთ ზესახელმწიფოსთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. 1949 წლის მაისში – ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბებიდან მალევე და ბერლინის ბლოკადის ბოლო კვირის განმავლობაში – სამმა დასავლურმა საოკუპაციო სახელმწიფომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნაზე მოილაპარაკა, რომლის დედაქალაქი რაინლანდის ქალაქი ბონი გახდა. 1949 წლის 14 აგვისტოს, სამივე ყოფილ დასავლურ საოკუპაციო ზონაში, პირველი ომის შემდგომი არჩევნები ჩატარდა, რომლის შედეგად დასავლეთგერმანიის სათავეში კონსერვატიული, პროდასავლური, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია მოვიდა, რომლის, თავგამოდებულად ანტიკომუნისტური ლიდერი კონრად ადენაუერი ახალი სახელმწიფოს ლიდერი გახდა. ადენაუერი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ახალი სახელმწიფოს ეროვნული აღორძინების გზა საბჭოთა ბლოკის წინააღმდეგ დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობაზე გადიოდა. შეერთებული შტატებისათვის დასავლეთ გერმანია საბჭოთა კავშირის მიმართ ამოქმედებული შეკავების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო, რის გამოც მან სრულიად მოუხსნა შეზღუდვები სამრეწველო წარმოებაზე და მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარება გაუზარდა. შეერთებული შტატები ასევე გულითადად მიესალმა ადენაუერის მთავრობის ეკონომიკის მინისტრ ლუდვიგ ერჰარდის თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელმაც, შიდადანაზოგების, ინვესტიციებისა და ექსპორტის ნაქეზებით, პროდუქტიულობის არაჩვეულებრივ ზრდას მიაღწია, რასაც დასავლეთ გერმანიის „ეკონომიკური სასწაული“ ეწოდა.

ამასობაში, საბჭოთა კავშირს დაქვემდებარებული ზონა ნომინალურად დამოუკიდებელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. პიტლერის გეგმა გერმანიის ფრთებქვეშ მთელი ევროპის გაერთიანება იყო. სანაცვლოდ, მისმა პოლიტიკამ ევროპის, გერმანიის და იმ ქალაქის გაყოფა გამოიწვია, საიდანაც ის თავის არმიას მართავდა და სადაც ალესრულა კიდევც.

დასავლეთის ხელახალი შეიარაღება

შფოთვა ბირთვული იარაღის გარშემო და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს „ანგარიში – 68“

არასწორი იქნებოდა, რომ ბერლინის ბლოკადა და ნატო-ს დაარსება შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების ხელახალი შეიარაღების, რემობილიზაციისა და რემილიტარიზაციისათვის გადამწყვეტ მოვლენებად განგვეხილა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება მხოლოდ განზრახვების დეკლარაციას წარმოადგენდა და ამ კუთხითაც საკ-

მაოდ ბუნდოვანი შინაარსი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება თითოეულ ნევრ სახელმწიფოს ერთ-ერთის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში „დაუყოვნებლივ“ იარაღის აღების ვალდებულებას აკისრებდა, ხელშეკრულება თითოეული ნევრი სახელმწიფოს ხელში ტოვებდა იმის განსაზღვრას, ჰქონდა თუ არა მართლაც ადგილი შეიარაღებულ თავდასხმას, ემუქრებოდა თუ არა ქმედება ხელშეკრულებით მოცული რეგიონის უსაფრთხოებას და რა შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარებულიყო. ევროპაში, ჩვეულებრივი შეიარაღების მხრივ, იმ აბსოლუტური უპირატესობის ფონზე, რომლითაც საბჭოთა კავშირი და მისი კლიენტი ქვეყნები სარგებლობდნენ – 175 დივიზია 14-ის წინააღმდეგ – გაუგებარი იყო, როგორ უნდა დაეცვა შეერთებულ შტატებს მისი ტრანსატლანტიკური მოკავშირეები საბჭოთა კავშირის თავდასხმის შემთხვევაში. თავდაპირველად, მიიჩნეოდა, რომ დასავლეთ ევროპისათვის „ბირთვული ფარის“ გადაფარებით, შეერთებული შტატები დაარწმუნებდა მოსკოვს, არ ჩარეულიყო მარშალის გეგმით გათვალისწინებული ქვეყნების ეკონომიკურ აღორძინებასა და პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესში. საბჭოთა კავშირზე გაცილებით ნაკლები რაოდენობის სამხედრო ძალების მქონე ნატო-ს ევროპული წევრები დასავლური ალიანსის ფარს წარმოადგენდნენ, რომელსაც საბჭოთა კავშირის თავდასხმა უნდა შეეჩერებინა, ვიდრე „მახვილი“ ანუ შეერთებული შტატების ბირთვული იარაღი რუსეთის ცენტრს დაარტყამდა. თუმცა, ამერიკის ბირთვული იარაღის შემაკავებელი ფაქტორი მანამ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, ვიდრე ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას მელანი შეაშრებოდა. 1949 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა თავისი პირველი ატომური ბომბი გამოსცადა, რითაც დასრულდა ამერიკელების ბირთვული მონოპოლია, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „ფარისა და მახვილის“ სტრატეგია ეფუძნებოდა და რომელიც ამერიკელი ექსპერტების გათვლით კიდევ რამდენიმე წელიწადი უნდა გაგრძელებულიყო.

საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდით შემფოთებულმა და დასავლეთ ევროპის თავდაცვისათვის შესაძლო შედეგებით შეფიქრიანებულმა პრეზიდენტმა ტრუმანმა ამერიკის უსაფრთხოების საბჭოს კომუნისტური ბლოკის მიმართ ამერიკული პოლიტიკის გადახედვა დაავალა. შედეგად, საბჭომ შეიმუშავა სრულიად საიდუმლო დოკუმენტი (NSC-68), რომელიც პრეზიდენტს 1950 წლის აპრილში წარედგინა. დოკუმენტი საბჭოთა კავშირს განსაზღვრავდა, როგორც აგრესიულ სახელმწიფოს, რომლის დაუოკებელმა სწრაფვამ ექსპანსიისაკენ აღმოსავლეთ ევროპისა და ჩინეთის სრული დამორჩილება გამოიწვია და მთელი ევრაზია იმავე საფრთხის წინაშე დააყენა. მოსკოვის მიერ ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდება მას საშუალებას მისცემდა, დაშინების გზით მოეხდინა არაბირთვული მეზობელი სახელმწიფოების დამორჩილება, თუკი შეერთებული შტატები მსოფლიოში

ძალთა წონასწორობის ამ პოტენციურად კატასტროფული უთანასწორობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ არ განახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს. 1947 წელს ამოქმედებული შეკავების პოლიტიკა საკმარისი აღარ იყო. დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ეკონომიკური აღორძინება და აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის ცენტრებიდან ათასობით კილომეტრის მანძილზე ამერიკული ატომური იარაღის დახვავება, მსოფლიოში კომუნისმის შემდგომ გავრცელებას ვეღარ შეაკავებდა. შესაბამისად, დოკუმენტი საბჭოთა ბლოკის წინააღმდეგ გლობალური იერიშის დაწყებას მოითხოვდა, რაც მსოფლიოს არაკომუნისტურ სახელმწიფოებს წინმსწრები ზომების მიღების საშუალებას მისცემდა.

უსაფრთხოების საბჭოს დოკუმენტის კონკრეტული რეკომენდაციები მოიცავდა: თერმობირთვული (წყალბადის) ბომბის განვითარებას, ამერიკული და დასავლეთევროპული ჩვეულებრივი შეიარაღების გაზრდას, ამ სამხედრო ღონისძიებების მხარდასაჭერად ამერიკის ეკონომიკური რესურსების მობილიზაციას და დასავლური სამხედრო ალიანსის წევრებს შორის თანამშრომლობის გამყარებას საბჭოთა საფრთხესთან გამკლავებისათვის. საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ, ნატო-ს გაძლიერებისა და დასავლეთ ევროპის თავდაცვისადმი ამერიკული ვალდებულებისათვის უფრო კონკრეტული შინაარსის მიცემის მიზნით, სამი წინადადება განიხილებოდა. პირველი მათგანი მოკავშირეთა არმიის რაოდენობის გასაზრდელად და დასავლეთ ევროპის თავდაცვაში ამერიკის როლის დამაჯერებლობის გასამყარებლად, ევროპაში უფრო დიდი რაოდენობის ამერიკული სახმელეთო ძალების (დასავლეთ გერმანიაში განთავსებული ორი დივიზიის გარდა) განთავსებას შეეხებოდა. მეორე წინადადების თანახმად, ევროპის კონტინენტზე უნდა განთავსებულიყო საჰაერო ბაზები, რომლებიც ატომური იარაღის მატარებელი ამერიკული ბომბდამშენი საჰაერო ხომალდების მიღებას შეძლებდნენ. მესამე წინადადება მიზნად ისახავდა ალიანსის ეროვნული არმიების ინტეგრაციას და ერთობლივი სამხედრო დაგეგმვისათვის საჭირო პროცედურების განვითარებას, რათა სუვერენულ სახელმწიფოთა სუსტი კოალიციებისათვის დამახასიათებელ ლოგისტიკურ გაუმართაობას ბოლო მოეღებოდა. უსაფრთხოების საბჭოს დოკუმენტით განსაზღვრული უფრო ზოგადი ხასიათის ღონისძიებები, საზღვარგარეთ ამერიკული სამხედრო ძალების გაზრდასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წინადადებებთან ერთად, მშვიდობიანობის პერიოდში ამერიკული ეროვნული თავდაცვის პოლიტიკას ფუნდამენტურად ცვლიდა. ტრუმანის ადმინისტრაციაში ამ დოკუმენტის ზოგიერთი ოპონენტი მიიჩნევდა, რომ, კომუნისტური ბლოკის მიღმა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ამბიციების ამ დოკუმენტით მოცემული შეფასება გადაჭარბებული იყო. სხვები კი შიშობდნენ, რომ

თავდაცვის ხარჯების უზარმაზარი ზრდა, რასაც ზემოაღნიშნული მემორანდუმში მოითხოვდა, ამერიკის ეკონომიკას დიდ ზარალს მიაყენებდა.

შეკავების პოლიტიკის მილიტარიზაცია

პრეზიდენტი ტრუმანი, მრჩევლების არგუმენტების ყურადღებით მოსმენის შემდეგ, მშვიდობიანობის პერიოდში ამერიკული სამხედრო ძალების გაზრდის პოლიტიკურად მწვავე პრობლემის აწონ-დაწონას შეუდგა. ფიქრის პროცესი გაუთვალისწინებლად დასრულდა, როდესაც 1950 წლის ივნისში, ევროპიდან ათასობით კილომეტრში, მოულოდნელად სამხედრო მოქმედებები დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კორეის ნახევარკუნძული ევროპელების უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ „ტერა ინკოგნიტა“^{*} რჩებოდა, იქ არსებული პოლიტიკური ვითარება საკმარისად იყო ცნობილი იმისთვის, რომ ომისშემდგომი გერმანიის მდგომარეობასთან მის მსგავსებას საყოველთაო შეშფოთება გამოეწვია. ლერძის სახელმწიფოთა ყოფილი მოკავშირე კორეა 1945 წელს შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ორ ნაწილად გაყვეს. გაერთიანების ირგვლივ ამერიკულ-საბჭოთა სამწლიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ თითოეულმა მხარემ თავის ზონაში შექმნა მთავრობა, რომელიც მთელი ქვეყნის იურისდიქციაზე აცხადებდა პრეტენზიას. ამჯერად, საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი ქვეყნის კომუნისტური ნაწილი კორეის არაკომუნისტურ ნაწილს დაესხა თავს. სამხრეთ კორეის მსგავსად, დასავლეთ გერმანიაც უპირისპირდებოდა მეტოქეს, რომელიც გადამწყვეტი სამხედრო უპირატესობით სარგებლობდა. აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავშირის მეთაურობამ საკუთარ საოკუპაციო ზონაში ორმოცდაათათასიანი „სამხედრო პოლიცია“ ჩამოაყალიბა და ეს პარამილიტარული შენაერთები ძლიერ საბრძოლო ძალად აქცია, რომელიც შეიძლებოდა განიარაღებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოყენებულიყო. შესაბამისად, 1949 წელს საბჭოთა ბირთვული ცდების შემდეგ, ბირთვული განადგურების თეორიული შესაძლებლობით გამოწვეული შფოთვა უცბად, გერმანიაში კორეის მსგავსი თავდასხმის პერსპექტივის გამო, უფრო კონკრეტულმა შიშმა ჩაანაცვლა – შიშმა მოვლენის მიმართ, რომელსაც შეეძლო რადიკალურად შეეცვალა ძალთა ბალანსი კონტინენტზე.

მართლა ჰქონდა თუ არა კრემლს განზრახული ევროპაში ასეთი აგრესიული ნაბიჯის გადადგმა – რომლის დამადასტურებელი ფაქტები არასოდეს გამხდარა ცნობილი – სხვა საკითხია. მნიშვნელოვანია ის, რომ 1950 წლის შემოდგომაზე, კორეის კრიზისისას, ნატოს სახელმწიფოების მმართველმა ელიტებმა ერთმანეთს დაუკავშირეს კორეისა და გერმანიის მდგომარეობა.

* ტერა ინკოგნიტა (იტალ.) – უცნობი მიწა

გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეის თავდასხმაზე ტრუმანის ადმინისტრაციის სწრაფმა და ეფექტურმა რეაგირებამ გააქარწყლა ევროპაში დარჩენილი ყველა ეჭვი შეერთებული შტატების მიერ საზღვარგარეთ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. ქვეყანას, რომელიც დაუყოვნებლივ ჩაება ომში შორეულ კუნძულზე, რომელიც დასავლეთ ნყნარ ოკეანეში ამერიკის თავდაცვის პერიმეტრის მიღმა იმყოფებოდა, ძნელად თუ ვინმე დააბრალებდა საკუთარი სურვილით შექმნილი დასავლეთის თავდაცვითი ალიანსის წევრების დაცვისაგან თავშეკავებას.

აზიაში ცივი ომის ნამდვილ ომში გარდაქმნამ ევროპაში საბჭოთა კავშირის მიმართ ამოქმედებული შეკავების პოლიტიკის მილიტარიზაცია გამოიწვია. ტრუმანის ადმინისტრაციამ ისარგებლა კორეაში განხორციელებული აგრესიით გამოწვეული განგაშით და სასწრაფოდ მოითხოვა სამხედრო ხარჯების გაზრდა და ამერიკული უსაფრთხოების სისტემის დასავლეთ ევროპაზე გავრცელება, რაზეც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დოკუმენტის განხილვისას საუბრობდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების დებულებები ერთიანი თავდაცვის შესახებ, მხოლოდ ბუნდოვან ვალდებულებებს მოიცავდა, რასაც ზურგს ფარულად უმაგრებდა ამერიკის ბირთვული არსენალი და საყოველთაო-სამხედრო სამსახურის შემოღების შემდეგ ჩამოყალიბებული ამერიკის მრავალრიცხოვანი არმია. თუმცა, ევროპულ თავდაცვაში ამერიკის კონკრეტული წვლილი მხოლოდ შეიარაღების და მასალების მინოდებით შემოიფარგლებოდა და ეს შეიარაღებაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის სამხედრო ხარჯების შემცირებიდან გამომდინარე, საკმაოდ მწირი იყო. კორეის ომმა ეს ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 1950 წლის სექტემბერში, ნიუ იორკში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო შეიკრიბა და ერთხმად მიიღო დასავლეთ ევროპისათვის „მომავლისკენ მიმართული სტრატეგია“, რისთვისაც საერთო მეთაურობის ქვეშ ინტეგრირებული სამხედრო ძალების ჩამოყალიბებას უნდა შეენყო ხელი. იმავე თვეში პრეზიდენტმა ტრუმანმა ევროპაში ოთხი საბრძოლო დივიზია გაგზავნა და იქ ამერიკული კონტინგენტის შემდგომი გაზრდის გეგმების შესახებ განაცხადა. დეკემბერში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერის უმაღლესი მეთაურობით ინტეგრირებული თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბება გამოაცხადეს. 1951 წლის 4 აპრილს – ნატო-ს პაქტის ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ – შეერთებული შტატების სენატმა ინტეგრირებული მეთაურობის პრინციპი, ეიზენჰაუერის დანიშვნა და ევროპაში სახმელეთო ძალების ოთხი დივიზიის გაგზავნის გადამწყვეტილება დაამტკიცა.

ამასობაში, ტრუმანის ადმინისტრაციამ ამერიკის ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების გასაზრდელად, ისევე როგორც ევროპელი მოკავშირეებისათვის საჭირო სამხედრო აღჭურვილობით მომარაგების კუთხით,

შორსმიმავალი ნაბიჯები გადადგა. ტრუმანის პრეზიდენტობის ბოლო წელს დასავლური ალიანსის ინსტიტუციური სტრუქტურა უფრო ეფექტურად ჩამოყალიბდა: 1952 წლის თებერვლის ატლანტიკური საბჭოს ლისაბონის კონფერენციაზე ნატო-ს სამდივნო და გენერალური მდივნის პოსტი შეიქმნა, ხოლო ალიანსის შტაბბინა პარიზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა. დაისახა დივიზიების რაოდენობის თოთხმეტიდან ორმოცდაათამდე გაზრდის გეგმა, გაუმჯობესდა არსებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ალიანსის სამეთაურო სტრუქტურის ცენტრალიზებისა და ეროვნული არმიების ინტეგრირებისაკენ; დაიწყო მოლაპარაკებები და გაფორმდა შეთანხმებები სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოსთან ამერიკული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო-სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ.

შეუძლებელია ამერიკის ახალი თავდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება – პოლიტიკის, რომელიც 1947 წელს ტრუმანის დოქტრინის გამოცხადებით დაიწყო და 1952 წელს მთელს ევროპაში ამერიკული კონტინგენტის განთავსებით გაგრძელდა. ნატო-ს უმაღლესი მეთაურობის საკუთარ თავზე ალებით, მოკავშირეებისათვის იარაღის მინოდებით და ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს საკუთარი სახმელეთო ძალების განთავსებით, შეერთებულმა შტატებმა ევროპაში ომისშემდგომი პოლიტიკური სტატუსკვოს შენარჩუნება საკუთარ ამოცანად აქცია. რუსეთის დასავლეთით ექსპანსიის შეკავების მიზნით, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ აღორძინებასა და პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე თავდაპირველი აქცენტი ევროპის შუაგულში ამერიკის სამხედრო ძალების განთავსების ვალდებულებამ შეცვალა.

ასეთი უპრეცედენტო გლობალური ვალდებულებების აღებას თავისი ფასი ჰქონდა. ამერიკის ეკონომიკა, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მისი თვალისმომჭრელი ზრდის მიუხედავად, ვერ გაუძლებდა სანარმოო შესაძლებლობებზე უსასრულოდ მზარდ მოთხოვნებს. განსაკუთრებით კორეის ომის დროს, როდესაც ამერიკის მოსახლეობისგან ისეთი მკაცრი ეკონომიკური ზომების ატანას ითხოვდნენ, როგორცაა, მაგალითად, ხელფასისა და ფასების კონტროლი და პროდუქციის მოხმარებაზე ათასგვარი შეზღუდვები, გასაკვირი არაა, რომ ტრუმანის ადმინისტრაციამ ევროპელ მოკავშირეებს მათსავე საკუთარ თავდაცვაში უფრო მეტი წვლილის შეტანა მოსთხოვა. მალე ნათელი შეიქნა, რომ ევროპის პოტენციური სამხედრო სიძლიერის ყველაზე დიდი წყარო დასავლეთ გერმანია იყო, მისი მრავალრიცხოვანი მუშახელისა და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. რატომ არ უნდა შეეტანათ გერმანელებს წვლილი საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფაში, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი შესაძლო საბჭოთა იერიში აუცილებლად გერმანიის ტერიტორიაზე განხორციელდებოდა?

ევროპის ეკონომიკური და სამხედრო ინტეგრაციის პროექტები

კორეის კრიზისის გამწვავებასთან ერთად, ამერიკელმა პოლიტიკოსებმა დასავლეთ ევროპის მთავრობებს მოსთხოვეს, თვალი გაესწორებინათ პრობლემისათვის, რომლის მოგვარებასაც ისინი თავს არიდებდნენ: გერმანიის ხელახალი შეიარაღება და მისი მიღება ატლანტიკურ ალიანსში. 1950 წლის 12 სექტემბერს სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა მკაცრად მოსთხოვა ამერიკის ევროპელ მოკავშირეებს, დასთანხმებოდნენ გერმანიის დივიზიების ნატო-ს ძალებში მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი განსაკუთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა ისეთი ქვეყნის მხრიდან, როგორც საფრანგეთი იყო, რომელსაც გამოცდილი ჰქონდა გერმანიის სამხედრო ძლიერების მტკივნეული შედეგები, გერმანიის ალიანსში გაწევრიანების საკითხი ნატო-ს შექმნისთანავე განიხილებოდა. „გერმანიის ხელახალი შეიარაღება ისევეა მოცემული ატლანტიკურ პაქტში, როგორც ემბრიონული ჩანასახი კვერცხში“ – აფრთხილებდა ფრანგულ საზოგადოებრიობას გაზეთი „ლე მონდი“ ნატო-ს ხელშეკრულებაზე ხელმწიერის დღეს. ფრანგი პოლიტიკოსები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანიის სამხედრო ძალების აღორძინებას, თუმცა მათ არწმუნებდნენ, რომ ამჯერად მათი ქვემეხები აღმოსავლეთისკენ იქნებოდა მიმართული. „გერმანიას არ ჰყავს და არც შეიძლება ჰყავდეს არმია“ – განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა ატლანტიკური პაქტის რატიფიკაციისას საპარლამენტო განხილვის დროს. „გერმანიას არ აქვს შეიარაღება და არც მომავალში ექნება“. თუმცა, შეერთებული შტატების მზარდმა ზენოლამ გერმანიის შემფოთებულ დასავლელ მეზობლებზე გავლენა მაინც იქონია. საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრი თანდათან შეეგუა გერმანიის დასავლეთეუროპულ სისტემაში გაერთიანების იდეას. ფრანგი ხალხი თანდათანობით აღარ აღიქვამდა გერმანიას, როგორც ტრადიციულ მტერს, და საფრანგეთის ეროვნული უსაფრთხოების მთავარ საშიშროებად უფრო და უფრო რუსეთს განიხილავდა. ამასთანავე, გერმანიის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო და რომელიც ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის სამ მეოთხედს ფლობდა, თანდათანობით მთლიანად დასავლეთ ევროპისათვის ღირებულ რესურსად აღიქმებოდა: ფედერაციული რესპუბლიკა, სამრეწველო პოტენციალის სრული განვითარების შემთხვევაში, კონტინენტის დასავლეთ ნაწილის ეკონომიკური აღორძინების ძრავად შეიძლება ქცეულიყო. ამისთვის აუცილებელი იყო მხოლოდ გერმანიის არაკომუნისტი მეზობლების დარწმუნება, რომ გერმანიის ეკონომიკური აღორძინება ისეთი გზით წარიმართებოდა, რომელიც მათ უსაფრთხოებას არ დაემუქრებოდა.

ჯერ კიდევ კორეის ომის დაწყებამდე წამოიწყო საფრანგეთის მთავრობამ გაბედული ინიციატივა, რომელსაც, საბოლოოდ, სწორედ ასეთი გარანტია უნდა შეექმნა. 1950 წლის 9 მაისს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა



ჟან მონე (1888-1979), „ევროპის მამა“: ბრწყინვალე ფრანგი მოღვაწე, რომელიც კული-სებიდან მოქმედებდა და ხორცს ასხამდა თავის ხედვებს. სწორედ მან მოამზადა ევროპის ქვანახშირისა და რკინის გაერთიანებისა (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროკავშირის წინამორბედი ორგანიზაცია) და ევროპის თავდაცვის გაერთიანების ე.წ. პლევენის გეგმის (ევროპული არმიის შექმნის ნარუმატებელი სქემა, რომელიც, მოგვიანებით, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სახით განხორციელდა) პროექტები. როგორც ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისათვის ქედმოუხრელი მებრძოლი, იგი ხშირად იმეორებდა ფრაზას: „განაგრძეთ, განაგრძეთ, რადგან ევროპის ხალხის ერთადერთი მომავალი მხოლოდ მათ კავშირშია“.

წარმოადგინა საფრანგეთის ოფიციალური წინადადება, რომ მომხდარიყო საფრანგეთისა და გერმანიის ქვანახშირისა და რკინის წარმოების გაერთიანება და მისი დაქვემდებარება საერთო ზესახელმწიფოებრივი ორგანოსადმი, რომელში განეწესებოდაც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც იქნებოდა შესაძლებელი. დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა ასეთ გაერთიანებაში მონაწილეობაზე, რადგან არ სურდა კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა პრივილეგირებული ურთიერთობები ჩრდილოეთ ამერიკასთან და ბრიტანულ თანამეგობრობასთან. თუმცა, საფრანგეთთან მოლაპარაკებებს შეუერთდნენ დასავლეთ გერმანია, იტალია და ბენილუქსის ქვეყნები, რომელთაც 1951 წელს ევროპის ქვანახშირისა და რკინის გაერთიანების შექმნის

თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. როდესაც, 1952 წლის ზაფხულში შუმანის გეგმა ოფიციალურად შევიდა ძალაში, ეს ახალი ზესახელმწიფოებრივი ერთეული, ეკონომიკური აპარატის გარდა, პოლიტიკური სტრუქტურითაც აღიჭურვა: შეიქმნა აღმასრულებელი ორგანო, საპარლამენტო ასამბლეა და სასამართლო. ამასთანავე, გაერთიანების შიგნით ყველა პოლიტიკურად მოტივირებული ბარიერის (ტარიფების, რაოდენობრივი შეზღუდვების და საიმპორტო კვოტების) თანდათან გაუქმების კონკრეტული მიზანი ქმნიდა პრეცედენტს, რომელიც, მოგვიანებით, ეკონომიკის სხვა სექტორებზეც გაერცვლდებოდა და, საბოლოოდ, მთელ ეკონომიკას მოიცავდა. ამგვარად, შუმანის გეგმაში იდო ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის მარცვალი, რომელიც ნაყოფს ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში გამოიღებდა.

შუმანის გეგმას მნიშვნელოვანი სტრატეგიული დატვირთვაც ჰქონდა: ის გერმანიის ხელახალი შეიარაღების პრობლემიდან არაჩვეულებრივ გამოსავალსაც მოიცავდა, რასაც შეერთებული შტატები ასე დაჟინებით მოითხოვდა კორეის ომის დაწყების შემდეგ. შუმანის წინადადებას, ისევე როგორც რამდენიმე ათწლეულით ადრე ევროპის კავშირის შექმნის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არისტიდ ბრიანის ინიციატივას, ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში გერმანიის ჩართვის გზით, მისთვის ევროპული პარტნიორების წინააღმდეგ ომის დაწყების ყოველგვარი მოტივაციისა და შესაძლებლობის წართმევის იმედი ამოძრავებდა. გერმანიის სამრეწველო პოტენციალის ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ჩართვა ევროპულ პარტნიორებს აუცილებლად მიიყვანდა იმ აზრამდე, რომ გერმანიის სამხედრო პოტენციალიც ერთიანი ევროპული თავდაცვის სამსახურში შეიძლებოდა ჩამდგარიყო. შუმანი თავდაპირველად იმედოვნებდა, რომ ეკონომიკურად ინტეგრირებული და პოლიტიკურად გაერთიანებული ევროპა, რომელსაც საფრანგეთი და მდინარე რაინის გადაღმა მდებარე მისი მეზობელი წარუძღვებოდნენ, თანდათან იქცეოდა „მესამე ძალად“, რომელიც შეიძლებოდა საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფას ერთ ან მეორე ზესახელმწიფოზე დამოკიდებულების და მსოფლიო ჰეგემონიისათვის მათ ბრძოლაში მონაწილეობის გარეშე. შუმანის წინადადების განსახილველად პარიზში ექვსი დასავლეთევროპული სახელმწიფოს შეხვედრიდან ხუთ დღეში კორეის ომი დაიწყო, რამაც დისკუსიის შინაარსიც მოულოდნელად შეცვალა. ორი ზესახელმწიფოსაგან განცალკევებულ ევროპაში ფრანკო-გერმანული პარტნიორობის კონცეფციამ, კომუნისტურ ბლოკთან საყოველთაო ომის ახალი პერსპექტივის ფონზე, ყოველგვარი აქტუალობა დაკარგა. 1950 წლის 24 ოქტომბერს, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის მთავრობები ცდილობდნენ, მოენახათ კონსტრუქციული პასუხი გერმანიის დივიზიების ნატო-ს სამხედრო ძალებში ჩართვის შესახებ აჩესონის წინადადებაზე, საფრანგეთის პრემიერმინისტრმა რენე პლევენმა გამოაქვეყნა გეგმა, რომელიც ისე იყო

შედგენილი, რომ, ერთი მხრივ, დაეკმაყოფილებინა ამერიკელების მოთხოვნა გერმანიის შეიარაღების თაობაზე და, მეორე მხრივ, გაექარწყლებინა ეჭვები, რომელიც, მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში, გერმანიის დასავლეთით მდებარე მეზობლებს აუცილებლად გაუჩნდებოდათ. პლევენის გეგმა ითვალისწინებდა ევროპის გაერთიანებული სამხედრო ძალების შექმნას, რომელიც აღიჭურვებოდა და დაფინანსდებოდა თავად ნევრი სახელმწიფოების მიერ და რომელშიც ეროვნული სამხედრო კონტინგენტები გაერთიანდებოდნენ. ამ სქემის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ გეგმა ითვალისწინებდა ფრანგული, გერმანული, იტალიური და ბენილუქსის ქვეყნების სამხედრო ძალების მობილიზაციას, გერმანული არმიისა და გერმანული უმაღლესი სამხედრო-სამეთაურო სტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე. გერმანელი ჯარისკაცები საერთო ევროპულ არმიაში იქნებოდნენ გადანაწილებულნი.

ამერიკის მთავრობა თავდაპირველად თავს იკავებდა ფრანგების წინადადების მიღებისგან, რადგან მიაჩნდა, რომ ეს მხოლოდ ნატო-ში გერმანიის განევრიანების გაჭიანურებისათვის მოგონილი დივერსიული მანევრი იყო. მაგრამ, საბოლოოდ, პლევენის გეგმამ ვაშინგტონის მხარდაჭერა მაინც მიიღო, როგორც ერთიან ევროპულ თავდაცვით სისტემაში გერმანიის გაერთიანების ყველაზე შესაფერისმა ფორმულამ, რომელიც არ გამოიწვევდა ეჭვებს ამერიკის სხვა დასავლეთევროპულ პარტნიორებში. ამ დროისათვის კორეის კონფლიქტი ფართომასშტაბიანი ომის შესავალ აქტად აღიქმებოდა და დასავლეთევროპელმა მთავრობებმაც შესაშური მზადყოფნა გამოხატეს, პლევენის გეგმის შესაბამისად, ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვას დათანხმებოდნენ. 1952 წლის 27 მაისს, ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, ექვსი შესაბამისი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ევროპული თავდაცვის გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ასე გაჩნდა ნატოს უმაღლეს მეთაურობას დაქვემდებარებული ზესახელმწიფოებრივი სამხედრო ორგანიზაციის კონცეფცია – თუმცა ჯერჯერობით განუხორციელებელი – საერთო ევროპულ სამხედრო ფორმაში გამონყობილი ერთიანი სამხედრო ძალებით, ერთიანი სამხედრო ბიუჯეტით და საერთო პოლიტიკური ორგანოებით: მინისტრთა საბჭოთი, საპარლამენტო ასამბლეითა და სასამართლოთი. ევროპის თავდაცვის გაერთიანება პლევენის თავდაპირველი გეგმისგან ერთი მნიშვნელოვანი თვისებით განსხვავდებოდა: ეროვნული სამხედრო ძალების მთლიან სამხედრო ორგანიზაციაში მცირე ზომის ერთეულებად გადანაწილების ნაცვლად, ხელშეკრულება დივიზიის მოცულობის ეროვნული კონტინგენტების შექმნას ითვალისწინებდა (როგორც აცხადებდნენ, ეფექტურობის მიზნით). ეს კი ნიშნავდა, რომ გერმანული დივიზიები, როგორც მულტიეროვნული ძალების ნაწილი, თავის წვლილს შეიტანდნენ დასავლეთ ევროპის თავდაცვაში და დაექვემდებარებოდ-

ნენ „ევროპულ“ მეთაურობას. რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ალიანსში მონაწილეობაზე საპასუხოდ, დასავლეთ გერმანიის ომის შემდგომ ოკუპაციაში მონაწილე სამმა სახელმწიფომ გერმანიისათვის დამარცხებული მტრის ანომალური სტატუსის მოხსნა გადაწყვიტა. პარიზში, ევროპის თავდაცვის გაერთიანების დამაარსებელი ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ბონში ადენაუერის მთავრობასთან დადეს შეთანხმება სამხედრო ოკუპაციის დასრულებისა და ფედერალური რესპუბლიკისათვის პოლიტიკური სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ.

ტრუმანისა და სტალინის გარეშე

როდესაც დასავლეთევროპული სახელმწიფოების ექვსი პარლამენტი ევროპის თავდაცვის გაერთიანების ხელშეკრულების რატიფიკაციას, ან რატიფიკაციის გარშემო დებატებს შეუდგა, ვაშინგტონსა და მოსკოვში თითქმის ერთდროულად ორი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ცვლილება განხორციელდა. 1953 წლის იანვარში პარი ტრუმანის დემოკრატიული პარტიის ადმინისტრაციამ, რომელმაც საბჭოთა კავშირის შეკავების პოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი და შეერთებული შტატები ატლანტიკური ალიანსის წევრი გახდა, ხელისუფლება დუაიტ ეიზენჰაუერის რესპუბლიკელთა ადმინისტრაციას გადასცა. ამერიკის ახალი პრეზიდენტის ხელისუფლებაში მოსვლიდან ორ თვეში, 1953 წლის 6 მარტს, კრემლმა ინსულტის შედეგად იოსებ სტალინის გარდაცვალების შესახებ ამცნო მსოფლიოს. მალე ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ზედა ეშელონებმა, ოცდაათიანი წლების პოლიტიკური წმენდის შემდეგ, ყველაზე ყოვლისმომცველი რეორგანიზაცია განიცადა და რომ საბჭოთა დიქტატორს პოლიტიკური და სამხედრო კადრები ცვლიდნენ, რომლებიც კოლექტიურად აპირებდნენ ქვეყნის მართვას. ამრიგად, პოლიტიკური სცენიდან გაუჩინარდა ორი მმართველი ელიტა, რომლებიც, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მთელი მსოფლიოს ბედს განაგებდნენ, რამაც საყოველთაო გაურკვევლობას დაუდო საფუძველი. არავინ იცოდა, გააგრძელებდნენ თუ არა ტრუმანისა და სტალინის საგარეო პოლიტიკას მისი უცნობი და ძნელად პროგნოზირებადი მემკვიდრეები.

ერთადერთი რამ ამჟამად იყო: ტრუმანმა საგარეო პოლიტიკის სფეროში მიღწევათა არაჩვეულებრივი მემკვიდრეობა დატოვა. ამ პოლიტიკის ფუნდამენტური მიზანი – საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება იმ რეგიონების მიღმა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო კონტროლის ქვეშ მოხვდნენ – ყოველმხრივ შესრულდა. ირანში, თურქეთში, საბერძნეთში, დასავლეთ ბერლინსა თუ სამხრეთ კორეაში – ყველგან, სადაც კი საბჭოთა მთავრობა დასავლეთის სიმტკიცის გამოცდას შეეცადა – ამერიკის დიპლო-

მატიური, ეკონომიკური და სამხედრო ძალა ისე იქნა გამოყენებული, რომ, საბოლოოდ, ამ სადავო რეგიონების არაკომუნისტური მმართველობა და პროდასავლური ტენდენციები შენარჩუნებულიყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც 1947 წელს ეკონომიკურ კოლაფსსა და საბჭოთა სამხედრო ზენოლის მიმართ მეტად დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ამერიკელების მხარდაჭერით, ეკონომიკური წარმატებისა და კოლექტიური თავდაცვის მიმართულებით, შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწიეს. 1948 წელს, იუგოსლავიის მიერ საბჭოთა ბლოკიდან გამოსვლის შემდეგ, ამ ქვეყნისადმი ამერიკის ეკონომიკურმა დახმარებამ ხელი შეუწყო მარშალ ტიტოს კამპანიას კომუნისტურ სამყაროში მოსკოვის შეუზღუდავი გავლენის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის შეკავების ამ პოლიტიკის ასეთი წარმატების ფონზე, პარადოქსულად გამოიყურება ის ფაქტი, რომ 1965 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვება, ნანილობრივ მაინც, მათი მხრიდან ტრუმანის ადმინისტრაციის ქმედებების „კომუნიზმის მიმართ რბილ პოლიტიკად“ წარმოჩენამ განაპირობა. ამ პარადოქსულ განცხადებას დამაჯერებლობას სძენდა საბჭოთა ძალის წარმატებები არა ევროპაში, არამედ აზიაში. მიიჩნეოდა, რომ ჩინეთი – მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა – საბჭოთა იმპერიის ნაწილად ქცეულიყო. კორეის ომი დაუსრულებლად გრძელდებოდა, რასაც მრავალი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე ეწირებოდა. კომუნისტი მემბოხეები ინდოჩინეთში ამერიკის ფრანგ მოკავშირეებს განდევნით ემუქრებოდნენ და, შესაბამისად, გზას უხსნიდნენ მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კრემლისა და მისი მარიონეტი რეჟიმების გაბატონებას. წყნარი ოკეანის რეგიონში თითქოსდა საბჭოთა წარმატებების ამ სიას ფართოდ გავრცელებული ეჭვები ემატებოდა, რომელსაც ისეთი დემაგოგი აღვივებდა, როგორც ვისკონსინელი სენატორი ჯოზეფ მაკარტი იყო. ამ ეჭვების თანახმად, კომუნისტი აგენტები ამერიკის შიდაპოლიტიკურ ინსტიტუტებში იყვნენ მოკალათებულნი და იქ საბჭოთა ინტერესებს იცავდნენ. ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ პირობა დადო, რომ გამოასწორებდა საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკის ამ ნაკლოვანებებს და შეაჩერებდა, როგორც ამას რესპუბლიკელები აღიქვამდნენ, უკან დახევისა და ამერიკული ინტერესების შევიწროების ტენდენციას.



თანაარსებობა და კონფრონტაცია (1953-1962)



პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი (1890-1969) და მისი სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი (1888-1959): 1952 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას დალესის გაცხარებული რიტორიკა აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის „გათავისუფლების“ და კომუნისტების „უკან დახვეის“ შესახებ, მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა, როდესაც შეერთებულმა შტატებმა აღმოსავლეთ გერმანიაში (1953) და უნგრეთში (1956) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებებში ჩარევისაგან თავი შეიკავა. ადმინისტრაციის პოლიტიკის ზედმეტმა დამოკიდებულებამ ბირთვული იარაღის შემაკავებელ ფაქტორზე, აშშ-ს და საბჭოთა კავშირს გამაღებელი ბირთვული შეიარაღებისკენ უბიძგა, ხოლო ეიზენჰაუერის ენერგიულმა სახელმწიფო მდივანმა კომუნისტური ბლოკის წინააღმდეგ ალიანსების შესაკრავად მთელი მსოფლიო მოიარა.

თავის შინაარსი

იდეოლოგიური განსხვავებების გაღრმავება

მხვიდრობის თანაარსებობის ეპოქა

მიუხედავად პოლიტიკა „მესამე საფართო“ კვანძები

ამერიკული ხელშეწყობის დასასრული

ბერლინის ანომალია

ინტერაპერიკული უსაზღვროების სისტემის ჩამოყალიბება

იდეოლოგიური განსხვავებების გაღრმავება

ეიზენჰაუერის „ახალი ხედვა“ და „მასირებული ნაცვალგების“ დაღესის დოქტრინა


უმწეო პოლიტიკურ ოპოზიციამ ოცნლიანი უფერული არსებობის შემდეგ, 1953 წლის დასაწყისში რესპუბლიკურმა პარტიამ თეთრი სახლი დაიკავა და განაცხადა, რომ სრულიად შეცვლიდა დემოკრატიული პარტიის საგარეო პოლიტიკას. თუმცა, ცვლილება იზოლაციონიზმისა და „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ პოლიტიკისაკენ დაბრუნებას არ გულისხმობდა. რესპუბლიკური პარტიის ეს ფრთა, რომელსაც სენატორი რობერტ ტაფტი ედგა სათავეში, დამაჯერებლად დაამარცხა პარტიის „ინტერნაციონალისტმა“ ფრაქციამ, რომელსაც გენერალი ეიზენჰაუერი წარმოადგენდა და რომელმაც თავისი საგარეო პოლიტიკის წარმომადგენლად და, შემდგომ, სახელმწიფო მდივნად ნიუ იორკელი ადვოკატი ჯონ ფოსტერ დაღესი აირჩია. საპრეზიდენტო კამპანიამდე და კამპანიის განმავლობაში სწორედ დაღესი ახმოვანებდა ტრუმანის ადმინისტრაციის ალტერნატიულ საგარეო პოლიტიკას. იგი გმობდა საბჭოთა კავშირის შეკავების დოქტრინას და მას მსოფლიოს წინაშე მდგარი ყველაზე დიდი საფრთხის პირობებში ზედმეტად პასიურ პოლიტიკად მიიჩნევდა. ამასთანავე, მისი აზრით, ეს დოქტრინა საბჭოთა ბატონობის ქვეშ მიტოვებული აღმოსავლეთ ევროპის მიმართ ამორალურ პოლიტიკას ედო საფუძვლად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში დამყარებული ძალთა ბალანსის შენარჩუნების ნაცვლად, დაღესს მიაჩნდა, რომ შეერთებულ შტატებს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა სატელიტი ქვეყნების „გათავისუფლებისა“ და საბჭოთა გავლენის რუსეთის საზღვრებამდე უკუგდებისათვის. სიკეთისა და ბოროტების მანიქევლური კონცეფციითა და „თავისუფალი სამყაროს“ საზღვრების გაზრდისადმი მესიანისტური თავდადებით შთაგონებულმა ამერიკის ახალმა სახელმწიფო მდივანმა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მოუწოდა ან გვერდში ამოდგომოდნენ შეერთებულ შტატებს გლობალური სამართლიანობისათვის ბრძოლაში, ან საბჭოთა კავშირის დომინირებას დამორჩილებოდნენ. იმდროინდელმა ანალიტიკოსებმა მალევე შენიშნეს მსგავსება ამე-

რიკის საგარეო პოლიტიკის ამ იდეოლოგიურად დამძიმებულ კონცეფციასა და მარქსიზმ-ლენინიზმის ორთოდოქსულ დოქტრინებს შორის. თითოეული მხარე მეორეს იმდენად ბოროტ ძალად აღიქვამდა, რომ შეუძლებელი ხდებოდა საერთო ენის გამონახვა და, თანაც, თითოეული მათგანი გამოთქვამდა ურყევ რწმენას, რომ სწორედ მისი საბოლოო გამარჯვება იყო გარდაუვალი.

მთავარი მეტოქის მიმართ ამერიკის როლის ასეთი დინამიკური ხედვა თავისთავად შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მნიშვნელოვან გაზრდას გულისხმობდა. თუმცა, სამხედრო ხარჯების სერიოზული გაზრდა, რაც აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირისადმი ამერიკული გამონწვევისათვის დამაჯერებლობის შესამატებლად, წინააღმდეგობაში მოდიოდა ეიზენჰაუერის საპრეზიდენტო კამპანიისას გამოხატულ ორთოდოქსულ ეკონომიკურ პლატფორმასთან, რაც გადასახადების შემცირებას, საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცასა და დაბალანსებულ ბიუჯეტს გულისხმობდა. ეს პარადოქსული ვითარება უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილებით გადაიჭრა, რომელსაც თავდაცვის სფეროში „ახალი ხედვა“ ეწოდა. 1954 წლის იანვარში დალესმა ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოქტრინის გაბედული ინოვაციის შესახებ გამოაცხადა, რომლის მიზანი შეერთებული შტატების სამხედრო ძალის გაზრდა და, იმავდროულად, თავდაცვის სფეროში ხარჯების შემცირება იყო. რამდენადაც თავდაცვის ბიუჯეტის ყველაზე ძვირი კომპონენტი ჩვეულებრივ შეიარაღებაზე განეული ხარჯები იყო (ძირითადად, არმიის ჯარისკაცებისა და სამხედრო ფლოტის მეზღვაურების ანაზღაურება და აღჭურვილობა), სწორედ ეს ხარჯები მცირდებოდა ხარჯთეფექტურობის გაზრდის მიზნით. ნატო-ს შეიარაღებული ძალების ორმოცდაათ დივიზიამდე გაზრდის ძველი იდეა, რომელიც ალიანსმა ფორმალურად 1952 წელს დაამტკიცა, ველარ განხორციელდებოდა შესაბამისი მაღალი დანახარჯების გამო. სანაცვლოდ, შეერთებული შტატები უფრო მეტად დაეყრდნობოდა საკუთარ ბირთვულ არსენალსა და სარაკეტო სისტემებს, რომელიც მაშინ შეერთებულ შტატებსა და საზღვარგარეთ განლაგებული ძლიერი ბომბდამშენებისაგან შედგებოდა. ამგვარად, ხელმომჭირნე რესპუბლიკური ადმინისტრაცია თავდაცვის ხარჯების შემცირებას ისე აპირებდა, რომ საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინა ატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების ინტერესები. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების კუთხით დასაველეთევროპელი მოკავშირეების ჩამორჩენილობის კომპენსირება ამერიკის სტრატეგიული საჰაერო ძალების განახლებით მოხდებოდა, რომელსაც მტრისათვის საპასუხო ბირთვული დარტყმა უნდა მიეყენებინა „დაუყოვნებლივ და ჩვენი შეხედულებისამებრ შერჩეული საშუალებებითა და ჩვენივე შერჩეულ ადგილებში“ – როგორც დალესმა თავად განაცხადა. ამრიგად, ამერიკის თავდაცვის პოლიტიკა უფრო ხარჯეფექტური ხდებოდა, როგორც ამერიკის თავდაცვის მდივანმა ჩარლზ უილსონმა გულწრფელად აღნიშნა, იმავე ფულით მეტი სარგებლის მიღების გამო (“more bang for the buck”).

„მასიური ნაცვალგების“ სტრატეგია, როგორც ამას მოგვიანებით ეწოდა, დამაჯერებელ შემაკავებელ ფაქტორად მანამდე დარჩებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირს მსგავსი ნაცვალგების საშუალება არ ექნებოდა. იმ დროს, როდესაც დალესმა ამ პოლიტიკის შესახებ გამოაცხადა, შეერთებული შტატები ფლობდა ყველა აუცილებელ საშუალებას რუსეთის ტერიტორიისათვის საკუთარი მინაწელიდან შორი რადიუსის რაკეტებით, ან საბჭოთა კავშირის პერიფერიის გასწვრივ მდებარე მოკავშირეების ტერიტორიიდან საშუალო რადიუსის რაკეტებით მნიშვნელოვანი ზიანის მისაყენებლად. საბჭოთა კავშირმა თავისი წყალბადის ბომბი 1953 წლის 20 აგვისტოს გამოსცადა, ამერიკული ნარმატებული თერმობირთვული ცდიდან ცხრა თვის შემდეგ. თუმცა, რუსეთს არც გრძელი რადიუსის რაკეტები გააჩნდა, რომელიც რუსეთის ტერიტორიიდან ჩრდილოეთ ამერიკის სამიზნეებს მიაღწევდა და არც საჰაერო ბაზები დასავლეთ ნახევარსფეროში. შესაბამისად, შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის მთავარი სამრეწველო სექტორები და საქალაქო ცენტრები შურისძიების შიშის გარეშე შეეძლო გაენადგურებინა.

მასიური ნაცვალგების შემაკავებელი ძალა ასევე დამოკიდებული იყო შეერთებული შტატების უნარზე, დაერწმუნებინა მეტოქე, რომ მსოფლიოს



გადარჩენისათვის მზადება ბირთვული ომისას: მამაკაცი, ქალი და ბავშვი „kiddo kokoon“-ში – 1955 წელს, ლონგ აილენდში, გარდენ სიტის უოლტერ კიდის ბირთვულ ლაბორატორიაში შექმნილ მინისქვეშა თავშესაფარში სხედან. საოჯახო თავშესაფარების მშენებლობის ენთუზიაზმი ამერიკაში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მიერ შეერთებულ შტატებამდე ბირთვული იარაღის გადამტანი სარაკეტო სისტემების განვითარებამდე გაჩნდა.

ზოგიერთ, სტრატეგიულად განლაგებულ, ადგილებში აგრესიული ქცევა, ავტომატურად გამოინვევდა რეაგირებას ამერიკის მხრიდან ატომური იარაღის გამოყენებით. დალესის სახელთან დაკავშირებულმა დინამიკურმა სამხედრო სტრატეგიამ აგრესიული დიპლომატიური სტრატეგიაც წარმოშვა, რომლის მიზანი საბჭოთა კავშირის ირგვლივ მტრულად განწყობილი ქვეყნების სარტყლის შექმნა იყო, რომლებიც სხვადასხვა ორმხრივი ხელშეკრულების გზით შეერთებული შტატების დაცვის ქვეშ მოექცეოდნენ. ატლანტიკური ალიანსი და მისი ახალი რეგიონული ქვეჯგუფი, ევროპის თავდაცვის გაერთიანების სახით, რომლებიც ტრუმანის ადმინისტრაციის მემკვიდრეობას წარმოადგენდნენ, დალესის მომავალი გლობალური უსაფრთხოების სისტემის ქვაკუთხედი იყო. კვლავ შეიარაღებული ევროპის შუაგულში ხელახლა შეიარაღებული გერმანიის რეალობის წინაშე – მით უმეტეს, რომ მათ ზურგს შეერთებული შტატების ბირთვული იარაღი უმაგრებდა – საბჭოთა კავშირს, მისი იმპერიის დასავლეთ საზღვრების მიღმა საფრთხის შექმნა და შესაბამისი რისკის განევა აღარ უნდა მონდომებოდა.

ევროპის თავდაცვის გაერთიანების დაშლა და დასავლეთ გერმანიის შეიარაღება

ევროპისადმი დალესის სტრატეგიას გამანადგურებელი დარტყმა მიადგა, როდესაც 1954 წლის 30 აგვისტოს საფრანგეთის პარლამენტმა უარი თქვა ევროპის თავდაცვის გაერთიანების ხელშეკრულების რატიფიცირებაზე – ექვსი სახელმწიფოს ლიდერის მიერ მისი ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ. დასავლეთევროპული სამხედრო ძალების გრანდიოზული ზესახელმწიფობრივი პროექტი სამარცხვინოდ ჩაფარდა და ეს იმავე ქვეყანამ გააკეთა, რომელსაც მისი შექმნის იდეა ეკუთვნოდა. ევროპის თავდაცვის გაერთიანების მიმართ ფრანგების წინააღმდეგობას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვის მიუღებლობის გარდა, რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა, ფრანგები შიშობდნენ, რომ ბრიტანელების მიერ პაქტის ხელმოწერაზე უარი, ამ კუნძული სახელმწიფოს ტრადიციული იზოლაციური საგარეო პოლიტიკისაკენ დაბრუნებას ნიშნავდა. ეს კი განსაკუთრებით ასუსტებდა საფრანგეთის პოზიციას და მარტო ტოვებდა მას ხელახლა შეიარაღებული, ეკონომიკურად გაძლიერებული და თვითდაჯერებული გერმანიის პირისპირ. 1953 წლის დეკემბერში ბრიტანეთის მიერ მიცემული პირობა, რომ ევროპულ თავდაცვაში მონაწილეობის ნიშნად ჯავშანტექნიკით აღჭურვილ ერთ დივიზიას მიავლენდა მომავალ ევროპულ არმიაში, არსებულ ვითარებაში უსარგებლო ნაბიჯი იყო. ასევე უსარგებლო იყო ამერიკის სახელმწიფო მდივნის შეფარული მუქარაც, რომ, საფრანგეთის მიერ ევროპული თავდაცვის გაერთიანების ხელშეკრულებაზე უარის

თქმას, ევროპული თავდაცვის მიმართ შეერთებული შტატების მხარდაჭერის გადაფასება მოჰყვებოდა. მის მიერვე ინიცირებული პროექტის მიმართ საფრანგეთის ენთუზიაზმის ჩაქრობას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობებში, დეტანტის შესაძლებლობისადმი გაზრდილი იმედი განაპირობებდა, რაც სტალინის სიკვდილმა და მისი მემკვიდრეების ახალმა, მეტად მეგობრულმა ქცევამ გამოიწვია. იმ ფონზე, როდესაც საბჭოთა და დასავლელი ლიდერები ჟენევაში გულლიად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ინდოჩინეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე და ისეთი დაუოკებელი ანტიკომუნისტური კი, როგორც უინსტონ ჩერჩილი იყო, მსოფლიო პრობლემების მოსაგვარებლად აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთმანეთთან საუბრისაკენ მოუწოდებდა, დასავლეთის ბლოკის ერთიანობის შენარჩუნება უფრო რთული იყო, ვიდრე სტალინის ეპოქაში არსებული დაპირისპირებებისას.


ფრანგების მიერ ევროპული თავდაცვის ორგანიზაციის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარის თქმამ, ცოტა ხნით საფრთხის ქვეშ დააყენა ატლანტიკური ალიანსის ერთიანობა, ჩაშალა დასავლეთ გერმანიის ევროპული თავდაცვის სისტემაში ჩართვის გეგმა და ევროპის ერთიანობისაკენ მიმავალი პროცესიც შეაფერხა. ინიციატივა ამჯერად ლონდონიდან წამოვიდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა – ენტონი იდენმა სულ ცოტა ხნის წინ უარყოფილი თავდაცვის ზენაციონალური ორგანიზაციის შექმნის ინიციატივის უფრო რეალურ ალტერნატივად, 1948 წლის ბრიუსელის პაქტით შექმნილი, უფრო ტრადიციული სამხედრო ალიანსის გაფართოებისა და მასში გერმანიისა და იტალიის განევრინების იდეა წამოაყენა. რამდენადაც ბრიტანეთი ბრიუსელის პაქტის ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრი იყო და, აქედან გამომდინარე, ევროპის კონტინენტზე ქვეითთა ოთხი სამხედრო დივიზია და სამხედრო-საჰაერო ძალების შენაერთები ჰყავდა, მოვლენათა ამგვარი განვითარება ევროპის თავდაცვის ძალისხმევაში ბრიტანელების მონაწილეობას გამოიწვევდა, რასაც, გერმანიის მზარდი ძალაუფლების დასაბალანსებლად, ასე თავგამოდებით ითხოვდა საფრანგეთი. 1954 წლის ოქტომბერში ბრიუსელის პაქტის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლებთან ერთად, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც უსაფრთხოების ხუთწევრიანი მომაკვდავი ორგანიზაცია შვიდწევრიან „დასავლეთევროპულ კავშირად“ გარდაიქმნა. ბრიტანეთი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო რეჟიმის დასრულებასა და ფედერალური რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის აღდგენაზე ფორმალურად შეთანხმდნენ (ეს გულისხმობდა შეიარაღების უფლებასაც იმ პირობით, რომ გერმანია არასოდეს აწარმოებდა საკუთარ ტერიტორიაზე ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს). ამრიგად, გერმანია აღარ განიხილებოდა, როგორც „მტერი“ სახელმწიფო სამი დასავლელი სახელმწიფოს მიერ, რომლებიც ომის შემდგომ მის ოკუპაციას



გერმანელი ჯარისკაცები კვლავ სამხედრო ფორმაში: ბუნდესვერის (დასავლეთ გერმანიის არმიის) ჯარისკაცი გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერს (ცენტრში) ტანკსანი-ნაალმდეგო ნალმმტყორცნის - ბაზუკას - გამოყენებას უხსნის სამხედრო მანევრებისას, რომელიც 1955 წელს, ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სარდლობაში გერმანიის მიღებიდან მალევე, გაიმართა. დასავლეთის ალიანსში ხელახლა შეიარაღებული დასავლეთ გერმანიის განეწერიანებამ დაასრულა მისი, როგორც ოკუპირებული ქვეყნის, სტატუსი და ეროვნული სუვერენიტეტი აღადგინა.

ახორციელებდნენ, თუმცა, სამშვიდობო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში, ომის მდგომარეობა ტექნიკურად კვლავ ნარჩუნდებოდა. დასავლეთევეროპული კავშირის სრულუფლებიან წევრად მიღების შემდეგ, დასავლეთ გერმანიის ნატო-ში განეწერიანების საკითხიც დაისვა, რაც 1955 წლის 9 მაისს - ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციიდან ზუსტად ათი წლის შემდეგ - განხორციელდა კიდევ.

საბჭოთა კავშირმა ამ მნიშვნელოვან მოვლენებს ხუთი დღის შემდეგ უპასუხა და მისი შვიდი აღმოსავლეთევეროპელი სატელიტი ქვეყანა ვარშავაში მიიწვია, სადაც ხელი მოეწერა ურთიერთდაცვის ოცნლიან ხელშეკრულებას, რითაც ნატო-ს საპირწონედ ახალი სამხედრო ორგანიზაცია დაარსდა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს ორგანიზაცია აღმოსავლეთის ბლოკის დასავლეთისგან და, განსაკუთრებით, მისი ყველაზე ახალი წევრი სახელმწიფოსგან დაცვისათვის შექმნილი სამხედრო ალიანსი იყო, ვარშავის პაქტის ორგანიზაცია - როგორც უსაფრთხოების ამ კომუნისტურ სისტემას ეწოდა - ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ბატონობის ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებდა.



ევროპა ცივი ომის დროს

ამრიგად, დასავლეთ ევროპის არმიის შექმნის ამბიციური გეგმის ჩაშლიდან რამდენიმე თვეში, ევროპის ერთიანი თავდაცვის იდეა სუვერენული სახელმწიფოების მიერ ტრადიციული სამხედრო ალიანსის უფრო მოკრძალებული ალტერნატივით შეიცვალა, რომლის ფარგლებშიც წევრი სახელმწიფოები ეროვნულ არმიებს ნატო-ს ეგიდით განათავსებდნენ. ასე წარმოიქმნა ევროპის თავდაცვის ორგანიზაციის ფერფლისგან დასავლური ალიანსის

სისტემა, რომლის სრულყოფილებიანი წევრიც, ყველასთვის მოულოდნელად, დასავლეთ გერმანიაზე გახდა.

ევროპის გაერთიანების ჩამოყალიბება

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო თანამშრომლობის მიზნის მიღწევას ევროპული ერთიანობის იდეა შეენირა მსხვერპლად, რომლის განხორციელებას, როგორც ბევრს მიაჩნდა, გზას ევროპული თავდაცვის გაერთიანების შექმნა გაუხსნიდა. ევროპული ერთობის იდეის მომხრეებმა, როგორც ფრანგი ჟან მონე იყო, ამ წარუმატებლობით გამოწვეული გულაცრუების მიუხედავად, მთელი ენერგია ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისაკენ მიმართეს, რაც პოლიტიკური ინტეგრაციისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო. ამ მიზნის განხორციელებას ისინი ადრეული ინტეგრაციული მცდელობების ერთადერთი შედეგის „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შემდგომი გაძლიერებისა და გაფართოების გზით შეუდგნენ. ის მიდგომა, რის გამოც „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ ექვსი წევრი სახელმწიფო (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) გაერთიანების შიგნით ქვანახშირისა და ფოლადის პროდუქტების გადაადგილებაზე შეზღუდვების გაუქმებას დაეთანხმა, ზესახელმწიფოებრიობის (სუპრანაციონალიზმის) მომხრეებს მისი ეკონომიკის სხვა სფეროებზე გავრცელების დიდ იმედს აძლევდა. ამ მიზნით, ორმოცდაათიანი წლების შუაში ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. 1957 წლის 25 მარტს „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ ექვსმა მონაწილემ სახელმწიფომ ხელი მოაწერა რომის ხელშეკრულებას „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ შექმნის შესახებ.

1958 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ორი მთავარი მიზანი გაერთიანების შიგნით ვაჭრობაზე, კაპიტალის გადაადგილებაზე და შრომით მიგრაციაზე შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმება და საერთო-საგარეო სავაჭრო ტარიფის დაწესება იყო, რომელსაც წევრი სახელმწიფოები, თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბებამდე, ტრანზიციის რთულ პერიოდში საგარეო კონკურენციისაგან უნდა დაეცვა. როგორც „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შემთხვევაში, ბრიტანეთმა ამჯერადაც უარი თქვა ახალ ეკონომიკურ ორგანიზაციაში განწევრიანებაზე შეერთებულ შტატებთან „განსაკუთრებული ურთიერთობებისათვის“ და ბრიტანეთის თანამეგობრობასთან უპირატესი სავაჭრო ურთიერთობებისათვის საფრთხის შექმნის შიშით (რაც მას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იაფი იმპორტის საშუალებას აძლევდა). პოლიტიკური ინტეგრაციის გრძელვადიანი მიზნის მიღწევას ჩანსახოვანი პოლიტიკური ინსტიტუტების კომპლექსური აპარატის ჩამოყალიბებაც უნ-

ყოფდა ხელს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო მინისტრების საბჭო, რომელშიც ექვსივე ქვეყნის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ; კომისია, რომელიც წევრი სახელმწიფოების მთავრობების მიერ დანიშნული ცამეტი „ევროპელი“ საჯარო მოსამსახურისაგან შედგებოდა და „ევროპული“ პარლამენტი, რომელსაც კომისიის საქმიანობაზე ზედამხედველობა უნდა გაენია. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ამ ინსტიტუტებს მინიმალური კომპეტენციები და მცირე საბიუჯეტო ავტონომია გადაეცათ, მათ მოქმედების არეალი თანდათან გაიფართოვეს, როდესაც მანამდე არსებული გაერთიანებები ერთ – ევროპულ – გაერთიანებად გარდაიქმნა და ხორცი შეესხა ეკონომიკური ინტეგრაციის იდეასაც, რომელიც, სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს მიერ (ძირითადად, საფრანგეთის) არაერთი მცდელობის მიუხედავად, დაებრუნებინათ ეროვნული სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი პრეროგატივები, საბოლოოდ მაინც განხორციელდა. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური ფედერაცია თავისთავად ბუნდოვანი იდეა იყო, ის მიმზიდველ აზრად რჩებოდა ევროპელებისათვის, რომლებსაც აღარ სურდათ ხელახლა ეხილათ წარსული ნაციონალური ანტაგონიზმი და აცნობიერებდნენ იმ სარგებელს, რომელსაც დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ერთობა მოუტანდა მათ მსოფლიოში ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებისათვის არსებულ დაპირისპირებასა და მათივე კეთილდღეობის მიღწევაში.

მეხილავიანი თანარსებობის ეპოქა

მოსკოვის შემრიგებლური ჟესტები

ნატო-სათვის დიდ მიღწევას წარმოადგენდა, ალიანსის შიდა ერთიანობის დარღვევის გარეშე, დასავლეთ გერმანიის წევრად მიღება იმ პერიოდში, როდესაც თანდათან კლებულობდა დაძაბულობა იმ ქვეყანასთან ურთიერთობებში, რომლის აგრესიულად შეფასებულმა ქცევამ გამოიწვია სწორედ ატლანტიკური ალიანსის შექმნა. 1953 წლის მარტში, სტალინის სიკვდილის შემდეგ, კრემლის ახალი კოლეგიური მმართველობისგან კომპრომისისა და შერიგებისაკენ მინიშნებების შემცველი სიგნალები არ წყდებოდა. სადავო საკითხები, რომლებიც სტალინის ეპოქაში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გესლიანი შელაპარაკებების მიზეზი ხდებოდა, თანდათან მოგვარების ტენდენციას ამჟღავნებდა. კორეაში საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი, რომელიც უკვე ორი წლის განმავლობაში ადგილიდან აღარ იძვროდა, 1953 წლის ივლისში სწრაფად მოგვარდა ისე, რომ საბჭოთა კავშირის მოკავშირე ჩრდილოეთმა კორეამ ვერ მიიღო ის დათმობები, რომელსაც ის სამხრეთისაგან მოითხოვდა. 1955 წლის გაზაფხულზე კრემლმა, თავისი შემრიგებლური ჟესტების სიხშირით, გაცემაში მოიყვანა დასავლეთის ყველაზე მძვინვარე ანტიკომუნისტებიც კი. „ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრუ-

ლება“, რომელსაც 1955 წლის 15 მაისს, ათნლიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ, მოენერა ხელი, ითვალისწინებდა მოკავშირეთა (მათ შორის საბჭოთა) საოკუპაციო ძალების გაყვანას ავსტრიიდან იმ პირობით, რომ ახალი სუვერენული სახელმწიფო მკაცრ ნეიტრალიტეტს დაიცავდა ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბლოკს შორის. პორკალას სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც სტალინმა 1947 წელს ფინეთს წაართვა, თავის პირვანდელ მფლობელს დაუბრუნდა. მანჯურის პორტ არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც რუსეთმა იაპონიის წინააღმდეგ 1945 წელს ომის გამოცხადების სანაცვლოდ მიიღო, გათავისუფლდა საბჭოთა ჯარებისაგან და ჩინეთს დაუბრუნდა; აღდგა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები ტიტოს იუგოსლავიასთან და დასავლეთ გერმანიასთან; პირველად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ინიციატივა დაიბადა. ასეთმა მნიშვნელოვანმა დიპლომატიურმა დათმობებმა დასავლეთის დედაქალაქებში გააჩინა მოსაზრება, რომ საბჭოთა კავშირი უარს ამბობდა აგრესიულ ზრახვებზე და მზად იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული უთანხმოებების ირგვლივ მოლაპარაკებისათვის.

საბჭოთა კავშირის ახალი შემრიგებლური პოზიცია, თავის მხრივ, რამდენიმე მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. მათ შორის უმთავრესი იყო საშინაო პოლიტიკის, ზოგადად, საბჭოთა კავშირისათვის არადაამახასიათებელი უპირატესობა საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ, რაც 1953-1957 წლების საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში სტალინის შემდგომი მემკვიდრეობისათვის ბრძოლისას იყო შესამჩნევი. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი თანამდებობის მოპოვებისათვის თანდათან ექვსამდე მეტოქე დაამარცხა, ის იძულებული იყო, მოლაპარაკებოდა და, ხანდახან, დათმობაზეც წასულიყო საბჭოთა პოლიტიკური იერარქიის შემადგენელ დაჯგუფებებთან, რათა ჯერ მოეპოვებინა და შემდეგ გაემყარებინა თავისი ძალაუფლება (ხრუშჩოვმა პოლიტიკური პირველობა 1957 წლის ივნისში მოიპოვა, როდესაც მან კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმიდან მისი მთავარი მეტოქეების – მალენკოვის, მოლოტოვისა და კაგანოვიჩის გაგდებას მიაღწია, თუმცა, მთავრობის მეთაური ის მხოლოდ 1958 წლის მარტში გახდა). ამავე დროს, დესპოტის სიკვდილის შემდგომ ტრანზიციულ ფაზაში შექმნილმა გაურკვეველმა პოლიტიკურმა ვითარებამ ქვეყანაში, სადაც სახელისუფლო მემკვიდრეობის ინსტიტუციური მექანიზმი არ არსებობდა, შესაძლებელი გახადა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რომელიც ცხოვრების უკეთეს პირობებსა და სტალინის მიერ დატოვებული სულისშემხუთველი პოლიტიკური რეპრესიის შერბილებას მოითხოვდა. ასეთი გაურკვეველი შიდაპოლიტიკური გარემოს პირობებში სავსებით გასაგები იყო, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა თავიდან აეცილებინა კონფრონტაცია და

კონფლიქტი დასავლელ მეტოქეებთან განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან შეერთებული შტატების მოკავშირე და კვლავ შეიარაღებული დასავლეთ გერმანიის შექმნა ვერ შეაჩერა. კრემლის მცდელობებს, შეენარჩუნებინა სტაბილურობა ევროპაში 1950-იანი წლების შუაში, უფრო პოზიტიური მოსაზრებებიც განაპირობებდა: აფრიკასა და აზიაში, რევოლუციური მოძრაობების გააქტიურების შედეგად, ამ რეგიონების მაკონტროლებელი დასავლეთის სახელმწიფოების წინაშე მდგარი სირთულეებით სარგებლობის კუთხით, ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. საბჭოთა დიპლომატიური იერიში დასავლეთის კოლონიურ ტერიტორიებზე ჩაგრული მოსახლეობის სახელით, რომელიც ბრიტანული და ფრანგული მმართველობისაგან გათავისუფლებას ცდილობდა, რუსებს ევროპაში თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავებას კარნახობდა, რათა თავიდან აეცილებინათ შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი პროტეჟეების განანყენება.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დაძაბულობის განმუხტვის ტენდენციამ კულმინაციას 1955 წლის ზაფხულში, ჟენევაში, საბჭოთა და დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურების პირველ ომისშემდგომ შეხვედრაზე მიაღწია. ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარე პირადი საუბრები ოთხ ხელისუფალს – შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერს, საბჭოთა კავშირის პრემიერ ნიკოლაი ბულგანინს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ ანტონი იდენსა და საფრანგეთის პრემიერ ედგარ ფორს – შორის გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა და უკიდურესად განსხვავდებოდა გასული ათი წლის სიტყვიერი მუქარებისგან. როგორც დასავლური კოალიციის ნომინალურმა ხელმძღვანელმა, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონფერენციაზე განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნას მისცა ბიძგი, როდესაც მან მონაწილეებს ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არსებითი პრობლემების თანამშრომლობის გზით გადაწყვეტისაკენ მოუწოდა, რასაც გამალებული შეიარაღების შეწყვეტა უნდა მოჰყოლოდა და ევროპაში ბირთვული განადგურების შიში გაექრო. „ღია ცის“ შესახებ ეიზენჰაუერის შეთავაზება, რომელიც საბჭოთა და ამერიკული სამხედრო ობიექტების განლაგების სქემების გაცვლასა და ორმხრივ საჰაერო ფოტოდაზვერვას გულისხმობდა, ბაზების ინსპექციების მიმართ ტრადიციული საბჭოთა წინააღმდეგობისათვის გვერდის ავლას ისახავდა მიზნად. ბულგანინმა, თავის მხრივ, ცნობილი გახადა განიარაღების პროექტი, რომელიც ატომური იარაღის წარმოებისა და გამოყენების სრულ აკრძალვას და ჩვეულებრივი შეიარაღების რაოდენობის ზედა ზღვრის დანესებას ითვალისწინებდა.

შეიარაღების შეზღუდვასთან დაკავშირებული არცერთი წინადადება არცერთი მხარისთვის არ იყო მისაღები, რასაც ჩვეული მიზეზები განაპირობებდა – საბჭოელები საიდუმლო სამხედრო დაგეგმვის საჰაერო დაზვერვისათვის გახსნას არ აპირებდნენ, ხოლო ამერიკელებისთვის მიუღებელი

იყო შეიარაღების ორმხრივი აკრძალვა ან შეზღუდვა ინსპექციის თაობაზე, შესაბამისი შეთანხმების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციას კონკრეტული შედეგებისთვის არ მიუღწევია, პირისპირ, ზრდილობიანი ფორმით ჩატარებული მოლაპარაკებები, წარსულში პოზიციათა გესლიანი გაცვლა-გამოცვლის ფონზე, მაინც წინ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა. კონფერენციაზე გამოსატულმა რაციონალურმა პოზიციამ ეიზენშაუერს შინ ქება-დიდება მოუტანა, საზღვარგარეთ კი „მშვიდობის მოღვაწის“ სახელი გაუთქვა. მეორე მხრივ, საბჭოელებმა მათთვის არადა-მახასიათებელი გულწრფელობისა და ნდობის მაგალითი აჩვენეს. ეიზენშაუერის გულითად განცხადებას, რომ „შეერთებული შტატები აღარასოდეს მიიღებდა მინანილეობას აგრესიულ ომში“, ბულგანინმა საზეიმოდ უპასუხა: „ჩვენ გეჯერა ამ განცხადების“. დასავლეთის პრესა ღირსიულად აღწერდა „უენევის სულისკვეთებას“, საბჭოთა გაზეთები კი დაჟინებით იმეორებდნენ ფრაზას „მშვიდობიანი თანაარსებობა“, რომელიც სტალინის შემდგომი წლების ლოზუნგად იქცა.

„დესტალინიზაციის“ შედეგები აღმოსავლეთ ევროპაში

ორმოცდაათიანი წლების შუაში მოსკოვის მიერ განხორციელებული ახალი შემრიგებლური ჟესტები, როგორც ჩანს, საბჭოთა იერარქიის უმაღლეს ეშელონებში რეალურად შეცვლილ შეხედულებებს ასახავდა. როდესაც 1955 წლის ბოლოს ხრუშჩოვი ერთპიროვნული ძალაუფლების მოპოვებას შეუდგა, მან საბჭოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის სრული გადაფასებაც დაიწყო. ამ გადაფასებას კი სტალინური მემკვიდრეობისა და იმ პირების დადანაშაულება მოჰყვა, რომლებიც ამ მემკვიდრეობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. პარტიის ამბიციურმა მდივანმა იგრძნო პოლიტიკური გამარჯვების სიახლოვე და საბჭოთა კოლექტიური მმართველობის შიგნით პირველობის მიღწევის იარაღად „დესტალინიზაციის“ საკითხის გამოყენება გადაწყვიტა. როდესაც ცვლილებები განხორციელდა და ახალი საბჭოთა პოლიტიკა საჯაროდ გაცხადდა, მომხდარმა ტრანსფორმაციამ მსოფლიოს კომუნისტურ მოძრაობებში დიდი რყევები გამოიწვია. 1956 წლის 24 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის დახურულ სხდომაზე, გვიან ღამით ხრუშჩოვი სიტყვით გამოვიდა, რითაც სრულიად გააოგნა ჯერ დამსწრე დელეგატები და, მოგვიანებით, როდესაც გამოსვლის შინაარსმა პრესაში გაჟონა, მთელი მსოფლიო. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფაქტობრივი მეთაური სტალინის მისი რეპრესიული პოლიტიკის გამო საყვედურობდა და დამსწრეებს საბჭოთა კავშირში პოლიტიკური პროცედურების არათვითნებური წესების დამკვიდრებისაკენ მოუწოდებდა. გამოსვლაში იგი არაპირდაპირ ნებას რთავდა აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა სატელიტ ქვეყნებში ლიბერალიზაციის პროცესებსა და მათ საშინაო პოლიტიკაში სა-

ბჭოთა კონტროლის შერბილებას. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამყარდა, როდესაც, ორი თვის შემდეგ, მან დაშლილად გამოაცხადა კომუნისტური საინფორმაციო ბიურო – კომინფორმი, – რომელიც სტალინმა ევროპის კომუნისტური პარტიების მოსკოვისადმი დაქვემდებარების უზრუნველსაყოფად შექმნა.

ხრუშჩოვის მიერ სტალინური რეპრესიების დაგმობამდე და 1956 წელს კომინფორმის დაშლამდე, სტალინის შემდგომ საბჭოთა ხელმძღვანელობას უკვე გადადგმული ჰქონდა პირველი ნაბიჯები აღმოსავლეთ ევროპის სატელიტ ქვეყნებში მკაცრი პოლიტიკური და ეკონომიკური შეზღუდვების შესარბილებლად, რათა როგორმე დაემშვიდებინათ ამ რეგიონის აშკარად უკმაყოფილო მოსახლეობა. ამ პოლიტიკის მიზანი, როგორც ჩანს, ლიბერალიზაციისა და კონტროლის შესუსტების თანდათანობითი პროცესის ამოქმედება იყო, რასაც აღმოსავლეთ ევროპა მისი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე რუსული კონტროლის ყველაზე მიუღებელი ფორმებისგან ისე უნდა გაეთავისუფლებინა, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო სატელიტი ქვეყნების, როგორც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური თანამოძმეებისა და სამხედრო მოკავშირეების, სტატუსი. ხრუშჩოვის მიერ სტალინური მემკვიდრეობის დაგმობამ, კონტროლის თანდათანობითი შესუსტების ეს პროცესი არეულობად გადაქცევის საფრთხის ქვეშ დააყენა. თავისი პოლიტიკით ხრუშჩოვმა საბჭოთა კომუნისტური პარტიის, როგორც მარქსისტულ-ლენინური დოქტრინის ერთადერთი და შეუმცდარი ინტერპრეტატორისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ქვაკუთხედის, სტატუსი შეარყია. ამით მან გასაქანი მისცა ე.წ. „პოლიცენტრიზმს“, რომლის თანახმად, მსოფლიოში მოქმედ კომუნისტურ პარტიებს მიეცათ თავისუფლება, მოსკოვის დიქტატისგან დამოუკიდებლად განეგრძოთ გზა. კომუნისტურმა პლურალიზმმა, რომელსაც 1948 წელს სტალინისგან ტიტო ითხოვდა, თითქოს ირიბი მხარდაჭერა მიიღო სტალინის მემკვიდრისგან, რომელმაც, „საიდუმლო მიმართვიდან“ ოთხ თვეში, მოსკოვში მიიწვია განმდგარი იუგოსლავი ლიდერი და მისგან პასუხად საბჭოთა სატელიტი ქვეყნების ლიბერალიზაციისაკენ მონოდებები მიიღო.

საბჭოთა კავშირში ჩასახული ანტისტალინური რიტორიკა მალე აღმოსავლეთ ევროპასაც მოედო და რეგიონში საბჭოთა ინტერესებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. 1956 წლის ივნისში პოლონური ქალაქი პოზნანი მუშათა არეულობამ მოიცვა. ათასობით მშრომელი უკეთეს საცხოვრებელ პირობებს ითხოვდა. ოქტობრისთვის სოციალური პროტესტის ეს ცალკეული შემთხვევა, პოლონეთის საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩარევის წინააღმდეგ, ეროვნულ წინააღმდეგობად იქცა. პოზნანში ამბოხებული მუშების სასამართლო საქმეები შეწყდა. რამდენიმე კომუნისტი ლიდერი საჯაროდ ითხოვდა პოლონეთის არმიიდან საბჭოთა ოფიცრების გაძევებას. ვლადის-

ლავ გომულკა – ნაციონალისტური კომუნიზმის სიმბოლო, რომელიც 1951 წელს ხელისუფლებაში მყოფმა პროსაბჭოთა მარიონეტულმა მთავრობამ „ტიტოზმის“ ბრალდებით ციხეში ჩასვა, პოლონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუბრუნდა. ახლადდაწყებული ამბოხის საფუძველშივე ჩასახშობად, 20 ოქტომბერს ხრუშჩოვი სასწრაფოდ გაემგზავრა ვარშავაში, სადაც ის წინააღმდეგობას წააწყდა ვლადისლავ გომულკას მხრიდან, რომელიც ხრუშჩოვის ვიზიტის მეორე დღეს პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, რითაც პოლონეთში „ნაციონალური კომუნიზმის“ ეპოქა დაიწყო. ვარშავისკენ მიმავალი რუსული ტანკებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად პოლონეთის მთავრობამ ქალაქის მშრომელებს იარაღი დაურიგა. საბჭოთა ლიდერი მიხვდა, რომ ორ მეზობელ კომუნისტურ ქვეყანას შორის ომი გარდაუვალი ხდებოდა და, გომულკასგან შესაბამისი პირობების მიღების შემდეგ, უკან დახევა გადაწყვიტა. მან სრული მხარდაჭერა გამოუცხადა პოლონელ რეფორმატორ ლიდერს, უზრუნველყო პოლონეთში განლაგებული საბჭოთა ჯარების ყაზარმებში დაბრუნება და მოსკოვში დაბრუნდა. პოლონეთში განვითარებული მოვლენების შედეგად გაუქმდა სხვადასხვა სახის შეზღუდვა ადამიანის თავისუფლებებზე, შეიკვეცა რუსეთის სამხედრო ძალაუფლება პოლონეთში და შეიქმნა დე ფაქტო ალიანსი გომულკას „ნაციონალურ“ კომუნისტურ პარტიასა და პოლონეთის კათოლიკურ ეკლესიას შორის, რომლის მეთაური კარდინალი სტიფან ვიშინსკი, გომულკას მსგავსად, ამბოხების დროს გამოუშვეს ციხიდან. გომულკა აცნობიერებდა, რომ პოლონეთის გეოგრაფიული მდებარეობა გერმანიასა და რუსეთს შორის შეუძლებელს ხდიდა სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, რის გამოც იგი შეეცადა მაქსიმალურად გამოეყენებინა ოქტომბრის ამბოხებისას მიღწეული შედეგები და, ამავე დროს, დაედასტურებინა მისი ქვეყნის ერთგულება საბჭოთა ბლოკის მიმართ. მან, ერთი მხრივ, ხელიდან არ გაუშვა ოქტომბრის ამბოხის შედეგად მიღებული საშინაო ლიბერალიზაცია და, მეორე მხრივ, ერთგულება გამოუხატა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზნებს, რითაც ამ გამჭრიახმა პოლონელმა პატრიოტმა თავის ქვეყანას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი შეუნარჩუნა და დაარწმუნა კრემლი, არ გამოეყენებინა სამხედრო ძალა თავისი ნების განსახორციელებლად.

ნაკლებად ფრთხილი და ილბლიანი აღმოჩნდა კომუნისტური უნგრეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელიც ხელისუფლებაში ოქტომბერში იმ ვითარებაში მოვიდა, რომელიც ზედაპირულად პოლონეთისას წააგავდა. უნგრეთი ერთ-ერთი ბოლო აღმოსავლეთევროპული სახელმწიფო იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის ბატონობის ქვეშ მოექცა. მისმა კომუნისტურმა სისტემამ კი ვერასოდეს მოახერხა ამ ქვეყანაში მასობრივი მხარდაჭერის მოპოვება. პარტია ხელისუფლების შენარჩუნებას გაჭირვებით ახერხებდა, რადგან მისმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ცხოვრების პირობების გაუარე-

სება გამოინვია, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. 1956 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე გაკეთებულმა ანტისტალინურმა განცხადებებმა ბუდაპეშტში მკაცრი პროსაბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი შეარყია; პოლონეთში განვითარებულმა მოვლენებმა კი უნგრეთში სახალხო ამბოხებას მისცა ბიძგი, რომლის ინტენსიურობა მალე გასცდა პოლონეთში გომულკას მიერ შემოღებულ შეზღუდვებს. უნგრეთის ახალმა პრემიერმინისტრმა, ლიბერალმა კომუნისტმა იმრე ნადმა დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბა კოალიციური მთავრობა, რომელიც, ცივი ომის დაწყებიდან პირველად, არაკომუნისტ ელემენტებსაც მოიცავდა. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ მალე თავისუფალ არჩევნებს ჩაატარებდა, რაც ხელისუფლებაში კომუნისტური პარტიის მონოპოლისტურ მდგომარეობას ემუქრებოდა. 30 ოქტომბერს ნადმა კრემლისგან უნგრეთის ეროვნული დამოუკიდებლობის მხარდაჭერის პირობა მიიღო, რაც მოსალოდნელი ამბოხების ჩასახშობად და რუსული ჯარების შესაძლო ევაკუაციის მიზნით უნგრეთში შეყვანილი საბჭოთა ჯარების გაყვანის პირობასაც მოიცავდა. მცირე დროით გაჩნდა შთაბეჭდილება, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში შექმნილი ვითარება იცვლებოდა და სტალინის მემკვიდრეების მიერ დაწყებული ლიბერალური პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის სატელიტური იმპერიის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი ხარისხის დამოუკიდებლობის მინიჭებით დასრულდებოდა.

თუმცა, როდესაც პირველ ნოემბერს მოულოდნელად შეწყდა ბუდაპეშტიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაცია, ნადი პანიკამ მოიცვა და სასწრაფოდ ვარშავის პაქტის ორგანიზაციიდან – ხელახლა შეიარაღებული გერმანიის ნატო-ში განევრიანების საპასუხოდ, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის შვიდ სატელიტ ქვეყანას შორის 1955 წელს შექმნილი სამხედრო ალიანსიდან – უნგრეთის გამოსვლა გამოაცხადა. პოლიტიკურად დამოუკიდებელი და სამხედრო თვალსაზრისით ნეიტრალური უნგრეთის პერსპექტივას საბჭოთა ხელმძღვანელობა მშვიდად ველარ შეხედავდა: ეს საშიშ პრეცედენტს ქმნიდა, რომლის აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში გამეორების შემთხვევაში, რუსეთსა და დასავლეთს შორის მოსკოვის დაჟინებით შექმნილი ბუფერული ზონის გაუჩინარების საფრთხე იქმნებოდა. აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა იმპერიის „გათავისუფლება“ და კომუნისტური ძალაუფლების რუსეთის საზღვრებამდე უკანდახევა გარდაუვალი ჩანდა არა შეერთებული შტატების ზენოლის შედეგად, არამედ უნგრეთში შეუკავებელი ნაციონალიზმის აფეთქების გამო. ამრიგად, 4 ნოემბერს 250 000 ჯარისკაცითა და 5000 ტანკით დაკომპლექტებული რუსული არმია ბუდაპეშტში დაბრუნდა, რითაც ტერორის მმართველობა დამყარდა და წინა თვეს განხორციელებული მიღწევები ამაო აღმოჩნდა: ნადის რეჟიმი, ძალის გამოყენებით, იანოშ კადარის მარიონეტული მთავრობით ჩაანაცვლეს, რომლის ძალაუფლება მთლიანად საბჭოთა ჯარების ბუდაპეშტში ყოფნაზე იყო დამოკიდებული, რასაც

უნგრეთის ახალი რეჟიმი, მომხდარ უსიამოვნებათა გამეორების თავიდან აცილების მიზნით, თავადაც ითხოვდა.


სტალინის სიკვდილის შემდეგ დაწყებულ და ხრუშჩოვის ცნობილი გამოსვლით დადასტურებულ აღმოსავლეთ ევროპაზე კონტროლის შემსუბუქების პოლიტიკაზე უარის გადანყვეტილება, კრემლს მხოლოდ უნგრეთის საშინი პრეცედენტის გამო შემოთების საფუძველზე არ მიუღია. გადანყვეტილების მიღებას ხელსაყრელი პირობა შეუქმნა სუეცის არხის კრიზისმა, რომელიც სწორედ იმავე დროს, 1956 წლის ოქტომბერში, განვითარდა. იმ დროს, როდესაც შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებით იყვნენ დაკავებული, საბჭოთა კავშირს შეეძლო თავისუფლად გაერისკა სამხედრო ინტერვენცია უნგრეთში და უფრო დიდი იმედი ჰქონოდა, რომ ინტერვენციას დასავლეთის სახელმწიფოები წინააღმდეგობას აღარ გაუწევდნენ, მიუხედავად ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მხარდაჭერის შესახებ დასავლეთის რადიოთი გაკეთებული უამრავი განცხადებისა.

მიუმხროვლობის პოლიტიკა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში

სტალინის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაზე მოსკოვის რკინის ხელის შერბილება და შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ძალაუფლების შემცირება დაემთხვა რუსეთის ამბიციების გამოცოცხლებას ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის იმ რეგიონებში, რომლებიც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური მმართველობისგან თავისუფლდებოდნენ. 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირის მცდელობები, ერთმანეთთან დაეახლოვებინა რუსული კომუნიზმი და კოლონიების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, წარუმატებელი აღმოჩნდა და სტალინმა ეს მცდელობები მთლიანად შეწყვიტა. თუმცა, იმპერიალიზმის ლენინური დოქტრინა, რომლის მიხედვით დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს მხოლოდ საკუთარი ეკონომიკის განვითარება და მათი ჭარბწარმოებისათვის არათეთრკანიანებით დასახლებულ რეგიონებში გასაღების ბაზრების ძიება ამოძრავებდათ, საბჭოთა ხელმძღვანელობის არსენალში ისევ ძლიერ იდეოლოგიურ იარაღად რჩებოდა, თუკი ისინი კვლავ განიზრახავდნენ ამ რეგიონებში დასავლეთისათვის კონკურენციის განევას. 1955 წლის შემოდგომაზე ხრუშჩოვმა და საბჭოთა პრემიერმა ნიკოლაი ბულგანინმა, სამხრეთ აზიაში ვიზიტისას, ამ ძველ, ლენინურ დოქტრინას მტვერი გადანმინდეს. ვიზიტისას საბჭოთა ლიდერებმა ხმამაღლა დაგმეს ევროპული იმპერიალიზმის ბოროტება, მხარი დაუჭირეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს და რუსეთის ეკონომიკური, ტექნიკური და სამხედრო დახმარებაც აღუთქვეს ახლადდამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც ევროპული მმართველობის მემკვიდრეობით დატოვებულ სირთულეებს ებრძოდნენ. საბჭოთა კავშირის ამ ახალი იდეოლოგიური იერიშის და ამერიკელების მცდელობებს, წინ აღდგომოდ-

ნენ საბჭოთა გამოწვევას, აუცილებლად მოჰყვებოდა აღმოსავლეთ ხმელთა-შუაზღვისპირეთიდან ინდოეთის ოკეანემდე გადაჭიმული რეგიონის ჩათრევა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მიმდინარე ცივ ომში. როგორც 1945 წელს გერმანიისა და იაპონიის დამარცხებამ დატოვა ძალაუფლების ვაკუუმი ევროპასა და აზიაში, ისე 1950-იან წლებში ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში ბრიტანული და ფრანგული კოლონიური მმართველობის დასასრულმა შექმნა პოლიტიკურად არასტაბილური ვითარება, რომელიც ორ ზესახელმწიფოს ამ რეგიონებში ჩარევისა და საკუთარი ინტერესების გატარების სერიოზულ საფუძველს უქმნიდა.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მმართველი ელიტები, რომლებსაც „მესამე სამყაროს“ წარმომადგენელი ქვეყნები ეწოდათ, არჩევანის



უნგრეთის რევოლუციისას საგარეო დახმარების მიღების უიმედო მცდელობები: უნგრეთის პრემიერმინისტრი იმრე ნადი (1896-1958) პარლამენტში გამართულ საგანგებო სხდომაზე, 1956 წლის 4 ნოემბერს, ვარშავის პაქტის ქვეყნების სამხედრო ძალების წინააღმდეგ საგარეო დახმარების მოთხოვნის მიმართვის გაერცვლების შემდეგ. ხელი-სუფლებიდან გაძევების შემდეგ ნადმა თავშესაფარი ბუდაპეშტში, იუგოსლავიის საელჩოში მიიღო. მისი პროსაბჭოთა მემკვიდრისგან ტერიტორიის თავისუფლად გადაკვეთის პირობის მიღების შემდეგ, მან დატოვა საელჩო, რის შედეგადაც იგი საბჭოთა უშიშროების ოფიცრებმა დააკავეს. საიდუმლო სასამართლო პროცესის შემდეგ, ორი წლისთავზე, ნადი სიკვდილით დასაჯეს.


წინაშე აღმოჩნდნენ: ან ერთგულება გამოეხატათ ერთ-ერთი გლობალური კოალიციისათვის, ან არ მიმხრობოდნენ აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებულ არცერთ მხარეს. 1950-იანი წლების ჩრდილოეთ ვიეტნამის გარდა, არცერთ მათგანს არ უცდია საკუთარი ბედის საბჭოთა კავშირთან გაზიარება, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მტკიცედ ცდილობდა ამ ქვეყნების კეთილგანწყობის მოპოვებას. მეორე მხრივ, რამდენიმე მათგანს შეერთებულმა შტატებმა და ევროპელმა მოკავშირეებმა უშუალოდ საბჭოთა კავშირის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ შექმნილი უსაფრთხოების დასავლურ-რეგიონულ სისტემებში განევრიანება აიძულეს. ინდოჩინეთში საფრანგეთის სამხედრო მარცხის შემდეგ, აშშ სახელმწიფო მდივანმა დალესმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კოლექტიური თავდაცვის სისტემა ჩამოაყალიბა, რეგიონში საბჭოთა და ჩინური ექსპანსიის შეკავების მიზნით. სისტემა ნატო-ს მოდელის მიხედვით შეიქმნა (თავდაცვის სფეროში ავტომატური თანამშრომლობის დებულების გარეშე) და შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, პაკისტანს, ტაილანდსა და ფილიპინებს მოიცავდა (1947 წელს შეერთებულ შტატებს ფილიპინებმა სამხედრო და საზღვაო ბაზები 99-წლიანი ვადით მიაქირავა. 1951 წელს ამ ორმა ქვეყანამ ორმხრივი ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი). ახლო აღმოსავლეთში პროდასავლურმა ქვეყნებმა – თურქეთმა და ერაყმა – 1955 წელს ბალდადის პაქტს მოაწერეს ხელი (რომელიც 1959 წელს ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციად – CENTO-დ გადაკეთდა მას შემდეგ, რაც ერაყში მომხდარი რევოლუციის შემდგომ ქვეყნის სათავეში ანტიდასავლური ხელისუფლება მივიდა). ამ რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაციას მოგვიანებით ირანი, პაკისტანი და დიდი ბრიტანეთი შეუერთდნენ (რომელიც, სპარსეთის ყურეში განლაგებული სამხედრო ბაზების წყალობით, კვლავ ინარჩუნებდა ამ რეგიონში გავლენას). სამხრეთ-დასავლეთ აზიის თავდაცვის სისტემის შექმნას განსაკუთრებით უჭერდა მხარს შეერთებული შტატები, რომელმაც ამ ახალი რეგიონული ორგანიზაციის პოლიტიკურ ორგანოში დამკვირვებლის სტატუსი შეიძინა. ამგვარად, ატლანტიკური კავშირის სახელმწიფოებმა 1950-იანი წლების შუამდე წარმატებით შექმნეს ალიანსების ქსელი, რომელშიც, რეგიონში საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შეკავების მიზნით, ყოფილი კოლონიები და კლიენტის სახელმწიფოები გააერთიანეს. ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებიც დასავლეთის ორგანიზებულ ალიანსებში განევრიანდნენ, მათ წინააღმდეგ საგარეო საფრთხის შემთხვევაში, პროტექციის პირობის გარდა, ტექნიკურ დახმარებას იღებდნენ ეკონომიკისა და სამხედრო შესაძლებლობების განვითარების კუთხით.

ცივ ომში მიუმხრობლობის პოლიტიკა ყველაზე მკაფიოდ მესამე სამყაროს მთავარმა წარმომადგენელმა – ინდოეთის პრემიერმინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ჩამოაყალიბა. ინდოეთის ქვეკონტინენტმა, რომელიც დიდ

ხნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის ყველაზე ღირებულ კოლონიად ითვლებოდა, დამოუკიდებლობა 1947 წლის 15 აგვისტოს მიიღო, როდესაც ის ჰინდუსების სახელმწიფოდ – ინდოეთად – და მუსლიმურ პაკისტანად გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი თავიდანვე ჩათრეულ იქნა თავის მეზობელ ქვეყანასთან რელიგიური ხასიათის ძვირად ღირებულ რეგიონულ კონფლიქტში კაშმირის სადავო პროვინციაში მცხოვრები ჰინდუსების უმრავლესობასა და მუსლიმ უმცირესობას შორის, იგი მაინც ცდილობდა მსოფლიოს პოლიტიკაში ის როლი შეესრულებინა, რომელიც მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდეს შეეფერებოდა. ინდოეთის შესანიშნავი პრემიერმინისტრი, რომელიც, ამავე დროს, მისი ამ პოსტზე ხანგრძლივი მოღვაწეობისას, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციასაც ითავსებდა, ცდილობდა არ ჩაეთრია თავისი ქვეყანა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებაში და არნმუნებდა სამხრეთ ნახევარსფეროს სხვა, ახლადდამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომ მათაც იგივე გზა აერჩიათ. ის დაულაღვად აფრთხილებდა მათ იმ უბედურებების შესახებ, რომელიც აუცილებლად დაატყდებოდა თავს იმ ქვეყანას, რომელიც რომელიმე ბლოკთან მიერთებას გადანყვეტდა მსოფლიო ბატონობისათვის მათ მიერ გაჩაღებულ ბრძოლაში. ნერუ ასევე ცდილობდა, პოსტკოლონიურ სამყაროში გავლენის მოპოვებისათვის საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირებიდან, თავისი ლატაკი ქვეყნისათვის რაიმე სარგებელიც მოენახა, თუკი მიღებული ეკონომიკური დახმარება პოლიტიკური მოთხოვნებისგან თავისუფალი დარჩებოდა. 1952 წლის იანვარში მან ვაშინგტონთან ხელი მოაწერა „მეოთხე პუნქტის“ ხუთწლიან შეთანხმებას ინდოეთის ქვეკონტინენტისთვის ეკონომიკური დახმარების შესახებ. 1953 წელს მან ასევე ხელი მოაწერა მოსკოვთან ხუთწლიან შეთანხმებას, ხოლო 1955 წლის ივნისში – გრძელვადიან შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მიერ ინდოეთისათვის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების განუვლის შესახებ. ნერუს საბოლოო მიზანი ევროპული მმართველობისგან გათავისუფლებული მესამე სამყაროს ქვეყნების მკაფიო ბლოკის ჩამოყალიბება იყო, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას ზესახელმწიფოებს შორის გაჩაღებულ ცივ ომში მონაწილეობაზე უარი თქმით შეუწყობდნენ ხელს. სწორედ ეს იყო 1955 წლის აპრილში ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგში ჩატარებული დამოუკიდებელ აფრიკულ და აზიურ სახელმწიფოთა პირველი საერთაშორისო კონფერენციის მთავარი გზავნილი.

ნასერი და პანარაბიზმი

მესამე სამყაროს ნეიტრალიტეტის სრულიად განსხვავებული ვერსია ქარიზმატულმა სამხედრო ოფიცერმა – პოლკოვნიკმა გამალ აბდელ ნასერმა – განაეითარა, რომელმაც 1950-იანი წლების შუაში ეგვიპტეში დიქტატორის ძალაუფლება მოიპოვა. თუ ნერუ მსოფლიოში მშვიდობის მხარდასაჭერად




ცივ ომში მიუმხრობლობის მოძრაობის ლიდერი: ინდოეთის პრემიერმინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ (მარჯვნიდან მეორე) ხელს ართმევს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს თეთრ სახლში, 1956 წლის დეკემბერი. მარცხნივ დგას ნერუს ქალიშვილი ინდირა განდი, რომელიც, მოგვიანებით, ინდოეთის პრემიერმინისტრი გახდა (1966-1977, 1980-1984). პრემიერმინისტრად ყოფნისას (1947-1964), ნერუ ორ ზესახელმწიფოს შორის ბენვის ხიდზე გადიოდა და ვაშინგტონისგანაც და მოსკოვისგანაც წარმატებით იღებდა ეკონომიკურ დახმარებას.

მიუმხრობლობის პოლიტიკის გავრცელებას ცდილობდა, ჯარისკაცი ნასერი მიუმხრობლობას ორი სხვადასხვა მიზნის მისაღწევ საშუალებად მიიჩნევდა, რომელთაგან ერთი უფრო მოკლევადიანი იყო, მეორე კი – გრძელვადიანი. მისი უახლოესი მომავლის გეგმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სამხედრო გადაიარაღების პროგრამის შემუშავება იყო, რომელიც, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთიდან ბრიტანელებისა და ფრანგების წასვლის შემდეგ, ეგვიპტეს რეგიონში წამყვან ძალად გადააქცევდა. უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში ნასერი ატლანტის ოკეანიდან სპარსეთის ყურემდე პანარაბული იმპერიის შექმნაზე ფიქრობდა, რომელსაც თავადვე ჩაუდგებოდა სათავეში. ამ მიზნების მისაღწევად ეგვიპტელი დიქტატორი მოურიდებლად სარგებლობდა ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირებით, თითოეული მათგანისგან ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას ითხოვდა და, ამავე დროს, თითოეულს არწმუნებდა, რომ განზრახული ჰქონდა მეორე ზესახელმწიფოსთან შეთანხმების დადება, რითაც მიღებული სარგებლის მასშტაბს ზრდიდა. 1955 წლის სექტემბერში მან, ბამ-

ბისა და ბრინჯის სანაცვლოდ, კომუნისტური ბლოკისგან ეგვიპტური არმიის შეიარაღებისათვის სამხედრო დახმარების პირობა მიიღო. შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა კი ეგვიპტეს 70 მილიონი დოლარის დახმარება გამოუყვეს ნასერის ფავორიტი ეკონომიკური პროექტისათვის: მდინარე ნილოსზე ასვანის კაშხლის ასაშენებლად, რაც ეგვიპტის სავარგულებს ერთი მესამედით, ხოლო ელექტროენერჯის წარმოებას ნახევარჯერ გაზრდიდა. ეგვიპტე მესამე სამყაროში გავლენის სფეროების მოსაპოვებლად აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების მიკროკოსმოსად იქცა, ამერიკული და საბჭოთა მისიები კი ერთმანეთს ექიშპებოდნენ ნასერისათვის ფინანსური დახმარების განწევს პრივილეგიისათვის, რასაც ეს უკანასკნელი თავისი ჩამორჩენილი ქვეყნის და პრიმიტიული სამხედრო ძალების მოდერნიზებისათვის იყენებდა.

ამავე დროს, ეგვიპტის ლიდერი ენერჯიას არ იშურებდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან გაეყვანა სამი ძალა, რომლებიც მისი პანარაბული ოცნებების განხორციელებას დაბრკოლებებს უქმნიდნენ. პირველი მათგანი ალჟირში საფრანგეთის კოლონიური მმართველობა იყო, რომელსაც 1954 წლიდან მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა ეროვნული გათავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიზანული მოძრაობა.

საფრანგეთის სხვა კოლონიური ტერიტორიებისგან განსხვავებით, ალჟირში მრავალრიცხოვანი ფრანგული მოსახლეობა ცხოვრობდა – 1950-იანი წლების დასაწყისში, ზოგიერთი შეფასებით, ერთ მილიონ ადამიანზე მეტი – რომლებმაც ხმელთაშუა ზღვა მეცხრამეტე საუკუნის შუაში გადაკვეთეს და ალჟირის სანაპირო ქალაქებსა და მის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დასახლდნენ. ეს ქრისტიანი, თეთრკანიანი, „ფრანგი ალჟირელები“, რომლებიც ფლობდნენ როგორც ბიზნესებს ალჟირის ქალაქებში, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწებს, ქვეყნის ეკონომიკას აკონტროლებდნენ. პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მათ მონოპოლიას კომპლექსური საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფდა, რომელიც, მართალია, სამართლებრივად თანასწორად აცხადებდა ყველა მოქალაქეს, მაგრამ პრაქტიკულად საარჩევნო უფლების გარეშე ტოვებდა ქვეყნის არაბულ მუსლიმ მოსახლეობას, რომელიც ქვეყნის უმრავლესობას წარმოადგენდა. 1954 წელს ფრანგული მმართველობის წინააღმდეგ დაწყებული ამბოხება მალე რელიგიურად და ეთნიკურად განსხვავებულ ორ ხალხს შორის სისხლიან სამოქალაქო ომად იქცა, რომელშიც თითოეული მხარე ალჟირს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევდა და თითოეულს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გაკონტროლება სურდა. მუსლიმ არაბ მემამბოხეებს ეგვიპტის დიქტატორი ყველა სახის დახმარებას უწევდა, მათ შორის, პოლიტიკურ ლიდერებს თავშესაფრის უფლებასაც აძლევდა, რითაც ის არაბულ სახელმწიფოში უზარმაზარი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც კოლონიური მმართველობისგან არაბული სამყარ-



ახდენილი ოცნება: სიონისტი ოფიციალური პირები აჩვენებენ დეკლარაციას ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელიც 1948 წლის 14 მაისს თელ-ავივის სასტუმროში დავიდ ბენ გურიონმა გამოსცა. მომდევნო დღეს, პალესტინაში ბრიტანეთის მანდატის ამონუერვის შემდეგ, ბრიტანულმა ჯარებმა ქვეყნიდან ევაკუაცია დაიწყეს. ცივი ომის პირობებში, გამონაკლისის სახით, ორივე ზესახელმწიფომ – შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა – ისრაელის სახელმწიფო აღიარა, მაშინ, როცა მეზობელი ქვეყნები მის დასამარცხებლად სამხედრო ძალებს აგზავნიდნენ.

როს გათავისუფლების ლიდერი. საფრანგეთის კიდევ ორი კოლონიის – მაროკოსა და ტუნისის – მიერ დამოუკიდებლობის მიღებამ რეგიონში დეკოლონიზაციის გარდაუვალი ხასიათი დაადასტურა, რასაც ნასერი განსაკუთრებული სიხარულით ელოდა.

სუეცის არხის კრიზისი

კოლონიალიზმის მეორე გადმონაშთის თავიდან მოსაშორებლად – ამ შემთხვევაში, უკვე საკუთარი ქვეყნიდან – ეგვიპტელმა დიქტატორმა 1954 წლის 19 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთისგან პირობა მიიღო, რომ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა სუეცის არხში სამხედრო ბაზაზე და ოცი თვის განმავლობაში სრულად გაიყვანდა სამხედრო ძალებს არხის ტერიტორიიდან. სანაცვლოდ, ეგვიპტემ ბრიტანეთს არხში საზღვაო მიმოსვლის თავისუფლების გარანტია მისცა და შეპირდა, რომ სამხედრო ძალებს კვლავ დართავდა სუეცის არხში დაბრუნების ნებას, თუკი რომელიმე არაბულ სახელმწიფოზე ან თურქეთზე გარეშე ძალის თავდასხმას ექნებოდა ადგილი. 1956 წლის ზაფხულამდე არაბულ სამყაროში ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლება ან სრულიად აღმოფხვრილ იქნა, ან, ალჟირის შემთხვევაში,

ამბოხებულთა სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომელთა გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, „ფრანგული ალჟირის“ ყველაზე თავდადებული და არარეალისტი მომხრეების გარდა. გაჩნდა არაბული ქვეყნების თვითგამორკვევისა და ერთიანობის მიღწევის იმედი ევროპული კოლონიზატორებისადმი მრავალწლიანი მორჩილებისა და მათივე „გათიშე და იბატონეს“ სტრატეგიის შედეგად ხანგრძლივი დანაწევრებულობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ასე სჯეროდა კაიროს ამბიციურ ჯარისკაც-ლიდერს.

ნასერის პანარაბული ოცნების განხორციელებისათვის მესამე დაბრკოლება ისრაელის სახელმწიფო იყო, რომელიც 1948 წელს ებრაელი ლტოლვილების მიერ შეიქმნა პალესტინის ტერიტორიაზე, რომელსაც მანამდე, ერთა ლიგის მიერ გაცემული მანდატის საფუძველზე, ბრიტანეთი მართავდა. გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც პალესტინის ორ სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულად – ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად – დაყოფას ითვალისწინებდა, მეზობელმა სახელმწიფოებმა დაგმეს. შესაბამისად, ბრიტანეთის მანდატის დასრულების შემდეგ, ისრაელის ებრაელთა სახელმწიფოს გამოცხადებას ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს შორის ომი მოჰყვა, რომელიც, დროებითი ზავის შედეგად, 1949 წლის ზაფხულში შეწყდა. ებრაელი მოსახლეობისა და მათი სარწმუნოებრივი ძმებისათვის უცხოეთში ახალი სახელმწიფო მათი წინაპრების მიწაზე დაბრუნების ორი ათასწლიანი ოცნების ასრულება იყო. უფრო კონკრეტულად კი, ისრაელის სახელმწიფო საშუალებას აძლევდა მათ, თავი დაეცვათ დევნისაგან, რომელიც მათ მიმართ ხორციელდებოდა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში რუსეთის მეფეების პოგრომებისა და ჰიტლერის ჰოლოკოსტისგან. სიონიზმი, როგორც პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც 1890-იან წლებში ავსტრიელმა ჟურნალისტმა თეოდორ ჰერცელმა, საფრანგეთში დრეიფუსის საქმის გამო, ევროპაში ანტისემიტიზმის გააქტიურების შედეგად დააარსა, გააძლიერა მესამე რაიხის საკონცენტრაციო ბანაკების მოგონებებიდან გამომდინარე რწმენამ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული და უმცირესობაში მყოფი ებრაელები ვერასოდეს იგრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ. ერთადერთი იმედი სახელმწიფოს შექმნა იყო, რომელიც დასახლებული, მართული და დაცული იქნებოდა თავად ებრაელების მიერვე. პანარაბიზმის მომხრეებისათვის კი 1948 წელს არაბული სამყაროს შუაგულში ევროპული წარმოშობის მოქალაქეების მიერ მართული სახელმწიფოს შექმნა კოლონიურ წარსულში დაბრუნებას ნიშნავდა და არაბული ერთიანობისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა. ამრიგად, ნასერი სათავეში ჩაუდგა ისრაელის სახელმწიფოს მონინააღმდეგე არაბულ სახელმწიფოებს, აუკრძალა ისრაელის გემებს სუეცის არხით ან ტირანის სრუტით სარგებლობა და ბაზები პალესტინიდან გამოქცეულ არაბ ლტოლვილებს დაუთმო, რომლებიც თავდასხმებს ისრაელის საზღვართან აწყობდნენ.



პანარაბიზმის ქარიზმატული პროპონენტი. მას უდიდეს პატივს სცემდნენ არაბულ სამყაროში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ევროპული იმპერიალიზმისა და ისრაელის ქმედებათა დაგმობისთვის. ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი (1918-1970) ენერგიულ კამპანიას ატარებდა არაბი ხალხის ერთიანობისათვის. ამასობაში კი ერთმანეთს უპირისპირებდა ორ სუპერსახელმწიფოს, ეგვიპტის უპირატესობის მოსაპოვებლად. მისი პრესტიჟი საზღვარგარეთ საკმაოდ შეილახა ეგვიპტისა და მისი არაბი მოკავშირეების დამამცირებელი სამხედრო დამარცხების შედეგად, 1967 წლის 6-დღიანი ომის შემდეგ.

1956 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ეს ერთმანეთისგან განცალკევებული მოვლენები საერთაშორისო კრიზისად იქცა, რომელმაც ბზარი გაუჩინა დასავლეთის ალიანსის სილიდარობას იმ მომენტში, როდესაც პოლონეთსა და უნგრეთში განვითარებული მოვლენები საბჭოთა ბლოკის ერთიანობას დაემუქრა. 1956 წლის 13 ივნისს დიდმა ბრიტანეთმა, 1954 წლის ოქტომბრის შეთანხმების შესაბამისად, სუეცის არხის ზონა დატოვა და ამ მნიშვნელოვანი საზღვაო გასასვლელის დაცვის მთელი პასუხისმგებლობა ეგვიპტეს გადაულოცა. იმავე წლის 20 ივლისს საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარებაზე ეგვიპტის მზარდი დამოკიდებულებით შეწუხებულმა და კონგრესში არსებული პროისრაელური განწყობების შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა მოულოდნელად უარი თქვა ასვანის კაშხლის მშენებლობის დაფინანსებაზე. საკუთარი პრესტიჟისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მისეული გეგმის წინაშე მდგარი საფრთხის გამო, ეგვიპტელმა ლიდერმა, ექვსი დღის

შემდეგ, საპასუხო ნაბიჯი გადადგა: მოახდინა სუეცის არხის კომპანიის (რომელიც მანამდე ბრიტანეთის საბანკო ინტერესების კონტროლის ქვეშ რჩებოდა) ნაციონალიზაცია და განაცხადა, რომ არხით სარგებლობიდან მიღებულ შემოსავალს კაშხლის აგებისათვის მოიხმარდა. სამი თვის განმავლობაში მიმდინარე დიპლომატიური ძალისხმეების შემდეგ, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობა ამაოდ ცდილობდა მიეღო ნასერისგან თანხმობა ევროპული ვაჭრობისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის გადაზიდვებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი არტერიის საერთაშორისო კონტროლზე, ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ანტონი იდენმა დაასკვნა, რომ ერთადერთ გამოსავალი სამხედრო ძალის გამოყენება იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა ნასერის დამხობას, რომელსაც იგი ჰიტლერის ინკარნაციად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ, თუ სასწრაფოდ არ მოხდებოდა მისი შეჩერება, ნასერიც იმავე უბედურებას მოუტანდა ახლო აღმოსავლეთს, რაც ჰიტლერმა მოუტანა ევროპას. ნასერის მიერ ალჟირელი ამბოხებულებისა და პალესტინელი პარტიზანებისათვის საფრანგეთისა და ისრაელის წინააღმდეგ განეული დახმარება გარანტია იქნებოდა იმისა, რომ ბრიტანელი ლიდერის გეგმები მოწონებას დაიმსახურებდა პარიზსა და თელ-ავივში. ამერიკელ მოკავშირეებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა ჩაიფიქრეს და განახორციელეს გეგმა სამი სახელწიფოს მონაწილეობით, რომელთაგან თითოეული, ეგვიპტის ხარჯზე, საკუთარი მიზნების მიღწევას შეძლებდა. შეთანხმების შესაბამისად, 1956 წლის 29 ოქტომბერს ისრაელის არმია ეგვიპტეს დაესხა თავს, რამდენიმე დღეში ბოლო მოუღო ეგვიპტის არმიას სინაის ნახევარკუნძულზე და ეგვიპტელთათვის ავისმომასწავებლად მიუახლოვდა სუეცის არხს. 5 ნოემბერს ბრიტანელი და ფრანგი პარაშუტისტები სუეცის არხსა და პორტ საიდში გადასხეს, ორი ქვეყნის არმიების დაშორიშორებისა და არხის საერთაშორისო მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი დაცვის საბაბით. ამ კოორდინირებული სამხედრო ოპერაციის ნამდვილი მიზანი ნასერის ხელისუფლებიდან ჩამოშორება და მისი ჩანაცვლება იყო ისეთი ლიდერით, რომელიც თავს შეიკავებდა სუეცის არხზე ბრიტანეთის ინტერესების, ალჟირში ფრანგების ხელისუფლებისა და ისრაელის დასავლეთი საზღვრებისათვის საფრთხის შექმნისაგან. ინტერვენცია წარუმატებლად დასრულდა არა ეგვიპტის სამხედრო წინააღმდეგობის გამო, რომელიც სინაიზე ისრაელის ტანკებმა, ხოლო, თავად სუეცის არხზე, ბრიტანელმა და ფრანგმა პარაშუტისტებმა იოლად უკუაგდეს, არამედ შეერთებული შტატების მოულოდნელი და მტკიცე წინააღმდეგობის გამო. ერთი მხრივ, დალესსა და იდენს შორის პირადი კონფლიქტისა და, მეორე მხრივ, განსხვავებული ეროვნული ინტერესების გამო, შეერთებული შტატების მთავრობამ საკმარისი ზენოლა გამოიყენა თავის ევროპელ მოკავშირეებზე და იძულებული გახდა ისინი, დათანხმებოდნენ სამი ქვეყნის

სამხედრო ძალის დამამცირებელ ევაკუაციას, მიუხედავად ამ სამი სახელმწიფოს წინასწარი შეთანხმებისა სუეცის არხთან დაკავშირებით.

სუეცის მარცხს საერთაშორისო წესრიგისათვის მრავალი გრძელვადიანი შედეგი მოჰყვა. ამ მარცხით დასრულდა ინგლისელებისა და ფრანგების პრეტენზიები ახლო აღმოსავლეთში იმპერიული როლის შესრულებაზე. სუეცის კრიზისმა ასევე შეარყია ატლანტიკური ალიანსის სიმტკიცე და ნათელი გახადა ევროპული სახელმწიფოებისათვის, რომ ისინი უწინდელად ვეღარ შეძლებდნენ საგარეო პოლიტიკის გატარებას, თუკი ამ პოლიტიკაზე ვაშინგტონის თანხმობა არ იქნებოდა. სუეცის კრიზისის შედეგმა, უპირველეს ყოვლისა, არაბულ სამყაროში ნასერის პრესტიჟი გაზარდა და გაამყარა მისი, როგორც ევროპული კოლონიალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ მებრძოლი განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო წარმომადგენლის, რეპუტაცია. საბჭოთა კავშირმა კი, რომელიც ენერგიულად ჩაერთო კრიზისში ეგვიპტის მხარდასაჭერად ისე, რომ, კრიზისის გამწვავების პიკზე, ბრიტანეთსა და საფრანგეთს ბირთვული თავდასხმითაც კი დაემუქრა, დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათი მოკავშირე ისრაელის წინააღმდეგ მებრძოლი არაბული ქვეყნებისა და მათი მიზნების მხარდამჭერი ქვეყნის რეპუტაცია შეიძინა. ამრიგად, როდესაც საბჭოთა კავშირის უპირობო ბატონობა აღმოსავლეთ ევროპაში, პოლონეთსა და უნგრეთში გააქტიურებული ნაციონალისტური მოძრაობების გამო, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, სუეცის კრიზისმა კრემლს მესამე სამყაროში თავისი იდეოლოგიური შეტევის განახლების საშუალება მისცა. გარდა ამისა, მაშინ, როდესაც კომუნისტური ბლოკის შიგნით პოლიცენტრისტული ტენდენციები მალევე იქნა აღკვეთილი პოლონელების ფრთხილი პოლიტიკისა და ბუდაპეშტში საბჭოთა რეპრესიების წყალობით, სუეცის კრიზისისას ამერიკელების მიერ ევროპელი მოკავშირეების მიტოვებამ ის დასავლეთევროპული ძალები გააძლიერა, განსაკუთრებით საფრანგეთში, რომლებიც ამერიკისგან დამოუკიდებელი სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას უჭერდნენ მხარს.

ამერიკული ხელშეხებლობის დასასრული

სუეცის არხის კრიზისით გამოწვეულ ტრანსატლანტიკურ დაძაბულობებს, საბჭოთა კავშირის საფრთხისგან თავდაცვის საქმეში შეერთებული შტატების სანდოობის გამო, დასავლეთ ევროპაში გაჩენილი ეჭვი ემატებოდა. როგორც ვნახეთ, ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის მიერ არჩეული ბირთვული შეკავების პოლიტიკა, დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის მიერ ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთის დასახლებული ცენტრების წინააღმდეგ მასიურ ატომური შეტევის მუქარას გულისხმობდა. ამ პოლიტიკის დამაჯერებლობა, საბჭოთა კავშირის მხრიდან ამერიკულ ქალაქებზე შესაძლო საპასუხო ბირ-

თვეული იერიშის შიშის გარეშე, შეერთებული შტატების მიერ ბირთვული არსენალის გამოყენების უნარს ემყარებოდა. ცივი ომის პირველი ათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბირთვული შეიარაღების მხრივ შეერთებული შტატების დანევის კუთხით. საბჭოთა კავშირმა ატომური ბომბი 1949 წელს გამოსცადა – შეერთებული შტატების მიერ ამ იარაღის გამოცდიდან ოთხ წელიწადში, ხოლო წყალბადის ბომბი 1953 წელს – შეერთებული შტატების გამოცდიდან მხოლოდ ცხრა თვეში. ის, რაც საბჭოთა კავშირს ყველაზე მეტად აკლდა, დასავლეთ ნახევარსფეროში სამხედრო ბაზები იყო, საიდანაც ის ამერიკის ტერიტორიას ბირთვული დაბომბვით დაემუქრებოდა, ან ინტერკონტინენტური გადამტანი სისტემები, რომლითაც ბირთვულ იარაღს რუსეთიდან ჩრდილოეთ ამერიკაში შესაბამის სამიზნეებამდე მიიტანდა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირმა ბირთვული იარაღის გადამტანი სისტემებიც აწარმოა – რაკეტები, რომელსაც ამერიკული ბირთვული შემაკავებელი სისტემის ნეიტრალიზება



შოტლანდიელების პირველი სამეფო ბატალიონი პორტ საიდში შედის, ეგვიპტე, 1956 წლის 16 ნოემბერი: ეგვიპტეში ანგლოფრანგული სამხედრო ინტერვენციის წარმატება უნაყოფო აღმოჩნდა შეერთებული შტატების ზენოლის გამო, რომელმაც სამივე ქვეყანა აიძულა, თავიანთი არმიები, გამალ აბდერ ნასერის დამხობის მთავარი ამოცანის შესრულებამდე, გაეყვანათ. ბევრი ისტორიკოსის აზრით, სუეცის კრიზისი ახლო აღმოსავლეთში ბრიტანული იმპერიალიზმის ბოლო ამოსუნთქვა იყო.

შეეძლო. 1955 წელს საბჭოთა კავშირმა სრულყო შორსმოქმედი ბომბდამშენი, რომელსაც ამერიკის ტერიტორიის დაბომბვა და უკან დაბრუნება შეეძლო, მაგრამ ამერიკა ხუთჯერ მეტ ასეთ ბომბდამშენს და უფრო ეფექტურ სარადარო სისტემას ფლობდა მტრის ბომბდამშენების დასაზვერად. ბირთვული იარაღის გადამტანი სისტემების მხრივ საბჭოთა კავშირმა მთავარ წარმატებას სარაკეტო დანადგარებში მომხდარი პროგრესის შედეგად მიაღწია, რაც კოსმოსის ათვისების პირველ მცდელობებთან იყო დაკავშირებული. 1957 წლის 4 ოქტომბერს კრემლმა მთელი მსოფლიო გააოცა, როდესაც გამოაცხადა, რომ რუსმა მეცნიერებმა წარმატებით გაუშვეს ორბიტაზე კოსმოსური სატელიტი სპუტნიკი. ნათელი იყო, რომ რაკეტა, რომელსაც ორბიტაზე, დედამიწის გარშემო, ლითონის საგნის გატანა შეეძლო, ბირთვული ქობინის დედამიწის ზედაპირზე, ნებისმიერ ადგილას, მიტანასაც შეძლებდა. მართლაც, იმავე წლის 21 აგვისტოს საბჭოელებმა პირველად წარმატებით გამოსცადეს ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტა. შეერთებული შტატების რეაქციამ არ დააყოვნა და 1957 წლის დეკემბერში მანაც წარმატებით განახორციელა ხუთი ათასი მილის რადიუსის ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტის გამოცდა და, შემდეგ, 1958 წლის თებერვალში ორბიტაზე გაუშვა თავისი პირველი სატელიტი „ექსპლორერი“. მაგრამ, ვიდრე ამერიკელები დიდი ოდენობით ინტერკონტინენტურ ბალისტიკურ რაკეტებს შექმნიდნენ, მათ მოძველებული, შორი რადიუსის ბომბდამშენებისა (რომელთა დაფიქსირება და გაუვნებლყოფა მოწინააღმდეგის საჰაერო ხომალდებიდან იყო შესაძლებელი) და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების იმედად ყოფნა უნევედათ, რომელთა ამოქმედება საბჭოთა კავშირთან ახლოს მდებარე მეგობარი ქვეყნებიდან შეიძლებოდა.

ბირთვული რაკეტების სისტემების კუთხით ამერიკის თვალში საცემი ჩამორჩენილობის გამო, შეერთებულმა შტატებმა სპეციალური პროგრამა წამოიწყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის უპირატესობა მალევე გააბათილა. 1960-იანი წლების დასაწყისში ამერიკამ უკვე განალაგა საკუთარი ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტები, გააუმჯობესა ინტერკონტინენტური ბომბდამშენები და გაზარდა მეგობრულ ქვეყნებში განლაგებული საშუალო რადიუსის ბომბდამშენებისა და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების არსენალი. 1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს მიმდინარე შემფოთებული საუბრები „სარაკეტო ჩამორჩენის“ (*missile gap*) შესახებ, ზედმეტად პესიმისტურ ხასიათს ატარებდა, რადგან საბჭოთა კავშირის ბირთვული ტექნოლოგია არ შეესაბამებოდა იმ ამოცანებს, რომელთა შესრულებასაც საბჭოთა ხელმძღვანელობა მათი საშუალებებით ვარაუდობდა. მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რომ, ატომურ ეპოქაში პირველად, შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან გამოსრო-

ლილი რაკეტების მასიური ბირთვული იერიშის სამიზნედ იყო ქცეული. დასავლეთ ევროპაზე საბჭოთა კავშირის შესაძლო არაბირთვულ თავდასხმაზე შეერთებული შტატების რეაქციას ბირთვული იარაღის გამოყენებით (ამერიკის ტერიტორიაზე განლაგებული შორი რადიუსის ბომბდამშენებისა თუ ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების საშუალებითა თუ მოკავშირეების ტერიტორიაზე განლაგებული საშუალო რადიუსის ბომბდამშენებიდან და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტებიდან), შესაძლოა, მისი ძირითადი დასახლებული ცენტრები განადგურების სერიოზული საფრთხის ქვეშ დაეყენებინა. ბირთვული ბალანსის ამ ავისმომასწავებელი ცვლილებიდან ამერიკის ევროპელმა პარტნიორებმა ორი დასკვნა გამოიტანეს, რომელთაგან თითოეულს აუცილებლად მოჰყვებოდა სერიოზული დაძაბულობა ატლანტიკურ ურთიერთობებში. პირველი დაკავშირებული იყო ეჭვთან, რომ ამერიკის პრეზიდენტი მსხვერპლად არ განირაგდა საკუთარ ქალაქებს, ევროპის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. მეორე დასკვნის თანახმად, ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტებისა და ბომბდამშენების დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზე განლაგებით, რაზეც რამდენიმე დასავლეთევროპული სახელმწიფო 1950-იანი წლების ბოლოს დაითანხმეს, ეს ქვეყნები, აშშ-საბჭოთა ბირთვული შეტაკების შემთხვევაში, საკუთარ მოსახლეობას სრული განადგურების საფრთხის წინაშე აყენებდა. იმის გაცნობიერებამ, რომ დასავლეთ ევროპის მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები, რომლებშიც ამერიკულ ბომბდამშენთა ბაზები და სარაკეტო დანადგარები იქნებოდა განთავსებული, რუსეთის მხრიდან მოულოდნელი ბირთვული თავდასხმის ავტომატური სამიზნე ხდებოდნენ, დასავლეთის ბლოკში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ინგლისში, რომელმაც 1950-იანი წლების შუაში თავად დაიწყო ბირთვული შეიარაღების მოკრძალებული პროგრამის განხორციელება და საკუთარი ბირთვული შეიარაღება ამერიკული ბირთვული შეკავების სისტემის ნაწილად აქცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიც იყვნენ „ბირთვული იარაღის წინააღმდეგ კამპანია“ და „100-ის კომიტეტი“, ნატო-დან ბრიტანეთის გამოსვლას, ბრიტანეთის ტერიტორიიდან ამერიკული საჰაერო ბაზებისა და სარაკეტო დანადგარების გატანასა და ბრიტანეთის მიერ ბირთვული პროგრამის შეწყვეტას მოითხოვდნენ. კონტინენტურ ევროპაში კეთდებოდა ოფიციალური განცხადებები ამერიკისა და საბჭოთა ძალების ცენტრალური ევროპიდან გაყვანის თაობაზე, რათა ამ რეგიონში არ მომხდარიყო ზესახელმწიფოთა კონფრონტაცია, რასაც, შესაძლოა, ბირთვული ჰოლოკოსტი მოჰყოლოდა. ამავე დროს, ამერიკის „ბირთვული ქოლგის“ სანდოობის ირგვლივ წარმოქმნილი სკეპტიციზმი დასავლეთევროპელ ლიდერებს ევროპის საკუთარი თავდაცვის განვითარებისა და ამერიკისაგან დამოუკიდებლობის შესახებ მონოდეტებისაკენ უბიძგებდა.

ბერლინის ანომალია


დასავლეთის ალიანსში წარმოქმნილმა ამ დაძაბულობამ კრემლი შეერ-თებული შტატებისა და მისი დასავლეთეუროპელი პარტნიორების სიმტკიცის გამოცდისაკენ ნააქეზა. ამისათვის მან დასავლეთ ბერლინზე ზენოლა გააძლიერა, რომლის დაცვა, სამხედრო თვალსაზრისით, იქ განლაგებული მცირერიცხოვანი ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული გარნიზონების მიერ შეუძლებელი იყო. ჰიტლერის რაიხის ყოფილი დედაქალაქი 1958 წლის ნოემბერში კიდევ ერთხელ იქცა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების ცენტრად: ხრუშჩოვმა მოულოდნელად მოითხოვა ბერლინიდან ოთხივე საო-კუპაციო ძალის, ექვსი თვის განმავლობაში, სრული ევაკუაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი ცალმხრივად გადასცემდა მათ ფუნქციებს ბერლინის გარეუბანში – პანკოვში – განლაგებულ აღმოსავლეთგერმანულ მარიონეტულ მთავრობას. რამდენადაც დასავლელ მოკავშირეებს არც დი-პლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ პანკოვის რეჟიმთან და არც ბერ-ლინში შესვლის თაობაზე შეთანხმება, საბჭოთა ულტიმატუმზე დათანხმება დასავლეთის ამ ანკლავის მისი პროტექტორებისგან იზოლირებას და მის აღმოსავლეთ გერმანიასთან მიერთებას გამოიწვევდა. ამრიგად, ხრუშჩოვმა გაააქტიურა „ბერლინის საკითხი“, რომელიც ათწლეულის განმავლობაში იყო მივიწყებული, 1948-1949 წლების წარუმატებელი ბლოკადის შემდეგ, რაც აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის ლიდერ ვალტერ ულ-ბრიხტის მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებას მოჰყვა, ერთი მხრივ, აღმოსა-ვლეთ გერმანიაში 110 კილომეტრის სიღრმეში მდებარე ქალაქში დასავლელი მოკავშირეების სამხედრო, პოლიტიკური და სადაზვერვო პერსონალის და-მამცირებელი აქტივობის გამო და, მეორე მხრივ, დასავლეთ ბერლინის ეკო-ნომიკური წარმატების გამო, რასაც ნებისმიერი აღმოსავლეთბერლინელი (რომელთაც დასავლეთ ბერლინში გადაადგილების შეუზღუდავი უფლება ჰქონდათ) იოლად შეამჩნევდა. ყველაზე მეტად აღმოსავლეთ გერმანიის კო-მუნისტ ხელმძღვანელობას ის აღელვებდა, რომ, ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტისა და ნაკლებად რეპრესიული პოლიტიკური კლიმატის გამო, ფე-დერაციულ რესპუბლიკაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორი მილიონი აღმოსავლეთგერმანელი გაქცეულიყო. ამ მასობრივ მიგრანტებს შორის მაღალკვალიფიციური პროფესიონალების განსაკუთრებით დიდი წილი საფრთხეს უქმნიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკურ აღორძინებას. 1958 წელს ორ გერმანიას შორის არსებული გრძელი საზღვა-რი მთლიანად დაიკეტა. თუმცა, ინტელექტუალური გადინება გრძელდებოდა რკინის ფარდაში დარჩენილი ერთადერთი გასასვლელიდან – აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის დაუბრკოლებელი მოძრაობის შედეგად.

ხრუშჩოვის ულტიმატუმის ერთადერთი მიზანი აღმოსავლეთ ეუროპაში მის სატელიტურ იმპერიაზე საბჭოთა კონტროლის შემასუსტებელი ამ გამა-

ლიზიანებელი ფაქტორისა და აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკური განვითარების წინაშე მდგარი ზემოაღნიშნული გამოწვევის აღმოფხვრა არ ყოფილა. მას კიდევ ერთი ამბიციური მიზანი ამოძრავებდა: შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შორის მჭიდრო კავშირის ჩაშლა. აღენაურის აღმინისტრაციისათვის ბერლინი, დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოების ინტერესების დაცვის საქმეში, ამერიკის სიმტკიცის საუკეთესო გამოცდას წარმოადგენდა. თუ დასავლელი მოკავშირეები, რომელთა სიმბოლურ ძალებს ბერლინში ხუთჯერ აღემატებოდა ირგვლივ განლაგებული კომუნისტების სამხედრო ძალები, იძულებული გახდებოდნენ, დაეთმთ პოზიციები საბჭოთა გავლენის სფეროში ასე ღრმად განლაგებულ ქალაქში, ვაშინგტონი-ბონის ახლადწარმოქმნილი ღერძი სერიოზულ დარტყმას მიიღებდა, რომელიც, შესაძლოა, ველარასოდეს გამოსწორებულყო.

თუმცა, დასავლეთის სახელმწიფოებმა ერთხმად უარყვეს საბჭოთა ულტიმატუმი, კვლავ დაადასტურეს მათი ბერლინში შესვლის უფლება და უარი თქვეს რუსეთის მიერ ხელისუფლების აღმოსავლეთგერმანული რეჟიმისათვის გადაცემაზე. დასავლეთის ასეთი ერთიანი ფრონტის წინაშე ხრუშჩოვმა უყურადღებოდ დატოვა აღმოსავლეთ გერმანიისათვის ხელისუფლების გადაცემის მისივე ულტიმატუმის ვადის – 27 მაისის – გასვლა და დასავლეთს უმაღლესი დონის კონფერენციის ჩატარება შესთავაზა, რომელიც საბოლოოდ მოაგვარებდა ბერლინის საკითხს. 1959 წლის აგვისტოში ჟენევაში გამართული საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, ხრუშჩოვმა მიიღო პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მოწვევა ვაშინგტონში ბერლინის მომავალი პოლიტიკური სტატუსის გადასაწყვეტად პირისპის მოლაპარაკებისთვის.

1959 წლის სექტემბრის ბოლოს ნიკიტა ხრუშჩოვი გახდა პირველი საბჭოთა ლიდერი, რომელიც შეერთებულ შტატებს ეწვია. ამერიკის სხვადასხვა შტატის მონახულების შემდეგ, საბჭოთა სტუმარი მერილენდის მთებში, კემპ დევიდის საპრეზიდენტო რეზიდენციაში ეიზენჰაუერთან პირად შეხვედრებს შეუდგა. ამ კონფიდენციალურ მოლაპარაკებებს არსებითი შედეგები არ მოჰყოლია, გარდა ზეპირი შეთანხმებისა, რომ ბერლინის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დროებით გადაედოთ დიდი სახელმწიფოების მონაწილეობით უმაღლესი დონის კონფერენციის მოწვევამდე მომდევნო წელს და, ამ სამიტის შემდეგ, ეიზენჰაუერის მიერ ხრუშჩოვის ოფიციალურ მიწვევაზე თანხმობის მიღებამდე. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საბჭოთა პრესა ისევე მიესალმა „კემპ დევიდის სულისკვეთებას“, როგორც ოთხი წლით ადრე, უშედეგოდ დასრულებული სამიტის შემდეგ, ზეიმობდა „ჟენევის სულისკვეთებას“. აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის გამართულმა ამ გულითადმა შეხვედრებმა, დაძაბულობებით აღსავეს ორმოცდაათიანი წლების მინურულს, რეალური დეტანტის აღბათობა გაზარდეს. 1959 წლის მაისში ფოსტერ დალესის – ამერიკის მთავრობაში ცივ ომთან ასოცი-



მშვიდობიანი თანაარსებობა: დუაიტ ეიზენჰაუერი და ნიკიტა ხრუშჩოვი მერილენდის კატოკტინის მთებში მდებარე კემპ დევიდის საპრეზიდენტო რეზიდენციაში, 1959 წელს შეერთებულ შტატებში საბჭოთა ლიდერის უპრეცედენტო მოგზაურობისას. ორი ლიდერის საუბრის მთავარი თემა ბერლინის შესახებ ხრუშჩოვის ულტიმატუმი იყო. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, შეხვედრის მშვიდი ატმოსფერო საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას ასახავდა, განსაკუთრებით ხრუშჩოვის მიერ უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაზე ამერიკის უმწვავესი რეაქციის შემდეგ.

რებული აზროვნების უმთავრესი სიმბოლოს – გარდაცვალება ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული კონფრონტაციის ეპოქის დასასრულის ნიშნად აღიქმებოდა. ბერლინის საკითხზე მორატორიუმმა, რომელიც კემპ დევიდში უმტიკივნეულოდ შეთანხმდა, ამ დაძაბული დავის მხარეებს ამოსუნთქვის დრო მისცა. ნიუ იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას, ხრუშჩოვმა ნამოაყენა ოთხი წლის განმავლობაში საყოველთაო და სრული განიარაღების წინადადება: გამალებული შეიარაღების პრობლემის მიზნიდველი, თუმცა, არარეალური გადანტყვეტილება, რომელსაც კრემლი შემდეგშიც პერიოდულად იმეორებდა. მოსკოვში დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში რუსმა ლიდერმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მუდმივმოქმედი არმიის რაოდენობას ერთი მესამედით შეამცირებდა. ბერლინის ირგვლივ კონფლიქტის პირას მისულმა ორმა ზესახელმწიფომ ურთიერთგაგების დამკვიდრებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

მშვიდობიანი თანაარსებობის დასასრული

უმადლესი დონის კონფერენცია, რომელსაც კემპ დევიდის შემრიგებლური სულისკვეთება დარჩენილი საკითხების სრულ მოგვარებამდე უნდა მიეყვანა, პარიზში 1960 წლის გაზაფხულზე უნდა ჩატარებულყო. 5 მაისს, კონფერენციის დაწყებამდე 11 დღით ადრე, ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა საკუთარ ტერიტორიაზე ჩამოაგდო დიდ სიმაღლეზე მფრინავი ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი U-2 და აღშფოთებული მოითხოვდა განმარტებებს. სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან აღნიშნული თვითმფრინავის სადაზვერვო დანიშნულების უარყოფის თავდაპირველი უხერხული მცდელობის შემდეგ, ეიზენჰაუერმა თავის თავზე აიღო სრული პასუხისმგებლობა მომხდარ ინციდენტზე. პარიზში საბჭოთა ლიდერმა ეიზენჰაუერისგან საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევისათვის ფორმალური ბოდიშის მოხდა, პასუხისმგებელი პირების დასჯა და მომავალში იმავეს გამეორებისგან თავის შეკავების პირობა მოითხოვა. რამდენადაც სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება მალე ორბიტაზე განლაგებულ სატელიტებს უნდა დაენყოთ, შეერთებული შტატებისათვის საბჭოთა კავშირის ბოლო მოთხოვნის შესრულება რთული საქმე არ იყო. მეორე მხრივ, მოახლოებული არჩევნებისა და საერთაშორისო პრესტიჟიდან გამომდინარე, ამერიკის პრეზიდენტს რუსი ლიდერისათვის ბოდიშის მოხდა არ შეეძლო და, კიდევ, ნაკლებად შესაძლებელი იყო იმ ქვეშევრდომთა დასჯა, რომლებიც, უბრალოდ, ბრძანებას ასრულებდნენ. ამან კი ხრუშჩოვის მისთვის სასურველი საბაბი შეუქმნა, რათა, დროზე ადრე, 16 მაისს დაეტოვებინა პარიზის კონფერენცია და ეიზენჰაუერის საბჭოთა კავშირში მიწვევაც გაეუქმებინა.

როგორც ჩანს, ხრუშჩოვმა პარიზის კონფერენციის საბოტაჟისთვის U-2-ის ინციდენტის გამოყენება იმიტომ გადაწყვიტა, რომ თავად იმყოფებოდა დიდი ზენოლის ქვეშ საბჭოთა კომუნისტური პარტიის შიგნით არსებული ძალების მხრიდან, რომელთაც ხრუშჩოვის მიერ 1950-იანი წლების ბოლოს წამოწყებული დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკის შეცვლა სურდათ. მკაცრი პოლიტიკის მომხრე პოლიტიკოსებს ნევრები ნინალმდეგობას უწევდნენ, ზოგადად, გერმანიის, კერძოდ კი, ბერლინის პრობლემის მოლაპარაკებით მოგვარებას იმის შიშით, რომ ასეთი დათმობები ძირს გამოუთხრიდა რუსეთის ჰეგემონურ პოზიციას აღმოსავლეთ ევროპაში, მით უმეტეს, რომ ეს პოზიცია უკვე შერყეული იყო ვარშავასა და ბუდაპეშტში განვითარებული მოვლენების გამო. იმავდროულად, ჩინეთის კომუნისტური რეჟიმი ღიად გამოხატავდა უკმაყოფილებას მსოფლიო პოლიტიკაში ხრუშჩოვის შემრიგებლური პოზიციის გამო. პეკინის მაოისტი ხელმძღვანელების თვალსაზრისით, ევროპაში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის დაახლოების პროცესი მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ პრინციპებს არღვევდა; საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აღმოსავლური განშტოება კი ამ

პრინციპებისადმი ყველაზე ერთგულ გამტარებლად ქცეულიყო. მსოფლიო კომუნიზმისათვის დაულაღავი ბრძოლის ნაცვლად, ხრუშჩოვმა, განიარაღების შესახებ უმაღლესი დონის შეხვედრების გზით, მტერთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა წამოიწყო. მსოფლიო კომუნიზმის მესიანისტური მიზნებისგან გადახვევის გასაწონასწორებლად, კემპ დევიდის მოლაპარაკებების შემდეგ ჩინეთმა განაცხადა, რომ მასზე არ გავრცელდებოდა მსოფლიო დაძაბულობის განსამუხტად ორ ზესახელმწიფოსა და მის პარტნიორებს შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმებები. ამ იდეოლოგიურ დავას ამწვავებდა პეკინის უქმყოფილება იმის გამო, რომ მოსკოვმა საკმარისი მონდომებით არ დაუჭირა მხარი ჩინეთის პოზიციას სხვადასხვა კრიტიკულ საკითხზე. მათ შორის იყო ჩინეთის სასაზღვრო დავა ინდოეთთან (ქვეყანა, რომელთანაც რუსეთს არაჩვეულებრივი ურთიერთობები ჰქონდა), ჩინეთის კამპანია, მიმართული ჩინელი ნაციონალისტების თავშესაფრის – ტაივანის (რომელიც შეერთებული შტატების სამხედრო პროტექციის ქვეშ იყო) – სამხედრო ძალით დაბრუნების შესახებ და ჩინეთის მიერ ბირთვული იარაღის წარმოების შესაძლებლობა (1957 წლის ოქტომბერში რუსები ჩინეთს ბირთვული იარაღის პროტოტიპს შეჰპირდნენ, მაგრამ ეს პირობა 1959 წელს ხრუშჩოვმა უკან წაიღო). აქ უკვე ეყრებოდა საფუძველი მოგვიანებით მომხდარ ე.წ. „ჩინეთ-საბჭოთა განხეთქილებას“, რამაც კომუნისტურ ბლოკს მონოლითური სახე შეუცვალა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის მმართველ ელიტაში ხრუშჩოვის პოლიტიკისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ და ჩინელების მუქარამ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდნენ საბჭოთა კავშირის წამყვან როლს კომუნისტურ ბლოკში, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დაპირისპირების შერბილებისაკენ მიმართული ხრუშჩოვის მცდელობების გამო, რუსეთის ლიდერის პოზიცია პარიზის უმაღლესი დონის კონფერენციის წინ მნიშვნელოვნად შეასუსტა. U-2-ის ინციდენტი ხელს აძლევდა მოსკოვსა და პეკინში იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ ხრუშჩოვის იძულებას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა შეენწყვიტა. ასეა თუ ისე, პარიზის შეხვედრის ნაადრევი დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში, ადამიანი, რომელიც ამერიკაში ვიზიტისას, ფაქტობრივად, აცხადებდა, რომ ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა, დაიმუქრა, რომ ცალკე სამშვიდობო ხელშეკრულებას გააფორმებდა აღმოსავლეთ გერმანიასთან; გააფრთხილა ევროპის სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზები იყო განლაგებული, რომ ისინი ბირთვული განადგურების გზას ადგნენ და, შემდეგ პეკინში გაემართა, რომ საბჭოთა პოლიტიკის ჩინელი კრიტიკოსები დაეწყნარებინა.

ხრუშჩოვის კვლავ აღორძინებული აგრესიული პოლიტიკა ვიზენჰაუერის პრეზიდენტობის ბოლომდე აღარ შეცვლილა. ხრუშჩოვი თითქოს ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა ხელსაყრელი შემთხვევა და დაპირისპირებოდა

დასავლეთის ქვეყნებს, რითაც ის საკუთარ კრიტიკოსებს აჩუმებდა როგორც შინ, ასევე ჩინეთშიც. ამასთანავე, ხრუშჩოვს სურდა ამერიკის ახალი პრეზიდენტი რთული საგარეო პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დაეყენებინა მისი ინაუგურაციის დღიდანვე. საბჭოთა კავშირმა მესამე სამყაროს არასტაბილური მდგომარეობიდან სარგებლის მიღების ცდუნებას კიდევ ერთხელ ვერ გაუძლო. ლაოსში – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამეფოში, რომელიც ფორმალურად საფრანგეთის ინდოჩინური იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა – საბჭოთა კავშირმა პროკომუნისტურ პარტიზანულ მოძრაობას დიდი ოდენობით სამხედრო მარაგი გაუგზავნა. ეს პარტიზანული ძალები შეერთებული შტატების მიერ განვრთნილ და აღჭურვილ მემარჯვენე მთავრობას უპირისპირდებოდნენ. საბჭოთა ლიდერმა გარისკა და რუსული გავლენის გავრცელება აფრიკის კონტინენტის ცენტრში საჰარის სამხრეთ რეგიონშიც კი შეძლო, რომლის დიდი ნაწილი ევროპული კოლონიური სახელმწიფოებისგან ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში იმყოფებოდა. როდესაც 1960 წლის ზაფხულში, ყოფილი ბელგიური კონგოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, კრემლმა პროვოკაციულად მიანიშნა კონგოს ცენტრალური მთავრობის სახელით საბჭოთა კავშირის ინტერვენციის შესაძლებლობის შესახებ სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ბუნებრივი მინერალებით მდიდარ კატანგას პროვინციაში იმყოფებოდა და რომელსაც ბელგიის სპილენძისა და კობალტის ინტერესგუფები უმაგრებდნენ ზურგს. როდესაც მთავრობის თხოვნით და გაეროს ეგიდით კონგოში საერთაშორისო საპოლიციო ძალები შევიდნენ წესრიგის დასამყარებლად და ბელგიის მოქალაქეების დასაცავად, ქვეყანაში შესული ბელგიური ჯარების გაყვანაზე ზედამხედველობის მიზნით, მოსკოვმა გაეროს გენერალურ მდივანს დაგჰამარშელდს პატრის ლუმუმბას მემარცხენე რეჟიმის წინააღმდეგ მიკერძოებულობაში დასდო ბრალი. ხრუშჩოვმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა კონგოელ ლიდერს სამხედრო აღჭურვილობა, ტექნიკური პერსონალი, მრჩეველები და თან „მოხალისეების“ გაგზავნითაც დაიმუქრა, რაც ევრაზიის გარეთ პირველი საბჭოთა დასაყრდენის შექმნის მცდელობა იყო. ლუმუმბას რეჟიმის დაცემამ და მისი მემკვიდრის მიერ საბჭოთა პერსონალის ქვეყნიდან გაძევებამ, ხრუშჩოვის პოლიტიკას აფრიკაში დამამცირებელი დარტყმა მიაყენა. ამის საპასუხოდ მან კიდევ ერთხელ მკაცრი იერიში მიიტანა გაეროში დასავლეთის ბლოკის მაკონტროლებელი მდგომარეობის წინააღმდეგ, წამოაყენა ჰამარშელდის გადაყენებისა და გენერალური მდივნის პოსტის ტროიკით შეცვლის წინადადება, რომელშიც დასავლეთის, კომუნისტური და მიუმხრობელი სახელმწიფოების წარმომადგენლები შევიდოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადებებს შედეგები არ მოჰყოლია, ხრუშჩოვის მიერ ფეხსაცმლის ფრიალი გაეროს გენერალური ასამბლეის

შეხვედრაზე 1960 წლის ოქტომბერში, მიმდინარე დეკოლონიზაციის პროცესის რევოლუციური შედეგებით მისი აღფრთოვანების მანიშნებელი იყო. 1960 წლისათვის, გაეროს წევრების რაოდენობა სამხრეთ ნახევარსფეროში ევროპის კოლონიური იმპერიების ნანგრევებიდან ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნის შედეგად, ორჯერ გაიზარდა. დასავლეთის თეთრკანიანთა სახელმწიფოების ხელში მყოფი ექსკლუზიური კლუბიდან, ეს მსოფლიო ორგანიზაცია, თანდათან, აფრიკისა და აზიის ახალი სუვერენული პოლიტიკური ერთეულების ფორუმად გარდაიქმნა. კომუნისტური ბლოკის ქვეყნებთან ერთად, ევროპული იმპერიალიზმის ეს ყოფილი ობიექტები გაეროს გენერალურ ასამბლეაში მყარ უმრავლესობას იძენდნენ, რაც შეიძლებოდა შეერთებულ შტატებთან და მის მოკავშირეებთან დიპლომატიურ პაექრობაში სასარგებლო იარაღი გამხდარიყო.


ბერლინის ბოლო კრიზისი

მიუხედავად იმისა, რომ პოსტკოლონიური განვითარებადი სამყარო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების კონკურენციის ახალ არენად იქცა, ცივი ომის ცენტრად მაინც ევროპა რჩებოდა, ხოლო ევროპის ცენტრად – გერმანია, გერმანიის ცენტრად კი – ბერლინი. შესაბამისად, სწორედ ამ მუდმივად ცხელ წერტილში სურდა ხრუშჩოვს დაებრუნებინა საგარეო პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში საბჭოთა დასაყრდენის ძიებისა და გაეროს რეორგანიზაციის წარუმატებელი მცდელობებისას დაკარგა. საბჭოთა ხელისუფლებაში არსებული უკმაყოფილებისა და პეკინის მხრიდან უკიდურესად მძიმე ბრალდებების ფონზე, ხრუშჩოვს, საკუთარ ქვეყანასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შესუსტებული პოზიციის გასამაგრებლად, საგარეო პოლიტიკის სფეროში გამარჯვება ესაჭიროებოდა. ბერლინის გზით აღმოსავლეთ გერმანიიდან პროფესიონალი მუშახელის გადინება მანამ გაგრძელდებოდა, სანამ ქალაქის დასავლეთ ნაწილს დასავლელი სახელმწიფოები აკონტროლებდნენ. ჯ.ფ. კენედის ახალი, გამოუცდელი ადმინისტრაციის პირობებში, ხრუშჩოვმა, მოსკოვის მიერ დასმული პირობებით, ბერლინის საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა განიზარაბა. მან ისარგებლა ვენაში 1961 წლის ივნისში დაგეგმილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის კონფერენციით – რომელიც ორი ქვეყნის ლიდერებს შორის პირისპირ მეოთხე შეხვედრა იყო ცივი ომის დაწყების შემდეგ – და ამერიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელს, უკიდურესი მუქარის ფორმით, კიდევ ერთი ულტიმატუმი წაუყენა, რომლითაც გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას, საოკუპაციო რეჟიმის დასრულებას და დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გამოცხადებას ითხოვდა. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, მან ულტიმატუმის ამონურვის ვადად წლის ბოლო განსაზღვრა და სამხედრო ხარჯების სამჯერ

გაზრდაც გამოაცხადა, რათა ხაზი გაესვა ბერლინიდან მოკავშირეების გარნიზონების გაყვანის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილების სიმტკიცისათვის. კენედიმ კი კვლავ გაიმეორა შეერთებული შტატების პირობა, რომ დაიცავდა დასავლეთ ბერლინს, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენების გზითაც და თავდაცვის ბიუჯეტზე სამი მილიარდი დოლარის დამატებით და სამხედრო სამსახურში განვეულთა რაოდენობის სამჯერ გაზრდა გამოაცხადა. 1961 წლის დაძაბული ზაფხულის შემდეგ, კრემლმა განაცხადა, რომ განაგრძობდა ბირთვულ გამოცდებს, რომლებიც 1958 წლის შემოდგომიდან საბჭოთა კავშირს, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის მიღწეული შეთანხმებით იყო შეწყვეტილი. შემოდგომაზე განხორციელებული საბჭოთა ბირთვული იარაღის არაერთი გამოცდა 50-მეგატონიანი მონუობილობის აფეთქებით დაგვირგვინდა, რაც სამი ათას ხუთასჯერ აღემატებოდა ხიროსიმაში აფეთქებული ბომბის სიმძლავრეს. ამერიკელი მენარმეები ხალხს, შესაძლო ბირთვული დასხივებისაგან თავდასაცავად, რაშიც ეჭვი აღარავის ეპარებოდა, ცალკეულ ოჯახზე გათვლილი მცირე ზომის თავშესაფრების აშენებისაკენ მოუწოდებდნენ. ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებმა კი ბირთვული იარაღის გამოცდები განაახლეს, რათა ამ იარაღით გამაღებულ შეჯიბრებაში უკან არ ჩამორჩენილიყვნენ.

ამასობაში, საბჭოელებმა და მათმა აღმოსავლეთგერმანელმა კლიენტებმა, ბირთვული კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად, ბერლინის პრობლემიდან დროებითი გამოსავალი გამონახეს. 13 აგვისტოს, დილას, აღმოსავლეთ გერმანიის პოლიციამ ჩაკეტა საზღვარი, რომელიც ქალაქის ორ სექტორს ჰყოფდა, ხოლო, სამი დღის შემდეგ ბეტონისა და მავთულხლართიანი კედლის აშენება დაიწყო, რომელიც შეუძლებელს ხდიდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის მოძრაობას, გარდა კარგად გაკონტროლებული რამდენიმე გამშვები პუნქტისა. ქალაქის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გადაადგილების აღკვეთის ამ მეტად წარმოსახვით მეთოდს დასავლეთმა მკაცრი დიპლომატიური პროტესტითა და ქალაქის დასავლეთ ნაწილში მოკავშირეთა გარნიზონების სიმბოლური გაძლიერებით უპასუხა. არავის უცდია კედლის აღება, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის საპატიმროს მსგავსი სტატუსის გამომხატველ უხერხულ სიმბოლოს წარმოადგენდა, ულბრიხტისთვის ინტელექტუალური ემიგრაციის პრობლემა გადაწყვიტა: მაშინ, როდესაც, 1961 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, აღმოსავლეთ გერმანიიდან, ბერლინის გავლით, 103 000 გერმანელი გაიქცა, კედლის აღმართვის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ათასმა შეძლო ახალი საზღვრის გადაკვეთა.

ამ იმპროვიზებულმა გამოსავალმა, რომელიც გაყოფილი ბერლინის პრობლემის მოგვარებას ემსახურებოდა, თავის მიზანს მიაღწია. 17 ოქტომბერს, როდესაც უკვე ნათელი გახდა, რომ დასავლელი მოკავშირეები ბერლინის



ბერლინი ცივი ომის დროს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის

კედელს, როგორც დასრულებულ ფაქტს, საბოლოოდ შეეგუვნენ, ხრუშჩოვმა კვლავ გააუქმა გერმანიისა და ბერლინის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებული ულტიმატუმის ვადა: რუსეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ მოკავშირეების სამხედრო ძალებს დასავლეთ სექტორში დაბრკოლებების გარეშე დარჩენისა და აღმოსავლეთ გერმანიის მაგისტრალური გზით, ფედერალური რესპუბლიკის მიმართულებით მოძრაობის ნება დართო. 1964 წელს საბჭოთა კავშირმა ცალკე შეთანხმება დადო აღმოსავლეთ გერმანიასთან და მისი სუვერენიტეტი ისე აღიარა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია დასავლეთ ბერლინის სპეციალური სტატუსი და იქ დასავლელი მოკავშირეების სამხედრო ძალების არსებობა. ამის შემდეგ გერმანიისა და ბერლინის ანომალიურ მდგომარეობას ორ ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობებში სერიოზული პრობლემა აღარ შეუქმნია. ბირთვული კონფრონტაციის თავიდან აცილების ინტერესიდან გამომდინარე, ვაშინგტონი და მოსკოვი გერმანიისა და მისი ყოფილი დედაქალაქის სამუდამო გაყოფას შეეგუვნენ.

თუმცა, ბერლინის პრობლემასთან დაკავშირებით მიღწეული ეს გამოსავალი შორს იყო საგარეო პოლიტიკის იმ თვალისმომჭრელი წარმატებისგან, რომელიც ხრუშჩოვს კომუნისტურ ბლოკში მის ირგვლივ შექმნილი მითქმა-მოთქმის გადასაფარად სჭირდებოდა. აღმოსავლეთ გერმანიის ემიგრაციის პრობლემის მოგვარების მიუხედავად, ამერიკელებმა მტკიცე პოზიცია დაიკავეს დასავლეთ ბერლინის საკითხზე, რაშიც მათ ზურგს ნატო-ს წევრი მოკავშირეები (მათ შორის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მომხრე საფრანგეთის ხელისუფლება შარლ დე გოლის ხელმძღვანელობით) უმაგრებდნენ. კრემლის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის განახლება, შესაძლოა, ორ მიზანს ისახავდა: კომპენსირებას და დაშინებას. ეს ნაბიჯი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის, სტრატეგიულად აშკარად ჩამორჩენილ და დაუცველ, მდგომარეობას შეერთებულ შტატებთან მიმართებაში (რაც U-2 მზვერავი თვითმფრინავების მიერ რუსეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ინფორმაციით გამჟღავნდა და, ბოლოს, საბჭოელების მიერ მცირე რაოდენობის ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების წარმოების შესახებ პენტაგონის მიერ გაკეთებული განცხადებებით დადასტურდა). ხრუშჩოვის ამ ნაბიჯის კიდევ ერთი მიზანი სულ უფრო და უფრო მტკიცე და შეუვალი კენედისა და თანდათან უფრო ქედუხრელი მათ ძედუნის დაშინება იყო. 1961 წლის შემოდგომაზე ბირთვული იარაღის გამოცდის განახლებამ ბოლო მოუღო სტრატეგიულ იარაღზე კონტროლის დამყარების იმედს, რომელიც, თავდაპირველად, 1958 წლამდე არსებულმა მორატორიუმმა გააჩინა და რომელსაც შემდეგ ატომური განიარაღების შესახებ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებები ამაგრებდა. ამრიგად, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირებების საყოველთაო მოგვარებისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად ქვეყნის ნაცვლად, ბერლინის კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა საერთაშორისო ურთიერთობები და საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ბირთვული იარაღის წარმოებაში შეჯიბრს მისცა ბიძგი.

სწორედ სტრატეგიული დაპირისპირების ამ კონტექსტში მიიჩნია საჭიროდ ხრუშჩოვმა გადაედგა მისი ყველაზე დაუფიქრებელი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი, რომელმაც ორი ზესახელმწიფო ბირთვული კონფლიქტის პირას მიიყვანა, რასაც, შესაძლოა, ორი დაპირისპირებული ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის განადგურება მოჰყოლოდა. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ პარადოქსად რჩება ის, რომ საბჭოთა-ამერიკული დაპირისპირების იმ ეპიზოდს, რომელმაც ცივი ომი კინალამ ბირთვულ არმაგედონად გადააქცია, – რასაც სამყაროს დასასრულის მომლოდინე წინასწარმეტყველები ბირთვული იარაღის გამოჩენისთანავე ვარაუდობდნენ – ადგილი ჰქონდა არა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების ეპიცენტრში – ევროპასა თუ შორეულ აღმოსავლეთში, – არამედ რეგიონში, რომელიც შორს იყო საბჭოთა გავლენის სფეროდან, შეერთებულ შტატებთან გეოგრაფიული სიახლოვისა და ისტორიული კავშირის გამო.

ინტერამერიკული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება

შეერთებული შტატების როლს ლათინური ამერიკის ოც დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან მიმართებაში, მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან სამოციანი წლების დასაწყისამდე, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს დომინირება. მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შემდგომმა პერიოდმა დაადასტურა შეერთებული შტატების, როგორც ეკონომიკური ძალის, პირველობა დასავლეთ ნახევარსფეროში. ევროპის სავაჭრო და ფინანსურ ინტერესებს ლათინურ ამერიკაში მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა ჯერ დიდი ოდენობის ადამიანური და მატერიალური რესურსები დაკარგეს, ხოლო, 1945 წლის შემდეგ, თითოეული მათგანი განადგურებული ეკონომიკის აღორძინების ძნელ გზას დაადგა. ამასობაში, როგორც ვნახეთ, ლათინური ამერიკის უმეტესი ქვეყნების ეკონომიკური სისტემები მჭიდროდ გადაჯაჭვა შეერთებული შტატების მზარდ ეკონომიკას, მაშინ როცა ეს ქვეყანა გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ გლობალურ ომში ჩაერთო. შეერთებული შტატების სამხედრო ძალაუფლება ღრმად შეიჭრა სამხრეთის ქვეყნებში, ღერძის სახელმწიფოების მხრიდან შესაძლო აგრესიისაგან მათი დაცვის მიზნით. ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის მთავრობები შიშობდნენ, რომ შეერთებული შტატების ახალ გლობალურ ვალდებულებებსა და მსოფლიო უსაფრთხოებისა და მშვიდობის დასაცავად შექმნილ ახალ საერთაშორისო ორგანიზაციაში მის წამყვან როლს შეეძლო ომის დროს ჩამოყალიბებული ინტერამერიკული უსაფრთხოების რეგიონული სისტემის შიგნით სოლიდარობისა და ამ სისტემის შესუსტება გამოეწვია. ამ ლათინური ქვეყნების დაშოშმინების მიზნით, 1945 წლის გაზაფხულზე გაეროს დამფუძნებელ კონფერენციაზე შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა გაეროს ქარტიაში ჩადეს დებულება, რომელიც შესაძლებელს ხდიდა რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაციების შექმნას გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობისგან დამოუკიდებელი აღსრულების უფლებამოსილებით.

ევროპაში ცივი ომის დაწყების შემდეგ, შეერთებული შტატები და მისი ლათინურამერიკელი კლიენტის სახელმწიფოები ომის დროს შეთანხმებული არაფორმალური რეგიონული უსაფრთხოების მექანიზმებისთვის კონკრეტული ფორმის მინიჭებას შეუდგნენ. „ურთიერთდახმარების ინტერამერიკულმა ხელშეკრულებამ“, რომელსაც 1947 წლის სექტემბერში რიო დე ჟანეიროში ხელი მოეწერა და რომლის რატიფიცირება ამერიკის ოცდაერთმა სახელმწიფომ მოახდინა, როგორც ნახევარსფეროს ფარგლებს გარედან, ასევე მის შიგნიდან მომავალი აგრესიის წინააღმდეგ მიმართული მუდმივი თავდაცვითი ალიანსი დააარსა. 1948 წლის გაზაფხულზე ამერიკის რესპუბლიკებმა სუსტიად ორგანიზებული პანამერიკული კავშირი ამერიკის სახელ-

მნიშვნელობის ორგანიზაციად გარდაქმნეს და სამხედრო აღიანსს ფორმალური პოლიტიკური სტრუქტურა შეუქმნეს. მოულოდნელად, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სამშვიდობო მექანიზმი ეფექტური აღმოჩნდა მის წევრ ქვეყნებს შორის განვითარებული რამდენიმე დავის მოგვარებისას, მაგალითად, 1949, 1955 და 1959 წლებში ნიკარაგუასა და კოსტა რიკას ან 1957 წელს ნიკარაგუასა და ჰონდურასს შორის მოხდარი დაპირისპირებისას.

თუმცა, თუ ლათინური ამერიკის, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ინტერამერიკულ სისტემას რეგიონული უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების მრავალმხრივ მექანიზმად მიიჩნევდნენ, შეერთებული შტატებისათვის ამ სისტემას უფრო ვიწრო და კონკრეტული დატვირთვა ჰქონდა, განსაკუთრებით, კორეის ომის დანებების შემდეგ და, შესაბამისად, მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელების საფრთხის გამო. ვაშინგტონის თვალთახედვით, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და რიოს პაქტის სტრუქტურას იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც შეერთებული შტატების მხარდაჭერილ რეგიონული უსაფრთხოების სხვა სისტემებს: კერძოდ, არაკომინისტური სამყაროს დაცვა საბჭოთა ბლოკის ექსპანსიონისტური ამბიციებისგან.

შეერთებული შტატების ახალი უნილატერალიზმი დასავლეთ ნახევარსფეროში

როგორც ვიხილეთ, ომით განადგურებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური ამბოხებების საფრთხეს შეერთებული შტატების მხრიდან დიდი ოდენობის დახმარების გამოყოფა მოჰყვა, რათა მოგვარებულები ის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, რომელიც კომუნიზმის გავრცელებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. ლათინურ ამერიკაში ასეთი პრობლემების გრძელვადიანი ხასიათის, დასავლეთ ევროპასთან შედარებით, ამ პრობლემების გაცილებით უფრო დიდი მასშტაბებისა და, ასევე, ლათინური ამერიკის ქვეყნების მხრიდან ამ პრობლემების მოსაგვარებლად ეკონომიკური დახმარების არაერთი თხოვნის მიუხედავად, მარშალის გეგმის მსგავსი მექანიზმი დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებისათვის ომის შემდგომ არ შემუშავებულა. სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა 1947 წლის რიოს კონფერენციაზე ლათინური ამერიკის ქვეყნებს აღუთქვა, რომ მათი განვითარების დახმარებას სერიოზული ყურადღება მიექცეოდა. მიუხედავად ამისა, ამ შეპირებას შემდგომ წლებში, ინტერამერიკული ეკონომიკური მდგომარეობის განხილვებისას, კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. ლათინური ამერიკის ქვეყნები ცდილობდნენ მიეღოთ შეერთებული შტატების მთავრობისგან ევროპის აღორძინების პროგრამის მსგავსი დახმარება, თუმცა, ვაშინგტონს მიაჩნდა, რომ ნებისმიერი მომავალი დახმარება ლათინური ამერიკის განვითარებისათვის კერძო წყაროებიდან უნდა დაფინანსებულიყო.

ლათინური ამერიკის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რასაც თან ერთვის და, ერთი მხრივ, მცირერიცხოვანი მინათმფლობელი და სავაჭრო ელიტისა და, მეორე მხრივ, უმინოდ დარჩენილი, ლატაკი გლეხობის თანაარსებობა, სოციალური არასტაბილურობისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა იყო. ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, დაბალი ფენების ინტერესების გამომხატველ რეფორმისტულ პოლიტიკურ მოძრაობებსა და სოციალურ-ეკონომიკური ოლიგარქიის დამცველებს შორის, მწვავე კონფლიქტები განვითარდა. რეგიონში ამერიკის ეკონომიკური აქტიურობის გამო, შეერთებული შტატების მთავრობა ამ პოლიტიკურ ბრძოლებს დიდ ყურადღებას აქცევდა.

სწორედ ასე განვითარდა მოვლენები გვატემალის ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკაში, სადაც, გენერალ ხორხე უბიკოს ცამეტწლიანი დიქტატურის დამხობის შემდეგ, ქვეყნის პრეზიდენტად, ყოვლისმომცველი სოციალური რეფორმების პროგრამის წყალობით, უნივერსიტეტის პროფესორი ხუან არეველო აირჩიეს. 1945 წლიდან 1951 წლამდე, არეველო ღარიბებსა და მდიდრებს შორის არსებული უზარმაზარი სხვაობის შემცირებასა და ინდიელთა მრავალრიცხოვანი მოსახლეობის საგანმანათლებლო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას მთავრობის მიერ დაფინანსებული რეფორმების საშუალებით შეეცადა, რასაც მინათმფლობელებისა და უცხოელი ინვესტორების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. 1951 წლის მარტში არეველო მმართველი პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა, ოცდაჩვიდმეტი წლის პოლკოვნიკმა ხაკობო არბენს გაუსმანმა შეცვალა. გვატემალის პარლამენტში აგრარული რეფორმების ფართომასშტაბიანი პროგრამის გატანის შემდეგ, არბენსმა 225 000 აკრი დაუმუშავებელი მიწის ექსპროპრიაცია გამოაცხადა, რომელიც ამერიკული ბანანის კონცერნს „ხილის გაერთიანებულ კომპანია“ (United Fruit Company) ეკუთვნოდა, მისი გლეხებისათვის დარიგების მიზნით. United Fruit Company-მ დახმარებისთვის საკუთარი ქვეყნის მთავრობას მიმართა. ეიზენჰაუერის ახალი ადმინისტრაცია კი შეშფოთებით ადევნებდა თვალს ამერიკელი ელჩის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც არბენსის მთავრობაში კომუნისტების მზარდ გავლენას ავისმომასწავებელი რიტორიკით აღწერდა.

1954 წლის ბოლოს United Fruit Company-სა და ამერიკის ცენტრალური სადარზვერვო სააგენტოს წარმომადგენლები დაუკავშირდნენ გვატემალელ მემარჯვენე ემიგრანტებს ნიკარაგუასა და ჰონდურასში და მათ არბენსის დამხობის გეგმა გააცნეს, ამერიკის მთავრობამ კი, იმავდროულად, ჰონდურასს იარაღზე ბოიკოტი გამოუცხადა. როდესაც გაირკვა, რომ გვატემალის ლიდერმა ბოიკოტისთვის გვერდის ავლისთვის ჩეხოსლოვაკიისგან 2 000 ტონა მსუბუქი იარაღის შემოსატანად კონტრაქტი გააფორმა, ვაშინგტონს გაუჩნდა საბაზი, რომელიც მას მისსავე მეზობლად, კომუნისტური გავლენის გავრცელების შეჩერებისთვის, ზომების მისაღებად სჭირდებოდა. ივნისში,

ამერიკელების მხარდაჭერით, გვატემალელი ემიგრანტები, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის პილოტების მიერ მართული საჰაერო დაცვის თანხლებით, ქვეყანაში შევიდნენ და გადატრიალების გზით არბენსის ხელისუფლება დაამხეს. ახალმა სამხედრო ხუნტამ, რომელმაც ხელისუფლება გადაიბარა, დაუყოვნებლივ შეაჩერა მისი წინამორბედის დაწყებული მინის რეფორმების უმეტესი ნაწილი და მემარცხენე ორგანიზაციების წინააღმდეგ რეპრესიების კამპანია გააჩაღა.

გვატემალაში შეერთებული შტატების ცალმხრივი ინტერვენცია ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის არაფორმალური თანხმობით განხორციელდა. 1954 წლის მარტში, კარაკასის კონფერენციაზე, ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია, რომლითაც დაგმო რომელიმე წევრ სახელმწიფოში „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის“ მიერ გავლენის მოპოვება, როგორც მათი „სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საფრთხე“. პანამერიკანიზმის კონცეფციაში ანტიკომუნისტური ელემენტის დამატებას წინააღმდეგობას არა მხოლოდ სამოქალაქო მთავრობებით მართულ სახელმწიფოთა უმეტესობა უწევდა, არამედ რამდენიმე სამხედრო დიქტატურამაც კი გადანყვებილება ამერიკის ეკონომიკური სანქციების მუქარის ქვეშ მიიღო. შეერთებული შტატების ინტერვენცია ლათინურ ამერიკაში, მიუხედავად ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ქარტიით აღიარებული ჩაურევლობის პრინციპისა, ამ რესპუბლიკებისათვის შესწოთების უფრო სერიოზულ წყაროდ რჩებოდა, ვიდრე კომუნისტური გადატრიალებების შორეული საფრთხე. შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში ცხადყოფდა, რომ ჩაურევლობის პრინციპი, რომლისთვისაც ლათინური ამერიკის მთავრობები ამდენ ხანს ასე მონდომებით იბრძოდნენ, ცივი ომის ერთ-ერთი მსხვერპლი გამხდარიყო.

ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში შეერთებული შტატების ცალმხრივი, თუმცა, ფარული ჩარევის პოლიტიკის განახლება – არბენსის მთავრობის დამხობით სიმბოლურად გამოხატულმა – რეგიონის ნაციონალისტურ ჯგუფებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გვატემალაში განვითარებულ მოვლენებში United Fruit Company-ს წამყვანი როლი ხელს აძლევდა მემარცხენე აგიტატორებს, რომლებიც ლათინური ამერიკის ქრონიკულ ეკონომიკურ პრობლემებს ამ ქვეყანაში შეერთებული შტატების კორპორატიული ინტერესების დამლუპველ გავლენას მიაწერდნენ. შეერთებული შტატებით ლათინური ამერიკის ქვეყნების უკმაყოფილების მასშტაბი განსაკუთრებით აშკარა შეიქნა ვიცეპრეზიდენტ ნიქსონის რეგიონში ვიზიტისას, 1958 წლის მაისში. გაოგნებული ვიცეპრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები ყოველი გაჩერებისას მტრულად განწყობილ დემონსტრაციებს აწყდებოდნენ. კარაკასში მის ესკორტს კინალამ თავს დაესხა განრისხებული, ქვებით შეიარაღებული მასა შეძახილებით: „იანკი, ნადი სახლში!“.



ვენესუელაში ალყაში მოქცეული ნიქსონის ესკორტი: გაბრაზებული დემონსტრანტები ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში თავს ესხმიან ლიმუზინს, რომლითაც მგზავრობს ვიცეპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, 1958 წელს ლათინური ამერიკის რვა ქვეყანაში მისი „კეთილი ნების ვიზიტის“ ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ნიქსონი უვნებელი გადარჩა, ინციდენტი რეგიონში გავრცელებულ ანტიამერიკულ განწყობებს ასახავდა, რაც, ოთხი წლით ადრე, შეერთებული შტატების მხარდაჭერით გვატემალის მემარცხენე არჩეული მთავრობის დამხობას მოჰყვა. ერთ-ერთი პროტესტანტის პლაკატზე ვკითხულობთ: „ნიქსონ – შენი მთავრობა პასუხისმგებელია გვატემალის ტრაგედიაზე“.

ნიქსონის ვიზიტის მიერ შექმნილმა უხერხულობამ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში განგაშის განცდაც გააჩინა იმ წყენის გამო, რომელიც ლათინური ამერიკის მასებს შეერთებული შტატების წინააღმდეგ დაგროვებოდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, ბრაზილიის პრეზიდენტი ჟუსელინო კუბიჩეკის შემოქმედებითა წინადადებას დასაველეთ ნახევარსფეროს ეკონომიკური განვითარების ერთობლივი პროგრამის შესახებ, რეგიონში ანტიამერიკული განწყობებით შემფოთებული შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება მიიპყრო. ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის ბოლო წელს შეერთებული შტატების ეკონომიკური პოლიტიკა ლათინური ამერიკის მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა. ვაშინგტონი ბოლოსდაბოლოს დათანხმდა მთავრობის მიერ დაფინანსებული რეგიონული ფინანსური სააგენტოს დაარსებას, რაც ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყნის დიდი ხნის მიზანი იყო. 1960 წლის ოქტომბერში შეიქმნა ინტერამერიკული განვითარების ბანკი, რომლის მიზანი ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის განვითარების სფეროში სესხების

გაცემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ვერ აკმაყოფილებდა რეგიონის უზარმაზარ ფინანსურ მოთხოვნილებებს, ინტერამერიკული განვითარების ბანკი ვაშინგტონის მიერ ძველი პოლიტიკის შეცვლის მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენდა, რომლის თანახმად, ლათინური ამერიკისათვის სესხები მხოლოდ კერძო სექტორს უნდა გაეცა.

კენედის ადმინისტრაცია კიდევ უფრო შორს წავიდა, ვიდრე დასავლეთ ნახევარსფეროს ეკონომიკურ განვითარებაში ეიზენჰაუერის მიერ შეტანილი მოკრძალებული ნვლილი იყო. 1961 წლის 20 იანვარს, საინაუგურაციო გამოსვლისას, შეერთებული შტატების აღმასრულებელმა მეთაურმა, სამხრეთის რესპუბლიკების ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის მიზნით, „ალიანსი პროგრესისათვის“ შექმნის ინიციატივა წამოაყენა. 13 მარტს, ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე გამოსვლისას, კენედიმ რეგიონისათვის შეერთებული შტატების სახელმწიფო დახმარების ამბიციური პროექტების დეტალებზე ისაუბრა. აგვისტოში კი ურუგვაიში, ქ. პუნტა დელ ესტეში გამართულ ინტერამერიკულ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კონფერენციაზე, „ალიანსი პროგრესისათვის“ ფორმალურად დაარსდა. როგორც თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, პროექტი მოიცავდა ორ ელემენტს ორი მთავარი პრობლემის მოსაგვარებლად, რომელთა მიმართაც ლათინური ამერიკის ქვეყნები ორი ათწლეულის განმავლობაში ცდილობდნენ ყურადღების მიქცევას. პირველი, და ყველაზე მნიშვნელოვანი, გულისხმობდა ათი წლის განმავლობაში შეერთებული შტატების მიერ 20 მილიარდი დოლარის დახმარების განეხადებას ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარებისა და მისი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ყოველწლიურად 2.5 პროცენტით გაზრდისათვის; მეორე ელემენტი მოიცავდა შეთანხმებას, რომლის მიზანი სასაქონლო ექსპორტიდან მიღებული ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებების აღკვეთა იყო, რაც ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკას დიდი ხნის განმავლობაში ანადგურებდა.

მოსკოვის მოკავშირე შეერთებული შტატების მეზობლად

ლათინური ამერიკის მიმართ შეერთებული შტატების ეკონომიკური პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა მისი ყველა სამხრეთელი მეზობელი, ერთის გარდა. პარადოქსულად, ეს ის ქვეყანა იყო, რომელიც წლების განმავლობაში ყველაზე მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო კავშირს ინარჩუნებდა დიდ ჩრდილოელ მეზობელთან. 1959 წლის იანვარში ბატისტას ავტოკრატიული რეჟიმი კუბაში – რომლის დამსახურებაც იყო კუბის მორჩილი დამოკიდებულება შეერთებული შტატებისა და ამერიკის შაქრის მწარმოებელი კერძო კომპანიების მიმართ, რომლებიც კუბის ერთადერთ შემოსავლის წყაროს, შაქრის წარმოებას, აკონტროლებდნენ – ლათინურამერიკულად ქარიზმატული ლიდერის, ფიდელ კასტროს ხელ-



საუკეთესო მეგობრები: ნიკიტა ხრუშჩოვი (1894-1971) და ფიდელ კასტრო (1927-) გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე, 1960 წლის სექტემბერში. ასაკში შესული საბჭოთა ლიდერი მოხიბლული იყო ახალგაზრდა დინამიკური რევოლუციონერით, რომელმაც შეერთებული შტატები მისსავე სამეზობლოში მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა. ეიზენჰაუერის მთავრობა უკვე ამზადებდა გეგმას კუბის ახალი ლიდერის დასამხობად, რომელსაც ახალი დასრულებული ჰქონდა ამერიკული კომპანიებისა და ფერმების ნაციონალიზაცია და ცივ ომში აღმოსავლეთის ბლოკის მხარეს გადადიოდა.

მძღვანელობით ორგანიზებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ დაამხო. ჰავანაში მოკალათებულმა კუბის ახალმა ლიდერმა, „ინკების იმპერიალიზმის“ შესახებ გაცხოველებული რიტორიკის ფონზე, ქვეყანაში ამერიკული ეკონომიკური გავლენის ასალაგმად რამდენიმე ღონისძიება გაატარა. 1960 წლის ივნისში მან ამერიკულ შაქრის კომპანიებს მიწის ფართობები ჩამოართვა.

იმავე წლის ოქტომბერში მან კუნძულზე მოქმედი ბანკებისა და დიდი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაცია მოახდინა, რომელთა დიდი ნაწილი ამერიკელებს ეკუთვნოდა. კუბაში ამერიკის ეკონომიკური ინტერესებისათვის მიყენებულ ამ უზარმაზარ დარტყმას შეერთებული შტატების ეტაპობრივი რეაქცია მოჰყვა, რომელიც ეკონომიკური სანქციით დაიწყო. კერძოდ, 6 ივლისს შეერთებულმა შტატებმა 95%-ით შეამცირა კუბიდან შესყიდული შაქრის კვოტა (რომლის ძალითაც, კუბის მთავარი საექსპორტო პროდუქტი – შაქარი – ამერიკის ბაზარზე, მსოფლიო ბაზართან შედარებით, მაღალ ფასად შედიოდა), ხოლო 19 ოქტომბერს ემბარგო დაადო ამერიკულ ექსპორტს კუბაში, მედიკამენტებისა და საკვების გარდა. 1960 წელს, როდესაც შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები მკვეთრად უარესდებოდა, საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს ხელსაყრელი შემთხვევა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა შეერთებული შტატების ჰეგემონიური მდგომარეობა მისსავე ნახევარსფეროში. 1960 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირი დათანხმდა კუბაში ნაწარმოები შაქრის ჯერ მეხუთედი, ხოლო დეკემბრიდან კუბური შაქრის ნახევარი შეესყიდა. საბჭოთა კავშირმა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ კუბის რეჟიმს ასევე 200 მილიონი დოლარის ოდენობის დაბალპროცენტიანი სესხი გამოუყო. წლის ბოლომდე კი კუბას საბჭოთა კავშირიდან უკვე იარაღის ანგარიშგასაწვევი რაოდენობა შეჰქონდა.

1960-1961 წლის ზამთარში პრეზიდენტ ეიზენჰაუერს თეთრი სახლი უნდა დაეტოვებინა, პარალელურად კი ნათელი ხდებოდა, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკური ზენოლა კასტროს რეჟიმზე ნარუმატებლად დასრულდებოდა, რადგან საბჭოთა კავშირი მზად იყო ჩაენაცვლებინა შეერთებული შტატები, როგორც კუბური შაქრის ექსპორტის ძირითადი მომხმარებელი და კრედიტების მთავარი მიმწოდებელი. გარდა ამისა, კუბის ლიდერმა ლიად დაუჭირა მხარი თავისი ახალი ეკონომიკური კეთილისმყოფელების საგარეო პოლიტიკის ზოგად მიზნებს, განსაკუთრებით 1960 წლის 26 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ოთხსაათნახევრიანი გამოსვლისას, რომელიც მან მთლიანად იანკების იმპერიალიზმის დაგმობას დაუთმო. კუბური მხარის მოთხოვნით, კუბაზე ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის მოცულობა თანდათან მცირდებოდა და იმ მინიმალურ დონესაც მიაღწია, რომელსაც 1961 წლის იანვრიდან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა მოჰყვა. მეორე მხრივ, ათასობით საბჭოთა ტექნიკოსი, სამხედრო მრჩეველი და დიპლომატი მოაწყდა კუბას კასტროს რევოლუციური რეჟიმისათვის დახმარების განევის მიზნით. ვაშინგტონში შეფიქრიანებული დამკვირვებლებისთვის ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ პატარა კუნძული, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, სტრატეგიული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, კარბის ზღვაში ფლორიდა კის (Florida Key) გაგრძელებად

მიიჩნეოდა, მალე საბჭოთა კავშირის კლიენტ სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო.

მარცხი ღორების ყურეში

ამ ავისმომასწავებელი პერსპექტივის აღმოსაფხვრელად, ეიზენშაუერის ადმინისტრაციამ თავის მემკვიდრეს კასტროს მთავრობის ძალადობრივად დამხობის გეგმა დაუტოვა. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ზედამხედველობით, კუბელი ლტოლვილებით დაკომპლექტებულმა ემიგრანტების არმიამ, კუნძულის სამხედრო ძალით ალების მიზნით, ფლორიდაში, გვატემალაში და ნიკარაგუაში განლაგებულ საიდუმლო ბანაკებში გაიარა ნვრთნა და შეიარაღდა. სამხედრო ექსპედიციის ორგანიზატორები დარწმუნებული იყვნენ, რომ მხოლოდ ამ ნახევრად სამხედრო, თავისუფლებისათვის მებრძოლი ემიგრანტების დანახვაც საკმარისი იქნებოდა კასტროს რეჟიმის რეპრესიის მსხვერპლი მოსახლეობის მხრიდან შიდააჯანყების მოსაწყობად. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პრეზიდენტი არ იყო დარწმუნებული ოპერაციის წარმატებაში, მან მაინც დართო ნება მისი განხორციელებისათვის. 17



კუბელი მოხალისეები მაიამიზე ფიზიკურ შემონეშებას გადიან, რათა, კასტროს რეჟიმის დამხობის მიზნით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ორგანიზებულ ემიგრანტთა არმიაში ჩაენერონ. 1961 წლის აპრილი: 12 აპრილს, ღორების ყურეზე შეჭრამდე ხუთი დღით ადრე, კენედიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შეჭრას კუბის ტერიტორიაზე ადგილი არ ექნება არცერთ შემთხვევაში. კუბასთან დაკავშირებით ძირითადი პრობლემა არაა შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის, პრობლემა თავად კუბელებს შორის არსებობს“.

მაისს გვატემალაში სანვრთნელი ბანაკებიდან ამერიკული გემებით კუბაზე გადმოსხეს ათას ხუთასი კუბელი ემიგრანტი, რომელთაც სანაპირო პლაცდარში ღორების ყურედ წოდებულ ადგილას განალაგეს. კასტროს წინააღმდეგ ნაგარაუდები ამბოხი არ განხორციელდა და კუნძულზე გადასხმული მთელი არმია ან დაილუპა, ან კასტროს სამხედრო ძალებმა შეიპყრეს.

რაც არ უნდა სამარცხვინო ყოფილიყო ეს მარცხი ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტისათვის, ამ წარუმატებელი ავანტიურის მთავარი შედეგები თავად კუბაზე იგრძნობოდა. კასტრო დარწმუნებული იყო, რომ ღორების ყურეში ჯარის წარუმატებელი გადასხმა, მის დასამხობად ამერიკის კამპანიის მხოლოდ დასაწყისი იყო და, შესაბამისად, სერიოზულად მოითხოვა მოსკოვისგან ის, რისი მოთხოვნისგანაც, მისივე თქმით, თავდაპირველად თავს იკავებდა – შეერთებული შტატებისგან სამხედრო დაცვის პირობა. რამდენადაც კასტროს რეჟიმის დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ამერიკული გეგმის განხორციელება არ შეწყვეტილა, 1962 წლის გაზაფხულზე კრემლში გადანყვიტეს დასთანხმებოდნენ მათი პროტეჟეს თხოვნას, კუნძულის დაცვისათვის საჭირო ჩვეულებრივი იარაღის მიწოდების შესახებ. მალე ხრუშჩოვმა, მცირე და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების დამატებით, კიდევ უფრო გულუხვი გახადა თავისი შეთავაზება, რისი მიზანიც, ამერიკის ტერიტორიაზე განვრთნილი კუბელი ემიგრანტი კომანდოების, ამერიკელების მხარდაჭერით, კუბის ტერიტორიაზე მორიგი შეჭრის აღკვეთა იყო.

კარიბის ზღვის რეგიონში შექმნილი ახალი კლიენტი სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გამოხატული შეშფოთების მიუხედავად, კუბაზე ოცდათექვსმეტი მცირე რადიუსის და ოცდაოთხი საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტის განთავსების გადანყვიტელება ასევე პირდაპირ იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ეროვნულ ინტერესებთან. საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ოფიციალური წარმომადგენლისათვის ეს რაკეტები პოტენციური ბერკეტი შეიძლებოდა გამხდარიყო ორ ზესახელმწიფოს შორის თამაშში, რომელსაც ცივი ომი ერქვა. ზოგიერთი, კუბის სანაცვლოდ, ბერლინის შეთანხმებაზე ფიქრობდა, რითაც შეიძლებოდა ბოლო მოღებოდა იმ უხერხულ მდგომარეობას, რასაც აღმოსავლეთ გერმანიის შუაგულში ეკონომიკურად აყვავებული და პოლიტიკურად თავისუფალი დასავლეთ ბერლინი ქმნიდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი ხრუშჩოვისთვის თავისი ქვეყნის სტრატეგიული უპირატესობის დაბრუნება იყო, რომელიც საბჭოთა კავშირმა, შეერთებული შტატების მიერ შთამბეჭქდავი რაოდენობის ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების წარმოების შემდეგ, დაკარგა: კუბაზე განთავსებული 1100-დან 2200 საზღვაო მილის რადიუსის რაკეტები საბჭოთა კავშირისთვის ინტერკონტინენტურ რაკეტებს შეცვლიდა, რაც თითქმის მთლიანად ართმევდა შეერთებულ შტატებს გაფრთხილების ვადას ბირთვული იერიშის შემთხვევაში და კონტინენტური შეერთებული შტატების მთელ


ტერიტორიას, გარდა ჩრდილო-დასავლეთით წყნარი ოკეანის სანაპიროსი, საბჭოთა ბირთვული თავდასხმის სამიზნედ აქცევდა.

კონფრონტაცია კუბაზე საბჭოთა რაკეტების გამო

ასეა თუ ისე, კუბის ტერიტორიაზე მფრინავი ამერიკული მზვერავი თვითმფრინავების მიერ საბჭოთა რაკეტების აღმოჩენას, 1962 წლის ოქტომბრის შუაში, ისეთი მტკიცე და შეუპოვარი რეაქცია მოჰყვა შეერთებული შტატების მხრიდან, რომ შეუძლებელს ხდიდა ნებისმიერი სტრატეგიული უპირატესობის მიღებასა თუ უმაღლესი დონის პოლიტიკურ ვაჭრობას, რისი იმედიც კი საბჭოთა ლიდერს შეიძლებოდა ჰქონოდა. 22 ოქტომბერს სატელევიზიო გამოსვლაში კენედიმ პირდაპირი გამოწვევით მიმართა ხრუმჩოვს. კუბაზე საბჭოთა რაკეტების დაყენების დამადასტურებელი უტყუარი ფაქტების მოყვანის შემდეგ, მან განაცხადა, რომ აპირებდა საჰაერო და საზღვაო „კარანტინის“ დაწესებას კუბაზე დამატებითი ბირთვული იარაღის შეტანისათვის ხელის შესაშლელად, რითაც თავი აარიდა ტერმინ „ბლოკადის“ გამოყენებას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ენაზე საომარ აქტს აღნიშნავდა. ამის შემდეგ მან გააჩვენა მოსკოვი, რომ ბირთვული იარაღის გასროლა კუბის ტერიტორიიდან დასავლეთ ნახევარსფეროს ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩაითვლებოდა, როგორც რუსეთის თავდასხმა შეერთებულ შტატებზე, რასაც მოჰყვებოდა დაუყოვნებელი საპასუხო ბირთვული დარტყმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მან ასევე მოითხოვა უკვე განლაგებული თუ დაყენების პროცესში მყოფი რაკეტების სასწრაფო გატანა კუბიდან. ნატო-სა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში მოკავშირეებისგან ერთსულოვანი მხარდაჭერის მიღების შემდეგ, კენედიმ 24 ოქტომბერს საზღვაო ბლოკადის დაწყების ბრძანება გასცა. ამერიკის მეორე ფლოტის სამხედრო გემები კუბის აღმოსავლეთის უკიდურესი ნაწილის ირგვლივ ხუთასი მილის რადიუსის რკალად განლაგდნენ და ყველა იმ ხომალდის შეჩერებასა და გაჩხრეკას შეუდგნენ, რომლებიც იარაღის გადატანაში იყვნენ ეჭვმიტანილი. იმავე დღეს ოცდაათი საბჭოთა, ან საბჭოთა ტვირთის მატარებელი, გემი კუბის მიმართულებით ატლანტის ოკეანეს მიუყვებოდა, ხოლო თავად რაკეტების დაყენების სამუშაოები აჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა. მოსკოვსა და ვაშინგტონში „მასობრივი საპასუხო დარტყმის“ და „ბირთვული ურთიერთთავდასხმის“ შესახებ ათწლიანი რიტორიკის შემდეგ, მოულოდნელად, ორი ზესახელმწიფო ეპიკური კონფრონტაციის წინაშე აღმოჩნდა, რომლიდანაც უკან დახევა არცერთ მათგანს არ შეეძლო.

იმავე, 24 ოქტომბრის საღამოს კუბისაკენ მიმავალმა ათზე მეტმა რუსულმა გემმა (სავარაუდოდ, კონტრაბანდით დატვირთულებმა) კურსი იცვალა ან უკანა მიმართულებით გადაწყვიტა გზის გაგრძელება. უკვე დასრულებული სარაკეტო დანადგარების პრობლემა რამდენიმე დღეში კენედისა

და ხრუშჩოვს შორის წერილობითი კომუნიკაციის საშუალებით მოგვარდა. საყოველთაო ბირთვული ომის პერსპექტივის წინაშე მდგარი საბჭოთა ლიდერი კენედის ულტიმატუმს მხოლოდ ერთი საჯაროდ განცხადებული პირობით დანებდა: სარაკეტო დანადგარები დაიშლებოდა და დაბრუნდებოდა რუსეთში ამერიკის პირობის სანაცვლოდ, რომ თავს შეიკავებდა კუბაში შეჭრისგან. წლის ბოლომდე საბჭოთა სარაკეტო დანადგარები კუბის ტერიტორიიდან საბოლოოდ გაუჩინარდნენ, ამერიკის საზღვაო კარანტინი დასრულდა და მოსკოვმა ვაშინგტონს აცნობა საბჭოთა ხელმძღვანელობის გულითადი სურვილი ორ ზესახელმწიფოს შორის არსებული ყველა სადავო საკითხის მოგვარების შესახებ. ორივე მხარე ცდილობდა გამოეხატა შემრიგებლური პოზიცია, რითაც კუბის კრიზისის მძიმე დღეებში გაჩენილი თანამშრომლობის სულისკვეთების აუცილებლობას აღიარებდნენ. საბჭოთა კავშირმა, რომელსაც, შეერთებული შტატების მიერ კუბის ბლოკადის საპასუხოდ, მარტივად შეეძლო დასაველეთ ბერლინის ბლოკადაში მოქცევა, ამერიკელებისათვის ამ




„როდესაც თვალი თვალში გაეუყარეთ, მათ პირველებმა დაახამხამეს“: ასე შეაფასა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, დინ რასკმა, კუბის სარაკეტო კრიზისი. ფოტოზე აღბეჭდილია საბჭოთა სატვირთი გემი „ანესოვი“ (შესაძლოა, გემბანზე მდებარე ტილოს ქვეშ დამალული რაკეტებით) 1962 წლის ოქტომბერში კუნძულის დატოვებისას, რომელსაც ესკორტს უწევს შეერთებული შტატების საზღვაო ძალების თვითმფრინავი და საესკადრო ნალმოსანი (U.S.S Barry). განრისხებულ კასტროს მიაჩნდა, რომ ხრუშჩოვმა უღალატა მას, როდესაც კუბაზე რაკეტების დამონტაჟების შეჩერება და უკვე დაყენებული რაკეტების მოხსნა გადაწყვიტა.

მეტად სენსიტიურ რეგიონში ნებისმიერი სახის მცირედი პროვოკაციისგანაც კი თავი შეიკავა. მომდევნო წელს შეერთებულმა შტატებმა შეუმჩნეველად გაიყვანა თურქეთში განლაგებული „იუპიტერის“ რაკეტები, რითაც კენედიმ თავისი ზეპირი პირობა შეასრულა, რომელიც მოსკოვს მან თავისი ძმის – რობერტ კენედის საშუალებით გადასცა.

კრემლი კი დიდი მონდომებით შეეცადა, როგორმე გაემართლებინა თავისი დამამცირებელი მარცხი კუბის კრიზისში, რათა მის მოკავშირეებსა და მომავალ კლიენტ სახელმწიფოებს მის, როგორც მფარველის, სანდოობასთან დაკავშირებით ეჭვი არ გასჩენოდათ: კენედისგან კუბაში შეჭრისგან თავის შეკავების შესახებ პირობის მიღებით, ხრუშჩოვმა კასტრო მძიმე ხვედრისგან იხსნა. რაკეტები, შესაბამისად, აღარ იყო საჭირო იანკების აგრესიისგან კუბის დასაცავად. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, დინ რასკმა, კუბის სარაკეტო კრიზისი დაუვინყარი ფრაზით დაახასიათა, რაც კარგად გამოხატავდა კენედის ადმინისტრაციის ვაჟკაცურ სულისკვეთებასაც: „როდესაც თვალი თვალში გაუწყარეთ, მათ პირველებმა დაახამხამეს“.



დეტანტი და მრავალპოლარული მსოფლიო (1962-1975)



შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი 1973 წლის 19 ივნისს ბრეჟნევის ვიზიტისას ვაშინგტონში: დეტანტის ამ ორმა არქიტექტორმა 1970-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეძლო. ბრეჟნევის ვიზიტისას ნიქსონი უკვე გახვეული იყო უოტერგეიტის სკანდალში, რის გამოც იგი მომდევნო წელს იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

თავის შინაარსი
ბირთვული სტაბილურობის ძიება

ამერიკის პირველმა საზრანგათის გამონავეის წინაშე

პოლიტიკური მონაწილეობა ევროპაში

ახლო აღმოსავლეთი, როგორც მუდმივი ცხელი წერტილი

თუ გლობალურ ძალას განვსაზღვრავთ, როგორც სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო საშუალებების გამოყენებით გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს, მაშინ მხოლოდ შეერთებული შტატები იყო ქვეყანა, რომელიც 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისის დროს ამ სახელს იმსახურებდა. შეერთებული შტატების, რომლის მთლიანი ეროვნული პროდუქტი სამჯერ აღემატებოდა მისი უახლოესი მეტოქის – საბჭოთა კავშირის – მაჩვენებელს, ეკონომიკური უპირატესობა მთელი მსოფლიო მასშტაბით უდავო იყო; ასევე უდავო იყო მისი პოლიტიკური გავლენა და სიმძლავრე მსოფლიოს არაკომუნისტურ ნაწილში. პოლიტიკური კუთხით, დასავლეთ ევროპაში შეერთებული შტატების წამყვანი ადგილი მას შემდეგ გამყარდა, რაც პრეზიდენტმა ტრუმანმა 1940-იანი წლების ბოლოს ატლანტიკური ბლოკის ლიდერობა ამერიკას დააკისრა და 1950-იან წლებში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არაკომუნისტური მსოფლიოს იდეოლოგიური ერთიანობა გააძლიერა. 1960-იანი წლების დასაწყისში შეერთებული შტატების გავლენა მესამე სამყაროს ქვეყნებზე მას შემდეგ გავრცელდა, რაც თეთრი სახლის ახალმა ქარიზმატულმა ბინადარმა კომპლექსური საგარეო დახმარების პროექტების განხორციელება წამოიწყო. როგორც მსოფლიოს არაკომუნისტური ნაწილის უდავო მფარველს და კეთილისმყოფელს, შეერთებულ შტატებს, 1960-იანი წლების შუამდე მაინც, საკუთარი პოლიტიკის მხარდასაჭერად, თავდაჯერებულად შეეძლო ჰქონოდა ხმების უმრავლესობის მიღების იმედი გაეროს გენერალურ ასამბლეაშიც, რაც თან ერთვოდა მის უპირატეს პოზიციას, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს მის ერთგულ მოკავშირეებთან ერთად.

ვაშინგტონის პოლიტიკური ადგილი განვითარებადი სამყაროს ქვეყნებთან მიმართებაში 1960-იანი წლების განმავლობაში განსაკუთრებით გამყარდა. კენედის ადმინისტრაციის პროგრესულმა რიტორიკამ ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას პოზიტიური იდეოლოგიური კომპონენტი შესძინა, რაც მნიშვნელოვნად აკლდა ეიზენჰაუერ-დალესის წლების ხისტი ანტიკომუნისტურ პოლიტიკას. მესამე სამყაროში მოდერნიზაციის ხელშესაწყობად, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გარდა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის მიმართ გაცხადებული ერთგულება კიდევ

უფრო მიმზიდველს ხდიდა შეერთებული შტატების პოლიტიკას მსოფლიოს ლატაკი მასებისათვის. განვითარებადი სამყაროს მიმართ კენედის პოლიტიკის მეორე ნაწილს ანტირევოლუციური ელემენტი წარმოადგენდა. პოლიტიკის ამ კომპონენტის მიზანი იყო, რომ ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, რომელიც კენედის პოლიტიკას უნდა გამოენ- ვია, ევოლუციურად, და არა რევოლუციის გზით, განხორციელებულიყო. ამერიკის პოლიტიკის ეს ასპექტი, ბუნებრივია, მიმზიდველი იყო განვითარებადი ქვეყნების მმართველი ელიტებისათვის, რომლებიც უფრო ხელსაყრელ პირობებში შეესაძლო ამბოხებებს და მიესალმებოდნენ შეერთებული შტატების დახმარებას მათ ჩასახშობად. მაშინ, როდესაც 1960-იანი წლების პირველ ნახევარში შეერთებული შტატები სათავეში ედგა მესამე სამყაროში მშვიდობიანი სოციალური რეფორმებისა და ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესებს, კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ რეპუტაცია შეელახა მოსკოვს, როგორც მოკავშირეს, რომელიც საკუთარი მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნების დაცვისათვის კრიტიკულ მომენტში სიმყარეს არ იჩენდა. ყველაფერი მიუთითებდა იმისკენ რომ, როგორც პრეზიდენტი კენედი ხშირად ამბობდა, „მსოფლიოს განვითარებადი და მიუმხრობელი ხალხების გულისა და გონებისათვის“ მიმდინარე შეჯიბრში შეერთებული შტატები იმარჯვებდა.

ბირთვული სტაბილურობის ძიება

პირველი შეზღუდვები გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაზე

საბჭოთა კავშირს მხოლოდ სამხედრო ძალის სფეროში შეეძლო გამოეხატა პრეტენზია, რომ ეჭვქვეშ აყენებდა ამერიკის გლობალურ პირველობას და საბჭოელების ეს გამოწვევაც მოჩვენებითი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის მიერ ავგისტოში პირველი ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტის გამოცდისა და 1957 წლის ოქტომბერში კოსმოსური სატელიტის – სპუტნიკის – ორბიტაზე გაშვების შემდეგ, ბირთვული რაკეტების რაოდენობის კუთხით საბჭოთა კავშირის უპირატესობის შესახებ ატეხილი განგაში, რუსების მხრიდან ტექნოლოგიური პოტენციალის სტრატეგიულ წარმატებად გარდაქმნის უნარის გადაჭარბებულ შეფასებასთან იყო დაკავშირებული. იმავე წლის დეკემბერში შეერთებულმა შტატებმაც გამოსცადა საკუთარი ხუთი ათასი მილის რადიუსის ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტა – „ატლასი“ – და დაუყოვნებლივ შეუდგა სარაკეტო ძალების მშენებლობას. ეიზენჰაუერის მიერ განცდილი უხერხულობა, რაც U-2 სადაზვერვო თვითმფრინავის აღმოჩენას მოჰყვა 1960 წლის მაისში, მალე ხრუშჩოვის გაზვიადებული სტრატეგიული პრეტენზიების გამოაშკარავებამ გადაფარა: ქვეყანამ, რომელმაც ორბიტაზე გაუშვა მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი და გამოსცადა პირველი ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტა, 75 000

ფუტის სიმაღლეზე მფრინავი ამერიკული მზვერავი თვითმფრინავების მისი ტერიტორიის თავზე 4 წლის განმავლობაში ფრენის აღკვეთა ვერ შეძლო, ვიდრე, ერთ-ერთის ძრავაში გაჩენილი პრობლემის გამო, თვითმფრინავი იძულებული არ გახდა, რომ თავად დამჯდარიყო. კუბის ირგვლივ მომხდარი კონფრონტაციის პერიოდში, შეერთებულ შტატებს უკვე ჩამოტოვებული ჰყავდა საბჭოთა კავშირი ბირთვული შეიარაღებისა და რაკეტების ყველა კატეგორიაში; გარდა ამისა, რუსეთს არც სათანადო საოკეანო ფლოტი გააჩნდა, რომელიც საბჭოთა ძალას მისი სანაპიროს ზოლის მიღმაც გაავრცელებდა და არც ბაზები მისი ტერიტორიის გარეთ, რომლებიც ასეთ საოკეანო ფლოტს შეიფარებდა, მაშინ, როცა შეერთებულ შტატებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით განლაგებული საზღვაო ბაზებიც და დანადგარებით მოჭქონდა თავი. რუსული ტიტანი ევრაზიის უპირველეს სახმელეთო ძალად რჩებოდა, რომელსაც მდინარე რეინამდე, ხმელთაშუა ზღვის ან სპარსეთის ყურემდე მიღწევა რამდენიმე კვირაში შეეძლო, მის სუსტ და დაუცველ მეზობლებთან შედარებით, ჩვეულებრივი შეიარაღების კუთხით არსებული უპირატესობის ნეალობით. თუმცა, საბჭოთა კავშირს ერჩია, შეერთებულ შტატებში განლაგებული ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების და შორი რადიუსის ბომბდამშენებისა თუ ამერიკის მოკავშირე და რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში განლაგებული მცირე და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების შემაკავებელი ეფექტის გამო, ამ ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით სამხედრო გარღვევის შესაძლებლობა სერიოზულად არ განეხილა.

ხრუშჩოვი შეეცადა ევრაზიის პერიფერიაში შეერთებული შტატების თავდაცვით პერიმეტრს კუბაზე საბჭოთა ბირთვული სისტემების განლაგების გზით გადახტომოდა, რაც, შესაძლოა, ამ სტრატეგიული დისბალანსის ერთი ხელის მოსმით გამოსწორებისათვის განეული სასონარკვეთილი რისკი იყო. საბჭოთა კავშირის უკან დახევა, კუბის სარაკეტო კრიზისის დასასრულს, დამამცირებელ პირობებში განხორციელდა, რასაც სწორედ იმ განზრახვის საპირისპირო შედეგები მოჰყვა, რაც, სავარაუდოდ, თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. ორ ზესახელმწიფოს შორის უფრო სტაბილური ბირთვული ბალანსის დამყარების ნაცვლად, კუბის სარაკეტო კრიზისმა მთელს მსოფლიოს საბჭოთა კავშირის სამხედრო არასრულფასოვნება დაანახა. მთელი კომუნისტური ბლოკის საბჭოთა კავშირის უკან გაერთიანების ნაცვლად, მან ჩინეთის ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირის ორბიტისგან დისტანცირების ორი წლით ადრე დაწყებული პროცესის დაჩქარებისაკენ უბიძგა. საბჭოთა სამხედრო ესტაბლიშმენტსა და სამოქალაქო მმართველებს შორის, მათი მოკავშირეების თვალში, ხრუშჩოვის რეპუტაციის ამაღლების ნაცვლად, ამ კრიზისის შედეგებმა კიდევ უფრო გაზარდა პარტიის შიგნით უკმაყოფილება, რასაც, საბოლოოდ, ხრუშჩოვის ხელისუფლებიდან ჩამოშორება მოჰყვა.

მოსკოვის მიერ კუბასთან დაკავშირებულ კონფრონტაციაში განცდილი მარცხის გამოცდილება ორ სტრატეგიულ გადანწყვეტილებაში გადაიზარდა,

რომელთაგან ერთი დიპლომატიური ხასიათისა იყო, მეორე კი – სამხედრო. ხრუშჩოვის ნასვლის შემდეგ, ორივე მათგანი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას დაედო საფუძვლად. პირველი ეხებოდა დასავლეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების პოლიტიკის აღდგენის სტრატეგიას, რომელიც, სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1950-იანი წლების შუაში, მისმა მემკვიდრეებმა ნამოიწყეს და 1958-1962 წლებში, ბერლინსა და კუბაზე საბჭოთა სამხედრო-აგრესიული ავანტიურების გამო, შეწყდა. ამ სტრატეგიის მიზანი იყო, მინიმუმამდე დაეყვანა ბირთვული კონფრონტაციის რისკი, რის წინაშეც მსოფლიო 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისის დროს დადგა და რომელშიც სტრატეგიულად წამგებიან მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა კავშირი აუცილებლად დამარცხდებოდა. მეორე სტრატეგია დაკავშირებული იყო ფართომასშტაბიან პროგრამასთან, რომელიც ასევე 1950-იანი წლების შუაში დაიწყო და შემდგომ, სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივი მიზეზების გამო, გადაიდო. პროგრამის მიზანი ევრაზიული მნიშვნელობის სახმელეთო ძალიდან რუსეთის გლობალური მნიშვნელობის მქონე საზღვაო და საჰაერო ძალად გადაქცევა იყო, რათა მას საკუთარი ინტერესების დაცვა დედამიწის ნებისმიერ ნერტილში შეძლებოდა. პროგრამას ისეთი ბირთვული და საზღვაო-სამხედრო პარიტეტის მიღწევა უნდა უზრუნველეყო, რომელიც გაანეიტრალებდა შეერთებული შტატების ბირთვული შეიარაღების შემაკავებელ ფაქტორსა და საზღვაო-სამხედრო უპირატესობას, რაც, რუსეთის სანაღმამდეგოდ ასე ეფექტურად გამოიყენა შეერთებულმა შტატებმა 1962 წლის შემოდგომაზე.

მშვიდობიანი თანაცხოვრების პოლიტიკის ყველაზე შთამბეჭდავი შედეგები სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის სფეროზე აისახა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გაეროში ბირთვული განიარაღების თემას არაერთი უნაყოფო განხილვა მიეძღვნა და როგორც ვაშინგტონი, ასევე მოსკოვიც ამ მიმართულებით პერიოდულად გამოდიოდნენ ინიციატივებით. 1946 წლის ივნისში, გაეროს ატომური ენერჯის კომისიის პირველ შეხვედრაზე, შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მაშინ ბირთვულ მონოპოლიას ფლობდა, განაცხადა, რომ მზად იყო საკუთარი ბირთვული იარაღის მარაგი გაეროს ეგიდით მოქმედ საერთაშორისო სააგენტოსათვის გადაეცა, თუკი ყველა დანარჩენი სახელმწიფო პირობას დადებდა, რომ აღარ აწარმოებდნენ ბირთვულ იარაღს და შემონახვის ადეკვატური სისტემის შექმნას დასთანხმდებოდნენ. საბჭოთა კავშირმა, რომელიც ამ დროს გაცხარებული მუშაობდა საკუთარი ბირთვული შესაძლებლობების განვითარებაზე, არ მიიღო ე.წ. ბარუხის გეგმა იმ მიზეზით, რომ გაეროში შეერთებული შტატები და მისი დასავლეთევიროპელი პარტნიორები დონიმირებდნენ და, შესაბამისად, არ შეიძლებოდა გაეროს, როგორც ატომური იარაღის სფეროში უფლებამოსილების მიუკერძოებლად განმარტოვებული ორგანიზაციის, ნდობა. მას შემდეგ, რაც 1949 წელს საბჭოთა კავშირმა შეძლო ატომური იარაღის წარმოება, ისიც ატომურ იარაღზე კონტროლის მხარდამჭერად იქცა, განსა-

კუთრებით სტალინის სიკვდილისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის დასაწყისში. 10 მაისს კრემლმა წამოაყენა წინადადება ჩვეულებრივი შეიარაღების გარკვეულ დონემდე თანდათანობით შემცირების შესახებ, რასაც ბირთვული იარაღის მარაგების განადგურება უნდა მოჰყოლოდა. 1959 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას, ხრუშჩოვი კიდევ უფრო შორს წავიდა და ასამბლეის წევრებს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სრული განიარაღებისაკენ მოუწოდა. თუმცა, ყველა ეს საბჭოთა ინიციატივა კონტროლისა და შემოწმების საკითხის წამოჭრისთანავე ვარდებოდა: ვაშინგტონი მტკიცედ მოითხოვდა ადგილზე ინსპექციის პრინციპის დამკვიდრებას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მომავალი შეთანხმებების შესრულების შემოწმება. მოსკოვი ასეთივე მტკიცე უარს ამბობდა საკუთარ ტერიტორიაზე შეიარაღების ინსპექციის დაშვებაზე და, როგორც უკვე ვიხილეთ, საბჭოთა კავშირმა, 1955 წლის ჟენევის კონფერენციისას, ეიზენჰაუერის წინადადებაზე სამხედრო ნაგებობების ორმხრივი საჰაერო ზედამხედველობის შესახებ, უარი განაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ არასტაბილურ მსოფლიოში ზესახელმწიფოების განიარაღება შეუძლებელი ამოცანა აღმოჩნდა, კუბის სარაკეტო კრიზისისას ბირთვული კონფრონტაციის საფრთხემ ორივე მხარეს უფრო მოკრძალებულ და იოლად მიღწევად მიზნებზე ყურადღების გადატანისაკენ უბიძგა, რაც მომავალში ბირთვული იარაღის გამოცდაზე, განთავსებასა და გავრცელებაზე შეზღუდვების დაწესებას გულისხმობდა. 1963 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შეუერთდა და ხელი მოაწერა ბირთვული გამოცდების აკრძალვის ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავდა ბირთვულ გამოცდებს ატმოსფეროში და წყლის ქვეშ. 1967 წლის იანვარში სამივე ქვეყანამ და საფრანგეთმა, რომელიც 1960 წლიდან მეოთხე ბირთვული სახელმწიფო გახდა, კოსმოსი ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოაცხადეს. მოგვიანებით, იმავე წელს, რეგიონის ქვეყნების უმრავლესობის მიერ ხელმოწერილი ტლატილოლკოს ხელშეკრულების თანახმად, ლათინური ამერიკაც ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა.

კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ პირდაპირი ტელეკომუნიკაციის დამყარება თეთრ სახლსა და კრემლს შორის – 1963 წლის 20 ივნისის „ცხელი ხაზის“ შეთანხმების შესაბამისად – გამოხატავდა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მტკიცე გადანყვეტილებას, რომ მაქსიმალურად შეემცირებინათ შემთხვევითი ბირთვული ომის რისკი. ორი ზესახელმწიფოსათვის კიდევ უფრო დიდ საზრუნავს სხვა სახელმწიფოების მიერ ბირთვული იარაღის შექმნის შედეგად ფაქიზი სტრატეგიული ბალანსის დარღვევის პოტენციური საფრთხე წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირი გამუდმებით უარს ამბობდა თავის აღმოსავლეთევროპულ სატელიტებთან და აზიელ მოკავშირეებთან ბირთვული ტექნოლოგიების გაზიარებაზე და მათთვის რუსე-

თის კონტროლის ქვეშ ბირთვული იარაღის გადაცემაზეც კი. შეერთებული შტატები, ატომური ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაცვლაზე უარის თქმით, მაქსიმალურად ეცადა დაერწმუნებინა თავისი პარტნიორები ევროპაში, არ განეცხადებინათ საკუთარი ბირთვული შესაძლებლობები და, ამავე დროს, არწმუნებდა მათ, რომ ამერიკის ბირთვული „ქოლგა“ მათი დაცვის ადეკვატური საშუალება იყო. სამეცნიერო ცოდნის განვითარება და ეროვნული სუვერენიტეტის განცდა მხოლოდ შეერთებული შტატებითა და საბჭოთა კავშირით არ იყო შეზღუდული. ის, რაც 1950-იანი წლების დასაწყისში ბირთვულ დუოპოლიას წარმოადგენდა, 1960-იანი წლების შუისთვის ავისმომასწავებლად მზარდ ბირთვულ კლუბად იქცა. დიდმა ბრიტანეთმა თავისი პირველი ატომური დანადგარი 1952 წელს, ხოლო ნეალბადის (თერმობირთვული) პირველი ბომბი 1957 წელს გამოსცადა. საფრანგეთი და ჩინეთი, რომელთაც 1960-იანი წლების დასაწყისში ყოფილ მოკავშირე ზესახელმწიფოთა სურვილებისგან დამოუკიდებელი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის გატარება დაიწყეს, 1960 და 1964 წლებში ბირთვულ კლუბს შეუერთდნენ.

ბირთვული საძმოს შემდგომი გაფართოების შეჩერების მიზნით, შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა 1968 წლის ივლისში ხელი მოაწერეს ბირთვული გაუფრცვლელობის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 1970 წლის 5 მარტს, მას შემდეგ შევიდა, რაც მას ოთხმოცდაცხრამეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი და ორმოცდაშვიდმა კი (მათ შორის თავდაპირველმა ხელმომწერებმა) რატიფიკაცია გაუკეთა. ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ბირთვული სახელმწიფოები (ჩინეთისა და საფრანგეთის გარდა, რომლებმაც უარი თქვეს ხელშეკრულების ხელმოწერაზე) პირობას დებდნენ, რომ არასოდეს მიანოდებდნენ არაბირთვულ სახელმწიფოებს ბირთვულ იარაღს ან მის საწარმოებლად განკუთვნილ ტექნოლოგიებს, ხოლო არაბირთვული სახელმწიფოები პირობას დებდნენ, რომ არასოდეს აწარმოებდნენ ან შეიძენდნენ ბირთვულ იარაღს. ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობისთვის ვენაში, გაეროს საერთაშორისო ატომური ენერჯის ადმინისტრაციის ეგიდის ქვეშ, საერთაშორისო ინსპექტირების ჯგუფი შეიქმნა.

მოსკოვის მიერ სტრატეგიული პარიტეტის მიღწევა

1960-იანი წლებში დადებული საერთაშორისო შეთანხმებების ამ წყებას შედეგად მოჰყვა ბირთვული იარაღის გამოცდა, განვითარება, ან განთავსება არაბირთვული და ბირთვული სახელმწიფოების მიერ მხოლოდ კონკრეტულად აღნიშნულ რეგიონებში. გაცილებით რთული იყო ბირთვულ არსენალზე შეზღუდვის დანერგვა იმ ორი სახელმწიფოსთვის, რომელსაც მთელი მსოფლიოს განადგურება შეეძლო. საბჭოთა კავშირს, მეორე მსოფლიო ომის

დამთავრებიდან 20 წლის განმავლობაში, როდესაც ის თავის მთავარ მეტოქეს როგორც ბირთვული იარაღის რაოდენობით, ასევე მისი ხარისხითაც ჩამორჩებოდა, სტრატეგიულ შეიარაღებაზე კონტროლის დანესების არანაირი სტიმული არ ჰქონდა. ორ ზესახელმწიფოს ხელთ არსებული ბირთვული იარაღის არათანაბარ რაოდენობაზე შეჩერება ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირი, სამხედრო თვალსაზრისით, საშუალოდ დარჩებოდა დაუცველ მდგომარეობაში, რაც 1950-იან წლებში საშუალებას აძლევდა სახელმწიფო მდივან დალესს, ჩვეულებრივი შეიარაღებით საბჭოთა კავშირის სამხედრო იერიშის შემთხვევაში, მასობრივი ბირთვული განადგურებით დამუქრებოდა მას.

იმავე პერიოდში (კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ), როდესაც საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნებთან გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაზე შეზღუდვების დანესების თაობაზე თანამშრომლობდა, სინამდვილეში მისი მიზანი შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარიტეტის მიღწევა იყო. როდესაც, 1964 წლის 15 ოქტომბერს, ბრეჟნევი-კოსიგინის ტანდემმა ხრუშჩოვი ხელისუფლებას ჩამოაშორა, მათ მემკვიდრეობით მიიღეს სამხედრო ექსპანსიის 1960 წელს დაწყებული ამბიციური პროგრამა, რომლის მიზანი, ათწლეულის დასასრულამდე, საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ჩამორჩენილობის აღმოფხვრა იყო. პროგრამა ითვალისწინებდა: სტრატეგიული სარაკეტო ძალების განვითარებას (რომელიც შეიქმნა, როგორც სამხედრო ძალების დამოუკიდებელი დანაყოფი), მცირე და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების წარმოებას ევროპის თეატრზე განსაღებლად და ანტისაჰაერო და სამოქალაქო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას. საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ სამხედრო ძალის ყველა ამ კატეგორიაში აღნიშნულ მიზნებს მართლაც მიაღწია. 1960-იანი წლების მეორე ნახევარში, მაშინ, როცა ამერიკის ომი ვიეტნამში უზარმაზარი რაოდენობის ფინანსებს მოითხოვდა, რომელიც ბირთვული არსენალის გასაზრდელად შეიძლებოდა გამოყენებულიყო, საბჭოთა კავშირმა გაასამმაგა თავისი სახმელეთო ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების რაოდენობა და მნიშვნელოვნად გაზარდა წყალქვეშა გემების ბალისტიკური რაკეტების რიცხვი. შესაბამისად, ბირთვული შეიარაღების კუთხით არსებული დისბალანსი, რომელმაც ხრუშჩოვს, კუბის სარაკეტო კრიზისისას, უკან დახევა აიძულა, 60-იანი წლების ბოლოს აღმოიფხვრა: თუ 1962 წელს შეერთებული შტატები 294, ხოლო საბჭოთა კავშირი 75 ინტერკონტინენტურ ბალისტიკურ რაკეტას ფლობდა, 1969 წელს საბჭოთა კავშირის ხელთ არსებული შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტების რაოდენობამ 1050-ს მიაღწია, შეერთებული შტატების არსენალში მყოფი 1054 რაკეტის წინააღმდეგ. ამავე დროს, საბჭოთა კავშირმა შეერთებული შტატები უკან ჩამოიტოვა წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების რაოდენობით და სერიოზულ კოკნურენციას უწევდა მას შორი რადიუსის ბომბდამმენების კუთხით. მოკლედ, ორმა ზესახელმწიფომ

მიიღწია მდომარეობას, რომელსაც პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი სტრატეგიულ შეიარაღებაში „არსებით ეკვივალენტურობას“ უწოდებდა. თავდაცვის ანალიტიკოსების ცივ, პროფესიულ ენაზე რომ ვთქვათ, ორივე ქვეყანამ „გარანტირებული ურთიერთგანადგურების“ უნარს მიიღწია. ეს კი, ბირთვული იარაღის გამოყენებით, მტრის მოსახლეობის მეოთხედისა და მრეწველობის ნახევრის განადგურებას ნიშნავდა.

იმავე პერიოდში საბჭოთა კავშირმა, ზღვებზე შეერთებული შტატების მანამდე უდავო პირველობისათვის მეტოქეობის განევის მიზნით, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაფართოებაც შეძლო. შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, რუსეთი, რომელსაც უმნიშვნელო მოცულობის საზღვაო ვაჭრობა ჰქონდა, თავის ყველა მთავარ მოკავშირეს სახმელეთო გზით უკავშირდებოდა და მხოლოდ სანაპირო დაცვისათვის საკმარის საზღვაო ფლოტს სჯერდებოდა. 1960-იან წლებში კი, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი იმდენად განვითარდა, რომ, საბჭოთა ინტერესების დასაცავად, მისი საზღვრებიდან შორეულ ტერიტორიებზეც შეეძლო ინტერვენციის განხორციელება. ამ წარმატების მიღწევა ადმირალ სერგეი გორშკოვის ხელმძღვანელობით გახდა შესაძლებელი, რომელიც ხრუშჩოვმა 1957 წელს სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურად დანიშნა. 1964 წელს საბჭოთა საზღვაო ფლოტი პირველად გამოჩნდა ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო 1968 წელს საბჭოთა რეგულარული სამხედრო-საზღვაო ძალები, ამ რეგიონიდან ბრიტანეთის საზღვაო ძალების გასვლისთანავე, ინდოეთის ოკეანეში განლაგდა. 1960-იანი წლების მიწურულიდან საბჭოთა წყალქვეშა ნაევი მსოფლიოს ოკეანეებში დაცურავდნენ. 1970-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირს საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ბირთვული შეიარაღების გადატყორცნა მსოფლიოს ნებისმიერ სტრატეგიულად მნიშვნელოვან წერტილში შეეძლო. ერთადერთი, რაც საბჭოთა კავშირს აკლდა გლობალურ საზღვაო ძალად გადაქცევამდე, საზღვარგარეთ სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და სანავიგო მომარაგების სადგურების არქონა იყო, რაც, როგორც ვნახავთ, შემდგომი ათწლეულის განმავლობაში წარმატებით მოგვარდა.

გარღვევა იარაღის კონტროლის კუთხით: სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულება – I (SALT-I)

1960-იანი წლების ბოლოს ორ ზესახელმწიფოს შორის სტრატეგიულ შეიარაღებაში არსებული სხვაობის შემცირებამ გზა გაუხსნა იარაღის კონტროლის სფეროში ცივი ომის დაწყების შემდეგ პირველ წარმატებულ მოლაპარაკებებს. სამოციანი წლების შუაში სერიოზულად განიხილებოდა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის შეიარაღებაზე შეზღუდვების დანესების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაც. ვიეტნამში ამერიკელების სამხედრო ესკალაციამ, ახლო აღმოსავლეთში არაბ-

ისრაელის კონფლიქტმა და ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ინტერვენციამ კვლავ გაამწვავა ურთიერთობები მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. სწორედ ამ პერიოდში თეთრი სახლის მასპინძელი ლინდონ ჯონსონი იყო, ბრეჟნევი და ალექსეი კოსიგინი კი კრემლში პირველობის მისაღწევად, 1964 წელს ხრუშჩოვის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ერთმანეთის წინააღმდეგ ათასგვარ ხრიკს მიმართავდნენ. 1969 წელს საჭირო გახდა ამერიკის ახალი პრეზიდენტის, ნიქსონის, ინაუგურაცია და პოლიტიბიუროს უდავო მმართველის, ბრეჟნევის, მიერ ხელისუფლების ხელში აღება, რათა სტრატეგიულ შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებების დაწყების იმედი რეალობად ქცეულიყო. პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო, რომელსაც ქვემოთ შევაჯამებთ, ნიქსონმა და ბრეჟნევმა სწრაფად გაიაზრეს ის შეღავათები, რომელსაც ორივე მხარე მიიღებდა მსოფლიოში საბჭოთა-ამერიკული დაპირისპირების განმუხტვის შედეგად. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგიული შეიარაღების სფეროში დაახლოებითი პარიტეტის ფონზე ვითარდებოდა: ურთიერთგანადგურების მაღალი ალბათობის წინაშე ორივე ზესახელმწიფოს გამაღებელი შეიარაღების მოთოკვის საერთო ინტერესი გაუჩნდა, რადგან აშკარა გახდა, რომ ამ შეჯიბრიდან გამარჯვებული ვერცერთი მხარე ვერ გამოვიდოდა. განსაკუთრებულ აღნიშვნას არ საჭიროებს ის ეკონომიკური სარგებელი, რომელიც სამხედრო ბიუჯეტის შემცირებას მოჰყვებოდა: ორივე ზესახელმწიფოში გაბერილიმა სამხედრო ბიუჯეტებმა ის ფინანსური რესურსები აითვისა, რომელიც საშინაო სოციალური პროგრამებისა და სანარმოების დასაფინანსებლად შეიძლებოდა გამოყენებულიყო, რაც რუსი და ამერიკელი ხალხების ცხოვრების დონეს აამაღლებდა. შესაბამისად, ნიქსონის ინაუგურაციის დღეს (1969 წლის 20 იანვარს) კრემლმა საჯაროდ შესთავაზა შეერთებულ შტატებს მოლაპარაკებების გამართვა ბირთვული რაკეტებისა და თავდაცვის სისტემების ორმხრივი შეზღუდვების შესახებ. ნიქსონმა, ერთ-ერთი გამოსვლისას, დაუყოვნებლივ მიიღო საბჭოთა წინადადება, რომელიც სტრატეგიული ბალანსის თაობაზე ამერიკის ტრადიციული პოზიციის ცვლილებასაც მოიცავდა, რაც გზას უხსნიდა საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევას: შეერთებული შტატების პრეზიდენტი პირველად დასთანხმდა სტრატეგიული პარიტეტის პრინციპს ამერიკის სტრატეგიული უპირატესობის აუცილებლობის ნაცვლად. 1969 წლის 17 ნოემბერს ჰელსინკიში ამერიკელ და საბჭოთა ოფიციალურ პირებს შორის წინასწარი მოლაპარაკებები დაიწყო. მონაცვლეობით, ვენასა და ჰელსინკიში, გაიმართა ექვსი შეხვედრა, რომელსაც სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებები (SALT) ეწოდა.

სტრატეგიულ იარაღთან დაკავშირებული სირთულეების თაობაზე ორწლიანი მძიმე მოლაპარაკებების შემდეგ, 1972 წლის 26 მაისს, მოსკოვში

პრეზიდენტ ნიქსონის უპრეცედენტო ოფიციალური ვიზიტისას, ხელი მოენერა შეიარაღების კონტროლის შუალედურ ხელშეკრულებას (რომელსაც ოფიციალურად სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულება (SALT-I) ეწოდა). გასული ორი ათწლეულის განმავლობაში ორი ზესახელმწიფოს მიერ დაგროვილი ბირთვული იარაღის რაოდენობაზე შეზღუდვების დაწესების ნაცვლად, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებებისას ყურადღება სტრატეგიული ბალანსის ორ იმ კომპონენტზე გამახვილდა, რომელთა შესახებ შეთანხმების მიღწევა უფრო მეტად სავარაუდო იყო. პირველი საკითხი ბირთვული ქობინების გადამტან რაკეტებს შეეხებოდა. დაწესდა ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების მაქსიმალური რაოდენობა თითოეული ზესახელმწიფოსათვის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში (1972 წლის 3 ოქტომბერი, 1977 წლის 3 ოქტომბერი); შედეგად, შეერთებულ შტატებს რჩებოდა 1054 ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტა, ხოლო საბჭოთა კავშირს უფლება ეძლეოდა, მათი რაოდენობა 1530-დან 1618-მდე გაეზარდა. იმავე ხანგრძლივობის მორატორიუმი დაწესდა წყალქვეშა ნაგების ბალისტიკურ რაკეტებზე, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირმა დაიტოვა 950 რაკეტა სამოცდაორ წყალქვეშა ნაგზე, ხოლო შეერთებულმა შტატებმა – 710 რაკეტა ორმოცდაოთხ წყალქვეშა ნაგზე. ეს ორი შეთანხმება, სტრატეგიულ სარაკეტო სისტემებზე რაოდენობრივი შეზღუდვების დაწესების მხრივ, ორი ზესახელმწიფოს პირველ წარმატებულ ძალისხმევას წარმოადგენდა.

შეიარაღების მეორე სისტემა, რომელიც სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველმა ხელშეკრულებამ (SALT-I) მოიცვა, ე.წ. ანტიბალისტიკური რაკეტების სისტემა იყო, რომლის დანიშნულებას მტრის მიერ ნასროლი რაკეტის აღმოჩენა და სამიზნის მიღწევამდე მისი განადგურება წარმოადგენდა. შეერთებული შტატები 1956 წლიდან ატარებდა ექსპერიმენტებს სხვადასხვა ტიპის ანტიბალისტიკური თავდაცვის სისტემებზე, ანუ ერთი წლით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირი პირველ ინტერკონტინენტურ ბალისტიკურ რაკეტას გამოცდიდა. პირველი ასეთი გამანადგურებელი-გზაგადამჭრელი რაკეტის გამოცდა ნიუ მეხიკოში 1959 წელს ჩატარდა. 1962-1967 წლებში რობერტ მაკნამარა – კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციების თავდაცვის მდივანი – ხელმძღვანელობდა ანტიბალისტიკური რაკეტების სისტემის განვითარებას, რომელიც მოკლე და საშუალო რადიუსის რაკეტებისგან შედგებოდა და მცირე ბირთვული პოტენციის მქონე სახელმწიფოების (მაგალითად, ჩინეთის, რომელიც ბირთვულ კლუბს 1964 წლიდან შეუერთდა) თავდასხმისგან ამერიკის ქალაქების დაცვისათვის იყო გამიზნული. ამით შეერთებული შტატები ასევე აღიარებდა, რომ ვერანაირი ანტისარაკეტო სისტემა ვერ დაიცავდა ამერიკის მოსახლეობას საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ბირთვული არსენალისგან: ერთ რაკეტას, რომელიც

შეიძლებოდა ანტისარაკეტო სისტემას გასხლტომოდა ხელიდან, შეეძლო გაენადგურებინა ვაშინგტონი, ნიუ იორკი ან ლოს ანჯელესი. შესაბამისად, 1969 წელს პრეზიდენტმა ნიქსონმა შეწყვიტა ქალაქების დაცვის კონცეფციის განვითარება (გარდა ვაშინგტონისა, რომელიც ქვეყნის სამეთაურო ცენტრი იყო) შეერთებული შტატების სახმელეთო საპასუხო რაკეტების დაცვის უზრუნველყოფის სასარგებლოდ, რადგან ეს უკანასკნელნი ბეტონის მიწისქვეშა ბუნკერებში უკეთ გაუძლებდნენ საქალაქო თავდასხმას, რომელსაც ლეტალური შედეგი ექნებოდა დაუცველი ურბანული ტერიტორიების მთელი მოსახლეობისათვის. ნიქსონის ანტიბალისტიკურმა სისტემამ, რომელიც, ნანილობრივ, 1972 წელს ამოქმედდა, მოსკოვში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო საბჭოთა ანტიბალისტიკური სისტემის (გალოშის) ამოქმედებას, მსგავსი შეშფოთება მოჰყვა ვაშინგტონში. ამ, ერთი შეხედვით, თავდაცვითი შეიარაღების სისტემამ ორივე მხარის ასეთი შეშფოთება იმის გამო გამოიწვია, რომ ის 1960-იანი წლების ბოლოს შექმნილი ორმხრივი შეკავების ფაქიზი ბალანსის დარღვევის საფრთხეს ქმნიდა. ერთი ან მეორე მხარის მიერ ეფექტური ანტიბალისტიკური სისტემის ამოქმედება, რომელსაც შეეძლო ამ მხარის დიდი ქალაქები შესაძლო ბირთვული თავდასხმისაგან დაეცვა, მეორე მხარის მიერ აღიქმებოდა, როგორც შესავალი სტადია მოულოდნელი პირველი ბირთვული დარტყმისათვის, რასაც ანტიბალისტიკური თავდაცვის მქონე ქვეყანა საპასუხო თავდასხმის შიშის გარეშე განახორციელებდა. ანტიბალისტიკური იარაღით გამონვეული შეშფოთების გასაწინააღმდეგოდ, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველმა ხელშეკრულებამ (SALT-I) თითოეულ მხარეს განუსაზღვრა მხოლოდ 100 ანტიბალისტიკური რაკეტის გამშვები დანადგარისა და რაკეტაგამანადგურებლის განლაგება და, თანაც, მხოლოდ ორ ადგილას: ერთი ქვეყნის დედაქალაქში და მეორე ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების ბაზაზე (ამერიკის შემთხვევაში „მინიტმენის“ ბალისტიკური რაკეტების ბაზა გრანდ ფორქსში, ჩრდილოეთ დაკოტაში). სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულების (SALT-I) ამ დებულების მიზანი თითოეული მხარისათვის, პირველი დარტყმის სტიმულის წართმევის გზით, სტრატეგიული ბალანსის სტაბილურობის შენარჩუნება იყო: დედაქალაქისა და ერთ-ერთი ინტერკონტინენტური ბალისტიკური სარაკეტო ბაზის დაცვის შემთხვევაში, პირველი თავდასხმის მსხვერპლი მხარე შეძლებდა საპასუხო ბირთვული იერიშის განხორციელებას, მიუხედავად მოწინააღმდეგის მოულოდნელი ბირთვული იერიშის შედეგად დანარჩენი ბირთვული არსენალის განადგურებისა.

ზემოაღწერილი ციფრები ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულებით (SALT-I) გათვალისწინებული შეიარაღების თვალსაზრისით (ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტები და წყალქვეშა გემების ბალისტიკური რაკეტები),

უპირატესობას ინარჩუნებდა. ამის მიუხედავად, პრეზიდენტმა ნიქსონმა დაარწმუნა ამერიკის მოსახლეობა, რომ შეერთებული შტატები მის მთავარ მოწინააღმდეგესთან მიმართებაში, ხელშეკრულების დებულებებით გაუთვალისწინებელ სტრატეგიულ შეიარაღებაში მისი უპირატესობის გამო, მაინც თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატები უპირატესობას ინარჩუნებდა შორი რადიუსის ბომბ-დამშენების რაოდენობის მხრივ. ამასთანავე, საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა ბაზები შეერთებული შტატების მიერ დასავლეთ ევროპაში განლაგებული საშუალო რადიუსის რაკეტების საპირნონედ, რომელთაც რუსეთის დასავლეთ ქალაქებამდე მიღწევა შეეძლოთ. გარდა ამისა, ბრიტანეთის ბირთვული ძალები დამატებით უპირატესობას ანიჭებდა შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირი კი უფლებას არ აძლევდა თავის აღმოსავლეთევიროპულ სატელიტ სახელმწიფოებს, რომ საკუთარი ბირთვული იარაღი შეექმნათ და, ამავე დროს, მას ვერც ჩინეთის ბირთვული იარაღის იმედი ექნებოდა. და, მაინც, მთავარი ფაქტორი, რომელიც შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის ბირთვულ შეიარაღებასთან მიმართებაში თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა, მისი ბირთვული ქობინების ხარისხი იყო. შეერთებული შტატების არსენალში მყოფი მრავალი სახმელეთო („მინიტმენი“) და წყალქვეშა („პოსეიდონი“) რაკეტა აღჭურვილი იყო რამდენიმე ქობინით და, შესაბამისად, რამდენიმე სამიზნის მიღწევა შეეძლო. ეს ე.წ. რაკეტები ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით (MIRV) მნიშვნელოვნად ზრდიდნენ იმ ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების დამანგრეველ პოტენციალს, რომელზეც ისინი იყვნენ დამაგრებული. გარდა ამისა, თუ სატელიტური დაზვერვითი აპარატების საშუალებით შესაძლებელი იყო ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელში არსებული სახმელეთო და წყალქვეშა რაკეტების რაოდენობის გარკვევა, რაკეტაზე დამაგრებული ქობინების რაოდენობის განსაზღვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

ნიქსონის მიერ პრეზიდენტის პოსტის იძულებით დატოვების შემდეგ, მისი პოლიტიკის გაგრძელება ნიქსონის მემკვიდრის – ჯერალდ ფორდის მიერ ჰენრი კისინჯერის სახელმწიფო მდივნის პოსტზე დატოვებით იქნა უზრუნველყოფილი. 1974 წლის 24 ნოემბერს ფორდმა და ბრეჟნევმა ვლადივოსტოკის სამიტზე ხელი მოაწერეს შუალედურ შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრა დირექტივები სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებისათვის – SALT II-ისათვის, – რომელსაც იმ რაკეტების რაოდენობა უნდა შეეზღუდა, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულებით (მაგალითად, რაკეტები ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით (MIRV) და შორი რადიუსის ბომბდამშენები). ცივი ომის დაწყებიდან პირველად, ოფიციალური პირები ვაშინგტონსა და მოსკოვში ორ ზესახელმწიფოს შორის სტრატეგიული უპირატესობის მისაღწევი შეჯიბრის დასრულებაზე საუბრობდნენ.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველმა ხელშეკრულებამ (SALT-I) ორი ზესახელმწიფო, სტრატეგიული შეიარაღების სისტემის კუთხით, სტრატეგიული პარიტეტის მდგომარეობაში მოაქცია და „ორმხრივი ურთიერთგანადგურების (MAD)“ შესაძლებლობა შეინარჩუნა, რაც, ამ კონცეფციის ავტორების აზრით, ბირთვული პოლოკოსტის თავიდან აცილების საუკეთესო გარანტია იყო. სასწრაფოდ დაიგეგმა 1977 წელს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულების (SALT-I) ვადის ამონაწერი-ისთვის ახალი, მემკვიდრე ხელშეკრულებისთვის მოლაპარაკებების დაწყება.

1970-იანი წლების პირველ ნახევარში გამაღებულ ბირთვულ შეიარაღებაზე შეზღუდვების დაწესების თაობაზე საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა, მათ შორის პოლიტიკური დაპირისპირების კლების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიოს იმ წერტილებში, სადაც მათი ინტერესები პირდაპირ იკვეთებოდა. ზესახელმწიფოთა კონფრონტაციის ყველაზე აშკარა რეგიონი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია იყო, სადაც ნახევარმილიონიანი ამერიკული არმია ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიას ებრძოდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ამარაგებდა და უმაგრებდა ზურგს. ნიქსონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ ამ ომში შეერთებული შტატების პირდაპირი მონაწილეობის დასრულების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა, საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებიდან მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი გააქრო. თუმცა, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გლობალური დაპირისპირების კონტექსტში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე ომი 1960-იანი წლებისათვის ყველაზე დამახასიათებელმა გეოპოლიტიკურმა მოვლენამ – ცივი ომის დასაწყისში ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა ორი ბლოკის თანდათანობითმა დეზინტეგრაციამ – დაჩრდილა. 50-იან წლებში ქვეყნების უმრავლესობა რომელიმე შეიარაღებულ ბანაკს ემხრობოდა. ორ ზესახელმწიფოს კი შეეძლო იმ ქვეყნების მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა, რომლებიც მათი მეურვეობისა და პროტექციის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1960-იან წლებში ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის დასუსტება მსოფლიოში განვითარებულმა სამმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ დააჩქარა: პირველი, რაც ერთხელ უკვე გაკვრით აღვნიშნეთ მეცხრე თავში, საერთაშორისო ასპარეზზე მესამე სამყაროს ათობით ახალი ქვეყნის გამოჩენა იყო, რომელთაც დიდად გაზარდეს მიუმხრობელ სახელმწიფოთა ბანაკი; მეორე ფაქტორი დასავლეთ ევროპაში შეერთებული შტატების მოკავშირეების მიერ უფრო და უფრო თვითდაჯერებული და დამოუკიდებელი პოზიციის დაკავება იყო, რომელთათვისაც მიუღებელი გახდა ცივ ომში პაიკების როლის შესრულება და დიდი მონდომებით ცდილობდნენ *modus vivendi*-ს მიღწევას, აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებთან ბირთვული განადგურების რისკის შემცირების მიზნით; მესამე ფაქტორი კომუნისტური ბანაკიდან ჩინეთის გასვლა და მსოფლიო პოლიტიკაში მისი, როგორც დამოუკიდებელი ძალის,

გამოჩენა იყო. ამ ორმა ურთიერთდაკავშირებულმა მოვლენამ ხელი შეუწყო უფრო ცვალებადი საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბებას, ვიდრე ადგილი ჰქონდა ორი ზესახელმწიფოს დომინაციის ქვეშ მყოფი ორი, მჭიდროდ ორგანიზებული, ბლოკის არსებობისას, რომლებიც ერთმანეთთან ევროპასა და აზიაში იდეოლოგიურ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ. საბოლოოდ, როგორც ვნახავთ, მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემის განვითარებამ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ცივი ომის ჩიხიდან გამოსვლისა და მანამდე შეუძლებელი მიზნების – შეიარაღებაზე კონტროლის, კონტროლის შემსუბუქებისა და დეტანტის – განხორციელებაზე ფიქრის საშუალება მისცა.

ამერიკის პირველმა საფრანგეთის გამონავის წინაშე

ამერიკის წამყვანი პოზიცია ევროპაში კითხვის ნიშნის ქვეშ პირველმა საფრანგეთმა მას შემდეგ დააყენა, რაც ქვეყნის სათავეში, 1958 წლის ივნისში, შარლ დე გოლი დაბრუნდა – პრეზიდენტ რუზეელტის ომისდროინდელი მეტოქე, რომელმაც პოლიტიკური სცენა 1946 წელს დატოვა. დე გოლის დაბრუნების მიზეზი საფრანგეთის ძვირად ღირებული და დამარცხებისათვის განწირული ბრძოლა გახდა, რომელსაც ის ალჟირში, მოსახლეობის არაბი უმრავლესობის მიერ სახალხო აჯანყების შემდეგ, ამ ჩრდილოაფრიკულ ტერიტორიაზე კონტროლის შენარჩუნებისათვის აწარმოებდა. ამ მწვავე კონფლიქტის მოგვარების მიზნით, საგანგებო უფლებებით აღჭურვილი დე გოლი შეუდგა საფრანგეთის გათავისუფლებას არა მხოლოდ ალჟირისაგან, რომელმაც მისი ქვეყანაც სამხედრო ამბოხებისა და სამოქალაქო ომის პირას მიიყვანა, არამედ აფრიკაში საფრანგეთის სხვა კოლონიებისაგანაც. 1962 წელს საფრანგეთის ომისშემდგომი დეკოლონიზაციის მტკივნეული პროცესი, ფაქტობრივად, დასრულდა, ხოლო ქვეყნის ფუნდამენტურმა კონსტიტუციურმა რეორგანიზაციამ პრეზიდენტის ხელში ფართო უფლებებს მოუყარა თავი. ამ ორმა მოვლენამ საფრანგეთი უახლესი წარსულის ძირგამომთხრელი პოლიტიკური და კოლონიური ტვირთისგან გაათავისუფლა და საფუძველი შეუქმნა გამბედავ დიპლომატიურ ინიციატივებს, რომლებიც დე გოლისათვის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ყველაზე ძვირფასი მიზნის მიღწევისკენ იყო მიმართული: საფრანგეთის ლიდერობით ევროპის გადაქცევა, შეერთებული შტატებისაგან და საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სტრატეგიულ ბლოკად, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში მესამე ძალის ფუნქციას შეასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზესახელმწიფოებისაგან ევროპის დამოუკიდებლობის შესახებ დე გოლის ამ ინიციატივის შედეგი შორს აღმოჩნდა მისი ავტორის მეტად ამბიციური ჩანაფიქრისგან, 1962-1969 წლებში დე გოლის საგარეო პოლიტიკამ ხანგრძლივი დაღი დაასვა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთი-

ერთობებს და შეასუსტა ის კავშირი, რომელმაც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმომწერები ამერიკის ძალაუფლებისადმი მორჩილებამდე და მისი გლობალური მიზნების უპირობო მხარდაჭერამდე მიიყვანა.

არასანდო პროტექტორით უკმაყოფილება

დე გოლის საგარეო პოლიტიკა ეფუძნებოდა იმ საერთაშორისო წესრიგით მის ფუნდამენტურ უკმაყოფილებას, რომელიც შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ლიდერებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაიფიქრეს და ცივი ომის პირველ წლებში ხორციც შეასხეს. ომის შემდგომ ჯერ ევროპის, დაბოლოს, მთელი მსოფლიოს დაყოფას ორპოლუსიან სისტემად, ორი არავერობული ზესახელმწიფოს საერთო ჰეგემონიის პირობებში, რამდენიმე მიზეზის გამო, დე გოლი, კერძოდ, საფრანგეთისათვის და, ზოგადად, ევროპისათვის მიუღებელ მდგომარეობად მიიჩნევდა.

პირველ რიგში, არსებული სისტემა კონტინენტის ერთ დროს ამაყ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მოქმედების თავისუფლებას ართმევდა, რაც დე გოლისათვის დიდი სახელმწიფოს სტატუსის მიღების წინაპირობა იყო. ვერცერთი ერი, რომელიც საკუთარი უსაფრთხოებისათვის სხვა სახელმწიფოს სამხედრო მფარველობაზე დამოკიდებული, განაცხადა მან, მორჩილი პროტექტეის ფუნქციაზე უფრო დიადი მისიის შესრულებას ვერ დაისახავს მიზნად. ამ მორჩილების მდგომარეობით გამონეული გასაგები უკმაყოფილება განსაკუთრებით იგრძნობოდა საფრანგეთში, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა პირველი რანგის კონტინენტური და იმპერიული სახელმწიფოს დიადი მემკვიდრეობა.

ეროვნული სიამაყისაკენ მოწოდებების გარდა, დასაეღეთ ევროპის შეერთებულ შტატებზე სამხედრო დამოკიდებულებით დე გოლის უკმაყოფილება ასევე ეყრდნობოდა გავრცელებულ შიშს იმის თაობაზე, რომ, საბჭოთა აგრესიის შემთხვევაში, შეერთებული შტატები კონტინენტს არ დაიცავდა. საბჭოთა კავშირის მიერ 1957 წელს ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების წარმატებული გამოცდის შემდეგ, ევროპაზე საბჭოთა კავშირის ბირთვული თავდასხმის საპასუხო ბირთვული დარტყმით შეკავების შესახებ შეერთებული შტატების პირობის დამაჯერებლობას ევროპაში უფრო და უფრო სკეპტიკურად უყურებდნენ. ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის ბოლო წლებში ამერიკის მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ ევროპელების ეჭვებს გავლენიანი ამერიკელი თავდაცვის სფეროს თეორეტიკოსების ნაშრომებიც ასაზრდოებდა, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდნენ საპასუხო ბირთვული დარტყმის სტრატეგიას და მხარს უჭერდნენ უფრო გარჩევით, დისკრიმინაციულ მიდგომას, რომელიც ევროპის წინააღმდეგ საბჭოთა თავდასხმაზე თანდათანობითი რეაგირების საშუალებას იძლეოდა. შესაბამისად, კენედის ადმინისტრაციის დროს მასიური საპასუხო ბირთვული დარ-



საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი (1890-1970): დე გოლი პირველი ევროპელი ლიდერი იყო, რომელმაც დასავლეთ ალიანსში შეერთებული შტატების უდავო პირველობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. მისი ოცნება, ზესახელმწიფოების დომინირებისგან თავისუფალი ევროპის შესახებ, არ განხორციელდა, თუმცა მისმა დამოუკიდებელმა პოლიტიკამ, როგორც კომუნისტურ სამყაროში ჩინელი მათ ძედუნის პოლიტიკამ, შეარყია ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემა, რომელიც, ცივი ომის დანყების შემდეგ, ვაშინგტონისა და მოსკოვის დომინირების პირობებში განვითარდა.

ტყმის მოძველებული დოქტრინა ოფიციალურად ჩანაცვლა „მოქნილი რეაგირების“ მიდგომამ, რომელიც დასავლეთ ევროპაში საბჭოთა თავდასხმის წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო – კონვენციური, ტაქტიკურ-ბირთვული ან სტრატეგიულ-ბირთვული – საშუალებების გამოყენებას ითვალისწინებდა. ახალი სტრატეგია იმის აღიარება იყო, რომ საპასუხო ბირთვული თავდასხმა პირველი ბირთვული იერიშის დამაჯერებელ შემთავებელ ფაქტორს აღარ წარმოადგენდა იმ პირობებში, როდესაც ამერიკის ქალაქები საბჭოთა კავშირის რაკეტების წვდომის რადიუსში იმყოფებოდნენ. ახალი სტრატეგიის განცხადებული მიზანი მოსკოვში გაურკვევლობისა და შიშის დანერგვა და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირის მხრიდან სიფრთხილის გამოწვევა იყო, რამდენადაც ამერიკის რეაქციის ზუსტი ხასიათის წინასწარ ცოდნა მოსკოვისთ-

ვის შეუძლებელი იქნებოდა. რამდენადაც ეს ახალი სტრატეგია ამერიკის პრეზიდენტს საბჭოთა ქმედებებზე სამხედრო რეაგირების დროის, ადგილისა და საშუალებების შესახებ გადაწყვეტილების ფართო არჩევანს აძლევდა, ის ასევე ზრდიდა დაუცველობის განცდას ევროპის დედაქალაქებში, რომლებიც ამერიკის მხრიდან მკაფიო და უპირობო გარანტიის არსებობას იყენებდნენ მიჩვეული. ევროპაში ბევრმა ექსპერტმა ახალი დოქტრინა, საბჭოთა კავშირისგან კონვენციური თავდასხმის შემთხვევაში, ამერიკის ბირთვული საპასუხო იერიშის გარანტიაზე უარის თქმის მსუბუქად შენიღბულ მცდელობად შეაფასა.

ბირთვული დამოუკიდებლობა და ბირთვული შეკავების პროპორციულობა

საფრანგეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ მალე მოვიდოდა დრო, როდესაც რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენებაზე რეაგირების რისკი შეერთებული შტატების მიერ ევროპის დაცვის გადაწყვეტილების სიმტკიცეს შეარყევდა და, შესაბამისად, 1950-იანი წლების შუაში გადაწყდა, რომ საფრანგეთს ქვეყნის თავდაცვის ალტერნატიული გზები უნდა გამოენახა, კერძოდ – დამოუკიდებელი ფრანგული ბირთვული შეიარაღება. 1958 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკის დაცემამდე სულ ცოტა ხნით ადრე, საფრანგეთის მთავრობამ ბირთვული მონყობილობის გამოცდისათვის მზადების ნებართვა გასცა. ივნისში, ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, დე გოლმა კიდევ უფრო ააჩქარა ბირთვული პროგრამა, რამდენადაც დარწმუნებული იყო, რომ ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებდა თანამედროვე მსოფლიოში გავლენის მოპოვებას საკუთარი ბირთვული საშუალებების გარეშე. 1960 წლის 13 თებერვალს საფრანგეთი ბირთვული კლუბის მეოთხე წევრი გახდა, – ბრიტანეთმა თავისი ატომური ბომბი 1952 წელს გამოსცადა – როდესაც ალჟირის საჰარაში პირველი ატომური ბომბის გამოცდის შესახებ განცხადება გააკეთა. საფრანგეთის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა კენედის ახალი ადმინისტრაციისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა დე გოლის დაუფარავი განზრახვის გამო, რომელსაც საფრანგეთისთვის სრულად დამოუკიდებელი ბირთვული დარტყმის საშუალების ანუ *force de frappe*-ის განვითარება სურდა. ეროვნული და არა ნატო-ს (ანუ შეერთებული შტატების) ეგიდით მოქმედი ფრანგული ბირთვული ძალის განვითარება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კენედისა და მისი თავდაცვის მდივნის – რობერტ მაკნამარას ახალ სტრატეგიულ დოქტრინას, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცენტრალური კონტროლის ქვეშ განხორციელებადი, საპასუხო ბირთვული დარტყმების მექანიზმზე იყო აგებული.

ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვულ შეიარაღებას აკლდა რაკეტები, რითაც ბირთვული იარაღის გამოყენება განხორციელდებოდა და კენედის

სწორედ ამ სისუსტის გამოყენება სურდა მათზე ამერიკული კონტროლის დასამყარებლად. პრეზიდენტ კენედისა და ბრიტანეთის პრემიერ ჰაროლდ მაკმილანს შორის 1962 წლის დეკემბერში გამართულ ნასაუს კონფერენციაზე შეერთებულმა შტატებმა დიდ ბრიტანეთს „პოლარისის“ რაკეტების ბრიტანულ წყალქვეშა გემებზე განთავსება შესთავაზა, ამ უკანასკნელის არსენალში არსებული მოძველებული და დაუცველი შორი რადიუსის ბომბდამშენების ნაცვლად. შეთავაზება დამოკიდებული იყო მაკმილანის პირობაზე, რომ მოდერნიზებული ბრიტანული სამხედრო ძალები ნატო-ს მიერ დაგეგმილ მულტილატერალურ ბირთვულ ძალებს შეუერთდებოდა. მაკმილანის თანხმობის შემდეგ, კენედიმ იმავე წინადადებითა და წინაპირობით დე გოლსაც მიმართა, თუმცა ამ უკანასკნელისგან უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ საფრანგეთის სამხედრო დამოუკიდებლობა შეუთავსებელი იყო მისი ახლადგანვითარებული ბირთვული შეიარაღების ზესახელმწიფოებრივ კონტროლზე დაქვემდებარებასთან. ნატო-ს ფარგლებში მულტილატერალური ბირთვული ძალების შექმნის კონცეფცია 1963 წლის მარტში გაცხადდა, როგორც შეთავაზება ალიანსის ერთობლივი ზედამხედველობის ქვეშ მოქმედი და „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი მრავალნაციონალური საზღვაო ფლოტის შექმნის შესახებ. ვაშინგტონისთვის ეს წინადადება წარმოადგენდა დათმობას ნატო-ს შიგნით ბირთვული შეიარაღების სფეროში გადაწყვეტილებათა მიღებისას ამერიკული მონოპოლიის შესახებ ევროპელთა ეჭვების პასუხად. პარიზისათვის კი ამერიკელების ეს წინადადება წარმოადგენდა მცდელობას, რომ, დასავლეთ გერმანიის საერთოევროპულ ბირთვულ ძალებში ჩართვის მუქარის ქვეშ, საფრანგეთს დამოუკიდებელი ბირთვული ძალების განვითარება გადაეფიქრებინა. 1964 წელს ნატო-ს მრავალნაციონალური ბირთვული ძალების ინიციატივამ არსებობა შეწყვიტა, როდესაც ნატო-ს სხვა წევრმა სახელმწიფოებმა, საფრანგეთთან დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ასევე უარი თქვეს მის განხორციელებაზე.

ნატო-ს მრავალნაციონალური ბირთვული ძალების ინიციატივის ჩავარდნის მომენტში საფრანგეთს უკვე დაწყებული ჰქონდა ელემენტარული სარაკეტო სისტემების განლაგება, რაც, ძირითადად, შორი რადიუსის ბომბდამშენებისგან და, ასევე, სახმელეთო და წყალქვეშა რაკეტებისგან შედგებოდა. საფრანგეთის Force De Frappe-ის სტრატეგიული მნიშვნელობა დაკავშირებული იყო „ბირთვული შეკავების პროპორციულობასთან“, რომელიც გენერალმა პიერ გალუამ განავითარა და რომელმაც პრეზიდენტ დე გოლის სრული მხარდაჭერა მიიღო. ამ დოქტრინის თანახმად, ორი ზესახელმწიფოდან თითოეულს ესაჭიროებოდა დიდი რაოდენობის ბირთვული იარაღი შესამაბიძისი შემაკავებელი ეფექტით, რადგან რომელიმე მათგანის არასრულყოფილ სამხედრო მზადყოფნას შესაძლოა წარმოექმნა ცდუნება მეორე ზესახელმწიფოსათვის, რომ ეს უკანასკნელი მოსახლეობის დიდი ნაწილის

განადგურების რისკზე წასულიყო, მის ერთადერთ გლობალურ მეტოქეზე სრული გამარჯვებისა და, შესაბამისად, აბსოლუტური უსაფრთხოების მოპოვების ფასად. მეორე მხრივ, მცირე ბირთვულ ძალებს, რომელიც საფრანგეთმა განავითარა, უკვე საკმარისად დამაჯერებელი შემაკავებელი ეფექტი ჰქონდა, რადგან ზიანი, რომელიც შეიძლებოდა მიდგომოდა რუსეთის რამდენიმე ქალაქს, აშკარად გაუმართლებელი მსხვერპლი იქნებოდა მოსკოვისთვის იმ მინიმალური სარგებლის ფონზე, რომელსაც ის მიიღებდა საფრანგეთის მსგავსი, მეორე რანგის სახელმწიფოს დამარცხებით.

დე გოლის ბირთვულ პოლიტიკასა და ვაშინგტონის ცენტრალიზებული მართვის ქვეშ მჭიდროდ შეკრული ატლანტიკური ალიანსის შესახებ ამერიკულ კონცეფციას შორის შეუთავსებლობა დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. სამხედრო სტრატეგიის ტექნიკურ საკითხებზე ფრანგულ-ამერიკული ეზოთერული კამათის უკან, განვითარების სტადიაში მყოფი ზესახელმწიფოებრივი ევროპული ერთეულის შესახებ ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებები იდგა. 1957 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნა და ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის შესაბამისი განვითარება, გარდაუვალად ბადებდა კითხვებს ამ ძლიერ ეკონომიკურ ბლოკთან ამერიკის მომავალი ურთიერთობებისა და ამ ბლოკის პოტენციური პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციის შესახებ. კენედის ადმინისტრაციამ დასავლეთ ევროპასთან შეერთებული შტატების ურთიერთობათა გაუმჯობესებისათვის „დიდი გეგმა“ (Grand Design) შეიმუშავა. გეგმა მიესალმებოდა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს ახალი ეკონომიკური ბლოკის გაჩენას, როგორც ღირებული მოკავშირეების მაღალი სიცოცხლისუნარიანობის ნიშანს, იმის მიუხედავად, რომ ეს ინტეგრირებული, პროტექციონისტური სავაჭრო ბლოკი ამერიკის სავაჭრო ინტერესებისათვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. თავდაცვის პოლიტიკის კუთხით კი, როგორც ვიხილეთ, შეერთებულმა შტატებმა არ დათმო დასავლეთ ევროპის ბირთვული შეიარაღების სფეროში საბოლოო ინსტანციის პოზიცია. შესაბამისად, სწორედ ევროპის სამხედრო უსაფრთხოების ამ მგრძობიარე საკითხის ირგვლივ გადანყვიტა დე გოლმა ევროპული პარტნიორების დარაზმვა, თავისი კონკურენტი „დიდი გეგმისათვის“ მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რომელიც, ტრანსატლანტიკური კავშირის გაძლიერების ნაცვლად, მის განყვეტას ითვალისწინებდა.

პარიზი-ბონის ღერძის შექმნის მცდელობა

ბედის ირონიით, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწემ – სამხედრომ, რომელსაც მთელი კარიერის განმავლობაში არასოდეს განელებია გერმანიის მიმართ შიში და უნდობლობა, ამერიკის დომინირებისგან ევროპის გათავისუფლების ამბიციურ გეგმაში დახმარებისათვის სწორედ თავისი ქვეყნის ტრადიციულ მეტოქეს მიმართა. ომის დასრულებისთანავე, საფრანგეთის

დროებითი მთავრობის სათავეში მყოფი დე გოლი მტკიცედ მოითხოვდა დამარცხებული გერმანიის წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას, პოლიტიკური დანაწევრებისა და ეკონომიკური გადასახადების დაკისრების ჩათვლით, რათა გერმანია სამუდამოდ ევროპაში საფრანგეთის ინტერესების მორჩილ ქვეყნად დარჩენილიყო. მოგვიანებით, ხელისუფლებას დროებით ჩამოშორებული დე გოლი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს რეინტეგრაციას დასავლურ სისტემაში, რადგან შიშობდა, რომ გერმანია მალე საფრანგეთის სიძლიერის დაჩრდილვას შეძლებდა. ამის მიუხედავად, 60-იანი წლების დასაწყისისთვის ფრანგულ-გერმანული ურთიერთობების ორმა ასპექტმა ამ ისტორიული მეტოქის პოლიტიკურ შერიგებას გზა გაუხსნა. პირველი ასპექტი უკავშირდებოდა 50-იან წლებში ორ ქვეყანას შორის განვითარებულ ეკონომიკურ კავშირებს, რომლებიც თანდათან ისე გაღრმავდა, რომ, ათწლეულის ბოლოს, გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებად იქცნენ. ფრანგი ჟან მონეს და დასავლეთგერმანელი ვალტერ ჰალშტაინის მსგავსი ინტეგრაციონისტების მოლოდინი, რომ ორმხრივად სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობები ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ შერიგებას, თანდათან დადასტურდა და ორ ქვეყანას შორის უძველესი მტრობა, ეკონომიკური პარტნიორობისა და საერთო კეთილდღეობის ფონზე, თანდათან დავინწყებას ეძლეოდა. ფრანგულ-გერმანული დაახლოების ხელშემწყობი მეორე ფაქტორი საფრანგეთის, როგორც დასავლეთ ევროპის ერთადერთი ბირთვული სახელმწიფოს, სტატუსი გახდა. რამდენადაც დასავლეთ გერმანიას, მოკავშირეებთან შეთანხმების საფუძველზე, საკუთარი ბირთვული იარაღის წარმოება ეკრძალებოდა, საფრანგეთს გარანტირებული ჰქონდა აღმოსავლელი მეზობლის მიმართ გადამწყვეტი სამხედრო უპირატესობა, რომელიც ამ უკანასკნელის შედარებითი ეკონომიკური ძლიერების კომპენსაციას ახდენდა. სტრატეგიული უპირატესობის კუთხით, დე გოლი საკმარისად უსაფრთხოდ გრძნობდა თავს იმისთვისაც, რომ 1963 წლის 22 იანვარს, პარიზში, მეორე მხცოვან სახელმწიფო მოღვაწესთან – გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერთან – ერთად ხელი მოეწერა ფრანგულ-გერმანული შერიგების ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულება მოიცავდა უსაფრთხოების სფეროში ორმხრივ თანამშრომლობას (თავდაცვის მინისტრების რეგულარული შეხვედრების, სამხედრო პერსონალის გაცვლის და იარაღის წარმოებაში თანამშრომლობის ჩათვლით) და, ევროპის თავდაცვასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადამწყვეტილების მიღებამდე, პარიზისა და ბონის წინასწარ კონსულტაციებს ითვალისწინებდა. ნატო-ს შიგნით დასავლეთ გერმანიასთან პრივილეგირებული ორმხრივი ურთიერთობების დამყარებით, დე გოლს იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთ გერმანიას ამერიკელების კონტროლირებადი ამ ალიანსიდან თანდათან გადაიბირებდა, რაც ფრანგულ ბირთვულ სამხედრო ძალაზე დაფუძნებული, დამოუკიდებე-

ლი, ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი გახდებოდა. ადენაუერის მსუბუქ ალიანსს დე გოლთან კი განაპირობებდა კანცლერის შიში, რომ კენედის ადმინისტრაციის მოქნილი რეაგირების ახალი დოქტრინა და მისი არასაკმარისად მეომრული პოზიცია 1961 წლის ბერლინის კრიზისის დროს, დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ინტერესების დაცვის კუთხით, ამერიკის შერყეულ სიმტკიცეზე მიანიშნებდა.

დე გოლისათვის, სამწუხაროდ, ფრანგულ-გერმანულ კავშირს ის შედეგები არ მოჰყოლია, რომელსაც იგი მოელოდა. შეთანხმებამ თანდათან დაკარგა მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც, 1963 წლის ოქტომბერში ადენაუერი უფრო მყარად პროატლანტიკური პოზიციის მქონე ლუდვიგ ერჰარდმა შეცვალა, რომელმაც ბონის მჭიდრო კავშირს ვაშინგტონთან კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შემატა, პარიზისგან კი თავი უფრო და უფრო შორს დაიჭირა. დე გოლისეულმა პარიზი-ბონის ლერძის პროექტმა არ გაამართლა, რადგან დე გოლმა ვერ შეძლო გერმანელების დარწმუნება, რომ საფრანგეთის დამოუკიდებელი ბირთვული პოტენციალი და, შესაბამისად, ევროპის ბირთვული სისტემა გერმანიისთვის თავდაცვის უფრო სანდო წყარო იქნებოდა, ვიდრე ამერიკის სტრატეგიული ბირთვული შეკავების უნარი. 1964-1965 წლებში, ნატო-ში ამერიკის წამყვანი პოზიციის მიმართ საფრანგეთის კრიტიკული დამოკიდებულების გამო, დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობა შიშობდა, რომ ფრანგების პოზიციას შესაძლოა შეერთებულ შტატებში იზოლაციონისტური საგარეო პოლიტიკის აღორძინება და, შესაბამისად, ამერიკის ევროპიდან გასვლა მოჰყოლოდა.

საფრანგეთის ნატო-სგან გაუცხოება და დეტანტიკომუნისტურ ბლოკთან

შეერთებული შტატებისგან ევროპის განცალკევებისაკენ მიმართული რეორგანიზაციის მიზნით, ფრანგულ-გერმანული პარტნიორობის წარუმატებელი მცდელობებით იმედგაცრუებულმა დე გოლმა იმავე მიზნის მიღწევა ატლანტიკურ ალიანსში სერიოზული კრიზისის გამონვევით განაგრძო. მან საფრანგეთის დამოუკიდებლობის შელახვად გამოაცხადა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ინტეგრაცია ზესახელმწიფოებრივ სამხედრო ორგანიზაციაში, რომლის უმაღლესი მთავარსარდალი ყოველთვის ამერიკელი გენერალი უნდა ყოფილიყო და რომლის ბირთვული შეიარაღება, ერთპიროვნულად, ამერიკის პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. 1966 წლის მარტში მან საფრანგეთის სახმელეთო და საჰაერო ძალების სრული შემადგენლობა ნატო-ს სამხედრო სარდლობის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა და პარიზის რეგიონიდან ალიანსის სამხედრო შტაბბინისა და საფრანგეთიდან ამერიკული და კანადური სამხედრო ბაზების გაყვანა მოითხოვა.

მაშინ, როდესაც დასავლეთის მთავრობები ერთიანი დასავლური თავდაცვის იდეისადმი ფრანგების მიერ მიყენებული დარტყმის შედეგებს იმკიდნენ, დე გოლმა 1966 წლის ივნისში საბჭოთა კავშირში პროვოკაციული სახელმწიფო ვიზიტი წამოიწყო. მოსკოვში დასავლური ბანაკის მეთაურობის დიდი პატივით შეეგებნენ და ყაზახეთში საიდუმლო კოსმოსური ბაზის მოსანახულებლადაც კი მიიწვიეს, რითაც დე გოლი პირველ დასავლელ ლიდერად იქცა, რომელმაც აღნიშნული ობიექტი იხილა. დეკემბერში საფრანგეთს საპასუხო ვიზიტით ეწვია პრემიერი კოსიგინი, რომელიც პარიზში ასევე გულთბილად მიიღეს. კრემლი აქტიურად უჭერდა მხარს საფრანგეთის შეერთებული შტატებისგან გაუცხოებას და იმედი ჰქონდა, რომ ატლანტიკურ ალიანსში შექმნილი შესაბამისი არეულობიდან ღირებულ სარგებელს ნახავდა. დე გოლი კი, შეერთებული შტატების წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებთან ერთად, რომლითაც იგი ვიეტნამსა და დომინიკელთა რესპუბლიკაში ამერიკულ ინტერვენციებს აკრიტიკებდა, მტკიცედ ცდილობდა საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

ამ ორი ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკის – ნატო-სგან დაშორებისა და საბჭოთა კავშირთან დეტანტის – წყალობით, საფრანგეთის პრეზიდენტი იმედოვნებდა, რომ საფრანგეთი კომუნისტური ქვეყნების ბლოკთან ურთიერთობებში დასავლეთ ევროპის წამყვანი ძალა გახდებოდა. საფრანგეთის ლიდერობის ქვეშ მყოფი და შეერთებული შტატების გავლენას ჩამოშორებული დასავლეთ ევროპა უფრო მომგებიან პოზიციას დაიკავებდა რუსებთან მოლაპარაკებისას, კონტინენტის იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური დავების მოსაგვარებლად, რომელიც ცივი ომის გაჭიანურებას იწვევდა; ეს განსაკუთრებით იმ საკითხების გადაჭრას გულისხმობდა, რომლებიც გაყოფილი გერმანიის სტატუსსა და მის აღმოსავლეთ საზღვრებს ეხებოდა. ამ ამბიციური წამოწყების საბოლოო მიზანი ცივი ომის მონაწილე ორივე სახელმწიფოსგან ევროპის გათავისუფლება იყო, რაც აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის სატელიტებს საშუალებას მისცემდა, ავტონომიურად წარემართათ საკუთარი პოლიტიკა, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპა შეერთებული შტატების გარეშე შეძლებდა განვითარებას. ამის შემდეგ, იალტასა და პოტსდამში, ორ ძალისმიერ ბლოკად გაყოფილი კონტინენტი მსოფლიოში საკუთარი ძლიერი პოზიციის დაბრუნებას შეძლებდა.

დე გოლის გრანდიოზული ჩანაფიქრის წარუმატებლობა

ნატო-დან საფრანგეთის გამოსვლას ტრივიალური სამხედრო შედეგები ჰქონდა: ალიანსის შტაბბინა პარიზიდან ბრიუსელში შედარებით უმტკივნეულოდ გადავიდა. ვაშინგტონის წინააღმდეგ განხორციელებული დიპლომატიური ომის პარალელურად, მოსკოვთან დაახლოების მცდელობას ევროპაში ძალების გადანაწილება არ მოჰყოლია, როგორც ამას დე გოლი იმედოვნებ-

და. სავალუტო და ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც საფრანგეთი 1968 წლის გაზაფხულზე სტუდენტებისა და მშრომელების ორგანიზებული არეულობების შედეგად მოიცვა, ნათელი გახადა, რამდენად მოუმზადებელი იყო ეს ქვეყანა იმ ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყნის როლის შესასრულებლად, რომელზეც მისი ლიდერი ფიქრობდა. იმავე წლის ზაფხულში ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ძალების შეჭრამ, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაამყარა დასავლეთის ბლოკის ერთიანობა და, მეორე, მხრივ, ეჭვის ქვეშ დააყენა საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპაზე კონტროლის შესუსტების ვარაუდი, რომელსაც თავისუფალი და დამოუკიდებელი ევროპის დე გოლისეული იდეა ეფუძნებოდა. 1969 წელს საფრანგეთის, მეტად თავისებური, ლიდერის ხელისუფლებიდან მოულოდნელმა წასვლამ ბოლო მოუღო საფრანგეთისა და, მთლიანად, ევროპისათვის მის გრანდიოზულ ჩანაფიქრს, რომელიც, საფრანგეთის ძლიერებისა და ამერიკის გარეშე ევროპული თავდაცვის სურვილისა და უნარის გადაჭარბებულ შეფასებას ეფუძნებოდა.

პოლიტიკური მოწესრიგება ევროპაში

დასავლეთი გერმანია აღმოსავლეთით ინტერესდება


იმის მიუხედავად, რომ ახალი საერთაშორისო სისტემის შესახებ დე გოლის ზედმეტად გრანდიოზული კონცეფცია მოჩვენებითი აღმოჩნდა, ინტრაევროპული წესრიგის გოლისტურმა ხედვამ გაუძლო მისი ავტორის მარცხს და ევროპისათვის, რუსეთისა და შეერთებული შტატებისათვის ღრმა შედეგები გამოიწვია. ზესახელმწიფოების გავლენისგან გათავისუფლებული ევროპისათვის, ამ დონე კიხოტური მეზრძოლის შთამბეჭდავი რიტორიკის უკან, ევროპის კონტინენტზე მიმდინარე იმ პოლიტიკური დაპირისპირებებიდან, რომელთა გამო კონტინენტი ორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ბლოკად რჩებოდა დაყოფილი, გამოსავალიც გამოსჭვიადა. ამ დაპირისპირებებს შორის უმთავრესი იყო გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და მის აღმოსავლეთ მდებარე კომუნისტ მეზობლებს შორის არსებული დავები. მოთმინებითი დიპლომატიის გზით ამ მტკივნეული საკითხების მოგვარება, დე გოლის აზრით, ევროპაში ცივი ომის დასრულებას და თითოეული ზესახელმწიფოს მიერ, კონტინენტის მისთვის განკუთვნილ ნახევარზე, კონტროლის შესუსტებას შესაძლებელს გახდიდა. ფრანგი პრეზიდენტის შეცდომა იმის დაჯერება იყო, რომ საფრანგეთს, როგორც დასავლეთევროპულ ქვეყანას და, ამავე დროს, მოლაპარაკებისათვის აღმოსავლეთ ევროპის ბლოკისთვის ყველაზე მისაღებ მხარეს, საკუთარი სიძლიერისა და დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური გავლენის წყალობით, კონტინენტზე დაძაბულობის განმუხტვის უნარი შესწევდა. გოლისტურ სტრატეგიას მხედველობიდან გამორჩა ევროპაში ძალთა პოლიტიკის ორი ფუნდამენტური ელემენტი: პირ-

ველი – კონტინენტის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტებისათვის ის გარანტიები მიეცა, რომელთაც ისინი ევროპაში დეტანტისათვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ, დასავლეთ გერმანია იყო; მეორე – ბონი, პარიზისაგან განსხვავებით, ვერასოდეს გაბედავდა აღმოსავლეთის ბლოკთან კომპრომისული შეთანხმების ძიებას, ვაშინგტონის წინასწარი თანხმობის გარეშე, რადგან მისი უსაფრთხოება უკიდურესად იყო დამოკიდებული ამერიკის სამხედრო პროტექციასა და დიპლომატიურ მხარდაჭერაზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირება ევროპაში, თავდაპირველად, გერმანიისა და ბერლინის გამო დაიწყო და 60-იან წლებშიც ამ საკითხების მოუგვარებლობის გამო შენარჩუნდა. აღნიშნული პრობლემების მოგვარებას მთავარ წინააღმდეგობას დასავლეთ გერმანიის კანცლერი კონრად ადენაუერი უქმნიდა, რომელიც ჯიუტად ამბობდა უარს 1949 წელს გაყოფილი გერმანიის კვლავ გაერთიანების სურვილის დავიწყებაზე. ეს იყო საკითხი, რომელსაც, ჯერ კიდევ, მნიშვნელოვანი ემოციური დატვირთვა ჰქონდა დასავლეთგერმანელ ამომრჩეველზე, ხოლო, საბჭოთა კავშირისა და მისი აღმოსავლეთევროპელი სატელიტებისათვის კი ის ანათემის ტოლფასი იყო, განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმისათვის, რომელსაც საფუძვლიანი შიში ჰქონდა, რომ უფრო დიდი, უფრო მრავალრიცხოვანი და ეკონომიკურად წარმატებული დასავლეთ გერმანია მის თვითმყოფადობას შთანთქავდა. ბონის უარი აღმოსავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის აღიარებაზე და მისი ურყევი პოზიცია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ის წარმოადგენდა სრულიად გერმანელ ერს, ფორმალურად იქნა გამოხატული 1955 წლის დეკემბერს ე.წ. პალშტაინის დოქტრინით (დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის გვარის შესაბამისად). ამ დოქტრინის თანახმად, აღმოსავლეთ გერმანიის აღიარებას ბონი არამეგობრულ მოქმედებად მიიჩნევდა, რადგან აღმოსავლეთ გერმანიის აღიარება გერმანიის სამუდამო დაყოფის აღიარებასაც გულისხმობდა. შესაბამისად, დასავლეთ გერმანიამ დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვიტა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებიც პანკოვის რეჟიმს აღიარებდნენ, გარდა საბჭოთა კავშირისა, რომელზეც დოქტრინა არ ვრცელდებოდა. დასავლეთ გერმანიისა და მისი აღმოსავლელი მეზობლების დაპირისპირების კიდევ ერთი წყარო იყო გერმანიის უარი, ელიარებინა პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან საზღვრები, რომლებიც 1945 წელს ამ ორი ქვეყნის სასარგებლოდ დანესდა. ამ ტერიტორიული დანაკარგების აღიარება მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული გერმანელი ლტოლვილების სერიოზულ აღშფოთებას გამოიწვევდა, რომლებიც ამ რეგიონებიდან ომის შემდგომ გამოყარეს და რომლებიც შესაბამის კომპენსაციებს ითხოვდნენ. აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკური სტატუსისა და გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრების საკითხები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ცივ ომს მუდმივი საზრდოთი ამარაგებდა.

1966 წლის დეკემბერში დასავლეთ გერმანიაში მმართველი კოალიცია ჩამოყალიბდა, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ვილი ბრანდტს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აღმოსავლეთით კომუნისტურ ბლოკთან ურთიერთობების ნორმალიზება. ბრანდტის „აღმოსავლური პოლიტიკა“ ანუ ოსტპოლიტიკა აღმოსავლეთ გერმანიისა და მისი კომუნისტი მოკავშირეების მიმართ დასავლეთ გერმანიის დამოკიდებულების ღრმა ცვლილებას ასახავდა. ახალ კოალიციაში შემავალი ორი პარტიის წარმომადგენელთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ აღმოსავლეთ გერმანიისა და აღმოსავლეთ ევროპის მიმართ მანამდე გატარებულმა „ძალის პოლიტიკამ“ სასურველი შედეგები ვერ გამოიღო: აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური სისტემის ჩამოშლის გამოწვევისა და გერმანელი ხალხის ხელახლა გაერთიანების ნაცვლად, ადენაუერისგან მემკვიდრეობით მიღებულმა ამ არაეფექტურმა მიდგომამ დასავლეთის ქვეყნების ბლოკში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, როგორც ცივი ომის ორთოდოქსული პოლიტიკის უკანასკნელი ბასტიონის, იზოლაცია გამოიწვია, მაშინ, როცა ზოგადი მდგომარეობა ევროპაში პოლიტიკური სტატუსკვოსა და გერმანიის საშუალო გაყოფის აღიარებისაკენ ვითარდებოდა. ბრანდტის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული გზა კი გულისხმობდა დასავლეთ გერმანიისა და მისი აღმოსავლეთევროპელი მეზობლების ურთიერთობების ნორმალიზებას, როგორც კონტინენტზე შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის საშუალებას, რასაც საბოლოოდ ორი გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი გაერთიანება უნდა მოჰყოლოდა. ამრიგად, უარი ეთქვა ბონის საგარეო პოლიტიკის ერთ დროს მთავარ კომპონენტს – ანუ მოთხოვნას, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის არსებული დაძაბულობა მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის გაერთიანების შემდეგ მოხსნილიყო – და დიამეტრულად შეიცვალა საგარეო პრიორიტეტიც: დეტანტი ორი გერმანიის საბოლოო გაერთიანების მიზნის მისაღწევი საშუალება გახდა.

ნატო-ს შიგნით მოკავშირეების (მათ შორის, შეერთებული შტატების) ინფორმირებისა და მათგან არაფორმალური თანხმობის მიღების შემდეგ, ბრანდტმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესების გონივრული კამპანია წამოიწყო. 1967 წლის იანვარში ბონმა, ჰალშტაინის დოქტრინის პირდაპირი დარღვევით, დიპლომატიური ურთიერთობები განაახლა ბუქარესტთან. ამის შემდეგ დასავლეთ გერმანიიდან სავაჭრო მისიები აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე დედაქალაქში გაიგზავნა, რითაც საფუძველი დაედო კომერციული ხასიათის უპრეცედენტო ურთიერთობებს კომუნისტური ქვეყნების ბლოკთან, რასაც დასავლეთგერმანელი ბანკები აფინანსებდნენ. 1969 წლის ოქტომბერში, დასავლეთ გერმანიაში ჩატარებული არჩევნების შედეგად, ქვეყნის კანცლერი ვილი ბრანდტი გახდა, რომელიც სოციალ-დემოკრატი უმრავლესობით დაკომპლექტებულ



გერმანიის კანცლერი პატიებას ითხოვს: 1970 წლის დეკემბერში, პოლონეთში ვიზიტისას, 1944 წლის ვარშავის გეტოს აჯანყების მსხვერპლთა მემორიალთან მუხლმოდრეკილი გერმანიის კანცლერი ვილი ბრანდტი. გერმანელი ლიდერის საოცარმა ფოტომ, სადაც ის პატივს მიაგებს პოლონელ ებრაელებს, რომელთა აჯანყება სასტიკად ჩაახშეს გერმანიის საოკუპაციო ჯარებმა, გაამყარა ბრანდტის, როგორც მშვიდობისმოყვარე ლიდერის, მზარდი საერთაშორისო რეპუტაცია. მის მიერ მანამდე გადადგმულმა ნაბიჯებმა დამშვიდების საშუალება მისცა მათ, ვისაც დიდი ხანია ეჭვები ჰქონდათ გერმანიის განზრახვების შესახებ აღმოსავლეთის ბლოკის მიმართ.

სამთავრობო კოალიციას ჩაუდგა სათავეში. უკვე, როგორც მთავრობის ხელმძღვანელმა, ბრანდტმა დაუყოვნებლივ განაახლა აღმოსავლეთთან ყოვლისმომცველი შეთანხმების მიღწევის მცდელობები. შესაბამისად, ვარშავის პაქტის ქვეყნებმა დასავლეთ გერმანიასთან ასეთი დაახლოებისათვის გადასახდელი ფასი გაამხილეს: დასავლეთ გერმანიის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიული სტატუსკვოსა და აღმოსავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის აღიარება. ამ რთული საკითხების გადაწყვეტამდე, დასავლეთგერმანელმა ლიდერმა გზა გაუხსნა ორმხრივი ურთიერთგაგების შექმნას და 1969 წლის 28 ნოემბერს ბირთვული იარაღის გაუერცვლებლობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამის შემდეგ, 1970 წლის აგვისტოში, მან ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას, რომლითაც ორივე მხარემ აღმოსავლეთ ევროპაში არსებული საზღვრები აღიარა და უარი თქვა ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. ამ ორმა ქმედებამ, მომავალში,

ბირთვული იარაღით აღჭურვილი და რევიზიონისტი დასავლეთ გერმანიის მიმართ მოსკოვში არსებული შიში და უნდობლობა გაანელა. პოლონეთთან გერმანიის საზღვრის ძველი საკითხი, ოცდახუთწლიანი გამოუვალი მდგომარეობის ფონზე, გასაოცარი სიმარტივით შეთანხმდა. 1970 წლის 7 დეკემბერს ბრანდტი ვარშავას ეწვია და ხელი მოაწერა პოლონეთთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას, რითაც უარი თქვა გერმანიის ყველა ტერიტორიულ პრეტენზიაზე და აღიარა გერმანია-პოლონეთის საზღვარი ოდერ-ნეისეს ხაზზე.

აღმოსავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის გაცილებით უფრო ემოციურად დატვირთული საკითხი მეტ დროსა და მოთმინებით სავსე დიპლომატიას მოითხოვდა. 1949 წელს გერმანიის ორად გაყოფის შემდეგ, დასავლეთგერმანელი ხალხი და მათი პოლიტიკური ლიდერები მტკიცედ იცავდნენ დასავლური ტიპის თავისუფალი არჩევნების საფუძველზე გერმანიის გაერთიანების პრინციპს. თუკი ეს მიზანი ჯერ კიდევ მიღწევადი ჩანდა 1950-იან წლებში, 1961 წელს, ბერლინის კედლის აღმართვისა და ამ ფაქტთან დასავლეთის შეგუების შემდეგ, გერმანიის გაერთიანების იდეა მხოლოდ ქიმერადლა იქცა. მას შემდეგ, რაც ავტორიტარული რეჟიმისგან გაქცევის შესაძლებლობა აღარ არსებობდა, აღმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებლებს ისღა დარჩენოდათ, შეგუებოდნენ კომუნისტური სახელმწიფოს მუდმივ მოქალაქეობას და შეძლებისდაგვარად ეზრუნათ საკუთარ მომავალზე. ბრანდტმა არაფორმალურად აღიარა გერმანიის ორ სუვერენულ სახელმწიფოდ გაყოფის შეუქცევადობა და წამოაყენა წინადადება, რომ გერმანია მიჩნეული ყოფილიყო როგორც „ორ სახელმწიფოდ გაყოფილი ერთი ერი“. მისი ეს დათმობა აღმოსავლეთ გერმანიის ლიდერ ვალტერ ულბრიხტის წინააღმდეგობას ნაანყდა, რომელიც, ბონთან ურთიერთობების გაუმჯობესების სანაცვლოდ, მისი რეჟიმის ფორმალურ აღიარებას მოითხოვდა. თავად ულბრიხტი თავის ხელისუფლებას კრემლში მჯდომი მისი პატრონების ნყალობით ინარჩუნებდა და, შესაბამისად, მათი ნება-სურვილის სანაღმდეგო საგარეო პოლიტიკის გატარებაზე ვერც იფიქრებდა. როგორც უკვე ვნახეთ, 1970-იანი წლების დასაწყისში მოსკოვი, ნაწილობრივ ჩინეთის შიშით, ნაწილობრივ კი დასავლეთისგან ეკონომიკური დახმარების მიღების იმედით, აქტიურად ახორციელებდა ვაშინგტონთან დაახლოების პოლიტიკას. ორ ზესახელმწიფოს შორის შეიარაღების კონტროლის შესახებ დაგეგმილ ხელშეკრულებაზე დამატებით, ბრეჟნევი და მისი ამაღლა ევროპაში პოლიტიკური დეტანტის მისაღწევ ძალისხმევებში ჩაება, რასაც ამ რეგიონში აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების ყველა წყარო უნდა აღმოეფხვრა. ვინაიდან ულბრიხტის შეუვალი პოზიცია ბონის ახალ, უფრო შემრიგებლურად განწყობილ მთავრობასთან შეთანხმების მიღწევის ერთადერთ წინააღმდეგობად რჩებოდა, ძველ აღმოსავლეთგერმანელ უკომპრომისო ლიდერს თანამდებობდა უნდა დაე-

ტოვებინა. 1971 წლის 3 მაისს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე ის უფრო დამყოლმა ფუნქციონერმა – ერის ჰონეკერმა ჩაანაცვლა.

ცივი ომის სიმბოლოდ ქცეული ამ ძველი ლიდერის პოლიტიკური სარბიელიდან წასვლამ გზა გაუხსნა ევროპაში პოლიტიკურ მონესრიგებას, რომელსაც უკვე ორივე ბანაკი მხარს უჭერდა. 1971 წლის სექტემბერში, ბერლინის ოკუპანტმა ოთხივე სახელმწიფომ – შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა – ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ქალაქის შესაბამის სექტორებში ერთმანეთის უფლებები აღიარეს და დასავლეთ ბერლინსა და ფედერალურ რესპუბლიკას შორის განსაკუთრებული პოლიტიკური ურთიერთობები დაადასტურეს. ამრიგად, კრემლმა, დეტანტის ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქში შესასვლელ ყველა გზაზე სრული კონტროლის შესახებ აღმოსავლეთ გერმანიის ძველი მოთხოვნა დათმო, რამაც 1958-1961 წლებში ბერლინის კრიზისები დააჩქარა. 1972 წლის 21 დეკემბერს აღმოსავლეთ გერმანია იძულებული გახდა ხელი მოეწერა ფედერალურ რესპუბლიკასთან „ძირითადი ხელშეკრულებისათვის“, აღმოსავლეთ გერმანიისათვის დიპლომატიური აღიარების მინიჭების გარეშე, რასაც ის ინტერგერმანული შერიგების წინაპირობად მოითხოვდა. „ძირითადი ხელშეკრულება“ ითვალისწინებდა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის გაზრდილ სავაჭრო, კულტურულ და ხალხთაშორის ურთიერთობებს და ასევე მუდმივმოქმედი მისიების, და არა საელჩოების, გახსნას. 1973 წლის სექტემბერში, ორ დე ფაქტო სუვერენულ სახელმწიფოდ გაყოფიდან ოცდაათი წლის შემდეგ, ორივე გერმანია, როგორც ცალ-ცალკე სუვერენული ერთეულები, გაეროს წევრები გახდნენ. ასე, თანდათანობით და საგანგებო ნაბიჯებით გადაწყდა მეორე მსოფლიო ომის მიერ დატოვებული მოუგვარებელი საკითხები ცენტრალურ ევროპაში.

ზესახელმწიფოები ევროპულ დეტანტზე თანხმდებიან

ომში გამარჯვებულ ორ ზესახელმწიფოს, რომელთა ურთიერთობები, იმავდროულად, სხვა მიმართულებებით უმჯობესდებოდა, თანხმობის ბეჭედი უნდა დაესვათ დასავლეთ გერმანიასა და მის აღმოსავლელ მეზობლებს შორის ევროპის მოწყობის შესახებ ორმხრივად მიღწეული შეთანხმებისათვის. 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან, პოსტსტალინური პერიოდის საბჭოთა ლიდერები პერიოდულად გამოხატავდნენ ინტერესს ევროპული უსაფრთხოების კონფერენციის მოწყობის მიმართ, რომელიც პოლიტიკური ჩიხიდან გამოიყვანდა კონტინენტს და ნატო-სა და ვარშავის პაქტის ქვეყნებს შორის სამხედრო კონფრონტაციის აღბათობას შეამცირებდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ყოველთვის უარით ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის ამ ინიციატივებს, რადგან მიაჩნდათ, რომ პოლიტიკურ შეთანხმებებს აზრი არ ექნებოდა, ვიდრე ორივე მხარე კონტინენტზე განლაგებულ სამხედრო შეიარაღებას არ

შეამცირებდა. ეს იდეა არ მოსწონდათ მოსკოვში, სადაც შიშობდნენ, რომ საბჭოთა შეიარაღების გაყვანას, შესაძლოა, გარკვეული პოლიტიკური შედეგები მოჰყოლოდა აღმოსავლეთ ევროპაში. 1970-იანი წლების დასაწყისში გლობალური ძალთა ბალანსის კუთხით განვითარებულმა ორმა მოვლენამ, ერთი მხრივ, დასავლეთევროპელ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირს შეუთავსებელი პოზიციების გადახედვისაკენ უბიძგა და მათ სრულიად ევროპული კონფერენციის მოწვევის საშუალება მისცა, რითაც უკვე ორივე მხარე იყო დაინტერესებული. კონტინენტზე სამხედრო შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმების მიმართ დასავლეთ ევროპის ერთუზიანში შეერთებული შტატების ევროპული ვალდებულებების შემცირების შესახებ არსებული ავისმომასწავებელი ტენდენციებით იყო განპირობებული, რაც ვიეტნამში მიღებულ მძიმე გამოცდილებას უკავშირდებოდა. შეერთებული შტატების რეზოლუციამ, რომელიც ევროპიდან ამერიკის შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილის გამოყვანისაკენ მოწოდებას მოიცავდა, საკმარისი მხარდაჭერა მოიპოვა როგორც მოსახლეობაში, ასევე კონგრესშიც, რასაც, ამერიკის სამხედრო კონტინგენტის ევროპაში შემცირების პერსპექტივის გამო, ევროპელთა შემოთება მოჰყვა. ვიეტნამიდან ჯარის გამოყვანის შემდეგ, ამერიკაში საყოველთაო-სამხედრო სამსახურის გაუქმება ევროპაში ამერიკელი სამხედროების რაოდენობის შემცირებას მოასწავებდა, რაც, ორი სამხედრო ალიანსის ძალების თანაბარ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის, ევროპული ქვეყნების მიერ თავდაცვის ბიუჯეტების გაზრდის პოლიტიკურად არაპოპულარულ გადაწყვეტილებას მოითხოვდა. ევროპაში რუსეთის უფრო შემრიგებლური პოზიცია პეკინს უკავშირდებოდა. 1969 წელს რუსეთისა და ჩინეთის საზღვართან მომხდარმა შეჯახებებმა წინა პლანზე წამოწიეს ორ ყოფილ კომუნისტ მოკავშირეს შორის არსებული მწვავე სასაზღვრო დავები. 1971 წელს პრეზიდენტ ნიქსონის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის – ჰენრი კისინჯერის შთამბეჭდავი ვიზიტი ჩინეთში, რუსეთის ხარჯზე ამერიკულ-ჩინური ურთიერთობების გაუმჯობესების ნიშანი იყო. სამხრეთის საზღვარზე მტრულად განწყობილი, დამოუკიდებელი ჩინეთის პერსპექტივის წინაშე მდგარ საბჭოთა კავშირს შეუძლებელი იყო, რომ ევროპის ფლანგზე დეტანტისა და სტაბილურობის სარგებლიანობა არ გაეცნობიერებინა.

კისინჯერის ჩინეთში ვიზიტიდან ორ თვეში ბრეჟნევი, ევროპული უსაფრთხოების შესახებ კონფერენციის (CSCE) მოწვევაზე დასავლეთის თანხმობის სანაცვლოდ, სამხედრო ძალების ორმხრივი და პროპორციული შემცირების (Mutual and Balanced Force Reductions, MBFR) შესახებ კონფერენციაში მონაწილეობას დათანხმდა. ერთწლიანი მოსამზადებელი მოლაპარაკებების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ორმა პარალელურმა კონფერენციამ: ევროპული უსაფრთხოების კონფერენციამ – 1973 წლის 15 იანვარს ჰელსინკიში და სამხედრო ძალების ორმხრივი და პროპორციული შემცირების კონ-

ფერენციამ – ვენაში, 30 ოქტომბერს. კონფერენცია იარაღის შემცირების შესახებ ტექნიკურმა დეტალებმა ჩაითრია და მას შედეგი არ მოჰყოლია. პოლიტიკურმა მოლაპარაკებებმა ჰელსინკიში კი მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს დასავლეთ გერმანიასა და კომუნისტური ქვეყნების ბლოკს შორის ნინასნარი ორმხრივი შეთანხმებების გამო შემზადებული საფუძვლის ნყალობით. მოსკოვს იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთისგან ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკური სტატუსის, მათ შორის აღმოსავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის აღიარებას მიაღწევდა, რაც უკვე დე ფაქტოდ აღიარებული ჰქონდა ბონს „ძირითად შეთანხმებაში“.

ამ სანუკვარი პოლიტიკური მიზნების გარდა, ევროპაში დეტანტისაკენ საბჭოთა კავშირის მისწრაფებას ეკონომიკური შეხედულებებიც მნიშვნელოვნად უმაგრებდა ზურგს: 1970 წლის დეკემბერში პოლონეთში სურსათის ფასების ზრდასთან დაკავშირებულმა არეულობებმა, რომლის გამოც კომუნისტური პარტიის ლიდერს – გომულკას თანამდებობიდან წასვლა მოუწია, საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთევროპულ იმპერიაში ათწლიანი ეკონომიკური უკმაყოფილებით გამოწვეული არეულობები დააგვირგვინა. 1949 წელს მოსკოვმა აღმოსავლეთ ევროპაში ინტეგრირებული ეკონომიკური ბლოკის შესაქმნელად და მარშალის გეგმისა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპირწონედ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (COMECON) დააარსა. თუმცა მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპა 1950-იან წლებში შთამბეჭდავი შედეგებით თანდათან უახლოვდებოდა ნამდვილ ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, მხოლოდ და მხოლოდ, საბჭოთა კავშირისთვის აღმოსავლეთევროპელი სატელიტების ეკონომიკური ცხოვრების კონტროლის გახანგრძლივების საშუალებას წარმოადგენდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა, ყოფილი მონინააღმდეგე სახელმწიფოებისგან რეპარაციების მიღებით, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი სააქციო საზოგადოებების დაარსებითა და ვაჭრობისათვის საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლო მიმართულების მიცემით, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური აღორძინების სამსახურში იყო ჩამდგარი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ზოგიერთი ლიდერი ბედავდა და ასეთი სავაჭრო ურთიერთობებით უკმაყოფილებას გამოხატავდა. კომუნისტური ბლოკის შიგნით გახშირებული ეს უკმაყოფილო ხმები დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკურ სტანგაციას შორის არსებული უთანასწორობის გაცნობიერებას ასახავდა. 1947 წელს მოლოტოვის მიერ მარშალის გეგმასთან დაკავშირებული პარიზის კონფერენციის დატოვებიდან მოყოლებული, 1960-იანი წლების განმავლობაში კრემლი ჯიუტად ამბობდა უარს ერთადერთ აშკარა გამოსავალზე, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის დასავლეთთან ვაჭრობისა და რეგიონში დასავლური ინვესტიციების დაშვებაზე, რადგან საბჭოთა კავშირი შიშობდა,

რომ ეკონომიკური ინტერესების შემოსვლა იდეოლოგიურ დაბინძურებას და შესაბამის პოლიტიკურ არეულობებს გამოიწვევდა. 1970-იანი წლების დასაწყისისათვის კი ბრეჟნევი და მისი თანამოაზრეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და, თავად, რუსეთის მოსახლეობის მზარდი სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთი გზა უცხოური სამრეწველო პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და საინვესტიციო კაპიტალისათვის კარის გახსნა იყო, რომლის მიღება საბჭოთა კავშირს მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებული არაკომუნისტი ქვეყნებისგან შეეძლო.

გარღვევა ევროპული უსაფრთხოების საკითხში

საფრანგეთთან და დასავლეთ გერმანიასთან ვაჭრობისა და ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში დადებულმა შეთანხმებებმა კარი გაუხსნა დასავლეთთან რეგიონის ეკონომიკურ თანამშრომლობას, რასაც, 1975 წლის 1-ელ აგვისტოს, ჰელსინკიში ევროპული უსაფრთხოების ორწლიანი კონფერენციის დასრულებამაც უზარმაზარი ბიძგი მისცა. ამ ისტორიულ დღეს, ოცდაცამეტი ევროპული ქვეყნის (მუდმივად იზოლირებული ალბანეთის გარდა), შეერთებული შტატების და კანადის წარმომადგენლებმა ევროპული უსაფრთხოების კონფერენციის დასკვნით აქტს მოაწერეს ხელი. ამ დოკუმენტის უმნიშვნელოვანესი დებულებები ოფიციალურად აღიარებდნენ ევროპის პოლიტიკურ საზღვრებს (მათ შორის ორი გერმანიის გამყოფ საზღვრებს) და, ამავე დროს, ორ პოლიტიკურ ბლოკს შორის ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების გააქტიურებას და თითოეული ალიანსის მიერ ჩატარებული ფართო სამხედრო წვრთნების შესახებ შეტყობინებასა და დამკვირვებლების გაცვლას ითვალისწინებდნენ. დასავლეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში მოსკოვის დომინაციის ირიბი აღიარების სანაცვლოდ, საბჭოთა კავშირის მხრიდან მთავარ დათმობას წარმოადგენდა შეთანხმება ე.წ. „მესამე კალათის“ შესახებ, რომელიც ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების უზრუნველყოფას ეხებოდა და რომელიც ამით „გათავისუფლებული ევროპის შესახებ იალტის დეკლარაციას“ წააგავდა. ასე დასრულდა ოცდაათი წლის წინ ჰიტლერის მიერ დაწყებული ომი (თუმცა, სამშვიდობო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ფორმულების გარეშე, რადგან ჰელსინკის კონფერენციის ფინალური აქტი, ოფიციალურად, მხოლოდ პოლიტიკურ განზრახვათა განცხადება იყო და არა – იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი). ევროპის პოლიტიკური დაყოფა, რაც ნაცისტურ გერმანიასთან ორ გამარჯვებულ სახელმწიფოს შორის ცივი ომის დაწყების საბაბი გახდა, საბოლოოდ იქნა აღიარებული, როგორც მომხდარი ფაქტი. აღმოსავლეთ ევროპის ბუფერულ ზონაში საბჭოთა კავშირის პირველობისა და გერმანიის გაყოფის საერთაშორისო აღიარებით, მოსკოვმა მოიპოვა

პოლიტიკური უსაფრთხოება, რომელმაც, სამოციან წლებში შეერთებულ შტატებთან მიღწეული სამხედრო პარიტეტიდან გამომდინარე, სამხედრო უსაფრთხოება გაამყარა.

1970-იანი წლების პოლიტიკურ და სამხედრო დეტანტს თან არაფორმალური „ეკონომიკური დეტანტი“ ერთვოდა, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო და ფინანსური კავშირისათვის დაბრკოლებების მოხსნაში გამოიხატა. ევროპის ორ ეკონომიკურ ბლოკად გაყოფამ, რაც ერთსა და იმავე დროს ცივი ომის მიზეზი და შედეგი იყო, ორ მხარეს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას გაუხსნა გზა. დასავლეთევროპული ბანკებიდან ნამოსული სესხები აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკას მონაწყდა, რამაც ამ ქვეყნებს უპრეცედენტო რაოდენობის დასავლური სამომხმარებლო და სამრეწველო პროდუქციის შექენის საშუალება მისცა. იტალიამ რუსეთის შუაგულში „ფიატის“ ქარხანა გახსნა. 1965 წლის 25 ოქტომბერს ხელმოწერილი ხუთწლიანი ხელშეკრულების შედეგად, შეერთებული შტატები რუსეთისთვის ხორბლის მიმწოდებელი მთავარი ქვეყანა გახდა. თუმცა, ორ ბლოკს შორის ევროპაში პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასთან და 1970-ანი წლების პირველ ნახევარში სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე ამერიკულ-საბჭოთა მოლაპარაკებების პროგრესთან ერთად, მსოფლიოს არასტაბილურ რეგიონში – ახლო აღმოსავლეთში – გაუარესებული მდგომარეობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა გაუმჯობესების ტენდენციას საფუძველშივე განადგურებით ემუქრებოდა.

ახლო აღმოსავლეთი, როგორც მუდმივი ცხელი წერტილი


ზესახელმწიფოები ამ მუდმივი ცხელი წერტილით 1950-იანი წლების დასასრულს დაინტერესდნენ. შეერთებული შტატები ცდილობდა, წინ აღდგომოდა საბჭოთა კავშირის მცდელობებს, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, ერთი მხრივ, გაჭიანურებული ევროპული კოლონიალიზმისა და, მეორე მხრივ, პალესტინის ყოფილ ბრიტანულ სამანდატო ტერიტორიაზე დაარსებული ისრაელის მიმართ არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგობა. უკვე ვიხილეთ, როგორ გარდამტეხ ეტაპად იქცა 1956 წლის შემოდგომაზე სუეცის კრიზისი ახლო აღმოსავლეთის საქმეებში უცხო ქვეყნების ჩარევის ისტორიისთვის. რეგიონში გავლენის შენარჩუნების მცდელობაზე შეერთებული შტატების უარის შემდეგ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი იძულებული გახდნენ, მიერთებოდნენ შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომელიც ამ სტრატეგიული მდებარეობისა და მდიდარი ნავთობსაბადოების მქონე რეგიონიდან საბჭოთა კავშირის განდევნას ითვალისწინებდა. ძალაუფლების ამგვარი გადაცემა ფორმალურად აისახა ეიზენჰაუერის დოქტრინაში, რო-

მელიც შეერთებული შტატების უშუალო პასუხისმგებლობად აცხადებდა ახლო აღმოსავლეთის იმ ნებისმიერი სახელმწიფოს დახმარებას, რომელიც საბჭოთა აგრესიის საფრთხის წინაშე მყოფად იქნებოდა მიჩნეული. რამდენადაც საბჭოთა კავშირს ამ რეგიონში სამხედრო გაფართოებისათვის არც სამხედრო საშუალებები ჰქონდა და, რამდენადაც ცნობილია, არც შესაბამისი მისწრაფება, ეიზენჰაუერის დოქტრინა საფუძველს უქმნიდა შეერთებული შტატების ქმედებებს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც მართლაც ჰქონდა, რეგიონში ამერიკისა და მისი ევროპელი მოკავშირეების მეგობარი ქვეყნების ხარჯზე, ექსპანსიის ამბიცია და ეს ქვეყანა ნასერის ეგვიპტე იყო. 1958 წლის ივლისში ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა სამხედრო ინტერვენციით იორდანისა და ლიბანის პროდასავლური რეჟიმები ნასერის მხარდამჭერი სახელმწიფო გადატრიალების საფრთხისგან გადარჩინეს, რომლის მსგავსმა გადატრიალებამ ოდნავ ადრე ბრიტანეთის კლიენტის სახელმწიფოს – ერაყის – მთავრობა დაამხო. ნასერის გაცხადებული მიზანი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ყველა არაბული სახელმწიფოს მისი ლიდერობის ქვეშ გაერთიანება იყო. კომუნისტურ ბლოკთან მისი უფრო და უფრო ახლო კავშირებით კი, ამერიკელების აზრით, შეიძლებოდა საბჭოთა კავშირს ესარგებლა რეგიონში, რომელიც ამერიკისთვის, თანდათან, სასიცოცხლო ინტერესების მატარებელი გახდა.

ეკონომიკური სარგებლის გარდა, რომელიც ნასერმა საბჭოთა კავშირისგან მიიღო – მაგალითად, ასვანის კაშხლის აშენებაში განეული დახმარება, რომელსაც შეწყვეტილი ამერიკული და ბრიტანული დაფინანსება უნდა ჩაენაცვლებინა – რუსეთთან მეგობრობის გაბმით ეგვიპტელი ლიდერი იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირი მას როგორც დიპლომატიურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით, პანარაბული გეგმის ყველაზე დიდი დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარებოდა. ეს დაბრკოლება კი ისრაელის სახელმწიფო იყო. სუეცის კრიზისის შემდეგ, განსაკუთრებით კი ეიზენჰაუერის დოქტრინის გამოქვეყნების შემდეგ, ორი ზესახელმწიფო ირიბად ჩაბმული აღმოჩნდა ებრაულ სახელმწიფოსა და მის არაბ მეზობლებს შორის მწვავე დავაში, რომელიც 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, თანდათან გამწვავდა. საბჭოთა კავშირმა ეგვიპტეს სამხედრო დახმარება აღმოუჩინა და სირიული არმიის გასაწვრთნელად საბჭოთა ოფიცრები მიავლინა. სირია ამ დროს უკვე ანტიდასავლური მმართველი ელიტის მიერ იმართებოდა, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა მოსკოვთან. იმის შიშით, რომ პროკომუნისტური სირია საფრთხეს შეუქმნიდა მიმდებარე იორდანის, ლიბანისა და თურქეთის პრო-დასავლურ რეჟიმებს, ვაშინგტონმა გადანყვიტა, ერთი მხრივ, სამხედრო დახმარება გაენია ამ ქვეყნებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ისრაელში გაეგზავნა დიდი ოდენობით ამერიკული იარაღი, ეგვიპტეში უხვად გაგზავნილი რუსული სამხედრო ტექნიკის დასაბალანსებლად.


ექვსდღიანი ომი და მისი შედეგები

რადგან საბჭოთა კავშირთან დაახლოებამ ახლო აღმოსავლეთის საკითხი ისე ვერ მოაგვარა, როგორც ამას ეგვიპტე და სირია ელოდა, ეს ორი სახელმწიფო სიტუაციის ჩიხიდან გამოყვანას ერთობლივად, ძალის გამოყენებით შეეცადა. საბჭოთა ტანკებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებულმა ნასერმა მოითხოვა და მიაღწია კიდეც, 1956 წლის სუეცის კრიზისის შემდეგ, სინაის ნახევარკუნძულზე ეგვიპტესა და ისრაელს შორის განთავსებული გაეროს სამშვიდობო ძალების გაყვანას. 1967 წლის 22 მაისს მან ისრაელის გემების ნავიგაცია აკრძალა ტირანის სრუტეში, რომელიც წითელ ზღვაში ისრაელის ერთადერთ პორტამდე ვინრო საზღვაო მისასვლელი იყო. ისრაელმა ეს ნაწილობრივი ბლოკადა ომის დაწყებისათვის მზადებად მიიჩნია და 5 ივნისს წინმსწრები იერიში წამოიწყო ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ. ექვსი დღის განმავლობაში ისრაელმა სირიაში დაიკავა გოლანის სიმაღლეების სტრატეგიული ბუფერული ზონა, ეგვიპტეში – მთელი სინაის ნახევარკუნ-



1967 წლის 9 ივნისი, ეგვიპტის დამამცირებელი მარცხი ექვსდღიან ომში: ისრაელის ქვეითთა მექანიზებული კოლონა სინაის ფრონტს უახლოვდება, ხოლო მათ სატვირთო მანქანას საცვლებში გამოწყობილი ეგვიპტელი სამხედრო ტყვეები საპირისპირო მიმართულებით გადაჰყავს. ეგვიპტის სამხედრო ძალები სინაის ნახევარკუნძულზე ოთხ დღეში დამარცხდნენ, მას შემდეგ, რაც 5 ივნისს ისრაელის ბომბდამშენებმა ეგვიპტის საჰაერო ძალების სამასი თვითმფრინავი გაანადგურეს.

ძული, სუეცის არხის აღმოსავლეთი სანაპიროს ჩათვლით და ასევე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო, მათ შორის იერუსალიმის (რომელიც 1948-1949 წლების ომის დროს გაიყო) იორდანული სექტორი. სამი მიმართულებით განხორციელებული ერთი დარტყმით ისრაელმა ყველაზე გაბედული მონი-ნააღმდეგეების სამხედრო ძალები გაანადგურა და ყველა მხარეს გაიფართო-ვა საზღვრები. ამ ახლადმიმატებულ ტერიტორიებს ისრაელი ათლწეულის განმავლობაში ჯიუტად არ უშვებდა ხელს გაეროს უშიშროების საბჭოს 22 ნოემბრის 242 რეზოლუციის მიუხედავად, რომელიც ისრაელს მოუწოდებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ოკუპირებული ტერიტორიები მოსაზღვრე არაბუ-



ახლო აღმოსავლეთი ცივი ომის დროს

ლი სახელმწიფოების გარანტიების სანაცვლოდ, რომ ისინი აღიარებდნენ მის სუვერენიტეტს საიმედოდ დაცული საზღვრების შიგნით და უზრუნველყოფდნენ მისი ნაოსნობის თავისუფლებას საერთაშორისო წყლებში.

1967 წლის ექვსდღიანი ომი საბჭოთა კავშირისა და ახლო აღმოსავლეთში მისი ორი კლიენტი სახელმწიფოსათვის დამამცირებელი დარტყმა იყო. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მოსკოვის, როგორც საიმედო და ეფექტური პროტექტორის, სანდოობა. მისმა იარაღმა ეგვიპტეში და სამხედრო მრჩეველებმა სირიაში ვერ შეძლეს შეეკავებინათ ისრაელის არმია სამ ფრონტზე, რომელსაც ისინი რაოდენობითაც სჭარბობდნენ. შეერთებულ შტატებს, რომლის ყურადღება ვიეტნამის ომზე იყო გადატანილი, არ სურდა ახლო აღმოსავლეთის დავაში ჩაბმა. თუმცა, ისრაელისათვის შეერთებული შტატების მიერ ადრე განეული სამხედრო დახმარება საკმაოდ ზუსტად მიუთითებდა, თუ ვისკენ იხრებოდა მისი სიმპათია, ისევე, როგორც 1967 წლის დეკემბერში ისრაელისათვის ხმაურით გადაცემული ორმოცდაათი ამერიკული Phantom F-4 გამანადგურებელი, მაშინ, როცა ეგვიპტესა და სირიას ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოშუშებული იმავე წლის ივნისში მიყენებული ჭრილობები.

არაბული სახელმწიფოების ნახევარმა, ექვსდღიანი ომის დროს, ვაშინგტონთან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტა, ხოლო რამდენიმე მათგანმა, ამერიკელების მხრიდან საძულველი „სიონისტური წარმონაქმნის“ მხარდაჭერის საპასუხოდ, დაუყოვნებლივ მიანიჭა საბჭოთა კავშირს მათი პორტებით სარგებლობის უფლება. 1970 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა ეგვიპტეს „ზედაპირი-ჰაერის“ ტიპის სამასამდე საზენიტო რაკეტა გადასცა ისრაელის სამხედრო-საჰაერო უპირატესობის დასაძლევად, რომელიც აშკარად გამოჩნდა სამი წლით ადრე მომხდარი ომისა და, უფრო მოგვიანებით, სუეცის არხში ისრაელის რეიდებისას. მოსკოვმა ეგვიპტის განადგურებული არმიის რეორგანიზაციისათვის კაიროში ოცდაერთი ათასი მრჩეველიც მიავლინა. რუსეთის დაფინანსებული ასეანის კაშხლის დასრულებას 1971 წელს საბჭოთა კავშირის მხრიდან ეკონომიკური დახმარების ახალი ტალღა მოჰყვა. საპასუხოდ, საბჭოთა კავშირმა ეგვიპტის სამხედრო აეროდრომებითა და სამ პორტში საზღვაო ნაგებობებით სარგებლობის უფლება მიიღო, სადაც ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლოტი განათავსა. 1971 წლის 28 მარტს ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა, რომელმაც 1970 წლის სექტემბერში, ნასერის სიკვდილის შემდეგ, ჩაიბარა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი, საბჭოთა კავშირთან თხუთმეტწლიანი მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა იმ იმედით, რომ მოსკოვისგან უახლესი იარაღის უფრო მეტი რაოდენობას მიიღებდა, რაც მის ქვეყანას 1967 წელს დაკარგული სინაის ტერიტორიის ძალით დაბრუნების საშუალებას მისცემდა.

ამ მხრივ, ეგვიპტეს ისეთივე დიდი იმედგაცრუება ელოდა, როგორც ისრაელს, რომელმაც ვაშინგტონისგან ახლადგაფართოებული საზღვრე-

ბის უპირობო მხარდაჭერა ვერ მიიღო. ორივე ზესახელმწიფო მოთმინებით ცდილობდა, ახლო აღმოსავლეთში მათი პროტყეუები იარაღის მიყიდვაზე შეზღუდვების დაწესებით მოეთოკა და ორმხრივად მისაღები გამოსავლის გამოსანახად წაექეზებინა. არც შეერთებულ შტატებს და არც საბჭოთა კავშირს არ სურდა ჩაბმულიყო ამ არასტაბილური რეგიონის კონფრონტაციაში იმ დროს, როდესაც ნიქსონიცა და ბრეჟნევიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში დაძაბულობების განმუხტვას ერთად ცდილობდნენ. თუმცა, არცერთს არ შეეძლო ახლოაღმოსავლელი კლიენტი სახელმწიფოების გაკონტროლება, რადგან როგორც კაიროსთვის, ასევე იერუსალიმისთვის ფსონები ამ რეგიონულ კონფლიქტში ძალიან გაზრდილიყო. სადათს ისრაელის წინააღმდეგ სამხედრო წარმატება სჭირდებოდა, რათა სინაიზე დაკარგული ტერიტორიის ნაწილი მაინც დაებრუნებინა, რაც ქვეყნის შიგნით მის დაცემულ პოპულარობას გაზრდიდა და საშუალებას მისცემდა ეგვიპტის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობიდან მოსახლეობის ყურადღება გადაეტანა. უნდობლობა და შიში საფუძვლად ედო ისრაელის უარს, წასულიყო ნებისმიერ დათმობაზე, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მის მიერ ახლახან დაკავებულ ტერიტორიას. პირიქით, დგებოდა ამ ტერიტორიის ებრაელებით დასახლების გეგმები, რასაც არაბული სახელმწიფოების მიერ დე ფაქტო ანექსიის დაწყებად აღიქმებოდა.

ეგვიპტესა და ისრაელს შორის დაძაბულ ურთიერთობას, რომელიც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში სუეცის არხის გარშემო პერიოდული შეხლა-შემოხლით ხასიათდებოდა, კიდევ უფრო აუარესებდა ქვეყნის გარეშე დარჩენილი 2.75 მილიონი პალესტინელი არაბის მდგომარეობა, რომელთა ნახევარი 1948-1949 წლის ომის დროს ებრაულ სახელმწიფოს მიკუთვნებული ტერიტორიიდან იყო. ისრაელის მთავრობამ, ზავის ხელშეკრულების დადების შემდეგ, უარი განაცხადა მათ რეპატრიაციაზე, რადგან არ სურდა, რომ ისრაელის მიერ უკვე საკუთარ მიწად მიჩნეულ ტერიტორიაზე რაოდენობრივად ებრაელებზე უფრო მრავალრიცხოვანი, მილიონამდე უკმაყოფილო არაბი დაბრუნებულიყო. ვინაიდან არცერთ მეზობელ არაბულ სახელმწიფოს არ შეეძლო ამ ხალხისთვის მუდმივი თავშესაფრის მიცემა, ეს ბედკრული ადამიანები „დროებით“ განთავსდნენ ლიბანის, სირიის, იორდანის და მაშინ ეგვიპტის კონტროლის ქვეშ მყოფ ღაზას სექტორში, სადაც ისინი სილატაკითა და უსაქმობით იტანჯებოდნენ. მათ შორის პოლიტიკურად ყველაზე აქტიურმა ნაწილმა 1964 წელს პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია (PLO) ჩამოაყალიბა, რომელიც 1970-1971 წლებამდე იორდანის ტერიტორიიდან იმართებოდა. ამის შემდგომ ისინი ქვეყნიდან განდევნეს იორდანის მეფე ჰუსეინის სამხედრო ძალებმა, რომელსაც ეშინოდა, რომ მის ქვეყანაში პალესტინელები მალე უმრავლესობას შეადგენდნენ. 1970-იანი წლების დასაწყისში პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ მოღვაწეობა

ლიბანიდან განაგრძო, ხოლო მისი მეზობლები, პალესტინელთა მძიმე მდგომარეობაზე მსოფლიოს ყურადღების მისაქცევად, სათავეში ედგნენ ისეთ ტერორისტულ აქტებს, როგორც იყო თვითმფრინავების გატაცება და 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, მიუნხენში, ებრაელი სპორტსმენების დახოცვა.

სადათის ავანტიურა: იომ კიპურის ომი და მისი შედეგები

სადათმა ვერ მიიღო საბჭოთა კავშირისგან ის თავდასხმითი შეიარაღება, რომელიც ეგვიპტეს ისრაელთან მიმართებაში სამხედრო უპირატესობას მიანიჭებდა, რის გამოც მან თავის არცთუ ისე დამთმობ მფარველთან დაპირისპირება გადაწყვიტა. 1972 წლის 18 ივლისს, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გამართულმა ნიქსონ-ბრეჟნევის მოლაპარაკებებმა დაადასტურა მოსკოვის ერთგულება აღმოსავლეთ-დასავლეთის დეტანტისადმი ახლო აღმოსავლეთის პერიფერიულ რეგიონებში თავისი კლიენტი სახელმწიფოების ხარჯზე, გაბრაზებულმა ეგვიპტელმა მმართველმა ქვეყნიდან საბჭოთა მრჩეველების დიდი ნაწილის გაძევების ბრძანება გასცა. როდესაც ამგვარად დასჯილმა კრემლმა ეგვიპტისთვის აღნიშნული შეიარაღების მიწოდება მაინც გადაწყვიტა, ეგვიპტელი ლიდერი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ახალი შეიარაღებული კონფლიქტის წამოწყება, რათა ზესახელმწიფოები ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში ჩაება, რაც ეგვიპტეს დაკარგულ სინაის ტერიტორიას დაუბრუნებდა. შესაბამისად, 1973 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ებრაელთა იომ კიპურის რელიგიურ დღესასწაულზე, ეგვიპტე, სირიასთან ერთად, მოულოდნელად თავს დაესხა ისრაელს. ეგვიპტურმა სამხედრო ძალებმა სუეცის არხი გადაკვეთეს და სინაის ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ, სადაც გაშმაგებული ქვეითი და საარტილერიო შეტევით ისრაელის ბარლევის თავდაცვითი კედელი გაარღვიეს. პარალელურად, რეაასი ტანკით შეიარაღებული სირიის არმია გოლანის მაღლობს შეესია, რომლის ქვემოთ ებრაელთა დასახლებები მდებარეობდა. ორკვირიანი ბრძოლების შემდეგ, ისრაელის არმიამ საპასუხო თავდასხმა წამოიწყო სირიაში და დამასკომდე ოცი მილის მანძილამდე მიაღწია, ხოლო არმიის მეორე ნაწილი სუეცის არხის დასავლეთ სანაპიროზე განლაგდა, სადაც ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მესამე არმია სინაიზე, სუეცის არხის აღმოსავლეთით, ალყაში მოაქცია, წაართვა მას მომარაგების წყარო და უკან დასაბრუნებელი გზაც გადაუჭრა.


იმის მიუხედავად, რომ არც ვაშინგტონს და არც მოსკოვს არ სურდა ახლო აღმოსავლეთის კიდევ ერთ დაპირისპირებაში ჩართვა, რასაც ნიქსონისა და ბრეჟნევის შეკონინებული დეტანტის მყიფე სტრუქტურის საფუძვლიანად შერყევა შეეძლო, არცერთ მათგანს არ სურდა კლიენტ სახელმწიფოებს შორის ატეხილ ომში დამარცხებულ მხარეს ყოფნა. შესაბამისად, თითოეული მათგანი თავისი კლიენტი სახელმწიფოს იარაღით მომარაგებას შეუდგა და,

ამავე დროს, ორივე ამოდ ცდილობდა გაეროში სამშვიდობო ხელშეკრულებაზე შეთანხმების მიღწევას. როდესაც 16 ოქტომბერს, ისრაელის არმიის მიერ სუეცის არხის გადაკვეთის შემდეგ, ეგვიპტელების მარცხი გარდაუვალი გახდა, კრემლი დათანხმდა სადათის თხოვნას, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ერთად მოეხდინათ მეომარი მხარეების დაშორისშორება. ნიქსონმა კატეგორიული უარი თქვა შეერთებული შტატებისათვის ასეთი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის რეგიონში უპრეცედენტო რაოდენობის რუსული სამხედრო ძალის განთავსებაზე, რის შემდეგაც კრემლმა განაცხადა, რომ ის ცალმხრივად შეიყვანდა თავის ჯარებს რეგიონში. პასუხად, ნიქსონმა მსოფლიოს მასშტაბით განლაგებული ამერიკული სამხედრო ძალები ბირთვული განგაშის მდგომარეობაში გადაიყვანა და კრემლმაც დაუყოვნებლივ მიბაძა მას. მცირე ხნით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვის სურვილი, გამოეყენებინა არაბ-ისრაელის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში მყარი საყრდენის მოსაპოვებლად და შეერთებული შტატების მტკიცე გადაწყვეტილება, არ დაეშვა მსოფლიოს ძალთა ბალანსში ასეთი რადიკალური ცვლილება, ორივე ზესახელმწიფოს მიერ ნიქსონ-ბრეჟნევის დეტანტის პოლიტიკის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს გადაწონიდა. არაბ-ისრაელის მეოთხე ომი გლობალურ კონფრონტაციად გამწვავებისგან გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 22 ოქტომბერს მიღებულმა კომპრომისულმა რეზოლუციამ იხსნა, რომელიც ცეცხლის შეწყვეტაზე მეთვალყურეობისთვის გაეროს შეიდიათასკაციანი საგანგებო ძალების შექმნას ითვალისწინებდა. 1973 წლის დეკემბერში ისრაელმა და არაბულმა სახელმწიფოებმა, ზესახელმწიფოების მხრიდან სერიოზული ზენოლის შედეგად (და ამერიკელებისა და საბჭოელების მონაწილეობით) ყენევაში გამართულ სამშვიდობო კონფერენციაზე, ოცდახუთი წლის განმავლობაში პირველად, პირისპირ მოლაპარაკებები გამართეს. ამის შემდეგ, ამერიკის ენერგიული სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ორი წლის განმავლობაში, პერიოდულად, რიგრიგობით სტუმრობდა თელ-ავივსა და კაიროს, რათა ისრაელისა და ეგვიპტის პოზიციები დაეახლოებინა და, ამავე დროს, შეემცირებინა საბჭოთა კავშირის როლი მოლაპარაკებების პროცესში. 1975 წლის სექტემბერში მხარეებმა ბოლოსდაბოლოს მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის ნაწილობრივ გასვლას სინაიდან ბუფერული ზონის შესაქმნელად, სადაც ამერიკელი და გაეროს დამკვირვებლები განლაგდებოდნენ, რომლებიც ტექნიკური აღჭურვილობის საშუალებით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევებს გამოავლენდნენ. საბჭოთა კავშირმა არ აღიარა არაბ-ისრაელის კონფლიქტის, ამერიკელების მიერ ორგანიზებული, ეს შუალედური შეთანხმება, თუმცა, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში ჩარევისაგან თავი შეიკავა. ამრიგად, ზესახელმწიფოებს შორის არსებულმა დეტანტმა პირველ გამოცდას გაუძლო, ხოლო ახლო აღმოსავლეთის

სტაბილურობის პერსპექტივა, 1970-იანის წლების შუაში, უფრო იმედის მომცემად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე.

შეერთებული შტატებისა და მისი კლიენტი ისრაელისათვის ოქტომბრის ომის აშკარად დამაკმაყოფილებელი შედეგების მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთმა, ბოლო სამხედრო დაპირისპირებისას, მთელი მსოფლიოსთვის ახალი, უფრო ავებელითი განზომილება შეიძინა. ომის განმავლობაში დაკარგული ტანკებისა და თვითმფრინავების ჩასანაცვლებლად, ამერიკის მიერ ისრაელისთვის სამხედრო ტექნიკის საპაერო გზით მიწოდებაზე საპასუხოდ, არაბულმა ნავთობმწარმოებელმა სახელმწიფოებმა შეერთებული შტატებისთვის ნავთობპროდუქტების მიწოდებაზე ხუთთვიანი ემბარგო დაანესეს, რამაც სანავის დეფიციტი და, შესაბამისად, ამერიკის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიწვია. ბენზინგასამართ სადგურებთან გაჩენილ გრძელ რიგებზე უფრო სერიოზული იყო ის ძლიერი შოკი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკამ ნავთობმწარმოებელი ქვეყნების კარტელის – ნავთობექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის, ოპეკის (OPEC) – მიერ 1973-1975 წლებში ნავთობის ფასების ოთხჯერ გაზრდის შედეგად განიცადა.

ნავთობის ემბარგომ და ფასების მკვეთრმა ზრდამ მსოფლიოს ინდუსტრიალიზებული ქვეყნები (შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპა და იაპონია) უპრეცედენტო ეკონომიკური ომის წინაშე დააყენა, რომელსაც განვითარებადი მსოფლიოს ლარიბი ქვეყნების კოალიცია აწარმოებდა. ოპეკის უნარმა, საკუთარი სურვილისამებრ გაეზარდა ყველასათვის ძვირფასი პროდუქტის ფასი, აშკარა გახადა ინდუსტრიული სახელმწიფოების დაქვემდებარება ენერჯის უცხოურ წყაროებზე: შეერთებული შტატები 1970-იან წლებში ნავთობის 40%-ის მოთხოვნილებას უცხოური იმპორტის გზით იკმაყოფილებდა, ხოლო დასავლეთ ევროპა და იაპონია უცხოური წყაროებიდან ნავთობის 80%-ს იღებდნენ. როგორც პირველმა სასაქონლო კარტელმა, რომელიც თავის ნედლეულ ქონებას ეფექტურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ იარაღად იყენებდა, ოპეკმა შექმნა პრეცედენტი, რომლისთვისაც, შესაძლოა, პირველადი რესურსების მწარმოებელ სხვა ქვეყნებსაც მიემართათ. ჩრდილოეთის ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები დამოკიდებული იყვნენ სამხრეთის არაინდუსტრიალიზებულ ქვეყნებზე მათთვის აუცილებელი, არაერთი ნედლეული რესურსის მთლიანი მოცულობის ნახევრის დასაკმაყოფილებლად: ეს რესურსები იყო: კობალტი, სპილენძი, ქრომი, მარგანეცი, ვოლფრამი, კალა, ალუმინის მადანი, ალუმინი და სხვა, რომელთა გარეშე მათ ეკონომიკურ კეთილდღეობას ბოლო მოეღებოდა. მესამე სამყაროს პირველადი რესურსების მწარმოებელი ქვეყნების შესაძლო კარტელების აჩრდილი, რომლებიც, მსოფლიოში სიმდიდრის იძულებით გადანაწილების მიზნით, აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს რესურსებზე საკუთარ ფასებს უკარნახებდნენ მსოფლიოს, მოსვენებას უკარგავდა არაკომუნისტური ინდუსტრიალიზებული სამყაროს ლი-



სანავის კრიზისი ნავთობის ემბარგოს დროს, 1973 წლის შემოდგომა: ნავთობის მწარმოებელი არაბული ქვეყნების მიერ დაწესებულმა ემბარგომ, სასიცოცხლო ეკონომიკური რესურსების მონოდების პოლიტიკურად მოტივირებული კრიზისების მიმართ, შეერთებული შტატების დაუცველობა გამოააშკარავა. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის – ოპეკის (OPEC) მიერ ნაკარნახევმა ნავთობის ფასების ზრდამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე ღრმა ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია.


დერებს. დასავლეთ ევროპაში შემკრთალი განცხადებები გაისმა ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ინდუსტრიალიზებულ და პირველადი რესურსების მწარმოებელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური პროდუქციის გაცელის მონესრიგებულ პროცედურებს დაანესებდა. სხვები, განსაკუთრებით შეერთებული შტატების სამხედრო სტრატეგები, ხაზს უსვამდნენ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსებამდე მისასვლელ-

ლი საზღვაო გზების დაცულობის აუცილებლობასა და მზარდი ამერიკული სამხედრო დახმარებისა და პროტექციის გზით იმ სახელმწიფოთა რეჟიმების პროდასავლური ორიენტაციის უზრუნველყოფას, რომლებიც ამ გზებს აკონტროლებდნენ.

1970-იანი წლების შუაში ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის კონფრონტაცია თავიდან იქნა აცილებული საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილების გამო, რომელმაც, ისრაელსა და ეგვიპტეს შორის შეთანხმების მიღწევისათვის, შეერთებული შტატების ცალმხრივ მცდელობებში ჩარევისაგან თავი შეიკავა. როგორც აღმოჩნდა, ევროპაში დაძაბულობების შემცირებასა და სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის შესახებ ახლადმიღწეულ შეთანხმებასთან ერთად, ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის, როგორც კიდევ ერთი ფაქტორის, მნიშვნელობა ორივე ზესახელმწიფომ გააცნობიერა. მოსკოვი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევაში ვაშინგტონის ცალმხრივ როლს შეეგუა, ხოლო შეერთებულმა შტატებმა თავისი კლიენტი ისრაელის სახელმწიფო ეგვიპტის ტერიტორიის დათმობისაკენ წააქეზა, რომელსაც ის ეგვიპტელი მონინააღმდეგისგან უსაფრთხოების გარანტიების მიღების სანაცვლოდ იყენებდა.



ჩინეთის აღმასვლა და ცივი ომი აზიაში



მაო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებას აცხადებს, 1949 წლის 1 ოქტომბერი: ტიანანმენის სასახლიდან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის ხალხის მასების წინაშე გამოსვლის მხატვრული ასახვა. ტიანანმენის მოედანი. ჩან კაი შის ჩინეთის ნაციონალისტური რეჟიმის სამხედრო ძალები ჩინეთის სამოქალაქო ომში სრული მარცხის წინაშე იდგნენ. ჩანი და მისი მთავრობა მალე ტაივანის კუნძულზე გადავიდნენ, სადაც მონიწაალმდევე „ჩინეთის რესპუბლიკის“ რეჟიმი დააარსეს.

თავის შინაარსი

კომუნისტების გამარჯვება ჩინეთის სამოქალაქო ომში

შეპირებული შტატების ხელახალი ჩართვა შორეულ აღმოსავლეთში

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი: თანამშრომლობიდან მტრობამდე

ინდოჩინეთის ოცდაათწლიანი ომი

ჩინეთ-ამერიკის დაახლოება (1969-1975)

კომუნისტების გამარჯვება ჩინეთის სამოქალაქო ომში

1945 წლის აგვისტოში იაპონიის იმპერიის სრულმა მარცხმა აზიაში ძალაუფლების უზარმაზარი ვაკუუმი დატოვა, რომელიც, სამი თვით ადრე, გერმანიის კაპიტულაციის შედეგად ევროპაში შექმნილ ვაკუუმს ნააგავდა. თუმცა, მოკავშირეების სამხედრო გამარჯვების პოლიტიკური შედეგები შორეულ აღმოსავლეთში ევროპის ომისშემდგომი ვითარებისგან ერთი უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისით განსხვავდებოდა: შეერთებულმა შტატებმა წყნარი ოკეანის რეგიონში ომი თითქმის მარტომ აწარმოა და მტრის კაპიტულაციას საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარების გარეშე მიაღწია. ვიდრე წითელი არმია აზიის კონტინენტზე (მანჯურია და ჩრდილოეთ კორეა) და კონტინენტის მიმდებარე კუნძულებზე (კურილის კუნძულები და სახალინის სამხრეთი ნაწილი) მისთვის განკუთვნილ საოკუპაციო ზონებში კონტროლის გამყარებას დაიწყებდა, შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების გაბატონება იაპონიის ყოფილი აღმოსავლეთაზიური იმპერიის დანარჩენ ნაწილში უკვე უზრუნველყოფილი იყო. გენერალ დუგლას მაკარტურის მეთაურობით ამერიკულმა არმიამ იაპონიის კუნძულების სამხედრო ოკუპაცია და პოლიტიკური ადმინისტრირება ცალმხრივად მოახდინა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის თხოვნისა, რომ მასაც მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში. ბრიტანული, ფრანგული და ჰოლანდიური სამხედრო ძალები დაუბრუნდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იმპერიის ძველ ავანპოსტებს კოლონიური ძალაუფლების აღსადგენად ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მისანიჭებლად მემკვიდრე რეჟიმებისთვის, რომლებსაც არაკომუნისტი, პროდასავლური ელიტები აკონტროლებდნენ.

1945 წელს აღმოსავლეთ აზიაში დასავლური ძალაუფლების აღდგენა აბრკოლებდა სტალინის შესაძლო ამბიციებს იაპონიის ბატონობისგან ახლახან გათავისუფლებულ, მრავალრიცხოვნად დასახლებულ და ეკონომიკურად ღირებულ რეგიონზე საბჭოთა გავლენის გავრცელების შესახებ. შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის ომისშემდგომი წარუმატებლო-

ბებიდან განსაკუთრებით თვალში საცემი გამონაკლისი 1949 წლის ოქტომბერში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის – მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედით დასახლებული კომუნისტური სახელმწიფოს – დაარსება იყო, რომელიც მალევე იქცა საბჭოთა კავშირის სამხედრო მოკავშირედ და ამ უკანასკნელისგან ეკონომიკური დახმარების მიმღები გახდა.

1949 წლის ბოლოს ჩინეთში კომუნისტური მმართველობის დამყარებით დასრულდა სამოქალაქო ომი, რომელიც 1927 წლიდან ჩან კაი-შის პროდასავლურ მთავრობასა და პროვინციებში ორგანიზებული კომუნისტების პარტიზანულ მოძრაობას შორის დროგამოშვებით იმართებოდა. ვინაიდან ჩინეთში კომუნისტების გამარჯვება ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის მიერ ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალებიდან და ბერლინიდან დასავლელი მკავშირეების გაძევების მცდელობიდან ერთი წლის შემდეგ მოხდა, ვაშინგტონში პეკინის ახალ რეჟიმს ბევრი საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ევროპის სატელიტური იმპერიის აზიურ ვარიანტად აღიქვამდა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც სამოქალაქო ომის დროს კომუნისტ პარტიზანებთან ერთად შენსის პროვინციის ქალაქ იენანში გარკვეული პერიოდი ჰქონდათ გატარებული, კარგად ესმოდათ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც სრულიად უგულებელყოფილი იყო ოფიციალური ვაშინგტონისა და ამერიკული საზოგადოებრივი აზრის მიერ 1950-იან წლებში გავრცელებული ანტიკომუნისტური განწყობების ფონზე. მათ იცოდნენ, რომ ეს მოძრაობა თავისი შინაარსით სრულიად ადგილობრივ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის იდეოლოგიური სიახლოვე და მატერიალური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირზე მინიმალური იყო და რომლის პოლიტიკური ურთიერთობები კრემლთან და მის წარმომადგენლებთან აზიაში დიდი ხნის განმავლობაში დაძაბულობითა და სირთულეებით ხასიათდებოდა.

ასეთი დასკვნის გაკეთებას გარდაუვალს ხდიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ისტორია 1930-იანი წლების შუახნიდან 1949 წლის შთამბეჭდავ ტრიუმფამდე. ეს ისტორია სავსე იყო იდეოლოგიური და ტაქტიკური უთანხმოებების მაგალითებით ჩინელ თავდადებულ რევოლუციონერებსა და კომინტერნის აგენტებს შორის, რომელთაც იქ მოსკოვი აგზავნიდა საბჭოთა ყაიდის ამბოხების ორგანიზებისთვის. ამ უთანხმოებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იდეოლოგიური წინააღმდეგობრიობა ქალაქურ მუშათა კლასის რევოლუციურ როლზე მარქსისტულ-ლენინურ აქცენტსა და ჩინეთის კომუნისტი ლიდერების მიერ ჩინურ პრეინდუსტრიულ საზოგადოებაში – სადაც ქარხნებში ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანი მუშაობდა – უმინო გლეხობის რევოლუციური პოტენციის გაცნობიერებას შორის. ლენინი, იმის მიუხედავად, რომ თავისი რევოლუციის წარმატების უზრუნველყოფისათვის რუსეთის სოფლის გაღატაკებულ მასებს ეყრდნობოდა, გლეხობას რევოლუციაში მეორეხარისხოვან ძალად მიიჩნევდა. საბჭოთა კომინტერნის აგენტე-

ბი ჩინეთში და მათი პროტეჟეები ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში 1920-იან წლებში მთელ ენერჯიას მშრომელთა მოძრაობის ორგანიზებას ახმარდნენ, რასაც ქალაქებში მუშათა აჯანყება უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ, ჩინეთში მუშათა აჯანგარდი მუშებისაგან არ შედგებოდა. ეს გაკვეთილი ჩინეთის კომუნისტურ მოძრაობას 1927 წელს დიდი ფასი დაუჯდა, როდესაც, რუსი კონსულტანტების რჩევით, მათ რამდენიმე ქალაქში პროლეტარული ამბოხება მოაწყვეს, რომელიც მთავრობამ იოლად ჩაახშო. იმავე წელს ბრწყინვალე კომუნისტმა ორგანიზატორმა მაო ძე დუნმა დამოუკიდებლად დაასკვნა, რომ მის ქვეყანაში სოციალური რევოლუციის მოწყობის ერთადერთი გზა ასობით მილიონი ჩაგრული გლეხის მობილიზება იყო მათი მჩაგვრელი მინათ-მფლობელებისა და მათ უკან მდგარი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის წინააღმდეგ. 1930-იანი წლების შუამდე მათ საკუთარ ხელში აიღო ჩინეთის კომუნისტური პარტიის აპარატის კონტროლი. იმის მიუხედავად, რომ მათ თავს იკავებდა საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის ჩინეთის განსაკუთრებულ პირობებში გამოყენება საჯაროდ კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებინა, მან კომუნიზმის ჩინური ვარიანტის საკმაოდ დამოუკიდებელი კურსი დასახა. ჩინეთის კომუნისტი ლიდერის ასეთი პოზიცია ანათემას უდრიდა სტალინისთვის, რომელიც მიჩვეული იყო უცხო ქვეყნის კომუნისტ ლიდერებს, რომლებიც, თანამდებობების კუთხით, სრულიად დამოკიდებული იყვნენ კრემლზე და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში სტალინის აბსოლუტურ ავტორიტეტსაც იზიარებდნენ.

მოსკოვის კომუნისტურ რეჟიმსა და ჩინეთის სოფლად ორგანიზებულ კომუნისტურ რევოლუციურ მოძრაობას შორის უთანხმოების მთავარ წყაროს წარმოადგენდა სტალინის გადანყვეტილება, მეგობრული ურთიერთობები შეენარჩუნებინა ჩინეთის მთავრობასთან, რომლის დასამხობადაც მათ მოძრაობა იბრძოდა. ჩინეთის მგზნებარედ ანტიკომუნისტი ლიდერით – ჩანით – სტალინის დაინტერესება 1930-იან წლებში ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობდა, კერძოდ, ორივე ავტოკრატს ანუხებდა ის მზარდი სამხედრო საფრთხე, რომელსაც იაპონია წარმოადგენდა მათი ქვეყნებისათვის. 1937-1945 წლებში ჩინეთის წინააღმდეგ იაპონიის გამოუცხადებელი ომის დროს, საბჭოთა კავშირი დიდ ზენოლას ახდენდა ჩრდილოეთ შენსის პროვინციაში გამაგრებული ჩინელი კომუნისტი პარტიზანების მოძრაობაზე, დაეცვათ დროებითი ზავი ჩანის ნაციონალისტურ მთავრობასთან, უცხოელ დამპყრობელთან ერთიანი ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე. კრემლმა მნიშვნელოვანი სამხედრო და ფინანსური დახმარება გაუწია ჩინეთის ნაციონალისტურ ძალებს და დაარწმუნა მათ, რომ მისი წითელი არმია ჩინეთის მთავრობის ნომინალური იურისდიქციის ქვეშ მოეთავსებინა. 1945 წელს იაპონიის საფრთხის გაქრობას სტალინის ენთუზიაზმი არ გაუწელებია. მან ჩანის მთავრობასთან გულითადი ურთიერთობებიც განაგრძო და ჩინეთის


კომუნისტური მოძრაობის მხარდაჭერაც გაზარდა. 1945 წლის 14 აგვისტოს, იაპონიის მიერ კაპიტულაციის პირობების დათანხმებამდე ერთი დღით ადრე, საბჭოთა კავშირმა ჩინეთის ნაციონალისტურ მთავრობასთან მეგობრობისა და ალიანსის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ პაქტით სტალინმა ჩანის რეჟიმი ჩინეთის ლეგიტიმურ მთავრობად აღიარა და, მანჯურიის რკინიგზისა და დაირენის (დალნის) პორტის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მიერ ერთობლივი მართვისა და პორტარტურში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობის სანაცვლოდ, ჩინეთის მხარეს სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აღუთქვა. მოსკოვმა დაჟინებით მოსთხოვა ჩინელ კომუნისტებს, დაეშალათ მათი დამოუკიდებელი, სამხედრო აპარატი და ნაციონალისტებთან პოლიტიკური კოალიცია შეექმნათ. მას შემდეგ, რაც 1946 წელს რუსეთის სამხედრო ძალებმა მანჯურიის ევაკუაცია მოახდინეს (და თან გაიყოლეს მთელი სამრეწველო დანადგარები, რომელიც გადატანას ექვემდებარებოდა), ნათელი გახდა, რომ მოსკოვი ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა ჩინეთის სამოქალაქო ომის დაპირისპირებულ მხარეებს, რათა ერთი პოლიტიკური მმართველობის ქვეშ ერთიანი ჩინეთის ჩამოყალიბებისათვის შეეშალა ხელი. შესაბამისად, საბჭოთა საოკუპაციო ძალებმა იაპონელებისთვის ჩამორთმეული იარაღი მათს კომუნისტ პარტიზანებს გადასცეს, ხოლო, მეორე მხრივ, დამორჩილდნენ ჩანის თხოვნას, რომ საბჭოთა ძალები დარჩენილიყვნენ რეგიონში მანამ, ვიდრე იქ, კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში აღების თავიდან ასაცილებლად, ნაციონალისტთა საკმარისი რაოდენობის სამხედრო ძალები მოგროვდებოდნენ.

ჩინეთის სამოქალაქო ომის მიმართ მოსკოვის ორაზროვანი პოლიტიკა 1946 წელს სამხედრო მოქმედებების განახლების შემდეგაც გაგრძელდა, როდესაც გენერალ ჯორჯ მარშალის ამერიკული საშუამავლო მისია წარუმატებლად დასრულდა. როდესაც 1948 წელს ჩრდილოეთ ჩინეთის ნაციონალისტურმა არმიამ კომუნისტების შეტევის შედეგად მარცხი განიცადა, სტალინმა მათს უშედეგოდ მოსთხოვა მდინარე იანძზე სამხედრო იერიშის შეწყვეტა, რათა ჩანის სამხედრო ძალებს თავმოყრისა და სამხრეთ ჩინეთში არაკომუნისტური ანკლავის შექმნის საშუალება მისცემოდათ. კრემლს ჩინეთში კომუნისტური აჯანყებისათვის უპირობო მხარდაჭერისაგან თავის შეკავებისათვის იგივე მიზეზი ჰქონდა, რამაც მას საბერძნეთში ამბოხებული კომუნისტების შეჩერებისაკენ უბიძგა: იმის შიში, რომ ადგილობრივი კომუნისტების გამარჯვება დასავლეთის მიერ კონტროლირებად ქვეყნებში ამერიკელების რეაქციას გამოიწვევდა, რაც, შესაძლოა, საბჭოთა კავშირთან გლობალურ კონფრონტაციაში გადაზრდილიყო, რისთვისაც ეს უკანასკნელი იმ მომენტში სრულიად მოუმზადებელი იყო. შესაძლოა, კრემლის ასეთი ქცევა ასევე გამოხატავდა სტალინის ეჭვს, რომ საბჭოთა არმიის დახმარების გარეშე დამყარებული ახალი და ძლიერი კომუნისტური რეჟიმი ქვეყანაში,

რომლის მოსახლეობა რუსეთისას სამჯერ აღემატებოდა, აუცილებლად გადაიქცეოდა კონკურენტ ძალად მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში.

პარადოქსულად, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩინელი კომუნისტების შეკავებას ცდილობდა და 1949 წლის ზაფხულში მისი საბოლოო მარცხის შემდეგაც ინარჩუნებდა დიპლომატიურ ურთიერთობებს ჩინეთის დალუპვისათვის განწირულ ნაციონალისტურ მთავრობასთან, შეერთებულმა შტატებმა 5 აგვისტოს გამოაცხადა, რომ წყვეტდა ჩან კაი შის ყველა სახის ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას, რადგან, კორუფციისა და არაეფექტური მართვის გამო, მის მთავრობას შეერთებული შტატებისგან მხარდაჭერის უფლება აღარ ჰქონდა. 1949 წლის 1-ელ ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ვაშინგტონი მზად იყო ჩინეთის სამოქალაქო ომში კომუნისტების გამარჯვების უკვე მომხდარ ფაქტს შეგუებოდა. 1950 წლის იანვარში, ჩან კაი შის განადგურებული სამხედრო ძალებისა და პოლიტიკური ადმინისტრაციის ტაივანის (მაშინდელი სახელწოდებით – ფორმოზას) კუნძულზე გადაბარგებიდან ერთ თვეში, პრეზიდენტმა ტრუმანმა დაადასტურა მოკავშირეების მიერ კაიროსა და პოტსდამის კონფერენციებზე გამოხატული პოზიცია იმის თაობაზე, რომ ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილი იყო და, ასევე, განაცხადა, რომ არ აპირებდა ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობისათვის გასული აგვისტოს შემდეგ შეწყვეტილი სამხედრო დახმარების გაგრძელებას. ეს განცხადებები კი ნიშნავდა, რომ ვაშინგტონი არაფერს გააკეთებდა, რათა ხელი შეეშალა ჩინეთის ახალი რეჟიმისათვის, რომ მიღწეული გამარჯვება ჩან კაი შის ძალების, მათი ბოლო დაუცველი თავშესაფრიდან, საბოლოო კაპიტულაციით დაეგვირგვინებინა.

პეკინის კომუნისტი ხელმძღვანელობა, რომელმაც ოცდაორწლიან ომში გამარჯვებას საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი დახმარების გარეშე და მისი მხრიდან ჩინელი კომუნისტების შეკავების მცდელობების მიუხედავად მიაღწია, იძულებული გახდა, რომ, იმ კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო, ეკონომიკურ აღორძინებასა და აღმშენებლობაში დახმარებისათვის ისევ მოსკოვისთვის მიემართა. იაპონური ოკუპაციისა და სამოქალაქო ომის მიერ მიყენებული უზარმაზარი ზარალი აუცილებელს ხდიდა ეკონომიკურ დახმარებას ქვეყნის საზღვრების გარედან. შესაბამისად, 1949 წლის მიწურულს მათ პირველად დატოვა თავისი ქვეყანა და მოსკოვს ეწვია. 1950 წლის 14 თებერვალს ორმა კომუნისტმა ლიდერმა ხელი მოაწერა მეგობრობის, ალიანსისა და ურთიერთდახმარების ოცდაათწლიან ხელშეკრულებას, რომელიც ურთიერთთავდაცვის დებულებასაც მოიცავდა. სხვა შეთანხმებების საფუძველზე, სტალინმა 1952 წლამდე მანჯურიის რკინიგზის საბჭოთა კავშირიდან მართვისა და ყვითელი ზღვის დაირენისა და პორტარტურის პორტებში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზების უფლების აღიარება მოიპოვა. მათს ასევე მოუწია,



მინის რეფორმა და თანმდევი შურისძიება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, 1952 წელი: კომუნისტური სასამართლოს წინაშე მუხლებზე მდგარი ჩინელი ფერმერი ჩინეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული მინის გადაწვევების პოლიტიკის აღსრულებისას. ათასობით სხვა მინის მფლობელთან ერთად, ამ ფერმერსაც „კლასობრე მტრობაში“ დაედო ბრალი და სიკვდილი მიესაჯა. 1950-იანი წლების დასაწყისში კიდევ მილიონობით ადამიანი იქნა მოკლული მათს „კონტრრევოლუციის ჩახშობის კამპანიის“ ფარგლებში, რომლის მიზანი „ოპოზიციური ელემენტების“ ამოძიკვა იყო.

დათანხმებოდა ერთობლივი სააქციო საზოგადოებების შექმნას მანჯურიისა და სინძიანის – ისტორიულად რუსულ ეკონომიკურ ამბიციებში შემაველ ორ რეგიონში – მინერალური რესურსების ათვისებისათვის. ამგვარად, მოსკოვმა მოიპოვა მეგობრული სახელმწიფო სამხრეთ საზღვრებზე და, ამავე დროს, სამხედრო-საზღვაო პრივილეგიები და ეკონომიკური ხასიათის დათმობები, რომელთაც მხოლოდ ნეოიმპერიული შეიძლება ეწოდოს. ასეთი იყო ფასი, რომელიც მათს უნდა გადაეხადა იმ საბჭოთა ეკონომიკური დახმარებისა და სამხედრო დაცვის სანაცვლოდ, რომელიც მას უკიდურესად ესაჭიროებოდა. აღსანიშნავია, რომ მოსკოვს არავითარი სამხედრო დახმარება არ გაუწევია იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ჩან კაი შის არმია ტაივანზე იყრიდა თავს კონტინენტური ჩინეთის კვლავ ასაღებად.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ანტანტის ამ არახელსაყრელი დასაწყისისა და, უფრო ადრე, სტალინის მიერ ჩინელი კომუნისტებისგან დისტანცირების ფონზე, ვაშინგტონს შეეძლო მოსკოვსა და პეკინს შორის ახალი პარტნიორობა ჩაეშალა, თუკი ის, 1950 წლიდან, როდესაც ახალმა რეჟიმმა ჩინეთში საკუთარი ძალაუფლების გამყარება დაიწყო, ჩინეთის ახალ მმართველ ელიტას დიპლომატიურ აღიარებასა და ეკონომიკურ დახმარებას შესთავაზებდა. ომის ბოლოს მათ ვაშინგტონთან თავაზიანი ან, თუნდაც, გულითადი ურ-

თიერთობების დამყარების შესაძლებლობას განიხილავდა და მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებდა ამერიკელ დიპლომატებთან და დაზვერვის აგენტებთან, რომლებიც ჩინეთის კომუნისტურ მოძრაობასთან იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დროიდან იყვნენ მივლენილი. ტრუმანის ადმინისტრაციის მიერ იუგოსლავიასთან მეგობრული ურთიერთობების განვითარება, 1948 წელს ტიტოს მიერ საბჭოთა ბლოკის დატოვების შედეგ, ვაშინგტონს კომუნისტური რეჟიმების მიმართ განურჩეველი ანტიპათიის შერბილების სასარგებლო პრეცედენტს სთავაზობდა. შეერთებული შტატები არ ჩქარობდა აღმოსავლეთევროპული კომუნისტური ქვეყნების – სკანდინავიის, შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის – მსგავსად, ფორმალურად ელიარებას პეკინის ახალი მთავრობა, რომელიც ამერიკის მოქალაქეებს არაფეროვნად ეპყრობოდა და ჩინეთში არსებულ ამერიკულ ქონებას ითვისებდა. თუმცა, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირები მოთმინებით ელოდნენ დროს, როდესაც, საჭირო პერიოდის გავლის შემდეგ, ჩინეთის სამოქალაქო ომში კომუნისტების გამარჯვება შეერთებული შტატებისგან მკაფიო აღიარებას პოუბდა.

შეერთებული შტატების ხელახალი ჩართვა შორეულ აღმოსავლეთში

კონფლიქტი კორეის ნახევარკუნძულზე

ბოლოსდაბოლოს, კომუნისტური მთავრობის აღიარებას, 1950 წელს კორეის ნახევარკუნძულზე დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, რომელმაც ჩინეთისა და შეერთებული შტატების სამხედრო ძალები ერთმანეთს საბოლოოდ დაუპირისპირა, ოცდახუთი წელიწადი დასჭირდა. უკვე აღინიშნა, რა კუთხით ჰგავდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კორეა იმავე პერიოდის გერმანიას: 38-ე პარალელის გასწვრივ ჩრდილოეთის საბჭოთა და სამხრეთის ამერიკულ ზონებად ქვეყნის გაყოფის შემდეგ, ორმა ზესახელმწიფომ ვერ მიაღწია შეთანხმებას კორეის გაერთიანების პირობებზე და, შესაბამისად, საკუთარ ზონებში დააარსეს მთავრობები, რომელთაგან თითოეული ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე სუვერენულ უფლებას აცხადებდა. 1948 წლის აგვისტოში, გაეროს ზედამხედველობით ჩატარებული თავისუფალი არჩევნების შედეგად, სამხრეთში შეიქმნა კორეის რესპუბლიკა, დედაქალაქი სეული, რომლის პრეზიდენტი კონსერვატორი, ანტიკომუნისტი სინმან ლი გახდა. მომდევნო წელს ჩრდილოეთის ქალაქ ფხენიანში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა, რომელსაც სათავეში რევოლუციონერი კომუნისტი მებრძოლი კიმ ირ სენი ჩაუდგა. თუმცა მაშინ, როდესაც გაყოფილი გერმანიიდან საბჭოთა და ამერიკული სამხედრო ძალების ერთობლივი გაყვანა შეუძლებელი ამოცანა აღმოჩნდა, ორივე ზესახელმწიფომ უმტ-

კინეულოდ დატოვა გაყოფილი კორეა – რუსებმა 1948 წლის დეკემბრამდე და ამერიკელებმა 1949 წლის ივნისამდე. თუმცა უკან პოლიტიკური არასტაბილურობის სერიოზული ტალღები დატოვეს: ორი კორეული მთავრობა და მათ მიმართ შეიარაღებული ცივი ომის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ (თითოეულის მხრიდან კი მთელ კორეაზე) იურისდიქციის პრეტენზია.

1950 წლის 25 ივნისის გამთენიისას კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილმა ამ არასტაბილურმა ვითარებამ უკვე ომის სახე მიიღო, როდესაც ჩრდილოეთ კორეის 90 000-იანმა არმიამ მოულოდნელი იერიში წამოიწყო სამხრეთ კორეის წინააღმდეგ 38-ე პარალელის მეორე მხარეს. რაოდენობრივმა უპირატესობამ და მოულოდნელობის ეფექტმა საშუალება მისცა ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალებს, უკუეგდოთ სამხრეთ კორეის ძალები და 27 ივნისს დედაქალაქი სეულიც აეღოთ. იმავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელიც საბჭოთა დელეგატის გარეშე შეიკრიბა (ის საბჭოს სხდომებს 1950 წლის იანვრიდან უცხადებდა ბოიკოტს პეკინის ახალი კომუნისტური რეჟიმისთვის გაეროს მიერ ჩინეთისათვის განკუთვნილი ადგილის მინიჭებაზე უარის გასაპროტესტებლად), ამერიკელების მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია მიიღო, რომელიც ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს სთხოვდა „უზრუნველყო კორეის რესპუბლიკა ყველა საჭირო დახმარებით აგრესორის მოსაგერიებლად“. ჯერ კიდევ რეზოლუციის მიღებამდე, პრეზიდენტმა ტრუმანმა იაპონიაში ამერიკის საოკუპაციო ძალების მეთაურს, გენერალ დუგლას მაკარტურს დაავალა, საზღვაო და საჰაერო ძალებით დახმარება აღმოეჩინა სამხრეთ კორეის არმიისათვის, რომელიც ჩრდილოეთ კორეის თავდასხმას სრულ არეულობამდე მიეყვანა. 29 ივნისს სამხრეთ კორეის გარდაუვალი მარცხის წინაშე მდგარმა ამერიკის პრეზიდენტმა იაპონიიდან კორეაში ორი ამერიკული ქვეითი დივიზიის გადასროლის ბრძანება გასცა. 7 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ, კვლავ საბჭოთა დელეგატის მონაწილეობის გარეშე, კორეაში განსათავსებლად შექმნა გაეროს სპეციალური საექსპედიციო ძალები, რომელიც გენერალ მაკარტურს „შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად“ მეორე დღესვე დაექვემდებარა. სექტემბრის შუამდე გაეროს ოცმა წევრმა სახელმწიფომ გაეროს არმიისათვის სიმბოლური მნიშვნელობის ქვეითი ძალები გამოყო. შეერთებული შტატების წვლილი ქვეითი ჯარების ნახევარს, საზღვაო-სამხედრო ძალების მნ პროცენტსა და საჰაერო ძალების 93 პროცენტს შეადგენდა.

კორეაში ინტერვენციის შესახებ პრეზიდენტ ტრუმანის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო მისი ღრმა რწმენა, რომ ჩრდილოეთ კორეის თავდასხმის უკან საბჭოთა კავშირი იდგა, რომელსაც აზიაში დასავლეთის სიმტკიცის გამოცდა სურდა ისევე, როგორც ეს მანამდე ევროპასთან მიმართებაში მოხდა და რამაც საბჭოთა კავშირის შეკავების ამერიკულ დოქტრინას


მისცა ბიძგი. ჩრდილოეთ კორეის აგრესიაზე სტალინის თანხმობის შესახებ ფაქტები 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა არქივების გახსნის შედეგად გახდა ცნობილი. ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ირ სენს საბჭოთა კავშირში წლები ჰქონდა გატარებული, რის შემდეგაც ის თავის ქვეყანაში 1945 წელს საბჭოთა განმათავისუფლებელ არმიასთან ერთად დაბრუნდა და სამ წელიწადში სტალინის პირდაპირი ბრძანებით ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების სათავეში მოვიდა. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე კიმ ირ სენმა სტალინი სამხრეთ კორეის მტრულ რეჟიმზე სწრაფი გამარჯვების შესაძლებლობაში დაარწმუნა, რის შემდეგაც საბჭოთა ლიდერმა მის მოქმედებებს მწვანე შუქი მისცა. საბჭოთა ლიდერისათვის მისი აზიური კლიენტის სახელმწიფოს მიერ მცირედანახარჯებიანი და სწრაფი გამარჯვების მოპოვება უფრო მცირერიცხოვან და ნაკლებად აღჭურვილ სამხრეთ კორეულ არმიაზე თითქმის გადაულახავი ცდუნება იყო. მას არ გააჩნდა მიზეზი, რომ ფხენიანის რეჟიმის მიერ მთლიანი ნახევარკუნძულის საკუთარი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანების წინააღმდეგ შეერთებული შტატების ინტერვენციის ეჭვი გასჩენოდა. პირიქით, 1950 წლის 12 იანვარს ვაშინგტონში, ეროვნულ პრესკლუბში ფართოდ რეკლამირებული გამოსვლისას, სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა შორეულ აღმოსავლეთში შეერთებული შტატების „სამხედრო თავდაცვის პარამეტრის შიგნით“ სამხრეთ კორეის ჩართვაზე სრულიად გარკვევით თქვა უარი.

ძირითადად შეერთებული შტატების სამხედრო ძალებით დაკომპლექტებული გაეროს არმიის სწრაფი და მასიური ინტერვენცია კრემლისთვის სრულებით მოულოდნელი აღმოჩნდა. ის, რომ საბჭოთა კავშირმა ვერ გამოიყენა გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება და ვერ აღკვეთა გაეროს ინტერვენცია, სერიოზული შეცდომა იყო, რასაც მისი ჩრდილოეთკორეელი პროტეჟესთვის სავალალო შედეგები მოჰყვა. 15 სექტემბრისთვის ჩრდილოეთ კორეის არმიამ თითქმის მთელი ნახევარკუნძული აიღო და სამხრეთ კორეის დემორალიზებული არმია სამხრეთ სანაპიროზე მდებარე პუსანის პორტში მიამწყვდია. მაგრამ, იმავე დღეს, მაკარტურის მეთაურობის ქვეშ, გაეროს ძალებმა წარმატებით განახორციელეს საზღვაო დესანტი მტრის საომარი ხაზის უკან, ინჩონში, სეულის პორტში. ორი თვის განმავლობაში მაკარტურის სამხედრო ძალებმა ჩრდილოეთ კორეის არმია 38-ე პარალელის გადაღმა დააბრუნეს, ხოლო მისი შემადგენლობის ნახევარი ან მოკლეს, ან ტყვედ აიყვანეს. სამხრეთ კორეიდან ჩრდილოეთ კორეის არმიის განდევნით შესრულდა გაეროს დავალება „შეიარაღებული თავდასხმის მოგერიების“ შესახებ. ჩრდილოეთ კორეის არმიის არაორგანიზებულმა დახვეამ ტრუმანის ადმინისტრაციას ძნელად უგულებელსაყოფი შანსი გაუჩინა, რაც 38-ე პარალელზე გაყოფილი ნახევარკუნძულის გაერთიანებაში მდგომარეობდა, რომელიც არც ჩრდილოეთ კორეის რეჟიმისთვის იყო მისაღები, როგორც

მუდმივი გამყოფი ხაზი, და არც გაეროს მიერ იყო აღიარებული. როდესაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში მისი ქვეყნისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა, შეერთებულმა შტატებმა გენერალურ ასამბლევას მიაღებინა რეზოლუცია, რომელიც უფლებას აძლევდა მაკარტურს „მიეღო ყველა შესაბამისი ზომა მთელ კორეაში სტაბილური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად“. იმის მიუხედავად, რომ რეზოლუციას კანონის ძალა არ ჰქონდა, რადგან მისი ავტორი იყო არა უშიშროების საბჭო, არამედ გენერალური ასამბლეა, მაკარტურმა 9 ოქტომბერს თავის არმიას 38-ე პარალელის ჩრდილოეთისაკენ გადაკვეთა უბრძანა. სამი კვირის განმავლობაში მაკარტურის ჯარებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი ფხენიანი და სვლა განაგრძეს მდინარე იალუსკენ, რომელიც ჩრდილოეთ კორეას ჩინეთის რეგიონ მანჯურიისგან ჰყოფდა.

ჯერ კიდევ მანამ, სანამ მაკარტურის არმია მანჯურიისაკენ აიღებდა გეზს, შეერთებულმა შტატებმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, რომელსაც აუცილებლად პეკინის კომუნისტური მთავრობის რეაქცია უნდა გამოენვიო. 1950 წლის 16 ივნისის საღამოს, პრეზიდენტმა ტრუმანმა ჩინეთსა და კუნძულ ტაივანს შორის მდებარე ტაივანის სრუტეში ამერიკის საზღვაო-სამხედრო ძალების მეშვიდე ფლოტის გაგზავნა გადაწყვიტა. კომუნისტების მიერ ქვეყნიდან გაძევების შემდეგ, ჩან კაი შის განადგურებული არმია სწორედ ტაივანში იმყოფებოდა. სიფრთხილით ნაკარნახევი ამ ნაბიჯის მიზანი იყო, არ დაეშვა ჩინეთის კომუნისტურ მთავრობასა და ტაივანში გახიზნულ ნაციონალისტურ ძალებს შორის კონფლიქტის განახლებით წყნარი ოკეანის რეგიონში ისედაც არასტაბილური ვითარების კიდევ უფრო გაართულება. თუმცა, პეკინში მყოფი რეჟიმისათვის შეერთებული შტატების ეს ქმედება ჩინეთის სამოქალაქო ომში უხეშ ჩარევად აღიქმებოდა, რაც ხელს უშლიდა ომში გამარჯვებულ მხარეს, საკუთარი გამარჯვება ნაციონალისტური მთავრობის ბოლო თავმესაფრის აღებითა და კუნძულზე ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენით გაემყარებინა.

მაკარტურის კონტრშეტევამ ჩრდილოეთ კორეაში და მისი არმიის სწრაფმა სვლამ მანჯურიის საზღვრისაკენ საბოლოოდ უბიძგა პეკინს მოქმედებისაკენ. 2 ოქტომბერს ჩინეთის პრემიერმა ჯოუ ენლაიმ შუამავლის საშუალებით შეერთებულ შტატებს შეუთვალა, რომ, თუ ამერიკის შეიარაღებული ძალები 38-ე პარალელს გადაკვეთდნენ, ჩინეთი საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების დაცვის უფლებას იტოვებდა. მას შემდეგ, რაც ეს გაფრთხილება ვაშინგტონმა უყურადღებოდ დატოვა, 200 000-იანმა ჩინურმა არმიამ მდინარე იალუ გადაკვეთა და ჩრდილოეთ კორეაში შევიდა. მაკარტურის არმიასთან რამდენიმე უშედეგო შეტაკების შემდეგ, ნოემბრის ბოლოს ჩინეთის გაფართოებულმა სამხედრო ძალებმა ფართო ფრონტით შეუტყეს გაეროს ძალებს, რის შედეგადაც მათ სამხრეთის მიმართულებით დაიხიეს. წლის ბო-



კორეის ომი, 1950-1953

ლომდე ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალებმა 38-ე პარალელი გადაკვეთეს და 1951 წლის დასაწყისში კვლავ აიღეს სამხრეთის დედაქალაქი.

ტრუმანის ადმინისტრაცია დადგა ორი, თანაბრად არამიმზიდველი, ალტერნატივის წინაშე, რაც, ერთი მხრივ, კორეის ნახევარკუნძულზე გაჭიანურებულ სახმელეთო ბრძოლებში ჩართვას, ან, მეორე მხრივ, მანჯურიის დაბომბვას და ამ გზით შეიარაღებული კონფლიქტის ჩინეთზე გავრცელებას გულისხმობდა. ტრუმანმა განჭვრიტა, რომ, საბჭოთა კავშირთან ჩინეთის ალიანსიდან გამომდინარე, მეორე ალტერნატივა რეგიონული კონფლიქტის მსოფლიო ომად გადაქცევის რისკს მოიცავდა და ამიტომ, მარტის დასაწყისში, გაეროს სამხედრო ოპერაციების მხოლოდ კორეის ტერიტორიაზე განხორციელება და საზავო შეთანხმებაზე მოლაპარაკებების შეთავაზება გადაწყვიტა. აპრილის დასაწყისისთვის გაეროს სამხედრო ძალებმა კომუნისტების შეტევა შეაჩერეს და კიდევ ერთი კონტრშეტევა წამოიწყეს ჩრდილოეთ კორეისაკენ. მაკარტურმა საჯაროდ მოითხოვა ჩინეთისგან დაზავებაზე თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეერთებული შტატების მიერ მანჯურიის დამბომვით დაიშურა. მაკარტურმა თავისი პროვოკაციული წერილი კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ტრიბუნლიდან წაიკითხა და კომუნისტების წინააღმდეგ ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობის შეიარაღებული ძალების გამოყენებისა და საბოლოო გამარჯვების შესახებ გააკეთა განცხადება. სამსახურეობრივი დაუმორჩილებლობის ამ აშკარა გამოხატულებას პრეზიდენტმა ტრუმანმა 11 აპრილს სამხედრო მეთაურის თანამდებობიდან გათავისუფლებითა და მის ნაცვლად გენერალ მეთიუ რიჯუეის დანიშვნით უპასუხა.

მაკარტურის ნასვლით, მოლაპარაკებების გზით შეთანხმების მიღწევისათვის მთავარი დაბრკოლება მოიხსნა, რაც ორივე მხარეს სურდა. 25 ივნისს ტრუმანი დათანხმდა საბჭოთა კავშირის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტისა და საზავო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. პირველი შეხვედრა გაეროს წარმომადგენლებსა და კომუნისტ მეთაურობას შორის 1951 წლის ივლისში შედგა. დროგამოშვებით გამართული მოლაპარაკებები მომდევნო ორი წელი გაინელა და, საბოლოოდ, 1953 წლის 26 ივლისს, 38-ე პარალელის მახლობლად სოფელ ფანმინჯონში საზავო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ხელშეკრულება ორი კორეული სახელმწიფოს გამყოფი საზღვრის გასწვრივ დემილიტარიზებული ზონის შექმნას და გაეროსა და კომუნისტური სამხედროების მონაწილეობით ზავის კომისიის დაარსებას ითვალისწინებდა, რომელიც სადავო საკითხების მოსაგვარებლად პერიოდულად შეიკრიბებოდა. ახალი საზღვარი თითქმის იმავე ადგილას გადიოდა, სადაც საზღვარი, რომელიც სამწლიანი კონფლიქტის დაწყებამდე მდებარეობდა, რამაც ერთი მილიონი სამხრეთ კორეელის, ერთი მილიონი ჩრდილოეთ კორეელისა და ჩინელის და ოცდაცამეტი ათასი ამერიკელის სიცოცხლე შეინრა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ კორეის ომის მნიშვნელობა დასავლეთ ევროპაში ხელახალი შეიარაღებისა და რემობილიზაციის კუთხით. ამ ომის გავლენა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე არანაკლებ დრამატული იყო. შეერთებული შტატები, რომელსაც მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი კომუნიზმის ბატონობის გავრცელებას მთელი აზიის რეგიონში ცდილობდნენ, რეგიონის არაკომუნისტური რეჟიმების მხარდასაჭერად და დასაცავად ისევე არ ერიდებოდა ინტერვენციას, როგორც ამას გასული ათწლეულისას ევროპის არაკომუნისტურ სახელმწიფოებთან მიმართებაში აკეთებდა.


სამხრეთ კორეაშიამერიკის სამხედრო ძალების დატოვება და ამ ქვეყანასთან ორმხრივი უსაფრთხოების შეთანხმების გაფორმება, რომელიც სამხრეთ კორეის დასაცავად შეერთებული შტატების ინტერვენციას ითვალისწინებდა, ერთ-ერთი იმ ვალდებულებათაგანი იყო, რომელიც შეერთებულ შტატებს



პრეზიდენტი პარი ტრუმანი (1884-1972) გამორჩეული სამსახურისათვის მედლით აჯილდოებს გენერალ დუგლას მაკარტურს (1880-1964) უეიკაილენდზე, 1950 წლის 14 ოქტომბერს: ტრუმანი და მისი გაერთიანებული შტატის ხელმძღვანელობა უკვე შეფიქრიაებული იყვნენ აზიაში ვაშინგტონის პროკონსულის დამოუკიდებელი ხასიათით.

50-იანი წლების განმავლობაში არაერთხელ აუღია. 1951 წელს კორეასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო ვითარების გამო, შეერთებულმა შტატებმა დაჩქარებული ტემპით სამხედრო შეთანხმებები გააფორმა დასავლეთ წყნარი ოკეანის კუნძულ-სახელმწიფოებთან სავარაუდო კომუნისტური აგრესიის წინაშე მათი უსაფრთხოების გასამყარებლად. 30 აგვისტოს შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა ურთიერთდაცვის ხელშეკრულებას ფილიპინებთან, რომელმაც 1946 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა და 1947 წელს შეერთებულ შტატებს საჰაერო და საზღვაო ბაზები დაუთმო. 1-ელ სექტემბერს ვაშინგტონმა სამხრეთი ხელშეკრულება დადო ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან (ანზუსის პაქტი), რითაც შეერთებულმა შტატებმა, წყნარ ოკეანეში „გადარგული“ ამ ევროპული სახელმწიფოების დაცვის კუთხით, დიდი ბრიტანეთი ჩაანაცვლა.

1951 წლის შემოდგომაზე ამერიკელების მიერ აგებული აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების სისტემისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენაძინი გახდა ქვეყანა, რომლის აგრესიულმა ქმედებებმა, ათი წლით ადრე, შეერთებული შტატების შორეული აღმოსავლეთის ომში მონაწილეობა გამოიწვია. იაპონიის ამერიკული სამხედრო ოკუპაცია ისევე, როგორც გერმანიის ამერიკული სამხედრო ოკუპაცია, თავდაპირველად, დამარცხებული სახელმწიფოსათვის ხელის შეშლას ისახავდა მიზნად, რათა ეს უკანასკნელი მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოებას აღარ დამუქებოდა. ეს კი ნიშნავდა მის სრულ დემილიტარიზაციას, ნაციონალისტური საზოგადოებების გაუქმებას, იმ ოფიციალური პირებისა და ბიზნესმენების წმენდას, რომლებიც სამხედრო ხელისუფლებასთან ომის მომზადებასა და წარმოებაში თანამშრომლობდნენ და იმ დიდი სამრეწველო კონგლომერატების დაშლას, რომლებიც სამხედრო ექსპანსიის დროს განვითარდნენ. ეს ასევე ნიშნავდა იაპონიის სამრეწველო წარმოების შეზღუდვას და ამ წარმოების ნაწილის გამოყენებას იაპონური აგრესიის მსხვერპლთათვის კომპენსაციის მიზნით. იაპონიაში ამერიკული სამხედრო ოკუპაციის რეჟიმის ძლევამოსილმა მეთაურმა დუგლას მაკარტურმა თავის თანამშრომლებს იაპონიის ახალი კონსტიტუციის დაწერა უბრძანა, რომელიც 1947 წლის 3 მაისს ამოქმედდა. კონსტიტუცია ითვალისწინებდა საპარლამენტო მმართველობას, სამოქალაქო უფლებების დაცვას, მოიცავდა დებულებას ომის წარმოებაზე და ასევე დებულებას სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო-სამხედრო ძალებზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის 1940-იანი წლების ბოლოს ევროპაში გამწვავებულმა დაპირისპირებამ ტრუმანის ადმინისტრაციას აზიაში ოკუპაციის მკაცრი პოლიტიკის გადახედვის საკენ უბიძგა, რადგან ამერიკაში შიშობდნენ, რომ ეკონომიკურად სუსტი და სამხედრო თვალსაზრისით დაუცველი იაპონია, ამერიკული საოკუპაციო ძალების ქვეყნიდან გასვლისთანავე, საბჭოთა კავშირის მხრიდან დაშინების



ჩინელი სამხედრო ტყვეები კორეის ომის დროს: სამხრეთ კორეაში, გაეროს სამხედრო ტყვეთა ბანაკში თავმოყრილი ჩრდილოეთკორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეები, 1951 წლის აპრილი. სამ თვის შემდეგ საომარი მოქმედებები ჩიხში შევიდა და საზავო მოლაპარაკებები დაიწყო. ეს მოლაპარაკებები კიდევ ორი წელი გაჭიანურდა და სწორედ ამ ტყვეების ბედ-ილბალი იყო მთავარი სადავო საკითხი. ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის მთავრობები სამხედრო ტყვეების რეპატრიაციას მოითხოვდნენ, ხოლო გაერო ითხოვდა, რომ მათ დარჩენის ან სახლში დაბრუნების არჩევანი მისცემოდათ.

იოლი სამიზნე გახდებოდა. შესაბამისად, 1948-1949 წლებში შეერთებულმა შტატებმა იაპონიის ეკონომიკურ განვითარებაზე ყველა შეზღუდვა გააუქმა, შეწყვიტა სამრეწველო დანადგარების ჩამორთმევა რეპარაციების მიზნით, შეაჩერა იაპონური მრეწველობის იძულებითი დეცენტრალიზაციის გეგმები და, მისი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტაბილურობისათვის, იაპონიისთვის ფინანსური დახმარების განეხილა შეუდგა.

კორეის ომის დანყებამ გალატაკებული მტრული სახელმწიფოსგან იაპონიის განვითარებულ მოკავშირედ გადაქცევა დააჩქარა, რაც ასახავდა იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ ქვეყანამ შეიძინა შეერთებული შტატებისათვის, როგორც შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა და კომუნისტური ჩინეთის ძალაუფლების საპირწონე ძალამ. კორეის ომის დროს ამერიკის მიერ სამხედრო შესყიდვებისათვის განუღებმა ხარჯებმა იაპონიაში ეკონომიკური ბუმი გამოიწვია, რის შედეგადაც უკვე 1950-იანი წლების შუაში იაპონელები მთელს აზიაში ცხოვრების ყველაზე მაღალი სტანდარტებით სარგე-

ბლობდნენ. მკვერად გაიზარდა შეერთებული შტატებისგან კაპიტალდაბანდებები და ტექნოლოგიების გაზიარება, რამაც იაპონურ მრეწველობას საშუალება მისცა ომის დროს დაზიანებული აღჭურვილობებიდან ყველაზე თანამედროვე მანქანა-დანადგარებზე გადასულიყო. იაპონიის საექსპორტო ვაჭრობა სწრაფად დადგა ფეხზე: თავდაპირველად საფეიქრო და სხვა მსუბუქი მრეწველობა და შემდგომ უფრო მონიხვე დარგები როგორცაა: ელექტრონიკა, მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა. კორეის ომით გამოწვეულ თვალისმომჭრელ ეკონომიკურ აღორძინებას თან სდევდა იაპონიის თავდაცვითი შესაძლებლობების გაფართოება. 1950 წლის ზაფხულში ტოკიოს მთავრობამ, კორეაში შესაყვანად გამზადებული ამერიკის საოკუპაციო ჯარის ჩასანაცვლებლად, შეერთებული შტატებისგან სამოცდათხუთმეტათასკაციანი ეროვნული საპოლიციო რეზერვის შექმნის ნებართვა მოიპოვა. 1952 წლის აგვისტოში სანაპირო თავდაცვის უზრუნველსაყოფად იაპონიის ელემენტარული სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიქმნა; 1954 წლის თებერვალში კი გაფართოვდა არსებული სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალები და მცირე ზომის სამხედრო-საჰაერო ძალები ჩამოყალიბდა. ეს ყველაფერი კეთდებოდა „თავდაცვითი“ ძალების სახით, კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად, რომლითაც იაპონიამ უარი თქვა ომსა და მისი წარმოების საშუალებებზე. მაგრამ, როგორი ეფემიზმიც არ უნდა გამოეყენებინათ, ერთად აღებული ყველა ეს ქმედება იმ დროს, როდესაც ცივმა ომმა აზიაც მოიცვა, იაპონიის ხელახალი შეიარაღების პირველ ნაბიჯებს წარმოადგენდა.

კორეის ომის დროს და მის შემდეგ იაპონიის შეიარაღება და ეკონომიკური აღორძინება შეერთებული შტატების მფარველობის ქვეშ მიმდინარეობდა, რამაც იაპონიისთვის ოკუპირებული მტერი სახელმწიფოს სტატუსის მოხსნა და მისთვის სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის აღდგენა დააჩქარა. 1951 წლის 8 სექტემბერს შეერთებულმა შტატებმა და კიდევ ორმოცდარვა სხვა სახელმწიფომ (საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის გარდა) სან ფრანცისკოში ხელი მოაწერეს იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას, რამაც დაასრულა ომის მდგომარეობა და 1952 წლის 28 აპრილს ამერიკის სამხედრო ოკუპაციაც დამთავრდა. იმავე დღეს შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ ხელი მოაწერეს ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულებას, რითაც შეერთებულ შტატებს ამ ქვეყანაში სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ძალების დატოვების უფლება მიენიჭა. შესაბამისად, იაპონია, ევრაზიის კონტინენტის მეორე მხარეს მდებარე ასევე ყოფილი მტრული სახელმწიფოს – გერმანიის – მსგავსად, საბჭოთა გავლენის გაფართოების შეკავების საქმეში შეერთებული შტატების აუცილებელ მოკავშირედ იქცა.

მალე იგივე ფუნქცია დაეკისრა კუნძულ ტაივანზე განლაგებულ ანტიკომუნისტურ ჩინურ ნაციონალისტურ მთავრობას. კორეის ომის განმავლო-

ბაში შეერთებულმა შტატებმა განაახლა ჩან კაი შის გადასახლებული მთავრობისათვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, რომელიც კონტინენტურ ჩინეთში ნაციონალისტების მარცხის ბოლო ეტაპის შემდეგ შეწყდა. 1954 წლის 2 დეკემბერს ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ ჩან კაი შის „ჩინეთის რესპუბლიკასთან“ ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. შეერთებული შტატები ასევე მხარს უჭერდა მათ სურვილს, დაეკავებინათ გაეროში ჩინეთისათვის განკუთვნილი ადგილი. 1955 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა დიდი უმრავლესობით დაუჭირა მხარი პრეზიდენტის მიერ კუნძულის დასაცავად ტაივანში სამხედრო ძალების შეყვანას. როდესაც ჩინეთმა 1954-1955 და შემდეგ 1958 წლებში ნაციონალისტების მიერ დაკავებული ჩინეთის სანაპიროდან რამდენიმე მილში მდებარე და ჩინეთის წინააღმდეგ დივერსიული რეიდების სანარმოებლად გამოყენებული ცინმენისა (კუემოის) და მაცუს კუნძულები დაბოძა, შეერთებულმა შტატებმა გამოთქვა მზადყოფნა, ძალის გამოყენებით დაეცვა ეს კუნძულები. მომავალი ორი ათწლეულის განმავლობაში შეერთებული შტატები საკუთარ მოქალაქეებს ჩინეთში მოგზაურობას, ხოლო ამერიკულ კორპორაციებს ჩინეთთან ვაჭრობას უკრძალავდა. ეს ეგზოტიკური მინა, რომელიც ოდესღაც ასე იზიდავდა ახალი ბაზრების მაძებარ ამერიკელ მოვაჭრეებსა და ახალმოქცეულების მაძიებელ ამერიკელ მისიონერებს, უეცრად გაუჩინარდა ამერიკელთა ცნობიერებიდან.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი: თანამშრომლობიდან მტრობამდე

ჩინურ-საბჭოთა ალიანსის საფუძველი

შეერთებული შტატების მიერ გატარებულმა ზემოწამოთვლილმა ლონისძიებებმა გაამწვავეს ჩინურ-ამერიკული ურთიერთობები და ბოლო მოუღეს ვაშინგტონსა და პეკინს შორის დაახლოების პერსპექტივას, რომელიც ჩინეთში კომუნისტების გამარჯვებასა და კორეის ომის დანყებამდე მცირე პერიოდში გახდა შესაძლებელი. იმავდროულად, ურთიერთობები ღრმავდებოდა პეკინსა და მოსკოვს შორის, რათა ხელი შეეშალათ მოვლენისათვის, რომელსაც ისინი შეერთებული შტატების მიერ აზიაში მის მიერვე შეიარაღებული და დაცული სახელმწიფოების საშუალებით ანტიკომუნისტური ბასტიონის აგებად აღიქვამდენ. რუსეთისა და ჩინეთის ყოფილი მტრის – იაპონიის, რომლის ძალაუფლება მათსავე ხარჯზე გაზრდილიყო – ამერიკელების მიერ ინიცირებული და დასპონსორებული რეაბილიტაცია მათი შემოფოტების მთავარი მიზეზი იყო. იმის მიუხედავად, რომ იაპონიას კონსტიტუცია უკრძალავდა უმადლესი რანგის სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების სფეროში დადებულ ხელშეკრულებას, იაპონიის სურვილს, თავის ტერიტორიაზე მიეღო


ამერიკის სამხედრო ბაზები და მის სწრაფ ეკონომიკურ აღორძინებას აღმოსავლეთ აზიის კომუნისტების კონტროლირებად ქვეყნებში ისეთივე შიშით ადევნებდნენ თვალყურს, როგორც აღმოსავლეთევროპელები აკვირდებოდნენ ამერიკელების დახმარებით ეკონომიკურად გაძლიერებული გერმანიის აღორძინებას.

ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული ჩინეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა, პეკინის მხრიდან მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში მოსკოვის უდავო პირველობის აღიარების სანაცვლოდ, ჩინეთისადმი საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას ეფუძნებოდა. კორეის წინააღმდეგ ჩინეთის გამოუცხადებელი ომისას, საბჭოთა კავშირმა ჩინეთს დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა გადასცა. მოგვიანებით, 1953 წლის სექტემბერში, ორი ქვეყნის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, ჩინეთს, ქვეყნის გამალებული ინდუსტრიალიზაციის მხარდაჭერის მიზნით, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დახმარება და ტექნიკური სფეროს მრჩევლების დიდი არმია მიიწვიდა. ორმოცდაათიანების შუა წლებში საბჭოთა კავშირი ჩინეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა, რომელიც მისი ექსპორტის ნახევარს ყიდულობდა. 1954 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვმა ჩინეთში რუსული იმპერიალიზმის ბოლო გადმონაშთზეც უარი თქვა და პირობა დადო, რომ 1955 წლის ბოლომდე გაიყვანდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზას პორტარტურიდან და იმ ერთობლივი სააქციო საზოგადოებების საბჭოთა წილს გადასცემდა პეკინს, რომლებიც 1950 წელს სინძიანის საზოგადოების ექსპლუატაციის მიზნით დაარსდა. რუსებმა ასევე თანხმობა განაცხადეს 250 მილიონი დოლარის ოდენობის გრძელვადიან სესხზე და ჩინელებს არაერთი სამრეწველო პროექტის განხორციელებაში დახმარება აღუთქვეს. იმავდროულად, საბჭოთა კავშირი წარუმატებლად ცდილობდა გაეროს დაყოლიებას გაეროში ჩინეთისთვის განკუთვნილი ადგილის ტაივანური „კომინტანის კლანისგან“ სახალხო რესპუბლიკისათვის გადაცემაზე და მტკიცედ უჭერდა მხარს ტაივანზე ჩინეთის სუვერენულ უფლებას. კომუნისტური ბლოკის ამ ორ გიგანტურ სახელმწიფოს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერება ადასტურებდა შეერთებული შტატების ეჭვებს მონოლითური კომუნისტური შეთქმულების შესახებ, რომლის მიზანი მსოფლიოს დაპყრობა იყო. ამ ეჭვებს იმავე პერიოდში შეერთებულ შტატებში გავრცელებული მაკარტისტული ისტერიკაც ამძაფრებდა.

მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობათა დაძაბვა

მაშინ, როდესაც ამერიკელი კასანდრები „ჩინეთის დაკარგვას“, „უიმედო პოლიტიკას კორეის მიმართ“ და აზიაში კომუნიაზმის მზარდ გავლენას მძიმედ განიცდიდნენ, ჩინურ-საბჭოთა, ერთი შეხედვით, მყარ მეგობრობას

თანდათან აშკარა ბზარები უჩნდებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ჩინეთი განსაკუთრებით დაუახლოვდა საბჭოთა კავშირს ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც მას, გამალებული ინდუსტრიალიზაციის პროცესში, საბჭოთა ეკონომიკური დახმარება და მტრულად განწყობილ მეზობლებთან – უპირველეს ყოვლისა, ამერიკელების პროტყე ტაივანის ნაციონალისტურ რეჟიმთან – დაეების მოგვარებისას, საბჭოთა დიპლომატიური მხარდაჭერა სჭირდებოდა. თუმცა, საბჭოთა ეკონომიკური დახმარების პროგრამის მთელი პერიოდის განმავლობაში, პეკინის ხელისუფლება უკმაყოფილო იყო განუღი დახმარების მოცულობით და იმ პირობებით, რომელსაც მოსკოვი ამ დახმარებას უკავშირებდა. კორეის ომის დროს მიღებული სამხედრო დახმარება უნდა გადახდილიყო სრულად და ეს იმ დროს, როდესაც ჩინეთი თავად ცდილობდა სამოქალაქო ომის შედეგებთან გამკლავებას და დიდი ინდუსტრიალიზაციის პროგრამის დაწყებას. შემდგომ განუღი ეკონომიკური დახმარება ასევე არ ამართლებდა ჩინეთის ხელისუფლების მოლოდინს. როდესაც 1955 წელს ხრუშჩოვმა მიუმხრობელ ქვეყნებზე საბჭოთა გავლენის გავრცელების კამპანია წამოიწყო, რუსეთი უფრო მეტ რესურსებს ახმარდა არაკომუნისტ სახელმწიფოებს, როგორცაა ინდოეთი ან ეგვიპტე, ვიდრე კომუნისტ მეზობლებს აზიაში. ასეთივე არადამაკმაყოფილებელი იყო საბჭოთა სამხედრო დახმარებაც, რომელსაც საბჭოთა კავშირი ყოველთვის მოსკოვი-სადმი პეკინის სრულ მორჩილებას უკავშირებდა. 1957 წელს მოსკოვი პეკინს



პირველი მაისის დღესასწაული ტიანანმენის მოედანზე, პეკინი: 1963 წელს ჩინელი პატრიოტი მოქალაქეები პეკინის ცენტრში იკრიბებიან, რათა ერთად იზეიმონ მშრომელთა საერთაშორისო დღე – პირველი მაისი. ამ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ალიანსი და, შესაბამისად, კომუნისტური ბლოკის ერთიანობა უკვე დარღვეულიყო. ოცდაექვსი წლის შემდეგ ამავე მოედანზე შედგა მასობრივი საპროტესტო აქცია ჩინეთის კომუნისტური პარტიის დიქტატორული მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც „სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ“ უმონყალოდ დაარბია.

ბირთვული იარაღის შექმნაში დახმარებას შეჰპირდა, ორი წლის შემდეგ კი ხრუშჩოვმა შეთანხმებაზე ისევ უარი თქვა.

ჩინეთისათვის საბჭოთა კავშირის მიერ გამოყოფილი დახმარებების მოცულობასთან და ხასიათთან დაკავშირებული უკმაყოფილება და უთანხმოებები ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვსა და პეკინს შორის მიმდინარე იდეოლოგიურ დავებს დაემთხვა. მათ დარწმუნებული იყო კაპიტალისტურ სამყაროსთან ომის გარდაუვალობაში, მაშინ, როცა ხრუშჩოვი, რომელიც შესაძლო ბირთვული ომის შედეგების გამო შიშობდა, დასავლეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას ატარებდა. რუსეთისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მეთაურთა თითოეული პირის-პირ შეხვედრისას – ჟენევაში 1955 წელს, კემპ დევიდში 1959 წელს, პარიზში (თუმცა ხანმოკლედ) 1960 წელს – პეკინი შიშობდა, რომ ორ ზესახელმწიფოს შორის დაახლოება მას მარტო დატოვებდა იმ საფრთხეების წინაშე, რომელსაც მისი მეზობელი სახელმწიფოები უქმნიდნენ ჩინეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩინეთში მიაჩნდათ, რომ ამ საფრთხეთაგან ყველაზე სერიოზულს ტაივანის ნაციონალისტური რეჟიმი წარმოადგენდა. როდესაც ჩინეთმა 1958 წლის აგვისტოში ძინმენის (კუემოის) კუნძულის დაბომბვა განაახლა კონტინენტური ჩინეთიდან რამდენიმე მილის მოშორებით მდებარე კუნძულიდან ნაციონალისტური მთავრობის განსაღვენად, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ჩან კაი შის არმიისათვის ამერიკული თვითმფრინავებით სამხედრო მარაგების მიწოდება ბრძანა და ასევე უზრუნველყო, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მეშვიდე ფლოტის გემებს ჩინელი ნაციონალისტების გემებისათვის ალყაშემორტყმულ კუნძულამდე ესკორტი გაენიათ. სახელმწიფო დეპარტამენტი შეფარვით დაიმუქრა ამერიკული სამხედრო ინტერვენციით, თუ ჩინეთი ძინმენისა (კუემოის) და მაცუს კუნძულების კვლავ დაკავებას შეეცდებოდა. ძინმენის კრიზისისას პეკინი გულდანყვეტილი იყო, რომ, ნაცვლად ჩვეული მხარდაჭერის გამოხატვისა, ოფიციალური რუსეთი დუმილს ამჯობინებდა, რომელიც მან მხოლოდ მაშინ დაარღვია, როდესაც ჩინეთმა, კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსავლის მოსანახად, ვარშავაში შეერთებულ შტატებთან პირდაპირ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა.

მომდევნო წელს კემპ დევიდში ხრუშჩოვსა და ეიზენჰაუერს შორის გამართულმა შეხვედრამ ხელახლა გამოაღვიძა ჩინეთის ეჭვები მის ხარჯზე საბჭოთა-ამერიკული შეთანხმების მიღწევის თაობაზე. ეს ეჭვები კიდევ უფრო გაღრმავდა, როდესაც ამერიკიდან დაბრუნებულმა ხრუშჩოვმა მათ საჯაროდ გააფრთხილა, თავი აერიდებინა ტაივანის გამო შეერთებულ შტატებთან კონფრონტაციისათვის. მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესებთან დაკავშირებულმა ამ გაფრთხილებამ – სამი თვით ადრე ხრუშჩოვის მიერ ბირთვული იარაღის შექმნაში დახმარებასთან დაკავშირებული პირო-

ბის გატყევიდან და მისი ეიზენშაუერთან გულითადი პირისპირ შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ – ჩინეთისადმი რუსეთის მხარდაჭერის სანდოობა, ტაივანის სრუტის გადაღმა მყოფი ამერიკელების პროტყე რეჟიმთან დაპირისპირებისას, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

1950-იანი წლების ბოლოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის განხეთქილების კიდევ ერთი წყარო ჩინეთსა და ინდოეთს შორის არსებული დავა იყო ტიბეტის – ოდესღაც ჩინური პროვინციის – გამო, რომელიც 1914 წლიდან მისი სულიერი ლიდერის, დალაი ლამას, მმართველობის ქვეშ დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ვიდრე, 1950 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ის ჩინეთის სუვერენიტეტს იძულებით არ დაუქვემდებარა. 1959 წლის გაზაფხულზე ჩინეთის ხელისუფლებამ შეუბრალებლად ჩაახშო ტიბეტის დამოუკიდებლობისათვის მონყობილი შეიარაღებული აჯანყება და მის მოწყობაში ინდოეთს დასდო ბრალი, რომელმაც თავშესაფარი მისცა დალაი ლამასა და მის გარემოცვას. ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო შეტაკებებს ჰიმალაის უსწორმასწორო საზღვრის ირგვლივ ტერიტორიული პრეტენზიებიც სდევდა თან. მოულოდნელად, 1959 წლის სექტემბერში, როდესაც ხრუშჩოვი ამერიკაში ვიზიტისათვის ემზადებოდა, მოსკოვმა პეკინის დიდი გულისწყრომა გამოიწვია, როდესაც ჯერ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა ჩინეთ-ინდოეთის დავაში და შემდეგ განაცხადა, რომ დელისათვის სესხის მიცემას აპირებდა, რომლის რაოდენობა ჩინელი მოკავშირისათვის საბჭოთა კავშირის მიერ გაცემულ ნებისმიერ სესხს აღემატებოდა. ხრუშჩოვს, რომელმაც, ტაივანის საკითხზე ჩინეთის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ბერლინისა და ევროპის საკითხზე დასავლეთთან შეთანხმების მიღწევას მიანიჭა პრიორიტეტი, როგორც ჩანს, სურდა ინდოეთთან – მიუმხრობელი ქვეყნების ნომინალურ ლიდერთან – დაახლოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჰიმალაის საზღვარზე ჩინეთის უსაფრთხოების ინტერესები გაეწირა.

მონოლითური კომუნისტური ბლოკის დაშლა

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ორთაბრძოლა პირველად 1960 წლის ივნისში, რუმინეთის კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობაზე გახდა ცნობილი, თუმცა, შეფარული ფორმით. ხრუშჩოვის გამოსვლის პასუხად, სადაც მან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა დაიცვა და კაპიტალისტურ სამყაროსთან ომის გარდაუვალობისა და ამ ომში გამარჯვების მაოისტური მიდგომა არაპირდაპირ გააკრიტიკა, ჩინელმა დელეგატმა განაცხადა, რომ, სულ ცოტა ხნით ადრე მომხდარი U-2-ის ინციდენტი და პარიზის სამიტის ჩაშლა (რომელზეც ჩინეთი მინვეულიც არ ყოფილა), იმპერიალიზმის ბოროტ ბუნებას ადასტურებდა, რის შემდეგაც კრემლს მასთან თანაარსებობის მცდელობისათვის ირიბად უსაყვედურა. კომუნისტური დოქტრინის სათანადო ინტერპრეტაციის ირგვლივ ამ ძმათაშორის დებატებს მალე კონკრეტული

ქმედებებიც მოჰყვა: სამი თვის შემდეგ ხრუშჩოვმა მოულოდნელად გამოინ-
ვია ჩინეთიდან 1390 ტექნიკური კონსულტანტი, რომლებიც იქ ჩინეთის ეკო-
ნომიკური მოდერნიზაციის პროცესში დახმარების გასანევად იყვნენ მივლენ-
ილი. მისივე ბრძანებით, კონსულტანტებს მოდერნიზაციის გეგმებიც თან
უნდა წამოეღოთ. 1960 წლის ნოემბერში მოსკოვში გამართულ მსოფლიოს
კომუნისტურ პარტიათა კონფერენციაზე, ჩინეთის დელეგაციამ, მსოფლიო
რევოლუციის ღალატის გამო, საბჭოთა კავშირი მწვავედ გააკრიტიკა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავება კომუნისტური ბლო-
კის ქვეყნების საშინაო საქმედ რჩებოდა 1962 წლის შემოდგომამდე, როდეს-
აც სამმა, ერთმანეთთან დაუკავშირებელმა კრიზისმა ჩინეთ-საბჭოთა კავ-
შირის ურთიერთობები საბოლოო განწყევტამდე დაძაბა. კუბასთან დაკავ-
შირებით საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების დაპირისპირების
შედეგებს პეკინისგან კრიტიკის ქარცეცხლი მოჰყვა, რომლითაც ჩინეთმა
იმპერიალისტი აგრესორის პირისპირ საბჭოთა კავშირის დამამცირებელი
დათმობები დაგმო. მამ ასევე მკაცრად გააკრიტიკა 1963 წლის აგვისტოში
ორ ზესახელმწიფოსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული ბირთვული ცდებ-
ის ნაწილობრივი აკრძალვის ხელშეკრულება, რადგან ეს ჩინეთს საკუთარი
თავდაცვის უზრუნველყოფის საშუალებას აღარ აძლევდა. ჩინეთმა უარი
თქვა, ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებაზე და 1964 წლის 16 ოქტომბერს
საკუთარი ატომური ბომბიც გამოსცადა (რაც მათს მეტოქის – ხრუშჩოვის –
კრემლიდან გაძევებას დაემთხვა). მოსკოვსა და პეკინს შორის კონფლიქტის
მეორე წყარო, 1962 წლის ოქტომბერში ჰიმალაიზე გამავალ საერთო საზღ-
ვართან დაკავშირებით, ჩინეთსა და ინდოეთს შორის სამხედრო დაპირისპი-
რების განახლება იყო. სასაზღვრო შეტაკებების მიმდინარეობისას კრემლმა
კვლავ არ დაიზარა და გამოხატა სრული ნეიტრალიტეტი, რითაც უპასუხოდ
დატოვა მხარდაჭერის მოსაპოვებლად ჩინეთის მცდელობები. 1963 წლის 27
თებერვალს ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ საჯაროდ დაგმო საბჭოთა
კავშირის მიერ მისი მტრისათვის – ინდოეთისათვის – სამხედრო დახმარება,
მაშინ, როცა 1960 წლიდან საბჭოთა კავშირს ჩინეთისათვის დახმარება უკვე
შენწყვეტილი ჰქონდა. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის განხეთქილების მესამე მიზე-
ზი, შესაძლოა, ყველაზე ავისმომასწავებელი იყო: მათ შორისვე არსებული
სასაზღვრო დავა ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ პროვინცია სინძიანში, რომელ-
ლიც ადრე რუსეთის ინტერესთა სფეროს მიეკუთვნებოდა. ამ კონფლიქტით
ჩინეთმა ტერიტორიული პრეტენზიების გამოხატვა წამოიწყო საბჭოთა კავ-
შირის მიმართ, რომელსაც დაკავებული ჰქონდა თითქმის მილიონი კვადრატ-
ული მილი ჩინეთის ყოფილი ტერიტორიებისა ცენტრალურ აზიასა და ციმ-
ბირში, რომლებიც რუსეთის ცარებმა ძალის გამოყენებით მიიტაცეს იმ ხელ-
შეკრულებების საშუალებით, რომლებსაც ისინი თავს ახვევდნენ იმპერიულ
ჩინეთს მეცხრამეტე საუკუნეში.

1964 წლის ბოლოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში გაჩენილი ბზარი უხერხულად თვალში საცემი და აშკარად შეუქცევადი გახდა. ჩინეთის, ერთადერთი არათეთრკანიანი სახელმწიფოს, ბირთვულ კლუბში განწევრიანებამ ამავე წლის ოქტომბერში სერიოზულად გაზარდა მისი პრესტიჟი მესამე სამყაროში, სადაც ის გავლენისათვის მეტოქეობას საბჭოთა კავშირს უწევდა. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შიგნით ჩინეთის მომხრე ფრაქცია დანარჩენ კომუნისტურ პარტიებს გამოეყო და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის უფრო რადიკალურ ვარიანტს ქადაგებდა. აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის ზოგიერთმა სატელიტმა ქვეყანამ კომუნისტურ სამყაროში მიმდინარე ამ პოლიციენტრული ტენდენციით ისარგებლა და უფრო დამოუკიდებელი კურსი აიღო. რუმინეთმა თანდათანობით უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთ გერმანიასთან და ასეთი ურთიერთობები ისრაელთან 1967 წლის შემდეგაც შეინარჩუნა, რაც აღმოსავლეთის ბლოკის პოლიტიკას არ შეესაბამებოდა. 1968 წლის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიამ ეკონომიკური ლიბერალიზმისა და პოლიტიკური დემოკრატიის სხვადასხვა ფორმის გამოცდას მიჰყო ხელი, რაც კომუნისტური დოქტრინის ძირითად საფუძვლებს ეწინააღმდეგებოდა.

მოსკოვი ეგუებოდა რუმინეთის დამოუკიდებელ ნაბიჯებს, რადგან რუმინელი ლიდერის – ნიკოლაი ჩაუშესკუს რეჟიმი უკიდურესად რეპრესიულ პოლიტიკურ სისტემას ემყარებოდა, რაც კრემლს მისთვის ყველაზე საშიში საფრთხისგან – ლიბერალური იდეების გავრცელებისგან – იცავდა, რაც, შესაძლოა, ვარშავის პაქტის სხვა ქვეყნებშიც გავრცელებულიყო. ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის გაზაფხულზე, „პრალის გაზაფხულის“ დღეებში, ალექსანდრ დუბჩეკის მთავრობამ ვერ მოახერხა საზოგადოებაში განსხვავებული აზრების მოთოკვა, რასაც აგვისტოს თვეში ქვეყანაში საბჭოთა სამხედრო ძალების შესვლა მოჰყვა და ლიბერალურ კომუნიზმთან და ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ხანმოკლე შეთამაშების პერიოდიც დასრულდა. ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ინტერვენციას, როგორც მოსალოდნელი იყო, სუვერენული კომუნისტური სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის გამო, პეკინის მხრიდან საყვედურების ნიაღვარი მოჰყვა. ასეთივე რეაქცია გამოიწვია 1968 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის კომპარტიის პირველი მდივნის მიერ „ბრეჟნევის დოქტრინის“ გამოცხადებამ, რომელიც ამართლებდა კომუნისტური ბლოკის სამხედრო ძალების ინტერვენციას ნებისმიერ კომუნისტურ ქვეყანაში, რომელსაც „სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი“ შიდა თუ გარე ელემენტები შეუქმნიდნენ საფრთხეს. იმის მიუხედავად, რომ, თითქოს, ეს დოქტრინა საბჭოთა კავშირის მხოლოდ აღმოსავლეთევროპული სატელიტების მიმართ იყო გამოხატული, ინტერვენციის უფლების (ან „შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინის“ როგორც მას ევფემისტურად

უნოდებდნენ) გამოცხადება იოლად შეიძლებოდა ყოფილიყო გაგებული, როგორც შეფარული მუქარა ჩინეთისადმი, რომელიც ამ პერიოდში აშკარად ანტისაბჭოთა ელფერის მქონე „კულტურული რევოლუციის“ შუაგულში იმყოფებოდა.

გლობალურ ძალთა პოლიტიკის კუთხით თუ შევხედავთ, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დაპირისპირება 1960-იან წლებში შეერთებულ შტატებს ხელსაყრელ შესაძლებლობას სთავაზობდა: კომუნისტურ ბანაკში პირველობისათვის მებრძოლი ორი მეტოქის ერთმანეთის წინააღმდეგ ნაქეზებით, ვაშინგტონს საშუალება ეძლეოდა კომუნისტური ქვეყნების ოდესღაც მონოლითურ გუნდში გაჩენილი განხეთქილებები საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინა. ამის სანაცვლოდ, მაშინ, როცა მოსკოვი და პეკინი სამოციანი წლების შუაში თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთს, შეერთებული შტატები, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უკვე მეორედ, ღრმად ჩაება აზიაში მიმდინარე სამხედრო კონფრონტაციაში, რის შედეგადაც მის წინააღმდეგ, დროებით, მთელი კომუნისტური სამყარო გაერთიანდა.

ინდოჩინეთის ოცდაათწლიანი ომი

საფრანგეთი ვერ ელევა თავის აზიურ იმპერიას

1862-დან 1897 წლამდე, საფრანგეთმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონი – ინდოჩინეთი (დღევანდელი ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა) საკუთარ პოლიტიკურ კონტროლს დაუქვემდებარა. ფრანგების მიერ ასე მოშორებით მდებარე რეგიონის კოლონიზაციას რამდენიმე მოტივი ჰქონდა. რეგიონის ძვირფასი ნედლი ბუნებრივი რესურსები – კაუჩუკი, კალა, ვოლფრამი და ბრინჯი, რომლის მისაღებად მზად იყო ევროპული ბაზრები – სავაჭრო ინტერესებს იზიდავდა. კათოლიკე მისიონერები იმპერიის დაშორებულ ავანპოსტს დედამიწის მეორე მხარეს ახალი მორწმუნეების საძიებლად მიანყდნენ. სამხედრო და საზღვაო ოფიციალური პირები რეგიონში გარნიზონებისა და ბაზების განლაგებაზე ფიქრობდნენ, რითაც შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პირველობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდნენ. ფრანგების მმართველობის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ჰო ში მინის სახელით ცნობილი ქარიზმატული ლიდერის ხელმძღვანელობის ქვეშ განვითარდა. 1919 წელს იგი პარიზის სამშვიდობო კონფერენციასაც კი დაესწრო, სადაც უილსონისეული თვითგამორკვევის პრინციპის, – რომელსაც ამ დროს აქტიურად გამოიყენებდნენ ევროპაში ავსტრო-უნგრული იმპერიის ყოფილი სუბიექტების მიმართ – აზიაში ფრანგული კოლონიალიზმის მსხვერპლად ქცეული ინდოჩინეთის მოსახლეობაზე გავრცელებას ითხოვდა. როდესაც იგი მიხვდა, რომ ლიბერალური ნაციონალიზმის უილსონისეული პრინციპი მხოლოდ

თეთრკანიან ევროპელ ხალხებზე ვრცელდებოდა, ჰო ში მინმა იმ ერთადერთ ალტერნატიულ იდეოლოგიას მიმართა, რომელიც, ერთი შეხედვით, მის თანამემამულეებს ეროვნულ გათავისუფლებას ჰპირდებოდა. იგი გაემგზავრა მოსკოვში, სადაც რევოლუციური მღელვარებების გამონვევის ტექნიკას დაეუფლა და 1930 წელს ვიეტნამის კომუნისტური პარტიაც დააარსა. 1940 წელს, საფრანგეთის დაცემისა და, ვიშის მთავრობის არაპირდაპირი თანხმობით, ინდოჩინეთის იაპონური ოკუპაციის შემდეგ, მან ჩინეთში ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგა – ვიეტმინი – შექმნა: ნაციონალისტური დაჯგუფებების კოალიცია, სათავეში კომუნისტური პარტიით, რომელიც იაპონური ოკუპაციის მიმართ იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობას უძღვებოდა. შორეულ აღმოსავლეთში ომის დასრულების შემდეგ, ჰო ში მინმა შეერთებულ შტატებს, ეროვნული თვითგამორკვევის ნეოუილსონისეული პრინციპების საფუძველზე, რომელიც ატლანტიკურ ქარტიამი იყო ასახული და რომელსაც პრეზიდენტი რუზველტის ომისდროინდელი გამოსვლები ამყარებდა, მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. 1945 წლის სექტემბერში, იაპონიის კაპიტულაციისა და აზიის კონტინენტიდან მისი საოკუპაციო ძალების ევაკუაციის შემდეგ, ვიეტნამმა ოფიციალურად გამოაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, დედაქალაქით ჰანოიში. დიდმა ბრიტანეთმა, რომელსაც, დროებით, ქვეყნის სამხრეთი ნაწილი ეკავა, საშუალება მისცა საფრანგეთს, კვლავ დაეკავებინა მის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორია. 1946 წლის განმავლობაში ვიეტმინი ცდილობდა, ბრიტანეთის თანამეგობრობის თვითმმართველი დომინიონების მსგავსად, საფრანგეთის იმპერიის შიგნით (რომელსაც იმავე წლის ოქტომბერში „ფრანგული კავშირი“ ეწოდა) ეროვნული დამოუკიდებლობის პირობებზე მოლაპარაკებოდა საფრანგეთს, თუმცა, ფრანგებს სუვერენიტეტის დათმობა არ სურდათ და ეს წინადადება ვერ განხორციელდა. 1947 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც ვიეტმინმა უარი თქვა დამორჩილებოდა ფრანგების ბრძანებას და დაეტოვებინა ჰანოი და ჰაიფონგის პორტი, ადგილზე განლაგებულმა საფრანგეთის სამხედრო და საზღვაო ძალებმა ორივე ქალაქი დაბომბეს, რასაც ექვსი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ვიეტმინმა, საპასუხოდ, ქალაქიდან სოფლებში გადაინაცვლა, იქ პარტიზანული მოძრაობა წამოიწყო, ჩინეთის ჩრდილოეთში მათ ძე ღუნის პარტიზანული მოძრაობის მსგავსად, და ეროვნული გათავისუფლებისათვის საფრანგეთის არმიასთან სრულ საომარ მოქმედებებში ჩაება.

შეერთებული შტატების პოლიტიკამ, ორმოციანი წლების მეორე ნახევარში, საფრანგეთ-ვიეტნამის კონფლიქტის მიმართ ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველად, პრეზიდენტი რუზველტი ომის შემდეგ აზიაში ევროპის კოლონიური ძალაუფლების აღდგენის წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, ტრუმანის ადმინისტრაციამ უყურადღებოდ დატოვა ამერიკი-

სადმი ჰო ში მინის ომის შემდგომი მონოდებები მისი ქვეყნის ეკონომიკური დახმარებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის დიპლომატიური მხარდაჭერის შესახებ. ჰო ში მინის კომუნისტებთან კავშირი შეერთებული შტატების შემოფოთების საგანი მას შემდეგ გახდა, რაც აშშ-საბჭოთა კავშირის ომისდროინდელი თანამშრომლობა თანდათან მათ შორის ცივ ომში გადაიზარდა, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირი ვიეტნამის მიმართ მხოლოდ მცირედი მხარდაჭერითა და ნახალისებით იფარგლებოდა. 1949 წელს ჩინეთის სამოქალაქო ომში კომუნისტების გამარჯვებამ ვაშინგტონში შექმნა შთაბეჭდილება, რომ კომუნისტებში აზიაში კოორდინირებულად მიიწვედა წინ, რაც მოსკოვის მიერ იმართებოდა. საფრანგეთმა ჭკვიანურად გამოიყენა შეერთებული შტატების ეს ეჭვები და განაცხადა, რომ ამერიკული სამხედრო ოპერაცია ვიეტნამში, რომელიც საერთო საზღვარს იყოფდა ახლადგაკომუნისტებულ ჩინეთთან, შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ ევროპაში ამოქმედებული სსრკ-ის შეკავების პოლიტიკის ანალოგიას წარმოადგენდა.

1950 წლის იანვარში ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა ჰო ში მინის მთავრობა აღიარეს, რის შემდეგაც ვაშინგტონმა ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა საიგონში იმპერატორ ბაო დაის მარიონეტულ



ვიეტნამელი ხალხის გულისა და კეთილგანწყობის მოგება. ვიეტნამელი დედა თავის მცირეწლოვან შვილს ანუგეშებს, რომელსაც საფრანგეთის არმიის მედლა ქოლერის სანინალმდეგო აცრას უკეთებს ქალაქ ჰუენ მახლობლად, 1953 წლის ოქტომბერი. საფრანგეთ-ვიეტნამის ომის დროს (1946-1954 წლები) საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლება ცდილობდა, ვიეტნამის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო კამპანიასთან ერთად, ვიეტნამელი მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მათთვის ჰუმანიტარული დახმარებაც გაეწია. ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში საფრანგეთმა ვიეტნამი, დიენ ბიენ ფუ-ს ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, საბოლოოდ დატოვა.

რეჟიმთან, რომელიც, ერთი წლით ადრე, ფრანგებმა დააარსეს, როგორც ნომინალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო (ლაოსთან და კამბოჯასთან ერთად) „ფრანგული კავშირის“ შემადგენლობაში. კორეის ომის დაწყებამ შეერთებულ შტატებს ინდოჩინეთში, კომუნისტების მიერ მოწყობილ ამბოხებაში, ფრანგების სახელით აქტიური ჩარევისაკენ უბიძგა. მომდევნო შემოდგომაზე ვიეტნამში ფრანგების დასახმარებლად ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა გუნდი და 150 მილიონი დოლარის სამხედრო აღჭურვილობა გაიგზავნა.

1954 წელს შეერთებული შტატები ვიეტნამში საფრანგეთის სამხედრო ოპერაციების ხარჯების 78 პროცენტს იხდიდა და ადგილზე სამასი სამხედრო



ჰო ში მინი (1890-1969). ჰო ში მინი ორმოცდაათი წლის განმავლობაში აწარმოებდა კამპანიას ვიეტნამიდან უცხოური სამხედრო ძალების გაყვანისათვის. ორივე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე მან შეერთებული შტატების პრეზიდენტებს – ეუდრო უილსონსა და ჰარი ტრუმანს – მოუწოდა, მხარი დაეჭირათ მისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. იგი ვიეტნამიდან ამერიკელი სამხედროების გასვლამდე ოთხი წლით და სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი მთავრობის დამარცხებამდე ექვსი წლით ადრე გარდაიცვალა.

მრჩეველი ჰყავდა გაგზავნილი. იმავე წლის გაზაფხულზე, ფრანგი სამხედროებისათვის შეერთებული შტატების გაზრდილი დახმარების მიუხედავად, ვიეტნამმა, მათ ძე ღუნისგან ნასწავლი გაბედული პარტიზანული ტაქტიკის წყალობით, ვიეტნამის ქალაქგარეთ ტერიტორიები საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. ვიეტნამელი პარტიზანების ტაქტიკა სამალავებიდან სწრაფ თავდასხმებსა და შემდეგ ჯუნგლებში გაუჩინარებას ეყრდნობოდა. ამიტომ ფრანგმა სამხედრო მეთაურმა, გენერალმა ანრი ნავარმაც დაასკვნა, რომ მეტოქის განადგურების ერთადერთი გზა მისი სამალავიდან გამოტყუება და ჩვეულებრივ ომში ჩათრევა იყო, რომლის მოგებასაც ფრანგები საარტილერიო და სამხედრო-საჰაერო ძალების უპირატესობის წყალობით ვარაუდობდნენ. შესაბამისად, ფრანგებმა მათი არმიის საუკეთესო ნაწილი, 13 500 ჯარისკაცის შემადგენლობით, ლაოსის საზღვართან, დიენ ბიენ ფუს ციხესიმაგრესთან განათავსეს და იმედოვნებდნენ, რომ ვიეტნამის უკანასკნელ ღია ბრძოლაში ჩაითრევენ. ბრძოლა მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა, მაგრამ, ციხესიმაგრის ორმოცდათხუთმეტდღიანი ალყის შემდეგ, დამარცხებული საფრანგეთის მხარე გამოვიდა. ჩინეთისგან მიღებული არტილერიით ვიეტნამის ალყაშემორტყმულ საფრანგეთის არმიას მათ მიერვე მონყობილ ხაფანგში ციხესიმაგრის ირგვლივ გორაკებიდან ბომბავდა, ჩინეთის ჰაერსანიანალმდეგო ქვემეხებით კი ფრანგების სამხედრო-საჰაერო ძალებს ანეიტრალებდა. შედეგად, ვიეტნამმა დიენ ბიენ ფუსთან 7 მაისს 7 000 ფრანგი ჯარისკაცი გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო დანარჩენი 11 000 ტყვედ აიყვანა.

სამშვიდობო შეთანხმება და „დროებითი“ გაყოფა ჟენევაში, 1954 წელი

დიენ ბიენ ფუს ალყის მიმდინარეობისას, 26 აპრილს, ჟენევაში ოთხი დიდი სახელმწიფოს (შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) მონაწილეობით გამართულ კონფერენციაზე, ინდოჩინეთში საზავო შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დაწყება გადაწყდა, რომელზეც მიწვეულ იქნენ ინდოჩინეთის შემადგენელი სამი სახელმწიფოს – ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯას – და ჩინეთის წარმომადგენლები. ტრაგიკული დამთხვევის გამო (ფრანგების თვალსაზრისით), მოლაპარაკებები ინდოჩინეთის თაობაზე 8 მაისს – დიენ ბიენ ფუს დაცემის მომდევნო დღეს დაიწყო. შეერთებული შტატები ჟენევის კონფერენციაში მონაწილეობას იმ იმედით დასთანხმდა, რომ მიღწეული შეთანხმების შედეგად ინდოჩინეთს არაკომუნისტური მმართველობა ეყოლებოდა, რეგიონში ფრანგების ძალაუფლების შენარჩუნებითა თუ მათ გარეშე. მაგრამ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი და კონგრესის განწყობა აშკარად მიუთითებდა, რომ აშშ-ის საზოგადოება მხარს არ უჭერდა ვიეტნამში ამერიკელების სამხედრო ინტერვენციას დამარცხებული ფრანგების მხარდასაჭერად. პარიზის თხოვნას

ფილიპინებზე განლაგებული B-29 ბომბდამშენების გამოყენების შესახებ – მიუხედავად იმისა, რომ ამ თხოვნას მხარს უჭერდა გაერთიანებული შტაბის უფროსი – პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, კონგრესის წინააღმდეგობისა და ასეთი სამაშველო ოპერაციისათვის ბრიტანეთის თანხმობის არარსებობის გამო, უარით უპასუხა. პარადოქსულად, ვიეტნამში ამერიკის სამხედრო ინტერვენციის ყველაზე აქტიური მონაწილე იყო, სენატში დემოკრატიული პარტიის ლიდერი ლინდონ ჯონსონი იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საფრანგეთის იმპერიულ პოზიციას უკანასკნელი დარტყმა შუა ივნისში მიაღდა, როდესაც პარიზში პრემიერ ლანიელის მთავრობა ომის მიმართ კრიტიკულად განწყობილი პიერ მენდეს-ფრანსის მთავრობამ ჩაანაცვლა, რომელსაც პირობა ჰქონდა დადებულ, რომ ერთი თვის განმავლობაში მიაღწევდა ცეცხლის შეწყვეტას ან გადადგებოდა. მენდეს-ფრანსი, რომელიც მისი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციასაც ასრულებდა, დაუყოვნებლივ გაემშურა ვენევაში, მოსკოვისაგან და პეკინისგან მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რათა საფრანგეთი ელეგანტურად გამოსულიყო ვიეტნამის წაგებული ომიდან. რუსეთიდან მოლოტოვთან და ჩინეთიდან ჯოუ ენლაისთან მოლაპარაკებების შემდეგ, შეთანხმება შედგა. 21 ივლისს ხელი მოეწერა ვენევის შეთანხმებებს, რომლითაც დასრულდა რვანლიანი ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში: გადაწყდა ვიეტნამის დროებით გაყოფა მე-17 პარალელის გასწვრივ. ვიეტმინი ადმინისტრაციას გაუწევდა ჩრდილოეთის ზონას, ხოლო სამხრეთის ზონის მმართველობას განახორციელებდა საიგონი, საიდანაც დისკრედიტებული იმპერატორი ბაო დაი მოგვიანებით ამერიკული განათლების მქონე კათოლიკე პრემიერმინისტრმა ნგო დინ დიემმა განდევნა. არცერთ სექტორს არ ჰქონდა უცხო ქვეყანასთან სამხედრო ალიანსში შესვლის ან საკუთარ ტერიტორიაზე უცხოური სამხედროების განლაგების უფლება. ქვეყანა ორ წელიწადში, გაეროს საკონტროლო კომისიის მიერ ფარული კენჭისყრით ორგანიზებული არჩევნების შემდეგ, უნდა გაერთიანებულიყო. ლაოსისა და კამბოჯის მონარქიული მთავრობების სუვერენიტეტი შეთანხმების ყველა ხელმოწერმა მხარემ აღიარა.

ვაშინგტონი საიგონის რეჟიმს აძლიერებს

ჰო ში მინი მისმა საბჭოთა და ჩინელმა მფარველებმა დაარწმუნეს, რომ მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიის 20 პროცენტი საიგონის ანტიკომუნისტური რეჟიმისათვის დაეთმო და დათანხმებოდა მისი ქვეყნის დროებით გაყოფას იმ დროს, როდესაც რეგიონს დასუსტებული კოლონიური ხელისუფლება ტოვებდა. კრემლის პოსტსტალინისტურმა ხელმძღვანელობამ ვიეტნამში კომუნისტური მოძრაობის ინტერესები ვაშინგტონთან ურთიერთობების სანაცვლოდ განიარა. პეკინს, რომელიც კორეის ძვირად ღირებული ომის შედეგებთან გამკლავებას ცდილობდა, არ სურდა ვაშინგტონისათვის

აზიის კონტინენტზე კიდევ ერთი სამხედრო ინტერვენციისათვის საბაბი მიეცა. შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გამოხატა მტკიცე გადანწყვეტილება, რომ ხელს შეუშლიდა ვიეტნამის გაერთიანებას და დაიცავდა კამბოჯისა და ლაოსის მონარქისტულ მთავრობებს ადგილობრივი კომუნისტური მოძრაობების მიერ ორგანიზებული ამბოხებების შემთხვევაში. რამდენადაც ვაშინგტონს უნებვის შეთანხმებებზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი, ის თავს ვალდებულად არ თვლიდა, რომ, შეთანხმებების შესაბამისად, ინდოჩინეთში უცხოური სამხედრო ძალების განლაგების აკრძალვას დამორჩილებოდა. 1954 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, დალესის ძალისხმევით, სამხრეთ-



სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტი ნგო დინ დიემი (1901-1963) ხმის მიცემისას, საიგონი 1961: ვიეტნამელი ნაციონალისტი, ფრანგების მმართველობასთან მებრძოლი და, იმავდროულად, მგზნებარე ანტიკომუნისტი, რომელმაც უარი თქვა ვიეტნამთან თანამშრომლობაზე, დაბრუნდა შეერთებული შტატებიდან და სათავეში ჩაუდგა სამხრეთ ვიეტნამს მაშინ, როცა 1954 წლის ზაფხულში, საფრანგეთის სამხედრო ძალები ყოფილი კოლონიიდან გასვლისთვის ემზადებოდნენ. 1956 წელს ვიეტნამის გასაერთიანებლად საყოველთაო არჩევნების ჩატარებაზე მისმა უარმა შეერთებული შტატების კმაყოფილება გამოიწვია, რომელიც შიშობდა, რომ ასეთ არჩევნებში პო ში მინი გაიმარჯვებდა. სამაგიეროდ, ჩრდილოეთ ვიეტნამის მხარდაჭერით და ინიციატივით, სამხრეთ კორეაში კომუნისტების აჯანყება მოხდა.

აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (SEATO) შეიქმნა. ორგანიზაცია ითვალისწინებდა რეგიონული უსაფრთხოების შეთანხმებას, რომლის თანახმად, შეერთებული შტატები და სხვა ქვეყნები ვალდებული იქნებოდნენ, რომ დაიცავდნენ ლაოსსა და კამბოჯას კომუნისტური აგრესიისგან და აჯანყებულებისგან ისევე, როგორც სამხრეთ ვიეტნამს ჩრდილოეთ ვიეტნამისაგან. 1954 წლის ბოლოსთვის, საიგონში, სამხრეთ ვიეტნამის არმიის გასაწვრთნელად, ამერიკელი სამხედრო მრჩეველები ჩავიდნენ, ამერიკის ეკონომიკური დახმარება კი დიემის ხაზინას ავსებდა.


სამხრეთ ვიეტნამის მთავრობა არ აპირებდა ჟენევის შეთანხმებების შესრულებას და საყოველთაო-ეროვნული არჩევნების ჩატარებას ქვეყნის გასაერთიანებლად. 1955 წლის ზაფხულში პანოიმ ორჯერ ოფიციალურად მიმართა საიგონს, წარმოედგინა საარჩევნო კომისიის წევრები, როგორც ამას შეთანხმებები ითვალისწინებდა. 9 აგვისტოს დიემმა უარი თქვა საარჩევნო კომისიის წევრების წარდგენაზე იმ მიზეზით, რომ ასეთი არჩევნების ჩატარებას აზრი არ ექნებოდა, სანამ ჩრდილოეთ ვიეტნამის მთავრობა საკუთარ მოქალაქეებს დემოკრატიულ უფლებებზე უარს ეუბნებოდა. შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ საყოველთაო-ეროვნულ არჩევნებს ვიეტმინი მოიგებდა, მხარი დაუჭირა ჟენევის შეთანხმებებიდან არჩევნებთან დაკავშირებული დებულებების გაუქმებას. 1956 წლის ზაფხულში, არჩევნების თარიღის ჩავლის შემდეგ, მე-17 პარალელზე გამავალი დროებითი სადემარკაციო ხაზი ორ მტრულ სახელმწიფოს შორის საზღვრად იქცა. ათწლეულის ბოლოს, ვიეტნამის არმიაში 1954 წლის ბოლოს მივლენილი 275 ამერიკელი სამხედრო მრჩევლის რაოდენობა 685-მდე გაიზარდა, ხოლო დიემი ყოველწლიურად შეერთებული შტატებისგან 300 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარებას იღებდა. ამასობაში, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ჩრდილოეთ ვიეტნამისათვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარების განევას შეუდგნენ.

1954 წლის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ვიეტმინის ათასობით პარტიზანი სამხრეთ ვიეტნამში დარჩა იმ იმედით, რომ ორ წელიწადში გამართულ არჩევნებში პოლიტიკურ გამარჯვებას მოიპოვებდნენ ან, პოლიტიკურად ნებადართული ეროვნული უნიფიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, შეიარაღებულ ბრძოლას განაგრძობდნენ. არჩევნების გაუქმებას პარტიზანული ბრძოლების განახლება მოჰყვა, რაც საიგონის რეჟიმის მიერ დანიშნული ოფიციალური პირების შერჩევით მკვლევლობებში გამოიხატებოდა. ამასობაში, დიემის მთავრობის კორუფცია, ნეპოტიზმი და რეპრესიული პოლიტიკა ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში არაკომუნისტი ინტერესჯგუფების უკმაყოფილებას იწვევდა. 1960 წლის დეკემბერში დიემის მონინალმდევე დისიდენტების კოალიციამ, – რომელშიც კომუნისტებიც და არაკომუნისტებიც გაერთიანდნენ – ეროვნული გათავისუფლების ფრონტი ჩამოაყალიბა, რომლის მიზნებს სოციალური რეფორმა, პოლიტიკური ლიბერალიზაცია

და სამხრეთ ვიეტნამის ნეიტრალიტეტი წარმოადგენდა. ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილო განწყობა კარგად გამოიყენა ჰანოის მთავრობამ და მხარდაჭერა გამოხატა სამხრეთის ამ ოპოზიციური დაჯგუფების მიმართ, რომელსაც დიემმა ზიზლით ვიეტკონგი (ვიეტნამელი კომუნისტები) უწოდა.

კენედის ახალმა ადმინისტრაციამ მისი წინამორბედისგან მემკვიდრეობით ყოფილი ფრანგული ინდოჩინეთის არაკომუნისტური რეჟიმების – განსაკუთრებით, ლაოსისა და კამბოჯის – დახმარების ვალდებულება მიიღო, რათა შეენარჩუნებინათ ჰანოის კომუნისტური რეჟიმისაგან მათი დამოუკიდებლობა და დაეცვათ ისინი ადგილობრივი კომუნისტების მიერ ორგანიზებული შიდაარეულობებისგან. ხმელეთით შემოსაზღვრულ ლაოსში, რომელმაც დამოუკიდებლობა საფრანგეთისგან 1954 წელს მიიღო, მთელი ათწლეულის განმავლობაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მთავრობების სწრაფი ცვლილებების დროს, შეერთებული შტატები, სამხედრო აღჭურვილობითა და სამხედრო მრჩევლებით, ლაოსის სხვადასხვა მემარჯვენე პოლიტიკურ ჯგუფებს ეხმარებოდა, მოსკოვი და პეკინი კი – ნეიტრალიტეტის მომხრეებსა და პროკომუნისტური პატეტ ლაოს კოალიციას უმადვარებდა ზურგს. ბოლოს, 1961 წლის მაისში, დიდმა სახელმწიფოებმა ინდოჩინეთის საკითხზე, ლაოსის პრობლემის მოგვარების მიზნით, კონფერენცია მოინიჭეს. 1962 წლის ივნისში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად ლაოსი ნეიტრალური სახელმწიფო ხდებოდა (შესაბამისად, მას უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო ალიანსებში შესვლა, მათთვის სამხედრო ბაზების დათმობა ან მათგან სამხედრო დახმარების მიღება ეკრძალებოდა), რომელსაც სათავეში სამი დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფისგან შემდგარი კოალიციური მთავრობა ჩაუდგებოდა. ამის მიუხედავად, ვაშინგტონმა განაგრძო კოალიციური მთავრობისათვის იარაღის მიწოდება და მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა კოალიციური მთავრობა დატოვეს და წინააღმდეგობის მოძრაობა განაგრძეს, ფარულად, პატეტ ლაოს სანვრთნელი ბაზებიც დაბომბა.

1960-იანი წლების დასაწყისში ლაოსთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმებები ირღვეოდა, მეზობელი ვიეტნამი კი ქაოსმა მოიცვა. 1961 წლის დეკემბერში, როდესაც თეთრი სახლი პრეზიდენტმა კენედიმ დაიკავა, სამხრეთ ვიეტნამში უკვე მივლენილი იყო 900-მდე სამხედრო მრჩეველი ამბოხებათა ჩასახშობ საომარ მოქმედებებში ამ ქვეყნის სამხედრო ძალების გასანვრთნელად. წლის ბოლომდე სამხედრო მრჩეველთა რაოდენობა 2600-მდე გაიზარდა, კენედის მკვლევლობისას, 1963 წლის ნოემბერში კი მათი რაოდენობა 16 500-ს შეადგენდა. შეერთებული შტატების სამხედრო დახმარება საიგონის მიმართ დიდი ნაბიჯებით იზრდებოდა. ამ პერიოდში კენედი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობაში ავტოკრატი დიემის დარწმუნებას ცდილობდა, რათა დაეკმაყოფილებინა ბუდისტი უმრავლესობის მასები, რომლებიც ხელისუფლებაში მყოფი კათოლიკური ელიტისაგან თავს შევიწროებულად გრძნობდნენ. 1963 წელს, როდესაც ვიეტნამის



ინდოჩინეთი, 1954-1975



სამხრეთვიეტნამელი გლეხებისათვის საცხოვრებლის შეცვლა, ვიეტკონგისგან მათ დახაცვად. კენედის ადმინისტრაციის რჩევით, სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის ხელმძღვანელმა ნგო ღინ დიემმა 1962 წელს განსახლების კამპანია წამოიწყო, რომელიც მიმართული იყო სოფლის მოსახლეობის „სტრატეგიულ დასახლებებში“ განლაგებისკენ, სადაც მათ სამთავრობო შეიარაღებული რაზმები დაიცავდნენ. მიზანი სოფლის მოსახლეობის კომუნისტებისგან იზოლირება და მათი არა მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ ეკონომიკური და სოციალური რეფორმებით მათი ცხოვრების გაუმჯობესებაც იყო. პროექტს უკუშედეგი მოჰყვა, რადგან სოფლის მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა წინაპართა მინებიდან იძულებით აყრის გამო, რამაც ისინი საიგონის რეჟიმისა და მათი ამერიკელი მხარდამჭერების წინააღმდეგ განაწყო.

შეიარაღებულმა ძალებმა შეუიარაღებელ მანიფესტანტებს ცეცხლი გაუხსნეს და იერიშით აიღეს ბუდისტური პაგოდები, კენედის ადმინისტრაციამ ღიად გამოხატა უკმაყოფილება თავისი ურჩი პროტესტის მიმართ და სამხრეთ ვიეტნამს ეკონომიკური დახმარება შეუმცირა. ეს ნაბიჯი სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ოფიცრებმა დიემს შეერთებული შტატების კეთილგანწყობის დაკარგვის ნიშნად ჩაუთვალეს, 1-ელ ნოემბერს საიგონში, შეერთებული შტატების ელჩის – ჰენრი კებოტ ლოჯის ირიბი თანხმობით, მისი რეჟიმი დაამხეს და თავადაც სიცოცხლეს გამოასალმეს. სამ კვირაში კენედიც მოკლეს.

ჩიხური მდგომარეობის შექმნა

1963 წლის ნოემბრიდან 1965 წლის ბოლომდე, საიგონში სამხედრო ოფიცრების ხელისუფლებისათვის პაექრობას შედეგად თორმეტი მთავრობის შეცვლა მოჰყვა. გენერლები და მარშლები, რომლებიც მონაცვლეობით იკავებდნენ სამხრეთ ვიეტნამის უმაღლეს თანამდებობას, არ ცდილობდნენ

საკუთარი რეჟიმებისთვის საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას მიწის რეფორმის გატარებისა თუ პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებების გავრცელების გზით. ამის მიუხედავად, ვაშინგტონში ჯონსონის ახალმა ადმინისტრაციამ სამხრეთ ვიეტნამში არაკომუნისტური ძალების სახელით ამერიკის სამხედრო აქტიურობა გააღრმავა. როდესაც სამხრეთვიეტნამელმა ამბოხებულებმა ჩრდილოეთ ვიეტნამიდან, ჩინეთისგან და საბჭოთა კავშირისგან დიდი ოდენობის სამხედრო იარაღისა და საჭურვლის მიღება დაიწყეს, სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელების აქტიურობის ფორმამაც ცვლილება განიცადა. 1964 წლის თებერვალში ამერიკელების განვრთნილმა სამხრეთ ვიეტნამის არმიამ ჩრდილოეთ ვიეტნამში ფარული სადესანტე-დივერსიული რეიდები დაიწყო, პარალელურად კი ხორციელდებოდა საჰაერო თავდასხმები მეზობელ ლაოსზე, რათა სამხრეთვიეტნამელი ამბოხებულებისათვის იარაღის მიწოდების გზები გადაეკეტათ. შემდეგ ზაფხულს ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპიროსთან მომხდარმა ინციდენტმა ამერიკის პრეზიდენტს რესპუბლიკელი ოპოზიციის წინააღმდეგ ხელ-ფეხი გაუხსნა: 4 აგვისტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის კუთვნილმა სამხედრო გემებმა, როგორც ამტკიცებდნენ, ცეცხლი გაუხსნეს ტონკინის ყურეში საერთაშორისო წყლებში მოცურავე ორ ამერიკულ საესკადრო ნაღმოსანს. იმის მიუხედავად, რომ ვიეტნამურმა გემებმა სწრაფადვე დაიხიეს უკან და არცერთ ამერიკულ გემს ზიანი არ მიყენებია, ჯონსონმა ისარგებლა ამ ე.წ. პროვოკაციით და კონგრესს დასამტკიცებლად წარუდგინა წინასწარვე მომზადებული რეზოლუციის პროექტი, რომლითაც ჩრდილოეთ ვიეტნამის აგრესიაზე ყველა შესაბამისი საშუალებებით რეაგირების ნებართვას ითხოვდა. 7 აგვისტოს ტონკინის ყურის რეზოლუცია წარმომადგენელთა პალატაში ერთხმად მიიღეს, ხოლო სენატში მას მხოლოდ ორმა სენატორმა არ დაუჭირა მხარი. პრეზიდენტს შეერთებული შტატების კონფლიქტში მონაწილეობის გასაზრდელად სრული უფლებამოსილება ჰქონდა.

1964 წელს, ხელახლად არჩევის შემდეგ, ჯონსონმა ჩრდილოეთ ვიეტნამის ინტენსიური დაბომბვის გეგმა განახორციელა. 1965 წლის 7 თებერვალს, როდესაც ვიეტკონგის თავდასხმას ამერიკულ ყაზარმასა და სამხედრო-საჰაერო ბაზაზე პლეიკუში 9 ამერიკელი სამხედროს სიკვდილი მოჰყვა და ასამდე სამხედროს მიაღდა ზიანი, ჯონსონმა მეშვიდე ფლოტის ავიამზიდებიდან ჩრდილოეთ ვიეტნამზე საპასუხო საჰაერო დარტყმების ბრძანება გასცა. ამ პირველი ფართომასშტაბიანი დაბომბვებიდან ერთ თვეში (6 მარტს) ვაშინგტონმა გამოაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამში საზღვაო ქვეითთა ორი ბატალიონი იგზავნებოდა. 1965 წლის ბოლოს, ადამიანმა, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიისას ამომრჩეველს აღუთქვა, რომ არასოდეს გაგზავნიდა ვიეტნამში ამერიკელ ჯარისკაცებს, ამ ქვეყანაში 184 000 ქვეითი ჯარისკაცი გაგზავნა. შემდეგი წლის ბოლოს ეს რიცხვი 385 000-მდე გაიზარდა, 1967



ბუდისტ ბერი თპიკ ქუანგ დუკი, მთავრობის მიერ მისი სარწმუნოების მიმდევრების შევიწროების გამო, თავს იწვევს. 1963 წლის ზაფხული: თავდადებული კათოლიკე ნგო დინ დიემის (რომლის ძმა პუეს არქივისკოპოსი იყო) რეჟიმის მიერ ქვეყნის ბუდისტური უმრავლესობის დისკრიმინაციამ ბევრი სამხრეთვიეტნამელი არაკომუნისტის გაუცხოება გამოიწვია, რამაც საიგონის მთავრობის წინააღმდეგ კომუნისტების მიერ ინსპირირებულ ამბოხებას შეუწყო ხელი. ამ და მსგავსმა ფოტოებმა დიემის მთავრობის საერთაშორისო რეპუტაციას დიდი ზიანი მიაყენეს.

წლის ბოლოს ამ რიცხვმა 535 000-ს მიაღწია, ხოლო 1969 წლის თებერვალში ვიეტნამში ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა მაქსიმალურ ნიშნულამდე – 542 000 ჯარისკაცამდე გაიზარდა. არც ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა და არც სამხრეთ ვიეტნამში ამერიკული ძალის გაზრდა არ აღმოჩნდა საკმარისი სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხების ჩასახშობად. პანოიმ სამხრეთისათვის ცოცხალი ძალისა და იარაღის მიწოდება გაააქტიურა, ხოლო ვიეტკონგის ადგილობრივმა ძალებმა საკუთარ კონტროლს ქვეყნის თითქმის მთელი ტერიტორია დაუქვემდებარეს, ქალაქების გარდა.

ვიეტნამის ომში გარდამტეხი მომენტი 1968 წლის 30 იანვარს დადგა: მთვარის ახალი წლის დანყების აღმნიშვნელი დღესასწაული – ტეტის – პირველი დღე. ამ დღეს ვიეტკონგმა და ჩრდილოეთ ვიეტნამის რეგულარულმა არმიამ სამხრეთ ვიეტნამის პროვინციული ქალაქებისა და საიგონის წინააღმდეგ იერიში წამოიწყეს. საიგონში მათ პრეზიდენტის სასახლემდე, რადიოსადგურამდე, აეროპორტამდე და შეერთებული შტატების ყოველი მხრიდან გამაგრებულ საელჩომდეც მიაღწიეს. ტეტის სამხედრო იერიშის მიზანი

სამხრეთ ვიეტნამის ქალაქებში საიგონის რეჟიმისა და მისი ამერიკელი პროტექტორების წინააღმდეგ აჯანყებების გამოწვევა იყო. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, იერიში წარუმატებელი აღმოჩნდა და დიდი დანაკარგებიც გამოიწვია. იერიშისას 45 000 კომუნისტი და მხოლოდ 4 000 სამხრეთვიეტნამელი ან ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ამერიკულ-სამხრეთვიეტნამურმა კონტრშეტევამ ამბოხებულები ყველა დაკავებული ქალაქიდან განდევნა. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ვიეტნამის მთავარი ქალაქების დაკავებით ჰანოიმ და მისმა მომხრეებმა სამხრეთ ვიეტნამში საზოგადოებრივი აზრის კუთხით უზარმაზარი გამარჯვება მოიპოვეს, რადგან მათმა იერიშმა ამერიკის მთავრობის ოპტიმისტური განცხადებები, რომ მტერი უკვე მუხლებზე იდგა, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ეს იმ დროს, როდესაც ვიეტნამის ომი შეერთებულ შტატებში თანდათან არაპოპულარული ხდებოდა.

ანტისაომარი განწყობები შეერთებულ შტატებში და სამარცხინო გამოსვლა ვიეტნამიდან

რამდენადაც ვიეტნამში ამერიკული არმიის გაძლიერება 1965-1968 წლებში ომში დიდი რაოდენობის ახალწვეულების გაგზავნას ნიშნავდა, ომისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ თანდათან კონგრესშიც იჩინა თავი. მსხვერპლის რაოდენობა და „დახოცილთა აღრიცხვა“, რასაც დანვრილებით აღწერდნენ ამერიკული ტელევიზიების კორესპონდენტები, რომლებიც პირდაპირ ბრძოლის ველიდან გადმოსცემდნენ რეპორტაჟებს, შეერთებულ შტატებში მზარდი უკმაყოფილების ნისქვილზე ასხამდა წყალს. 1966-1967 წლებში პრეზიდენტი ჯონსონი, რომელიც კრიტიკის ცეცხლს უკვე საკუთარი პარტიის წევრებისგანაც გრძნობდა, შეეცადა ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის დროებითი შეწყვეტით კონფლიქტის დასრულებისათვის ჰანოი მოლაპარაკებების დაწყებაში დაერწმუნებინა. ჩრდილოეთ ვიეტნამის მთავრობა განუწყვეტლივ უარს ამბობდა ვაშინგტონთან მოლაპარაკებების დაწყებაზე, მანამ ეს უკანასკნელი წინასწარ ჩრდილოეთის დაბომბვას არ შეწყვეტდა. თუ დაბომბვის შეწყვეტა საკმარისი არ აღმოჩნდებოდა ამერიკელთა პირობებზე ჩრდილოეთ ვიეტნამელების მოლაპარაკებათა მაგიდაზე მისატყუებლად, დაბომბვა კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გრძელდებოდა, მოლაპარაკებაზე მათი იძულების მიზნით. მოგვიანებით, ტეტის იერიშმა უჩვენა, რომ სამხრეთში სახმელეთო ბრძოლების მოგება ამერიკელებისთვის შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩრდილოეთის უწყვეტმა დაბომბვამ დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკებების მაგდასთან ვერ მიიყვანა და რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი დაბომბვის შეწყვეტა და ჰანოისთან მოლაპარაკებების დაწყების მცდელობა იყო.



ამერიკელი ბავშვების ექიმი ვიეტნამის ომის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე: ექიმი ბენჯამინ სპოკი გაეროს შენობისაკენ წინ მიუძღვის დემონსტრაციას ვიეტნამის ომში ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნით. ცნობილი პედიატრი, რომლის 1946 წელს გამოცემული წიგნით – „ახალშობილისა და ბავშვის მოვლა“ – მილიონობით ამერიკელი მშობელი ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთი იყო მსოფლიოში ცნობილ პიროვნებათაგან, რომლებიც ხმამაღლა გამოხატავდნენ წინააღმდეგობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედებების მიმართ (სხვა ცნობილი ადამიანები იყვნენ: კინოვარსკვლავი ჯეინ ფონდა, მწერალი ნორმან მეილერი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, მოკრივე მუჰამედ ალი და სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის ლიდერი მარტინ ლუთერ კინგი.)

ვიეტნამის ომით ამერიკული საზოგადოების უკმაყოფილება სიმბოლურად 1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ განხორციელებულ პირველად არჩევნებზე (პრაიმერებში) აისახა, ომის ძლიერი მოწინააღმდეგის, სენატორ იუჯინ მაკარტის შედეგებში. როდესაც სენატორი რობერტ კენედი – მოკლული პრეზიდენტის ძმა – ომის საწინააღმდეგო პლატფორმით, დემოკრატიული პარტიის მხრიდან საპრეზიდენტო კამპანიას შეუერთდა, იმედდაკარგულმა პრეზიდენტმა ჯონსონმა პოლიტიკის დაუყოვნებლივ შეცვლა და ვიეტნამის არეულობის მოგვარების სხვებისთვის მინდობა გადაწყვიტა. 1968 წლის 31 მარტს მან განაცხადა, რომ არ აპირებდა მეორე ვადისთვის საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოყენებას, შეწყვიტა ჩრდილოეთ ვიეტნამისა და დემილიტარიზებული ზონის დაბომბვა და სთხოვა ჰო ში მინს დელეგატების გაგზავნა კონფერენციაზე, რომელიც, როგორც თვითონ უწოდა – „ამ საძაგელ ომს“ – დაასრულებდა. სამშვიდობო მოლაპარაკებები პარიზში რამდენიმე თვეში დაიწყო, თუმცა, მცირე შედეგებით. ჰანოი კი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ელოდა.

ახალმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა საარჩევნო კამპანიისას ვაკერით ასხენა „სამშვიდობო გეგმა“, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო შეერთებული შტატების სამხედრო მონაწილეობისთვის ინდოჩინეთში. 1969 წლის ივლისში გუამში ნიქსონმა, ზოგადად, შორეული აღმოსავლეთისა და, კონკრეტულად, ვიეტნამის მიმართ ახალი საგარეო პოლიტიკის შესახებ განცხადება გააკეთა. ნიქსონის დოქტრინის ამოსავალ ნერტილს „ვიეტნამიზაციის“ კონცეფცია წარმოადგენდა, რაც სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ძალების თანდათანობით გაძლიერებას გულისხმობდა, რათა მათ საკუთარ მხრებზე ეტვირთათ ქვეყნის თავდაცვა, რომელსაც შეერთებული შტატები თანდათანობით დატოვებდა. სამხრეთ ვიეტნამში ამერიკული სამხედრო პერსონალის რიცხვი, რომელიც 1968 წელს 540 000-ს შეადგენდა, 1971 წლისთვის 139 000-მდე, ხოლო ნიქსონის პრეზიდენტობის პირველი ვადის ბოლოს – 25 000-მდე შემცირდა. იმავდროულად, ნიქსონის ადმინისტრაცია ცდილობდა, „მოეგო მოკავშირის თვითკმარობის მისაღწევად საჭირო დრო“, რაც ჩრდილოეთ ვიეტნამის მიერ ბრძოლის ველზე მიღწეული თითოეული წარმატების პასუხად, ძალადობის კიდევ უფრო მეტ ესკალაციას იწვევდა. 1970 წლის აპრილში შეერთებული შტატების ქვეითმა არმიამ, სამხრეთ ვიეტნამისათვის იარაღის მიწოდების გზების გადაკეტვისა და კამბოჯაში თავშეფარებული ჩრდილოეთვიეტნამელი არმიის ჯარისკაცების ქვეყნიდან განდევნის მიზნით, ნეიტრალური კამბოჯა დაიკავა. 1972 წლის გაზაფხულზე ჩრდილოეთ ვიეტნამის ქვეითმა ჯარმა და სამხედრო ჯავშანტექნიკამ სამხრეთ ვიეტნამის ნინალმდეგ დემილიტარიზებულ ზონაში იერიში წამოიწყო და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ნიქსონის ვიეტნამიზაციის პროგრამას. ამის საპასუხოდ, მანში ამერიკის პრეზიდენტმა, ჩინეთიდან და საბჭოთა კავშირიდან ჩრდილოეთ ვიეტნამისათვის სამხედრო მარაგების მიწოდების გზების გადაკეტვის მიზნით, ჩრდილოეთ ვიეტნამის სატრანსპორტო საშუალებების და სამხედრო ობიექტების დაბომბვისა და ძირითადი პორტების დანალმვის ბრძანება გასცა. 1972 წლის დეკემბერში მოახლოებული სამშვიდობო შეთანხმების შესახებ ჰენრი კისინჯერის განცხადების შემდეგ, ნიქსონმა ჰანოისა და ჰაიფონგის B-52 სტრატეგიული ბომბდამშენებით მასობრივი დაბომბვის ბრძანება გასცა, რათა ჩრდილოეთ ვიეტნამის პროზიციის ამერიკის პროზიციასთან დაახლოებისათვის მიეღწია.

პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, კისინჯერი, ომის დასრულების შესახებ შეთანხმების ნიადაგის მოსასინჯად, ჩრდილოეთ ვიეტნამის მხარის წარმომადგენელ ლე დიკ თო-ს საიდუმლოდ შეხვდა. 1972 წლის ბოლოს შეერთებული შტატები გადამწყვეტ დათმობაზე წავიდა: ცეცხლის შეწყვეტა სამხრეთ ვიეტნამიდან ჩრდილოეთ ვიეტნამის ძალების სრული ევაკუაციის ნაცვლად, რასაც ამერიკა მანამდეც მოითხოვდა. შეთანხმებას საბოლოოდ 1973 წლის 27 იანვარს მიაღწიეს, ნიქსონის ხელახალი არჩევიდან მოკლე დროში. შეერთებული

შტატები სამხრეთ ვიეტნამიდან ორი თვის განმავლობაში მთელი სამხედრო ძალების გამოყვანას დათანხმდა. მხარეები სამხედრო ტყვეების გაცვლაზეც შეთანხმდნენ. პოლიტიკურ სფეროში შეთანხმების ბუნდოვანი დებულებები სამხრეთ ვიეტნამში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, რომელიც იქ თავისუფალ არჩევნებს ჩაატარებდა. ამ საკითხზე სერიოზულად არავის უმსჯელია და ამერიკული სამხედრო ძალების ევაკუაციიდან ორ წელიწადში, ინდოჩინეთის სამივე პრო-დასავლური რეჟიმი კომუნისტებმა დაამხეს. საიგონის მთავრობა ჩრდილოეთ ვიეტნამის სამხედრო ძალებმა 1975 წლის 30 აპრილს ჩამოაგდეს. მანამდე, ორი კვირით ადრე კი, კამბოჯის კომუნისტურმა ორგანიზაციამ, წითელმა ქმერებმა, პროამერიკული მთავრობა დაამხო, რომელიც ამ ქვეყნის სათავეში 1970 წელს პრინც ნოროდომ სიანუკის ნეიტრალური რეჟიმის შეცვლის შემდეგ იმყოფებოდა. 23 აგვისტოს, როდესაც კომუნისტურმა ორგანიზაცია პათეტ ლაომ ლაოსის არაკომუნისტური ადმინისტრაცია ხელისუფლებას მოაცილა, ფრანგული ინდოჩინეთის მესამე დომინოც დაეცა.

1961-დან 1973 წლამდე ინდოჩინეთის ომში – ამერიკის ყველაზე ძვირად ღირებულ საგარეო ომში – დაახლოებით ორმოცდათვრამეტი ათასი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამში სამჯერ იმაზე მეტი წონის ბომბი ჩამოაგდო, ვიდრე გერმანიას დაეცა მეორე მსოფლიო ომის დროს. ომის ფინანსური ტვირთი, საიგონისათვის განეული სამხედრო დახმარების ჩათვლით, 150 მილიარდ დოლარად შეფასდა. 1965-1968 წლებში ვიეტნამში შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედებების გააქტიურება პრეზიდენტ ჯონსონის „დიადი საზოგადოების“ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხარჯების მკვეთრ ზრდას დაემთხვა. ამის მიუხედავად, მან თავიდან აიცილა ორივე სფეროს – სამხედროს და სოციალურის – ხარჯების დაფარვის მიზნით, პოლიტიკურად არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა: გადასახადების გაზრდა. შესაბამისმა საბიუჯეტო დეფიციტმა მძაფრი ინფლაცია გამოიწვია, რისი შედეგებიც შეერთებულ შტატებში ათწლეულების განმავლობაში იგრძნობოდა. ინდოჩინეთში შეერთებული შტატების პოლიტიკას არანაკლებ სერიოზული სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვა: ცინიზმამდე მისული სკეპტიციზმი მთავრობის მიმართ, რომელსაც ადმინისტრაციის იდეალისტურ და ოპტიმისტურ განცხადებებსა და ვიეტნამის ჯუნგლების ტელევიზიით ნანახ მძიმე რეალობას შორის არსებული უფსკრული ასაზრდოებდა; საზოგადოების ზიზღი ყოველგვარი საგარეო პრობლემატიკის მიმართ, რაც შორეული წარსულის იზოლაციონიზმის აღორძინების საფრთხეს ქმნიდა და, ომიდან გამომდინარე, მრავალი სოციალური და ფსიქოლოგიური სიძნელე, რომელსაც ნაომარი ვეტერანები აწყდებოდნენ: მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება და ფსიქიკური დაავადება, რომელსაც ფსიქიატრებმა პოსტტრავმატიული სტრესული აშლილობა უწოდეს.

ამერიკა ვიეტნამში: შეფასება

იმ უზარმაზარი ხარჯების და დანაკარგების ფონზე, რაც შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, საფრანგეთის ყოფილი კოლონიის სამ სახელმწიფოში, კომუნისტური მმართველობის დამყარების თავიდან აცილებისაკენ მიმართული წარუმატებელი მცდელობებისას გასწია, როგორ შეიძლება აიხსნას, შეერთებული შტატების ოთხი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადმინისტრაციის მიერ, ვიეტნამის სამხედრო ავანტიურაში ასეთი ხანგრძლივი და შეუპოვარი მონაწილეობა? ეკონომიკური გამორჩენა ოდნავადაც ვერ გაამართლებს დახარჯულ ფულს, დაღუპულ ჯარისკაცებსა და პრესტიჟს. ინდოჩინეთთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებისას არც რეგიონის ბუნებრივ რესურსებს ან ამერიკული ექსპორტისათვის თუ კაპიტალდაბანდებისათვის პოტენციური ბაზრის მოპოვებას შეუსრულებია მნიშვნელოვანი როლი. გაერთიანებული კომუნისტური ვიეტნამი შეერთებულ შტატებსა და აზიაში მის მოკავშირეებს სამხედრო საფრთხეს – რეალურს თუ პოტენციურს – უბრალოდ ვერ შეუქმნიდა, რეგიონში განლაგებული შეერთებული შტატების საზღვაო და საჰაერო ძალების აშკარა უპირატესობიდან გამომდინარე. ისეთი არამატერიალური ფაქტორები, როგორიცაა: ბიუროკრატიული ინერცია, სამხედრო და სამოქალაქო პოლიტიკური პირების პირადი დაინტერესება და მოკავშირეებისა და მონინააღმდეგეების თვალში პრესტიჟის დაკარგვის საფრთხე, უდავოდ ასრულებდნენ გარკვეულ როლს იმაში, რომ შეერთებულმა შტატებმა დროულად არ დააღწია თავი ვიეტნამის ჭაობს. ამასთანავე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკელთა ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაცია ჩინეთთან დაკავშირებული ეჭვები იყო. 1965 წლის აპრილში პრეზიდენტმა ჯონსონმა საჯაროდ დაადანაშაულა პეკინი ჩრდილოეთ ვიეტნამის მიერ სამხრეთის დაპყრობის ხელმძღვანელობაში, ხოლო სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა ეს ბრალდება, 1966 წელს ვიეტნამის კონფლიქტის შესახებ კონგრესში გამართული მოსმენების დროს, რამდენჯერმე გაიმეორა.

იმის მიუხედავად, რომ პეკინი მართლაც ამარაგებდა იარაღით ჩრდილოეთ კორეას შეერთებულ შტატებთან მისი ომის პერიოდში, ის ამას საბჭოთა კავშირის გავლენისთვის მეტოქეობის გასაწევად უფრო აკეთებდა, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი და პოლიტიკურად გაერთიანებული ვიეტნამის შესაქმნელად. ჩინელებსა და ვიეტნამელებს შორის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთნიკური ანტაგონიზმის მიერ დატოვებულ ურთიერთუნდობლობას იდეოლოგიური კავშირებიც კი ვერ აქარწყლებდა. ინდოჩინეთში ამერიკის სამხედრო მონაწილეობის გამართლების მიზნით ამერიკელი ოფიციალური პირების მიერ ხშირად გამოთქმული იდეაც, რომ ვიეტნამის უკან ექსპანსიონისტი ჩინეთი იდგა, რომელსაც მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და მისი სანაპიროს კუნძულების

დაპყრობა სურდა, აბსურდს წარმოადგენდა, რომელიც რეგიონის ისტორიის ნებისმიერ ექსპერტს გაკვირვებაში მოიყვანდა (ასეთი ექსპერტი კი, ნანილობრივ გასული ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის „დაკარგვის“ გამო მაკარტის მიერ განხორციელებული წმენდის შედეგად, 1960-იან წლებში სახელმწიფო დეპარტამენტში ბევრი აღარ მოიძებნებოდა). ნებისმიერ შემთხვევაში, აზიაში ჩინეთის კომუნისტური ექსპანსიის შეკავებამ, როგორც ვიეტნამში ინტერვენციის რაციონალურმა მიზეზმა, 1970 წლების დასაწყისში სრულიად დაკარგა დამაჯერებლობა, როდესაც ჩინეთმა მოსკოვთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფიც განწყვიტა და ვაშინგტონთან ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუდგა.

ჩინეთ-ამერიკის დაახლოება (1969-1975)

მოსკოვი და პეკინი დაძაბულობის პიკში

განხეთქილება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის 1960-იანი წლების მეორე ნახევარში თანდათან ღრმავდებოდა, მიუხედავად შეერთებულ შტატებთან ომში ჩრდილოეთ ვიეტნამის დახმარებისთვის მათი ერთობლივი ძალისხმევისა. 1966 წელს მათ საბჭოთა კავშირიდან გაცვლითი პროგრამით ჩასული ყველა სტუდენტი ჩინეთიდან უკან გააბრუნა, რასაც კრემლისგანაც მსგავსი პასუხი მოჰყვა. ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ტერიტორიისა და რეგიონული უსაფრთხოების ტრადიციული საკითხების გამო, სამოციანი წლების ბოლოს ჩინეთ-საბჭოთა დაპირისპირება კომუნისტურ სამყაროში ლიდერობისათვის მეტოქე ორ პრეტენდენტს შორის დოქტრინული დავიდან სასტიკ დიპლომატიურ და ხანმოკლე სამხედრო შეტაკებაშიც კი გადაიზარდა. საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის გამწვავებული ურთიერთობების პირობებში მუშაობას შეუდგა შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომელმაც თეთრი სახლი 1969 წელს დაიკავა. ჩრდილოეთ ვიეტნამთან მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, რასაც 1973 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედებების დასრულება მოჰყვა, ნიქსონის ადმინისტრაციამ ისარგებლა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის არსებული განხეთქილებით და დაიწყო დიალოგი ჩინეთის კომუნისტ ხელისუფლებასთან, რომელთან ურთიერთობაზეც ბოლო 20 წლის განმავლობაში ამერიკის ყველა ადმინისტრაცია უარს ამბობდა. ამას კი, შედეგად, მსოფლიოში კომუნისტურ და არაკომუნისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ღრმა ცვლილება მოჰყვა.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაუარესება საბოლოოდ ძალადობაში გადაიზარდა, როდესაც 1969 წლის 2 მარტს ჩინეთის სამხედრო ძალები სადავო დამანსკის (ჩენ ბაო) კუნძულთან ახლოს, მდინარეების – ამურისა და უსურის შესართავთან, საბჭოთა კავშირის სამხედრო

ძალების კონტინგენტს მოულოდნელად დაესხა თავს. ამის შემდგომ, იმავე რეგიონში და ჩინეთის სინძიანის რეგიონში გაზაფხულსა და ზაფხულში მომხდარ შეტაკებებს ჩინეთის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების განახლება მოჰყვა. ამ პროვოკაციებზე პასუხად, მოსკოვმა ჩინეთთან საბჭოთა კავშირის საზღვრის გასამაგრებლად შესაბამისი ნაბიჯები გადადგა. 1969 წლის აპრილში აღმოსავლეთ ევროპაში რამდენიმე სამხედრო კონტინგენტი ვარშავის პაქტის სარდლობას ჩამოაშორეს და შორეულ აღმოსავლეთში გადაისროლეს. საბჭოთა დივიზიების რაოდენობა 1967 წლიდან 1969 წლამდე თხუთმეტიდან ოცდაერთამდე გაიზარდა, ხოლო 1970 წელს ამ რიცხვმა ოცდაათს მიაღწია. საბჭოთა კავშირის ტაქტიკური ბირთვული იარაღი საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად მონღოლეთში იყო თავმოყრილი, კრემლის ოფიციალური პირები კი ლომ ნორში, სინძიანში, ჩინეთის ახლადფხვადგმული ბირთვული დანადგარების წინააღმდეგ წინსმწრები დარტყმის განხორციელებას განიხილავდნენ.* 1969 წლის ზაფხულში მოსკოვმა ინდოეთის, ტაილანდისა და ინდონეზიის მთავრობებთან პეკინის წინააღმდეგ აზიური თავდაცვის პაქტის დადების იდეა მოსინჯა. იმის მიუხედავად, რომ არც ბირთვული თავდასხმა და არც დიპლომატიური იერიში არ განხორციელებულა, შემოთავაზებულმა ჩინეთის ხელისუფლებამ საბჭოთა ბირთვული თავდასხმის მოლოდინში თავშესაფრების მშენებლობა დაიწყო. სადავო საზღვრის თაობაზე სექტემბერში დაწყებული მოლაპარაკებები სამ თვეში ჩაიშალა. 1972 წელს ჩინეთის 4500-მილიანი საზღვრის გასწვრივ ორმოცდაოთხი საბჭოთა დივიზია იყო განლაგებული (მამინ, როცა აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის ოცდათერთმეტი დივიზია ჰყავდა), დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კი საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მეოთხედი იქნა გადასროლილი.

ნიქსონი „ჩინეთის კარტს“ თამაშობს

ამასობაში, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის განხეთქილებისა და, შესაბამისად, მონოლითური კომუნისტური ბლოკის დაშლის ფონზე, შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ მთლიანად გადააფასა ამერიკის საგარეო პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. 1969 წელს თეთრმა სახლმა შერიგებისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, რაც ვაჭრობასა და ტურიზმზე დაწესებული გარკვეული შეზღუდვების მოხსნაში გამოიხატებოდა, რომლებიც კორეის კრიზისის დროს იქნა შემოღებული. ჩინეთმა უპასუხოდ არ დატოვა ამერი-

* ჩინეთმა თავისი პირველი ატომური იარაღი 1964 წელს, ხოლო წყალბადის ბომბი 1967 წელს გამოსცადა. თუმცა, 1960-იანი წლების ბოლოს ჩინური რაკეტების არასაკმარისი დონე დაუცველს ხდიდა მას საბჭოთა კავშირის პრევენტიული დარტყმების წინააღმდეგ.

კვლების შესტი და დაუბრუნდა ვარშავაში ჩინურ-ამერიკულ არაფორმალურ მოლაპარაკებებს, რომელიც 1968 წლის დასაწყისში ამერიკელების მიერ ვიეტნამის დაბომბვაზე პროტესტის ნიშნად იქნა შეწყვეტილი. 1971 წლის აპრილში ჩინეთის მთავრობამ მცირე სენსაცია მოახდინა, როდესაც ჩინეთში სათამაშოდ მიიწვია ამერიკელ მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი, რომლებიც იაპონიაში საასპარეზოდ იმყოფებოდნენ. პეკინის „პინგპონგის დიპლომატიას“ შეერთებული შტატების მძალერი რეაქცია მოჰყვა. ივნისში ნიქსონმა ოფიციალურად გააუქმა ჩინეთის მიმართ დაწესებული ოცდაერთწლიანი სავაჭრო ემბარგო. 9 ივლისს კი, ჩინეთის ხელისუფლებასთან პაკისტანის მთავრობის საშუალებით (რომელსაც გულითადი ურთიერთობები ჰქონდა როგორც შეერთებული შტატების, ასევე ჩინეთის მთავრობებთან) კონტაქტების დამყარების შემდეგ, კისინჯერი საიდუმლოდ გაემგზავრა პეკინში. ექვსი დღის შემდეგ, პრეზიდენტმა ნიქსონმა მსოფლიოს გააცხადა გამოიწვია, როდესაც განაცხადა, რომ პირადად ეწეოდა ჩინეთს და „ეცდებოდა ურთიერთობების ნორმალიზაციას“ ორი სახელმწიფოს მთავრობებს შორის. მომავალ მასპინძელზე შთაბეჭდილების მოსახდენად და იმის გამოსახატად, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებოდა ის ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, ნიქსონმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის მკვეთრი ცვლილება განახორციელა, რაც აუცილებლად ჩინეთის მოწონებას დაიმსახურებდა. 1971 წლის 25 ოქტომბერს მან საშუალება მისცა გაეროს, გაერიცხა ტაივანის ნაციონალისტური მთავრობა და მისი ადგილი გაეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის დაეთმო.

კეთილი ნების ამ შესტებით ნიადაგის შემზადების შემდეგ, ნიქსონმა 20 000 მილი იმგზავრა და ისტორიაში ამერიკის პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელმაც ჩინეთის მიწაზე ფეხი დადგა. რამდენიმე დღიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც ამერიკის დელეგაციის უმაღლესი წევრებისა და დაუძღვრებულ სამოცდათვრამეტი წლის მათ ძე დუნს შორის შეხვედრით დაგვირგვინდა, მხარეებმა შანჰაიში 27 თებერვალს ერთობლივი კომუნიკე გამოსცეს. შეერთებული შტატები ტაივანში ამერიკული სამხედრო ობიექტების შემცირებას დათანხმდა, თუმცა მოითხოვა, რომ ორ ჩინეთს შორის დავა მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო. ვაშინგტონი, ერთი მხრივ, დასთანხმდა ინდოჩინეთიდან ამერიკული ძალების სრულ ევაკუაციას, პარიზში მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმების მიღწევისთანავე, მეორე მხრივ კი, კვლავ დაუდასტურა სამხრეთ კორეას და იაპონიას მათთან ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისდმი ერთგულება. ორივე მთავრობამ პირობა დადო, რომ წინ აღუდგებოდნენ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში „შეგემონიის დამყარებისაკენ“ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მცდელობას (საბჭოთა კავშირის პირდაპირი გაფრთხილება). კომუნიკე ასევე ითვალისწინებდა, ორ ქვეყანას შორის მიმდინარე პოლიტიკური ურ-

თიერთობების ნორმალიზაციის პარალელურად, კულტურული და სავაჭრო კავშირების დამყარებას.

ამერიკული ანტიკომუნიზმის გამოჩენილი სიმბოლოს ვიზიტი კაპიტალიზმისადმი რევოლუციური წინააღმდეგობის ცენტრში თავისთავად წარმოუდგენელი მოვლენა იყო. პატივისცემითა და, თითქმის, მონინებით აღსავსე ქცევა, რომელსაც ორივე დელეგაცია ერთმანეთის მიმართ ღია ცერემონიების დროს ამჟღავნებდა, სრულიად განსხვავდებოდა იმ უნდობლობისა და იდეოლოგიური ანტიპათიისაგან, რომელიც ჩინურ-ამერიკულ ურთიერთობებს 1950 წლის შემდეგ ახასიათებდა. ამერიკელი ჟურნალისტები, რომლებიც ხედავდნენ, როგორი სითბოთი ეპყრობოდნენ ნიქსონი და კისინჯერი თავიანთ ჩინელ მასპინძლებს, აღნიშნავდნენ იმ პროგრესს, რომელიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს განეცადა ფენივის 1954 წლის მოლაპარაკებების შემდეგ, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დალესმა უარი თქვა



შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი (1913-1994) და ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე მაო ძე დუნი (1893-1976) ხელს ართმევენ ერთმანეთს, 1972 წლის 29 თებერვალი: „მტრობისთვის მიზეზი არ გვაქვს“ – განაცხადა ჩინეთის კომუნისტური რეჟიმის ძველმა ამერიკელმა კრიტიკოსმა და ტაივანის ჩინური ნაციონალისტური მთავრობის შეუპოვარმა მხარდამჭერმა მაო ძე დუნთან დახურულ კარს მიღმა გამართულ ამ შეხვედრაზე: „არცერთ ჩვენგანს არ უჭირავს თვალი მეორის ტერიტორიაზე, არცერთი ჩვენგანი არ ცდილობს მეორეზე გაბატონებას, არცერთ ჩვენგანს არ სურს მთელი მსოფლიოს მართვა“.

ჩინელი კოლეგისათვის – ჯოუ ენლაისათვის – ხელის ჩამორთმევაზე. ნათელი იყო, რომ როგორც ვაშინგტონს, ასევე პეკინსაც ყველაზე მყარი მოტივები ამოძრავებდათ იმისათვის, რომ თავი დაეღწიათ ორი ათწლეულის მძიმე მემკვიდრეობისაგან და ურთიერთდაახლოებისათვის მდგრადი საფუძველი მოენახათ.

ორივე ქვეყნის მთავრობა, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირის მოთოკვითა და შეკავებით. ნიქსონსა და კისინჯერს იმედი ჰქონდათ, რომ შორეულ აღმოსავლეთში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის მიღწეული ურთიერთგაგება ევროპაში სტრატეგიულ იარაღზე კონტროლის შეთანხმებისა და პოლიტიკური დეტანტის მიღწევისათვის კრემლის მზადყოფნას დააჩქარებდა. ამასთანავე, ამერიკული სამხედრო ძალების გასვლა სამხრეთ ვიეტნამიდან გამოათავისუფლებდა სამხრეთ საზღვრებთან განლაგებულ ჩინურ სამხედრო ძალებს ჩრდილოეთის საზღვარზე მათ განსაღებლად, რაც კიდევ უფრო მეტი შეშფოთების მიზეზს მისცემდა საბჭოთა ხელისუფლებას. შედეგად, სტრატეგიული იარაღის შემცირების ხელშეკრულებაზე (SALT-1) ხელმოწერასა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დარჩენილი სადავო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით მოსკოვის შესაბამის ენთუზიაზმზე უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა ნიქსონის მზადყოფნამ, კარგად გამოეყენებინა „ჩინეთის კარტი“ და საბჭოელები აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის წინაშე დაეყენებინა. მაო და ჯოუ ვაშინგტონთან ურთიერთობების ნორმალიზებასა და ინდოჩინეთიდან და ტაივანიდან ამერიკელების გასვლას იმავე მიზეზით მიესალმებოდნენ, ანუ, ეს მათ საშუალებას აძლევდა, ჩინეთის სამხედრო ძალების დიდი ნაწილი ჩრდილოეთის საზღვარზე განეღებინათ, რათა ციმბირში, მონღოლეთში და ზღვისპირეთის მხარეში საბჭოთა ძალების მასიური კონცენტრაციისათვის წინააღმდეგობა გაენიათ.

ყოფილი მტრები ერთგული მეგობრები ხდებიან

ჩინეთ-ამერიკული დაახლოებისათვის ძლიერი ეკონომიკური მოტივაციებიც არსებობდა. ჩინური ბაზრის ძველთაძველმა მითმა 1970-იანი წლების მომჭრელმა ეკონომიკურმა ექსპანსიამ გამოფიტვა დაიწყო, ამერიკის ბიზნესინტერესთა ჯგუფებისათვის თითქმის მაგიური მიმზიდველობა აღიდაგინა. იაპონიისა და ევროპის გაერთიანების მხრიდან მზარდმა კონკურენციამ სამრეწველო საქონლის მსოფლიო ბაზარზე ამერიკის წილი შეამცირა, ხოლო გასული ათწლეულის „დიადი საზოგადოების“ პროგრამებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ინტერვენციების დეფიციტურმა დაფინანსებამ ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე დიდი


ინფლაცია გამოიწვია. დოლარის ოქროში კონვერტირებადობის შეჩერებამ 1971 წლის აგვისტოში 1944 წელს ბრეტონ ვუდსში შემუშავებული საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური ურთიერთობების საძირკველი შეარყია და მსოფლიოში ამერიკის ფინანსური პოზიციის სისუსტეები გამოააშკარავა. მსოფლიოს მეოთხედისგან შემდგარ, ფაქტობრივად, აუთვისებელ ბაზარზე შესვლის პერსპექტივამ, ჩინეთ-ამერიკას შორის დამთბარი ურთიერთობების პირველ წლებში, ამერიკის ზოგიერთ ექსპორტ-ინტერესგჯუფებს დიდი იმედები გაუღვივა. ნიქსონის ისტორიული ვიზიტიდან რამდენიმე თვეში, ჩინეთს უმაღლესი რანგის ამერიკელ ბიზნესმენთა არმია მიაწყდა მათი პროდუქციისათვის შეკვეთების მისაღებად. ამერიკული ექსპორტი ჩინეთში 5 მილიონი დოლარიდან 1969 წელს, 1973 წელს 700 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ჩინეთს შეერთებულ შტატებთან და მის მოკავშირე იაპონიასთან სავაჭრო ურთიერთობების გაზრდა, საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური კავშირების მიმზიდველ ალტერნატივას სთავაზობდა, რომელიც 1960 წელს მოსკოვმა საკუთარი სურვილით განყვიტა. 1975 წლის იანვრამდე, ჩინეთის პრემიერმინისტრი ჯოუ ენლაი საჯაროდ გამოხატავდა ჩინეთს, იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის ახლო ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერას.

არც ნიქსონის ადმინისტრაცია და არც ჯერალდ ფორდის შუალედური მთავრობა ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზების საბოლოო ნაბიჯის გადადგმის – პეკინთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების – ერთუზიანზე არ გამოხატავდა, რადგან შიშობდნენ, რომ ამით კიდევ უფრო დააფრთხობდნენ ისედაც შეშფოთებულ ჩინეთის ნაციონალისტურ მთავრობას ტაივანში. 1973 წელს „სამეკავშირო ოფისების“ გახსნის შემდეგ, ვაშინგტონმა წამოიწყო საკმაოდ მოუხერხებელი და მოუქნელი „ორი ჩინეთის“ პოლიტიკა, პეკინის ოფიციალური დიპლომატიური აღიარების ნაცვლად, რომლისთვისაც ის ჯერ კიდევ არ იყო მზად. თუმცა, ჩინეთ-ამერიკული ვაჭრობის ზრდამ, ამერიკელი ყურნალისტების, მეცნიერებისა და ტურისტების ჩინეთში მოზღვაუებამ, კისინჯერის განმეორებითა ვიზიტებმა და ფორდის 1975 წლის ვიზიტმა პეკინში დაადასტურა, რომ ამერიკა ჩინეთთან ურთიერთობების დათბობას სერიოზულად უყურებდა. ნასული იყო დრო, როდესაც მსოფლიოს ყველაზე მდიდარი სახელმწიფო მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან სახელმწიფოს არაფრად აგდებდა. შეერთებული შტატები უკვე აღარასოდეს მიიჩნევდა ჩინეთს მონოლითური, მოსკოვიდან მართული კომუნისტური შეთქმულების წარმომადგენლად, რომლის მიზანი თითქოსდა მთელი არაკომუნისტური აზიის დამორჩილება იყო. პირიქით, ჩინეთი უკვე მიიჩნეოდა და თავადაც მიიჩნევდა თავს, როგორც საშუალო რანგის, დიდი პოტენციის, მაგრამ მცირედი მიღწევების მქონე სახელმწიფოდ, რომელსაც რეგიონული, და არა გლობალური, მიზნები ამოძრავებდა. ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, როდესაც შეერთებული შტატები აზიის კონტინენტზე სამხედრო

მოქმედებებში იყო ჩაბმული და ჩინეთის მოსაზღვრე ორ მოძმე კომუნისტურ სახელმწიფოსთან ომებს ანარმოებდა და, ამავე დროს, ჩინეთის ნაციონალისტურ რეჟიმს იცავდა კუნძულზე, რომელსაც ჩინეთი საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა, ჩინეთის სასიცოცხლო ინტერესებს, წყნარი ოკეანის გადაღმა მდებარე კაპიტალისტური ზესახელმწიფოს მხრიდან, პირდაპირი საფრთხე ემუქრებოდა. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, ინდოჩინეთიდან ამერიკის გასვლისა და ჩინეთის ჩრდილოეთ საზღვართან საბჭოთა სამხედრო ძალების იმავდროული ზრდის შედეგად, ორი კომუნისტი გოლიათი ერთმანეთს დაუპირისპირდა და შორეულ აღმოსავლეთში ცივი ომი დასრულდა.



აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის
დაპირისპირების განახლება
(1975-1985)



მოჯაჰედების ანტისაბჭოთა ჯიჰადი: მოზემე ავღანელი პარტიზანები საბჭოთა ჯავშან-ტრანსპორტიორზე ავღანეთის საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში, 1979-დან 1989 წლამდე. ავღანელი პარტიზანები შეერთებული შტატებისგან, პაკისტანისგან და საუდის არაბეთისგან მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას იღებდნენ. საბჭოთა კავშირის წარუმატებელი ომი ავღანეთში ბევრმა ისტორიკოსმა ვიეტნამში შეერთებული შტატების მარცხს შეადარა.

თავის შინაარსი

ალურალიზმისა და ურთიერთდამოკიდებულების პერსპექტივები

გამაღებელი გირთვული შიპიარაღების განახლება

აკრულგა სამხრეთ აზიაში

კონფლიქტი და კომარომისი ახლო აღმოსავლეთში

ალურალიზმისა და ურთიერთდამოკიდებულების პერსპექტივები

1975 წელს, როდესაც ჰელსინკის კონფერენციამ ოფიციალურად გააფორმა ცივი ომის დასასრული ევროპაში, ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა აზიაშიც, სადაც სამხრეთ ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის პროდასავლური რეჟიმები ერთმანეთის მიყოლებით დამორჩილდნენ კომუნისტების ორგანიზებულ ამბოხებებს. შეერთებული შტატები, რომელმაც ეს ქვეყნები ორი წლით ადრე საკუთარი ბედ-იღბლის ანაბარა დატოვა, მხოლოდ ფორმალური პროტესტით შემოიფარგლა. ამასობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და შეერთებული შტატები აჩქარებული ტემპით განაგრძობდნენ რამდენიმე წლით ადრე დაწყებულ ურთიერთდაახლოების პროცესს. ვაშინგტონმა ზუსტად ისე უხმოდ აღიარა ჩინეთსა და ინდოჩინეთში ეროვნული კომუნისტური მოძრაობების გამარჯვება, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში მუდმივი საბჭოთა ჰეგემონია. აზიის კონტინენტზე ჩინეთის კომუნისტური ექსპანსიის საბაბით განთავსებული შეერთებული შტატების ერთ დროს უზარმაზარი სამხედრო ძალებიდან სამხრეთ კორეაში ოცდაცამეტათასიანი ქვეითი ჯარი და ამ ქვეყანასა და ტაილანდში განლაგებული სიმბოლური რაოდენობის სამხედრო-საჰაერო ძალები და რჩა. გასული სამი ათწლეულის აჩრდილების უდიდესი ნაწილი ზესახელმწიფოებს შორის იარაღის კონტროლზე შეთანხმებებმა და ევროპასა და აზიაში თითქმის ერთდროულად დამკვიდრებულმა პოლიტიკურმა დეტანტმა შეცვლა.

კომუნისტური სამყაროს ორ, ერთმანეთთან მეტრძოლ გიგანტთან სტაბილური ურთიერთობების დამყარებისა და, იმავდროულად, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში საზღვარგარეთ შეერთებული შტატების როლის შესუსტების პოლიტიკას მსოფლიო წესრიგის ნიქსონ-კისინჯერისეული ხედვა დაედო საფუძვლად, რომელსაც მალე „ხუთკუთხა მრავალპოლარული სისტემა“ ეწოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მოქმედი ტლანქი და იდეოლოგიურად გაყოფილი ორპოლუსიანი სამყაროს ადგილას, ნიქსონი და მისი საგარეო პოლიტიკის გავლენიანი მრჩეველი მრავალპოლუსიან მსოფლიოს შექმნაზე ფიქრობდნენ, რომელშიც, ორის ნაცვლად, ძალაუფლების ხუთი ცენტრი იმოქმედებდა, როგორც მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მოქმედი პირები: შეერთებული შტატები,

საბჭოთა კავშირი, დასავლეთ ევროპა, ჩინეთი და იაპონია. კომუნისტურ ბლოკში მომხდარი განხეთქილებისა და ჩინეთის მცდელობის შედეგად, დამოუკიდებელი როლი ეთამაშა მსოფლიოს პოლიტიკაში – თუ ამას ახლადგაფართოებული ევროგაერთიანებისა⁶ და იაპონიის შთამბეჭდავ ეკონომიკურ ძალაუფლებასაც დავუმატებთ – ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან მართული, ორ მონოლითურ ბლოკად გაყოფილი, მსოფლიოს ხედვა გაცვეთილ კონცეფციად იქცა.

რაც შეეხება ევროპას, უკვე ვიხილეთ როგორ გადაწყვიტა 1975 წლის ჰელსინკის ევროპული უსაფრთხოების კონფერენციის ფინალურმა დასკვნამ – და, თანაც, მასში მონაწილე ყველა ქვეყნისთვის დამაკმაყოფილებლად – საზღვრებთან და სუვერენიტეტთან დაკავშირებული ის მწვავე დავები, რომლებიც კონტინენტზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებს 1945 წლის შემდეგ ძაბავდა. ამასთანავე, პოლიტიკური დაძაბულობების განმუხტვის ეკონომიკური სარგებელი იმდენად დიდი იყო ორივე მხარისათვის, რომ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ვილი ბრანდტის მიერ წამოწყებულმა შერიგების პროცესმა „დეტანტის ათწლეულის“ მეორე ნახევარში საკუთარი დამოუკიდებელი იმპულსი შეიძინა. სამოცდაათიანი წლებში სავაჭრო კავშირები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მოსკოვისა და მისი სატელიტების ახლადგამოხატულმა სურვილმა, უარი ეთქვათ ტრადიციულ ავტარკიაზე და კომუნისტური სამყაროს გარეთაც განეფართოებინათ სავაჭრო ურთიერთობები, დასავლეთის სავაჭრო ინტერესებს ახალი ბაზრებითა და რესურსებით სარგებლობის საშუალება მისცა, რაც მანამდე მათთვის სრულიად მიუწვდომელი იყო.

ორ პოლიტიკურ ბლოკს შორის სავაჭრო ურთიერთობების ამ სერიოზულ გაფართოებასთან ერთად, აღმოსავლეთის კომუნისტური ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი გახდა დასავლეთის კერძო და სახელმწიფო სესხებიც. მყარ ვალუტაში გაცემულმა ამ სესხებმა საბჭოთა სატელიტ სახელმწიფოებს დასავლური ტექნოლოგიისა და სამრეწველო პროდუქციის იმპორტის დაფინანსების საშუალება მისცა. გერმანულმა, ფრანგულმა და ბრიტანულმა ბანკებმა, რომელთა რეზერვები მნიშვნელოვნად გაზრდილიყო სამოცდაათიანი წლებში ნავთობის ფასების ზრდის შედეგად ოპეკის ქვეყნებიდან განხორციელებული დეპოზიტებით, სიამოვნებით ისარგებლეს შემთხვევით და ეს მოზღვაებული ფონდები კომუნისტური ქვეყნებისათვის სესხებად გამოიყენეს. საბჭოთა სატელიტური სახელმწიფოების მთლიანი საგარეო ვალი დასავლეთის ფინანსური ინსტიტუტების მიმართ 1975 წელს 19 მილიარდი დოლარიდან 1981 წელს, დაახლოებით, 62 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. რკინის ფარდის

⁶ 1973 წლის იანვარში ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია შეუერთდნენ. საბერძნეთი გაერთიანების მეათე წევრი 1981 წელს გახდა, ხოლო ესპანეთი და პორტუგალია – 1986 წელს.

მიღმა დამყარებულმა საეაჭრო და ფინანსურმა ურთიერთობებმა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის (მათ შორის, საბჭოთა კავშირის) ერთმანეთზე დამოკიდებულება უპრეცედენტო დონემდე გაზარდა. დასავლეთში დეტანტის მხარდამჭერების თანახმად, ურთიერთდამოკიდებულების ეს ქსელი ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის პესრპექტივას ამყარებდა და დასავლეთს აღმოსავლეთის მიმართ ღირებულ ბერკეტსაც სთავაზობდა: ვაჭრობიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი, ტექნოლოგიების გადაცემა და მყარ ვალუტაში გაცემული სესხები საბჭოთა ბლოკს არაკომუნისტურ სამყაროსთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უჩვენებდა, ეს კი, შესაბამისად, ხელს შეუშლიდა ცივი ომის პოლიტიკის დაბრუნებას.

გამალეგული ბირთვული შეიარაღების განახლება

სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ევროპაში პოლიტიკური შერიგებისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვან განვითარებას არც ორ ზესახელმწიფოს შორის დაძაბულობების განმუხტვა მოჰყოლია და არც ბირთვული იარაღის სფეროში მათ შორის გაჩაღებულ შეჯიბრზე შეზღუდვების დანესების მცდელობებს მოჰყოლია რაიმე შედეგი. როგორც ვიხილეთ, ხელისუფლებიდან ნიქსონის სამარცხვინო ნასვლის შემდეგ, კისინჯერის საგარეო-პოლიტიკური გუნდის ადგილზე დატოვებამ, საბჭოთა-ამერიკული დეტანტის გეგმის მიხედვით განვითარება ნიქსონის ხელდასმული შემცველის შუალედური ადმინისტრაციის დროსაც შესაძლებელი გახადა. 1974 წლის ნოემბერში ვლადივოსტოკში ხელმოწერილმა ნიქსონ-ბრეჟნევის შუალედურმა შეთანხმებამ SALT I-ის შემცველი ახალი ხელშეკრულების ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა. SALT I-ს 1977 წლის ბოლოს გასდიოდა მოქმედების ვადა. თეთრ სახლში პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ადმინისტრაციის მოსვლისა და SALT I-ის ვადის გასვლის მომენტში საბჭოთა კავშირის ბირთვულ არსენალში განხორციელებული ტექნოლოგიური ინოვაციების გამო, SALT I-ის შემცველი ახალი ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებები გადაიდო. საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში განხორციელებული ინოვაციები ამერიკელმა კონგრესმენებმა დაგმეს, როგორც SALT I ხელშეკრულებით დამყარებული ფაქიზი სტრატეგიული ბალანსისათვის სერიოზული საფრთხის შემცველი ფაქტორი: საბჭოთა კავშირმა პირველად გამოსცადა ქობინების ინდივიდუალური დამიზნების რაკეტები (MIRV) და შორი რადიუსის ბომბდამშენები განალაგა, სახელწოდებით „ბექ-ფაიერი“, რაც ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირი უკვე კონკურენციას უწევდა შეერთებულ შტატებს რაკეტების იმ ორ კატეგორიაშიც, რომელშიც მანამდე შეერთებულ შტატებს ჰქონდა გადამწყვეტი უპირატესობა, რითაც ის, ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების წვდომისა და რაოდენო-

ბის კუთხით, საბჭოთა კავშირის უპირატესობის კომპენსაციას ახდენდა. ამ გამონევევას კარტერის ადმინისტრაციამ შეიარაღების რამდენიმე სისტემის აჩქარებული განვითარებით უპასუხა. ეს სისტემები იყო მობილური ინტერკონტინენტური „ექსპერიმენტული რაკეტები“, რომლებიც ითვლებოდა, რომ, ფაქტობრივად, მოუნყვლადი იყვნენ წინმსწრები პრევენტიული დარტყმებისადმი; ასევე, მცირე ზომის, მცირეხარჯიანი „ფრთოსანი“ რაკეტები: უპილოტო მინიატურული საპაერო ხომალდები, რომლებსაც შეეძლოთ, საბჭოთა რადარებისაგან შეუმჩნეველად მიეღწიათ სამიზნეებისათვის; და, კიდევ, ახალი „ტრაიდენტ“ წყალქვეშა გემები, რომლებმაც მოძველებული „პოლარისის“ სისტემის გემები ჩაანაცვლეს და რომლის რაკეტებს საბჭოთა კავშირის ყველაზე მნიშვნელოვან სამიზნეებამდე მიღწევა შეეძლოთ.

შეერთებული შტატების ამ ახალი შეიარაღების მიუხედავად, საბჭოთა და ამერიკელმა სახელმწიფოს მეთაურებმა 1979 წლის 18 ივნისს ვენაში ხელი მოაწერეს SALT II-ის ხელშეკრულებას. შეთანხმება თითოეულ მხარეს აკისრებდა რაკეტების რაოდენობის შეზღუდვას 2250 ერთეულამდე, რიმელთაგან მხოლოდ 1320 შეიძლებოდა ყოფილიყო ქობინების ინდივიდუალური დამიზნების რაკეტები (MIRV). თეორიულად, ეს საბჭოთა კავშირის სახმელეთო ბაზირების რაკეტებზე ცხრა ათასი ქობინის განთავსების საშუალებას აძლევდა, რაც საკმარისზე მეტი იყო ამერიკული „მინიტმენების“ არსენალისათვის საფრთხის შესაქმნელად. ამან კი ინტერკონტინენტური ექსპერიმენტული (და, თეორიულად, მოუნყვლადი) რაკეტების აჩქარებული წარმოების შესახებ კარტერის ადმინისტრაციის მტკიცე გადანყვეტილება განამტკიცა.

„ვერორაკეტები“

მაშინ, როდესაც ამერიკის სენატში სტრატეგიულ იარაღზე კონტროლის მეორე ხელშეკრულებას განიხილავდნენ და რატიფიკაციისთვის ამზადდნენ, მოულოდნელად აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში ახალი სადავო საკითხი გაჩნდა: ევროპაში საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღი. 1977 წელს საბჭოთა კავშირმა შშ-20 სახმელეთო რაკეტების განლაგება დაიწყო, რომლებსაც 3000 მილის რადიუსში დასავლეთ ევროპის ნებისმიერი სამიზნის მიღწევა შეეძლოთ. SS-20 ქობინების ინდივიდუალური დამიზნების რაკეტებს (MIRV) წარმოადგენდნენ, სამი ინდივიდუალური დამიზნების ქობინით. ამავე დროს, მობილურობის გამო, ძნელი იყო მათი ლოკალიზება და განადგურება. დასავლეთმა ეს ფაქტი კონტინენტზე საბჭოთა კავშირის ბირთვული უპირატესობის დასაწყისად აღიქვა და 1979 წელის 12 დეკემბერს ნატო-ს საბჭომ გადანყვიტა, რომ საბჭოთა SS-20 რაკეტების დასაბალანსებლად დასავლეთ ევროპაში საშუალო რადიუსის ახალი თაობის რაკეტებს განალაგებდა, თუკი შეერთებული შტატები უარს ვერ ათქმევინებდა მოს-

კოვს თავისი რაკეტების განლაგებაზე. ამ გეგმის მიხედვით, 1983 წლამდე დასავლეთ გერმანიაში უნდა მოთავსებულიყო 108 ერთეული „პერშინგ II“ რაკეტა, ხოლო 464 სახმელეთო ფრთოსანი რაკეტა დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ბელგიაში ნიდერლანდებსა და დასავლეთ გერმანიაში განლაგდებოდა. შეიარაღებაზე კონტროლის ხელშეკრულების გარეშე ეს ახალი რაკეტები საბჭოთა SS-20-ის საპირწონედ იქნებოდა გამოყენებული.

ევროპაში ახალი საშუალო რადიუსის რაკეტების განთავსების შესახებ ნატო-ს მუქარამ კრემლში აღელვება, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებსაც ახალი რაკეტები უნდა განეთავსებინათ, ანტიბირთვული განწყობების მოზღვავება გამოიწვია. საზოგადოების წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაძლიერდა 1981 წლის იანვრიდან, როდესაც ვაშინგტონში რეიგანის ადმინისტრაცია მოვიდა. ფართო საზოგადოებაში მიიჩნეოდა, რომ თეთრი სახლის ახალი ბინადარი, მის წინამორბედთან შედარებით, რუსებთან შეთანხმების მიღწევას ნაკლებად შეეცდებოდა, რაც ახალი სადავო რაკეტების განთავსებას საფუძველს შეუქმნიდა.

თუმცა, ახალმა პრეზიდენტმა საყოველთაო გაოცება გამოიწვია, როდესაც 1981 წლის ნოემბერში, ჟენევაში, საბჭოთა კავშირთან საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის (INF) შესახებ მოლაპარაკებებში ჩაერთო. რეიგანმა ბრეუნევი კუთხეში მოამწყვდია, როდესაც კონტინენტზე გამალებული ბირთვული შეიარაღების საკითხის მარტივი და საბოლოო გადაწყვეტა – ე.წ. ნულოვანი ვარიანტი – შესთავაზა. ნულოვანი ვარიანტის თანახმად, შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირის მიერ 600 საშუალო რადიუსის რაკეტის ევროპიდან გაყვანის სანაცვლოდ, უარს იტყოდა 572 ფრთოსანი და პერშინგის ტიპის რაკეტების განთავსებაზე. მოსკოვმა მტკიცედ უარყო ეს შეთავაზება, რომელიც მისგან უკვე განთავსებული რაკეტების მოხსნას გულისხმობდა ამერიკელების პირობის სანაცვლოდ, რომ ევროპაში არ განთავსებდნენ რაკეტებს, რომელთა ეფექტურობა ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული და რომლის განთავსებას დასავლეთ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი უწევდა წინააღმდეგობას. საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის (INF) შესახებ მოლაპარაკებებიც, ნაწილობრივ რუსების მოთხოვნის გამო, რომ 162 ბრიტანული და ფრანგული საშუალო რადიუსის რაკეტები ევროპაში ამერიკის ბირთვული არსენალის ნაწილად ჩათვლილიყო, ასევე წარუმატებლად მიმდინარეობდა. შეერთებული შტატები კი უარს აცხადებდა მოკავშირეების სახელით მოლაპარაკებების წარმოებაზე. 1983 წლის ბოლოს საბჭოთა დელეგაციამ საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის (INF) შესახებ მოლაპარაკებები მას შემდეგ დატოვა, რაც შეერთებული შტატები დასავლეთ ევროპის წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე „პერშინგისა“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას შეუდგა.

სტრატეგიული შეიარაღება

ორმა ზესახელმწიფომ არა მხოლოდ ევროპაში ბირთვული იარაღის შესახებ ვერ მიაღწია შეთანხმებას, არამედ სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის უფრო კომპლექსური საკითხიც შორს იყო მოგვარებისგან. რეიგანის ადმინისტრაციის დამოკიდებულება სტრატეგიულ შეიარაღებაზე კონტროლის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. ერთი მხრივ, ამერიკის ახალი სახელმწიფოს მეთაური ხელმძღვანელობდა მშვიდობიანობისას განხორციელებული, ყველაზე ფართომასშტაბიანი მილიტარიზაციის პროცესს, რათა, როგორც თავად განმარტავდა, დაძლეულიყო საბჭოთა კავშირის აშკარა პირველობა ბირთვული შეიარაღების კუთხით; ამასთანავე, მისი გარემოცვის წევრები სულისშემძვრელად საუბრობდნენ ბირთვული ომისგან მოსახლეობის გადარჩენის შესაძლებლობებისა და ასეთი ომისათვის მზადების აუცილებლობაზე. 1983 წლის მაისში რეიგანის ადმინისტრაციამ მოიპოვა კონგრესის თანხმობა შემცირებული სიმძლავრის ექსპერიმენტული ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების წარმოებაზე, უფრო არასრულფასოვნად მიჩნეული, „მინიტმენის“ ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების ჩასანაცვლებლად. ორი თვით ადრე, პრეზიდენტმა მთელი მსოფლიო გააოგნა, როდესაც ურთიერთშეკავებაზე დაფუძნებული თავდაცვის პოლიტიკის (ან გარანტირებული ურთიერთგანადგურების პოლიტიკის) შეცვლისა და საპაერო ანტიბალისტიკური სისტემის განლაგების იდეა გაახმოვანა. სისტემა, სატელიტზე განლაგებული ლაზერული სხივების საშუალებით, ნებისმიერი საბჭოთა რაკეტის მიერ სამიზნის მიღწევამდე მათ აღმოჩენასა და განადგურებას ითვალისწინებდა. ეს სიახლე – რომელსაც მისმა მომხრეებმა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა უწოდეს – არა მხოლოდ არღვევდა 1972 წლის SALT I-ის ხელშეკრულების ანტიბალისტიკურ რაკეტებთან დაკავშირებულ დებულებებს, არამედ, ბევრი ექსპერტის აზრით, მკვეთრად არასტაბილურს ხდიდა სტრატეგიულ ბალანსს და, შესაბამისად, პრევენტიული ბირთვული ომის შესაძლებლობას ზრდიდა.

მეორე მხრივ, რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გადადგმული ორი ნაბიჯი მოსკოვთან საერთო ენის გამონახვის სურვილზე მიუთითებდა. პირველ რიგში, რეიგანმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ დაიცავდა ჯერ კიდევ არარატიფიცირებულ, SALT I-ის ხელშეკრულებას, რომელსაც იგი მანამდე, შეერთებული შტატებისათვის სტრატეგიულად არახელსაყრელი ვითარების შექმნის გამო, აკრიტიკებდა; მეორე, მან საბჭოთა კავშირს სტრატეგიული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებების განახლებისაკენ მოუწოდა (სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მოლაპარაკებები – START), რითაც ნათელი გახადა, რომ უპირატესობას მხოლოდ და მხოლოდ ბირთვული შეიარაღების სერიოზულ შემცირებას და არა მათი რაოდენობის შეზღუდვას ანიჭებდა. START-ის მოლაპარაკებები, რომელიც 1982 წლის 29 იანვარს ჟენევაში დაიწყო,

შეიარაღებაზე კონტროლის პროცესის შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა, მაშინ, როცა ორ ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობები გაუარესების სტადიაში იმყოფებოდა. რეიგანის პრეზიდენტობის პირველი ვადის განმავლობაში, შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებათა წარუმატებლობა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის არასტაბილურობასთანაც იყო დაკავშირებული. იური ანდროპოვი, რომელმაც ბრეჟნევი 1982 წლის ნოემბერში შეცვალა, 1984 წლის თებერვალში გარდაიცვალა; მისი მემკვიდრე კონსტანტინ ჩერნენკო კი 1985 წელს გარდაიცვალა, რის შემდეგაც საბჭოთა კავშირის სათავეში ყველასათვის უცნობი მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა.

შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების გამწვავება კარტერის ადმინისტრაციის დროს დაიწყო, როდესაც ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა გადაწყვიტეს, რომ მოსკოვმა დასავლეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარმოებაზე და მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებაზე თქვა უარი. ამერიკელთა ამ ახალ მოსაზრებას საფუძვლად ედო არა იმდენად ძალთა ბალანსზე საბჭოთა კავშირის ახალი სარაკეტო სისტემების გავლენა, რამდენადაც სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის წარმატებები და შეერთებული შტატების რეგრესი არაბირთვული შეიარაღების სფეროში, რამაც, ერთი შეხედვით, ცივი ომის კონფრონტაციული სულისკვეთება აღადგინა.

საბჭოთა კავშირის წარმატებათაგან პირველი, სამოცდაათიანი წლების შუაში, აფრიკაში საბჭოთა კავშირის სამხედრო გავლენის გავრცელება იყო. ამ საკითხს ქვემოთ დეტალურად შევხებით. მეორე ფაქტორი კი სამხრეთ აზიაში 1979 წლის დასაწყისსა და ბოლოში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები იყო იმ ქვეყნებში, რომლებიც სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში საბჭოთა კავშირის ექსპანსიას უშლიდნენ ხელს.

არეულობა სამხრეთ აზიაში

ირანის რევოლუცია

პირველი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია ირანში მოხდა. შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევსი, რომელიც 1941 წელს ბრიტანელებმა და რუსებმა ერთად მოიყვანეს ირანის ხელისუფლებაში, 1946 წელს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით ორგანიზებულ აჯანყებას ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ მოსკოვზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად გადაურჩა. მისი რეჟიმი რეგიონში ამერიკის ერთგული მოკავშირე 1953 წლის შემდეგ გახდა, როდესაც, ირანელი ნაციონალისტი პოლიტიკოს მოჰამედ მოსადეყის მიერ მისი დამხობის შემდეგ, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, იგი ხელისუფლებაში დაბრუნდა. ორმოცდაათიანი წლების შუაში ამერიკელებმა ბრიტა-

წლების კუთვნილ ანგლოირანულ ნავთობკომპანიაში, რომელიც ქვეყნის ნავთობის მდიდარ რეზერვებს მართავდა, თანაბარი საკონტროლო უფლება მოიპოვეს. შეთანხმების თანახმად, თეირანის მთავრობა გულუხვ პონორარებს იღებდა, რომლითაც ინდუსტრიალიზაციის მძლავრ პროგრამას აფინანსებდა. 1970-იანი წლების დასაწყისში ნიქსონის ადმინისტრაციამ შაჰის სამხედრო და საზღვაო ძალების თანამედროვე იარაღით აღჭურვა დაიწყო, რათა ირანს, როგორც სპარსეთის ყურეში ანტიკომუნისტური ბლოკის მთავარ მშვიდობისმყოფელ ძალას, ბრიტანეთის ჩანაცვლება შეძლებოდა. მაგრამ, 1978 წელს ფეჰლევის დინასტიის წინააღმდეგ ოპოზიციის ფართო კოალიცია ჩამოყალიბდა, რომელშიც თავი მოიყარეს შიიტმა ფუნდამენტალისტებმა, რომელთაც შაჰის სეკულარული პოლიტიკა და მისი გარემოცვის ვესტერნიზებული ცხოვრების სტილი სძულდათ; მცირე მოვაჭრეებმა, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ამერიკული კორპორაციების სერიოზულ გავლენას ირანის ეკონომიკაზე და ქალაქურმა ინტელიგენციამ, რომელიც რეჟიმის რეპრესიული მეთოდებით იყო გულაცრებული. 1979 წლის იანვარში, ქუჩის მასობრივი დემონსტრაციების შედეგად, შაჰმა ირანი დატოვა, ხოლო მომდევნო თვეს ირანში ხელისუფლება ოთხმოც წელს გადაცილებული შიიტი სასულიერო ლიდერის – აიათოლა რუჰოლა ხომეინის ერთგულმა ისლამურმა ფუნდამენტალისტურმა მოძრაობამ აიღო.

იმის მიუხედავად, რომ არც საბჭოთა კავშირს და არც ირანის კომუნისტურ პარტიას – თუდეს – ირანის რევოლუციაში მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია, რევოლუციის უკიდურესად ანტიამერიკულმა ხასიათმა ამ სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვან რეგიონში დასავლეთის ინტერესებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ირანის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის პროამერიკული ელემენტები სიკვდილით დასაჯეს, ამერიკელების ქონებას ირანში კონფისკაცია ჩაუტარდა, ხოლო ამერიკის სამხედრო ობიექტები (მათ შორის საბჭოთა კავშირის მოქმედებებზე დასაკვირვებლად ირანის ჩრდილოეთში განლაგებული სარადარო სისტემაც) დაიხურა. ირანის ნავთობწარმოების მკვეთრმა ვარდნამ, რომელიც ამ ქვეყანაში ხანგრძლივ არეულობებსა და 1980 წლის დეკემბერში მეზობელ ერაყთან ომის დაწყებას მოჰყვა, სერიოზული ეკონომიკური სირთულეები გამოიწვია ამერიკის მოკავშირე დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში, რომლებიც შეერთებულ შტატებზე გაცილებით მეტად იყვნენ დამოკიდებული სპარსეთის ყურის ნავთობზე (შეერთებული შტატები ირანიდან ნავთობის იმპორტის მხოლოდ 5 პროცენტს იღებდა). გარდა ამისა, ირანში ისლამური ფუნდამენტალიზმის აღზევება მთელს ახლო აღმოსავლეთში გავრცელების საფრთხეს ქმნიდა, რაც პოლიტიკურ არასტაბილურობასა და პროდასავლური რეჟიმების შესუსტებას გამოიწვევდა საუდის არაბეთში, ეგვიპტეში თუ რეგიონის სხვა ქვეყნებში. შაჰის ექსტრადიციაზე შეერთებული შტატების მთავრობის დაყო-

ლიების მიზნით, 1979 წლის ნოემბერში ირანელი ფუნდამენტალისტი მებრძოლების მიერ თეირანში შეერთებული შტატების საელჩოში სამოცდაცხრა მძევლის აყვანის ინციდენტმა ვაშინგტონსა და თეირანს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა (თავად შაჰი, რომელიც ნიუ იორკის ჰოსპიტალში სიმსივნის დიაგნოზით მკურნალობდა, 1980 წლის ივლისში გარდაიცვალა).⁶ ამასობაში მუსლიმი ფუნდამენტალისტები თავს დაესხნენ ტრიპოლიში (ლიბია) მდებარე შეერთებული შტატების საკონსულო სამსახურს და ისლამაბადში (პაკისტანი) შეერთებული შტატების საელჩოს, რითაც ამერიკული ინტერესების წინააღმდეგ ჯიჰადი, ანუ წმინდა ომი, მთელს მსოფლიოში განავრცეს.

„მოსკოვის ვიეტნამი“ ავღანეთში

მაშინ, როდესაც შეერთებული შტატების დიდი ხნის კლიენტი სახელმწიფო ირანი, 1979 წლის განმავლობაში, ანტიამერიკული მღელვარების ცენტრად იქცა, საბჭოთა კავშირი, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ღიად ჩაება სამხედრო მოქმედებებში მისი აღმოსავლეთეგროპული იმპერიის ფარგლებს გარეთ, როცა 1979 წლის დეკემბერში საბჭოთა პარაშუტისტები და ჯავშანტექნიკის კოლონები ავღანეთში შევიდნენ. ირანის მსგავსად, ავღანეთიც პირველ მსოფლიო ომამდე ცარიისტულ რუსეთსა და ბრიტანეთს შორის მძაფრი მეტოქეობის მიზეზი იყო, ხოლო 1907 წელს ოფიციალურად იქნა აღიარებული, როგორც ბუფერული ზონა რუსეთსა და ბრიტანულ ინდოეთს შორის. ცივი ომის დროს ავღანეთი საბჭოთა კავშირსა და პაკისტანს შორის – რომელიც ვაშინგტონის მთავარი მოკავშირე სახელმწიფო იყო სამხრეთ აზიაში – მიუმხრობელი სახელმწიფოს სტატუსს ინარჩუნებდა. მაგრამ, ირანისგან განსხვავებით, რომელიც ამერიკული უსაფრთხოების სისტემაში 1946 წელს, მისი ჩრდილოეთი საზღვრებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ მოექცა, ავღანეთი ორმოცდაათიანი წლების განმავლობაში თანდათან საბჭოთა კავშირის ორბიტისკენ მიიწევდა და ფინეთის აზიურ ვერსიად უნდა ქცეულიყო, რისთვისაც მან მოსკოვთან ადრე დადებული თავდაუსხმელობის პაქტი განაახლა და რუსეთისგან მნიშვნელოვან ეკონომიკურ დახმარებასაც იღებდა.

1973 წელს ქვეყნის ნომინალური მონარქი მოჰამედ ზაჰირ შაჰი სამხედრო გადატრიალების შედეგად დაამხეს, ხელისუფლებაში კი ავღანეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ფრაქცია მოვიდა, რომელსაც სათავეში პრინცი მოჰამედ დაუდ ხანი ედგა. დაუდმა ჯერ მოსკოვისგან დისტანცირება გადაწყვიტა, შემდეგ ურთიერთობები გააუმჯობესა პროამერიკულ, ანტისაბჭოთა მეზობელ ქვეყნებთან: ჩინეთთან, ირანთან და პაკისტანთან, ბოლოს

⁶ 1979 წლის დეკემბერში ირანელმა მებრძოლებმა მდედრობითი სქესისა და შავკანიანი მძევლები გაათავისუფლეს, დანარჩენი ორმოცდაცამეტი კი 1981 წლის იანვარში თეთრი სახლიდან კარტერის წასვლამდე არ გაუთავისუფლებიათ.

კი საკუთარი გარემოცვიდან კომუნისტური პარტიის ლიდერები ციხეში ჩასვა. 1978 წელს თვითონაც იქნა გადაყვანილი ხელისუფლებიდან არმიის რადიკალური ფრთის მიერ, რომელმაც კომუნისტური პარტიის დაპატიმრებული ლიდერები გაათავისუფლა და მათ ხელისუფლება გადასცა. ახალმა და ღიად მარქსისტულმა მთავრობამ, ჰაფიზულა ამინის ხელმძღვანელობით, სეკულარიზაციის ამბიციური პროგრამა წამოიწყო, რომელიც ქალებისთვის განათლების მიცემის შესაძლებლობას და ისლამური სასულიერო პირებისათვის ავღანეთის საზოგადოებაზე გავლენის შემცირებასაც გულისხმობდა. ამგვარმა პოლიტიკამ ახალი მთავრობის წინააღმდეგ განაწყო არა მხოლოდ ქვეყნის სასულიერო ფენა, არამედ ბევრი რეგიონული და ადგილობრივი ავტორიტეტი, რომლებსაც, მოდერნიზაციისა და ცენტრალიზაციის შედეგად, ძალაუფლების დაკარგვის ეშინოდათ. ასეთ განწყობას შედეგად მოჰყვა აჯანყება, რომელიც შემდგომ წმინდა ომშიც გადაიზარდა, რომელსაც ისლამის უკიდურესი ვერსიის ფანატიკოსი მიმდევრები მოსკოვთან მჭიდროდ დაკავშირებული სეკულარული მთავრობის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. იმის შიშით, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის ეს ძლიერი ფორმა ავღანეთისათვის ათას ხუთასი მილის სიგრძის საზღვარს გადაკვეთდა და საბჭოთა კავშირის, უმეტესად ისლამურ, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებსაც მოედებოდა, კრემლის მესვეურებმა პრევენციული დარტყმის განხორციელება გადაწყვიტეს. 1979 წლის დეკემბრის ბოლოს 100000-კაციანი საბჭოთა საჰაერო და ქვეითი ჯარები ქაბულში შევიდნენ ამინის ხელისუფლების დასამხობად და პროსაბჭოთა ავღანელი კომუნისტისათვის – ბაბრაქ ქარმალისათვის ძალაუფლების გადასაცემად.

იმის მიუხედავად, რომ ავღანეთში (რომელსაც უკვე ჰყავდა პროსაბჭოთა მთავრობა) შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესებს არაფერი ემუქრებოდა, ვაშინგტონის რეაქცია მოსკოვის ქმედებაზე ისეთი მკაცრი იყო, თითქოს დეტანტის პოლიტიკა ყველას საბოლოოდ დავიწყებოდა. პრეზიდენტმა კარტერმა თავდაცვის ბიუჯეტის ხუთპროცენტისანი რეალური ზრდა განახორციელა, დაანესა ემბარგო საბჭოთა კავშირისთვის ხორბლის მინოდებაზე, გარდა 1975 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული მინიმალური რაოდენობისა, შეზღუდა საბჭოთა გემების მიმოსვლა ამერიკის თევზჭერის წყლებში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირისათვის მაღალი ტექნოლოგიების გადაცემა და ბოიკოტი გამოუცხადა 1980 წელს მოსკოვში დაგეგმილ ოლიმპიურ თამაშებს. კარტერმა ასევე ურჩია სენატს, რომელსაც ამ დროისთვის თეთრი სახლის ნაქეზება ამ საკითხში ისედაც აღარ სჭირდებოდა, რომ 1979 წელს ხელმოწერილი SALT II ხელშეკრულების რატიფიცირების განხილვა გადაედო. კარტერის ადმინისტრაცია შიშობდა, რომ ავღანეთში ინტერვენციით საბჭოთა კავშირი ცდილობდა ესარგებლა შეერთებული შტატების ირანიდან განდევნით, რათა შემდგომ უფრო ეფექტური იერიში მიეტანა სპარსეთის



აიათოლა რუპოლა ხომეინი (1902-1989): ირანის შაჰის – მოჰამედ რეზა ფეჰლევის მტკიცე მონინაალმდეგე, შეერთებული შტატების მიმართ მონარქის მორჩილი დამოკიდებულებისა და სეკულარული საშინაო პოლიტიკის გამო. ეს ქარიზმატული შიიტი მუსლიმი სასულიერო პირი გადასახლებიდან 1979 წელს დაბრუნდა და საკუთარ ქვეყანაში თეოკრატიული სახელმწიფო დააარსა. ეს კი მთელს მუსლიმურ სამყაროში ისლამური ფუნდამენტალიზმის ძლიერი მოძრაობის შთაგონების წყაროდ იქცა.


ყურისა და არაბეთის ნახევარკუნძულის ნავთობრესურსებზე და ინდოეთის ოკეანის თბილ წყლებზე გასულიყო. 1980 წლის ყოველწლიურ საპრეზიდენტო გამოსვლაში კარტერმა აღნიშნა, რომ სპარსეთის ყურე შეერთებული შტატების სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების სფეროში იყო და იგი მზად იყო ინტერვენციისათვის, საბჭოთა აგრესიისაგან რეგიონის დასაცავად. შესაბამისად, კარტერმა რეგიონში შეერთებული შტატების დასუსტებული პოზიციის გასამყარებლად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. გაუმჯობესდა ურთიერთობები პაკისტანში გენერალ ზია ულ-ჰაკის სამხედრო რეჟიმთან, რომელიც მანამდე, ამ უკანასკნელის რეპრესიული შიდა პოლიტიკისა და ბირთვული იარაღის შექმნისადმი აშკარა ინტერესის გამო, გაუარესებული

იყო. 1980 წლის ზაფხულში ვაშინგტონმა ომანში, კენიასა და სომალიში სა-
ჰაერო და ავიაბაზები განათავსა. გაფართოვდა და გაუმჯობესდა ინდოეთის
ოკეანეში ბრიტანეთის კუთვნილ კუნძულ დიეგო გარსიაზე განლაგებული
ამერიკული სამხედრო-საზღვაო ბაზა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო
მასზე შეერთებული შტატების უფრო მასშტაბური საზღვაო ძალების გან-
ლაგება და რეგიონში საბჭოთა კავშირის გაზრდილი სამხედრო-საზღვაო
ძალების დაბალანსება. ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში კი რეიგანის
ადმინისტრაციამ ავღანეთის წინააღმდეგობის გასაძლიერებლად სამხედრო
დახმარება გაზარდა, რაც შესაძლებლობას აძლევდა ავღანელ მემობოხეებს
საბჭოთა კავშირსა და ქაბულში მის თანამებრძოლებს გამკლავებოდნენ.

კონფლიქტი და კომპრომისი ახლო აღმოსავლეთში

ეგვიპტე, ისრაელი და „მშვიდობის მინა“

სწორედ მაშინ, როდესაც წითელი წლების რეგიონში, სპარსეთის ყურესა
და ინდოეთის ოკეანეში ამერიკელების პოზიცია სუსტდებოდა, ახლო აღ-
მოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა ამ არასტაბილურ რეგიონში
შეერთებული შტატების პოლიტიკური გავლენის ზრდა გამოიწვია. კრემლის
მხრიდან თავისი არაბული კლიენტი სახელმწიფოებისთვის რეგიონში ისრაე-
ლის დაბალანსებისათვის აუცილებელი სამხედრო დახმარების სურვილის
არარსებობას და, იმავდროულად, ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათთან
კისინჯერის გულმოდგინე მუშაობას ორი ზესახელმწიფოს მიმართ ეგვიპტის
პოლიტიკის შთამბეჭდავი ცვლილება მოჰყვა. 1976 წლის 15 მარტს სადათმა
უარი თქვა 1971 წლის საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის ხელშეკრულე-
ბაზე და ერთი თვის შემდეგ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალებს ეგვიპტის
პორტებში პრივილეგიები გაუუქმა. პრეზიდენტმა კარტერმა კისინჯერის
პოლიტიკა განაგრძო, რაც ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო მოლა-
პარაკებებისგან საბჭოთა კავშირის გამიჯვნას ითვალისწინებდა. ისრაელსა
და ეგვიპტეს შორის დარჩენილი სადავო საკითხების მოგვარების პერსპექ-
ტივა განსაკუთრებით გაიზარდა, როდესაც 1977 წლის 19 ნოემბერს სადათი
წინასწარ დაუგეგმავად ეწვია იერუსალიმს, რაც მისი მხრიდან სამშვიდობო
პროცესის ჩიხიდან გამოყვანის გაბედული მცდელობა იყო. ეგვიპტის ქარიზ-
მატული ლიდერის ამ კეთილი ნების სიმბოლურმა შესტმა და მეზობელი არა-
ბული სახელმწიფოებისგან ომის მუდმივი საფრთხით დაღლილი ისრაელის
მოსახლეობის მადლიერმა რეაქციამ გზა გაუხსნა ორმხრივ შეთანხმებას,
რომლისთვისაც შეერთებული შტატები სამოცდაათიანი წლების შუიდან ილ-
ვწოდნენ. 1978 წლის სექტემბერში, აშშ პრეზიდენტის კემპ დევიდის რეზიდენ-
ციაში, ამერიკის პრეზიდენტმა წარმატებით დაიყოლია სადათი და ისრაელის
პრემიერმინისტრი მენახემ ბეგინი შეთანხმების ხელმოწერაზე, რომელიც



ისრაელის პრემიერმინისტრი მენახიმ ბეგინი (1913-1992), აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი (1921-) და ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი (1918-1981) კემპ დევიდში, 1978 წლის სექტემბერი: კემპ დევიდში მიღწეული შეთანხმება პირველი შეთანხმება იყო ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოს შორის. სინაის ნახევარკუნძულის ეგვიპტისთვის დაბრუნება ეგვიპტის მიერ ისრაელის არსებობის უფლების აღიარების სანაცვლოდ, „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“ პოლიტიკის პირველი პრეცედენტი იყო. შეთანხმების ის დებულებები, რომელიც ისრაელის ოკუპირებულ ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ითვალისწინებდა, ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა, რითაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ პალესტინელების იმედების განხორციელება განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ეგვიპტის მიერ ისრაელის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უფლების აღიარების სანაცვლოდ, ეტაპობრივად, სინაის ნახევარკუნძულის 1980-1982 წლებში ეგვიპტისათვის დაბრუნებას ითვალისწინებდა. იმის მიუხედავად, რომ შეთანხმების არცთუ ისე მკაფიო შინაარსი ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე პალესტინელების უფლებების მგრძნობიარე საკითხს მომავალი მოლაპარაკებებისთვის ტოვებდა, ეგვიპტემ და ისრაელმა მას 1979 წლის 26 მარტს მოაწერეს ხელი, 1980 წელს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს და, პალესტინური პოლიტიკური ორგანიზაციებისა და არაბულ სამყაროში მათი მხარდამჭერების მხრიდან მუდმივად მტრული განწყობის ფონზე, ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის აღდგენის ერთობლივი ძალისხმევა განაგრძეს. კემპ დევიდის შეთანხმების წინააღ-

მდევლობის პროცესს სირია, ერაყი, ლიბია და ალჟირი ჩაუდგნენ სათავეში და საბჭოთა კავშირის ძლიერი მხარდაჭერაც მიიღეს. ისრაელი-ეგვიპტის დაახლოების პროცესს 1981 წლის ოქტომბერში პრეზიდენტ სადათზე კემპ დევიდის ეგვიპტელ მონინალმდევეთა თავდასხმამაც ვერაფერი დააკლო. პროცესი შენარჩუნდა ბეგინის მთავრობის არაერთი აგრესიული ქმედების შემდეგაც, რომელთა შორის იყო: 1981 წლის ივნისში ბალდათან ახლოს ერაყის ბირთვული რეაქტორის განადგურება, ივლისში ბეირუთში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ოფისების დაბომბვა, დეკემბერში გოლანის მალლობის ანექსია, 1982 წლის მარტსა და აპრილში დასავლეთ სანაპიროს რამდენიმე ქალაქის არჩეული მერების გადაყენება და ასევე დასავლეთ სანაპიროზე ისრაელური დასახლებების უწყვეტი მშენებლობა, რაც, ექსპერტების აზრით, დე ფაქტო ანექსიის დასაწყისი იყო. ისრაელმა სინაის ნახევარკუნძული მთლიანად 1982 წლის 25 აპრილს, კემპ დევიდის შეთანხმებით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით დატოვა, ხოლო სადათის მემკვიდრემ – ჰოსნი მუბარაქმა ისრაელთან მშვიდობიანი ურთიერთობების პოლიტიკა განაგრძო.

პალესტინელების მძიმე მდგომარეობა და ლიბანის აგონია

დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული მოლაპარაკებები წინ არ იძვროდა, პალესტინის მოსახლეობასა და მათ ისრაელელ ოკუპანტებს შორის ურთიერთობა კი უფრო და უფრო უარესდებოდა. კემპ დევიდის შეთანხმება ეფუძნებოდა პრეზიდენტ კარტერის ვარაუდს, რომ ეგვიპტისგან მომავალი საფრთხის მოცილება ისრაელს პალესტინის საკითხთან მიმართებაში უფრო დამთმობს გახდიდა. ისრაელის პრემიერმინისტრი კი, რომელსაც ღრმად სჯეროდა, რომ ისრაელს უფლება ჰქონდა, სამუდამო კონტროლისთვის დაექვემდებარებინა დასავლეთ სანაპირო, ეგვიპტესთან მიღწეულმა შეთანხმებამ ისრაელის სამხედრო პოზიციის გაძლიერებისა და პალესტინელების მიმართ უფრო მეტი სიმკაცრისაკენ წააქეზა. ამასობაში, ლიბანში არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა და სამხედრო ვითარებამ ახლო აღმოსავლეთში მორიგი აფეთქებისთვის ნიადაგი შეამზადა, რამაც თითქმის ჩაშალა სამშვიდობო პროცესი. როგორც უკვე აღინიშნა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და მისი სამხედრო კადრების დიდი ნაწილი ლიბანში მას შემდეგ დამკვიდრდნენ, რაც ისინი 1970-1971 წლებში იორდანიადან გამოდევნეს. ამის შემდგომ, სამოცდაათიანების შუანლებში ლიბანელ მემარჯვენებსა და მამარცხენებს შორის სისხლიანი შეტაკებების შემდეგ, ლიბანის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბექაას ხეობაში არაბული სამშვიდობო ძალების ეგიდით სირიის სამხედრო ძალები განლაგდნენ. სირიელებმა ლიბანში რეაქტიული ავიგამანადგურებლები და მინა-ჰაერი კლასის რაკეტები შეიტანეს და მხარდაჭერა გამოუცხადეს პა-

ლესტინურ შენაერთებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში წარმოებული არტილერიით გამოუდგებოდა ბომბავდნენ ჩრდილოეთ ისრაელის გალილიის მიწას. 1978 წელს ისრაელის სამხედრო ძალებმა სამხრეთ ლიბანის საზღვარი გადალახეს და პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობა აიძულეს, მდინარე ლითანის გადაღმა, ისრაელის საზღვრიდან თვრამეტი მილის მოშორებით, უკან დაეხიათ. ამავე დროს, სამხრეთ ლიბანში მეომარ მხარეთა დასაშორისშორებლად გაეროს სამშვიდობო ძალები გაიგზავნა. მაგრამ, როგორც კი პალესტინელებმა გაეროს ბუფერული ზონის გარეთ, სამხრეთ ლიბანში პოზიციები გაიმყარეს და გალილიის დაბომბვა განაახლეს, ბეგინის მთავრობამ გადაწყვიტა, ლიბანში შექმნილი არასტაბილურობით ესარგებლა და ერთხელ და სამუდამოდ გაემყარებინა ისრაელის ჩრდილოეთი საზღვარი.


ბეგინმა, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ მას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის – ალექსანდრე ჰეიგისგან „მწვანე შუქი“ ჰქონდა და 1982 წლის ივნისში ისრაელის ქვეითთა 60 000-იანმა არმიამ, 500 ტანკმა და 90 რეაქტიულმა ავიამანანადგურებელმა ლიბანის საზღვარი გადაკვეთა. ისრაელის სახმელეთო ძალებმა და სატანკო დივიზიებმა სამხრეთ ლიბანში პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის სამხედრო სიმაგრეების წინააღმდეგობა იოლად დაძლიეს. ამერიკაში წარმოებული რეაქტიული თვითმფრინავები ამერიკაში წარმოებულ „ჰაერი-მინის“ ტიპის რაკეტებს იყენებდნენ ბექაში განლაგებული საბჭოთა წარმოების სირიული „მინა-ჰაერის“ ტიპის რაკეტების გასანეიტრალებლად; ისრაელის თვითმფრინავები კი ამერიკაში წარმოებულ „ჰაერი-ჰაერის“ ტიპის „საიდვინდერის“ რაკეტებს იყენებდნენ, რომლითაც თითქმის მთლიანად გაანადგურეს საბჭოთა წარმოების „მიგის“ ტიპის რეაქტიული ავიამანანადგურებლები. ამასობაში, ისრაელის ქვეითი არმია და ტანკები ბეირუთს მიუახლოვდნენ, ხოლო ისრაელის თვითმფრინავები ქალაქის დასავლეთ ნაწილს ბომბავდნენ, სადაც პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის შტაბბინა იყო განთავსებული. ზაფხულის ბოლომდე, შეერთებული შტატების მხარდაჭერით, შემუშავდა შეთანხმება, რომლის შესაბამისად, პალესტინის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და სამხედრო ძალებმა, ამერიკული, ფრანგული და იტალიური სამშვიდობო ძალების დაცვის ქვეშ, ლიბანი დატოვეს.

1982 წლის ზაფხულში ისრაელის შეჭრამ ლიბანში თავის უშუალო მიზანს მიაღწია: პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ისრაელის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ მდებარე საფრთხის, განადგურება. ისრაელელებმა ასევე აჩვენეს, რომ ამერიკაში წარმოებული იარაღით მათ საბჭოთა წარმოების რაკეტებითა და სამხედრო თვითმფრინავებით აღჭურვილი სირიელების დამარცხება შეეძლოთ, რითაც მოსკოვს, როგორც ექსტრემისტი არაბული სახელმწიფოების ეფექტურ სამხედრო მფარველს, ჩრდილი მიაყენეს. ისრაელის სამხედრო ტრიუმფმა ლიბანში ბეგინის მთა-

ვრობასა და აშშ-ში რეიგანის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობები გაამწვავა, რადგან ამ უკანასკნელს ისრაელის ინტერვენცია რეგიონული სტაბილურობის საფრთხედ მიაჩნდა და საკუთარი უკმაყოფილება F-16 სამხედრო თვითმფრინავების ისრაელისათვის მიყიდვაზე ემბარგოთი გამოხატა.

1982 წლის სექტემბრის შუაში ლიბანში განვითარებულმა მოვლენებმა შეერთებულ შტატებს ამ პრობლემურ რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად ძალისხმევის სურვილი ნაართვეს. ლიბანის ახლადარჩეული ქრისტიანი პრეზიდენტის – ბაშირ ფემაიელის მკვლევლობის შემდეგ, რომელსაც ისრაელი დიდად უჭერდა მხარს იმ იმედით, რომ ის კემპ დევიდის ხელშეკრულების მსგავს შეთანხმებას დასთანხმდებოდა, ისრაელის სამხედრო ძალებმა დასავლეთ ბეირუთის მუსლიმური ნაწილი დაიკავეს. ორი დღის შემდეგ ფემაიელის განრისხებული მომხრეები ისრაელის კონტროლირებად ზონაში, პალესტინელების ლტოლვილთა ბანაკში შეიჭრნენ და დაახლოებით რვაასი მშვიდობიანი ლტოლვილი სიცოცხლეს გამოასალმეს, რასაც ისრაელელი სამხედროები შორიდან უყურებდნენ. შეერთებულ შტატებს პირობა ჰქონდა მიცემული პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერ იასერ არაფატისათვის, რომ, ორგანიზაციის მებრძოლების ევაკუაციის შემდეგ, პალესტინურ მშვიდობიან მოსახლეობას ისრაელელები დაიცავდნენ. ამიტომ, რეიგანმა სასწრაფოდ მოახდინა კონფლიქტის ზონაში მრავალეროვნული სამხედრო კონტინგენტის დაბრუნების ორგანიზაცია, რათა სულ მცირედი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მაინც გამხდარიყო შესაძლებელი. მაგრამ ლიბანში ამერიკული, ფრანგული და იტალიური სამშვიდობო ძალების განუსაზღვრელი ვადით ყოფნა შიიტი მუსლიმების აღშფოთებას იწვევდა, რადგან ეჭვი ჰქონდათ, რომ ისინი ლიბანის სამოქალაქო ომში ქრისტიანების მხარეს იკავებდნენ. ტერორისტული აქტების წყებამ კულმინაციას 1984 წლის 23 ოქტომბერს მიაღწია, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა ბეირუთთან მეზღვაურების შტაბბინა ააფეთქეს, რასაც 241 მძინარე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეენირა. პრესტიჟის გადარჩენისკენ გამიზნული ინტერვალის შემდეგ, რეიგანმა ლიბანიდან ყველა ამერიკელი მეზღვაური გაიყვანა და რეგიონში შეთანხმების მიღწევის იმედი დაკარგა.

ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის განმუხტვის ერთადერთი ნიშანი 1984 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა, როდესაც ისრაელის ახლადშექმნილმა კოალიციურმა მთავრობამ, შიმონ პერესის მეთაურობით, ლიბანის სამხრეთიდან ისრაელის სამხედრო ნაწილების გამოყვანა დაიწყო. ამასობაში, შიიტმა მუსლიმებმა – დრუზებმა – და პალესტინელებმა ბრძოლა განაახლეს, ხოლო ამინ ფემაიელის – მოკლული ქრისტიანი ლიდერის ძმის – მთავრობა პოლიტიკურად სულ უფრო და უფრო უსუსური ხდებოდა. საბჭოთა შეიარაღებით უხვად გადაიარაღებული სირიის არმია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში რჩებოდა. ჰაფეზ ალ-ასადი, რომელიც სირიის სათავეში 1970 წელს



ისრაელი და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები ექვსდღიანი ომის შედეგად

მოვიდა, სწორედ მაშინ, როდესაც ეგვიპტეში ნასერი გარდაიცვალა, სამოც-დაათიანი წლების განმავლობაში, საბჭოთა კავშირის დახმარებით, სირიის სამხედრო ძალების მშენებლობით იყო დაკავებული, მაშინ, როცა ეგვიპტის ლიდერი სადათი მოსკოვს განუდგა და პირი ვაშინგტონისკენ იბრუნა. იმ ვითარებაში, როდესაც ეგვიპტე კემპ დევიდის შეთანხმების შედეგად იყო იზოლირებული, ხოლო ერაყი ირანთან ომში იყო ჩართული, ასადი (ბევრი არაბის თვალში) ოთხმოციანი წლებში ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში ნასერის მემკვიდრედ იქცა.

არეულობა არაბულ ქვეყნებში და ირან-ერაყის ომი

ნასერის სახელთან ასოცირებული უფრო ამბიციური მისწრაფება – არაბული ერთობის მიღწევა – კიდევ უფრო მიუღწეველ მიზნად იქცა, ვიდრე ოდესმე ნასერის სიკვდილის შემდეგ. მიუხედავად ენობრივი და რელიგიური მემკვიდრეობისა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის არაბ ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებდა, რეგიონის პოლიტიკური ფრაგმენტაცია პანარაბული იდეალის განხორციელებას ხელს უშლიდა. სეკულარულ იდეოლოგიებსა (როგორც იყო ბაასისტური მმართველი ელიტა სირიასა და ერაყში) და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის მკვეთრი კონტრასტი ამ გათიშულობის ერთ-ერთი მიზეზი იყო. მეორე მიზეზი ცივ ომში არაბული ქვეყნების მიერ დაკავებული განსხვავებული პოზიციები იყო, როდესაც ეგვიპტე, იორდანია, საუდის არაბეთი და ომანი შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ, ხოლო სირია, ერაყი და სამხრეთ იემენი საბჭოთა კავშირისგან ელოდნენ და იღებდნენ სამხედრო და დიპლომატიურ მხარდაჭერას. ისრაელის სახელმწიფოს არსებობისადმი წინააღმდეგობა და პალესტინის ნაციონალიზმის მხარდაჭერა არაბულ სახელმწიფოთა ერთობის ძირითადი მიზეზი იყო.

ირან-ერაყის ომმა არაბულ სამყაროში შექმნილი ეს არეულობა კიდევ უფრო გაამწვავა. 1973-1979 წლებში ნავთობიდან ერაყის შემოსავალი 2 მილიარდი დოლარიდან 21 მილიარდამდე გაიზარდა, რამაც მას უზარმაზარი სამხედრო ძალების შექმნისა და საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი იარაღით მისი სათანადოდ აღჭურვის საშუალება მისცა. 1979 წელს ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ შეეძლო ესარგებლა ირანში შექმნილი შიდაარეულობითა და მისი საერთაშორისო იზოლაციით და საბჭოთა და ფრანგული იარაღით აღჭურვილი ერაყული არმიით, შაჰისგან დარჩენილი დასუსტებული სამხედრო ძალების წინააღმდეგ, სწრაფი და დამაჯერებელი გამარჯვებისათვის მიეღწია. თუმცა, 1982 წლისთვის ირანის არმიის შემართებული კონტრიერისა და მსოფლიოში ნავთობის მიწოდების გაზრდისა და, შესაბამისად, მისი ფასების ვარდნის გამო ერაყის შემოსავლების შემცირების შედეგად, ირან-

ერაყის კონფლიქტი ხანგრძლივ, ძალების ამონურვამდე ომად გადაიქცა. თუ სადამის საბოლოო მიზანი ორი არაარაბული სახელმწიფოს – ისრაელისა და ირანის – წინააღმდეგ, არაბული სახელმწიფოების მობილიზების გზით, ნასერის მემკვიდრედ თავის დამკვიდრება იყო, მისი მცდელობები სამარცხვინო კრაზით დასრულდა. სირიის ლიდერი ასადი, რომელიც ქვეყნის შიგნით მუსლიმი ფუნდამენტალისტების საფრთხის წინაშე მდგარ არაბთა სეკულარულ რეჟიმს ედგა სათავეში, სრულ მხარდაჭერას უცხადებდა ხომეინის არაარაბულ ისლამურ რეჟიმს ერაყის არაბთა სეკულარული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ აშკარა პარადოქსს ერთი მარტივი ახსნა ჰქონდა: ასადი თავის ბაასისტ კოლეგას – ერაყის სახელმწიფოს მეთაურს – არაბულ სამყაროში ლიდერობისათვის თავის ერთადერთ მეტოქედ აღიქვამდა. ლიბია, ალჟირი და სამხრეთ იემენი ასევე ირანს უჭერდნენ მხარს ერაყის წინააღმდეგ, რისთვისაც მათ საკუთარი მიზეზები ჰქონდათ. არაბული სამყაროს დანარჩენი ლიდერები კი სადამ ჰუსეინს ამოუდგნენ გვერდში.


ჩაშლილი სამშვიდობო პროცესი

ოთხმოციანი წლების შუაში სამშვიდობო პროცესი სერიოზულად შეფერხდა და კემპ დევიდის შეთანხმებებით გამოწვეული ოპტიმიზმი ისრაელი-პალესტინის პრობლემის მოგვარების შესახებ, ორმხრივად მისაღები შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით, ღრმა პესიმიზმმა შეცვალა: ეგვიპტის გარდა, არცერთ არაბულ სახელმწიფოს არ უღიარებია ისრაელის უფლება არსებობისთვის. პირიქით, 1978 წელს ბალდადში გამართულ სამიტზე ეგვიპტე, ფაქტობრივად, განდევნეს არაბულ სახელმწიფოთა ბლოკიდან, ხოლო თავად სადამმა, როგორც ვიხილეთ, საკუთარი სიცოცხლით აგო პასუხი იმის გამო, რომ არაბულ სახელმწიფოთა შორის პირველმა აღიარა ებრაული სახელმწიფო. პალესტინური მოძრაობის იმედგაცრუებული დაჯგუფებები ისრაელით უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვას ტერორისტული აქტებით ცდილობდნენ, კერძოდ, 1985 წელს მათ გაიტაცეს იტალიური სამგზავრო გემი „აკილე ლაურო“, რის შემდეგაც სიცოცხლეს გამოასალმეს მოხუცი, ინვალიდი, ებრაელი მამაკაცი. მეორე მხრივ, ისრაელის მთავრობამაც სასაცილოდ აიგდო ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე პალესტინელთა ავტონომიის, კემპ დევიდის შეთანხმებით გათვალისწინებული, პრინციპი, როდესაც 1977-1984 წლებში დასავლეთ სანაპიროზე ოთხმოცდაათი ახალი ებრაული დასახლება ააშენა და იქ გადასახლების მსურველ მოქალაქეებს გულუხვი საგადასახადო შეღავათები და იაფი სესხები შესთავაზა. კემპ დევიდის შეთანხმებებით გათვალისწინებული მოლაპარაკებები ღაზას სექტორისა და დასავლეთ სანაპიროს ავტონომიის შესახებ, 1979 წლიდან ჯერ კუს ნაბიჯებით მიიწეოდა წინ, ხოლო, 1982 წელს ლიბანში ისრაელის შეჭრის შემდეგ, საბოლოოდ ჩაიშალა.

მშვიდობა და სტაბილურობა რთულად მისაღწევ მიზნად გამოიყურებოდა არამხოლოდ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. ლიბანმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა, როგორც სახელმწიფომ, ამ სიტყვის სრული გაგებით. ქრისტიანი და მუსლიმი შეიარაღებული მებრძოლების მოთარეშე ბანდები, ქვეყნის ჩრდილოეთში გამაგრებულ სირიის სამხედრო ძალებთან და სამხრეთ ნაწილში ისრაელელ ჯარისკაცებთან ერთად, ამყარებდნენ წესრიგს და წყვეტდნენ სამართალს. ირანსა და ერაყს შორის შეიარაღებულმა დაპირისპირებამ პირველი მსოფლიო ომის მსგავსი ჩიხური მდგომარეობის სახე მიიღო: ომს დასასრული არ უჩანდა, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ამასობაში, ორივე ზესახელმწიფო რეგიონში მათი კლიენტის სახელმწიფოების შეიარაღებასა და მხარდაჭერას განაგრძობდა და რეგიონულ დაპირისპირებათა ჩახლართულ ქსელს ცივი ომის გადმოსახედიდან განიხილავდა. ისრაელის მიმართ დროდადრო გამოთქმულ გალიზიანებას თუ არ ჩავთვლით (როგორც ეს 1982 წელს ისრაელის ლიბანში შეჭრას მოჰყვა), რეიგანის ადმინისტრაცია ებრაულ სახელმწიფოსთან მეგობრულ ურთიერთობებს ინარჩუნებდა. ისრაელი შეერთებული შტატების საგარეო დახმარების მთავარ მიმღებად რჩება დღემდე (და იღებს შეერთებული შტატების საგარეო დახმარების ბიუჯეტის თითქმის მესამედს) და აქტიურად თანამშრომლობს შეერთებული შტატების დაზვერვის სამსახურებთან ახლო აღმოსავლეთში და მთელს მსოფლიოში. შეერთებული შტატებისგან საგარეო დახმარების მიმღებთა სიაში მეორე ეგვიპტე იყო, რომელიც, სანაცვლოდ, შეერთებულ შტატებს სხვადასხვა პრივილეგიას სთავაზობდა, მათ შორის გადაუდებელ ვითარებებში ეგვიპტის პორტებითა და საჰაერო სივრცით სარგებლობის უფლებას, ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარების შესაძლებლობას და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას. ვაშინგტონმა ასევე გააფართოვა საუდის არაბეთთან სამხედრო კავშირები ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობების ფარგლებში, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ელ რიადის მხრიდან ნავთობის წარმოების ზრდის გზით, ნავთობის მსოფლიო ფასების სტაბილიზებას მოიცავდა. საბჭოთა კავშირი, ეგვიპტეში ბაზების დაკარგვისა და ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესიდან განდევნის მიუხედავად, განაგრძობდა სირიის არმიის სამხედრო მომარაგებას 1982 წელს ლიბანში განცდილი მარცხის შემდეგ; ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას აწვდიდა ერაყსა და სამხრეთ იემენს და დიპლომატიურ მხარდაჭერას უწევდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე.



ბრძოლა განვითარებისა და
დამოუკიდებლობისათვის
ლათინურ ამერიკაში



ჩილეს თერთმეტი სექტემბერი: დაცვის შეიარაღებული სამსახური იცავს ჩილეს პრეზიდენტ სალვადორ ალიენდე გოსენსს (1908-1973) სახელმწიფო გადატრიალებისას, რომელმაც მისი ხელისუფლება დაამხო და, ბოლოს, მისი სიცოცხლეც შეინირა. 1973 წლის 11 სექტემბერი: ჩილეში სახელმწიფო გადატრიალება ნიქსონის ადმინისტრაციის ფარული ოპერაციების სამსლიან კამპანიას მოჰყვა, რომლის მიზანი მსოფლიოში პირველი, დემოკრატიულად არჩეული, მარქსისტული მთავრობისათვის ძირის გამოთხრა იყო. უცნობია, ჩილეს პრეზიდენტის სიკვდილი თვითმკვლელობის შედეგი იყო, თუ სანტიაგოში პრეზიდენტის ლა მონედას რეზიდენციაზე განხორციელებული იერიშისას ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა.

თავის შინაარსი

ვაშინგტონის შეკავების პოლიტიკა დასავლეთ ნახევარსფეროში

ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაში

საკრედიტო კრიზისი ლათინურ ამერიკაში

მცირე ცივი ომი კარიბის რაიონში

ვაშინგტონის შეკავების პოლიტიკა დასავლეთ ნახევარსფეროში

კუბის სარაკეტო კრიზისმა სრულიად აშკარა გახადა ლათინური ამერიკის ქვეყნების სურვილი, მხარი დაეჭირათ შეერთებული შტატების მიერ ცალმხრივი ძალის გამოყენებით დასავლეთ ნახევარსფეროდან საბჭოთა გავლენის აღმოფხვრისაკენ მიმართული სტრატეგიისათვის. მას შემდეგ, რაც 1962 წლის კენედი-ხრუშჩოვის შეთანხმებამ კუბაზე კასტროს რეჟიმის დამხობის ალტერნატივას წერტილი დაუსვა, შეერთებული შტატები დაუყოვნებლივ შეუდგა კუბის იზოლირებას მისი მეზობელი სახელმწიფოებისგან, რათა ხელი შეეშალა რეგიონში მავნე დოქტრინის გავრცელებისათვის. კასტროს მიერ ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში პარტიზანული მოძრაობებისათვის იარაღის მიწოდებაზე პასუხად, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციამ 1964 წლის ივლისში კუბაზე ეკონომიკური სანქციების დაწესებას დაუჭირა მხარი. ამ ინტერამერიკული ორგანიზაციის ყველა წევრმა სახელმწიფომ, მექსიკის გარდა, ჰავანასთან დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვიტა. რეგიონიდან იზოლირებული კუბა, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძლიერი მხარდაჭერის სანაცვლოდ, თანდათან უფრო დამოკიდებული გახდა მოსკოვის ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებაზე.

ჰავანის მარქსისტულმა რეჟიმმა ვერ შეძლო რევოლუციის ექსპორტი ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. რამდენიმე ქვეყანაში კუბის მხარდაჭერით მოქმედი ზოგიერთი რადიკალური დაჯგუფება შეერთებული შტატების მიერ განვრთნილმა კონტრრევოლუციურმა ძალებმა გაანადგურეს. რეფორმატორი ჯგუფებიც კი, რომელთაც ჰავანასთან აშკარა კავშირი არ ჰქონდათ, ვაშინგტონის პირდაპირი ან არაპირდაპირი მხარდაჭერით მოქმედი სამხედრო და საპოლიციო ძალების მიერ იდევენბოდნენ. ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების კონტრრევოლუციური საქმიანობის ყველაზე აშკარა შემთხვევას დომინიკელთა რესპუბლიკაში – კარიბის რეგიონის პატარა ქვეყანაში – ჰქონდა ადგილი, რომელსაც საუკუნის დასაწყისში, კუბის მსგავსად, შეერთებული შტატების სხვადასხვა ფორმის ზენოლა ჰქონდა გამოვლილი. 1964 წლის 24 აპრილს, ორი წლით ადრე, სამხედრო გადატრია-

ლების გზით გადაყენებული ყოფილი რეფორმისტი პრეზიდენტი ხუან ბოშის ერთგულმა ძალებმა სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ იარაღს მოჰკიდეს ხელი. ამ ქვეყანაში შეერთებული შტატების მოქალაქეების დაცვის საბაბით, პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ამერიკელი საზღვაო ქვეითები დომინიკელთა რესპუბლიკაში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თანხმობის გარეშე გაგზავნა. ადგილზე ჩასულმა ამერიკულმა ძალებმა უზრუნველყვეს, რომ დომინიკელთა რესპუბლიკა არასოდეს ქცეულიყო მეორე კუბად. 1934 წელს პრეზიდენტი რუზველტის „კეთილმეზობლობის პოლიტიკის“ გამოცხადების შემდეგ, შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითები საოკუპაციო მისიით პირველად იმყოფებოდნენ ლათინური ამერიკის ქვეყანაში. 1966 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად, რომელიც ინტერამერიკული სამშვიდობო ძალების ზედამხედველობის ქვეშ ჩატარდა, დომინიკელთა რესპუბლიკის ხელისუფლებაში კონსერვატორი პოლიტიკოსი და 1961 წელს მოკლული დიქტატორ რაფაელ ტრუხილიოს თანამებრძოლი ხოაკინ ბალაგერი მოვიდა.

1965 წელს დომინიკელთა რესპუბლიკაში ინტერვენცია ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების პოლიტიკის პრიორიტეტების მნიშვნელოვან ცვლილებას მიანიშნებდა. ჯონსონის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ თქვა უარი სოციალური რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების მიზნებზე, რომელიც „პროგრესის ალიანსის“ თავდაპირველი დებულებებით იყო გათვალისწინებული. ალიანსმა მისი დამფუძნებლების ამბიციური იმედები ვერ გაამართლა: ლათინური ამერიკის მალალმა სოციალურმა ფენებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ პროგრამით გათვალისწინებულ საგადასახადო და მიწის რეფორმებს, მთავრობის წარმომადგენლებმა ეკონომიკური განვითარების პროექტებისათვის განკუთვნილი ამერიკული დახმარება ჯიბეში ჩაიდეს, სამხედრო რეჟიმებმა კი, რომლებმაც სამოქალაქო მთავრობები დაამხეს, უარი თქვეს დემოკრატიული თავისუფლებების აღდგენაზე. ამერიკული დახმარების პროგრამის პროგრესული პრინციპების განხორციელებისათვის, ლათინური ამერიკის სოციალურ, პოლიტიკურ და სამხედრო ელიტებზე ზენოლის ნაცვლად, ჯონსონის ადმინისტრაციამ ალიანსის თანხები ეკონომიკური განვითარების პროექტებიდან კონტრრევოლუციური საქმიანობისაკენ გადაისროლა. ვაშინგტონმა ასევე ზედმეტი დაყოვნების გარეშე აღიარა ავტოკრატიული, მაგრამ დამაჯერებლად ანტიკომუნისტური სამხედრო რეჟიმები, რომლებმაც ხელისუფლება დემოკრატიულად არჩეული მთავრობების დამხობის შედეგად ჩაიგდეს ხელში, მაგალითად ბრაზილიაში, სადაც 1964 წლის აპრილში სამხედრო ხუნტამ მემარცხენე პრეზიდენტი ჟოაო გულატი გადააყენა.

ლათინურ ამერიკაში სოციალური რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების ნაცვლად, კომუნისტური და კომუნისტებთან დაკავშირებული მოძრაობების აღკვეთის პოლიტიკა ნიქსონის ადმინისტრაციამაც განაგრძო. ჩილეში, 1970 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ამერიკის ცენტრალურმა

დაზვერვის სამსახურმა თვითგამოცხადებული მარქსისტი ლიდერის, სალვადორ ალიენდეს ოპონენტებისთვის გულუხვი სუბსიდიები გაიღო. ალიენდემ არჩევნებში სოციალური და ეკონომიკური რეფორმების პროგრამით მონაწილეობდა, რაც იმ დიდი ამერიკული სპილენძის კომპანიების ქონების ნაციონალიზაციას ითვალისწინებდა, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას მართავდნენ. როდესაც ალიენდემ ლათინურამერიკული ქვეყნის პირველი დემოკრატიულად არჩეული ლიდერი გახდა და დაუყოვნებლივ მოახდინა სპილენძის სფეროში ინტერესების მქონე „ანაკონდასა“ და „კენეკოტის“ ქონების კონფისკაცია, ვაშინგტონმა ახალი რეჟიმის დესტაბილიზაციის დიდი კამპანია წამოიწყო. ეს მოიცავდა: ოპოზიციური გაზეთებისა და მშრომელთა ორგანიზაციების სუბსიდირებას, ფინანსურ ორგანიზაციებზე ზეწოლას, რომ უარი ეთქვათ ჩილესთვის კრედიტების გაცემაზე და ჩილეს სამხედრო ისტებლიშმენტის ფარულ ნაქეზებას, თავიდან მოეშორებინათ მარქსისტული მთავრობა. მზარდი ინფლაციის, საგადასახადო ბალანსის დეფიციტისა და სოციალური უკმაყოფილების ფონზე, ჩილეს არმია ალიენდეს რეჟიმის გაძევებას შეუდგა. ამის შემდეგ სამხედრო ხუნტა, გენერალ აუგუსტო პინოჩეტის მეთაურობით, ქვეყნის მემარცხენე დაჯგუფებების რეპრესიების ულმობელ კამპანიას შეუდგა, რითაც საბოლოო ნერტილი დაუსვა ალიენდეს მხარდამჭერების იმედებს სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მარქსისტული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. არგენტინისა და ბრაზილიის სამხედრო მთავრობები სამოცდაათიან წლებში ასევე უსწორდებოდნენ თავიანთ დისიდენტებს და ერთნაირად ესხმოდნენ თავს როგორც კომუნისტებს, ასევე სოციალისტებსა თუ ლიბერალ-დემოკრატიულ ელემენტებს ქვეყანაში.

ამრიგად, კუბის სარაკეტო კრიზისის შემდგომი ათწლეულის განმავლობაში დასავლეთ ნახევარსფეროში საბჭოთა კავშირის გავლენა კარიბის ზღვაში ემბარგოთი დასჯილი და იზოლირებული მარქსისტ-ლენინური კასტროს რეჟიმით შემოიფარგლებოდა. საბჭოთა კავშირის შეკავების ამ პროცესის ლიდერი შეერთებული შტატები იყო, თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებიც ერთგულად მიჰყვებოდნენ მის პოლიტიკას. ორმოცდაათიანი წლების განმავლობაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ნამდვილი პერსპექტივა არ ჰქონდა, რადგან თავად კომუნიზმი საკმაოდ მოშორებულ საფრთხედ აღიქმებოდა. მაგალითად, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა დალესმა მხოლოდ დიდი ზენოლის განხორციელების შემდეგ შეძლო ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობები რეგიონში კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ განეწყო, როდესაც 1954 წელს ვაშინგტონი გვატემალაში არბენსის რეჟიმის წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებდა. იქიდან გამომდინარე, რომ სამოციანი წლების დასაწყისში კუბა მყარად დამკვიდრდა საბჭოთა ორბიტაზე, ხოლო მისი ლიდერი ფიდელ კასტრო ლათინურ ამერიკაში რევოლუციის მედროშედ იქცა, რეგიონში ფესვმოკიდებულმა ოლიგარქებმა სწრაფად აუღეს ალლო იმ საერთო ინტერესს, რომელსაც ისინი შეერთებულ შტატებთან იყოფდნენ და



შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა

რაც მათ ნახევარსფეროში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობასა და ამ მოძრაობის გამოყენებით საბჭოთა გავლენის გაფართოების აღკვეთაში მდგომარეობდა.

ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაები

კუბის სარაკეტო კრიზისის შედეგად ნახევარსფეროს სახელმწიფოებს შორის გაზრდილი სოლიდარობის მიღმა ერთი წინააღმდეგობრივი ტენდენცია იმალეობოდა, რომელიც უკვე 1970-იანი წლების დასაწყისიდან ლათინური ამერიკის საერთაშორისო პოზიციის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი აღმოჩნდა: იმ ეკონომიკური დამოკიდებულებისა და პოლიტიკური მორჩილების თანდათანობითი, ძნელად შესამჩნევი შესუსტება, რომელიც ამ რეგიონს დიდი ხნის განმავლობაში შეერთებულ შტატებთან აკავშირებდა. ლათინური ამერიკის ეტაპობრივ გათავისუფლებას შეერთებული შტატების დომინირებისგან ორი მოვლენა უწყობდა ხელს. პირველი რეგიონში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ახალი გამოცდილება იყო, რომელმაც საშუალება მისცა ამ ქვეყნებს, ტრადიციული ჩრდილოელი მომწოდებლისა და მყიდველის ხარჯზე, სხვა მიმართულებით გაეზარდათ საექსპორტო ვაჭრობა და გაემრავალფეროვნებინათ უცხოური ბაზრები; მეორე მოვლენა აღმოსავლეთ-დასავლეთის დეტანტი იყო, რომელმაც მოსალოდნელი საბჭოთა საფრთხის წინაშე ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის სოლიდარობის მიმართ ვაშინგტონის ტრადიციული აკვიატება ზომიერების ფარგლებში მოაქცია და, შესაბამისად, ლათინური ამერიკის ქვეყნებს საკუთარი სუვერენული უფლებების განხორციელებისა და უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვის მეტი საშუალება მისცა.

1960-1973 წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა ყოველწლიურად საშუალოდ თითქმის ექვსი პროცენტით იზრდებოდა (ინფლაციის გამოკლებით), რითაც რეგიონმა გაცილებით გაასწრო დანარჩენი განვითარებადი სამყაროს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. აღსანიშნავია ამ ტრადიციულად ჩამორჩენილი რეგიონის ეკონომიკური აღმავლობის რამდენიმე ასპექტი. პირველ რიგში, მათ ეკონომიკურ ზრდას ექსპორტის შესაბამისი ზრდა განაპირობებდა: 1970-1980 წლებში საგარეო ვაჭრობის პროცენტული შეფარდება მთლიან ეროვნულ პროდუქტთან გაორმაგდა ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინაში, ჩილეში, ეკვადორსა და ვენესუელაში და მნიშვნელოვნად გაიზარდა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. ლათინური ამერიკის მთლიანი ექსპორტი 1965-დან 1973 წლამდე ყოველწლიურად 11 პროცენტით იზრდებოდა, რაც გაცილებით აღემატებოდა წინა თხუთმეტი წლის 3.6-პროცენტთან ყოველწლიურ მაჩვენებელს. ლათინურამერიკული ვაჭრობის ეს ექსპანსია ასახავდა ისტორიულ ტრანსფორმაციას ნედლეულის – ძირითადად მინერალებისა და სურსათის – ექსპორტიდან, ახლადშექმნილი ტექნოლო-



სანდინისტი მებრძოლები იარაღის ფრიალით მიესალმებიან ანასტასიო სომოსა დებელის მთავრობის დამხობას ნიკარაგუაში, 1979 წლის ივლისი: 1961 წელს შექმნილ Frente Sandinista de Liberacion Nacional-ში (სანდინისტების ეროვნული განთავისუფლების ფრონტი) წამყვან ძალას მარქსისტები წარმოადგენდნენ, რომლებიც ფიდელ კასტროსგან აქტიურ მხარდაჭერას იღებდნენ, თუმცა მისი ლიდერები, განსაკუთრებით დანიელ ორტეგა საავადრა, სომოსას კლემატოკრატიით უკმაყოფილო უფრო ფართო მასებს მიმართავდა. კასტროსთან მჭიდრო კავშირმა და რადიკალურმა სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა რეიგანის ადმინისტრაციას მათი ხელისუფლებიდან განდევნისათვის ყველა საშუალების გამოყენებისაკენ უბიძგა.

გიების გამოყენებით, სამრეწველო საქონლის ექსპორტზე. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი ლათინური ამერიკის მთლიან ექსპორტთან მიმართებაში 1960 წელს 3.6 პროცენტთან 1970 წელს 17.2 პროცენტამდე გაიზარდა. რეგიონის სამრეწველო ექსპორტი ყოველწლიურად 26.5 პროცენტით იზრდებოდა, რაც ასევე აღემატებოდა იმავე პერიოდში მსოფლიოს სამრეწველო ექსპორტის 16.4-პროცენტთან მაჩვენებელს. ლათინური ამერიკის ექსპორტზე ორიენტირებული დინამიკური ეკონომიკა თავის მხრივ შთამბეჭდავი მასშტაბის უცხოურ ინვესტიციებს იზიდავდა. სამოცდაათიანი წლების ბოლოს ექსპერტები საუცხოო ეკონომიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ რეგიონს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სიღატაკესა და ჩამორჩენილობაში ცხოვრობდა.

საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგში ლათინური ამერიკის მონაწილეობის ზრდასა და გააქტიურებას თავისთავად მოჰყვა შეერთებულ შტატებთან რეგიონის განსაკუთრებული სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობების შემცირება. 1979 წლისთვის ლათინური ამერიკის სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შეერთებული შტატებში მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენდა, რაც


გაცილებით ჩამოუვარდებოდა ლათინური ამერიკის შიგნით 39-პროცენტთან შედარებით მაჩვენებელს. ინდუსტრიალიზებულ სამყაროში ლათინური ამერიკის ექსპორტმა კი ამავე პერიოდში 26 პროცენტი შეადგინა. 1950-დან 1980 წლამდე ლათინური ამერიკის, როგორც შეერთებული შტატების საიმპორტო ბაზრის, მნიშვნელობა 37 პროცენტით შემცირდა, ხოლო შეერთებული შტატების მთლიან იმპორტში რეგიონის წილმა 66 პროცენტით იკლო. ლათინურ ამერიკაში წამყვანი სავაჭრო პოზიციის თანდათან დათმობასთან ერთად, შეერთებულმა შტატებმა საგარეო ინვესტიციებიც მსოფლიოს სხვა რეგიონებისაკენ მიმართა: ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების მთლიანი საგარეო ინვესტიციების პროპორციამ 1960 წელს დაახლოებით 25 პროცენტიდან 1980 წელს დაახლოებით 12 პროცენტამდე დაინია, სხვაობას კი თანდათანობით ევროპული და იაპონური ინვესტიციები ავსებდნენ.

შეერთებული შტატებისგან ლათინური ამერიკის მზარდი დამოუკიდებლობა ამ ქვეყნებს პოლიტიკურ სიმტკიცესაც მატებდა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დასავლეთ ნახევარსფეროში ვაშინგტონის ჰეგემონური მდგომარეობა. ცივი ომის გამწვავების პერიოდში ლათინური ამერიკის მმართველი ელიტები უკრიტიკოდ ემორჩილებოდნენ შეერთებული შტატების წამყვან როლს კონტინენტზე. როგორც ვიხილეთ, 1962 წლის სარაკეტო კრიზისის შემდეგ, ვაშინგტონმა წარმატებით დაიყოლია რეგიონის მთავრობები კუბის იზოლირებაზე და, ამასთანავე, ის უწყომანოდ ახორციელებდა როგორც ლია (1965 წელს დომინიკელთა რესპუბლიკაში), ასევე ფარულ (1970 წელს ჩილეში) ინტერვენციებს, რათა ხელი შეეშალა არამეგობრული რეჟიმის დამყარებისათვის ამ ქვეყნებში, რომლებიც იოლად მოექცეოდნენ კუბის (და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირის) გავლენის ქვეშ. სამოცდაათიანი წლების შუაში ზესახელმწიფოებს შორის გლობალურმა დეტანტმა დააცხრო შეერთებული შტატების შიში დასავლეთ ნახევარსფეროში საბჭოთა კავშირის გავლენის გაფართოების მიმართ და, ამასთანავე, ამავე პერიოდში ლათინურ ამერიკაში კუბის შთავგონებით გააქტიურებული რევოლუციური მოძრაობებიც თანდათან მინელდა. 1967 წელს ბოლივიის ხელისუფლების მიერ პარტიზანთა ლეგენდარული ლიდერის ჩე გევარას შეპყრობამ და სიკვდილით დასჯამ რევოლუციური იმედების თანდათანობით გაქარწყლება გარდაუვალი გახადა. ლათინურ ამერიკაში რევოლუციური ცვლილებების გამონვევის ნაცვლად, კუბის რევოლუციას სამხედრო გადატრიალებები მოჰყვა (1964 წელს ბრაზილიაში, 1973 წელს ჩილესა და ურუგვაიში და 1976 წელს არგენტინაში), რის შედეგადაც ამ ქვეყნებში მემარჯვენე დიქტატორები დამყარდა, რომლებიც მკაცრად უსწორდებოდნენ მემარცხენე მოძრაობებს. საბჭოთა-ამერიკული დეტანტის პირობებში რეგიონში რევოლუციური ტალღის შენელებამ ლათინური ამერიკის ქვეყნებს საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარების მეტი თავისუფლება მისცა, შეერთებული შტატების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრადიციული პრობლემების გათვალისწინების გარეშე.

რუზველტის „კეთილმეზობლობის პოლიტიკისა“ და კენედის „პროგრესის ალიანსის“ სულისკვეთების გაღვიძებას პრეზიდენტი ჯიმი კარტერი შეეცადა. მან დიქტატორულ რეჟიმებს ამერიკული დახმარებები შეუშვირა და პოლიტიკური ლიბერალიზაციის, სოციალური რეფორმებისა და ლათინური ამერიკის შეერთებულ შტატებთან უკეთესი ურთიერთობების ხელშეწყობას შეუდგა. მოლაპარაკებები შეერთებულ შტატებსა და პანამას შორის, პანამის არხის მომავალთან დაკავშირებით, 1965 წლიდან უშედეგოდ მიმდინარეობდა. მოლაპარაკებების ოპონენტები შეერთებულ შტატებში მტკიცედ გამოდნენ ამ საზღვაო გასასვლელსა და მის გარშემო 5-მილიან ზონაზე შეერთებული შტატების კონტროლის შემცირების ნებისმიერ მცდელობას, როგორც კარიბის ზღვის რეგიონში ამერიკის უსაფრთხოების ინტერესებისადმი დაუშვებელ მუქარას. ამის მიუხედავად, 1977 წელს კარტერმა მიიღო სენატის თანხმობა ხელშეკრულებაზე, რომელიც პანამის არხის ზონაზე უშუალო იურისდიქციას დაუყოვნებლივ გადასცემდა პანამას, ხოლო არხის მართვისა და დაცვის უფლებას პანამა საუკუნის ბოლოსკენ მიიღებდა. დასავლეთ ნახევარსფეროში „იანკების იმპერიალიზმის“ ამ ცნობილი სიმბოლოს გაუჩინარება შეერთებული შტატების ახალ მიდგომაზე მიუთითებდა, რაც რეგიონთან ურთიერთობების აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების კონტექსტიდან განცალკევებულად წარმართვას ნიშნავდა.

პანამის არხის ხელშეკრულების რატიფიკაციიდან ორ წელიწადში, შეერთებული შტატების მიერ სამხედრო ჩაურევლობისა და პოლიტიკური რეფორმების ახალი პოლიტიკა ლათინური ამერიკის ორ ქვეყანაში გამოცდის წინაშე დადგა. კარტერმა აშშ-ის ძველი პოლიტიკისგან მკვეთრად განსხვავებული ნაბიჯი გადადგა და 1979 წლის ოქტომბერში არაპირდაპირ დაეთანხმა ელ სალვადორში რომეროს მემარჯვენე დიქტატურის საწინააღმდეგო სამხედრო გადატრიალების მოწყობას, რის შემდეგაც ქვეყნის სათავეში სოციალური რეფორმების ერთგული, პროგრესული რეჟიმი მოვიდა. იმავე წელს ანასტასიო სომოსა დებეილის რეტროგრადული და რეპრესიული რეჟიმი, რომლის ოჯახი ნიკარაგუას, როგორც საკუთარ სამფლობელოს, ორმოც წელზე მეტხანს მართავდა ვაშინგტონის მყარი მხარდაჭერით, დაამხო ფართო კოალიციამ, რომელშიც მთავარი ადგილი სანდინისტების რევოლუციურ ჯგუფს ეკავა. ლათინურ ამერიკაში, მრავალი წლის განმავლობაში, პირველი წარმატებული მემარცხენე აჯანყების წინაშე მდგარი კარტერის ადმინისტრაცია სანდინისტებისთვის ცენტრისტული, პროამერიკული ალტერნატივის გამონახვას ამაოდ შეეცადა. შეერთებულმა შტატებმა ამერიკულ სა-

* მოძრაობა სესარ აუგუსტო სანდინოს სახელს ატარებდა, რომელიც ნიკარაგუაში განლაგებული შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობას ედგა სათავეში 1934 წლამდე, ვიდრე იგი ამერიკელების განვრთნილმა ეროვნულმა გვარდიამ სიცოცხლეს არ გამოასალმა.



ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის რეგიონი

ხელმწიფოთა ორგანიზაციას, ნიკარაგუაში წესრიგის შენარჩუნების მიზნით, სამშვიდობო ძალების გაგზავნისკენაც მოუწოდა, მაგრამ ეს მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. სანდინისტები სიტყვიერი მხარდაჭერით სარგებლობდნენ ფიდელ კასტროსგან, რომელსაც, ათწლიანი მიძინების შემდეგ, კვლავ დაენტო რევოლუციის ნაპერწკალი. მათ ასევე აქტიურად ახალისებდნენ მეზობელი არაკომუნისტური სახელმწიფოები: ვენესუელა, კოსტა რიკა და პანამა. თითქოს ისტორიას ჩაბარებოდა დრო, როდესაც შეერთებულ შტატებს მარტოს შექმლო გადაეწყვიტა ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური დაპირისპირებების ბედი დიპლომატიური ზენოლის, ეკონომიკური სანქციების, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით.

საკრედიტო კრიზისი ლათინურ ამერიკაში

ლათინური ამერიკის შეერთებული შტატებისგან ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობა მოჩვენებითი აღმოჩნდა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში განვითარებული ორი მოვლენის შედეგად ის მნიშვნელოვნად შეიზღუდა კიდევ. პირველი ამ მოვლენათაგანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მწვავე და სრულიად მოულოდნელი კრიზისი იყო, რომელსაც განსაკუთრებით ღრმა შედეგები დასავლეთ ნახევარსფეროში მოჰყვა. გასული ათწლეულის განმავლობაში ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა, რომლებმაც ნავთობის ფასების გაზრდის შედეგად უზარმაზარი მოგება მიიღეს, ეს მონაგები დასავლეთის (და, განსაკუთრებით, შეერთებული შტატების) ბანკებში განალაგეს. რამდენადაც ეს ფინანსური ინსტიტუტები მონდომებით ეძებდნენ კლიენტებს დიდი ოდენობის უსარგებლო თანხების დასაბანდებლად, იმდენად მათ ლათინური ამერიკის მთავრობების კრედიტისუნარიანობის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა განუვითარდათ. ამ პერიოდში ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური სტაბილურობის მონაცემები მართლაც სერიოზულად განსხვავდებოდა დანარჩენი განვითარებადი სამყაროს ქვეყნებისგან. შესაბამისად, მაშინ, როდესაც აფრიკის არაერთი გაღატაკებული სახელმწიფოსათვის დიდი მასშტაბის უცხოური კრედიტების მიზიდვა შეუძლებელი იყო, საერთაშორისო საბანკო სისტემა ნავთობის შემოსავლებიდან მიღებულ უზარმაზარ დეპოზიტებს ლათინური ამერიკის ხაზინებში ათავსებდა ხელახალი გამოყენებისათვის. რეგიონის მთლიანი საგარეო ვალი ასტრონომიულად გაიზარდა და 1970 წელს 2.3 მილიარდი დოლარიდან 1975 წელს 75 მილიარდ დოლარს, 1980 წელს კი 229 მილიარდ დოლარს მიაღწია. 1983 წელს რეგიონის საგარეო ვალის მთლიანი სიდიდე მთელი რეგიონის მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 47 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ყოველწლიური საპროცენტო გადასახადები რეგიონის ყოველწლიური მთლიანი ექსპორტის ღირებულების მესამედს აჭარბებდა. ოთხმოციანი წლების დასაწყისში მთელს მსოფლიოში კომერ-

ციული ბანკების მიმართ არსებული საგარეო ვალების 60 პროცენტი ლათინურ ამერიკაზე მოდიოდა. პარადოქსულად, ეს განვითარებადი რეგიონი კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი გახდა და ვალების დასაფარად მისი უზარმაზარი ყოველწლიური გადასახადები შეერთებული შტატების მზარდი საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსებაში მონაწილეობდა.

ფინანსური დავალიანება შემოფოთების მიზეზია არაა (როგორც ბანკირები გვეუბნებიან), თუკი სახელმწიფო ვალის დასაფარად ყოველწლიურად საკმარის შემოსავალს გამოიმუშავებს. შესაბამისი ქვეყნების (და ბანკების) საუბედუროდ, სამოცდაათიანი წლების ბოლოს ომისშემდგომი ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდი დასასრულს მიუახლოვდა. შესაბამისმა გლობალურმა რეცესიამ ლათინური ამერიკის პროდუქციაზე მოთხოვნილება შეამცირა და ეს მაშინ, როდესაც, მზარდი საგარეო დავალიანების დასაფარად აუცილებელი უცხოური ვალუტის გამოსამუშავებლად, ექსპორტს მათთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. შედეგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად 1982 წელს დაიკლო ლათინური ამერიკის ქვეყნების ერთად აღებულმა ერთიანმა ეროვნულმა პროდუქტმა, რაც 1983 წელსაც განმეორდა.

მექსიკა ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების საუკეთესო მაგალითია, რომელთა ეკონომიკური განვითარების გაზვიადებული მისწრაფებები ოთხმოციანი წლების დასაწყისის ეკონომიკურმა კრიზისმა ჩაახშო. 1960-1972 წლებში მექსიკის ყოველწლიური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საშუალოდ 6.8 პროცენტს უტოლდებოდა. მექსიკას უკვე ლათინური ამერიკის ყველაზე განვითარებული ინდუსტრიალიზებული ეკონომიკა ჰქონდა, როდესაც სამოცდაათიანი წლების შუაში – როდესაც ნავთობის ფასები პიკს აღწევდა – აღმოჩენილმა ნავთობის ახალმა რეზერვებმა მისი შემოსავლები კიდევ უფრო გაზარდა. 1977-1979 წლებში მექსიკის ნავთობიდან მიღებული შემოსავლები ოთხჯერ გაიზარდა, ხოლო ნავთობის რეზერვების დადასტურებულმა მოცულობამ 1976 წელს 88 მილიარდი დოლარიდან 1979 წელს 898 მილიარდ დოლარს მიაღწია. უცებ გამდიდრების დამათრობელმა პერსპექტივამ მექსიკის მთავრობას სახელმწიფო ხარჯებით მასიური პროგრამების განხორციელებისკენ უბიძგა, რომელიც ნავთობის გაზრდილი ექსპორტითა და მომავალი ნავთობის შემოსავლების იმედით აღებული დიდი საგარეო ვალებით უნდა დაფინანსებულიყო. სამწუხაროდ, 1981 წელს მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის მოულოდნელმა სიუხვემ პროდუქტის ფასი დააგდო და, შესაბამისად, შემცირდა ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებიც, რომლითაც მექსიკის მთავრობას მზარდი საგარეო ვალები უნდა გაესტუმრებინა. 1982 წლის ზაფხულში ლათინური ამერიკის ყველაზე დიდ ნავთობექსპორტიორ და ყველაზე ინდუსტრიალიზებულ ქვეყანას უცხოური ვალუტა გამოეღია და იძულებული გახდა უცხოელი მევალეებისათვის ვალის გადახდა შეეჩერებინა. წლის ბოლოს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების უმრავ-

ლესობასაც დავალიანებები ჰქონდათ. წინდაუხედავმა ბანკირებმა, რომლებმაც თავიანთი ჭარბი ფონდები უცბად გაასესხეს ლათინური ამერიკის მთავრობებზე, ასევე უცბად ამოიღეს რეგიონიდან საკუთარი ფული, რითაც ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა.

ლათინურ ამერიკას თავისი საგარეო ვალების დაახლოებით 38 პროცენტი შეერთებული შტატების ბანკების ემართა. ამ ვითარებამ და იმან, რომ ფინანსურ ობლიგაციათა უმეტესი ნაწილი დოლარში იყო გამოხატული და არამდგრადი საპროცენტო განაკვეთებით იზრდებოდა, შეერთებული შტატებისგან ლათინური ამერიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოულოდნელად დაასრულა. აღმოჩნდა, რომ ლათინური ამერიკის ეკონომიკა დაუცველი იყო შეერთებული შტატების მთავრობისა და კერძო ინსტიტუტების სავალუტო და სავაჭრო პოლიტიკის მიმართ: ფედერალური რეზერვის მიერ საპროცენტო განაკვეთის სულ მცირედი გაზრდაც კი ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაზე დაუყოვნებელ და შორსმიმავალ შედეგებს იწვევდა. ასეთივე ეფექტი ჰქონდა ლათინურამერიკული ობლიგაციების მფლობელი ამერიკული ბანკების მყარ პოზიციას მოლაპარაკებებისას. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური მოგების შენარჩუნების მიზნით, შეერთებული შტატების მიერ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით, კერძოდ: 1976 წლის იანვარში ამოქმედდა პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის სქემა, რომელმაც ამერიკულ ბაზარზე ლათინური ამერიკის ქვეყნების შესვლა და ამერიკული დოლარის გამომუშავების შესაძლებლობა შეზღუდა, რაც ასე სჭირდებოდათ რეგიონის ქვეყნებს ვალების დასაბრუნებლად.

მცირე ცივი ომი კარიბის რეგიონში

სწორედ მაშინ, როდესაც ოთხმოციანი წლების დასაწყისის საკრედიტო კრიზისმა შეერთებული შტატებისგან ლათინური ამერიკის თანდათანობითი ემანსიპაცია შეაჩერა, გლობალური დეტანტის კრახმა და ცივი ომის დაპირისპირების გააქტიურებამ ვაშინგტონს ცენტრალური ამერიკის და კარიბის ზღვის რეგიონის საქმეებში კუბის/საბჭოთა კავშირის ჩარევის გამო მივიწყებული შიში ხელახლა გაუღვივა და, შესაბამისად, რეგიონში შეერთებული შტატების ინტერვენციის შესაძლებლობა გაზარდა. ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური მოვლენების შემდგომი განვითარების გამო, ვაშინგტონის შესფოთების პირველი ნიშნები კარტერის ადმინისტრაციის ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოიკვეთა. 1979 წლის განმავლობაში, კუბასთან უფრო და უფრო დაახლოებულ ნიკარაგუას სანდინისტების რეჟიმსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები თანდათან უარესდებოდა, კარიბის ზღვის კუნძულ გრენადას პროამერიკული მთავრობა კი რევოლუციურმა მოძრაობამ დაამ-

ხო, რომლის ლიდერი – მორის ბიშოპი – თავის აღფრთოვანებას ფიდელ კასტროთი და შეერთებული შტატების მიმართ სიძულვილს ღიად გამოხატავდა.

ამასობაში, ელ სალვადორის ახალი მთავრობის მხრიდან სოციალური რეფორმების გატარების სუსტი მცდელობები სამხედრო და მინათმფლობელი ოლიგარქიების დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მათ სწრაფად მოიპოვეს კონტროლი ხუნტაზე, რომელმაც 1979 წელს რომეროს დიქტატურა დაამხო. ერთ წელიწადში სალვადორის რამდენიმე პარტიზანული ორგანიზაცია გაერთიანდა და ერთიანი სამხედრო სარდლობა – ფარაბუნდო მარტის ეროვნული გათავისუფლების ფრონტი – და არასამხედრო მხარდამჭერთა ფართო კოალიცია – დემოკრატიულ-რევოლუციური ფრონტი – ჩამოაყალიბა. როდესაც 1980-1981 წლის ზამთარში ცნობილი გახდა, რომ ნიკარაგუელი სანდინისტები კუბისგან მიღებულ იარაღს ფარაბუნდო მარტის ეროვნული გათავისუფლების ფრონტს აწვდიდნენ, კარტერმა სან სალვადორის მთავრობისათვის სამხედრო დახმარება განაახლა, რომელიც მანამდე ადამიანის უფლებების დარღვევის გამო იყო შეჩერებული. თეთრი სახლის დატოვებამდე მან ნიკარაგუასათვის ყველანაირი ეკონომიკური დახმარების შეწყვეტის გეგმაც შეადგინა.

საპრეზიდენტო კამპანიის დროს რეიგანმა დაადანაშაულა კარტერი, რომ ადამიანის უფლებების საკითხით მისმა დაინტერესებამ, ერთი მხრივ, დააჩქარა რეგიონში ავტოკრატიული, მაგრამ შეერთებული შტატებისადმი მეგობრულად განწყობილი ისეთი რეჟიმების დამხობა, როგორც იყო სომოსას რეჟიმი ნიკარაგუაში და რომეროს რეჟიმი ელ სალვადორში და, მეორე მხრივ, აშშ-ისგან გააუცხოვა ანტიკომუნისტური სამხედრო რეჟიმები ბრაზილიასა და არგენტინაში. რეიგანი გაპრეზიდენტებისთანავე შეუდგა – როგორც ამას თავად აფასებდა – რეგიონში კუბისა და საბჭოთა გავლენის გაერცელების მოთოკვას. მან გააუქმა ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებისათვის სამხედრო დახმარებაზე დაწესებული შეზღუდვები, რომელთაც მისი წინამორბედი ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდა და მკაცრად დაგმო კუბის მიერ დიდი ოდენობის იარაღის სანდინისტებისათვის მიწოდება. 1981 წლის მარტში რეიგანმა ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს მანაგუას მთავრობის დესტაბილიზაციის კამპანიის ორგანიზებისა და დაფინანსების უფლებამოსილება მისცა, რომელიც დამხობილი დიქტატორის – სომოსას – მომხრეებისგან შემდგარ არაერთგვაროვან ჯგუფს და მეზობელ ჰონდურასსა თუ კოსტარიკაში და ნიკარაგუას მიყრუებულ რეგიონებში გახიზნულ მეთამბოხეებს უნდა განეხორციელებინათ. 1983 წლის გაზაფხულზე გამოაშკარავდა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა ნიკარაგუას პორტები დანაღმა და ნავთობის საცაო რამდენიმე სადგურზე დაბომბვითი რეიდები განახორციელა. კონგრესის მიერ სანდინისტების დამხობისათვის მებრძოლი „კონტრასისტვის“ ამერიკული სამხედრო დახმარების შეწყვეტის შემდეგ,



ორტეგა და კასტრო: სანდინისტების ლიდერი დანიელ ორტეგა (მარჯვნივ) ნიკარაგუას მმართველ ხუნტას ედგა სათავეში 1979 წელს ანასტასიო სომოსა დებეილის ხანგრძლივი დიქტატურის დამხობის შემდეგ, 1985 წელს კი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ფიდელ კასტროს (მარცხნივ) კუბისგან ძლიერი მხარდაჭერის მიღებამ, რეიგანის ადმინისტრაციას ორტეგას მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ანტისანდინისტი პარტიზანი მეთაურობების დაფინანსების, შეიარაღებისა და განჯერთნისაკენ უბიძგა. მას შემდეგ, რაც 1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მან შეერთებული შტატების ფავორიტთან ნააგო, ორტეგამ კიდევ ორჯერ, 1996 და 2001 წლებში, წარუმატებლად სცადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, ბოლოს კი, 2006 წელს, კვლავ დაიბრუნა პრეზიდენტის პოსტი.

რეიგანის ადმინისტრაციამ, კონგრესის გადაწყვეტილებისათვის გვერდის ასავლელად, კერძო კომპანიებისგან და უცხოური დონორებისგან ფონდების მოზიდვის მიზნით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიმართა. 1985 წელს შეერთებული შტატები, სანდინისტების რეჟიმზე ზენოლის მიზნით, ნიკარაგუას წინააღმდეგ სავაჭრო ემბარგოსა და საკრედიტო ბოიკოტს ახორციელებდა.

ოთხმოციან წლებში რეიგანის ადმინისტრაცია რამდენჯერმე დაიმუქრა, რომ განაახლებდა ცენტრალურ ამერიკაში ინტერვენციონისტულ სამხედრო პოლიტიკას, თუკი ნიკარაგუა, საბჭოთა კავშირისა თუ კუბის მხარდაჭერით, რეგიონის სტაბილურობას დაემუქრებოდა. კარიბის ზღვის კუნძულ გრენადაზე განვითარებულმა მოვლენებმა, რომელსაც 1979 წლიდან კასტროს თანამოაზრე მთავრობა მართავდა, ამგვარი პოლიტიკისათვის შესაბამისი საბაბი უზრუნველყო. მოსკოვის აქტიური ნაქეზებით, კუბელმა დიქტატორ-

მა გრენადის პრეზიდენტის მიერ სოლიდარობის გამოხატვას, თავდაცვითი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღისა და კუნძულზე თითქოსდა ტურისტების განვითარების ხელშესაწყობად, აეროპორტის მშენებლობისათვის პროფესიონალი მუშახელის მინოდებით უპასუხა. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთ ქმედებებს მძაფრი რეაქცია მოჰყვა ვაშინგტონიდან, რომელმაც გრენადას ეკონომიკური დახმარება შეუწყვიტა და მის მეზობელ კუნძულებზე გრენადის მთავრობისადმი ოპოზიციური განწყობის შექმნას შეეცადა. როდესაც ბიშოპმა ბოლოსდაბოლოს შეერთებულ შტატებთან შერიგების სურვილი გამოთქვა, 1983 წლის ოქტომბერში მისი ხელისუფლება მისივე მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ დაამხო და ბიშოპი სიცოცხლეს გამოასალმა.

რეიგანის ადმინისტრაციამ განვითარებულ მოვლენებს საპაერო, სახმელეთო და საზღვაო იერიშით უპასუხა – გრენადაზე მყოფი ამერიკელი სტუდენტების დასაცავად და მშენებარე აეროპორტის საბჭოთა თვითმფრინავების შესაძლო ბაზად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. გრენადის არმიასთან და კუბელი მშენებლების ჯგუფთან სამდღიანი ბრძოლის შემდეგ, 1900-კაციანმა ამერიკულმა სამხედრო ძალებმა ამ პატარა კუნძულის რადიკალურად განწყობილი მთავრობა დაამხეს. ამის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა დამაჯერებლად პროამერიკული რეჟიმი, რომელმაც, ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის ხელშესაწყობად, კუბელი მშენებლების გარეშე განაგრძო აეროპორტის მშენებლობა.

გრენადაში ინტერვენციის ერთ-ერთი აშკარა მიზანი ნიკარაგუს პრეზიდენტ დანიელ ორტეგას გაფრთხილებაც იყო, რომ ელ სალვადორის ამბოხებულებისათვის სანდინისტების მიერ იარაღის მინოდებას შეიძლებოდა, ვაშინგტონის მსგავსი რეაქცია მოჰყოლოდა. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები კარიბის ზღვის რეგიონის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკაში უნილატერალისტური სულისკვეთების განახლებაზე მიუთითებდა. ამ რეგიონს, რომელზეც შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ორი მესამედი გადიოდა, ვაშინგტონისათვის სტრატეგიულად სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. რონალდ რეიგანმა კვლავ მოიმარჯვა ტედი რუზველტის „დიდი ხელკეტი“, რომლითაც მისი რამდენიმე წინამორბედი დროებით აღარ სარგებლობდა. ამ ხელკეტის ხმარებას ნამდვილი თუ წარმოსახვითი მონინალმდეგეების წინააღმდეგ რეიგანი არასოდეს ერიდებოდა. ოთხმოციანი წლების შუაში, კარიბის ზღვის რეგიონსა და ცენტრალურ ამერიკაში ცივი ომის დაპირისპირებების გამწვავებასთან ერთად, შეერთებული შტატებისგან ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობის პერსპექტივაც კვლავ ისევე გაქრა, როგორც ეკონომიკური განვითარების იმედი მიეცა დავიწყებას საგარეო დავალიანებისა და სამრეწველო სტაგნაციის პირობებში.



აფრიკა: დამოუკიდებლობიდან დაქვემდებარებამდე



განას პრეზიდენტი კვამე ნკრუმა (1909-1972) ნიუ იორკელი ჟურნალისტების წინაშე, 1960 წელი: ბრიტანული „ოქროს სანაპიროს“ კოლონიამ, მისი ლიდერობის ქვეშ, 1957 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა. როგორც განას პრეზიდენტი, ნკრუმა დაულაღავედ იღვწოდა პანაფრიკული იდეის განხორციელებისათვის და მანვე გადამწყვეტი როლი შეასრულა 1963 წელს აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. მისი „აფრიკის შეერთებული შტატების“ შექმნის იდეა არარეალისტური აღმოჩნდა, ხოლო, მმართველობის ავტოკრატიული ხასიათის გამო, მისი ხელისუფლება 1966 წელს სამხედრო გადატრიალებით დაამხეს.

 თაჲის შინაარსი

დეკოლონიზაცია და ოცნება ერთიანობასა და განვითარებაზე

„ნაოიგაპარიალიზმის“ გამკლეობა

ეკონომიკური სტაბილიტატის ანათება

ცივი ომი აფრიკის კონტინენტს აღწევს

თეთრკანიანთა რეჟიმების ზოლო საყრდენი

დეკოლონიზაცია და ოცნება ერთიანობასა და განვითარებაზე

აფრიკის კონტინენტი ბოლო რეგიონი იყო, რომელიც მეოცე საუკუნეში ევროპული კოლონიალიზმისგან გათავისუფლდა. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს და სამოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ევროპულ სახელმწიფოებს აზიასა და ახლო აღმოსავლეთში იმპერიული ტერიტორიები რამდენიმე წლის დატოვებული ჰქონდათ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და ბელგიამ აფრიკულ სამფლობელოებზეც უარი თქვეს. ევროპული კოლონიალიზმის დასასრულს შედეგად მოჰყვა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა რეგიონში, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდელი იმპერიული ექსპანსიის შემდეგ ლონდონიდან, პარიზიდან და ბრიუსელიდან იმართებოდა. 1945 წელს აფრიკის მხოლოდ ოთხი სახელმწიფო – გვინეა, სამხრეთ აფრიკა, ლიბერია და ეთიოპია – იყო ახლადშექმნილი გაეროს წევრი. სამოციანი წლების დასასრულისთვის კი ამ მსოფლიო ორგანიზაციას აფრიკის კონტინენტის ოცდახუთი ახალი სახელმწიფო შეუერთდა, რაც გაეროს წევრთა მეოთხედს შეადგენდა.


ალჟირისა და ბელგიური კონგოს (შემდგომ ზაირის) გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, აფრიკის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება დეკოლონიზაციის პირველ ეტაპზე შედარებით უმტიკვენულოდ და მშვიდობიანად წარიმართა. ბრიტანელებმა და ფრანგებმა გააცნობიერეს, რომ აფრიკაში კოლონიური ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელი გამხდარიყო, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც ორივე ზესახელმწიფო – რომ არაფერი ვთქვათ მესამე მსოფლიოს სხვა, ახლადგათავისუფლებულ ქვეყნებზე – თავად ეწინააღმდეგებოდა კოლონიალიზმს, როგორც ანაქრონიზმს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოსათვის. მეორე მხრივ, პორტუგალიაში სალაზარისა და ესპანეთში ფრანკოს რეტროგრადულ რეჟიმებს არ სურდათ კოლონიალურ დიდებაზე უარის თქმა და აფრიკის კოლონიურ ტერიტორიებს ხელს არ უშვებდნენ. თუმცა, სამოცდაათიანი წლების შუაში ამ იბერიული დიქტატურების დამხობას, აფრიკის კონტინენტზე ევროპის იმპერიული ხელისუფლების ორი ბოლო გადმონაშთის დაგვიანებული დასასრულიც მო-

ჰყვა. 1984 წელს – ბერლინის იმ კონფერენციის ასი წლისთავეზე, რომელმაც აფრიკის კონტინენტი ევროპული გავლენის სფეროებად დაანაწილა – პოსტ-კოლონიურ მსოფლიოში ორმოცდახუთი აფრიკული სახელმწიფო სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულებად არსებობდა.


ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარსა და სამოციანი წლების დასაწყისში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ბელგიის აფრიკული კოლონიების მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამ საყოველთაო ეიფორია გამოიწვია. 1963 წლის მაისში ახალი აფრიკული სახელმწიფოების წარმომადგენლები ეთიოპიის დედაქალაქ ადის აბებაში შეიკრიბნენ და აფრიკული ერთობის ორგანიზაცია დააარსეს. აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ქარტიის შთაგონების წყარო პანაფრიკული იდეოლოგია იყო, რომელსაც საფუძველი განას დაუმორჩილებელმა და ქარიზმატულმა ლიდერმა კვამე ნკრუმამ ჩაუყარა. ორგანიზაციის ქარტია განსაზღვრავდა მიზნებს, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტი ნევრი სახელმწიფოების დაცვის და მათი საერთაშორისო პოზიციის გამყარებისაკენ იყო მიმართული, რათა ამ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებს, თავისუფლებასთან ერთად, განვითარებისა და წარმატებისათვისაც მიეღწიათ.

აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ქარტიით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს დაპირისპირებულ აფრიკულ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული კონფლიქტებისა და, ასევე, სახელმწიფოების შიგნით ანტაგონისტურ დაჯგუფებებს შორის სამოქალაქო დაპირისპირებათა თავიდან აცილება წარმოადგენდა. ამ პერიოდში სასაზღვრო კონფლიქტი მიმდინარეობდა ალჟირსა და მაროკოს შორის, ბელგიურ კონგოს სამოქალაქო ომში კი ერთმანეთს ცენტრალური მთავრობა და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი კატანგას (შემდგომ შაბად წოდებული) რეგიონის სეპარატისტული მთავრობა უპირისპირდებოდა ერთმანეთს. აუცილებელი იყო ამ ძალადობისათვის ხელის შეშლა, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, აფრიკული ქვეყნების ჯერ კიდევ მყიფე და სუსტ დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. კონტინენტის გარე ძალებს, შესაძლოა, კონტინენტზე შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური ქაოსი საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. შესაბამისად, ახალი ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა საზეიმოდ დაადასტურეს კოლონიური პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული პოლიტიკური საზღვრების აბსოლუტური ხელშეუხებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საზღვრები თავის დროზე კოლონიზატორების მიერ ადმინისტრაციული მართვის გამარტივების მიზნით გაივლო და არა ამ კოლონიების ეკონომიკური, სტრატეგიული თუ ეთნოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით.

აფრიკული ერთობის ორგანიზაციის მეორე მიზანი – როგორც ამას თავად ორგანიზაციის სახელწოდებაც მიუთითებდა – ერთიანი სუვერენული



კოლონიალიზმი აფრიკაში, 1945



აფრიკა დამოუკიდებლობის შემდეგ

ცენტრის ეგიდით მთელი კონტინენტის გაერთიანება იყო. ქარტია, არსებული ენობრივი, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების პირობებში, ამ ამბიციური მიზნის მიღწევის გზებს არ აკონკრეტებდა. აფრიკელი ლიდერები სამხედრო თანამშრომლობას პოლიტიკური ინტეგრაციის საბოლოო მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევდნენ. სამოციანი წლების დასაწყისში ნკრუმამ, კონგოში მიმდინარე კრიზისისას წესრიგის დამყარების

მიზნით, თავად წამოაყენა მულტინაციონალური აფრიკული არმიის დაარსების წინადადება. მოგვიანებით გახშირებული არეულობების შედეგად, მსგავსი ინიციატივებით აფრიკის სახელმწიფოთა სხვა მეთაურებიც გამოდიოდნენ. ტერიტორიული სტატუსკვოს ხელშეუხებლობის პრინციპის მსგავსად, მულტინაციონალური აფრიკული სამხედრო ძალის შექმნის ერთუზიაზში, უპირველეს ყოვლისა, აფრიკის შიდასაქმეებში საგარეო ინტერვენციების აღკვეთასთან იყო დაკავშირებული.

იგივე მოტივაცია იდგა აფრიკული ერთობის ორგანიზაციის პანაფრიკული იდეოლოგიის მესამე მიზნის უკანაც: ნეიტრალიტეტი ცივ ომში. ორგანიზაციის დამფუძნებლებს გადანყვეტილი ჰქონდათ, არ გაეზიარებინათ მესამე მსოფლიოს იმ ქვეყნების ბედი, რომელთა დამოუკიდებლობა, ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირების მათ რეგიონზე გავრცელების გამო, საფრთხის ქვეშ დამდგარიყო. ახალი აფრიკული სახელმწიფოების დელეგატები აქტიურად მონაწილეობდნენ 1961 წელს ბელგრადში გამართულ მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის პირველ საერთაშორისო კონფერენციაში, ხოლო, ორი წლის შემდეგ, მიუმხრობლობის პრინციპი აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ქარტიაშიც აისახა. აფრიკის ქვეყნების დამოუკიდებლობის პირველ წლებში, აფრიკის მიმართ ამერიკისა და საბჭოთა ინტერესების სიმცირის შედეგად, ეს კონტინენტი დაცული აღმოჩნდა ტრავმებისაგან, რომელიც იმავე პერიოდში აზიურმა სახელმწიფოებმა გადაიტანეს.

პოლიტიკური დამოუკიდებლობა ევროპისგან და საბჭოთა-ამერიკული კონფრონტაციისგან თავის შორს დაჭერა საკმარისი არ იყო პოსტკოლონიური აფრიკის ნათელი მომავლის უზრუნველყოფისათვის. აფრიკას, უპირველეს ყოვლისა, მთელი კონტინენტის ეკონომიკური განვითარებისათვის, დიდი მასშტაბის პროგრამა ესაჭიროებოდა. არადასავლური სამყაროს ღატაკ რეგიონებს შორის აფრიკა უდავოდ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა: მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის მიუხედავად, კონტინენტი მწვავედ განიცდიდა კაპიტალის, ტექნოლოგიების, ბიზნესწარმოების ცოდნის, მენეჯერული გამოცდილებისა და იმ პროდუქციისათვის (ძირითადად, სურსათისა და ბუნებრივი მინერალების) ადეკვატური ბაზრების ნაკლებობას, რომელიც აფრიკის ექსპორტის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. ამ კონტინენტზევე მდებარეობდა დაბალშემოსავლიანი, რესურსებით ღარიბი და ხმელეთით შემოსაზღვრულ ქვეყანათა მსოფლიოში ყველაზე დიდი რიცხვი. მარტივი სტატისტიკაც ამ სამუხარო სურათს ასახავდა: ოთხმოციანი წლების შუაში ორმოცდახუთი აფრიკული სახელმწიფოდან მხოლოდ შვიდს ჰქონდა ერთ სულ მოსახლეზე 1000 დოლარის ან მეტი შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკაში მსოფლიო მოსახლეობის 10 პროცენტი ცხოვრობდა, მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის წილი აფრიკის კონტინენტზე ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა. ამ უკიდურესი ეკონომიკური ჩამორჩენილობიდან გა-

მოსავლის მონახვის გარეშე, დამოუკიდებლობისა და მიუმხრობლობის ოპტიმისტურ პერიოდში წარმოშობილ აფრიკული პოსტ-კოლონიური მომავლის კეთილშობილურ სურვილებს ასრულება არ ეწერა.

აფრიკის ახალი სახელმწიფოები, რომლებმაც სამოციან წლებში ეკონომიკური განვითარების ამბიციური კამპანია წამოიწყეს, ორი ალტერნატიული გზის წინაშე აღმოჩნდნენ: მათ შეეძლოთ ან ინტეგრირებულიყვნენ შეერთებული შტატების, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის დომინირების ქვეშ მოქმედ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, ან სრულიად ჩამოეშორებინათ აფრიკა საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგისგან და ეკონომიკური განვითარება თვითკმარობასა და ავტარკიაზე დაეფუძნებინათ. უცხოურ ინვესტიციებზე, სესხებზე, ეკონომიკურ დახმარებაზე, ვაჭრობაზე, ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ გამოცდილებაზე აფრიკის დიდი მოთხოვნის გათვალისწინებით, გასაკვირი არ იყო, რომ აფრიკის ახლადდამოუკიდებელი ქვეყნების მმართველმა ელიტებმა არჩევანი საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგში ინტეგრირებასა და არა მისგან გამიჯნვაზე გააკეთეს, რადგან სწორედ ამ გზით შეიძლებოდა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

შედეგად, პოსტკოლონიურმა აფრიკამ დაუყოვნებლივ დაამყარა ძლიერი კავშირი საერთაშორისო სავალუტო და სავაჭრო სისტემასთან, რომელსაც „ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმება“, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი წარმოადგენდნენ. დასავლეთის კაპიტალისტურ ეკონომიკურ წესრიგში მონაწილეობამ კონტინენტს დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში მნიშვნელოვანი სარგებელიც მოუტანა. ინდუსტრიულ სამყაროში სამოციანი წლების ეკონომიკურმა ბუმმა და საერთაშორისო ვაჭრობის შთამბეჭდავმა ზრდამ ინვესტიციებისათვის, სესხებისა და ეკონომიკური დახმარებისათვის უხვი კაპიტალი გააჩინა, მეორე მხრივ კი, ინდუსტრიალიზებულ სამყაროში აფრიკული ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისადმი მოთხოვნა გაზარდა. ამერიკული მშვიდობის კორპუსის მოხალისეები მეტად საჭირო ტექნიკური და სამენეჯერო გამოცდილების გასაზიარებლად აფრიკისაკენ დაიძრნენ. აფრიკის ქვეყნები მცირეპროცენტისანი სესხებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხშირი კლიენტები გახდნენ. ისინი ინდუსტრიალიზებულ სამყაროს ნედლეულით ამარაგებდნენ და, სანაცვლოდ, მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას იღებდნენ.

„ნეოიმაპერიალიზმის“ გამკლავება

სამოციანი წლების შედარებითი ეკონომიკური წარმატების პერიოდშიც კი, ზოგიერთი არასასურველი ტენდენცია უკვე იძლეოდა პესიმიზმის საფუძველს აფრიკის დამოუკიდებლობასა და ეკონომიკურ განვითარებასთან და-

კავშირებით. ამ ტენდენციის პირველი ნიშანი იყო ე.წ. „ნეოიმპერიალიზმის“ გამძლე ხასიათი – ანუ ყოფილი იმპერიული ძალების მიერ ყოფილ კოლონიებზე კონტროლის შენარჩუნება ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო გავლენის გზით.

აფრიკაში ბრიტანული ნეოიმპერიალიზმის ფენომენს უფრო დახვენილი და შეუმჩნეველი ხასიათი ჰქონდა. თავდაპირველად, ბრიტანეთი თავისი აფრიკული იმპერიის მეშვეობით სახელმწიფოებში სხვადასხვა სამხედრო პრივილეგიის შენარჩუნებას ცდილობდა. მაგალითად, 1960 წლის ინგლისურ-ნიგერიული პაქტი ნიგერიაში ყოფილი იმპერიული ხელისუფლების სამხედრო ინტერვენციის, მის ტერიტორიაზე ბრიტანული სამხედრო ძალების შენარჩუნებისა და საგანგებო ვითარებებში ნიგერიის საჰაერო სივრცით სარგებლობის პრეროგატივებს ითვალისწინებდა. პოსტკოლონიური უსაფრთხოებისადმი ეს ხისტი მიდგომა ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა და ნიგერიის მთავრობაც ერთი წლის განმავლობაში უარს ამბობდა აღნიშნული პრივილეგიების მინიჭებაზე. ბრიტანელებმა გააცნობიერეს შექმნილი ვითარება და მნიშვნელოვანწილად შეზღუდეს აფრიკის უსაფრთხოების საკითხებში ღიად ჩარევა (თუმცა სამოციან წლებში ლონდონმა ხანგრძლივი ფიქრის გარეშე გაგზავნა ჯარები უგანდის, კენიისა და ტანზანიის მეგობრული რეჟიმების გასაძლიერებლად). სანაცვლოდ, ბრიტანეთმა ძალისხმევა რეგიონში ეკონომიკური გავლენის შენარჩუნებისაკენ მიმართა, რასაც ის ბრიტანეთში მოქმედი მულტინაციონალური კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით ახორციელებდა, რომელთაც აფრიკაში კვლავ მნიშვნელოვანი ინტერესები ჰქონდათ. ჯონ ბულს კვლავ შეეძლო კულტურული გავლენის განხორციელება „თანამეგობრობის“ პოლიტიკური ინსტრუმენტის საშუალებით, რომელიც ყოფილი ბრიტანული კოლონიების სუსტ ასოციაციას წარმოადგენდა და რომელშიც ნამყვანი ადგილი ინგლისურენოვან აფრიკულ სახელმწიფოებს ეკავათ.

საფრანგეთის ნეოიმპერიულმა ძალაუფლებამ აფრიკაში გაცილებით უფრო ღია და შეუფარავი ხასიათი მას შემდეგ მიიღო, რაც სამოციან წლებში ამ ქვეყანამ ფრანგული დასავლეთ აფრიკისა და ფრანგული ეკვატორიული აფრიკის ტერიტორიები დატოვა. ტროპიკულ აფრიკაში საფრანგეთის უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველყოფა ორმხრივი თავდაცვითი შეთანხმებების საშუალებით ხორციელდებოდა, რომლებიც ყოფილ კოლონიურ ხელისუფლებას სამხედრო ინტერვენციის უფლებას ანიჭებდა. რეგიონში ევროპის „ჟანდარმის“ პოზიციის გამყარების მიზნით, პარიზმა დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის ექვს სახელმწიფოში სამხედრო გარნიზონების შენარჩუნების უფლება მიიღო. სამოციანი წლების შუამდე, აფრიკასა

* სიტყვა „ბრიტანული“ „ბრიტანულ თანამეგობრობას“, ორგანიზაციის მულტილატერალური ხასიათის ხაზგასასმელად, პოსტკოლონიურ პერიოდში ჩამოშორდა.

და მის მიმდებარე კუნძულებზე 10 000 ფრანგი სამხედრო იყო განლაგებული, ხოლო მეტროპოლიაში კონტინენტზე გადასხმისათვის მუდმივ მზადყოფნაში ქვეით პარაშუტისტთა ექვსი პოლკი და არტილერიისტ პარაშუტისტთა ერთი პოლკი იმყოფებოდა. ინდოეთის ოკეანის დასავლეთ სანაპიროებზე რეგულარულად პატრულირებდა საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალები. სენეგალისა და გაბონის ტერიტორიებს კი პარიზი აფრიკაში ფარული სადაზვერვო ოპერაციების ბაზად იყენებდა, ხოლო ფრანგული სპეციალური სამსახურები რეგიონში საფრანგეთის არაერთი კლიენტი სახელმწიფოს უსაფრთხოების ძალებს წვრთნიდნენ.

უსაფრთხოების სფეროში მიღწეული შეთანხმებების, საბრძოლო შენაერთებისა და სამხედრო დანადგარების ფართო ქსელმა აფრიკაში საფრანგეთს საკუთარი ან, მისივე პროტექციის ინტერესების დასაცავად, არაერთი სამხედრო ინტერვენციის საშუალება მისცა. სამოციან წლებში, საფრანგეთის მორჩილი რეჟიმების დისიდენტური ელემენტებისაგან დასაცავად, საფრანგეთის სამხედროებმა ერაერთხელ დატოვეს ყაზარმები კამერუნში, გაბონში, ნიგერსა და ჩადში და აქტიურ ქმედებებზე გადავიდნენ. სხვა შემთხვევებში ფრანგები კულუარულად იყენებდნენ საკუთარ გავლენას, რათა ხელისუფლებიდან ან ძველი მეტოქეები გაეძევინათ, – როგორც იყო მალის პრეზიდენტი მოდიბო კეიტა (1968), ან ყოფილი პროტექციები, – როგორებიც იყვნენ ჩადის პრეზიდენტი ნგარტა ტომბალბაიე (1975), მავრიტანიის პრეზიდენტი მოკტარ ოულდ დაბა (1978) და ცენტრალური აფრიკის პრეზიდენტი ჟან დებე ბოკასა (1979). საფრანგეთის სამხედრო ინტერვენცია 1977 წლის მარტში და, შემდეგ, 1978 წლის მაის-ივნისში ზაირის შაბას (ყოფილი კატანგას) პროვინციაში ევროპელი მოსახლეების დაცვის საბაბით განხორციელდა. თუმცა, ინტერვენციის მიზანი ასევე იყო ზაირელი ავტოკრატ მობუტუ სესე სეკოს – აფრიკაში დასავლეთის სახელმწიფოთა ყველაზე სანდო კლიენტის – დაცვა ქვეყნიდან განდევნილი ძალებისაგან, რომლებიც ანგოლაში მიღებული თავშესაფრიდან მობუტუს ხელისუფლების დასამხობად ბრუნდებოდნენ. ზაირში ფრანგული სამხედრო კონტინგენტი ბოლოს სრულიად აფრიკის სამშვიდობო ძალებმა ჩაანაცვლეს, თუმცა, ეს ოპერაცია ძალიან შორს იყო სამოციანი წლების დასაწყისში ნკრუმას გაბედული ინიციატივებისგან აფრიკაში საგარეო ინტერვენციების აღკვეთის შესახებ. აფრიკული მულტინაციონალური სამხედრო ძალა, რომლის იდეა სენეგალის ფრანკოფილ პრეზიდენტ ლეოპოლდ სენგორს ეკუთვნოდა, ძირითადად პროფრანგული სახელმწიფოების – მაროკოს, გაბონისა და სენეგალის – კონტინგენტებისაგან შედგებოდა და, ტექნიკური და ლოგისტიკური დახმარების თვალსაზრისით, მთლიანად საფრანგეთზე იყო დამოკიდებული.

ყოფილ კოლონიებთან საფრანგეთის პრივილეგირებულ ურთიერთობებს უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური სფეროს შეთანხმებებიც ემატებოდა. 1957 წელს, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაარსებისას, საფრან-

გეთმა დაჟინებით მოითხოვა რომის ხელშეკრულებაში ისეთი დებულებების შეტანა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა გაერთიანების წევრ სახელმწიფოთა ყოფილ კოლონიებთან პრეფერენციული სავაჭრო პირობებისა და განსაკუთრებული ფინანსური ურთიერთობების შენარჩუნებას. დიდი ბრიტანეთი ამ დროს გაერთიანების წევრი სახელმწიფო არ იყო, რაც სამოციანი წლების დეკოლონიზაციის შემდეგ იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული დებულებით გათვალისწინებულ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობას ფრანგული დასავლეთ აფრიკისა და ფრანგული ეკვატორიული აფრიკის მემკვიდრე სახელმწიფოები წარმოადგენდნენ. 1963 წლის იაუნდეს პირველი კონვენციით (რომელიც 1964-1969 წლებში იყო ძალაში) ევროპის განვითარების ფონდი შეიქმნა, რომლის საწყისი კაპიტალი 800 მილიონ დოლარს შეადგენდა, რაც, მოგვიანებით, 1969 წლის იაუნდეს მეორე შეთანხმებით (1970-1975 წლები), ერთ მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ევროპის განვითარების ფონდი საგარეო დახმარების პროგრამა იყო (რომლის ხარჯების დაახლოებით მესამედს საფრანგეთი და დასავლეთ გერმანია იხდიდა), რომელიც ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის პროექტებს აფინანსებდა და რომლის თანხები ძირითადად სუბსაჰარული აფრიკის საფრანგეთთან დაახლოებულ სახელმწიფოებს – კოტ დ'ივუარს (სპილოს ძელის სანაპიროს), სენეგალსა და კამერუნს – ხმარდებოდა. ენობრივი სიახლოვე ფონდით დაფინანსებულ პროექტებში ფრანგი ტექნიკოსებისა და მრჩეველების განსაკუთრებით დიდ როლს უზრუნველყოფდა, ხოლო ფრანგული სამშენებლო კომპანიები ევროპის განვითარების ფონდის კონტრაქტების არაპროპორციულად დიდ ნაწილს იღებდნენ.

იაუნდეს რეჟიმით გათვალისწინებული პრეფერენციული ვაჭრობის დებულებები ზედმეტად მომგებიანი აღმოჩნდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისათვის და, განსაკუთრებით, საფრანგეთისთვის. ევროპის განვითარების ფონდის უზარმაზარი ნაწილი ევროპაში ნაწარმოები პროდუქციის შექენისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო აფრიკის სახელმწიფოებს ევროპიდან ხორბლის იმპორტი მსოფლიოს ფასებზე გაცილებით მაღალ ფასად უწევდათ. იაუნდეს ორ კონვენციაში ასახული პრეფერენციული სავაჭრო კავშირები უზრუნველყოფდა, რომ საფრანგეთის წევრობა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში მას აფრიკის ბაზრებსა და ტრადიციულ სტრატეგიულ ნედლეულ რესურსებზე (განსაკუთრებით, კობალტზე, ურანზე, ფოსფატსა და ალუმინის მადანზე) და ტროპიკულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ძირითადად, ყავასა და კაკაოზე) უარის თქმას არ აიძულებდა.

ამ ახლო სავაჭრო ურთიერთობებზე დამატებით, საფრანგეთსა და მის ყოფილ აფრიკულ კოლონიებს შორის ჩამოყალიბდა ძლიერი საფინანსო კავშირი „ფრანკის ზონის“ – სავალუტო ასოციაციის – სახით, რომელიც სუბსაჰარული აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნების („აფრიკის საფინანსო

გაერთიანების“) ვალუტებს ფრანგულ ფრანკთან აკავშირებდა. ფრანკის ზონაში მართლაც ჩამოყალიბდა ერთიანი სავალუტო სისტემა აფრიკის საფინანსო გაერთიანების ვალუტებსა და ფრანგულ ფრანკს შორის ფიქსირებული პარიტეტით თავისუფალი კონვერტაციის მექანიზმის საშუალებით. ამ მექანიზმით გაიჭრა პირდაპირი არხი, რომლის საშუალებით ფრანგული კაპიტალი თავისუფლად მიედინებოდა ფრანკის ზონის აფრიკულ ქვეყნებში გაცვლითი კურსის არასტაბილურობისა და ფონდების რეპატრიაციის აკრძალვის საფრთხეების გარეშე. ფრანგი ინვესტორებისაკენ მიმართულმა ამ ინიციატივამ (უცხოური ინვესტორების ხარჯზე) შთამბეჭდავი შედეგები მოუტანა სენეგალსა და კოტ დ'ივუარს, რომლებიც (ძირითადად, ფრანგული) მულტინაციონალური კორპორაციების ფილიალების უსაფრთხო თავშესაფრად იქცნენ.

სწორედ ისე, როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების დადებისას, საფრანგეთმა, იაუნდეს შეთანხმებების საშუალებით, ფრანგულენოვან აფრიკასთან პრეფერენციული სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნებას მიაღწია. 1972 წელს დაგვიანებული განვერიანების შემდეგ, ბრიტანეთმაც მოითხოვა მსგავსი შეღავათები. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და აფრიკული ერთობის ორგანიზაციის შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებები 1975 წელს ლომეს კონვენციის (ლომე I) ხელმოწერით დასრულდა. კონვენცია ითვალისწინებდა პრეფერენციულ ვაჭრობას ევროპის გაერთიანებასა და ევროპის ყოფილი კოლონიების ახლადდაარსებულ ბლოკს – აფრიკის, კარიბის რეგიონისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ასოციაციას – შორის.

იაუნდეს შეთანხმებების აშკარა უთანაბრობა, რომელიც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებს (კერძოდ, საფრანგეთს) აფრიკის ბაზრებზე პრივილეგირებულ უფლებებს აძლევდა, მაგრამ ევროპის ბაზარზე შესვლას უკრძალავდა არაერთ პროდუქტს აფრიკის ქვეყნიბიდან, ლომეს კონვენციამ აფრიკის ქვეყნებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობებით შეცვალა. ახალი ხელშეკრულების შესაბამისად, აფრიკის, კარიბის რეგიონისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში წარმოებული ყველა პროდუქტი და ამ ქვეყნების სასაქონლო ექსპორტის 96 პროცენტი უკვე გადასახადის გარეშე შედიოდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბაზარზე, ხოლო აფრიკის, კარიბის რეგიონისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან იმპორტზე პროტექციონისტული შეზღუდვების შენარჩუნების უფლება მიეცათ. შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა ეკონომიკური დახმარების პროგრამას ყველაზე ღარიბი აფრიკული ქვეყნებისათვის. აფრიკული პერსპექტივიდან ლომე I-ის ყველაზე ხელსაყრელ პირობას პროდუქციის სტაბილიზაციის ფონდის (Commodity Stabilization Fund – STABEX) შექმნა წარმოადგენდა. ფონდი კომპენსაციებს უზღიდა აფრიკის იმ ქვეყნებს, რომელთა საექსპორტო საქონელზე ფასები გათვალისწინებულზე დაბლა ეცემოდა. ამ ინოვაციას ყველა

მიესაღმა, როგორც საქონლის არასტაბილური ფასების პრობლების დიდი ხნით დაგვიანებულ გადაწყვეტას. ეს პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში ანადგურებდა იმ აფრიკული ქვეყნების ეკონომიკას, რომელთა საექსპორტო შემოსავლები მეტწილად ერთი საექსპორტო საქონლის მსოფლიო ფასზე იყო დამოკიდებული.

იმის მიუხედავად, რომ ლომეს კონვენციით გათვალისწინებული სავაჭრო რეჟიმი აფრიკის ქვეყნებს მნიშვნელოვან ცალმხრივ უპირატესობებს ანიჭებდა, სამოცდაათიანი წლების ბოლოს გამართული ხელახალი მოლაპარაკებების დროს ამ ქვეყნების წარმომადგენლები დიდ ძალისხმევას ახმარდნენ შეთანხმების დარჩენილი ნაკლოვანებების გამოსწორებას. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ეკონომიკური დახმარების პროგრამების არაადეკვატურობის გამო, პროგრამით გათვალისწინებული მკაცრი წინაპირობებისა და იმის გამო, რომ ფონდების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აფრიკული ქვეყნები არ მონაწილეობდნენ. ეკონომიკური განვითარებისათვის განეული დახმარების ზრდის მიუხედავად (რომლის მასშტაბს მაინც აბათილებდა ინფლაცია და მოსახლეობის ზრდა), ლომე II შეთანხმებას აფრიკის ქვეყნებში ფართო წინააღმდეგობა მოჰყვა. რადიკალურად განწყობილი კრიტიკოსები გმობდნენ ლომეს შეთანხმებებით შექმნილ სისტემას, როგორც ნეოიმპერიალისტურ იარაღს, რომელიც „ევრაფრიკული“ ეკონომიკური თანამშრომლობის საფარველქვეშ კიდევ უფრო ახანგრძლივებდა აფრიკის დამოკიდებულებას კოლონიურ ხელისუფლებებზე და ამყარებდა კონტინენტის ჩამორჩენილ ადგილს შრომის საერთაშორისო განაწილებაში, სადაც წამყვანი როლი მაღალ ტექნოლოგიას და ავტომატურ წარმოებას ჰქონდა. ევროპაში წარმოებული საქონლის სანაცვლოდ აფრიკის ნედლეულის ექსპორტის ხელშეწყობით, რაც აფრიკის საგარეო ვაჭრობის საფუძვლად გადაქცეულიყო, „ევრაფრიკული კავშირი“ ხელს უშლიდა აფრიკის ქვეყნების პროდუქციისა და შესაბამისი ბაზრების დივერსიფიკაციას, რამაც თავის დროზე გზა გაუხსნა აღმოსავლეთ აზიის ახლადინდუსტრიალიზებული ქვეყნების ეკონომიკურ წარმატებას. საკუთარი შედარებითი უპირატესობის გამოყენებისა და ჭარბი, იაფი მუშახელის საშუალებით დაბალხარისხიანი და იაფფასიანი პროდუქციის წარმოებისა და საზღვარგარეთ ბაზრების აგრესიული ძიების (ტაივანისა და სამხრეთ კორეის მსგავსად) სანაცვლოდ, აფრიკა დასავლეთ ევროპის პოსტკოლონიურ კლანჭებში რჩებოდა. ლომეს კონვენციის მესამე, ხელახალმა მოლაპარაკებებმა 1985 წელს აფრიკის ქვეყნების ევროპაზე დაქვემდებარებისა და დაუცველობის ეს მდგომარეობა ვერ შეცვალა.

თუკი აფრიკის ქვეყნებმა, სამოციანი წლების საყოველთაო ეკონომიკური აყვავებისას, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მონაწილეობით რაღაც სარგებელი მაინც ნახეს, სამოცდაათიანი წლების ეკონომიკურმა რე-


ცესიამ ამ სარგებელსაც მოულო ბოლო. სამოცდაათიანი წლების ნავთობის ორმა კრიზისმა დამანგრეველი დარტყმა მიაყენა აფრიკის თითქმის ყველა სახელმწიფოს, გარდა მნიშვნელოვანი ნავთობრეზერვების მქონე რამდენიმე ქვეყნისა (ალჟირი, ნიგერია, ლიბია, გაბონი, კონგო და კამერუნი), რომელთაც კვლავ შეეძლოთ საქონლის ექსპორტი და ინვესტიციების მოზიდვა. ეკონომიკური განვითარების სასწორის მეორე მხარეს იდგნენ ხმელეთით შემოსაზღვრული, რესურსებით ღარიბი და გვალვებით მდიდარი ქვეყნები: ჩადი, ნიგერი, ეთიოპია, უგანდა და სუდანი, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ ქაოსში ჩაეფლნენ. სამოცდაათიანი წლებისა და ოთხმოციანი წლების დასაწყისის ხანგრძლივი რეცესიისას, აფრიკის რამდენიმე ილბლიან სახელმწიფოსა და კონტინენტის ლატაკ რეგიონებს შორის არსებულმა განსაცვიფრებელმა ეკონომიკურმა კონტრასტმა აშკარა გახადა არათანაბარი განვითარების ტენდენცია, რომელიც აფრიკის კონტინენტს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახასიათებდა და აფრიკულ ერთობას უდიდეს ბარიერს უქმნიდა.

ეკონომიკური სტაგნაციის ანათემა

აფრიკის ზედმეტმა დამოკიდებულებამ ნედლეულის ექსპორტზე სერიოზული პრობლემები შეუქმნა კონტინენტს მსოფლიო ეკონომიკური რეცესიის დროს: ნედლეულის ფასები, გარდა ნავთობისა, სამი ათწლეულის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა (რაც რეცესიაში მყოფ ინდუსტრიულ ქვეყნებში მოთხოვნის კლებას მოჰყვა), რის გამოც პირველადი ნედლეულის აფრიკელი მწარმოებლები გამოუფალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სურსათისა და ნავთობის იმპორტის დაფინანსებისთვის საჭირო თანხების უქონლობის გამო, აფრიკული სახელმწიფოები საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კომერციულ ბანკებს მიაწყდნენ. აფრიკის საგარეო ვალი 1973 წელს 14 მილიარდი აშშ დოლარიდან 1976 წელს 42 მილიარდ აშშ დოლარამდე, ხოლო 1984 წელს 150 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. მოსახლეობის უკონტროლო ზრდამ, გვალვამ და სურსათის წარმოების კლებამ შიმშილი და დაავადებათა გავრცელება გამოიწვია. კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო სავალუტო ბანკის მიერ სესხების გაცემის ნინაპირობად წამოყენებულმა ეკონომიკური ხასიათის მკაცრმა ზომებმა აფრიკულ ქვეყნებს სახელმწიფო ხარჯებისა და იმპორტის შემცირება აიძულა. შედეგად, აფრიკის ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლები და, აფრიკის დიადი მომავლის შესახებ პოსტკოლონიური ოცნებების ნაცვლად, ეკონომიკური დამოკიდებულება და წარუმატებლობა მიიღეს.

აფრიკის ეკონომიკური სტანგაციის პირველი ნიშნებისთანავე, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში გაჩნდა მკვეთრი მოწოდებები სილატაკის შემსუბუქებისაკენ. 1973 წელს ადის აბებაში გამართულ მეთე ყოველწლიურ

კონფერენციაზე აფრიკული ერთობის ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ფორმალურად მოითხოვეს „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის“ შექმნა, რაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს განვითარებული ქვეყნებიდან სამხრეთის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისკენ სიმდიდრის მასიურ გადმოცემას გულისხმობდა. ამის განსახორციელებლად მკვეთრად უნდა გაზრდილიყო ინდუსტრიალიზებული სამყაროს მხრიდან ეკონომიკური დახმარება, უნდა ჩამოწერილიყო აფრიკული ქვეყნების ვალეები, შექმნილიყო ნედლეულის ფასების სტაბილიზების გლობალური სქემები და შემსუბუქებულიყო პროტექციონიზმი ექსპორტის მიმართ ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში. გლობალური ეკონომიკური რესურსების გადანაწილების ამ პროექტმა, რომელიც შექმნილი საჭიროებიდან და არა საბაზრო მოთხოვნისა და მინოდების კრიტერიუმებიდან გამომდინარეობდა, იმავე წლის ბოლოს მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის მხარდაჭერა მიიღო. 1974 წელს კი ინიციატივას გაეროს გენერალურმა ასამბლეამაც დაუჭირა მხარი. სამოცდაათიანი წლების გლობალური ეკონომიკური რეცე-



ტრანსპორტის მოძრაობა კაიროში საად ზალლულის მოედანზე, 1965 წელი. 1919 წელს ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთი ადრეული მებრძოლის, – ზალლულის გადასახლების შესახებ, ქვეყანაში დიდი არეულობა მოჰყვა, რაც 1922 წელს ეგვიპტისათვის შეზღუდული დამოუკიდებლობის მინიჭებით დასრულდა. იმ დროს, როდესაც ეს ფოტო გადაიღეს, პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც არაბული და აფრიკული ანტიკოლონიალიზმის მებრძოლს. აფრიკის ბევრ ქვეყანას კი ევროპელი მმართველებისგან დამოუკიდებლობა ახალი მიღებული ჰქონდა.

სიის გამო, „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის“ ინიციატივას განვითარება აღარ მოჰყოლია. მზარდი ინფლაცია და უმუშევრობა განვითარებულ სამყაროში ქვეყნებს იმ ალტრუისტული განწყობისაკენ არ უბიძგებდა, რომელიც გლობალური სიმდიდრის ასეთი მასშტაბური გადანაწილებისათვის იყო საჭირო. ამის ნაცვლად, ინდუსტრიალიზებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიკურ ვარდნას ისეთი პოლიტიკის გატარებით უპასუხეს, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა აფრიკის ეკონომიკური კრიზისი. კერძოდ, განვითარებულმა ქვეყნებმა შეამცირეს საგარეო დახმარების გაცემა და მესამე სამყაროს იმპორტზე დამატებითი პროტექციონისტული ზომები მიიღეს.

1976 წლის დეკემბერში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ყაიდაზე აფრიკის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის წინადადებამ არაერთი ცნობილი აფრიკელი ლიდერის მხარდაჭერა მოიპოვა. ამ ლიდერების აზრით, აფრიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ბალკანიზაცია კონტინენტის ეკონომიკური გაერთიანების მთავარი დაბრკოლება იყო. თუმცა, აფრიკული ერთობის გეგმების ადრეული მცდელობების წარუმატებლობა დიდ იმედს აღარ უტოვებდა ნკრუმას ამბიციური პროექტის მხარდამჭერებს და ეს მოძრაობაც თანდათან მინელდა.

ბალკანიზაციის რუხ რეალობასა და კონტინენტური ერთობის უტოპიურ მისწრაფებებს შორის შუალედურ გზას რეგიონალიზმი წარმოადგენდა. აფრიკაში რეგიონალიზმისადმი ინტერესი იმის შედეგი იყო, რომ აფრიკის ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ ვერ უზრუნველყო დამოუკიდებლობის შემდგომი მოლოდინის გამართლება. 1980 წელს აფრიკის ქვეყნები ე.წ. ლაგოსის სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ, რომელიც კონტინენტის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე პასუხად შემუშავდა. სამოქმედო გეგმა გაკვრით ახსენებდა საუკუნის ბოლოსკენ აფრიკის ეკონომიკური ერთობის მიღწევის საბოლოო მიზანს, მაგრამ განსაკუთრებულ უპირატესობას არსებული რეგიონული ერთეულების გაძლიერებასა და ახალი რეგიონული წარმონაქმნების ჩამოყალიბებას ანიჭებდა, როგორც ყველაზე პრაქტიკულ საშუალებას ახლო მომავალში ეკონომიკური ზრდისა და უფრო შორეულ პერსპექტივაში კონტინენტის სრული ინტეგრაციის მისაღწევად. აფრიკაში მოქმედ მთავარ რეგიონულ ასოციაციებს მიეკუთვნებოდნენ: დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანება (ECOWAS), ცენტრალურაფრიკული ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება (ECCAS), სამხრეთ აფრიკის განვითარების კოორდინაციის კონფერენცია (SADCC) და აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში პრეფერენციული ვაჭრობის ზონა (PTA).

ამ ორგანიზაციებს შორის ყველაზე იმედმომცემი დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანება იყო. გაერთიანება ლაგოსში, ნიგერიაში დასავლეთაფრიკული თხუთმეტი სახელმწიფოს მიერ 1975 წლის მაისში დაარსდა. ორგანიზაცია კოლექტიური ქმედებისა და რეგიონული

თანამშრომლობის პრინციპებს ეფუძნებოდა და თანდათან ევროპაზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლების აფრიკული კამპანიის გამოცდად იქცა. კერძოდ, ნიგერიის წამყვანი როლი დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურ გაერთიანებაში და „ლაგოსის სამოქმედო გეგმის“ ავტორობა რეგიონული ლიდერის პოზიციას ანიჭებდა ამ დიდ, მრავალრიცხოვან და რესურსებით მდიდარ ქვეყანას, რომელიც წარმატებით გაუმკლავდა სამოციანი წლების სეპარატისტულ გამონეევებს ბიაფრას რეგიონში და სამოცდაათიან წლებში, ნავთობის მკვეთრად მზარდი ფასების წყალობით, დიდ ფინანსურ წინსვლასაც განიცდიდა. ნიგერიის ჰეგემონიური მისწრაფებები დასავლეთ აფრიკაში და საკუთარი კლიენტი სახელმწიფოების მიმართ საფრანგეთის ნეოიმპერიული ურთიერთობები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ფრანგულენოვან მეზობლებს შორის მოქცეული ინგლისურენოვანი ნიგერიის კულტურული და ენობრივი იზოლაცია იმ ვითარებაში, როდესაც მისი მეზობლები რჩევებისათვის (და ფინანსური დახმარებისათვის) პარიზს უფრო მიმართავდნენ, ვიდრე ლაგოსს, ხელს უშლიდა ნიგერიის ამბიციას, გამხდარიყო დასავლეთ აფრიკის წამყვანი რეგიონული ძალა. ოთხმოციან წლებში ნავთობის ფასების მკვეთრმა დაცემამ, რაც ამ ბუნებრივი რესურსის ჭარბმა მიწოდებამ გამოიწვია, აშკარა გახადა ნიგერიის განვითარების სტრატეგიის შეცდომა, რომელიც საექსპორტოდ მხოლოდ ერთ ნედლეულ პროდუქტზე დამოკიდებულებაში მდგომარეობდა და მნიშვნელოვნად შეამცირა ნიგერიის უცხოური ვალუტის რეზერვები. მსოფლიოში ნავთობის მოწოდების პიკში, ნიგერიის ეკონომიკურმა პრობლემებმა დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანების, როგორც დასავლეთ აფრიკაში ეკრაფრიკის ადგილობრივი ალტერნატივისა და როგორც რეგიონული ინტეგრაციის მოდელის, რეპუტაციაც დააზარალა.

ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც აფრიკა სამოცდაათიან წლებში მოიცვა, თან ახლდა შეიარაღებული კონფლიქტების ეპიდემია როგორც აფრიკულ სახელმწიფოებს შორის, ასევე მათ შიგნითაც, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა კონტინენტის მიდრეკილება არასტაბილურობისა და სხვადასხვა საფრთხისაკენ. ამ დაპირისპირებებიდან ორმა კონფლიქტმა – სამოქალაქო ომმა ჩადში და კონფრონტაციამ მაროკოსა და ალჟირს შორის, ყოფილი ესპანური საჰარის გამო – აფრიკაში საზღვრების ხელშეუხებლობისა და პოსტკოლონიური სახელმწიფოების სუვერენიტეტის პრინციპებისგანაც აღარაფერი დატოვა. უფრო მეტიც, სამოცდაათიან წლებში ძალადობის გახშირებამ აფრიკის კონტინენტზე ის შედეგი გამოიღო, რომლის თავიდან აცილებასაც ასე (წარმატებით) ცდილობდა აფრიკული ერთობის ორგანიზაცია: ცივი ომის განვრცობა აფრიკის კონტინენტზე. მოულოდნელად, აფრიკის კონტინენტზე გამოჩნდა საბჭოთა კავშირი, რასაც გარდაუვლად მოჰყვა შეერთებული შტატების გააქტიურებაც და მალე თითოეული ზესახელმწიფო ხარბად ცდი-

ლობდა რეგიონში მხარდამჭერი კლიენტის სახელმწიფოების გამონახვას, რითაც მათი დაპირისპირება აფრიკის კონტინენტსაც მოედო.

ცივი ომი აფრიკის კონტინენტს აღწავს

აფრიკის კონტინენტზე ცივი ომის გავრცელება 1974 წლის ივლისში დაიწყო, როდესაც კრემლმა აღმოსავლეთაფრიკულ ქვეყანასთან – სომალისთან – შეთანხმება გააფორმა, რომლის შესაბამისად, საბჭოთა მხარე, ადენის ყურეში მდებარე ბერბერას პორტის საზღვაო ნაგებობებითა და სომალიში საბჭოთა კავშირის მიერ აგებული ორი სამხედრო აეროდრომით სარგებლობის სანაცვლოდ, სომალის არმიის განვრთნისა და აღჭურვის ვალდებულებას იღებდა. ამასობაში, საბჭოთა კავშირმა, ბრიტანეთის კოლონიალური მმართველობის დასრულების შემდეგ, სამხრეთ იემენში 1967 წლიდან დამყარებულ რევოლუციურ რეჟიმთან გაფორმებული შეთანხმებით, ადენის ყურის საპირისპირო მხარეს მდებარე ძველი ბრიტანული ბაზაც ჩაიგდო ხელში.

საბჭოთა კავშირის გააქტიურებას ინდოეთის ოკეანის ჩრდილოდასავლეთ სანაპიროზე ორ საბჭოთა კლიენტ სახელმწიფოს – სომალისა და ეთიოპიის თვითგამოცხადებულ „მარქსისტულ-ლენინურ“ სამხედრო რეჟიმს – შორის არსებული რეგიონული დაპირისპირება ართულებდა. ეთიოპიის სამხედრო რეჟიმმა 1974 წელს ქვეყნის პროდასავლური იმპერატორი ჰაილე სელასიე დაამხო და 1977 წლის დასაწყისში შეერთებულ შტატებთან ეთიოპიის ხანგრძლივი ურთიერთობები დაასრულა. როდესაც სომალის პრეზიდენტმა მოჰამედ სიად ბარემ, ეთნიკური სომალელებით დასახლებული ოგადენის რეგიონის ანექსირების მიზნით, ეთიოპიას სამხედრო ძალით შეუტია, მან ზურგი აქცია მოსკოვს და დახმარებისთვის შეერთებულ შტატებს მიმართა, ადის აბებას მემარცხენე რეჟიმმა კი დახმარების სათხოვნად, როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლს მიმართა. 1977 წლის ნოემბერში სიად ბარემ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის 1974 წლის ხელშეკრულება გააუქმა, ქვეყნიდან გააძევა საბჭოთა სამხედროები და საბჭოთა კავშირს სომალის საჰაერო და საზღვაო ნაგებობებით სარგებლობა აუკრძალა. პარალელურად, მოსკოვი ტანკებით, თვითმფრინავებით და სამხედრო ექსპერტებით ეთიოპიის მომარაგებას შეუდგა და, საზღვაო და საჰაერო გზებით, 15 000 კუბელი ჯარისკაცი გადასხა შესაბამისი აღჭურვილობით, ეთიოპიელი მმართველ მენგისტუ ჰაილე მარიამის დასუსტებული ძალებისათვის დახმარების გასაწევად. 1978 წელს ეთიოპიამ დაამარცხა სომალი ოგადენის რეგიონში და თავის კეთილსმყოფელ საბჭოთა კავშირს მასავას პორტის საზღვაო ნაგებობები გადასცა, რითაც ამ უკანასკნელმა ბერბერას პორტის დაკარგვით მიღებული დანაკლისი აინაზღაურა.

1974 წელს ჰაილე სელასიეს ორმოცდაოთხწლიანი მონარქიის დასრულების შედეგად, სომალის ნახევარკუნძულზე საბჭოთა კლიენტი სახელმ-

ნიფო გაჩნდა. ლისაბონში კი, იმავე წელს, ორმოცდაორწლიანი დიქტატურის დამხობის შედეგად, პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დაშლამ მოსკოვს საშუალება მისცა, საკუთარი გავლენა კონტინენტის უკიდურეს სამხრეთზეც გაეგრძელებინა. 1975-1976 წლებში საბჭოთა კავშირმა აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე პორტუგალიის ყოფილ კოლონიაში – ანგოლაში – 17 000 კუბელი ჯარისკაცი გადაიყვანა შესაბამისი ტანკებით, ჯავშანტექნიკითა და ცეცხლ-სასროლი იარაღით, რათა მხარი დაეჭირა მარქსისტული ორიენტაციის მქონე „ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობისათვის“, რომელიც ამერიკელების კალთის ქვეშ მოქმედ მეტოქე ორგანიზაციას – „ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნულ კავშირს“ – ებრძოდა. ანგოლის სამოქალაქო ომში პროსაბჭოთა ძალამ გამარჯვებას 1975 წლის დეკემბერში მიაღწია, როდესაც შეერთებული შტატების კონგრესმა, პოსტიეიტნამური რეაქციის გამო საზღვარგარეთ სამხედრო ვალდებულებების შემცირების მიზნით, „ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირისათვის“ დახმარების შეწყვეტას დაუჭირა მხარი. გამარჯვებულმა „ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობამ“ ლუანდაში მარქსისტული მთავრობა ჩამოაყალიბა, ხოლო პრეზიდენტმა აგოსტინიო ნეტომ 1976 წლის ოქტომბერში მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა საბჭოთა კავშირთან. კუბელი მეზობლები კი ანგოლაში დარჩნენ ქვეყნის სამხრეთში მონინააღმდეგეთა პარტიზანულ მოძრაობასთან საბრძოლველად. ერთი შეხედვით, მოსკოვმა მყარად მოიკიდა ფეხი აფრიკის ამ სახელმწიფოში, რომელსაც ნავთობის მდიდარი მარაგი, ხელუხლებელი ბუნებრივი რესურსები ჰქონდა და იმედის კონცხისაკენ მიმავალ სტრატეგიულ საზღვაო გზაზე მდებარეობდა. სინამდვილეში, რუსებმა ანგოლის სანაპიროზე სამხედრო-საზღვაო ნაგებობების ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს. ამერიკული მულტინაციონალური კორპორაციები „გალფ ოილი“, „ჯენერალ თაირი“ და „ჩეის მანჰეტენ ბენკი“ (Gulf Oil, General Tire და Chase Manhattan Bank) ქვეყანაში სერიოზულ ინვესტიციას განაგრძობდნენ. ანგოლის პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდო დომ სანტომმა (რომელმაც ხელისუფლება 1979 წელს, ნეტოს სიკვდილის შემდეგ ჩაიბარა) შეამცირა საბჭოთა კავშირზე ქვეყნის დამოკიდებულება და დასავლეთთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები განავითარა.

ამის მიუხედავად, უდავო იყო, რომ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირმა სომალის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ აფრიკაში საკუთარი ინტერესების გატარება მაინც მოახერხა. რამდენიმე ასეული რუსი სამხედრო მრჩეველი და რამდენიმე ათასი კუბელი ჯარისკაცი რჩებოდა კონტინენტზე, რომელიც მანამდე სრულიად თავისუფალი იყო კომუნისტური ბლოკის გავლენისაგან. ეთიოპიასა და ანგოლაში პროსაბჭოთა რეჟიმების გარდა, საბჭოთა კავშირის დახმარებით მარქსისტულად წოდებული რეჟიმები შეიქმნა ასევე მოზამბიკში, კონგოს რესპუბლიკაში და ბენინში.

ჩრდილოეთ აფრიკაში კი, კერძოდ, ლიბიაში, პოლკოვნიკ მუამარ ალ-კადაფის რადიკალურმა არაბულმა რეჟიმმა, რომელმაც 1969 წელს პროდასავლური მონარქია დაამხო, ნავთობზე ამერიკელთა საკუთრების უფლება სახელმწიფოს დაუბრუნა, დახურა ამერიკელთა და ბრიტანელთა საჰაერო ბაზები, საბჭოთა კავშირისგან მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო დახმარება მიიღო და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზნებს ზოგადი მხარდაჭერაც გამოუცხადა. ამბიციური კადაფი მეზობელი პროდასავლური სახელმწიფოების – ჩადის, სუდანის, სომალისა და ლიბერიის – საშინაო საქმეებში ჩარევასაც არ ერიდებოდა, რაც რეგიონში პირველობის მოპოვებისაკენ მიმართული კამპანიის ნანილი იყო.

როგორც ვიხილეთ, აფრიკა დიდი ხნის განმავლობაში არ მონაწილეობდა ზესახელმწიფოების დაპირისპირებაში, რომელსაც მესამე მსოფლიოს უდიდესი ნანილი ცივი ომის პოლიგონად ექცია. მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ბელგიამ უარი თქვეს აფრიკულ ტერიტორიებზე, ძველი კოლონიური იმპერიების ადგილას ჩამოყალიბებულმა ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმაც უარი თქვეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებაში მოსკოვის ან ვაშინგტონის მხარდაჭერაზე. სამოცდაათიან წლებამდე აფრიკაში ზესახელმწიფოების აქტიურობის მცირე შემთხვევები – კადაფის რეჟიმამდელ ლიბიასა და მაროკოში ამერიკული სამხედრო ბაზების დაარსება, საბჭოთა კავშირის ნარეჟიმებელი სამხედრო ინტერვენცია კონგოში – მხოლოდ ადასტურებს ზემოაღნიშნულ ფაქტს. აფრიკას უმნიშვნელო ნილი ჰქონდა შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობასა და ინვესტიციებში და საერთოდ არავითარი დატვირთვა არ გააჩნდა ამერიკის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ევროგაერთიანების ნევრი ყოფილი კოლონიზატორი სახელმწიფოები ახლადდამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორებად რჩებოდნენ, საფრანგეთი კი მთავარი სამხედრო საგარეო ძალის ფუნქციის შესრულებას განაგრძობდა თავის ყოფილ კოლონიებში. საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა შესაძლებლობები და, როგორც ჩანს, სურვილიც აფრიკაში გავლენის გავრცელებისათვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. მხოლოდ პორტუგალიისა და ეთიოპიის იმპერიების დაგვიანებულმა ნგრევამ და როდეზიაში (ზიმბაბვე) და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში (ნამიბია) შავკანიანთა მმართველობისათვის ბრძოლამ მისცა საბჭოთა კავშირს ხელსაყრელი შემთხვევა, რათა აფრიკის კონტინენტზე მიმდინარე არეულობა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც კრემლს აფრიკის კონტინენტზე ძალაუფლების განხორციელების ლოგისტიკური შესაძლებლობებიც გაუჩნდა.

აფრიკის კონტინენტზე საბჭოთა კავშირის მზარდ გააქტიურებაზე შეერთებული შტატების რეაქცია სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში თანდათან შეიცვალა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფორდ-კისინჯერის ადმინისტრაციას ანგოლის სამოქალაქო ომში ჩარევაში ვიეტნამის გამოცდილების

გავლენის ქვეშ მყოფმა კონგრესმა შეუშალა ხელი. კარტერის ადმინისტრაციამ თავდაპირველად აფრიკის პრობლემების მიმართ უჩვეულო მგრძობელობა გამოამჟღავნა და კონტინენტში მძვინვარე რეგიონულ კონფლიქტებს გლობალური კონტექსტის გარეშე მიუდგა. ისეთი ნაბიჯები და ქმედებები, როგორც იყო სამოქალაქო უფლებათა ცნობილი აქტივისტ ენდრიუ იანგის გაეროში შეერთებული შტატების პირველ შავკანიან ელჩად დანიშვნა, 1971 წლის ბერდის საკანონმდებლო შესწორების გაუქმება (შესწორება, გაეროს სანქციების დარღვევით, რომლებიც გაერომ 1965 წელს ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თეთრკანიანი უმცირესობის მიერ დამყარებული მმართველობის წინააღმდეგ დაანება, როდესიიდან ქრომის იმპორტის ნებართვას იძლეოდა), ხანგრძლივი ძალისხმევა სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციას შორის შეთანხმების მიღწევისათვის, რომლის მიზანიც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში შავკანიანი უმრავლესობის მმართველობის დამყარება იყო, ასახავდა ამერიკის ახალი პრეზიდენტის სურვილს, ვაშინგტონის პოზიცია აფრიკული სახელმწიფოების ლიბერაციონისტულ მისწრაფებებთან დაეახლოებინა და არ განეხილა ისინი მხოლოდ, როგორც უმნიშვნელო მოთამაშეები აღმოსავლეთ-დასავლეთის დიდ ორთაბრძოლაში.

საბჭოთა კავშირისა და კუბის აქტიურობამ აფრიკაში კარტერის ადმინისტრაციის პოლიტიკა თანდათან უფრო გაამკაცრა. კერძოდ კი, შეერთებულმა შტატებმა ანგოლას ახალი რეჟიმის აღიარებაზე უარი თქვა, ვიდრე ქვეყანას კუბელი სამხედროები არ დატოვებდნენ. შემდეგ კი, 1978 წლის გაზაფხულზე, ვაშინგტონმა დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთის სამხედრო ძალებს ზაირში, რომლებიც იქ მობუტუს პროდასავლური რეჟიმის დასაცავად და პროსაბჭოთა ანგოლაში მცხოვრები და ზაირიდან დევნილი მებრძოლების მიერ შაბას პროვინციის დაპყრობის აღსაკვეთად იმყოფებოდნენ. 1978 წლიდან მოყოლებული, პრეზიდენტი კარტერი და მისი ანტისაბჭოურად განწყობილი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნეე ბჟეზინსკი პერიოდულად აფრთხილებდნენ მოსკოვს, რომ საბჭოთა აქტიურობას აფრიკაში ხელისშემშლელი გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მყიფე დეტანტზე, რომლის შენარჩუნება კარტერსაც სურდა და ბრეჟნევისაც.

ვაშინგტონის მკვეთრი რეაქცია, აფრიკაში საბჭოთა კავშირისა და კუბის ქმედებებზე, ასახავდა 1973 წლის ნავთობის ემბარგოს შემდგომ გაჩენილ შემოფოთებას აფრიკიდან ამერიკაში სხვადასხვა ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის მინერალური ნედლეულის იმპორტის შესაძლო გადაკეცვის გამო, როგორიცაა: ქრომი, სტიბიუმი, კობალტი, ვანადიუმი, პლატინა, მანგანუმი, ფერომანგანუმი და ნავთობი (ამ დროისთვის ნიგერია უკვე შეერთებული შტატების მეორე, ყველაზე დიდი ნავთობმომწოდებელი გამხდარიყო). საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით მოქმედი კადაფის რეჟიმის მადესტაბილიზე-

ბელი ქმედებები ლიბიაში, ისე, როგორც ზაირის პროამერიკული ავტოკრატიული სახელმწიფოს მიმართ საბჭოთა კავშირის გამოწვევები, საფრთხეს უქმნიდნენ კონტინენტზე პროდასავლურ რეჟიმებს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ შეერთებული შტატებისათვის აფრიკის სტრატეგიული მინერალური რესურსების ხელმისაწვდომობას. ზოგადად, საბჭოთა კავშირის ინტერვენციამ აფრიკაში, პირდაპირ თუ კუბელი მოკავშირის საშუალებით, გაამყარა ამერიკელი სტრატეგისტების წარმოდგენა საბჭოთა კავშირის ევრაზიული ძალიდან მსოფლიო მასშტაბის სამხედრო საჰაერო და საზღვაო შესაძლებლობების მქონე გლობალურ ძალად გარდაქმნის შესახებ. ანგოლასა და ეთიოპიაში კუბის სამხედრო ძალების, ტანკებისა და სამხედრო აღჭურვილობის სწრაფმა განთავსებამ ხაზი გაუსვა მოსკოვის უნარს, გვერდი აეველო საბჭოთა ძალაუფლების შემაკავებელი სარტყლისათვის, რომელიც ცივი ომის განმავლობაში შეერთებული შტატების ძალისხმევით ჩამოყალიბდა. საბჭოთა საზღვაო ესკადრას, რომელიც ეთიოპიისა და სამხრეთ იემენის საზღვაო ბაზებიდან ნითელ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში პატრულირებდა, ვაშინგტონი აღიქვამდა, როგორც დასავლეთის სახელმწიფოების მიერ სპარსეთის ყურის ნავთობით სარგებლობის წინაშე მდგარ პოტენციურ საფრთხეს.

ამრიგად, სამოცდაათიანი წლების ბოლოსათვის, აფრიკული ერთობის ორგანიზაციის წმიდათაწმიდა პრინციპებს აფრიკის კონტინენტის გაერთიანებისა და მიუმხრობლობის პოლიტიკის შესახებ, კონტინენტის იდეოლოგიურმა პოლარიზაციამ სერიოზული დარტყმა მიაყენა: დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ფრანგულენოვანმა ქვეყნებმა: ზაირმა, ეგვიპტემ, მაროკომ, სუდანმა, კენიამ და სომალიმ დასავლეთთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა გააღრმავეს. ამასობაში, ანგოლა, ეთიოპია, გვინეა-ბისაუ (ყოფილი ეკვატორიული გვინეა), ლიბია და მოზამბიკი ღიად ასოცირდებოდნენ სოციალისტურ ბლოკთან; ალჟირი, გვინეა და უგანდა კი საბჭოთა კავშირისგან სხვადასხვა დახმარებას იღებდნენ. აფრიკის კონტინენტზე გადატანილმა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებამ აფრიკული ერთობის ორგანიზაციაში ღრმა ბზარები გააჩინა. როდესაც, სამოცდაათიანი წლების შუაში, ამბოხებულებმა ანგოლაში ფარული ინტერვენციისათვის სამხრეთ აფრიკა მიიწვიეს, ხოლო ქვეყნის მთავრობა ლუანდაში კუბელ სამხედროებს ეგებებოდა, აფრიკული ერთობის ორგანიზაციაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაიხლიჩა. როდესაც ზაირისა და ჩადის ძალაგამოცლილმა რეჟიმებმა სამხედრო დახმარებისთვის პარიზს მიმართეს, მათ სხვა აფრიკული, პროდასავლური კონსერვატორი ლიდერების მხარდაჭერა და კომუნისტურ ბლოკთან ასოცირებული აფრიკული სახელმწიფოების გულისწყრომა დაიმსახურეს.

აფრიკის კონტინენტზე სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მოულოდნელად გააქტიურებული საბჭოთა-ამერიკული პაექრობა ხანმოკლე აღ-

მოჩნდა, რადგან მოსკოვმა, სამხედრო დახმარებასთან ერთად, ეკონომიკური მხარდაჭერის განევა (ვაჭრობის, სესხებისა და ინვესტიციების კუთხით) ვერ შეძლო. კერძოდ, სოციალისტური ვალუტების არაკონვერტირებულობა ხელს უშლიდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა (Comecon) და აფრიკის ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას, გარდა ტრადიციული ბარტერული გაცვლებისა. 1982 წელს, ბრეჟნევის სიკვდილის დროისთვის, აფრიკაში გავლენის მოპოვებისათვის საბჭოთა კავშირის გეგმები სამარცხვინოდ ჩაიშალა. აფრიკული ქვეყნები, რომლებიც ადრე სიხარულით ეგებებოდნენ აღმოსავლეთის ბლოკიდან მიღებულ დახმარებას – ეგვიპტე, სომალი და სუდანი – ერთმანეთის მიყოლებით ჩამოშორდნენ საბჭოთა კავშირს და ყოფილ მფარველს ძველი პრივილეგიები ჩამოართვეს. ის აფრიკული ქვეყნებიც კი, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ რიტორიკას მაინც ინარჩუნებდნენ – ანგოლა, მოზამბიკი, გვინეა – ზემოაღნიშნული პრაგმატული ეკონომიკური მიზეზებით, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში (Comecon) განვერიანებაზე უარს ამბობდნენ. ეკონომიკური დახმარებისთვის ისინი არა მოსკოვს, არამედ ნიუ იორკს, ლონდონს, ტოკიოს, პარიზსა და ვაშინგტონს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) მიმართავდნენ. ამრიგად, დასავლური ბლოკი, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მისი წამყვანი ადგილის გამო, ოთხმოციან წლებში კვლავ ინარჩუნებდა აფრიკის კონტინენტზე გავლენას.

დასავლეთზე აფრიკის მუდმივი დაქვემდებარება, სიმბოლურად, ჩადში მომხდარ სამოქალაქო ომში გამოიხატა. რესურსებით ღარიბი, ხმელეთით შემოსაზღვრული, ეთნიკურად დაყოფილი ეს ქვეყანა თხუთმეტი წელი ლაფავდა სულს კორუმპირებული დიქტატორ ნგარტა ტომბალბეის მმართველობის ქვეშ, რომელიც ჩრდილოეთში მცხოვრები ნომადური მუსლიმი მოსახლეობის ხარჯზე აშკარა სიმპათიას გამოხატავდა სამხრეთში ჩასახლებული ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ. 1975 წელს დიქტატურა დაამხეს და ტომბალბეი სიცოცხლეს გამოასალმეს, რის შემდეგაც ჩადი პოლიტიკურმა ქაოსმა მოიცვა. 1977 წელს ჩრდილოეთში მცხოვრებმა მუსლიმებმა, რომელთაც ზურგს არაბული ქვეყნების თანამორწმუნეები უმაგრებდნენ, ცალკე ისლამური რესპუბლიკის დაარსება განიზრახეს. ჩრდილოეთით მოსაზღვრე ლიბია კი ჩადში შექმნილი სამოქალაქო არეულობით ისარგებლა და ჩადის ჩრდილოეთით უზუზუს რეგიონის ანექსიას შეეცადა. ვითარებაში საფრანგეთის სამხედრო ძალები ჩაერია და, ისენ აბრეს მეთაურობით ჩატარებული სამხედრო კამპანიის შედეგად, კადაფიმ და მისმა ადგილობრივმა მოკავშირეებმა უკან დაიხიეს. აფრიკული ერთობის ორგანიზაციის მცდელობები, ჩარეულიყო ჩადის კონფლიქტში, უშედეგო აღმოჩნდა, ხოლო საფრანგეთის მონაწილეობამ ჩადიდან ლიბიური ძალების განდევნის კამპანიაში კიდევ ერთხელ ცხადყო აფრიკის დაქვემდებარება გარე ძალებზე.



რასობრივი შეზღუდვები ადამიანთა გადაადგილებაზე სამხრეთ აფრიკაში. აპარტიდის (რასების მკაცრი განცალკევების) რეჟიმი, რომელიც სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანმა უმცირესობამ 1948 წელს დაამყარა, ყველა შავკანიან მოქალაქეს აიძულებდა – როგორც ეს იოჰანესბურგში 1950 წელს გადაღებულ ამ ფოტოზე ჩანს, სადაც შავკანიანი მუშების თავყრილობაა ასახული – ყოველთვის თან ეტარებინა სამედი, რომელზეც აღნიშნული იყო, რა ტერიტორიაზე უნდა მას შესვლის უფლება. საშვების ტარების მოთხოვნით გამოწვეული უკმაყოფილება დემონსტრაციებში გადაიზარდა, რაც 1960 წლის 21 მარტს „შარპვილის ჟღერით“ დასრულდა, რამაც, თავის მხრივ, აპარტიდის რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო პროტესტი გამოიწვია.

თეთრკანიანთა რეჟიმის ბოლო საყრდენი

მართალია, დამოუკიდებლობის შემდგომი აფრიკის განვითარებას ზემოაღნიშნული არაერთი ხელის შემშლელი ტენდენცია აფერხებდა, – ეკონომიკური, ეთნიკური, იდეოლოგიური – მაგრამ არსებობდა ერთი საკითხი, რომელზეც ყველა აფრიკული ქვეყანა თანხმდებოდა: კერძოდ, კონტინენტზე თეთრკანიანთა უპირატესობის უკანასკნელი სიმაგრის – სამხრეთ აფრიკაში 1948 წლიდან რასობრივი სეგრეგაციის, ანუ აპარტიდის – თავიდან მოშორება. მაშინ, როცა სამოციანი წლების დასაწყისში, აფრიკაში ბრიტანული, ფრანგული და ბელგიური კოლონიების თეთრკანიანი უმცირესობები შავკანიანი უმრავლესობების მმართველობას დამორჩილდნენ, სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი უმცირესობის მთავრობა მკაცრად უსწორდებოდა ადგილობრივ შავკანიან მოსახლეობას, რომლებიც ჩრდილოელი მეზობლების მიბაძვას ცდილობდნენ. 1960 წლის მარტში, შარპვილში, პოლიციის მიერ სამოცდაშვიდი შეუიარაღებელი შავკანიანი დემონსტრანტის ჩახოცვა აპარ-

ტიედის წინააღმდეგ არსებულ მოძრაობაზე ამ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნის რეაქციას წარმოადგენდა. შავკანიანი უმრავლესობის ყველა მცდელობა იმ პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, რომლითაც სხვა აფრიკული ქვეყნის მოსახლეობა უკვე სარგებლობდა, მმართველი ეროვნული პარტიის მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებოდა. ეროვნული პარტია მეჩვიდმეტე საუკუნის ჰოლანდიელი და ფრანგი ემიგრანტების აფრიკაანსენოვანი შთამომავლების რუპორ პარტიას წარმოადგენდა. 1912 წელს სამხრეთ აფრიკის უუფლებო და ექსპლუატირებული შავკანიანი უმრავლესობის დასაცავად შექმნილ „აფრიკის ეროვნულ კონგრესს“ სამხრეთ აფრიკის უშიშროების ძალები სასტიკად ავიწროებდნენ. კონგრესის ერთ-ერთი მებრძოლი – აქტივისტი იურისტი, სახელად ნელსონ მანდელა – 1962 წელს დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო კონგრესის დანარჩენმა ლიდერებმა დევნილობით უშველეს თავს. რადგან კანონიერი პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, აფრიკის ეროვნულ კონგრესს ერთადერთი ალტერნატივა – შეიარაღებული ბრძოლა – დარჩენოდა. ძალადობის პირველი სერიოზული ფაქტი 1976 წელს მოხდა, როდესაც იოჰანესბურგთან მდებარე პატარა ქალაქ სოვეტოში სტუდენტების ამბოხი 575-ზე მეტი ადამიანის სიკვდილით დასრულდა. აფრიკული ერთობის ორგანიზაცია, ბრიტანული თანამეგობრობა და გაერო გამუდმებით გმობდნენ სამხრეთ აფრიკის რეჟიმს, ხოლო აფრიკის ახლადდამოუკიდებელი ქვეყნების მმართველი ელიტები დაჟინებით ითხოვდნენ აპარტიდის დასრულებას და შავკანიანი უმრავლესობის მმართველობის დამყარებას.

სამოციან წლებსა და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში სამხრეთ აფრიკა ჩრდილოეთიდან თეთრკანიანი მთავრობების მიერ კონტროლირებადი მეგობარი მეზობელი ქვეყნების მხრიდან დამცავი ფარით სარგებლობდა. ეს ქვეყნები – პორტუგალიური კოლონიები ანგოლა და მოზამბიკი, როდესაც თეთრკანიანი უმცირესობის რეჟიმი და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ყოფილი გერმანული კოლონია (რომელსაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ აფრიკა მართავდა დიდი ხნის გაუქმებული ერთა ლიგის ამონურული მანდატის საფუძველზე) – ჯერ კიდევ წარმატებულად უწევდნენ წინააღმდეგობას დეკოლონიზაციის ტენდენციას.

1975 წელს ანგოლასა და მოზამბიკში ორი თვითგამოცხადებული მარქსისტ-ლენინური რეჟიმის ჩამოყალიბებამ, რასაც 1980 წელს როდესიასში (ზიმბაბვეში) შავკანიანი უმრავლესობის დაგვიანებული მმართველობის დამყარება მოჰყვა, სამხრეთ აფრიკა ანტაგონისტურად განწყობილი ჩრდილოელი მეზობლების წინაშე დატოვა, რომლებიც პრეტორიის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულთა დახმარებისა და მათთვის თავშესაფრის მისაცემად მზად იყვნენ. ოთხმოციანი წლების განმავლობაში სამხრეთ აფრიკის ერთადერთი იმედი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (მოგვიანებით, ნამიბიის) რე-

ჟიმი იყო, რომელიც ახალი შავკანიანი მთავრობებით მართული ქვეყნებისგან მის ერთადერთ ბუფერადღა რჩებოდა. თუმცა, სამხრეთ დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულმა ამბოხებამ და საერთაშორისო საზოგადოებრიობის დიპლომატიურმა ზენოლამ (მათ შორის, ვაშინგტონის მხრიდან მსუბუქმა ბიძგმაც) სამხრეთ აფრიკა აიძულა, ერთი მხრივ, ნამიბიაში ხელისუფლების გადაცემის შესახებ მოლაპარაკებებს დათანხმებოდა და, მეორე მხრივ, შინ აპარტიდის მკაცრი რეჟიმი შეემსუბუქებინა. ნამიბიის პოლიტიკური მომავლის შესახებ მოლაპარაკებები მალე ჩიხში შევიდა, თუმცა, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა პიტერ ვილემ ბოტამ მცირედი ნამიბიელები მაინც გადადგა საკუთარი ქვეყნის უკიდურესად რასისტულ პოლიტიკურ სისტემაში საარჩევნო ბაზის გასაფართოებლად: 1983 წლის ნოემბერში რეფერენდუმის შემდეგ მიღებულმა კონსტიტუციამ ხმის უფლება მისცა ფერადკანიან (შერეული რასის) და აზიურ უმცირესობებს და შექმნა სამპალატიანი პარლამენტი, ცალ-ცალკე პალატით, თეთრკანიანი (4.5 მილიონი), ფერადკანიანი (2.6 მილიონი) და აზიელი (800 000) მოქალაქეებისათვის (თუმცა, კვლავ ხმის გარეშე ტოვებდა ქვეყანაში მცხოვრებ 25 მილიონ შავკანიანს).


სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობის მხრიდან ზენოლის შემსუბუქებას, რაც ნამიბიის დამოუკიდებლობის შესახებ მოლაპარაკებათა დაწყებასა და სამხრეთ აფრიკაში შეზღუდული პოლიტიკური რეფორმების გატარებაში გამოიხატა, თან სდევდა სამხრეთ აფრიკის ჩრდილოეთით მდებარე მეზობელი ქვეყნების მიმართ პოლიტიკის გამკაცრება: 1980 წელს სამხრეთ აფრიკა მკაცრი ზომების გატარებას შეუდგა იმ მეზობელი ქვეყნების მიმართ, რომლებიც აფრიკის ეროვნული კონგრესის პარტიზანებს თავშესაფარს სთავაზობდნენ. პრეტორია ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწყევდა მემამოხეთა ისეთ ორგანიზაციებს, როგორც იყო „მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა“ და „ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნული საბჭო“ (UNITA). მოზამბიკის წინააღმდეგ უწყვეტი ეკონომიკური ომი და პერიოდული რეიდები ისეთი ეფექტური აღმოჩნდა სამორა მაშელის სუსტი რეჟიმის მოსარყევად, რომ ეს უკანასკნელი 1984 წლის მარტში იძულებული გახდა სამხრეთ აფრიკასთან ხელი მოეწერა „ნკომატის შეთანხმებისთვის“, რომლის თანახმად, სამხრეთ აფრიკამ პირობა დადო, რომ შეწყვეტდა მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდაჭერას, სანაცვლოდ კი მოზამბიკს მის ტერიტორიაზე „აფრიკის ეროვნული კონგრესის“ პარტიზანების ქმედებები უნდა გაეკონტროლებინა.

ამის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის მთავრობა კვლავ საშინაო გამოწვევების წინაშე რჩებოდა, რის შედეგადაც 1985 წლის ივლისში ქვეყანაში საგანგებო ვითარება გამოცხადდა. სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა – მათ შორის იყვნენ მალავის პრეზიდენტი ჰასტინგს ბანდა და კოტ დ'ივუარის პრეზიდენტი ფელიქს უვუე-ბუანი – აფრიკელი ლიდერები განაგრძობდ-

ნენ ეკონომიკური სანქციებისა და არალიარების პოლიტიკას და, აფრიკაში თეთრკანიანთა პრივილეგიების უკანასკნელი ბასტიონის დამხობის მიზნით, „აფრიკის ეროვნული საბჭოს“ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უჭერდნენ მხარს. ამასობაში, ვაშინგტონში რეიგანის ადმინისტრაცია „კონსტრუქციული აქტიურობის“ პოლიტიკის გატარებას შეუდგა. ამ პოლიტიკის მიზანი სამხრეთ აფრიკასა და ანგოლას შორის შეთანხმების ხელმოწერა იყო, რომლის შედეგად ანგოლას დატოვებდნენ როგორც სამხრეთ აფრიკელი, ასევე კუბელი სამხედროები, ხოლო ნამიბიაში საბოლოოდ შაეკანიანი უმრავლესობის მმართველობა დამყარდებოდა. ოთხმოციანი წლების ბოლოს აფრიკის კონტინენტის სამხრეთი ნაწილი ღრმად იყო ჩაფლული ძალადობასა და არეულობაში: ანგოლაში, მოზამბიკში, ნამიბიასა და სამხრეთ აფრიკაში ამბოხებები მძვინვარებდა, ორი ზესახელმწიფო კი ინტერესითა და შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს შექმნილ ქაოსურ ვითარებას.



შორეული აღმოსავლეთი – გზა ახალი კეთილდღეობისაკენ



ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვა ტოკიოს საფონდო ბირჟაზე. დამარცხების გამანადგურებელი შედეგები ომისშემდგომ იაპონიაში, 1945 წლის სექტემბერი. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის მთავარი ქალაქების მასიური დაბომბვის შემდეგ, მისი შთამბეჭდავი ეკონომიკური აღორძინება არამხოლოდ სწრაფი ინდუსტრიალიზაციითა და საექსპორტო ვაჭრობის მეტად წარმატებული განვითარებით ხასიათდებოდა. იაპონიის დედაქალაქი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ბოლო წელს, ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით, დამანგრეველი დაბომბვების სამიზნე იყო, საერთაშორისო ფინანსების დიდ ცენტრადაც გადაიქცა.

თავის შინაარსი
იაპონიის სასწაული

აღმოსავლეთით „აზიური ეფესვიზის“ აღმასვლა
ჩინეთის გამოფხიზლება: დენ სიაოაინის რეპოლუციი

იაპონიის სასწაული

1945 წლის ზაფხულის ბოლოს იაპონიის იმპერია ნანგრევებად ქცეულიყო. ამ, ერთ დროს, ამაცმა საზოგადოებამ მეორე მსოფლიო ომში დამამცირებელი მარცხი განიცადა, დაკარგა კოლონიები; შეერთებული შტატების სტრატეგიული (ჩვეულებრივი და ბირთვული) დაბომბვების კამპანიის შედეგად კი მისი ინფრასტრუქტურის მეოთხედი განადგურდა. 1945-1952 წლებში, იაპონიის სამხედრო ოკუპაციისას, შეერთებული შტატები ყოფილი მტრის მიმართ პოლიტიკურად მტკიცე და ეკონომიკურად დამთმობ პოლიტიკას მიმართავდა: შეერთებულმა შტატებმა დამარცხებული ძალა აიძულა, შეექმნა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და მიეღო კონსტიტუცია, რომლითაც იაპონია უარს ამბობდა ომსა და იარაღის წარმოებაზე, რითაც ოკუპანტმა სახელმწიფომ იაპონური მილიტარიზმის ის საფრთხე გააუვნებელყო, რომელიც ათწლეულების მანძილზე აღმოსავლეთ აზიის სიმშვიდეს არღვევდა. მეორე მხრივ, იაპონიის ეკონომიკური აღორძინების აქტიურად ნაქეზებით, შეერთებულმა შტატებმა წამოიწყო პროცესი, რომლის შედეგადაც – ჰიროსიმას თაობის სიცოცხლეშივე – ყოფილი მტრული სახელმწიფო მის მთავარ სავაჭრო და საფინანსო კონკურენტად იქცა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი წვლილი იაპონიის ეკონომიკურ აღორძინებაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც აზიაში ცივი ომის დაწყების ნიშნებზე ვსაუბრობდით. ორი მილიარდი დოლარის ღირებულების ამერიკულმა დახმარებამ – ძირითადად, სურსათისა და ნედლეულის სახით – იაპონია ომისდროინდელი ნგრევის გამანადგურებელი შედეგებისგან იხსნა. ორმოციანი წლების ბოლოსკენ იაპონურ რეპარაციებზე უარის თქმამ, ამ ქვეყნის ეკონომიკა იმ პოტენციურად შემაფერხებელი ფაქტორისგანაც გაათავისუფლა, რომელსაც შეეძლო იაპონიაში კერძო დანაზოგების აკუმულირებისათვის, ინვესტიციებისა და მენარმეობის განვითარებისათვის შეეშალა ხელი. ომამდე და ომის დროს იმპერიულ მთავრობასთან კოლაბორაციონიზმის მიუხედავად, იაპონიის ინდუსტრიული კონგლომერატების დაქუცმაცების გეგმებზე უარის თქმამ გზა გაუხსნა ძველი იაპონური ბიზნესკარტელების – მიცუბიშის, მიცუისა და სუმიტომოს – ხელახლა გააქტიურებასაც, თუმცა შეცვლილი ფორმით. ეკო-

ნომიკური ეფექტურობისა და მოგების ინტერესებიდან გამომდინარე, იაპონური მრეწველობის კარტელიზაციისადმი ამერიკელების შემგუებლურმა დამოკიდებულებამ ასევე ხელი შეუწყო ახალი დიდი კომპანიების – ჰიტაჩის, ტოშიბას, ტოიოტასა და ნისანის – შექმნას. შეერთებული შტატების სამხედრო ოკუპაციის ხელმძღვანელობის მხრიდან კეთილგანწყობილი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, 1949 წელს იაპონიამ უკვე წარმოების ომამდელ დონეს მიაღწია. მომდევნო წელს კორეის ომმა, ამერიკელების მიერ ომთან დაკავშირებული საქონლისა და შეიარაღების შესყიდვების წყალობით, დამატებითი სტიმული მისცა იაპონიის სამრეწველო პროდუქციას. შეერთებული შტატების კიდევ ერთი წვლილი იაპონიის ომისშემდგომ აღორძინებაში 1951 წელს დადებულ ურთიერდაცვის შეთანხმებაში გამოიხატა, რომელიც იაპონიაზე ვაშინგტონის სამხედრო მფარველობის გავრცელებას ითვალისწინებდა: ომის შემდგომ იაპონიას აღარ უწევდა საკუთარ თავდაცვაზე ერთიანი ეროვნული პროდუქტის ერთ პროცენტზე მეტის დახარჯვა, ხოლო დაზოგილი ფინანსები სამრეწველო რეკონსტრუქციასა და განვითარებას ხმარდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ეკონომიკური აღორძინების დასაწყისი დაკავშირებული იყო შეერთებულ შტატებთან მისი პრივილეგირებული პარტნიორობიდან გამომდინარე შეღავათებთან, აუცილებელია სათანადოდ აღინიშნოს იაპონიის სახელმწიფოს დამსახურებაც იმ პოლიტიკის გატარების გამო, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ ქვეყნის არაჩვეულებრივი ეკონომიკური ზრდა: საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში და იაპონიის ბანკში მომუშავე ოფიციალურ პირებს უფლება ჰქონდათ მიენიჭებინათ საგადასახადო შეღავათები, საიმპორტო და საექსპორტო ნებართვები, დაბალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე და პირდაპირი სუბსიდიები მიემართათ მრეწველობის იმ დარგებისაკენ, რომელთაც მსოფლიო ბაზარზე კონკურენციისათვის უნდა გაეძლიათ. სახელმწიფო ხელს უწყობდა საექსპორტო ვაჭრობით დაკავებულ რამდენიმე წამყვან კომპანიას, რათა ამ უკანასკნელთ, მოკლევადიანი მოგების ნაცვლად, მეტი ყურადღება დაეთმოთ გრძელვადიანი ზრდისათვის, რასაც შედეგად მოგების რეინვესტიცია და შესაბამისი ტექნოლოგიური ინოვაცია მოჰყვებოდა. იაპონურ ფირმებში დაკავებული იყო მალალპროფესიული სამუშაო ძალა, რომელიც სარგებლობდა: სიცოცხლის ბოლომდე დასაქმების გარანტიით, ხელფასების ზრდით ასაკის მიხედვით და კორპორაციული სოციალური უზრუნველყოფით, რაც მორჩილ მუშა-მოსამსახურეთა ნამდვილ არმიას ქმნიდა. იაპონელები დასავლეთის ქვეყნებში, მათი მალალანაზლაურებიანი კოლეგებისგან განსხვავებით, მზად იყვნენ, ემუშავათ უფრო დიდხანს უფრო ნაკლები გასამრჯელოსათვის. იაპონელ მომხმარებელთა საყოველთაოდ ცნობილმა მომჭირნობამ იაპონიაში კერძო დანაზოგთა მსოფლიოში ყვე-



აღმოსავლეთი აზია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ლაზე მაღალი მაჩვენებელი განაპირობა, რომელმაც რამდენიმე წელიწადში სუფთა შემოსავლის 22 პროცენტს მიაღწია.

მომჭირნეობის ეთიკას, რომელიც მოხმარების ნაცვლად წარმოების უპირატესობას, შრომითი უფლებებისათვის ბრძოლის ნაცვლად, სიცოცხლის ბოლომდე დასაქმების უფლების უპირატესობასა და მყისიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების ნაცვლად, მომავლისთვის უპირატესობის მინიჭებას გულისხმობდა, შედეგად მუშახელში გადახდილი დაბალი ხარჯები და დიდი ოდენობის კაპიტალის დაგროვება მოჰყვა, რამაც იაპონიის ეკონომიკას მსოფლიოს ბაზრებზე შედარებითი უპირატესობა მიაჩინა. ქვეყნის შიგნით წარმოებული არასაკმარისი სურსათის, სანავისა და მწირი ნედლეული რესურსების გამო, მსოფლიო ბაზარზე იაპონიის შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობას საბრუნავი კაპიტალის სიმწირეც ამწვევებდა, რაც ომის დროს ქარხანა-დანადგარების განადგურებასა და კოლონიების ბუნებრივი რესურსების დაკარგვას მოჰყვა. ამ ყველაფრის კომპენსაციას კი იაპონია საზღვარგარეთ მზა ნაწარმის გაყიდვების შედეგად მიღებული დადებითი სავაჭრო ბალანსით ახდენდა. საგარეო ვაჭრობიდან მიღებულ ფინანსებს, რესურსებითა და კაპიტალით ღარიბი ეს ქვეყანა, აუცილებელი საქონლის იმპორტს ახმარდა და დაგროვებულ კაპიტალს ქარხანა-დანადგარების გასაუმჯობესებლად ხარჯავდა, რათა მსოფლიოში იაპონიის კონკურენტუნარიანობა გაზრდილიყო. ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად, იაპონიის დამოკიდებულება საგარეო ვაჭრობაზე უცხოური ბაზრების მუდმივ ხელმისაწვდომობას მოითხოვდა, რასაც, „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების“ ფარგლებში, მსოფლიოში მიმდინარე მოლაპარაკებებით გათვალისწინებული ტარიფების შემცირების პოლიტიკა აიოლებდა. იაპონია ასევე სარგებლობდა, წარმოებულ საქონელთან შედარებით, სურსათის, ნედლეული მასალებისა და ენერგომატარებლების დაბალი ფასებით, რომელიც მისი ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენდა. 1955-დან 1973 წლამდე იაპონიის ერთიანი ეროვნული პროდუქტი წლიურად საშუალოდ 9 პროცენტით იზრდებოდა, რაც ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო და რის გამოც იაპონია 1968 წლისთვის მსოფლიოში ეკონომიკური სიდიდის მიხედვით მესამე ძალად ჩამოყალიბდა. ეკონომიკური ზრდის ეს მაჩვენებელი სამოცდაათიან წლებში კვლავ დაეცა, როდესაც ფიქსირებული გაცვლითი კურსების სისტემის კრახმა იაპონური ვალუტის – იენის – ღირებულება გაზარდა, რამაც, თავისთავად, იაპონური ექსპორტის კლება გამოიწვია. ამავ დროს, მსოფლიოში ნავთობის ფასების ზრდას ეკონომიკური რეცესია მოჰყვა, რის გამოც შემცირდა მოთხოვნა იაპონიის წარმოებულ პროდუქტიაზეც, ხოლო პროტექციონისტულმა განწყობამ შეერთებულ შტატებსა და ევროპის გაერთიანებებში იაპონურ იმპორტზე სავაჭრო ბარიერების აღმართვას მისცა ბიძგი. ამის მიუხედავად, იაპონია ეკონომიკური მაჩ-


ვენებლის 4-5-პროცენტთან ზრდას მაინც ინარჩუნებდა, რამაც ოთხმოციან წლებში მას საშუალება მისცა, შეერთებული შტატების შემდეგ, მსოფლიოს მეორე ეკონომიკური ძალა გამხდარიყო.

სამოციან წლებში იაპონელმა მშრომლებმა, რომლებიც მრეწველობის შრომატევად დარგებში – საფეიქრო მრეწველობაში, რკინისა და ფოლადის წარმოებაში, გემთმშენებლობაში – მუშაობდნენ, გაზრდილი ანაზღაურების მოთხოვნა და მიღება დაიწყეს. იმავედროულად, დაბალი ანაზღაურების მქონე აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები მრეწველობის ამ დარგებში მსოფლიო ბაზრებზე იაპონიის პროდუქციისთვის კონკურენციის განწევას შეუდგნენ. იაპონიის მიერ შედარებითი უპირატესობის დაკარგვამ ქვეყნის საექსპორტო სტრატეგიის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია. ჭარბმა კაპიტალმა კი, როგორც ქვეყნის ახალმა შედარებითმა უპირატესობამ კონკურენტებთან მიმართებაში, იაპონიის იაფი მუშახელი ჩაანაცვლა. საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მოგებისა და შიდადანაზოგების მაღალი მაჩვენებლის წყალობით, იაპონია შეუდგა რესურსების გადასროლას ეკონომიკის შრომატევადი დარგებიდან ეკონომიკის კაპიტალტევადი დარგებისაკენ – ტელევიზორების, რადიოს, მოტოციკლეტებისა და ავტომობილების ექსპორტის განსავითარებლად (1980 წლისათვის იაპონია ამ პროდუქციის ყველაზე დიდი მწარმოებელი გახდა). ოთხმოციან წლებში მაღალი განათლების მქონე, მეც-



იაპონელი ქალები პირველად აძლევენ ხმას. 1946 წლის 10 აპრილს ქალებს უფლება მიენიჭათ, ხმა მიეცათ იაპონიის პარლამენტის არჩევნებში. პარლამენტს, რომელიც ამ არჩევნებით დაკომპლექტდა, დასამტკიცებლად წარედგინა გენერალ დუგლას მაკარტურის – იაპონიის ამერიკული საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლის – იურიდიული მრჩეველების მიერ შედგენილი კონსტიტუციის პროექტი. კონსტიტუცია, რომელიც საბოლოოდ მიიღო იაპონიის პარლამენტმა, მსოფლიოში ქალთა უფლებების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გარანტიებს მოიცავდა.

ნიერებასა და ტექნოლოგიაში მაღალპროფესიული კადრების გამოყენებით იაპონია ტექნოლოგიატევად სექტორში – ტელეკომუნიკაციები, საოფისე დანადგარები, ზუსტი მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები – ექსპორტის ხელშეწყობას შეუდგა. იაპონიის ასეთი შთამბეჭდავი ეკონომიკური განვითარება, ბუნებრივია, აშფოთებდა მის მეზობლებს აღმოსავლეთ აზიაში, რომლებიც შიშობდნენ, რომ ყოფილი იმპერიული სახელმწიფო ამ ახალ ეკონომიკურ სიძლიერეს კვლავ რეგიონზე გაბატონებისათვის გამოიყენებდა. ამ შიშს ასაზრდოებდა იაპონიის უარიც, ღიად მოეხადა ბოდიში ომისდროინდელი ქმედებებისათვის, შეეცვალა ისტორიის სასწავლო სახელმძღვანელოები, სადაც შელამაზებულად იყო გადმოცემული ტოკიოს ექსპანსიონისტური პოლიტიკა, და იაპონელი ოფიციალური პირების მიერ ეროვნული დატვირთვის



ექსპორტისათვის გაზაფხული იაპონური ავტომობილები: იაპონელმა მანქანათმშენებლებმა ავტომობილების წარმოება ორმოცდაათიან წლებში შიდაშობარებისთვის დაიწყეს, ხოლო სამოციან წლებში – საექსპორტოდ. 1973-1974 წლების ნავთობის კრიზისმა მოთხოვნა გაზარდა იაპონური მოდელის მცირე ზომის ეკონომიურ მანქანებზე, რის შედეგადაც იაპონიამ შეერთებულ შტატებს გაასწრო და მსოფლიოში პირველი ავტომობილების მწარმოებელი ქვეყანა გახდა. ავტომობილების წარმოება მსოფლიოში სიდიდით მეორე ადგილზე მყოფი ეკონომიკის მქონე ქვეყნის რიგით მეორე სამრეწველო სექტორი გახდა, რომელშიც მოსახლეობის 10 პროცენტი იყო დასაქმებული.

მქონე ადგილებისათვის პატივის მიცემის პრაქტიკა. თუმცა, ზოგიერთ აღმოსავლეთაზიელ სახელმწიფოსათვის იაპონიის განმაცვიფრებელი ეკონომიკური აღორძინება განვითარების სასარგებლო მოდელსაც წარმოადგენდა, რომლისთვისაც სხვებსაც უნდა მიებაძათ. იაპონიის მიზაძვით ამ ქვეყნებმა მართლაც დაიწყეს ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის გატარება, რამაც ისინი ოთხმოციანი წლების შუაში საერთაშორისო ვაჭრობის მთავარ მონაწილეებად აქცია.

აღმოსავლეთით „აზიური ვეფხვების“ აღმასვლა

სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონგ-კონგი და სინგაპური, რომელთაც ეკონომისტები ჩვეულებრივ „აზიურ ვეფხვებს“ უწოდებენ, აღმოსავლეთ აზიის პირველი ქვეყნები იყვნენ, რომელთაც გადანყვიტეს, იაპონიის ეკონომიკური წარმატებისგან აელთ მაგალითი. ამისთვის მათ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა წამოიწყეს, რამაც რამდენიმე ათწლეულში ისინი მესამე სამყაროს ქვეყნებიდან პირველი სამყაროს სტატუსის ქვეყნებად აქცია და უკან მოატოვებინა ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა განვითარებადი ქვეყნები. როგორც იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს ქვეყნებიც მწვავედ განიცდიდნენ ჭარბი მოსახლეობითა თუ კაპიტალის, სურსათის, ნედლეული მასალის, ენერგომატარებლებისა და სახნავე მიწების ნაკლებობით გამოწვეულ ეკონომიკურ პრობლემებს. იაპონიის მსგავსად, ისინიც ამ არახელსაყრელი პირობების კომპენსაციას მრავალრიცხოვანი, მორჩილი და მობილური მუშახელის საშუალებით ახდენდნენ და სპეციალიზდებოდნენ იაფი საფეიქრო პროდუქციის წარმოებაში, რომელსაც ბევრი კაპიტალდაბანდებები და რთული ტექნოლოგიები არ სჭირდებოდა. იაპონიის მიერ მრეწველობის შრომატევადი სექტორის ამოწურვისა და უფრო მონინავე პროდუქციის ექსპორტზე გადასვლის პარალელურად, ზემოჩამოთვლილი ოთხი ქვეყანა იაფი საფეიქრო ნაწარმისა და ტანისამოსის წარმოებას შეუდგა. სამოცდაათიანი წლებში მათ კვლავ გააუმჯობესეს წარმოების მასშტაბი და კაპიტალტევადი პროდუქციის წარმოება დაიწყეს, კერძოდ: რადიოს, ტელევიზორების, საკერავე მანქანებისა და გემების. ათი წლის შემდეგ კი ოთხივე ქვეყანა თავის მაღალპროფესიონალურ, მაღალი განათლების მქონე მუშახელს იყენებდა და იაპონიას ტექნოლოგიატევად სექტორებშიც – როგორცაა კომპიუტერები და ბიოტექნოლოგია – უწევდა კონკურენციას.

„აზიურ ვეფხვებს“ რამდენიმე საერთო მახასიათებელი ჰქონდათ, რითაც ეკონომიკური ჩამორჩენილობის ჭაობიდან მათი ფენომენალური აღმასვლის ახსნა შეიძლება. პირველ რიგში, მათ ყველას აერთიანებდათ კონფუციანიზმის კულტურული მემკვიდრეობა, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესია მომ-

ჭირნეობა, დაულაღვი შრომა და დისციპლინა. ეს თვისებები კი ხელს უწყობდა იმ ტიპის ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდისთვისაა აუცილებელი. გარდა ამისა, თითოეულ მათგანს არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემა ჰქონდა, რაც მთავრობებს სასურველი ეკონომიკური სტრატეგიების განხორციელების საშუალებას, პოლიტიკური შედეგების გამო, შიშის გარეშე აძლევდა. ამასთანავე, ყველა მათგანი უცხო და კეთილსამყოფელი სახელმწიფოს დიდ ფინანსურ დახმარებას იღებდა (ტაივანი და სამხრეთ კორეა შეერთებული შტატებისგან, სინგაპური და ჰონგ-კონგი კი დიდი ბრიტანეთისგან). თუმცა, ამ მსგავსებების გარდა, ოთხივე სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის მისაღწევად არსებითად განსხვავებულ მეთოდებს იყენებდა: ერთი მხრივ, სამხრეთ კორეის მთავრობა აქტიურად ერეოდა ეკონომიკაში მრეწველობის კონკრეტული დარგებისათვის საგადასახადო შეღავათებისა და სუბსიდიების მინიჭებით ან მრეწველობის ზოგიერთ დარგზე სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნებით; მეორე მხრივ, ჰონგ-კონგი სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევისა თუ კონტროლის გარეშე მოქმედების საშუალებას აძლევდა ბრიტანულ სანარმოებს. ტაივანისა და ქალაქი-სახელმწიფო სინგაპურის პოლიტიკა ამ ორ უკიდურეს მიდგომას შორის მოექცა, რომელთაც ეკონომისტებმა სამხრეთკორეული „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ და ჰონგ-კონგის „laissez-faire კაპიტალიზმი“ უწოდეს. ამ ოთხ აზიურ სახელმწიფოს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიუხედავად, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების ფენომენალურმა ეკონომიკურმა ზრდამ მათ საშუალება მისცა, დაეპყროთ არა მხოლოდ საკუთარი რეგიონის ბაზრები, არამედ შეერთებული შტატებისა და ევროპის ბაზრებზეც შეჭრილიყვნენ.

იაპონიისა და შემდგომ ოთხი აზიური სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებას მნიშვნელოვანი გამოძახილი მოჰყვა მეზობელ სახელმწიფოებში: ინდონეზიაში, მალაიზიაში, ტაილანდსა და ფილიპინებზე, რომლებმაც 1967 წელს რეგიონული ორგანიზაცია – სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEAN) – დააარსეს. იაპონიისა და ოთხი „აზიური ვეფხვისგან“ განსხვავებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) წევრი ქვეყნები მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით. შესაბამისად, მათ ორმხრივად სასარგებლო სავაჭრო ურთიერთობები დაამყარეს აზიის ახლადინდუსტრიალიზებულ ქვეყნებთან და იაპონიასა და „აზიურ ვეფხვებს“ სანვაესა და ნედლეულს ამ უკანასკნელთა მიერ წარმოებული საქონლისა და კაპიტალიზაციისტიციების სანაცვლოდ აწვდიდნენ. სამოცდაათიანი წლების ბოლოს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) ქვეყნები უკვე უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საკუთარი, როგორც ჩრდილოეთის ინდუსტრიალიზებული ქვეყნებისათვის პირველადი პროდუქტების მიმწოდებელი ქვეყნის, როლით. წარმატებული

სავაჭრო პარტნიორობის მიზანძვის სურვილით, ამ ქვეყნებმაც წამოიწყეს ინდუსტრიალიზაციის ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა, რისთვისაც, იაფი საფეიქრო და სხვა შრომატევადი პროდუქციის ბაზარზე გატანის მიზნით, მათ ხელთ არსებულ იაფ მუშახელს ეყრდნობოდნენ. მალე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) ქვეყნებმა წლიური ეკონომიკური ზრდის შთამბეჭდავ მაჩვენებლებს მიაღწიეს და საკუთარი წარმოების პროდუქციის გასასაღებლად უცხოურ ბაზრებზეც გავიდნენ. თუმცა, ინდუსტრიალიზაციის გზა ამ ქვეყნებისთვის იოლი არ ყოფილა. დაქვემდებარება ნედლეული მასალის ექსპორტზე მათი ეკონომიკური ზრდის ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა, როდესაც სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ნედლეულ რესურსებზე ფასები დაეცა. ეკონომიკური ზრდის დასაფინანსებლად მათ უზარმაზარი საგარეო ვალების აკიდება დაჭირდათ, ამ ვალების დაბრუნება კი მათთვის უფრო და უფრო რთული ხდებოდა. სწრაფმა ეკონომიკური მოდერნიზაციის პროგრამებმა მწვავე სოციალური პრობლემები წარმოშვეს, როდესაც გაღატაკებული გლეხობა სამუშაოს საპოვნელად ისედაც გადაჭედულ ქალაქებს მიადგა, ხოლო სოფლად დარჩენილები მიწის არასწორი განაწილების გამო იტანჯებოდნენ. ამ ყველაფერს ამბოხებები და, საპასუხოდ, მთავრობების მხრიდან მკაცრი რეპრესიები მოჰყვა. მალე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) ქვეყნების მცდელობას, გაპყლოდნენ იაპონიისა და ოთხი „აზიური ვეფხვის“ განვითარების გზას აზიაში წამყვანი ადგილის დასაკავებლად, ახალი კონკურენტი გამოუჩნდა რეგიონის კიდევ ერთი მძიმენონიანი ქვეყნის სახით, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და აზიაში ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალით იწონებდა თავს.


ჩინეთის გამოფხიზლება: ღენ სიაოპინის რეპოლუცია

ერთ-ერთ წინა თავში აღვნიშნეთ, რომ ჩინეთ-ამერიკის დაახლოება სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო მათი შეშფოთებით საბჭოთა კავშირის სამხედრო ექსპანსიის გამო და, გარდა ამისა, ორმხრივად სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივით. თუმცა, მართალია, ჩინეთ-ამერიკის დაახლოებამ ათწლეულის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალის დაბალანსების მიზანს მიაღწია, მაგრამ ამერიკელმა ბიზნესმენებმა, რომლებსაც თვალი ეჭირათ ჯერ კიდევ აუთვისებელი ჩინური ბაზრის 800 მილიონ მომხმარებელზე, და, კიდევ უფრო მეტად, ჩინეთის პრემიერ ჯოუ ენლაის მოკავშირე ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნებიდან ვაჭრობის განვითარებას, ეკონომიკურ დახმარებას, სესხებს, ინვესტიციებსა და ტექნოლოგიების გაზიარებას ელოდნენ – მწარე იმედგაცრუება განიცადეს.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩინელების პირველი შეტევა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაზე წარუმატებლად განხორციელდა და კოლოსალური კრახით დასრულდა. 1976 წელს მათ ძედუნის სიკვდილის შემდეგ, მისმა მემკვიდრემ ჰუა გოფენმა ჩინეთის ეკონომიკის მოდერნიზების ცუდად დაგეგმილი კამპანია წამოიწყო, რომელიც, სახელმწიფო დაგეგმვის გზით, მძიმე მრეწველობის ხელშეწყობასა და ინდუსტრიალიზებული ქვეყნებიდან ინვესტიციებისა და სესხების მოთხოვნას გულისხმობდა. ზედმეტმა სესხებმა, მულტინაციონალურ კომპანიებთან არამომგებიანმა კონტრაქტებმა, ცუდმა დაგეგმვამ და ფლანგვამ ჩინეთის ეკონომიკის განვითარება შეაფერხა. ტექნიკური, მენეჯერული და სამეწარმეო გამოცდილების სიმწირე, რასაც თან ერთვოდა არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა, ხელს უშლიდა იაპონიიდან, შეერთებული შტატებიდან და ევროპის გაერთიანებიდან შემოსული ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენებას. 1974-1977 წლებში, ჩინეთის სოფლის მეურნეობის არასაკმარისი პროდუქტიულობის გამო, მთელი ქვეყანა შიმშილმა მოიცვა, რის გამოც აუცილებელი გახდა სურსათის იმპორტის გაზრდა. ჩინეთი სურსათის შესაძენად აუცილებელი ფინანსების მოსაპოვებლად საკმარისი რაოდენობის ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტს ვერ ახერხებდა, რამაც 1978 წელს მათს შემდგომი განვითარების სტრატეგიის პირველი ფუნდამენტური გადაფასება და სამრეწველო პროექტების გაუქმება ან შემცირება გამოიწვია.

სამოცდაათიანი წლების ეკონომიკური მოვლენების შემდეგ, ჩინეთისათვის ნათელი გახდა, რომ ეკონომიკური მოდერნიზაციის საუკეთესო გზა ავტარკიული თვითკმარობის ძველი, მაოისტური გეგმის ნარჩენებზე უარის თქმა და განვითარების ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება იყო, რომელიც საერთაშორისო ფინანსურ და სავაჭრო სისტემაში სრულ ინტეგრაციაზე იქნებოდა გათვლილი. ასეთი გეგმის პროექტი იოლად ხელმისაწვდომი იყო: მაშინ, როცა ჩინეთის მრეწველობა ჩამორჩენილობის ქაობში ჩაფლულიყო, აღმოსავლეთაზიურ „ვეფხვებს“ უკვე გადალახული ჰქონდათ საკუთარი წინააღმდეგობები და ეკონომიკური ზრდის შთამბეჭდავი შედეგებისთვისაც მიეღწიათ. ჩინეთის ლიდერი, რომელმაც განვითარების ახალი სტრატეგიის განხორციელებას მიჰყო ხელი, დენ სიაოპინი იყო – მათს მმართველობის ბოლო წლებში მისი პრემიერმინისტრ ჯოუ ენლაის თანამოაზრე. 1978-1981 წლებში დენ სიაოპინმა თანდათან გზიდან ჩამოიშორა ოპონენტები (მათ შორის, მათს სიკვდილის შემდეგ ამ პოსტზე თავისივე მეტოქე ჰუა გოფენიც), რომლებიც პირდაპირ სდებდნენ მას ბრალს საერთაშორისო კაპიტალისტური წესრიგის სამსახურში ჩინეთის ჩაყენებასა და ამით ორთოდოქსული მაოიზმის პრინციპების ლალატში.

დენ სიაოპინის მოდერნიზაციის ამბიციური პროგრამა ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტურ გადაკეთებას მოითხოვდა. 1950-დან 1980



ჩინეთის ვიცეპრემიერი დენ სიაოპინი (1904-1997) და შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯიმი კარტერი (1924-) თეთრ სახლში 1979 წლის 29 იანვარს: ამ დროს, პრეზიდენტი ნიქსონის ეიზიტიდან 7 წლის შემდეგ, შეერთებულ შტატებს სულ ახალი აღიარებული პყავდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სტუმრად მყოფმა ჩინელმა ლიდერმა საჯაროდ გამოხატა სინანული „ჩვენს შორის ოცდაათწლიანი უსიამოვნებების გამო“. ერთი წლისთავე ორმა სახელმწიფომ კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა საგარეო პოლიტიკაში და ერთობლივად დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრასა და მის ოკუპაციას.

წლამდე ჩინეთმა, მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით, უზარმაზარი სამრეწველო აპარატი ჩამოაყალიბა. ერთადერთი საგარეო დახმარება ჩინეთმა საქარხნე დანადგარების სახით საბჭოთა კავშირისგან ორმოცდაათიან წლებში მიიღო. საბჭოთა მოდელის შესაბამისად, რესურსები სახელმწიფოს მიერ მართულ მძიმე მრეწველობის ისეთი დარგებისკენ მიემართებოდა, როგორცაა: თავდაცვა, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და ნავთობწარმოება. საქონელი მთავრობის გეგმის მიხედვით და არა მოთხოვნა-მონოდების საფუძველზე იწარმოებოდა, ხოლო წარმოება ორიენტირებული იყო შიდა მოხმარებაზე და არა ექსპორტზე. დენ სიაოპინმა, ერთი მხრივ, მძიმე მრეწველობიდან მსუბუქე მრეწველობაზე და, მეორე მხრივ, იმპორტის შემცველი წარმოებიდან ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაზე გადასასვლელად გაბედული კამპანია წამოიწყო. მარქსიზმ-ლენინიზმის ორთოდოქსულ მოძღვრებას მან მცირე დოზით თავისუფალი ბაზრისა და კერძო საკუთრების გაგება შემატა. შედეგად, ჩინეთმა, 1949 წლის რევოლუციის შემდეგ, ყველაზე შთამბეჭდავი ტრანსფორმაცია განიცადა.

ჩინეთი კარებს ხსნის

ჩინეთის განვითარების სტრატეგია ოთხმოციან წლებში მთლიანად ეფუძნებოდა ე.წ. ღია კარის პრინციპს, რომელიც, ერთ დროს დასავლურ იმპერიალიზმთან ასოცირებული ეპითეტი იყო: ამ ღია კარის საშუალებით ჩინეთში სესხები, ინვესტიციები, ექსპორტ-იმპორტი, ტექნოლოგია და ტურისტები შედიოდნენ, ხოლო ჩინელი სტუდენტები საპირისპირო მიმართულებით, დასავლეთის ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოებისაკენ მიდიოდნენ იმ განათლებისათვის, რომელსაც შინ ვერ მიიღებდნენ. თუმცა, ეს კარი ჩინეთის მხოლოდ ერთი ნაწილისთვის იყო ღია, რადგან ქვეყანა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მიზნებიდან გამომდინარე, ორ გეოგრაფიულ ნაწილად იყო გაყოფილი: ქვეყნის შუაგული – ჩამორჩენილი, დაბალგანვითარებული არაურბანული ნაწილი – ძირითადად მონყვეტილი რჩებოდა გარესამყაროს. მისი როლი ქვეყანაში მეორეხარისხოვანი იყო: ჩინეთის ამ ნაწილს ევალებოდა, დასაქმებული ყოფილიყო ჩინეთის ახლადფეხადგმული მრეწველობის სფეროებში და პროდუქცია მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის ეწარმოებინა. ჩინეთის სანაპირო ზოლის რეგიონები, სადაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ცხოვრობდა, მჭიდროდ ჩაება საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსურ სისტემაში იმ იმედით, რომ საგარეო ვაჭრობა და კაპიტალი მთელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას წაადგებოდა.

სანაპირო რეგიონების განვითარების სტრატეგიის პირველი ეტაპი 1979 წელს ოთხი „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის“ შექმნით დაიწყო, რომელიც სამხრეთულ ქალაქებს მოიცავდა: შენჟენს, ჩუჰაის, შანტოუსა და სიაშინს. მსუბუქი მრეწველობით დაინტერესებულ უცხოელ ინვესტორებს ამ რეგიონებში ჩინელ კომპანიებთან ერთად ერთობლივი საწარმოების ჩამოსაყალიბებლად ან მთლიანად მათ მფლობელობაში მყოფი ფილიალების ასამოქმედებლად საგადასახადო ნახალისების საშუალებით იზიდავდნენ, რითაც ხელი ეწყობოდა ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებას. 1983 წლის ბოლომდე ხელი მოეწერა 188 კონტრაქტს მულტინაციონალურ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების დასაარსებლად, ძირითადად ტურიზმის, მშენებლობის, საფეიქრო და ნავთობმოპოვების სფეროებში. 1984 წელს ჩინეთის მთავრობამ კიდევ თოთხმეტი სანაპირო ქალაქი და ჰაინანის კუნძული გამოაცხადა უცხოური კაპიტალისათვის გადასახადებისგან თავისუფალ ზონად. ბედის ირონიით, სწორედ იგივე პორტები, საიდანაც დასავლეთის სავაჭრო ინტერესგუფები იმპერიული და რესპუბლიკური ჩინეთის ეკონომიკას მართავდნენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაშიც საგარეო ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების მთავარ პუნქტებად იქცნენ. ოთხმოციან წლებში, იმპერიული ჩინეთისდროინდელი შანხაის რეგიონი ჩინეთის მთლიანი ექსპორტის თხუთმეტ პროცენტს და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის სამოცდაათ პროცენტს (ტანსაცმელი, საფეიქრო ნაწარმი, ველო-

სიპედები და საკერავი მანქანები) ანარმობდა. შანხაის მცხოვრებლებს ერთ სულ მოსახლეზე 1 800 დოლარის ოდენობის შემოსავალი ჰქონდათ, რითაც ტაივანისა და სამხრეთ კორეის მცხოვრებლებს უტოლდებოდნენ (სწორედ ამ ორი ქვეყნის თავისუფალი ექსპორტის ზონების მიბაძვით შეიქმნა ჩინეთის სამხრეთი სანაპიროების თავისუფალი ზონები). სხვა წარმატებული პარალელები მოიცავდა შენჟენ-ჰონგ-კონგს და ჩუჰაი-მაკაოს. თვალისმომჭრელი კონტრასტი სანაპირო რეგიონების მზარდ კეთილდღეობასა და ცენტრალური ჩინეთის ჩამორჩენილ ყოფას შორის ორი სხვადასხვა ქვეყნის შთაბეჭდილებას ქმნიდა: ერთი, რომელიც ინდუსტრალიზებული სამყაროს ნაწილი ხდებოდა, ხოლო მეორე, რომელიც მესამე სამყაროს ან, როგორც ზოგიერთი ქვეყანა უწოდებდა, მეოთხე სამყაროს ლატაკ ქვეყნად რჩებოდა.

ჩინეთისა და იაპონიის ეკონომიკის ურთიერთშემავსებელი ხასიათიდან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ჩინეთის ჩართვის ყველაზე აქტიურად ხელშემწყობი ქვეყანა იაპონია იყო, რომელმაც ასევე ყველაზე მეტად ისარგებლა ამ პროცესით. ჩინეთს ჰქონდა ნავთობი, ქვანახშირი და სხვა სტრატეგიული ნედლეული რესურსები, რომელიც იაპონიას ესაჭიროებოდა, ხოლო იაპონიას ჰქონდა კაპიტალი, ტექნოლოგიები და მაღალი დონის სამრეწველო საქონელი, რომელიც ჩინეთს სჭირდებოდა. როდესაც იაპონია წყნარი ოკეანის გადაღმა თავისი მთავარი სავაჭრო პარტნიორისგან პროტექციონისტულ ტენდენციებს ნააწყდა, აზიის კონტინენტის უზარმაზარი პოტენციური ბაზრის ცდუნებისათვის გაძლება შეუძლებელი გახდა. 1985 წელს ჩინეთი, შეერთებული შტატების შემდეგ, იაპონიის მეორე მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა. ეს მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირები მჭიდრო ფინანსური ურთიერთობების პარალელურად ვითარდებოდა: ჩინეთმა 1979-1983 წლებში მიღებული უცხოური კრედიტების ნახევარი იაპონიისგან მიიღო; იაპონიის პირდაპირმა ინვესტიციებმა ჩინეთში 1985 წელს ას მილიონ დოლარს, ხოლო 1987 წელს 2.2 მილიარდ დოლარს მიაღწია.

იაპონიის შემდეგ, ჩინეთის კიდევ ერთი დიდი ეკონომიკური პარტნიორი ოთხმოციან წლებში შეერთებული შტატები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩინურ-ამერიკული ვაჭრობა ჩინეთ-იაპონიას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების ღირებულების მხოლოდ ნახევარს შეადგენდა, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობამ მათ შორის არსებული საერთო სტრატეგიული ინტერესიც კი დაჩრდილა მას შემდეგ, რაც რუსეთიდან მომავალი საფრთხე შესუსტდა. ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ბრუნვა 1977 წელს – დენ სიაოპინის საექსპორტო სტრატეგიის ამოქმედებამდე – 375 მილიონი დოლარიდან, 1979 წელს 2.3 მილიარდ დოლარამდე, ხოლო 1980 წელს ხუთ მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ჩინეთი, რომლის მუშახელის ღირებულება საათში 60 ცენტს შეადგენდა, მაქსიმალურად იყენებდა, იაფი მუშახელიდან

გამომდინარე, შედარებით უპირატესობას იაპონიასთან მიმართებაში, სადაც მუშახელი საათში 12 დოლარი ღირდა, და შეერთებულ შტატებთან მიმართებაში, სადაც შრომა საათში 20 დოლარი ჯდებოდა. ოთხმოციან წლებში ჩინეთმა, როგორც შეერთებული შტატებისათვის იაფფასიანი ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის მთავარმა მიმწოდებელმა, თანდათან ჩაანაცვლა „აღმოსავლეთაზიური ვეფხეები“. ოთხი ძირითადი პროდუქტი, რომელსაც ჩინეთი ოთხმოციან წლებში შეერთებული შტატებიდან იღებდა, იყო: სურსათი მიღვესტიდან, კაპიტალი, ტექნოლოგია და მენეჯერული და ტექნიკური უნარ-ჩვევები. 1988 წლისათვის შეერთებული შტატების ფირმებს სამი მილიარდი დოლარის ოდენობის საინვესტიციო ვალდებულებები ჰქონდათ დაახლოებით ოთხასამდე ერთობლივ საწარმოში, რომლებიც ჩინეთის სამხრეთის სანაპიროზე არსებულ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში მდებარეობდნენ. 1970-იანი წლების სწრაფი მოგების მაძიებელი ამერიკელი მწარმოებელსგან განსხვავებით, ეს ბიზნესმენები გრძელვადიანი პერსპექტივით ახანდებდნენ. ამის ტიპური მაგალითია შეერთებული შტატების ნავთობკომპანიებთან ოთხმოციანი წლების დასაწყისში გაფორმებული კონტრაქტები ჩინეთის ნავთობის უზარმაზარი ოფშორული მარაგების ამოქმედების შესახებ. 1982 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები ჩინეთის ექსპორტის უკვე 21 პროცენტს შეადგენდა. 1988 წელს ჩინეთი, შეერთებული შტატების დახმარებითა და იაპონური პირდაპირი ინვესტიციების წყალობით, მსოფლიოში მეხუთე ნავთობმწარმოებელ ქვეყნად იქცა. 1979-1987 წლებში ჩინეთში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 7 მილიარდ დოლარს გადააჭარბა და ეს იმ დროს, როდესაც უცხოური კერძო კაპიტალი სხვა განვითარებად ქვეყნებში, ფაქტობრივად, მიუწვდომელი იყო.

1978 წლის შემდეგ ჩინეთის პოლიტიკა, უცხოური ტექნოლოგიების მოზიდვის მხრივ, მნიშვნელოვნად შეიცვალა. როგორც ვიხილეთ, ორმოცდაათიან წლებში ჩინეთი ტექნოლოგიას საბჭოთა კავშირისგან მთლიანი ქარხანა-დანადგარების სახით იღებდა, ძირითადად, მძიმე მრეწველობის დარგებში, როგორცაა: მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა და ქიმიური მრეწველობა. სამოციან წლებში, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის განხეთქილების გამო, საბჭოთა ტექნოლოგიების შემოტანის შეწყვეტამ ჩინეთი კვლავ საკუთარი მწირი ტექნოლოგიური რესურსების იმედზე დატოვა. შემდგომ, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კაპიტალისტური სამყაროსადმი ღია პოლიტიკამ უცხოური შესყიდვები გაზარდა, თუმცა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ადეკვატურად მომზადებული მმართველი და ტექნიკური კადრების არარსებობამ ხელი შეუშალა ჩინეთს, სათანადოდ გამოეყენებინა ტექნოლოგიების ეს იმპორტი. ოთხმოციან წლებში ჩინეთმა უარი თქვა მთლიანი ქარხანა-დანადგარების შექმნის ძველ პრაქტიკაზე და უფრო დისკრიმინაციულ სტრატეგიაზე გადავიდა, რაც, შეერთებული შტატებისგან, იაპონიისგან და ევროპის

გაერთიანებისგან, ლიცენზიებისა და ერთობლივი სანარმოების საშუალებით, მთავარი ტექნოლოგიებისა და შერჩეული აღჭურვილობების შექმნას გულისხმობდა. ამ სტრატეგიის გრძელვადიანი მიზანი უცხოურ წყაროებზე დამოკიდებულების შემცირება და შიდატექნოლოგიური ბაზის შექმნა იყო.

სათანადო ინფრასტრუქტურის გარდა, ჩინეთში იმპორტირებული ტექნოლოგიების სრულად გამოყენებას მართვისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების დეფიციტიც უშლიდა ხელს. საგანმანათლებლო სისტემის დაბალი დონის გამო, რომელსაც სამოციანი წლების კულტურული რევოლუციის შედეგად წარმოქმნილი ანტიინტელექტუალიზმის ტალღა კიდევ უფრო ამწვავებდა, ჩინეთს დენ სიაოპინის ეკონომიკური მოდერნიზაციის პროექტში მონაწილეობისათვის საკმარისი მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მენეჯერები არ გააჩნდა. ერთადერთი გამოსავალი უნარ-ჩვევების უცხოეთიდან მოზიდვად რჩებოდა. 1978-დან 1988 წლამდე ჩინეთიდან უცხოურ უნივერსიტეტებში (რომელთა ორი მესამედი შეერთებულ შტატებში მდებარეობდა) 50 000-მდე სტუდენტი გაემგზავრა, რათა ის საგნები და ტექნიკა შეესწავლათ, რომელსაც შინ არადაამაკმაყოფილებლად ასწავლიდნენ. ამ სტუდენტების ჩინეთში დაბრუნება ჩინეთის ხელისუფლებისათვის ცალსახად სასიხარულო მოვლენა არ იყო. სტუდენტები, ჩინეთის სამრეწველო განვითარებისათვის მეტად აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნასთან ერთად, დასავლურ კულტურულ ფასეულებებსა და პოლიტიკურ იდეებსაც გაეცნენ. ჩინეთის ქუჩებში მაკიაჟიანი ქალების, ლურჯ ჯინსებში გამოწყობილი ვაყების, როკის, ნარკოტიკისა და ქორწინებამდელი სექსის შესახებ გათვითცნობიერებული მოზარდებისა და სხვა „დასავლური“ ჩვევების მქონე ახალგაზრდების გამოჩენა არღვევდა მაოიზმის პურიტანულ ეთიკას, რომელიც, ოთხმოციანი წლების რევოლუციური ეკონომიკური ინოვაციების მიუხედავად, ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული. ხუმრობის გარეშე, დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც ჩინელმა სტუდენტებმა შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში გაითავისეს, ჩინეთში ჯერ კიდევ მოქმედ ავტორიტარულ, ერთპარტიულ სისტემას საფრთხეს უქმნიდა.

კაპიტალისტური გზის არჩევა

მსოფლიოს განვითარებული ნაწილისგან ორმხრივი სესხებისა და პირდაპირი ინვესტიციების ძიების გარდა, დენ სიაოპინის ჩინეთი დახმარებას ითხოვდა მულტინაციონალური ორგანიზაციებისგანაც, რომლებიც მესამე სამყაროს ფინანსურ მოთხოვნილებებზე მუშაობდნენ. ჩინეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდს 1980 წელს შეუერთდა და მალევე მიიღო ამ ორგანიზაციის სესხი დეფიციტური საგადასახადო ბალანსის შესავსებად. იმავე წელს ჩინეთი მსოფლიო ბანკსაც მიუერთდა და გრძელვადიანი განვითარების პროექტებისთვის სესხების მიღება დაიწყო. 1986 წელს ჩინეთმა ნევრო-

ბისათვის „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების“ ორგანიზაციასაც მიმართა, რაც მისთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა უცხოეთის ბაზრებს, მაგრამ ასევე შიდაეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკის გამჟღავნების ვალდებულებას დააკისრებდა. ჩინეთის ინტერესი, განეკრიანებულიყო დასავლეთის მიერ მართულ ამ სამ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელთაც ამ ქვეყნის მაოისტი ხელმძღვანელობა დიდი ხნის განმავლობაში გამობდა, როგორც იმპერიალისტური ჰეგემონიის ინსტრუმენტებს, მიანიშნებდა ჩინეთის ენთუზიაზმზე, რომ კაპიტალისტური სამყაროს ნაწილი გამხდარიყო.

ჩინეთის ეს პოლიტიკა მის მიერ მესამე სამყაროს ქვეყნების მიტოვებასაც ნიშნავდა, რომელთა ინტერესების დაცვასაც ზესახელმწიფოების წინააღმდეგ ის მაოისტურ წლებში მისდევდა. სამოცდაათიანი წლების ბოლოს ჩინეთმა შეწყვიტა მესამე სამყაროსათვის დახმარების პროგრამები და მალე, როგორც უკვე ვიხილეთ, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან და დასავლური ბანკებისგან სესხების, ეკონომიკური დახმარებისა და პირდაპირი ინვესტიციების მისაღებად, მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის კონკურენციის განევაც დაიწყო. ოთხმოციანი წლების შუაში ჩინეთს ერთ სულ მოსახლეზე 280 დოლარის შემოსავლით 169 ქვეყანას შორის 130-ე ადგილი ეკავა. ჩინეთის მაოსშემდგომმა ხელმძღვანელობამ მტკიცედ უარყო მესამე სამყაროს ქვეყნების დამცველ ინტელექტუალთა მიერ გავრცელებული ნეომარქსისტული „დაქვემდებარების თეორია“, რომელიც ქვეყნების თვითმკმარობასა და კაპიტალისტური სისტემისგან იზოლაციას ქადაგებდა. ახალმა ხელმძღვანელობამ ასევე უარყო მსოფლიო სიმდიდრის ჩრდილოეთიდან სამხრეთზე გადაცემის რადიკალური კონცეფცია, რომელიც „ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგთან“ იყო ასოცირებული. ამის ნაცვლად, ჩინეთმა უპირობოდ აირჩია, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების, შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და შედარებითი უპირატესობის გამოყენების საშუალებით, ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასავლურ-ლიბერალური მოდელი, რომელიც მას საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო სისტემაში უფრო სრულ ინტეგრაციას (და არა იზოლაციას ან სისტემის რადიკალურ რესტრუქტურზაციას) კარნახობდა.

ოთხმოციანი წლებში ჩინეთის ეკონომიკური მიღწევები შთამბეჭდავი იყო: მისი საგარეო ვაჭრობა 1980 წელს 38.6 მილიარდი დოლარიდან 1987 წელს თითქმის 80 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, უცხოური ვალუტის მოზიდვის მთავარი წყარო კი ნავთობი, ნავთობპროდუქტები, საფეიქრო ნაწარმი და ტანსაცმელი იყო. ოთხმოციანი წლებში ჩინეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები „აზიური ვეფხვების“ მაჩვენებლებს აღემატებოდა. ჩინეთს ასევე ჰქონდა ერთი უპირატესობა, რომლის გამოყენება მას, მოგვიანებით, აზიაში ეკონომიკური პირველობისათვის ბრძოლაში შეეძლო. ეს უპირატე-

სობა მის უხვ ბუნებრივ ნედლეულსა და ნავთობის მარაგში მდგომარეობდა, რაც ჩინეთს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა ისეთ მეტოქეებთან, როგორც იაპონია და „აზიური ვეფხვები“ იყვნენ“. ასე იყო თუ ისე, აზიის დიდი ხნით მთვლემარე გოლიათმა გამოიღვიძა და ჯერ კიდევ უცნობი იყო, რა შედეგები მოჰყვებოდა ამას მისი მეზობელი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოსათვის.

პეკინი-ვაშინგტონის გლობალური პარტნიორობა

სამოცდაათიან წლებში, როდესაც ჩინეთი რადიკალურად ცვლიდა თავის ეკონომიკურ პოლიტიკას, იმავდროულად, იცვლებოდა ჩინეთის დიპლომატია და უსაფრთხოების პოლიტიკა და წარსული წლების პრაქტიკისგან მკვეთრად განსხვავებული ხდებოდა. რაც შეეხება დიპლომატიას, დენ სიაოპინმა მთლიანად უარყო მათს დოქტრინა, რომლის თანახმად, ორივე ზესახელმწიფო ჩინეთის მეტოქედ მიიჩნეოდა და უპირატესობა შეერთებულ შტატებთან სრულ დაახლოებას მიანიჭა, რამდენადაც უფრო დიდ საფრთხედ სწორედ მოსკოვს აღიქვამდა. 1976 წელს ე.წ. „ოთხეულის ბანდის“ (რომელიც მათს ქვრივს, ძიან ცინს და მის სამ თანამოაზრეს მოიცავდა) დაპატიმრება და 1980 წელს ციხეში ჩასმა კომუნისტური პარტიის იმ ფრაქციისთვის გამარჯვებას ნიშნავდა, რომელიც დასავლეთთან დაახლოების წინააღმდეგი იყო. შეერთებულ შტატებთან ჩინეთის მზარდი დიპლომატიური თანამშრომლობა უკვე აშკარა გამხდარიყო აფრიკის კონტინენტზე, სადაც 1975-1976 წლებში ჩინეთმა მხარი დაუჭირა შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ აფრიკას ანგოლაში საბჭოთა კავშირის მიერ ზურგგამაგრებული მთავრობის წინააღმდეგ ანტიკომუნისტურ ამბოხებაში, ხოლო 1977-1978 წლებში ასევე გვერდში ამოუდგა შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს ზაირში, საბჭოელების მიერ მხარდაჭერილი ამბოხებისაგან, მობუტუს პროდასავლური რეჟიმის გადასარჩენად; ამავე დროს კი, აფრიკის არაერთი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში კუბელების სამხედრო ჩარევასაც გმობდა.

1978 წლის ბოლოს დენ სიაოპინმა დიდი ხნის ნანატრ პოლიტიკურ გარღვევასაც მიალწია, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულება. 1978 წლის 15 დეკემბერს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა გამოაცხადა, რომ ჩინეთთან ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები 1979 წლის პირველი იანვრიდან დაიწყებოდა, ხოლო შეერთებულ შტატებსა და ტაივანს შორის 1954 წელს დადებული თავდაცვის ხელშეკრულება ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან ერთი წლისთავზე ამოიწურებოდა. ამის შემდეგ, ურთიერთობები ვაშინგტონსა და ტაიპეის შორის – აზიაში კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორ დიდი ხნის პარტნიორს შორის – მხოლოდ შეერთებული შტატებისაგან ტაივანისათვის თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვით შემოიფარგლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაბიჯი შეერთებული შტატების მხრიდან სერიოზულ კომპრომისს წარმოადგენდა, შეთანხმება ტაივანის მიმართ ჩინეთის უფრო ზომიერ პოლიტიკასაც გულისხმობდა. მართალია, პეკინი ოფიციალურად უარს არ ამბობდა კუნძულის შემოერთებისათვის იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე, მაგრამ ის ხშირად მოუწოდებდა ტაიპეის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ ისე, რომ დაცული ყოფილიყო ტაივანის განსაკუთრებული ეკონომიკური წყობა.

აფრიკაში ამერიკისა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკის დაახლოებამ და ვაშინგტონსა და პეკინს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამ სწორედ იმ დროს გაუხსნა გზა მათ ორმხრივ თანამშრომლობას აზიის რეგიონში, როდესაც იქ განვითარებულმა ორმა მოვლენამ აზიაში არსებული ძალთა ბალანსი მათი საერთო მეტოქის – საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გადახარა. პირველ მოვლენას ახლადგაერთიანებული კომუნისტური ვიეტნამის* სულ უფრო და უფრო ანტაგონისტური ქმედებები წარმოადგენდა. 1978 წლიდან ჩინეთის ურთიერთობები „ამერიკული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ მებრძოლ ამ ყოფილ მოკავშირესთან თანდათან გაუარესდა. განხეთქილების საბაზი ვიეტნამში მრავალრიცხოვანი ჩინური უმცირესობის მდგომარეობა გახდა, რომლებიც ძირითადად ქალაქებში ცხოვრობდნენ და წამყვანი ადგილი ეკავათ მოვაჭრე კლასებს შორის. ეთნიკურმა ანტაგონიზმმა, სოციალურ-ეკონომიკურმა უკმაყოფილებამ და ეჭვმა, რომ ჩინელი მოქალაქეები ვიეტნამში ჩინეთის ინტერესების გამტარებელ მეხუთე კოლონას წარმოადგენდნენ, აიძულა ჰანოი, ქალაქში მცხოვრები ჩინელებისათვის ქონების ჩამორთმევისა და მათი სოფლად გადასახლების კამპანია წამოეწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი პოლიტიკის შედეგად, დენ სიაოპინმა თავისი თანამემამულეების სახელით მკაცრი პროტესტი გამოხატა.

ვიეტნამში ეთნიკური ჩინელების მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებული ჰუმანიტარული მიზნების ფასადის უკან, ჩინეთის უფრო ღრმა შიში იგრძნობოდა, რომ თანდათან საბჭოთა კავშირისა და მისი კლიენტი სახელმწიფოს – როგორც ამას პეკინი მიიჩნევდა – ვიეტნამის ალყაში ექცეოდა. შეერთებულ შტატებთან ომის დროს ჩინეთის მხრიდან ერთგული მხარდაჭერისა და სამხედრო დახმარების მიუხედავად, 1978 წელს ვიეტნამის მიერ გადადგმულმა რამდენიმე ნაბიჯმა საბჭოთა კავშირის მიმართ მისი ერთგულება გაამყარა. ივნისში ვიეტნამი საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ მოქმედი ეკონომიკური ასოციაციის „ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს“ (Comecon) წევრი გახდა, პასუხად კი ჩინეთმა ვიეტნამს ყველა სახის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება შეუწყვიტა. ნოემბერში ვიეტნამმა ხელი

* ჩრდილოეთი და სამხრეთი ვიეტნამი 1976 წელს, შეერთებული შტატების მხარდაჭერილი რეჟიმის მარცხიდან ერთი წლისთავზე, გაერთიანდა საიგონში (შემდეგ უკვე პო ში მინ სიტში).

მოანერა მეგობრობის ხელშეკრულებას მოსკოვთან, რომელიც ამ ქვეყანაში საბჭოთა სამხედრო-სამავერო და საზღვაო შენაერთების განლაგებას ითვალისწინებდა. კრემლისგან მიღებული ამ მხარდაჭერით თავდაჯერებულმა ვიეტნამმა 1978 წლის დეკემბერში მის მეზობლად ახლადშექმნილი კომუნისტური სახელმწიფოს – კამბოჯის (რომელსაც კამპუჩია ეწოდა) წინააღმდეგ აგრესია წამოიწყო. შეიარაღებული შეტევის (რომელიც მალე წარმატებით დასრულდა) მიზანი ჩინეთის ფავორიტი „კხმერ რუჟის“ (წითელი კხმერების) დიქტატორის პოლ პოტის რეჟიმის დამხობა და პნომ პენში ვიეტნამის მარიონეტული მთავრობის დასმა იყო. ჰანოის მხრიდან ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე რეგიონული ჰეგემონიის მოპოვების მცდელობა ჩინეთს აგრესიული, მტრულად განწყობილი სამხრეთელი მეზობლის პირისპირ ტოვებდა, რომელიც ამავე დროს შეკრული იყო პეკინის მთავარ მეტოქესთან ჩრდილოეთით, საიდანაც სამხედრო შეიარაღება და შშ-20 რაკეტები უკვე დაემიზნებინათ ჩინეთის ქალაქებისათვის. 1979 წლის თებერვალში ჩინეთმა, ვიეტნამელთა ქმედებებზე საპასუხოდ, ამ ქვეყანაში სამხედრო ძალები გააზავნა „ვიეტნამელებისათვის ჭკუის სასწავლებლად“, თუმცა ორიოდ თვეში პეკინმა სამხედრო ძალები უკანვე გაიყვანა ისე, რომ ვიეტნამელებმა ჭკუის სწავლა ვერ მოასწრეს და ვიეტნამური სამხედრო შენაერთები კვლავ კამბოჯაში დარჩნენ.

ვიეტნამელების სამხედრო თავდასხმამ კამბოჯაზე კიდევ უფრო გაამყარა ვაშინგტონსა და პეკინს შორის თანამშრომლობა. როდესაც პოლ პოტმა და მისმა „კხმერ რუჟმა“ პნომ პენიდან უკან დაიხიეს და ქვეყნის პროვინციაში განლაგებული პარტიზანული ბაზებიდან შეუდგნენ მარიონეტულ მთავრობასთან ბრძოლას, შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა ერთად აღიარეს ის, როგორც კამბოჯის ლეგიტიმური ლიდერი და ტაილანდიდან მისი სამხედრო მასალებით მომარაგებასაც შეუდგნენ. ეს კი თანდათან გამომზეურებული ფაქტების მიუხედავად ხდებოდა, რომელთა თანახმად, პოლ პოტი ავტორი იყო საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მონყობილი გენოციდის საზარელი აქტისა, რომელმაც, 1975 წელს მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მილიონამდე ადამიანი შეიწინა.

ვაშინგტონისა და ჩინეთის ახლადგაკვირტული თანამშრომლობის მეორე მნიშვნელოვანი წყარო 1979 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრა იყო, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ჩინეთის შიში საბჭოთა ალყაში მოქცევის შესახებ და შეერთებული შტატების შემფოთება სპარსეთის ყურეში ნავთობის მარაგის უსაფრთხოების გამო. ორი ქვეყნის მთავრობები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ავღანეთში, პაკისტანის გავლით, ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობის მომარაგების კუთხით და კოორდინირებულად აწარმოებდნენ მწვევე დიპლომატიურ კამპანიას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, რაც ასევე, ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის მიერ სამხედრო ძალების გაყვანის იძულების მიზნით, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტსაც გულისხმობდა.

დაუმთავრებელი საქმე: ტაივანი და ჰონგ-კონგი

1981 წელს შეერთებულ შტატებში რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლამ ჩინურ-ამერიკულ ურთიერთობებში უთანხმოების მარცვალ ჩააგდო, რაც ტაივანის საკითხს უკავშირდებოდა. საპრეზიდენტო კამპანიისას რეიგანი ბრალს სდებდა კარტერს ამერიკის სანდო მოკავშირის, ტაივანის, მიტოვებაში და ტაიპეის მთავრობასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბრობდა.^{*} 1981 წლის ივნისში პრეზიდენტმა რეიგანმა შეცვალა ტაივანთან დაშორების კარტერისეული პოლიტიკა და კუნძულისათვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვის ნებართვა გასცა, რამაც პეკინის აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, რეიგანის ანტისაბჭოთა გეოპოლიტიკურმა მიზნებმა საბოლოოდ მაინც გადაწონა მისი ემოციური დამოკიდებულება კუნძულ ფორმოზაზე (ტაივანი) მყოფ ძველი ჩინური ნაციონალისტური მთავრობის მიმართ. 1982 წლის აგვისტოში მიღწეულ იქნა კომპრომისული შეთანხმება, რომლის მიხედვით ვაშინგტონი თანდათან შეამცირებდა ტაივანისათვის სამხედრო დახმარებას, პეკინი კი, სანაცვლოდ, კუნძულის მიერთების გრძელვადიან მიზანს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით მიაღწევდა. 1986 წელს პრეზიდენტ ძიან ძინგოს, ჩან კაიშის ვაჟისა და მემკვიდრის, ნებართვით შესაძლებელი გახდა კონტინენტურ ჩინეთში უპრეცედენტო კერძო ხასიათის ვიზიტები ტაივანიდან, ხოლო მომდევნო წელს ჩინეთის ვაჭრობამ ტაივანთან (ძირითადად, ჰონგ-კონგის გავლით) ერთი მილიარდი დოლარის მოცულობას გადააჭარბა.

ჩინეთის და ტაივანის ხელახალი გაერთიანებისათვის დამაინტრიგებელი პრეცედენტი შექმნა 1984 წელს პეკინსა და ლონდონს შორის ჰონგ-კონგის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით დადებულმა შეთანხმებამ. შეთანხმების თანახმად, ეს ბრიტანული სამეფო კოლონია ჩინეთის სუვერენიტეტის ქვეშ 1997 წლიდან დაბრუნდებოდა, როგორც განსაკუთრებული ადმინისტრაციული რეგიონი ავტონომიის მაღალი ხარისხით (საკუთარი, თავისუფლად კონვერტირებადი ფულადი ერთეულის ჩათვლით) და კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის შენარჩუნების უფლებით, მიერთებიდან, სულ მცირე, ორმოცდაათი წლის განმავლობაში.^{**} სახალხო რესპუბლიკას ბევრი სარგებლის მიღება შეეძლო ჰონგ-კონგის საკითხის დამაკმაყოფილებე-

* შეერთებული შტატების კონგრესის 1979 წლის კანონი ტაივანთან ურთიერთობების შესახებ, პრეზიდენტ კარტერის მიერ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ მიიღეს. კანონი ტაივანთან უცნაური არაოფიციალური ურთიერთობების შენარჩუნებას გულისხმობდა, რაც ტაივანში ამერიკის ინსტიტუტის დარსებაში გამოიხატებოდა, რომელშიც, დროებითი მივლინების საფუძველზე, ამერიკის საგარეო უწყების თანამშრომლები იმუშავებდნენ.

** 1987 წელს მაკაოს შესახებ დადებული შეთანხმების თანახმად, პორტუგალიის ეს ტერიტორია 1999 წელს ჩინეთს მიუერთდა.

ლი გადაწყვეტივით. ოთხმოციანი წლების ბოლოს, პატარა და ეკონომიკურად აყვავებული ეს ქალაქი სახელმწიფო ჩინეთის ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორად იქცა, სადაც ჩინური ექსპორტის 10 პროცენტი მიდიოდა და რომელიც, ჰონგ-კონგელი ჩინელების მიერ სახალხო რესპუბლიკაში მიცხოვრები ოჯახის წევრებისათვის გადარიცხული თანხების გამო, უცხოური ვალუტის ღირებული წყაროც იყო.

ჩინეთის შემრიგებლურ პოლიტიკას, ჰონგ-კონგისა და ტაივანის სახით ორი „აზიური ვეფხვის“ სახალხო რესპუბლიკისათვის მშვიდობიანი მიერთების მიზნით, აზიის სხვა არაკომუნისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესებაც სდევდა თან. სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) წევრების გულის მოსაგებად, პეკინმა კავშირები შეასუსტა კომუნისტ მემბოხე ჯგუფებთან ტაილანდში, მალაიზიასა და ფილიპინებზე და, ვიეტნამური ოკუპაციის მიმართ კამბოჯის წინააღმდეგობისათვის დახმარების გასანეკად, ტაილანდთან თანამშრომლობას შეუდგა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოთხმოციანი წლებში ჩინეთ-იაპონიის მზარდი სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო გაამყარა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურმა დაახლოებამ, რაც, შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის სამხედრო-სახმელეთო და საზღვაო ძალების გაზრდის გამო, საერთო შეშფოთებასა და, ასევე, კამბოჯიდან ვიეტნამური ძალების გაყვანის მიზნით, ASEAN-ის დიპლომატიური ინიციატივის საერთო მხარდაჭერას ეფუძნებოდა. თუმცა, ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, ჩინეთ-იაპონიის დაახლოების პროცესი თავისუფალი არ იყო ეთნიკური შუღლის განახლების საფრთხისგან. 1985 წელს იაპონიის პრემიერმინისტრმა იასუჰირო ნაკასონემ ჩინეთის ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომში დაღუპული იაპონელი ჯარისკაცების საფლავის ცერემონიალური ვიზიტის გამო განარისხა; ერთი წლის თავზე კი, განათლების მინისტრი ფუჯიო მასაიუკი, ჩინეთში მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელების მიერ ჩადენილი საშინელებების მნიშვნელობის დაკინების გამო, იძულებული გახდა, თანამდებობას შეელოდა.

თუმცა, ეს ატავისტური მღელვარებები ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების განვითარებას დიდხანს ხელს არ უშლიდა. კვლავ ჰქონდა ადგილი უთანხმოებას ვაშინგტონსა და პეკინს შორისაც ისეთ საკითხებზე, როგორც იყო: ცივი ომისდროინდელი შეზღუდვები ტექნოლოგიების გადაცემაზე, შეერთებული შტატების პროტექციონიზმი საფეიქრო სფეროში, ჩინეთის მიერ ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა რეჟიმის მიმართ იარაღის მიყიდვა, პალესტინის მყარი მხარდაჭერა და ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევა. ამის მიუხედავად, ოთხმოციანი წლების ბოლოს, ჩინეთ-ამერიკის დაახლოების პროცესი, ორმხრივად სასარგებლო ეკონომიკური კავშირებისა და მოკრძალებული მნიშვნელობის დიპლომატიური კოორდინაციის, სამხედრო თანამშრომლობისა და საბჭოთა სამხედრო აქტივობის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე, მყარად ვითარდებოდა.

ნაწილი მესამე

ცივი ომიდან ახალ
მსოფლიო უნესრიგობამდე
(1985-2010)



მოსკოვი, ვაშინგტონი და საბჭოთა იმპერიის აღსასრული



პრეზიდენტ რონალდ რეიგანსა (1911-2004) და გენერალურ მდივან მიხეილ გორბაჩოვს (1931-) შორის პირველი უმაღლესი დონის შეხვედრა, უნევეა, 1985 წლის ნოემბერი: კომუნიზმისა და „ბოროტების იმპერიის“ მიმართ ანტიპათიის მიუხედავად, რეიგანმა კარგი სამუშაო ურთიერთობები დაამყარა ახალ საბჭოთა ლიდერთან. ამ ურთიერთობებს, რეიგანის პრეზიდენტობის მეორე მანდატის განმავლობაში, სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის სფეროში სულისშემკვრელი გარღვევები მოჰყვა.

თავის შინაარსი

გორბაჩოვი: გლასნოსტი, პერესტროიკა და შეიარაღებაზე კონტროლი
 აღმოსავლეთის ბლოკის დაშლა და გერმანიის გაერთიანება
 საბჭოთა კავშირის ბასვლა ცივი ომიდან და მისი დაშლა
 ეთნიკური კონფლიქტები საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში
 რუსეთის მშობლიურ ტრანზიტში კავშირის და დაშლის პერიოდისა და
 რუსეთი და მისი გზობები მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში

**გორბაჩოვი: გლასნოსტი, პერესტროიკა და
 შეიარაღებაზე კონტროლი**

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრისა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ცივი ომის საბოლოო და სრულად გაუთვალისწინებელი დასასრული და მსოფლიოს სცენიდან საბჭოთა კავშირის გაუჩინარება იყო. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ სამეცნიერო წრეში მიღებულია ისტორიული ცვლილებების პროცესში ცალკეული პიროვნებების, როგორც კაუზალური ფაქტორების, როლის დაკნინება, ძნელი იქნება იმის უარყოფა, რომ ეს ორი მოვლენა იმ ადამიანის პოლიტიკის შედეგი იყო, რომელმაც 1985 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პოსტი დაიკავა. წინამორბედებისგან განსხვავებით, მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან დაკავშირებული ორი არასასიამოვნო ფაქტი გააცნობიერა: ბრეჟნევის წლებში ეკონომიკის გაუარესების გამო, საბჭოთა კავშირს აღარ შესწევდა უნარი, რომ შეენარჩუნებინა ის ძალა და გავლენა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, რომელიც ადეკვატური იქნებოდა მისი უზარმაზარი ზომისა და მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, ის ვეებერთელა და კიდევ უფრო მზარდი ტექნოლოგიური უპირატესობა, რომელიც შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირთან მიმართებაში ჰქონდა, უზრუნველყოფდა ამერიკის გამარჯვებას გამალებული შეიარაღების პროცესშიც – როგორც ბირთვული, ასევე ჩვეულებრივი იარაღის კუთხით, რომელიც სამოცდაათიანი წლების ხანმოკლე დეტანტის შემდეგ კვლავ განახლებულიყო.

შესაბამისად, ახალმა საბჭოთა ლიდერმა მიმართა ერთადერთ პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა კავშირს შესაძლო გამოსავალს სთავაზობდა როგორც ეკონომიკური რეგრესის, ასევე მისი სამხედრო დაუცველობის კუთხითაც. ეს პოლიტიკა დასავლური ბანაკის ქვეყნებთან – განსაკუთრებით კი მეორე ზესახელმწიფოსთან – ყველა არსებული პოლიტიკური დავის მოგვარებისაკენ იყო მიმართული. შედეგად, შექმნილი შედარებით სტაბილური საერთაშორისო გარემო საშუალებას მისცემდა გორბაჩოვს, ქვეყნის

შეზღუდული შიდარესურსები თავისი ყველაზე ძვირფასი პროექტისაკენ მიემართა, კერძოდ, შორსგამიზნული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებისაკენ, რომელიც მრენველობის სფეროში გადანყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაციას და თავისუფალი ბაზრის პრაქტიკის შემოღებას მოიცავდა. ამ რეფორმებს უნდა გაეზარდა სამომხმარებლო სექტორის პროდუქტიულობა და გაეუმჯობესებინა დიდი ხნის ტანჯული საბჭოთა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ეკონომიკური განახლების ამ გაბედული პროექტის მიმართ მხარდაჭერის მოსაპოვებლად, გორბაჩოვმა, იმავდროულად, დაიწყო პოლიტიკური რეფორმებიც, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის უფრო ფართო მონაწილეობისაკენ იყო გამიზნული. ეს ახალი პოლიტიკური ღიაობა, ანუ გლასნოსტი, ეკონომიკური რესტრუქტურისა და ანუ პერესტროიკის პარალელურად წარიმართა. საბჭოთა კავშირს გადარჩენისთვის ფუნდამენტური რეფორმა ესაჭიროებოდა.

საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული გორბაჩოვისეული კამპანიის პირველი ეტაპი ზესახელმწიფოთა დაპირისპირების ყველაზე კომპლექსურ და საშიშ სფეროში – გამაღებულ შეიარაღებაში – განხორციელდა. ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში რეიგანის ადმინისტრაციამ ფართო მილიტარიზაცია წამოიწყო შეიარაღების, ფაქტობრივად, ყველა კატეგორიაში. ეს გულისხმობდა: დასავლეთ ევროპაში საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის განთავსებას, ექსპერიმენტული ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების სისტემების გაუმჯობესების განუწყვეტელ ძიებას, კოსმოსური ანტისარაკეტო სისტემის – სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის – განხორციელებისათვის საჭირო სამეცნიერო კვლევასა და ამ ინიციატივის განვითარებას, ნატო-ს ჩვეულებრივი თავდაცვითი შეიარაღებისათვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და ოთხმოციანი წლების ბოლომდე ექვსასგემიანი სამხედრო ფლოტის შექმნას. გორბაჩოვის წინაშე შეუძლებელი ამოცანა იდგა: საბჭოთა კავშირის მწირი შესაძლებლობებით შეერთებული შტატების განსაცვიფრებელი მილიტარიზაციისათვის კონკურენციის განევა. საბჭოთა ლიდერი მაქსიმალურად ცდილობდა მოლაპარაკებით მიეღწია სამხედრო კონკურენციის დასრულებისათვის, რომელიც მხოლოდ ამწვავებდა მისი ქვეყნის შიდაეკონომიკურ კრიზისს. მეორე მხრივ, რეიგანი, რომელიც, ერთდროულად, გაზრდილი სამხედრო ხარჯებისა და დაბალი საგადასახადო პოლიტიკის შედეგად, სერიოზული საბიუჯეტო დეფიციტის წინაშე იდგა და, ამავ დროს, საბიუჯეტო ბალანსის აუცილობლობის თაობაზე კონგრესის რეზოლუციის წნეხსაც განიცდიდა, გორბაჩოვის წამოწყებების მიმართ დადებითად იყო განწყობილი. ასე რომ, 1985 წელს, ორივე ლიდერის ნების შესაბამისად, შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებები განახლდა.

1986 წლის ოქტომბერში, ისლანდიაში, რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე რეიგანმა და გორბაჩოვმა – მოკავშირეებთან წინასწარი

კონსულტაციების გარეშე – თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც ბალისტიკური რაკეტების სრულ აღკვეთას ითვალისწინებდა და რომელსაც, შესაძლოა, სრული ბირთვული განიარაღება გამოენჯია. მიუხედავად იმისა, რომ ეს უტოპიური სქემა არ განხორციელდა, მხარეებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ევროპაში საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის შესახებ უფრო შეზღუდული მასშტაბის საკითხზე. 1987 წელს გორბაჩოვი პირველად დათანხმდა საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის საკითხის განხილვას, მის მიერ შეიარაღების კონტროლის სფეროში თავდაპირველად წამოყენებული, უფრო ყოვლისმომცველი წინადადებებისაგან განცალკევებით. საბოლოოდ, ერთწლიანი ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკებების ბოლოს, 1987 წლის 7 დეკემბერს ორმა ლიდერმა ვაშინგტონში ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას, რომლითაც ევროპაში მთლიანად აღიკვეთა საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღი (ანუ 500-5 500 კილომეტრის რადიუსის სახმელეთო რაკეტები). ეს შეთანხმება, რომელიც რეიგანის 1981 წლის „ნულოვანი ალტერნატივის“ ინიციატივას წააგავდა, კრემლის მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით დაშვებულ სერიოზულ კომპრომის წარმოადგენდა. პირველ რიგში, საბჭოთა მხარემ უარი თქვა თავდაპირველ მოთხოვნაზე, რომ ევროპაში საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის აღკვეთა რეიგანის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაზე უარის თქმის პარალელურად განხორციელებულიყო, რადგან ამ ინიციატივას მოსკოვი მისი ბირთვული შეკავების პოლიტიკისათვის გამანადგურებელ საფრთხედ აღიქვამდა; გარდა ამისა, გორბაჩოვი დათანხმდა 1991 წლის ბოლომდე 851 ბალისტიკური გამშვები დანადგარისა და 1836 რაკეტის განადგურებას ამერიკის მიერ დასავლეთ ევროპაში განლაგებული 283 ბალისტიკური გამშვები დანადგარისა და 867 რაკეტის სანაცვლოდ. ამასთანავე, გორბაჩოვი არა მხოლოდ ქვეყნის ევროპულ ნაწილში განლაგებული SS-20 რაკეტების, არამედ აზიაში განლაგებული იმავე ტიპის რაკეტების განადგურებასაც დათანხმდა, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაკენ იყო მიმართული. დაბოლოს, კრემლმა დაარღვია წარსულის პრაქტიკა და დათანხმდა შემონახვების მეტად ინტრუზიულ პროცედურებს, რაც, შეთანხმების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ბირთვული ძალების შესახებ ფართო ინფორმაციის გაცვლასა და ადგილზე ინსპექციებს ითვალისწინებდა.


საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება ათწლეულის პირველი შეთანხმება იყო იარაღის კონტროლის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულება მსოფლიოში არსებული ბირთვული შეიარაღების მხოლოდ მეხუთედის განადგურებას ითვალისწინებდა, დოკუმენტი შეიარაღების მოლაპარაკებებში სამოცდაათიანი წლების მეტად ფრთხილი და თანდათანობითი მიდგომის ცვლილებასაც ასახავდა. სტრატეგიულ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული ორი მანამდე დადებული ხელშეკრულებისგან განსხვავებით (SALT I და SALT II), საშუალო რადიუ-

სის ბირთვული იარაღის შესახებ ხელშეკრულება, არსებული შეიარაღების ზრდის შეზღუდვის ნაცვლად, კონკრეტული კატეგორიის ბირთვული იარაღის სრულ განადგურებას ითვალისწინებდა. ვაშინგტონის სამიტზე, რომელზეც ხელი მოეწერა საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის შესახებ ხელშეკრულებას, ასევე შემუშავდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების ზოგადი გეგმა, რაზედაც შეთანხმების მიღწევას, SALT-ის მოლაპარაკებების პროცესის ჩინში შესვლის შემდეგ და 1982 წელს START-ის (სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება) ახალი სახელწოდებით ამ მოლაპარაკებების განახლების შემდეგ, ორივე ზესახელმწიფო თავს არიდებდა. ცხრანლიანი დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, 1991 წლის ივლისში გორბაჩოვთან ერთად სტრატეგიული შეიარაღების შესახებ ისტორიულ შეთანხმებაზე ხელის მოწერა რეიგანის მემკვიდრე ჯორჯ ჰ. ბუშს ხვდა წილად. START – სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება მკაცრ რაოდენობრივ შეზღუდვებს აწესებდა ბალისტიკური რაკეტების ქობინებსა და გამშვებ დანადგარებზე, მოითხოვდა განსაკუთრებით ზუსტი დამიზნების მქონე სახმელეთო ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების სერიოზულ შემცირებას და (ევროპაში საშუალო რადიუსის ბირთვული ძალების – INF-ის ხელშეკრულების მსგავსად) შემონების მკაცრ პროცედურებს ითვალისწინებდა. ამ დებულებების პრაქტიკული შედეგი ამერიკული და საბჭოთა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების დაახლოებით 30 პროცენტით შემცირება იყო. მართალია, ზოგიერთი სახის სტრატეგიული ბირთვული იარაღის სისტემების გამოტოვებამ – მაგალითად, ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტები ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით (MIRV) ან ზღვის ფრთოსანი რაკეტები (SLCM) – სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებიდან (START) მომავალი მოლაპარაკებებისთვის უზარმაზარი სამუშაო დატოვა, მაინც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის, გამალებული სტრატეგიული ბირთვული შეიარაღება მნიშვნელოვნად შენედა.

ამასობაში, თითოეულმა მხარემ ცალმხრივად გამოაცხადა ჩვეულებრივ შეიარაღებაზე ხარჯების შემცირების შესახებ. 1988 წელს პრეზიდენტ რეიგანის მიერ კონგრესისათვის წარდგენილი ბიუჯეტი აღარ ითვალისწინებდა 600 სამხედრო გემის აშენებას, რასაც რეიგანი თავდაპირველად დიდი ენთუზიაზმით აპირებდა. 1988 წელს გაეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოსვლისას, გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა სამხედრო ძალების რაოდენობის მნიშვნელოვანი შეკვეცა 1991 წლამდე დასრულდებოდა. დიდი პროგრესი იქნა მიღწეული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების კუთხითაც. სამხედრო ძალების ორმხრივი და თანაბარი შემცირების (MBFR) მოლაპარაკებები ნატოსა და ვარშავის პაქტის ქვეყნებს შორის, 1973 წლიდან ჩინში იყო შესული იმის გამო, რომ მოსკოვს არ სურდა, უარი ეთქვა ევროპაში განლაგებული ჩვეულებრივი შეიარაღების კუთხით თავის უპირატესობაზე.

1989 წლის მარტში ეს უნაყოფო შეხვედრები მოლაპარაკებათა ახალი ფორმატით შეიცვალა, რომელსაც ევროპაში ჩვეულებრივი სამხედრო ძალების შესახებ (CFE) მოლაპარაკებები ეწოდა. 1990 წლის 19 ნოემბერს, მხოლოდ ოცთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ორი ალიანსის სისტემის ოცდაორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ (CFE). ხელშეკრულება საბჭოთა კავშირს ავალდებულებდა, ურალის მთებიდან დასავლეთით მდებარე რეგიონიდან გაეყვანა ტანკების, ჯავშანმანქანების, თვითმფრინავების, ვერტმფრენებისა და არტილერიის დიდი ნაწილი, რითაც ამ შეთანხმებამ ევროპაში განლაგებული ჩვეულებრივი შეიარაღების კუთხით წონასწორობა დაამყარა.

ევროპაში ორ სამხედრო ბლოკს შორის ჩვეულებრივი შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ მოლაპარაკებების მიღწევები, კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად, სრულიად უსარგებლო გახდა. ისევე, როგორც 1956 წელს ხრუშჩოვის ანტი-სტალინური კამპანიის შემდეგ, გორბაჩოვის მიერ ბრეჟნევის პოლიტიკის დაგმობამ და მისმა მცდელობებმა ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები გაეტარებინა საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ევროპაში მკაცრი, ორთოდოქსი კომუნისტი ხელმძღვანელების პოზიციები შეარყია, ხოლო რეფორ-



პრეზიდენტი რეიგანი სიტყვით გამოდის ბერლინის კედელთან ბრანდენბურგის კარიბჭის წინ, 1987 წლის 12 ივნისი: გაყოფილი ქალაქის 750-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოსვლისას, ამერიკელმა პრეზიდენტმა განაცხადა: „პრეზიდენტო გორბაჩოვო, გახსენით ეს კარიბჭე! ბატონო გორბაჩოვო, დაანგრეთ ეს კედელი!“. ეს სიტყვები, რომლებსაც ემოციური აპლოდისმენტებით შეეგებნენ დასავლეთბერლინელები, აღმოსავლეთბერლინელებსაც ესმოდათ. ამ დღეს ვერც კი იოცნებებდა ვინმე, რომ სამ წელიწადზე ნაკლებ დროში კარიბჭეც გაიხსნებოდა და კედელიც დაინგრეოდა.

მატორი მოქალაქეებისათვის ეს ახალი პოლიტიკა შთაგონების წყაროდ იქცა ამ ძველ ავტორიტეტებთან საბრძოლველად. თუმცა, 1956 და 1989 წლებს შორის განსხვავება კრემლის სატელიტებისადმი დამოკიდებულებაში მდგომარეობდა. მაშინ, როცა ხრუშჩოვისთვის ისინი ნატო-ს წინააღმდეგ აუცილებელი მოკავშირეები იყვნენ, გორბაჩოვისთვის ეს ქვეყნები მოსკოვისათვის ფინანსურ ტვირთს წარმოადგენდნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირისგან უზარმაზარ ეკონომიკურ სარგებელს ნახულობდნენ (სავაჭრო სუბსიდიების, სესხების, იაფი ენერჯისა და ნედლეული მასალების სახით), სანაცვლოდ კი, მხოლოდ მცირედს იძლეოდნენ. დასავლეთთან სტრატეგიულ შეიარაღებაზე წარმატებული მოლაპარაკებების ფონზე, მათი ღირებულება მოსკოვისათვის ნაკლებად შესამჩნევი გამხდარიყო. შესაბამისად, როდესაც 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა კომუნისტ ლიდერებს თავიდან იშორებდა, მათ 1956 წლის უნგრეთის ან 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის გამეორების შიში აღარ ჰქონდათ. პირიქით, გორბაჩოვი კეთილგანწყობით უყურებდა ოთხმოციანი წლების მიწურულს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე რევოლუციურ პოლიტიკურ ცვლილებებს.

აღმოსავლეთის ბლოკის დაშლა და გერმანიის გაერთიანება

1989 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ცვლილებები მართლაც სულისშემკვრელი სიჩქარით მიმდინარეობდა: საბჭოთა კავშირის სატელიტები ერთმანეთის მიყოლებით შინ ისტუმრებდნენ კომუნისტ ხელმძღვანელობას. ამ მხრივ ყველაზე ნაკლებ წინააღმდეგობებს პოლონეთი ხვდებოდა, სადაც მშრომელთა ძლიერი მოძრაობა (სოლიდარობა) და მთავრობის კონტროლისგან თავისუფალი, გავლენიანი რელიგიური ორგანიზაცია (კათოლიკური ეკლესია) მოქმედებდა. 1989 წელს გენერალ ვოიცეკ იარუზელსკის მთავრობა, რომელმაც 1981 წელს საომარი მდგომარეობა გამოაცხადა და სოლიდარობის მოძრაობაც აკრძალა, ქვეყნის სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით, აკრძალულ ორგანიზაციასთან მოლაპარაკებების წარმოებას დათანხმდა. გაზაფხულზე სოლიდარობის მოძრაობის, როგორც ოპოზიციური პარტიის, სტატუსი აღდგა და ივნისში გამართულ არჩევნებში მან დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწია. აგვისტოში ტადეუშ მაზოვიეცკი – თავდადებული კათოლიკე და პარტია „სოლიდარობის“ წევრი – ორმოცდაერთი წლის განმავლობაში პირველად აღმოსავლეთის ბლოკში, კოალიციური მთავრობის პრემიერმინისტრი გახდა. მან სწრაფად გაატარა რამდენიმე თავისუფალი საბაზრო-ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ცენტრალიზებული სამთავრობო კონტროლის კომუნისტური სისტემის შეცვლისაკენ იყო მიმართული.

ამასობაში, 1989 წლის იანვარში უნგრეთის პარლამენტმა ოპოზიციური პარტიების შექმნა დაუშვა. რამდენიმე თვეში კომუნისტური პარტიის მიერ

დანიშნულმა საგანგებო კომისიამ 1956 წლის რევოლუციის ახალი შეფასება მისცა და ის „ქვეყნის ღირსების შემლახველი ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყებად“ შეაფასა. იმრე ნადი, 1956 წელს საბჭოელების მიერ ხელისუფლებიდან გადაყენებული და მოკლული პრემიერმინისტრი, საჯარო ქება-დიდებას ობიექტი გახდა. გაიხსნა ჩაკეტილი საზღვარი ავსტრიასთან. 1990 წლის იანვარში უნგრეთის მთავრობამ საბჭოთა სამხედრო ძალების სრული შემადგენლობის გაყვანა მოითხოვა, რის განხორციელებასაც 1991 წლის ზაფხულამდე, გორბაჩოვი მომდევნო წლის მარტში დათანხმდა. 1989 წლის შემოდგომაზე, ჩეხოსლოვაკიაში, საერთო-ეროვნული გაფიცვის საფრთხემ, უკომპრომისო პრეზიდენტ გუსტავ შუსაკს 1989 წლის დეკემბერში თანამდებობის დატოვება აიძულა. იგი ქვეყნის ყველაზე ცნობილმა დისიდენტმა, დრამატურგმა ვაცლავ შაველმა შეცვალა. ისტორიული სიმბოლიზმით აღსავსე გადაწყვეტილებით, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტმა თავის სპიკერად მსცოვანი ალექსანდრე დუბჩეკი აირჩია, რომლის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები 1968 წლის „პრადის გაზაფხულზე“, იმავე



ცივი ომის შესაფლავებები: პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და ვიცეპრეზიდენტი (და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული) ჯორჯ ჰ. ბუში, გოვერნორს აილენდზე, ნიუ იორკში, საბჭოთა გენერალურ მდივან მიხეილ გორბაჩოვს ხედებიან, 1988 წლის დეკემბერში. რეიგანმა მანამდე საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა; ბუში საბჭოთა კავშირის დაშლის დროს, 1991 წელს, შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო.

ზაფხულს საბჭოთა სამხედრო ინტერვენციის მიზეზი გახდა. უნგრელების მსგავსად, ჩეხოსლოვაკებმაც მიიღეს მოსკოვის გარანტია, რომ 1991 წლის ზაფხულამდე საბჭოთა ჯარები მათ ტერიტორიასაც დატოვებდნენ.

ორი საბჭოთა სატელიტი სახელმწიფო, რომელთა კომუნისტური მმართველი ელიტები ჯიუტად უძალიანდებოდნენ მიმდინარე ცვლილებებს, რუმინეთი და აღმოსავლეთ გერმანია იყო. რუმინელმა დიქტატორმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ ყოველგვარ კომპრომისზე უარი თქვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოკავშირეები ვარშავის პაქტის ზემოაღნიშულ ყოვლისმომცველ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ. თუმცა, აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციურ ტალღას ველარაფერი შეაჩერებდა, თვით ჩაუშესკუს რეტროგრადული პოლიციური სახელმწიფოც. 1989 წლის დეკემბერში ბუქარესტის ქუჩებში მტრული დემონსტრაციების წინაშე მდგარი რუმინელი დიქტატორი აჯანყების ჩახშობას შეეცადა, თუმცა, შედეგად, იგი შეიპყრეს და სიცოცხლესაც გამოასალმეს. როდესაც ჩაუშესკუს აღმოსავლეთგერმანელი კოლეგა ერიხ ჰონეკერი ამაოდ ცდილობდა თავის ქვეყანაში რეპრესიული ძალების მობილიზებას, აღმოსავლეთ გერმანიის რამდენიმე ქალაქში რადიკალური რეფორმების მოთხოვნით მღელვარე ქუჩის დემონსტრაციები იმართებოდა. 1989 წლის სექტემბერში ავსტრია-უნგრეთის საზღვრის გახსნამ აღმოსავლეთგერმანელებს დასავლეთში გაქცევის საშუალება მისცა, რასაც ისინი მასობრივად შეუდგნენ. ერთ თვეში, შეუძლოდ მყოფი ჰონეკერი გადადგა და 9 ნოემბერს მისმა მემკვიდრემ ამ პოსტზე დასავლეთისკენ მიმოსვლის ყველა შეზღუდვა მოხსნა და, ისტორიული აქტის სახით, აღმოსავლეთ გერმანიიდან ემიგრანტების ნაკადის შესაჩერებლად ოცდათვრამეტი წლით ადრე აღმართული ბერლინის კედელიც გახსნა. 1990 წლის 18 მარტს გამართულ თავისუფალ არჩევნებში, მემარჯვენე ცენტრისტულმა კოალიციამ ხმების თითქმის ნახევარი მოაგროვა, მემარცხენე ცენტრისტულმა ჯგუფმა – 22 პროცენტი მიიღო, ხოლო 40 წელი ხელისუფლებაში მყოფი ძველი, სოციალისტური ერთობის (კომუნისტური) პარტიის სახელმეცველი მემკვიდრეს მხოლოდ 16 პროცენტმა დაუჭირა მხარი. აპრილში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მემარჯვენე ცენტრისტების კოალიციის სახით დემოკრატიულად არჩეული მთავრობა შექმნა, რომელიც დასავლეთ გერმანიის მმართველ ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან იყო დაკავშირებული.

ბერლინის კედლის დაცემამ, კომუნისტური რეჟიმის დამხობამ და პირველმა თავისუფალმა არჩევნებმა აღმოსავლეთ გერმანიაში ახალ პოლიტიკურ ენერგიას მისცა დასაბამი, რაც ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ფედერალურ რესპუბლიკას მიმწყდარი ბევრი აღმოსავლეთგერმანელი ლტოლვილი და მათი თანამემამულეებიც, რომლებიც დარჩნენ ქვეყანაში და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებს აწყობდნენ, ღიად გამოხატავდნენ რკინის ფარდის ორივე მხარეს მცხოვრები ბევრი გერმანელის ღიდი ხნის მიზანს: ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების სურვილს.

აღმოსავლეთ გერმანიაში 1990 წლის მარტის არჩევნებისას ორივე გერმანულ სახელმწიფოში ყველა ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფება მხარს უჭერდა ამ მიზანს. აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკური აპარატის მოშლისა და სოციალისტური ერთობის (კომუნისტური) პარტიის მარცხის შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მიზეზიც გამქრალიყო: ეს სახელმწიფო საბჭოთა საოკუპაციო ძალების მიერ იყო შექმნილი და მისი მმართველი ელიტაც ხელისუფლებაში კრემლის ნების შესაბამისად რჩებოდა. როგორც კი აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა საბჭოთა სამხედრო ინტერვენციისა და კომუნისტური აპარატის რეპრესიების შიშისგან გათავისუფლდა, მათ დიდი ერთუზიანებით დაუჭირეს მხარი რეუნიფიკაციის მიზანს იმ იმედით, რომ, კაპიტალისტური, დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე დასავლეთ გერმანიასთან ერთად, ერთიანი სახელმწიფოს მოქალაქეობა მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს მოუტანდა. მეორე მხრივ, ფედერალური რესპუბლიკის მოქალაქეებიც მთელი გულით მიიღტვოდნენ აღმოსავლეთით მათ თანამემამულეებთან გაერთიანებისკენ ჯერ კიდევ 1949 წლიდან, როდესაც გერმანიის ერთობის მიზანი დასავლეთგერმანული სახელმწიფოს კონსტიტუციაში ჩაინერა.

გერმანიის გაერთიანების საკითხი ოთხმოციანი წლების ბოლოს ჩამოყალიბებული ევროპული დეტანტის უმტკივნეულო პროცესს ორ სირთულეს უჭმნიდა. პირველ რიგში, დასავლეთ გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლის მერყევა პოზიციამ ოდერ-ნაისეს ხაზის, როგორც ახლადგაერთიანებული გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის, აღიარების თაობაზე, პოლონეთის გასაგები შემფოთება გამოიწვია. პოლონეთი შიშობდა, რომ საბჭოთა კავშირისგან ახლადმიღებული დამოუკიდებლობა, გერმანიასთან ტერიტორიული დავების გამო, კვლავ საფრთხის ქვეშ დადგებოდა. ამასთანავე, ბონის (და ატლანტიკურ ალიანსში მისი მოკავშირეების) ურყევი პოზიცია, რომ გაერთიანებული გერმანია, ნეიტრალიტეტის არჩევის ნაცვლად (როგორც ამას საბჭოთა კავშირი ითხოვდა), ნატო-ს წევრი უნდა გამხდარიყო, მოსკოვში სერიოზული შეფიქრინების მიზეზი გახდა. თუმცა, როგორც კი კოლი გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების ურყევობას დათანხმდა და გორბაჩოვმა აღიარა, რომ გაერთიანებული გერმანიის წევრობა ნატო-ში ნაკლები საფრთხე იქნებოდა საბჭოთა უსაფრთხოებისთვის, ვიდრე გაერთიანებული გერმანია, რომელიც შეზღუდული არ იქნებოდა ალიანსის წევრობიდან გამომდინარე წესებით, გერმანიის მეზობლების შიშებიც გაქარწყლდა. შესაბამისად, ორ გერმანულ სახელმწიფოსა და საოკუპაციო უფლებების მქონე ოთხ უცხოურ სახელმწიფოს (შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი) შორის მოლაპარაკებათა ერთი რაუნდის შემდეგ, გერმანიის გაერთიანების სამართლებრივი საფუძველიც ჩამოყალიბდა. 1990 წლის 3 ოქტომბერს მოიხსნა საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნები, რომლებიც 1949 წლიდან ორად ჰყოფდა გერმანულ სახელმწიფოს და ცივი ომის ყვე-

ლაზე თვალში საცემი სიმბოლოც ისტორიას ჩაბარდა. აღმოსავლეთ გერმანიის გაუჩინარებისა და დანარჩენი აღმოსავლეთევროპული ქვეყნების მიერ კომუნისმისა და საბჭოთა ძალაუფლების თავიდან მოშორების შემდეგ, 1991 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილი „ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს“ (Comecon), ხოლო ივლისში ვარშავის პაქტის გაუქმება აღარავის გაჰკვირვებია.

საბჭოთა კავშირის გასვლა ცივი ომიდან და მისი დაშლა

აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის სატელიტური სისტემის დაშლამდეც კი გორბაჩოვს უკვე დაწყებული ჰქონდა საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკური ვალდებულებების შემცირება. პირველ რიგში მან ავღანეთის ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები შეაჩერა. ავღანეთის ომში, რომელიც 1979 წლიდან მიმდინარეობდა, გამარჯვება არსად ჩანდა მუსლიმი მოჯაჰედების მტკიცე წინააღმდეგობის გამო, რომელთაც, პაკისტანის გავლით, შეერთებული შტატები და ჩინეთი აიარალებდნენ. 1988 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა ჯარები ავღანეთს ათი თვის განმავლობაში დატოვებდნენ, მიუხედავად იმისა, თუ რა ბედი ენეოდა ქაბულში საბჭოთა მარიონეტულ რეჟიმს. 1989 წლის თებერვალში ავღანეთის საზღვარი ბოლო საბჭოთა ჯარისკაცმაც გადმოკვეთა.

გორბაჩოვის მიერ ავღანეთის დატოვებას მალე აზიაში კიდევ ერთი კონფლიქტის მოგვარება მოჰყვა, რომელიც სამოცდაათიანი წლების ბოლოდან ართულებდა ურთიერთობებს, ერთი მხრივ, მოსკოვსა და პეკინს და, მეორე მხრივ, ვაშინგტონსა და პეკინს შორის. 1988 წლის დეკემბერში ჰანოის ახალმა მმართველმა ელიტამ საბჭოთა კავშირის ნაქეზებით კამბოჯიდან ჯარების გამოყვანის შესახებ განცხადება გააკეთა. 1989 წლის ზაფხულისთვის ვიეტნამური სამხედრო ძალების დიდმა ნაწილმა კამბოჯა დატოვა და ჰანოის მიერ შექმნილი პნომ პენის მთავრობაც საკუთარი თავის იმედზე მიატოვა მონინააღმდეგეთა კოალიციასთან სამოქალაქო ომში, რომელშიც ნითელი კხმერებიც იბრძოდნენ. ამასობაში, საბჭოთა კავშირმა ვიეტნამის კამრანის ყურედან სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალების გამოყვანა დაიწყო, 1990 წელს კი სახმელეთო ჯარების დიდი ნაწილის ევაკუაცია და ამ ძველი მოკავშირისათვის ეკონომიკური დახმარების შეწყვეტა გამოაცხადა. ჰანოის ლიდერები კი გორბაჩოვის ნაკვალევს მიჰყვებოდნენ: მათ საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ უარი თქვეს საბჭოთა კავშირისგან ნასწავლ ცენტრალიზებულ გეგმიურ ეკონომიკაზე და დასავლეთისგან ინვესტიციების მოზიდვა დაიწყეს.

აზიაში აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების ამონურვის პარალელურად, ამერიკელებისა და საბჭოელების სუროგატ სახელმწიფოებს შორის

ხანგრძლივი დავები აფრიკაშიც დიპლომატიური გზით მოგვარდა. 1988 წლის დეკემბერში სამხრეთ აფრიკა ნამიბიაში სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის ამბოხებულ მებრძოლებთან ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდა და, ანგოლადან 53 000 კუბელი ჯარისკაცის თანდათანობით გაყვანის სანაცვლოდ, 1991 წლის ივლისამდე ამ ქვეყანაში გაეროს ზედამხედველობით არჩევნების ჩატარებაზე თანხმობა განაცხადა. 1989 წელს ნამიბიაში არჩევნების მოგების შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის ლიდერი სემ ნუიომა 1990 წლის მარტში ქვეყნის პრეზიდენტი გახდა და თეთრკანიან ბიზნესმენებსა და ფერმერებს ქვეყანაში დარჩენისაკენ მოუწოდა. ამასობაში, 1989 წლის გვიან ნოემბერში ანგოლადან სამხრეთაფრიკული სამხედრო ძალების გაყვანისა და მარქსისტული „ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობის“ დასაცავად განლაგებული კუბელი ჯარისკაცების ევაკუაციის შემდეგ, სამოქალაქო ომის დასრულება ამ ყოფილ პორტუგალიურ კოლონიაშიც შესაძლებელი გახდა. იმავდროულად, სომალის ნახევარკუნძულზე, მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა და მოსკოვმა სომალისა და ეთიოპიის კლიენტ რეჟიმებს საკუთარი თავდაცვა მათვე გადააბარეს, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მომხრეების ომიც თანდათან ამოიწურა. 1991 წელს ეთიოპიელი მმართველ მენგისტუ ჰაილე მარიამის და სომალელი დიქტატორ მოჰამედ სიად ბარეს ხელისუფლება შიდაამბოხებებმა შეინირა: თითოეულმა საკუთარი ქვეყანა ეკონომიკურ ქაოსში და პოლიტიკურ ანარქიაში დატოვა.

მას შემდეგ, რაც, ოთხმოციანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ევროპაში სატელიტური ქვეყნების სისტემაზე კონტროლი დაკარგა და მესამე სამყაროში კლიენტი სახელმწიფოები საკუთარი ბედის ანაბარა დატოვა, ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა სტრუქტურამაც რღვევა დაიწყო. პარადოქსულად, გორბაჩოვის წინაშე მდგარი მწვავე კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა იმ პოლიტიკური რეფორმების გამო, რომელიც მანვე წამოიწყო: 1988 წლის ივნისში კომპარტიის მეცხრამეტე ყრილობამ სახალხო დემოკრატია ახალი ყრილობა მოინვია, რომლის ორი მესამედი დემოკრატიულად უნდა არჩეულიყო. 1989 წლის მაისში სახალხო დემოკრატია თავისუფლად არჩეული ყრილობის მიერ დაკომპლექტებულმა უმაღლესმა საბჭომ საბჭოთა მოსახლეობას პირველი, ჭეშმარიტად დემოკრატიული, გამოცდილების მიღების საშუალება მისცა. გორბაჩოვამდელ ეპოქაში დაგროვილი უკმაყოფილება მთელი ქვეყნის მასშტაბით ცხარე დებატებში გადაიზარდა. თუმცა, გლასნოსტისა და პერესტროიკის ახალი სულისკვეთების შედეგად გაჩენილი მოლოდინი მალე გაცრუვდა, როდესაც საბჭოთა კავშირის გაუარესებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა თვალში საცემი გახდა.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ნიშნები მთელს ქვეყანაში გამოვლინდა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთავრობის მიერ დაგეგმილ

მონაცემზე გაცილებით დაბალი აღმოჩნდა, ნავთობისა და ბუნებრივი აირის წარმოება შემცირდა, ერთიანი ეროვნული პროდუქტი 1990 წელს 2 პროცენტით დაეცა (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი), საგარეო ვალები და სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა. 1989 წლის ზაფხულში, სამომხმარებლო საქონლის მწვავე დეფიციტის გამო, მთელი ქვეყანა საყოველთაო გაფიცვებმა მოიცვა. ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, პერესტროიკას ბრუნევის „უძრაობის ხანასთან“ შედარებით გაუმჯობესება არ მოჰყოლია. ამასობაში, 1990 წელს ბევრ არარუსულ რესპუბლიკაში თავი წამოყო დიდი ხნის ჩახშულმა ნაციონალურმა პრობლემებმა: ეთნიკური დაპირისპირება მოხდა ქრისტიან სომხებსა და მუსლიმ აზერბაიჯანელებს შორის კავკასიაში; დაიწყო მუსლიმთა ამბოხებები ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში: უზბეკეთში, ყაზახეთსა და ტაჯიკეთში; უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდავეთის პარლამენტებმა დამოუკიდებლობა ან პოლიტიკური სუვერენიტეტი გამოაცხადეს. საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველაზე ხმაურიანი წინააღმდეგობა ბალტიის რეგიონის სამი რესპუბლიკიდან მოდიოდა, რომლებიც საბჭოთა კავშირს 1940 წელს მიუერთეს. 1990 წლის მარტში ლიტვის სათავეში მოსულმა ანტისაბჭოთა ხელისუფლებამ სასწრაფოდ გამოაცხადა საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობა და ლიტველ ახალგაზრდებს მოუწოდდა, აღარ წასულიყვნენ საბჭოთა ჯარში სამსახურად. რამდენიმე თვეში ლიტვას ლატვიამ და ესტონეთმაც მიბაძეს.

ამ მოვლენებზე რეაქციის სახით, გორბაჩოვმა დაინახა, რომ საბჭოთა სისტემის დეზინტეგრაციის პროცესი ძალიან შორს წასულიყო. 1991 წლის დასაწყისში საბჭოთა ჯარები ბალტიის სახელმწიფოებში შევიდნენ. ერთი წლით ადრე საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად ქცეული გორბაჩოვი კი თანდათან რეფორმებისადმი მტრულად განწყობილი ძალებისაკენ (არმია, კაგებე და კომუნისტური პარტია) იხრებოდა. ეს ძალები კი იმ წესრიგის ხერხემალს წარმოადგენდნენ, რომლის შეცვლასაც გორბაჩოვი მანამდე ცდილობდა. 1990 წელს ლიბერალი სავაჭრო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, რეფორმების მხარდამჭერები იმედს გორბაჩოვზე გულაცრუებულ კიდევ ერთ თანამებრძოლზე – ბორის ელცინზე – ამყარებდნენ. 1990 წლის მაისში რუსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, ელცინი მტკიცედ მოითხოდა მეტ დემოკრატიზაციას, საბაზრო ეკონომიკის შემოღებასა და საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის რუსეთისთვისაც, მეტი ავტონომიის მინიჭებას. 1991 წლის ივნისში საყოველთაო არჩევნების გზით რუსეთის პრეზიდენტად არჩევამ, ელცინს რეფორმების მისი ამბიციური გეგმის განხორციელებისათვის საჭირო მანდატი მიანიჭა. მან მალევე გამოაცხადა საბჭოთა ეკონომიკის ლიბერალიზაცია და კომუნისტური პარტია აკრძალა. აშკარა გახდა, რომ

რუსეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებული ელცინის გეგმები გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე კრემლიდან გორბაჩოვის მიერ წამოყენებული ფრთხილი ინიციატივები.

ამასობაში, გორბაჩოვის მსუბუქად დაბალანსებული პოლიტიკა ძველ მმართველ ელიტასა და სტრუქტურული რეფორმების მოუთმენელ მომხრეებს შორის, თანდათან დასრულდა. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი უკომპრომისო საბჭოთა ელიტას შეეკრა და ბალტიის რესპუბლიკებში სამხედრო შენაერთები გაგზავნა ნაციონალიზმის ძალების ჩასახშობად, რომლებიც საბჭოთა კავშირის თვით არსებობასაც კი საფრთხეს უქმნიდნენ. რეფორმირებული კავშირისათვის სახალხო მხარდაჭერის მოპოვების გზით საკუთარი ავტორიტეტის გამყარების გორბაჩოვისეულმა მცდელობამ საპირისპირო შედეგი გამოიღო, როდესაც თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკიდან მხოლოდ ცხრამ მიიღო მონაწილეობა ამ საკითხზე გამართულ რეფერენდუმში. ბალტიის რეგიონის რესპუბლიკებში ჩატარებულ რეფერენდუმებში მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ საბჭოთა კავშირისგან სრულ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი, ხოლო უკრაინაში, საქართველოში, კავკასიაში, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებსა და, თავად, რუსეთშიც სეპარატისტული განწყობები მატულობდა. 1991 წლის ზაფხულამდე, ლენინისა და სტალინის მიერ ოციანი წლების დასაწყისში აგებული საბჭოთა კავშირის სამივე საყრდენი ბოძი – კომუნისტური პარტია, გეგმიური ეკონომიკა და მრავალეროვნული კავშირი – უდიდესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმისა და ეთნიკური ნაციონალიზმის მხრიდან. ადამიანი, რომელმაც კომუნისტური სისტემის რეფორმას შიგნიდან, მისი ლეგიტიმურობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე პირი მოხსნა პანდორას ყუთს, მოვლენებს ველარ მართავდა.

საბრძოლველად გამზადებულმა ძველი რეჟიმის მომხრეებმა 1991 წლის 19 აგვისტოს საპასუხო იერიში განიზრახეს. კავებეს, არმიისა და გორბაჩოვის გარემოცვისავე უკომპრომისო ნაწილმა ყირიმის აგარაკზე დასასვენებლად მყოფი პრეზიდენტი დააკავა, ექვსთვიანი საგანგებო ვითარება გამოაცხადა და კონსერვატორი ვიცეპრეზიდენტ გენადი იანაევის ხელმძღვანელობით დროებითი მთავრობა შექმნა. შეთქმულთა სახელმწიფო გადატრიალება რამდენიმე დღეში ელცინის გაბედული ქმედებების შედეგად ჩაიშალა, რომლის საჯაროდ გამოხატულმა წინააღმდეგობამ სახელმწიფო გადატრიალების მიმართ, მასობრივი სახალხო მხარდაჭერა მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვი მოსკოვში დაბრუნდა და თავისი საპრეზიდენტო მოვალეობების შესრულების გაგრძელებას შეეცადა, მორყეული სისტემა, რომლის გადარჩენასაც იგი რეფორმების გზით შეეცადა, უკვე შეკეთებას აღარ ექვემდებარებოდა. 1991 წლის შემოდგომაზე გორბაჩოვის მოპირკეთებული კავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები დიდი სიჩქარით იშლებოდნენ, ხოლო პირველობა რუსეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ხელში გადადიოდა.

საბჭოთა კავშირის შემადგენელი რესპუბლიკები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებდნენ დამოუკიდებლობას, იპოვებდნენ საერთაშორისო აღიარებას და გაეროს, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, წევრობისთვის მიმართავდნენ. 21 დეკემბერს თხუთმეტიდან თერთმეტმა ახალმა სახელმწიფომ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ადგილას, ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ქვეყნების ასოციაცია – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – შექმნა. 25 დეკემბერს მიხეილ გორბაჩოვმაც დატოვა იმ პოლიტიკური ერთეულის პრეზიდენტის პოსტი, რომელიც უკვე გაუჩინარებულიყო მსოფლიოს რუკიდან და შემოსავლიან დასვენებას მიჰყო ხელი.

ეთნიკური კონფლიქტები საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლამ საერთაშორისო საზოგადოებრიობა სამართლებრივი, პოლიტიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დილემების წინაშე დააყენა. ზოგიერთი მათგანი სწრაფად და უმტკივნეულოდ მოგვარდა: მაგალითად რუსეთისათვის, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოსათვის, გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივმოქმედი წევრის სტატუსის გადაცემა. ორი საკითხი განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა: პირველი, ცივი ომის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაგროვილი ბირთვული იარაღის უზარმაზარი მარაგის მომავლის საკითხი იყო; მეორე საკითხი ახლადდამოუკიდებელ სახელმწიფოებში მცხოვრები უამრავი ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკურ სტატუსთან იყო დაკავშირებული. ბორის ელცინი და მისი კოლეგები არარუსულ რესპუბლიკებში, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო ინტერესისა და დაკვირვების ქვეშ, ამ ორი წინააღმდეგობრივი პრობლემიდან გამოსავლის მონახვას წლების განმავლობაში ცდილობდნენ.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა, გასაგები მიზეზები გამო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოთხ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში – რუსეთში, ბელარუსში, უკრაინასა და ყაზახეთში – დარჩენილი ბირთვული იარაღის გამო ღელავდა. ამ საკითხს ქვემოთ შეიარაღებაზე კონტროლთან დაკავშირებულ თავში განვიხილავთ. აქ საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ამ ახალი ბირთვული სახელმწიფოების უცარი და მოულოდნელი გამოჩენა საერთაშორისო სცენაზე იმ გაურკვეველობასთან ერთად, რომელიც მათ მიერ საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული მასობრივი განადგურების იარაღის კონტროლთან იყო დაკავშირებული, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მსოფლიოსთვის სერიოზულ თავსატეხად იქცა. იმავე პერიოდში, თხუთმეტი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკიდან არაერთი ქვეყნის სტაბილუ-



გლებთა ოჯახები საკუთარი პროდუქციით ყაზახეთის ერთ-ერთი ქალაქის ბაზრობაზე. იმ უცხოელი დამკვირვებლებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირს იცნობდნენ, როგორც მოწინავე ინდუსტრიალიზებულ ქვეყანას და სამხედრო ზესახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის დაშლამ თხუთმეტ დამოუკიდებელ რესპუბლიკად ნათელი გახადა კულტურების, ადათებისა და ენების ის მრავალფეროვნება, რომლითაც ეს სახელმწიფოები ხასიათდებოდნენ. ყაზახეთის ტერიტორია დასავლეთ ევროპის ტერიტორიას აღემატება და ის მსოფლიოში სიდიდის მიხედვით მეცხრე სახელმწიფოა. სტალინის მიერ უმცირესობების მასობრივი დეპორტაციების შედეგად, ეს ქვეყანა მრავალფეროვან ეთნიკურ და ენობრივ მოზაიკას წარმოადგენს. ყაზახები, რუსები, უკრაინელები, უზბეკები და თათრები ამ ქვეყნის ყველაზე კარგად ცნობილ ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, რომელთა ეროვნული იდენტობა საბჭოთა კავშირის დროს წაიშალა, 1991 წლის დამოუკიდებლობის შემდეგ კი ახალი ძალით კვლავ იფეთქა.

რობას ეთნიკური ნაციონალიზმის ფეთქებადსაშიში საფრთხე ემუქრებოდა, რაც მრავალეროვნული კავშირის დაშლის შედეგი იყო. სტალინმა ნარმატივით ისარგებლა ევროპული სახელმწიფოების მიერ აფრიკაში კოლონიური ექსპანსიისას გამოყენებული „დაყავი და იბატონეს“ სტრატეგიით და საბჭოთა კავშირის შიდაადმინისტრაციული საზღვრები ისე გაავლო, რომ თითოეულ რესპუბლიკაში ერთი დიდი ეთნიკური უმცირესობა მაინც მოხვედრილიყო. სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური ერთეულების ეს სიჭრელე საშუალებას აძლევდა კრემლს ერთმანეთისთვის წაეკიდებინა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი და ხელი შეეშალა ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისათვის თითოეულ რეგიონში. მოსკოვის კონტროლის გარეშე, ყოფილ საბჭოთა ხალხებს შორის მწვავე ეთნიკური ანტაგონიზმი განვითარდა. თითოეული მათგანი საკუთარი ეთნიკური იდენტობის დასაცავად იბრძოდა.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით აშკარა კავკასიაში იყო, რომელიც, ისევე როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძული, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქრისტიანობისა და ისლამის ისტორიული გადაკვეთის წერტილში მდებარეობს. მუსლიმური აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის ანკლავში მცხოვრებმა ქრისტიანმა სომხებმა უარი თქვეს აზერბაიჯანის სუვერენიტეტის აღიარებაზე, დიპლომატიური მხარდაჭერა და სამხედრო დახმარება მიიღეს სომხეთისგან და დე ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვეს. საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების სეპარატისტული გამოწვევების წინაშე დადგა, რომელთაც რუსეთის ფედერაციაში მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ თანამოქმედებთან გაერთიანება სურდათ. 1993 წლის შემოდგომაზე, საქართველოს სახელმწიფოს ახალი მეთაური, გორბაჩოვის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, ეკონომიკური ქაოსისა და პოლიტიკური არეულობების შედეგად ქვეყანაში წესრიგის აღდგენის მიზნით, რუსეთის სამხედრო დახმარება ეთხოვა.

რუსეთის ფედერაციაც, რომელიც 1992 წლის მარტში შეიქმნა, მთელი კავკასიის საზღვრის გასწვრივ ეთნიკურ დაძაბულობებს იგერიებდა. ინგუშები და ჩრდილოეთ ოსები საზღვრის გამო ძალადობის გამოყენებით დავობდნენ. ჩეჩნეთში – 1870 წელს ხანგრძლივი და სისხლიანი ომის შემდეგ რუსეთის მეფის მიერ ანექსირებული მთიანი რეგიონის – მცხოვრებმა მუსლიმებმა, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ელცინმა მოსკოვის ხელისუფლების აღსადგენად სასწრაფოდ გაგზავნა ჩეჩნეთში სამხედრო ძალები, თუმცა ჩეჩენი პარტიზანების შეუპოვრობამ და რუსეთის შიგნით სამხედრო ინტერვენციისადმი ხმამაღალმა წინააღმდეგობამ აიძულა იგი, ძალები უკანვე გაეყვანა. ამბოხებული რეგიონის დე ფაქტო დამოუკიდებლობის სამწლიანი მოთმენის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტი საბოლოოდ დამორჩილდა საკუთარ მრჩეველებს სამხედრო და უს-

აფრთხოების სამსახურებიდან, რომლებიც არნაშენებდნენ მას, რომ ჩეჩნეთის მნიშვნელოვანი ნავთობმარაგის დაკარგვა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს ჩრდილოეთ კავკასიაში და გამოყოფისკენ ნააქვებდა მულტიეთნიკური რუსეთის ფედერაციის სხვა არასლავ უმცირესობებსაც.


1994 წლის დეკემბერში ჩეჩნეთში დაახლოებით 40 000 ქვეითი ჯარისკაცი და ასობით ტანკი შევიდა და პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის სეპარატისტული ამბოხის ჩახშობას შეუდგა. რუსეთის დეზორგანიზებულ და უდისციპლინო არმიას ორი თვე დასჭირდა ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს ასაღებად, რომელიც, მოგვიანებით, მან კვლავ დაკარგა უკან მობრუნებულ ჩეჩენ ძალებთან ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც 1996 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტაზე, რუსეთმა ჩეჩნეთზე ფაქტობრივი კონტროლი დაკარგა. თუმცა, გროზნოს სეპარატისტულმა მთავრობამ საერთაშორისო აღიარება ვერ მოიპოვა, რადგან საერთაშორისო საზოგადოებრიობა, შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, კონფლიქტს რუსეთის შიდა საქმედ მიიჩნევდა. 1999 წელს ჩეჩენი სამხედროები ამბოხის მოსაწყობად მეზობელ დაღესტანში გადავიდნენ. შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მათ ბრალი დასდო მოსკოვში ტერორისტული აფეთქებების მოწყობაში, რომელმაც რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლე იმსხვერპლა. წლის ბოლოს რუსეთის სამხედრო შენაერთები კვლავ შევიდნენ სეპარატისტულ რეგიონში დაუმორჩილებელი ჩეჩენური წინააღმდეგობის ჩასახშობად. როდესაც 2000 წლის დასაწყისში ელცინი მისმა პროტყე ვლადიმერ პუტინმა შეცვალა, მოსკოვმა ჩეჩნეთისადმი დამოკიდებულება გაამკაცრა, რასაც რუსეთის საზოგადოებრივი აზრი მთლიანად უჭერდა მხარს.

ფეთქებადსაშიში კავკასიის გარდა, ტერიტორიული დავები ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიას მოედო. ურალის მთების დასავლეთით, რუსეთი და უკრაინა ერთმანეთს ყირიმის ნახევარკუნძულის (მათ შორის, შავ ზღვაზე სტრატეგიულად მდებარე პორტების) კონტროლის უფლებას ედავებოდნენ. ყირიმი, იქ მცხოვრები რუსულენოვანი უმრავლესობის მიუხედავად, ორმოცდაათიანი წლების შუაში რუსეთის იურისდიქციიდან უკრაინას გადაეცა. აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრები თორმეტი მილიონი რუსი კიევის მმართველობის ქვეშ მოექცა. ესტონეთისა და ლატვიის რუსი მოსახლეობა, რომლებიც ამ ქვეყნებში, შესაბამისად, მოსახლეობის 30 და 34 პროცენტს შეადგენდნენ, ახალი ბალტიელი მმართველების ქვეშ პოლიტიკურ დისკრიმინაციას განიცდიდნენ, ხოლო მათი მძლავრი პროტესტი მოსკოვის კეთილგანწყობით სარგებლობდა. მოლდავეთის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (რომელსაც 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოლდოვა ეწოდა) რუსულენოვანმა მოსახლეობამ, რომელიც რუმინულენოვანი მოსახლეობის მიერ რუმინეთთან შეერთების პერსპექტივას ვარაუდობდა, მდინ-

არე დნესტრის აღმოსავლეთით სეპარატისტული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა. მოლდოვის მთავრობამ ვერ შეძლო დნესტრის აღმოსავლეთით საკუთარი ხელისუფლების დამყარება და იძულებული გახდა, დათანხმებოდა რუსეთის მეთოთხმეტე არმიის „სამშვიდობო“ ძალების განლაგებას, რომლებიც ღიად უჭერდნენ მხარს თავიანთ ამბოხებულ ეთნიკურ თანამოძმეებს. იმის მიუხედავად, რომ 1994 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება სამი წლის განმავლობაში რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე, „დნესტრის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული გარემოებები ასახავდა მოსკოვის აშკარა სურვილს, დაეცვა რუსული დიასპორების ინტერესები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

ეთნიკური დაძაბულობა ასევე გავრცელდა ცენტრალური აზიის ხუთ ახლადდამოუკიდებელ რესპუბლიკაში – ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა სამხედრო ძალისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გაუჩინარებამ ამ რეგიონში დასაბამი მისცა ენობრივი და რელიგიური დატვირთვის მქონე მოძრაობებს, რამაც შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმის შევსებით დაინტერესებული რეგიონული სახელმწიფოების ყურადღება მიიზიდა. თურქეთმა აქტიური კავშირები გააბა თურქულენოვან ყირგიზეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან, ხოლო ირანმა – სპარსულენოვან ტაჯიკეთთან. მეზობელ ავღანეთში მოჯაჰედების გამარჯვების შემდეგ, ცენტრალური აზიის პოსტ-საბჭოთა განვითარებაზე რელიგიაც მძლავრ გავლენას ახდენდა. 1989 წელს საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, მოჰამედ ნაჯიბულას მთავრობა, ეთნიკური და ტრიაბალური დაპირისპირებების წყალობით, სამი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა ხელისუფლებას. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ ქაბულში მისი მარიონეტული მთავრობის ბედიც გადაწყვიტა. 1992 წლის აპრილში მოჯაჰედებმა ქვეყნის დედაქალაქი აიღეს და ყოფილი მარქსისტული რეჟიმის ადგილას ისლამური სახელმწიფო დააარსეს. ქაბულის დაცემამ შთააგონა ისლამური მოძრაობები ცენტრალური აზიის ხუთივე რესპუბლიკაში, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენილ ყოფილ კომუნისტურ, სეკულარულ მმართველ რეჟიმებს დაპირისპირებოდნენ. პაკისტანმა – ავღანეთში ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის დიდი ხნის ქომაცმა – ცენტრალური აზიის ისლამურ ოპოზიციასთან მჭიდრო კავშირები გააბა და იმედი ჰქონდა, რომ, ყურანისადმი საერთო ერთგულების საფუძველზე, რუსეთსაც ჩაანაცვლებდა, როგორც რეგიონში გავლენიან სახელმწიფოს.

ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობებმა, რომლებსაც მათ ქვეყნებში ისლამური ფუნდამენტალიზმის მზარდ საფრთხესთან გამკლავების უნარი არ აღმოაჩნდათ, 1992 წლის შემოდგომაზე დახმარებისთვის მოსკოვს მიმართეს. რუსეთის სამხედრო ძალები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა



საბჭოთა კავშირის შემკვიდრე სახელმწიფოები

თანამეგობრობის ეგიდით, უზბეკეთის სეკულარული მთავრობის ჯვართან ერთად, ტაჯიკეთში მისივე რეჟიმის თხოვნის საფუძველზე შევიდნენ. 1992-1993 წლების ზამთარში ოცდახუთიათასიანი რუსული არმია სასტიკად გაუსწორდა ამ ქვეყნის ოპოზიციურ კოალიციას და, ცენტრალური აზიის სიმბოლური რაოდენობის სამხედრო ძალებთან ერთად, „სამშვიდობო“ მისიით ტაჯიკეთში დარჩა მოსკოვის ტრადიციული მოკავშირე ძალების დასაცავად იმ კლანებისგან, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ.

ამასობაში, 1992 წლის 25 აპრილს მოჯაპედების მიერ ქაბულის გათავისუფლების შემდეგ, ავღანეთი დიდი სიჩქარით მიემართებოდა ანარქიისაკენ. პარტიზანული ორგანიზაციების კოალიცია, რომელმაც საბჭოთა რეჟიმი დაამხო, სწრაფად დაიშალა პირველობისთვის მებრძოლ წარმოუდგენელი რაოდენობის ეთნიკურ და ენობრივ ფრაქციებად. ყველაზე დიდი დაპირისპირება მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ პუშტუნებ მოლაპარაკე პუშტუნებსა და ჩრდილოეთსა და დასავლეთში მცხოვრებ ენობრივ და ტრადიციულ დაჯგუფებათა მუდმივად ცვალებად ალიანსებს შორის, მათ შორის, სპარსულენოვან ტაჯიკებთან და თურქულენოვან უზბეკებთან. ეს მთავორიანი ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა მოსახერხებელ ბუფერულ ზონად რუსულ ცენტრალურ აზიასა და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს შორის, რომელიც ინდოეთის სუბკონტინენტზე ბატონობდა, ეთნიკური ნიშნით დანაწევრების პირას იდგა. ავღანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომმა, რომელმაც 1992-1995 წლებში ქვეყნის დედაქალაქი მთლიანად გაანადგურა, მას შემდეგ გააღვივა რეგიონული დიდი სახელმწიფოების ინტერესი, რაც მოსკოვსაც და ვაშინგტონსაც უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული ავღანეთზე. პაკისტანი, ირანი და უზბეკეთი საკუთარი გავლენის გაფართოებას ცდილობდნენ და ავღანეთის არეულობაში ერთმანეთთან დაპირისპირებულ დაჯგუფებებს უჭერდნენ მხარს.

რუსეთი, რომელიც შიშობდა, რომ ავღანეთში მიმდინარე ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური დაპირისპირებები შეიძლებოდა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებსა და რუსეთის სამხრეთის რეგიონებსაც მოსდებოდა, სიფრთხილის მიზნით თავის სამშვიდობო ძალებს ტაჯიკეთში ინარჩუნებდა, რასაც სრულად უჭერდნენ მხარს ცენტრალური აზიის კლიენტის სახელმწიფოები. ამასობაში, ტაჯიკეთი, ფაქტობრივად, რუსეთის პროტექტორატი ხდებოდა, ყაზახეთი კი (რეგიონის ხუთ სახელმწიფოს შორის ყველაზე დიდი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა) მოსკოვთან საუკეთესო ურთიერთობებს ამყარებდა. რუსულენოვანი სლავები, რომლებიც რუსეთის ევროპული ნაწილიდან მიგრაციის შედეგად აღმოჩნდნენ ყაზახეთში, რაოდენობით ყაზახებს აღემატებოდნენ და ამაყად ინარჩუნებდნენ ენობრივ და კულტურულ იდენტობას. ყაზახეთის მთავრობა თავს მოვალედ გრძნობდა ურთიერთთანხმობისთვის მიეღწია თავის რუსულენოვან ეკონომიკურ ელი-



ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურაზიური რესპუბლიკები

ტასთან, რითაც ქვეყნის შიგნით ძირგამომხრელი ტენდენციებისაგან თავს დაიზღვევდა. ავღანეთთან და კავკასიის ქვეყნებთან შედარებით, ცენტრალური აზიის ხუთი რესპუბლიკა, 1991 წელს მოსკოვისგან დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, შედარებით მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში ცხოვრობდა. რუსეთისათვის შექმნილი ეს ხელსაყრელი ვითარება რეგიონში რუსეთის ინტერესს ასახავდა, რაც, მისი ძველი ბატონობის აღდგენის გარეშე, რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებაში მდგომარეობდა.

რუსეთის მუშოთვარე ტრანზიციის კავიტაციისა და დემოკრატიისაკენ

ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ აგორებული ნაციონალისტური მღელვარების ტალღა მწვავე ეკონომიკურ კრიზისს დაემთხვა, რომელმაც ეს ახალი სუვერენული სახელმწიფო თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი და მტკივნეული ტრანზიციის პერიოდში მოიცვა. ელცინი და მისი გუნდი დაულალავად განაგრძობდნენ ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკას: სახელმწიფო სანარმოების ნახევარზე მეტის პრივატიზაციით, მინის საკუთრების ლეგალიზაციით, არამომგებიანი კომპანიებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების შეწყვეტით და ფასებზე კონტროლის გაუქმებით, რაც რუსულ საზოგადოებაში სერიოზულ მოკლევადიან რყევებს იწვევდა. მჭინვარე ინფლაციამ, წარმოების დაცემამ, ფინანსურმა სპეკულაციებმა, კორუფციამ და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტმა თანდათან ძირი გამოაცალა იმ კეთილგანწყობას, რომელიც ელცინმა 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალებისას მოიპოვა და მის მიმართ მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი. ასეთ ოპოზიციას წარმოადგენდა ნაკლებად სავარაუდო ალიანსიც უკიდურეს კომუნისტებს, რომლებიც ელცინის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს ეწინააღმდეგებოდნენ და ახალი სახეობის რუს ნაციონალისტებს შორის, რომლებიც მსოფლიოში რუსეთის ძალისა და პრესტიჟის დაცემას მისტიროდნენ. 1993 წლის განმავლობაში ელცინი და მისი ოპონენტები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე იმავე წლის სექტემბერში ელცინმა საკანონმდებლო ორგანო არ დაითხოვა, დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმებისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროგრამის დასაცავად საგანგებო უფლებამოსილებებით აღიჭურვა და საზოგადოებრივი განწყობის შესამომწებლად ახალი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა. თვის ბოლოს ელცინმა სამხედრო იერიშის ბრძანება გასცა პარლამენტის შენობაზე, სადაც მისი პოლიტიკური მტრები, მათ შორის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, გენერალი ალექსანდრე რუცკოი და პარლამენტის სპიკერი რუსლან ხასბულატოვი, მისი პოლიტიკური განადგურებისათვის შეთქმულებას ამზადებდნენ. ცეცხლმოკიდებული პარლამენტის შენობა და ციხეში გამომწყვდეული ოპონენტები ელცინისა და მისი რეფორმატორული პროგრამის საბოლოო გამარჯვების ნიშანი იყო.

უკვე ვიხილეთ, რომ რუსეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის არარუსული მემკვიდრე სახელმწიფოების მიმართ უფრო თვითდაჯერებული გახდა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ბევრი რუსეთთან მჭიდრო კავშირების აღდგენას მიესალმა. დამოუკიდებლობის შემდგომი თავდაპირველი ეიფორიის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სხვადასხვა არარუსულ რესპუბლიკას განსხვავებული შედეგი მოუტანა. ბევრი მათგანი

მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა მოსკოვის მიერ იმ კრედიტებისა და სუბსიდიების სისტემის გაუქმების შემდეგ, რომელსაც ისინი საბჭოთა პერიოდში მიჩვეულიყვნენ. სხვების სტაბილურობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები ემუქრებოდა, რასთან გამკლავებაც მათ მარტო არ შეეძლოთ. მკვეთრად დამოუკიდებელი კურსის მქონე ბალტიის რეგიონის ქვეყნებისა და უკრაინის გარდა, არარუსული მემკვიდრე სახელმწიფოები, შიდა სირთულეებისა და თავდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლად, რუსეთთან ეკონომიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კავშირების გამყარებას ცდილობდნენ. ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში ამ ქვეყნების მთავრობების თანხმობით განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზები და სამხედრო ბაზების განლაგებასთან დაკავშირებით სომხეთთან გაფორმებული შეთანხმება, რუსეთის საზღვრებს გარეთ მოსკოვის გავლენის შენარჩუნების ნათელ მაგალითად რჩებოდა. შეერთებული შტატების თავდაპირველი რეაქცია ცივ ომში მისი ყოფილი მოწინააღმდეგის ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების მიმართ, ზოგადად, ვაშინგტონის მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას ასახავდა. მოსკოვში არაერთი ამერიკელი ეკონომისტი გაეშურა, რათა ელცინის მთავრობისათვის მიეცათ რჩევები გეგმიური ეკონომიკის თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ სისტემაზე გადაყვანის საკითხში, რაც ელცინისა და მისი უახლოესი თანამოაზრეებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ქვეყნის მომავლის კუთხით. შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა რუსეთისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის დიდი ოდენობის სესხის გამოყოფას ორ მწვავე კრიზისულ პერიოდში, რომელიც ქვეყანას დაატყდა 1994 წელს ელცინის წინააღმდეგ განხორციელებული წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალებისა და 1998 წელს რუბლის ღირებულების მკვეთრი დაცემის შემდეგ, რომელსაც, როგორც შიშობდნენ, შეეძლო სრული ეკონომიკური კოლაფსი გამოეწვია. საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე, ელცინი, ეროვნული ვალუტის გასამყარებლად, ინფლაციის დასამარცხებლად და გადასახადების თავიდან აცილების აღსაკვეთად, მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას განაგრძობდა და, ასევე, რუსული მრეწველობის პრივატიზაციასაც აგრძელებდა. ამ პოლიტიკის გამო, რუსეთის პრეზიდენტი ვაშინგტონის მაღალ შეფასებასა და შეერთებული შტატების უწყვეტ მხარდაჭერას იღებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ათი წლის შემდეგ, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში რამდენიმე გამაღიზიანებელი ფაქტორი არსებობდა: ვაშინგტონის გადაწყვეტილება ანტიბალისტიკური რაკეტების ხელშეკრულებიდან გამოსვლისა და ეროვნული თავდაცვის სისტემის სტრატეგიის გაგრძელების შესახებ, ნატო-ს გაფართოება ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი წევრი ქვეყნების ხარჯზე და კოსოვოს კონფლიქტში რუსეთის სლავი პროტეჟეს, სერბიის, წინააღმდეგ ომის წარმოება მოსკოვის ღრმა უკმაყოფილებას

ინვევდა. თუმცა, ამ უკმაყოფილებას რუსეთში ისეთი მკვეთრი ანტიამერიკული განწყობა არ გამოუწვევია, რომელიც ორ ქვეყანას შორის დაახლოების პროცესს შეაფერხებდა. მეორე მხრივ, შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად იყო განწყობილი ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევითა და იმ ძალისმიერი მეთოდების გამო, რომელსაც ელცინი ხელისუფლებაში დასარჩენად იყენებდა. როგორც ჩინეთის ხელისუფლების მიერ ტიანანმენის მოედანზე დემონსტრანტების ხოცვა და განსხვავებული აზრის შემდგომი ჩახშობა დატოვა ვაშინგტონმა ყურადღების გარეშე, კლინტონის ადმინისტრაციაც ჩეჩნეთში რუსული არმიის უხეში ქცევისა და 1993 წელს პოლიტიკურ ოპონენტებთან დავისას ელცინის მიერ პარლამენტის შენობაზე სამხედრო იერიშის კრიტიკისაგან თავს იკავებდა. ელცინის მოულოდნელი გადადგომისა და მისი რჩეულისათვის, კავბეეს ყოფილი ოფიცრის – ვლადიმერ პუტინისათვის ხელისუფლების გადაცემის შემდეგაც, რუსულამერიკული ურთიერთობები მშვიდად ვითარდებოდა. 1999 წელს ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყების შემდეგ, იქ რუსეთის არმიის მიერ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და რუსული პრესისა და ხელისუფლების პოლიტიკური მონინალმდეგეების მიმართ პუტინის რეპრესიული ღონისძიებები ახალი საუკუნის პირველ წლებში, ვაშინგტონში მხოლოდ ფორმალურ პროტესტს იწვევდა. რაც არ უნდა არასრულყოფილი ყოფილიყო რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა დასავლელი დამკვირვებლების თვალში, ისინი მაინც ამ სისტემას ამჯობინებდნენ კომუნიზმის აღორძინებას ან აგრესიულ რუსულ ნაციონალიზმს, რომელსაც უკიდურესი მემარჯვენე ზოგიერთი პოლიტიკოსი უჭერდა მხარს. ვაშინგტონის შემწყნარებლური დამოკიდებულება პუტინის რეპრესიული პოლიტიკის მიმართ კიდევ უფრო მკვეთრად 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის პირობებში გამოიკვეთა. პუტინმა ჭკვიანურად მოახერხა ჩეჩენი მუსლიმი ამბოხებულების იმ მუსლიმ მებრძოლებთან დაკავშირება, რომლებმაც ნიუ იორკსა და ვაშინგტონში თავდასხმები მოაწყვეს და თეთრმა სახლმაც იგი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგულ მოკავშირედ მიიღო.

რუსეთი და მისი გავლენიანი მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რუსეთის ახალი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სათავეში ჩაუდგა ქვეყანას ღრმა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისით, უმეტესწილად მუსლიმური ჩეჩნეთის რეგიონისგან საშიში სეპარატისტული გამოწვევებითა და მსოფლიოში დაკარგული პრესტიჟითა და გავლენით. მისი ავტორიტარული მმართველობის ქვეშ ქვეყანამ, ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის ფინანსური კრიზისის შემდეგ, ეკონომიკისა და ცხოვრების სტანდარტების მნიშვნელოვან ზრდასა და ფი-

ნანსურ სტაბილიზაციას მიაღწია. რუსეთის სამხედრო ძალები უკვე მეორედ სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებას ჩეჩნეთში, რის შედეგადაც ამ ქვეყანაში ხელისუფლება მორჩილმა მმართველმა ელიტამ აიღო, რომელიც მოსკოვის ნება-სურვილის შესაბამისად იმოქმედებდა. რუსეთმა თავისი გლობალური ინტერესების გატარებაც უფრო მეტი თავდაჯერებულობით განაგრძო, ვიდრე ელცინის არასტაბილური მმართველობის პერიოდში. ამ ახალი მტკიცე პოლიტიკის გატარება მსოფლიოში ენერგორესურსებზე ფასების ზრდის წყალობით გახდა შესაძლებელი, რამაც საშუალება მისცა რუსეთს თავისი უზარმაზარი ბუნებრივი აირისა და ნავთობის მარაგები მათი ექსპორტიდან შემოსავლების მისაღებად და ნავთობისა და ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოეყენებინა. 1996 წელს მოსკოვმა და პეკინმა გააფორმეს შეთანხმება, რითაც რუსეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა ჩინეთში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდება, მაშინ, როცა ევრაზიის მეორე ბოლოს, დასავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო და უფრო კრიტიკულად დამოკიდებული ხდებოდნენ რუსეთის ბუნებრივ აირზე. მოკლედ, პოლიტიკური არასტაბილურობის, სამხედრო ძალის დაკარგვის, ფინანსური კრიზისისა და ეკონომიკური პრობლემების ათწლიანი პერიოდის შემდეგ, რუსეთი დამაჯერებლად ცდილობდა, დაებრუნებინა თავისი ძველი ადგილი მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოების გვერდით.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ეს თავდაჯერებულობა ნაწილობრივ გამიზნული იყო დაკარგული გავლენის აღდგენისათვის რუსეთის სამეზობლოში, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. უკრაინისა და საქართველოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათი მეტად პრო-დასავლური და ანტირუსული პოლიტიკის გამო, კრემლის განსაკუთრებული შეშფოთების მიზეზად იქცნენ. 2004 წლის ნარინჯისფერმა რევოლუციამ უკრაინაში ქვეყნის სათავეში პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მოიყვანა – მოსკოვის დაუფარავი ოპონენტი, რომელმაც თავისი ქვეყნის მიზნად ნატო-ს წევრობა გამოაცხადა. როდესაც უკრაინელებმა და ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ნატო-ში უკრაინის განევრიანების შესაძლებლობის შესახებ დისკუსიები გამართეს, კრემლმა დაუფარავად მრისხანე რეაქცია გამოხატა. ოთხმოცდაათიან წლებში, მოსკოვის უკიდურესი აღშფოთების მიუხედავად, ვარშავის პაქტის ქვეყნების ნატო-ში განევრიანების შემდეგ, შეერთებულ შტატებს დაქვემდებარებული ამ ალიანსის აღმოსავლეთით შემდგომ გაფართოებაზე კრემლის მოსალოდნელი რეაქცია უკრაინაში სევასტოპოლის საზღვაო ბაზით სარგებლობის წინაშე დამდგარი შესაძლო საფრთხითაც იყო განპირობებული. როდესაც 2006 წლის დასაწყისში უკრაინის მთავრობამ უარი თქვა რუსეთიდან მიღებული ბუნებრივი აირისთვის საბაზრო ფასის გადახდაზე, პუტინმა კიევის დროებით შეუჩერა ბუნებრივი აირის მიწოდება, რითაც გააფრთხილა უკრაინა (და, შესაბამისად,

ვეროპაც), რომ რუსეთი მზად იყო ენერჯის ეს უმნიშვნელოვანესი წყარო საკუთარი ინტერესების შელახვის წინააღმდეგ ბრძოლის დიპლომატიურ იარაღად გამოეყენებინა.

2003 წელს საქართველოში მომხდარი „ვარდების“ რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მკვეთრად ანტირუსული ელიტა მოვიდა, რომელმაც ღიად გამოხატა ნატო-ში განწევრიანების სურვილი და მოითხოვა ქვეყნიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანა, რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში წესრიგის დასაცავად იყვნენ განლაგებული. საქართველოს ამ ორი ანკლავის მოქალაქეებმა რუსეთისგან მოქალაქეობის შეთავაზება და ფართო ეკონომიკური დახმარება მიიღეს. ორივე რეგიონი ღიად უპირისპირდებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დედაქალაქ თბილისში. 2008 წლის გაზაფხულზე დასავლეთის მიერ რუსეთის პროტექტო სერვისისგან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე პასუხად, მოსკოვმა საქართველოს ორი ანკლავის დამოუკიდებლობა აღიარა და გამოაცხადა მათი, როგორც რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, დე ფაქტო ანექსია. იმავე წლის ზაფხულში ანტირუსულად განწყობილმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო იერიში წამოიწყო, რასაც ხუთდღიანი ომი მოჰყვა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელმაც სეპარატისტული რეგიონების დასაცავად ჯარები გაგზავნა. საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის (საფრანგეთი მაშინ ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იყო) შუამავლობით შეთანხმებული საზავო ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიიდან გასვლის შემდეგ, რუსეთის სამხედრო ძალები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დარჩნენ, რათა მოსკოვის პროტექციის ქვეშ ამ ორი ანკლავის დამოუკიდებელი სტატუსი დაედასტურებინათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა პირველად გამოიყენა სამხედრო ძალა საკუთარი საზღვრების მიღმა, რითაც პირდაპირ მიანიშნა, რომ მზად იყო ძალის გამოყენებით აღდგომოდა წინ მეზობელი სახელმწიფოების მიერთებას სამხედრო ორგანიზაციასთან, რომელსაც ის კვლავ ქვეყნის დასავლეთის საზღვრებთან მდებარე ანტირუსულ ალიანსად მიიჩნევდა.

პრეზიდენტ პუტინის ამ გაბედულ ნაბიჯებს დასავლეთში ისეთივე მნიშვნელოვანი კრიტიკა მოჰყვა, როგორც მანამდე მის მიერ რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წინააღმდეგ სასტიკი ზომების გამოყენებასა და ოთხმოცდაათიანი წლებში ელცინის პრეზიდენტობისას ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი დემოკრატიისადმი მის უპატივცემულო დამოკიდებულებას. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ახალი მემკვიდრის არჩევამაც დასავლეთის დამოკიდებულება დიდად ვერ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა დაიცვა კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულება

საპრეზიდენტო პოსტის ორი ვადით შეზღუდვის თაობაზე და ნებაყოფლობით გადადგა – რაც პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა თუ რუსი ლიდერის მხრიდან – მან პრემიერმინისტრის პოსტზე გადაინაცვლა, ხოლო მისმა ახალგაზრდა პროტეჟე დიმიტრი მედვედევმა არჩევნებში გაიმარჯვა და პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ნამდვილი ხელისუფლება პუტინის ხელში რჩებოდა, რადგან სწორედ იგი აკონტროლებდა ერთიანი რუსეთის პოლიტიკურ პარტიას, რომელიც პარლამენტში ნამყვან ძალას წარმოადგენდა. ასევე არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მედვედევი პუტინის შემტევ საგარეო პოლიტიკას განაგრძობდა. კოსოვოს სტატუსისა და უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში განევრიანების ნაქეზების გამო უთანხმოებების გარდა, არსებობდა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვნად ამწვავებდა რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებს. კერძოდ, უთანხმოების კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენდა ბუშის ადმინისტრაციის გეგმა, რომელიც ბალისტიკური რაკეტებისგან გლობალური თავდაცვის სისტემის კომპონენტების პოლონეთსა და ჩეხეთში განლაგებას ითვალისწინებდა. ურჩი სახელმწიფოების, მაგალითად, ირანის, სავარაუდო სარაკეტო თავდასხმისგან თავდაცვის საბაბის მიუხედავად, კრემლმა, რუსეთის ბირთვული შემაკავებელი სისტემისათვის საფრთხის შექმნის გამო, პოლონეთში გამანადგურებელი რაკეტებისა და ჩეხეთში სარადარო სადგურის განთავსება დაგმო. ამ პოლიტიკური უთანხმოებების გამო, რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაიწია.

2009 წლის იანვარში თეთრი სახლი ბარაკ ობამამ დაიკავა, რომელსაც ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის გამომწვევ ზოგიერთ მიზეზზე პოზიციის შერბილებით რუსეთ-ამერიკული ურთიერთობების „გადატვირთვა“ ჰქონდა გადანყვეტილი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მან პრეზიდენტობის პირველივე წელს გადადგა, როდესაც პოლონეთსა და ჩეხეთში სარაკეტო თავდაცვის პროექტი შეაჩერა. პოლიტიკის ასეთი მკვეთრი ცვლილება საზოგადოებას იმ ფაქტით განემარტა, რომ, ირანის შორი რადიუსის რაკეტების შესაძლებლობათა ხელახალი შეფასების შედეგად, ამ რეგიონიდან შესაძლო საფრთხის აღქმა შემცირდა. ეს გადანყვეტილება ასევე ასახავდა მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სარაკეტო თავდაცვაზე უარი ვაშინგტონის მხრიდან აუცილებელი დათმობა იყო ბირთვული იარაღის შექმნის მიზნით ირანის სავარაუდო მცდელობების გამო მის წინააღმდეგ უფრო მკაცრი სანქციების ასამოქმედებლად რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებისათვის.



ევროპა: ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია



ევროს სიმბოლოს ქანდაკება ევროტაურის წინ, ფრანკფურტში, ვილი ბრანდტის მოედანზე. ამ ორმოცდაოთხსართულიან შთამბეჭდავ ცთამბეჭენში ევროპის ცენტრალური ბანკის შტაბბინაა განლაგებული. 1999 წლის პირველი იანვრიდან ევროკავშირის თერთმეტი წევრი სახელმწიფოს მიერ ერთიანი ფულადი ერთეულის – ევროს – შემოღების შესაბამისად, დაარსდა ევროპის ცენტრალური ბანკი, ერთიანი ვალუტის დაბეჭდვაზე ნებართვის გაცემის ექსკლუზიური უფლებით. მას შემდეგ ე.წ. ევროზონას კიდევ რამდენიმე ქვეყანა შეემატა, რითაც მათ უარი თქვეს საკუთარ ფულად პოლიტიკაზე. ფულის დაბეჭდვის ექსკლუზიური კონტროლის დათმობით, – რაც ეროვნული სუვერენიტეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია, – ევროზონის ქვეყნებმა, ევროპული პოლიტიკური კავშირის განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანი ვალდებულება აიღეს.

თავის შინაარსი

ერთიანი ევროპის იდეის ახალი დასაწყისი

ბალკანეთის ტრაგედია


ერთიანი ევროპის იდეის ახალი დასაწყისი

ოთხმოციანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ბლოკის მოულოდნელი დაშლა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ნაკლებად სენსაციურ, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვან პროგრესს დაემთხვა. დასავლეთ ევროპაში 1957 წელს რომის ხელშეკრულებით დაწყებულმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ, წარუმატებელი წამოწყებებისა და აუსრულებელი იმედების შემდეგ, ოთხმოციანი წლების შუაში ხელახალი იმპულსი შეიძინა. 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტის თანახმად, 1993 წლის დასაწყისში გაუქმდებოდა ევროგაერთიანების* 12 წევრ სახელმწიფოს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალ გადაადგილებაზე მოქმედი ყველა შეზღუდვა. ეს კი ევროგაერთიანების შიგნით მოქმედ ფორმებს ხარჯების შემცირების საშუალებას აძლევდა, მთელი ევროგაერთიანების ბაზარზე წარმოების გაფართოების გზით, 380 მილიონი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის ეს ახალი მოძრაობა სიცოცხლისუნარიანობას მთელი ათწლეულის განმავლობაში ევროკომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორის** გაბედული პოლიტიკის წყალობით ინარჩუნებდა. 1989 წლის გაზაფხულზე მან ევროპის ფულადი კავშირის შექმნის გეგმა გამოაცხადა. გეგმა მოკლევადიან პერსპექტივაში ვალუტების გაცვლითი კურსების უფრო ეფექტურ კოორდინაციას ითვალისწინებდა, ხოლო უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში ამ კავშირის ფარგლებში შეიქმნებოდა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც საერთო ფულად ერთეულს გამოუშვებდა.

აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა იმპერიის მოულოდნელმა დაშლამ, ცივი ომის დასასრულმა და გერმანიის გაერთიანებამ 1989-1990 წლებში ევროპუ-

* რომის ხელშეკრულებაზე ხელმოწერი თავდაპირველი ქვეყნები (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი) და დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, დანია, საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია. ტერმინი – ევროპის გაერთიანება – აღნიშნავს 1967 წელს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების, ევროპის ქვანახშირისა და ფულადის გაერთიანების და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების (ევრატომის) შეერთების შედეგად ჩამოყალიბებულ ასოციაციას.

** ევროკომისია, რომლის შტაბბინა ბრიუსელში მდებარეობს, ევროგაერთიანების (მოგვიანებით, ევროკავშირის) აღმასრულებელი სტრუქტურაა. სტრასბურგში მდებარე ევროპარლამენტი ევროგაერთიანების (კავშირის) საკანონმდებლო ორგანოს ჩანასახს წარმოადგენს.



ევროპა ცივი ომის შემდეგ

E.M.C. 95

ლი ერთობის მომხრეები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა ევროგაერთიანებასა და საბჭოთა კავშირის ყოფილ სატელიტ სახელმწიფოებს შორის მომავალი ურთიერთობების საკითხი. როდესაც ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (COMECON) წევრმა ქვეყნებმა დიდი ენთუზიაზმით მიმართეს ევროგაერთიანებას განვერიანების სურვილით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მთავრობები მეტად უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. განა ისევე არ იმსახურებდნენ ახალ ზესახელმწიფოებრივ ევროპულ ორგანიზაციაში განვერიანებას ბუდაპეშტელი, პრადელი თუ ვარშაველი მოქალაქეები, რომლებმაც მთელი გულით გაიზიარეს პოლიტიკური დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ამაყად დაადასტურეს მათი ისტორიული კავშირი დასავლეთის საერთო კულტურულ მემკვიდრეობასთან, როგორც ლონდონელი, პარიზელი და ბერლინელი მოქალაქეები?

ევროგაერთიანების გაფართოების საკითხი, რომელიც პერიოდულად იჩენდა ხოლმე თავს, ყოველთვის მდელვარე პოლემიკის საგანი ხდებოდა და არც ყოფილი საბჭოთა სატელიტების განვერიანების საკითხი იყო გამონაკლისი. ზოგიერთი წევრი სახელმწიფო შიშობდა, რომ გამოუცდელი, დაბალგანვითარებული ქვეყნების ნაადრევი მიღება მძიმე ტვირთად დაანევიბოდა გაერთიანების მმართველ სტრუქტურებს და ძირს გამოუთხრიდა მის ეკონომიკას; სხვები განიცდიდნენ, რომ მათი პროდუქცია აღმოსავლეთ ევროპის დაბალანაზღაურებიანი ქვეყნებიდან შემოსული პროდუქციის კონკურენციას ვერ გაუძლებდა. იმის მიუხედავად, რომ ევროგაერთიანებამ 1989 წლის დეკემბერში დაუყოვნებლივ შექმნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აღმოსავლეთის ახალი სუსტი დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის გადაუდებელი ფინანსური დახმარების გასანევივად, ორგანიზაცია მათი მიღებისაგან, ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, მაინც თავს იკავებდა. ამის ნაცვლად, დასავლეთ ევროპა მათი ევროპული მისწრაფებების დაოკებას „ასოციაციის შეთანხმებებით“ შეეცადა, რაც ათი წლის განმავლობაში სავაჭრო შეზღუდვების თანდათანობით გაუქმებას ითვალისწინებდა და ბუნდოვნად მიანიშნებდა მომავალი განვერიანების შესაძლებლობაზე. მაგრამ, სულ მალე, მას შემდეგ, რაც ევროგაერთიანებამ ზურგი აქცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (COMECON) ყოფილ წევრ ლატაკ ქვეყნებს, ბრიუსელი ევროპის ეკონომიკური ორგანიზაციის მეტოქე „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ (EFTA) მდიდარ წევრსახელმწიფოთა (ავსტრია, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი) განაცხადების განხილვას შეუდგა. ნევრობის შესახებ მოლაპარაკებები ამ ოთხ სახელმწიფოსთან 1993 წელს დაიწყო და 1995 წლის პირველ იანვარს ყველა მათგანი, ნორვეგიის გარდა (რომლის ამომრჩეველმაც 1994 წლის ნოემბერში ჩატარებული რეფერენდუმით უარი თქვა ევროკავშირში განვერიანებაზე), ფორმალურად შეუერთდა ევროკავშირს.

გაერთიანებიდან კავშირამდე

ამასობაში, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით მიმდინარე ხანგრძლივი და შრომატევადი მოლაპარაკებები 1991 წლის დეკემბერში საეტაო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა. ევროკავშირის ხელშეკრულებამ (ანუ მაასტრიხტის ხელშეკრულება – ჰოლანდიის იმ ქალაქის სახელწოდების მიხედვით, სადაც ხელშეკრულების საბოლოო დებულებები შემუშავდა) ოფიციალურად დაადასტურა 1999 წლისათვის საერთო ევროპული ფულადი ერთეულის შემოღების მიზანი. მაასტრიხტში მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის ყველაზე შორს მიმავალი დებულებები ფულად კავშირს ეხებოდა. ამით დასრულდა კულისებსმიღმა ტექნოკრატებს შორის მიმდინარე ათწლიანი დებატები ვალუტების გაცვლითი კურსის რეგულირების, საპროცენტო განაკვეთების, ფულის მინოდებისა და შეთანხმების სხვა ფარული დეტალების შესახებ. საბოლოო მიზანს ხელშეკრულებაზე ხელმომწერ წევრ სახელმწიფოთა სავალუტო და ფისკალური პოლიტიკის ურთიერთდაახლოება წარმოადგენდა, რისთვისაც აუცილებელი იყო ევროგაერთიანების კიდევ ერთი ორგანოს შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა წევრი ქვეყნების მთავრობათა პოლიტიკური ჩარევისაგან და რომელიც დაარეგულირებდა ისეთ საკითხებს, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები და ფულის მინოდება. ეს კი სახელმწიფოების მიერ ფულად სფეროში მათი კომპეტენციების – ეროვნული სუვერენიტეტის ერთ-ერთი საყრდენის – თითოეული ქვეყნის ფინანსთა სამინისტროდან ახალი ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუციური ერთეულისათვის გადაცემას ნიშნავდა.

იმის მიუხედავად, რომ ერთიანი ევროპული ბაზარი 1993 წელს გეგმის მიხედვით ამოქმედდა, მაასტრიხტის ხელშეკრულება სახალხო რეფერენდუმებისა და საპარლამენტო რატიფიკაციების პროცესში სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. ევროგაერთიანების ქვეყნების ღრმა ეკონომიკური რეცესია აიძულებდა წევრ სახელმწიფოებს, კარგად დაფიქრებულიყვნენ, ვიდრე ეროვნული ეკონომიკის კონტროლის პრეროგატივას ჯერ კიდევ ბუნდოვან აბსტრაქციას – „ევროპას“ – გადასცემდნენ. როდესაც ბრიტანეთის ფართო საზოგადოებისთვის მაასტრიხტის ხელშეკრულების ინტერვენციული დებულებების შესახებ გახდა ცნობილი, სახალხო უკმაყოფილებამ ბრიუსელში მყოფი უცნობი ავტოკრატების მიმართ თანდათან იმატა. საფრანგეთში ხელშეკრულების მწვავე ოპონენტები უმუშევრობის მატებას ნებადართულ იაფი საქონლისა და მუშახელის ფრანგულ ბაზარზე თავისუფალ შესვლას აბრალედნენ, რასაც ერთიანი ევროპული ბაზრის წესები ითვალისწინებდა. გერმანელები, რომლებიც უკვე მწვავედ განიცდიდნენ ინფლაციური ტენდენციის სიმძიმეს ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის ერთიან გერმანიაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული გადაუდებელი ხარჯების გამო, შიშობდნენ, რომ გერმანულ მარკას მუდმივად მოუწევდა ევ-

როპის უფრო სუსტი ფულადი ერთეულების გადარჩენაზე ზრუნვა ევროპის ფულად კავშირში მოქმედი სავალუტო კურსების მექანიზმის გამოყენებით.

სუპრანაციონალიზმისკენ გარდაუვალი კვანტური ნახტომის ირგვლივ არსებულმა შეშფოთებამ პიკს 1992 წლის ივნისში მიაღწია, როდესაც დანიამ საყოველთაო რეფერენდუმზე მოულოდნელად უარი თქვა მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე. ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა ესარგებლა დანიის რეფერენდუმის შედეგებით და მომავლისთვის გადაედო ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო ხელშეკრულების გერმანელმა ოპონენტებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს მისი შესაბამისობა ფედერალურ კონსტიტუციასთან. ეკონომიკური ინტეგრაციის გრძელვადიანი უპირატესობების მიმართ საზოგადოების დადებითი განწყობა ხელშეკრულების წარმატებისთვის სერიოზულ საპირწონეს წარმოადგენდა, რამაც, საბოლოოდ, კომპრომისის გამონახვაც შესაძლებელი გახადა. ინტენსიური მოლაპარაკებების პროცესში ხელშეკრულების წინაშე არსებული წინააღმდეგობები თანდათან მოიხსნა, ხოლო მაასტრიხტის ხელშეკრულების უკვე არსებულ დათქმებს, სხვადასხვა ნევრი სახელმწიფოების ეჭვების გასაფანტად, ფრთხილად დაემატა ახალი დათქმები. 1993 წლის მაისში დანიამ მეორე რეფერენდუმით მხარი დაუჭირა ევროკავშირის ხელშეკრულებას და ბრიტანეთის პარლამენტმაც მისი ამოქმედების ნებართვა გასცა. იმავე წლის ნოემბერში ხელშეკრულება ამოქმედდა და „ევროპის გაერთიანება“ უფრო ინტეგრაციული ელფერის მქონე ევროკავშირით შეიცვალა.

1995 წლის დეკემბერში მადრიდში გამართულ კონფერენციაზე ახლადგაფართოებული ევროკავშირის 15 ნევრი სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრებმა სრული ეკონომიკური ინტეგრაციის ძნელად მისაღწევი მიზნის მიმართულებით გაბედული ნაბიჯები გადადგეს. მათ დაადასტურეს მაასტრიხტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება 1999 წლამდე ერთიანი ევროპული ფულადი ერთეულის შემოღების თაობაზე, დაადგინეს ზუსტი განრიგი სრული სავალუტო კავშირის ამოქმედებისთვის და მარკის, ფრანკის, ლირისა და სხვათა მემკვიდრე ვალუტას „ევრო“ უწოდეს. რამდენადაც მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროპის სავალუტო კავშირში განევრიანებისთვის მკაცრი წინაპირობები განსაზღვრა – მათ შორის წლიური საბიუჯეტო დეფიციტის 3%-ზე დაბლა, ხოლო სახელმწიფო ვალის 60%-ზე დაბლა დანევა – ნათელი გახდა, რომ ევროკავშირის ყველა სახელმწიფო არ ისურვებდა ან ვერ შეძლებდა დათქმულ ვადამდე ევროპის სავალუტო კავშირში განევრიანებას. საუკუნის მიწურულს ევროპაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ევროპის სავალუტო კავშირში განევრიანების მსურველ არაერთ ნევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, სავალუტო კავშირის შექმნისაკენ მისწრაფება არ შენელებულა. 1998 წლის 26 მაისს ევროკომისიამ გამოსცა რეკომენდაცია – რომელიც მომდევნო დღესვე დაამტკიცა ევროპულმა საბჭომ – რომლის თანახმადაც, ევროკავშირის თხუ-

თმეტი წვერი ქვეყნიდან თერთმეტი 1999 წლამდე ევროპის სავალუტო კავშირის წვერი ხდებოდა. გამონაკლისებს შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთი, დანია და შვედეთი (რომლებმაც ამ ეტაპზე, სხვადასხვა მიზეზით, ევროზონის გარეთ დარჩინა ამჟობინეს) და საბერძნეთი (რომელიც ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც ვერ შეძლო მაასტრიხტის კრიტერიუმების დაკმაყოფილება, თუმცა 2001 წელს მაინც გახდა ევროპის სავალუტო კავშირის წვერი).

ერთიანი ვალუტა და ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გეგმები

ბევრი ევროსკეპტიკოსის გასაოცრად, ევროკავშირის თერთმეტმა წევრმა სახელმწიფომ დათქმულ ვადაში – 1999 წლის 1-ელ იანვარს – ერთიანი ვალუტა შემოიღო და დაიწყო ყველა საბანკო და საკრედიტო ტრანსაქციის ევროში განხორციელება. 2002 წლიდან ახლადწამოსხმულმა მონეტებმა და ახლადდაბეჭდილმა ბანკნოტებმა მინიმალური გართულებებით ჩაანაცვლა ეროვნული ფულადი ერთეულები. იმავდროულად, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა თავის თავზე აიღო კონტროლი ფულის მიწოდებაზე, საპროცენტო განაკვეთებზე და სხვა იმ ფუნქციების განხორციელებაზე, რაც, ტრადიციულად, წვერი სახელმწიფოების ეროვნული ცენტრალური ბანკების პრეროგატივას წარმოადგენდა. ევროს შემოღებას თერთმეტი ეკონომიკური სისტემის სრული ინტეგრაცია არ მოჰყოლია. ერთ-ერთი დაბრკოლება საგადასახადო განაკვეთებისა და სოციალური კეთილდღეობის ხარჯებს შორის დარჩენილი განსხვავებები იყო, რაც ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს სხვებთან მიმართებაში გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. მეორე დაბრკოლებას წარმოადგენდა მუშახელის გადაადგილების სირთულე, რაც ენობრივ, ეთნიკურ და კულტურულ მოსაზრებებთან იყო დაკავშირებული და რაც ხელს უშლიდა მაღალი უმუშევრობის ქვეყნებში მცხოვრებ მუშახელს, ესარგებლა შეუზღუდავი მიგრაციის უფლებით და სამუშაო ევროკავშირის იმ ქვეყნებში მოეძია, სადაც საამისოდ მეტი შესაძლებლობები არსებობდა. სრული ინტეგრაციის გზაზე დარჩენილი ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, საუკუნის ბოლოს ევროპული მასშტაბის ცენტრალური ბანკის იურისდიქციის ქვეშ ერთიანი ვალუტის დაარსება ევროკავშირის უზარმაზარ მიღწევას წარმოადგენდა. ამით გამართლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეფორმატორთა მცირე ჯგუფის გაბედული ხედვა, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური თანამშრომლობა ბებერი კონტინენტის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება იყო.

იმის მიუხედავად, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულების სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკასთან დაკავშირებულმა დებულებებმა საზოგადოების ყველაზე მეტი ყურადღება დაიმსახურა, ხელშეკრულება ასევე ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას და ამისთვის

შესაბამისი მულტინაციონალური სამხედრო ინსტრუმენტის შექმნას ითვალისწინებდა. ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკით ევროკავშირი ერთგვარად თავს იზღვევდა იმ დღისათვის, როდესაც შეერთებული შტატების სამხედროები, საბჭოთა საფრთხის გაუჩინარების გამო, ევროპას დატოვებდნენ – სწორედ იმ საფრთხის, რომელიც ორმოცი წლის წინ კონტინენტზე ამერიკული სამხედრო ძალების განლაგების მიზეზი გახდა.

ევროპის ავტონომიურ თავდაცვასთან დაკავშირებული ინიციატივები – სამოციან წლებში ნატო-ში შეერთებული შტატების წამყვანი როლის მიმართ დე გოლის მკვეთრი კრიტიკით დაწყებული, მომაკვდავი „დასავლეთევროპული კავშირის“ გააქტიურების შესახებ მიტერანის მოკრძალებული მცდელობის ჩათვლით – შეერთებული შტატების წინააღმდეგობას იწვევდა იმ მიზეზით, რომ ექსკლუზიურად ევროპული თავდაცვითი სტრუქტურა (საუკეთესო შემთხვევაში) ნატო-ს ფუნქციების დუბლირებას გამოიწვევდა ან (უარეს შემთხვევაში) ალიანსის ერთიანობას შეარყევდა. თუმცა, ცივი ომის დასრულებამ და 1989 წელს მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი ამერიკის სამხედრო ვალდებულებების შემცირებისაკენ და, უფრო მეტად, ქვეყნის შიდაეკონომიკური პრობლემების მოგვარებისაკენ განაწყო. შედეგად, ექსკლუზიურად ევროპული თავდაცვის სისტემის მიმართ შეერთებული შტატების ტრადიციული ეჭვებიც გაიფანტა. 1991 წელს პრეზიდენტ ბუშის ცალმხრივი ინიციატივა ევროპიდან მცირე რადიუსის სახმელეთო ბირთვული იარაღის გატანის თაობაზე, მომდევნო წელს კანადის განცხადება, რომ 1994 წლამდე მთლიანად გაიყვანდა თავის სამხედრო ძალებს ევროპის კონტინენტიდან და 1993 წელს პრეზიდენტ კლინტონის გადაწყვეტილება ნატო-ში შეერთებული შტატების კონტინგენტის 100 000 ჯარისკაცამდე შემცირების თაობაზე მიუთითებდა, რომ ევროპელებისგან მათივე თავდაცვაზე ზრუნვის დიდი წილის საკუთარ თავზე აღებას მოელოდნენ.

შესაბამისად, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა და გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა დასავლეთევროპული კავშირის ეგიდითა და ფრანკო-გერმანული სამხედრო ძალების ბირთვის გარშემო ევროპული არმიის შექმნის ძველ გეგმას მტკვერი გადანმინდეს. 1992 წლის მაისში საფრანგეთმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორივე ქვეყნის სამხედრო ძალებიდან ოცდათხუთმეტიათასკაციანი ევროპული არმიის (ევროკორპის) შექმნის შესახებ. მას შემდეგ, რაც ბელგია ევროკორპისთვის მექანიზებული დივიზიის გამოყოფას დათანხმდა, 1993 წლის ნოემბერში სამმა სახელმწიფომ სტრასბურგში ორგანიზაციის შტაბბინა დააარსა. მოგვიანებით, მათ ესპანეთი და ლუქსემბურგი შეუერთდნენ. მაგრამ, ევროპული თავდაცვის თანამშრომლობის შესახებ რიტორიკის მიუხედავად, განახლებულმა ევროკავშირმა, ცივი ომის შემდგომ ევროპაში რეგიონული უსაფრთხოების მართვის კუთხით, საკუთარ შესაძლებლობათა პირველი გამოცდა ვერ ჩააბარა.

ევროპაში, 1945 წლის შემდეგ, ყველაზე დიდი მასშტაბის სამხედრო დაპირისპირების მიმდინარეობისას, ევროკავშირმა ყოფილ იუგოსლავიაში ააღებულ კონფლიქტის მოსაგვარებლად ვერც დიპლომატიური და ვერც სამხედრო გზები ვერ გამოიხატა.

ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურის ჩამოყალიბების მცდელობები ნატო-ს იდენტობის ღრმა კრიზისს დაემთხვა: შეერთებულ შტატებსა და მის ევროპელ პარტნიორებს ატლანტიკური ალიანსის მომავალზე უნდა ეფიქრათ იმ ვითარებაში, როდესაც აღარც ვარშავის პაქტი და არც საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა. ნატო-ს დღის წესრიგის მრავალი საკითხიდან ერთ-ერთი მისი დასავლეთ-ევროპულ კავშირთან ურთიერთობა იყო, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებოდა. ამ ორ ორგანიზაციას შორის 1993 წლის ივნისში გამართულმა პირველმა შეხვედრამ სერბიის წინააღმდეგ გაეროს ეკონომიკური სანქციების ერთობლივ აღსრულებასთან დაკავშირებული ლოგისტიკური საკითხების მოგვარება სცადა და მომავალი თანამშრომლობის ძირითადი წესები განსაზღვრა.

ევროპული თავდაცვის თანამშრომლობის გეგმები, რამაც პრიორიტეტული მნიშვნელობა ცივი ომის დასრულებისა და ნატო-ში ამერიკელ სამხედროთა შემცირების შემდეგ შეიძინა, კვლავ ჩამოყალიბებული და ბუნდოვანი რჩებოდა. საყოველთაოდ რეკლამირებული ევროკორპის პირველი ოფიციალური წვრთნები 1995 წლის ნოემბერში ფრანგული, გერმანული, ესპანური, ბელგიური და ლუქსემბურგული სამხედრო ერთეულების მონაწილეობით გაიმართა. ამის მიუხედავად, დასავლეთ-ევროპული კავშირი, რომელიც თავდაპირველად ერთიანი ევროპული თავდაცვის სისტემის ბირთვად განიხილებოდა, ამჟამად ცდილობდა საკუთარი განსაკუთრებული როლის განსაზღვრას ევროკავშირის სტრუქტურების შიგნით. როდესაც გერმანიამ 1997 წელს ორი ორგანიზაციის შერწყმის ინიციატივა წამოაყენა იმ იმედით, რომ დასავლეთ-ევროპული კავშირი ევროკავშირის სამხედრო კომპონენტი გახდებოდა, დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირის ნეიტრალურმა წევრმა სახელმწიფოებმა (ავსტრიამ, ფინეთმა, შვედეთმა და ირლანდიამ) ინიციატივა დაბლოკეს. ბოსნიის კრიზისის დროს, როდესაც ბალკანეთზე ვითარება გამწვავდა, სწორედ ნატო და არა ევროკორპი ან დასავლეთ-ევროპული კავშირი იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც ჯერ საპაერო ძალის გამოყენებით მხარეებს ბრძოლის შეწყვეტა აიძულა და შემდეგ სამშვიდობო შეთანხმების ზედამხედველობა განახორციელა. ევროკავშირმა ვერ შეძლო ბოსნიაში ადამიანთა უღელტის შეჩერება, რითაც დაადასტურა, რომ მისი ერთიანი უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ შორს იყო მისი ერთიანი სავალუტო პოლიტიკის მსგავსი წარმატებისგან.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა და კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დიდი ხნის წინ მივიწყე-

ბულ დასავლეთევროპულ კავშირს ხელახალი სული შთაბერეს, ევროპული თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების ინიციატივები ყოველთვის საფრანგეთისგან და გერმანიისგან მოდიოდა. თუმცა, 1998 წლის ოქტომბერში ავსტრიაში გამართულ ევროკავშირის სამიტზე, ბალკანეთის კრიზისისას ევროკავშირის სამარცხვინო სამხედრო დონით აღშფოთებულმა ბრიტანეთის ახლადარჩეულმა პრემიერმინისტრმა ტონი ბლერმა უარი თქვა ევროკავშირის შიგნით სამხედრო თანამშრომლობის მიმართ ბრიტანეთის ტრადიციულად უარყოფით დამოკიდებულებაზე. ბლერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა 1998 წლის 4 დეკემბერს სენ მალოში ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რითაც ევროკავშირს ნატოსგან განცალკევებული ავტონომიური სამხედრო შესაძლებლობების განვითარებისაკენ მოუწოდებდნენ, რასაც ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP) უნდა დარქმეოდა. აღნიშნული მიზანი 1999 ივნისში – მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა სამარცხვინოდ წარმოაჩინა თავი კოსოვოში შეერთებული შტატების საჰაერო-სამხედრო კამპანიისას – ევროკავშირის კიოლნის სამიტის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს. წლის ბოლოს, ჰელსინკის ევროპული საბჭოს სხდომაზე ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) დეტალური გეგმა შეიმუშავეს. ევროკავშირის სამხედრო ძალების პირველი მცირემასშტაბიანი ოპერაციები 2003 წელს ყოფილ იუგოსლავიაში ჩატარდა, როდესაც ევროკავშირის კონტინგენტებმა ბოსნიასა და მაკედონიაში გაეროსა და ნატო-ს მისიები ჩაანაცვლეს. ნახევარი საუკუნე იყო გასული მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა პირველად წამოიწყო საუბარი ევროპული თავდაცვის გაერთიანების შესახებ, როდესაც ევროპა, ბოლოსდაბოლოს, საკუთარი მრავალეროვნული არმიის შესაქმნელად სერიოზული ძალისხმევისათვის აღმოჩნდა მზად. საკითხავი რჩებოდა, ისურვებდნენ თუ არა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ევროპის ავტონომიური სამხედრო ძალებისათვის საჭირო თანხების გამოყოფას. ნატო-ს ევროპული წევრი სახელმწიფოები, ერთად, თავდაცვაზე შეერთებული შტატების თავდაცვითი ხარჯების ნახევარს ხარჯავდნენ. მეოცე საუკუნის ბოლოს კი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მათი თავდაცვის ხარჯები 22 პროცენტით შემცირდა.

წარმატებული გაფართოება და წარუმატებელი საკონსტიტუციო და ეკონომიკური რეფორმა

ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში სავალუტო ინტეგრაციის წარმატებისა და სამხედრო ინტეგრაციის ზანტი ტემპის პარალელურად, ევროკავშირის წინაშე აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგობრივი საკითხი დადგა. 1997 წლის ზაფხულში ევროკომისიამ გამოსცა დოკუმენტი, – “Agenda 2000” – რომელიც აფრთხილებდა ევროკავშირის წევრობის მსურველ სახელმწიფოებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად მათ 1993 წელს მიღებული მე-

ტად მკაცრი წინაპირობების დაკმაყოფილება მოუწევდათ. ეს წინაპირობები დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან, საბაზრო ეკონომიკასთან და ევროკავშირის სამართლებრივი ბაზის მიღებასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებსაც მოიცავდა. ნევრობაზე რამდენიმე განაცხადის განხილვის შემდეგ, ევროკომისიამ განსაზღვრა ის ექვსი სახელმწიფო, რომლებიც მზად იყვნენ განეწიანებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად: კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, სლოვენია და პოლონეთი. 1997 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ ევროკომისიის რეკომენდაცია დაამტკიცა, ხოლო 1998 წლის მარტში ზემოაღნიშნულ ექვს ქვეყანასთან განეწიანების მოლაპარაკებები დაიწყო. მალე ამ ქვეყნების სიას ლატვია, ლიტვა, მალტა და სლოვაკეთიც დაემატა. თურქეთი – ნატო-ს ფარგლებში ერთგული მოკავშირე, რომელმაც ჯერ კიდევ 1987 წელს გააკეთა განაცხადი ევროკავშირის წევრობისთვის – ღრმა უკმაყოფილებას გამოხატავდა მისი მოლაპარაკებების მიღმა დატოვების გამო, მაშინ, როცა ევროკავშირმა ფართოდ გაუხსნა კარები კვიპროსსა და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს. თურქეთის მთავრობა ასევე აღშფოთებული იყო იმით, თუ როგორ მიუდგა ევროკავშირი კვიპროსის კანდიდატურას, რომელიც 1974 წლიდან ბერძნულ და თურქულ ნაწილებად იყო გაყოფილი. ევროკავშირმა განაცხადა, რომ, თუკი კვიპროსის თურქული ნაწილი უარს იტყოდა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე – კვიპროსის თურქული ნაწილი კი უარს ამბობდა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე საერთაშორისო აღიარების მიღებამდე, რისთვისაც მზად არცერთი სახელმწიფო არ იყო – მოლაპარაკებები მხოლოდ კვიპროსის ბერძნულ მხარესთან წარიმართებოდა. ის ფაქტი, რომ, შესაძლოა, კვიპროსის ბერძნული ნაწილი ევროკავშირის წევრი გამხდარიყო, მაშინ, როცა კვიპროსის თურქული ნაწილი (და, თავად, თურქეთიც) მოლაპარაკებების გარეთ რჩებოდა, ანკარაში მწვავე რეაქციას ბადებდა. თურქების დიდი ნაწილი ევროკავშირის ამ პოზიციის უკან რელიგიური და კულტურულ მოტივებს ხედავდა, რომელთა გამოც ევროკავშირი უარს ამბობდა პირველი, ძირითადად, მუსლიმი ქვეყნის წევრად მიღებაზე. ინტენსიური და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 2004 წლის პირველ მაისს ათი კანდიდატი ქვეყანა ევროკავშირს მიუერთდა, რითაც კავშირის წევრთა რაოდენობა თხუთმეტიდან ოცდახუთამდე გაიზარდა. სამი წლის შემდეგ კიდევ ორი ყოფილი კომუნისტური ქვეყანა: ბულგარეთი და რუმინეთი, რომელთა ევროკავშირში წევრობას მანამდე მათი ეკონომიკური სიძნელეები აბრკოლებდა, ევროკავშირის კლუბს შეუერთდა.

განეწიანების შესახებ მოლაპარაკებათა მიმდინარეობისას, ბევრი ევროპელი ლიდერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ევროკავშირის ნამდვილი პოლიტიკური ინტეგრაციის მიღწევა მხოლოდ დანერგილი კონსტიტუციის მიღებით გახდებოდა შესაძლებელი. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იურიდიული ექსპერტები შეხვედრებს მართავდნენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლებთან და სრული დატ-

ვირთვით მუშაობდნენ დოკუმენტის პროექტზე, რომელიც ყველა ნევრი სახელმწიფოსათვის იქნებოდა მისაღები. პროცესს აყვავებდა განსხვავებული მოსაზრებები ევროკომისიის ზომისა და უფლებამოსილებების, ხმის მიცემისას კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურისა (რომელსაც საბოლოოდ გადანყვეტილებათა ერთხმად მიღების ძველი პროცედურა უნდა შეეცვალა) და ნევრ სახელმწიფოებს შორის ხმების რაოდენობის განაწილების შესახებ. 2004 წლის მაისში ევროკავშირის გაფართოებამ თხუთმეტიდან ოცდახუთ ნევრამდე, ახალი სტიმული შესძინა ამ კონსტიტუციურ განხილვებს. საბოლოოდ, კომპრომისი მიღწეულ იქნა 2004 წლის 18 ივნისს – ამ თარიღს ზოგიერთი ოპტიმისტი ინტეგრაციონისტი ისეთივე დატვირთვას აძლევდა, რაც 4 ივლისს აქვს შეერთებული შტატებისათვის. ოთხი თვის შემდეგ, ევროკავშირის ნევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ახალი კონსტიტუციის შესახებ ხელშეკრულების პროექტს და ახალი ევროპული კონსტიტუციის ტექსტი ოცდახუთი ქვეყნის მიერ რატიფიცირებისათვის მზად იყო. ამდენი წარუმატებელი წამოწყებისა და იმედგაცრუების შემდეგ, უან მონესა და მისი თანამოაზრეების ოცნება ევროპის გაერთიანებული შტატების შესახებ, განხორციელების პირას იდგა. ბოლოს, 2005 წლის გაზაფხულზე ფრანგი და პოლანდიელი ამომრჩეველების მიერ კონსტიტუციაზე უარის თქმამ, ევროპის სრული პოლიტიკური ინტეგრაციისაკენ მიმავალი გზა კვლავ ჩიხში შეიყვანა.

2005 წელს ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის სამარცხვინო ჩაყარდნის შემდეგ, მისი ავტორები კვლავ დაუბრუნდნენ საწერ მაგიდებს და ახალი, უფრო მოკრძალებული და ადაპტირებული დოკუმენტი წარმოადგინეს. 2007 წლის დეკემბერში ევროკავშირის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ე.წ. ლისაბონის ხელშეკრულება მიიღეს, რომელიც ევროკავშირის ორი დამფუძნებელი ხელშეკრულების – რომის ხელშეკრულებისა (1957) და მასტრიხტის ხელშეკრულების (1992) – შესწორებას წარმოადგენდა. ერთი ნევრი სახელმწიფოს გარდა, ყველამ ხელშეკრულების საპარლამენტო რატიფიცირების გზით დამტკიცება გადანყვიტა, რადგან შიშობდნენ, რომ სახალხო რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში ეს ხელშეკრულებაც კონსტიტუციის ბედს გაიზიარებდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც სახალხო რეფერენდუმის ჩატარება გადანყვიტა, ირლანდია იყო და ირლანდიელმა ხალხმაც 2008 წლის ივნისში ლისაბონის ხელშეკრულებაზე უარი თქვა. ვინაიდან ხელშეკრულების ამოქმედებისათვის აუცილებელი იყო ოცდაშვიდივე ქვეყნის რატიფიკაცია, ირლანდიის უარმა ევროკავშირის მომავალი კიდევ ერთხელ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თუმცა, მომდევნო წელს ირლანდიელმა ელექტორატმა გადანყვეტილება შეეცვალა და საშუალება მისცა ლისაბონის ხელშეკრულებას, 2009 წლის 1 დეკემბერს ძალაში შესულიყო.

ლისაბონის ხელშეკრულება უარყოფილი კონსტიტუციით გათვალისწინებულ არაერთ რეფორმას მოიცავდა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა

ევროპის პარლამენტის ძალაუფლების გაფართოებას, მინისტრების საბჭოს კომპეტენციაში შემავალი პოლიტიკის სფეროთა დიდ ნაწილზე გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღების წესის ორმაგი უმრავლესობის წესით შეცვლას და საგარეო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების პოლიტიკაში უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შექმნას, როგორც პირველ ნაბიჯს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძნელად მისაღწევ მიზნისაკენ. „დემოკრატიული დეფიციტის“ ცნობილი პრობლემის არსებობას, რომელიც ბრიუსელის ბიუროკრატიას ადგილობრივი ამომრჩევლებისაგან ჰყოფდა, კვლავ ადასტურებდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები. ამასთანავე, ევროკავშირის უარი, საშუალება მიეცა ამომრჩევლებისათვის, თავად გადაეწყვიტათ ევროკავშირის სტრუქტურისა და ფუნქციების ფუნდამენტური ცვლილებების ბედი, ე.წ. ევროსკეპტიციზმის აქტუალურობას ადასტურებდა. ამაზე მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ ოცდაშვიდი წევრი სახელმწიფოდან ერთიან ვალუტას მხოლოდ თექვსმეტი შეუერთდა, რომელთაგან დიდი ბრიტანეთი ყველაზე თვალში საცემი გამონაკლისი იყო.

ექსპანსიის ახალი ტალღის წამოწყების გარდა, ევროკომისიის Agenda 2000 ასევე ითვალისწინებდა ევროკავშირის ორი სადავო პროგრამის ფუნდამენტურ რეფორმას. ეს ორი პროგრამა ევროკავშირის ყოველწლიური ბიუჯეტის უმეტეს ნაწილს მოიხმარდა. პირველი მათგანი ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა იყო – სუბსიდიების კომპლექსური სისტემა, რომელიც ფერმერებს პროდუქციისათვის ფიქსირებული ფასების გარანტიას აძლევდა. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა წევრებს შორის განხეთქილების საბაზად. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ერთი მხრივ, ის ქვეყნები, რომელთაც დიდი სასოფლო-სამეურნეო სექტორი ჰქონდათ (მაგალითად, საფრანგეთი) და, შესაბამისად, ფიქსირებული ფასებისგან დიდ სარგებლობას იღებდნენ და, მეორე მხრივ, ქვეყნები ფერმერთა მცირე რაოდენობით (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი), რომელთაც ამ სუბსიდიების დაფინანსება და სურსათში უფრო მაღალი ფასების გადახდა უწევდათ. მეორე პრობლემური პროგრამა „სექტორულ ფონდებთან“ იყო დაკავშირებული, რომელიც ნაკლებად განვითარებულ წევრ სახელმწიფოებში (საბერძნეთში, პორტუგალიაში) ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისკენ იყო მიმართული. დიდი სასოფლო-სამეურნეო სექტორის მქონე, დაბალგანვითარებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარება ევროკავშირში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა როგორც სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის, ასევე სექტორული ფონდების ბიუჯეტს, თუკი ისინი რადიკალურ ცვლილებებს არ განიცდიდნენ. საფრანგეთი, პოლიტიკურად ძლიერი ფერმერების ხარჯზე, სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის რეფორმის ყველა მცდელობას ბლოკავდა, ხოლო ევროკავშირის უფრო ღარიბი წევრი სახელმწიფოები სამხრეთში სე-


ქტორული ფონდების გაზრდას ითხოვდნენ, რათა დაეცვათ ამ ფონდებიდან მისაღები საკუთარი წილი მას შემდეგ, რაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ევროპელმა წევრმა სახელმწიფოებმა ეკონომიკური დახმარების მოთხოვნა დაიწყეს. ამგვარად, ევროკავშირის კომპლექსური ბიუჯეტის სერიოზული რეფორმა ბრიუსელის ბიუროკრატიის მთავარ საზრუნავად რჩებოდა.

მაშინ, როდესაც ევროკავშირი აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მიღებას გეგმავდა, ამ ქვეყნების ნატო-სთან ურთიერთობის საკითხიც დავის საგნად იქცა. იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირი და შემდეგ რუსეთის ფედერაციაც ზედმინეწით ასრულებდნენ გორბაჩოვის პირობას ყოფილი საბჭოთა სატელიტი ქვეყნებიდან წითელი არმიის გაყვანის შესახებ, ეს ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები თავს დაუცველად გრძნობდნენ და, რეგიონული არასტაბილურობის ამ პერიოდში, სანდო მოკავშირეებს ეძებდნენ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საფრთხის განცდა მაშინვე მწვავედებოდა, როგორც კი რუსეთში პოლიტიკური არეულობები იწყებოდა ან ნაციონალისტური რიტორიკა აქტიურდებოდა. როგორც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (COMECON) ყოფილი წევრები – ჩეხოსლოვაკია (მოგვიანებით, ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი), უნგრეთი და პოლონეთი – ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ევროგაერთიანებაში განეკრიანებას ცდილობდნენ, ხოლო, როგორც ვარშავის პაქტის ორგანიზაციის ყოფილმა წევრმა სახელმწიფოებმა, მათ, მომავალში რუსეთისგან შესაძლო საფრთხისაგან თავდასაცავად, წევრობისათვის ნატო-საც მიმართეს.

როდესაც რუსეთმა უკმაყოფილება გამოხატა თავისი ყოფილი კლიენტი სახელმწიფოების შესაძლო განეკრიანების გამო შეერთებული შტატების მიერ დომინირებულ სამხედრო ალიანსში, რომელიც ანტირუსულ კოალიციადაც შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული, ნატო-ს სტრატეგიული დაგეგმვის მოხელეებმა აღმოსავლეთ-ევროპელების დასამშვიდებლად რამდენიმე უწყინარი ალტერნატივა შეიმუშავეს ისე, რომ რუსეთსაც არ ეგრძნო თავი შეურაცხყოფილად. მას შემდეგ, რაც ჩეხებს, პოლონელებსა და უნგრელებს უარი ეთქვათ ნატო-ში სწრაფ განეკრიანებაზე, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა 1991 წლის ბოლოს ახალი ორგანო დააარსა, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC) ეწოდა. საბჭოს წევრი გახდა: ნატო-ს ყველა წევრი სახელმწიფო, ვარშავის პაქტის ორგანიზაციის ყველა ყოფილი წევრი ქვეყანა და საბჭოთა კავშირის ყველა მემკვიდრე სახელმწიფო. 1994 წლის იანვარში პრეზიდენტმა კლინტონმა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის გეგმა გაახმაურა. პროგრამა ითვალისწინებდა სამხედრო პარტნიორობას ერთი მხრივ, ნატო-სა და, მეორე მხრივ, ევროპის ყოფილი კომუნისტური ბლოკის არმიებს შორის ისევე, როგორც თანამშრომლობას იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და ნეიტრალურ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამის სურვილს გამოხატავდნენ. სულ მცო-

რედ მინიშნებასაც კი, რომ ნატო განიხილავდა ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა განცხადებებს ნევრობის შესახებ, ელცინის მხრიდან სერიოზული გაფრთხილება მოჰყვებოდა. რუსეთის ლიდერი დასავლეთს სთავაზობდა, რომ შეზღუდული ნევრობის მქონე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჩანაცვლებულიყო უფრო მრავალრიცხოვანი ფორმატით – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციით (მაშინ ჯერ კიდევ კონფერენციით), რომელიც კონტინენტზე მშვიდობასა და სტაბილურობას დაიცავდა. მაგრამ პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის მთავრობებმა განსაკუთრებული სიმტკიცე გამოიჩინეს და 1999 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნევრობასაც მიაღწიეს. რუსეთი, რომელიც მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა და დამოკიდებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსურ დახმარებაზე, ბევრს ვერაფერს გახდებოდა მის ტრადიციულ გავლენის სფეროში ნატო-ს გაფართოების აღსაკვეთად. მეოცე საუკუნის ბოლოს, რუსეთის ხელმძღვანელობა ნატო-ს აღმოსავლეთისკენ კიდევ უფრო გაფართოების გარდაუელობასაც შეეგუა. 2004 წლის აპრილში, როდესაც ნატო-ს კიდევ შვიდი ყოფილი კომუნისტური ქვეყანა შეემატა, ელცინის მემკვიდრე ვლადიმერ პუტინი მხოლოდ ფორმალური პროტესტის გამოხატვით შემოიფარგლა. ეს ქვეყნები იყო: ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია და საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები ბალტიის რეგიონიდან: ესტონეთი, ლატვია და ლიტვა.

ამავე პერიოდში ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და ეთნიკური ანტაგონიზმის ისტორიული მემკვიდრეობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არასტაბილურობის მთავარ წყაროდ რჩებოდა. გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფ გადასვლას – რაც სახელმწიფო სანარმოების პრივატიზაციას, სახელმწიფო სუბსიდიების შემცირებასა და ფასებზე კონტროლის გაუქმებასაც მოიცავდა – ამ ქვეყნებში მტკივნეული ცვლილებები მოჰყვა. დასავლეთ ევროპის გულგრილმა რეაქციამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონოდებებზე ფინანსური დახმარებისა და სავაჭრო შეღავათების შესახებ, კიდევ უფრო დაამძიმა უკვე არსებული სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობა. დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთ ევროპისკენ მიმართული სესხები და ინვესტიციები აღმოსავლეთში შექმნილ მოლოდინს არ შეესაბამებოდა, რაც, ნაწილობრივ, იმ მწვავე ეკონომიკურ კრიზისთან იყო დაკავშირებული, რომელმაც დასავლეთი ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მოიცვა. 1989-1994 წლებში ევროკავშირმა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა, საბჭოთა კავშირი ჩანაცვლა; თუმცა, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები თავდაპირველად ამ ცვლილებიდან სარგებელს ვერ ამჩნევდნენ: ევროკავშირის მიერ დაწესებული მაღალი სავაჭრო ტარიფებისა და მკაცრი კვოტების გამო, მათ დასავლეთთან უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი დაუგროვდათ.



ევროკავშირი

ცივი ომის დასრულებისთანავე კვლავ თავი იჩინა ეთნიკურმა ანტაგონიზმმა, რომელიც კომუნისტური სოლიდარობის ორმოცნობიანი პერიოდის განმავლობაში შეუმჩნეველი რჩებოდა. ამ პრობლემას ყველაზე ეფექტურად მრავალეთნიკური ჩეხოსლოვაკია გაუმკლავდა. საბჭოთა არმიის გახსნისთანავე, 1991 წელს, ნათელი გახდა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთით მცხოვრებ სლოვაკთა უმრავლესობას, ჩეხების მიერ დომინირებულ სახელმწიფოში დაქვემდებარებული სტატუსით ცხოვრებას, დამოუკიდებელი მმართველობა ერჩიათ. საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლების შემდეგ, დაუსრულებელი ეთნიკური დაპირისპირებისათვის ნერტილის დასმის მიზნით, პრეზიდენტმა ვაცლავ შაველმა უმცირესი წინააღმდეგობის გზა აირჩია. ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით გამართული

მეტად გულითადი მოლაპარაკებების შემდეგ, 1993 წლის პირველ იანვარს ჩეხოსლოვაკია ჩეხეთის რესპუბლიკად და სლოვაკიად გაიყო. ამ მეგობრულ-მა გამოყოფამ სლოვაკიას პოტენციურად საშიში სეპარატიზმის პრობლემა დაუტოვა ქვეყანაში მცხოვრები ნახევარი მილიონი უკმაყოფილო უნგრელის სახით. ჩეხოსლოვაკიის მემკვიდრე სახელმწიფოები ერთადერთი არ იყვნენ აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც მსგავსი სირთულის წინაშე აღმოჩნდნენ. რუმინეთის ტრანსილვანიის რეგიონში მცხოვრები ორი მილიონი უნგრელი, პოლონეთის აღმოსავლეთით მყოფი დაუდგენელი რაოდენობის ბელარუსები და უკრაინელები და სხვა უმცირესობები რეგიონის სტაბილურობისათვის ფარულ საფრთხეს წარმოადგენდნენ.

ბალკანეთის ტრაგედია

იუგოსლავიის დაშლა და პირველი ომი ევროპაში 1945 წლის შემდეგ

ევროპაში ეთნიკური ნაციონალიზმის ამ ახალი ტალღის ყველაზე დიდი მსხვერპლი იუგოსლავიის მრავალეროვნული, მრავალკონფესიური, მრავალენობრივი სახელმწიფოს მოსახლეობა გახდა. 1980 წელს გარდაიცვალა იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც ოცდათხუთმეტწლიანი მმართველობის განმავლობაში წარმატებულად ართმევდა თავს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ამ ქვეყნის მრავალეთნიკური ხალხის, ერთობის შენარჩუნებას. ტიტოს გარდაცვალება იუგოსლავიის ექვს ფედერალურ ერთეულსა და ორ ავტონომიურ რეგიონს შორის ათწლიანი მწვავე დაპირისპირებების დასაწყისი გახდა.[•] 1991 წლის ზაფხულში იუგოსლავიის ფედერაციის ყველაზე პროდასავლურმა, ანტიკომუნისტურმა და ეკონომიკურად განვითარებულმა ორმა რესპუბლიკამ – სლოვენიამ და ხორვატიამ – ფედერალურ არმიასთან შეტაკებების ფონზე, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იუგოსლავიის არმია სერბეთის – ფედერაციის ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი რესპუბლიკის – კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ამ უკანასკნელის მოქალაქეები ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე იყვნენ მომოფანტული. სლოვენიისა და ხორვატიის სერბულმა უმცირესობებმა უმრავლესად სერბებით დაკომპლექტებულ იუგოსლავიურ არმიასთან შეთანხმებულად მოჰკიდეს იარაღს ხელი ამ ორი ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთა დამოუკიდებლობა თავისთავად გულისხმობდა იუგოსლავიის ფედერაციის დაშლასაც, რომელშიც სერბებს პრივილეგირებული სტატუსი ჰქონდათ.

1992 წლის დასაწყისში ხორვატიასა და სლოვენიაში მშვიდობა კვლავ აღდგა გაეროს შუამავლობით მიღწეული საზავო შეთანხმების წყალობით, რომ-

[•] ექვსი ფედერალური ერთეული მოიცავდა: ბოსნია-ჰერცეგოვინას, ხორვატიას, მაკედონიას, ჩერნოგორიას, სერბეთსა და სლოვენიას. ავტონომიური რეგიონების სტატუსი (სერბიის შემადგენლობაში) კი კოსოვოსა და ვოივოდინას ჰქონდათ.



ბალკანეთის ნახევარკუნძული იუგოსლავიის დაშლის შემდეგ

ლის შესრულებას გაეროს სამშვიდობო ძალები უნევედნენ ზედამხედველობას. თუმცა, სლოვენისა და ხორვატიაში მშვიდობის დამყარებას ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი მოჰყვა. 1992 წლის იანვარში ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა ამ ორი სეპარატისტული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც, აღიარების თხოვნით საერთაშორისო თანამეგობრობას მეზობელმა რესპუბლიკამ – ბოსნია-ჰერცეგოვინამ მიმართა. ბოსნია-ჰერცეგოვინა რეგიონის ყველაზე მრავალფეროვანი რესპუბლიკა იყო, რომელშიც 44 პროცენტი მუსლიმი, 33 პროცენტი სერბი და 17 პროცენტი ხორვატი მოსახლეობა ცხოვრობდა. ბოსნიელმა სერბებმა, რომელთაც არ სურდათ ეცხოვრათ სახელმწიფოში, რომელსაც, დამოუკიდებლობის შემთხვევაში, აუცილებლად მუსლიმები გააკონტროლებდნენ, თავადაც გამოაცხადეს საკუთარი სერბული ანკლავის

დამოუკიდებლობა და ბოიკოტი გამოუცხადეს იმავე წლის მარტში გამართულ რეფერენდუმს, რომელსაც ბოსნია-ჰერცეგოვინას დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ იუგოსლავიის ფედერალურმა არმიამ ბოსნიის ტერიტორია 1992 წლის გაზაფხულზე დატოვა, არმიის ბევრმა ჯარისკაცმა საკუთარი თანამოძმეების დასახმარებლად ადგილზე დარჩენა არჩია. ეს ჯარისკაცები, სერბეთის მთავრობის ფარული მხარდაჭერით, ბოსნიის მუსლიმი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვებოდნენ. მომავალი თვეების განმავლობაში ბოსნიელმა სერბებმა ალყაში მოაქციეს ბოსნიის დედაქალაქი სარაევო, საკვების გარეშე დარჩენილ მის მოსახლეობას ნაღმტყორცნიდან უწყვეტი ცეცხლი გაუხსნეს და სერბების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან მუსლიმების განდევნის უმოწყალო კამპანია წამოიწყეს, რის შედეგადაც საერთაშორისო პოლიტიკის ლექსიკონს ახალი სიტყვა – ეთნიკური წმენდა – შეემატა. საბოლოოდ წითელმა ჯვარმა ბრძოლაში მონაწილე სამივე მხარე დამნაშავედ ცნო ომის წარმოების წესების შესახებ ჟენევის კონვენციის დარღვევაში; სატელევიზიო ეკრანებზე კი მთელი მსოფლიო უყურებდა რეპორტაჟებს მასობრივი მაროდორობის, ჯგუფური გაუპატიურებებისა და უდანაშაულო მოქალაქეების ხოცვის შესახებ.

ბოსნიაში მიმდინარე ხოცვა-ჟლეტას საერთაშორისო საზოგადოებამ სხვადასხვა სახით გასცა პასუხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროგაერთიანებამ ვერ მიაღწია კონსენსუსს შექმნილი კრიზისის მიმართ რეაგირების ირგვლივ, გარდა იმისა, რომ სასწრაფოდ აღიარა 1992 წელს დაშლილი იუგოსლავიის ფედერაციის მემკვიდრე სახელმწიფოები, ჩაერთო სერბიის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებში და გაგზავნა წარმომადგენლები მეომარ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების გასამართად, რომლებიც უშუალოდ დასრულდა. ნატო-მ 1993 წლის გაზაფხულზე, გაეროს ნებართვით, ბოსნიის თავზე ფრენა აკრძალა, რათა სერბებისთვის საარტილერიო ცეცხლზე დამატებით საჰაერო თავდასხმების საშუალება აღარ მიეცა, რითაც მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე მხოლოდ მინიმალური გავლენა მოახდინა. 1994 წლის თებერვალში შეერთებული შტატების თვითმფრინავმა რამდენიმე სერბული თვითმფრინავი ჩამოაგდო, რომლებიც ფრენის აკრძალვის დარღვევით მუსლიმთა სამიზნეებს ბომბავდნენ. სარაევოს ირგვლივ სერბული სამხედრო ძალების წინააღმდეგ ნატო-ს საჰაერო დარტყმების საფრთხემ სერბებს ამ ქალაქის დაუცველი მოსახლეობის დაბომბვის შეწყვეტა აიძულა. ვაშინგტონში კლინტონის ადმინისტრაცია, რომელიც შიდაპრობლემებით იყო დაკავებული და, სომალის მძიმე გამოცდილების შემდეგ, საგარეო გართულებებს უფრთხოდა, მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ძალებს ეყრდნობოდა და ბალკანეთის კრიზისში ამერიკული სახმელეთო ჯარების ჩართვის თავიდან აცილებას ცდილობდა.

სახელმწიფო მდივანი უორენ კრისტოფერი 1993 წლის გაზაფხულზე ამაოდ შეეცადა ევროპული სახელმწიფოების დარწმუნებას, შეერთებულ

შტატებთან ერთად განეხორციელებინათ საჰაერო თავდასხმები ბოსნიელი სერბების საარტილერიო პოზიციებსა და სამხედრო მომარაგების მარშრუტებზე. ნატო-ს ევროპელმა წევრებმა უარი თქვეს შეერთებული შტატების წინადადებაზე, რადგან შიშობდნენ, რომ ამგვარ ქმედებას შეეძლო საფრთხე შეექმნა მათი სამხედროებისათვის, რომლებიც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განლაგებულ ერთადერთ სამშვიდობო ძალებში აქტიურად იყვნენ ჩართული. საქმე ეხებოდა 1992 წელს დაარსებული გაეროს სამხედრო დაცვის ძალებს (UNPROFOR I და II), რომლებიც უცხოურ ჰუმანიტარული დახმარების მისიებს იცავდნენ და ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას „დაცულ ზონებში“ წესრიგს ამყარებდნენ. ყოფილ იუგოსლავიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების კუთხით არც გაერო იყო ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ ორგანიზაციებზე მეტად წარმატებული. არცერთ მეომარ მხარეს არ სურდა მსოფლიო ორგანიზაციის წარგზავნილ ცისფერჩაფხუტიან სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობა. 1993 წლის დასაწყისში გაეროს წარმომადგენლის – საირუს ვენსისა და ევროგაერთიანების წარმომადგენლის – ლორდ ოუენის მიერ ერთობლივად წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინის ათ ავტონომიურ პროვინციად დაყოფას ითვალისწინებდა, ბოსნიელმა სერბებმა არ მიიღეს, რადგან ამ გეგმით ისინი ბრძოლაში მოპოვებული ტერიტორიის სამოცდაათ პროცენტს კარგავდნენ. 1994 წლის ივლისში ე.წ. „საკონტაქტო ჯგუფის“ გეგმა, რომელშიც შეერთებული შტატები, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია შედიოდნენ, ბოსნიელი სერბებისთვის გაყოფილი ქვეყნის ნახევრის გადაცემას ითვალისწინებდა, თუმცა, ბოსნიელმა სერბებმა ამ გეგმასაც იმავე მიზეზით არ დაუჭირეს მხარი. ბოსნიელი სერბების ამ შეუვალმა პოზიციამ ბოლოს თავად სერბეთის მთავრობაც კი გაანაწყენა. მომავალი თვეების განმავლობაში ბოლო სამშვიდობო გეგმაზე უარის თქმის გამო, ბელგრადმა ბოსნიელ სერბებს პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა შეუნწყვიტა და ჩაკეტა სერბეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას საზღვრები, რათა ადგილობრივი სერბი მეომრებისათვის იარაღის მინოდების წყარო გადაეკეტა. მედიაციის ყველა ძალისხმევა უშედეგოდ სრულდებოდა, მხარეები კი გადამწყვეტ სამხედრო წარმატებას ვერ აღწევდნენ, რის გამოც ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობა – მებრძოლებიც და მშვიდობიანი მოქალაქეებიც – მუდმივად ან გამოუვალი მდგომარეობების წინაშე იდგა, ან სასტიკი ხოცვა-ჟლეტის სამიზნე ხდებოდა.

ბოსნიაში განვითარებულმა საშინელმა მოვლენებმა ვითარება დაძაბა ნატო-ს შიგნითაც და ნათელი გახადა, რამდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი მოკავშირეების სტრატეგიული ინტერესები. პარადოქსული იყო, რომ თანამედროვე ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივმოქმედი სამხედრო ალიანსი არასოდეს ჩაბმულა

საბრძოლო მოქმედებებში მის უშუალო მეტოქესთან და პირველ სამხედრო ოპერაციას მხოლოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ და ისტორიული დაპირისპირების ზონიდან – ორ გერმანიას შორის საზღვრიდან – საკმაოდ მოშორებით მდებარე რეგიონში ახორციელებდა. 1994 წლის შემოდგომაზე ბოსნიელი სერბების სამხედრო წარმატებებმა შეერთებულ შტატებს მუსლიმ სამხედრო ძალთა წინააღმდეგ იარაღის ემბარგოს შეწყვეტისაკენ უბიძგა. იმავედროულად, შეერთებულმა შტატებმა კვლავ განაახლა ზენოლა ბრიტანეთსა და საფრანგეთზე, რათა ისინი სერბული სამხედრო პოზიციების წინააღმდეგ ნატო-ს საჰაერო დარტყმებზე დაეთანხმებინა. ეს პოზიციები მუსლიმი მშვიდობიანი მოსახლეობით დასახლებულ და გაეროს მიერ დაცულ ტერიტორიებს უქმნიდნენ საფრთხეს. თუმცა, ამ პერიოდში ლონდონიცა და პარიზიც მდგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ვაშინგტონის მცდელობებს, დახმარება გაენია რეგიონის მუსლიმებისათვის, რადგან მიაჩნდათ, რომ ასეთი მცდელობები კიდევ უფრო გააჭიანურებდა კონფლიქტს, რომლის დასრულებასაც ისინი უიმედოდ ცდილობდნენ და რომელშიც მათივე სახმელეთო ძალები მონაწილეობდნენ მიუკერძოებელი ჰუმანიტარული მიზნებით.

ნატო და ვაშინგტონი იძულებით აგვარებენ კონფლიქტს

1995 წლის გაზაფხულზე ბოსნიელი სერბების მიერ სარაევოს ინტენსიურმა დაბობმევებმა ბოლოსდაბოლოს ნატო-ს აქტიურობისაკენ უბიძგა. როდესაც ბოსნიელ სერბთა ხელმძღვანელობამ არაფრად ჩააგდო საარტილერიო თავდასხმების შეწყვეტის ულტიმატუმი, ნატოს თვითმფრინავებიდან მათი ადმინისტრაციული შტაბბინა – ქალაქი პალე დაიბომბა. ბოსნიელმა სერბმა ლიდერმა რადოვან კარაჯიჩმა და მისმა სამხედრო მეთაურმა, გენერალმა რატკო მლადიჩმა ნატო-ს რეიდებს UNPROFOR-ის ასობით თანამშრომლის მძევლად აყვანითა და მათი პოტენციურ სამიზნე ნერტილებთან განთავსებით უპასუხეს, რათა ნატო-სთვის საჰაერო დაბომბვების კამპანიის განახლებაზე უარი ეთქმევინებინათ. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთის პრეზიდენტი მძევლად აყვანილი გაეროს თანამშრომლების რამდენიმე კვირაში გათავისუფლებას მოითხოვდა, მძევლად აყვანის ფაქტმა ნათელი გახადა გაეროს მნიშვნელობა რეგიონში და კლინტონის ადმინისტრაციასაც, ბოსნიელი სერბების თავდასხმებისაგან „უსაფრთხო ზონების“ დასაცავად, ნატო-ს საჰაერო დაბომბვების კამპანიის გააქტიურებისაკენ უბიძგა.

ამასობაში, სარაევოში ბოსნიელ მუსლიმთა რეჟიმმა და ხორვატიის მთავრობამ 1994 წლის მარტში ბოსნიელთა და ხორვატთა ფედერაცია ჩამოაყალიბეს, მათ ტერიტორიებზე სულ უფრო და უფრო აგრესიულ სერბულ მოსახლეობასთან გასამკლავებლად. ფრანო ტუჯმანის მთავრობამ ხორვატიაში, რომელიც შეერთებული შტატებისგან მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებასა და რჩევებს იღებდა, სამხედრო ოპერაცია წამოიწყო ბოსნიის

მიმდებარე კრანინას რეგიონში, რომელიც ხორვატიის სერბებს ჰქონდათ კავებული სერბიასა და ხორვატიას შორის 1991 წლის ხანმოკლე ომის შემდეგ ხორვატიის ამ იერიშს შედეგად „ეთნიკური წმენდის“ სასტიკი ოპერაცია ჰყვა, რომლის დროსაც ხორვატები უწყალოდ უსწორდებოდნენ ხორვატ სერბებს, ანადგურებდნენ მათ სოფლებს. 150 000 ხორვატიის სერბი ბოსნი ში სერბების კონტროლირებად ნანილსა და თავად სერბიაში გაყარეს.

სერბების კრანინადან გასვლის დროს, 1995 წლის 28 ავისტოს, ბოსნიე სერბების თავდასხმას სარაევოს ბაზარზე ოცდაჩვიდმეტი ადამიანი შეენი „უსაფრთხო ზონაში“ უდანაშაულო მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული ეს სასტიკი ქმედებები ბოსნიაში ეთნიკური სერბების სამხედრო პოზიციებზე ნატო-ს მასიური საჰაერო თავდასხმების მიზეზი გახდა. თავდასხმებს ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: პირველი, ბოსნიელ სერბთა ხელმძღვანელობა ბოლოსდაბოლოს დათანხმდა არტილერიის გამოყვანა ბოსნიელ მუსლიმთა დედქალაქ სარაევოს მიმდებარე არეალიდან; მეორე



ომობანას თამაში ბალკანეთის ომების დროს. სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული ბავშვები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოს ქუჩებში სათამაშო თოფებით (მათ შორის ყუმბარმტყორნებითა და ბაზუკებით) თამაშობენ. ათასობით ბოსნიელი, ხორვატი და სერბი სამოქალაქი პირი დაიღუპა ძალადობის ტალღის შედეგად ქვეყნებში, რომლებმაც 1991 წელს იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე განვითარებულმა ეთნიკურმა დაპირისპირებებმა და სამხედრო კონფლიქტებმა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მშვიდობის ხანგრძლივი პერიდი დაასრულა.

ბოსნიელი სერბები სერბიის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის ხელმძღვანელობით, მოლაპარაკებების მიზნით, შექმნილ გუნდს შეუერთდნენ, რათა სისხლიანი კონფლიქტი დიპლომატიური გზებით მოგვევარებინათ. ამერიკის წარმომადგენლის – რიჩარდ ჰოლბრუკის შუამავლობით ხელი მოენერა ცეცხლის შეწყვეტის სამოცდლიან შეთანხმებას, რომელიც 1995 წლის 12 ოქტომბერს ამოქმედდებოდა. ამ პერიოდში ოჰაიოს შტატში, ქ. დეიტონში მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც მანამდე უენევაში მიღწეულ არაფორმალურ ურთიერთგაგებას ემყარებოდა. 21 ნოემბერს დეიტონის შეთანხმებას პარაფირება გაუკეთეს სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანკო ტუჯმანმა და ბოსნიის პრეზიდენტმა ალია იზეტბეგოვიჩმა. ოფიციალურად შეთანხმებას სამივე ლიდერმა 14 დეკემბერს ელისეს სასახლეში, პარიზში, მოაწერა ხელი. შეთანხმება ინარჩუნებდა ბოსნიის სუვერენიტეტს, მაგრამ მის საზღვრებში ოფიციალურად აღიარებდა ორი სხვადასხვა „ერთეულის“ არსებობას: ბოსნიელთა და ხორვატთა ფედერაციას და ბოსნიელ სერბთა რესპუბლიკას. უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლება გადაეცა სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფით წარმოდგენილ ფედერალურ მთავრობას. ნატოს მიერ კონტროლირებადმა სამოცათასიანმა მრავალეროვანმა სამშვიდობო ძალებმა (IFOR) (რომლის რაოდენობა საუკუნის ბოლოს 20 000-მდე შემცირდა), როგორც უსაფრთხოების სფეროში ქვეყანაში მოქმედმა უმთავრესმა ორგანიზაციამ, გაეროს UNPROFOR-ი ჩაანაცვლა.

ამგვარად, დეიტონის შეთანხმებით ბოსნია-ჰერცეგოვინაზე ნატო-ს დე ფაქტო პროტექტორატი დამყარდა. ომით გათანგული ეს ქვეყანა, რომელსაც სუსტი ცენტრალური მთავრობა და ფედერალური სტრუქტურა ჰქონდა, სამ ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონად გაიყო. ომის შედეგად 2.3 მილიონ იძულებით გადაადგილებულთა მეხუთედზე ნაკლები საკუთარ ქვეყანას დაუბრუნდა. მათი უმრავლესობა იმ ტერიტორიაზე სახლდებოდა, რომელსაც მათი ეთნიკური ჯგუფის სამხედრო ძალები იცავდნენ. დანარჩენს დროებითი თავშესაფარი სხვადასხვა ქვეყანაში მისცეს, რომელთაგან ყველაზე მეტი ლტოლვილი გერმანიამ შეიფარა. იუგოსლავიის საკითხებზე ჰააგაში დაარსებულმა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა რამდენიმე სამხედრო დამნაშავეს, ბალკანეთის სისხლისღვრაში მონაწილეობის გამო, ბრალი წაუყენა. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი რამდენიმე საშუალო რანგის დამნაშავე დააკავეს, ხელმძღვანელი პირები (მაგალითად, ბოსნიელი სერბი ლიდერები კარაჯიჩი და მლადიჩი) ჯერ კიდევ თავისუფალი იყვნენ.

შეერთებული შტატები მუსლიმთა და ხორვატთა ფედერაციის არმიის აღჭურვასა და წვრთნას შეუდგა, რათა ეს არმია ბოსნიის სერბული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებზე ორჯერ მრავალრიცხოვანი ყოფილიყო,

რადგან მიიჩნეოდა, რომ ბოსნიის ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის განმეორებით ომში სერბეთი თავისი მოძმეების მხარეს დაიკავებდა. თავდაპირველი მიზანი ქვეყანაში ძალთა ისეთი ბალანსის შექმნა იყო, რომელიც პოლიტიკურ ვითარებას დასტაბილურებდა. ამასობაში, ბოსნიის დე ფაქტო გაყოფამ დასრულებული სახე მიიღო, რადგან არც ბოსნიელ ხორვატებს და არც ბოსნიელ სერბებს არ სურდათ სარაევოს უმეტესწილად მუსლიმურ მთავრობასთან თანამშრომლობა. ბოსნიის ეთნიკურად ერთფეროვან სეგმენტებად გაყოფის ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა მთელი ქვეყნის მასშტაბით ლტოლვილების დაბრუნება და ხელახალი განსახლება იყო. მაგრამ, ასეთი ამბიციური ოპერაცია, დაბრუნებული ლტოლვილების დაცვის მიზნით, ნატო-ს მრავალრიცხოვანი სახმელეთო ძალების განუსაზღვრელი ვადით ადგილზე დატოვებას მოითხოვდა, რაც ძვირი და რისკიანი ვალდებულება იყო, რომლის აღებისთვის ალიანსის არცერთი წევრი არ იყო მზად.

კოსოვოს კრიზისი

იმ დროს, როდესაც, ნატო-ს ხელმძღვანელობით მოქმედი სამშვიდობო ძალების ზედამხედველობის ქვეშ, ომით განადგურებულ და ეთნიკურად განმეორებულ ბოსნიაში პოლიტიკური ვითარება სტაბილურდებოდა, სერბიის შიგნით კიდევ ერთი, დიდი ხნით ადრე მომწიფებული, კონფლიქტი იწყებდა გააქტიურებას. სერბიის სამხრეთით კოსოვოს პროვინციის 90 პროცენტს ეთნიკური ალბანელები შეადგენდნენ, რომელთა უკმაყოფილება, ბელგრადის მეტწილად სერბული მთავრობის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, თანდათან უფრო მწვავედებოდა. როდესაც 1997 წელს ალბანეთის ფინანსურ კრახს (რომელიც თალლითურმა საინვესტიციო სქემებმა გამოიწვია) ქვეყნის ეროვნული არმიის დეზინტეგრაცია მოჰყვა, მისი იარაღის დიდი ნაწილი კოსოვოს ეთნიკურ ალბანელთა რადიკალურმა ფრთამ – კოსოვოს გათავისუფლების არმიამ შეიძინა. როგორც კი კოსოვოს გათავისუფლების არმიამ ღიად მოითხოვა კოსოვოს სერბიისგან გამოყოფა, სერბიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი კოსოვოელთა აჯანყების ჩახშობას სერბული, ნახევრად გასამხედროებული ძალების საშუალებით შეეცადა, რომელთაც, ალბანელების დაშინების გზით, მათ მიერ ქვეყნის დატოვების იძულება ევალებოდათ. შეერთებული შტატების ჰიპერაქტიურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ჰოლბრუკმა 1998 წლის 13 ოქტომბერს მილოშევიჩთან დროებითი შეთანხმება შეაკონინა, რომლის შესაბამისად კოსოვო სერბიის რეგულარული არმიის ნაწილებმა დატოვეს, თუმცა, კოსოვოელთა დაშინების პოლიტიკის გასაახლებლად, ეთნიკურ სერბთა პარამილიტარული შენაერთები კოსოვოში დარჩნენ. ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმებამ დროებით შეაჩერა ძალადობა კოსოვოში, ხოლო სერბეთის ხელისუფლება და კოსოვოს ალბანელი ლიდერები 1999 წლის თებერვალს საფრანგეთში, ქალაქ რამბუიეში,

საფრანგეთისა და ბრიტანეთის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ კონფერენციაზე შეთანხმების მისაღწევად მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ. ორ დაპირისპირებულ მხარეს მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა შეერთებული შტატებისა და რუსეთის ზენოლამ აიძულა, რომლებიც ბალკანეთზე კიდევ ერთი თემთაშორისი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის შექმნილი ე.წ. „საკონტაქტო ჯგუფის“ ფორმატში თანამშრომლობდნენ.

რამბუიეში მილოშევიჩი დათანხმდა ალბანელების მოთხოვნას კოსოვოს პოლიტიკური მომავლის საკითხზე სამინისტროს შემდეგ რეფერენდუმის გამართვის შესახებ. რეფერენდუმი, პროვინციაში მცხოვრებ ალბანელთა დიდი უმრავლესობისა და სერბული ბატონობისადმი მათი მზარდი უკმაყოფილების გათვალისწინებით, უდავოდ კოსოვოს დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდებოდა. სერბეთის პრეზიდენტმა უარი თქვა შეთანხმების სამხედრო დებულებებზე, რომლებიც შეთანხმების შესრულებაზე ზედამხედველობისათვის ადგილზე დასავლეთის სახმელეთო ძალების განლაგებას ითვალისწინებდა. ამის შემდეგ მან კოსოვოს ჩრდილოეთით სერბიის ქვეითი ჯარები და ჯავშანტექნიკა გაგზავნა. სერბიის ძალები ეთნიკურ ალბანელებს სახლებიდან ყრიდნენ, წვავდნენ მათ სახლებს და ბევრ მათგანს ალბანეთში გაქცევას აიძულებდნენ.

მას შემდეგ, რაც ჰოლბრუკმა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მილოშევიჩის დაყოლიება რამბუიეს შეთანხმებაზე – სამხედრო ოქმის ჩათვლით – ხელმოსაწერად, რომელსაც კოსოვოელმა ალბანელებმა მოაწერეს ხელი, ნატო-მ, საპასუხოდ, 1999 წლის 24 მარტს სერბეთის წინააღმდეგ (რომელსაც ჯერ კიდევ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა ერქვა) სამხედრო-საჰაერო იერიში წამოიწყო. ნატო-ს თვითმფრინავებმა სამოცდაცხრამეტი დღის განმავლობაში, მთელი სერბეთის მასშტაბით, სამხედრო სამიზნეებისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ ათი ათასამდე დაბომბვითი ოპერაცია განახორციელეს. სწორედ ამ დროს სერბულმა ნახევრად სამხედრო დაჯგუფებებმა კოსოვოს ეთნიკური ალბანელების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის უღმობელი კამპანია გაააქტიურეს. საჰაერო დაბომბვების კამპანია 10 ივნისს დასრულდა, როდესაც მილოშევიჩმა თანხობა განაცხადა კოსოვოდან იუგოსლავიის სამხედრო ძალების გამოყვანაზე და, ამასთანავე, კოსოვოში ალბანელი ლტოლვილების დაბრუნებაზე ზედამხედველობისა და პროვინციის უსაფრთხოების დასაცავად, ნატო-ს მულტინაციონალური სახმელეთო ძალების განლაგების ნება დართო. როგორც კი იუგოსლავიის არმია მულტინაციონალურმა სამხედრო ძალებმა შეცვალეს, ერთი მილიონი ალბანელი ლტოლვილების სამოცდაათი პროცენტი კოსოვოში დაბრუნდა. ზოგიერთმა მათგანმა სერბი უმცირესობის მიმართ შურისძიებასაც მიმართა დაახლოებით ათი ათასი დაღუპული თანამემამულის გამო, რომლებიც მილოშევიჩის ეთნიკური წმენდის კამ-

პანიას შეეწირნენ: ისინი წვედნენ კოსოვოელი სერბების სახლებს და აიძულებდნენ მათ, თავშესაფარი სერბიაში ეპოვათ.

ომის დასრულების შემდეგ, კოსოვოზე გაეროს ტრადიციული ადმინისტრაცია გავრცელდა (UNMIK). განადგურებული რეგიონის რეკონსტრუქციაზე მთავარი ფინანსური პასუხისმგებლობა ევროკავშირმა აიღო ოთხას არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, რომლებიც რეკონსტრუქციის პროცესს პერსონალითა და საკუთარი საშუალებებით ეხმარებოდნენ. ევროპელებმა ასევე თავიანთ თავზე აიღეს სერბი ლიდერის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების სამართლებრივი შეფასების საკითხიც. როდესაც მილოშევიჩმა უარი თქვა, დამორჩილებოდა 2000 წლის არჩევნების შედეგებს, რომელმაც ხელისუფლების სათავეში ოპოზიციის ლიდერი ვოისლავ კოსტუნიცა მოიყვანა, იგი მისმავე არმიამ და უსაფრთხოების სამსახურებმა მიატოვეს, რის შემდეგაც იგი გადადგა. 2001 წლის ივნისში დისკრედიტებული სერბი ლიდერი ჰააგის ციხეში მოათავსეს. 2002 წლის თებერვალში საერთაშორისო სამხედრო დანაშაულთა ტრიბუნალმა მისი საქმის განხილვა დაიწყო. 2008 წელს მთავრობამ, რომლის არჩევა შესაძლებელი გახდა კოსოვოში გაეროს მისიის წყალობით, რეგიონის დამოუკიდებლობა და კოსოვოს რესპუბლიკა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ სეცესიის ამ ცალმხრივ აქტს სერბეთისა და რუსეთის ხმამაღალი პროტესტი მოჰყვა, ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობამ და შეერთებულმა შტატებმა ახალი სახელმწიფო აღიარეს.



აზია გზის გასაყარზე



ორი ჩინელი ქალი სამუშაო იარაღების საჭრელ ჩარხებთან, 1956 წელი. ორმოცდაათიან წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სერიოზულ ეკონომიკურ სტაგნაციას განიცდიდა. ჩინეთის ლიდერი ცდილობდა შეემცირებინა ქვეყნის დამოკიდებულება სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობაზე და მძიმე მრეწველობაზე დაფუძნებული თანამედროვე ეკონომიკა განეეითარებინა. 1959 წლიდან 1961 წლამდე მთაერობამ დამლუპველი ე.წ. „დიდი ნახტომის“ კამპანია წამოიწყო, რომელიც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის იძულებით კოლექტივიზაციას ითვალისწინებდა და რომელსაც შედეგად საყოველთაო შიმშილი მოჰყვა, რასაც 40 მილიონზე მეტი ადამიანი შეენირა.

თავის შინაარსი

ეკონომიკური ზრდა და უსაფრთხოების დილაგეზი აღმოსავლეთ აზიასში
დაქაბულობა ინდოეთის სუბკონტინენტზე

ეკონომიკური ზრდა და უსაფრთხოების დილაგეზი აღმოსავლეთ აზიასში

ჩინეთი – რეგიონის პირველი სახელმწიფო

ოთხმოცდაათიანი წლების შუაში აღმოსავლეთ აზიამ ორმაგ წარმატებას მიაღწია: მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და რეგიონულ სტაბილურობას. იაპონიის გარდა, (რომლის ხანგრძლივი და შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა ამ დროისთვის უკვე შენელებულიყო) რეგიონის სახელმწიფოთა ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა განვითარებას შრომისა და წარმოების ხარჯების მხრივ შედარებით უპირატესობის წყალობით განაგრძობდა. ამავე დროს, რეგიონი მშვიდობიანობის უპრეცედენტოდ ხანგრძლივ პერიოდსაც გადიოდა. ოცდაათიანი წლებიდან პირველად, აღმოსავლეთ აზია თავისუფალი იყო ომებისა და სამოქალაქო კონფლიქტებისაგან. ამ განსაკუთრებით ხელსაყრელ რეგიონულ გარემოში ჩინეთის თვალისმომჭრელი ეკონომიკური წარმატებები რეგიონის წარმატების ყველაზე აღსანიშნავი მაგალითი იყო. იმ დროს, როდესაც დანარჩენი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 1991-1993 წლებში 7, 12 და 13 პროცენტს აღწევდა. ეს შთამბეჭდავი წარმატება ოთხმოც წელს გადაცილებულ „რუხ კარდინალ“ დენ სიაოპინთან დაკავშირებული რეფორმატორების დამსახურება იყო. დენ სიაოპინმა უარი თქვა მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიკურ პრინციპებზე, რის გამოც იგი კომუნისტური იდეოლოგიის ერთგული დამცველების მწვავე წინააღმდეგობას აწყდებოდა.

პეკინის მმართველმა ელიტამ საბჭოთა კავშირის დაშლას ჩინეთის ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებით უპასუხა და იმედი ჰქონდა, რომ ამით ის მოსკოვში მისი კოლეგების ბედის გაზიარებას გადაურჩებოდა. ტრადიციული კომუნისტები დენ სიაოპინის რეფორმებს გმობდნენ, როგორც გორბაჩოვის ჩინურ ვერსიას და შიშობდნენ, რომ ეს რეფორმები ისევე დაუდებდა სათავეს ჩინეთის კომუნისტური დიქტატურისადმი პოლიტიკურ ოპოზიციას, როგორც ეს მანამდე საბჭოთა კავშირში მოხდა. საბოლოოდ, რეფორმატორებმა ტრადიციულ კომუნისტებთან მიმართებაში უპირატესობა მოიპოვეს. გორბაჩოვისგან განსხვავებით, დენ სიაოპინმა და მისმა პრემიერმინისტრმა ლი პენმა მტკიცე უარი თქვეს ჩინეთში ისეთი პოლიტი-

კური ლიბერალიზაციის დაშვებაზე, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა კომუნისტური პარტიის ხელისუფლებაში მონოპოლიას. ჩინეთის ხელისუფლების ეს მკაცრი პოლიტიკა პირველად 1989 წლის გაზაფხულზე პეკინში, ტიანანმენის მოედანზე მილიონობით სტუდენტის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე მთავრობის რეაქციაში გამოვლინდა. სტუდენტები უფრო მეტ პოლიტიკურ თავისუფლებას შიშობის აქციებითა და დასავლელი ჟურნალისტების კამერების წინ ხმაურიანი დემონსტრაციებით მოითხოვდნენ. ჩინეთის მთავრობამ, რომელიც შემფოთებული აკვირდებოდა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიების მმართველობის დამხობას, იენისის დასაწყისში, მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად, ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელ არმიას მოუხმო. დარბევის შედეგად 1300 შეუიარაღებელი სამოქალაქო პირის დაღუპვის შემდეგ, ჩინეთში პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა დასრულდა. ჩინელი დისიდენტების დაპატიმრება ნიშნავდა, რომ ჩინეთის ეკონომიკის საგარეო ლიბერალიზაციის პოლიტიკას ჩინეთის შიდაპოლიტიკური სისტემის გათავისუფლება არ მოჰყვებოდა.

იმის მიუხედავად, რომ ტიანანმენის მოედანზე გამართულ ჟღერას ბევრ ქვეყანაში საზოგადოებრივი აღშფოთება მოჰყვა, უცხო ქვეყნების მთავრობებისა და ბიზნესინტერესების რეაქცია მეტწილად ფრთხილი იყო. პოლიტიკური სისტემის რეფორმაზე უარით გამოწვეული საერთაშორისო კრიტიკისადმი ჩინეთი ფაქტობრივ იმუნიტეტს ფლობდა, რადგან მსოფლიოს ინდუსტრიული სახელმწიფოებისათვის ჩინეთი პოტენციურად ღირებული სავაჭრო პარტნიორი და საინვესტიციო ბაზარი იყო. სწორედ ესაა გასაღები იმ ორი განსხვავებული პოლიტიკური გზის გასაგებად, რომელსაც ეს ორი დიდი კომუნისტური სახელმწიფო დაადგა ოთხმოციანი წლების ბოლოს ამ ქვეყნებში მომხდარი სახალხო არეულობების შემდეგ. დასუსტებული საბჭოთა ეკონომიკის გამო, მოსკოვის რეფორმატორი რეჟიმი საგარეო დახმარებაზე გახდა დამოკიდებული და, შესაბამისად, პოლიტიკური რეფორმების გატარების მიზნით, უცხოეთის ქვეყნების მიერ განხორციელებული ზენოლის მიმართ უფრო დაუცველი გახდა. მეორე მხრივ, ჩინეთის სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის გამო, დასავლეთის ქვეყნები, ჩინეთში ექსპორტისა და კაპიტალის ინვესტიციების იმედით, ჩინეთის პოლიტიკური სისტემის შეურაცხყოფელი კრიტიკისა და, შესაბამისად, ახალი ეკონომიკური პერსპექტივისათვის საფრთხის შექმნისაგან თავს იკავებდნენ.

ტიანანმენის მოედანზე მოწყობილი ხოცვა-ჟლეტიდან მცირეხნიანი ინტერვალის შემდეგ, იაპონიამ და დასავლეთის სამრეწველო სახელმწიფოებმა მოკრძალებულად აღადგინეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობები. ოთხმოცდაათიან წლებში ჩინეთის მხრიდან სავაჭრო ურთიერთობებში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გავრცელების ყოველწლიური მოთხოვნის პასუხად, ბუშის ადმინისტრაციამ გადაწყ-

ვიტა, რომ ჩინეთთან სასარგებლო ეკონომიკური კავშირების შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატებისათვის, ვიდრე ჩინეთის მიერ საკუთარი მოქალაქეების უფლებების უხეშ დარღვევებზე რეაგირება. ამიტომ ვაშინგტონმა გვერდზე გადადო უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო სტატუსის გაუქმების მუქარა, რომლის მიზანი ჩინეთში დემოკრატიზაციის წაქეზება იყო. კლინტონის ადმინისტრაციამ თავისი წინამორბედის პოლიტიკა განაგრძო და ყოველწლიურად ჩინეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის განახლებას შეუდგა ისე, რომ ჩინეთში პოლიტიკური რეპრესიები არ შემცირებულა. მეზობელმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა – მაგალითად, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ – შრომატევადი წარმოება ჩინეთის სანაპიროზე გადაიტანეს, სადაც მათ მუშახელის შედარებით დაბალი ფასებით შეეძლოთ ესარგებლათ. ამავე დროს, იაპონიამ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) ქვეყნებმა ჩინეთის სანაპირო რეგიონთან ვაჭრობა გაააქტიურეს.

მაშინ, როდესაც ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი რეგიონი მსოფლიოს ეკონომიკაში ერთვებოდა, ჩინეთის დასავლეთის პერიფერიის ზოგიერთ ნაწილში რელიგიურმა და ეთნიკურმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი: ტიბეტური სეპარატიზმის დიდი ხნის სატკივარს რეგიონული უთანხმოების სხვა წყაროებიც თან ერთვოდა. ჩინეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე სინძიანის პროვინციის ისლამისტი მებრძოლებისათვის ცენტრალური აზიის მუსლიმი ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვება შთაგონების წყაროდ იქცა. ჩინეთის პერიფერიაზე ცენტრალური ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის განხრის ეს მსუბუქი მცდელობები ყველას ახსენებდა, რომ, საბჭოთა კავშირის ეთნიკურ ერთეულებად დაშლის შემდეგ, ჩინეთი ერთ-ერთ უკანასკნელ, დიდ მრავალეროვნულ სახელმწიფოდ რჩებოდა.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩინეთის შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა აღმოსავლეთ აზიაში მისი სრული სამხედრო უსაფრთხოების მიღწევას დაემთხვა, რაც პირველი შემთხვევა იყო 1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონში შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შემცირების შედეგად, რეგიონში ჩინეთის სტრატეგიული უპირატესობის ერთადერთი დაბრკოლებაც მოიხსნა. დაცულობის უპრეცედენტო განცდამ ჩინეთი ტრადიციული და შედარებით ახალი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უფრო აგრესიული დიპლომატიისაკენ წააქეზა. ჩინეთის მთავრობა შიშობდა, რომ 1992 წელს ჰონკონგში ბრიტანეთის ახალი გენერალ-გუბერნატორის მიერ შემოღებული ახალი დემოკრატიული რეფორმები შეიძლებოდა ჩინეთის ისედაც დამოუკიდებლობისაკენ განწყობილ სანაპირო პროვინციებსაც გადასდებოდა. შესაბამისად, პეკინმა დაგმო

ეს რეფორმები და წინასწარვე ბათილად გამოაცხადა ისინი ამ სამეფო კოლონიაზე ბრიტანეთის სუვერენიტეტის ამონურვის შემდეგ. აზიაში სამეწარმეო კაპიტალიზმის ეს პატარა ცხელი კერა 1997 წლის 1 ივლისს ფორმალურად დაუბრუნდა ჩინეთის იურისდიქციას. ამის მიუხედავად, ჰონკონგი პეკინის კომუნისტური მთავრობისგან მნიშვნელოვან ავტონომიას ინარჩუნებდა. თუმცა, ნათელი იყო, რომ ჩინეთი სრულად აკონტროლებდა ჰონკონგს და როცა მოისურვებდა, მაშინ გაამკაცრებდა ამ კონტროლს.

ჩინეთის მიერ ჰონკონგის მიერთების თარიღის მოახლოებასთან ერთად, ტაივანის მოსახლეობამაც დაიწყო ჩინეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების ტაბუირებული საკითხის განხილვა, რათა მათაც ჰონკონგის ბედი არ გაეზიარებინათ. 1995 წლის მარტში ამ პოლიტიკურ რიტორიკას ჩინეთმა ტაივანის სანაპიროსთან რამდენიმე რაკეტის საგამოცდო გასროლით უპასუხა. ტაივანის სრუტეში ჩინეთის პროვოკაციული სამხედრო წვრთნების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა მომდევნო წელს რეგიონში ორი ავიამზიდიტ საბრძოლო ჯგუფები გაგზავნა, როგორც სიგნალი, რომ ვაშინგტონი მზად იყო ტაივანის ჩინეთთან იძულებით გაერთიანების აღკვეთისათვის.

1997 წლის თებერვალში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობით გარდაცვალებამდე, ჩინეთის მარშალმა ეკონომიკური რეფორმების არქიტექტორმა დენ სიაოპინმა იერიში მიიტანა ჩინეთის სრულმასშტაბიანი მოდერნიზაციის მთავარი დაბრკოლების – ეკონომიკურად არაეფექტური, წამგებიანი მრეწველობის სახელმწიფო სექტორების – წინააღმდეგ, რომელიც მარშალის დელი ეპოქის გადმონაშთს წარმოადგენდა. დენ სიაოპინის მიერვე შერჩეულმა მისმა მემკვიდრე ძიან ძემინმა დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ განაგრძობდა მისი მასწავლებლის წამოწყებულ რეფორმებს და ჩინეთის მმართველი ელიტიდან ტრადიციული კომუნისტების ძველ დამცველთა ბოლო წარმომადგენლებიც გაისტუმრა. ახალი პრეზიდენტი არაპროდუქტიული სახელმწიფო კომპანიებისა და ფინანსური პრობლემების მქონე სახელმწიფო ბანკების რეორგანიზაციას შეეცადა, რომლებიც უამრავ სახსრებს ფლანგავდნენ არამომგებიან სესხებსა და ინვესტიციებში. ამ ძველი სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი სამრეწველო და საფინანსო კომპანიების რესტრუქტურულიზაციამ მილიონობით ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა გამოიწვია, რომლებიც მიჩვეული იყვნენ არა მხოლოდ სამუდამო დასაქმების გარანტიას, არამედ დამსაქმებლის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა სოციალურ მომსახურებასაც. 1998 წლის ზაფხულში ჩინეთის კომუნისტური რეჟიმი მისთვის სრულიად უცნობი მოვლენის – მუშათა პროტესტის – წინაშე აღმოჩნდა, როდესაც, ეკონომიკური ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ინტერესებიდან გამომდინარე, სამსახურიდან დათხოვნილი მშრომლები ახალი პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის გამოსახატად ქუჩებში გამოვიდნენ. ამ სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეულ არეულობას თან

ერთვოდა რელიგიური დაჯგუფებების მზარდი მოთხოვნები რელიგიის გამომხატვის თავისუფლების შესახებ და ტიბეტში, სინძიანში და არაჩინური უმრავლესობით დასახლებულ სხვა რეგიონებში სეპარატისტული მღელვარების სუსტი ნიშნები. იმის მიუხედავად, რომ პასუხად, მთავრობის მკაცრი ზომების შედეგად ეს მზარდი სოციალური უკმაყოფილება სახელისუფლო კონტროლს ემორჩილებოდა, ძიან ძემინის ახალი მთავრობის ეკონომიკური მოდერნიზაციის გაბედულ კამპანიას, შესაძლოა, ჩინეთის საზოგადოებაში ისეთი დაძაბულობა გამოენვია, რომლის შეკავება ხელისუფლებისათვის რთული აღმოჩნდებოდა.

ამასობაში, კლინტონის ადმინისტრაცია ჩინეთ-ამერიკული სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას და ჩინეთთან ისეთი შეთანხმების მიღწევას ცდილობდა, რომელიც ჩინეთის სავაჭრო პრაქტიკის ლიბერალიზაციას გამოიწვევდა და შესაძლებელს გახდიდა მის განევრიანებას ახალ „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“, რომელმაც 1995 წელს „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება“ შეცვალა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად, ჩინეთის განაცხადის წარმატებას ხელს უშლიდა მისი მეტისმეტად მაღალი სავაჭრო ტარიფები და მის მიერ ინტელექტუალური საკუთრების აღმაშფოთებელი დარღვევის ფაქტები კომპიუტერის პირატული პროგრამებისა და პირატული კომპაქტდისკების გაყიდვების გამო. პეკინმა და ვაშინგტონმა შეთანხმებას საბოლოოდ 1999 წლის შემოდგომაზე მიაღწიეს, რამაც გზა გაუხსნა ჩინეთის განევრიანებას ამ მსოფლიო ორგანიზაციაში. ეს ეკონომიკური ანტიანტი მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდიოდა ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკურ უთანხმოებებთან. პეკინი შეშფოთებული იყო აზიაში ვაშინგტონის მიერ სარაკეტო თავდაცვის სისტემების განვითარების გეგმებით, რომელიც, მართალია, ბირთვული თავდასხმისგან იაპონიის დაცვის საბაბით მუშავდებოდა, მაგრამ ტაივანისკენ მიმართული ჩინეთის ბირთვული დამოკლეს ხმლის პოლიტიკურ ეფექტურობას ამცირებდა. 1999 წელს ამერიკის ბირთვული კვლევის ცენტრებში აღმოჩენილი ჩინური ჯაშუშობის ფაქტები, ისე, როგორც რელიგიური და პოლიტიკური დისიდენტებისადმი მოპყრობა და ტიბეტის მუდმივი შევიწროება, კიდევ უფრო ხელს უწყობდა შეერთებულ შტატებში ანტიჩინური განწყობის განვითარებას. მეორე მხრივ, 1999 წლის გაზაფხულზე, ნატო-ს სამხედრო-საჰაერო კამპანიისას ბელგრადში ჩინეთის საელჩოს შემთხვევითმა დაბომბვამ, ჩინეთში ანტიამერიკული განწყობების ახალი ტალღა გამოიწვია.

ოთხმოცდაათიანი წლების განმავლობაში პეკინმა სპრატლისა და პარასელის კუნძულების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების გამოხატვა დაიწყო, რადგანაც ჩინეთში მიაჩნდათ, რომ ამ კუნძულებთან ნავთობის დიდი მარაგი მოიპოვებოდა. ამ ტერიტორიული პრეტენზიების გამო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის ძველ მეტოქე ვიეტნამსა და ასევე ასეანის სა-

ხელმწიფოებს – ინდონეზიას, მალაიზიას და ფილიპინებს – დაუპირისპირდა, რომელთაც უკვე დაექირავებიათ ნავთობკომპანიები, მათი სახელით ამ კუნძულების ტერიტორიული საზღვრების ნაწილში ნავთობსაბადოების მოსაძიებლად. ჩინეთის პოზიციის განმტკიცება ტაივანის სრუტესა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში, ძალაუფლების იმ ვაკუუმის ფონზე, რომელიც საბჭოთა კავშირის გაუჩინარებასა და რეგიონში შეერთებული შტატების სამხედრო და საზღვაო ძალების შემცირებას მოჰყვა, მისი მეზობლების სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. თუმცა, არცერთი ეს პოლიტიკური და ტერიტორიული დავა ისე არ გამწვავებულა, რომ რეგიონის დესტაბილიზაცია გამოენვია.

განდევილი სახელმწიფო ბირთვულ კლუბს უერთდება

აღმოსავლეთ აზიის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებსა და ახალი საუკუნის პირველ ათწლეულში პრობლემებს ქმნიდა, ჩრდილოეთ კორეა იყო. საბჭოთა მფარველის გაუჩინარებისა და კომუნისტური ბლოკის კრახის შედეგად დაკარგული პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციის საკომპენსაციოდ, ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის მოპოვების აშკარა სურვილს გამოხატავდა, რაც სწორედ ამ პრობლემების წყაროს წარმოადგენდა. მართალია, 1985 წელს ჩრდილოეთ კორეამ, განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე, ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, მაგრამ, მოგვიანებით, ფხენიანმა უარი განაცხადა ატომური იარაღის საერთაშორისო სააგენტოსთან დამატებითი შეთანხმების ხელმოწერაზე, რათა ამ ორგანიზაციას ხელშეკრულების დებულებათა შესრულების შემონგება ადგილზე შეძლებოდა. ოთხმოციანი წლების ბოლოს გაჩნდა სერიოზული ეჭვები, რომ კიმ ირ სენის ჩრდილოეთ კორეას, ფხენიანიდან სამოც მილში, ქალაქ იონიონში მდებარე კომერციული ბირთვული რეაქტორების ნარჩენი პროდუქტებიდან უკვე საკმარისი ურანი ჰქონდა მიღებული რამდენიმე ატომური ბომბის შესაქმნელად. ტრადიციული მოკავშირეებისგან – რუსეთისა და ჩინეთისგან – დიპლომატიური ზეწოლისა და ძველი მეტოქეების – იაპონიისა და შეერთებული შტატების მხრიდან ეკონომიკური ხასიათის სტიმულების შედეგად, 1991 წელს ფხენიანი ჩრდილოკორეულ ბირთვულ დანადგარებზე საერთაშორისო ინსპექტორების დაშვებას დათანხმდა. ამის მიუხედავად, მომავალი სამი წლის განმავლობაში ჩრდილოეთკორეელი ცბიერი დიქტატორი ყველა შესაძლებელი ხერხით ცდილობდა ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს იმედგაცრუებული ინსპექტორებისათვის ხელის შეშლას. შეფერხებების, მიღწეულ შეთანხმებებზე უარის თქმის არაერთი შემთხვევის და კიმ ირ სენის მიერ ზოგიერთ ბირთვულ ობიექტზე ინსპექტორების დაშვებაზე უარის თქმის შემდეგ, 1994 წლის გაზაფხულზე ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ

ჩრდილოეთ კორეა არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს და ვაშინგტონმა გაეროს სავაჭრო სანქციები მოითხოვა.

ეს მუქარა საკმარისი აღმოჩნდა ვითარების შემობრუნებისათვის და ჩრდილოეთ კორეაც, შეერთებულ შტატებთან პირდაპირი კონტაქტების გზით, დაუყოვნებლივ შეუდგა პრობლემის მოგვარებისათვის გზების ძიებას. 1994 წლის ივლისში ჩრდილოეთ კორეის 82 წლის ლიდერის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ქვეყანას მისი დაარსებიდან, კერძოდ კი, 1948 წლიდან მართავდა, მისმა ვაჟმა და მის მიერვე შერჩეულმა მემკვიდრე კიმ ჩენ ირმა დაუყოვნებლივ განაცხადა თანხმობა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განვითარების პროგრამის შეწყვეტაზე, არსებული ბირთვული დანადგარების თანდათანობით განადგურებასა და ორ საეჭვო ბირთვულ ობიექტზე ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორების დაშვებაზე. სანაცვლოდ, კლინტონის ადმინისტრაციამ ჩრდილოეთ კორეის ქარხნების ასამუშავებლად და ჩრდილოკორეელთა სახლების გასათბობად საჭირო ნავთობით მომარაგებას დათანხმდა იმ ენერჯის საკომპენსაციოდ, რომელზეც ჩრდილოეთ კორეა, საკუთარი ბირთვული რეაქტორების დახურვის შედეგად, უარს ამბობდა. შეიქმნა საერთაშორისო კონსორციუმი, რომელსაც სათავეში იაპონია და სამხრეთ კორეა ჩაუდგნენ, რათა, ჩრდილოეთ კორეის გრძელვადიანი ენერგომოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მსუბუქი წყლის ორი რეაქტორის მშენებლობა დაეფინანსებინათ, რომლებიც იონზიონის რეაქტორებზე გაცილებით ნაკლებ ურანს გამოიმუშავებდა.

ფხენიანის ტრადიციული სტალინისტური რეჟიმი, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩინეთის კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ ეკონომიკური განვითარების „კაპიტალისტური გზის“ არჩევის შემდეგ, უცნაურ ისტორიულ გადმონაშთს წარმოადგენდა. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩრდილოეთ კორეის ტრადიციულმა კეთილიმსყოფელებმა მოსკოვსა და პეკინში ფხენიანს ცივი ომისდროინდელი გულუხვი სუბსიდიები შეუწყვიტეს და ექსპორტში მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების მყარი ვალუტით გადახდა მოსთხოვეს. ჩინეთის მიერ კორეის ნახევარკუნძულზე ჩრდილოეთ კორეის დაუძინებელი მტრის დიპლომატიურმა აღიარებამ და მასთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებამ, ფხენიანის ღრმა შემფოთება გამოიწვია. კიმ ირ სენს (და მის შემდგომ კიმ ჩენ ირს) ერთადერთ ბერკეტად ბირთვული იარაღის ფაქტორი რჩებოდა, რომლის გამოყენება შესაბამის მომენტში საშუალებას მისცემდა მას, ეჩვენებინა, რომ ჩრდილოეთ კორეა რეგიონში კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩებოდა. ოთხმოცდაათიანი წლების შუაში ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკური ზრდა მკვეთრად შემცირდა, ხოლო სურსათის წარმოების ფაქტობრივმა შეწყვეტამ ქვეყნის მოსახლეობა არასრულფასოვანი კვებისა და შიმშილის წინაშე დააყენა. სამხრეთ კორეამ კეთილი ნების გამოსახატად ჩრდილოეთით სურსათის გაგზავნა წამოიწყო და თავის ძველ

მონინააღმდეგესთან შეთანხმების მიღწევისათვის ძალისხმევა ცაააქტიურა. შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, ჩრდილოეთ კორეა ბოლოსდაბოლოს დათანხმდა ნახევარკუნძულზე სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად ენ. „ოთხმხრივ მოლაპარაკებებში“ (ორი კორეული სახელმწიფო, შეერთებული შტატები და ჩინეთი) მონაწილეობას. 1998 წელს უენევაში მოლაპარაკებათა ორი რაუნდი გაიმართა, თუმცა, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეიდან შეერთებული შტატების ჯარის სრული გაყვანა და ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ცალკე ორმხრივი ხელშეკრულების დადება მოითხოვა, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. 1998 წლის ნოემბერში ვითარება გარკვეულწილად განიმუხტა, როდესაც სამხრეთკორეელ ტურისტებს, ორმოცდაათი წლით ადრე ორი კორეული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, პირველად მიეცათ უფლება, ჩრდილოეთ კორეას სწევოდნენ. სამხრეთკორეული კორპორაციები დიდი ენთუზიაზმით ავითარებდნენ ჩრდილოეთთან ერთობლივი სანარმოების შექმნის გეგმებს, რაც მათ ჩრდილოეთ კორეის იაფი მუშახელითა და მდიდარი ნედლეული რესურსებით სარგებლობის საშუალებას მისცემდა. სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კიმ დე ჯუნის „მზის სინათლის პოლიტიკამ“, რომელიც ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობათა დეტანტს ითვალისწინებდა, აპოგეას 2000 წლის ივნისში მიაღწია, როდესაც იგი სამხრეთ კორეის პირველი ლიდერი გახდა, რომელიც ჩრდილოეთ კორეას ეწვია. ამ უმაღლესი დონის ვიზიტის შემდეგ, ორივე მხარის ლიდერებმა პირობა დადეს, რომ ერთად იმუშავენდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის და საამისოდ შემდგომ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დეტანტთან დაკავშირებული ეიფორიის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეაში შექმნილმა ეკონომიკურმა ქაოსმა და ამ ქვეყანაში გამეფებულმა შიმშილმა, ფხენიანის ბირთვულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ კითხვებს განსაკუთრებული სიმწვავე შესძინა. 1994 წლის შეთანხმების განხორციელებისათვის შექმნილმა საერთაშორისო კონსორციუმმა 1997 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კორეაში მსუბუქი წყლის ორი რეაქტორის მშენებლობა დაიწყო, ხოლო პროექტის დაფინანსების საკითხი მომდევნო წელს მოგვარდა. როდესაც ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ მიაგნო ფაქტებს, რომ, 1994 წლის შეთანხმების დარღვევით, რამდენიმე ფარულ ობიექტზე, შესაძლოა, ბირთვული იარაღის წარმოებისათვის საჭირო ურანი ყოფილიყო განლაგებული, ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ აღნიშნული ობიექტების შეუზღუდავი ინსპექციის უფლებაზე უარი განაცხადა. ჩრდილოეთ კორეაში ფარული ბირთვული პროგრამის ირგვლივ მსოფლიოში არსებული ეჭვების პარალელურად, ფხენიანმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია იმ სარაკეტო სისტემების განვითარების კუთხითაც, რომელიც მას ბირთვული იარაღის გამოსაყენებლად დასჭირდებოდა. 1998 წლის 31 აგვისტოს ჩრდილოეთ კორეამ იაპონიის ტერიტორიის

თავზე, გაფრთხილების გარეშე, ბალისტიკური რაკეტა გაისროლა. თანდათან გროვდებოდა ფაქტები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ფხენიანი ბირთვული იარაღის განვითარების ამბიციაზე უარს არ ამბობდა. როდესაც 2002 წელს ბუშის ახალი ადმინისტრაცია ჩრდილოეთ კორეის მთავრობას აღნიშნული ფაქტებით დაუპირისპირდა, ფხენიანმა ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები ქვეყნიდან გააძევა და 2003 წლის იანვარში ფორმალურად გავიდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან. მომავალი ათწლეულის განმავლობაში, ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარებასა და შესაბამის მრავალმხრივ მოლაპარაკებებს სათავეში ჩინეთი ჩაუდგა. მოლაპარაკებებში ორივე კორეის, ჩინეთის, რუსეთისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ხოლო მოლაპარაკებათა ფორმატს ექვსმხრივი მოლაპარაკებები (Six Party Talks) ეწოდა. ამ ხანგრძლივი და გაჭიანურებული მოლაპარაკებებისას, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი, პარტნიორებისგან დათმობების მისაღებად და საკუთარი იზოლირებული რეჟიმის გასამყარებლად, გამუდმებით ბირთვული იარაღის ბერკეტს იყენებდა. სამხრეთ კორეისაგან, რუსეთისა და ჩინეთისაგან ის ჩრდილოეთ კორეის განადგურებული ეკონომიკისათვის ფინანსურ დახმარებას ითხოვდა, შეერთებული შტატებისგან კი – თავდაუსხმელობის პაქტს, რათა ამერიკის შესაძლო სამხედრო თავდასხმისგან განსაკუთრებით მას შემდეგ დაეზღვია თავი, რაც პრეზიდენტმა ბუშმა 2002 წლის ყოველწლიურ მიმართვაში ჩრდილოეთ კორეა ბოროტების ღერძის ნაწილად მოიხსენია და, ერაყისა და ავღანეთის მტრული რეჟიმების ძალის გამოყენებით, დამხობისათვის მზადყოფნა გამოხატა.

2003 წელს დაწყებულ „ექვსმხრივ მოლაპარაკებებში“ რამდენჯერმე შეწყვეტისა და განახლების შემდეგ, გარღვევა 2005 წლის სექტემბერში მოხდა. ე.წ. ერთობლივ განცხადებაში ჩრდილოეთ კორეამ თანხმობა გამოხატა ბირთვული პროგრამის შეწყვეტაზე, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელახლა მიერთებასა და ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორების ბირთვულ ობიექტებზე დაშვების თაობაზე, შეერთებული შტატების პირობის სანაცვლოდ, რომ არასოდეს დაესხმებოდა თავს ჩრდილოეთ კორეას და სამოქალაქო ბირთვული მრეწველობის განვითარებისათვის ფხენიანს მსუბუქი წყლის რეაქტორების შექმნის უფლებასაც მისცემდა. მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, სამხრეთ კორეამაც ჩრდილოელ მეზობელს, გათბობისათვის საჭირო ნავთობის მიწოდების სახით, არაბირთვული ენერჯიის სფეროში დახმარება აღუთქვა.

2005 წელს ჩრდილოეთ კორეამ იონბიონის ბირთვულ რეაქტორზე გამოყენებული სანვავის გადამუშავება დაასრულა; აწარმოა რამდენიმე ბირთვული იარაღის შექმნისათვის საკმარისი რაოდენობის პლუტონიუმი და უფრო დიდი ზომის რეაქტორების მშენებლობასაც შეუდგა. პარალელურად, ფხე-

ნიანმა მის ხელთ არსებული ბირთვული ქობინების მცირე ზომის არსენალი-სათვის შესაბამისი სარაკეტო სისტემის – საშუალო და შორი რადიუსის რაკეტების – განვითარება განაგრძო. 2006 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კორეის რეჟიმმა, ბირთვული რაკეტების გამოცდასთან დაკავშირებით, ნებაყოფლობით გამოცხადებული მორატორიუმი გააუქმა, რომელიც 1998 წელს იაპონიის სიახლოვეს შვიდი ერთეული ბალისტიკური რაკეტის გამოცდის შემდეგ ამოქმედდა. იმავე წლის ოქტომბერში ჩრდილოეთ კორეამ პლუტონიუმზე დაფუძნებული ბირთვული იარაღის მინისტრემა ცდები განახორციელა. ცდების მცირე მასშტაბის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეა ბირთვული სახელმწიფოების ჯგუფს შეუერთდა. ბალისტიკური რაკეტების ცდებთან ერთად, აღნიშნულმა ცდამ ჩრდილოეთ კორეის მონინალმდევე სახელმწიფოების სამხედრო შეკავების ფხენიანისეული სტრატეგიის დამაჯერებლობა კიდევ უფრო გაამყარა და გადამწყვეტი უპირატესობა შესძინა მას ბირთვული იარაღის არქმონე სამხრეთელ მეზობელთან მიმართებაშიც. სარაკეტო და ბირთვული ცდების საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაუყოვნებლივ მიღებულ სანქციებს შედეგი არ მოჰყოლია. კიმ ირ სენს გულს უმაგრებდა ის, რომ მანამდე ინდოეთმაც და პაკისტანმაც სერიოზული გართულებების გარეშე მოიპოვეს ბირთვული იარაღი. მისმა გამბედაობამ ნაყოფი გამოიღო: ბირთვული კლუბის წევრობამ ჩრდილოეთ კორეის ბუნდოვანებით მოცულ და იზოლირებულ რეჟიმს გარკვეული რესპექტაბელურობა შესძინა, რომელიც მას ყველა მხრით აკლდა.

ჩრდილოეთ კორეის ხელში ბირთვული იარაღის აღმოჩენამ ბუშის ადმინისტრაციას, ეფექტური გამოსავლის გამოსანახად, ფხენიანთან ორმხრივ მოლაპარაკებებში ჩართვა აიძულა. 2007 წლის თებერვალში ამერიკელი და ჩრდილოეთკორეელი წარმომადგენლების მიერ შემუშავებული შეთანხმება ექვსმხრივი მოლაპარაკების ფორმატშიც მოინონეს, რაც 2005 წლის ერთობლივი განცხადების აღსრულებას ითვალისწინებდა. ჩრდილოეთ კორეის ხელში უკვე არსებული ბირთვული იარაღის სადავო საკითხის გვერდის ავლით, შეთანხმება მოიცავდა ფხენიანის პირობას, რომ მომავალში აღარ განაგრძობდა ბირთვული ქობინების წარმოებას, ფუნქციონირებას შეუწყვეტდა იუნზიონის ბირთვულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს და ღიად განაცხადებდა ნებისმიერი ბირთვული აქტივობის შესახებ. ეს შეთანხმება, ფაქტობრივად, იმეორებდა კლინტონის ადმინისტრაციის მიერ მოლაპარაკებულ 1994 წლის ჩარჩოშეთანხმების დებულებებს, რომლის შემდეგაც ჩრდილოეთ კორეამ ფარულად გააოთხმაგა ბირთვული იარაღის მარაგი და შემდეგ ღიად გამოსცადა ბირთვული მონყობილობები. 2008 წელს იონზიონის ბირთვული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაშლის პარალელურად, ფხენიანის რეჟიმმა საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს ინსპექტორებისათვის ცენტრის ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვა დაიწყო. თეთრ სახლში ობამას

ადმინისტრაციის მისვლიდან მალე ჩრდილოეთ კორეამ ტეპოდონ-2 რაკეტა გამოსცადა, რომელმაც 2000 მილის მანძილზე იფრინა და წყნარ ოკეანეში ჩავარდა. ფხენიანმა აღნიშნული ცდა ორბიტაზე სატელიტის მოთავსების მცდელობად განმარტა. თუმცა, აღნიშნული რაკეტის გამოცდით ჩრდილოეთ კორეა ისეთი ბირთვული რაკეტების სისტემის შექმნას შეუდგა, რომელთაც, ერთ დღესაც, შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპირომდე მიღწევაც შეუძლიათ.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიერ ტეპოდონ-2 რაკეტის გამოცდას გამოხატავდა, ფხენიანმა იონბიონის ბირთვული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს ინსპექტორების გაძევებით უპასუხა; განაახლა მოხმარებული ბირთვული საწვავის გადამუშავება, რაც 2007 წლის თებერვლის შეთანხმებით იყო შეჩერებული და განაცხადა, რომ სამუდამოდ ტოვებდა ექვსმხრივი მოლაპარაკებების ფორმატს. 2008 წლის აგვისტოში ჩრდილოეთკორეელი ლიდერის – კიმ ჩენ ირის ინსულტმა კიდევ უფრო გამოუვალი გახადა ამ ქვეყნის ბირთვულ ამბიციებთან დაკავშირებული ვითარება. იმის მიუხედავად, რომ ფიზიკურად უუნარო ჩრდილოეთკორეელმა დიქტატორმა თავისი უმცროსი ვაჟი კიმ ჩენ ინი საკუთარ მემკვიდრედ გამოაცხადა, ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ იარაღზე კონტროლის მქონე პირის ვინაობასთან დაკავშირებული გაურკვეველობა დიდ მღელვარებას იწვევდა იაპონიაში, სამხრეთ კორეაში და აღმოსავლეთ აზიის სხვა არაბირთვულ სახელმწიფოებში. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციები ჩინეთსაც აღელვებდა, რის გამოც მან მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციებს მისი ძველი მოკავშირის – ჩრდილოეთ კორეის – წინააღმდეგ. პეკინი, უპირველეს ყოვლისა, შიშობდა, რომ ბირთვული იარაღით აღჭურვილი ჩრდილოეთ კორეა იაპონიას აიძულებდა უარი ეთქვა კონსტიტუციით განსაზღვრულ სამხედრო შეზღუდვებზე და ტოკიო საკუთარ ბირთვულ იარაღს განავითარებდა. ამის მიუხედავად, ჩინეთი თავს იკავებდა ჩრდილოეთ კორეის მთავრობაზე მეტისმეტი ზეწოლის განხორციელებისგანაც იმის შიშით, რომ ამით ხელი არ შეეწყობოდა ფხენიანის პოლიტიკური კოლაფსისათვის, რასაც, შესაძლოა, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე გამავალ მდინარე იალუზე ლტოლვილების მასობრივი გადაადგილება და ამერიკის გავლენის ქვეშ კორეის ნახევარკუნძულის გაერთიანება გამოენცია.

იაპონური სასწაულის დასასრული

ჩინეთის თვალში საცემი ეკონომიკური ზრდის და ჩრდილოეთ კორეის ავისმომასწავებელი ბირთვული ამბიციების პარალელურად, ამ ორი კომუნისტური ქვეყნის ისტორიულ რეგიონულ მეტოქეს უჩვეულოდ მძიმე დრო დაუდგა. იაპონია, რომელსაც ეკონომიკურმა ექსპანსიამ მთელს მსოფლიოში

არაერთი მოშურნე, ხოლო აღმოსავლეთ აზიაში არაერთი მიმბაძველი გაუჩინა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ხანგრძლივი და ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ დაძაბულობას შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებში განვითარებული ორი სადავო საკითხიც ამწვავებდა. პირველი მათგანი, იაპონიის სავაჭრო პოლიტიკიდან გამომდინარე, დიდი ხნის კონფლიქტთან იყო დაკავშირებული. კონფლიქტი თანდათანობით იაპონიის პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის მიმართ შეერთებული შტატების მწვავე განცხადებებში გადაიზარდა. ეს განცხადებები იაპონური ავტომობილების, საავტომობილო ნაწილების, ნახევრად გამტარებისა და ბრინჯის ექსპორტს უკავშირდებოდა. ამერიკა-იაპონიის დავის მეორე საგანი სამხედრო ხარჯების გაზიარებას შეეხებოდა. ამერიკაში ბევრი უკვე თავს იკავებდა იაპონიის უსაფრთხოების შემდგომი უზრუნველყოფისაგან იმ პირობებში, როდესაც ამერიკული ბაზარი სავსე იყო იაპონური ნაწარმით, ტოკიო კი იაპონურ ფერმებსა და ქარხნებს ამერიკული კონკურენციისაგან იცავდა. იმის მიუხედავად, რომ შეერთებული შტატების ზენოლით ტოკიო საბოლოოდ დათანხმდა იაპონიის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ძალების ყოფნის ხარჯებში მისი წვლილის 70 პროცენტამდე გაზრდას, დაპირისპირებამ მაინც უსიამოვნო კვალი დატოვა წყნარი ოკეანის ორივე მხარეს.

იაპონიის თავდაცვის ხარჯების გაზიარებასთან დაკავშირებული დავა ცივი ომის შემდგომი იაპონიის საერთაშორისო როლის სრულმასშტაბიან გადაფასებას დაემთხვა. საქმე ეხებოდა იაპონიის საზღვრებს გარეთ იაპონური სამხედრო ძალების სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის აკრძალვის გაუქმებას. ამ დროისთვის იაპონიას უკვე ფინანსური წვლილი ჰქონდა შეტანილი 1991 წლის ერაყის სამხედრო კამპანიაში, თუმცა, იაპონიის ოპოზიციამ პრემიერმინისტრ ტოშიკო კაიფუს სპარსეთის ყურის მრავალეროვნულ კონტინგენტში იაპონური არმიის შენაერთების (ან, როგორც მათ უწოდებდნენ – თავდაცვის ძალების) გაგზავნაში ხელი შეუშალა. 1991 წლის გაზაფხულზე კაიფუმ სპარსეთის ყურეში იაპონელი საზღვაო გამწვანებლები გაგზავნა ომისშემდგომი ოპერაციის ფარგლებში, რომლის მიზანს ნავთობტანკერებისათვის საიმედო საზღვაო გასასვლელების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონური სამხედრო-საზღვაო ძალების უცხოეთში გაგზავნის პირველი შემთხვევა იყო. კაიფუს შემცველმა, კიჩი მიაზავამ, კამბოჯაში სამშენებლო პროექტების განხორციელებაში დასახმარებლად გაეროს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისათვის, იაპონელ სამხედრო ინჟინერთა მცირერიცხოვანი კონტინგენტი გაგზავნა, რაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონური სახმელეთო ძალების უცხოეთში განლაგების პირველი შემთხვევა იყო. წარსულში იაპონიის მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ მოგონებები პერიოდულად იჩენდნენ ხოლმე თავს დიპლო-

მატიური შეცდომების შედეგად, მაგალითად, როდესაც იაპონიის პარლამენტმა უარი თქვა პერლ ჰარბორზე თავდასხმის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით ოფიციალურად ბოდიშის მოხდაზე და, ასევე, უარი თქვა იმ კორეელი ქალებისათვის ფინანსური კომპენსაციების გაცემაზე, რომლებიც, მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელი ჯარისკაცების მიერ იძულების გამო, პროსტიტუციით იყვნენ დაკავებული. თუმცა, იაპონიის ორმოცდაათწლიანი სამხედრო პასიურობა და დიპლომატიური სიფრთხილე მეზობელ ქვეყნებში არსებულ ძველისძველ შიშებს მაინც აქარწყლებდა. ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო ექსპანსიის ფონზე, იაპონიის ბევრი მეზობელი დადებითად უყურებდა იაპონიის პოტენციურ როლს აღმოსავლეთ აზიაში ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ძალთა ნონასწორობაში.

1996 წელს იაპონურ-ამერიკული უსაფრთხოების ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ, ტოკიო და ვაშინგტონმა მომდევნო წელს ხელახლა განსაზღვრეს უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი ურთიერთობების ბუნება. ახალი შეთანხმება იაპონიას, შორეულ აღმოსავლეთში კონფლიქტის შემთხვევაში, შეერთებული შტატების სამხედრო ძალებისათვის ლოგისტიკური დახმარების განეევას ავალდებულებდა, თუმცა, შეთანხმებით გათვალისწინებული გეოგრაფიული ზონა ბუნდოვანი რჩებოდა. ამკარა იყო, რომ შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლის ძლიერი სწრაფვა ბირთვული იარაღის მოპოვებისაკენ ტოკიოში სერიოზულ განგაშს იწვევდა. 1998 წელს იაპონიის ტერიტორიასთან ახლოს ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტის გამოცდა უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. ამის შემდეგ იაპონია დაუყოვნებლივ დათანხმდა შეერთებული შტატების წინადადებას აღმოსავლეთ აზიაში რაკეტსანინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესაქმნელად ერთობლივი კვლევის დაწყების თაობაზე. აღნიშნული თავდაცვის სისტემა სატელიტებს, რადარებსა და საზღვაო რაკეტებს ითვალისწინებდა ბალისტიკური რაკეტების ჰაერში დასაფიქსირებლად და გასანადგურებლად. იაპონურ-ამერიკულ ალიანსში უთანხმოების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროს კუნძულ ოკინავაზე განლაგებული ამერიკელი სამხედროები წარმოადგენდნენ. კუნძულის მცხოვრებლები ინტენსიურ ზენოლას ახდენდნენ მთავრობაზე იქ ამერიკელი სამხედროების ამკარა და თვითნებური მოღვაწეობის შესაზღუდად. 1996 წელს მიღწეულ იქნა კომპრომისული შეთანხმება, რომლის თანახმად, კუნძულზე განლაგებული შეერთებული შტატების ეს მრავალრიცხოვანი საზღვაო ბაზა ვერტმფრენების მცირე ზომის ბაზად გადაკეთებულიყო. მოგვიანებით კი, 2006 წელს ამ საზღვაოსნო აეროდრომისათვის ადგილის შეცვლაც დაიგეგმა, თუმცა, უცხოური სამხედრო ძალების გამო, არსებული უკმაყოფილება კვლავ იზრდებოდა.

რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ძიება

ცივი ომის შემდეგ შეერთებულ შტატებსა და აზიას შორის ურთიერთობამ, ზოგადად, ფუნდამენტური ცვლილება განიცადა. შეერთებული შტატები წყნარი ოკეანის გადაღმა კვლავ ინარჩუნებდა მნიშვნელოვან სავაჭრო და საინვესტიციო ინტერესებს, თუმცა, საბჭოთა კავშირის გავლენის შემცირებამ შორეულ აღმოსავლეთში და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის ეკონომიკურმა სირთულეებმა, შეერთებულ შტატებს ამ რეგიონში უსაფრთხოების ინტერესების გადახედვისაკენ უბიძგა. შეერთებული შტატების პოლიტიკის დღის წესრიგში ნამყვანი ადგილი შიდაპოლიტიკურ საკითხებს ეკავა და ამერიკის მოსახლეობამაც ეჭვის ქვეშ დააყენა მასობრივი და ძვირად ღირებული სამხედრო პერსონალის შენარჩუნების მიზანშეწონილობა რეგიონში, სადაც ერთ დროს მტრული სახელმწიფოს გავლენა გამჭრალიყო და რომლის სახელმწიფოებიც შეერთებულ შტატებთან ვაჭრობისას უზარმაზარ მოგებას ნახულობდნენ. აზიის უსაფრთხოებაში შეერთებული შტატების როლის ამ ცვლილების ყველაზე აშკარა შედეგი ფილიპინებზე სუბიკის ყურეში საზღვაო ბაზის დახურვა გახდა. აღნიშნული ბაზა ამერიკის მეშვიდე საზღვაო ფლოტის მომარაგებისა და სარემონტო სამუშაოების მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა, მხარეები მალევე შეთანხმდნენ საგანგებო ვითარებების შემთხვევაში მაღაზიის, ინდონეზიის, სინგაპურისა და ბრუნეის ბაზებზე დაშვების შესაძლებლობაზე; მეშვიდე ფლოტი კვლავ ინარჩუნებდა იოკოსუკას პორტს იაპონიაში და ოცდაჩვიდმეტიათასაკაციანი არმიისა და საზღვაო ძალების კონტინგენტი კვლავ ადგილზე რჩებოდა სამხრეთ კორეის თავდაცვის გასამყარებლად. ამის მიუხედავად, ფილიპინებიდან შეერთებული შტატების საზღვაო ძალების გასვლა, აღმოსავლეთ აზიაში შეერთებული შტატების პრიორიტეტების მცირედი ცვლილების სიმბოლოდ შეფასდა. ამიერიდან, ამ შედარებით სტაბილურ და უსაფრთხო რეგიონში ეკონომიკურმა ინტერესებმა უსაფრთხოების მოსაზრებებთან მიმართებაში უპირატესი მნიშვნელობა შეიძინა.

რეგიონული სტაბილურობის ამ საოცნებო მდგომარეობას მსოფლიოს ნაწილში, რომელიც ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე საერთაშორისო და სამოქალაქო დაპირისპირების პოლიგონად ქცეულიყო, შენარჩუნება სჭირდებოდა. ეს განსაკუთრებით აშკარა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში რეგიონის სწრაფად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების მიერ იარაღის შესყიდვების მკვეთრი ზრდის ფონზე გახდა. ამიტომ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, აზიის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მრავალმხრივი მექანიზმის შემუშავება დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის გადაუდებელ ამოცანად იქცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ცალკეულ სახელმწიფოს, როგორც იყო ჩინეთი (თავისი ბირთვული არსენალის, მზარდი სამხედრო-საზღვაო ძალისა და

სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის წყალობით), შესაძლოა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ამერიკული გავლენის შემცირების შედეგად გაჩენილი სტრატეგიული ვაკუუმის ცალმხრივად შევსების სურვილი გასჩნოდა. ევროპისა და დასავლეთ ნახევარსფეროსგან განსხვავებით, აზიას არ გააჩნდა უსაფრთხოების ისეთი მექანიზმები, როგორც იყო ნატო, დასავლეთევროპული კავშირი ან ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომლებიც ახალ სტრატეგიულ ვითარებას შესაბამისად ეგუებოდნენ. ამერიკის სახელმწიფო მდივნის – დალესის ინიციატივით შექმნილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (SEATO) მხოლოდ ინდოჩინეთში ამერიკის სამხედრო ქმედებების შენიღბვის ფუნქციას ასრულებდა და მანაც, ვიეტნამის გამარჯვების შემდეგ, 1977 წელს მთლიანად შეწყვიტა არსებობა.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში განხორციელდა ორი სხვადასხვა, თუმცა, პოტენციურად ურთიერთდაკავშირებული ინიციატივა, რომელსაც ცივი ომის შემდგომ ეპოქაში აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების დილემა უნდა გადაეწყვიტა. პირველი ინიციატივა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) ეკუთვნოდა – თავდაპირველად, არცთუ ისე მჭიდროდ შეკრულ ორგანიზაციას, რომელიც რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად მულტილათერალური ძალის ფუნქციის შესრულებას ცდილობდა. 1993 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) ოფიციალურმა პირებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ამ ორგანიზაციის „მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული დიპლომატიური მექანიზმი რეგიონული დავების მოსაგვარებლად გამოეყენებინათ. იმავე წლის ივლისში ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებმა სინგაპურში მოაწყვეს შეხვედრა, სადაც ყველა ის ქვეყანა მოიწვიეს, რომელთაც აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში გარკვეული ინტერესები ჰქონდათ. ამ უპრეცედენტო ოფიციალურ შეკრებაზე მომდევნო წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ASEAN) რეგიონული ფორუმის მოწვევა გადაწყდა. ფორუმს, ოთხმოცდაათიანი წლების გეოპოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, აზიის უსაფრთხოების საკითხები უნდა განეხილა. ასეანის რეგიონულმა ფორუმმა, რომელსაც თვრამეტი სახელმწიფო ესწრებოდა, აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების გამყარებისათვის თანამშრომლობის განვითარების იმედით, პირველი შეხვედრა 1994 წლის ივლისში ბანგკოკში გამართა, თუმცა, ამ შეხვედრას მნიშვნელოვანი არაფერი მოჰყოლია.

ამავე დროს, ასეანის უსაფრთხოების ამ ინიციატივას ვაშინგტონის მხრიდან მოულოდნელად წამოყენებული მეორე ინიციატივა მოჰყვა. 1993 წლის ივლისში პრეზიდენტმა კლინტონმა, აზიისა და წყნარი ოკეანის თანამშრომლობის კონფერენციის (APEC) – ოკეანეთის ქვეყნებისათვის საინტერესო საკითხების განსახილველად 1989 წელს ავსტრალიის ინიციატივით შექმნილი ორგანიზაციის – ყოველწლიური შეხვედრის შემდეგ, აზიის

ლიდერები სიეტლში შესაკრებად მიიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სიეტლის შეხვედრას რამდენიმე უწყინარი დეკლარაციის გარდა არაფერი მოჰყოლია, გაჩნდა შეკითხვა, რომელი ორგანიზაცია უნდა გამხდარიყო აზიაში ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების სისტემის ბირთვი – ასეანი და მისი რეგიონული ფორუმი თუ აპეკი, რომელშიც ნამყვანი როლი შეერთებულ შტატებს ეკავა.

1994 წლის ნოემბერს ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში გამართული აპეკის სამიტზე კლინტონმა დაარწმუნა ოკეანეთის თერამეტი სახელმწიფოს ლიდერები, ხელი მოეწერათ ბუნდოვანი შინაარსის მქონე არასავალდებულო ხასიათის დეკლარაციაზე, რომლითაც იქმნებოდა წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანება, სადაც შეერთებული შტატები ნამყვან ფუნქციას შეასრულებდა. აპეკში იაპონიის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ოკეანეთში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესაქმნელად შეთანხმების პროექტის მომზადება დაევა. იმავდროულად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად ასეანიც განაგრძობდა ძალისხმევას. 1995 წელს ორგანიზაციას შეუერთდა ვიეტნამი და მიღებულ იქნა ოფიციალური გადაწყვეტილება ათწლეულის ბოლომდე რეგიონის ყველა სხვა ქვეყნის ამ ორგანიზაციაში განევრინების თაობაზე. ასეანს 1997 წელს მიანმარი (ყოფილი ბირმა) და ლაოსი შეუერთდნენ, 1999 წელს კი ამ ორგანიზაციის წევრი კამბოჯაც გახდა. 1995 წელს ბანგკოკის სამიტზე ასეანის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა და რომლის შესაბამისადაც, თითოეული წევრი სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, რომ არ აწარმოებდა და არ გამოცდიდა ბირთვულ იარაღს. ნევრთა რაოდენობის გაზრდა და რეგიონში ბირთვული განიარაღების ცენტრად ჩამოყალიბება მიუთითებდა, რომ ასეანი თანდათან რეგიონის კოლექტიური უსაფრთხოების ნამდვილ სისტემად ყალიბდებოდა. თუმცა, ასეანის რეგიონული ფორუმი, რომელიც 1993 წელს შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ჩანასახის სახით, სრულიად უმოქმედო აღმოჩნდა რეგიონის ორ პრობლემურ წერტილში – ტაივანის სრუტესა და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში – განვითარებული დაპირისპირებისას.


„აზიური ღირებულებები“ და ეკონომიკური კრიზისი

მალაიზიის დიდი ხნის პრემიერმინისტრი მაჰათირ მოჰამადი ასეანის შიგნით ხალხების სხვადასხვა ჯგუფის გასაერთიანებლად აუცილებელი მკაფიო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული იდეოლოგიის ჩამოყალიბების მთავარი მხარდამჭერი გახდა. სინგაპურის ყოფილი პრემიერმინისტრის – ლი კუან იუს პოლიტიკასა და განცხადებებზე დაყრდნობით, მა-

ჰათირი და მისი მიმდევრები თავიანთ მხარდამჭერებს არწმუნებდნენ, რომ „აზიური ღირებულებებისაკენ“ დაბრუნება რეგიონის ქვეყნების წარმატებული განვითარების ნებისმიერი პროგრამის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ისინი ავტორიტარულ მმართველობას, იერარქიულ სოციალურ წესრიგსა და ეკონომიკურ ცხოვრებაზე სახელმწიფოს კონტროლს, პოლიტიკური დემოკრატიის, სამოქალაქო კულტურისა და საბაზრო კაპიტალიზმის „დასავლურ ღირებულებებს“ ამჯობინებდნენ. თუმცა, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სასწაულებრივი ეკონომიკური ზრდა, რომლითაც ისინი მთელს მსოფლიოს სამი ათწლეულის განმავლობაში აოცებდნენ, 1997 წელს სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდა, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიშალა ტაილანდის, სამხრეთ კორეის, ინდონეზიისა და მალაიზიის ფულადი ერთეულები და ფინანსური ბაზრები.

სახელგანთქმულ „აზიურ ვეფხვებს“ შორის, სწრაფად გავრცელებული ეკონომიკური კრიზისისაგან დაცული ვერცერთი ვერ აღმოჩნდა. როდესაც სამხრეთ კორეის ეროვნული ვალუტა სარეკორდო მაჩვენებლამდე დაეცა, მთავრობამ დაუყოვნებლივ მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომლისგანაც 57 მილიარდი დოლარის სესხი მიიღო – ყველაზე დიდი თანხა, რაც კი საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციისგან ცალკეულ ქვეყანას ოდესმე მიუღია. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავის კრედიტს ტრადიციული მკაცრი წინაპირობები დაურთო, მათ შორის ის, რომ სამხრეთ-კორეულ პროტექციონისტულ ეკონომიკას კარი უნდა გაეხსნა უცხოური იმპორტისათვის და შეზღუდვებით ცნობილი ამ ქვეყნის ფინანსური ბაზრები უცხოური ინვესტიციებისათვის ღია უნდა გამხდარიყო. ხელისუფლებაში 1998 წელს მოსული რეფორმატორი პრეზიდენტი კიმ დე ჯუნის ახალი მთავრობა სამხრეთ კორეის ეკონომიკის, ნამგებიანი ბანკების, საინვესტიციო კომპანიების და ინდუსტრიული კონგლომერატების რადიკალურ რესტრუქტურისადაც შეუდგა, რესტრუქტურისადაც გადარჩენილ კომპანიებს კი საგარეო კონკურენციასთან ადაპტაციას აიძულებდა. ამ რეფორმებს არამომგებიანი კომპანიები ხშირად გაკოტრებამდე მიჰყავდა და უმუშევრობის დონე კი იზრდებოდა, რაც მთელს ქვეყანაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1997-1998 წლების ფინანსური კრიზისი სერიოზული გამოცდა აღმოჩნდა იმ „აზიური ღირებულებებისათვის“, რომელთაც მალაიზიის პრემიერმინისტრი მაჰათირი მომავალი პროგრესის საფუძველად მიიჩნევდა. მაშინ, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების მისაღებად რეგიონის ეკონომიკურად დასუსტებული ქვეყნები იძულებული გახდნენ, ეკონომიკური ლიბერალიზაციის „დასავლური“ პოლიტიკა გაეტარებინათ, მალაიზიელი პრემიერმინისტრი ჯიუტად ამბობდა უარს კაპიტულაციაზე. მაჰათირი აზიის ფინანსურ კრიზისს განვითარებული სამყაროს ფინანსურ სპეკულატორებს აბრალებდა და, გლობალიზაციის უსამართლო გავლენებისაგან და-



ინდონეზია და მალაიზია დამოუკიდებლობის შემდეგ

საცავად, სავალუტო გაცვლის კურსებზე კონტროლი დაანესა. კრიზისისგან დაუძღურებული ეკონომიკის გასამაგრებლად, რეგიონის სხვა ქვეყნები პატიოსნად ასრულებდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა მრავალნაციონალური ფინანსური ორგანიზაციების მოთხოვნებს, მაღალიზია კი „აზიური ღირებულებების“ განმარტოებულ მცველად რჩებოდა გლობალურ ეკონომიკურ წესრიგში, რომელშიც წამყვანი პოზიცია დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს ეკავათ.

ინდონეზიის კონფლიქტი აღმოსავლეთ ტიმორთან

აზიის ფინანსურმა კრიზისმა ინდონეზიაში ძველი პოლიტიკური კრიზისის გამწვავებაც გამოიწვია, რასაც 1998 წლის მაისში პრეზიდენტ სუხარტოს იძულებითი გადადგომა მოჰყვა. სუხარტო ოცდათორმეტი წლის განმავლობაში რკინის ხელით მართავდა ინდონეზიას. ჩვიდმეტი ათასი კუნძულისაგან შემდგარი და ორასმილიონიანი მოსახლეობის მქონე ამ ქვეყნის მნიშვნელობა მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას სწვდებოდა. სუხარტოს წინამორბედის – პრეზიდენტ სუკარნოს – მმართველობის დროს ინდონეზია რეგიონული ექსპანსიის აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა. 1967 წლის აგვისტოში ასეანის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი რეგიონული თანამშრომლობის მრავალმხრივ სისტემაში ინდონეზიის ჩაბმაც იყო, რათა ამ ქვეყნის ჰეგემონიური ამბიციები მოეთოკათ სწორედ ისე, როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ნაწილობრივ, დასავლეთ გერმანიის პოტენციალის რეგიონული განვითარების სამსახურში ჩაყენებისათვის შეიქმნა. 1975 წელს ყოფილი პორტუგალიური კოლონიის – აღმოსავლეთ ტიმორის – ოკუპაცია და ანექსიას თუ არ ჩავთვლით, სუხარტოს რეჟიმი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართ შედარებით მოკრძალებული ამბიციებით შემოიფარგლებოდა, რითაც ის სუკარნოს რეჟიმისგან განსხვავდებოდა. სუხარტოს ყურადღება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებული პროგრამის განხორციელებისკენ იყო მიმართული. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ინდონეზიამ ეკონომიკური ზრდის შთაბეჭეტად მაჩვენებლებს მიაღწია და მზად იყო ე.წ. „აზიური ვეფხვების“ ჯგუფის წევრი გამხდარიყო. თუმცა, 1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა ინდონეზიის ეკონომიკის განვითარებას ბოლო მოუღო. ინდონეზიურმა ფულადმა ერთეულმა – რუპიამ ღირებულების სამი მეოთხედი დაკარგა, შეიქმნა სურსათის დეფიციტი და ქვეყანა სიღარიბემ და უმუშევრობამ მოიცვა. ეკონომიკურმა კრიზისმა ბიძგი მისცა ქსენოფობიური ხასიათის ძალადობას ქვეყნის ჩინური უმცირესობის მიმართ, რომელსაც ქვეყნის სავაჭრო ცხოვრებაში წამყვანი ადგილი ეკავა.

სუხარტოს მემკვიდრე არა მხოლოდ დაუსრულებელი ეკონომიკური კრიზისის, არამედ აღმოსავლეთ ტიმორში ახლადგამოღვიძებული სეპარატისტული მოძრაობის წინაშეც აღმოჩნდა. 1999 წლის იანვარში ინდონეზიის



დამოუკიდებელი ინდონეზიის ლიდერი: სუკარნომ 1920-იან წლებში ნიდერლანდების ისტინდოეთის (Dutch East Indies) დამოუკიდებლობის მომხრე მთავარი პარტია დააარსა, 1949 წელს კი სანუკუვარ ოცნებას მიაღწია და დამოუკიდებელი ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, სუკარნომ უარი თქვა სახალხო სუვერენიტეტზე და „მართული დემოკრატია“ ჩამოაყალიბა, 1963 წელს კი ინდონეზიის „სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტად“ იქცა. მისი, როგორც ცივი ომის დროს მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის ლიდერის, რეპუტაცია საეჭვო გახდა ინდონეზიის კომუნისტურ პარტიასთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მისი მჭიდრო კავშირების გამო.

მთავრობამ განაცხადა, რომ მზად იყო რეფერენდუმის ჩასატარებლად, რომელიც აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობას ინდონეზიის შემადგენლობაში ავტონომიის ან სრული დამოუკიდებლობის არჩევანის წინაშე აყენებდა. მთელი ამ წლის განმავლობაში ძალადობა კიდევ უფრო მწვავედებოდა დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფებსა და ინდონეზიის შემადგენლობაში დარჩენის მომხრე ჯგუფებს შორის. ამ უკანასკნელთ ინდონეზიელი სამხედროები უჭერდნენ მხარს, რომლებიც აღმოსავლეთ ტიმორში რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილებასაც ეწინააღმდეგებოდნენ. 1999 წელს გაეროს ეგიდით რეფერენდუმი მაინც ჩატარდა და კუნძულის უმრავლესობამ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. რეფერენდუმის შემდეგ იფეთქა კიდევ უფრო ფართო მასშტაბის ძალადობამ დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე სამხედრო შენაერთებისა და ინდონეზიის არმიის კონტინგენტების მხრიდან, რომლებიც აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობას ტერორის ქვეშ ამყოფებდნენ. საბოლოოდ, ნესრიგი ავსტრალიის ჯარმა აღადგინა, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით მოქმედებდა. გაეროს ეგიდით მოქმედი სამშვიდობო ძალების მხარდაჭერით, აღმოსავლეთ ტიმორმა, საბოლოოდ, 2002 წლის გაზაფხულზე მიაღწია დამოუკიდებლობას.

მშვიდობის აღდგენა კამბოჯაში

ოთხმოცდაათიან წლებში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების წარმატებული მცდელობის ერთადერთ მაგალითს კამბოჯაში ორმოცწლიანი სამოქალაქო ომის დასრულება წარმოადგენდა. ცივი ომისდროინდელ ამ გადმონაშთს გაეროს ინტერვენციისა და პეკინისა და ვაშინგტონის მხრიდან ძველი ყაიდის დიპლომატიის საშუალებით მოელო ბოლო. კრემლის ზენოლამ 1989 წელს ვიეტნამს კამბოჯიდან ჯარის გაყვანა აიძულა, შეერთებული შტატები კი წინააღმდეგობის მოძრაობის დაჯგუფებათა კოალიციას მოლაპარაკებების გზით შეთანხმების მიღწევას სთხოვდა. პნომ პენის რეჟიმმა პარიზში სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო ამბოხებულთა სამ დაჯგუფებასთან, რომლებიც, მცირე ხნით ადრე, პრინც ნოროდომ სიანუკის ნომინალური ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებულიყვნენ. 1990 წელს გაეროს უშიშროების საბჭო კამბოჯის კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთო. იმავდროულად, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკურმა კრიზისმა მოსკოვის პროტყეე – ჰანოი – ჩინეთისა და შეერთებული შტატების ინტენსიური ზენოლის მიმართ დაუცველი დატოვა. ჩინეთი და შეერთებული შტატები კამბოჯელი ამბოხებულების ძირითადი მხარდამჭერები იყვნენ და ცდილობდნენ პნომ-პენის მარიონეტული მთავრობა კომპრომისულ შეთანხმებაზე დაეყოლიებინათ. საბოლოოდ, ორწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებებისა და რამდენიმე წარუმატებელი საზავო შეთანხმების შემდეგ, 1991 წლის 23 ოქტომბერს დავაში მონაწილე ოთხმა მხარემ პარიზში სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების შესაბამისად, გაეროს ეგიდით დაარსდა კამბოჯის გარდამავალი ხელისუფლება, რომელსაც ქვეყანა უზენაეს ეროვნულ საბჭოსთან ერთად უნდა ემართა. საბჭოს ნოროდომ სიანუკი ხელმძღვანელობდა და ამბოხებულთა სამი დაჯგუფების და ვიეტნამის მიერ მხარდაჭერილი მთავრობის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. წლის ბოლომდე სიანუკი და კხმერ რუჟის იფიციალური პირები პნომ პენში ჩინეთიდან და ტაილანდიდან დაბრუნდნენ, სადაც ისინი თავს აფარებდნენ. გაეროს ეგიდით მოქმედი კამბოჯის გარდამავალი ხელისუფლება, რომლის ოცდაორათასიანი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი გაეროს ყველაზე დიდ სამშვიდობო მისიას წარმოადგენდა, კამბოჯაში 1992 წლის გაზაფხულზე ჩავიდა და სამშვიდობო შეთანხმების განხორციელებას, დაპირისპირებული სამხედრო ძალების განიარაღებაზე ზედამხედველობასა და მომდევნო მაისისათვის დანიშნული საყოველთაო არჩევნებისათვის მზადებას შეუდგა.


პეკინის მხარდაჭერის დაკარგვის მიუხედავად, კხმერ რუჟი უარს ამბობდა განიარაღებაზე და ხელს უშლიდა გაეროს ეგიდით მოქმედ კამბოჯის გარდამავალ ხელმძღვანელობას ამომრჩევლების რეგისტრაციაზე იმ რეგიონებში, რომელსაც თავად აკონტროლებდა. 1992 წლის გაზაფხულზე კი კხმერ რუჟმა ბოიკოტი გამოუცხადა მომავალ არჩევნებს იმ ფავორიტიზმის გასაპროტესტებლად, რომელსაც, მათი თქმით, გაეროს მისია ამჟღავნებდა

კამბოჯის მოქმედი მთავრობის მიმართ. 1993 წლის მაისის არჩევნებში, რომელიც გაეროს დამკვირვებლებმა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებად შეაფასეს, ხმების უმრავლესობა ნოროდომ სიანუკის უფროსი ვაჟის – ნოროდომ რანარიდის პარტიამ მიიღო. ამ უკანასკნელმა ვიეტნამის მარიონეტული რეჟიმის ყოფილ ხელმძღვანელ ჰუნ სენტან ერთად მალე დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა. სექტემბერში სიანუკი სამეფო ტახტზე დაბრუნდა, როგორც კონსტიტუციური მონარქიის მეთაური და ნოემბერში გაეროს ეგიდით მოქმედი კამბოჯის გარდამავალი ხელისუფლების ჯარებმა ქვეყანა დატოვეს. 1994 წლის დასაწყისში, ორი ყოფილი ამბოხებული დაჯგუფება ყოფილი მთავრობის სამხედრო ერთეულებს კხმერ რუჟის წინააღმდეგ საბრძოლველად შეუერთდა. მოსახლეობის დაშინებისაკენ მიმართული ძალადობრივი კამპანიის განახლების შემდეგ, 1994 წლის ივნისში, პნომპენში კხმერ რუჟის წარმომადგენლები დედაქალაქიდან გააძევეს. კამბოჯის ტრავმირებული მოსახლეობა, საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი გენოციდის გადატანის შემდეგ, პირველად დაადგა შედარებითი მშვიდობისა და სტაბილურობის გზას ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში. ეს კეთილი დასასრული კი საბჭოთა კავშირის დაშლის გამო აზიის ძალთა ბალანსში მომხდარი ცვლილებების შედეგი იყო. ტრადიციული პროტექტორის დაკარგვის გამო, პოლიტიკურად იზოლირებული და სამხედრო თვალსაზრისით დაუცველი ვიეტნამი, მთელ ინდოჩინეთზე გავლენის მოპოვების გრანდიოზული გეგმების ნაცვლად, იძულებული იყო საერთო ენა გამოენახა ძველ მეტოქეებთან – ვაშინგტონთან და პეკინთან. ცივი ომის დასრულების შემდეგ, გაერომ შეიმუშავა შეთანხმება, რომელიც, პოლ პოტის ჯიუტად ერთგული მომხრეების გარდა, ყველა მხარეს აკმაყოფილებდა.

დაქაპულობა ინდოეთის სუბკონტინენტზე

მაშინ, როდესაც აზიის უმეტესი ნაწილი, ცივი ომის შემდგომ, შედარებით სიმშვიდეს, სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას განიცდიდა, ინდოეთის სუბკონტინენტის ორმა სახელმწიფომ – ინდოეთმა და პაკისტანმა – განაახლეს სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჯერ კიდევ არ განულებულიყო. ბრიტანეთის იმპერიის „სამეფო სამკაულის“ გაყოფა უმეტესწილად ჰინდუებით დასახლებულ (თუმცა, თითქოს უფრო სეკულარულ) ინდოეთად და რელიგიურად აქტიურ მუსლიმურ პაკისტანად 1947 წელს ორ მილიონამდე ლტოლვილი მოსახლეობის გადაადგილების შემდეგ განხორციელდა, რათა შექმნილიყო ეთნიკურად, შეძლებისდაგვარად, ერთგვაროვანი ორი სახელმწიფო და თავიდან ყოფილიყო აცილებული ტრადიციულად დაპირისპირებული ამ ორი რელიგიური ჯგუფის წარმომადგებლებს შორის შეტაკებები. თუმცა, ზემოაღნიშნული მიზნით მოსახლეობის მასობრივმა გადაადგილებებმა კონფლიქტის ორივე მხარის მიერ ჩადენილი სისასტიკეების მძიმე

მოგონებები დატოვეს. მუსლიმებმა, რომლებიც ინდოეთის ჩრდილოეთის შტატის - ქაშმირის - უმრავლესობას წარმოადგენდნენ, დელის უმეტესწილად ჰინდუებით შემდგარი მთავრობისგან დამოუკიდებლობა მოითხოვეს, რაშიც მათ მნიშვნელოვნად აქეზებდა პაკისტანის ისლამური მთავრობა და სერიოზულ ფინანსურ დახმარებასაც აწვდიდა. ინდოეთი პერიოდულად აქევეყნებდა ქაშმირის ავტონომიასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტულ



ინდოეთის სუბკონტინენტი

სქემებს, რათა ამ შტატის მუსლიმი მოსახლეობის სეპარატისტული ვნებები დაემშვიდებინა და ამით პაკისტანისათვისაც ინდოეთის საშინაო საქმეებში ჩარევის საბაზი წაერთმია. თუმცა, ინდოეთის ამ ძალისხმევას შედეგი არასოდეს მოჰყოლია. ორი ომი, დაუსრულებელი სასაზღვრო შეტაკებები, დელისა და ისლამაბადს შორის მწვავე პოლიტიკური რიტორიკა ბრიტანეთის ყოფილი კოლონიის მემკვიდრე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ძაბავდა. პაკისტანის ფარული მხარდაჭერით, ქაშმირში მუსლისმთა სეპარატისტული მღელვარებების ბოლო შემთხვევა 1989 წელს დაიწყო და ოცდამეერთე საუკუნემდე გაგრძელდა. 2008 წელს პაკისტანელმა ისლამისტმა ფანატიკოსებმა ტერორისტული დაჯგუფება „ლაშქარეთაიბადან“, მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) – ინდოეთის ყველაზე დიდ ქალაქში – აფეთქებათა სერია განახორციელეს, რის შედეგადაც 175 ადამიანი დაიღუპა და 300-ზე მეტი დაიჭრა. იმის მიუხედავად, რომ პაკისტანის მთავრობამ უარი განაცხადა განხორციელებულ ტერორისტულ აქტებზე პასუხისმგებლობაზე, პაკისტანის დაზვერვის სამსახურის მიერ „ლაშქარისათვის“, ადრე განუვლი მხარდაჭერა მაინც გახდა ნიუ დელის ეჭვის საფუძველი, რამაც ორ ქვეყანას შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა.

ქაშმირის გამო ინდოეთის პაკისტანთან უწყვეტ დაპირისპირებას ინტენსიურობით არც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მიმდინარე ორი დიდი ხნის დავა ჩამოუვარდებოდა. პირველი დავა დელისა და პეკინს შორის, რომელიც საზღვრების საკითხს უკავშირდებოდა, 1962 წელს დაიწყო, როდესაც ინდოელი და ჩინელი სამხედროები, საზღვრის სადავო მონაკვეთთან დაკავშირებით პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მეორე დავა დაკავშირებული იყო ტიბეტთან – ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე იზოლირებულ, მთიან სამეფოსთან, რომელიც ანექსირებულ იქნა ჩინეთის მიერ 1950 წელს, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩრდილოეთ კორეის ომისკენ იყო მიმართული. იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად პეკინის კომუნისტურმა რეჟიმმა ტიბეტელებს გარკვეული ავტონომია მიანიჭა და მათ სულიერი და პოლიტიკური ლიდერის – დალაი ლამას – შენარჩუნების ნებაც დართო, ორმოცდაათიანი წლების განმავლობაში ტიბეტის ბუდისტ მოსახლეობასა და კომუნისტური სახელმწიფოს პოლიციას შორის შეხლა-შემოხლა არ წყდებოდა. 1959 წელს ჩინეთის პრემიერმინისტრმა ჯუ ენლაიმ ტიბეტის დალაი ლამას რეგიონული მთავრობა დაითხოვა, რომელმაც დაუყოვნებლივ დატოვა ჩინეთის ტერიტორია და ინდოეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. ამის შემდეგ ჩინეთი ცდილობდა მთლიანად ამოეძირკვა ბუდისტური რელიგია ტიბეტში, ხოლო ინდოეთი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას შეუდგა ტიბეტში პეკინის რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. სასაზღვრო დავა და ტიბეტთან დაკავშირებული დაპირისპირება ინდოეთსა და ჩინეთს მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ამყოფებდა.

ინდოეთი მიუმხრობელთა მოძრაობის ერთგული რჩებოდა, თუმცა სულ უფრო და უფრო შიშობდა ცივ ომში საკუთარი იზოლირებული პოზიციის პრაქტიკული შედეგების გამო და თანდათან აცნობიერებდა მოკავშირეების აუცილებლობას. 1964 წელს ნერუს გარდაცვალების შემდეგ, ინდოეთმა დაახლოების პროცესი დააჩქარა საბჭოთა კავშირთან, რომელიც უკვე ნერუს მმართველობის ბოლო წლებში უწევდა მას დიპლომატიურ მხარდაჭერასა და ეკონომიკურ დახმარებას. ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოება უშუალოდ უკავშირდებოდა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მომხდარ განხეთქილებას, რის შემდეგაც როგორც საბჭოთა კავშირი, ისევე ინდოეთიც ჩინეთს თავის მთავარ მეტოქედ მიიჩნევდა. ამასობაში, შეერთებული შტატებიც თანდათან ათბობდა ურთიერთობებს ინდოეთის რეგიონულ მეტოქესთან – პაკისტანთან. ნიქსონის ადმინისტრაცია დაუფარავად უჭერდა მხარს პაკისტანს 1971 წელს ინდოეთთან მის ხანმოკლე და წარუმატებელ ომში, რის შედეგადაც მას აღმოსავლეთ პაკისტანი გამოეყო და ბანგლადეშის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ინდოეთის სამხედრო წარმატების შემდეგ, ვაშინგტონი პაკისტანის სამხედრო შესაძლებლობების



ინდოელი ქალები ბრძოლისათვის ემზადებიან. ფერად სარიში გამოწყობილი ინდოელი ქალები 1962 წელს დარანგის კოლეჯში სამხედრო წვრთნას გადიან. მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყურადღება კუბის სარაკეტო კრიზისისაკენ იყო მიმართული, 1962 წლის შემოდგომაზე ჩინეთსა და ინდოეთს შორის ჰიმალაის მთების დიდ სიმაღლეებზე ხანმოკლე სასაზღვრო ომი გაიმართა. სასაზღვრო ომის გარდა (რომელიც სათავეს მეცხრამეტე საუკუნეში ბრიტანული ინდოეთისა და ჩინეთის იმპერიის დაპირისპირებაში იღებდა), ჩინეთის მთავრობა აღშფოთებული იყო ინდოეთის მიერ დალაი ლამასათვის, ტიბეტში 1959 წელს მომხდარი ბუდისტური ამბოხების შემდეგ, თავშესაფრის მიცემით. ერთთვისანი ბრძოლის ბოლოს ჩინეთ-ინდოეთის ომის დასრულების შემდეგ, ინდოეთის ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს საკითხად მეზობელი მეტოქე – პაკისტანი – იქცა, რომელთანაც ის 1965 და 1971 წლებში სამხედრო მოქმედებებში ჩაერთო.

აღდგენას შეუდგა, რათა გაემყარებინა მისი პოზიცია სუბკონტინენტზე, როგორც თავად მიიჩნევდა, კრემლის მარიონეტ სახელმწიფოსთან მიმართებაში. ისლამაბადი ვაშინგტონის ასეთ პოზიციას ჩინეთთან შეერთებული შტატების შერიგებისათვის ხელშეწყობით პასუხობდა (ჩინეთთან პაკისტანს, ინდოეთის მიმართ მათი მსგავსი მტრული პოლიტიკის გამო, გულითადი ურთიერთობები ჰქონდა). ჩინეთს, პაკისტანსა და ამერიკას შორის ამ ახლო ურთიერთობებმა მწვერვალს 1979 წელს, საბჭოთა კავშირის ავღანეთში შესვლისას, მიაღწია. სამივე სახელმწიფო ერთად უჭერდა მხარს რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ძალებისა და ქაბულში მათი მოკავშირეებისადმი ისლამურ წინააღმდეგობას.

პაკისტანის ისლამური საგარეო პოლიტიკა

ცივი ომის დასასრულმა და ავღანეთიდან საბჭოთა სამხედრო ძალების გამოყვანამ, ოთხმოციანი წლების ბოლოს სამხრეთ აზიაში დიდ გეოპოლიტიკურ გადაადგილებებს დაუდო საფუძველი. პოლიტიკოსები ვაშინგტონში უკვე გამუდმებით აღარ ფიქრობდნენ ინდოეთის ოკეანეში საბჭოთა კავშირის ექსპანსიის მოსალოდნელ საფრთხეზე და სამხრეთ აზიის სტაბილურობის წინაშე მდგარი ორი სხვა საფრთხისაკენ გადაიტანეს ყურადღება. ამ საფრთხეებს რეგიონში ამჯერად შეერთებული შტატების ძველი მოკავშირე ქმნიდა. ერთ-ერთი ამ საფრთხეთაგანი ისლამური ფუნდამენტალიზმის ფენომენს უკავშირდებოდა, რასაც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკისადმი მიძღვნილ მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ. პაკისტანის ისლამურმა რესპუბლიკამ, რომლის მოქალაქეები შარიათის კანონებს ემორჩილებოდნენ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სხვა ისლამურ ქვეყნებთან – მათ შორის ირანთან, ავღანეთთან და საბჭოთა ცენტრალური აზიის ახლადდამოუკიდებელ სახელმწიფოებთან – მჭიდრო კავშირების დამყარება დაიწყო. პაკისტანის პროსაბჭოთა საგარეო პოლიტიკის პროისლამური საგარეო პოლიტიკით შეცვლა კიდევ ერთ მოვლენას დაემთხვა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა აშშ-პაკისტანის ურთიერთობები. მამ შემდეგ, რაც 1974 წელს ინდოეთმა ბირთვული იარაღი გამოსცადა, გაჩნდა ეჭვი, რომ პაკისტანი ფარულად ახორციელებდა ბირთვულ პროგრამას თავისი რეგიონული მეტოქის მიმართ პოზიციის გასამყარებლად. ინდოეთის სუბკონტინენტზე ბირთვული იარაღის გავრცელების პერსპექტივით შემფოთებულმა შეერთებული შტატების სენატმა 1986 წელს რეზოლუცია მიიღო პაკისტანისათვის უხვი ამერიკული ეკონომიკური და სამხედრო დახმარების შეწყვეტის შესახებ, თუკი სახელმწიფო დეპარტამენტი არ დაადასტურებდა, რომ ასეთი დიდსულოვანი დახმარების მიმღები ეს ქვეყანა საკუთარ ბირთვულ იარაღს არ ავითარებდა. როდესაც 1990 წელს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ მსგავს გარანტიას ის ვეღარ გასცემდა, ვაშინგტონმა პაკისტანს სამხედრო დახმარება შეუწყვიტა.

შეერთებულ შტატებსა და მის ყოფილ მოკავშირე პაკისტანს შორის ურთიერთობებში დაძაბულობის კიდევ ერთი წყარო ამ უკანასკნელის მიერ ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევა იყო. 1989 წელს ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის გასვლის შემდეგ, კრემლის მარიონეტი რეჟიმი ქაბულში ხელისუფლებას კიდევ სამი წელი ებლაუჭებოდა, სანამ, 1992 წლის 25 აპრილს, ისლამური წინააღმდეგობის დაჯგუფებათა კოალიციამ ავღანეთის დედაქალაქი არ აიღო და ის საბჭოთა მმართველობის უკანასკნელი ნარჩენებისგან არ განმინდა. პუშტუზე მოლაპარაკე პუშტუნებს, სპარსულენოვან ტაჯიკებსა და ხაზარებს და თურქულენოვან უზბეკებს შორის მწვავე ეთნიკურმა კონფლიქტმა ავღანეთი სასიკვდილო და დამანგრეველ სამოქალაქო ომში ჩაითრია. სხვადასხვა რეგიონის სამხედრო მეთაურებმა მთელს ქვეყანაზე ფაქტობრივი კონტროლი დაამყარეს. ოთხმოცდაათიანი წლების შუაში სუნიტი მუსლიმი პუშტუნების თავდადებულმა სექტამ, სახელწოდებით „თალიბანი“, კორუფციის აღმოფხვრისა და ადგილობრივი მხედართმთავრების მმართველობის დასრულებისთვის, სოციალური წესრიგის აღდგენისა და ისლამურ პრინციპებზე დაფუძნებული წესრიგის დამყარების მიზნით, შეიარაღებული ამბოხება წამოიწყო. მეზობელმა პაკისტანის ისლამურმა რესპუბლიკამ, ომით განადგურებულ ავღანეთზე გავლენის გაფართოების მიზნით, დაუყოვნებლივ გამოუცხადა მხარდაჭერა თალიბანს. 1996 წელს პაკისტანის მხარდაჭერით თალიბანის ძალები დედაქალაქ ქაბულში შეიჭრნენ, ხოლო ტაჯიკმა, უზბეკმა და ხაზარმა მებრძოლებმა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მთიან რეგიონში დაიხიეს და ზურგიდან აპირებდნენ ახალი მთავრობისათვის წინააღმდეგობის განევას. თალიბანმა ავღანეთში პურიტანული ისლამური რეჟიმის დამყარება დაიწყო, რაც, ყურანის მკაცრ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, ჩაცმისა და ქცევის ხისტი წესებს ითვალისწინებდა. თალიბანი ასევე არაბული ქვეყნებიდან მოხალისე მებრძოლებისათვის სანვრთნელ ბაზებს უზრუნველყოფდა, რომლებიც ავღანეთის მთიან ჩრდილო-აღმოსავლეთში ჩრდილოეთის ალიანსად გაერთიანებული მებრძოლებისაგან თალიბანის დასაცავად ჩადიოდნენ ავღანეთში. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფება ალ-ყაიდამ ამერიკული სამიზნეების წინააღმდეგ ტერორისტული აქტები წამოიწყო, რაც 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმებით დასრულდა, ბუშის ადმინისტრაციამ პაკისტანში გენერალ ფერვეზ მუშარაფის მთავრობას ქაბულში თალიბანის რეჟიმისათვის მხარდაჭერის შეწყვეტა და ტერორიზმის წინააღმდეგ ვაშინგტონის გლობალურ ომში ჩართვა მოსთხოვა. საგარეო პოლიტიკის ასეთი მკვეთრი ცვლილების სანაცვლოდ, შეერთებულმა შტატებმა პაკისტანს დიდი ეკონომიკური და სამხედრო დახმარება შესთავაზა და პაკისტანის ავტოკრატიული პოლიტიკური სისტემისა და მისი ბირთვული პროგრამის კრიტიკაც შეწყვიტა.

ვაშინგტონი ინდოეთთან შეთანხმებას აღწევს

ამასობაში, შეერთებული შტატები გულითადი ურთიერთობების განვითარებას შეუდგა რეგიონში პაკისტანის მეტოქე ინდოეთთან, რომლის ტრადიციული საგარეო პოლიტიკა, მისი მფარველი და კეთილისმყოფელი საბჭოთა რეჟიმის დაცემის შემდეგ, ქაისს მოეცვა. ინდოეთი, რომელიც ნასიამოვნები დარჩა პაკისტანისათვის აშერიკული დახმარების შეწყვეტით და იზიარებდა ვაშინგტონის შემოთავაზებას პაკისტანში „ისლამური ბომბის“ პერსპექტივით, იოლად დათანხმდა 1991-1992 წლებში ორ ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო სამხედრო და საზღვაო თანამშრომლობის ინიციატივებს. ინდოეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების დაახლოება ინდოეთში იდეოლოგიურ ცვლილებებს დაემთხვა, რაც პრემიერმინისტრ რაჯივ განდის ახალ პოლიტიკას უკავშირდებოდა, რომელმაც ოთხმოციანი წლების ბოლოს ინდოეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკის ლიბერალიზაციის კამპანია წამოიწყო. სახელმწიფო სუბსიდიების შეწყვეტის, პროტექციული სავაჭრო ტარიფების შემცირებისა და უცხოურ ინვესტიციებზე შეზღუდვების გაუქმების შემდეგ, ინდოეთი საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას შეუერთდა, რომლისგან იზოლირებასაც ის მანამდე დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა.

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ინდოეთმა ეკონომიკის არაჩვეულებრივ ზრდას მიაღწია, რამაც ეს ტრადიციულად ლატაკი და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა აზიის წამყვან ეკონომიკურ ძალად აქცია. ინდოეთის ეკონომიკური განვითარების გზა განსხვავდებოდა რეგიონში მეორე, სწრაფად და წარმატებით განვითარებადი ეკონომიკის განვითარების გზისგან: ჩინეთი ეკონომიკურ წარმატებას უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიზიდვისა და შრომატევადი პროდუქციის მთელს მსოფლიოში ექსპორტის სტრატეგიის სამუალებით აღწევდა; ინდოეთი კი, პირიქით, მართალია, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და ექსპორტზე ორიენტირებულ სექტორს არ უგულვებელყოფდა, ძირითად ყურადღებას მაინც ადგილობრივ მენარმეობასა და საკუთარი უზარმაზარი ბაზრისათვის წარმოების განვითარებას უთმობდა. მაღალპროფესიული, განათლებული და ინგლისურად თავისუფლად მოლაპარაკე იაფი მუშახელის ნაკლებობით, ქალაქები, როგორცაა ბანგადორი და შაიდერაბადი საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრებად იქცა, რომლებიც სავეს იყო მაღალი ხელფასების მაძიებელი ახალგაზრდა, ამბიციური პროფესიონალებითა და დიდ მოგებაზე მონადირე, ნაღდი ფულით დახუნძლული ინვესტორებით. მსოფლიოს ყველაზე დიდი დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსი და ეკონომიკური ელიტის მიერ ინგლისური ენის – საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების ლინგვა ფრანკას – ფართოდ გამოყენება ინდოეთს მის ეკონომიკურ მეტოქე ჩინეთთან მიმართებაში უპირატესობებს ანიჭებდა. აზიის ეს

ოდესლაც მძინარე ორი გოლიათი, რომელთა მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის მესამედს მოიცავს, ეკონომიკური წინსვლის მისაღწევად გაცხარებულ კონკურენციაში იყო ჩართული. 2010 ხელს ჩინეთმა უკან ჩამოიჭოვია იაპონია და ეკონომიკის სიდიდით მსოფლიოს მეორე სახელმწიფო გახდა (ნომინალური ერთიანი შიდაპროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით), ხოლო ინდოეთმა მხოლოდ მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში, კომპეტენტური ექსპერტები ინდოეთს მომავალი ოცი წლის განმავლობაში ჩინეთისათვის დაწვეასაც უწინასწარმეტყველებენ. ინდოეთის ეკონომიკური წარმატების ერთადერთ დაბრკოლებას მეზობელ პაკისტანთან კონფლიქტი წარმოადგენს, რომელიც 1947 წელს ბრიტანეთის იმპერიის დაშლის შედეგად ამ ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

ინდოეთის სუბკონტინენტი ბირთვული იარაღის მფლობელი ხდება

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში რისკები განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც პროგრესი განიცადა ორივე ქვეყნის ბირთვული იარაღის განვითარების პროგრამებში. ინდოეთმა ბირთვული ბომბი 1974 წელს ააფეთქა, თუმცა, ამის შემდგომ ბირთვული იარაღის ფლობას გამუდმებით უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ ბირთვული კვლევის პროგრამას მხოლოდ მშვიდობიანი, კომერციული მიზნები ჰქონდა. ამის მიუხედავად, ინდოეთი მტკიცე უარს ამბობდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე, მანამ ეს ხელშეკრულება უნივერსალური (ანუ, ვიდრე მას ხელს არ მოაწერდა ყველა ქვეყანა) და არადისკრიმინაციული (ანუ, ვიდრე ბირთვული იარაღის მქონე ხუთი სახელმწიფო ბირთვულ იარაღზე უარს არ იტყოდა) არ გახდებოდა. რეგიონში მისი მეტოქის პოლიტიკის ფონზე, პაკისტანმაც უარი თქვა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ორივე ქვეყანა მცირე და საშუალო რადიუსის რაკეტების განვითარებას შეუდგა, რითაც სუბკონტინენტზე გამალებული ბირთვული შეიარაღება გაჩაღდა.

ბირთვული შეიარაღების სფეროში ინდოეთ-პაკისტანის ფარული კონკურენციის შესახებ მოულოდნელად 1998 წლის მაისში გახდა ცნობილი, როდესაც ინდოეთმა ხუთი მიწისქვეშა ბირთვული გამოცდის ჩატარების შესახებ განცხადება გაავრცელა. ინდოეთის მიერ განხორციელებულ ბირთვულ ცდებს ორი მიზანი ჰქონდა: ინდოეთის კიდევ ერთი ძველი მეტოქის – ჩინეთის – უზარმაზარი ბირთვული მარაგის სანინააღმდეგო ძალის წარმოჩენა და საწყის ეტაპზე მყოფი პაკისტანის ბირთვული პროგრამის საპირწონე ბირთვული ძალის ჩამოყალიბება. პაკისტანი ჩინეთის დახმარებით უკვე ორი ათწლეულის განმავლობაში ავითარებდა ბირთვულ პროგრამას. მან წარმატებით გაუძლო შეერთებული შტატების ზენოლას და, ინდოეთის მიერ გან-

ხორციელებულ ბირთვულ ცდებზე საპასუხოდ, იმავე თვის ბოლოს საკუთარი მინისქვეშა ბირთვული ცდები განახორციელა. შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ და სხვა სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ დაანესეს სანქციები ორივე ქვეყნის წინააღმდეგ, თუმცა, როდესაც ფინანსურად გაღატაკებული პაკისტანი საგარეო ვალების დეფოლტის წინაშე აღმოჩნდა, კლინტონის ადმინისტრაციამ სანქციების უმრავლესობა გააუქმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კი ამ ქვეყანას ფინანსური დახმარების პაკეტი გამოუყო. 2008 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა 2005 წელს პრეზიდენტ ბუშის მიერ ინდოეთის პრემიერმინისტრ მანმოჰან სინგჰისადმი შეთავაზებული ინიციატივა დაამტკიცა, რომელიც ინდოეთის სამოქალაქო ბირთვული ენერჯის პროგრამისათვის ბირთვული სანჯავის მიწოდებას ითვალისწინებდა. ინდოეთის განცხადებების მიუხედავად, რომ მიწოდებული ბირთვული სანჯავი მის ბირთვული იარაღის პროგრამას არ მოხმარდებოდა და რომ ინდოეთის სამოქალაქო ბირთვული მრეწველობის ობიექტებზე საერთაშორისო ატომური ენერჯის ასოციაციის უსაფრთხოების ზომებს გაატარებდა, ამერიკულ-ინდური შეთანხმების მოწინააღმდეგეები ღელავდნენ, რომ ეს შეთანხმება ინდოეთს საკუთარი ბირთვული სანჯავის ბირთვული იარაღის წარმოებისაკენ მიმართვის საშუალებას მისცემდა. შეთანხმებას ასევე აკრიტიკებდნენ საშიში პრეცედენტის შექმნის გამო, რადგან ამ შეთანხმებით შეერთებული შტატები იმ ქვეყანას ასაჩუქრებდა, რომელიც უარს ამბობდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე და ბირთვული იარაღის ცდებს ატარებდა. ისევე, როგორც პაკისტანის ბირთვულ პროგრამას ითმენდა ვაშინგტონი ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლის უფრო მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად, აშშ-ინდოეთის ბირთვული სანჯავით მომარაგების შეთანხმებასაც საფუძვლად აშშ-ინდოეთის თანამშრომლობის გაღრმავებისა და ინდოეთის, როგორც ჩინეთის საპირწონე სახელმწიფოს, მხარდაჭერის სურვილი ედო. შესაბამისად, ინდოეთის სუბკონტინენტზე ბირთვული იარაღის გავრცელებამ დასრულებული ფაქტის სახე მიიღო. ეს კი სერიოზულ დარტყმას აყენებდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის მცდელობებსა და არაბირთვულ სახელმწიფოებს უბიძგებდა, გადაეხდათ საკუთარი გადაწყვეტილებისათვის და მასობრივი განადგურების იარაღით აღჭურვილ სახელმწიფოთა კლუბთან მიერთებაზე ეფიქრათ. ამ უკანასკნელთა რაოდენობა კი ხუთიდან შვიდამდე გაზრდილიყო. ბირთვული იარაღით აღჭურვილ ორ სახელმწიფოს შორის კაშმირთან დაკავშირებული კონფლიქტი, კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ, ყველაზე საშიში კონფრონტაციის საფრთხეს ქმნიდა. თუმცა, ინდოეთმაც და პაკისტანმაც მდგომარეობის უკიდურესი გამწვავებისგან თავი შეიკავეს. იმაედროულად, ინდოეთის არასტაბილურ სუბკონტინენტზე ბირთვული შეიარაღებისა და მათი გადამტანი რაკეტების არსებობა ყველას ახსენებდა, რომ ცივი ომის დასასრული სამყაროს ბირთვული განადგურების საფრთხისაგან არ დაიცავდა.



მარტო დარჩენილი აფრიკა: ეთნიკური კონფლიქტი, ავტოკრატია და ჩამორჩენილობა



სამხრეთ აფრიკის პრემიერმინისტრი ფრედერიკ ვილემ დე კლერკი (1936-) და აფრიკის ეროვნული კონგრესის ლიდერი ნელსონ მანდელა (1918-2013) ჟურნალისტებს მშვიდობის დარგში მიღებულ ნობელის პრემიებს უჩვენებენ, 1993 წლის 10 დეკემბერი: დე კლერკმა გააუქმა აპარტიდი, ოცდაექვსწლიანი პატიმრობის შემდეგ ციხიდან გამოუშვა ნელსონ მანდელა და წამოიწყო დემოკრატიული რეფორმების მოძრაობა, რომლის შედეგადაც მომდევნო წელს ნელსონ მანდელა ქვეყნის პრეზიდენტი გახდა.

თავის შინაარსი

ეთნიკური არეულობა სომალის ნახევარკუნძულზე

გენოციდი და სამოქალაქო ომი

ნიგერია, რომორც დასავლეთ აფრიკის ჯანდარმი

აპარტაიდის დასასრული სამხრეთ აფრიკაში

ისლამიზმი და რეგიონული იდენტობა მაღრიბის ქვეყნებში

ცივი ომის დასრულების უარყოფითი შედეგები

ჩინეთი – ახალი იმპერიული ძალა აფრიკაში?

შიფსის ეპიდემია

როგორც ყველგან მსოფლიოში, ცივი იმის დასასრულმა აფრიკის პოლიტიკურ მოვლენებზეც იქონია არაერთგვაროვანი გავლენა. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების დასრულებამ ამ კონტინენტზე იმ სამოქალაქო კონფლიქტის მოგვარებას შეუწყო ხელი, რომელშიც ორი ზესახელმწიფო სამოცდაათიანი წლების შუიდან ირიბად იყვნენ ჩართული. საბჭოთა საფრთხის გაუჩინარებამ დასავლეთის სახელმწიფოებს აფრიკის მეგობარი რეჟიმების ავტოკრატული პოლიტიკური სისტემების რეფორმისათვის უფრო ძლიერი ზენოლის განხორციელების საშუალება მისცა, რისგანაც მანამდე, კომუნიზმთან ბრძოლის მიზეზით, თავს იკავებდნენ. თუმცა, მოსკოვსა და ვაშინგტონს და, შესაბამისად, რეგიონის კლიენტ სახელმწიფოებს შორის იდეოლოგიური ანტაგონიზმის დასრულებამ აფრიკას მშვიდობა, განვითარება და სტაბილურობა მაინც ვერ მოუტანა. ეთნიკური, ტრიაბალური, კლანური და რელიგიური ნიშნით გავრცელებულმა ძალადობამ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საფრთხე შეუქმნა აფრიკის სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას, დაარღვია სამოქალაქო ომების შემდეგ დადებული საზავო შეთანხმებები და დაბრკოლება შეუქმნა დემოკრატიულ განვითარებას; პოლიტიკოსებს კი საშუალება მიეცათ, ეს სეპარატისტული მოძრაობები დიქტატორული ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და შენარჩუნების მიზნით გამოეყენებინათ.

ოთხმოციანი წლებში აფრიკის დემოკრატიზაციის შესახებ გავრცელებული იმედების განხორციელებას ასევე ხელს უშლიდა ღრმა ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც მთელი კონტინენტი მოეცვა. საერთაშორისო საფინანსო დავალიანებების მძიმე ტვირთი, უცხოური ინვესტიციების სიმწირე, ვაჭრობის არახელსაყრელი პირობები და აგრარული ჩამორჩენილობა აფრიკის ეკონომიკურ ზრდას აბრკოლებდა. ინდუსტრიული დასავლეთის სახელმწიფოებმა დახმარების პროგრამებით აფრიკული რეჟიმების უზრუნველყოფის ინტერესი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგეს, როდეს-

აც აფრიკაში მოკავშირეების ძიების აუცილებლობა უკვე აღარ არსებობდა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, აფრიკის ქვეყნებს მოაკლდათ ის ყურადღება, რომელსაც მათ ნატო-ს შეფიქრიაანებული წევრი სახელმწიფოები უთმობდნენ, როდესაც ანგოლას ქუჩებს კუბის არმია აკონტროლებდა, ხოლო საბჭოთა სამხედრო ხომალდები სომალის პორტებში შედიოდნენ.

ოთხმოციანი წლების ბოლოს ორი ზესახელმწიფოს მიერ აფრიკის კონტინენტიდან გასვლამ, ამ კონტინენტით საერთაშორისო თანამეგობრობის დანტერესების უპრეცედენტო ზრდას გაუხსნა გზა. გაეროს ეგიდით მოქმედი მრავალეროვნული სამშვიდობო მისიებისა და გაეროს ოფიციალური წარმომადგენლების მიზანი იყო არა მისიებში მონაწილე ქვეყნების ეროვნული ინტერესების ხელშეწყობა (რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი), არამედ სტაბილურობის გამყარება, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა და დახმარების მიმღები ქვეყნების მდგომარეობის შემსუბუქება. უცხოურ ინტერვენციებს აფრიკაში მანამდე არასოდეს ჰქონიათ ასეთი, ერთი შეხედვით, ალტრუისტული მოტივები და გაეროსაც არასოდეს შეუსრულებია ასეთი აქტიური როლი ამ კონტინენტზე. ამის მიუხედავად, ეს საერთაშორისო ოპერაციები ანარქიის, სილატაკისა და სამოქალაქო ომების უშუალო შედეგების წინააღმდეგ მიმართულ მხოლოდ არასაკმარის ძალისხმევას წარმოადგენდა. აფრიკის დიდი ხნის პრობლემებს ყოვლისმომცველი მოგვარება სჭირდებოდა.

ეთნიკური არეულობა სომალის ნახევარკუნძულზე

სომალის ნახევარკუნძული ცივი ომის ბოლო ეტაპზე ზესახელმწიფოებს შორის დაპირისპირების ყველაზე ცხელ წერტილად იქცა. ვაშინგტონი და მოსკოვიც საკუთარი ინტერესების დასაცავად ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას არ იშურებდნენ რეგიონში თავიანთი კლიენტი სახელმწიფოებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და, შესაბამისად, შეერთებული შტატებისათვის სომალის ნახევარკუნძულის სტრატეგიული მნიშვნელობის კლების შედეგად, ყოფილი ზესახელმწიფოების მფარველობით განებივრებული რეგიონის ქვეყნები ერთმანეთის წინაშე მარტო აღმოჩნდნენ. რეგიონიდან ზესახელმწიფოთა ინტერესების ასეთ სწრაფ გაუჩინარებას სომალისა და ეთიოპიის კორუმპირებული და რეპრესიული რეჟიმებისათვის სწრაფადვე მოჰყვა შედეგები. აღმოსავლეთ-დასავლეთის გლობალური დაპირისპირების პერიოდში ვაშინგტონიცა და მოსკოვიც გულუხვი პოლიტიკით ცდილობდნენ ამ ორივე ქვეყნის კეთილგანწყობის მოპოვებას. მოგადიშოსა და ადის-აბებაში დიქტატორული რეჟიმების დამხობას კი შედეგად მოჰყვა არა სახალხო თანხმობაზე დაფუძნებული სტაბილური მმართველობა, არამედ ანარქია, რომელშიც არა ერთი, არამედ ნათესაობა და კლანები იქცნენ ქვეყნისადმი ერთგულების საფუძვლად. სუდანში ერთი რეპრესიული რეჟიმი მეორემ შეცვალა, რომელმაც სრული ძალაუფლების მოსაპოვებლად ის-

ლამური ფუნდამენტალიზმის აღზევება და ამ უკანასკნელის ძიერ სრული ძალაუფლებისადმი სწრაფვა გამოიწვია.

ეთიოპიაში მენგისტუ ჰაილე მარიამის თოთხმეტწლიან დიქტატურას ეთიოპიის ჩრდილოეთის პროვინცია ტიგრეს სახალხო-რევოლუციური დემოკრატიული ფრონტის სახელით ცნობილმა ამბოხებულთა მოძრაობამ 1991 წლის 21 მაისს მოუღო ბოლო. ფრონტის ლიდერმა მელეს სენაემ სამოცდახუთ ეთნიკურ ერთეულად გაყოფილი ქვეყანა გადაიბარა. ამ ეთნიკურ ჯგუფებს, ადის-აბებას ცენტრალური მმართველობისადმი წინააღმდეგობის განევის გარდა, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდა. ამ დისიდენტი დაჯგუფებების დასამშვიდებლად, მელესმა თითოეულ ეთნიკურ ერთეულს საკუთარ რეგიონში ფართო ავტონომია მისცა, ადგილობრივ ენასა თუ დიალექტზე საუბრის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების ჩათვლით.

თუმცა, ავტონომია არასაკმარისი აღმოჩნდა ამ მრავალენოვანი ქვეყნის ორი ყველაზე ძლიერი ეთნიკური ჯგუფის მებრძოლებისათვის. ორომოელები, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენდნენ, უფრო და უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ძირითადად ტიგრეს პროვინციის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მთავრობის მიმართ და თანდათან ეთიოპიისგან გამოყოფაზე ფიქრიც დაიწყეს. წითელ ზღვაზე იტალიის ყოფილი კოლონიისა და 1952 წლიდან ეთიოპიისთვის მიერთებული ერთრეის მოსახლეობა საკუთარი სახელმწიფოსათვის 1971 წლიდან იბრძოდა. მენგისტუს დიქტატურის დამხობის შემდეგ, ერთრეელებმა მოითხოვეს და ჩაატარეს კიდევ რეფერენდუმი სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით. 1993 წლის მაისში მათ დიდი უმრავლესობით დაუჭირეს მხარი ეთიოპიასთან კავშირის სრულ განწყვეტას და ახალი აფრიკული ქვეყანაც დაიბადა. იმის მიუხედავად, რომ ეთიოპიისგან ჩრდილოეთი რეგიონის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა სისხლისღვრის გარეშე განხორციელდა, ამ მოვლენამ ავის-მომასწავებელი პრეცედენტი შექმნა არა მხოლოდ ეთიოპიის სხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის, არამედ აფრიკის მთელი კონტინენტის დისიდენტი უმცირესობებისთვისაც. ერთრეის გამოყოფით დაირღვა აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, ნებისმიერ ფასად უნდა შენარჩუნებულიყო პოსტკოლონიური სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, რის გარეშეც თვითგამორკვევის პრინციპი მთელ კონტინენტზე პოლიტიკურ დეზინტეგრაციას გამოიწვევდა. აფრიკის ყველაზე ახალმა სახელმწიფომ მალე მიიღო საერთაშორისო აღიარება, თუმცა, ქვეყანა ჩამოყალიბებისთანავე გახდა რელიგიური განხეთქილების მსხვერპლი, რაც კიდევ უფრო ნათელს ხდიდა აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ზემოაღნიშნული პრინციპის საფუძველს: ერთრეა თანაბრადაა გაყოფილი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. ამ მეტად სავალალო კომპინაცია (როგორც მალე ვიხილავთ) სერიოზული საფრთხე შეუქმნა მეზობელი სუდანის

სტაბილურობასაც. ერთრეას ასევე მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა ეთიოპიასთან, რომელმაც 1993 წელს ერთრეის გამოყოფის შემდეგ, წითელ ზღვაზე პორტები დაკარგა. ამ პორტებით სარგებლობისათვის ეთიოპიის მიერ გადასახდელ თანხებთან დაკავშირებული დაპირისპირება, რასაც ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო დავაც ართულებდა, 1998 წლის მაისში შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, რომელიც მომდევნო საუკუნეშიც გაგრძელდა.

ნახევარკუნძულზე ეთიოპიის მუდმივ მონინალმდევე სომალის, 1991 წლის იანვარში დიქტატორ მოჰამედ სიად ბარეს დამხობის შემდეგ, კიდევ უფრო ტრაგიკული ბედი ერგო. ეთიოპიის მსგავსად, ეროვნული იდენტობის ცნება პარტიკულარისტულმა განწყობებმა ჩაანაცვლა. იმის მიუხედავად, რომ სომალში (ეთიოპიისგან განსხვავებით) ეთნიკურად და რელიგიურად შედარებით ერთგვაროვანი მოსახლეობა ცხოვრობს, ხალხი ყველაზე დიდ ერთგულებას კლანებისა და დაჯგუფებების მიმართ გამოხატავს. სიად ბარეს მემკვიდრე ალი მაჰდი მოჰამედმა ვერ შეძლო მეტოქე კლანებზე საკუთარი ხელისუფლების დამყარება, სომალის ცენტრალური ადმინისტრაციული სტრუქტურა დაინგრა და 1991 წლის განმავლობაში ქვეყნის სუსტი ეკონომიკაც ჩამოიშალა. მოგადიშუს ცენტრალურ მთავრობას ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ჰავიეს კლანი, რომელსაც მოჰამედ ფარაჰ აიდედი ედგა სათავეში. საკუთარი სამფლობელოების დასაცავად სხვა კლანებმაც იარაღს მოჰკიდეს ხელი. მაისში ისააქის კლანმა ქვეყნის ჩრდილოეთში დამოუკიდებელი სომალილენდის შექმნა გამოაცხადა. ქვეყნის ეს ნანილი, 1960 წელს იტალიის ყოფილ სომალილენდთან ერთად პოსტკოლონიურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე, ბრიტანეთის პროტექტორატი იყო. ერთრეელებისაგან განსხვავებით, ისააქის კლანმა უცხო ქვეყნების მხრიდან ახალი სახელმწიფოებრიობის აღიარება ვერ მიიღო. თუმცა, ისინი უფრო თავისუფალი იყვნენ მოგადიშუს ცენტრალური მთავრობის ინტერვენციისგანაც, რომლის ძალაუფლებაც, 1992 წლის შემოდგომაზე „დროებითი პრეზიდენტის“ ალი მაჰდი მოჰამედის დამხობის შემდეგ, ქვეყნის ვერცერთ ნაწილზე ვეღარ ვრცელდებოდა. 1992 წლის განმავლობაში სომალი შიმშილთან, ავადმყოფობებსა და ძალადობასთან დაკავშირებულმა საშინელებებმა მოიცვა. ოთხასი ათასამდე სომალელი შიმშილით დაიღუპა, მაშინ, როცა ქვეყანაში მოქმედი თოთხმეტი სხვადასხვა კერძო არმია ერთმანეთს ძალაუფლებისათვის ებრძოდა: ხოცავდნენ უდანაშაულო მოსახლეობას და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და უცხოური მთავრობების მიერ გამოყოფილი სასურსათო დახმარების კოლონებსაც ძარცვავდნენ.

ამ ხელოვნურად თავსდატეხილი შიმშილით გამონეულ ტანჯვის ამსახველ რეპორტაჟებსა და გავრცელებულ ფოტოებზე საპასუხოდ, გაერომ აქტიური ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტა. უშიშროების საბჭომ, დაპირისპირებული სამხედრო მეთაურების მიერ შეიარაღების მიღების აღსაკვეთად,

სომალის წინააღმდეგ იარაღის ემბარგო დაანესა. ასევე შეიქმნა გაეროს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, რომელთაც სომალიში გაეროს ოპერაცია ეწოდა (UNOSOM). მთელი წლის განმავლობაში UNOSOM-მა საკუთარი მისიის შესრულება ვერ მოახერხა და ვერც სომალის მოშიმშილე, ავადმყოფობებით გატანჯული მოსახლეობისათვის განკუთვნილი სურსათითა და წამლებით სავსე ტვირთები დაიცვა იმ ბიუროკრატიული დაბრკოლებებისა და სამართლებრივი შეზღუდვების გამო, რომელიც მას შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ ძალის გამოყენების საშუალებას არ აძლევდა. 1992 წლის ბოლოს უშიშროების საბჭომ ნებართვა მისცა შეერთებულ შტატებს სათავეში ჩადგომოდა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან საერთაშორისო ძალებს, რომელთაც ჰუმანიტარული ოპერაციების ხელშესაწყობად „ყველა აუცილებელი ღონისძიების“ გატარების უფლება ჰქონდათ. ორმოცათასიანმა სპეციალურმა შენაერთმა (UNITAF), რომლის ჯარისკაცები ოცზე მეტ ქვეყანას წარმოადგენდნენ, მოახერხა ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების გზათა უმრავლესობის გახსნა და 1993 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე მაროდორობის შემთხვევებიც შეამცირა, რაც გაეროს ისტორიაში პირველი ჭეშმარიტად ჰუმანიტარული სამხედრო ოპერაცია იყო. ამავე წლის მაისში UNITAF-მა თავისი სამშვიდობო ფუნქციები გაეროს სახეცვლილ ძალებს (UNOSOM II) გადასცა, რომელიც აღჭურვილი იყო გადანყვეტილებების აღსრულების უფლებამოსილებით, რაც UNOSOM I-ს არ გააჩნდა. ოთხიათასკაციანი ამერიკული შენაერთი გაეროს მისიის შემადგენლობაში მანამდე დარჩა, ვიდრე ცოცხალი ძალის დანაკარგებმა კლინტონის ადმინისტრაციას 1994 წლის დასაწყისში ამერიკული ძალების გაყვანის დაწყება არ აიძულა. დროდადრო კვლავ გრძელდებოდა შეტაკებები გაეროს ჯარსა და ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, მთლიანად ქვეყანა კი ანარქიასა და უნესრიგობას მოეცვა. როდესაც 1995 წლის მარტში გაეროს მანდატი ამოიწურა და ქვეყანა უკანასკნელმა ცისფერჩაფხუტიანმაც დატოვა, სომალი საკუთარი თავის იმედზელა დარჩა.

ოთხმოცდაათიანი წლების შუაში სომალი „არშემდგარი სახელმწიფოს“ დამთრგუნველ მოდელად იქცა, რომლის მთავრობა საკუთარ ტერიტორიას ვერ აკონტროლებდა. მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო სხვადასხვა სამხედრო მეთაურების მიერ, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე მხოლოდ მინიმალურ ნესრიგსა და სამართალს უზრუნველყოფდნენ. დედაქალაქ მოგადიშუში ცენტრალური მთავრობის ძალაუფლების რღვევამ ქვეყნის დე ფაქტო დანაწევრება გამოიწვია. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა რეგიონული „მთავრობა“, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიას „პუნტლანდს“ უწოდებდა და ადენის ყურეში მეკობრეთა ბანდების თარეშის აღკვეთას ცდილობდა. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ე.წ. სომალილენდში, ასევე სეპარატისტული „მთავრობა“ მოქმედებდა. სახელმწიფოს დეზინტე-

გრაჯიის ფონზე, გაეროს ხელშეწყობით, თავდაპირველად კენიაში, შემდეგ დედაქალაქიდან 150 მილის მანძილზე მდებარე სომალი თაუნში და, ბოლოს, მოგადიშუში გარდამავალი ფედერალური მთავრობა შეიქმნა. თუმცა, ორ წელიწადში ამ ფედერალურ მთავრობას ძალაუფლებას თერთმეტი ისლამისტური სამხედრო დაჯგუფების კოალიცია ეცილებოდა, რომელიც „ისლამისტური სასამართლოების კავშირის“ სახელით იყო ცნობილი და რომელმაც გარდამავალი ფედერალური მთავრობა დედაქალაქიდან გააძევა და ქვეყნის სამხრეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე დაამყარა კონტროლი. იმის შიშით, რომ სომალი შესაძლოა ალ-ყაიდას ან სხვა ისლამისტური დაჯგუფების თავშესაფრად ქცეულიყო, შეერთებულმა შტატებმა ეთიოპიის ჯარებს სამხედრო-საჰაერო დახმარება აღმოუჩინა. 2006 წლის ბოლოს ეთიოპიის ჯარმა ისლამური სასამართლოების კავშირი მოგადიშუდან განდევნა და გარდამავალი ფედერალური მთავრობის ხელისუფლება აღადგინა. ისლამური სასამართლოების კავშირს რადიკალური ფრთა ალ-შაბააბი გამოეყო და სათავეში ჩაუდგა ამბოხებას მთავრობისა და მისი (ქრისტიანი) ეთიოპიელი პროტექტორების წინააღმდეგ, რის შედეგადაც, 2009 წლის დასაწყისში ეთიოპიელები იძულებულები გახდნენ, ქვეყანა დაეტოვებინათ. აფრიკული კავშირის სამშვიდობო ძალების მცირე კონტინგენტის მხარდაჭერით, გარდამავალმა ფედერალურმა მთავრობამ ქვეყნის სამხრეთის მცირედ ნაწილზე კონტროლის აღდგენა მოახერხა, ისლამური ამბოხების ზომიერ ფრთასთან ერთად მმართველი კოალიცია ჩამოაყალიბა და სამხრეთით განლაგებულ რადიკალურ ისლამისტ მებრძოლთა ამბოხების წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო. თუმცა, როდესაც ალ-შაბააბის გვერდით საბრძოლველად აღმოსავლეთ აფრიკის არაბული კუთხეებიდან სამხრეთ სომალის ახალი მებრძოლები მიიწვიდნენ, ზოგიერთი დამკვირვებელი შიშობდა, რომ ქვეყანაში დასადგურებულ ქაოსს შესაძლოა ტერორისტთა სანვრთნელი ბაზებისათვის კარგი ნიადაგი შეექმნა.

ბენოციდი და სამოქალაქო ომი

ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირება სუდანში და დარფურის აგონია

მწვავე ეთნიკურმა კონფლიქტმა სომალის კიდევ ერთი მეზობელი მოიცვა. სუდანში, აფრიკის ყველაზე დიდ სახელმწიფოში გენერალ ომარ ჰასან ალ ბაშირის სამხედრო რეჟიმი (რომელმაც ძალაუფლება 1989 წლის ზაფხულში ჩაიგდო ხელში) ფუნდამენტალისტური მუსლიმური მოძრაობის – ეროვნული ისლამური ფრონტის – გავლენის ქვეშ მოექცა. ქვეყნის ჩრდილოეთში მყოფმა მმართველმა მუსლიმმა ელიტამ, მეტწილად ქრისტიანებით დასახლებულ სამხრეთში ისლამური სასამართლო სისტემის (შარიათის) გავრცელებისათვის,

ძველი კამპანია გაააქტიურა. სუდანის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის მებრძოლები, რომლებიც ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან უწყვეტდნენ წინააღმდეგობას ისლამური სამართლის მათზე გავრცელების მცდელობებს, სამთავრობო ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ. სამოქალაქო ომი ქრისტიანი სამხრეთის ამბოხებულ კონტინგენტსა (რომელთაც უმეტესწილად ქრისტიანი ეთიოპია უჭერდა მხარს) და მუსლიმური ჩრდილოეთის სამთავრობო ძალებს შორის მთელი ოთხმოცდაათიანი წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. სუდანის დაუსრულებელმა დაძაბულობამ ცხადყო, რომ აფრიკაში ეროვნულ ერთობასა და სუვერენიტეტს ეთნიკურობის, კლანური ერთგულებისა და რეგიონული იდენტობის გარდა, რელიგიაც უქმნიდა საფრთხეს. ამ შიდადაპირისპირებამ საერთაშორისო მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც სუდანის მთავრობას უცხოეთში ისლამური ფუნდამენტალიზმის სახელით ტერორისტული აქტების სპონსორობა მიენერა, რაც 1995 წელს ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქის მკვლელობის მცდელობასაც მოიცავდა (რომელიც მანამდე საკუთარ ქვეყანაში მოქმედ რადიკალურ ისლამისტებს სასტიკად გაუსწორდა). ეგვიპტე სუდანს რადიკალური ისლამისტი მებრძოლებისათვის – მათ შორის, ავღანეთში რუსეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ბრძოლაგამოვლილი ათასობით ვეტერანისათვის – საწვრთნელი ბანაკების მოწყობაში სდებდა ბრალს. მოგვიანებით, შეერთებულმა შტატებმაც დაგმო სუდანის მთავრობა საერთაშორისო ტერორიზმისათვის მხარდაჭერის გამო და 1997 წელს ხართუმის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციებიც დაანესა.

სუდანის მთავრობის მიერ ქრისტიანების ცუდი მოპყრობით შეშფოთებული და ამ ქვეყნის პოტენციურად ღირებული ნავთობმარაგებით სარგებლობის პერსპექტივით მოხიბლული ბუშის ადმინისტრაცია სუდანის სამოქალაქო ომის ორივე მონაწილე მხარეზე ძლიერ ზენოლას ახორციელებდა იმ დაპირისპირების შესაჩერებლად, რომლის გამოც 1983 წლიდან ორ მილიონზე მეტი ადამიანი დაღუპულიყო. 2003 წლის ბოლოს პრეზიდენტი ბაშირმა და სამხრეთის ამბოხებულთა მეთაურმა ჯონ გარენგმა დროებით შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმად მთავრობა – ამბოხების დასრულების სანაცვლოდ – ნავთობიდან მიღებულ შემოსავლებს სამხრეთსაც გაუზიარებდა, რეგიონს უფრო დიდ ავტონომიას შესთავაზებდა და მის ქრისტიან მოსახლეობას შარიათის კანონებით გათვალისწინებული სასჯელებისგან გაათავისუფლებდა.

ორი წლის შემდეგ ორივე მხარემ ოფიციალურად მოანერა ხელი შეთანხმებას, რიმელიც სამხრეთ სუდანს ექვსი წლით სრულ ავტონომიას აძლევდა, რის შემდეგაც სამხრეთის დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი გაიმართებოდა. 2005 წელს ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად გარენგის დაღუპვას სამშვიდობო პროცესისათვის ხელი არ შეუშლია და 2011 წელს

რეფერენდუმიც გაიმართა. ამასობაში, ქვეყნის დასავლეთით მდებარე დარფურის რეგიონმა, ცენტრალური მთავრობისგან უფრო მეტი ეკონომიკური დახმარების მოთხოვნით, ამბოხება წამოიწყო. სწორედ მაშინ, როდესაც ხართუმის რეჟიმი სამხრეთში ამბოხებულებთან ბრძოლას ასრულებდა, მან ქვეყნის დასავლეთით ახალი ამბოხების ჩასახშობად, ადგილობრივი „არაბი“ შეიარაღებული ჯგუფების სისხლისმღვრელ რეიდებთან ერთად, ახალი დაბომბვითი ოპერაციები წამოიწყო. დარფურის მოსახლეობას თითქმის მთლიანად მუსლიმები შეადგენენ, ამიტომ ამ ახალ კონფლიქტს არ ჰქონდა ის რელიგიური დატვირთვა, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირებას ახასიათებდა. თუმცა, დარფურის კონფლიქტმა რასობრივი და სოციალური ხასიათი შეიძინა, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, მთავრობის მხარდაჭერილი და ნახევრად ნომადი მენახირეებისგან შემდგარი შეიარაღებული რაზმები, რომლებიც თავს „არაბების“ შთამომავლებად ასალებდნენ და, მეორე მხრივ, რეგიონის მოსახლეობის ნანილი, რომელიც თავს შაკვანიანი „აფრიკის“ შთამომავლებად მიიჩნევდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა. არაბული რაზმების მიერ წარმოებული ეთნიკური ძალადობის, მკვლევლობებისა და გაუპატიურების მასობრივ კამპანიას მწვავე რეაქცია მოჰყვა უცხო ქვეყნების მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც გამოდნენ ამ ქმედებებს და მის ჩამდენებს გენოციდში სდებდნენ ბრალს.

ანგოლაში მშვიდობა ისადგურებს

ანგოლაში სამოქალაქო ომის დასრულების სირთულემ ნათელი გახადა, რომ ზესახელმწიფოებისა და მათი პარტნიორი ქვეყნების მხრიდან ჩარევის შეწყვეტა აფრიკაში რეგიონული სტაბილურობის დამყარებას არ ნიშნავდა. პორტუგალიის ამ ყოფილი კოლონიის შიდაკონფლიქტში უცხო ქვეყნების ჩარევა ოთხმოციანი წლების ბოლოს დასრულდა, როდესაც ქვეყანა ერთდროულად დატოვეს ანტიკომუნისტ ამბოხებულთა მხარდამჭერმა სამხრეთ აფრიკის ჯარებმა და თვითგამოცხადებული მარქსისტული მთავრობის დამხმარე კუბის სამხედრო ძალებმა. ინტენსიური მოლაპარაკება სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა, რომელსაც პორტუგალიის ქალაქ ბისესში 1991 წლის 31 მაისს ხელი მოაწერეს ჟონას სავიმბიმ – ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირის (UNITA) ხელმძღვანელმა, რომელიც ოვიმბუნდუს ამბოხებულთა მოძრაობას წარმოადგენდა – და ანგოლის პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა – ხელისუფლებაში მყოფი ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობის (MPLA) ლიდერმა, რომელიც ქვეყნის არაოვიმბუნდუ ეთნიკურ უმრავლესობას წარმოადგენდა. ბისესის შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და ქვეყანაში პირველი თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, რომელიც 1992 წლის შემოდგომაზე

დაინიშნა და რომელიც გაეროს პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჩატარებულყო. მას შემდეგ, რაც ორივე მხარე კოალიციური მთავრობის შექმნაზე და სამხედრო ძალების ერთიან ეროვნულ არმიასი გაერთიანებაზე შეთანხმდა, სექტემბრის ბოლოს მრავალრიცხოვან ამომრჩეველთა მონაწილეობით არჩევნებიც ჩატარდა. მმართველმა ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობამ (MPLA), რომელმაც უარი თქვა მარქსისტულ პროგრამაზე და კუბელი დაქირავებული მეომრებისა და საბჭოთა მრჩეველების ქვეყნიდან გამგზავრების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებთან გულითადი ურთიერთობებიც დაამყარა, არჩევნებში ხმების 54 პროცენტი დააგროვა, ხოლო ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნულმა კავშირმა (UNITA) ხმების 34 პროცენტი მიიღო. UNITA-ას ლიდერმა სავიმბიმ უარი თქვა არჩევნების შედეგების აღიარებაზე, თავისი სამხედრო ძალები ეროვნული არმიის შემადგენლობიდან გამოიყვანა, ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობის (MPLA) წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა წამოიწყო და მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყნის ორი მესამედი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. როდესაც ვაშინგტონმა ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნულ კავშირს (UNITA) ფინანსური დახმარება შეუწყვიტა და ანგოლის ახალი, სამართლებრივად არჩეული მთავრობა აღიარა, სავიმბიმ თავისი მოძრაობის დაფინანსება მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთ ნაწილში აღმასების მოპოვების არალეგალური ოპერაციების საშუალებით განაგრძო. 1994 წლის შემოდგომაზე გაეროს შუამავლობით მიღწეულ იქნა შეთანხმება ძალაუფლების გაყოფის თაობაზე, რომელიც ლუსაკას შეთანხმების სახელითაა ცნობილი და რომელიც ცეცხლის შეწყვეტას, ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირის (UNITA) განიარაღებას და ორივე მხარის სამხედროებისაგან შემდგარი ეროვნული არმიის შექმნას ითვალისწინებდა. სავიმბიმ არაფრად ჩააგდო შეთანხმება და პარტიზანული ბრძოლა განაგრძო მანამ, ვიდრე 2002 წლის თებერვალში პარტიზანთა ლეგენდარული ლიდერი არ შეიპყრეს და სიცოცხლეს არ გამოასალმეს. წლის ბოლომდე ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნულმა კავშირმა (UNITA) ბოლოსდაბოლოს შეწყვიტა პარტიზანული ბრძოლა და სამხედროების დემობილიზაცია გამოაცხადა. ანგოლის 27-წლიანმა ომმა ხუთასი ათასი ჯარისკაცისა და სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეინირა. ორივე მხრეს ათასობით მცირეწლოვანი ბავშვი იბრძოდა. კონფლიქტის განმავლობაში ოთხი მილიონი ადამიანი – ქვეყნის მოსახლეობის მესამედი – იძულებით ადგილნაცვალ პირად იქცა. როგორც ვნახეთ, ამ სასიკვდილო და დამანგრეველ სამოქალაქო ომში უცხო სახელმწიფოებიც აღმოჩნდნენ ჩათრეული, რის გამოც პორტუგალიის ყოფილი იმპერიული ხელისუფლების მემკვიდრეობისათვის დაწყებული ადგილობრივ დაჯგუფებათა ბრძოლა ცივი ომის დაპირისპირების ერთ-ერთ ასპარეზად გადაიქცა.

რუანდას ტრაგედია

აფრიკაში ინტერეთნიკური კონფლიქტის ყველაზე სისხლიანი ეპიზოდი რუანდაში ტუტსის და ჰუტუს ეთნიკურ ჯგუფებს შორის მუდმივი დაპირისპირების განახლება გახდა. ეს პანანინა ქვეყანა აღმოსავლეთ აფრიკის დიდი ტბების რეგიონში ზაირსა და ტანზანიას შორის მოქცეული ყოფილი ბელგიური კოლონია იყო. 1962 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ტუტსის მმართველი ელიტის წინააღმდეგ ჰუტუს უფლებო უმრავლესობის აჯანყებებს ორივე მხრიდან ასიათასობით უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვებოდა ხოლმე. რუანდელი ჰუტუს ეთნიკური ჯგუფის სამხედრო ძალებმა მთლიან მთავრობაზე კონტროლის დამყარებას ბოლოსდაბოლოს 1973 წელს მიაღწიეს, ხოლო 1994 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მათ გენოციდის სასტიკ აქტს მიმართეს, როდესაც ტუტსის უმცირესობის ნახევარი მილიონი წარმომადგენელი სიცოცხლეს გამოასალმეს. როდესაც ტუტსის ეთნიკური




რუანდის გენოციდის მსხვერპლთა თავის ქალები და სხვა ნაწილები ნტირამას ეკლესიაში. 1994 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში სიცოცხლეს გამოასალმეს 800 000 ადამიანი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწყობილ ჟლეტაში, რომელიც ყოფილი ბელგიური კოლონიის, რუანდის ჰუტუს ეთნიკური ჯგუფის მთავრობამ განახორციელა. ამ მასობრივ ხოცვას გენოციდის კვალიფიკაცია მიეცა, რადგან დახოცილთა უმრავლესობა ტუტსის ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ამ პატარა ქვეყნის მოსახლეობის 15 პროცენტს შეადგენდნენ, თუმცა მართავდნენ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას 1962 წელს ბელგიისგან დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. რუანდის სამოქალაქო ომის დროს ადგილზე განლაგებული გაეროს რუანდის დახმარების მისია და ბელგიისა და საფრანგეთის სამშვიდობო ძალები სრულიად უმნეო აღმოჩნდნენ მასობრივი ხოცვის შესაჩერებლად.

ჯგუფის რუანდის პატრიოტულმა ფრონტმა, პოლ კაგამეს მეთაურობით, ბრძოლაში უპირატესობა მოიპოვა, მილიონ შვიდას ათასამდე დაავადებული და უპოვრადქცეული ჰუტუ მეზობელი ზაირის ლტოლვილთა ბანაკებს, ხოლო კიდევ რამდენიმე ათასი ტანზანიას მიანყდა. ჰუტუს ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა რუანდაში დასაბრუნებლად გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ძლიერ მცდელობებს, გადარჩენილი ტუტსი მოსახლეობის მხრიდან შესაძლო შურისძიების გამო, ჰუტუს ეთნიკური ჯგუფის შიში აფერხებდა. თუმცა, რუანდის მთავრობა მტკიცე პირობას იძლეოდა, რომ დაიცავდა უდანაშაულო მოსახლეობას და გენოციდის მომწყობებს სამართლიან სასამართლოს გაუმართავდა.

ქაოსი კონგოში

რუანდაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარება საბოლოოდ სამოქალაქო და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების კომპლექსურ ქსელში გადაიზარდა, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მთელ ცენტრალურ აფრიკას მოედო. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი ზაირში მობუტუს სესე სეკოს კორუმპირებული ავტოკრატის დაცემას მოჰყვა. შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა, ბელგიამ და სხვა უცხოურმა დონორებმა, კრედიტორებმა და სავაჭრო პარტნიორებმა 1991 წელს მობუტუს ეროვნული საბჭოს მონვევა აიძულეს, რომელსაც დემოკრატიული კონსტიტუცია უნდა მიეღო და ოპოზიციის ლიდერ ეტიენ ჩისეკედისთან ერთად კოალიციური მთავრობა უნდა შეექმნა. წელიწადში 1000-პროცენტის ინფლაციისა და უვარგის ეროვნულ ვალუტაში ხელფასის მიღებით აღშფოთებული სამხედროების მხრიდან გავრცელებული ამბოხებებისა თუ მაროდიორობის და ფრანგულ-ბელგიური საპარაშუტო-სადესანტო შენაერთების ინტერვენციის ფონზე, მობუტუმ (რომელიც სიმსივნით იყო ავად) თანდათან დაკარგა მოვლენებზე კონტროლი. 1997 წლის მაისში ლორან კაბილას „კონგო-ზაირის განმათავისუფლებელმა დემოკრატიულმა ძალებმა“ ბოლოსდაბოლოს ზაირის ოცდათორმეტწლიანი დიქტატურა დაამარცხეს (ხოლო ახალ რესპუბლიკას მალევე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდა).

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კაბილას არმიამ, რომელმაც მობუტუს არმიასთან წარმატებული შეტაკებისას მეზობელი რუანდისგან ცოცხალი ძალისა და სამხედრო რჩევების სახით მხარდაჭერა მიიღო, რუანდელ ტუტსი მხარდამჭერებს მადლობა ჰუტუ მოსახლეობაზე თავდასხმებით გადაუხადა, მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი 1994 წლის გენოციდისათვის შესაძლო შურისძიებისაგან თავდასაცავად, აღმოსავლეთ ზაირ-კონგოში თავშესაფარს ეძებდნენ. შეერთებულმა შტატებმა მობუტუს წინააღმდეგ კაბილას აჯანყებას დახმარება მაშინ აღმოუჩინა, როდესაც კონგოელმა დიქტატორმა, როგორც ცენტრალურ აფრიკაში ანტიკომუნიზმის მთავარმა საყრდენმა, ცივი



ცენტრალური აფრიკა

ომის დასრულების შედეგად მნიშვნელობა დაკარგა. რუანდაში ჰუტუს ეთნიკური ჯგუფის მიმართ ძალადობის უმკაცრესად დაგმობის მიუხედავად, ვაშინგტონი გულითადი ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა კინშასას ახალ რეჟიმთან, რომელიც სპილენძის, კობალტის, ოქროსა და ალმასების უხვ მარაგებს აკონტროლებდა.

მალე, კაბილას პოლიტიკის მოულოდნელი ცვლილების გამო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1998 წლის ზაფხულში ჩათრეული აღმოჩნდა ომში, რომელიც კონგოს კიდევ შვიდ მეზობელ ქვეყანას მოედო. ეს მეომრული განწყობა ნათელს ხდიდა, რომ აფრიკული სახელმწიფოები მზად იყვნენ, საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად ერთმანეთის ეროვნული საზღვრებიც დაერღვიათ. კონგოს ახალმა პრეზიდენტმა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ჰუტუ ლტოლვილების წინააღმდეგ მიმდინარე თავდასხმების კამპანია შეაჩერა. ჰუტუ ლტოლვილებს კაბილას რუანდელი მოკავშირეები მათი ეთნიკური ჯგუფის (ტუტსების) მიერ მართული სახელმწიფოსათვის პოტენციურ საფრთხედ მიიჩნევდნენ. შესაბამისად, კონგოს ახალმა მეთაურმა დაითხოვა ყველა რუანდელი ტუტსი სამხედრო მრჩეველი, რომელიც კინშასაში კონგოს არმიის რეორგანიზაციაში დასახმარებლად იმყოფებოდა. ისარგებლეს რა აჯანყებით კონგოს სამხედრო ერთეულებში და ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში მემამობხეთა ახალი მოძრაობის გამოჩენით, რუანდამ და უგანდამ (რომელიც ასევე უფრთხოდა ჰუტუ ლტოლვილების ბანაკებიდან მოსახლეობის შედინებას) კონგოში, კაბილას მთავრობის დამხობის მიზნით, სამხედრო ძალები გაგზავნეს. სამხრეთიდან კაბილას დასახმარებლად ანგოლა, ნამიბია და ზიმბაბვე გაერთიანდნენ, ხოლო ჩრდილოეთიდან დახმარება მტრებით გარშემოხვეულ კონგოს მთავრობას ჩადმა და სუდანმა შესთავაზა. 1999 წლის ზაფხულში შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ბელგიის მიერ ინიცირებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ბოლოსდაბოლოს ამოქმედდა. თუმცა მაშინ, როცა, ექვსი ქვეყნის არმიები ომისგან განადგურებულ ქვეყანაში დათარეშობდნენ და ქვეყნის მინერალურ რესურსებს ეპატრონებოდნენ, კაბილამ თავისი ავტოკრატიული მართველობის მეთოდებით საკუთარი მხარდამჭერებიც ჩამოიშორა, რის შედეგადაც 2001 წლის დასაწყისში ავტოკრატი ლიდერი სიცოცხლესაც გამოასალმეს. იმის მიუხედავად, რომ მალე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უცხო ქვეყნის არმიებმა დატოვეს, დასავლეთ ევროპის ზომის ეს ქვეყანა, ათწლიანი კორუფციის, რეპრესიისა და ომის შედეგად, სრულ ქაოსში აღმოჩნდა.

რუანდის ჰუტუ და ტუტსი მოსახლეობას შორის სასტიკი კონფლიქტი 1994 წელს პატარა მეზობელ ქვეყანა ბურუნდიში გაგრძელდა. ბურუნდიში (რუანდის მსგავსად) ჰუტუ ეთნიკური ჯგუფი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა, მაშინ, როცა ქვეყნის მთავრობასა და არმიას სათავეში ტუტსის ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ედგნენ. 1993 წელს

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად, ბურუნდის პირველი ჰუტუ პრეზიდენტი მელქიორ ნდადაიე გახდა, თუმცა იგი რამდენიმე თვეში დაამხო და სიცოცხლესაც გამოასალმა ტუტსის მიერ კონტროლირებადი არმიის ერთ-ერთმა დისიდენტურმა დაჯგუფებამ. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო გადატრიალება ვერ განხორციელდა, პრეზიდენტის მკვლელობამ ტუტსის ეთნიკურ ჯგუფზე ჰუტუს თავდასხმები გამოიწვია, რამაც ათასობით ტუტსი აიძულა, თავშესაფარი რუანდაში, ზაირში და ტანზანიაში ეძიათ, ხოლო ეს პატარა ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსში ჩაითრია. 1996 წლის ზაფხულში ტუტსის სამხედრო ოფიცრების ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი ჰუტუ პრეზიდენტის დამხობას, ხოლო ჰუტუ ჯგუფის პოლიტიკური ძალაუფლების საბოლოო განადგურება ჰუტუ მოსახლეობის ქალაქგარეთ ძალით გადასახლებით დაიწყო. რუანდის მსგავსად, გენოციდის და ეთნიკური წმენდის აფრიკული ვერსია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან შედარებითი ინდიფერენტულობის ფონზე განხორციელდა.

ნიგერია, როგორც დასავლეთ აფრიკის ჟანდარმი

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან აფრიკაში შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გავრცელების ფონზე, ბევრი იმედის თვალთ უყურებდა დასავლეთ აფრიკის ყველაზე მდიდარ და ყველაზე ძლიერ ქვეყანას ნიგერიას – რომელშიც კონტინენტის მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობდა – როგორც რეგიონში სტაბილურობის აღმდგენ მთავარ ძალას. ცხრანწლიანი სამხედრო მმართველობის შემდეგ, 1993 წელს ნიგერიამ თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებით დემოკრატიისაკენ, ერთი შეხედვით, უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა. თუმცა, როდესაც პოპულარული ოპოზიციის ლიდერმა მოშუდ აბიოლამ დასავლეთ ნიგერიიდან არჩევნებში ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო, ნიგერიის პრეზიდენტმა და ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სათავეში ხანგრძლივად მყოფი ჩრდილოეთის სამხედრო ელიტის წარმომადგენელმა იბრაჰიმ ბაბანგიდამ არჩევნების შედეგები, დარღვევების გამო, ბათილად გამოაცხადა. მთელ ქვეყანაში აგორებულმა საპროტესტო მოძრაობამ და შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ზენოლამ გენერალ ბაბანგიდას გადადგომა აიძულა. ხანმოკლე გარდამავალი პერიოდის შემდეგ, მისი ადგილი თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და მისმა პროტეჟემ, გენერალმა სანი აბაჩამ დაიკავა. მოვლენების ამგვარი განვითარება აგრძელებდა ნიგერიულ პოლიტიკურ ტრადიციას, რომელიც სათავეს იღებდა 1965 წლიდან, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ხუთ წელიწადში ძალაუფლება სამხედროებმა ჩაიგდეს ხელში და ქვეყანას, პირდაპირ ან დამყოლი სამოქალაქო პირების მეშვეობით, ოცდაათი წლის განმავლობაში მართავდნენ. იმის მიუხედავად, რომ ნავთობის უზარმაზარი მარაგი ნიგერიას სერიოზული ეკონომიკური წინსვლის საშუა-

ლებას აძლევდა, არაერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი ქვეყანას განვითარების შანსს უკარგავდა: ქვეყანაში ცხოვრობდა 250 ეთნიკური ჯგუფი, რაც ეროვნული ლოიალობის განვითარებას უშლიდა ხელს; დიდი პრობლემა იყო ასევე ენდემური პოლიტიკური კორუფციაც, რაც ნავთობის შემოსავლებით სწრაფი გამდიდრების სურვილთან იყო დაკავშირებული; ქვეყანას ასევე დიდი ზიანი მიაყენა ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების (რაც ნიგერიის საექსპორტო შემოსავლების 90 პროცენტს შეადგენს) კლებამაც, რაც, სამოცდაათიან წლებში ფასების მკვეთრი ზრდის შემდეგ, მსოფლიოში ნავთობის დაბალმა ფასებმა განაპირობა. ოთხმოცდაათიანი წლების შუაში ნავთობით მდიდარი ეს ქვეყანა საერთაშორისო საფინანსო ვალდებულებათა შესრულების დეფოლტის წინაშე აღმოჩნდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან და მსოფლიო ბანკისგან სასწრაფო სესხების მისაღებად იძულებული გახდა ეკონომიკური ლიბერალიზაციის მკაცრი ღონისძიებები გაეტარებინა. 1998 წლის ივნისში გენერალი აბაჩა გარდაიცვალა და მის ნაცვლად ქვეყნის პრეზიდენტი გენერალი აბდუსალამ აბუბაქარი გახდა, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ავტორიტარული სამხედრო მმართველობის თავიდან მოშორებას. ამ მიზნით მან მოლვანობის ნება დართო პოლიტიკურ პარტიებს და ასობით პოლიტიკური პატიმარი ციხიდან გაათავისუფლა. 1999 წლის თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში გენერალმა ოლუსეგუნ ობასანჯომ – ყოფილმა პრეზიდენტმა – გაიმარჯვა, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ ერთადერთ ნიგერიელ სამხედრო ლიდერს წარმოადგენდა, რომელმაც მანამდე ნებაყოფლობით დაუთმო ხელისუფლება თავის სამოქალაქო მემკვიდრეს. ამის მიუხედავად, სამხედროები მაინც ინარჩუნებდნენ ძლიერ გავლენას მთავრობაზე, რაც ამ მნიშვნელოვანი აფრიკული ქვეყნის დემოკრატიული მომავლის შესახებ კითხვებს ბადებდა.

ამ პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, ნიგერია დასავლეთ აფრიკაში ყველაზე დიდ და საუკეთესოდ აღჭურვილ არმიას ფლობდა. ეს კი ოთხმოცდაათიან წლებში მას საშუალებას აძლევდა ძალის გამოყენების მუქარით და, ხანდახან ძალის გამოყენების გზითაც, რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფი მთავარი ძალა გამხდარიყო. ნიგერიული სამხედრო ერთეულები უმრავლესობას წარმოადგენდნენ „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფად“ (ECOMOG) წოდებულ სამშვიდობო ძალებშიც, რომლებიც 1990 წელს „დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურმა გაერთიანებამ“ (ECOWAS) ლიბერიაში წარგზავნა. „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფის“ (ECOMOG) ლიბერიაში ინტერვენციის თავდაპირველი მიზანი, 1990 წელს პრეზიდენტ სამუელ დოუს მკველელობის შემდეგ (რომლის მთავრობაში უმრავლესობას ქრანის ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენდა), ამბოხებულთა ლიდერ ჩარლზ ტეილორის მიერ (რომელიც ლიბერიის გაო და მანო ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენდა) ხე-

ლისუფლებების ხელში ჩაგდებისათვის ხელის შეშლა იყო. შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში სისხლიანმა სამოქალაქო ომმა გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა და 150 000 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ვიდრე ჩიხში შესული ბრძოლები ცეცხლის შეწყვეტით არ დასრულდა. 1997 წლის ივლისში „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფის“ (ECOMOG) ზედამხედველობით ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებში პატრიოტული ეროვნული ფრონტის ლიდერმა ჩარლზ ტეილორმა გაიმარჯვა – სწორედ იმ ადამიანმა, ვის მიერ წამოწყებულმა ამბოხმა ცეცხლიან სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, რამაც ლიბერიაში „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფის“ (ECOMOG) ჩარევა გახადა საჭირო. ძირითადად ნიგერიელებისგან შემდგარი „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფი“ (ECOMOG) მთელს ლიბერიაში გაფანტული სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფების განიარაღებასა და დემობილიზაციაზე სამეთვალყურეოდ და, როგორც ბევრი ეჭვობდა, ლიბერიაში ნიგერიის სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესებისათვის ყურადღების მისაქცევად დარჩა.

ნიგერიის რეგიონული გავლენის გაფართოებისათვის შემდეგი ხელსაყრელი შემთხვევა სიერა ლეონეში გაჩნდა. 1997 წლის მაისში დისიდენტურმა სამხედრო დაჯგუფებამ – „შეიარაღებული ძალების რევოლუციურმა საბჭომ“ და გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის აჯანყებულებმა პრეზიდენტი აჰმედ ტეჯან კაბას მთავრობა დაამხეს. 1998 წლის თებერვალში ნიგერიის სამხედრო შენაერთები დასავლეთ აფრიკის ამ პატარა ქვეყანაში გაგზავნეს, რომლის დედაქალაქიდანაც მათ სწრაფად გააძევეს ამბოხებულები და სამოქალაქო მთავრობა აღადგინეს. ერთი თვის შემდეგ, „დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანების“ (ECOWAS) წევრმა თექვსმეტმა სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა ნიგერიის ცალმხრივ სამხედრო ოპერაციაზე სიერა ლეონეში. გარდა ამისა, მხარეები ძირითადად ნიგერიელებით დაკომპლექტებული „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფის“ (ECOMOG) დასავლეთ აფრიკის უსაფრთხოების მუდმივმოქმედ ორგანიზაციად გარდაქმნაზე შეთანხმდნენ. დემოკრატიული მმართველობის სახელით ნიგერიის სამხედრო მთავრობის ინტერვენციებს ლიბერიასა და სიერა ლეონეში ფარისევლური ელფერი დაჰკრავდა იმის გათვალისწინებით, რომ თავად ნიგერია უარს ამბობდა დემოკრატიაზე, რასაც დასავლეთის ქვეყნების მკაცრი კრიტიკა და 1995 წელს ნიგერიის ბრიტანული თანამეგობრობიდან გარიცხვაც მოჰყვა. თუმცა, ნიგერიის მზადყოფნამ, სამხედრო ძალის გამოყენებით ჩარეულიყო მეზობელ ქვეყნებში სტაბილურობის აღსადგენად და მისმა წამყვანმა ადგილმა „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფისა“ (ECOMOG) და „დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურ გაერთიანებაში“ (ECOWAS), განამტკიცა ნიგერიის, როგორც დასავლეთ აფრიკის რეგიონული ჰეგემონის, პოზიცია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ აფრიკაში ღრმად გაიდგეს ფესვი ავტოკრატიულმა რეჟიმებმა, ოპოზიციური პარტიების შევიწროების პრაქტიკამ, საარჩევნო პროცესების უხეშმა დარღვევებმა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგო, გვინეა და ტოგო. 1994 წელს სამხედრო ხუნტამ ხელისუფლება ხელთ ჩაიგდო გამბიაში, 1996 წელს კი – ნიგერში. თუმცა სახეზე იყო პროგრესიც, რამდენიმე აფრიკულ სახელმწიფოში მრავალპარტიული დემოკრატიის კუთხით. ზამბიაში კენეთ კაუნდა და ბენინში მათიე კერეკუ დამორჩილდნენ საერთაშორისო დონორებისა და შიდასაზოგადოებრივ აზრს და თავისუფალი არჩევნები ჩაატარეს, რის შემდეგაც ხელისუფლება გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერებს ნებაყოფლობით გადასცეს. მალავის დიდი ხნის ავტოკრატი ჰასტინგს ბანდა მშვიდობიანი გზით გადავიდა ოპოზიციაში. სპილოს ძვლის სანაპიროზე, ყოფილ ფრანგულ კოლონიას, 1960 წელს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ერთი კეთილმოსურნე დესპოტი პრეზიდენტი ფელიქს უპუე-ბუანი მართავდა; 1993 წელს კი, დეკემბერში, პრეზიდენტის სიკვდილს მრავალპარტიული არჩევნები მოჰყვა.

აპარტეიდის დასასრული სამხრეთ აფრიკაში

აფრიკის კონტინენტზე ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების გაზიარების ყველაზე შთამბეჭდავი შემთხვევა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოხდა. ფრედერიკ ვილემ დე კლერკის მხოლოდ თეთრკანიანებით დაკომპლექტებულმა მთავრობამ, რომელიც მუშაობას 1989 წელს შეუდგა, არაერთი პოლიტიკური რეფორმის გატარება დაიწყო, რომლებიც აპარტეიდის სამშობლოში რასობრივი შერიგებისკენ იყო მიმართული. დე კლერკმა მთელი მსოფლიო გააოცა, როდესაც ზღვის სანაპიროებზე, პარკებსა და ბიბლიოთეკებში რასობრივი სეგრეგაცია გააუქმა, დაუშვა დისიდენტების მასობრივი დემონსტრაციები, 1990 წლის თებერვალში აფრიკული ეროვნული კონგრესის ლეგალიზება მოახდინა და ციხიდან გამოუშვა ერთ-ერთი მისი აქტივისტი – ნელსონ მანდელა, რომელსაც ოცდაექვსი წელი ჰქონდა ციხეში გატარებული. მას შემდეგ, რაც აფრიკის ეროვნულ კონგრესს ხელიდან გამოეცალა თავშესაფარი ანგოლაში და სამხედრო დახმარება საბჭოთა კავშირისგან (როდესაც გორბაჩოვმა მესამე სამყაროს წინააღმდეგობის მოძრაობებისთვის დახმარების შეწყვეტა გადაწყვიტა), მისმა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ნაკლები ყურადღება დაეთმობთ რევოლუციური ძალადობისათვის და პრეტორიის ახალ, უფრო პროგრესულ მთავრობასთან მოლაპარაკებებზე გადართულიყვნენ. 1991 წლის განმავლობაში დე კლერკმა რამდენიმე გაბედული ნაბიჯი გადადგა აფრიკის ეროვნულ კონგრესთან (ნელსონ მანდელას ხელმძღვანელობით, რომელიც



შავკანიანი ძიძები თეთრკანიან ბავშვებთან ერთად სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის დროს. სამხრეთ აფრიკაში სრული რასობრივი სეგრეგაციის პრინციპი მოქმედებას წყვეტდა მაშინ, როცა მდიდარ თეთრკანიანთა ოჯახებს შავკანიანი შინამოსამსახურეების სამსახური სჭირდებოდათ მოახლეების, ძიძების, მზარეულების, მძღოლების და მებაღეების სახით. მაშინ, როცა შავკანიან ძიძებს უფლება ჰქონდათ ბავშვის გაზრდამდე იმავე სახლში ეცხოვრათ, რომელშიც თეთრკანიანი ოჯახი ცხოვრობდა, შავკანიანი მოახლეები, მზარეულები, მძღოლები და მებაღეები მათი დამსაქმებლებისგან მოშორებით, მკაფიოდ სეგრეგირებულ სახლებში ცხოვრობდნენ.

იმავე წლის ივლისში პრეზიდენტად იქნა არჩეული) შავკანიან უმრავლესობასთან ხელისუფლების გაზიარების თემაზე დიალოგისთვის.

1991 წლის დეკემბერში შავკანიანთა და თეთრკანიანთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იოჰანესბურგში „დემოკრატიული სამხრეთ აფრიკის კონვენციაზე“ (CODESA) შეიკრიბნენ, რათა განეხილათ ხმის მიცემის საყოველთაო უფლებისა და მრავალპარტიული დემოკრატიის ზოგადი მიზნები, რომელთაც ამ პარტიების უმრავლესობა უკვე სრულად იზიარებდა. კონსერვატიული პარტიისგან მწვავე წინააღმდეგობის მიუხედავად, შეუპოვარმა დე კლერკმა თავისი პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის თეთრკანიან მოსახლეობას რეფერენდუმზე წარუდგინა და თან განაცხადა, რომ რეფერენდუმის წარუმატებლობის შემთხვევაში ის თანამდებობას დატოვებდა. 1992 წლის 17 მარტს თეთრკანიან ამომრჩეველთა ორმა მესამედმა მხარი დაუჭირა პრემიერმი-

ნისტრის პოლიტიკას აფრიკის ნაციონალურ კონგრესთან მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ, რითაც წერტილი დაუსვეს თეთრკანიანი უმცირესობის პოლიტიკურ მონოპოლიას ქვეყანაში. ამასობაში, აპარტიდის უკანასკნელი გადმონაშთების გაუქმებას, როგორც იყო რასობრივ კუთვნილებაზე დაფუძნებული საცხოვრებლის უფლება და დაბადების რეგისტრაციისას რასის აღნიშვნა, ოთხმოციათი წლების შუაში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების უმრავლესობის გაუქმება მოჰყვა.

„დემოკრატიული სამხრეთ აფრიკის კონვენციაში“ (CODESA) მონაწილე ოცდაერთი პარტიის წარმომადგენლები გაცხარებულ კამათს 1993 წლის 18 ნოემბრამდე განაგრძობდნენ, როდესაც მათ ქვეყნის შუალედური კონსტიტუცია დაამტკიცეს, რომელსაც საუკუნის დასასრულს ახალი, მუდმივმოქმედი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა ემოქმედა. შუალედურმა კონსტიტუციამ გააუქმა შავკანიანთა ფსევდოდაპოუქიდებელი ტერიტორიები (black homelands) და დააფუძნა დემოკრატიულად არჩეული ეროვნული ასამბლეა, რომელსაც პრეზიდენტი უნდა აერჩია და რომელიც იმოქმედებდა, როგორც საკანონმდებლო ორგანო და როგორც დამფუძნებელი ასამბლეა მუდმივმოქმედი კონსტიტუციის შესამუშავებლად. საყოველთაო-საარჩევნო უფლების პირობებში პირველი მრავალრასობრივი ეროვნული არჩევნები 1994 წლის აპრილისთვის დაინიშნა. როგორც მოსალოდნელი იყო, აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა ეროვნულ ასამბლეაში მყარი უმრავლესობა მოიპოვა. სახელმწიფოს კონტროლი ზედმინეწით სამართლებრივი გზით გადავიდა თეთრკანიანი მმართველი ელიტიდან – რომელიც ქვეყანას უკონტროლოდ მართავდა სამნახევარი საუკუნის განმავლობაში – მანამდე საარჩევნო უფლების არმქონე შავკანიანთა უმრავლესობაზე. ერთ დროს რევოლუციონერი ნელსონ მანდელა მრავალრასობრივი, დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. დე კლერკმა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა მიიღო, მანდელას მეტოქე და ქვეყნის აღმოსავლეთით მცხოვრები ზულუს ეთნიკური ჯგუფის ლიდერი მანგოსუტუ ბუტელეზი კი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. მოგვიანებით, მანდელა და დე კლერკი, დამოუკიდებელი აფრიკის ყველაზე ხანგრძლივი და რთულად მოსაგვარებელი კონფლიქტის წარმატებით მოგვარებისათვის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვდნენ.

ამის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში მშვიდობის, ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების პერსპექტივა გაცილებით უფრო იმედისმომცემად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე და მისი თეთრკანიანი, შავკანიანი და შერეული კუთვნილების მოქალაქეები მომავალს უფრო მეტი ოპტიმიზმით უყურებდნენ. 1994 წლის შეთანხმება, რომელმაც თეთრკანიანთა მმართველობა დაასრულა, თეთრკანიან უმცირესობას – განსაკუთრებით, ბიზნესმენებსა და ფერმერებს – სამხრეთ აფრიკაში დარჩენისაკენ აქეზებდა, განსხვავებით კონტინენტის სხვა თეთრკანიანი უმცირესობებისგან, რომლებიც

ევროპაში გაიქცნენ და თან გაიყოლიეს როგორც მათი პროფესიული გამოცდილება, ასევე ფინანსური აქტივებიც. სამხრეთ აფრიკაში მაინც ჰქონდა ადგილი მცირე ემიგრაციასა და კაპიტალის გადინებას, რაც, ნანილობრივ, ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ძალადობრივი დანაშაულის ზრდასა და ეკონომიკის მკვეთრ გაუარესებას მოჰყვა. მიუხედავად ამისა, მანდელას შემრიგებლური პოლიტიკის შედეგად, აპარტეიდის სამშობლოში რასობრივმა ჰარმონიამ დაისადგურა. 1999 წლის ივნისის არჩევნების შემდეგ, მანდელამ მულტირასობრივი ჰარმონიის საკუთარი ექსპერიმენტი მის მიერვე შერჩეულ მემკვიდრეს – თაბო მბეკის – გადაულოცა.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეული თაბო მბეკიმ მისი ქვეყნის წინაშე მდგარ ორ სერიოზულ გამოწვევასთან გამკლავებას მოანდომა. პირველი გამოწვევა ქვეყნის უმწვავესი ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდა შავკანიანთა შორის მზარდი უმუშევრობა იყო; მეორე გამოწვევას, განვითარებადი სამყაროს სხვა დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, აფრიკის ჩამორჩენილი ეკონომიკური განვითარების უფრო ფართო პრობლემა წარმოადგენდა. მეორე გამოწვევასთან გასამკლავებლად მბეკიმ 2001 წელს ამბიციური ინიციატივა წამოაყენა, რომელსაც „აფრიკის განვითარების ახალი პარტნიორობა“ (NEPAD) ეწოდა. ინიციატივა, რომელსაც აფრიკის სხვა სახელმწიფოების მეთაურებიც შეუერთდნენ, განვითარებულ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს აფრიკისათვის დახმარების და ინვესტიციების გაზრდისაკენ და ვალების ჩამონერისაკენ მოუწოდებდა. სანაცვლოდ კი მათ მიმღები ქვეყნებისგან კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას ჰპირდებოდა.

ისლამიზმი და რეგიონული იდენტობა მაღრიბის ქვეყნებში

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან აფრიკის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე არაბული საზოგადოებები ისლამური ფუნდამენტალიზმის სწრაფი აღზევების მონაწილე გახდნენ, რასაც ამ რეგიონის მომავალი სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. მთელს ჩრდილოეთ აფრიკაში უმუშევარი, უფერული ეკონომიკური მომავლისა და ცუდის ანაზღაურების მქონე ახალგაზრდები დაუცველი აღმოჩნდნენ ისლამური საპროტესტო მოძრაობების ცდუნების წინაშე, რომლებიც გამოხდნენ იმ სეკულარული რეჟიმების კორუმპირებულობასა და კულტურულ დაცემას, მათ ქვეყნებს მთელი პოსტკოლონიური პერიოდის განმავლობაში რომ მართავდნენ. თუ რელიგიის, როგორც ხალხის ოპიუმის, მარქსისეული განსაზღვრება რაიმე სიმართლეს შეიცავს, ოთხმოცდაათიანი წლების მაღრიბის ქვეყნები სწორედ მესიანისტური რელიგიური მოძრაობების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდნენ. ეს მოძრაობები ზიზლით შესცქეროდნენ შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პოლიტიკურ რეჟიმებს და გალატაკებულ

მოსახლეობას ისე ანუგეშებდნენ, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს ვერ იძლეოდნენ.

ეს ფენომენი თავდაპირველად გამოჩნდა ალჟირში – საფრანგეთის ყოფილ კოლონიაში, რომელსაც 1962 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ერთპარტიული, სეკულარული, სოციალისტური რეჟიმი მართავდა. 1989 წელს პრეზიდენტმა შადლი ბენჯედიდმა რეფორმების გაბედული პროგრამა წამოიწყო, რომელიც ალჟირის სახელმწიფოს ავტორიტარული სტრუქტურის შერყევისაკენ იყო მიმართული, რასაც ქვეყნის მწვავე ეკონომიკური სირთულეების გადაჭრის იმედი უკავშირდებოდა. პოლიტიკური ლიბერალიზაციის ამ პროგრამის ერთ-ერთი პირველი შედეგი პოლიტიკური ოპოზიციის გაჩენა იყო, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (FLN) პოლიტიკურ ძალაუფლებას დაუპირისპირდა. ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი (FLN) ის ძალა იყო, რომელმაც წარმატებული აჯანყება მოაწყო საფრანგეთის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობის შემდეგ სახელმწიფო აპარატს მართავდა. ამ დისიდენტური ორგანიზაციებიდან ყველაზე პოპულარული ისლამური ხსნის ფრონტი (FIS) იყო, რომელიც გმობდა ალჟირის მთავრობის სეკულარულ პოლიტიკას და, სოციალური და სულიერი ხსნის მისაღწევად, ორთოდოქსულ ისლამურ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდა. 1990 წლის ადგილობრივ არჩევნებში შთამბეჭდავი მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ, 1991 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების პირველ რაუნდში ისლამური ხსნის ფრონტმა (FIS) დაამარცხა ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი (FLN) და, საყოველთაო, მასობრივი, ანტისამთავრობო დემონსტრაციების ფონზე, უკვე მზად იყო ხელისუფლების ხელში ასაღებად. მაგრამ 1992 წლის იანვარში ბენჯედიდი მოულოდნელად გადადგა და ხელისუფლება მალაღი რანგის სამხედროებისგან დაკომპლექტებულ მთავრობას გადასცა, რომელმაც გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა, გააუქმა საპარლამენტო არჩევნების მეორე რაუნდი, აკრძალა ისლამური ხსნის ფრონტი (FIS) და მისი ლიდერებიც დააპატიმრა. შემდგომი წლების განმავლობაში არ წყდებოდა შეტაკებები სახელმწიფოზე სრული კონტროლის მქონე ალჟირის არმიასა და „ისლამიზმის“ ახალი პოლიტიკური ძალის სულ უფრო და უფრო აქტიურ მომხრეებს შორის. 1995 წელს, თითქოსდა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში, პრეზიდენტად ყოფილი გენერალი ლამინ ზერუალი აირჩიეს, მაგრამ ის მმართველობას ოფიცერთა კორუფტთან და მათ სამოქალაქო მოკავშირეებთან მჭიდრო კონსულტაციებით შეუდგა. საარჩევნო ხრიკებს შეიარაღებულმა ისლამისტმა მებრძოლებმა ტერორის კამპანიით უპასუხეს, რაც ადამიანთა გატაცებებს, დაბომბვებს, მკვლევლობებსა და სხეულის მძიმე დაზიანებებს მოიცავდა. ამ სასტიკ კონფლიქტს საუკუნის დასასრულამდე სამოცი ათას ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. ამასობაში, ალჟირში განვითარე-

ბული მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ნავთობის ფასების კლების პერიოდში ნავთობის ექსპორტზე ზედმეტ დაქვემდებარებას მოჰყვა, ოთხ-მოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ფინანსურ კრიზისში გადაიზარდა, რაც საერთაშორისო ვალების გადავადებასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხრიდან სესხების მასობრივ შედინებას მოითხოვდა.

ჩრდილოეთ აფრიკის სხვა სახელმწიფოთა სეკულარული რეჟიმები მიესალმებოდნენ ალჟირის მთავრობის მიერ ისლამური ხსნის ფრონტის (FIS) შეეინროებას და, საკუთარი ისლამისტური ოპოზიციის მოსათოკად, თავადაც შესაბამის ნაბიჯებს დგამდნენ. ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი დაუღალავ კამპანიას აწარმოებდა „მუსლიმთა საძმოს“ წინააღმდეგ, რომელიც მანამდეც უძღებდა მისი, როგორც პოლიტიკური ძალის, ამოძირკვისაკენ მიმართულ მცდელობებს ნასერისა და სადათის მხრიდან. ტუნისის (ალჟირის მსგავსი ერთპარტიული სეკულარული სახელმწიფო) და მაროკოს (კონსერვატიული მონარქია) მთავრობები ასევე მკაცრად ზღუდავდნენ ფუნდამენტალისტი ჯგუფების მოღვაწეობას და იმედი ჰქონდათ, რომ ამით თავის საზოგადოებებს „ალჟირული დაავადებისგან“ დაიცავდნენ. სეკულარულ არაბულ მთავრობებსა და მათ ისლამისტურ ოპოზიციას შორის დაძაბულობის შემხედვარე დასავლეთ ევროპა გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდა. დასავლეთის ქვეყნებისთვის – რომლებიც ყველგან დემოკრატიული პრაქტიკისა და პრინციპების გავრცელებას უჭერდნენ მხარს – რთული იყო, მალრიბის ქვეყნების რეჟიმების მიერ ისლამური ოპოზიციის ჩასახშობად, რეპრესიული მეთოდების გამოყენებას დაჰყოლოდნენ. ამავე დროს, ევროპელი ლიდერები შიშობდნენ, რომ ისლამიზებული ჩრდილოეთ აფრიკიდან ლტოლვილების შესაძლო ნაკადი სერიოზული წნეხის ქვეშ მოაქცევა მათი სოციალური კეთილდღეობის სისტემებს და კიდევ უფრო გაამწვავებდა ისედაც გაღვივებულ რასიზმის ტენდენციებს.

საპარის ჩრდილოეთით მდებარე აფრიკული სახელმწიფოებისთვის ისლამისტურ გამონევეას, რეგიონული სტაბილურობისა და თანამშრომლობის განვითარების კუთხით, პროგრესის მიღწევაში ხელი არ შეუშლია. ოთხმოციანი წლების ჩრდილოეთ აფრიკაში კონფლიქტების ორიდან ერთ-ერთი ნყარო ჩადში მიმდინარე სამოქალაქო ომი იყო ქვეყნის ჩრდილოეთით სეპარატისტულ მოძრაობასა (რომელთაც მეზობელი ლიბია უჭერდა მხარს) და ცენტრალურ მთავრობას შორის (რომელსაც ზურგს უმაგრებდა საფრანგეთი – ყოფილი კოლონიური ხელისუფლება). მაგრამ, ოთხმოციანი წლების ბოლოს ლიბიელმა დიქტატორმა მუამარ ალ-ყადაფიმ, რომელიც ერთ დროს ტერიტორიულ პრეტენზიებს გამოთქვამდა ჩადის ჩრდილოეთი ნანილის მიმართ, ამ ქვეყნიდან თავისი სამხედრო ძალები გაიყვანა. იმავდროულად, საფრანგეთმაც შეუმცირა მხარდაჭერა ცენტრალურ მთავრობას, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით მუსლიმებსა და მის ლიბიელ მფარველებს ებრძოდა.

ამის შემდეგ სამოქალაქო ომის ინტენსივობამ იკლო და ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის არარეგულარული შეტაკებების სახე მიიღო.

ჩრდილოეთ აფრიკის კიდევ ერთი, კარგად ცნობილი, პრობლემა ესპანეთის მიერ სამოცდაათიანი წლების შუაში მიტოვებული საჰარის ტერიტორიის (მოგვიანებით, დასავლეთ საჰარა) მაროკოს მიერ უაპელაციო ანექსია იყო. ალჟირის მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის წინაშე დარჩენილი მაროკოს მეფე ჰასანი, ფოსფორით მდიდარ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ნების გამოსავლენად, ბოლოსდაბოლოს მათი მოსაზრებების გამოკითხვას დათანხმდა. 1991 წელს გაერომ დასავლეთ საჰარაში შესაძლო რეფერენდუმისათვის საფუძვლის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფი წარგზავნა. თუმცა, მაროკომ უარი თქვა ადგილობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა პოლისარიოსთან ურთიერთობაზე, რომელმაც მაროკოს სამხედრო ძალების წინააღმდეგ დაბალი ინტენსიურობის პარტიზანული ბრძოლები განაგრძო და შეთავაზებული რეფერენდუმის გეგმების განხორციელებაზე არაერთხელ გადაიღო.

მაშინ, როდესაც რაბათი და ალჟირი დასავლეთ საჰარასთან დაკავშირებული დავის მშვიდობიან გადაწყვეტაზე მუშაობდნენ, მალრიბის რეგიონის სხვა ქვეყნები, 1993 წელს ევროპის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებამდე, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებას ცდილობდნენ. როგორც ვიხილეთ, აფრიკის პოსტკოლონიურმა სახელწიფოებმა ვერ მოახერხეს პანაფრიკული ეკონომიკური ინტეგრაციის ამბიციურ მიზნებთან დაკავშირებით პროგრესისთვის მიეღწიათ და, გარდა ამისა, სუბრეგიონულ დონეზე გამოცხადებული ეკონომიკური თანამშრომლობის ინიციატივებიც უშედეგოდ სრულდებოდა. 1991 წელს ჩრდილოეთ აფრიკის ხუთმა სახელმწიფომ, ბოლოსდაბოლოს, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და სუბრეგიონული ორგანიზაცია – არაბული მალრიბის კავშირი – დააარსა. ორი წლის შემდეგ შეიქმნა ორგანიზაციის ელემენტარული ორგანოები, მათ შორის მუდმივმოქმედი სამდივნო და განვითარების ბანკი, და მხარეები საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ შორსმიმავალი გეგმების განხილვას შეუდგნენ. მაროკოსა და ალჟირს შორის არსებული მწვავე და ხანგრძლივი კონფლიქტი მალრიბის ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩებოდა.

ცივი ომის დასრულების უარყოფითი შედეგები

ცივი ომის დასრულების შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა აფრიკაზე კრიტიკული გავლენა მოახდინეს. მაშინ, როცა ოთხმოციანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირმა ერთი ხელის მოსმით შეუწყვიტა დახმარების პროგრამები მესამე სამყაროს ქვეყნებს, შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთ ევროპის ახლადგათავისუფლებული სახელმწიფოები კრედიტის, ინვესტიციებისა და დახმარების პროგრამების

გადაუდებელი თხოვნებით მიმართავდნენ. ყოფილ საბჭოთა სატელიტ ქვეყნებსა და, შემდგომ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დემოკრატიითა და საბაზრო ეკონომიკით დაინტერესებამ აფრიკის ეკონომიკური სიდუხჭირიდან დასავლეთის ყურადღების გადატანა გამოიწვია. ისედაც დიდი საერთაშორისო საფინანსო დავალიანებების მქონე აფრიკული სახელმწიფოები ძალიან მცირე მოცულობის კომერციული კრედიტის აღებას თუ ახერხებდნენ. რამდენადაც განვითარებული ქვეყნების ბანკები კონტინენტის გალატაკებულ ქვეყნებისათვის, როგორც მალალი რისკის პარტნიორობისათვის, სესხის მიცემისაგან თავს იკავებდნენ, აფრიკის უცხოური სესხების 90 პროცენტი უცხო მთავრობებისგან ან ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მოდიოდა, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. საერთაშორისო ინვესტორებიც თავს იკავებდნენ აფრიკულ პროექტებში ფულის დაბანდებისგან. ოთხმოციანი წლების შუიდან პირდაპირმა კერძო ინვესტიციებმა აფრიკაში დაიკლეს, ამ ინვესტიციების მოცულობა კი სამგზის გაიზარდა ლათინურ ამერიკაში და ხუთჯერ – აღმოსავლეთ აზიაში. უცხოური კრედიტებისა და ინვესტიციების ასეთი კლების ერთ-ერთი შედეგი ისიც იყო, რომ ახალ საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში აფრიკის კონტინენტის ქვეყნები, ფაქტობრივად, არ მონაწილეობდნენ: ოთხმოცდაათიანი წლების შუაში, მაშინ, როცა აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი ყოფილი განვითარებადი ქვეყანა საერთაშორისო სავაჭრო სისტემის აქტიური მონაწილე გახდა, აფრიკაზე მსოფლიო ვაჭრობის მხოლოდ 2 პროცენტი მოდიოდა.

ცივი ომის დასასრული აფრიკისათვის არაერთგვაროვანი დატვირთვის მოვლენა აღმოჩნდა. ერთი მხრივ, შემცირდა კონტინენტის საქმეებში უცხო ქვეყნების ჩარევის ალბათობა; მეორე მხრივ კი, დასავლეთის ბლოკისათვის აფრიკის სტრატეგიული დატვირთვის შემცირებამ ის ტრადიციულად ინდიფერენტული დამოკიდებულება გააღვივა, რომელიც შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკას სამოცდაათიანი წლებში, აფრიკაში აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების გავრცელებამდე, ახასიათებდა. ოთხმოცდაათიანი წლებში სომალისა და რუანდაში ადამიანებზე თავდატეხილი ტრაგედიების შემდეგ, განვითარებული სამყარო ამ ქვეყნებისთვის ჰუმანიტარულ დახმარებას აღარ იშურებდა. განსაკუთრებით გააქტიურდა გაერო. თუმცა, მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მხრიდან აფრიკის მიმართ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების არქონის გამო, კონტინენტის პრობლემებით საერთაშორისო დაინტერესება შეზღუდული იყო განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც დასავლეთის ქვეყნები ბიუჯეტებს კვეცდნენ და უფრო მეტად საკუთარი ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდნენ. შეერთებული შტატები, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სამშვიდობო ოპერაციებისათვის მოსამზადებლად აფრიკული სამხედრო ძალების წვრთნისა და აღჭურვის

პროგრამებს ახორციელებდნენ, რათა თავად არ აღმოჩენილიყვნენ აფრიკის კონფლიქტებში ჩათრეული (კონფლიქტებში, რომელთა მიმართ მათ სასიცოცხლო ინტერესები არ გააჩნდათ). უცხოეთის ეს სახელმწიფოები მიესალმებოდნენ ნიგერიისა და „დასავლეთ აფრიკის საზავო მონიტორინგის ჯგუფის“ (ECOMOG) სამშვიდობო ოპერაციებს დასავლეთ აფრიკაში, თუმცა, მათ რიტორიკას ფინანსური მხარდაჭერა ზურგს არ უმაგრებდა.

საფრანგეთის გამოსვლა აფრიკის კონტინენტიდან

აფრიკის სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კონტინენტზე ყველაზე აქტიურ როლს საფრანგეთი ასრულებდა – საგარეო დახმარების მთავარი დონორი, რომელიც საკუთარი და აფრიკელი კლიენტი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად, უწყყმანოდ ავრცელებდა კონტინენტზე როგორც ეკონომიკურ, ასევე სამხედრო გავლენას. თუმცა, ოთხმოცდაათიან წლებში აფრიკის ამ ტრადიციულმა ბანკირმა და ჟანდარმმა ცი დაინყო აფრიკის კონტინენტის ქვეყნებთან თავისი მჭიდრო კავშირების შესუსტება. აფრიკაში საფრანგეთის სამხედრო ჩართულობის ინტენსიურობამ ოთხმოცდაათიან წლებში ჩადის კონფლიქტის თანდათანობით ჩაცხრომის შემდეგ იკლო. სომალისა (გაეროს ეგიდით) და რუანდის (გაეროს თანხმობით) სამოქალაქო ომებში საფრანგეთის ჰუმანიტარული ინტერვენციები მცირერიცხოვანი სამხედრო ძალებით განხორციელდა და მხოლოდ მცირე დროით გაგრძელდა. აფრიკის ფრანკოფონი კლიენტი სახელმწიფოების მიმართ პარიზის დაინტერესების აშკარა სიმბოლოს სახით, ფრანგული „უცხოეთის ლეგიონის“ გარნიზონები ათზე მეტ ქვეყანაში რჩებოდნენ, თუმცა, ცივი ომის დასრულებამ და თანდათანობით ევროპის ეკონომიკურ ინტეგრაციაზე ყურადღების გადატანამ, აფრიკის უსაფრთხოების პრობლემები უკანა პლანზე გადაწია. 1997 წლის დეკემბერში საფრანგეთმა გამოაცხადა, რომ ორმოცი პროცენტით შეამცირებდა ყოფილ აფრიკულ კოლონიებში თავისი სამხედრო ძალების რაოდენობას და საუკუნის ბოლომდე ამ კონტინენტზე რამდენიმე ფრანგულ სამხედრო ბაზას დახურავდა.

საფრანგეთმა ასევე გადადგა ნაბიჯები დასავლეთ აფრიკის ყოფილ ფრანგულ კოლონიებთან პრივილეგირებული ეკონომიკური ურთიერთობების შესასუსტებლად, რომლებსაც საფრანგეთი სამოციან წლებში ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ინარჩუნებდა. ამ განსაკუთრებული ურთიერთობების ქვაკუთხედს ის შეთანხმებები წარმოადგენდა, რომლითაც ე.წ. „აფრიკის ფინანსური გაერთიანება“ (CFA) მოქმედებდა. ამ გაერთიანების შიგნით პარიზი უზრუნველყოფდა ფრანგული ფრანკის ფიქსირებულ პარიტეტს „აფრიკის ფინანსური გაერთიანების ფრანკთან“ (CFA franc), რის შედეგადაც ფრანკის ზონაში მყოფ თოთხმეტ აფრიკულ სახელ-

მნიფოს* აფრიკის ერთადერთი იოლად კონვერტირებადი ვალუტით შექმლო სარგებლობა. იმის მიუხედავად, რომ ამ „აფრიკის ფინანსური გაერთიანების ფრანკის“ (CFA franc) ფიქსირებული პარიტეტის შენარჩუნება საფრანგეთის ხაზინას წელიწადში რამდენიმე მილიარდი დოლარი უჯდებოდა, საფრანგეთი ამ გზით თავის ყოფილ აფრიკულ იმპერიასთან კავშირს აძლიერებდა და მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობებსაც იღებდა. საფრანგეთის მრეწველობას აფრიკის პირველადი რესურსებით – განსაკუთრებით ნავთობითა და მინერალური რესურსებით – სარგებლობის უპირატესი უფლება ჰქონდა. აფრიკის სახით ფრანგი ექსპორტიორების პროდუქციას გარანტირებული ბაზარი ჰქონდა, ფრანგ ინვესტორებს კი – დანაზოგების სარფიანად დაბანდების შესაძლებლობა. აფრიკულ სახელმწიფოთა ერთადერთი სარგებელი სავალუტო დისციპლინა იყო, რომელიც მათ დაეკისრათ გამომდინარე იქიდან, რომ მათი ვალუტები ფრანგულ ფრანკზე იყო მიბმული. ამას კი შედეგად ამ ქვეყნებში ინფლაციის დაბალი პროცენტი და უფრო ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდა მოჰყვებოდა, ვიდრე აფრიკის სხვა ქვეყნებში დამოუკიდებლობის პირველი ოცი წლის განმავლობაში.

საფრანგეთსა და სუბსაჰარულ აფრიკაში მის ყოფილ კოლონიებს შორის მყუდრო ურთიერთობებმა, ოთხმოციან წლებში აფრიკის ქვეყნების ეკონომიკის კრიზისისა და, საფრანგეთის ყურადღების ევროპაზე გადატანის ფონზე, შესუსტება დაიწყო. ამავე დროს, დასავლეთის სხვა სახელმწიფოები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები საფრანგეთს რეგიონში საკუთარი ჰეგემონიის გასამყარებლად ფრანკის ზონისათვის დე ფაქტო სუბსიდიების გაცემის გამო აკრიტიკებდნენ, რაც საფრანგეთის კონკურენტი ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციას იწვევდა და, გაფლანგვისა და ეკონომიკური არაუფექტურობის ხელშეწყობის გამო, ხელს უშლიდა დასავლეთ აფრიკის ეკონომიკურ ზრდას. 1994 წლის იანვარში საფრანგეთი ბოლოსდაბოლოს დაჰყვა ამ საერთაშორისო ზენოლას და აფრიკული ფრანკი ორმაგად გააუფასურა. იმის მიუხედავად, რომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ვარაუდით, აფრიკული ფრანკის ეს დაგვიანებული დევალვაცია ფრანკოფონულ აფრიკაში უცხოური ინვესტიციების მატებასა და ექსპორტის სტიმულირებას გამოიწვევდა, ფრანკის ზონის ქვეყნების უმრავლესობისთვის ამ ნაბიჯის მოკლევადიანი შედეგები უკიდურესად მტკივნეული აღმოჩნდა. ამ ქვეყნებში ფასების მყისიერმა გაორმაგებამ და მთავრობების მიერ ხელფასების გაყინვამ მუშათა არეულობა და საყოველთაო უქმყოფილება გამოიწვია იმ ხალხის მხრიდან, რომელთაც სურსათის, წამლებისა და სხვა არსებითი

* ბენინი, ბურკინა ფასო, კამერუნი, ცენტრალურაფრიკული რესპუბლიკა, ჩადი, კონგო, კომორის კუნძულების კავშირი, გაბონი, სპილოს ძვლის სანაპირო (კოტ დ'ივუარი), მალი, ნიგერი, სენეგალი და ტოგო საფრანგეთის ყოფილი კოლონიები და ფრანკის ზონის ქვეყნებია. მათ 1985 წელს ეკვატორიული გვინეა – ყოფილი ესპანური კოლონიაც შეუერთდა.

პროდუქტების შექმნა გაუჭირდათ. ორივე ზესახელმწიფოს მხრიდან აფრიკის მიმართ ინტერესის კლების პარალელურად, საფრანგეთის ამბიციების დათმობამ, როგორც ამას ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევდა, აფრიკა (საბედნიეროდ თუ საუბედუროდ) უფრო იზოლირებულ და განმარტოებულ კონტინენტად აქცია.

ჩინეთი – ახალი იმპერიული ძალა აფრიკაში?


მას შემდეგ, რაც შემცირდა საფრანგეთის როლი მის ყოფილ აფრიკულ კოლონიებში და, ცივი ომის დასრულების შემდეგ, აფრიკის კონტინენტი შეერთებული შტატების ინტერესთა სფეროდანაც გავიდა, სცენაზე ახალი, შორეული ქვეყანა გამოჩნდა. სამოციანი და სამოცდაათიანი წლებიდან ჩინეთს უკვე დაემყარებინა ეკონომიკური ურთიერთობები რამდენიმე აფრიკულ ქვეყანასთან. ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულიდან კი აფრიკით ჩინეთის ეკონომიკური დაინტერესება განსაკუთრებით გაღრმავდა. 2006 წელს აფრიკის ორმოცდარვა სახელმწიფოს მთავრობების მეთაურები პეკინში კონფერენციას დაესწრნენ, სადაც მათ აფრიკის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების ათვისების სფეროში ჩინურ ფირმებთან შეთანხმებები გააფორმეს. ჩინური წარმოშობის ფინანსები უკვე მანამდეც აღწევდნენ აფრიკის ქვეყნებს, ათწლეულის მეორე ნახევარში კი აფრიკას დიდი ოდენობის ჩინური ინვესტიციები მიანყდა. ამ ინვესტიციების ასეთ შთამბეჭდავ ზრდას მარტივი მიზეზი ჰქონდა. აფრიკას უკიდურესად ესაჭიროებოდა ის, რისი შეთავაზებაც ჩინეთს შეეძლო – ფული ინფრასტრუქტურული პროექტების – გზების, რკინიგზის, პორტების და საკომუნიკაციო სისტემების – დასაფინანსებლად. ჩინეთს კი სჭირდებოდა ის, რაც აფრიკის ქვეყნებს უხვად მოეპოვებოდათ: ნედლეული და ენერგორესურსები ჩინეთის მზარდი მრეწველობის მოსამარაგებლად. ჩინური ინვესტიციები აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი იყო იმის გამო, რომ ამ ინვესტიციებს თან არ ახლდა ის პირობები, რომელთაც დასავლეთის მთავრობები ჩვეულებრივ უყენებდნენ ხოლმე მათ, მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ჩინური ინვესტიციების მთავარი მიმღები სუდანის ნავთობმრეწველობა გახდა და, შესაბამისად, გაიზარდა სუდანის ნავთობის ექსპორტი ჩინეთში. რამდენადაც ეს ჩინური ინვესტიციები უპირობოდ შედიოდა სუდანში, იმდენად მთავრობას უკვე შეეძლო ხარტუმში უყურადღებოდ დაეტოვებინა დასავლეთის უკმაყოფილო განცხადებები დარფურის რეგიონში სუდანის რეპრესიული პოლიტიკის თაობაზე. ჩინეთი აფრიკაში არა მხოლოდ კაპიტალის მთავარ წყაროდ იქცა, არამედ აფრიკული პირველადი პროდუქციის მთავარი მომხმარებელიც გახდა. 2010 წლისათვის ჩინეთი აფრიკის ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად და ინვესტიციების მთავარ წყაროდ ჩამოყალიბდა. ზოგიერთი მოწინააღმდეგე შიშობდა, რომ ჩინეთს, მანამდე

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად, აფრიკის ახალ „იმპერიულ ძალაუფლებად“ ქცევა სურდა. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ჩინელმა ოფიციალურმა პირებმა დაუყოვნებლივ განაცხადეს, რომ, ძველი დასავლელი იმპერიული ხელისუფლებებისგან განსხვავებით, ჩინეთი არ იყო დაინტერესებული აფრიკის იმ ქვეყნების შიდაპოლიტიკაში ჩარევით, რომლებიც მისგან პირდაპირ ინვესტიციებს იღებდნენ და საიდანაც ის პირველადი რესურსების იმპორტს ახორციელებდა.

შიდსის ეპიდემია

ეკონომიკური კრიზისის, ფინანსური სირთულეებისა და სამხედრო კონფლიქტების გარდა, რომლებმაც აფრიკა ცივი ომის დასრულების შემდეგ მოიცვა, კონტინენტის მოსახლეობისათვის გაცილებით უფრო სერიოზულ საფრთხედ შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსის) ეპიდემია იქცა, რომლის გავრცელება ოთხმოციან წლებში დაიწყო და საუკუნის ბოლოს ეპიდემიად ჩამოყალიბდა. ამ დამაუძღურებელი და საბოლოოდ ფატალური შედეგის მქონე დაავადების მთავარი მატარებლები სამხედროები იყვნენ, რომლებიც ზემოხსენებულ არაერთ შიდაკონფლიქტსა და სამოქალაქო ომში იღებდნენ მონაწილეობას. სექსუალურად აქტიური ასაკის ჯარისკაცები, რომლებიც დროის დიდ მონაკვეთს ოჯახებისგან შორს ატარებენ და რომელთაც სახარჯი ფულიც უჩნდებათ, მეძავებსა და ნარკოტიკებით მოვაჭრეებს – შიდსის გავრცელების ორ მთავარ წყაროს – იზიდავენ. ლიბერიასა და სიერა ლეონეს სამოქალაქო ომებში ათასობით მშვიდობისდამცველმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა დიდი რაოდენობა საკუთარ ქვეყნებში შიდსის ვირუსით დაბრუნდა. ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ექვსი უცხოური არმიის ბრძოლას ინფიცირების შემთხვევების უზარმაზარი ზრდა მოჰყვა. ჯანდაცვის მუშაკების შეფასებით, აფრიკის ომებში მეომარ ეროვნულ არმიათა და სამშვიდობო ძალების 30 პროცენტი ვირუსით იყო დაავადებული, შიდსი კი კონტინენტზე მამრობითი სქესის მოსახლეობის სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად იქცა. 2000 წლისათვის 25 მილიონი აფრიკელი იყო დაავადებული, რაც მსოფლიოს მაჩვენებლის სამ მეოთხედს შეადგენს. ოცდახუთი ქვეყნიდან, რომელთაც შიდსით ინფიცირებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ოცდაათი აფრიკაში მდებარეობდა. პანდემიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი აფრიკის ბევრ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობის მკვეთრი კლება იყო, რამაც უკანასკნელ პერიოდში სანიტარიული მდგომარეობისა და ჯანდაცვის გაუმჯობესებული პირობების შედეგად განვითარებული დამაიმედებელი ტენდენცია კვლავ უარესობისაკენ აბრუნა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის კატასტროფული შედეგების გარდა, შიდსის პანდემიამ აფრიკის ეკონომიკურ განვითარებაზეც ღრმა გა-



HIV in Africa
 HIV Prevalence Rates in African Adults
 (15-49 Years of Age) as of the end of 2005

- 0.0%-1.9%
- 2%-4.9%
- 5%-9.9%
- 10%-19.9%
- 20% or greater

ვლენა მოახდინა. შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა თუ ქმედუუნარობა პროფესიული მუშახელის მწვავე დეფიციტის მიზეზი გახდა, რამაც კიდევ უფრო შეამცირა ამ ქვეყნების მიერ უკიდურესი სილატაკის დაძლევის შანსი, რაც უკვე მრავალი წლის განმავლობაში აფრიკის კონტინენტის ანათემას წარმოადგენდა. დაავადებული ადამიანების მკურნალობის ხარჯები ეროვნულ ბიუჯეტებს უმძიმეს ტვირთად დააწვა და იმ რესურსებს იხმარდა, რომელიც განათლებას, საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და ეკონომიკურ ზრდას უნდა მოხმარებოდა. კონტინენტზე შიდსის გავრცელებამ ასევე შეამცირა ინვესტიციების რაოდენობა და ტურიზმი, რითაც კიდევ უფრო გართულდა ისედაც იშვიათი უცხოური კაპიტალისა და უცხოური ვალუტის მოზიდვა. აფრიკაში შიდსის კრიზისთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 2000 წელს განაცხადა, რომ შიდსი „ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრებოდა“ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკური არასტაბილურობისა და ეკონომიკური ქაოსის გამოწვევა შეეძლო, რაც არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვს გაზრდიდა და კარგ ნიადაგს შექმნიდა ტერორიზმის გავრცელებისათვის. ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში ინფექციამ იმატა აზიაში, ლათინურ ამერიკაში და საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში. თანამედროვე „შავი ჭირის“ აფრიკული გამოცდილება შესაძლოა ისეთი გლობალური ტენდენციის მომასწავებელი გამხდარიყო, რომელიც სამუდამოდ დაასამარებდა ეკონომიკური განვითარებისა და გლობალური სტაბილურობის იმედებს ჩვენს საუკუნეში.

ოთხმოცდაათიან წლებში ანტივირუსული მედიკამენტების განვითარებას, რომელიც შიდსის დაავადებას მკურნალობს (მაგრამ არ კურნავს) და რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა განვითარებადი მსოფლიოს შიდსით დაავადებულ მოქალაქეთა სიკვდილიანობის დონე, გაცხარებული კამათი მოჰყვა, ერთი მხრივ, აფრიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერებსა და, მეორე მხრივ, ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელ მთავარ ქვეყნებს შორის. რამდენადაც აფრიკის სახელმწიფოთა მთავრობები ვერ ახერხებდნენ ამ ძვირად ღირებული მედიკამენტების შეძენას, მათ მოითხოვეს, რომ ადგილობრივი კომპანიებისთვის მიეცათ შიდსის საწინააღმდეგო წამლების წარმოების, ან იაფი ხარისხიანი მედიკამენტების იმპორტის უფლება. ფარმაცევტული კომპანიები, შეერთებული შტატების მხარდამჭერით, აცხადებდნენ, რომ მათი საავტორო უფლებების ამგვარი დარღვევა მათ მეტად ძვირად ღირებული კვლევების ჩატარების სტიმულს წაართმევდა, რომლის შედეგიც იყო ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის წამლების მიგნება და წარმოება. მეოცე საუკუნის მინურულს, ფარმაცევტული კომპანიები (და მათი მხარდამჭერები შეერთებული შტატების მთავრობაში) დაჰყვნენ ზენოლას და დაავადებასთან საბრძოლველად იაფი, ხარისხიანი მედიკამენტების იმპორტის ნება გასცეს. ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებში კი რამდენიმე დასავლურმა ფარმა-

ცევტულმა ფირმამ რადიკალურად შეამცირა აფრიკისათვის განკუთვნილი ანტივირუსული მედიკამენტების ფასი.

ამ მედიკამენტების მიტანას იმ ადამიანებამდე, რომელთაც ისინი ყველაზე მეტად სჭირდებოდათ, ადგილობრივი სამედიცინო მუშაკების დეფიციტი და კონტინენტის შორეულ კუთხეებში მედიკამენტების გადაზიდვის სირთულეები უშლიდა ხელს. 2003 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ წამოიწყო ამბიციური პროექტი, რომელიც განვითარებად სამყაროში, განსაკუთრებით კი აფრიკაში, მცხოვრები სამი მილიონი დაავადებული ადამიანისათვის 2 წლის განმავლობაში ანტივირუსული პრეპარატების მიწოდებას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივით გათვალისწინებული ამბიციური მიზნები ვერ განხორციელდა, რვაჯერ გაიზარდა დაავადებული ადამიანებისათვის ანტივირუსული მედიკამენტების მიწოდება. ამასობაში, რამდენიმე აფრიკული სახელმწიფოს მთავრობებმა პრეზერვატივის ხმარებისა და შემთხვევითი სქესობრივი კავშირების შემცირების აქტიური კამპანია წამოიწყეს, რასაც რამდენიმე ქვეყანაში დაავადებათა რაოდენობის კლება მოჰყვა. ამ ძალისხმევების მიუხედავად, ჩვენი საუკუნის დასაწყისში შიდსი სუბსაჰარულ აფრიკაში სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად რჩებოდა.



ახლო აღმოსავლეთი:
 მშვიდობის, კეთილდღეობისა და
 სტაბილურობის უშედეგო ძიება



პალესტინელი მებრძოლი ლიბანში გააფთრებულ ძალადობასა და პოლიტიკურ ქაოსში მონინალმდეგებს ეძებს. ეს ერთ დროს მშვიდობიანი ქვეყანა, 1982 წელს მის ტერიტორიაზე ისრაელის შეჭრის შემდეგ, გაცხარებულ ბრძოლებში ჩათრეული აღმოჩნდა. ლიბანის მთავრობამ ვერ მოახერხა კონტროლის შენარჩუნება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, რომელსაც უცხოურმა სამხედრო შენაერთებმა და ადგილობრივმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა გადაუარეს: 30 000-კაციანმა სირიის არმიამ, ისრაელის თავდაცვის ძალების 78 000-მა ჯარისკაცმა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის 15 000-მა მებრძოლმა და ასევე ქრისტიანმა, შიიტმა და დრუზების შეიარაღებულმა რაზმებმა. დაპირისპირებულ არმიებსა და შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის შეტაკებებისას 18 000 ლიბანელი სამოქალაქო პირი დაიღუპა.

თავის შინაარსი

საარსათის ყურის ომი და მისი შედეგები

ირანის პოლიტიკური რეფორმებიდან გირთვულ ავბიციუბამდე

ისრაელ-პალესტინის სამშვიდოგო პროცესის განახლება

სამშვიდოგო პროცესის ჩახლა


როდესაც ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მოსკოვი და ვაშინგტონი ახლო აღმოსავლეთში საკუთარ კლიენტ სახელმწიფოებს შორის რეგიონული დაპირისპირებების განეიტრალებისათვის თანამშრომლობდნენ. საბჭოთა კავშირი სირიასა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციაზე ახდენდა ზენოლას, რათა ამ უკანასკნელთ უარი ეთქვათ ძალის გამოყენებით გამარჯვების მიღწევაზე და ისრაელთან მოლაპარაკებების გზით შეთანხმება ეძიათ. შეერთებული შტატები კი დაბეჯითებით სთხოვდა ებრაელთა სახელმწიფოს, უარი ეთქვა ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიაზე და იქ ებრაელთა დასახლებების მშენებლობა შეეწყვიტა. ვითარება გაართულა 1987 წლის დეკემბერში პალესტინელთა მოულოდნელმა სამხედრო აჯანყებამ (ინტიფადამ) დასავლეთ სანაპიროსა და ლაზაში, რომელიც, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარუმატებლობიდან გამომდინარე, სპონტანურ რეაქციას წარმოადგენდა. ინტიფადამ ასევე ცხადი გახადა, რომ პალესტინელები აღარ ენდობოდნენ პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციასა და არაბულ სახელმწიფოებს და ისრაელის ოკუპაციის დასრულების მიზნის მისაღწევად სადავების საკუთარ ხელში აღება სურდათ. 1988 წლის აგვისტოში ირან-ერაყის ომში გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, არაბული სამყაროსა და მსოფლიოს ყურადღება ისევ პალესტინის პრობლემისაკენ მიემართა. სამოქალაქო აჯანყების საფრთხეს, რომელიც ქვების სროლითა და ცეცხლის წაკიდებით გამოიხატებოდა, ისრაელმა მკაცრი ღონისძიებების გატარებით უპასუხა, რასაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მწვავე რეაქცია მოჰყვა, მათ შორის იყო ისრაელის ამერიკელი მფარველების მკაცრი შეფასებები და მოლაპარაკებების კვლავ დაწყებისათვის ზენოლის განახლება.

მაშინ, როდესაც მოსკოვმა სირიასა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას მხარდაჭერა შეუმცირა, საბჭოთა ებრაელებს კი ისრაელში რეკორდული რაოდენობით ემიგრაციის უფლება მისცა, ბუშის ადმინისტრაცია მოთმინებას კარგავდა იერუსალიმში იცქაკ შამირის შეურყეველი პოზიციის გამო, რომელიც უარს ამბობდა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციასთან მოლაპარაკებასა და დასავლეთ სანაპიროზე ნებისმიერი სახის პალესტინური პოლიტიკური ერთეულის შექმნის განხილვაზე. როდესაც პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია ოფიციალურად მიუერთდა

გაეროს 242-ე რეზოლუციას, აღიარა ისრაელის მშვიდობიანი და უსაფრთხო არსებობის უფლება და უარი თქვა ტერორიზმზე, შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა პალესტინური ორგანიზაციის ბოიკოტი და ტუნისში პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს შეუდგა. ეგვიპტეც ოფიციალურად დაუბრუნდა არაბთა ლიგას 1989 წლის კასაბლანკას სამიტზე ისე, რომ მას ისრაელთან 1979 წელს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე უარის თქმა არ მოუწია, რითაც სხვა არაბულმა სახელმწიფოებმაც ებრაულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებების წარმოების ლეგიტიმურობა ირიბად აღიარეს. არაბულ სამყაროში იზოლირებული და საბჭოთა მფარველისაგან მიტოვებული სირია იძულებული იყო, ეგვიპტესთან ურთიერთობების დაახლოებას შესდგომოდა და ანტიისრაელური რიტორიკაც შეერბილებინა. ახალი ათწლეულის დაწყების წინ ირან-ერაყის ომის დასრულების, ეგვიპტის არაბულ ბანაკში დაბრუნებისა და მტკიცე პოზიციის მქონე სირიის იზოლაციის შედეგად, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და სტაბილურობის პერსპექტივები პირველად გამოიყურებოდა იმედის მომცემად 1982-1983 წლების ლიბანის კრიზისის შემდეგ.

საარსათის ყურის ომი და მისი შედეგები

მეოცე საუკუნის მიწურულს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური სურათი ფუნდამენტურად შეცვალა 1990 წლის ზაფხულში ერაყის ნავთობით მდიდარი მეზობელი ქუვეითის საამიროს დაპყრობამ და ანექსიამ. თავდაპირველად ერაყის მთავრობამ ბალდადში ქუვეითის დაპყრობა არა მხოლოდ ოსმალეთის იმპერიის დროინდელი ტერიტორიული დავებით გაამართლა, არამედ უფრო გვიანდელ წყენასაც დაუკავშირა. ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი ბრალს სდებდა საამიროს სამეფო ოჯახს, რომ მათ საფრთხე შეუქმნეს ერაყის ეკონომიკას ნავთობის წარმოების ზრდის გზით ამ რესურსზე მსოფლიო ფასების შემცირების გამოწვევით, ერაყული საბადოების მიმართულების ქუვეითის ტერიტორიისაკენ უკანონოდ შეცვლით და ირანთან რვანლიანი ომის დროს ერაყის მიერ აღებული ვალების ჩამონერაზე უარის თქმით. მაგრამ, როდესაც ბუშის ადმინისტრაციამ მოკლე დროში შეძლო გაეროს უშიშროების საბჭოს დარწმუნება ჯერ ერაყის წინააღმდეგ ფართო ეკონომიკური სანქციების შემოღებაში და შემდგომ ქუვეითიდან ერაყის ჯარების განსადევნად სამხედრო ძალების გამოყენების მიზანშეწონილობაში, თუკი ერაყი 1991 წლის 15 იანვრამდე არ დატოვებდა ქუვეითის ტერიტორიას, სადამ ჰუსეინმა გარდაუვალი კონფრონტაცია დასავლეთთან და რეგიონში მის მოკავშირე ისრაელთან, არაბ-მუსლიმთა „წმინდა ომად“ შეაფასა. ყოფილი მონინააღმდეგისაგან (და ერაყის ყოფილი მფარველისა და დონორისგან) – მოსკოვისგან – დიპლომატიური მხარდაჭერის მიღების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთში მოკლე დროში მოუყარა თავი სა-



ახლო აღმოსავლეთი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე

მხედრო ძალებს, რომელიც ნატო-ში მისი მოკავშირეების (დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) და ასევე იმ არაბული სახელმწიფოების (ეგვიპტე, საუდის არაბეთი და სირია) სამხედრო ძალებისაგან შედგებოდა, რომელთაც რეგიონ-ში ერაყის ჰეგემონიის თავიდან აცილება სურდათ. ქუვეითის ევაკუაციასთან დაკავშირებით გაეროს მიერ მიცემული ვადის ამონურვის შემდეგ, სამხედრო კოალიციამ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, ერაყის სამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ გამანადგურებელი საჰაერო კამპანია წამოიწყო, რასაც სამხრეთ ერაყსა და ქუვეითში სახმელეთო იერიშიც მოჰყვა. სამხედრო კამპანია სწრაფი სამხედრო ტრიუმფით დასრულდა, რის შედეგადაც ერაყის



ოპერაცია „უდაბნოს ფარი“: პირველი ბატალიონის, 325-ე სადესანტო ქვეითთა პოლკის მებრძოლები ნაღმმტყორცნით სარგებლობას განუმარტავენ საუდის არაბეთის ეროვნული გვარდიის მეომრებს, 1990 წელი: შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთის მეფე ფაჰდის თხოვნით, ვიეტნამის ომის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია წარგზავნა, რათა, ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის შემდეგ, საუდის არაბეთის სამეფოს ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდება არ დაეშვა. ამერიკელები საუდის არაბეთში ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ დასრულების შემდეგაც დარჩნენ. ამან საუდის არაბ დისიდენტ ოსამა ბინ ლადენს შეერთებული შტატების წინააღმდეგ ტერორის კამპანიის მოწყობისაკენ უბიძგა, რადგან, როგორც თავად ამბობდა, ამერიკელი „ურწმუნო“ ჯარისკაცები ქვეყანაში ყოფნით ისლამურ წმინდა ადგილებს – მექასა და მედინას – ბილწავდნენ.

ჯარებმა ქუვეითი დატოვეს, ხოლო სადამ ჰუსეინის გეგმებს სპარსეთის ყურეში ექსპანსიისა და არაბულ სამყაროში ლიდერობის მისაღწევად განხორციელება აღარ ეწერა.

სპარსეთის ყურის ომის შედეგებმა მნიშვნელოვნად გაამყარა ვაშინგტონის, როგორც ახლო აღმოსავლეთის მფარველისა და პროტექტორის, პოზიცია. იმის მიუხედავად, რომ საუდის არაბეთმა და ქუვეითმა ომთან დაკავშირებული ხარჯების დიდი ნაწილი – 71 მილიარდი დოლარი, ხოლო შეერთებულმა შტატებმა 7.4 მილიარდი დოლარი გადაიხადა,⁶ გამარჯვებული კოალიციის და შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მობილიზება

⁶ იაპონიამ და გერმანიამ, რომელთაც, მეორე მსოფლიო ომის მემკვიდრეობის გამო, სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ, გაეროს ოპერაციაში დანარჩენი ხარჯების გადახდით შეიტანეს წვლილი.

ამერიკული დიპლომატიის დამსახურება იყო. წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლამ შეერთებული შტატები მეტოქის გარეშე დატოვა მსოფლიოს ამ ნავთობით მდიდარ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწილში. ერაყმა კი ბრძოლის ველზე დამამცირებელი დამარცხება განიცადა და გაეროშიც სრულ დიპლომატიურ იზოლაციაში მოექცა. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ სადამ ჰუსეინის რეჟიმს მაღალი ფინანსური ჯარიმები და ერაყის სუვერენიტეტის შემლახველი დამამცირებელი ზომები დააკისრა: გაეროს უშიშროების საბჭომ ერაყისგან მიიღო პირობა, რომ ომისათვის, რეპარაციების სახით, ქუვეითს მოლიარდობით დოლარს გადაუხდოდა მისი ოკუპაციისას მიყენებული ზარალის ასანახლაურებლად. ერაყულ ნავთობზე საერთაშორისო ემბარგო კი სადამს ქვეყნის განადგურებული ეკონომიკისათვის აუცილებელი იმპორტის დაფინანსების საშუალებასაც აღარ აძლევდა.

ამის მიუხედავად, დამარცხებული ერაყი მთლიანად არ გამქრალა სპარსეთის ყურიდან, როგორც რეგიონული მნიშვნელობის სახელმწიფო. მხოლოდ ასსაათიანი სახმელეთო ბრძოლის შემდეგ დაზავებამ მისცა საშუალება სადამის ელიტარულ პირად არმიას – რესპუბლიკურ გვარდიას – ფაქტობრივად, უვნებლად გადარჩენილიყო. ამ დიდმა სამხედრო არმიამ ჰუსეინს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და საკუთარი პოლიტიკური ავტორიტეტის შენარჩუნების საშუალება მისცა, რასაც მან ჩრდილოეთში ქურთი სეპარატისტების გამოსვლების, სამხრეთში შიიტების ამბოხების და საკუთარი არმიის შიგნით დისიდენტების სასტიკად ჩახშობის გზით მიაღწია.

კატათაგვობანა მასობრივი განადგურების იარაღის ირგვლივ

მას შემდეგ, რაც ერაყმა ირანთან ომის დროს ქიმიური იარაღი გამოიყენა, ფართოდ გავრცელდა ეჭვი, რომ ის ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის შექმნასაც ცდილობდა. შესაბამისად, ერაყში გაიგზავნა გაეროს განიარაღების სპეციალური კომისია (UNSCOM) მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი მწარმოებელი ქარხნების აღმოსაჩენად და მათ განადგურებაზე ზედამხედველობის მიზნით. ათწლეულის ბოლომდე ერაყი კატათაგვობანას ეთამაშებოდა გაეროს განიარაღების სპეციალურ კომისიას (UNSCOM), რომელიც ქვეყანაში ამ აკრძალული იარაღის გამოვლენას ცდილობდა. მაშინ, როდესაც ერაყი გაეროს განიარაღების სპეციალურ კომისიასთან (UNSCOM) თანამშრომლობას აჭიანურებდა, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივმოქმედ წევრს ერაყის საკითხზე განსხვავებული პოზიცია ჩამოუყალიბდათ. როდესაც კომისიამ (UNSCOM) 1997 წელს ერაყის მხრიდან ობსტრუქციონიზმის შესახებ განაცხადა და, მისთვის თანამშრომლობის იძულების მიზნით, გაეროს ქმედითი ღონისძიებების გატარება მოითხოვა, რუსეთმა, ჩინეთმა და საფრანგეთმა წინააღმდეგობა გამოხატეს ეკონომიკური სანქციების გაფართოების შესახებ ანგლოამერიკული წინადადების მიმართ, რომელიც, სურსა-

თისა და მედიკამენტების გარდა, ერაყში ყველა სახის იმპორტის აკრძალვას ითვალისწინებდა. პრეზიდენტმა ჰუსეინმა ისარგებლა ამ განხეთქილებით და ქვეყნიდან გაეროს განიარაღების სპეციალური კომისიის (UNSCOM) ყველა ამერიკელი წევრი გააძევა და მათ საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობა დააბრალა, რის შედეგადაც კომისიის მუშაობა შეწყდა.

მაშინ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა სპარსეთის ყურეში სამხედრო და საზღვაო ბაზების გაძლიერება დაიწყეს და ინსპექტირების გაუგრძელებლობის შემთხვევაში სამხედრო ქმედებებით იმუქრებოდნენ, ერაყის ლიდერი კვლავ უარს ამბობდა ზოგიერთ „საპრეზიდენტო ობიექტზე“ გაეროს განიარაღების სპეციალური კომისიის (UNSCOM) დაშვებაზე, სადაც, გაეროს ექსპერტების აზრით, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი ინახებოდა. 1998 წელს შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მოთმინება დაკარგეს და ბომბდამშენებისა და ფრთოსანი რაკეტებით ერაყის წინააღმდეგ ოთხდღიანი სამხედრო შეტევა განახორციელეს, რომელიც მიმართული იყო არა მხოლოდ იარაღის წარმოების შესაძლო ობიექტების, არამედ ერაყის რეჟიმის პოლიტიკური და სამხედრო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგაც, რაც ერაყის მთავრობის დამხობის შესახებ ვაშინგტონისა და ლონდონის მტკიცე გადაწყვეტილებაზე მიანიშნებდა. ისინი სამხედრო დახმარებას უწევდნენ ასევე ერაყის ოპოზიციურ მოძრაობასა და ორ ძირითად ქურთულ პარტიას. ანგლოამერიკულ საჰაერო სამხედრო კამპანიას და პოლიტიკურ ომს ჰუსეინმა გაეროს განიარაღების სპეციალურ კომისიასთან (UNSCOM) თანამშრომლობის სრული შეწყვეტითა და კომისიის ქვეყნიდან გაძევებით უპასუხა. ამერიკული და ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავები ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთში საჰაერო აკრძალვის ზონის (no-fly zone) პატრულირებას განაგრძობდნენ, რომელიც სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ერაყელი დიქტატორის რისხვისგან ქურთული და შიიტი მოსახლეობის დაცვის მიზნით დაწესდა. მასობრივი განადგურების იარაღის ინსპექტირება ისე დასრულდა, რომ ერაყში ამ იარაღის არსებობის შესახებ ეჭვები არ გაფანტულა.*

ირანის პოლიტიკური რეჟიმებიდან გირთვულ აგზიციებაზე

ომისშემდგომმა ეკონომიკურმა და სამხედრო სანქციებმა, დროებით მაინც, მოათვინიერა ბალდადის ბაასისტური რეჟიმი და რეგიონული სტაბილურობის უშუალო საფრთხე თეირანის ფუნდამენტალისტი ისლამური რეჟიმის მხრიდანაც თანდათან მინელდა. 1989 წელს აიათოლა რუჰოლა

* ამ ეჭვის უსაფუძვლობა 2003 წელს შეერთებული შტატების ერაყში შეჭრის შემდეგ დადასტურდა, როდესაც დაზვერვის სამსახურების გასაკვირად აღმოჩნდა, რომ ერაყის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის არსენალი წინა ათწლეულში განადგურებულიყო, ხოლო ბირთვული პროგრამა მხოლოდ საწყის ეტაპზე იმყოფებოდა.

ხომეინის სიკვდილმა, რომელიც ისლამურ რესპუბლიკას სულიერი და პოლიტიკური ძალაუფლების უნიკალური კომბინაციის მეშვეობით მართავდა, ირანში ძალაუფლების უზარმაზარი ვაკუუმი დატოვა. უმაღლესი ლიდერის თანამდებობაზე ხომეინი აიათოლა ალი ხამენეიმ შეცვალა, თუმცა, სახელმწიფოს აპარატის მართვის რეალური ფუნქცია პარლამენტის ყოფილ სპიკერზე, ჰოჯათოლესლამ ჰაშემი რაფსანჯანიზე გადავიდა, რომელმაც ხამენეი პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა. პრაგმატულად განწყობილმა რაფსანჯანიმ და მისმა ტექნოკრატთა გუნდმა ხომეინის ბევრ ორთოდოქსულ ისლამურ პრინციპზე უარი თქვეს, რათა მოდერნიზაციის პოლიტიკა გაეტარებინათ სახელმწიფოში, რომელსაც რეგიონული გავლენის გაფართოება და ეკონომიკური ზრდის მიღწევა სურდა. როდესაც ყურანის ან შარიათის ცნებები თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა – მაგალითად, კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის აკრძალვა – თეოლოგიური დოქტრინა სულ უფრო და უფრო ემორჩილებოდა თანამედროვეობის მოთხოვნებს.

ხომეინის მემკვიდრეთა პრიორიტეტების ამ ცვლილებამ, რომელიც მტრულად განაწყობდა აიათოლას მკაცრი შიიტური თეოკრატიის ერთგულ მომხრეებს, სახე უცვალა იმ მილიტარიზმს, რომელიც ირანის უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობებს 1978-79 წლების რევოლუციის შემდეგ ახასიათებდა. რაფსანჯანიმ სპარსეთის ყურის ომის დროს იმის ნაცვლად, რომ ბაღდადში ყოფილი მტრის თავს დატეხილი უბედურებით ესარგებლა, რეგიონში ირანის გავლენის გაფართოებაზე ეზრუნა და ამით შეერთებული შტატების კოალიციის ომისშემდგომი გეგმების განხორციელება გაერთულებინა, ზედმინევენიტ დაიცვა ნეიტრალიტეტი. ირანის ომისგან განადგურებული ეკონომიკის საშველად უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოსაზიდად, იგი დასავლეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას შეეცადა და ამ მიზნით ლიბანში ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰიზბოლას მოძრაობა აიძულა, გაეთავისუფლებინა რამდენიმე ამერიკელი და ბრიტანელი ტყვე. 1997 წლის არჩევნებში ირანის რეფორმატორმა ჯგუფებმა ძველი ორთოდოქსული პოლიტიკის წარმომადგენლების წინააღმდეგ უდიდეს გამარჯვებას მიაღწიეს, როდესაც პროგრესული კლერიკალი მოჰამედ ხათამი მოულოდნელად ხმათა 70%-ით იქნა არჩეული ქვეყნის პრეზიდენტად. ირანის სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა დასავლეთთან შერიგების გაბედული წინადადება წამოაყენა და მხარი დაუჭირა კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვასა და ქვეყანაში უცხოური კულტურული გავლენის გავრცელებას. პრეზიდენტის ამ პროგრესულმა რიტორიკამ იგი ქვეყნის კონსერვატიულ, ანტიდასავლურ უმაღლეს ლიდერ აიათოლა ხამენეისა და ხომეინის მემკვიდრეობის ერთგულ მის თანამოაზრეებს დააპირისპირა. ახალი საუკუნის დასაწყისში ორთოდოქსმა კლერიკალებმა კვლავ დაიბრუნეს წამყვანი პოზიცია ირანში და ხათამის

პოლიტიკური რეფორმებისათვის ხელის შეშლასა და კვლავ დასავლეთისადმი მტრული ხომეინის დროინდელი პოლიტიკის დამკვიდრებას შეუდგნენ.

2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კლერიკალ კონსერვატორთა კანდიდატმა მოჰამად აჰმადინეჟადმა უფრო ზომიერი ყოფილი პრეზიდენტ რაფსანჯანის წინააღმდეგ გასაოცარი გამარჯვება მოიპოვა. სახელმწიფოს ახალი მეთაური ისლამის მესიანისტურ დანიშნულებაზე ალაპარაკდა და მტრად გადაიკიდა შეერთებული შტატებიცა და ისრაელიც, როდესაც ისრაელის სახელმწიფოს განადგურება მოითხოვა და როდესაც ჰოლოკოსტს მითი უწოდა. მაგრამ შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების გალიზიანება განსაკუთრებით თეირანის ორმა პოლიტიკამ გამოიწვია. პირველ რიგში, ეს იყო ირანის მთავრობის გადანყვეტილება ურანის გამდიდრების პროგრამის გაღრმავების შესახებ, რომელზე მუშაობა ჯერ კიდევ წინა მთავრობას ჰქონდა დაწყებული. მართალია, აჰმადინეჟადი ამტკიცებდა, რომ ეს პროგრამა, ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, სამოქალაქო ბირთვული მრეწველობის განვითარებისაკენ იყო გამიზნული, მაგრამ დასავლეთის სადაზვერვო სამსახურები ეჭვობდნენ, რომ პროგრამის ნამდვილი მიზანი ბირთვული იარაღის შექმნა იყო. მეორე საკითხი, რომელიც დასავლეთის უკმაყოფილებას იწვევდა, ირანის მთავრობის მიერ სამხრეთ ლიბანში შიიტური მოძრაობა ჰიზბოლას მხარდაჭერა იყო, რომელსაც თეირანი იარაღის ფართო არჩევანით ამარაგებდა (მათ შორის რაკეტებით, რომლებსაც ისრაელის წინააღმდეგ იყენებდნენ).

ირანი პერიოდულად აჩერებდა ურანის გამდიდრების პროგრამას ე.წ. ევროკავშირის სამეულის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) მიერ შეთავაზებული, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული და ეკონომიკური ხასიათის ინიციატივების სანაცვლოდ. აღნიშნულ სამეულს ირანთან პრობლემის მოსაგვარებლად მოლაპარაკებების უფლებამოსილება ბუშის ადმინისტრაციისგან ჰქონდა მინიჭებული. თუმცა, შეთანხმების დეტალებზე უთანხმოების გაჩენისთანავე, ირანი კვლავ უბრუნდებოდა ბირთვული პროგრამის განვითარებას. ირანის მხრიდან პროცესის ასეთ გაჭიანურებაზე საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა გაეროს უშიშროების საბჭოსგან პირველი რეზოლუციის მიღებას მიაღწია, რომელიც, ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტაზე უარის გამო, ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა. რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც თავდაპირველად თავს იკავებდნენ სანქციების მხარდაჭერისგან, შეერთებულ შტატებსა და მის ევროპელ მოკავშირეებს შეუერთდნენ. ისრაელი კი რეგულარულად მიანიშნებდა, რომ ის, შესაძლოა, იძულებული გამხდარიყო, წინმსწრები იერიში მიეტანა ირანის ახალბედა ბირთვულ ობიექტებზე, როგორც მან ეს ერაყის ახლადდაწყებული ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ 1981 წელს გააკეთა.

ამასობაში, შეერთებული შტატების მიერ ერაყის ოკუპაცია მომგებიანი აღმოჩნდა ირანისათვის ორი მიზეზით. ერაყში მასობრივი განადგურების

იარაღის აღმოჩენის კუთხით განცდილმა მარცხმა შეერთებული შტატების სადაზვერვო სააგენტოების დამაჯერებლობა დააზარალა და, შესაბამისად, საფუძველი შეურყია ირანის წინააღმდეგ წინსმნრები სამხედრო მოქმედების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სადამ ჰუსეინის დამხობით ირანი ყველაზე დიდი მტრისგან გათავისუფლდა. როდესაც ბაღდადში სადამის სუნიტური სეკულარული მთავრობა შიიტების მიერ კონტროლირებადმა მთავრობამ ჩაანაცვლა, ერაყმა თეირანის მეგობარ შიიტურ ელიტასთან გულითადი ურთიერთობები დაამყარა. ზოგიერთ დასავლელ ანალიტიკოსს მიაჩნდა, რომ ირანი მალე განახორციელებდა საკუთარ გაბედულ განზრახვას და ერაყიდან ამერიკული სამხედრო ძალების გასვლისთანავე სპარსეთის ყურეში ჰეგემონიას მიაღწევდა. ირანმა უკვე გამოსცადა რაკეტები, რომლებიც ამერიკის მოკავშირეების – საუდის არაბეთისა და ისრაელის – ტერიტორიებს აღწევს. თეირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა კი მონინააღმდეგეების მხრიდან შესაძლო სამხედრო იერიშის ეფექტურ შემაკავებელ ფაქტორს შექმნის და სპარსეთის ყურეში ირანის რეგიონულ ამბიციებს გაამყარებს.

ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესის განახლება

1991 წლის ზაფხულში ერაყის წინააღმდეგ მულტინაციონალური სამხედრო ოპერაციის დადებითი ეფექტი ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს შორის სამშვიდობო პროცესზე ამ ოპერაციის გაუთვალისწინებელი შედეგი იყო. არაბ-ისრაელის სამშვიდობო პროცესი 1982 წელს ისრაელის მიერ ლიბანის დაპყრობის შემდეგ, ჩიხში იყო შესული. პირველ რიგში, ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციამ არაბი სახელმწიფოების ერთიანობა შეარყია: პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია, იორდანია და ლიბია ბაღდადს უჭერდნენ მხარს; სირია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის მცირე ქვეყნები კი ერაყის წინააღმდეგ დასავლეთის კოალიციას შეუერთდნენ. არაფატის მიერ სადამ ჰუსეინზე აგრესიის მხარდაჭერაზე საპასუხოდ, საუდის არაბეთმა და ქუვეითმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს უხვი ფინანსური სუბსიდიები, რომლითაც ისინი პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას ამარაგებდნენ. არაბულ სახელმწიფოებს შორის განხეთქილება, სპარსეთის ყურის ნავთობის შემოსავლებიდან მიღებული დაფინანსების გარეშე დარჩენილი პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის დასუსტება და დაშლის პირას მყოფი კომუნისტური ბლოკისგან სირიისა და ერაყისათვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების შეწყვეტა ისრაელს უსაფრთხოების უპრეცედენტო ხარისხს სთავაზობდა. იმის მიუხედავად, რომ შექმნილმა ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა გარემომ პრემიერმინისტრ იცხაჟ შამირის უკომპრომისო ლიკუდის პარტიის ურყევი პოზიცია ვერ შეცვალა, ისრაელის საზოგადოებამ მალევე შენიშნა, მანამდე მონოლითური საფრთხის მატარებელ არაბულ სამყაროში შექმნილი არეულობიდან გამომდინარე, ხელსაყრე-

ლი ვითარება. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელიც სპარსეთის ყურის კეთილისმყოფელებისა და კრემლის სპონსორების დაკარგვით დასუსტებულიყო, უფრო მზად იყო კომპრომისებისათვის, ვიდრე ოდესმე. ასადის სირიაც, რომელიც ასევე საბჭოთა ეკონომიკური დახმარებისა და პოლიტიკური მფარველობის გარეშე დარჩენილიყო, უფრო იოლად მორჩილდებოდა ამერიკის ზენოლას, რომლისგანაც, როგორც ერთადერთი დარჩენილი ზესახელმწიფოსაგან, სირია საკომპენსაციო მხარდაჭერას ელოდა.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც პრეზიდენტმა ბუშმა და მისმა სახელმწიფო მდივანმა, ჯეიმს ბეიკერმა, 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ რთულად წარმოსადგენი კოალიციის შეკრება და შენარჩუნება შეძლეს, მათ მიერ მიცემული პირობა იყო, რომ სპარსეთის ყურის ომის შემდეგ არაბ-ისრაელელთა კონფლიქტის ორმხრივად მისაღები გზით მოგვარებას შეუწყობდა ხელს. ისრაელი დიდი ხნის განმავლობაში არიდებდა თავს ტუნისში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას, რადგან მიაჩნდა, რომ ამ ორგანიზაციას პოლიტიკური მიზნების მიღწევა მხოლოდ ძალადობის გზით წარმოედგინა და ეჭვობდა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის საბოლოო მიზანი ახლო აღმოსავლეთის რუკიდან ისრაელის გაქრობა იყო. სპარსეთის ყურის ომის დროს არაფატიის მიერ სადამ ჰუსეინის პოზიციის მხარდაჭერა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ისრაელის ქალაქებს „სკადის“ ტიპის რაკეტებით ბომბავდა, ისრაელის ამ ეჭვს ამყარებდა. სპარსეთის ყურის შემდეგ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკურმა სისუსტემ ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე პალესტინის ადგილობრივი ხელმძღვანელობის პრესტიჟი გაამყარა. შესაბამისად, ბუშის ადმინისტრაციამ წარმატებით დაარწმუნა შედარებით ზომიერ პალესტინელთა ჯგუფი, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან, შეხვედროდნენ ისრაელის დელეგაციას მადრიდში 1991 წლის ოქტომბრის ბოლოს, როგორც ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე იორდანის ოფიციალური დელეგაციის ნაწილი. 1992 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე ბეიკერმა ვაშინგტონში კოორდინაცია გაუწია არაბულ სახელმწიფოთა და ისრაელს შორის ორმხრივ შეხვედრებს ისეთი ყოვლისმომცველი შეთანხმების მისაღწევად, რომელიც მიუწევდომელი რჩებოდა ამერიკის ადმინისტრაციებისათვის მას შემდეგ, რაც ჯიმი კარტერმა 1978 წელს კემპ დევიდში წინასწარი და ნაწილობრივი გარღვევა მოახდინა.

ამერიკელთა ამ ენერგიული დიპლომატიური ძალისხმევების მიუხედავად, მადრიდისა და ვაშინგტონის შეხვედრებს ორი, მეტად პრობლემატური, ფაქტორი აბრკოლებდა: ერთი არსებითი, მეორე კი პროცედურული. ისრაელ-პალესტინის პრობლემის მოგვარების არსებითი დაბრკოლება დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის პოლიტიკური სტატუსი იყო: 1990 წლის მარტ-

ში ისრაელის მმართველი კოალიციიდან ლეიბორისტული პარტიის გასვლის შემდეგ, ლიკუდის მთავრობა ამ ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ებრაელი მოსახლეებისათვის საცხოვრებლების მშენებლობას შეუდგა, რაც ამ ორი ტერიტორიის მეტწილად არაბი მოსახლეობისათვის ავტონომიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინიციატივის განხილვას, ბუნებრივია, ართულებდა. შამირი ჯიუტად გამორიცხავდა ტერიტორიულ კომპრომისებზე სერიოზულ საუბარს, რადგან მინის არცერთი სანტიმეტრის დათმობას არ აპირებდა იქიდან, რასაც იგი ისრაელის ისტორიულად განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. მოლაპარაკებებში პროცედურული დაბრკოლება ის იყო, რომ მასში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია არ მონაწილეობდა. სპარსეთის ყურის ომის შემდეგ დროებით გაუჩინარებული არაფატიის ორგანიზაცია კვლავ პალესტინის ეროვნული მიზნების ყველაზე პოპულარულ მხარდამჭერად რჩებოდა საკუთარი ხალხის თვალში. რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო შამირის სიძულვილი ამ მოძრაობისა და მისი ქარიზმატული ლიდერის მიმართ, ისრაელსა და პალესტინას შორის ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება წარმოუდგენელი იყო გადაწყვეტილებაზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელის გარეშე.

1992 წლის განმავლობაში პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში ისე შეიცვალა, რომ შეწყვეტილი მოლაპარაკებების განახლება კვლავ შესაძლებელი გახდა. პირველი მნიშვნელოვანი გარღვევა ისრაელთან სერიოზულ მოლაპარაკებებში სირიის უპრეცედენტო მონაწილეობას მოჰყვა. სირიის მონაწილეობა მოლაპარაკებებში კი მიუთითებდა ასადის მომეტებულ დაინტერესებას „მინა მშვიდობის სანაცვლოდ“ ფორმატის შეთანხმებით, რასაც, შესაძლოა, გოლანის მაღლობის სირიისათვის დაბრუნება მოჰყოლოდა (ისევე, როგორც სადათმა დაუბრუნა ეგვიპტეს სინას ნახევარკუნძული თხუთმეტი წლით ადრე) ებრაული სახელმწიფოს აღიარებისა და მისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემის სანაცვლოდ. მოლაპარაკებაში მეორე გარღვევა ისრაელში ივნისის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის გამარჯვებას მოჰყვა, რითაც იერუსალიმში მემარჯვენე ლიკუდის თხუთმეტწლიანი მმართველობა დასრულდა. ახალმა ლეიბორისტმა პრემიერმინისტრმა იცხაკ რაბინმა დაუყოვნებლივ შეცვალა შამირის პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ და იქ ებრაული დასახლებების მშენებლობა ნაწილობრივ შეაჩერა. კეთილი ნების ამ შესტმა არაბ დელეგატებთან უფრო პროდუქტიული საუბრის წარმართვას შეუნყო ხელი მოლაპარაკებებზე, რომელიც აგვისტოში, შეერთებული შტატების მხარდაჭერით, ვაშინგტონში განახლდა. ამ შესტის შედეგად, ასევე შესაძლებელი გახდა შეერთებული შტატების მიერ ათი მილიარდი დოლარის ღირებულების სასესხო გარანტიის გაცემა რუსი ებრაელების განსახლებისათვის ისრაელში. სესხის გაცემა ბუშის ადმინისტრაციას ჰქონდა შეჩერებული დასავლეთ სანა-

პიროსა და ლაზას სექტორში ლიკუდის მთავრობის მიერ სახლების პროვოკაციული მშენებლობისათვის სასჯელის სახით.

საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტ ბუშისა და მისი ენერგიული სახელმწიფო მდივნის მარცხმა დროებით შეაჩერა ახლო აღმოსავლეთზე მრავალმხარეთულებიანი მოლაპარაკებები, რომელსაც ჯეიმს ბეიკერი ჟონგლიორის ოსტატობით უძღვებოდა. ამასობაში, „მინა მშვიდობის სანაცვლოდ“ შეთანხმებას 115 000 მონინალმდევე გამოუჩნდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ებრაელი ახალმოსახლეების სახით, რომლებიც, ლიკუდის ნაქეზებით, თხუთმეტი წლის განმავლობაში გაშენებული ახალი დასახლებების მომავლის გამო შიშობდნენ. მეორე მხარეს, დასავლეთ სანაპიროსა და ლაზას სექტორში მოქმედი რადიკალური ისლამური დაჯგუფებები, როგორცაა ჰამასი და ისლამური ჯიჰადი, ხმამაღლა გამოხატდნენ არაბების შეხვედრებს ებრაული სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ვაშინგტონში, როგორც პალესტინური მიზნის ლალატს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისლამური ექსტრემისტების გავლენის ზრდა ტუნისში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ხარჯზე ხდებოდა, რომლის სტატუსი, არაბულ სამყაროში ზემოაღწერილი მოვლენების გამო, შესუსტებულიყო. სირიის გადაწყვეტილებას ახლო აღმოსავლეთის მოლაპარაკებებში მონაწილეობის შესახებ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სარდლობაშიც სერიოზული მითქმა-მოთქმა მოჰყვა. არაფატი შიშობდა, რომ ასადი ისრაელთან სადათის მსგავს ორმხრივ შეთანხმებას მიაღწევდა, რომლის თანახმად, დასავლეთ სანაპიროსა და ლაზაში პალესტინელთა მოთხოვნების ხარჯზე, გოლანის მალლობზე სირიის სუვერენიტეტი აღდგებოდა. ისრაელის დაჟინებული მოთხოვნა, რომ მოლაპარაკებები წარმართულიყო სხვადასხვა არაბულ დელეგაციასთან ცალ-ცალკე და ერთმანეთის მიყოლებით და არა ერთდროულად ერთ მრავალმხრივ ფორუმზე, ზრდიდა იმის რისკს, რომ არაბული სახელმწიფოები განირავდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად და ალტრუისტულად არ დაუჭერდნენ მხარს სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი პალესტინელებისათვის მშობლიური მიწით უზრუნველყოფას.

ყველასგან მიტოვების შიშმა არაფატი აიძულა, წინმსწრებად ეცადა ებრაელთა სახელმწიფოსთან საკუთარი შეთანხმების მიღწევა. ისრაელში განვითარებული ბოლო მოვლენებიც დიდი ხნის მტერთან საერთო ენის გამონახვას უწყობდა ხელს: ლეიბორისტული პარტია დიდი ხნის განმავლობაში უჭერდა მხარს პალესტინელებთან ტერიტორიული კომპრომისის იდეას, რასაც შამირი მყარად ეწინააღმდეგებოდა. იცხაკ რაბინმა, 1992 წლის ივნისში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რამდენჯერმე გამოთქვა თავისი მთავრობის დაინტერესება „მინა მშვიდობის სანაცვლოდ“ შეთანხმებით. სხვა-


დასხვა იდეოლოგიური მრწამსის მქონე ისრაელელები თანდათან გადალალა დასავლეთ სანაპიროსა და ლაზას ოკუპაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური და ფინანსური ტვირთის სიმძიმემ. მართალია, ინტიფადამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ისრაელის ძალაუფლების შესუსტება ვერ შეძლო, მაინც ცხადი გახდა შიდაარეულობის ის მუდმივი საფრთხე, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდებოდა ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიებზე პალესტინური მოსახლეობის შთამბეჭდავი ზრდის არსებული ტენდენციის პირობებში. დაბოლოს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რადიკალური ისლამური ჯგუფების ჩამოყალიბებამ, რომლებიც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას სიფრთხილისა და ზომიერებისათვის გამოხდნენ, არაფატის, როგორც ისრაელის ნომერი პირველი მტრის, რეპუტაცია ჰამასისა და ისლამური ჯიჰადის ფანატიკოსებზე უკეთესი ალტერნატივის რეპუტაციით შეცვალა.

გარღვევა მოლაპარაკებებზე ოსლოში და მოლაპარაკებების შედეგები

მაშინ, როდესაც ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებები ვაშინგტონში უშედეგოდ ამოიწურა, ისრაელის პრემიერმინისტრმა იცხაკ რაბინმა გადაწყვიტა, ეპასუხა არაფატისგან მომავალი სიგნალებისათვის და სირიის საკითხიდან პალესტინის, როგორც პრიორიტეტის, საკითხზე გადაერთო. ოსლოში ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოჰან იორგენ ჰოლსტმა ისრაელისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მცირერიცხოვან და უაღრესად შეკრულ დელეგაციებს შორის სრულიად საიდუმლო მოლაპარაკებები მოაწყო. 1993 წლის 20 აგვისტოს ისრაელისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პარაფირება გაუკეთეს ე.წ. ოსლოს პრინციპების დეკლარაციას, ხოლო 13 სექტემბერს არაფატმა და რაბინმა, პრეზიდენტ ბილ კლინტონის კეთილმოსურნე მზერის თანხლებით, ვაშინგტონში ისტორიულ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა ინფორმირებული იყო ოსლოში მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ, თუმცა, შეთანხმების პირობების შესახებ მხოლოდ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ შეიტყვეს. თეთრი სახლის ეზოში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და ისრაელის პრემიერმინისტრის ხელის ჩამორთმევის ამაღელვებელი სანახაობა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ისტორიაში გარდამტეხ მომენტს ასახავდა. ხელმოწერის ცერემონიამდე ხუთი დღით ადრე, რაბინმა და არაფატმა გაცვალეს წერილები, რომლებითაც ისრაელმა აღიარა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, როგორც პალესტინელი ხალხის ოფიციალური წარმომადგენელი, ხოლო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ დაადასტურა ისრაელის არსებობის უფლება და უარი თქვა ძალადობაზე, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაზე.


ისრაელსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის 1993 წელს დადებული პაქტის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი შესული იყო შეთანხმების იმ ნაწილში, რომელიც ორი ოკუპირებული ტერიტორიისა და მათი პალესტინელი უმრავლესობების პოლიტიკურ სტატუსს ეხებოდა. შეთანხმება ითვალისწინებდა ხუთწლიან გარდამავალ პერიოდს ღაზას სექტორზე და დასავლეთ სანაპიროს ქალაქ იერიქონსა და მის შემოგარენზე სუვერენიტეტის გადასაცემად. ამ შუალედურ პერიოდში, 1994 წელს დაარსებული პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია თანდათანობით გადაიბარებდა კონტროლს ამ ორი რეგიონის საშინაო საქმეებზე, ხოლო ისრაელი ინარჩუნებდა უფლებამოსილებას მათ საგარეო ურთიერთობებსა და ამ რეგიონებში დარჩენილი ებრაული დასახლებების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ბიუროკრატიული გაჭიანურებისა და ორივე მხარის უკომპრომისო ფრაქციების მხრიდან ძალადობრივი წინააღმდეგობის შემთხვევების მიუხედავად – მაგალითად, ქალაქ პევრონის მეჩეთში ფანატიკოსი ებრაელი მოსახლის მიერ ლოცვისას ოცდაერთი არაბის დახოცვა, პერიოდული თავდასხმები ებრაელ ჯარისკაცებზე, პაქტის მონინააღმდეგე რადიკალურ-ისლამისტი თვითმკვლელების მოწყობილი ტერაქტები – 1994 წელს ორივე მხარე განაგრძობდა შეთანხმების განხორციელებას. ისრაელელი სამხედროები და საჯარო მოსამსახურეები თანდათან უთმობდნენ საკუთარ ფუნქციებს პალესტინის ხელახლა დაარსებულ პოლიციასა და ადმინისტრაციულ დაწესებულებებს. მოგვიანებით, არაფატი ისტორიული ვიზიტით ეწვია ლტოლვილთა ბანაკებს ღაზაში, სადაც მას ხალხი მგზნებარე ოვაციებით შეეგება. საერთაშორისო დონორები და, პირველ რიგში, მსოფლიო ბანკი, საკმარისი საგადასახადო შემოსავლების მოგროვებამდე, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ბიუჯეტის დასაბალანსებლად სახსრებს გზავნიდნენ. როდესაც ხელისუფლების გადაცემის ეს პირველი ეტაპი დასრულდა, იასერ არაფატიმა, იცხაკ რაბინმა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა ერთად, 1994 წელს, ახლო აღმოსავლეთში ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად ინოვაციური ძალისხმევის გამო, მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღეს.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა და ისრაელის სამშვიდობო შეთანხმების მიერ გამოტოვებული საკითხები, რა თქმა უნდა, ყველაზე გადაუჭრელ პრობლემებს წარმოადგენდნენ. ერთ-ერთი ასეთი საკითხი იერუსალიმის – ებრაელთა და მუსლიმთა რწმენით, წმინდა ქალაქის – მომავალი სტატუსი იყო. იერუსალიმი ისრაელსა და იორდანიას შორის 1948 წელს გაიყო და, ბოლოს, ექვსდღიანი ომის შემდეგ, ისრაელის კონტროლის ქვეშ გაერთიანდა. მეორე პრობლემა პალესტინელი ლტოლვილებისა და მათი შთამომავლობის უკმაყოფილება იყო, რომლებმაც საკუთარი სახლები 1948 წელს პირველი არაბ-ისრაელის ომის დროს დატოვეს და ახლო აღმოსავლეთ-



ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის ნადრევი იმედი: ისრაელის პრემიერმინისტრი იცხაკ რაბინი და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი იასერ არაფატი, პრეზიდენტ ბილ კლინტონის თანდასწრებით, 1993 წლის 13 სექტემბერს, თეთრი სახლის ეზოში ხელს ართმევენ ერთმანეთს. ცერემონიაზე ხელი მოეწერა მანამდე ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მოლაპარაკებულ მშვიდობის პრინციპების დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებდა ღაზადან და დასავლეთ სანაპიროდან ისრაელის სამხედრო ძალების გაყვანას და 1999 წლის თებერვალში საბოლოო შეთანხმების მიღწევას. „სამშვიდობო პროცესი“ ურთიერთბრალდებების ფონზე თანდათან შენელდა და, კლინტონის საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე, მთლიანად ჩაიშალა.

თის ექვს სხვადასხვა ქვეყანაში დასახლდნენ, როგორც ბევრ მათგანს ეგონა, დროებით. მიიღებდნენ კი ისინი საკუთარ სამშობლოში დაბრუნების უფლებას? რა პირობებით? რა პოლიტიკური მომავალი არსებობდა დასავლეთ სანაპიროსთვის ქალაქ იერიქონის პალესტინური ანკლავის მიღმა? რამდენად შეიძლებოდა პოლიტიკური ავტონომიის პრინციპის გაფართოება ისე, რომ ისრაელის მოქალაქეებს უსაფრთხოების დამაჯერებელი გარანტიები არ დაეკარგათ? მომავალ მოლაპარაკებებს ასევე უნდა გადაეწყვიტა იმ უამრავი ებრაული დასახლების ბედი, რომლებიც მეტწილად არაბებით დასახლებულ დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული და რომელსაც ბევრი ისრაელელი მიესალმებოდა, როგორც ძველი ბიბლიური დროის ისრაელის აღდგენის პროცესის დასაწყისს, ხოლო არაბებისთვის კი ეს პალესტინის თვითგამორკვევის ხელის შემშლელ დაბრკოლებას წარმოადგენდა.



პალესტინა: დასავლეთი სანაპირო, ღაზა და პალესტინის მომავალი სახელმწიფოს კონტურები

ისრაელსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის ამ მიმდინარე საკითხების გარდა, გადასაწყვეტი რჩებოდა ებრაელთა სახელმწიფოსა და იორდანიასა თუ სირიას შორის ურთიერთობებიც. ამ მხრივ მთავარი გარღვევა 1994 წელს მოხდა, როდესაც იორდანიის მეფე ჰუსეინი

სწრაფად გაჰყვა არაფატიის გაკვალულ გზას და ვაშინგტონში გამართულ ცერემონიაზე რაბინთან ომისგან თავის შეკავების პაქტზე მოაწერა ხელი. მომდევნო ოქტომბრის თვეში ისინი პრეზიდენტ კლინტონთან ერთად ისრაელ-იორდანის საზღვარზე შეიკრიბნენ და ორ მეზობელ ქვეყანას შორის ორმოცდაექვსწლიანი საომარი მდგომარეობის დასრულება გამოაცხადეს. ამრიგად, იორდანია მეორე არაბული სახელმწიფო გახდა, 1979 წელს ეგვიპტის შემდეგ, რომელიც ებრაულ სახელმწიფოსთან სრული დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას დასთანხმდა. რამდენადაც იორდანიას მანამდე უკვე შეეწყვიტა 1967 წლის ომის დროს დაკარგული დასავლეთ სანაპიროს დაბრუნების პრეტენზიები, ჰუსეინის ისრაელის მიმართ ტერიტორიული მოთხოვნები არ წამოუყენებია და, შესაბამისად, რაბინთან ურთიერთგაგებასაც სწრაფად მიაღწია.

შეერთებული შტატების დაუნიებული მოწოდებების შედეგად, ისრაელმა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ 1995 წელს ხელი მოაწერეს შუალედურ შეთანხმებას ოთხი წლის განმავლობაში 1993 წლის ოსლოს შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებების განხორციელების თაობაზე. ვიდრე ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლები შეთანხმების დეტალებზე ვერ რიგდებოდნენ, შერიგების მოწინააღმდეგე ექსტრემისტებმა ორივე მხარეს ყველაფერი გააკეთეს, რათა ორმხრივად მისაღები კომპრომისი ვერ მიღწეულიყო. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მიმართ მმართველი ლეიბორისტული პარტიის მიერ გაკეთებული კომპრომისების მოწინააღმდეგე ლიკუდის პარტიის მწვავე რიტორიკული კამპანიის ფონზე, 1996 წლის 4 ნოემბერს ისრაელის პრემიერმინისტრი იცხაკ რაბინი მოკლეს. მკვლელობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ებრაელმა მოწინააღმდეგემ ჩაიდინა. ასე გამოასალმეს სიცოცხლეს ისრაელის 1967 წლის სამხედრო გამარჯვების არქტიტექტორი, რომელმაც ოცდახუთ წელზე მეტი ებრაული სახელმწიფოს დაცვას შეაღია და ეს მაშინ, როდესაც მან არჩევანი არაბ-ისრაელის კონფლიქტის დიპლომატიურ მოგვარებაზე გააკეთა. 1996 წლის გაზაფხულზე ჰამასმაც შეიტანა თავისი წვლილი არაფატიის ახალი შემრიგებლური პოლიტიკისათვის ძირის გამოთხრაში და სამშვიდობო პროცესისათვის ხელის შესაშლელად არაერთი ტერორისტული თავდასხმა განახორციელა, რომელსაც ისრაელის რამდენიმე ქალაქში სამოცამდე სამოქალაქო პირი შეეწირა. ამ ძალადობის ტალღის მიუხედავად, რაბინის მემკვიდრე შიმონ პერესმა 1995 წლის სექტემბერში არაფატიან მიღწეული შეთანხმებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ვადლებულების შესრულება შეძლო, რომელიც წლის ბოლომდე დასავლეთ სანაპიროს ექვს ქალაქზე (რამალასა და ბეთლემის ჩათვლით) სამხედრო ძალაუფლების ისრაელის არმიიდან პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისათვის გადაცემას ითვალისწინებდა. დასავლეთ სანაპიროდან ისრაელის გამოსვლის ამ პირველი ეტაპის შემდეგ,

არაფატიის მხარდამჭერებმა უზარმაზარი გამარჯვება მოიპოვეს 1996 წლის 20 იანვარს პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს პირველ არჩევნებში. არაფატიის ამ გამარჯვებამ მის მონინაალმდეგეებზე ნათელი გახადა, რომ პალესტინელების დიდი უმრავლესობა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას უჭერდა მხარს.

იმ ვითარებაში, როდესაც ეგვიპტე, იორდანია და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია სამშვიდობო მოლაპარაკებებს ანარმობდა ისრაელთან, ზოგიერთ ოპტიმისტურად განწყობილ დამკვირვებელს ისრაელში გაუჩნდა მოლოდინი, რომ რეალური ხდებოდა საერთო ეკონომიკურ ინტეგრესზე დაფუძნებული სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა, რომელიც ძველ სამხედრო კონფლიქტებსა და პოლიტიკურ დაპირისპირებებს ისტორიის სანაგვეზე მოისროდა. თუ საფრანგეთმა და გერმანიამ შეძლეს ძველი სიძულვილის დაძლევა და ერთად ჩაუდგნენ სათავეში ევროპაში ზესახელმწიფოებრივ თანამშრომლობას, რატომ ვერ შეძლებდნენ ისრაელი და მისი არაბი მეზობლები საერთო ენის გამონახვას ორმხრივად სასარგებლო ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული ინტეგრაციის საფუძველზე? ამ ოპტიმისტურ განწყობას სერიოზული დარტყმა მიაყენა 1996 წლის მაისში ისრაელის ლიკუდის მთავრობის არჩევამ. იმის მიუხედავად, რომ ლიკუდის პარტიამ ძალიან მცირე უპირატესობით გაიმარჯვა, პრემიერმინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ 1993 წლის ოსლოს შეთანხმების გადახედვის კამპანიის საშუალებით შიმონ პერესის ლეიბორისტული პარტია მთავრობიდან განდევნა. რელიგიურ და მემარჯვენე ნაციონალისტ პარტიებზე დამოკიდებულებამ ნეთანიაჰუს ახალ მთავრობას დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მნიშვნელოვანი გაფართოების მხარდაჭერისა და დაფინანსებისაკენ უბიძგა. შესაბამისად, 1996 წლის ბოლომდე დასავლეთ სანაპიროზე ებრაული მოსახლეობის რაოდენობამ 150 000-ს მიაღწია. ებრაელთა განსახლების ამ აგრესიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო მტრულად განაწყობა პალესტინელები, ზიანი მიაყენა არაფატიის პოლიტიკის დამაჯერებლობას მისი ამომრჩევლების წინაშე და ჰამასისა და მშვიდობიანი მოლაპარაკებების სხვა მონინაალმდეგეთა პოზიცია გაამყარა.

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უმწეო აღმოჩნდა დასავლეთ სანაპიროზე მის მიერვე კონტროლირებად ტერიტორიასა თუ საკუთრივ ისრაელში სამშვიდობო მოლაპარაკებების მონინაალმდეგეთა მიერ ჩადენილი ძალადობრივი აქტების შეკავების მხრივაც. ნეთანიაჰუ თვითმკვლელი ტერორისტების თითოეულ აქტს პალესტინელი მუშებისათვის ისრაელის საზღვრის დაკეტვით (რაც ამ უკანასკნელთა ეკონომიკურ სიდუხჭირეს იწვევდა) და ებრაული დასახლებების მშენებლობის აჩქარებით (რაც ძირს უთხრიდა არაფატიის განცხადებებს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები დასავლეთ სანაპიროს პალესტინელი მოსახლეობისათვის სასარგე-

ბლო შედეგენს მოიტანდა) პასუხობდა. არაფაატსა და ნეთანიაჰუს ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად აუცილებელი რისკების განევაში მათივე ამომრჩეველი ზღუდავდა. პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ლიდერი ჰამასის შევიწროებას ვერ ბედავდა იმის შიშით, რომ ამას პალესტინური მოძრაობის შიგნით დაპირისპირება არ მოჰყოლოდა, რაც მისივე ორგანიზაციის წამყვან პოზიციას შეიძლებოდა დამუქრებოდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ წყდებოდა კრიტიკა ადმინისტრაციაში არსებული ალვირახსნილი კორუფციისა და მისი ავტორიტარული მმართველობის სტილის გამო. ისრაელის პრემიერმინისტრს კი, სამთავრობო კოალიციაში მისი პარტიის მეტად მცირე უპირატესობის გამო, მუდმივად სჭირდებოდა, ანგარიში გაენია იმ სამთავრობო ძალებისთვის, რომლებიც დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების გაფართოებას უჭერდნენ მხარს. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში უფრო შემრიგებლური პოზიციის მქონე ლეიბორისტულმა პარტიამ გაიმარჯვა და მთავრობის სათავეში პარტიის ლიდერი ეჰუდ ბარაკი მოვიდა იმ პირობით, რომ მიძინებულ სამშვიდობო პროცესს ახალ სულს შთაბერავდა. ბარაკი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეეცადა, განეახლებინა შეწყვეტილი მოლაპარაკებები პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციასთან დასავლეთ სანაპიროსთან დაკავშირებით, ხოლო სირიასთან — გოლანის მაღლობთან დაკავშირებით.

სამშვიდობო პროცესის ჩაშლა

მას შემდეგ, რაც ეჰუდ ბარაკმა არაფაატთან „საბოლოო სტატუსის მოლაპარაკებების“ დაწყების შესახებ შეთანხმებას მიაღწია, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ისრაელელი და პალესტინელი ლიდერები კემპ დევიდში მიიწვია მოლაპარაკებებისათვის, რომელიც 2000 წლის ივლისში უწყვეტი სესიის სახით ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდა. საკუთარი წინადადების წერილობით წარმოდგენა არცერთ მხარეს არ სურდა, მაგრამ ეჰუდ ბარაკმა (კლინტონის თანხმობით) ზეპირად წარმოადგინა „მოლაპარაკებების საფუძვლები“, რომელიც მეტად გაბედულ და გულუხვ ინიციატივებს მოიცავდა, მათ შორის პალესტინის სუვერენიტეტს დასავლეთ სანაპიროს 90 პროცენტზე მეტ ტერიტორიაზე და იერუსალიმის მუსლიმურ და ქრისტიანულ უბნებზე. შემხვედრი ინიციატივების წარმოდგენის ნაცვლად, არაფაატმა იერუსალიმის ყველა იმ ნაწილზე მოითხოვა სრული სუვერენიტეტი, რომლებიც ისრაელმა 1967 წლის ომის დროს დაიპყრო. ამ დათმობაზე კი ეჰუდ ბარაკი ვერასოდეს ნავიდოდა, რადგან ეს ებრაული უბნის და, შესაბამისად, „გოდების კედლის“ დაკარგვასაც ნიშნავდა. პალესტინელთა ლიდერმა ასევე გაიმეორა 1948 წლის ომისდროინდელი პალესტინელი ლტოლვილების ისრაელის 1967-წლამდე ტერიტორიაზე „დაბრუნების უფლება“, რაც ისრაელელებისათვის შეთანხმებას შეუძლებელს ხდიდა, რადგან ამ პირობის შესრულება ებრაელ-

თა სახელმწიფოში ებრაელების რაოდენობრივ უპირატესობას დაემუქრებოდა. სამიტი ისევე წარუმატებლად დასრულდა, როგორც სხვა დანარჩენი შეხვედრები ისრაელელ და პალესტინელ წარმომადგენლებს შორის კლინტონის პრეზიდენტობის მთელი ვადის განმავლობაში.

მოლაპარაკებებით შეთანხმების მიღწევისა და პალესტინური სახელმწიფოს შექმნის უკანასკნელი იმედი საბოლოოდ გაქრა, როდესაც 2000 წლის სექტემბერში მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი არიელ შარონი იერუსალიმში ებრაელთა წმინდა სალოცავს „ტაძრის მთას“ ეწვია, სადაც ასევე მდებარეობდა ალ-აყსას მეჩეთი და ადგილი, საიდანაც, გადმოცემის თანახმად, მოჰამედი ზეცად ამალდა. 1982 წელს ბეირუთში პალესტინელი ლტოლვილების მკვლელობასთან ირიბი კავშირის გამო, პალესტინელებისგან საძულველი ისრაელელი ლიდერის ისლამისათვის მესამე უწმინდეს სალოცავთან პროვოკაციულ გამოჩენას დასავლეთ სანაპიროსა და ლაზაში დიდი არეულობა და, შემდეგ უკვე, სისხლისღვრაც მოჰყვა, რასაც, საბოლოოდ, „მეორე ინტიფადა“ ეწოდა. ამ ძალადობასა და კემპ დევიდში ეჭუდ ბარაკის მიერ არაფატის მიმართ გაკეთებული დათმობების შესახებ გაჟონილ ინფორმაციაზე საპასუხოდ, ისრაელის მოსახლეობამ 2001 წლის თებერვლის არჩევნებში ლეიბორისტული პარტია აღარ აირჩია და ხელისუფლების სათავეში არიელ შარონი მოვიდა, რომელსაც პალესტინელთა ამბოხების ჩახშობა ჰქონდა განზრახული. პალესტინელ თვითმკვლელთა ტერორისტულმა აქტებმა დასავლეთ სანაპიროსა და საკუთრივ ისრაელში და ისრაელის უმკაცრესმა საპასუხო ღონისძიებებმა ოსლოს სამშვიდობო პროცესს საბოლოო წერტილი დაუსვა. არიელ შარონმა ჯერ ბრალი დასდო არაფატს ისრაელელი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ თვითმკვლელთა ტერორისტული აქტებისა და შეიარაღებული თავდასხმების სანქციონირებაში და შემდეგ პალესტინელ ლიდერს მისსავე დაბომბილ შტაბბინაში, ქ. რამალაში, ფაქტობრივად, შინაპატიმრობა მიუსაჯა. არაფატთან ურთიერთობას თავს არიდებდა ვაშინგტონში ბუშის ახალი ადმინისტრაცია, რომელიც 2003 წელს გამოქვეყნებული „გზამკვლევის“ შესაბამისად, პალესტინური სახელმწიფოს შესაქმნელად მოლაპარაკებების დაწყებისათვის პალესტინის წარმომადგენელ ალტერნატიურ მხარეს ეძებდა. თუმცა, პროგრესს ხელს უშლიდა ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ რეგულარული ტერორისტული აქტები და ისრაელის გარდაუვალი რეპრესალიები, რომელიც პალესტინელთა შორის მნიშვნელოვან მსხვერპლს იწვევდა.

ამასობაში, ისრაელის მთავრობის სათავეში მყოფმა უკომპრომისო ლიდერმა ისრაელში არსებულ ავისმომასწავებელ დემოგრაფიულ ტენდენციას მიაქცია ყურადღება: პალესტინელთა შობადობის მაღალი დონე 1967 წლის ომის შედეგად ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ებრაული დიასპორიდან ისრაელში ემიგრაციის დაბალი დონე ერთად ნიშნავდა, რომ

ახლო მომავალში ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელები უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ. თუ ქვეყანა დემოკრატიული მმართველობის შენარჩუნებას აპირებდა, მას აუცილებლად მოუწევდა პალესტინელი უმრავლესობისათვის ხმის უფლების მინიჭება, რაც ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს, განსაკუთრებულ სტატუსს დაემუქრებოდა. თუ ისრაელი ებრაულ სახელმწიფოდ დარჩენას ისურვებდა და პალესტინელებს სრულ პოლიტიკურ უფლებებზე უარს ეტყოდა, ქვეყანა დემოკრატიული აღარ იქნებოდა. ამ დილემის გადასაჭრელად შარონმა განაცხადა, რომ 2003 წლის ბოლომდე ცალმხრივად აიღებდა ებრაელთა დასახლებებს ლაზადან (რომელსაც 2004 წლიდან პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია მართავდა) და დასავლეთ სანაპიროს დიდი ნაწილიდან, რათა ევაკუირებულ ტერიტორიაზე პალესტინის სახელმწიფოს შექმნა გამხდარიყო შესაძლებელი. დასავლეთ სანაპიროს საზღვრებს გასწვრივ გაშენებული უსაფრთხოების კედელი, რომლის მშენებლობა შარონმა ერთი წლით ადრე დაიწყო და რომელიც ებრაული დასახლებების მიღმა რამდენიმე მილით პალესტინის ტერიტორიაზე იჭრებოდა, შესაძლებელს გახდიდა, რომ ყოფილ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოდნავ გაფართოებულ ისრაელს პალესტინის სახელმწიფოსთან ერთად უსაფრთხოების პირობებში ეარსება.

2004 წელს იასერ არაფატის სიკვდილმა და მისმა შეცვლამ უფრო შემრიგებლური პოზიციის მატარებელი მაჰმუდ აბასით (ხალხში აბუ მაზენად ცნობილი), პალესტინელების მიმართ ისრაელის პოლიტიკის ასეთი რადიკალური ცვლილების განხორციელება გააადვილა. 2005 წლის ზაფხულში ისრაელის თავდაცვის ძალებმა 8 500 მოსახლე ძალით გამოასახლეს ლაზადან, ხოლო ოთხი ებრაული დასახლება დასავლეთ სანაპიროზე მთლიანად აიღეს. შარონი, რომელმაც კადიმას სახელწოდებით ცნობილი პოლიტიკური პარტია შექმნა მას შემდეგ, რაც მისი მემარჯვენე ლიკუდის პარტია მისსავე ახალ პოლიტიკას არ დაეთანხმა, 2006 წლის იანვარში განმეორებითი ინსულტების გამო კომპატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა. მისი შემცვლელი ეჰუდ ოლმერტი ასევე უკომპრომისო პოლიტიკის ყოფილი მომხრე იყო და ოკუპირებული ტერიტორიებიდან ცალმხრივი გასვლის პოლიტიკას ნელი მოქმედების დემოგრაფიული ბომბის გაცნობის შემდეგ დაუჭირა მხარი. ახალმა პრემიერმინისტრმა (არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვებით ნაქეზებულმა) ცნობილი გახადა თავისი ახალი გაბედული გეგმა უსაფრთხოების კედლის გადანევის თაობაზე. გეგმა უსაფრთხოების კედლის შიგნით დასავლეთ სანაპიროს უფრო მცირე ტერიტორიას აქცევდა და დანარჩენი ტერიტორიის პალესტინის სახელმწიფოსათვის გადაცემას ითვალისწინებდა.

თუმცა, ორმა შემთხვევამ ჩანასახშივე გაანადგურა სამშვიდობო პროცესის ეს იმედის მომცემი ტენდენცია. რადიკალური ისლამური მოძრაობა ჰამასი (არაბულად ეს სიტყვა ენთუზიაზმს/თავგამოდებას ნიშნავს და,


ამავე დროს, „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის“ აკრონიმია) დიდი ხნის განმავლობაში უჭერდა მხარს მთელი პალესტინის ტერიტორიაზე (ისრაელის ჩათვლით) ისლამური სახელმწიფოს შექმნას. ჰამასის ოფიციალური პირები ისევე გამოხატავენ პალესტინის განთავისუფლების მოძრაობას და, შემდგომ, პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას კორუმპირებულობისა და მართვის დიქტატორული მეთოდებისათვის, როგორც ისრაელთან მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნის გამო. იმავდროულად, ის საქველმოქმედო საქმიანობით იყო დაკავებული და ლაზასა და დასავლეთ სანაპიროს გალატაკებულ მოსახლეობას სოციალურ სამსახურებს სთავაზობდა, რამაც პალესტინელთა მასებში მისი პოპულარობა გაზარდა. 2006 წელს პალესტინის საკანონმდებლო არჩევნებში პირველი მონაწილეობისას, ჰამასი მსოფლიოს გასაოგნებლად პალესტინის საკანონმდებლო ორგანოში ადგილების უმრავლესობას დაეპატრონა და აბასის მოძრაობა ფაქტობრივად ერთადერთიანობის მთავრობა ჩამოაყალიბა, რომლის სათავეშიც ჰამასის მთავარი მებრძოლი ჩადგა. არ დააყოვნა შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და სხვა დასავლელი დონორების რეაქციამაც პალესტინის სამთავრობო კოალიციის შემადგენლობის მიმართ, რომლის მიზანი ისრაელის სრული განადგურება იყო. შედეგად, ამ დონორთა ფინანსური დახმარებები პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის კონტროლის გარეთ მყოფი ორგანიზაციებისაკენ გადამისამართდა. როდესაც ჰამასმა ლაზაში ყველა სამთავრობო დაწესებულებზე კონტროლი დაამყარა და ფაქტობრივად წარმომადგენელი თანამდებობის პირები საკუთარი კადრებით ჩაანაცვლა, აბასმა ერთიანობის მთავრობა დაითხოვა და დასავლეთ სანაპიროზე ჰამასის ლიდერები დააპატიმრა. ამიერიდან პალესტინური მოძრაობა ორად გაიხლიჩა – ჰამასს დაქვემდებარებულ ლაზასა და ფაქტობრივად მთავრობად დასავლეთ სანაპიროდ (ამ უკანასკნელს შეერთებული შტატები, ევროკავშირი და არაბულ სახელმწიფოთა უმრავლესობა უჭერდა მხარს). ათწლეულის ბოლომდე, ჰამასის უსიტყვო თანხმობით ლაზადან ნასროლი პრიმიტიული რაკეტები ისრაელის ქალაქებთან ცვიოდა, რასაც ისრაელის სასტიკი საპასუხო ზომები მოჰყვებოდა, რაც, თავის მხრივ, ებრაელთა სახელმწიფოს მიმართ პალესტინელთა რისხვას აძლიერებდა.

ისრაელის ჩრდილოეთით მანამდე განვითარებულმა მოვლენებმა ძირითად გამოუთხარეს კადიმას მთავრობის გეგმებსაც მტრების მიმართ უფრო შემრიგებლური პოლიტიკის გატარების თაობაზე. 2006 წლის ზაფხულში რადიკალური შიიტური მოძრაობა ჰიზბოლას მიერ (რომელსაც, ჰამასის მსგავსად, ირანი აფინანსებდა) ისრაელის ჩრდილოეთის წინააღმდეგ განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმებს ოლმერტის მთავრობის განრისხებული რეაქცია მოჰყვა, რაც ლიბანის წინააღმდეგ მასიურ საჰაერო და საარტილერიო იერიშებსა და სახმელეთო თავდასხმაში გამოიხატებოდა. ერთთვიანი ბრძოლები, რომელმაც ქვეყნის ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი გაა-

ნადგურა და ათასამდე ლიბანელი სამოქალაქო პირი იმსხვერპლა, გაეროს ეგიდით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა, რომელსაც მონიტორინგს, ლიბანის უმაქნის არმიასთან ერთად, ლიბანში გაეროს დროებითი ძალები (UNFIL) უწევდნენ. ლიბანელი ხალხისა და მათი საკუთრებისათვის მიყენებული ზარალის გამო, საერთაშორისო კრიტიკის ფონზე ისრაელის ჯარების ლიბანიდან გამოსვლამ ჰამასს გამარჯვების გამოცხადების საშუალება მისცა, მით უმეტეს, რომ ის კვლავ ინარჩუნებდა სამხრეთ ლიბანში წამყვან პოზიციას და ლიბანის პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთი მთავარი მონაწილედ გამხდარიყო. იმ პირობებში, როდესაც ებრაული სახელმწიფოს განადგურების იდეისადმი ერთგული ჰამასი მოღვაწეობას ლაზაში განაგრძობდა, ხოლო ჰიზბოლა – დასავლეთ ლიბანში, როდესაც დასავლეთ სანაპიროზე აბუ მაზენის სუსტი და არაპოპულარული მთავრობა პალესტინელთა საზოგადოებრივი აზრის მის სასარგებლოდ განწყობას ვერ ახერხებდა, შემდეგ კი 2009 წლის დასაწყისში ისრაელში ქვეყნის სათავეში ბენიამინ ნთანიაჰუს მემარჯვენე მთავრობა მოვიდა, ამ დაუსრულებელი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების იმედის რამდენიმე ხანმოკლე გაელევების შემდეგ, ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესი კიდევ ერთხელ ჩაიშალა.



ლათინური ამერიკა: დემოკრატია,
თავისუფალი ბაზარი და
რეგიონული უსაფრთხოება



სავაჭრო ლიბერალიზაციის პირველი ნაბიჯები ლათინურ ამერიკაში. მექსიკის პრეზიდენტი კარლოს სალინას დე გორტარი, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და კანადის პრემიერმინისტრი ბრაიან მალრონი ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (NAFTA) ხელმოწერას აღნიშნავენ სან ანტონიოში, ტეხასი, 1992 წლის 17 დეკემბერი. სამი ხელმომწერი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში რთული პროცედურების გავლის შემდეგ, მხარეებმა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (NAFTA) რატიფიცირება მოახდინეს და ხელშეკრულება 1994 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა. ზოგიერთი დამკვირვებელი სამ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ბარიერების გაუქმებას მიესალმებოდა, როგორც თავისუფალი ვაჭრობის მიერ დასავლეთ ნახევარსფეროზე გავრცელების პრეცედენტს.

თავის შინაარსი

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ დიდი იმედი

დემოკრატიზაციის პროგრესი

მოკლულიზმის აღზევა და „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ჩაშლა

ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ

ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა რეგიონში, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ლათინური ამერიკის ლოზუნგიც პოლიტიკური დემოკრატია და ეკონომიკური ლიბერალიზმი გახდა. თუმცა, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისაკენ სვლას წარსულიდან შემკვიდრებით მიღებული საგარეო ვალების, ინფლაციის, ეროვნული შემოსავლის განაწილებაში არსებული უთანასწორობის, პოლიტიკური კორუფციისა და ძალადობის მუდმივი პრობლემები აფერხებდა. კოლუმბიაში, ბოლივიასა და პერუში ნარკოტიკების წარმოება ყვაოდა. ჩილე და ვენესუელა ნარკოტიკების ჩრდილოამერიკელ მომხმარებელამდე მიტანის სატრანზიტო პუნქტებად ქცეულიყვნენ, ხოლო მექსიკა ნარკოტიკების ტრანზიტს განაგრძობდა. ვერც შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის მთავრობების ერთობლივი პროგრამა კოკაინის კულტურის აღმოსაფხვრელად და ვერც კოლუმბიელი და მექსიკელი ნარკოკარტელების წინააღმდეგ წარმოებული მეტად რეკლამირებული კამპანია პრობლემის მოგვარებაზე სერიოზულ გავლენას ვერ ახდენდა.

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ დიდი იმედი

ამ გადაულახავი სირთულეების პირობებში, ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობის მმართველმა ელიტებმა ირწმუნეს, რომ მათი ქვეყნების ეკონომიკური ხსნა ეკონომიკური ზრდის საბაზრო სტრატეგიაში მდგომარეობდა, რომელსაც წარმატებით ახორციელებდნენ აღმოსავლეთ აზიის ახლადინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა პირველმა ჩილეში გენერალ ავგუსტო პინოჩეტის რეჟიმმა განავითარა ამ ქვეყანაში მძვინვარე ინფლაციის მოსათოკად და მრეწველობის განსავითარებლად. პატრისიო აილენის სამოქალაქო მთავრობამ 1973 წელს არმიის მიერ მარქსისტი პრეზიდენტ სალვადორე ალიენდე გოსენსის დამხობის შემდეგ, პირველად ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა და 1990 წელს პინოჩეტის შემდგომი ხელისუფლება ჩაიბარა. აილენმა პინოჩეტის თავისუფალი ბაზრის პოლიტიკა განაგრძო, რითაც მან ჩილეში ეკონომიკური კრიზისი შეაჩერა. ოთხმოცდაათი წლების შუაში, როდესაც მექსიკაში მკვეთრად შემცირდა საექსპორტო შემოსავლები მსოფლიოში ნავთობის ფა-



შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა

სების დაცემის გამო, გაიზარდა საგარეო ვალი, გაღრმავდა საბიუჯეტო დეფიციტი, სახელმწიფომ ინფლაციაზე ყოველგვარი კონტროლი დაკარგა და ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სასონარკვეთილმა პრეზიდენტმა კარლოს სალინას დე გორტარიმ თავისუფალი ბაზრის იმავე ტექნიკას მიმართა, რომელიც მანამდე ჩილემ გამოიყენა წარმატებით. ოთხმოცდაათიანი წლების შუამდე ლათინური ამერიკის სახელმწიფოების უმრავლესობა თავისუფალი ბაზრის მატარებელს შეახტა: წყდებოდა სახელმწიფო სუბსიდიები, მცირდებოდა სავაჭრო ტარიფები და ხელი ეწყობოდა ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ზრდას.

მთავრობის ფინანსური სირთულეებიდან ყველაზე უფრო პოპულარული გამოსავალი სახელმწიფო კომპანიების კერძო ინვესტორებისათვის მიყიდვა იყო. იმის მიუხედავად, რომ, სოციალისტური იდეოლოგიის გამო, მხოლოდ კასტროს კუბა და სანდინისტების ნიკარაგუა განაგრძობდა მრეწველობის ნაციონალიზაციას, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა უკვე დიდი ხნის განმავლობაში მისდევდა სახელმწიფო კაპიტალიზმის გარკვეულ ფორმას, რომლის პირობებშიც სამრეწველო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი მთავრობას ეკუთვნოდა. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მექსიკამ, ბრაზილიამ, არგენტინამ და ვენესუელამ ჩილეს მაგალითს მიბაძეს და არაერთი სახელმწიფო სანარმო აუქციონის გზით ყველაზე მაღალი ფასის გადამხდელს მიჰყიდეს. საკუთრებისა და სანარმოებზე კონტროლის ასეთი მასობრივი გადაცემის საბაზი სუბსიდირებული სახელმწიფო კომპანიების მფლანგველი, არაეფექტური მართვის ფორმებისგან გათავისუფლება და ამ ფორმების თავისუფალი ბაზრის კონკურენციისათვის დაქვემდებარება იყო. თუმცა, სახელმწიფო აქტივების გასხვისების დამატებითი სარგებელი გაყიდვებიდან იმ ახალი შემოსავლის მიღებასაც უკავშირდებოდა, რომელიც ასე ესაჭიროებოდა ამ ქვეყნების სახელმწიფო ხაზინებს მძიმე საშინაო ვალების გასასტუმრებლად.

თავისუფალი ბაზრის პრინციპებისადმი ლათინური ამერიკის ამ ახალ მიდრეკილებას, რა თქმა უნდა, ვაშინგტონის დადებითი შეფასება მოჰყვა, რამაც, თავის მხრივ, იმედი გაუჩინა მათ, რომ შეერთებულ შტატებთან უფრო ახლო სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარებას შეძლებდნენ. მართლაც, მოგვიანებით, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკისადმი ერთუზიანზმს „ვაშინგტონის კონსენსუსი“ ეწოდა. 1990 წელს ბუმის ადმინისტრაციამ ასეთი ურთიერთობების დამყარება დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის იდეით წააქეზა. ამ ინიციატივას, რომელსაც „ნამონყება ამერიკის ქვეყნებისათვის“ ეწოდა, ბევრი დამკვირვებელი აღიქვამდა, როგორც შეერთებული შტატებისაგან გაცემულ სადაზღვევო პოლიტიკას იმ დროს, როდესაც ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში დიდი ეკონომიკური ბლოკები ყალიბდებოდა. თუმცა, ლათინ-

ნური ამერიკის ქვეყნების იმედი ნახევარსფეროების მომცველ გიგანტურ სავაჭრო სისტემაში გაერთიანების შესახებ დროებით გაცრუვდა, როდესაც ვაშინგტონი უფრო შეზღუდული მასშტაბის მიზანზე – მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის სამ ქვეყანას შორის სავაჭრო კავშირების გაღრმავებაზე – გადაერთო.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისა (NAFTA) პირველი ნაბიჯი შეერთებულ შტატებსა და მის ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ კანადას შორის 1987 წელს დადებული ორმხრივი შეთანხმება იყო, რომლის შესაბამისადაც ორი წლის განმავლობაში ტარიფები და სხვა სავაჭრო შეზღუდვები მთლიანად გაუქმდა. მექსიკის პრეზიდენტი სალინასი (რომელსაც ახალი მიღწეული ჰქონდა მექსიკის საგარეო სესხთან დაკავშირებული მომგებიანი შეთანხმება ქვეყნის საგარეო მევალებთან და თავისუფალი ბაზრის ზემოაღნიშნული ეკონომიკური პროგრამის განხორციელება ჰქონდა დაწყებული) მოუწოდებდა ვაშინგტონს, მასთანაც გაეფორმებინა ისეთივე ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება, როგორც შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის მოქმედებდა. ორივე ქვეყნის მთავრობა დადებითად აფასებდა მათ ქვეყნებს შორის მზარდი ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობას და მათ სამომავლო შედეგებს. მექსიკა უკვე შეერთებული შტატების მნიშვნელობით მესამე სავაჭრო პარტნიორი იყო. მისი 90-მილიონიანი მოსახლეობა ამერიკული ექსპორტისათვის უზარმაზარ ბაზარს ქმნიდა და, ამავე დროს, შედარებით იაფი მუშახელის წყაროს წარმოადგენდა იმ ამერიკული მრეწველობის დარგებისათვის, რომელთაც საწარმოების რიო გრანდეს სამხრეთით გადმოტანა სურდათ. მექსიკის მთლიანი საგარეო ვაჭრობის 85 პროცენტი შეერთებულ შტატებზე მოდიოდა, რომელიც სამხრეთელი მეზობლის ახალი, ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობისათვის ფართო ბაზარს წარმოადგენდა და მას ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მოცულობის საინვესტიციო კაპიტალს სთავაზობდა.

ერთმანეთის ექსპორტზე ბარიერების გაუქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთსასარგებლო შედეგებში დარწმუნებულმა პრეზიდენტ ბუშისა და პრეზიდენტ სალინასის ადმინისტრაციებმა 1990 წლის მარტში ორმხრივი მოლაპარაკებები წამოიწყეს, რომელსაც, მოგვიანებით, თავისუფალ ვაჭრობაში შეერთებული შტატების კიდევ ერთი პარტნიორი – კანადა შეუერთდა. 1992 წელს ჩრდილოეთ ამერიკის სამი სახელმწიფოს ლიდერებმა ხელი მოაწერეს სამხრეთ კომპლექსურ ხელშეკრულებას, რომელიც ოცი წლის განმავლობაში სამივე ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ყველა დაბრკოლების გაუქმებას ითვალისწინებდა. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას (NAFTA) სამი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებმა მომდევნო წელს გაუკეთეს რატიფიცირება და 1994 წლის პირველ იანვარს ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

დასავლეთ ნახევარსფეროს სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური და ბიზნესელიტები ნუხდნენ, რომ ამერიკის საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების მექანიზმისა და გადართვა მათ აშკარად არახელსაყრელ პირობებში ჩააყენებდა. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (NAFTA) 370 მილიონ მომხმარებელს აერთიანებდა, მისი წარმოება კი ყოველწლიურად 6 ტრილიონ დოლარს აღწევდა. შესაბამისად, ლათინური ამერიკის ქვეყნები, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (NAFTA) გარეთ დარჩენის საკომპენსაციოდ, სასწრაფოდ შეუდგენენ სუბრეგიონული სავაჭრო შეთანხმების მომზადებას. ბევრი ოფიციალური პირი და ბიზნესმენი იმედს არ კარგავდა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის პროტექციონისტული ბარიერების გაუქმებით ისინი მათი ქვეყნების ეკონომიკას იმ დღისთვის ამზადებდნენ, როდესაც ჩრდილოეთამერიკული სავაჭრო ზონა სამხრეთისკენაც გაფართოვდებოდა. 1991 წელს სამხრეთ ამერიკის ე.წ. სამხრეთ კონუსზე მდებარე ოთხმა სახელმწიფომ – არგენტინამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ და ურუგვაიმ – რეგიონული ერთიანი ბაზარი შექმნეს (Mercado Común del Sur – მერკოსური), რომლის საბოლოო მიზანი ყველა ინტერრეგიონული სავაჭრო ბარიერის გაუქმება იყო. ახალი საბაჟო კავშირის უპირატესობები უკვე 1993 წელს გახდა ნათელი, როდესაც რეგიონის შიდავაჭრობა სამი წლის განმავლობაში ორი მესამედით გაიზარდა. 1992 წელს, უკვე არსებულმა ანდების გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა – ბოლივიამ, კოლუმბიამ, ეკვადორმა, პერუმ და ვენესუელამ – ყველა სავაჭრო ტარიფი გააუქმეს, რის შედეგადაც, მომდევნო წელს ანდების რეგიონის შიდავაჭრობა 30 პროცენტით გაიზარდა. 1992 წელს კარიბის ზღვის რეგიონის ქვეყნებმაც ერთიანი ბაზრის (Caricom) შექმნის გეგმა შეიმუშავეს და 1963 წელს შექმნილი და მას შემდეგ უმოქმედო ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზრის ექვსმა წევრმა სახელმწიფომ 1993 წელს ხელი მოაწერა შეთანხმებას ერთმანეთში სავაჭრო ბარიერების სრული გაუქმების შესახებ.

ოთხმოცდაათიან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის არაჩვეულებრივ გავრცელებას თან გარე სამყაროსადმი მეტი გახსნილობაც ახლდა. უცხოურ ნაწარმზე ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ დანესებული სავაჭრო ტარიფის საშუალო მაჩვენებელმა 1985 წელს 56 პროცენტიდან 1993 წელს 15 პროცენტამდე დაიწია. პროტექციონისტული ზომების შემცირებიდან ყველაზე მეტ სარგებელს შეერთებული შტატები იღებდა, რომელთანაც ოთხმოცდაათიანი წლების შუაში ლათინური ამერიკა თავისი საგარეო ვაჭრობის ნახევარს აწარმოებდა. ლათინურ ამერიკაში ტარიფების საყოველთაო გაუქმებამ და ჩრდილოეთ ამერიკასთან სავაჭრო კავშირების გაფართოებამ, რამაც ლათინური ამერიკა შეერთებული შტატების ექსპორტისათვის მსოფლიოში ყველაზე მზარდ ბაზრად აქცია, ახალი სული შთაბერა პრეზიდენტ ბუმის კონცეფციას ალიასკიდან არგენტინამდე

თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (NAFTA) ამოქმედების პირველივე წელს, ლათინური ამერიკის ქვეყნები აქტიურად ლობირებდნენ ვაშინგტონში, ოტავასა და მეხიკოში ახალბედა რეგიონულ სავაჭრო სისტემაში შესვლის უფლების მოსაპოვებლად. 1994 წლის დეკემბერში, მაიამიში დასავლეთ ნახევარსფეროს ოცდაათოთხმეტი სახელმწიფოს მონაწილეობით გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, პრეზიდენტმა კლინტონმა უპასუხა ლათინური ამერიკის თავისუფალი ბაზრის მიმდევართა თხოვნებს და მონაწილეებს ბუშის სქემის სახეცვლილი ვარიანტი გააცნო, რომელიც მთელ დასავლეთ ნახევარსფეროს მოიცავდა.

ლათინურ ამერიკაში მოდებულ ენთუზიაზმს თავისუფალი ბაზრის პრინციპებისა და ლიბერალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ მტკივნეული პოლიტიკური შედეგების გარეშე არ ჩაუვლია. თავისუფალი ვაჭრობისა და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის სასარგებლოდ, პროტექციონიზმის, იმპორტის ჩანაცვლებისა და სახელმწიფო სუბსიდიების ტრადიციულ სტრატეგიაზე უარის თქმით, ლათინური ამერიკის მთავრობებმა ეკონომიკის ნაკლებად პროდუქტიული სექტორები პოტენციურად დამანგრეველ საგარეო კონკურენციას დაუქვემდებარეს. შესაბამისად, გაიზარდა ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილების მხრივ მსოფლიოში ისედაც ყველაზე მძიმე უთანასწორობის გაღრმავების რისკიც, რადგან იაფი უცხოური ნაწარმის შემოსვლამ შიდაბაზრებზე და სახელმწიფო სუბსიდიების გაუქმებამ ნაკლებად წარმატებული საწარმოები გაკოტრებამდე, მათში დასაქმებული ადამიანები კი უმუშევრობამდე მიიყვანა. სამენარმეო თავისუფლება, რომელსაც კლასიკური ლიბერალური ეკონომიკური თეორია ეროვნული ეკონომიკური ზრდის ძრავად მიიჩნევდა, რეგიონს სოციალური დაძაბულობითა და მდიდრებსა და ღარიბებს შორის პოლიტიკური კონფლიქტით ემუქრებოდა.

დემოკრატიზაციის პროგრესი

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ლათინურ ამერიკაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას თან სდევდა პოლიტიკური დემოკრატიისაკენ მკაფიო შემობრუნებაც რეგიონში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ავტორიტარულ მმართველობას იყო მიჩვეული. სამხედრო რეჟიმებიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორცაა: არგენტინა, ბრაზილია და ჩილე უკვე ოთხმოციანი წლებში დაწყებულიყო. ავტორიტარული ეპოქის ძველი სიმბოლოები, როგორც იყო: ჩილეს აუგუსტო პინოჩეტი, პარაგვაის ალფრედო სტრესნერი და არგენტინისა და ბრაზილიის სათავეში მყოფი სამხედრო ხუნტების ოფიცრები, თანდათან იცვლებოდნენ სამოქალაქო პოლიტიკოსებით, რომლებიც ხელი-

სუფლებას მშვიდობიანი, სამართლებრივი გზით იღებდნენ და მას ადამიანის უფლებებისა და საპარლამენტო პროცედურების დაცვით ახორციელებდნენ.

მექსიკაში ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია, რომელიც მთავრობაზე კონტროლს 1929 წლიდან პოლიტიკური პატრონაჟის, მასმედიის მანიპულაციისა და არჩევნების გაყალბების გზით ინარჩუნებდა, ოთხმოცდაათიან წლებში თანდათან კარგავდა ძალაუფლებას. 1994 წლის დასაწყისში ჩიაპასის გალატაკებულ რეგიონში ინდიელთა ამბოხება, ჩაგრული უმცირესობის სოციალურ-ეკონომიკური უკმაყოფილების გარდა, მექსიკის პოლიტიკური სისტემის ენდემურ კორუმპირებულობასაც ნარმოაჩენდა. წლის ბოლოს პესოს გაიაფებამ მსოფლიოს სავალუტო ბაზრებზე მექსიკა გაკოტრების წინაშე დატოვა, რის გამოც, 1995 წლის თებერვალში შეერთებული შტატების ხაზინამ სასწრაფო სესხი გამოუყო. მთავრობის მიერ დაწესებულმა მკაცრმა ეკონომიკურმა ზომებმა ქვეყანაში უმუშევრობის, საპროცენტო განაკვეთებისა და გაყიდვებზე გადასახადების ზრდა გამოიწვია, რამაც სოციალური არეულობის შიში გააჩინა და ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის მიმართ ოპოზიცია გააძლიერა. 1997 წელს საბოლოოდ დასრულდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ხნით მმართველი პოლიტიკური პარტიის მონოპოლია, როდესაც ინსტიტუციურ-რევოლუციურმა პარტიამ სამოცდარვა წლის მანძილზე პირველად დაკარგა კონტროლი პარლამენტის ქვედა პალატაზე. 2000 წელს ამ პარტიამ მემარჯვენე ცენტრისტული კოალიციის ლიდერთან – ვინსენტე ფოქსთან საპრეზიდენტო არჩევნებაც წააგო. ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მრავალწლიანი ერთპარტიული მმართველობის შემდეგ, მექსიკაში ქმედითი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების მაუწყებელი იყო.

ოთხმოცდაათიანი წლების ლათინურ ამერიკაში დემოკრატიზაციის ტენდენციიდან რამდენიმე გამონაკლისი აღნიშვნის ღირსია, რადგან თითოეული ამ გამონაკლისთაგანი ლათინური ამერიკის თანამედროვე პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი საკითხია. პირველი გამონაკლისი კასტროს კუბაა, რომელიც, კრემლზე მისი ეკონომიკური დამოკიდებულების გამო, საბჭოთა კავშირის დაშლის მთავარი მსხვერპლი გახდა დასავლეთ ნახევარსფეროში. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სუბსიდიებისა და დაბალპროცენტიანი სესხების შეწყვეტამ მოსკოვიდან და შეერთებული შტატების სავაჭრო ემბარგომ ხელი შეუწყო ქვეყანაში საკვების, სანავისა და სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტების მწვავე დეფიციტის შექმნას. მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიისადმი ერთგულების მიუხედავად, რომელიც კასტრომ, როგორც ახალგაზრდა რევოლუციონერმა, ოცდაათი წლით ადრე გაითავისა, მან ერთი აღსანიშნავი ნაბიჯი მაინც გადადგა კაპიტალისტური იდეოლოგიისაკენ, რომელიც მას ასე სძულდა. 1995 წელს კუბამ მიიღო კანონი, რომელიც, უცხოელების მიერ კუბურ კომპანიებზე სრული საკუთრების უფლების მიღებისა და მათი წარმოშობის ქვეყანაში მოგების რეპატრიაციის

დაშვების გზით, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისაკენ იყო გამიზნული. ამ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა რამდენიმე საქმიანი შეთანხმება ევროპულ და კანადურ კომპანიებთან, რაც ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების კანონის სანქციების დაწესების შესახებ იმ უცხოური კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ფულს ამერიკელებისაგან რევოლუციის შემდეგ ჩამორთმეულ კუბურ კომპანიებში დააბანდებდნენ. დემოკრატიული ინსტიტუტებითა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური განვითარებით გატაცებულ რეგიონში კუბის უკიდურესი პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია, ფლორიდაში თავმოყრილი მილიონამდე კუბელი ემიგრანტის უცვლელად მტრული განწყობა კასტროს რეჟიმის მიმართ და მზარდი უკმაყოფილება კუბის მოსახლეობაში, რომელსაც მძიმე ეკონომიკური გაჭირვების გადატანა უწევდა, კასტროს ხელისუფლებისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა. მოხუც რევოლუციონერს ხანგრძლივი და მოვლენებით აღსავსე კარიერის განმავლობაში ბევრი პოლიტიკური ქარიშხლისათვის, ეკონომიკური კრიზისისათვის, სამხედრო ჩარევისა და მისი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობებისათვის გაეძლო. 2006 წელს ნაწლავების ოპერაციის შემდეგ, მან მოვალეობები თავის ძმას – რაულს გადასცა. ორი წლის შემდეგ კი კუბის პარლამენტმა რაული ფიდელის შემცვლელად – კუბის პრეზიდენტად აირჩია.

კუბიდან დაახლოებით ასი მილის მანძილზე მდებარეობდა კიდეც ერთი ქვეყანა, რომელიც ლათინურ ამერიკაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა. ფრანსუა „პაპა დოკ“ დიუვალიე გალატაკებულ ჰაიტის 1957 წლიდან 1971 წლამდე კორუფციისა და სისასტიკის საშუალებით მართავდა, ვიდრე ხელისუფლება გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე თავის ვაჟს – ჟან კლოდს, „ბები დოკს“, არ გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა დიუვალიეს მამისგან მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული ოპონენტების დაშინებისა და მომხრეების გულუხვად დასაჩუქრების პრაქტიკა, 1986 წელს მისი ხელისუფლება აჯანყებამ შეენირა. დიუვალიეების ოცდაათწლიანი დიქტატურის შემდეგ, ჰაიტი დასავლეთ ნახევარსფეროს ყველაზე ღარიბი ქვეყანა იყო. ოთხიდან სამი ზრდასრული ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ხუთიდან ერთი ბავშვი ხუთი წლის ასაკამდე კვდებოდა და მთელი სიმდიდრე ამ პატარა ქვეყნის რამდენიმე ქალაქში მცხოვრები ოლიგარქების ხელში იყო თავმოყრილი. 1991 წლის თებერვალში, ათწლეულების შემდეგ პირველად გამართული თავისუფალი არჩევნების შედეგად და ყოვლისმომცველი სოციალური და პოლიტიკური რეფორმების წინასაარჩევნო პირობით, ქვეყნის პრეზიდენტი ქარიშმატული კათოლიკე მღვდელი ჟან-ბატისტ არისტიდი გახდა. იმავე წლის სექტემბერში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ელიტასთან დაახლოებულმა ჰაიტის არმიის უმაღლესმა სარდლობამ, რომელთა პრივილეგიებულ მდგომარეობას საერთო ეროვნული ქონების გადანაწილების არისტიდისეული პროგრამა საფრთხეს

უქმნიდა, ძალაუფლება ჩამოართვა არისტიდს და მას შეერთებულ შტატებში თავის შეფარება აიძულა.

კლინტონის ადმინისტრაციის, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და გაეროს ინტენსიური დიპლომატიური და ეკონომიკური ზენოლის შედეგად, 1993 წელს ჰაიტის ხუნტა იძულებული გახდა კვლავ არისტიდისათვის დაებრუნებინა ხელისუფლება. თუმცა, სამხედრო ლიდერები არისტიდისათვის ხელისუფლების დაბრუნების პროცედურულ საკითხებს აჭიანურებდნენ, მაშინ, როცა შეერთებული შტატები ძალით აბრუნებდა ათასობით ჰაიტელ ლტოლვილს, რომლებიც ჰაიტიდან ჩაგვრასა და შევიწროებას გაექცნენ. როდესაც აშკარა გახდა, რომ ეკონომიკური სანქციების გამო მხოლოდ ჰაიტის მოსახლეობა ისჯებოდა და ეს სანქციები პორტო-პრენსის გათავხედებულ გენერლებზე ხელშესახებ გავლენას ვერ ახდენდა, შეერთებული შტატების არმიამ 1994 წლის შემოდგომაზე ჰაიტი დაიკავა და არისტიდი ძალით დააბრუნა ხელისუფლების სათავეში. ისევე, როგორც ხუთი წლით ადრე, როდესაც შეერთებული შტატების სამხედრო ძალებმა დაამხეს პანამის ხელისუფლება, შეიპყრეს და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით შეერთებულ შტატებში დააბრუნეს პანამის დიქტატორი მანუელ ნორიეგა, დემოკრატია აქაც გარედან სამხედრო ჩარევის გზით უნდა აღმდგარიყო. თუმცა, არისტიდის დაბრუნებას ჰაიტის ხელისუფლებაში მშვიდობა, სტაბილურობა და დემოკრატია არ მოჰყოლია. 1996 წელს არისტიდს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მიეცა, ხოლო 2000 წელს იგი, მეტად სადავო არჩევნების შედეგად, საპრეზიდენტო სასახლეში დაბრუნდა. ოთხი წლის შემდეგ, დემოკრატიულად პირველად არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერის დიქტატორული მმართველობის წინააღმდეგ თანდათან ორგანიზებული მოძრაობამ საყოველთაო ამბოხებებისა და ძალადობის სახე მიიღო, რის გამოც არისტიდს ქვეყნის დატოვება მოუწია. ბედის ირონიით, სწორედ შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც ათი წლის წინ არისტიდის ხელისუფლება აღადგინა, ახლა, როდესაც ნათელი გახდა, რომ ჰაიტელთა დიდი უმრავლესობა მას მხარს აღარ უჭერდა, აიძულა იგი, გადამდგარიყო.

ლათინურ ამერიკაში დემოკრატიული ტენდენციიდან კიდევ ერთი გამონაკლისი პერუ იყო. მისმა დემოკრატიულად არჩეულმა პრეზიდენტმა ალბერტო ფუხიმორიმ 1992 წელს კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა, დაითხოვა პარლამენტი და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს შინაპატიმრობა მიუსაჯა ჰიპერინფლაციის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ტერორიზმის პრობლემების უფრო ეფექტურად მოგვარების პრეტექსტით. პერუს კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ, რაც მას საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ მონაწილეობის უფლებას აძლევდა, ფუხიმორიმ 1995 წელს ხმათა 65-პროცენტით უმრავლესობით გაიმარჯვა. მაშინ, როდესაც ფუხიმორის მართვის არადემოკრატიული მეთოდები შინაც და გარეთაც კრიტიკის საგანი იყო, მისი მთავრო-

ბის მიღწევებმა მას დიდი შიდა და საერთაშორისო მხარდაჭერა მოუპოვა: ინფლაცია ორჯერ შემცირდა, ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის შთამბეჭდავ დონეს მიაღწია, ნარკოტიკებიდან მიღებული შემოსავლებით დაფინანსებული ტერორისტული ორგანიზაცია „სენდერო ლუმინოსო“ (ბრწყინვალე ბილიკი) ლიდერი დააკავეს და ციხეში ჩასვეს, სენდერო ლუმინოსოსა და ტუპაკ ამარუს რევოლუციური მოძრაობის გავლენამ იკლო, მკვეთრად დაიწია ნარკოტიკებთან დაკავშირებულმა და პოლიტიკურმა დანაშაულებმაც. მართალია, 2000 წელს ფუხიმორიმ არჩევნები კვლავ მოიგო, მაგრამ, არჩევნების გაყალბებისა და კანონმდებლების მოსყიდვის ბრალდებების გამო იგი იძულებული გახდა, გადამდგარიყო იაპონიაში ვიზიტისას, სადაც დარჩა კიდევ და მოქალაქეობაც მიიღო, რათა პერუში მის მიმართ ნაყენებული სისხლის-სამართლებრივი ბრალდებებისაგან თავი დაეღწია. 2007 წელს პერუში ექსტრადიციის შემდეგ, იგი საბოლოოდ მაინც წარსდგა სასამართლოს წინაშე, რომელმაც მას ადამიანის უფლებების დარღვევის, ქრთამისა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვის გამო, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ხელისუფლებიდან ფუხიმორის სამარცხვინოდ წასვლის მიუხედავად, პერუს მიერ სხვადასხვა დამლუპველი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა – მეთოდებით, რომელთაც შეიძლება ეწოდოს მსუბუქად ავტორიტარული – საპარლამენტო დემოკრატიისაგან განსხვავებულ, მიმზიდველ, ალტერნატიულ გზას სთავაზობდა რეგიონს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იოლად ექცეოდა დიქტატორთა გავლენის ქვეშ.

ოთხმოცდაათიანი წლების ლათინურ ამერიკაში წარმატების ერთ-ერთი კარგი მაგალითი ნიკარაგუასა და ელ სალვადორში ხანგრძლივი სისხლიანი სამოქალაქო ომების დასრულება იყო. კოსტა რიკას პრეზიდენტ ოსკარ არიას სანჩესის მიერ შემუშავებული ნიკარაგუას სამშვიდობო გეგმა, რომელსაც 1987 წლის აგვისტოში ცენტრალური ამერიკის ხუთი სახელმწიფოს მეთაურებიც შეუერთდნენ, ცეცხლის შეწყვეტას, მეომარი მხარეებისათვის უცხოური სამხედრო დახმარების შეჩერებას და თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. სანდინისტი პრეზიდენტ დანიელ ორტეგა საავედრას მთავრობამ, რომელიც, საბჭოთა დახმარების შეწყვეტისა და კომპრომისისაკენ გორბაჩოვის მოწოდებების გამო, განსაკუთრებით დასუსტებულიყო, 1988 წლის მარტში ცალმხრივად შეწყვიტა ცეცხლი. 1989 წლის თებერვალში კი მან, არიასის გეგმის შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება გამოაცხადა. შეერთებული შტატების დახმარების შეწყვეტით ასევე დასუსტებულმა კონტრას მოძრაობამაც დაანყო იარაღი და ხელისუფლების მოპოვებას არა ტყვიებით, არამედ საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით დათანხმდა. ათწლიანი სამოქალაქო ომისა და შეერთებული შტატების სავაჭრო ემბარგოს გამო, ნიკარაგუაში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად,

სანდინისტები 1990 წლის თებერვალში გამართულ არჩევნებში გამარჯვებას იმედოვნებდნენ. სანაცვლოდ, ისინი ოპოზიციური პარტიების ფართო კოალიციამ დაამარცხა, რომელსაც სანდინისტას მთავრობის ყოფილი წევრი ვიოლეტა ბარიოს დე ჩამორო ედგა სათავეში. აპრილში მან ორტეგასგან ხელისუფლება მშვიდობიანი გზით გადაიბარა.

სანდინისტების დამარცხებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ ძირი გამოუთხარა ელ სალვადორის აჯანყებულთა არმიასაც – დემოკრატიულ-რევოლუციურ ფრონტს და მის სამხედრო ფრთას – ფარაბუნდო მარტის ეროვნული გათავისუფლების ფრონტს, რომელიც ათწლეულის განმავლობაში ებრძოდა მემარჯვენე მთავრობას. მოლაპარაკებების გზით გამოსავლის გამოსანახად მთავრობაზე შეერთებული შტატების ზეწოლის შედეგად, 1990 წლის აპრილში გაეროს ეგიდით სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო. 1992 წლის იანვარში მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელსაც მეთვალყურეობას გაეროს სადამკვირვებლო ძალები გაუწევდნენ (ONUSAL). ასე დასრულდა თოთხმეტწლიანი სამოქალაქო ომი, რომელმაც სამოცდათხუთმეტი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქვეყანას უზარმაზარი ნგრევა მოუტანა, ხოლო ფარაბუნდო მარტის ეროვნული გათავისუფლების ფრონტი 1997 წლისათვის დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას დათანხმდა. როდესაც ფარაბუნდო მარტის ეროვნული გათავისუფლების ფრონტმაც და მმართველმა ეროვნულ-დემოკრატიულმა ალიანსმაც, თითოეულმა საპარლამენტო ადგილების მესამედი მოაგროვეს, იარალის ჟღარუნი პოლიტიკურმა გარიგებებმა ჩაანაცვლა, როგორც დოქტრინული განსხვავებების მოგვარების უკეთესმა საშუალებამ. ნიკარაგუასა და ელ სალვადორში სისხლიანი სამოქალაქო ომების დასრულების შემდეგ, ცენტრალურ ამერიკაში თხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად დაისადგურა მშვიდობამ და სტაბილურობამ.

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში შეერთებული შტატების პოლიტიკის გააქტიურება ლათინური ამერიკის მიმართ განსაკუთრებით პანამასთან ვაშინგტონის ურთიერთობებზე აისახა. 1977 წელს პრეზიდენტ ჯიმი კარტერისა და პანამის პრეზიდენტ ომარ ტორიხოს ერერას მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება საუკუნის ბოლოს პანამის არხზე სრული კონტროლის პანამისათვის გადაცემას ითვალისწინებდა. მეორე ხელშეკრულებით, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე და რომელსაც ორივე სახელმწიფოს ლიდერებმა მოაწერეს ხელი, შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა სამხედრო ჩარევის მუდმივი უფლება ნებისმიერი საფრთხის აღსაკვეთად, რომელიც პანამის არხში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის თავისუფალ გასვლას დაემუქრებოდა. გენერალი ტორიხოსი, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პატივი ერგო – რაც ყველა მისი წინამორბედისათვის მიუწვდომელი რჩებოდა – 1981 წელს თვითმფრინავის საეჭვო ვარდნის შედეგად დაიღუპა. ორი წლის შემდეგ გენერალი მანუელ ნორიეგა, რომელსაც შემდგომ ტორიხოსის

თვითმფრინავის ჩამოვარდნა დაბრალდა, პანამის თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი გახდა და რკინის ხელით ქვეყნის მართვას კულისებიდან შეუდგა. იმის მიუხედავად, რომ რეიგანის ადმინისტრაციას უხერხულობას უქმნიდა პანამაში მმართველობის რეპრესიული მეთოდი და მზარდი კორუფცია, ვაშინგტონი პანამაში დემოკრატიული პროცედურების პატივისცემისათვის ნორიეგაზე ზენოლას მანც თავს არიდებდა ორი მიზეზის გამო: ნორიეგა, როგორც შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დაქირავებული ძველი ინფორმატორი, ვაშინგტონს ცენტრალურ ამერიკაში მემარცხენე მოძრაობების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. გარდა ამისა, იგი ძლიერ დახმარებას უწევდა შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი კონტრასის სამხედრო კამპანიას ნიკარაგუას მემარცხენე სანდინისტას მთავრობის მიმართ. ამრიგად, როგორც არაერთხელ მომხდარა ცივი ომის დროს, კომუნიზმთან ბრძოლის მოსაზრებებს დემოკრატიის მხარდაჭერასთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭებოდა.

ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში განვითარებულმა ორმა მოვლენამ შეერთებულ შტატებს თავისი ყოფილი პანამელი პროტიჟეს წინააღმდეგ წასვლა აიძულა. პირველი ასეთი მოვლენა ცენტრალურ ამერიკაში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ცივი ომის დროინდელი დაპირისპირების შესუსტება იყო. გორბაჩოვმა სანდინისტებს მოწინააღმდეგეებთან საერთო ენის გამონახვა მოსთხოვა, ხოლო რეიგანმა ნიკარაგუას კონტრასს დახმარება შეუწყვიტა. ცენტრალურ ამერიკაში კომუნიზმის საფრთხის შესუსტებამ ვაშინგტონისადმი ნორიეგას სამსახურის მნიშვნელობაც შეამცირა. შესაბამისად, ნორიეგას დიქტატორული და კორუმპირებული მმართველობა უხერხულობას უქმნიდა მთავრობას, რომელიც მთელს მსოფლიოს დემოკრატიის ღირსებების დაფასებისკენ მოუწოდებდა. ამავე დროს გამოიკვეთა ახალი საფრთხე, რომელმაც წარმავალი კომუნიზმის საფრთხე ჩაანაცვლა: ოთხმოციანი წლებში პერუ და ბოლივია არალეგალური ნარკოტიკების, განსაკუთრებით კოკაინის, დიდი რაოდენობის მოწოდების წყაროდ იქცნენ. ნარკოტიკები შეერთებულ შტატებში ხვდებოდნენ, სადაც ნარკომანიის დონე უკიდურესად გაზრდილიყო. ამ ქვეყნების გალატაკებული ფერმერები კოკას ფოთლების მოსავალს შუამავლებზე ყიდდნენ, რომლებიც ამ ფოთლებს ერთგვაროვან მასად აქცევდნენ და კოლუმბიაში მოქმედ ქარხნებში აგზავნიდნენ, სადაც ხდებოდა მათი დამუშავება და საიდანაც ნარკოტიკი შეერთებულ შტატებში არალეგალურად შედიოდა. 1988 წლის თებერვალში რეიგანის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ნარკოტიკები ამერიკული საზოგადოების წინაშე მდგარ უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენდა და „ნარკოტიკების წინააღმდეგ ომი“ გამოაცხადა, რითაც მიმქრალი ცივი ომი ჩაანაცვლა. იმავე თვეში ფლორიდის შტატის ორმა მოსამართლემ ნორიეგა ბრალეულად ცნო ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში და ბრალი დასდო მას, კოლუმბიური მედელი-

ნის კარტელისაგან მილიონობით დოლარის ქრთამის სანაცვლოდ, მისთვის პანამის გავლით შეერთებული შტატებისაკენ კოკაინის ტრანსპორტირების საშუალების მიცემაში. რეიგანის ადმინისტრაცია ეკონომიკური ზენოლისა და ფარული ოპერაციების საშუალებით შეეცადა ამ მტრად ქცეული ყოფილი მეგობრის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას, მაგრამ – უშედეგოდ. ნორიეგამ უტიფრად გააუქმა არჩევნების შედეგები, რომელშიც მისმა ოპონენტმა გაიმარჯვა და თავი სახელმწიფოს მეთაურად გამოაცხადა. ბოლოს, როდესაც 1989 წლის დეკემბერში, პანამის მთავრობის მხრიდან მწვავე ანტიამერიკული რიტორიკის ფონზე, პანამის თავდაცვის ძალებმა ამერიკელი მეზღვაური მოკლეს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დიქტატორის დასამხობად ქვეყანაში სამხედრო ინტერვენციის ბრძანება გასცა. ეს იყო შეერთებული შტატების პირველი სამხედრო ოპერაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც არ იყო დაკავშირებული კომუნიზმის საფრთხესთან. ოპერაციის შედეგად ნორიეგა შეიპყრეს, სასამართლოს წინაშე წარადგინეს, ბრალეულად ცნეს ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში და ორმოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ნორიეგას ხელისუფლების დამხობისა და პანამაში დემოკრატიული მმართველობის დამყარების შემდეგ, 1977 წელს კარტერსა და ტორიხოსის მიერ ხელმოწერილი პანამის არხის ხელშეკრულების განხორციელება შეფერხებების გარეშე წარიმართა. 1999 წლის 31 დეკემბერს მოხდა ისტორიული მოვლენა, როდესაც ამერიკული დროშა საბოლოოდ დაუშვეს პანამის არხის ზონაში და ცნობილი სანაოსნო გზა პანამის სრულ კონტროლს დაექვემდებარა. ამავე დროს, შეერთებული შტატების სამხრეთის სარდლობამ – შეერთებული შტატების სამხედრო ჰეგემონიის მთავარმა ფაქტორმა ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის ზღვის რეგიონში – პანამის არხის ზონიდან მიაიმეზღვა გადაინაცვლა. მეოცე საუკუნის ბოლოს პანამის არხიდან გასვლა სიმბოლურად ასახავდა ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების დომინირების ეპოქის დასასრულს – ეპოქის, რომელიც წინა საუკუნის ბოლოს ეს-პანეთზე სამხედრო გამარჯვების შემდეგ დაწყებულიყო.

აოკუპაციის აღწევა და „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ჩაშლა

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელებული იმედი იმის თაობაზე, რომ ლათინური ამერიკა ახლადინდუსტრიალიზებული აღმოსავლეთ აზიის გზას გაყვებოდა, სრულად გაცრუვდა. შიდაბაზრების გახსნამ უცხოური კონკურენციისათვის ნაკლებად ეფექტური ადგილობრივი ფირმების გაბანკოტება და სამუშაო ადგილების დაკარგვა გამოიწვია. არგენტინის ეკონომიკა იმდენად გაუარესდა, რომ 2001-2002 წლებში ქვეყანამ საგარეო ვალებზე დეფოლტი გამოაცხადა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ფინანსური დახმარება მოითხოვა (როგორც ეს ბრაზილიაში რამდენიმე წლით

ადრე მოხდა). საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფინანსური დახმარების წინაპირობად ამ ქვეყნების ეკონომიკაზე დაწესებულმა მკაცრმა ეკონომიკურმა ზომებმა კიდევ უფრო გააღრმავა სიდუხჭირე, რომელშიც მათი მოსახლეობა ცხოვრობდა. ეკონომიკური განვითარებისთვის თავისუფალი ბაზრის სტრატეგიით უკმაყოფილებამ ლათინური ამერიკის ქვეყნების სათავეში პოპულისტ ლიდერებს გაუხსნა გზა, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციას და „ვაშინგტონის კონსენსუსის“ სხვა მხარდამჭერ ორგანიზაციებს გამობდნენ – ეკონომიკური განვითარების გულუხვი დაპირებებით ლათინური ამერიკის ხალხის შეცდომაში შეყვანისა და მათი განადგურებამდე მიყვანისათვის.

ჩავესის ბოლივარული რევოლუცია და მისი მხარდამჭერები

ლათინური ამერიკის ქრონიკული ეკონომიკური ჩამორჩენილობიდან ნეოლიბერალური ეკონომიკური გამოსავლის ყველაზე ენერგიული კრიტიკოსი ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი იყო. არმიის ყოფილმა პოლკოვნიკმა ჩავესმა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტად 1998 წელს უცხოური ეკონომიკური ბატონობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამით აირჩიეს, დიდი პომპეზურობით გამოაცხადა „ბოლივარული რევოლუცია“, რომელიც შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დომინირებისგან ჯერ მის ქვეყანას და შემდეგ მთელს ლათინურ ამერიკას გაათავისუფლებდა. მსოფლიოში ნავთობზე იმ პერიოდში არსებული მაღალი ფასების წყალობით, ჩავესმა ვენესუელის მდიდარი ნავთობსაბადოებიდან მიღებული შემოსავლით ვაშინგტონისადმი წინააღმდეგობისა და რეგიონში მოკავშირეებისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად დაუსრულებელი ფინანსური ხარჯები დაფარა. ვაშინგტონისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების გამომჟღავნებასთან ერთად, იგი გულთბილ ურთიერთობებს ამყარებდა შეერთებული შტატებისადმი მტრულად განწყობილ ისეთ ქვეყნებთან, როგორც ირანია; შეიარაღებას ყიდულობდა რუსეთისგან, ხოლო 2006 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან საჯაროდ უწოდა „ემშაკი“ პრეზიდენტ ბუშს. ჩავესს პირადი მეგობრობა აკავშირებდა მოხუც ფიდელ კასტროსთან, დაბალ ფასში აწვდიდა კუბას ნავთობს და თავს ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების ჰეგემონიის წინააღმდეგ კუბური რევოლუციური კამპანიის მემკვიდრედ ასაღებდა.

ვაშინგტონის კონსენსუსის ალტერნატიული ბოლივარული რევოლუციის კამპანიის ფარგლებში, ჩავესი პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობდა რეგიონის სხვა ქვეყნების ხელისუფლებამი ახლადმისულ პოპულისტ ლიდერებს. კოკაინის ფერმის ყოფილი მეპატრონე ევო მორალესი, რომელიც, როგორც „მოძრაობა სოციალიზმისაკენ“ პარტიის ლიდერი, 2006



„ვაშინგტონის კონსენსუსის“ ლათინურამერიკული ოპონენტები. „ჩენი ამერიკის ხალხების ბოლივარული აღიანისი“ (ALBA) წვერი სახელმწიფოები უმაღლესი დონის შეხვედრაზე ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში, 2008 წლის ნოემბერში: პონდურასის პრეზიდენტი მანუელ სელაია, ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი, ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და ნიკარაგუას პრეზიდენტი დანიელ ორტეგა (წინა რიგი, მარცხნიდან მარჯვნივ). ამ ორგანიზაციას 2004 წელს საფუძველი ჩაუყარეს ჩავესმა და კუბის პრეზიდენტმა ფიდელ კასტრომ, რათა ხელი შეეწყოს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონის ინტეგრაციისათვის, როგორც შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის პროექტის ალტერნატივისათვის. 2009 წელს ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ თავისი ქვეყანა ამ ქვეყნების ჯგუფს შეუერთა, ხოლო პონდურასმა ორგანიზაცია მას შემდეგ დატოვა, რაც სამხედრო გადატრიალების შედეგად სელიას ხელისუფლება დაამხეს. ეკონომიკური კავშირისაკენ პირველი ნაბიჯის სახით, „ჩენი ამერიკის ხალხების ბოლივარული აღიანისი“ (ALBA) ქვეყნები ერთიანი ვალუტის – სუკრეს – შემოღებას გეგმავენ.

წლის დასაწყისში ბოლივიის პირველი ადგილობრივი პრეზიდენტი გახდა, მალევე დაადგა თავისი მფარველი უგო ჩავესის გზას. ბოლივიის ბუნებრივი აირისა და ტელეკომუნიკაციების მრეწველობის ნაციონალიზაციის შემდეგ, მორალესმა მოიჯარე გლახების სასარგებლოდ მიწის ყოვლისმომცველი რეფორმა ჩაატარა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შეერთებული შტატები და მისი ნეოლიბერალური პოლიტიკა და სიხარულით შეუერთდა კუბა-ვენესუელის ღერძს. 2006 წელს ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა გახდა, რომლის წინასაარჩევნო რადიკალურ-პოპულისტური პროგრამა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და უცხოური კომპანიებისაკენ იყო მიმართული, რომელთაც იგი მისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაში სდებდა ბრალს. ეკვადორი თანდათან ვენესუელიდან დამუშავებული ნავთობის იმპორტზე გახდა დამოკიდებული და რაფაელ კორეამაც გლობალიზაციად ნოდებული მოვლენების წინააღმდეგ ჩავესის პროვოკაციული რიტორიკის შესაბამისი პოზიცია დაიკავა. 2007 წლის დასაწყისში ნიკარაგუას პრეზიდენტად სანდინისტას ყოფილი ლიდერის – და-

ნიელ ორტეგას დაბრუნებამ, რომელმაც სერიოზული დახმარება მიიღო ჩავესისგან წინასაარჩევნო კამპანიისას, ვენესუელას კიდევ ერთი პარტნიორი შემატა გლობალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2008 წლის თებერვალში ფიდელ კასტროს თანამდებობიდან ოფიციალურად გადადგომამ, რომელმაც ჯერ კიდევ ორი წლით ადრე დროებით გადასცა ხელისუფლება თავის ძმას – რაულს – ნანლავეებზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, ჰავანაში 1959 წელს რევოლუციონერების ტრიუმფალური შესვლის შემდეგ დაწყებული ნახევარსაუკუნოვანი ეპოქა დაასრულა. რაულ კასტრომ ჩავესთან და ნახევარსფეროს სხვა მემარცხენე რეჟიმებთან ფიდელის დროინდელი ურთიერთობები შეინარჩუნა. ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის შესუსტების იმედი კი მალევე გაქრა, რადგან ძველი რევოლუციონერები კვლავ ქვეყნის სადავეებს ინარჩუნებდნენ.

მემარცხენე ძალებმა ხელისუფლება არგენტინაშიც გადაიბარეს, მას შემდეგ, რაც 2001-2002 წლებში ქვეყნის ფინანსურმა სისტემამ სრული კრაზი განიცადა. მომდევნო წელს პერონისტმა ლიდერმა ნესტორ კირშნერმა, თავისუფალ-საბაზრო რეფორმებით სახალხო უკმაყოფილების ტალღაზე, საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. მისი ხუსტისიალისტური პარტიის თანახმად, სწორედ ამ რეფორმების ბრალი იყო ის ფინანსური კრიზისი და კრაზი, რომელმაც ქვეყანა საგარეო ვალების დიდი ნაწილის დეფოლტამდე მიიყვანა. კირშნერმა შეძლო ობლიგაციების უცხოელი მფლობელების დარწმუნება სესხის ძირითადი ნაწილის შემცირებაში. შემდეგ მან არგენტინული ფასიანი ქაღალდები, რომელთაც საერთაშორისო ბაზარზე აღარავინ ყიდულობდა, ვენესუელას მიყიდა. ჩავესისგან მიღებული დახმარებისა და შიდაეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების წყალობით, კირშნერმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მთლიანი ვალის გასტუმრება შეძლო და ქვეყანა ფონდის სესხის მიღებისათვის მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარების მოთხოვნისაგან გაათავისუფლა. მან მკაცრად დაგმო გლობალიზაცია, როგორც არგენტინის სუვერენიტეტის უხეში შელახვა და ვენესუელასთან ნავთობის მიწოდების სფეროში შეთანხმებები გააფორმა. კირშნერმა ასევე აღადგინა ეკონომიკაში სახელმწიფო ინტერვენციის პოლიტიკა, რომელიც გასული ათწლეულის განმავლობაში მოქმედი თავისუფალი ბაზრის პირობებში გაუქმებული იყო. 2007 წლის ოქტომბერში კირშნერი მისმა მეუღლემ, სენატორმა კრისტინა დე ფერნანდეს კირშნერმა შეცვალა, რაც საპრეზიდენტო მანდატის განახლების რაოდენობაზე კონსტიტუციით დაწესებული შეზღუდვისთვის გვერდის ავლის მცდელობად შეფასდა. ახალმა პრეზიდენტმა არჩევნებში გამარჯვებას მისი მეუღლის მმართველობისას განხორციელებული შთაბეჭქდავი ეკონომიკური ზრდის წყალობით მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში მიღწეულმა ეკონომიკურმა წარმატებამ ქვეყანა 2001-2002 წლების ეკონომიკური კრიზისისაგან და უცხოეთში

კაპიტალის გადინებისგან იხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი კირშნერი მეუღლესთან და მის მოკავშირეებთან შედარებით ნაკლებად კონფრონტაციული პოლიტიკოსი იყო, კირშნერების მთავრობები ოთხმოცდაათიან წლებში ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევის ნეოლიბერალური გზების მიმართ ფართოდ გავრცელებული წინააღმდეგობის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ლულა და „მესამე გზის“ ძიება

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ვენესუელის, ბოლივიის, ეკვადორის, ნიკარაგუასა და არგენტინის სათავეში მოსული პოპულისტური, რადიკალური მთავრობებისგან განსხვავებით, ლათინური ამერიკის ყველაზე მასშტაბური ეკონომიკის მქონე ყველაზე დიდ ქვეყანას სათავეში უფრო პრაგმატული მემარცხენე ლიდერი ჩაუდგა. 2003 წელს ლუის ინასიო ლულა დე სილვა (საყოველთაოდ ცნობილი როგორც „ლულა“) ბრაზილიის პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელიც ქვეყნის ქალაქების მუშათა კლასს წარმოადგენდა. მხოლოდ ოთხწლიანი განათლების მიღების შემდეგ, ლულა ფეხსაცმლების მწმენდავად და სპილენძის გადამამუშავებელ ქარხანაში ხარატად მუშაობდა, შემდეგ კი მშრომელთა პროფესიული კავშირის თანამშრომელი გახდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან სოციალური და ეკონომიკური რეფორმები წამოიწყო, რამაც მკვეთრად შეამცირა უმუშევრობა, დანია ქვეყნის სილატაკის შემამფოთებელი დონე და შეაჩერა ინფლაციის სპირალი, რომელშიც ქვეყანა იყო ჩათრეული. ბრაზილიის შთამბეჭდავმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლებელი გახადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების სრულად დაბრუნება და უცხოეთიდან, განსაკუთრებით ჩინეთიდან, სერიოზული რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვა. ჩავესთან და მის მოკავშირეებთან გულითადი ურთიერთობების შენარჩუნების მიუხედავად, ლულას არც შეერთებულ შტატებთან დამაკავშირებელი ხიდები დაუწვია. ბრაზილიის სერიოზულმა წარმატებამ საქარზე დამზადებული ეთანოლამიდის წარმოებაში საფუძველი დაუდო ქვეყნის თანამშრომლობას ბუშის ადმინისტრაციასთან, რომელიც, ნავთობის იმპორტზე ამერიკის დამოკიდებულების შემცირებისა და ლათინურ ამერიკაში ვენესუელას „ნავთობის დიპლომატიისათვის“ წინააღმდეგობის განვეის მიზნით, მხარს უჭერდა ბიოლოგიური საწვავი საშუალებების განვითარებას. 2007 წლის პირველ იანვარს ლულას მეორე და ბოლო ვადით ინაუგურაციამდე, ბრაზილია საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოდ იქცა. მან საკმაოდ დამაჯერებლად მოითხოვა მუდმივმოქმედი წევრის სტატუსი გაეროს უშიშროების საბჭოში, ხოლო 2009 წელს დიდ სიმბოლურ წარმატებას მიაღწია, როდესაც 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა (ისეთი მეტოქეების წინააღმდეგ, როგორებიც ჩიკაგო და ტოკიოა). ბევრი დამკვირვებლის აზრით, ლულას პრაგმატული რეფორმიზმი ორ პოლუსს შორის მდებარეობდა: ჩავესის რა-

დიკალურ პოპულიზმსა და ლათინური ამერიკის ქვეყნების იმ ჯგუფს შორის, რომლებსაც კვლავაც სჯეროდათ თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური პოლიტიკის, რომელიც ასეთ, საყოველთაოდ ოპტიმისტურ მოლოდინს აღძრავდა გასული საუკუნის ბოლოს.

ძალიან მცირე გამოჩაქვნილებს თუ არ ჩავთვლით, ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის მიერ მიღწეული შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა მსოფლიოში სასაქონლო ფასების დიდ ზრდასთან და რეგიონიდან ლითონების, სოფლის მეურნეობის ნაწარმისა და სხვა ტრადიციული პროდუქტების ექსპორტის ძლიერ მოთხოვნასთან იყო დაკავშირებული. გლობალიზაციის წინააღმდეგ დაუსრულებელი პროტესტის მიუხედავად, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: ვენესუელა, არგენტინა და ბოლივია სერიოზულად არიან დამოკიდებული ექსპორტზე და, შესაბამისად, ჩართულიც არიან საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში. მანამ მსოფლიოში სასაქონლო ფასებზე ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება, ბევრ ლათინურამერიკულ ქვეყანაში მიმდინარე შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის პროცესი გაგრძელდება. სასაქონლო ფასების დაცემა კი, როგორც ეს პერიოდულად ხდებოდა გასულ საუკუნეში, კვლავ ხელს შეუშლის რეგიონის ქვეყნების მცდელობას, განთავისუფლდნენ სილატაკის ანათემისაგან, რომელიც დიდი ხანია თან სდევს მათ.

ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ

ლათინურ ამერიკაში წარმოებული ერთადერთი საქონელი, რომელზეც ყოველთვის არსებობს მოთხოვნა, ანდების რეგიონში მოყვანილი კოკაინის მცენარეა. კოკას მოსავალი პერუელ და ბოლივიელ ფერმერებს მოჰყავდათ და შემდეგ კოლუმბიის ნარკოტიკების ძლევამოსილ კარტელებში გზავნიდნენ, რომლებიც ამუშავებდნენ მას, აქცევენენ სუფთა კოკაინად და ფარულად გზავნიდნენ შეერთებულ შტატებში გასაყიდად (საბოლოო ფასი დიდად განსხვავდებოდა იმ ფასისგან, რომელსაც ლატაკ ფერმერებს უხდიდნენ). ვაშინგტონში ბუშის ადმინისტრაციამ შედარებით წარმატებული პროგრამა წამოიწყო, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციამაც განაგრძო. პროგრამა პერუსა და კოლუმბიის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ გადამუშავებული პროდუქტის გადამზიდავი თვითმფრინავებისათვის გზის გადაჭრას ითვალისწინებდა. როდესაც კოლუმბიელმა ფერმერებმა შეერთებული შტატების ქალაქებიდან წამოსული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ამ ღირებული მცენარის დარგვა დაიწყეს, ვაშინგტონმა ჩამოაყალიბა ამბიციური „გეგმა კოლუმბია“, რომელიც კოლუმბიის მყარად პროამერიკული პრეზიდენტ ალვარო ურიბესთვის ამ მცენარის მოსავლის გასანადგურებლად ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებდა.


2006 წელს ურიბეს ხელახალ არჩევამდე კოლუმბიაში კოკას მოშენებამ მკვეთრად იკლო, თუმცა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას პერუელი და ბოლივიელი (განსაკუთრებით, ევო მორალესის არჩევის შემდეგ) ფერმერები შეუდგნენ. ამასობაში, კოლუმბიის მიერ გატარებული ღონისძიებები ნარკოტიკების წინააღმდეგ გადაეჯაჭვა მის ბრძოლას ტერორიზმთან, კერძოდ, კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ (FARC), რომელიც ლათინური ამერიკის ყველაზე ძველი რევოლუციური, პარტიზანული მოძრაობა იყო. კოლუმბიის რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა (FARC) ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობა გააბეს კოლუმბიის დიდ ნარკობარონებთან და ქვეყნის დიდ ნაწილზე ფაქტობრივი კონტროლიც დაამყარეს. ბუშის ადმინისტრაციისგან ძლიერი მხარდაჭერით, ურიბემ, ანტინარკოტიკული კამპანიისა და კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების (FARC) პირისპირ კონტრრევოლუციური ქმედებების სახით, ნარკობარონების წინააღმდეგ უდიდესი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. მთავრობასთან შეკრული, დემობილიზებული, ნახევრად სამხედრო ძალების მიერ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის შესახებ ბრალდებების მიუხედავად, ურიბემ მოახერხა, შეემცილებინა პარტიზანების კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ ქვეყნის სამხრეთით მდებარე ჯუნგლებს მოიცავდა.

ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებში კოლუმბიური ნარკოკარტელების წინააღმდეგ ეს შედარებით წარმატებული ოპერაცია რეგიონში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემის დასრულებას არ ნიშნავდა. პირიქით, კოლუმბიის კალისა და მედელინის კარტელების საქმე მექსიკის ნარკობანდებმა განაგრძეს. ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს, შეერთებულ შტატებში მოხმარებული კოკაინის 90 პროცენტი მექსიკიდან შედიოდა. 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეტად მცირე უპირატესობით მოგების შემდეგ, ფელიპე კალდერონმა ქვეყანაში უფრო და უფრო გათავხედებული, კოკაინითა და მარიხუანათი უკანონო მოვაჭრეების წინააღმდეგ დიდი კამპანია წამოიწყო. უკანონო ნარკოტიკების უზარმაზარი ფარული სავალაყების კონფისკაციის მიუხედავად, მექსიკის არმიისა და პოლიციის მიერ ჩატარებულმა ოპერაციებმა ნარკობანდების მხრიდან პოლიციის, ან ერთმანეთის, მისამართით, ძალადობის დიდი ტალღა გამოიწვია. მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვლევლობების, გამოძაღვისა და გატაცების შემთხვევები. ბანდებთან დაკავშირებული ან მათ მიმართ გულგრილი სამხედრო, სამთავრობო და პოლიციის ოფიციალური პირების კორუმპირებულობა კალდერონის მცდელობებს ეფექტურობას უკარგავდა. მექსიკის მთავრობასა და ნარკოტიკებით უკანონო მოვაჭრეებს შორის ომი შეერთებულ შტატებსაც მისწვდა, რომლის სასაზღვრო შტატებში – არიზონასა და ნიუ მექსიკოში – ნარკოტიკებთან დაკავშირებულმა ძალადობამ იმატა. 2008 წელს შეერთებულ შტატებში დიდი

რეცესიის დაწყებამდე, მექსიკიდან ნარკოტიკების კონტრაბანდის პრობლემა იმავე ქვეყნიდან უკანონო მიგრაციის იოლად ააღებად პრობლემას გადაეჯაჭვა. რიო გრანდეს ჩრდილოეთით უმუშევრობის ზრდის გამო, შეერთებულ შტატებში საზღვრის უფრო მკაცრ გაკონტროლებასა და უკანონო იმიგრანტების წინააღმდეგ ხისტი ზომების გატარებას ითხოვდნენ, რომელთაც ამერიკელთა სამუშაო ადგილების დაკავება და ხელფასების კლების გამოწვევა ბრალდებოდათ. შეერთებულ შტატებში მზარდმა ანტიიმიგრაციულმა განწყობამ უარყოფითად იმოქმედა ნარკობანდების წინააღმდეგ ვაშინგტონსა და მეხიკოს შორის ურთიერთობებზე. ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ პრობლემის ის ნაწილი, რომელიც ნარკოტიკებს ეხებოდა, ვერასოდეს მოგვარდებოდა მანამ, ვიდრე მაიამელი და ნიუ იორკელი მომხმარებლები კოკაინის პლანტაციებიდან მიღებული ამ უკანონო (და, შესაბამისად, ძალიან ძვირი) პროდუქტის მოთხოვნას განაგრძობდნენ.



ძველიდან ახალი საუკუნისკენ



გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების აქტივისტები პროტესტს გამოთქვამენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტრების შეხვედრისას სიეტლში, 1999 წლის 3 დეკემბერი: დემონსტრანტები აკრიტიკებენ ამ ორგანიზაციის მიერ, მათი აზრით, თავისუფალი ვაჭრობის მიზნებისადმი ერთგულებას მშრომელთა უფლებების, გარემოს დაცვისა და სხვა ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული პროტესტი გლობალიზაციის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საჯარო უკმაყოფილების გამოხატვის პირველი მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო.

თავის პინაარსი

საერთაშორისო თანამშრომლობის მცდელობები ცივი ომის შემდეგ
 გლობალური ეკონომიკის მართვა
 პეიარაღებზე კონტროლის არაერთგვაროვანი გამომდინარეობა
 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხარედი როლი
 გლობალიზაცია და მისი მონივრულად მკვლევარი
 ეპონებტონის ომები ავლანეთსა და ერაყში

საერთაშორისო თანამშრომლობის მცდელობები ცივი ომის შემდეგ

ნაციონალიზმის ძალამ და გამძლეობამ ცივი ომის დასრულების შემდეგ რამდენჯერმე იჩინა თავი. ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებულმა დიდი ხნის წინ მიძინებულმა გრძნობებმა არა მხოლოდ გაუჩინარებულ საბჭოთა კავშირსა და ყოფილ კომუნისტურ ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში გამოიღვიძა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფოთა არსებული ტერიტორიული მონყობა. ნაციონალიზმის უფრო კეთილთვისებიანმა ნეოული-სონურმა ვერსიამ – ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპმა – ძველი საზღვრების მშვიდობიანი გზებით აღდგენა ან ახალი საზღვრების მშვიდობიანი გზებითვე შექმნა გახადა შესაძლებელი (როგორც ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში ან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მაგალითად, უკრაინაში). ნაციონალიზმის უფრო ავთვისებიანმა ფორმამ (ყოფილ იუგოსლავიაში და რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რეგიონში) – ეთნიკური განსხვავებულობის შეგნებამ – შულლის გადავიებას შეუწყო ხელი, რაც უდანაშაულო ადამიანების მიმართ ჩადენილ საზარელ ძალადობაში გადაიზარდა. ცივი ომის შემდგომ პერიოდში, ნაციონალური განწყობების ამ გამოვლიძების პარალელურად, ასევე გამოიკვეთა ინტერნაციონალიზმისა და საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ სწრაფვის საპირისპორო ტენდენციაც, როგორც თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საერთაშორისო კონფლიქტისა და დაპირისპირების სანაცვლოდ საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ სწრაფვას, როგორც მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ყველაზე რაციონალურ საშუალებას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ კეთილშობილური ოცნების განხორციელების ყველაზე ძველ და მნიშვნელოვან მცდელობას ადგილი ჰქონდა 1899 წელს ჰააგის კონფერენციაზე – მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მონაწილეობით გამართულ სამთავრობათშორისო შეხვედრაზე, რომელზეც მხარეებმა პირველად განსაზღვრეს სახელმწიფოებს შორის ურთიერ-


თობების წესები. ქცევის ამ საერთაშორისო კოდექსის პირველი ნაწილი შეიარაღებული კონფლიქტის აღბათობის მინიმუმამდე დაყვანისკენ იყო გამიზნული, რისთვისაც ის მედიაციისა და არბიტრაციის გზით საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების პროცედურებს აწესებდა. მეორე ნაწილი, ომის დროს ზოგიერთ, არაადამიანურად მიჩნეული ქმედებების აკრძალვის გზით, კერძოდ, ასაფეთქებელი ნივთიერებების ჩამოყრა საჰაერო ბუშტებიდან (თვითმფრინავი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი) და ბრძოლისას „მზუთავი და მავნე აირების გაშვება“, „ცივილიზებული“ ქცევის წესების დადგენას ცდილობდა. ამ საქებაარმა ძალისხმევამ ვერ შეძლო ვერც ისტორიაში ყველაზე სისხლიანი და დამანგრეველი ომის და ვერც ისეთი აკრძალული ქმედებების თავიდან აცილება, როგორცაა საჰაერო დაბომბვები ან მეომარი მხარეების მიერ მომწამვლელი აირების გამოყენება. უკვე ვიხილეთ, როგორი წარუმატებელი აღმოჩნდა ერთა ლიგის დამფუძნებელთა გაბედული მცდელობები პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების ეფექტური მექანიზმის შესაქმნელად იმ პირობებში, როდესაც იმ დროის დიდმა სახელმწიფოებმა ორმხრივი ალიანსების სისტემა და გამალებული შეიარაღება განაახლეს.

გაეროს სამშვიდობო მისიები

თავდაპირველი მოლოდინი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წამყვან როლს შეასრულებდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში, ცივი ომის გამო არ გამართლდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორმოცი წლის განმავლობაში კომუნისტურ და ანტიკომუნისტურ ბლოკებს შორის დაპირისპირება ხელს უშლიდა გაეროს, შეესრულებინა უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია, ვიდრე აზრთა გაცვლა-გამოცვლის საერთაშორისო ფორუმი. ამ პერიოდში საერთაშორისო უსაფრთხოების მხრივ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია – კორეაში სამხედრო ინტერვენცია 1950 წელს – ერთი განსაკუთრებული შემთხვევის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომელიც აღარასოდეს განმეორდა: საბჭოთა კავშირის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს ბოიკოტი, რამაც სამხედრო იერიშის შესაკავებლად სამხედრო ძალის გამოყენებისათვის გაეროში ერთსულოვანი გადაწვეტილების მიღებისათვის უნიკალური შესაძლებლობა გააჩინა. სამხედრო კონფლიქტებში გაეროს სამხედრო ინტერვენციის კიდევ რამდენიმე შემთხვევა შეზღუდული მასშტაბისა და მინიმალური შედეგების მომტანი იყო: მათი უმეტესობა დაკავშირებული იყო ახლო აღმოსავლეთის დაუსრულებელ ომში პერიოდული ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგთან. როდესაც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ცივი ომი დასასრულს მიუახლოვდა და საბჭოთა-ამერიკული დაპირისპირებაც მიწყნარდა, ამ მსოფლიო ორგანიზაციას პირველად მიეცა გლობალური უსაფრთხოების საკითხებთან

დაკავშირებული იმ როლის შესრულება, რომელიც მისმა შემქმნელებმა დააკისრეს. 1990 წელს ერავის ქუვეითში შეჭრის შემდეგ, უშიშროების საბჭოს მიერ ერავის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაკისრებამ და შემდეგ, 1991 წელს, ქუვეითიდან ერავის ჯარის განსაღვენად მისი თანხმობით სამხედრო ძალის გამოყენებამ ამ მსოფლიო ორგანიზაციის, როგორც აგრესიის თავიდან აცილების ან მისი დასჯის მექანიზმის, პრესტიჟი მნიშვნელოვნად გაამყარა. გაეროს ცივი ომის შემდგომი სამშვიდობო ოპერაციები მისი ყველაზე წარმატებული საქმიანობა აღმოჩნდა და, შესაბამისად, მომავალში მსგავსი მოქმედებების მოდელად იქცა. მაშინ, როდესაც 1990-1991 წლებში მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებზე, სალვადორში მიმდინარე ათწლიანი სამოქალაქო ომი, გაეროს ჩარევის შედეგად, დასრულდა. უშიშროების საბჭომ სალვადორში დამკვირვებელთა მისია (ONUSAL) გაგზავნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე სამეთვალყურეოდ და იმ იარაღის ამოსაღებად, რომლის ჩაბარებაზეც ამბოხებულები დათანხმდნენ. ასე შეუწყო ხელი მსოფლიო ორგანიზაციამ ხანგრძლივი და მწვავე სამოქალაქო დავის მოგვარებას, რომელიც გასული ათწლეულის აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების პირობებში შეუმჩნეველად მიმდინარეობდა.

ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში სამოქალაქო ომის შემდგომი დემოზილიზაციისა და შერიგებისათვის ხელშეწყობა გაეროს პოლიტიკის ლაიტმოტივად იქცა. სალვადორის ოპერაციის გარდა, გაეროს სამშვიდობო ძალებმა სამოქალაქო კონფლიქტებში ინტერვენცია განახორციელეს: ანგოლაში, ბოსნიაში, კამბოჯაში, ხორვატიაში, მაკედონიაში, მოზამბიკში, რუანდაში, სომალისა და დასავლეთ საჰარაში. ამ ოპერაციების მრავალფეროვანი მიზნები სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას, ჰუმანიტარული დახმარების დარიგების უზრუნველყოფას, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე მეთვალყურეობას, მეგრძობების განიარაღებას და არჩევნებისა თუ რეფერენდუმების მომზადებასა და ჩატარებას შეიცავდა. გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სია მოიცავს წარმატებულ შემთხვევებსაც – სალვადორი და კამბოჯა – და, ასევე, იმედგამაცრუებელ წარუმატებლობებსაც ანგოლაში, რუანდასა და სომალში. მსოფლიოს ცხელ წერტილებში გაეროს საქმიანობის ასეთი გააქტიურება ამ მსოფლიო ორგანიზაციის, როგორც ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს გავლენიანი მონაწილის, ახალი სიცოცხლის დაწყებად აღიქმებოდა. თუმცა, ოთხმოცდაათიანი წლებში გაეროს ბევრი სამშვიდობო მისია უნივერსალური ჰუმანიტარული მიზნებით იმ ლატაკი ქვეყნების კონფლიქტურ სიტუაციებში განხორციელდა, რომელთა მიმართ მაშინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფოებს სასიცოცხლო ინტერესები არ გააჩნდათ. მაშინ, როდესაც ამგვარი ინტერესი ამა თუ იმ კონფლიქტის მიმართ არსებობდა, როგორც, მაგალითად კოსოვოში, როდესაც რუსეთის ვეტომ სერბიის წი-



- UNITSO United Nations Truce Supervision Organization
- UNMIS United Nations Mission in the Sudan
- UNMOGIP United Nations Military Observer Group in India and Pakistan
- MONUC United Nations Organization Mission in the Dem. Rep. of the Congo
- UNFICYP United Nations Peace Keeping Force in Cyprus
- UNMEE United Nations Mission in Ethiopia and Eritrea
- UNDOF United Nations Disengagement Observer Force
- UNMIL United Nations Mission in Liberia
- UNOCI United Nations Interim Force in Lebanon
- UNOCI United Nations Operation in Cote d'Ivoire
- MINURSO United Nations Mission for the Referendum in Western Sahara
- MINUSTAH United Nations Stabilization Mission in Haiti
- UNOMIG United Nations Observer Mission in Georgia
- ONUB United Nations Operation in Burundi
- UNMIK United Nations Interim Administration Mission in Kosovo
- UNMIT United Nations Integrated Mission in Timor-Leste

გაეროს სამშვიდობო მისიები

ნაალმდე გავროს უშიშროების საბჭოს მიერ ზომების მიღება შეუძლებელი გახადა, გავროს განზე სწევდნენ და სამხედრო ქმედებას რეგიონული ალიანსი – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია – ახორციელებდა. კოსოვოს ოპერაციამ შექმნა პრეცედენტი გავროს რეზოლუციის გარეშე შეერთებული შტატების ორგანიზებული კოალიციის მიერ 2003 წელს ერაყში ინტერვენციისათვის, რამაც სერიოზული დარტყმა მიაყენა გავროს, როგორც საერთაშორისო დავების განხილვისათვის შესაბამისი ფორუმის, რეპუტაციას.

ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ დიდია სამშვიდობო ოპერაციების აუცილებლობა. გავროს სამდევნო ყველანაირად ცდილობდა სამშვიდობო ოპერაციისათვის ძალების მოგროვებას და მათ მივლინებას ცხელ რეგიონებში, სადაც დიდ სახელმწიფოებს საკუთარი ძალების გაგზავნა არ სურდათ. ათწლეულის ბოლომდე გავროს მივლინებული ჰყავდა 112 000-ზე მეტი მშვიდობისმყოფელი მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ ქვეყანაში, როგორც იყო: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სუდანი, ჩადი და სომალი (განმეორებით). გასული ოცი წლის განმავლობაში გავროს ყველა სამშვიდობო ოპერაცია კონფლიქტის დასრულების ან დაპირისპირების ჩიხში შესვლის შემდეგ განხორციელდა. კოლექტიური უსაფრთხოების – ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით – მხარდამჭერები კვლავ იმედოვნებდნენ, რომ სამშვიდობო ოპერაციების ცნება გაფართოვდებოდა და მოიცავდა დიდი დაპირისპირებების პრევენციის უფრო რთულ მისიასაც, ან მათი ხანგრძლივობის შემცირებას კონფლიქტის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე სერიოზული სამხედრო ძალის გამოყენების გზით. თუმცა, მშვიდობის შენარჩუნებაში გავროს როლის ასეთი მნიშვნელოვანი გაფართოების იმედი არ განხორციელდა გავროს წინაშე მდგარი სერიოზული საბიუჯეტო შეზღუდვების გამო, რადგან გავროს წევრი მდიდარი სახელმწიფოები უარს ამბობდნენ, საკუთარ პრიორიტეტთა სიის სათავეში მოექციათ მათი ტერიტორიებიდან და ინტერესებიდან დაშორებულ კონფლიქტურ ზონებში მიმდინარე გავროს სამშვიდობო ოპერაციები.

დამნაშავეები საერთაშორისო სასამართლოს წინაშე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგისა და ტოკიოს სასამართლოს წინაშე დამარცხებული სახელმწიფოების – გერმანიისა და იაპონიის – პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები წარდგნენ „ომის დანაშაულებისა“ და „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების“ გამო გასამართლებისათვის. დამნაშავედ ცნობილ პირებს ან სიკვდილით სჯიდნენ, ან ციხეში სვამდნენ. ორივე სასამართლო „გამარჯვებულთა სამართლის“ აშკარა მაგალითებს წარმოადგენდა: ომში გამარჯვებულ მხარეს, დამარცხებული სახელმწიფოს დატყვევებულ ოფიციალურ პირებზე აბსოლუტური ძალაუფლების წყალო-

ბით, შეეძლო, გაესამართლებინა და დაესაჯა ისინი, ვინც იმ ნორმებისა და ქცევის წესების დარღვევაში იქნებოდნენ დამნაშავედ ცნობილი, რომელთაც მათი მოსამართლეები აწესებდნენ. მომავალში მსგავსი სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნის შესახებ ზოგიერთი საერთაშორისო იურისტის იმედს, ცივი ომის დაწყების გამო, განხორციელება არ დასცალდა. თუმცა, მსოფლიო თანამეგობრობა ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში ჩადენილი დანაშაულების შესასწავლად სპეციალურ სასამართლოებს აარსებდა და, შესაბამისად, გაიზარდა მხარდაჭერა მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნისადმი, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს დაიცავდა. რამდენიმეწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, 1998 წელს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამაარსებელ წესდებას 120-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი. ახალი სასამართლოს იურისდიქციაში შევიდა ბრალდებები ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და გენოციდის შესახებ, რომელთა განხილვა ეროვნულ სასამართლოებს არ შეეძლოთ ან არ სურდათ. 2002 წელს, როდესაც სახელმწიფოთა საჭირო რაოდენობამ წესდების რატიფიცირება მოახდინა, სასამართლო, შტაბბინით ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში, ოფიციალურად დაარსდა. მოსამართლეებსა და პროკურორებს წვერი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ასამბლეა ირჩევს. მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს, გაეროს 192 წევრიდან 110 წევრი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრიც გახდა. თუმცა, ბევრმა დიდმა სახელმწიფომ უარი თქვა სასამართლოში გაწევრიანებაზე. ჩინეთმა და ინდოეთმა უარი თქვეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი წესდების ხელმოწერაზე, ხოლო შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ხელი კი მოაწერეს წესდებას, მაგრამ მისი რატიფიცირება არ მოუხდენიათ. შეერთებული შტატები შიშობდა, რომ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში განლაგებული მისი სამხედროები, შესაძლოა, ახალი სასამართლოს მხრიდან დევნისა და დაპატიმრების მსხვერპლი გამხდარიყვნენ. ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციამ იმ ქვეყნებისგან, რომლებიც შეერთებული შტატების სამხედრო დახმარებას იღებდნენ, მოითხოვა ამერიკელი სამხედროების იმუნიტეტის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება, რაც ამერიკელ ჯარისკაცებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან შესაძლო ექსტრადიციისაგან დაიცავდა.

დაარსების შემდეგ, სასამართლომ სისხლის სამართლის გამოძიება რამდენიმე ქვეყნის მთავრობების ოფიციალური პირების წინააღმდეგ აწარმოა და ყველა მათგანი აფრიკის ქვეყნები იყო: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კენია, სუდანი და უგანდა. ძიების შედეგად თექვსმეტი ადამიანის ბრალეულობა დადგინდა, თუმცა, 2010 წლის ზაფხულამდე მხოლოდ შვიდი მათგანი წარსდგა სასამართლოს წინაშე.

სასამართლო დევნის ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან ყველაზე აღსანიშნავი 2003 წელს სუდანის დარფურის რეგიონში განვითარებული ეთნიკური ძალადობის შედეგად აღძრული საქმე იყო. მთავრობის მხარდაჭერით, აქლემის მწყემსმა ნომადებმა წყლის რესურსების ხელში ჩასაგდებად სასტიკი რეიდები წამოიწყეს მინათმოქმედი მოსახლეობის წინააღმდეგ. რეიდებმა 400 000 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, 4.5 მილიონი ადამიანი კი ლტოლვილად იქცა. 2005 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ დარფურის ჰუმანიტარული კატასტროფის საქმე გამოსაძიებლად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაუგზავნა. ორი წლის შემდეგ პროკურორმა, ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ბრალდებით, სუდანის მთავრობის ერთი ოფიციალური პირისა და შეიარაღებული ჯგუფების ხელმძღვანელის დაპატიმრების ორდერები გასცა. მთავრობამ ხართუმში დაგმო სასამართლოს აღნიშნული სამართლებრივი ქმედება და განაცხადა, რომ საერთაშორისო სასამართლოს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეების მიმართ იურისდიქცია არ გააჩნდა.

საკუთარი ავტორიტეტის მიმართ ამ გამოწვევისადმი გულგრილმა სასამართლომ 2009 წელს სენსაცია მოახდინა, როდესაც ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ბრალდებით, რასაც 2010 წელს გენოციდის ბრალდებაც დაემატა, სუდანის პრეზიდენტ ომარ ალ ბაშირის დაპატიმრების ორდერი გასცა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბაშირმა უარყო წარდგენილი ბრალდებები და გაიმეორა მისი მთავრობის ძველი პოზიცია, რომ სასამართლო არალეგიტიმური ორგანო იყო. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და ყოფილ იუგოსლავიაში, რუანდაში და სიერა ლეონეში ჩადენილი ომის დანაშაულების ბრალდებათა გამო-საძიებლად შექმნილი სხვა სპეციალურად დაარსებული სასამართლოები უამრავ პროცედურულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, რის გამოც სასამართლო საქმეები წლების განმავლობაში ჭიანჭურდებოდა. თუმცა, ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის თანახმადაც ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები, მათ შორის სახელმწიფოების მეთაურებიც, ჰუმანიტარული სამართლის მიმართ იმუნიტეტით არ სარგებლობენ. სასამართლოსადმი ურჩი ბაშირიც კი მეტ სიფრთხილეს იჩენდა საკუთარი მოგზაურობის გეგმების შედგენისას დაკავებისა და სისხლის სამართლის სასამართლოსათვის ექსტრადიციის შიშით, სადაც იგი იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის (რომელიც სასამართლოს წინაშე წარმდგარი პატიმრობაში გარდაიცვალა) და ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტ ჩარლზ ტეილორის (რომელიც სასამართლოს ნიგერიაში გადასცა და პატიმრობაში იმყოფება ჰააგაში, სადაც სიერა ლეონეს საქმეზე შექმნილი სპეციალური სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის, 1991 წელს დაწყებული თერთმეტწლიანი სამოქალაქო ომის დროს ჩადენილი ომის დანაშაულების ბრალდების გამო) ბედს გაიზიარებდა.

გლობალური ეკონომიკის მართვა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული მაგალითი საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით გამართული მრავალმხრივი მოლაპარაკებების სერია იყო. როგორც ვიხილეთ, 1947 წელს შემუშავდა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება, როგორც ტარიფებისა და თავისუფალი ვაჭრობის სხვა ბარიერების შემცირებაზე მოლაპარაკებათა ფორუმი. რვა საერთაშორისო შეხვედრის (ან რაუნდის,* როგორც ამ შეხვედრებს უწოდებდნენ) განმავლობაში, ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურმა შეთანხმებამ კოორდინაცია გაუწია ტარიფების მნიშვნელოვან შემცირებას არაკომუნისტური სამყაროს ყველაზე მთავარ მოვაჭრე ქვეყნებს შორის. როგორც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობი ახალი მულტინაციონალური მექანიზმის აქტიურმა ნევრმა, შეერთებულმა შტატებმა, რომლის ტარიფების საშუალო მაჩვენებელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 25 პროცენტს უდრიდა, ოთხმოციანი წლების შუაში ტარიფების საშუალო მაჩვენებელი 5 პროცენტამდე დანია. ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პირველი შვიდი რაუნდი ძირითადად წარმოებულ პროდუქციაზე ტარიფების დაწევას მიეძღვნა. ურუგვაის რაუნდმა – კომპლექსური მრავალმხრივი მოლაპარაკებების პროცესმა, რომელშიც 1986-დან 1994 წლამდე 123 სახელმწიფო მონაწილეობდა – რამდენიმე სხვა სფეროც მოიცვა, მათ შორის სოფლის მეურნეობის სფეროში სავაჭრო ბარიერების პოლიტიკურად მგრძნობიარე პრობლემაც.

ურუგვაის რაუნდი გაცილებით უფრო მწვავე აღმოჩნდა, ვიდრე მის მონაწილეებს თავიდან წარმოედგინათ. ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების მიერ ტარიფების შემცირებამ არ გამოიწვია თავისუფალი ვაჭრობის ის ნირვანა, რომელსაც კლასიკური ლიბერალური ეკონომიკის თეორიით ვალისწინებდა. პირიქით, ადრეულ ეტაპზე ტარიფების შემცირებამ და მსოფლიოს სახელმწიფოების ეკონომიკის ურთიერთგადაჯაჭვულობამ პროტექციონიზმისაკენ, ძლიერი და ხმამაღალი მონოდეტები გააჩინა, როგორც კი მრეწველობის არაეფექტურმა დარგებმა და ფერმერებმა უცხოური კონკურენციის ნესტარი იგემეს. მთავრობებმა ამ ზენოლას, ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების დებულებების დარღვევის გარეშე უცხოური პროდუქტების შიდაბაზრებიდან განსაღვენად, არაფორმალური ზომების გატარებით უპასუხეს. იაპონიამ, რომელმაც, ფერმერთა პოლიტიკურად ძლიერი ლობის აქტიურობის წყალობით, ტარიფებისა და მკაცრი კვოტების საშუალებით უდრტივინველად მოახდინა სოფლის მეურნეობის სე-

* შენევის პირველი რაუნდი (1947), ანესის რაუნდი (1949), ტორკევის რაუნდი (1950-1951), შენევის მეორე რაუნდი (1955-1956), შენევის (დილონის) მესამე რაუნდი (1959-1962), შენევის მეოთხე (კენედის) რაუნდი (1963-1967), ტოკიოს რაუნდი (1973-1979) და ურუგვაის რაუნდი (1986-1994).

ქტორის იზოლაცია უცხოური კონკურენციისაგან, წარმოებულ საქონელზე ტარიფები ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების სატარიფო მაჩვენებელზე ქვემოთ დანია და წარმოებული საქონლის იმპორტზე ფარული ბარიერების გამოყენება დაიწყო. ეს ფარული ბარიერები მოიცავდა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ შიდასადისტრიბუციო სისტემას, რომელიც ეფექტურად ახორციელებდა უცხოური კომპანიების წინააღმდეგ დისკრიმინაციას, შიდაკომპანიებთან მთავრობის მიერ გაფორმებულ პრეფერენციულ შეთანხმებებს და უცხოური ინტერესჯგუფების მიერ იაპონური ფირმების შექმნაზე სამართლებრივი დაბრკოლებების შექმნას.

ევროპის გაერთიანება სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში სურსათის იმპორტზე უფრო და უფრო ეფექტურ არასატარიფო ბარიერებს იყენებდა. სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც, თავდაპირველად, საფრანგეთსა და გერმანიას შორის ეკონომიკურად შედარებით არაეფექტური, მაგრამ პოლიტიკურად ძლიერი ფერმერების უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად გაფორმებული შეთანხმებიდან აღმოცენდა, უზარმაზარ ბიუროკრატიულ მექანიზმად ჩამოყალიბდა, რომელიც, მსოფლიო ფასებთან შედარებით შიდაფასების ვარდნის შემთხვევაში, ევროპულ სურსათზე ფასების შენარჩუნებასა და, სურსათის ქარბი პროდუქციის დაგროვებისას, ექსპორტის სუბსიდირებას ითვალისწინებდა. შესაბამისად, ევროპელი ფერმერები საკუთარ პროდუქციას ევროპულ ბაზარზე ხელოვნურად მაღალ ფასად ასალებდნენ, ხოლო მსოფლიო ბაზარზე ხელოვნურად დაბალ ფასად გაჰქონდათ, რაც ევროპელი მომხმარებლისა და უცხოელი კონკურენტების ხარჯზე ხდებოდა.

სავაჭრო მოლაპარაკებებში შეერთებული შტატების წარმომადგენლები, ამერიკელი ფერმერებისა და ექსპორტიორების მოთხოვნის შესაბამისად, ჯიუტად მოითხოვდნენ იაპონიისაგან და ევროპის გაერთიანებისაგან ბაზრების გახსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ურუგვაის რაუნდზე საპასუხო ზომებით იმუქრებოდნენ. მაშინ, როდესაც ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ბევრი დამკვირვებელი შიშობდა, რომ მას ანტიკომუნისტური ბლოკის ყოფილ წევრებს შორის სავაჭრო ომი ჩაანაცვლებდა. ურუგვაის რაუნდზე შეერთებულ შტატებსა და მის ევროპელ და იაპონელ პარტნიორებს შორის წამოჭრილმა მწვავე დავებმა ნათელი გახადა, რომ ერთ დროს ეკონომიკურად ყველაზე გავლენიან სახელმწიფოს ოთხმოციანი წლების ბოლოს საკუთარი ნების სხვა სახელმწიფოებისთვის თავს მოხვევა აღარ შეეძლო. შეერთებული შტატების მიერ კანადასთან და მექსიკასთან ერთად ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელის მოწერა და შემდეგ, მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს მომცველი სავაჭრო სისტემის შესაქმნელად, უფრო გაბედული სქემის ჩამოყალიბება სწორედ თავდაცვით რეაქციას წარმოადგენდა იმ მოვლენის მიმართ, რომელსაც ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი

ატლანტისა და წყნარი ოკეანეების გადაღმა პროტექციონისტული სავაჭრო ბლოკების შექმნად აღიქვამდა. შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1994 წელს ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ საბოლოოდ გაუხსნა გზა ამ მრავალმხრივი შეთანხმების განხორციელებას, რაც მსოფლიოში ტარიფებს საშუალოდ ერთი მესამედით შეამცირებდა. ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების სხვა რადიკალური სიახლეები რამდენიმე საიმპორტო კვოტის სრულ გაუქმებასა (მაგალითად, ბრინჯზე იაპონიის კვოტისა და შაქარსა და საფეიქრო ნაწარმზე შეერთებული შტატების კვოტის) და „ინტელექტუალური საკუთრების“ დაცვის დებულებებში მდგომარეობდა. ეს უკანასკნელი პატენტის, საავტორო უფლებების, სავაჭრო ნიშნების დაცვას გულისხმობდა, რათა პირატული ფილმების, კომპაქტური დისკების, კომპიუტერის პროგრამების და მედიკამენტების შეუზღუდავი გავრცელება შეწყვეტილიყო. ვინაიდან ამერიკული სავაჭრო ტარიფები მის ძირითად სავაჭრო პარტნიორების უმრავლესობის ტარიფებთან შედარებით ნაკლები იყო, და რამდენადაც ინტელექტუალური საკუთრების ნორმებით დაცული საკუთრების უმრავლესობას ამერიკული ფირმები აწარმოებდნენ, ახალი სავაჭრო წესების დამკვიდრებით ყველაზე მეტი სარგებელი შეერთებულმა შტატებმა ნახა.

შეერთებულ შტატებში ყველაზე მეტი წინააღმდეგობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შექმნას მოჰყვა, რომელმაც, როგორც მსოფლიო ვაჭრობის წესების მმართველმა ორგანიზაციამ, 1995 წლის პირველ იანვარს ორმოცდაშვიდი წლის ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება ჩაანაცვლა. კონგრესმენების მიერ გამოხატული შემოფოტების გამო, რომ, ვაჭრობის ახალი წესების დარღვევის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს ჯარიმებს ორგანიზაციის მოსამართლეები დააკისრებდნენ, რაც შეერთებული შტატების სუვერენიტეტის დაკარგვას ნიშნავდა, ვაშინგტონმა, ამერიკის ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, ხელშეკრულებაზე რამდენიმე დათქმა გააკეთა. მიუხედავად არაერთი წინაპირობისა და დათქმისა, რომელიც ზოგიერთმა ხელმომწერმა სახელმწიფომ მოითხოვა, ურუგვაის რაუნდის წარმატებით დასრულებამ და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნამ გლობალური სავაჭრო ომისა და იმ პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლებლობა შეამცირა, რომელსაც ასეთი სავაჭრო ომი აუცილებლად გამოიწვევდა. ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფილოსოფიით გათვალისწინებული მრავალმხრივი ფორმატისა და ანტიდისკრიმინაციულ პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას საფრთხეს მხოლოდ ევროკავშირი, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და სხვა რეგიონული (და პოტენციურად დისკრიმინაციული) სავაჭრო სისტემები უქმნიდნენ.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მრავალმხრივი მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდი ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა. აფრიკისა და ლათინური ამერიკის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ეფექტური მონაწილეობა რთული იყო იმ დრომდე, ვიდრე ისინი ეკონომიკური განვითარების მთავარი წინააღმდეგობისგან, კერძოდ კი, საბრუნავი კაპიტალის მწვავე დეფიციტისგან არ გათავისუფლდებოდნენ. ამ კაპიტალის ერთადერთი იოლად ხელმისაწვდომი წყარო ჩრდილოეთის განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში დაგროვილი დანაზოგები იყო. მეორე მსოფლიო ომის მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ამ დანაზოგების მცირე ნაწილი განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური დახმარების პროგრამებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით აღწევდა. ამ ქვეყნების რეალურ მოთხოვნილებებთან შედარებით არასაკმარისი რაოდენობის მიუხედავად, კაპიტალის ტრანსფერის ეს ორი სახე განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა მიმღები ქვეყნებისათვის: მთავრობების მიერ გაცემული საგარეო დახმარებები ან საჩუქრის, ან დაბალი საპროცენტო განაკვეთისა თუ უპროცენტო სესხის სახით გაიცემოდა. მესამე სამყაროს ქვეყნებში კერძო ფირმების მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების შედეგად, მიღებული მოგების ხშირად დონორ ქვეყანაში რეპატრიაციის მიუხედავად, მიმღებ ქვეყანაში ფიზიკური აქტივები, ტექნოლოგიები და კვალიფიციური უნარები რჩებოდა.

სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში როგორც სახელმწიფოების მიერ გაცემული, ასევე კერძო, პირდაპირი ინვესტიციები განვითარებად სამყაროში მნიშვნელოვნად შემცირდა. შექმნილი საინვესტიციო უკმარობის ამოსავსებად, ეს ქვეყნები სესხების მიღებას კომერციული ბანკებისგან (რომელთა უმრავლესობა ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში მდებარეობდა) და ორი მთავარი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებისგან – საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან და მსოფლიო ბანკისგან – ცდილობდნენ. მართალია, კომერციული ბანკები და საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციები მესამე სამყაროს ქვეყნებზე სესხებს ადრეც გასცემდნენ, მაგრამ აღნიშნული ორი ათწლეულის განმავლობაში მათ სესხების მოცულობა განსაკუთრებით გაზარდეს, რითაც სახელმწიფოების შემცირებული ეკონომიკური დახმარება და გაიშვიათებული პირდაპირი ინვესტიციები ჩაანაცვლეს.

კომერციული ბანკების მიერ მესამე სამყაროსადმი გაცემული სესხების ზრდის მთავარი მიზეზი 1973 წელს ნავთობის ფასების გაოთხმაგება იყო, რის შედეგადაც ოპეკის ქვეყნებში დიდი ოდენობის ნაღდი ფული გროვდებოდა, რომელიც ამ ქვეყნებმა სასწრაფოდ განათავსეს ევროპისა და ამერიკის ბანკებში, რათა ამ თანხების უსაფრთხოება და მათგან მიღებული მაქსიმალურად მაღალი საპროცენტო მოგება უზრუნველყოთ. ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც ბანკებს ამ თანხებიდან ფულის გაკეთება შეეძლოთ, მათი გა-

სესხება იყო უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით, ვიდრე ისინი დეპოზიტების პატრონებს უხდიდნენ. ამ ბანკების სამწუხაროდ, ნავთობის ფასების ზრდის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო, ბიზნესებმაც და კერძო პირებმაც ხარჯვას უკლეს და, შესაბამისად, ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში სესხებისადმი მოთხოვნამ იკლო. აქედან გამომდინარე, კომერციულმა ბანკებმა შეთანხმებების გასაფორმებლად განვითარებადი ქვეყნების ხაზინებს მიმართეს, განსაკუთრებით აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ასევე შეუერთდნენ კომერციულ ბანკებს მესამე სამყაროს ქვეყნებში მომგებიანი გარიგებების საძიებლად და, ეკონომიკური ზრდის უფრო დიდი მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვნად გაზარდეს საკუთარი საკრედიტო ოპერაციები მიმღებ ქვეყნებში. როგორც კომერციული ბანკების, ასევე ოფიციალური საკრედიტო ორგანიზაციების სტრატეგია ეფუძნებოდა ოპტიმისტურ ვარაუდს, რომ კაპიტალის მასიური შედინება მესამე სამყაროს ამ ქვეყნებში სერიოზულად გაზრდიდა მათ ექსპორტს, რაც საკმარის უცხოურ ვალუტას მოუტანდა მათ დაგროვილი ვალების გასასტუმრებლად. ამგვარად, მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის მიცემული სესხები თავად გამოიმუშავებდნენ მათ დასაფარად საჭირო თანხებს, ხოლო ექსპორტიდან მიღებული და სესხის გასტუმრების შემდეგ დარჩენილი თანხები შემდგომ ეკონომიკურ ზრდას მოხმარდებოდა. მესამე სამყაროს ქვეყნების მზარდი ეკონომიკა, თავის მხრივ, ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის მოთხოვნას გამოიმუშავებდა, რითაც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთსასარგებლო ფინანსური ურთიერთობა დამყარდებოდა. ეს იყო მრავალმილიარდიანი ფსონი, რომლისგანაც ნაგებული არავინ დარჩებოდა. კრედიტების ამ ახალ ტალღას გასაოცარი შედეგები მოჰყვა: განვითარებადი ქვეყნების საშუალო და გრძელვადიანი დავალიანებები 1970 წელს 70 მილიარდი დოლარიდან, 1979 წელს 400 მილიარდ დოლარამდე და 1989 წელს 1.3 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.

სამხრეთის მიმართულებით კაპიტალის ეს მასიური დინება დიდ გამართლებად მიაჩნდათ ამ სესხების მიმღებ ქვეყნებში: ქვეყნებს, რომლებსაც უხვად ჰქონდათ ბუნებრივი რესურსები, მინა და მუშახელი, ეს კრედიტები წარმოების მთავარ ფაქტორს – საინვესტიციო კაპიტალს – სთავაზობდა, რომელსაც ისინი, შიდადანაზოგების დაბალი მაჩვენებლის გამო, თავად ვერ ქმნიდნენ. თუმცა, როგორც მსესხებელმა ქვეყნებმა მალე გააცნობიერეს, კომერციული ბანკებისგან მიღებულ ფულს მაღალი ფასი ჰქონდა. მთავრობებისგან გაცემული დახმარების პროგრამებისგან განსხვავებით, კომერციული ბანკების სესხები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაიცემოდა; კიდევ უარესი, საპროცენტო განაკვეთები იყო არა ფიქსირებული, არამედ მათი უმრავლესობა დროდადრო იცვლებოდა, რაც ამ ქვეყნებს ინდუსტრიალიზებულ სამყაროში ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებულს ხდიდა. პირდაპირი ინვესტიციებისგან განსხვავებით, სესხის მთავარი თანხისა

და საპროცენტო, განაკვეთის გადახდა რეგულარული ინტერვალებით უნდა განხორციელებულიყო, მიუხედავად იმისა, გამოიმუშავენდა თუ არა ეს სესხი საკმარის შემოსავალს მიმღები მხარისათვის. ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როდესაც საპროცენტი განაკვეთები მთელს მსოფლიოში რეკორდულად იზრდებოდა და ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში მიმდინარე ღრმა ეკონომიკურმა რეცესიამ მესამე სამყაროში წარმოებული საქონლის მიმართ მოთხოვნა დააგდო (და, შესაბამისად, მათმა ფასებმაც დაწია), მესამე სამყაროს ბევრმა ქვეყანამ, რომელთაც კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დიდი ოდენობით სესხები ჰქონდათ აღებული, აღმოაჩინა, რომ ექსპორტიდან სესხების გასტუმრებისათვის საკმარის შემოსავალს ვერ იღებდნენ. მსოფლიო მასობრივი დეფოლტის წინაშე დადგა, რომელსაც შეეძლო, ძირი გამოეთხარა საერთაშორისო საფინანსო სისტემისათვის და ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური ქაოსის მიზეზი გამხდარიყო.

მექსიკის 1982 წლის საკრედიტო კრიზისი, რომელსაც ლათინური ამერიკის შესახებ წინა თავში შევხებით, იმ ფინანსური სირთულეების ყველაზე მძიმე შემთხვევა იყო, რომელმაც ათობით განვითარებადი ქვეყანა მოიცვა – ქვეყნები, რომლებსაც წინა ათწლეულის განმავლობაში დიდი ვალები ჰქონდათ აღებული. მესამე სამყაროს ოთხმოციანი წლების საკრედიტო კრიზისის მოგვარება ძირითადად დაეკისრა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ფინანსური პრობლემების მქონე ქვეყნების დასახმარებლად შეიქმნა – კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს. პირველი შეფასება კრიზისის მიმართ იყო ის, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა თვითონ ჩაიგდეს თავი ამ მდგომარეობაში თანხების ფლანგვით, საბიუჯეტო დეფიციტებითა და ხელოვნურად გაძვირებული ვალუტით, რომელიც ექსპორტის ზრდას უშლიდა ხელს. მოვალე ქვეყნებს მეტად მწარე აბის გადაყლაპვა მოუწევდათ უცხოელი კრედიტორების მიმართ დაგროვილი დავალიანებების გადახდისა და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის. კომერციული სესხების მქონე ქვეყნებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საკრედიტო პაკეტის გაცემა ეროვნული ვალუტების დევალვაციას, ძირითად პროდუქტებზე სუბსიდიებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას მოითხოვდა, რათა ბიუჯეტის ბალანსი აღმდგარიყო. ქაშრების ასეთმა შემოჭრამ მოვალე ქვეყნების სავაჭრო დეფიციტის შემცირების მხრივ სასურველი შედეგი კი მოიტანა, მაგრამ ფასების ზრდამ და სახელმწიფო ხარჯების შემცირებამ სოციალური არეულობები გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხეც. უფრო მეტიც, მიღებულმა ზომებმა სასურველი საბოლოო შედეგი მაინც ვერ გამოიღო, რადგან ლათინური ამერიკისა და აფრიკის ბევრი ქვეყანა კვლავ ვერ ახერხებდა დავალიანებების გადახდას, ზოგიერთი მათგანი კი ფინანსური კოლაფსის ზღვარზე იდგა.

განვითარებადი სამყაროს ბევრმა მევალე ქვეყანამ უარყო მოსაზრება, რომ საკრედიტო კრიზისში დამნაშავე მხოლოდ მათი მხრიდან არასწორი

მართვა და მფლანგველობა იყო. ისინი ითხოვდნენ, რომ კრედიტორ ქვეყნებსაც ეკისრათ მათი წილი ტვირთი გამწვავებული ვითარების გამოსწორებაში და ვალის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებაზე უარი ეთქვათ. რამდენიმე ქვეყანა „მოვალე ქვეყნების კარტელის“ ჩამოყალიბებაზე და ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე ერთობლივად უარის თქმით დამუქრებაზეც ფიქრობდა, რაც ისედაც ძირშერყეულ საერთაშორისო საბანკო სისტემას დიდ დარტყმას მიაყენებდა. პასუხად, ბუშის ადმინისტრაციამ 1989 წლის მარტში ახალი ინიციატივით წარდგა, რომელსაც ბრეიდის გეგმა ეწოდებოდა (ამერიკის ხაზინის მდივნის, ნიკოლას ბრეიდის გვარის მიხედვით). გეგმაში პირველად აღინიშნა, რომ ვალების ნაწილის ჩამოჭრა საკრედიტო კრიზისის მოგვარების ნებისმიერი წარმატებული სტრატეგიის აუცილებელი ნაწილი იყო. ბრეიდის გეგმა ასევე ითვალისწინებდა როგორც წამაქეზებელ ღონისძიებებს, ასევე აუცილებელ დათმობებსაც. ბანკებს უფლება მიეცათ გაეცვალათ ფასიანი ქაღალდები ახალ ობლიგაციებში, რომელსაც უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი ექნებოდა. ახალი ობლიგაციების დაფარვა გარანტირებული იქნებოდა სპეციალური თანხებით, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და რამდენიმე მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის მიერ გაცემული სესხებიდან იქნებოდა მოძიებული. ამრიგად, კომერციულმა ბანკებმა თავიდან აიცილეს საკუთარი დეფოლტის რისკი, რისთვისაც გაცემული სესხებიდან დაგეგმილი მოგების ნაწილზე უარის თქმამ მოუწიათ. არსებული დავალიანებების ჩამონერისა და მომავალში ახალი სესხების პერსპექტივის სანაცვლოდ, განვითარებად ქვეყნებს ფინანსური სტაბილურობის აღსადგენად საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემუშავებული მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარება მოეთხოვებოდათ.

ოთხმოცდაათიანი წლების განმავლობაში, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის მთავრობებმა, ამ ე.წ. ბრეიდის ობლიგაციების წყალობით, ვალის ყოველწლიურად დასაბრუნებელი თანხების შემცირება შეძლეს, რამაც მათ მცირე ხნით ამოსუნთქვისა და ეკონომიკურ განვითარებაზე ყურადღების გადატანის საშუალება მისცა. ამ პროცესმა კომერციული ბანკების ვალების საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების (განსაკუთრებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის) ვალებით ჩანაცვლება გამოიწვია. ბრეტონ ვუდსის სისტემის ამ ორი მემკვიდრის მზარდი გლობალური გავლენა, ტარიფებისა და ვაჭრობის საერთაშორისო შეთანხმებისა (GATT) და მისი შემცველი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებული სავაჭრო ლიბერალიზაციის პროგრესთან ერთად, დამინტრიგებელ პარადოქსს ქმნიდა: ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე პრივატიზაციისა და პოლიტიკაში კი ეროვნული შეგნების გააქტიურების ეპოქაში, საჯარო დაფინანსების მქონე ეს საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიოს სავაჭრო და სავალუტო სისტემებში საკუთარ როლს აფართოებდნენ.

ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში ეს მჭიდროდ ინტეგრირებული საერთაშორისო წესრიგი რამდენიმე მძიმე დარტყმის ქვეშ მოექცა, რასაც, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდი ეკონომიკური დეპრესიის შემდეგ, ყველაზე უარესი ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა. მომავალი სიძნელების პირველმა ნიშნებმა უკვე გასული საუკუნის მიწურულს იჩინეს თავი. იაპონია – აზიის ეკონომიკური გიგანტი – სტაგნაციის ხანგრძლივ პერიოდს განიცდიდა, რომელიც მომდევნო ათწლეულშიც გაგრძელდა. მოგვიანებით, „იაპონიის დაკარგულ დეკადად“ წოდებული მოვლენის თავდაპირველი მიზეზი – ზოგიერთი ექსპერტი „ორ დაკარგულ დეკადაზეც“ კი საუბრობდა – ამ ქვეყნის ნალდი ფულით მდიდარი ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების წინდაუხედავი პოლიტიკა იყო, რომლებიც მომჭირნე იაპონელების დანაზოგებს ქვეყნის შიგნითა და გარეთ წარუმატებელი კომპანიებისათვის სარისკო სესხებში ფლანგავდნენ. თუმცა ქვეყანა, რომლის ეკონომიკა სიდიდით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებდა, სუსტ ზრდას მაინც განაგრძობდა.

ამასობაში, ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანა ეკონომიკას თავისუფალი ბაზრის იმ სტრატეგიით ავითარებდა, რომელმაც მანამდე იაპონიასა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს კეთილდღეობა მოუტანა. თუმცა, ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებში რამდენიმე მათგანი ისეთ ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა, რომ ზოგიერთს – მაგალითად, არგენტინას – საგარეო ვალებზე დეფოლტმაც მოუწია. 2008 წელს ეკონომიკურ ლიდერ შეერთებულ შტატებსაც საკუთარი ფინანსური უბედურება დაატყდა თავს, რომელიც საბინაო სექტორში სარისკო სესხებმა გამოიწვია. უძრავი ქონების მფლობელებს საცხოვრებლები ჩამოერთვათ, დიდი საინვესტიციო ბანკები გაკოტრდნენ, ამერიკულმა ფირმებმა თანამშრომლები დაითხოვეს და კრიზისი ევროკავშირსა და მსოფლიოს სხვა განვითარებულ რეგიონებსაც მოედო. დიდ რეცესიად ცნობილმა ამ მოვლენებმა სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენეს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომელთა ფუნქცია საერთაშორისო ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობა იყო. როგორც დიდი ეკონომიკური დეპრესიის საწყის წლებში, მსოფლიო პროტექციონისტულმა განწყობამ მოიცვა, რადგან თითოეული ქვეყანა სასწრაფოდ შეუდგა უცხოელთა კონკურენციისგან საკუთარი მრეწველობის დარგებისა და დასაქმებულების დაცვას.

შეიარაღებაზე კონტროლის არაერთგვაროვანი გამოცდილება

ცივი ომის შემდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში დაფიქსირდა. ორმოცი წლის განმავლობაში ყველა კატეგორიის შეიარაღების – ჩვეულებრივი, ბიოლოგიური, ქიმიური თუ ბირთვული იარაღის – მასობრივმა დაგროვებამ თითოეული სახელმწიფოს ფინანსების დიდი ნაწილი შეინირა და საერთაშორისო

სო საფრთხეებიც უფრო გაზარდა. გამალებული შეიარაღების შეზღუდვის რამდენიმე ნარმატიულ მცდელობას მრავალწლიანი შრომატევადი მოლაპარაკებები დასჭირდა და მხოლოდ მცირე შედეგები მოჰყვა. ოთხმოციანი წლების შუაში ორივე ზესახელმწიფომ გააცნობიერა, რომ როგორც ერთმანეთის, ასევე მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობის განადგურება ხელენიფებოდათ. ევროპის კონტინენტზე, ცივი ომის ცენტრალურ ფრონტზე, ერთმანეთის პირისპირ უზარმაზარი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ორი დიდი არმია იდგა. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს აგროვებდა ეგზოტიკური, ახალი ტიპის ომის მოლოდინში, რომლის გამანადგურებელი შედეგები კაცობრიობასა და მის ბუნებრივ გარემოზე წარმოსადგენადაც კი ძნელი იყო. როდესაც ათწლეულის ბოლოს ცივი ომი დასრულდა და საბჭოთა კავშირიც დაიშალა, სამხედრო თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე ძლიერმა სახელმწიფოებმა გამოაგნებელ პროგრესს მიაღწიეს შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმებების კუთხით, რასაც მანამდე ვერასოდეს ახერხებდნენ.

ცივი ომის მიმდინარეობისას ევროპის კონტინენტი მსოფლიოს ყველაზე მილიტარიზებულ რეგიონად ჩამოყალიბდა. როგორც ვიხილეთ, მანამ ნატო ახალი თაობის, ტექნოლოგიურად საოცრად დახვეწილი, ჩვეულებრივი შეიარაღების განლაგებით იყო დაკავებული, ორმა დაპირისპირებულმა ალიანსმა 1990 წლის ნოემბერში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (CFE), რომელმაც, საბჭოთა კავშირზე მნიშვნელოვანი შემცირების დაკისრებით, კონტინენტზე ჩვეულებრივი შეიარაღების კუთხით შექმნილი დისბალანსი გაასწორა და, 1990 წელს ვარშავის პაქტის ორგანიზაციისა და 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აზრი დაკარგა. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზონაში მდებარე რვა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ გაუჩინარებულ საბჭოთა კავშირის შეიარაღება დაინანილა და დაუყოვნებლივ განაცხადა თანხმობა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით (CFE) შეთანხმებული შეზღუდვების გათვალისწინებაზე. 1992 წლის 17 ივლისს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების (CFE) ძალაში შესვლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ევროპულმა რესპუბლიკამ ზედმინევენით შეასრულა მისი დებულებები, რაც ინსპექტირების საერთაშორისო ჯგუფმა დაადასტურა.

ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის კუთხით მიღწეული პროგრესის პარალელურად, 1991 წლის ზაფხულში წარუმატებელი საბჭოთა გადატრიალების მცდელობამ მხარეებს ამერიკული და საბჭოთა ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და ცივი ომის ბოლო წლებში დაწყებული ბირთვული მოდერნიზაციის პროგრამის გაუქმებისაკენ უბიძგა. ბირთვული შეიარაღების შემცირების პროცესი 1991 წლის 27 სექტემბრიდან დაიწყო,

როდესაც პრეზიდენტი ბუში ორივე მხარის მიერ სახმელეთო ბაზირების ტაქტიკური ბირთვული იარაღის სრული განადგურების წინადადებით გამოვიდა. როდესაც, ერთი კვირის შემდეგ, შეთავაზებაზე თანხმობა გორბაჩოვმაც განაცხადა, ევროპაში მცირე რადიუსის ყველა ბირთვული იარაღი ისტორიის კუთვნილება ხდებოდა. 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალი რესპუბლიკები შეთანხმდნენ, რომ ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების დაახლოებით ჩვიდმეტი ათასი ერთეული რუსეთის ტერიტორიაზე საბოლოო განადგურებისათვის გადაეტანათ.

სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება – I (START I) და სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება – II (START II)

გორბაჩოვის ხელმძღვანელობის პერიოდში (1985-1991) სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის მხრივ მიღწეულმა აღსანიშნავმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეამცირა შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შორი რადიუსის ბირთვული იარაღის რაოდენობა. ეს მიღწევები 1991 წლის ივლისში დაგვირგვინდა, როდესაც გორბაჩოვმა და პრეზიდენტმა ბუშმა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას – I (START I) მოაწერეს ხელი, რომელიც 1982 წლის შემდეგ განხილვის საგანი იყო. თუმცა, რამდენიმე თვეში ამ ისტორიული შეთანხმების სამართლებრივი მხარე, საბჭოთა კავშირის თხუთმეტ სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულად დაშლის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ხმელეთზე ბაზირებული სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების დაახლოებით თორმეტი ათასი ქობინა – ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს წვდებოდნენ, საბჭოთა კავშირის ოთხ მემკვიდრე ქვეყანას – რუსეთს, უკრაინას, ბელარუსსა და ყაზახეთს – შორის გაიფანტა, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ეს იარაღი თავდაპირველად იყო განლაგებული. უკრაინა, ბელარუსი და ყაზახეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ბირთვული არსენალის თითქმის მესამედს ფლობდნენ. 1992 წლის გაზაფხულზე ოთხმა ყოფილმა საბჭოთა ბირთვულმა სახელმწიფომ ვაშინგტონის ზენოლით ამ ბირთვული ქობინების სამართლებრივი სტატუსის პრობლემა მოაგვარეს, კერძოდ, მათ შეერთებულ შტატებთან ერთად ხელი მოაწერეს სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების – I (START I) ლისაბონის ოქმს. ამ შეთანხმებით უკრაინამ, ბელარუსმა და ყაზახეთმა ოფიციალურად აიღეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ვალდებულება. აღიარეს რა რუსეთი ყოფილი ზესახელმწიფოს სამართლიან მემკვიდრედ, უკრაინამ, ბელარუსმა და ყაზახეთმა დადეს პირობა, რომ, რო-

გორც არაბირთვული სახელმწიფოები, ხელს მოაწერდნენ ბირთვული იარაღის გაუფრცვლებლობის ხელშეკრულებას და მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ბირთვულ იარაღს შვიდი წლის განმავლობაში გადასცემდნენ რუსეთის ფედერაციას.

ამასობაში, ბუშმა სტრატეგიული შეიარაღების მკვეთრი შემცირების კამპანია განაახლა, ცალმხრივად და მთლიანად გააუქმა შეერთებული შტატების ბირთვული მოდერნიზაციის პროგრამა (რომელშიც შედიოდა ექსპერიმენტული რაკეტები – MX, მიჯიტმენის ტიპის რაკეტები (Midgetman) და სხვა მაღალგანვითარებული ფრთოსანი რაკეტები) და ხმელეთზე და ზღვაზე ბაზირებულ იარაღის სისტემებზე არსებული ქობინების რაოდენობის რადიკალურად შემცირების წინადადება წამოაყენა. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი სწრაფად გამოეხმაურა ბუშის ამ ინიციატივას, დაადასტურა გორბაჩოვთან უკვე მიღწეული შეთანხმებები და დიდი ინტერესი გამოხატა სტრატეგიული შეიარაღების ორმხრივად შემცირების პროცესის შენარჩუნებისადმი. 1992 წლის ზაფხულში უმაღლესი დონის პირველ შეხვედრაზე ბუში და ელცინი START I-ის მეშვეობით ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ. 1993 წლის 3 იანვარს მოსკოვში ორმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულებას (START II), რომელიც თითოეული ქვეყნის სტრატეგიული შეიარაღების 25 პროცენტით – 10 წლის განმავლობაში 3000-3500 ერთეულ ქობინამდე შემცირებასა და მრავალქობინიანი (MIRV) ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტების სრულ განადგურებას ითვალისწინებდა. ეს უკანასკნელი, 1969 წელს სტრატეგიულ შეიარაღებაზე მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, მოლაპარაკებების ცენტრალური თემა იყო.

თუმცა, სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულება (START II) ვერ ამოქმედდებოდა პირველი ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, რომელსაც 1991 წლის ივლისში მოაწერა ორივე სახელმწიფომ ხელი და საბჭოთა კავშირის ოთხივე მეშვეობით ქვეყანამ 1992 წლის მაისში ლისაბონის ოქმით დაადასტურა. თავდაპირველად პროცესს უკრაინა აჩიანურებდა, რომელიც, ბირთვული კლუბის დატოვების სანაცვლოდ, ფინანსურ კომპენსაციებს ითხოვდა. მოგვიანებით, 1994 წლის იანვრის კლინტონ-ელცინის სამიტზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი ბირთვული არსენალი რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ მოექცეოდა. ორი სახელმწიფოს მეთაურებმა ასევე ამაღლევებელი განცხადება გააკეთეს, რომ მათი შორი რადიუსის რაკეტები მიმართული აღარ იქნებოდა ერთმანეთის ტერიტორიისაკენ. მიუხედავად განცხადების წმინდად სიმბოლური მნიშვნელობისა, რადგან რაკეტების ხელახალ დამიზნებას რამდენიმე წუთი სჭირდებოდა, ეს ერთობლივი განცხადება ნათელს ხდიდა, რამდენად შორს


ნასულიყო მსოფლიო, ცივი ომის პერიოდთან შედარებით, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის კუთხით.

სტრატეგიული შეიარაღების შემცირების პირველი ხელშეკრულება (START I) ძალაში 1994 წელს შევიდა, ხოლო ორი ქვეყნის ბირთვული არსენალის ინსპექციები ერთი წლის შემდეგ დაიწყო. სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულებამ (START II) კი რუსეთის პარლამენტში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, რის გამოც მისი რატიფიცირება გადაიდო. რუსეთის პარლამენტის წინააღმდეგობა დაკავშირებული იყო ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების – პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის – მიმართულებით ნატო-ს გაფართოების მიმართ რუსების სერიოზულ უკმაყოფილებასთან. რუსეთის ამ პოზიციის კიდევ ერთი მოტივაცია იყო ის, რომ კლინტონის ადმინისტრაციამ მკაფიო უარი არ განაცხადა ეროვნული სარაკეტო თავდაცვის სისტემის მშენებლობაზე, რაც ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას არღვევდა. გარდა ამისა, რუსეთის მიერ START II- რატიფიცირების გაჭიანურება გამოწვეული იყო 1999 წელს ნატოს-ს მიერ სერბიის დაბომბვის კამპანიითაც, რამაც კიდევ უფრო გააუარესა რუსეთის საზოგადოებრივი აზრი შეერთებული შტატების მიმართ. იმის მიუხედავად, რომ START II არასოდეს შესულა ძალაში, START I-ის შესაბამისად ორივე ქვეყანამ რადიკალურად შეამცირა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღება. 2002 წლის მაისში პრეზიდენტებმა ჯორჯ ბუშმა და ვლადიმერ პუტინმა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ეს პროცესი კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანეს და ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც თითოეული ქვეყნის ხელთ არსებული ქობინების 1700-2200-მდე დაყვანას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება სავსე იყო დათქმებითა და წინაპირობებით, იგი ოცდაათი წლით ადრე ნიქსონისა და ბრეჟნევის მიერ დაწყებული სტრატეგიული შეიარაღების კონტროლზე მოლაპარაკებების ხანგრძლივი და მძიმე პროცესის კულმინაციას წარმოადგენდა. START I ხელშეკრულებას 2009 წლის დასასრულს ამოეწურა მოქმედების ვადა. თუმცა, ვაშინგტონი და მოსკოვი შეთანხმდნენ, რომ კვლავ შეასრულებდნენ ხელშეკრულების დებულებებს, ხოლო შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციები ხელშეკრულების შემდგომი ვერსიის შემუშავებაზე მუშაობას შეუდგნენ. 2010 წლის გაზაფხულზე ორმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ახალ ხელშეკრულებას – ფართოდ ცნობილს, როგორც „ახალი დასაწყისი“ (New Start) – რომელიც თითოეულ ქვეყანას, რატიფიკაციიდან შვიდი წლის შემდეგ, 1 550 ერთეულზე მეტი სტრატეგიული ბირთვული ქობინისა და 700 ერთეულზე მეტი ბალისტიკური იარაღის გამშვები დანადგარის განლაგებას უკრძალავდა. მრავალთვიანი დავების შემდეგ, წლის ბოლოს, შეერთებული შტატების

სენატმა ხელშეკრულებას რატიფიცირება გაუკეთა. ცივი ომიდან ოცი წლის შემდეგ, ორივე ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი დადებითად აფასებდა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების რადიკალურ შემცირებას. ამავე დროს, ცნობილი ამერიკელი ყოფილი სახელმწიფო მოღვაწეები – მათ შორის რესპუბლიკელი ყოფილი სახელმწიფო მდივნები ჰენრი კისინჯერი და ჯორჯ შულცი – ბირთვული შეიარაღების სრული განადგურების მონოდებით გამოდიოდნენ, რაზეც 1986 წლის სამიტზე ისლანდიაში თითქმის შეთანხმებულები იყვნენ რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი.

ბირთვული ცდების შეზღუდვა

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ასევე ბირთვული გამოცდების შეზღუდვის ირგვლივ მიმდინარე ათწლიანი კამპანიის კუთხითაც. 1992 წელს შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა და საფრანგეთმა ცალმხრივად გამოაცხადეს მორატორიუმი, ხოლო ამ ქვეყნების ლიდერებმა საჯაროდ დაუჭირეს მხარი ბირთვული გამოცდების სრულ აკრძალვას. მას შემდეგ, რაც ბირთვულ ცდებზე გამოცხადებულ მორატორიუმს დიდი ბრიტანეთიც შეუერთდა, 1993 წლის აგვისტოში ფენეის განიარაღების კონფერენციამ ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულებაზე (CTBT) მოლაპარაკებების დაწყება გადაწყვიტა, რომელიც ბირთვული გამოცდების შეზღუდული აკრძალვის ხელშეკრულების მოქმედების არეალს აფართოებდა და ატმოსფეროსა და წყალში ბირთვული გამოცდების აკრძალვას წყალქვეშა გამოცდების აკრძალვას ამატებდა. მხოლოდ ჩინეთი განუდგა განზე სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს და საკუთარი ინიციატივით გამოცხადებული მორატორიუმიც დაარღვია, როდესაც 1993 და, შემდეგ, 1994 წლებში სინძიანის რეგიონში მდებარე ლობ ნორის ობიექტზე წყალქვეშა ბირთვული გამოცდები ჩაატარა. ჩინეთმა ეს ბირთვული გამოცდები იმით გაამართლა, რომ ის გაცილებით ჩამორჩებოდა სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს ბირთვული იარაღის დახვეწილობის კუთხით და ამ ჩამორჩენილობის აღმოფხვრა მანამდე უნდა მოესწრო, ვიდრე ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულება ამოქმედდებოდა. ბირთვული გამოცდების პროგრამა, სამნახევარწლიანი მორატორიუმის შემდეგ, საფრანგეთმაც განაახლა და 1995-1996 წლებში ექვსი გამოცდა სამხრეთ წყნარ ოკეანეში მდებარე მურუროას მარჯნის კუნძულის ობიექტზე განახორციელა. მაგრამ, საბოლოოდ, მსოფლიოში ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის იმედებს ბოლო მოუღო არა ჩინეთმა ან საფრანგეთმა, არამედ შეერთებულმა შტატებმა. 1999 წლის ნოემბერში ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების არსებული პროცედურებით უკმაყოფილო ამერიკის სენატმა ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარი განაცხადა.



Nuclear weapons ownership states

- NPT Nuclear Weapon States (China, France, Russia, UK, US)
- ▨ Non-NPT Nuclear Weapon States (India, North Korea, Pakistan)
- ▤ Undeclared Nuclear Weapon States (Israel)
- ▧ States suspected of having nuclear weapon programs (Iran, Syria)
- ▩ NATO weapons sharing weapons recipients
- ▦ States formerly possessing nuclear weapons

სახელმწიფოები, რომლებიც ბირთვულ იარაღს ფლობენ

ბირთვული იარაღის გავრცელების შეკავება

მაშინ, როდესაც ბირთვული სახელმწიფოები საკუთარი ბირთვული არსენალის შემცირებას და ბირთვული გამოცდების შეზღუდვას ცდილობდნენ, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი შეიარაღების კონტროლზე მოლაპარაკებების მნიშვნელოვანი თემა გახდა. ბირთვული იარაღის გავრცელების პრევენციის საერთაშორისო მექანიზმი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება (NPT) იყო, რომელიც 1970 წელს შევიდა ძალაში და რომელსაც საბოლოოდ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება მასზე ხელმომწერ იმ ქვეყნებს, რომლებიც არ ფლობდნენ ბირთვულ იარაღს, ამ იარაღის შექმნას უკრძალავდა, ხოლო მათ, ვისაც უკვე ჰქონდა ბირთვული იარაღი – შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს – ავალდებულებდა, რომ არასოდეს დახმარებოდნენ სხვა ქვეყნებს ბირთვულ კლუბში განევრიანებაში. კიდევ ორი ბირთვული სახელმწიფო – ჩინეთი და საფრანგეთი – რომლებიც დიდი ხანი უარს ამბობდნენ ბირთვული იარაღის

გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ბოლოსდაბოლოს, ხელშეკრულებას 1992 წელს შეუერთდნენ.

უკვე დიდი ხნის ცნობილი იყო, რომ მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა ბირთვული იარაღის დასამზადებლად, თუკი მათ ამის სურვილი გაუჩნდებოდათ. ეს ეხებოდა არა მხოლოდ ინდუსტრიულ ქვეყნებს, რომლებიც მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური ბაზით, მეცნიერებით და ინჟინრებით გულუხვად იყვნენ დაჯილდოებული, არამედ დიდი ფინანსური აქტივების მქონე განვითარებად ქვეყნებსაც (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთ ნავთობმწარმოებელ ქვეყანას), რომელთაც საჭირო ტექნოლოგიებისა და კვალიფიციური ცოდნის შექმნა უცხოური წყაროებისგან შეეძლოთ. ზოგიერთ ქვეყანასთან დაკავშირებით, რომლებსაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელი მონერილი არ ჰქონდათ, მიაჩნდათ, რომ ისინი უკვე ფლობდნენ ბირთვულ იარაღს ან შეეძლოთ მისი წარმოება. ასეთი ქვეყნები იყო: სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი, პაკისტანი და ისრაელი.^{*} შემთხვევითი არ იყო, რომ ოთხივე მათგანი რეგიონულ კონფლიქტებში იყვნენ ჩართული: თეთრკანიანების მიერ მართული სამხრეთ აფრიკა კონტინენტის, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანასთან, ისრაელი – თავის არაბ მეზობლებთან, ხოლო ინდოეთი და პაკისტანი – ერთმანეთთან. საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ეს ქვეყნები, შესაძლოა, გავრცელებულ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ მათ ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ ბირთვული იარაღის წარმოება – ან, ისრაელის შემთხვევაში, მის მიერ ბირთვული იარაღისა და სარაკეტო სისტემების სავარაუდო ფლობას – მტრულად განწყობილი მეზობლების მხრიდან აგრესიის ეფექტურად შემაკავებელ მექანიზმად აღიქვამდნენ. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელის არმომწერი ამ რამდენიმე ქვეყნიდან მომდინარე საფრთხეს კიდევ უფრო ართულებდნენ ხელშეკრულების ის ხელმომწერი სახელმწიფოები, რომლებიც ეჭვიმტანილი იყვნენ ხელშეკრულების დარღვევასა და ფარული ბირთვული პროგრამების დამალვაში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსგან (IAEA), რომელიც ხელშეკრულების შესრულებაზე მეთვალყურეობას ახორციელებდა. საეჭვო ქვეყნების რიგს მიეკუთვნებოდნენ: ირანი, ერაყი, ლიბია და ჩრდილოეთ კორეა. მაშინ, როდესაც ცოტა რამ იყო ცნობილი ირანისა და ლიბიის ბირთვული ამბიციებისა და შესაძლებლობების შესახებ, ოთხმოცდაათიანი წლების და-

^{*} როგორც ვიხილეთ, ინდოეთმა ბირთვული იარაღი პირველად 1974 წელს გამოსცადა, მაგრამ უარყოფდა ბირთვული იარაღის ფლობას, ვიდრე 1998 წლის მაისში რამდენიმე ბირთვული გამოცდა არ განახორციელა, რამაც პაკისტანსაც იმავსააკენ უზიძგა. მიაჩნდათ, რომ რამდენიმე ასეული ბირთვული ქობინა და მისი გადამტანი ეფექტური რაკეტები ისრაელსაც ჰქონდა. 1993 წელს სამხრეთ აფრიკამ აღიარა, რომ ოთხმოცდაათიანი წლებში ექვსი ბირთვული ქობინა შექმნა, რომლებიც 1990 წელს გაანადგურა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას შეუერთდა.

საწყისში დიდი ოდენობის ინფორმაცია გახდა ცნობილი ჩრდილოეთ კორეისა და ერაყის შესახებ.

ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირველი სახელმწიფო გახდა, რომელმაც უარი თქვა ხელშეკრულების შესრულებაზე და 1993 წელს ღიად დაუპირისპირდა ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს, რომელსაც იქ ხელშეკრულების შესრულებაზე მეთვალყურეობა უნდა განეხორციელებინა. იმის მიუხედავად, რომ 1994 წელს შექმნილი სადავო ვითარებიდან დროებითი გამოსავალი გამოიძებნა, აშკარა გახდა, რომ ფხენიანს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვების გვერდის ავლით ბირთვული იარაღის განვითარება ჰქონდა გადაწყვეტილი. ჩრდილოეთ კორეის მიერ ხელშეკრულების დარღვევის და მის განხორციელებაზე მეთვალყურე სააგენტოსათვის წინააღმდეგობის განევის პრეცედენტი ბირთვული იარაღის მოპოვების მსურველ სხვა ქვეყნებს ცუდ მაგალითს აძლევდა. ერაყის ბირთვული მისწრაფებების სრული სურათი მსოფლიოსთვის 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ გახდა ცნობილი. გაეროს ინსპექტორთა ჯგუფმა, რომელიც დამარცხებულ ქვეყანაში გაიგზავნა, მალე მიაგნო მოსალოდნელზე უფრო განვითარებულ, ფარულ ბირთვულ პროგრამას და განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ სარაკეტო სისტემებს, რომელიც ასობით ბალისტიკური რაკეტისაგან შედგებოდა. შესაბამისად, ერაყი პირველი ქვეყანა გახდა, რომელსაც, გაეროსა და ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორების მეთვალყურეობის ქვეშ, იძულებით მოუწია ბირთვული იარაღის განადგურებამ. ინსპექციის რეჟიმი 1998 წელს შეწყდა და, შემდეგ, 2002 წელს ბუშის ადმინისტრაციის მიერ ქვეყანაში სამხედრო ინტერვენციის მზადებისას განახლდა.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მეხუთე კონფერენციაზე, რომელიც 1995 წლის გაზაფხულზე ნიუ იორკში გაიმართა, ხუთმა ბირთვულმა და ასსამოცმა არაბირთვულმა დამსწრე სახელმწიფომ პირველად დაუჭირა მხარი ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებას და არასავალდებულო დებულებას იმის შესახებ, რომ ბირთვული სახელმწიფოები თანხმობას გამოხატავდნენ ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულების მიმართ და განაგრძობდნენ სვლას სრული ბირთვული განიარაღებისაკენ. შეერთებული შტატების მიერ ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარის თქმამ და არსებული ბირთვული არსენალის შემცირების მხრივ პროგრესის ნაკლებობამ, არაბირთვული სახელმწიფოების პოზიცია გაამყარა, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდნენ ფარისევლურ დამოკიდებულებას ხუთი ბირთვული სახელმწიფოს მხრიდან, რომლებიც სიტყვით მხარს უჭერდნენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას, თავად კი საკუთარ არსენალს არ ამცირებდნენ. ამ კრიტიკუ-

ლად განწყობილ ქვეყნებს შორის იყენენ ინდოეთი და პაკისტანი, რომლებმაც უარი თქვეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმონერაზე და, შემდეგ, 1998 წელს ბირთვულ კლუბს შეუერთდნენ.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოთა ბირთვული მრეწველობის კრიზისისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიძინა. ოთხი პოსტსაბჭოთა ბირთვული რესპუბლიკის ბირთვული ლაბორატორიების ფინანსურად გაჭირვებული თანამშრომლების მიერ მოპარული ურანის ან პლუტონიუმის უცხოეთში გატანის და ყველაზე მეტის გადამხდელი კლიენტისთვის მიყიდვის შიშისმომგვრელი პერსპექტივა საერთაშორისო თანამეგობრობის თავის ტიკვილის მიზეზი გახდა. ვაშინგტონისა და სხვა უცხო სახელმწიფოების ზენოლა ამ ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე არსებული ბირთვული მასალების უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას აიძულებდა. შეშფოთების კიდევ ერთი მიზეზი რუსეთის ბირთვულ მრეწველობაში გაზრდილი უმუშევრობა იყო, რაც ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ კრიზისს და თავდაცვის ბიუჯეტის მასშტაბურ შემცირებას შეიარაღებაზე კონტროლის რამდენიმე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მოჰყვა. შექმნილი მძიმე ვითარება დასავლეთში აფიქრებინებდათ, რომ მაღალკვალიფიციური, მაგრამ უმუშევარი მეცნიერები და ინჟინრები თავიანთ მეტად ღირებულ სამსახურს ბირთვული იარაღის მოპოვების მსურველ ქვეყნებს შესთავაზებდნენ ისევე, როგორც გერმანელი მეცნიერები დაეხმარნენ ორივე ზესახელმწიფოს ბირთვული იარაღის შექმნაში მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დასრულების შემდეგ. პრობლემიდან დროებითი გამოსავლის სახით, შეერთებულმა შტატებმა ფინანსური სუბსიდიები შესთავაზა რუსეთის კვლევით ცენტრებს, რათა მათ ბირთვული შეიარაღების ინდუსტრიიდან დათხოვილი მეცნიერები დაესაქმებინათ. თუმცა, ბირთვული მასალებისა და ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებული ცოდნის ფარული გავრცელება შემამშფოთებელ შესაძლებლობად რჩებოდა, მანამ რუსეთის ეკონომიკა კვლავ გაუარესების გზაზე იდგა.

ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შეზღუდვა

ცივი ომის შემდეგ, ბირთვული იარაღის შეზღუდვის, გამოცდის და გავრცელებისკენ მიმართულ ძალისხმევასთან ერთად, მძიმე შეიარაღების კიდევ სხვა ორი კატეგორიის განადგურების ძლიერი კამპანიაც მიმდინარეობდა. მაშინ, როდესაც ხუთმა ბირთვულმა სახელმწიფომ ბირთვული ქობინებისაგან გათავისუფლება და სარაკეტო სისტემების განადგურება ბოლო მომენტში გადაიფიქრა, მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა დიდი ენთუზიაზმით ჩაება ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის სამუდამოდ აღკვეთის კამპანიაში. იმის მიუხედავად, რომ 1972 წელს ხელმონერილი კონვენცია ბიოლოგიური იარაღის შესახებ, რომელიც 1975 წელს შევიდა ძალაში, კრძალავდა

ბიოლოგიური იარაღის წარმოებასა და შენახვას, კონვენციის აღსრულების მცდელობებს მის შესრულებაზე მეთვალყურეობის სანდო პროცედურების არარსებობა აფერხებდა. 1992 წელს რუსეთი, რომელმაც აღიარა, რომ ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების გამო თავიდანვე არღვევდა კონვენციას, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შეუერთდა და ბიოლოგიურ ობიექტებზე საერთაშორისო ინსპექტორების შესვლის შეუზღუდავი უფლების გაცემას დათანხმდა. 1994 წლიდან, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები, კონვენციის შესრულების შესამოწმებლად ინსპექტირების სანდო პროცედურების დასაწესებლად, მოლაპარაკებებს მართავდნენ. თუმცა, 2001 წლის ივლისში შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა კონვენციის მხარდაჭერაზე იმ მიზეზით, რომ განსახილველი პროცედურები არაეფექტური იყო და, ამავდროს, ამერიკული ფარმაცევტული კომპანიების სავაჭრო საიდუმლოებების გამჟღავნების საფრთხეს ქმნიდა.

ქიმიური იარაღის განადგურების პერსპექტივა გაცილებით უფრო რეალისტურად გამოიყურებოდა. 1925 წლის ჟენევის ოქმი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს მომწამვლელი აირების გამოყენებით საყოველთაო აღშფოთების გამოხატულება იყო, ქიმიური იარაღის გამოყენებას, და არა მის შენახვას, კრძალავდა. ორი ზესახელმწიფო, ისევე როგორც, ბევრი სხვა ქვეყანა, რომელთაც ცივი ომის დროს დიდი ოდენობის ქიმიური იარაღი დააგროვეს, ტექნიკურად ჟენევის ოქმს არ არღვევდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პრეზიდენტი ბუში საერთაშორისო სამართლის ამ ხარვეზის აღმოფხვრას შეეცადა. 1991 წლის გაზაფხულზე ბუში გამოვიდა ინიციატივით, რომ ქიმიური იარაღის შენახვის აკრძალვის შესახებ კონვენციის ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში მთლიანად განადგურებულიყო შეერთებული შტატების ქიმიური იარაღის მარაგები. ქიმიური იარაღის კონვენცია, რომელსაც შეერთებულ შტატებში ოცი წლის განმავლობაში განიხილავდნენ, 1993 წლიდან მზად იყო ხელმოსაწერად და 1997 წელს ძალაშიც შევიდა. ეს ისტორიული შეთანხმება, რომელმაც ჟენევის 1925 წლის ოქმი ჩაანაცვლა, კრძალავდა ქიმიური იარაღის წარმოებას, შექმნას და ექსპორტს და, შეთანხმების ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში, ამ იარაღის ყველა მარაგის განადგურებას ითხოვდა. რამდენადაც სამოქალაქო ქიმიური მრეწველობა ძალიან მცირე დროში შეიძლება კვლავ გადაერთოს იარაღის წარმოებაზე, კონვენცია განსაზღვრავდა შემოწმების მკაცრ პროცედურებს (მათ შორის გაუფრთხილებელ ინსპექციებსა და ქიმიური წარმოების ყველა ობიექტზე დაუყოვნებელი შესვლის უფლებას), რომელსაც ყველა ხელმომწერი ქვეყანა დათანხმდა. თუმცა, ქიმიური იარაღის შენახვაში ეჭვმიტანილმა რამდენიმე სახელმწიფომ უარი თქვა კონვენციის ხელმოწერაზე. ქვეყნები, რომლებმაც უარი თქვეს კონვენციაზე და ქიმიური იარაღის ფლობა აღიარეს, მათ შორის ჩინეთმა, ინდოეთმა და სამხრეთ კორეამ, შესაბამისი ობიექ-

ქტების მოულოდნელ ინსპექციებს დათანხმდნენ. ყველაზე თვალში საცემი გამონაკლისი ერაყი იყო, რომლის მიერ ოთხმოციან წლებში ირანთან ომის დროს ქიმიური საშუალებების გამოყენებამ გამოიწვია სწორედ საზოგადოებრივი მხარდაჭერა ამ ტიპის იარაღის აკრძალვის მიმართ. 2003 წელს ამერიკის მიერ ერაყის დაპყრობას ნაწილობრივ ასაბუთებდნენ შიშით, რომ სადამ ჰუსეინს დაგროვილი ჰქონდა დიდი ოდენობის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, რომელსაც იგი მომავალი მტრების წინააღმდეგ გამოიყენებდა. ბოლოს კი გაირკვა, რომ ერაყს, 1991 წელს სპარსეთის ყურის ომში დამარცხების შემდეგ, გაეროს ინსპექტორების მიერ ობიექტების ადგილზე დათვალიერების შედეგად შეიარაღების ორივე პროგრამა შეჩერებული ჰქონდა.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მზარდი როლი

ცივი ომის მინურულს, ერთ-ერთი ყველაზე ალსანიშნავი მოვლენა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (INGOs) გავლენისა და მნიშვნელობის ზრდა იყო. ეს ორგანიზაციები, ეროვნული საზღვრების მიუხედავად, ერთმანეთთან კავშირს ამყარებდნენ და სუვერენული სახელმწიფოების ზედამხედველობის გარეშე მუშაობდნენ. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მეტად განსხვავებული მიზნების მიუხედავად, მათ, როგორც აკირა ირიემ უნოდა, „საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების“ შექმნისადმი მისწრაფება აერთიანებდათ: ანუ, ეს იყო ალტერნატიულ ურთიერთობათა ქსელი, რომელიც აერთიანებდა იმ ადამიანებს მთელი მსოფლიოდან, ვისაც კერძო ეროვნული ინტერესებისგან განსხვავებული ერთიანი მიზანი ამოძრავებდათ. ამ ორგანიზაციის ორმა მნიშვნელოვანმა წინამორბედმა ორგანომ მუშაობა ოციან წლებში ერთა ლიგის ეგიდით დაიწყო. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (რომელიც ინფექციური დაავადებების აღმოფხვრაზე მუშაობდა) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (რომელიც მუშებისათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძოდა) საერთაშორისო თანამშრომლობის პრეცედენტი შექმნეს იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელთა მოგვარება მხოლოდ თითოეული სახელმწიფოს დონეზე შეუძლებელი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერომ საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც მთელს მსოფლიოში სხვადასხვა სოციალური სიძნელის მოგვარებისთვის იღვწოდნენ. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) 1945 წლის ბოლოს გაეროს სპეციალიზებული სააგენტოს სახით შეიქმნა და მისი მიზანი ეკონომიკურად დაბალანსებული ქვეყნებში საგანმანათლებლო პირობების გაუმჯობესება და ამ ქვეყნებში მცხოვრები ხალხის ცხოვრების გასამდიდრებლად სამეცნიერო და

კულტურული ინფორმაციის გავრცელება იყო. გაეროს საერთაშორისო ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ფონდი (UNICEF), თავდაპირველად, 1946 წლის ბოლოს ომისგან დაზარალებულ ადგილებში არასაკმარისი საკვების პირობებში მცხოვრები ბავშვების მშრალი რძით მომარაგების მიზნით შეიქმნა. მას შემდეგ, რაც 1953 წელს ორგანიზაციის სახელწოდება შემოკლდა და გაეროს ბავშვთა ფონდი ეწოდა, მან ჰუმანიტარული პროექტების დაფინანსება დაიწყო საომარ მოქმედებებში, სამოქალაქო კონფლიქტებში ან სტიქიურ უბედურებაში მოხვედრილი ბავშვების დასახმარებლად.

გაეროს ამ და სხვა სააგენტოების გარდა, საერთაშორისო სტენაზე გამოჩნდა არაერთი კერძო ორგანიზაცია, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული მთავრობებთან და რომლებიც ჰუმანიტარულ ფუნქციებს ასრულებდნენ. ოქსფორდის კომიტეტი შიმშილის შემსუბუქებისათვის (Oxford Committee for Famine Relief – OXFAM), რომელიც 1942 წელს დიდ ბრიტანეთში დაარსდა, ათობით სხვა, მსგავსი ორგანიზაციისათვის მისაბაძი მოდელი გახდა, რომლებსაც მთელ მსოფლიოში მცხოვრები მშვიერი ადამიანებისთვის სურსათი მიჰქონდათ. 1945 წელს დაარსდა ევროპისათვის ამერიკული გზავნილების კოოპერატივი (Cooperative for American Remittances to Europe – CARE) შემოწირული ტანსაცმლის, სურსათის, მედიკამენტებისა და სხვა აუცილებელი პროდუ-



გაეროს ბავშვთა ფონდში მომუშავე ექიმი მაროკოელ ბავშვს ანტიბაქტერიულ საცხს უსვამს თვალში ტრახომას საკურნალოდ, 1953 წელი. 1946 წელს გაეროს საერთაშორისო ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ფონდის (UNICEF) სახელწოდებით დაარსებული ეს ორგანიზაცია გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სურსათის სთავაზობდა ბავშვებს, რომლებიც მორე მსოფლიო ომის გამო დაზარალდნენ. მოგვიანებით, ის განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები დაავადებული ან მშვიერი ბავშვებისა და მათი დედებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გამწვევი მთავარი ორგანიზაცია გახდა. ფონდის საქმიანობა მთავრობებისა და კერძო დონორების შემოწირულობაზე იყო დამოკიდებული. 1965 წელს ორგანიზაციამ მშვიდობის სფეროში ნობელის პრემია მიიღო.

ქტების ევროპის გაჭირვებული მოქალაქეებისათვის დასარიგებლად. როდესაც ევროპის მოსახლეობამ თანდათან სული მოითქვა, CARE-მა და სხვა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა ენერგია განვითარებადი სამყაროს ახლად-დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის დახმარებაზე მიმართეს. საფრანგეთში 1956 წელს დაარსებულ შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ასოციაციას (Association Mondiale de la Lutte Contre la Faim) ინგლისურენოვან სამყაროში 1971 წელს „აფრიკეარი“ (Africare) და „საერთაშორისო ორგანიზაცია სურსათი მშივრებისათვის“ (Food for Hungry International) მოჰყვა. ამასობაში, ამერიკული ფილანტროპული ორგანიზაციები, მაგალითად, ფორდის და როკფელერის ფონდები, განვითარებად სამყაროში ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად გრანტების გაცემაზე სპეციალიზდებოდნენ.

სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა ადამიანის მოღვაწეობით გამოწვეული დეგრადაციისაგან ბუნების დაცვის კამპანია დაიწყეს. გარემოს დაცვითი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორცაა „გრინფისი“ (Greenpeace), „სიერა კლაბი“ (Sierra Club) და „დედამინის მეგობრები“ (Friends of the Earth) შთაგონებას იღებდნენ რეიჩელ კარსონის ნიგნიდან „ჩუმი გაზაფხული“ (1962), რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების ეკოლოგიურად დამღუპველ შედეგებს ეძღვნებოდა. ეს ჯგუფები ზენოლას ახდენდნენ მთავრობებზე, რათა ისეთი კანონები აემოქმედებინათ, რომელიც დაიცავდა ბუნებას და დასჯიდა იმ ადამიანებსა თუ კერძო კორპორაციებს, რომლებიც ზიანს მიაყენებდნენ გარემოს. გარემოს დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ამგვარმა აქტიურობამ, 1972 წელს გაეროს გარემოსადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენციის მონვევისაკენ უბიძგა, რომელიც სტოკჰოლმში გაიმართა. სტოკჰოლმის კონფერენციამ დიდი ყურადღება დაუთმო გარემოს მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებს და გარემოს დაცვის საკითხი ფართო საზოგადოებას გააცნო. გარემოს დაცვის საკითხებზე 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ გაეროს მეორე კონფერენციაზე, რომელსაც მოგვიანებით „დედამინის სამიტი“ ეწოდა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები რამდენიმე ეროვნულ დელეგაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. დედამინის სამიტის პარალელურად, რიოში გამართულ „გლობალურ ფორუმზე“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოებს უსაყვედურეს იმის გამო, რომ ისინი საერთაშორისო კორპორაციებს ნებას რთავდნენ დაეზინძურებინათ განვითარებადი სამყაროს ქვეყნების გარემო, კერძოდ კი, ეს ორგანიზაციები მათ ბრალს სდებდნენ ტროპიკული ტყეების განადგურებაში, მდინარეების, ტბებისა და ოკეანეების დაზინძურებასა და ცხოველთა გადაშენების პირას მდგომი სახეობების საფრთხის ქვეშ დაყენებაში.

1992 წლის რიოს დედამიწის სამიტზე პირველად დაისვა „გლობალური დათბობის“ საკითხი. ორმოციანი წლებიდან მეცნიერები ამჩნევდნენ, რომ ჰაერის ტემპერატურის დონე მთელი მსოფლიოს მასშტაბით უჩვეულოდ სწრაფად იზრდებოდა. მართალია, კვლევამ ატმოსფეროში აირების სითბოს დამჭერი ბუნებრივი თვისებაც გამოამჟღავნა, მაგრამ გაეროს მეცნიერთა კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტში გამოყენებული ენერჯია შესაძლოა ერთვოდეს „სათბურის აირების“ – ნახშირორჟანგის, მეთანის, აზოტის ოქსიდის – ბუნებრივ კონცენტრაციას. მზარდი სამეცნიერო მონაცემების შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფმა რიოს სამიტზე დამსწრე 154 ქვეყნის წარმომადგენლებმა „კლიმატური ცვლილების შესახებ ჩარჩოკონვენცია“ მიიღეს. კონვენციის ავტორი გაეროს გენერალური ასამბლეა იყო, რომელიც მხარს უჭერდა საერთაშორისო აქტიურობას ადამიანის მოღვაწეობით გამოწვეული გლობალური დათბობის პრობლემის მოსაგვარებლად. ვინაიდან ატმოსფეროში იმ აირების უდიდესი ნაწილის ემისიის უკან, რომელიც, სავარაუდოდ, კლიმატურ ცვლილებებს იწვევდა, ინდუსტრიული სახელმწიფოები იდგნენ, კონფერენციამ სწორედ მათ მოუწოდა, რომ პრობლემის მოგვარებაში წამყვანი როლი ეკისრათ. 1995 წელს ბერლინში გამართულმა შემდგომმა შეხვედრამ მეტი სინათლე შეიტანა ამ მიმდინარე პრობლემატურ საკითხებში და, ორი წლის შემდეგ, იაპონიის ქალაქ კიოტოში გლობალური დათბობის თემაზე დიდი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გადაწყვეტილება მიიღო.

1997 წლის კიოტოს კონფერენციამ, რომელსაც 161 ქვეყნისა და 236 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რიოს „დედამიწის სამიტზე“ მიღებული „კლიმატის ცვლილებაზე გაეროს ჩარჩოკონვენციის“ დამატებითი პროტოკოლი დაამტკიცა. პროტოკოლის თანახმად, ოცდაჩვიდმეტი ინდუსტრიალიზებული ქვეყანა შეთანხმდა, რომ 2012 წლისთვის, საშუალოდ, 5.2 პროცენტით შეამცირებდნენ და 1990 წლის დონემდე დაიყვანდნენ სათბური აირების ემისიას, რომელიც, ძირითადად, ქვანახშირისა და ნავთობის წვის შედეგად გამოიყოფოდა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა, იაპონიამ, კანადამ და სხვა ინდუსტრიალიზებულმა ქვეყნებმა პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინეს, 2001 წელს სათბური აირების გამომამუშავებელმა ძირითადმა ქვეყნებმა მის შესრულებაზე უარი განაცხადეს. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შეთანხმება იმის გამო გააკრიტიკა, რომ ის მძიმე და უსარგებლო გარემოსდაცვით შეზღუდვებს აწესებდა სამეწარმეო საქმიანობაზე, რაც ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებდა და საფრთხის ქვეშ დააყენებდა ამერიკელი მშრომელების დასაქმებას. ვაშინგტონი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამოც, რომ პროტოკოლში არსებული ხარვეზები ამ შეზღუდვებისგან ათავისუფლებდა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის, განვითარების გზაზე მდგომ ეკონომიკურ გიგანტებს – ჩინეთსა და ინდოეთს. გლობალური დათბობის წი-

ნალმდეგ ბრძოლის მხარდამჭერები ამ განცხადებებს ხმაურიანი პროტესტით შეხედნენ. თუმცა, როდესაც, რამდენიმენწლიანი გაჭიანურების შემდეგ, კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაცია 2004 წლის ნოემბერში რუსეთის ფედერაციამ მოახდინა, გლობალური დათბობის წინააღმდეგ მებრძოლებმა შეება იგრძნეს. რუსეთის ფედერაციის მიერ პროტოკოლის რატიფიცირებამ შესაძლებელი გახადა 2005 წლის თებერვალში მისი ამოქმედებაც. იმის მიუხედავად, რომ ბევრი გარემოსდამცველი კიოტოს პროტოკოლს გლობალური დათბობის შეჩერების გზაზე მხოლოდ პირველ ნაბიჯს უწოდებდა, ეს დოკუმენტი, საკუთარი დამოკიდებულების საზოგადოებისათვის გაცნობისა და მთავრობათა შესაბამისი ქმედებების იძულების კუთხით, არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტურობის შთამბეჭდავი მაგალითი იყო.

კიოტოს პროტოკოლისათვის ბრძოლამ წინა პლანზე წამოსწია დილემა, რომელსაც გარემოსდამცველები მათ მიერ წარმოებული ბევრი კამპანიის განმავლობაში აწყდებოდნენ: კონფლიქტი ბუნებრივი გარემოს დაცვის სასურველ მიზანსა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის, სიღარიბის დაძლევისა და მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების არანაკლებ სასურველ მიზანს შორის. ამ დილემის კიდევ ერთი მაგალითია კონფლიქტი ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების საშუალებით (ცნობილი,



რიო დე ჟანეიროს „დედამიწის სამიტი“, 1992 წლის 14 ივნისი: ბრაზილიის პრეზიდენტი ფერნანდო კოლორ დე მელიო (მარჯვნივ), ამ უპრეცედენტო საერთაშორისო შეკრების დამთავრებული გამოსვლის შემდეგ, მადლობას იხდის აპლოდისმენტებისათვის. კოლორისგან მარცხნივ დგას გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს-გალი, რომელმაც კონფერენციას მისი ორგანიზაციის პრესტიჟი დაუკავშირა. კონფერენციაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების 2 400 წარმომადგენლის ზენოლის წყალობით, შეხვედრაში მონაწილე ქვეყნების მთავრობებმა მათი პოლიტიკის შედეგად გარემოს წინაშე დამდგარ პრობლემებს ყურადღება პირველად დაუთმეს.

როგორც „მწვანე რევოლუცია“) ღარიბ ქვეყნებში შიმშილის შესამცირებლად სურსათის წარმოების გაზრდის მიზანსა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს შორის. ამ დილემის მაგალითია, ასევე, სახელმწიფოს დაფინანსებული გიგანტური სამუშაოების ხელშეწყობა, როგორც იყო სანსიას კაშხალი მდინარე იანძიზე, რამაც შესაძლებელი გახადა მეტად საჭირო ჰიდროელექტროსადგურის აშენება და საირიგაციო თუ სასმელი წყლით მომარაგება, მაგრამ, ამავე დროს, სამშენებლო ობიექტზე გაანადგურა ეკოლოგიური სისტემა და დაარღვია ათასობით მესაკუთრის უფლებები, რომელთაც იძულებით გადაადგილება მოუწიათ. ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გარემოს დაცვას შორის ამ აშკარა კონფლიქტზე პასუხად, გარემოს დამცველმა ჯგუფებმა შეიმუშავეს და მხარდაჭერის მოსაპოვებლად საზოგადოებას გააცნეს „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია, რომელიც ზემოაღნიშნული ორი მიზნის შეთავსებას ცდილობდა.

იმის მიუხედავად, რომ ცივი ომის დაწყებამ კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფოები საგარეო ურთიერთობებით დაინტერესებული ცალკეული ჯგუფების ხარჯზე, მან ხელი ვერ შეუშალა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობისათვის, ურთიერთგაგების დამყარებისა და გამალებული ბირთვული შეიარაღების დასრულებისათვის იღვწოდნენ. ასეთ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო „მსოფლიოს გაერთიანებული ფედერალისტები“ – ჯგუფი, რომელიც 1947 წელს ცივი ომის დასაწყისშივე გაჩნდა და რომელიც მსოფლიო მთავრობის შექმნას ქადაგებდა. 1955 წელს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში გამართულმა არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციამ მსოფლიოს ბირთვული იარაღის წარმოების აკრძალვისაკენ მოუწოდეს. 1957 წელს ქალაქ პაგუოში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს რკინის ფარდის ორივე მხარის მეცნიერებმა, რომელთაც ბირთვული განიარაღებისაკენ მოუწოდეს მსოფლიოს და ამ მიზნის მისაღწევად მუდმივმოქმედი ორგანიზაცია დააარსეს. იმავე წელს შეერთებულ შტატებში ჯანსაღი ბირთვული პოლიტიკის ეროვნული კომიტეტი (SANE) ჩამოყალიბდა, რასაც 1961 წელს მშვიდობისათვის გაფიცული ქალების ორგანიზაციის (Women Strike for Peace) დაარსება მოჰყვა, რომელიც ბირთვული იარაღისადმი წინააღმდეგობისა და საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი თანაარსებობის მხარდაჭერის საქმეს აგრძელებდა. 1970 წელს კანადის ქალაქ ვანკუვერში კანადელებისა და ამერიკელი ემიგრანტების მიერ ალასკის სანაპიროსთან დაგეგმილი ამერიკული ბირთვული გამოცდების გასაპროტესტებლად დაარსებულმა „გრინფისმა“ ბირთვული გამოცდების წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანია გააჩაღა. 1985 წელს ორგანიზაციამ ოთხი გემი გაგზავნა მურუროას კუნძულზე ფრანგულ პოლინეზიაში, რათა პროტესტი გამოეხატა იქ დაგეგმილი ბირთვული გამოცდის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც ეს მცირერიცხოვანი ფლოტი ახალი ზელანდიის ოკლენდის ნავსადგურში იყო გაჩერებული, საფრანგეთის დაზვერვის აგენტებმა ერთ-

ერთი გემი ააფეთქეს, რასაც ეკიპაჟის ერთი წევრის სიკვდილი მოჰყვა, რის შედეგად გამოწვეულმა პროტესტის ტალღამ მთელი მსოფლიოს ყურადღება ბირთვული გამოცდების საწინააღმდეგო მოძრაობისკენ მიაპყრო.

კიდევ ერთი საერთო საქმე, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე გავლენიანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დაკავდა, ადამიანის უფლებების დაცვა იყო. დამარცხებული ლერძის სახელმწიფოების მიერ ჩადენილი სისხლიანი დანაშაულების პასუხად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 20 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო და ყველა სახელმწიფოს მისი დებულებების დაცვისაკენ მოუწოდა. დეკლარაცია იწყებოდა განცხადებით, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“ და რომ ეს უფლებები აქვს ყველა ადამიანს „რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა რწმენის, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის“ მიუხედავად. დეკლარაციაში ჩამოთვლილია ფუნდამენტური უფლებები, რომლითაც ადამიანის რასის თითოეული წარმომადგენელი სარგებლობს, მათ შორის: სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, სიტყვის თავისუფლების, რელიგიის თავისუფლების, კანონის წინაშე თანასწორობის, სამართლიანი სასამართლოს გადანყვეტილებამდე უდანაშაულობის პრეზუმფციისა და თვითნებური დაკავების, დაპატიმრების ან გადასახლებისაგან დაცვის უფლებები. მეორე მსოფლიო ომიდან ოცდაათი წლის განმავლობაში, უნივერსალური დეკლარაცია ფარატინა ქალაქად რჩებოდა გაეროს კიდევ ერთი პრინციპის გამო: საშინაო საქმეებში საგარეო ჩარევისაგან თითოეული წევრი სახელმწიფოს თავისუფლება. გაეროს ზოგიერთი ყველაზე აქტიური წევრი, მათ შორის უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი – საბჭოთა კავშირი და ჩინეთი (ნაციონალისტურიც და კომუნისტურიც) – ცნობილი იყვნენ ადამიანის უფლებების დარღვევებით. თუ მსოფლიოს ყველაზე დიდ სახელმწიფოებს ვერავინ სთხოვდა პასუხს მათი ქმედებებისთვის, როგორღა მოიქცეოდნენ დანარჩენი სახელმწიფოები?


ადამიანის უფლებების დასაცავად გაეროს ქმედითი მექანიზმის არარსებობის პირობებში, ამ სფეროს სიცოცხლისუნარიანობას ცივი ომის დროს შექმნილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფდნენ. პირველი მათ შორის 1961 წელს შექმნილი „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International) იყო, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ციხეებში დამკვირვებლებს გზავნიდა მათ მიმართ სათანადო მოპყრობის უზრუნველსაყოფად. Amnesty International-მა მოგვიანებით გააფართოვა თავისი საქმიანობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დარღვევის ფაქტების გასახმაურებლად და ამ დარღვევებში ბრალდებულ ქვეყნებზე ზეწოლის განსახორციელებლად, რათა ამ უკანასკნელთ მსგავსი ქმედებები შეენწყვიტათ. ევროპელ მოხალისე ექიმთა ჯგუფი, რომლებიც ნიგერიაში ბიაფრას სამო-

ქალაქო ომის დროს მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას სთავაზობდნენ, აღშფოთებულები იყვნენ მეომარი დაჯგუფებების მიერ სურსათის ჰუმანიტარული დახმარების გატაცების ფაქტებით (რაც ქვეყანაში მშვიდობიანი მოსახლეობის კატასტროფულ შიმშილს იწვევდა) და ადამიანის უფლებების დარღვევით ორივე მეომარი მხარის მიერ. ექიმთა ამ ჯგუფმა მალე დააარსა ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ (Médecins sans Frontières) შიმშილითა და ავადმყოფობით გატანჯული ხალხისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ომის პირობებში მცხოვრები უბრალო მოსახლეობის უმძიმესი მდგომარეობის მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის გაცნობის მიზნით.

როგორც ვიხილეთ, 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციის „მესამე კალათის“ დებულებების შედეგად, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, საბჭოთა კავშირმა და ევროპის კომუნისტურმა და არაკომუნისტურმა ქვეყნებმა მოაწერეს ხელი, შეიქმნა სპეციალური სააგენტო, რომელიც დეკლარაციის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დებულებების შესრულებას ადევნებდა თვალყურს და რომელიც რკინის ფარდის მეორე მხარეს მოქცეული დისიდენტური ჯგუფებისგან უამრავ საჩივარს იღებდა, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ რეჟიმებს. ორგანიზაციას თავდაპირველად Helsinki Watch ეწოდა და ევროპაში ადამიანის უფლებების დარღვევებზე მეთვალყურეობა ევალებოდა. მოგვიანებით, მოქმედების არეალი სხვა რეგიონებზეც გავრცელდა და შეიქმნა Americas Watch (1981), Asia Watch (1985) და ასე შემდეგ, საბოლოოდ კი, 1988 წელს სხვადასხვა ეს რეგიონული კომიტეტი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდა და Human Rights Watch-ი შეიქმნა. მას შემდეგ Human Rights Watch-მა ადამიანის უფლებების დარღვევის არაერთი შემთხვევა გამოიკვლია. ამასთანავე, ის გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს ამ დარღვევების შესახებ და შესაბამისი მთავრობებისგან ამ მიუღებელი პრაქტიკის შეწყვეტას ითხოვს. იმის მიუხედავად, რომ აღსრულების მექანიზმის არარსებობა ხელს უშლიდა ვითარების შესაცვლელად შესაბამისი ზომების მიღებას, მსგავსი საერთაშორისო არასამთავრობო უფლებადამცველი ჯგუფების შექმნამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფოების მანამდე უდავო უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ მოქცეოდნენ საკუთარ მოქალაქეებს.

გლობალიზაცია და მისი მონინალმდეგეები

ყველაზე ძლიერი საერთაშორისო ერთეულები, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოების კონტროლისგან უფრო და უფრო დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ასობით საერთაშორისო კორპორაცია იყო, რომლებიც აწარმოებდნენ და მომხმარებლამდე მიჰქონდათ მსოფლიოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი. კომუნიზმის, როგორც პოლიტიკუ-



გლობალური მიგრაციის მიმართულებები

რი იდეოლოგიის, კრიზისი კლასიკური ლიბერალური დოქტრინის ტრიუმფს დაემთხვა. ეს უკანასკნელი კი დაურეგულირებელ საერთაშორისო ვაჭრობას, კაპიტალის მოძრაობასა და მუშახელის მიგრაციას ეფუძნებოდა. კლასიკური ლიბერალური დოქტრინის მიხედვით, მინოდებისა და მოთხოვნის კანონებზე დაფუძნებული თავისუფალი ბაზრის დაუბრკოლებელი ფუნქციონირება წარმოებისა და დისტრიბუციის მაქსიმალურ ეფექტურობას უზრუნველყოფდა, ვინაიდან ეს საქონლით, კაპიტალით, ტექნოლოგიითა და მუშახელით შეუზღუდავი სარგებლობის საშუალებას იძლეოდა. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროდუქციისა და ფულის გადაადგილებაზე არსებული იმდენი ბარიერი მოიხსნა და საერთაშორისო სავაჭრო, საკრედიტო და საინვესტიციო ბაზრებმა ინტეგრაციის ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ ეკონომისტებმა ამ ახალი ფენომენის აღსანიშნავად ახალი სიტყვა შეთხზეს. „გლობალიზაცია“ ამ ახალი, ცივი ომისშემდგომი, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დევიზად იქცა: საერთაშორისო კორპორაციები აწარმოებენ და ყიდნიან თავიანთ პროდუქციას, საფინანსო ინსტიტუტები იძლევიან სესხებს და ახორციელებენ საკუთარი კაპიტალის დაბანდებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს კი ამ კომპანიების მასპინძელი ქვეყნების მხრიდან სულ უფრო

და უფრო მცირე პოლიტიკური შეზღუდვებისა და მათი ინტერესების სულ უფრო და უფრო ნაკლებად გათვალისწინების პირობებში ხორციელდება.

მსოფლიოს ბაზრების ინტეგრაციას საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მიმდინარე რევოლუციური ინოვაციებიც ამარტივებდა. ასეთი იყო ინტერნეტი, სატელიტური ტელევიზია, რომელიც მწარმოებლებსა და მომხმარებლებს მთავრობებისათვის ხელმიუწვდომელ სავაჭრო მიმოქცევის გლობალურ ქსელში აერთიანებდა. განვითარებულ სამყაროში მოქმედმა ინდუსტრიულმა კომპანიებმა სანარმოო დანადგარები განვითარებადი სამყაროს ქვეყნებში გადაიტანეს, რათა საკუთარ ქვეყნებში მუშახელის შედარებით უფრო მაღალ ხარჯებსა და მთავრობის მიერ დანესებულ მკაცრ ეკოლოგიურ რეგულაციებს გაქცეოდნენ. ახალი ეფექტური საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია ბანკებს, ორმხრივ საინვესტიციო ფონდებს, სადაზღვევო კომპანიებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევდა, სესხები და ინვესტიციები ერთი ქვეყნიდან მეორეში, უფრო მაღალი მოგების მოლოდინში, თვალის დახამხამებაში გადაერიცხათ; ეს კი თითოეულ ამ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთებზე, ვალუტების გაცვლის კურსზე და უმუშევრობის დონეზე ახდენდა გავლენას. გლობალიზაციის ამ ასპექტის ზოგიერთი კრიტიკოსი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ მსოფლიოს მთავრობები მალე დაკარგავდნენ საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვის ტრადიციულ უნარს.

კომერციული და კაპიტალის ბაზრების ინტეგრაციამ წარმოშვა კონფლიქტი ორი ტიპის ორგანიზაციას შორის, რომლებიც გლობალიზაციის ფენომენს უკავშირდებოდნენ. მულტინაციონალური კორპორაციები, რომლებიც დიდ სარგებელს ნახულობდნენ მსოფლიო ვაჭრობის ექსპანსიითა და კაპიტალის ბაზრების გახსნილობით, სულ უფრო და უფრო დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, რომლებიც მუშათა უფლებებისა და გარემოს დაცვისათვის იღვწოდნენ და, შესაბამისად, ეჭვი გაუჩნდათ თავად გლობალიზაციის პროცესის მიმართ, რომელსაც თავდაპირველად თავად უჭერდნენ მხარს. 1999 წელს სიეტლში მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მინისტრების მესამე შეხვედრაზე რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ ორგანიზება გაუწია ხმაურიან დემონსტრაციებს ამ ახლადდაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც გლობალური სავაჭრო წესების აღსრულება ევალებოდა. ფერმერების, გარემოს დამცველების, მშრომელთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისა და მომხმარებელთა უფლებების დამცველთა ამ მრავალფეროვანმა ჯგუფმა ხმამაღლა დაგმო საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების მიმართ სახელმწიფოების მიერ შექმნილი ბარიერების გასაუქმებლად მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის კამპანია, რომელიც მშრომელთა ხელფასებისა და გარემოს დაცვის ხარჯზე

მულტინაციონალური კორპორაციების ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. სიეტლში გამოხატული პროტესტი, მოგვიანებით, 2001 წელს გენუაში დიდი რვიანის შეხვედრისას გამართულ კიდევ ერთ, უფრო დამანგრეველ და ძალადობრივ საპროტესტო აქციებთან ერთად, გლობალიზაციის მხარდამჭერი ათწლიანი კონსენსუსის დასასრულის ნიშანი იყო. სულ უფრო და უფრო მეტი არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაცია ვაჭრობისა და კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაციას და, ამასთან ერთად, გლობალიზაციის ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა: მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, დიდი რვიანი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს ეკონომიკური სიძნელების მიზეზად, და არა მათგან თავის დაღწევის საშუალებად, მიიჩნევდნენ.

გლობალიზაციის ეკონომიკურ შედეგებზე განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელი ჯგუფების უარყოფით რეაქციას თან დაერთო იმავდროუ-



ოსამა ბინ ლადენი (1957 – 2012): საუდის არაბეთიდან მდიდარი ოჯახის შეიღმა ბინ ლადენმა ოთხმოცდაათიანი წლების შუაში საფუძველი ჩაუყარა იატაკქვეშა მოძრაობას, რომელიც ისლამის რადიკალურ ფორმას მისდევდა და „წმინდა ომი“ გამოუცხადა შეერთებულ შტატებს. მისი მთავარი მიზანი ისლამისათვის სამი ყველაზე წმინდა ადგილის – მექას, მედინასა და იერუსალიმის – ურწმუნოებისა და მათი მოკავშირეების კონტროლისაგან გაათვისუფლება იყო. უფრო ზოგადად კი, იგი თავის მომხრეებს დასავლეთის კულტურული გავლენისაგან ისლამური ღირებულებების დაცვისაკენ მოუწოდებდა. მის მიერ 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მოწყობილმა თავდასხმებმა შეერთებული შტატების ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლოების წინააღმდეგ, ტერორიზმის წინააღმდეგ შეერთებული შტატების ომს დაუდო საფუძველი.

ლი რეაქცია გლობალიზაციის კულტურული შედეგების მიმართაც. ბევრი დამკვირვებელი მიესალმებოდა „გლობალური კულტურის“ დაბადებას, როგორც საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რევოლუციის შედეგს, რომელიც მსოფლიოს ხალხებს ერთმანეთთან პირდაპირი კავშირის საშუალებას აძლევდა. თუმცა, ამ ფენომენის მონინალმდეგები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, რომ სინამდვილეში გლობალიზაცია „ამერიკანიზაციის“ საშუალება გამხდარიყო, რაც ერთადერთი დარჩენილი ზესახელმწიფოს კულტურული გავლენიდან გამომდინარეობდა. ამერიკული ფილმების, სატელევიზიო პროგრამების, მუსიკისა და ჩაცმულობის მზარდი პოპულარობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ასევე მზარდ წინააღმდეგობას წარმოშობდა ამერიკის კულტურული ბატონობის მიმართ იმ ძალების მხრიდან, რომლებიც უცხო კულტურის შემოჭრისაგან ადგილობრივი ტრადიციების დაცვას ცდილობდნენ.

ამერიკული კულტურული გავლენის მიმართ ყველაზე ხმაურიან წინააღმდეგობას ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში მყოფი დაჯგუფებები ამჟღავნებდნენ, რომლებიც ისლამის რადიკალურ ფორმას მისდევდნენ და მის დაცვას ცდილობდნენ. მუსლიმურ სამყაროში ასეთი მზარდი ანტიამერიკანიზმის მოტივაციებად ისინი ასახელებდნენ: 1) ისრაელის მიმართ ვაშინგტონის ურყევ მხარდაჭერასა და 2) 1991 წლის სპარსეთის ომის შემდეგ, ისლამური წმინდა ქალაქების – მექასა და მედინას სიახლოვეს ამერიკული სამხედრო ძალების განლაგებას (საუდის არაბეთის თხოვნით). თუმცა, რადიკალური მუსლიმების მიერ ჯიჰადის ანუ წმინდა ომის გამოცხადება შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგ ასევე წარმოადგენდა ჩაცმის, მეტყველების, ქცევისა და სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის ურთიერთობებში პურიტანული წესების მქონე ტრადიციონალისტური, იერარქიული, თეოკრატიული სოციალური წესრიგის ერთგული ხალხის თავდაცვით რეაქციას მასმედიის მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული მაცდუნებელი კადრების მიმართ, რომელიც დასავლეთის ქვეყნების სეკულარულ, ლიბერალურ და მრავალფეროვანი ცხოვრების სტილს ასახავდა. „ურწმუნოების“ „დეკადენტური“ კულტურული ღირებულებების წინააღმდეგ ამ კონტრშეტევას ახორციელებდნენ არა ისლამური სამყაროს მთავრობები, რომლებიც ეკონომიკურად დაკავშირებული და სამხედრო თვალსაზრისით დამოკიდებული იყვნენ დასავლეთზე, არამედ ტრანსნაციონალური სამხედრო დაჯგუფებები, რომლებიც მინისქვეშ და კანონგარეშე მოქმედებდნენ. სუვერენული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი შეიარაღების არქონის გამო, ეს დაჯგუფებები მებრძოლებს ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში მარგინალურ, დაუსაქმებელ ახალგაზრდებს შორის აგროვებდნენ, რომელთა ქვეყნებმა ვერ შეძლეს, სარგებელი მიეღოთ ექსპორტზე დაფუძნებული ეკონო-

მიკური ზრდისგან, რომლის წყალობითაც მეოცე საუკუნის ბოლო ოცი წლის მანძილზე არაერთი განვითარებადი ქვეყნის ცხოვრების სტანდარტი გაიზარდა. რელიგიური ფანატიზმისა და რწმენისათვის მონამეობრივი სიკვდილის იდეებით ანთებული ეს ახალგაზრდები საიდუმლო არმიის ქვეითებად იქცნენ, რომელიც მიზნების მისაღწევად ტერორიზმის ტაქტიკას იყენებდა.

რადიკალური ისლამის ტერორისტული აქტების უმრავლესობა ამერიკული სამიზნეების წინააღმდეგ იყო მიმართული, რათა დაერღვიათ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების დინამიკა და მოსახლეობაში შიში და განგაშის განცდა გაეგრძელებინათ. პირველი ასეთი აქტი 1993 წელს მოხდა, როდესაც ნიუ იორკში ისლამისტი ტერორისტების მიერ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის წინ მანქანაში დამონტაჟებულმა ბომბმა ექვსი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ათასამდე ადამიანს ჭრილობა მიაყენა. მალე მოქმედებას შეუდგა კიდევ უფრო დიდი, უკეთ განვრთნილი, უკეთ დაფინანსებული ისლამური ტერორისტული მოძრაობა. ალ-ყაიდა (არაბულად სამხედრო ბაზა) ავღანეთში 1989 წელს, საბჭოთა ოკუპაციის ბოლოს, დააარსა საუდის არაბეთიდან დევნილმა მილიონერმა ოსამა ბინ ლადენმა, რომელიც ფინანსურად ეხმარებოდა ანტისაბჭოთა ისლამურ აჯანყებას. ამ ახალი ორგანიზაციის თავდაპირველი მიზანი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმატებული ჯიჰადის შემდეგ, ავღანეთში დარჩენილი არაბი მოხალისეების საიდუმლო შეიარაღებულ მოძრაობაში გაერთიანება იყო ბოსნიაში, ჩეჩნეთში, ქაშმირსა და პალესტინაში მცხოვრები მუსლიმების დასაცავად. რამდენიმეწლიანი ნებაყოფლობითი დევნილობის შემდეგ, 1996 წელს ოსამა ბინ ლადენი ავღანეთში დაბრუნდა ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული ფუნდამენტალისტი ისლამური მთავრობის – თალიბანის – სტუმრის სტატუსით. მან, ქვეყნის ჩრდილოეთში მიმდინარე ამბოხებისაგან თალიბანის რეჟიმის დასაცავად, ავღანეთში თავმოყრილი დიდი რაოდენობის არაბი მოხალისეებისგან შემდგარი სანვრთნელი ბაზები ჩამოაყალიბა. ბინ ლადენმა და მისმა მოკავშირეებმა, ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, შეერთებული შტატები ისლამის მთავარ მტრად გამოაცხადეს და ამერიკულ სამიზნეებზე ტერორისტული აქტების დაგეგმვას შეუდგნენ.

ალ ყაიდამ პირველ წარმატებას 1998 წელს მიაღწია, როდესაც კენიის დედაქალაქ ნაირობიში და ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში დანაღმული სატვირთო მანქანებით ამერიკის საელჩოებზე განხორციელებულ თავდასხმას 220 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ორი წლის შემდეგ ორგანიზაციამ ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ნავით თავდასხმა მოაწყო ამერიკულ სამხედრო ხომალდზე USS Cole, რომელსაც ღუზა იემენის ნავსადგურ ადენში ჰქონდა ჩაშვებული. თავდასხმას ჩვიდმეტი ამერიკელი მეზღვაური შეენირა. ალ-ყაიდამ ყველაზე თვალისმომჭრელ წარმატებას 2001 წლის 11 სექტემბერს მიაღწია, როდესაც მისმა მებრძოლებმა სამგზავრო თვითმფრინავები გაიტაცეს და ისინი ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო


ცენტრსა და ვაშინგტონში პენტაგონს შეაჯახეს, რასაც სამიათასამდე ადამიანი ემსხვერპლა და ათობით მილიარდი დოლარის ზარალი მოჰყვა.

ვაშინგტონის ომები ავღანეთსა და ერაყში

თალიბანის აღზევება და დაცემა

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის მიწაზე განხორციელებულ თავდასხმებს ბუშის ადმინისტრაციამ ტერორისტული დაჯგუფებებისა და მათთვის თავშესაფრის მიძემი ქვეყნების წინააღმდეგ საყოველთაო ომის გამოცხადებით უპასუხა. გაეროს უშიშროების საბჭოსა და ნატო-ს ევროპული წევრების სრული მხარდაჭერით, შეერთებულმა შტატებმა 2001 წლის შემოდგომაზე სამხედრო იერიში წამოიწყეს, რომელმაც, სხვადასხვა ავღანელ სამხედრო მეთაურსა და მათ მებრძოლებთან ერთად, თალიბანის რეჟიმი დაამხო. ამ სამხედრო ოპერაციის გასაიოლებლად ვაშინგტონმა მეზობელი ქვეყნებისგან – მაგალითად, უზბეკეთისგან და ტაჯიკეთისგან – სამხედრო ბაზებით სარგებლობისა და ქვეყნის ტერიტორიაზე გადაფრენის უფლებები მიიღო. შეერთებულმა შტატებმა ასევე დაარწმუნა პაკისტანის სამხედრო მმართველი, გენერალი ფერვეზ მუშარაფი, შეენწყვიტა თალიბანის მხარდაჭერა და აღ-ყაიდას წინააღმდეგ სამხედრო კამპანიასთან ეთანამშრომლა, რისთვისაც პაკისტანი სერიოზულ ეკონომიკურ დახმარებასა და მისი, როგორც ბირთვული სახელმწიფოს, სტატუსის არაფორმალურ აღიარებას მიიღებდა. იმის მიუხედავად, რომ ბინ ლადენმა და თალიბანის ლიდერმა მულა მოჰამედ ომარმა ავღანეთსა და პაკისტანს შორის უსწორმასწორო საზღვარზე მიმალვა შეძლეს, ამერიკელმა სამხედროებმა აღ-ყაიდას უმაღლესი სარდლობის ბევრი წარმომადგენელი მოკლეს და ამ ტერორისტული ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი გაანადგურეს. მომდევნო წელს ლოია ჯირგამ (ანუ ავღანელ სახელოვან ხალხთა კონფერენციამ) დროებითი მთავრობა დაამტკიცა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჰამიდ კარზაი – ზომიერი პუშტუნი ლიდერი, რომელიც მისაღები იყო როგორც ტაჯიკი, ისე უზბეკი და ხაზარი ეთნიკური ჯგუფებისათვის, რომლებიც თალიბანის წინააღმდეგ ამერიკელების გვერდით იბრძოდნენ. 2004 წლის დეკემბერში ქვეყანაში ჩატარებულ პირველ თავისუფალ არჩევნებში ჰამიდ კარზაიმ გაიმარჯვა, თუმცა, ქაბულის ცენტრალურ ხელისუფლებას ავტორიტეტს ედავებოდნენ რეგიონული სამხედრო მეთაურები, რომლებიც საკუთარი მიწების მართვას განაგრძობდნენ.

2005 წლისთვის შეერთებული შტატების ყურადღება მთლიანად იქნა გადატანილი ავღანეთში თალიბანის ნარჩენების წინააღმდეგ სამხედრო კამპანიიდან – კოდური სახელწოდებით „ოპერაცია ხანგრძლივი თავისუფლება“ (Operation Enduring Freedom) – სისხლიანი აჯანყებისკენ ერაყში, სადაც



ავღანეთი

ორი წლით ადრე ვაშინგტონმა ადგილობრივი მმართველი რეჟიმი დაამხო. თალიბანის მიერ ძალაუფლების დაბრუნებისა და ალ-ყაიდას მსგავსი რადიკალური ტერორისტული დაჯგუფებებისათვის თავშესაფრის მიცემის თავიდან ასაცილებლად, ბუშის ადმინისტრაციის ძალისხმევით და ნატო-ს ეგიდით საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალები (International Security Assistance Force, ISAF) შეიქმნა. შეერთებული შტატების „ოპერაცია ხანგრძლივი თავისუფლებისა“ (Operation Enduring Freedom) და ნატო-ს ეგიდით მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალების (International Security Assistance Force, ISAF) ერთობლივი მიზანი სოფლებში დარჩენილი თალიბანის ძალების საბოლოო დამარცხება და ომისგან განადგურებული ქვეყნის აღდგენა იყო, რათა მის მთავრობას, ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურებებისა და ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფის სანაცვლოდ, ხალხის მხარდაჭერის მოპოვება შეძლებოდა. ამ მიზნით, პაკისტანის ლიდერი – გენერალი ფერვეზ მუშარაფი ქვეყნის საზღვართან მდებარე შორეულ მთიან რაიონებში პაკისტანური არმიის განლაგების აუცილებლობაში დაარწმუნეს, რათა საბოლოოდ ამოეძირკვათ ამ მთებში თალიბანისა და ალ-ყაიდას ღრმა სამალავები.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში ავღანეთში „სახელმწიფოს მშენებლობის“ მცდელობები უზარმაზარი დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდა. თალიბანმა სოფლად განლაგებული სამხედრო ბაზებიდან ძლიერი აჯანყება წამოიწყო, რასაც ალ-ყაიდას აქა-იქ გაფანტული ნარჩენები და სხვა ჯიჰადისტი მოძრაობები უმაგრებდნენ ზურგს. ერაყში გაუარესებული სამხედრო ვითარების შედეგად, ავღანეთის მიმართ ყურადღების მოდუნებამ შეერთებული შტატების ანტიტერორისტული ოპერაციის შეფერხება გამოიწვია. 2006 წლის ზაფხულში ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალებმა (ISAF) კონტრტერორისტულ ოპერაციასა და სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე სრული კონტროლი გადაიბარა. ნატო-ს საკმარისი სამხედრო ძალები არ გააჩნდა ერთ დროს თალიბანის მიერ დაკავებული მთლიანი ტერიტორიის გასაკონტროლებლად, რაც მნიშვნელოვანი იყო, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, განვითარების და რეკონსტრუქციის გრძელვადიანი პროექტების განსახორციელებლად. ნატო-ს საჰაერო თავდასხმების გამო მშვიდობიან მოსახლეობაში გამონეუულმა მსხვერპლმა ცეცხლის ხაზზე მდებარე სოფლების მცხოვრებლები ნატო-ს წინააღმდეგ განაწყობა. ავღანეთში ყაყაჩოს კულტურის ამოძირკვის მცდელობებმა, საიდანაც მსოფლიოში მოხმარებული ჰეროინის 90 პროცენტი იწარმოებოდა, ყაყაჩოს მოსაველზე ეკონომიკურად დამოკიდებული ადგილობრივი გლეხების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამერიკის ხელისუფლებაში ობამას ადმინისტრაციის მოსვლის მომენტისთვის, თალიბანს უკვე დაბრუნებული ჰქონდა დაკარგული ტერიტორია და მკაცრად უსწორ-

დებოდა ავღანელებს, რომლებიც უცხოურ სამხედრო ძალებთან და ქვეყნის რეკონსტრუქციით დაკავებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ. ამასობაში, ქაბულში კარზაის მთავრობასა და ავღანეთის პროვინციებში მთავრობის წარმომადგენლებს შორის ფართოდ გავრცელებული კორუფცია ძლიერ უკმაყოფილებას იწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში და უარყოფითად განაწყოებდა შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრსაც, რომელიც ამერიკის ამ ყველაზე ხანგრძლივ ომად ქცეულ ოპერაციას მხარს აღარ უჭერდა. ახალი ადმინისტრაცია ვითარების გადარჩენას ამერიკული სამხედრო ძალების რიცხოვნობის მნიშვნელოვანი გაზრდითა და ავღანური არმიისა და პოლიციის გასაწვრთნელად დაფინანსების გამოყოფით შეეცადა. თუმცა, 2011 წლის ზაფხულში ობამას განცხადებამ, რომ ამერიკული ჯარები ავღანეთიდან გამოსვლას დაიწყებდნენ, გააჩინა კითხვები, თუ რამდენად შეძლებდა კარზაის რეჟიმი და მისი არმია თუ პოლიცია თალიბანის აჯანყების ჩახშობას ამერიკელი პროტექტორების დახმარების გარეშე.

ერაყის ომი და მისი შემდგომი პერიოდი

სამხედრო ოპერაცია, რომელმაც 2001 წლის შემოდგომაზე თალიბანის რეჟიმი დაამხო, ტერორიზმის წინააღმდეგ ვაშინგტონის გამოცხადებული ომის პირველი ბრძოლა იყო. ამით მთელ მსოფლიოს ეცნობა, რომ ნებისმიერი მთავრობა, რომელიც გლობალურად გააქტიურებულ ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს იფარებდა, როგორც ალ-ყაიდა იყო, თალიბანის ბედს გაიზიარებდა. 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმებიდან ერთი წლისთავზე, ბუშის ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების ახალი დოქტრინა წარმოადგინა, რომელიც პრეემპციის პრინციპს ეფუძნებოდა. ამ ახალი დოქტრინის თანახმად, შეერთებული შტატები უფლებას იტოვებდა, განეხორციელებინა პრეემპციული (წინასწარი) სამხედრო დარტყმა იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც ტერორისტებს იფარებდნენ, ან ფლობდნენ, ან ცდილობდნენ მოეპოვებინათ ქიმიური, ბიოლოგიური, ან ბირთვული იარაღი (ყველას ერთად „მასობრივი განადგურების იარაღი“ ეწოდა), რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა შეერთებული შტატებისათვის ან მისი მოკავშირეებისათვის.

პრეემპციის ეს დოქტრინა პირველად 2003 წლის გაზაფხულზე შეერთებული შტატების მიერ ერაყის დაპყრობისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისას ამოქმედდა. ვაშინგტონმა სამხედრო ოპერაცია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე და რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის ნატოელი მოკავშირეების – საფრანგეთისა და გერმანიის – მტკიცე წინააღმდეგობის ფონზე განხორციელდა, იმით გაამართლა, რომ ბალდადმა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის დაგროვებითა და ბირთვული იარაღის მოსაპოვებლად მასიური ძალისხმევის განხორციელებით გაეროს შესაბამისი რეზოლუციები დაარღვია. ვაშინგტონი ასევე ამტკიცებდა, რომ ერაყის რეჟიმს მჭიდრო კავში-

რები ჰქონდა დამყარებული ალ-ყაიდასთან და სხვა ისლამურ, რადიკალურ, ტერორისტულ დაჯგუფებებთან, რაც ქმნიდა თავზარდამცემ პერსპექტივას, რომ ამ დაჯგუფებებს შეეძლოთ, უფრო მომაკვდინებელი იარაღი ჩაეგდოთ ხელში, ვიდრე 2001 წლის 11 სექტემბერს გატაცებული თვითმფრინავები იყო. შეერთებული შტატების მიერ ერაყის ოკუპაციის დაწყების შემდეგ, ამერიკელების არგუმენტებს ძალა გამოეცალა, როდესაც ვერც მასობრივი განადგურების იარაღი და ვერც სადამ ჰუსეინის სეკულარულ არაბულ მთავრობასა და ალ-ყაიდას შორის კავშირის ფაქტები ვერ აღმოაჩინეს. თუმცა, ამ დროისთვის შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაციის დასაბუთებაც შეიცვალა. აღნიშნავდნენ, რომ სადამ ჰუსეინის დესპოტური რეჟიმის ჩანაცვლება 2005 წლის პირველი, თავისუფალი არჩევნების შედეგად არჩეული მთავრობით, ქმნიდა პრეცედენტს, რომელიც მთელ არაბულ სამყაროში დემოკრატიის გავრცელებას გამოიწვევდა. დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების გავრცელება რეგიონში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სეკულარული და თეოკრატიული დიქტატურების დესპოტური მმართველობის ქვეშ ცხოვრობდა, აღმოფხვრიდა ისლამისტური ტერორიზმის წყაროს, რომელიც საბჭოთა კომუნიზმის შემდეგ შეერთებული შტატების ნომერ პირველ მტრად ქცეულიყო.


სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობისა და მისი შეპყრობის შემდეგ, შეერთებული შტატების საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ერაყში სისხლიანი და დამანგრეველი ამბოხების დაწყებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა დემოკრატიის პროექტს, რომელსაც, როგორც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების ერთადერთ იმედს, ჯიუტად ახორციელებდა ბუშის ადმინისტრაცია.

მრავალთვიანი დაპირისპირებების შემდეგ, 2006 წლის მაისში ხელისუფლებაში მოსული პრემიერმინისტრ ნური ალ-მალიკის მთავრობაში ძირითადად შიიტები იყვნენ წარმოდგენილი, ხოლო პრეზიდენტის უფრო მეტად ცერემონიული თანამდებობა ქურთმა პოლიტიკოსმა დაიკავა. სუნიტი უმცირესობა, რომელიც ამ ქვეყანას, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისი დაარსებიდან, 2003 წელს სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამდე მართავდა, დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბაღდადის მთავრობის მხრიდან დისკრიმინაციის გამო და მხარს ამბოხების მხარდ მოძრაობას უჭერდა, რომელსაც ყოფილი რეჟიმის მომხრეები აწარმოებდნენ. ქვეყანას მალე მოედო შიიტ და სუნიტ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის სისხლიანი ძალადობის ტალღა. მთავრობა ქვეყანაში საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ვერ ახერხებდა, შეერთებულ შტატებში კი ამერიკული სამხედროების ერაყში დარჩენისადმი მხარდაჭერა კლებულობდა.

ერაყის დასავლეთით მდებარე ანბარის, ძირითადად, სუნიტური რეგიონი მიმდინარე ამბოხების ეპიცენტრი იყო, სადაც უამრავი ადამიანი

ილუპებოდა. 2006 წელს რეგიონის სუნიტი ტომების შეიხებმა მოულოდნელად შეწყვიტეს ჯიჰადისტური მოძრაობის „ალ-ყაიდა მესოპოტამიაში“ (AQM) მხარდაჭერა, ამ უკანასკნელის მეტად ძალადობრივი მეთოდებისა და, ასევე, მისი ძალისხმევის გამო, მკაცრი ისლამური წესები მოეხვია თავს ანბარის მოსახლეობისათვის. შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის ძლიერი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით, შეიხებმა „ანბარის გამოლევების საბჭო“ შექმნეს, რომელიც „ალ-ყაიდა მესოპოტამიაში“ მოძრაობის რეგიონიდან განსაადევნად შეერთებული შტატების ძალებთან თანამშრომლობდა. „ანბარის გამოლევების საბჭო“ პირველი კარგი ამბავი იყო, რომელიც ვაშინგტონმა მიიღო ერაყიდან სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ. შეერთებული შტატების სარდალი დევიდ პეტრეუსი ანბარის რეგიონში მიღწეული წარმატების გამეორებას და სუნიტ ლიდერებთან ალიანსების შეკვრას ქვეყნის სხვა მხარეებშიც ცდილობდა. 2007 წლის დასაწყისში ბუშის ადმინისტრაციამ შეერთებული შტატების სამხედრო ძალების რაოდენობის არსებითი გაზრდა გამოაცხადა. ამის მიზეზი კი ერაყში აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, რაც ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს და ეროვნული შერიგების მიღწევის გზას გაუხსნიდა მათ. წლის განმავლობაში ერაყში შეერთებული შტატების სამხედროების რიცხვი 130 000-დან 175 000-მდე გაიზარდა და პირველი მიზანიც მალე იქნა მიღწეული, როდესაც მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო და შიიტებსა და სუნიტებს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომიც მინელდა.

თუმცა, სათანადოდ ვერ იქნა მიღწეული სამხედრო ძალების რაოდენობის გაზრდის საბოლოო მიზანი: ერაყის დაპირისპირებულ დაჯგუფებებს შორის პოლიტიკური შეთანხმება და სტაბილური მთავრობის შექმნა, რომელიც მთელი ქვეყნის მოსახლეობის მხარდაჭერით ისარგებლებდა. ერაყის სამმა ძირითადმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ – შიიტებმა, სუნიტებმა და ქურთებმა – ვერ მოახერხა მთავარ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა და განაგრძო მოქმედება ისე, თითქოს საქმე მათ ქვეყანას არ ეხებოდა. 2010 წლის გაზაფხულის საყოველთაო არჩევნებმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, რადგან მთავრობის ჩამოყალიბება რამდენიმე თვე ვერ ხერხდებოდა. პრემიერმინისტრი ნური ალ-მალკი, რომლის პარტიამაც არჩევნები წააგო, დროებით მთავრობას ხელმძღვანელობდა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალა კი ერთმანეთში კინკლაობდა. ამასობაში, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წინასაარჩევნო დაპირება შეასრულა და ერაყიდან საბრძოლო ძალები სრული შემადგენლობით გაიყვანა და ქვეყანაში მხოლოდ 50 000-კაციანი შემადგენლობა დატოვა, რომელსაც ერაყის არმია და პოლიცია უნდა გაეწვრთნა, რათა, საბოლოოდ, სწორედ ამ უკანასკნელთ უზრუნველყოთ ერაყის უსაფრთხოება. საკითხავია, მიაღწევს თუ არა ეს ქვეყანა, შეერთებული შტატების დარჩენილი ძალების



ერაყი

მიერ ერაყის დატოვებამდე, იმ პოლიტიკურ სტაბილურობას, რომელიც ამდენ ხანს მიუწვდომელი რჩებოდა მისთვის.

მარტოხელა ამერიკა

პრემეპციული ომის შესახებ ახალი ეროვნული სტრატეგიული დოქტრინის შესაბამისად განხორციელებული ამერიკის სამხედრო ოპერაცია, რომელმაც ერაყში სადამ ჰუსეინის მთავრობა დაამხო, იმის ნიშანი იყო, რომ მსოფლიოში დარჩენილი ერთადერთი ზესახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე ცალმხრივად, მოკავშირეებისა თუ გაეროს თანხმობის გარეშე, აპირებდა მოქმედებას, თუკი მიიჩნევდა, რომ საფრთხის ქვეშ ამერიკის სასიცოცხლო ინტერესები იდგა. საგარეო პოლიტიკაში ეს უნილატერალისტური მიდგომა შეერთებული შტატების მიერ ოცდამეერთე საუკუნის პირველ ნლებში განხორციელებულმა არაერთმა ქმედებამ დაადასტურა. მათ შორის ყველაზე თვალში საცემი იყო ნაბიჯი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა 2002 წლის ივნისში გადადგა, როდესაც ბუშის ადმინისტრაციამ არაფრად ჩააგდო რუსეთის ხმამალალი პროტესტი და ოცდაათი წლის წინანდელი ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულებიდან გამოვიდა. ამ გადანყვეტილებამ შეერთებულ შტატებს საშუალება მისცა, განეგრძო ეროვნული სარაკეტო თავდაცვის სისტემების განთავსების პროგრამა, რომლის

მიზანი ქვეყნის ბირთვული თავდასხმისაგან დაცვა იყო. ვაშინგტონმა ასევე უარი განაცხადა რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რომელსაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა მიერთებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ხელშეკრულებები მიუღებლად ზღუდავდნენ შეერთებული შტატების შესაძლებლობას, დაეცვა მის უსაფრთხოებასთან სასიცოცხლოდ დაკავშირებული და ეკონომიკური ინტერესები: ბირთვული გამოცდების ყოველისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულება (CTBT), კონვენცია ქვეითსანი-ნაალმდეგო ნაღმების შესახებ, ბიოლოგიური იარაღის კონვენცია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება და კლიმატის ცვლილებაზე გაეროს კონვენციის კიოტოს პროტოკოლი.

ჩვეულებრივ, აბსოლუტური სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობის მქონე ქვეყნისგან მოსალოდნელია, რომ ის არ დამორჩილდეს საკუთარი მოქმედების თავისუფლების საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შეზღუდვას. 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის ტერიტორიაზე განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა გაამყარა შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილება, რომ საგარეო პოლიტიკა ენარმოებინა სხვებისგან დამოუკიდებლად და რომ მისი მოქალაქეების უსაფრთხოება დამყარებული არ ყოფილიყო საერთაშორისო ხელშეკრულებებზე თუ საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომელთაც აღსრულებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები არ გააჩნიათ. ცივი ომის დასასრულს ბევრი საუბრობდა საერთაშორისო თანამშრომლობაზე დამყარებულ „ახალ მსოფლიო წესრიგზე“; სხვები ფიქრობდნენ, რომ მალე ჩამოყალიბდებოდა „გლობალური საზოგადოება“, „მსოფლიო საზღვრების გარეშე“ იმის ნიშნად, რომ ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოს წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებს, როგორცაა: შეიარაღების კონტროლი, ეკოლოგიური საფრთხეები, აივ-შიდსის ეპიდემია და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა – გლობალური შედეგები მოაქვთ და, შესაბამისად, გლობალურ გადაწყვეტას მოითხოვენ. თუმცა, საერთაშორისო ტერორიზმის ახალი საფრთხით გამოწვეულმა შიშმა და განგაშის გრძნობამ კიდევ უფრო გაამყარა სახელმწიფოების, როგორც ხალხის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საბოლოო გარანტის, ძლიერება.



ეს წიგნი ძირითადად სტუდენტების, მაგისტრანტებისა და მოყვარულთათვის არის გამიზნული და არა მეცნიერთათვის. ამიტომ მოცემული ბიბლიოგრაფია არ შეიცავს პირველადი წყაროების კრებულებს, სტატიებს პროფესიონალური ჟურნალებიდან და სპეციალურ მონოგრაფიებს უცხო ენის შესასწავლად.

პროლოგი: საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური კონტექსტი მეოცე საუკუნის დასაწყისში

მსოფლიოს ევროპეიზაცია

Brendan, Piers, The Decline and Fall of the British Empire (2010)
 Cain, Peter, and Tony Hopkins, *British Imperialism, 1688-2000 (2001)*
 Conklin, Alice L., *A Mission to Civilize: The Republican Idea in France and West Africa, 1895-1930 (1997)*
 Conklin, Alice, and Ian Christopher Fletcher, *European Imperialism 1830-1930: Climax and Contraction (1998)*
 Curtin, Philip D., *The World and the West: The European Challenge and the Overseas Response in the Age of Empire (2002)*
 Dewey, Clive, and A. G. Hopkins, eds., *The Imperial Impact: Studies in the Economic History of Africa and India (1978)*
 Hodgart, Alan, *The Economics of European Imperialism (1977)*
 Hyam, Ronald, *Understanding the British Empire (2010)*
 James, Lawrence, *The Rise and Fall of the British Empire (1977)*
 Quinn, Frederick, *The French Overseas Empire (2001)*
 Singer, Barnett, *Cultured Force: Makers and Defenders of the French Colonial Empire (2004)*
 Wesseling, H.L., *The European Colonial Empires (2004)*

ძლიერი იაპონიის გამოჩენა აღმოსავლეთ აზიაში

Auslin, Michael R., *Negotiating with Imperialism: The Unequal Treaties and the Culture of Japanese Diplomacy (2004)*
 Beasley, W. G., *Japanese Imperialism 1894-1945 (1996)*
 Daniels, Roger, *The Politics of Prejudice: The Anti-Japanese Movement in California and the Struggle for Japanese Exclusion (1962)*
 Drea, Edward J., *Japans Imperial Army: Its Rise and Fall (2009)*
 Duus, Peter, *The Abacus and the Sword: The Japanese Penetration of Korea, 1895-1910 (1998)*
 Iriye, Akira, *Pacific Estrangement: Japanese and American Expansion, 1897-1911 (1972)*
 Karnow, Stanley, *In Our Image: Americas Empire in the Philippines (1989)*
 Klein, Lawrence, and Kazushi Ohkawa, eds., *Economic Growth: The Japanese Experience since the Meiji Era (1968)*

- Narangoa, Li, and Robert Cribb, eds., *Imperial Japan and National Identities in Asia, 1895-1945* (2003)
- Silbey, Daird J., *A War of Frontier and Empire: The Philippine-American War, 1899-1902* (2008)
- Warner, Denis Ashton, *The Tide at Sunrise: A History of the Russo-Japanese War, 1904-05* (2004)
- ამერიკული ძალის გამოჩენა დასავლეთ ნახევარსფეროსა და წყნარი ოკეანის აუზში**
- Bernstein, Marvin, ed., *Foreign Investment in Latin America* (1966)
- Connell-Smith, Gordon, *The United States and Latin America* (1974)
- Gilderhus, Mark, *The Second Century: U.S.-Latin American Relations since 1989* (2000)
- Grandin, Gregg, *Empires Workshop: Latin America, the United States, and the Rise of the New Imperialism* (2007)
- Greene, Julie, *The Canal Builders: Making America's Empire at the Panama Canal* (2009)
- Haley, P. Edward, *Revolution and Intervention: The Diplomacy of Taft and Wilson with Mexico, 1910-1917* (1970)
- Healy, David F., *The United States in Cuba, 1898-1902* (1963)
- LaFeber, Walter, *The Panama Canal: The Crisis in Historical Perspective* (1978)
- Langley, Lester D., *The Banana Wars: United States Intervention in the Caribbean 1898-1954* (2001)
- Langley, Lester D., *Struggle for the American Mediterranean: United States-European Rivalry in the Gulf-Caribbean, 1776-1904* (1976)
- LaRosa, Michael, and Frank O. Mora, eds., *Neighborly Adversaries: Readings in U.S.-Latin American Relations* (1999)
- Liss, Sheldon B., *Diplomacy and Dependency: Venezuela, the United States, and the Americas* (1978)
- Millet, Allan R., *The Politics of Intervention: The Military Occupation of Cuba, 1906-1909* (1968)
- Munro, Dana G., *Intervention and Dollar Diplomacy in the Caribbean, 1900-1921* (1964)
- Pearce, Jenny, *Under the Eagle: U.S. Intervention in Central America and the Caribbean* (1982)
- Pérez, Louis A., Jr., *Cuba in the American Imagination: Metaphor and Imperial Ethos* (2008)
- Peterson, Harold F., *Argentina and the United States, 1810-1960* (1964)
- Platt, Desmond, *Latin America and British Trade, 1806-1914* (1972)
- Rosenberg, Emily S., *Financial Missionaries of the World: The Politics and Culture of Dollar Diplomacy, 1900-1930* (1999)
- Schmitt, Karl, *Mexico and the United States, 1821-1973* (1973)
- Schooner, Thomas David, *Uncle Sam's War of 1898 and the Origins of Globalization* (2003)
- Schoonover, Thomas, *The United States and Central America, 1960-1911* (1991)
- Schultz, Lars, *Beneath the United States: A History of U.S. Policy toward Latin America* (1998)
- Smith, Peter H., *Talons of the Eagle: Dynamics of U.S.-Latin American Relations* (2000)

დედამინის „შემცირება“

- Aron, Raymond, *Peace and War: A Theory of International Relations* (1966)
- Challener, Richard D., *Admirals, Generals, and American Foreign Policy, 1898-1914* (1973)
- Grygiel, Jakub, *Great Powers and Geopolitical Change* (2006)
- Kearns, Gerard, *Geopolitics and Empire: The Legacy of Halford Makinder* (2009)
- Livezey, William E., *Mahan on Sea Power* (1981)
- Mearsheimer, John J., *The Tragedy of Great Power Politics* (2003)
- Morgenthau, Hans J. and Kenneth Thompson, *Politics among Nations: The Struggle for Power and Peace* (2005)
- Paret, Peter, Gordon A. Craig, and Felix Gilbert, eds., *Makers of Modern Strategy* (1986)
- Prescott, J. R. V., *Boundaries and Frontiers* (1978)
- Turk, Richard W., *The Ambiguous Relationship: Theodore Roosevelt and Thayer Mahan* (1987)
- Waltz, Kenneth, *Theory of International Politics* (2010)
- Zimmermann, Warren, *First Great Triumph: How Five Americans Made Their Country a World Power* (2002)

გლობალიზაციის დასაწყისი

- Adler, J. H., ed., *Capital Movements and International Development* (1967)
- Allen, G. C., *A Short Economic History of Modern Japan* (1972)
- Ashworth, William, *A Short History of the International Economy since 1850* (1975)
- Bernstein, William J., *A Splendid Exchange: How Trade Shaped the World* (2009)
- Davis, L. E., et al., *American Economic History: The Development of a National Economy* (1965)
- Dunning, J. H., *Studies in International Investment* (1970)
- Eichengreen, Barry, *Globalizing Capital: A History of the International Monetary System* (2008)
- Feis, Herbert, *Europe: The World's Banker, 1870-1914* (1965)
- Ferguson, Niall, *The Ascent of Money: A Financial History of the World* (2009)
- Kindleberger, Charles, *Economic Growth in France and Britain, 1851-1950* (1964)
- Landes, David, *The Unbound Prometheus* (1969)
- Latham, A. J. H., *The International Economy and the Undeveloped World, 1865-1914* (1978)
- O'Rourke, Kevin H., and Jeffrey G. Williamson, *Globalization and History: The Evolution of a Nineteenth-Century Atlantic Economy* (2001)
- Pomeranz, Kenneth, *The Great Divergence: China, Europe, and the Making of the Modern World Economy* (2000)
- Pomeranz, Kenneth, and Steven Topik, *The World that Trade Created: Culture, Society, and the World Economy, 1400 to the Present* (2000)
- Rostow, W. W., *The World Economy: History and Prospect* (1978)
- Scammell, W. M., *The London Discount Market* (1968)
- Seavoy, Ronald E., *Origins and Growth of the Global Economy: From the Fifteenth Century Onward* (2003)

ნანილი პირველი: ოცდაათწლიანი ომი (1914-1945)

1. გერმანიის ევროპაში გაბატონების მცდელობა (1914-1918)

Ferguson, Niall, *The Ascent of Money: A Financial History of the World* (2009)

Devlin, Patrick, *Too Proud to Fight: Woodrow Wilson's Neutrality* (1975)

Ferguson, Niall, *The Pity of War: Explaining World War I* (2000)

Fischer, Fritz, *Germany's Aims in the First World War* (1967)

Fromkin, David, *Europe's Last Summer: Who Started the Great War in 1914?* (2004)

Gregory, Ross, *The Origins of American Intervention in the First World War* (1971)

Hamilton, Richard F., and Holger H. Herwig, eds., *The Origins of World War I* (2003)

Hewitson, Mark, *Germany and the Causes of the First World War* (2004)

Martel, Gordon, *The Origins of the First World War* (2008)

McDougall, Walter, *France's Rhineland Diplomacy, 1914-1924* (1978)

Mombauer, Annika, et al., eds., *Helmuth von Moltke and the Origins of the First World War* (2001)

Moses, John A., *The Politics of Illusion: The Fischer Controversy in German Historiography* (1975)

Mulligan, William, *The Origins of the First World War* (2010)

Neiberg, Michael S., *Fighting the Great War: A Global History* (2006)

Steiner, Zara S., and Keith Neilson, *Britain and the Origins of the First World War: Second Edition* (2003)

Stevenson, David, *Cataclysm: The First World War as Political Tragedy* (2004)

Stevenson, David, *The First World War and International Politics* (1988)

Strachan, Hew, *The First World War* (2005)

Trachtenberg, Marc, *Reparation and World Politics* (1980)

Unterberger, Betty Miller, *The United States, Revolutionary Russia, and the Rise of Czechoslovakia* (1989)

2. პარიზის სამშვიდობო პროცესი და ახალი საერთაშორისო წესრიგი

Ambrosius, Lloyd, *Wilsonian Statecraft: Theory and Practice of Liberal Internationalism during World War I* (1991)

Ambrosius, Lloyd, *Woodrow Wilson and the American Diplomatic Tradition: The Treaty Fight in Perspective* (1987)

Boemeke, Manfred F., Gerald D. Feldman, and Elizabeth Glazer, eds., *The Treaty of Versailles: A Reassessment after 75 Years* (1998)

Fromkin, David, *A Peace to End All Peace: The Fall of the Ottoman Empire and the Creation of the Modern Middle East* (2001)

Goldstein, Erik, *The First World War Peace Settlements, 1919-1925* (2002)

Goldstein, Erik, *Winning the Peace: British Diplomatic Strategy, Peace Planning, and the Paris Peace Conference, 1916-1920* (1991)

Gomes, Leonard, *German Reparations, 1919-1932: A Historical Survey* (2010)

Henig, Ruth B., *Versailles and After, 1919-1933* (1995)

Keylor, William R., ed., *The Legacy of the Great War: Peacemaking in Paris, 1919* (1997)

MacMillan, Margaret, *Paris 1919: Six Months that Changed the World* (2003)

- Magee, Malcolm D., *What the World Should Be: Woodrow Wilson and the Crafting of a Faith-based Foreign Policy* (2008)
- Marks, Sally, *The Ebbing of European Ascendancy: An International History of the World, 1914- 1945* (2002)
- Marks, Sally, *The Illusion of Peace: International Relations in Europe, 1918-1933* (2003)
- Mayer, Arno J., *Politics and Diplomacy of Peacemaking: Containment and Counterrevolution at Versailles, 1918-1919* (1967)
- Sharp, Alan, *Consequences of Peace: The Versailles Settlement: Aftermath and Legacy 1919-2010* (2011)
- Sharp, Alan, *The Versailles Settlement: Peacemaking After the First World War, 1919-1923* (2008)
- Silverman, Dan P., *Reconstructing Europe after the Great War* (1982)
- Walworth, Arthur, *Wilson and His Peacemakers: American Diplomacy and the Paris Peace Conference, 1919* (1986)

3. დასავლური სამყარო ოცინან წლებში - ილუზიების ეპოქა

ეკონომიკური აღორძინების ილუზია

- Aldcroft, Derek H., *From Versailles to Wall Street: 1918-1929* (1977)
- Balderston, Theo, ed., *The World Economy and National Economies in the Interwar Slump* (2003)
- Dow, J. C. R., and Christopher Dow, *Major Recessions: Britain and the World 1920-1995* (1999)
- Drummond, Ian, *British Economic Policy and the Empire, 1919-1932* (1972)
- Fink, Carole and Axel Frohn with Jurgen Heideking, *Genoa, Rapallo, and European Reconstruction in 1922* (2002)
- Hoff, Joan, *American Business and Foreign Policy, 1920-1933* (1971)
- Hogan, Michael J., *Informal Entente: The Private Structure of Cooperation in Anglo-American Economic Diplomacy, 1918-1928* (1977)
- Koistinen, Paul A. C., *Planning War, Pursuing Peace: The Political Economy of American Warfare, 1920-1939* (1998)
- Maier, Charles S., *Recasting Bourgeois Europe: Stabilization in France, Germany, and Italy in the Decade after World War I* (1975)
- Rupieper, Herman J., *The Cuno Government and Reparations, 1921-1923* (1979)
- Schuker, Stephen A., *American Reparations to Germany, 1919-1933* (1988)
- Schuker, Stephen A., *The End of French Predominance in Europe: The Financial Crisis of 1924 and the Adoption of the Dawes Plan* (1976)
- Wilkins, Mira, *The Maturing of Multinational Enterprise: American Business Interests Abroad from 1914 to 1970* (1974)

კონტინენტური უსაფრთხოების ილუზია

- Adamthwaite, Anthony, *Grandeur and Misery: France's Bid for Power in Europe, 1914-1940* (1995)
- Fink, Carole, *The Genoa Conference: European Diplomacy, 1921-1922* (1984)
- Henig, Ruth B., ed., *The League of Nations* (2010)
- Hoff, Joan, *Ideology and Economics: U.S. Relations with the Soviet Union, 1918-1933* (1974)

- Housden, Martyn, *The League of Nations and the Organization of Peace* (2010)
- Howard, Michael, *The Continental Commitment: The Dilemma of British Defense Policy in the Era of the Two World Wars* (1972)
- Jacobson, Jon, *Locarno Diplomacy: Germany and the West, 1925-1929* (1972)
- Keiger, John, *France and the World since 1870* (2001)
- Lynch, Cecelia, *Beyond Appeasement: Interpreting Interwar Peace Movements in World Politics* (1999)
- Marks, Sally, *The Ebbing of European Ascendancy: An International History of the World, 1914-1945* (2002)
- Marks, Sally, *The Illusion of Peace: Europe's International Relations, 1918-1933* (2003)
- Neilson, Keith, *Britain, Soviet Russia and the Collapse of the Versailles Order, 1919-1939* (2009)
- Orde, Anne, *Great Britain and International Security, 1920-1926* (1978)
- Pawley, Margaret, *The Watch on the Rhine: The Military Occupation of the Rhineland* (2008)
- Price, Christopher, *Britain, America and Rearmament in the 1930s: The Cost of Failure* (2001)
- Raffo, P., *The League of Nations* (1974)
- Rhodes, Benjamin D., *United States Foreign Policy in the Interwar Period, 1918-1941: The Golden Age of American Diplomatic and Military Complacency* (2001)
- Steiner, Zara, *The Lights that Failed: European International History 1919-1933* (2007)
- Ulam, Adam, *Expansion and Coexistence: The History of Soviet Foreign Policy, 1917-1973* (1974)
- Wilt, Alan F., *Food for War: Agriculture and Rearmament in Britain before the Second World War* (2001)

**4. დასავლური სამყარო ოცდაათიან წლებში – გამჭვრალი ილუზიები
მსოფლიოს ეკონომიკური ნესრიგის რღვევა**

- Adams, Frederick C., *Economic Diplomacy: The Export-Import Bank and American Foreign Policy, 1934-1939* (1976)
- Carroll, Bernice A., *Design for Total War: Arms and Economics in the Third Reich* (1968)
- Friedman, Milton, *The Great Contraction, 1929-1933* (2008)
- Hall, Thomas E., and J. David Ferguson, *The Great Depression: An International Disaster of Perverse Economic Policies* (1998)
- Hehn, Paul N., *A Low Dishonest Decade: The Great Powers, Eastern Europe, and the Economic Origins of World War II, 1930-1941* (2002)
- Kaiser, David, *Economic Diplomacy and the Origins of the Second World War: Germany, Britain, France, and Eastern Europe, 1930-1939* (1980)
- Kindleberger, Charles, *The World in Depression, 1929-1939* (1973)
- Maddison, Angus, *The World Economy in the 20th Century* (1989)
- McIlvaine, Robert, *The Great Depression: America, 1929-1941* (1993)
- Parker, Randall E., *The Economics of the Great Depression: A Twenty-First Century Look Back at the Economics of the Interwar Era* (2008)
- Rothermund, Dietmar, *The Global Impact of the Great Depression 1929-1939* (1996)

ევროპის უსაფრთხოების სისტემის რღვევა

- Adamthwaite, Anthony, *France and the Coming of the Second World War* (1977)
- Adamthwaite, Anthony, *The Making of the Second World War* (1979)
- Baer, George W., *Test Case: Italy, Ethiopia, and the League of Nations* (1976)
- Beevor, Antony, *The Battle for Spain: The Spanish Civil War 1936-1939* (2006)
- Bell, P.M.H., *The Origins of the Second World War in Europe* (2007)
- Brooke-Shepherd, Gordon, *Anschluss: The Rape of Austria* (1976)
- Carley, Michael Jabara, *1939: The Alliance that Never Was and the Coming of World War II* (1999)
- Cloverdale, John F., *Italian Intervention in the Spanish Civil War* (1975)
- Cowling, Maurice, *The Impact of Hitler: British Politics and British Policy, 1933-1940* (1975)
- Eilard, Murray L., *Woodrow Wilson: Architect of World War II* (1992)
- Faber, David, *Munich, 1938: Appeasement and World War II* (2009)
- Finney, Patrick, *Remembering the Road to World War Two: International History, National Identity, Collective Memory* (2010)
- Goldstein, Erik, and Igor Lukes, et al., eds., *The Munich Crisis, 1938: Prelude to World War II* (2000)
- Henig, Ruth, *The Origins of the Second World War 1933-1941* (2005)
- Jordan, Nicole, *The Popular Front and Central Europe: The Dilemma of French Impotence, 1918-1940* (1992)
- Komjathy, Anthony T., *The Crisis of Frances East Central European Diplomacy, 1933-1938* (1977)
- McDonough, Frank, Richard Brown, and David Smith, eds., *The Origins of the First and Second World Wars* (1997)
- Preston, Paul, *The Spanish Civil War: Reaction, Revolution, and Revenge* (2009)
- Ragsdale, Hugh, *The Soviets, the Munich Crisis, and the Coming of World War II* (2004)
- Remak, Joachim, *The Origins of the Second World War* (1976)
- Rock, William R., *British Appeasement in the 1930s* (1977)
- Shay, Robert Paul, *British Rearmament in the Thirties* (1977)
- Smelser, Ronald M., *The Sudeten Problem, 1933-1938* (1975)
- Smith, Denis Mack, *Mussolini's Roman Empire* (1976)
- Taylor, A. J. P., *Origins of the Second World War* (1961)
- Tooze, Adam, *The Wages of Destruction: The Making and Breaking of the Nazi Economy* (2008)
- Traina, Richard P., *American Diplomacy and the Spanish Civil War* (1968)
- Weinberg, Gerhard, *Hitler's Foreign Policy 1933-1939: The Road to World War II* (2010)
- Young, Robert, *In Command of France: French Foreign Policy and Military Planning, 1933-1940* (1978)

5. გერმანიის ევროპაზე გაბატონების მეორე მცდელობა

- Ambrose, Stephen A., *D-Day: June 6, 1944: The Climactic Battle of World War II* (1995)
- Armitage, Michael, et al., *World War II Day by Day* (2004)
- Beitzell, Robert, *The Uneasy Alliance: America, Britain, and Russia, 1941-1943* (1972)
- Blatt, Joel, ed., *The French Defeat of 1940: Reassessments* (2000)

- Buhite, Russell H., *Decisions at Yalta: An Appraisal of Summit Diplomacy* (1986)
- Bungay, Stephen, *The Most Dangerous Enemy: The Definitive History of the Battle of Britain* (2010)
- Calber, Basil, *The Battle of Britain* (1962)
- Calvocoressi, Peter, and Guy Wint, *Total War: Causes and Courses of the Second World War* (1979)
- Dawidowicz, Lucy S., *The War Against the Jews* (1975)
- Evans, Richard J., *The Third Reich at War* (2009)
- D'Este, Carlo, *Decision in Normandy* (2000)
- Francois, Dominique, *Normandy: Breaching the Atlantic Wall: From D-Day to the Breakout and Liberation* (2008)
- Friedlander, Saul, *Nazi Germany and the Jews, 1939-1945 (Vol 2)* (2009)
- Gilbert, Martin, *The Second World War: A Complete History* (2004)
- Hastings, Max, *Armageddon: The Battle for Germany, 1944-1945* (2004)
- Holland, James, *The Battle of Britain* (2010)
- Jackson, Julian., *The Fall of France: The Nazi Invasion of 1940* (2004)
- Kershaw, Ian, *Hitler, the Germans, and the Final Solution* (2009)
- Kimball, Warren R., *Forged in War: Roosevelt, Churchill, and the Second World War* (1997)
- Lukacs, John, *The Last European War: September 1939-December 1941* (1976)
- Marrus, Michael R., *The Holocaust in History* (1987)
- Mastny, Vojtech, *Russia's Road to the Cold War: Diplomacy, Warfare, and the Politics of Communism, 1941-45* (1979)
- May, Ernest, *Strange Victory: Hitler's Conquest of France* (2001)
- Mazower, Mark, *Hitler's Empire: How the Nazis Ruled Europe* (2009)
- Mee, Charles A., Jr., *Meeting at Potsdam* (1995)
- Milward, Alan S., *War, Economy, and Society: 1939-1945* (1977)
- Plokhly, S.M. *Yalta: The Price of Peace* (2010)
- Rothwell, Victor, *War Aims in the Second World War: The War Aims of the Key Belligerents 1939-1945* (2006)
- Weinberg, Gerhard, *A World at Arms: A Global History of World War II* (1994)
- Winchester, Charles, *Hitler's War on Russia* (2007)
- Willmott, H. P., Robin Cross, Charles Messenger, and Richard Overy, *World War II* (2004)
- Wieviorka, Olivia, *Normandy: The Landings to the Liberation of Paris* (2010)
- Wyman, David S., *The Abandonment of the Jews: America and the Holocaust, 1941-1945* (1984)

6. შეერთებული შტატების უზენაესობის გამყარება ლათინურ ამერიკაში პირდაპირი ბატონობის პერიოდში

- Crawley, Andrew, Somoza and Roosevelt: Good Neighbour Diplomacy in Nicaragua, 1933-1945 (2007)
- Green, David, *The Containment of Latin America* (1971)
- Greib, Kenneth J., *The Latin American Policy of Warren G. Harding* (1976)
- Kamman, William, *A Search for Stability: United States Diplomacy toward Nicaragua, 1925-1933* (1968)

- Karnes, Thomas L., *Tropical Enterprise: The Standard Fruit and Steamship Company in Latin America* (1978)
- Krenn, Michael L., *U.S. Policy toward Economic Nationalism in Latin America, 1917-1929* (1990)
- Lowenthal, Abraham F., *Exporting Democracy: The United States and Latin America: Case Studies* (1991)
- Macaulay, Neill, *The Sandino Affair* (1967)
- Munro, Dana M., *The United States and the Caribbean Republics, 1921-1933* (1974)
- O'Brien, Thomas F., *The Century of U.S. Capitalism in Latin America* (1991)
- Ronning, C. Neal, *Intervention in Latin America* (1971)
- Schmidt, Hans, *The United States Occupation of Haiti, 1915-1934* (1971)
- Sheinin, David, *Searching for Authority: Pan Americanism, Diplomacy, and Politics in US-Argentine Relations, 1910-1930* (1998)
- Smith, Robert F., *The United States and Cuba: Business and Diplomacy, 1917-1960* (1960)
- Smith, Robert F., *The United States and Revolutionary Nationalism in Mexico, 1916-1932* (1972)
- Steward, Dick, *Trade and Hemisphere* (1975)
- Thorp, Rosemary, *Progress, Poverty, and Exclusion: An Economic History of Latin America in the 20th Century* (1998)
- Tulchin, Joseph, *Aftermath of War: World War I and United States Policy toward Latin America* (1971)
- Wilkins, Mira, *The Maturing of Multinational Enterprise: American Business Abroad from 1914-1970* (1974)
- არაპირდაპირი ჰეგემონიის პერიოდი**
- Adams, Frederick C., *Economic Diplomacy: The Export-Import Bank and American Foreign Policy, 1934-1939* (1976)
- Bethell, Leslie, and Ian Roxborough, eds., *Latin America between the Second World War and the Cold War: Crisis and Containment, 1944-1948* (1997)
- Caballero, Manuel, and Alan Knight, eds., *Latin America and the Comintern, 1919-1943* (2002)
- Callcott, Wilfred H., *The Western Hemisphere: Its Influence on United States Foreign Policies to the End of World War II* (1968)
- Farer, Tom J., ed., *The Future of the Inter-American System* (1979)
- Friedman, Max Paul, *Nazis and Good Neighbors: The United States Campaign against the Germans of Latin America in World War II* (2003)
- Frye, Alton B., *Nazi Germany and the Western Hemisphere, 1933-1941* (1967)
- Gardner, Lloyd, *Economic Aspects of New Deal Diplomacy* (1964)
- Hilton, Stanley, *Brazil and the Great Powers, 1930-1939* (1975)
- Hilton, Stanley, *Hitler's Secret War in South America, 1939-1945* (1981)
- Inman, Samuel G., *Inter-American Conferences, 1926-1954* (1965)
- Mecham, J. Lloyd, *The United States and Inter-American Security, 1889-1960* (1961)
- Paz, Alberto Conil, and Gustavo Ferrari, *Argentina's Foreign Policy, 1930-1962* (1962)
- Roorda, Eric Paul, *The Dictator Next Door: The Good Neighbor Policy and the Trujillo Regime in the Dominican Republic, 1930-1945* (1998)

Schmitz, David, *Thank God They're on Our Side: The United States and Rightwing Dictatorships* (1999)

Wood, Bryce, *The Making of the Good Neighbor Policy* (1961)

Wood, Bryce, *The United States and the Latin American Wars, 1932-1942* (1966)

7. იაპონიის აღზევება და დაცემა აღმოსავლეთ აზიაში

მშვიდობიანი ათვისების პერიოდი

Barnhart, Michael A., *Japan Prepares for Total War: The Search for Economic Security, 1919-1941* (1987)

Cohen, Warren I., *Americas Response to China: An Interpretive History of Sino-American Relations* (1971)

Coox, Alvin D., and Hilroy Conroy, eds., *China and Japan: Search for Balance since World War I* (1978)

Davidann, Thares Jon, *Cultural Diplomacy in U.S.-Japanese Relations, 1919-1941* (2007)

Dayer, Roberta A., *Bankers and Diplomats in China, 1917-1925* (1980)

Drea, Edward *Japan's Imperial Army: Its Rise and Fall, 1853-1945* (2009)

Goldstein, Erik, et al., *The Washington Conference, 1921-22: Naval Rivalry, East Asian Stability, and the Road to Pearl Harbor* (1994)

Humphreys, Leonard A., *The Way of the Heavenly Sword: The Japanese Army in the 1920's* (1995)

Iriye, Akira, *After Imperialism: The Search for Order in the Far East, 1921-1931* (1965)

Larence, James L., *Organized Business and the Myth of the China Market* (1981)

Linn, Brian McAllister, *Guardians of Empire: The U.S. Army and the Pacific, 1902-1940* (1999)

Livingston, William S., and William Roger Louis, eds., *Australia, New Zealand, and the Pacific Islands since the First World War* (1979)

Louis, William Roger, *British Strategy in the Far East, 1919-1939* (1971)

Miller, Eduard S. *War Plan Orange: The U.S. Strategy to Defeat Japan, 1897-1945* (2007)

Nish, Ian, *Japanese Foreign Policy in the Interwar Period* (2002)

O'Connor, Raymond G., *Perilous Equilibrium: The United States and the London Naval Conference of 1930* (1962)

Tuchman, Barbara, *Stilwell and the American Experience in China, 1911-1945* (1971)

Walker III, William O., *Opium and Foreign Policy: The Anglo-American Search for Order in Asia, 1912-1954* (2009)

Wheeler, Gerald E., *Prelude to Pearl Harbor: The United States Navy and the Far East, 1921-1931* (1963)

სამხედრო ექსპანსიის პერიოდი და ომი აზიაში

Baggott, Jim, *The First War of Physics: The Secret History of the Atomic Bomb, 1939-1949* (2010)

Best, Anthony, *Britain, Japan, and Pearl Harbor: Avoiding War in East Asia, 1936-41* (1995)

Borg, Dorothy, and Shumpei Okomoto, eds., *Pearl Harbor as History: Japanese-American Relations, 1931-1941* (1973)

- Chang, Iris, *The Rape of Nanking: The Forgotten Holocaust of World War II* (1998)
- Crowley, James B., *Japan's Quest for Autonomy: National Security and Foreign Policy, 1930-1938* (1966)
- Collier, Basil, *The War in the Far East* (1970)
- Daniels, Roger, *Prisoners Without Trial: Japanese Americans in World War II* (2004)
- Dower, John, *War Without Mercy: Race and Power in the Pacific War* (1986)
- Endicott, Stephen L., *Diplomacy and Enterprise: British China Policy 1933-1937* (1975)
- Frank, Richard B., *Downfall: The End of the Imperial Japanese Empire* (1999)
- Girdner, Audrie, and Annie Loftis, *The Great Betrayal: The Evacuation of the Japanese-Americans during World War II* (1969)
- Hasegawa, Tsuyoshi, *Racing the Enemy: Stalin, Truman, and the Surrender of Japan* (2005)
- Hotta, Eri, *Pan-Asianism and Japan's War 1931-1945* (2007)
- Iriye, Akira, *Power and Culture: The Japanese-American War, 1941-1945* (1981)
- Kelly, Cynthia C., *The Manhattan Project: The Birth of the Atomic Bomb in the Words of Its Creators, Eyewitnesses, and Historians* (2009)
- Lamb, Margaret, and Nicholas Tarling, *From Versailles to Pearl Harbor: The Origins of the Second World War in Europe and Asia* (2001)
- Lebra, Joyce C., *Japans Greater East Asia Co-Prosperity Sphere in World War II* (1975)
- Lee, Bradford A., *Britain and the Sino-Japanese War, 1937-1939* (1973)
- Lowe, Peter, *Great Britain and the Origins of the Pacific War* (1977)
- Morley, James W., ed., *Deterrent Diplomacy: Japan, Germany, and the USSR, 1935-1940* (1976)
- Peattie, Mark, and Edward Drea with Hans van de Ven, *The Battle for China: Essays on the Military History of the Sino-Japanese War of 1937-1945* (2010)
- Prang, Gordon, *At Dawn We Slept* (1981)
- Schom, Alan M., *The Eagle and the Rising Sun: The Japanese-American War 1941-1943: Pearl Harbor through Guadalcanal* (2003)
- Sherwin, Martin J., *A World Destroyed: Hiroshima and the Origins of the Arms Race* (2001)
- Sun, Youli, *China and the Origins of the Pacific War, 1931-41* (1996)
- Tarling, Nicholas, *Britain, Southeast Asia, and the Onset of the Pacific War* (1996)
- Tarling, Nicholas, *A Sudden Rampage: The Japanese Occupation of Southeast Asia 1941-1945* (2001)
- Thorne, Christopher, *Allies of a Kind: The United States, Britain, and War against Japan, 1941- 1945* (1978)
- Thorne, Christopher, *The Limits of Foreign Policy: The West, the League, and the Far Eastern Crisis of 1931-1933* (1972)
- Toland, John, *The Rising Sun: The Decline and Fall of the Japanese Empire, 1936-1945* (2003)
- Trotter, Ann, *Britain and East Asia, 1933-1937* (1975)
- Wakabayashi, B.T., *The Nanking Atrocity, 1937-38* (2007)
- Yoshihashi, Takehiko, *Conspiracy at Mukden: The Rise of the Japanese Military* (1963)
- Young, Louise, *Japans Total Empire: Manchuria and the Culture of Wartime Imperialism* (1999)

ნაწილი მეორე: ცივი ომი ზესახელმწიფოებს შორის (1945-1985)

მ. ბიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება ტრუმან-სტალინის ეპოქაში (1945-1953)

Baggott, Jim, *The First War of Physics: The Secret History of the Atomic Bomb, 1939-1949* (2010)

Behrman, Greg, *The Most Noble Adventure: The Marshall Plan and How America Helped Rebuild Europe* (2008)

Bostdorff, Denise M., *Proclaiming the Truman Doctrine: The Cold War Call to Arms* (2008)

Corke, Sarah-Jane, *US Covert Operations and Cold War Strategy: Truman, Secret Warfare and the CIA, 1945-53* (2007)

Craig, Campbell and Sergey S. Radchenko, *The Atomic Bomb and the Origins of the Cold War* (2008)

DePorte, A. W., *Europe between the Superpowers* (1979)

Eisenberg, Carolyn, *Drawing the Line: The American Decision to Divide Germany, 1944-1949* (1998)

Grosser, Alfred, *The Western Alliance* (1980)

Hahn, Peter L., *United States, Great Britain, and Egypt, 1945-1956: Strategy and Diplomacy in the Early Cold War* (2004)

Hogan, Michael J., *The Marshall Plan: America, Britain, and the Reconstruction of Western Europe, 1947-1952* (1987)

Kimball, Warren F., *Swords into Plowshares? The Morgenthau Plan for Defeated Nazi Germany, 1943-46* (1976)

Kuniholm, Bruce R., *The Origins of the Cold War in the Near East: Great Power Conflict and Diplomacy in Iran, Turkey, and Greece* (1980)

LaFeber, Walter, *America, Russia, and the Cold War: 1945-2008* (2008)

Leffler, Melvyn P., *A Preponderance of Power: National Security, the Truman Administration, and the Cold War* (1992)

Leffler, Melvyn P. and Westad, Odd Arne, *The Cambridge History of the Cold War: Volume 1, Origins* (2010)

Lewkowicz, Nicolas, *The German Question and the Origins of the Cold War* (2008)

Mastny, Vojtech, *The Cold War and Soviet Insecurity: The Stalin Years* (1998)

McCauley, Martin, ed., *Communist Power in Europe, 1944-1949* (1977)

Mills, Nicholas, *Winning the Peace: The Marshall Plan and Americas Coming of Age as a Superpower* (2008)

Miscamble, Wilson D., *From Roosevelt to Truman: Potsdam, Hiroshima, and the Cold War* (2008)

Offner, Arnold A., *Another Such Victory: President Truman and the Cold War* (2002)

Paterson, Thomas, *Soviet-American Confrontation, Postwar Reconstruction, and the Origins of the Cold War* (1973)

Pollard, Robert A., *Economic Security and the Origins of the Cold War* (1985)

Powaski, Ronald E., *The Cold War* (1998)

Rubenstein, Alvin Z., *Soviet Foreign Policy since World War II* (1981)

Smyser, W. R., *From Yalta to Berlin: The Cold War Struggle over Germany* (1999)

Xydis, Stephen G., *Greece and the Great Powers, 1944-47* (1963)

Yergin, Daniel, *Shattered Peace: The Origins of the Cold War and the National Security State* (1977)

Zubok, Vladislav M., *A Failed Empire: The Soviet Union in the Cold War from Stalin to Gorbachev* (2008)

Zubok, Vladislav, and Constantine Pleshakov, *Inside the Kremllins Cold War: From Stalin to Khrushchev* (1996)

9. თანაარსებობა და კონფრონტაცია (1953-1962)

Alexander, Charles, *Holding the Line* (1975)

Allison, Graham, and Philip Zelikow, *Essence of Decision: Explaining the Cuban Missile Crisis* (1999)

Allison, Roy, *The Soviet Union and the Strategy of Non-Alignment in the Third World* (2009)

Bain, Kenneth Ray, *The March to Zion: United States Policy and the Founding of Israel* (1979)

Barrett, Roby C., *The Greater Middle East and the Cold War: US Foreign Policy Under Eisenhower and Kennedy* (2010)

Beschloss, Michael, *The Crisis Years: Kennedy and Khrushchev, 1960-1963* (1991)

Brands, H. W., Jr., *Cold Warriors: Eisenhower's Generation and American Foreign Policy* (1988)

Catudal, Honore M., Jr., *The Diplomacy of the Quadripartite Agreement on Berlin* (1977)

Cooper, Chester, *The Lion's Last Roar: Suez, 1956* (1978)

Divine, Robert A., *Blowing on the Wind: The Nuclear Test Ban Debate, 1954-1960* (1978)

Divine, Robert A., *Eisenhower and the Cold War* (1980)

Dobbs, Michael, *One Minute to Midnight: Kennedy, Khrushchev, and Castro on the Brink of Nuclear War* (2009)

Donaldson, Robert H., *Soviet Policy toward India* (1976)

Farber, Samuel, *The Origins of the Cuban Revolution Reconsidered* (2006)

Frankel, Max, *High Noon in the Cold War: Kennedy, Khrushchev, and the Cuban Missile Crisis* (2005)

Fursenko, Aleksandr and Timothy Naftali, *Khrushchev's Cold War: The Inside Story of an American Adversary* (2007)

Gambone, Michael D., *Eisenhower, Somoza, and the Cold War in Nicaragua: 1953-1961* (1997)

Ginsburgs, George B., and Alvin Z. Rubenstein, eds., *Soviet Foreign Policy toward Western Europe* (1978)

Hahn, Peter L., *Caught in the Middle East: U.S. Policy toward the Arab-Israeli Conflict, 1945-1961* (2006)

Hargreaves, John D., *The End of Colonial Rule in West Africa: Essays in Contemporary History* (1979)

Higgins, Trumbull, *The Perfect Failure: Kennedy, Eisenhower, and the Bay of Pigs* (1987)

Hixson, Walter L., *Parting the Curtain: Propaganda, Culture, and the Cold War, 1945-1961* (1997)

Hoffman, David, *The Dead Hand: The Untold Story of the Cold War Arms Race and Its Dangerous Legacy* (2010)

- Horne, Alistair, *Savage War of Peace* (1978)
- Immermann, Richard H., *The CIA in Guatemala* (1983)
- Immermann, Richard H., *John Foster Dulles: Pragmatism and Power in U.S. Foreign Policy (1992)*
- Krammer, Arnold, *The Forgotten Friendship: Israel and the Soviet Bloc, 1947-1953* (1974)
- Kunz, Diane, *The Economic Diplomacy of the Suez Crisis* (1991)
- Mastny, Vojtech and Malcolm Byrne, *A Cardboard Castle? An Inside History of the Warsaw Pact, 1955-1991* (2006)
- Newman, Kitty, *Macmillan, Khrushchev and the Berlin Crisis, 1958-1960* (2007)
- Noer, Thomas J., *Cold War and Black Liberation: The United States and White Rule in Africa, 1948-1968* (1985)
- Polk, W. R., *The United States and the Arab World* (1965)
- Quesada, Alejandro, *The Bay of Pigs: Cuba 1961* (2009)
- Rabe, Stephen G., *Eisenhower and Latin America: The Foreign Policy of Anticommunism* (1988)
- Rabe, Stephen G., *The Most Dangerous Area in the World: John F. Kennedy Confronts Communist Revolution in Latin America* (1999)
- Remington, Robin A., *The Warsaw Pact* (1971)
- Rhodes, Richard, *Arsenals of Folly: The Making of the Nuclear Arms Race* (2008)
- Sachar, Howard M., *Europe Leaves the Middle East, 1936-1954* (1972)
- Safran, Nadav, *From War to War: The Arab-Israeli Confrontation, 1948-1967* (1969)
- Schick, Jack, *The Berlin Crisis, 1958-62* (1974)
- Schlesinger, Stephen, and Stephen Kinser, *Bitter Fruit: The Untold Story of the American Coup in Guatemala* (1983)
- Sebestyen, Victor, *Twelve Days: The Story of the 1956 Hungarian Revolution* (2007)
- Skilling, H. G., *Communism National and International: Eastern Europe after Stalin* (1964)
- Smith, Simon C., *Reassessing Suez 1956* (2008)
- Smolansky, Oles, *The Soviet Union and the Arab World under Khrushchev* (1974)
- Stookey, Robert W., *America and the Arab States* (1975)
- Talbott, John, *The War Without a Name: The French in Algeria, 1954-1962* (1980)
- Walton, Richard J., *Cold War and Counterrevolution: The Foreign Policy of John F. Kennedy* (1972)
- Welch, Richard E., *Response to Revolution: The United States and the Cuban Revolution, 1959-1961* (1985)

10. დეტანტი და მრავალპოლარული მსოფლიო (1962-1975)

- Allison, Roy, *The Soviet Union and the Strategy of Non-Alignment in the Third World* (2009)
- Baily, Samuel, *The United States and the Development of Latin America, 1945-1975* (1977)
- Barnet, Richard J., *The Giants: Russia and America* (1977)
- Battah, Abdalla M., and Yehuda Lukacs, eds., *The Arab-Israeli Conflict: Two Decades of Change* (1988)
- Bell, Coral, *The Diplomacy of Detente: The Kissinger Era* (1977)
- Bischof, Gunter, *The Prague Spring and the Warsaw Pact Invasion of Czechoslovakia in 1968* (2010)

- Bromke, Adam, and Derry Novak, eds., *The Communist States in the Era of Detente, 1971-1977* (1979)
- Cass, Iliana, *Soviet Involvement in the Middle East: Policy Formulation, 1966-1973* (1978)
- Cordell, Karl and Stefan Wolff, *Germany's Foreign Policy Towards Poland and the Czech Republic: Ostpolitik Revisited* (2005)
- Confino, M., and S. Shamir, eds., *The USSR and the Middle East* (1973)
- Davis, Walter M., ed., *Latin America and the Cold War* (1978)
- Emadi, Hafizullah, *Politics of the Dispossessed: Superpowers and Developments in the Middle East* (2001)
- Fenby, Jonathan, *The General: Charles De Gaulle and the France He Saved* (2010)
- Feste, Karen A., *Expanding the Frontiers: Superpower Intervention in the Cold War* (1992)
- Freedman, Robert O., *Soviet Policy toward the Middle East Since 1970* (1978)
- Garthoff, Raymond L., *Detente and Confrontation: American-Soviet Relations from Nixon to Reagan* (1994)
- Garthoff, Raymond L., *A Journey through the Cold War: A Memoir of Containment and Coexistence* (2001)
- George, Alexander L., and Richard Smoke, *Deterrence in American Foreign Policy* (1975)
- Ginsburgs, George B., and Alvin Z. Rubenstein, eds., *Soviet Foreign Policy toward Western Europe* (1978)
- Griffith, William E., *The Ostpolitik of the Federal Republic of Germany* (1978)
- Grogin, R. C., *Natural Enemies: The United States and the Soviet Union in the Cold War, 1917-1991* (2001)
- Harrison, Michael, *Reluctant Ally: France and Atlantic Security* (1981)
- Jacobsen, C. G., *Soviet Strategic Initiatives: Challenge and Response* (1979)
- Jonsson, Christer, *Soviet Bargaining Behavior: The Nuclear Test Ban Case* (1979)
- Kaiser, Karl, *German Foreign Policy in Transition* (1968)
- Keefer, Edward C. and David C. Geyer with Douglas E. Selvage, *Soviet-American Relations: The Detente Years, 1969-1972* (2007)
- Khalidi, Rashid, *Sowing Crisis: The Cold War and American Dominance in the Middle East* (2010)
- Kintner, William R., and Harriet R Scott, eds., *The Nuclear Revolution in Soviet Military Affairs* (1968)
- Kolodziej, Edward, *French International Policy under De Gaulle and Pompidou* (1974)
- LaFeber, Walter, *America, Russia, and the Cold War, 1945-2008* (2008)
- Langley, Lester, *The United States and the Caribbean in the Twentieth Century* (1985)
- Larson, Thomas B., *Soviet-American Rivalry* (1978)
- Loth, Wilfried and Georges Soutou, *The Making of Detente: Eastern Europe and Western Europe in the Cold War, 1965-75* (2007)
- Mayne, Richard, *The Recovery of Europe, 1945-1973* (1973)
- McGwire, Michael, and John Donnell, eds., *Soviet Naval Influence: Domestic and Foreign Dimensions* (1977)
- Miller, Nicola, *Soviet Relations with Latin America, 1959-1987* (1989)
- Mishal, Shaul, *West Bank/East Bank: The Palestinians in Jordan, 1949-1967* (1978)
- Newhouse, John, *Cold Dawn: The Story of SALT* (1973)

- Nitze, Paul, et al., *Securing the Seas: The Soviet Naval Challenge and Western Alliance Options* (1979)
- Nuti, Leopoldo, *The Crisis of Detente in Europe: From Helsinki to Gorbachev 1975-1985* (2008)
- Quant, William B., *Decade of Decision: American Policy toward the Arab-Israeli Conflict, 1967-1976* (1977)
- Safran, Nadav, *Israel: The Embattled Ally* (1978)
- Salibi, Kamal S., *Crossroads to Civil War: Lebanon, 1958-1976* (1976)
- Sarotte, Mary A., *Dealing with the Devil: East Germany, Detente, and Ostpolitik, 1969-1973* (2001)
- Schaefer, Henry W., *COMECON and the Politics of Integration* (1972)
- Schulzinger, Robert D., *Henry Kissinger: Doctor of Diplomacy* (1989)
- Scott, Harriet F., and William F. Scott, *The Armed Forces of the USSR* (1979)
- Sheehan, Edward F., *The Arabs, Israelis, and Kissinger* (1976)
- Smith, Gerard C., *Doubletalk: The Story of the First Strategic Arms Limitation Talks* (1980)
- Solomon, Robert, *The International Monetary System, 1945-1976* (1977)
- Spiegel, Steven L., et al., eds., *The Soviet-American Competition in the Middle East* (1988)
- Suri, Jeremi, *Henry Kissinger and the American Century* (2009)
- Suri, Jeremi, *Power and Protest: Global Revolution and the Rise of Detente* (2005)
- Szaz, Zoltan M., *Germany's Eastern Frontiers: The Problem of the Oder-Neisse Line* (1960)
- Talbott, Strobe, *Endgame: The Inside Story of SALT II* (1980)
- Taylor, Frederick, *The Berlin Wall: A World Divided, 1961-1989* (2008)
- Tew, B., *International Monetary Cooperation, 1945-1970* (1970)
- Tigríd, Pavel, *Why Dubcek Fell* (1971)
- Trachtenberg, Marc, ed., *Between Empire and Alliance: America and Europe during the Cold War* (2003)
- Valenta, Jiri, *Soviet Intervention in Czechoslovakia, 1968* (1979)
- Van der Beugel, Ernst H., *From Marshall Aid to Atlantic Partnership: European Integration as a Concern of American Foreign Policy* (1966)
- Walsh, A. E., and J. Paxton, *Into Europe: The Structure and Development of the Common Market* (1972)
- Wettig, Gerhard, *Community and Conflict in the Socialist Camp: The Soviet Union, East Germany, and the German Problem, 1965-1972* (1975)
- Willrich, Mason, and John Rhinelander, eds., *SALT: The Moscow Agreements and Beyond* (1974)
- Zeman, Z. A. B., *Prague Spring* (1969)

11. ჩინეთის აღმასვლა და ცივი ომი აზიაში

- An, Tai Sung, *The Sino-Soviet Territorial Dispute* (1973)
- Brinckmann, Hans, *Showa Japan: The Post-War Golden Age and Its Troubled Legacy* (2008)
- Buckley, Roger, *U.S.-Japan Alliance Diplomacy, 1945-1990* (1992)
- Caprio, Mark and Yoneyuki Sugita, *Democracy in Occupied Japan: The U.S. Occupation and Japanese Politics and Society* (2009)
- Chang, Gordon H., *Friends and Enemies: The United States, China, and the Soviet Union, 1948- 1972* (1990)

- Chen Jian, *Chinas Road to the Korean War: The Making of the Sino-American Confrontation* (1994)
- Chen, Jian, *Mao's China and the Cold War* (2001)
- Chiang, Hsiang-tse, *The United States and China* (1988)
- Cohen, Warren I., and Akira Iriye, eds., *The Great Powers and Asia, 1955-1960* (1990)
- Cumings, Bruce, *The Origins of the Korean War* (1981)
- Dickson, Bruce, and Harry Harding, eds., *Economic Relations in the Asian-Pacific Region* (1987)
- Dikotter, Frank, *Mao's Great Famine: The History of China's Most Devastating Catastrophe, 1958-1962* (2010)
- Dower, John, *Embracing Defeat: Japan in the Wake of World War II* (2000)
- Ellison, Herbert, *Japan and the Pacific Quadrille: The Major Powers in East Asia* (1987)
- Foot, Rosemary, *The Wrong War: American Policy and the Dimensions of the Korean Conflict, mo-1953* (1990)
- Forsberg, Aaron, *America and the Japanese Miracle: The Cold War Context of Japan's Postwar Economic Revival, 1950-1960* (1999)
- Fravel, M. Taylor, *Strong Borders, Secure Nation: Cooperation and Conflict in China's Territorial Disputes* (2008)
- Gao, Mobo, *The Battle for China's Past: Mao and the Cultural Revolution* (2008)
- Ginsburgs, George, and Carl F. Pinkele, *The Sino-Soviet Territorial Dispute, 1949-64* (1978)
- Goncharov, John Lewis, and Xue Litai, *Uncertain Partners: Stalin, Mao, and the Korean War* (1993)
- Halberstam, David, *The Coldest Winter: America and the Korean War* (2008)
- Heering, George C., *America's Longest War: The United States and Vietnam, 1950-1975* (1986)
- Hershberg, James G., *The Cold War in Asia* (1996)
- Hunt, Michael H., *Lyndon Johnson's War: America's Cold War Crusade in Vietnam, 1945-1968* (1997)
- Jacobs, Seth, *Cold War Mandarin: Ngo Dinh Diem and the Origins of Americas War in Vietnam, 1950-1965* (2006)
- Jones, Matthew, *After Hiroshima: The United States, Race and Nuclear Weapons in Asia, 1945-1965* (2010)
- Karl, Rebecca E., *Mao Zedong and China in the Twentieth-Century World: A Concise History* (2010)
- Klein, Christina, *Cold War Orientalism: Asia in the Middlebrow Imagination, 1945-1961* (2003)
- LaFeber, Walter, *U.S.-Japanese Relations throughout History* (1998)
- Lawrence, Mark Atwood and Fredrik Logevall, *The First Vietnam War: Colonial Conflict and Cold War Crisis* (2007)
- Lee, William, *The Korean War Was Stalin's Show* (1999)
- Luethi, Lorenz M., *The Sino-Soviet Split: Cold War in the Communist World* (2008)
- MacMillan, Margaret, *Nixon in China: The Week That Changed the World* (2007)
- Morgan, Ted, *Valley of Death: The Tragedy at Dien Bien Phu That Led America into the Vietnam War* (2010)

- Nagai, Yonasuke, and Akira Iriye, eds., *The Origins of the Cold War in Asia* (1977)
- Nelsen, Harvey W., *Power and Insecurity: Beijing, Moscow, and Washington, 1949-1988* (1989)
- Pepper, Suzanne, *Civil War in China: The Political Struggle, 1945-1949* (1978)
- Prados, John, *Vietnam: The History of an Unwinnable War, 1945-1975* (2009)
- Ross, Robert S., Jiang Changbin, and Changbin Jiang, *Re-Examining the Cold War: US-China Diplomacy, 1954-1973* (2001)
- Schaller, Michael, *Altered States: The United States and Japan since the Occupation* (1997)
- Schaller, Michael, *The American Occupation of Japan* (1985)
- Schaller, Michael, *The United States and China in the Twentieth Century* (1990)
- Searingen, Robert, *The Soviet Union and Postwar Japan: Escalating Challenge and Response* (1978)
- Stueck, William, *The Korean War: An International History* (1995)
- Thornton, Richard C., *Odd Man Out: Truman, Stalin, Mao, and the Origins of Korean War* (2001)
- Weathersby, Kathryn, *Soviet Aims in Korea and the Origins of the Korean War, 1945-1950: Evidence from the Russian Archives* (1993)
- Young, Marilyn, *Vietnam Wars, 1945-1990* (1991)
- Zhang, Shu Guang, *Economic Cold War: America's Embargo against China and the Sino-Soviet Alliance 1949-1963* (2001)

12. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების განახლება (1975-1985)

- Ahmadzadeh, Habib, *A City Under Siege: Tales of the Iran-Iraq War* (2010)
- Ahrari, Mohammed E., *OPEC: The Failing Giant* (1986)
- Aronson, Geoffrey, *Creating Facts: Israel, Palestinians, and the West Bank* (1987)
- Belassa, Bela, *Change and Challenge in the World Economy* (1985)
- Bickerton, Ian and Carla L. Klausner, *A Concise History of the Arab-Israeli Conflict* (1998)
- Blacker, Coit D., *Reluctant Warriors: The United States, the Soviet Union, and Arms Control* (1987)
- Chubin, Shahram, *Iran and Iraq at War* (1988)
- Coughlin, Con, *Khomeini's Ghost: The Iranian Revolution and the Rise of Militant Islam* (2010)
- Douglass, Joseph D., Jr., *Soviet Military Strategy in Europe* (1980)
- Feifer, Gregory, *The Great Gamble: The Soviet War in Afghanistan* (2010)
- Friedman, Thomas, *From Beirut to Jerusalem* (1989)
- Gartoff, Raymond L., *Detente and Confrontation* (1985)
- Geiger, Theodore, *The Future of the International System: The United States and the World Political Economy* (1988)
- Gieling, Saskia, *Religion and War in Revolutionary Iran* (1999)
- Gilmour, David, *Lebanon: The Fractured Country* (1983)
- Hiro, Dilip, *Holy Wars: The Rise of Islamic Fundamentalism* (1989)
- Holm, Hans-Henrich, and Nikolaj Peterson, *The European Missiles Crisis* (1984)
- Homouda, Omar F., et al., eds., *The Future of the International Monetary System* (1989)

- Jalali, Ali Ahmed and Lester W. Grau, *The Other Side of the Mountain: Mujahideen Tactics in the Soviet-Afghan War* (2010)
- January, Brendan, *The Iranian Revolution* (2007)
- Karsh, Efraim, *The Iran-Iraq War 1980-1988* (2002)
- Kennedy, Paul, *The Rise and Fall of the Great Powers* (1987)
- Khan, Yasmin, *The Great Partition: The Making of India and Pakistan* (2008)
- King, Ralph, *The Iran-Iraq War: The Political Implications* (1987)
- Klass, Rosanne, ed., *Afghanistan: The Great Game Revisited* (1988)
- Mastny, Vojtech, *Helsinki, Human Rights, and European Security* (1986)
- Meyer, Karl E., and Shareen Blair Brysac, *Tournament of Shadows: The Great Game and the Race for Empire in Central Asia* (1999)
- Munson, Henry, Jr., *Islam and Revolution in the Middle East* (1988).
- Quandt, William B., *Camp David: Peacemaking and Politics* (1986)
- Quandt, William B., ed., *The Middle East: Ten Years after Camp David* (1988)
- Saikal, Amin, *Islam and the West: Conflict or Cooperation?* (2003)
- Schoenbaum, David, *The United States and the State of Israel* (1993)
- Simonian, Haig, *The Privileged Partnership: Franco-German Relations in the European Community, 1969-1984* (1985)
- Stempel, John D., *Inside the Iranian Revolution* (2009)
- Urban, Mark L., *War in Afghanistan* (1988)
- Wells, Samuel F., and Mark Bruzonsky, *Security in the Middle East: Regional Change and Great Power Strategies* (1987)
- Wolpert, Stanley, *Roots of Confrontation in South Asia: Afghanistan, Pakistan, India, and the Superpowers* (1982)
- 13. ბრძოლა განვითარებისა და დამოუკიდებლობისათვის
ლათინურ ამერიკაში**
- Biles, Robert E., *Inter-American Relations: The Latin American Perspective* (1988)
- Brands, Hal, *Latin Americas Cold War* (2010)
- Brock, Philip, M. B. Connoly, and C. Gonzalez-Vega, eds., *Latin American Debt and Readjustment* (1991)
- Carothers, Tom H., *In the Name of Democracy: U.S. Policy toward Latin America in the Reagan Years* (1991)
- Child, Jack, *Geopolitics and Conflict in South America: Quarrels among Neighbors* (1985)
- Coatsworth, John H., *Central America and the United States: The Clients and the Colossus* (1994)
- Diederich, Bernard, *Somoza and the Legacy of U.S. Involvement in Central America* (2007)
- Dietz, James L., and J. L. Street, *Latin Americas Economic Development* (1987)
- Esparza, Marcia and Henry R. Huttenbach with Daniel Feierstein, *State Violence and Genocide in Latin America: The Cold War Years* (2009)
- Farer, Tom J., *The Grand Strategy of the United States in Latin America* (1988)
- Findling, John E., *Close Neighbors, Distant Friends: United States-Central American Relations* (1987)
- Grandin, Greg, *The Last Colonial Massacre: Latin America in the Cold War* (2004)

- Grow, Michael, *U.S. Presidents and Latin American Interventions: Pursuing Regime Change in the Cold War* (2008)
- Joseph, Gilbert M. and Daniela Spenser with Emily S. Rosenberg, *In from the Cold: Latin Americas New Encounter with the Cold War* (2007)
- LeFeber, Walter, *Inevitable Revolutions: The United States in Central America* (1983)
- McDonald, Scott B., *The Caribbean after Grenada* (1988)
- Menzel, Sewall, *Dictators, Drugs & Revolution: Cold War Campaigning in Latin America 1965-1989* (2006)
- Middlebrook, Kevin, and Carlos Rico, eds., *The United States and Latin America* (1986)
- Miller, Nicola, *Soviet Relations with Latin America, 1959-1987* (1989)
- Morley, Morris, *Imperial State and Revolution: The United States and Cuba, 1952-1986* (1988)
- Pastor, Robert, *Condemned to Repetition: The United States and Nicaragua* (1987)
- Pastor, Robert, *Whirlpool: U.S. Foreign Policy toward Latin America and the Caribbean* (1992)
- Ramirez, Miguel D., Antonio Jorge, and Jorge Salazar-Carillo, eds., *The Latin American Debt* (1992)
- Tussie, Diana, ed., *Latin America in the World Economy* (1983)
14. აფრიკა: დამოუკიდებლობიდან დაქვემდებარებამდე
- Akonor, Kwame, *Africa and IMF Conditionality: The Unevenness of Compliance, 1983-2000* (2006)
- Albright, David E., *The USSR and Sub-Sahara Africa in the 1980s* (1983)
- Aluko, Olajide, *Africa and the Great Powers in the 1980s* (1987)
- Bala, Mohammed, *Africa and Non-Alignment: A Study in the Foreign Relations of New Nations* (1982)
- Barber, James, and John Barratt, *South Africa's Foreign Policy: The Search for Status and Security, 1945-1988* (1990)
- Calvo-coressi, Peter, *Independent Africa and the World* (1985)
- Chamberlain, M. E., *Decolonization: The Fall of European Empires* (1985)
- Davidson, Basil, *The Black Man's Burden: Africa and the Curse of the Nation-State* (1992)
- Dickson, David, *United States Foreign Policy towards Sub-Sahara Africa* (1985)
- Farer, Tom J., *Clouds on the Horn of Africa: The Widening Storm* (1979)
- Fieldhouse, D. K., *Black Africa, 1945-1980: Economic Decolonization and Arrested Development* (1986)
- Gavshon, Arthur, *Crisis in Africa: Battleground of East and West* (1984)
- Hargreaves, John D., *The End of Colonial Rule in West Africa: Essays in Contemporary History* (1979)
- Haskin, Jeanne M., *The Tragic State of The Congo: From Decolonization to Dictatorship* (2005)
- Havnevik, Kjell, ed., *The IMF and the World Bank in Africa* (1987)
- Holland, R. F., *European Decolonization, 1918-1981: An Introductory Survey* (1985)
- Lapping, Brian, *The End of Empire* (1989)
- Marte, L. F., *Political Cycles in International Relations: The Cold War and Africa* (1994)

- Mohammed, Bala, *Africa and Non-Alignment: A Study in the Foreign Relations of New Nations* (1982)
- Noer, Thomas, *Cold War and Black Liberation: The United States and White Rule in Africa, 1948-1968* (1985)
- Okbazghi, Yohannes, *The United States and the Horn of Africa: An Analytical Study of Pattern and Process* (1997)
- Onimode, Bade, ed., *The IMF, the World Bank, and African Debt* (1989)
- Onslow, Sue, *Cold War in Southern Africa: White Power, Black Liberation* (2009)
- Onwuka, Ralph I., and Timothy M. Shaw, *Africa and World Politics* (1989)
- Parfitt, Trevor W. and Stephen P. Riley, *The African Debt Crisis* (2010)
- Percox, David, *Britain, Kenya, and the Cold War: Imperial Defence, Colonial Security and Decolonisation* (2004)
- Pfister, Roger, *Apartheid South Africa and African States: From Pariah to Middle Power, 1961- 1994* (2005)
- Riley, Stephen A., *African Debt and Western Interests* (1989)
- Sandbrook, Richard, *The Politics of Africa's Economic Recovery* (1993)
- Shaw, Timothy, *Reformism and Revisionism in Africa's Political Economy in the 1990s* (1993)
- Somerville, Keith, *Foreign Military Intervention in Africa* (1990)
- Thomson, Alex, *U.S. Foreign Policy Towards Apartheid South Africa, 1948-1994: Conflict of Interests* (2008)
- Wright, Stephen, and Janice N. Brownfoot, *Africa and World Politics* (1987)
- 15. შორეული აღმოსავლეთი – გზა ახალი კეთილდღეობისაკენ**
- Austin, Greg, and Stuart Harris, *Japan and Greater China: Political Economy and Military Power in the Asian Century* (2001)
- Brandt, Loren and Thomas G. Rawski, *China's Great Economic Transformation* (2008)
- Chang, Gordon H., *Friends and Enemies: The United States, China, and the Soviet Union, 1948- 1972* (1991)
- Chiang, Hsiang-tse, *The United States and China* (1988)
- Chow, Gregory C., *China's Economic Transformation* (2007)
- Dickson, Bruce, and Harry Harding, eds., *Economic Relations in the Asian-Pacific Region* (1987)
- Ellison, Herbert J., *Japan and the Pacific Quadrille: The Major Powers in East Asia* (1987)
- Huang, Xiaoming, *The Rise and Fall of the East Asian Growth System, 1951-2000: Institutional Competitiveness and Rapid Economic Growth* (2004)
- Huang, Yasheng, *Selling China: Foreign Direct Investment During the Reform Era* (2005)
- Hung, Ho-fung, *China and the Transformation of Global Capitalism* (2009)
- Johnston, Alistair, and Robert S. Ross, *Engaging China: The Management of an Emerging Power* (1999)
- Kaacke, Jurgen, *ASEAN's Diplomatic and Security Culture: Origins, Development and Prospects* (2009)
- Kim, Ilpyong J., *The Strategic Triangle: China, the United States, and the Soviet Union* (1987)

- Kim, Samuel S., *China and the World* (1989)
- Kleinberg, Robert, *China's "Opening" to the Outside World: The Experiment with Foreign Capitalism* (1990)
- Klenner, Wolfgang, ed., *Trends of Economic Development in East Asia* (1989)
- Langing, Li, *Breaking Through: The Birth of China's Opening-up Policy* (2010)
- Leifer, Michael, *ASEAN and the Security of South East Asia* (1989)
- Linder, Steffan B., *The Pacific Century: Economic and Political Consequences of Asian-Pacific Dynamism* (1986)
- Matray, James I., *Japan's Emergence as a Global Power* (2000)
- Ozaki, Robert S., and Walter Arnold, eds., *Japan's Foreign Relations: A Global Search for Economic Security* (1985)
- Prestowitz, Clyde V., Jr., *Trading Places: How We Allowed Japan to Take the Lead* (1988)
- Rostow, W. W., *The United States and the Regional Organization of Asia and the Pacific, 1965-1985* (1986)
- Sutter, Robert G., *Chinese Foreign Policy: Developments after Mao* (1986)
- Thompson, Roger C., *The Pacific Basin since 1945* (1994)
- Wei-Yen, Denis Hew, *Brick by Brick: The Building of an ASEAN Economic Community* (2007)
- Wolferen, Karel G. von, *The Enigma of Japanese Power* (1989)
- Wong, John, *The Political Economy of China's Changing Relations with Southeast Asia* (1984)
- Woronoff, Jon, *Asia's "Miracle Economies"* (1991)
- Yahuda, Michael, *The International Politics of the Asia-Pacific, 1945-1995* (1996)

ნაწილი მესამე: ცივი ომიდან ახალ მსოფლიო

უნაწილობამდე (1985-2010)

16. მოსკოვი, ვაშინგტონი და საბჭოთა იმპერიის აღსასრული

- Adamishin, Anatoly L. and Richard Schifter, *Human Rights, Perestroika, and the End of the Cold War* (2007)
- Allison, Roy, *Military Forces in the Soviet Successor States* (1993)
- Arbatov, Alexei and Vladimir Dvorkin with John D. Steinbruner, *LIS.-Russia Strategic Partnership against Nuclear Proliferation: From Declaration to Action* (2006)
- Beschloss, Michael, and Strobe Talbot, *At the Highest Levels: The Inside Story of the End of the Cold War* (1993)
- Bisley, Nick, *The End of the Cold War and the Causes of Soviet Collapse* (2004)
- Bowker, Mike, *Russian Foreign Policy and the End of the Cold War* (1997)
- Combs, Dick, *Inside The Soviet Alternate Universe: The Cold War's End and the Soviet Union's Fall Reappraised* (2008)
- Dannreuther, Roland, *Creating New States in Central Asia* (1994)
- De Nevers, Renee, *Russia's Strategic Renovation* (1994)
- Engel, Jeffrey A., *The Fall of the Berlin Wall: The Revolutionary Legacy of 1989* (2009)
- Gaddis, John Lewis, *The United States and the End of the Cold War* (1992)
- Garthoff, Raymond L., *The Great Transition: American-Soviet Relations and the End of the Cold War* (1994)
- Garton Ash, Timothy, *The Magic Lantern: The Revolution of '89 Witnessed in Warsaw,*

Budapest, Berlin, and Prague (1990)

Grachev, Andrei, *Gorbachev's Gamble: Soviet Foreign Policy and the End of the Cold War (2008)*

Goldman, Marshall I., *Lost Opportunity: Why Economic Reforms in Russia Have Not Worked (1994)*

Graebner, Norman A. and Richard Dean Burns with Joseph M. Siracusa, *Reagan, Bush, Gorbachev: Revisiting the End of the Cold War (2008)*

Hogan, Michael J., ed., *The End of the Cold War: Its Meaning and Implications (1992)*

Hutchings, Robert L., *American Diplomacy and the End of the Cold War: An Insider's Account of U.S. Policy in Europe, 1982-1992 (1997)*

Jarausch, Konrad H., *The Rush to German Unity (1994)*

Kenney, Padraic, *1989: Democratic Revolutions at the Cold War's End: A Brief History with Documents (2009)*

Lieby, Richard, *The Unification of Germany, 1989-90 (1999)*

Mann, James, *The Rebellion of Ronald Reagan: A History of the End of the Cold War (2010)*

Meyer, Michael, *The Year that Changed the World: The Untold Story Behind the Fall of the Berlin Wall (2009)*

Sarotte, Mary, *1989: The Struggle to Create Post-Cold War Europe (2009)*

Savranskaya, Svetlana and Thomas Blanton with Vladislav Zubok, *Masterpieces of History: The Peaceful End of the Cold War in Europe, 1989 (2010)*

Stokes, Gail, *The Walls Came Tumbling Down: The Collapse of Communism in Eastern Europe (1993)*

Suny, Ronald, *The Soviet Experiment: Russia, the USSR, and the Successor States (2010)*

Zelikow, Philip, and Condoleeza Rice, *Germany United and Europe Transformed (1997)*

17. ევროპა: ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია

Anderson, Jeffrey, *German Unification and the Union of Europe: The Domestic Politics of Integration Policy (1999)*

Baldwin, Richard, *The Economics of European Integration (2009)*

Bozo, Frederic, *Mitterrand, The End of the Cold War, and German Unification (2000)*

Calleo, David P., and Richard C. Leone, *Rethinking Europe's Future (2001)*

Chrysochoou, Dimitris N., *Theorizing European Integration (2008)*

Gibbs, David N., *First No Harm: Humanitarian Intervention and the Destruction of Yugoslavia (2009)*

Dinan, Desmond, *Ever Closer Union: An Introduction to European Integration (1999)*

Fromkin, David, *Kosovo Crossing (1999)*

Garton Ash, Timothy, *In Europe's Name: Germany and the Divided Continent (1993)*

Jarausch, Konrad H., *The Rush to German Unity (1994)*

Judah, Tim, *Kosovo: What Everyone Needs to Know (2008)*

Judah, Tim, *The Serbs: History, Myth and the Destruction of Yugoslavia (2010)*

Marsh, David, *The Bundesbank: The Bank that Rules Europe (1994)*

Nelsen, Brent F., and Alexander Stubb, *The European Union: Readings on the Theory and Practice of European Integration (2003)*

Rosamond, Ben, *Theories of European Integration (2000)*

Urwin, D. W., *The Community of Europe: A History of European Integration since 1945* (1995)

Zielonka, Jan, *Security in Central Europe* (1992)

18. აზია გზის განაყოფი

Acharya, Amitav, *A New Regional Order in South-East Asia: ASEAN in the Post-Cold War Era* (1991)

Bajpai, Kanti, *South Asia after the Cold War: International Perspectives* (1993)

Beeson, Mark, *Institutions of the Asia-Pacific: ASEAN, APEC and Beyond* (2008)

Blankert, Jan Willem, *China Rising: Will the West Be Able to Cope?: The Real Long-term Challenge to the Rise of China* (2009)

Bose, Sugata, and Ayesha Jalal, *Modern South Asia: History, Culture, Political Economy* (2004)

Brandt, Loren and Thomas G. Rawski, *China's Great Economic Transformation* (2008)

Bresnan, John, *From Dominoes to Dynamos: The Transformation of Southeast Asia* (1997)

Chang, Ha-Joon, *The East Asian Development Experience: The Miracle, the Crisis and the Future* (2007)

Drysdale, Peter, *The New Economy in East Asia and the Pacific* (2007)

Ganguly, Sumit and S. Paul Kapur, *India, Pakistan, and the Bomb: Debating Nuclear Stability in South Asia* (2000)

Garten, Jeffrey E., *A Cold Peace: America, Japan, Germany, and the Struggle for Supremacy* (1992)

Gunder Frank, Andre, *Reorient: Global Economy in the Asian Age* (1998)

Haacke, Jurgen and Noel M. Morada, *Cooperative Security in the Asia-Pacific: The ASEAN Regional Forum* (2010)

Hardt, John P., and Young C. Kim, eds., *Economic Cooperation in the Asia-Pacific Region* (1990)

Harris, Stuart, and James Cotton, eds., *The End of the Cold War in Northeast Asia* (1991)

Hickey, Dennis, *Dancing with the Dragon: Chinas Emergence in the Developing World* (2010)

Hook, Glenn D., Christopher W. Hughes, Hugo Dobson, and Julie Gilson, *Japans International Relations: Politics, Economics, and Security* (2000)

Howell, Jude, *China Opens Its Doors: The Politics of Economic Transition* (1993)

Jones, David Martin and M.L.R. Smith. *ASEAN and East Asian International Relations: Regional Delusion* (2007)

Kang, David C., *China Rising: Peace, Power, and Order in East Asia* (2009)

Kim, Eun Mee, *The Four Asian Tigers: Economic Development & the Global Political Economy* (1999)

Kleinberg, Robert, *Chinas "Opening" to the Outside World: The Experiment with Foreign Capitalism* (1990)

Kynge, James, *China Shakes the World: A Titan's Rise and Fall* (2007)

Lukauskas, Arvid John, and Francisco L. Rivera-Batiz, *The Political Economy of the East Asian Crisis and Its Aftermath: Tigers in Distress* (2001)

Oppenheim, Philip, *Trade Wars: Japan versus the West* (1992)

- Panagariya, Arvind, *India: The Emerging Giant* (2008)
- Rajadhyaksha, Niranjana, *The Rise of India: Its Transformation from Poverty to Prosperity* (2007)
- Rozman, Gilbert, *Japans Response to the Gorbachev Era* (1991)
- Simon, Sheldon W., *East Asian Security in the Post-Cold War Era* (1997)
- Thomas, Raju G. C., *South Asian Security in the 1990s* (1993)
- Woronoff, Jon, *Asia's "Miracle" Economies* (1991)
- Wurfel, David, and Bruce Burton, eds., *The Political Economy of Foreign Policy in Southeast Asia* (1990)
- Yahuda, Michael, *The International Politics of Asia-Pacific, 1945-1995* (1996)
- Yueh, Linda, *The Future of Asian Trade and Growth: Economic Development with the Emergence of China* (2010)

19. მარტო დარჩენილი აფრიკა: ეთნიკური კონფლიქტი, ავტოკრატია და ჩამორჩენილობა

- Aryeetey, Ernest, Julius Court, Machiko Nissanke, and Beatrice Weder, *Asia and Africa in the Global Economy* (2003)
- Ayittey, George B. N., *Africa in Chaos* (1998)
- Beasley, Thomas W., *Poverty in Africa* (2009)
- Brautigam, Deborah, *The Dragons Gift: The Real Story of China in Africa* (2010)
- Buur, Lars and Steffen Jensen with Finn Stepputat, *The Security-Development Nexus: Expressions of Sovereignty and Securitization in Southern Africa* (2007)
- Cawthra, Gavin and Abillah Omari, *Security and Democracy in Southern Africa* (2008)
- Davidson, Basil, *The Black Man's Burden: Africa and the Curse of the Nation-State* (1992)
- Deegan, Heather, *Africa Today: Culture, Economics, Religion, Security* (2009)
- Engel, Ulf and J. Gomes Porto, *Africa's New Peace and Security Architecture* (2010)
- Ferguson, James, *Global Shadows: Africa in the Neoliberal World Order* (2006)
- Francis, David J., *Uniting Africa: Building Regional Peace And Security Systems* (2006)
- Franke, Benedikt, *Security Cooperation in Africa: A Reappraisal* (2009)
- Guelke, Adrian, *Rethinking the Rise and Fall of Apartheid: South Africa and World Politics* (2005)
- Mangala, Jack, *Africa and the New World Era: From Humanitarianism to a Strategic View* (2010)
- Phillips, Lucie Colvin, and Diery Seck, *Fixing African Economies: Policy Research for Development* (2003)
- Rutherford, Kenneth R., *Humanitarianism Under Fire: The US and UN Intervention in Somalia* (2008)
- Sandbrook, Richard, *The Politics of Africa's Economic Recovery* (1993)
- Shaw, Timothy, *Reformism and Revisionism in Africa's Political Economy in the 1990s* (1993)
- Somerville, Keith, *Foreign Military Intervention in Africa* (1990)
- Smith, Malinda S., *Beyond the African Tragedy': Discourses on Development and the Global Economy* (2006)
- Spencer, Claire, *The Maghreb in the 1990s* (1993)

Woldemariam, Kasahun, *The Rise of Elective Dictatorship and the Erosion of Social Capital: Peace, Development, and Democracy in Africa* (2009)
 Zack-Williams, Tunde, Diane Frost, and Alex Thomson, eds., *Africa in Crisis: New Challenges and Possibilities* (2002)

20. ახლო აღმოსავლეთი: მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის უშედეგო ძიება

Brynen, Rex and Roula El Rifai, *Palestinian Refugees: Challenges of Repatriation and Development* (2007)
 Evans, Anthony, *Gulf War: Desert Shield and Desert Storm, 1990-1991* (2006)
 Freedman, Laurence, and Efraim Karsh, *The Gulf Conflict, 1990-91* (1993)
 Hinnebusch, Raymond, *Syria* (2002)
 Karsh, Efraim, *Soviet Policy towards Syria since 1970* (1991)
 Khalidi, Rashid, *Resurrecting Empire: Western Footprints and America's Perilous Path in the Middle East* (2004)
 Lesch, David W., *The Arab-Israeli Conflict: A History* (2007)
 Lowry, Richard, *The Gulf War Chronicles: A Military History of the First War with Iraq* (2008)
 Lustik, Ian S., ed., *Arab-Israeli Relations in World Politics* (1994)
 McCausland, Jeffrey, *The Gulf Conflict: A Military Analysis* (1993)
 Morris, Benny, Charles Tripp, Julia A. Clancy-Smith, Israel Gershoni, Roger Owen, Yezid Sayigh, and Judith E. Tucker, eds., *The Birth of the Palestinian Refugee Problem Revisited* (2003)
 Quandt, William B., *Peace Process: American Diplomacy and the Arab-Israeli Conflict since 1967* (1993)
 Rydelnik, Michael, *Understanding the Arab-Israeli Conflict: What the Headlines Haven't Told You* (2007)
 Ross, Dennis, *The Missing Peace: The Inside Story of the Fight for Middle East Peace* (2004)
 Schoenbaum, David, *The United States and the State of Israel* (1993)
 Smolansky, David, *The USSR and Iraq: The Soviet Quest for Influence* (1991)
 Stewart, Dona, *Good Neighbourly Relations: Jordan, Israel and the 1994-2004 Peace Process* (2007)

21. ლათინური ამერიკა: დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი და რეგიონული უსაფრთხოება

Atkins, G. Pope, *Latin America in the International System* (1995)
 Brock, Philip, et al., eds., *Latin American Debt and Readjustment* (1989)
 Carothers, Tom H., *In the Name of Democracy: U.S. Policy toward Latin America in the Reagan Years* (1991)
 Chisolm, Lance H., *Venezuela: Political Conditions and U.S. Policy* (2009)
 Crandall, Russell, *The United States and Latin America after the Cold War* (2008)
 Dent, David W., *U.S.-Latin American Policymaking* (1995)
 Desch, Michael C., *When the Third World Matters: Latin America and United States Grand Strategy* (1993)

- Dominguez, Jorge I. and Rafael Fernandez de Castro, *Contemporary U.S.-Latin American Relations: Cooperation or Conflict in the 21st Century?* (2010)
- Gutman, Roy, *Banana Diplomacy: The Making of American Foreign Policy in Nicaragua* (1988)
- Kjonnerod, L. Erik, ed., *Evolving U.S. Strategy for Latin America and the Caribbean* (1992)
- Mora, Frank O., and Jeanne A. K. Hey, *Latin American and Caribbean Foreign Policy* (2003)
- Pastor, Robert A., *Whirlpool: U.S. Foreign Policy toward Latin America and the Caribbean* (1992)
- Ramirez, Miguel D., Antonio Jorge, and Jorge Salazar-Carrillo, eds., *The Latin American Debt* (1992)
- Ramirez, Miguel D., Antonio Jorge, and Jorge Salazar-Carrillo, eds., *Mexico's Economic Crisis: Its Origins and Consequences* (1989)
- Randall, Laura, *The Political Economy of Latin America in the Postwar Period* (1997)
- Robinson, William I., *A Faustian Bargain: U.S. Intervention in the Nicaraguan Election and American Foreign Policy in the Post-Cold War Era* (1992)
- Skidmore, Thomas E., and Peter H. Smith, *Modern Latin America* (2000)
- Torrijos, Giancarlo Soler, *In the Shadow of the United States: Democracy and Regional Order in the Latin Caribbean* (2008)
- Wiarda, Howard J., *The Democratic Revolution in Latin America* (1990)

22. ძველიდან ახალი საუკუნისკენ

- Allison, Roy, *Military Forces in the Soviet Successor States* (1993)
- Appadurai, Arjun, *Modernity at Large: Cultural Dimensions of Globalization* (1998)
- Bacevich, Andrew, *The American Empire: The Realities and Consequences of U.S. Diplomacy* (2004)
- Baehr, Peter R., and Leon Gordenker, *The United Nations in the 1990s* (1992)
- Bailey, Kathleen C., *Doomsday Weapons in the Hands of Many* (1991)
- Bellamy, Alex J. and Paul Williams with Stuart Griffin, *Understanding Peacekeeping* (2010)
- Berdal, Mats R., *Whither UN Peacekeeping?* (1993)
- Bhagwati, Jagdish, *The World Trading System at Risk* (1991)
- Boli, John, and George M. Thomas, eds., *Constructing World Culture: International Nongovernmental Organizations since 1875* (1999)
- Carter, April, *Success and Failure in Arms Control Negotiations* (1989)
- Calleo, David B., *Follies of Power: America's Unipolar Fantasy* (2009)
- Coicaud, Jean-Marc, *Beyond the National Interest: The Future of UN Peacekeeping and Multilateralism in an Era of U.S. Primacy* (2007)
- Cohen, Stephen, *Failed Crusade: America and the Tragedy of Post-Communist Russia* (2000)
- Dedring, Juergen, *The United Nations Security Council in the 1990s: Resurgence and Renewal* (2009)
- De Nevers, Renee, *Russia's Strategic Renovation* (1994)
- Diehl, Paul F., ed., *The Politics of Global Governance: International Organizations in an Interdependent World* (1997)
- Ferguson, Niall, *Colossus: The Price of America's Empire* (2004)

- Ferguson, Niall, *The War of the World: Twentieth-Century Conflict and the Decline of the West* (2006)
- Foerster, Schuyler, et al., *Defining Stability: Conventional Arms Control in a Changing Europe* (1989)
- Fortna, Virginia Page, *Does Peacekeeping Work?: Shaping Belligerents' Choices after Civil War* (2008)
- Fukuyama, Francis, *The End of History and the Last Man* (1993)
- Fukuyama, Francis, *Falling Behind: Explaining the Development Gap between Latin America and the United States* (2010)
- Goldman, Marshall I., *Lost Opportunity: Why Economic Reforms in Russia Have Not Worked* (1994)
- Heins, Volker, *Nongovernmental Organizations in International Society: Struggles over Recognition* (2008)
- Held, David, et al., *Global Transformations: Politics, Economics, and Culture* (1999)
- Hoekman, Bernard M., *The Political Economy of the World Trading System* (2010)
- Hoffman, David, *The Oligarchs: Wealth And Power In The New Russia* (2003)
- Huntington, Samuel, *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order* (1998)
- Hutton, Will, and Anthony Giddens, eds., *On the Edge: Living with Global Capitalism* (2000)
- Iriye, Akira, *Cultural Internationalism and World Order* (1997)
- Iriye, Akira, *Global Community: The Role of International Organizations in the Making of the Contemporary World* (2002)
- Kagan, Robert, *Of Paradise and Power: America and Europe in the New World Order* (2003)
- Kaplan, Robert, *The Coming Anarchy: Shattering the Dreams of the Post-Cold War* (2003)
- Keck, Margaret E., and Kathryn Sikkink, eds., *Activists beyond Borders: Advocacy Networks in International Politics* (1998)
- Lairson, Thomas D., and David Skidmore, *International Political Economy: The Struggle for Power and Wealth* (1993)
- Leebaert, Derek, *The Fifty-Year Wound: How America's Cold War Victory Has Shaped Our World* (2003)
- Mingst, Karen A., and Margaret P. Karns, *The United Nations in the Post-Cold War Era* (1999)
- Muldoon Jr., James P. and JoAnn Fagot Aviel with Richard Reitano and Earl Sullivan, *The New Dynamics of Multilateralism: Diplomacy, International Organizations, and Global Governance* (2010)
- Muller, Harald, et al., *Nuclear Non-Proliferation and Global Order* (1994)
- Nye, Joseph, *The Paradox of American Power* (2002)
- Patrick, Stewart, and Shepard Forman, *Multilateralism and U.S. Foreign Policy: Ambivalent Engagement* (2001)
- Pease, Kelly-Kate S., *International Organizations: Perspectives on Global Governance* (2009)
- Pomeranz, Kenneth and Edmund Burke III, *The Environment and World History* (2009)
- Roberts, Adam, and Benedict Kingsburg, eds., *United Nations, Divided World: The U.N.'s Role in International Relations* (1993)
- Roberts, Brad, *Chemical Disarmament and International Security* (1992)

- Rueckert, George L., *Global Double Zero: The INF Treaty from Its Origins to Implementation (1993)*
- Rupp, Leila J., *Worlds of Women: The Making of an International Women's Movement (1997)*
- Sampson, Anthony, *The Arms Bazaar in the Nineties: From Krupp to Saddam (1991)*
- Schechter, Michael G., ed., *Innovation in Multilateralism (1999)*
- Sheehan, James, *Where Have All the Soldiers Gone?: The Transformation of Modern Europe (2009)*
- Smolansky, Bettie M., and Oles M. Smolansky, *The Lost Equilibrium: International Relations in the Post-Soviet Era (2001)*
- Spero, Joan E., and Jeffrey Hart, *The Politics of International Economic Relations (2002)*
- Stalker, Peter, *Workers without Frontiers: The Impact of Globalization on International Migration (2000)*
- Taylor, Trevor, *The Collapse of the Soviet Empire: Managing the Regional Fallout (1992)*
- Todd, Emmanuel, *After the Empire: The Breakdown of the American Order (2003)*
- Weber, Steve, *Cooperation and Discord in U.S.-Soviet Arms Control (1991)*

ყველაზე საჭირო ინგლისურენოვან წყაროებად თანამედროვე საერთაშორისო განვითარების შესახებ ითვლება შემდეგი პერიოდული გამოცემები: საგარეო საქმეები, საგარეო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, საერთაშორისო უსაფრთხოება, ადამიანთა განვითარების ანგარიში, გადარჩენა, საერთაშორისო სტრატეგიის კვლევის გარკვეული შრომები – გამოქვეყნებული რუბრიკით „ადელფი შრომები“ და ორი წლიური პუბლიკაცია ხსენებული ორგანიზაციების სათაურებით: „სტრატეგიული მიმოხილვა“ და „სამხედრო ბალანსი“.

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინი
კომპ. უზრუნველყოფა
კორექტორი

მარინე ვარამაშვილი

მარინე ჭყონია

ნინო ებრალიძე

ლალი კურდღელაშვილი

ლელა ნიკლაური

TSU Press Editors:

Marine Varamashvili

Marina Chkonia

Cover Designer

Nino Ebraldize

Compositor

Lali Kurdghelashvili

corrector

Lela Tsiklauri



0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Chavchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel 995(32) 225 14 32

www.press.tsu.edu.ge